

პროფ. კონსტ. კეკელიძე

ქართული ლიტერატურის ისტორია

ტ. 1

პირველი გვერდობა



ტფილისის სახელმწ. უნივერსიტეტის გამომცემა

ტ ფ ი ლ ი ს ი

1923

დიაგნოზის დასადგენად სინთეზის რეაქტივების გამოყენების უადგილობრივ
მდივანი, დოცენტი გ. ნათაძე.

მუშა წესდება სინთეზის რეაქტივებისა ს. უ. ს. შ. ლენინის ქუჩა, № 3

VOM VERFASSER

Der vorliegende erste Band der Geschichte der georgischen Literatur behandelt die alte, kirchliche Literatur, welche in Georgien bis zum XII. Jahrhundert ausschliessliche Verbreitung hatte, vom XII. Jahrhundert an aber gleichzeitig mit der profanen (weltlichen) Literatur sich entwickelte. Schon lange gab sich der Mangel einer solchen Darstellung sowohl in der georgischen, als auch in der europäischen Forschung zu spüren. Wissenschaftliche Kreise Europas stehen aus Mangel notwendiger Angaben ratlos vor den Fragen selbst des Umlanges und des Gesamtcharakters dieser Literatur da und sehen sich gezwungen, wie die Herausgeber der Geschichte der christlichen Literaturen des Orients² [Die Literaturen des Ostens in Einzeldarstellungen. VII. Band, 2. Abt. 1909] die altgeorgische Literatur nicht mit in die Darstellung aufzunehmen, da ihnen „kein sachkundiger und zugleich des Deutschen mächtiger Bearbeiter“ zur Verfügung steht. Die seltenen vereinzelten Angaben über die altgeorgische Literatur bleiben aber dermassen an der Oberfläche stecken, dass in dem grundlegenden Handbuche von Prof. H. Jordan [Geschichte der alchristlichen Literatur, 1911, S. 434 -- 435] solche Aussagen Platz finden: „seit dem 6. Jahrhundert entstanden dann *georgische* und *grusinische* Bibelübersetzungen“. Es wird somit vorausgesetzt, als ob die „georgische“ und die „grusinische“ Literatur Verschiedenes wären. Indess die Tragweite dieser Literatur und die Notwendigkeit ihrer Erforschung ist schon lange durch das Fachurteil von Prof. Ad. Harnack bezeugt, der bereits 1903 pathetisch fragte, ob sich denn endlich in Deutschland wissenschaftliche Kräfte fänden, um die Schätze dieser Literatur zu heben [Sitzungsberichte der Preussischen Akademie der Wissenschaften, XXXIX, 1903]. Der vorliegende Band versucht diesen mit Recht erhobenen Wünschen Genüge zu leisten.

In der Einleitung wird über Bedeutung, Anfänge und Periodeneinteilung der christlichen Literatur, sowie über literarische Kulturzentren im alten Georgien Bericht erstattet. Der erste Teil gibt dann eine chronologisch-geordnete Übersicht der Schriftsteller und Übersetzer vom V. bis zum XVIII. Jahrhundert und im zweiten wird der kontinuierliche Entwicklungsgang einzelner Literaturgebiete behandelt. Wie weit das hier gestellte Ziel erreicht ist, liegt den Fachmännern ob zu urteilen; da aber in der Tat diese Arbeit nur einen *ersten* Versuch dieser Art Behandlung darstellt, kann ich getrost sagen: „*fecit, quod potui*“

შ ე ს ა ვ ა ლ ი

§ 1. ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელობა და მისი შესწავლის მდგომარეობა.

თვითეულ ერს, რომელსაც ისტორიულად უცხოვრია და კულტურული ზრდისა და განვითარების გარკვეულ საფეხურამდე მიუხწევია, თავისი საკუთარი მწერლობა შეუქმნია. მწერლობა, რომელშიაც აღბეჭდილია ამა თუ იმ ერის სულიერი ფიზიონომია, მისი აზრები, ფიქრები, გრძობანი და განცდანი, მაჩვენებელია ამ ერის ისტორიული ცხოვრების ღირებულობისა და შინაარსისა, ამიტომ ერის ისტორიისა და წარსულის შესწავლა სრული და დამთავრებული არ იქნება, თუ გათვალისწინებული და შესწავლილი არაა მისი მწერლობის ისტორიაც. ესევე უნდა ითქვას კერძოდ ქართული მწერლობის შესახებაც, რომელიც თავისი ევოლუციის პროცესში სამს მთავარ ხანას წარმოადგენს: ძველს, საშუალოს და ახალს.

ახალი ხანის მწერლობა არის მწერლობა მეცხრამეტე-მეოცე საუკუნისა, საშუალო ხანის — საერო მწერლობა მეთორმეტე საუკუნიდან მეთვრამეტემდე, ხოლო ძველი ხანის მწერლობას, რომელიც მიმოხილულია წინამდებარე ტომში, ჩვენ ვუწოდებთ სასულიერო-ეკლესიურ მწერლობას. სახელწოდება ძველი მისაღებია ამ უკანასკნელისათვის იმდენად, რამდენად ძველად, მეთორმეტე საუკუნემდე, ჩვენი მწერლობა თითქმის უკლებრივ სასულიერო-ეკლესიურაა, ხოლო მეთორმეტედან მეთვრამეტემდე, საეროსთან ერთად, ის იძლევა მნიშვნელოვან სასულიერო-ეკლესიურ ნაკადსაც, რომელიც შინაარსით, სტილით და ლიტერატურული ფორმით პირდაპირი გაგრძელებაა წინანდელი ეპოქის შემოქმედებისა.

ძველის, სასულიერო-ეკლესიური მწერლობის შესწავლას ორგვარი მნიშვნელობა აქვს: კერძო ეროვნული და საზოგადო ორიენტირული.

ყოველი ერი, რომელიც თავისი წარსულით, კერძოდ ლიტერატურულით, დაინტერესებულია, სასულიერო-რელიგიური მწერლობის ისტორიას შესაფერადგის უამობს თავისი კვლევა-ძიების სფეროში; მით უმეტეს ასე უნდა მოიქცეს ქართველი, რომლის მწერლობა მეთვ-

რამეტე საუკუნის გასღვამდე, როგორც ვთქვით, უმთავრესად სასულიერო ხასიათისაა. შეუძლებელია ქართული კულტურის მკვლევარმა გვერდი აუაროს ეკლესიურ მწერლობას, რომელიც სულიერად ასაზრდოებდა ქართველ ერს საუკუნეთა განმავლობაში. სხვა არა იყოს რა, ეკლესიურმა მწერლობამ მოამზადა ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა საერო მწერლობა, ეკლესიურმა მწერლობამ შექმნა ის მდიდარი, ყოველმხრივ ჩამოყალიბებული და მოხუნელი სამწერლო ენა, რომელზედაც დაიწერა შესანიშნავი ვეფხისტყაოსანი და მისი მომდევნო ბრილიანტები ქართული მხატვრული მწერლობისა. ეკლესიური მწერლობის შეუსწავლელად ჩვენ არ გვეცოდინებოდა კულტურული ზრდის პროცესი ქართველი ერისა და ვერც მისი მწერლობის ისტორიას გავითვალისწინებდით, თუ მწერლობის ისტორიად ჩავთვლით, როგორც ზოგიერთები სჩადიან, მხოლოდ საერო, მხატვრული მწერლობის ისტორიას.

კაცობრიობის კულტურის ისტორიაში ქრისტიანობასა და ქრისტიანულ მწერლობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა; ეს იმდენად უცილობელია, რომ ამაზე კამათი მეცნიერებაში ზედმეტადაა მიჩნეული. ამიტომ კულტურის ისტორიკოსები დიდ ყურადღებას აქცევენ ეკლესიური მწერლობის ისტორიის შესწავლას და დამუშავებას. სამწუხაროდ, მათ ერთი სენი სჭირთ, რომელსაც ცალმხრივობა ეწოდება. საქმე ისაა, რომ თავიანთი კვლევა-ძიების საგნად და ობიექტად ისინი იხდიან უმთავრესად სასულიეროს, საბერძნეთ-რომის, ქრისტიანობასა და ეკლესიურ მწერლობას და შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ქრისტიანული ხის აღმოსავლურ შტოს, რომელსაც, ასურულ-სპარსულ-სომხურ-არაბულთან, ქართული ქრისტიანობა და ეკლესიური მწერლობაც ეკუთვნის; განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას უკანასკნელის შესახებ: თუ სხვა აღმოსავლურ ქრისტიან ერთა ეკლესიური მწერლობის ისტორიას სამეცნიერო ლიტერატურაში მაინც ვთვით პარალელურობა და ხანდისხან მონოგრაფიები, ქართული ეკლესიური მწერლობა პირდაპირ *terra incognita*-ს წარმოადგენს.¹ ასეთი უყურადღებობა მას არ უნდა დაემ-

¹ ამ მხრივ დამახასიათებელია შემდეგი მოვლენა: გერმანულ ენაზე გამოქვეყნებული მეცნიერული სერიის.— *Die Litteraturen des Ostens, მეზღვი ტომში*,— *Geschichte der christlichen Litteraturen des Ostens*,— (Leipzig 1909) წარმოადგენილია ასურული, არაბული, სომხური, კოპტური და ეთიოპური ქრისტიანული მწერლობის ისტორია, ქართულის შესახებ კრინტიც არაა დაძრული; ალბად ამის გასამართლებლად და ბოდიშის მოსახდელად პროფ. ბროკელი-შანი წინასიტყვიანობაში შენიშნავს: *Lieder liess sich für die georgische Litteratur kein sachkundiger und zugleich den Deutschen mächtiger Bearbeiter gewinnen.*

სახურებია; საქართველო კულტურის მხრივ დიდად საინტერესოა: აქ, კავკასიონის ქედის ძირში, სირო-პალესტინიდან მომავალი მისტიურ-ემოციონალური ნაკადი აღმოსავლური ქრისტოლოგიისა ბუნებრივად ეჯახებოდა დასავლეთიდან მომდინარე რაციონალურ-ფილოსოფიურ ნაკადს ბერძნულ-ბიზანტიური თეოლოგიისას; ამ ორ სხვადასხვაგვარ მიმართულებათა სანტეზიდან იქმნებოდა ის თავისებური რელიგიურ-კულტურული ფაქტი, რომელსაც ქართული ქრისტიანობა ეწოდება და რომელიც აღბეჭდულია საქართველოს ეკლესიის ორიგინალურსა და ნათარგმნს ლიტერატურულ ძეგლებში. ქართულ ენაზე შენახულა უმდიდრესი საუნჯე ეკლესიური მწერლობისა, ისეთი ნაშთები და თხზულებები, რომელთა დედნები დაკარგულია და მეცნიერთათვის საძიებელნი გამხდარან. მთელის სიცხადით ეს მხოლოდ მეოცე საუკუნეში შეიგნეს; 1902 წელს აღმოსავლეთში, იერუსალიმსა და სინას მთაზე, იქაური ქართული ძეგლების შესასწავლად, იმოგზაურეს პეტროფსკი და ნიკო მარტო და ივანე ჯავახიშვილი. 1903 წელს დაიბეჭდა რუსულ ენაზე მოკლე წინასწარი ანგარიში შათი მოგზაურობის შესახებ; როდესაც ეს ანგარიში გაიცნო ეკლესიური მწერლობის ისტორიის ისეთმა ავტორიტეტმა, როგორიცაა ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი ა. ჰარნაკი, პრუსიის სამეცნიერო აკადემიის ორგანოში მან შემდეგი სიტყვები მოათავსა: „ამ ანგარიშიდან ნათლად ჩანს, რომ უძველეს ხალხთა უდიდეს ბერძნულ-ქრისტიანულ ოჯახს ეკუთვნიან ქართველებიც; გამოჩნდებიან განა ჩვენში, გერმანიაში, ახალგაზდა მეცნიერები, რომლებიც შესძლებენ შეისწავლონ ენა, მწერლობა და ისტორია ამ ხალხისა, რომელსაც თავისი ძველი კულტურით ძური ნათესაობა ჰქონია ჩვენთან, და გაგვაცნონ ახლო მისი საუნჯეო?“¹

უცხოელების ასეთი უყურადღებობა ჩვენი ძველი მწერლობისადმი აიხსნება მით, რომ მათ არ იცოდენ ქართული ენა და თან ქართველებზედაც იმდენად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ, რომ არც კა სჯეროდათ ძველი ქართული მწერლობის არსებობა. თუმცა უნდა აღვიაროთ, რომ მაინცა და მაინც ბევრი რამ ამ დარგში არც ქართველ მეცნიერთა და მეცნიერთ გაუკეთებიათ. ბოლო დრომდის ქართველი მეცნიერები უფრო სამოქალაქო ისტორიითა და მისი ძეგლებით იყვნენ დაინ-

¹) Sitzungsberichte d. k. Preussischen Akademie der Wissenschaften, 1903, XXXIX.

ტერსებულნი და გატაცებულნი, ძველს მწერლობასა და, მით უმეტეს, ეკლესიურს, ისინი დიდ ყურადღებას არ აქცევდენ; ეს, შეიძლება, იმიტომაც აიხსნებოდა, რომ შესაფერი სპეციალისტები მათში არ გამოჩენილა, თან ლიტერატურული ძეგლებით სარგებლობა, რაც *conditio sine qua non* არის ამ დარგში ნაყოფიერად მუშაობისა, დიდხანს ძნელი იყო ხელნაწერთა გაბნევისა და მათი სისტემატიური კოლექციების უქონლობის გამო.

მიუხედავად ასეთი უნუგეშო, საერთოდ, მდგომარეობისა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს ის მცირე რამ, რაც ამ დარგში გაკეთებულა ამდენხან, აღინუსხოს ის ისტორიულ-ლიტერატურული მასალა მაინც, რომელიც შეუგროვებიათ და დაუტოვებიათ ჩვენს ძველს მწიგნობრებსა და ახალი დროის მეცნიერთა და მკვლევართ.

ამ გვარი მასალა ჩვენ უძველეს დროიდანა გვაქვს; ჯერ კიდევ მეთექვსმეტე საუკუნეში ჰქონიათ სინას მთის ქართველ მოღვაწეებს კატალოგები თავიანთი ლიტერატურული საგანძურისა, რომელთა საშუალებით მკვლევარს შეუძლია ნაწილობრივ გაათვალისწინოს იმდროინდელი ქართული მწერლობის მდგომარეობა; ერთი ასეთი სამონასტრო კატალოგის ფრაგმენტი აღმოჩნდა ხელნაწერში № 92, ამ კატალოგში აღნუსხულია 22 სახელწოდება 52 ტომისაგან შემდგარი¹.

მეორე ამგვარივე ხასიათის დოკუმენტს წარმოადგენს ანდერძი იოანე ათონელისა (†998 წ.), რომელშიაც ის ჩამოგვითვლის იმ თხზულებებს, რომელნიც მისი ინიციატივით და დახმარებით უთარგმნია მის შვილს, ექვთიმე ათონელს². აქ აღნიშნულია 26 ლიტერატურული ძეგლი, თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა ხელნაწერები ამ ანდერძისა ერთნაირად არ გადმოგვცემენ ამ ნუსხას: ზოგი უმატებს და ზოგი აკლებს; ყველა, დღემდე ცნობილი, ცალი ამ ანდერძისა მომდინარეობს 1002 წელს გადაწერილი ნუსხიდან, დიფერენციაცია მათი დაწყებულა ამ დროიდან.

ანალოგიური ხასიათის დოკუმენტს გვაძლევს ჩვენ მეექვსე დეკატოლოგიკობის 1020 წლის გუჯარი, რომელშიაც ჩამოთვლილია 25 თა-

¹) Н. Марръ, Предварительный отчетъ о работахъ на Синаѣ, веденныхъ въ сотрудничествѣ съ И. А. Джаваховымъ, и въ Иерусалимѣ, въ повѣдку 1902 г., Сообщения Православ. Палестин. Общества, т. XIV, ч. II, 1903 г. стр. 44-45.

²) თ. ეორღანია, ქრონიკები, I, 140-143, А. Цагарели, Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности, вып. I, стр. 87-88.

ვი წიგნი, რომელიც მას მოუპოვებია მის მიერ განახლებული და შემკობილი მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრისათვის;¹ დოკუმენტი საყურადღებოა, როგორც მაჩვენებელი იმ ნაბიჯისა, რომელიც ჩვენს მწერლობას წაუდგამს წინ მეთერთმეტე საუკუნის პირველს მეოთხედში, თუმცა ზოგი რამ სიმატლეს არ უნდა შეესაბამოდეს იმაში; მაგალითად, აქ აღნიშნულია, სხვათა შორის, „სახარების თარგმანი მათესი, მარკოზის, ლუკასი და იოანეს თავისა“. ამ დროს ქართულს ენაზე ცნობილი იყო ერთადერთი თარგმანება სახარებისა—იოანე ოქროპირისა, ექვთიმეს მიერ გადმოთარგმნილი; ოქროპირს კი, როგორც ცნობილია, მხოლოდ მათესა და იოანეს სახარების თარგმანება დაუწერია, ქართულადაც მხოლოდ ესა გვაქვს, ასე რომ მარკოზი და ლუკა აქ რაღაც გაუგებრობითაა შეტანილი.

შემდეგი ისტორიულ-ლიტერატურული ნაწყვეტი მოგვეპოვება ჩვენ ექვთიმე ათონელის ბიოგრაფიაში, რომელიც გიორგი მთაწმიდელის² მიერაა დაწერილი. გიორგი ჩამოსვლის ექვთიმეს შრომებს, თუმცა თვითონვე შენიშნავს, რომ მათი აღრიცხვაჲ კანდაღა შეუძლებელ არსო, მართლაც, როგორც თავის ალაგას ნაჩვენები იქნება, გიორგის ნუსხა სრული არაა; პირველს ნაწილში ის დამყარებულია იოანე ათონელის ზემოდასახლებულს ან დერძზე, მაგრამ ზოგიერთი საცილობელი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების გადასაწყვეტად მეტად მნიშვნელოვანია.

ასეთივე ნაწყვეტი დაუტოვებია ჩვენთვის გიორგი ხუცესმონაზონს, რომელიც გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფიაში გვაძლევს ნუსხას გიორგის შრომებისას³; ქვემოთ აღნიშნული იქნება, რომ ამ ავტორის ისტორიულ-ლიტერატურული ცნობები არც სრულია და არც შეუცდომელი, მაგრამ საყურადღებოა როგორც პირველი ცდა გიორგის სამწერლო მოღვაწეობის გათვალისწინებისა და შეფასებისა.

მე-XVI საუკუნეში ბაგრატ ბატონიშვილს დაუწერია მოკლე პოლემიკური შრომა, რომელსაც ეწოდება მოთხრობაჲ სჯულთა უღმრთოთა ისმაილიტთაჲ, სადაც ავტორი ასახელებს ზოგიერთ ქართველ

¹) თ. ყორღანი, ქრონიკები 1, 182-184, II, 32-33.

²) ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი ძღაპე ბით, სეკლესიო მუზეუმის გამოცემა, ტფილისი 1901 წ. გვ. 27-29; ამ გამოცემას შემდეგ ციტაციებში ჩვენ აღნიშნავთ ათონის კრებულის სახელით.

³) ათონის კრებული, გვ 310-311.

მწერლებს. რამდენად გამოსადეგია ავტორის ლიტერატურული ცნობები, ადვილი წარმოსადგენია იქიდან, რომ ექვთიმე ათონელს, გიორგი მთაწმიდელს და ეფრემ მცირეს ის მაჰმადის წინააღმდეგის მწერლებად სთვლის. ეს მოთხრობა მე-XVII საუკუნეში ლექსად გადაუყეთებია იაკობ შემომქმედელს; იაკობს არავითარი ფაქტიური დამატება ზიგარ შეუტანია, სამაგიეროდ მე-XVIII საუკუნეში რომელღაც ინტერპოლატორს ბაგრატის შრომისათვის დაურთავს დამატება, რომელშიაც ის ბაგრატის მიერ დასახელებულ მწერალთა შესახებ უფრო ნამდვილ ცნობებს იძლევა, თუმცა გიორგი მთაწმიდელს ის დავით აღმაშენებლის თანამედროვედა სთვლის. მე-XVIII საუკუნის მიღვაწეს, მოძღვარს ზაქარია გაბაშვილს, ამ ინტერპოლაციაში შეუტანია თავისი ცნობები, ზოგიერთ შემთხვევაში მიუღებელი, როგორც, მაგალითად, ეფრემ მცირის მიერ დიდი სჯულის კანონის თარგმნა¹.

მეთვრამეტე საუკუნეში კათალიკოზმა ანტონ პირველმა დაწერა, სხვათა შორის, თხზულება „წყობილსიტყვაობა“, პლ. იოსელიანის მიერ გამოცემული ტფილისში 1853 წელს. წიგნი შესდგება შვიდი ნაწილისაგან და დაწერილია იამბიკოდ; ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით საყურადღებოა მეშვიდე ნაწილი, რომელსაც სათაურად აქვს: *იჯს ქართულთა სიბრძის მყოურეთა კაცთა მწიგნობართა*; აქ ავტორს განუზრახავს მოგვეცეს მოკლე მიმოხილვა ძველი ქართული მწერლობისა, როგორც ეკლესიურის, ისე საეროსი. ეს ნაწილი გაყოფილია მთავად; პირველს თავში მიმოხილულია 9 კათალიკოზის სამწერლო მოღვაწეობა, მეორეში — რვა ეპისკოპოსისა, 3-7 თავებში — სხვა და სხვა მამებისა, ბერმონაზონებისა და სასულიერო პირთა, სულ ორმოცი კაცისა, მერვეში — საერო მწერალთა: მეფეთა, ბატონიშვილთა და სხვა დიდებულთა. მწერლები და მოღვაწენი ჩამოთვლილია უმთავრესად მეთვრამეტე საუკუნიდან ავტორის დრომდე; ავტორი მათ ახასიათებს სქოლასტიურ-რიტორიული იამბიკოებით და ზოგიერთ შემთხვევაში შრომასაც ასახელებს. აქ ჩვენ ბევრს ისეთ სახელებს ვხვდებით, რომელთაც, როგორც მწერლებს, სხვა წყაროებიდან არ ვიცნობთ. მართალია, ბევრი რამ ავტორს გარდამოცემისა და ზეპირსიტყვაობიდან შემოაქვს, ბევრი ცნობა მისი სიმართლეს არ შეესაბამება, მაგრამ, როგორც პირველი

¹) Н. Марръ, Изъ книги царевича Баграта о грузинъ переводахъ духовныхъ сочиненій и героической повѣсти Дареджаніани, Иавѣстїи Академіи Наукъ, 1899 г. февраль т. x, № 2.

ცდა ისტორიულ-ლიტერატურული სისტემატიზაციისა, თხზულება საპატიოა.

დასასრულ, ჩვენამდე შენახულა ერთი თხზულება, რომელსაც ეწოდება მცირე უწყებაჲ ქართველთა მწერალთათჳს¹. ეს თხზულება, რომელიც დაწერილია მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში ბერის იონა ხელაშვილის მიერ და შეადგენს მისი კალმასობის ნაწილს, ჩვენ გვაძლევს საკმაოდ ვრცელს, სისტემატიურად დაწყობილს, ცნობებს ქართველ მოღვაწეთა და მწერალთა შესახებ, უმთავრესად მეთერთმეტე საუკუნიდან მოყოლებული. თხზულება დაწერილია სხვადასხვა წყაროების მიხედვით, მაგრამ ყველაზე მეტად ავტორი სარგებლობს ანტონ კათოლიკოზის წყობილს იტყუაობით; მას ეს წიგნი წინ უდევს, იმავე რიგით აღნუსხავს მოღვაწეებსა და მწერლებს, ზოგჯერ პარალაფების სათაურებსაც ისევე იწყებს. განსხვავდება ანტონის შრომისაგან იმით, რომ ის ხშირად მწერლის სახელთან მის ვინაობასაც აღნიშნავს და ნაშრომთა სიასაც იძლევა. თუმცა სწორედ აქ არის მისი სუსტი მხარე: მას თავის შრომაში შეჰპარვია თვალსაჩინო შეცდომები და მრავალი საექვეო ცნობები; მაგალითად, თანახმად თავის წყაროს, ანტონ კათოლიკოზისა, ის ილარიონ ქართველის შესახებ ამბობს, რომ ილარიონი იყო ზიგედი მთარგმნელი ელინურას ენისაგან ქართულით, რომელს ამის ჯერეთ არავის ეთარგმნა სიღმრთო წერილი (გვ. 8), ანდა დიონისი არეოპაგეტის თხზულებათა გადმოთარგმნას მიაწერს იოანე პეტრიწს (გვ. 14), და სხვა მრავალი ამგვარი. უფრო საყურადღებოა მეორე ნაწილი ამ შრომისა, რომელიც მთლიანად ავტორს ეკუთვნის და რომელშიაც მიმოხილულია მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის, ანტონ კათოლიკოზის დროიდან, და მეცხრამეტის დასაწყისის მოღვაწენი და მწერალნი; ეს ნაწილი დამყარებულია ავტორის მიერ შეკრებილს, ნახულს და გაგონილს ცნობებზე, რომელნიც მართალია, არაიშვიათად ლეგენდარული ელფერით არიან მოსილნი, მაგრამ მაინც მეტად საინტერესო მასალას გვაძლევენ.

ასეთია ისტორიულ-ლიტერატურული მუშაობა ჩვენში ძველი დროიდან მეცხრამეტე საუკუნემდე; მეცხრამეტე საუკუნეში, როდესაც საქართველო პირისპირ დაუდგა ევროპას წინ, ისტორიულ-ლიტერატურული მასალების შეკრებაში და მათ დამუშავებაში, ქართველებთან ერ-

¹) გამოცემულია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ, ძველი საქართველო, ტომი I, გ. 5-60.

თად, კანტი-კუნტად უცხოელი მეცნიერებიც ღებულობდნ მონაწილეობას, და ეს საქმე უფრო სწორისა და აჩქარებული ნაბიჯით მიდის წინ.

ევროპიელ მეცნიერთაგან ჩვენს ეკლესიურ მწერლობას პირველად ყურადღება მიაქცია ვენის უნივერსიტეტის პროფესორმა Fr. Alter-მა, რომელმაც 1798 წელს გამოსცა ვენაში თხზულება: *Ueber Georgianische Literatur*, სადაც მან მოათავსა, სხვათა შორის, ქართული ხელნაწერებისა და წიგნების ნუსხა, რომელნიც მაშინ რომსა და ვენაში იყო შეკრებილი. რასაკვირველია, ამ თხზულებაში ავტორი იმ დროს რაიმე ძვალსაჩინოს ვერას მოგვეცემდა, მით უმეტეს, რომ მან ქართული ენა არ იცოდა და სხვისი დახმარებით მუშაობდა, ამიტომ თხზულების უდიდესი ნაწილი (გვ. 26-118) დაკავებული აქვს ჩვენი ბიბლიის შედარებას ბერძნულს, სლავურს და სომხურ ბიბლიასთან, და აქაც, ამ შემთხვევაშიაც, ხშირად ლალატობს ქვემარტებას. რაც უნდა იყოს, ეს პირველი ნაბიჯი იყო ევროპიელთა დაინტერესებისა ჩვენი ლიტერატურული წარსულით.

უფრო სისტემატიური მუშაობა ამ დარგში დაიწყო კლ. იოსელიანი დროიდან; მან გამოსცა მრავალი ძველი ტექსტი, როგორც, მაგალითად, ანტონ კათოლიკოსის წყობილსიტყვაობა, იონა და ტიმოთე მიტროპოლიტების მოგზაურობა და სხ. ანტონის წყობილსიტყვაობას მან დაურთო ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის სქოლიები და შენიშვნები, — თვითეული მწერლის ქვეშ ის უჩვენებს — თუ რა დაწერა ან თარგმნა მან, აგრეთვე მრავალრიცხოვანს წერილებსა, შენიშვნებსა და შინაგრაფიებში ეს გზადგზა მრავალსაისტორიო-სალიტერატურო ცნობებს იძლევა, მაგრამ ცნობები ხშირად შემცდარი და ყალბია, ავტორი უკრიტიკოდ იმეორებს იმ ლეგენდებსა და გარდამოცემათ ამა თუ იმ მწერლის. შესახებ, რომლებიც ზეპირსიტყვაობით ცოცხლობდა თანამედროვე სამეცნიერო და სამწიგნობრო წრეებში, თხზულებაა და ხელნაწერთა განუხილველად; ამიტომ მისი ამგვარი ცნობებით სარგებლობა, წინდაუხედველად, სახიფათო და შეუძლებელია.

ჩვენი წარსულის დაუღალავმა მკვლევარმა, აკადემიკოსმა M. Brosset-მა, რომლის ყურადღება განსაკუთრებით მიქცეული იყო ქართული საისტორიო მწერლობისაკენ, საკმაო დეწული დასდო საზოგადოდ მწერლობის ისტორიის დამუშავებასაც, იმდენად რასაკვირველია, რამდენადაც ეს მის დროს შესაძლებელი იყო. ბროსე გულმოდგინედ

პირველად და აქვეყნებდა ხელნაწერებს, მათ მინაწერებს, მან თარგმნა და ევროპიელთა ხელმისაწვდენად გახადა ზოგიერთი მნიშვნელოვანი ძეგლები ქართული მწერლობისა, მანვე მოგვცა პირველი სისტემატიური ნუსხა ყველა, მის დრომდე ცნობილ სასულიერო მწერლობის ნაწარმოებთა; მაგალითად, მან თარგმნა ილარიონ ათონელის კატალოგი ათონის ქართული ხელნაწერებისა, რომელიც 1867 წელს გამოსცა პარიზში ვ. ლანგლუამ. 1837 წელს მან გამოსცა ქართული ენის გრამატიკა¹, რომელშიაც მოათავსა ნუსხა იმ დროს ცნობილი ქართული მწერლობის ძეგლებისა², ხოლო 1838 წელს დაბეჭდა ვრცელი კატალოგი ამავე ძეგლებისა, რომელიც მან შეადგინა სხვადასხვა კატალოგთა მიხედვით³: რასაკვირველია, თავის შრომებში ბროსე გვაძლევს უფრო მასალას მწერლობის ისტორიისათვის, ვიდრე ისტორიას, თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ მისი ისტორიულ-ლიტერატურული ცნობები ეხლა უმეტეს შემთხვევაში დაძველებულია და უკრიტიკოდ მიუღებელი⁴.

ბროსეს შემდეგ მნიშვნელოვანი ნაბიჯი ჩვენი მწერლობის წარსულის შესწავლის საქმეში გადადგა ალ. ცაგარელმა, რომელმაც გამოსცა *Сводъ книгъ о памяти кахъ грузинской письменности* სამ ნაწილად. ეს შრომა, რასაკვირველია, არ არის მწერლობის ისტორია, ის წამოადგენს იმ დროს ცნობილ ქართულ ხელნაწერთა კოლექციების, განსაკუთრებით სინა-ათონ-იერუსალიმის, აღნუსხვას და მოკლედ აღწერას. ავტორი ბევრ შეცდომებს უშვებს როგორც ხელნაწერთა და ცალკე თხზულებათა დასახელებაში, ისე მათი თარიღის გარკვევაში, ამიტომ ის ისტორიულ-ლიტერატურული დასკვნანი, რომელთაც ავტორი აკეთებს, უმეტეს ნაწილად მიუღებელია, ყოველ შემთხვევაში უკრიტიკოდ. როგორც უნდა იყოს, ცაგარლის შრომამ ნათელი მოჰქონა უძველეს ხანას ჩვენი მწერლობისას, მან გამოამჟღავნა ქართველთა ინტენსიური ლიტერატურული შემოქმედება მართლმადიდებლობითი აღმოსავლეთის სხვადასხვა პუნქტებსა და ცენტრებში და დაამყარა ცნობები, რომელნიც საფუძვლად დაედო შემდეგ დროის მუშაკთა გამოკვლევებს, მოკლე შენიშვნებს და მონოგრაფიებს.

1) *Elements de la langue Géorgienne.*

2) *Tableau raisonné de la littérature Géorgienne.*

3) *Catalogue des livres géorgiens tant imprimés que manuscrits, anciens et modernes.*

4) *Bibliographie analytique des ouvrages de M. Brosset, 1887.*

დიდი ღვაწლი დასდო ქართული მწერლობის ისტორიის შემუშავებას განსვენებულმა თ. ჟორდანიამ, რომელმაც თავისი ქრონიკების ორს წიგნში და სხვა თხზულებებში შეაგროვა ფასდაუდებელი ცნობები და ისტორიულ-ლიტერატურული ფაქტები, პირდაპირ ხელნაწერებიდან ამოღებულნი; განსაკუთრებით საყურადღებოა მისი Описание рукописей Тифлисскаго церковнаго Музея, ч. I-II, სადაც, მართალია არა მეცნიერულად, მაგრამ სახელმძღვანელოდ აღწერილია №№ 800 საეკლესიო მუზეუმის¹ ხელნაწერებისა.

✓ თვალსაჩინო შრომა მიუძღვის ამ დარგში ექვთიმე თაყაიშვილსაც, რომელმაც ხელი მოჰკიდა ტფილისის მეორე საყურადღებო კოლექციის აღწერას, ეგრედწოდებულის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის (ჩვენს შრომაში აღნიშნულია წერ.-კითხ.) ხელნაწერებისას.² სამწუხაროდ, თავის ორ ტომიანს შრომაში—Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинъ, მან მოგვცა აღწერილობა მხოლოდ საერო შინაარსის ხელნაწერებისა და საეკლესიო-სასულიერო ძეგლებს არ შეხებია, რის გამო ეკლესიური მწერლობის ისტორიკოსი იქ თავის მიზნებისათვის საჭირო მასალას ვერ იპოვნის. ამ მხრივ უფრო სასარგებლოა დ. კარიჭაშვილის კატალოგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნთსაკავისა, თუმცა აქ მიღებული სისტემის მეოხებით ხელნაწერთა შინაარსი მთლიანად ამოწურული არაა.

ქართული ძველი მწერლობის შესწავლის ასპარეზზე ბევრი უმუშავნია მ. ჯანაშვილსაც, რომლის შრომები გაფანტულია სხვადასხვა პერიოდულს გამოცემებში და ცალკე სერიებში ნაშრომისა და ქართული მწერლობის სათაურით, აგრეთვე მესამე წიგნში Описание рукописей Тифлисскаго Церковнаго Музея. ჯანაშვილი ჰკით-

¹) ყოფილი საეკლესიო მუზეუმის 1921 წელს საკათოლიკოზო გამგეობამ გადმოსცა ზოსაველად და საპატრონოდ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელმაც ის მოათავსა უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმში; ამ ჩვენს შრომაში ნახვენები სიძვემუხ. ჰულისხმობს ყოფილ საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერებს და მათ გავრძელებას უნივერსიტეტის მიერ შექმნილი ძეგლებით.

²) მისივე თაოსნობით დაარსდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომლის მუზეუმში შეგროვდა საყურადღებო კოლექცია ხელნაწერებისა; სამწუხაროდ, ეს კოლექცია ჯერჯერობით აუწიერელია და ამიჯომ ყველასათვის ხელმისაწვდომი არაა.

ხულობს ძეგლებს, რომელთა შესახებ სწერს, თვითონ ეცნობა მათ, იმათგან მოჰყავს ამონაწერები და, თუ დასკვნა მისი ყოველთვის მისაღები არაა ხოლმე, ეს იმიტომ რომ ავტორის საზოგადო ისტორიულ-ლიტერატურული ერუდიცია თანამედროვე სამეცნიერო მოთხოვნილებას სავსებით ვერ აკმაყოფილებს.

✓ ქართული მწერლობის ისტორიაში მუშაობს დიდი ხანია ზ. კიკინაძეც, რომელსაც გამოუცია არა ერთი და ორი ძეგლი ძველი ჩვენი ლიტერატურისა, თან მას უცდია სისტემატიურადაც მიმოეხილა ეს ლიტერატურა; ამ მხრივ აღსანიშნავია შემდეგი მისი შრომები: „ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში“, „ქართული მწერლობა მეცამეტე საუკუნიდამ მეთექვსმეტე საუკუნემდე“ და „ქართული მწერლობა მეჩვიდმეტე საუკუნეში“. საკმარისია ვთქვათ ამ წიგნაკების შეფასებისას, რომ მათ სეპტიკურად უყურებს თითქოს თვით ავტორიც, როდესაც შენიშნავს: „ამ ცნობების წერა მე მხოლოდ ჩემს ყმაწვილობაში მეკუთვნისო“¹. მართლაცდა მათი ხელში აღება შესაძლებელია მხოლოდ პრინციპიალური წინასწარი უნდობლობით მათდამ; ავტორი მათში გადმოგვცემს პირდაპირ ფანტასტიურ სახელებსა და ფაქტებს, რომელთაც არაერთარი გასამართლებელი საბუთი არ მოეპოვებათ. ძან ხშირად, როგორც ამ შრომის სხვა ადგილასაც იქნება ნაჩვენები, ავტორს, არამც თუ სხვადასხვა ნაწერებში, ერთსა და იმავე წიგნაკში დიამეტრალურად ერთი მეორის საწინააღმდეგო ცნობები მოჰყავს და, რაც უფრო გასაოცარია, არსად ის წყაროებს არ აღნიშნავს, თუ საიდან მოჰყავს ესა თუ ის ისტორიულ-ლიტერატურული ცნობა. სამწუხაროა, რომ ჩვენში არიან ისეთი მკვლევარნიც, რომელნიც სრულიად გულდამშვიდებით სარგებლობენ ამ წიგნაკებით; ასეთ მკვლევართა ჯგუფს ეკუთვნის, სხვათა შორის, განსვენებული ალ. ხახანაშვილი.

უკანასკნელმა რუსულ ენაზე გამოსცა ოთხტომიანი თხზულება *Очерки по истории грузинской словесности*, რომლის პირველი სამი ტომი შეიცავს ცნობებს ეკლესიური მწერლობის ისტორიიდანაც. ამ თხზულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უცხოელთა მიერ ქართული მწერლობის გაცნობისათვის, მაგრამ სწორედ ეს გარემოება შეიქნა სავალალო; საქმე ისაა, რომ ეს თხზულება დაწერილია სრულიად უსისტემოდ, კერძოდ ეკლესიური მწერლობის შესახებ მეტად მოკლე, ცალ-

¹) ქართული მწერლობა მე-XVII ს. გვ. 3.

მხრივსა და თან ყალბ ცნობებს შეიცავს; ის არ არის შედეგი ავტორის პირადი მეცნიერული კვლევა-ძიებისა და სამწერლო ძეგლების უშუალოდ გაცნობისა. ავტორს მიზნად დაუსახავს თავი მოეხარა ამ შრომაში ყველა იმისათვის, რაც კი ვისგანმე დაწერა ჯართულა ლიტერატურის შესახებ, თუმცა ხშირად არც კი აღნიშნავს —ვის ეკუთვნის ესა თუ ის აღგილი ანა თუ იმ საკითხის შესახებ. მაშასადამე, ეს შრომა არის ერთგვარი ისტორიულ-ლიტერატურული კრებული, რომელშიაც უკრიტიკოდ შეტანილია ის ფანტასტიური და ლეგენდარული ცნობები, ნაციონალისტური ტენდენციით გაყდენთილა, რომელთაც დიდი გასავალი ჰქონდათ და ეხლაც აქვთ ჩვენს საზოგადოებაში. სავალალო სწორედ ისაა, რომ ეს ყალბი და ლეგენდარული ცნობები ამ თხზულებიდან გადადის ზოგიერთ უცხოელთა შრომებშიაც. მაგალითისათვის უნდა დავასახელოთ ერთი შრომა «Die georgische Literatur» von Franz Nicolaus Finck. ეს არის ესკიზი, მოთავსებული ისეთს სერიოზულს გერმანულს სამეცნიერო გამოცემაში, რომელსაც ეწოდება Die Kultur der Gegenwart (1, 7, 1096 წ.), Die orientalischen Literaturen-ის განყოფილებაში (გვ. 299-310). პირველად ყოვლისა სამწუხაროა, რომ ამ სერიაში, სადაც სხვა ერთა ლიტერატურას, თუ ტომები არა, ნახევარტომები მაინც აქვს დათმობილი, ქართული მწერლობა მხოლოდ 12 გვერდზეა მიმოხილული; ესეც დამახასიათებელია ქართველოლოგიის მდგომარეობისა სამეცნიერო წრეებში. თავის ესკიზს ავტორი იწყებს ქართველთა ტომების ჩამოთვლით და მათი ურთიერთობის აღნიშვნით, მერე მიმოიხილავს თვით მწერლობის ისტორიას, რომელსაც ის ხუთ პერიოდადა ჰყოფს. პირველი პერიოდი (V-XI ს.), მისი სიტყვით, არის მთლიანად ეკლესიური მწერლობის ხანა, ხოლო სხვა პერიოდები ისე აქვს წარმოდგენილი, თითქოს მათში ეკლესიური მწერლობას ხსენება ქრებოდეს და მხოლოდ საერო არსებობდეს. ამ პირველს პერიოდში, ან ეკლესიური მწერლობის ხანაში, ვერც ერთს ძეგლს, გარდა სინას მთის 864 წლის მრავალთავისა, ვერც ერთს მწერალს, გარდა ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელებისა, ვერც ერთს მიმართულებას, გარდა ბეჩქნულისა, რომელსაც თავდაპირველად ქართველები სომხების საშუალებით ითვისებდნო, ავტორი ვერ ასახელებს ასე რომ ეკლესიური მწერლობის ისტორია ამ შრომაში ამოიწურება მხოლოდ ერთად ერთი შიშველი ფაქტის აღნიშვნით, რომ ქართველებს ასეთი მწერლობა ჰქონიათ და ჰქონიათ თითქოს მარტა მეთერთმეტე სა-

უკუნემდე. ჩვენ არ გამოვუდგებით სხვა პერიოდების დახასიათების აღნიშვნას, შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ეგრეთწოდებულს დაცემის ხანაში (XIII—XVII ს.) ავტორი ასახელებს ისეთ შრომებს, რომელთა მსგავსი ჩვენმა ისტორიამ არა იცის რა, ასეთია, მაგალითად: მე-XIV საუკუნეში საეკლესიო სტატუტები კათოლიკოზი არსენისა და მისივე ისტორია იმერეთის მეფეთა, მე-XV საუკუნეში—აღწერილობა სამცხე-საათაბაგოსი იოანე მანგლელისა, მე-XVI საუკუნეში ისტორია საქართველოს მოოხრებისა, დომენტი კათოლიკოზის მიერ აღწერილიო. პირდაპირ განსაცვიფრებელია, საიდან ამოიღო ეს ცნობები ავტორმა. საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ამგვარი შრომით, რომელიც უმთავრესად აღ. ხანაში იქნა აღწერილი, ზემოდასახელებულ თხზულებებზეა დამყარებული, უცხოელთა მიერ ქართველების გაცნობა ჩვენთვის მაინცა და მაინც ხელსაყრელი არ იქნება.

ნაყოფიერი და წმიდა მეცნიერული ხანა ქართული მწერლობის ისტორიის შესწავლისა დაიწყო ეგრეთწოდებულმა პეტროგრადის სამეცნიერო შკოლამ აკადემიკოსის ნ. მარჩის მეთაურობით და ხელმძღვანელობით. ნ. მარჩმა და მისმა შეგირდებმა, უმთავრესად ფილოლოგიურ-ლინგვისტური მოსაზრებითა და მიზნებით, ხელი მოჰკიდეს თვით პირველწყაროების, ესე იგი ლიტერატურული ძეგლების შესწავლასა და გამოკვლას. ამ მხრივ განსაკუთრებულ ნიქსა და ენერგიას იჩენდა თვით ნ. მარჩი; მან შექმნა უნივერსიტეტსა და სამეცნიერო აკადემიაში მთელი რიგი სერიებისა, როგორც, მაგალითად, 1) Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, 2) Материалы по яфетическому языкознанию, 3) Bibliotheca Armeno-Georgica, 4) Monumenta hagiographica Georgica, რომლებშიაც ათავსებდა და სხვებსაც ათავსებინებდა სხვადასხვა ტექსტებს, დააარსა სპეციალური ორგანო Христианскій Востокъ, რომელშიაც იბეჭდებოდა როგორც ტექსტები, ისე გამოკვლევათა ქართული მწერლობის ისტორიიდან. აკადემიის Известия და აგრეთვე Записки Восточнаго Отдѣленія русскаго Археологическаго Общества გულუხვად სარგებლობდნენ მარჩისა და მისი შეგირდების ქართველოლოგიური შრომით და გამოკვლევებით.

ქართული მწერლობის ისტორიის კვლევა-ძიება ნ. მარჩმა დაამყარა წმიდა მეცნიერულ ნიადაგზე, მან გაუკვლია მას გზა, აღუნუსხა მეთოდები, გაუთვალისწინა მიზნები. თავის ურიცხვსა და უამრავ შრო-

მეზში, როგორც მსხვილ გამოკვლევებში, ისე მოკლე სტატიებსა და შენიშვნებში, მან გაარკვია ზეერი საცილობელი და საკამათო საკითხი, წამოაყენა სრულიად ახალი საკითხები და სულ სხვანაირად გააშუქა უკვე მიღებული და დამყარებული დებულებანი. არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი ქართულ ხელნაწერთა კატალოგიზაციისა და ცნობაში მოყვანის საქმეში: მან იმგზავრა ათონზე და უფრო ვრცლად და მეცნიერულად აწერა იქაური ქართული ხელნაწერები, ვიდრე ეს იყო გაკეთებული მისი წინამორბედების მიერ; 1902 წელს იმგზავრა სინას მთაზე და პალესტინაში, სადაც, პროფ. ივ. ჯავახიშვილთან ერთად, ხელმეორედ აწერა და, შეიძლება ითქვას, ზოგიერთ შემთხვევაში გადმოწერა კიდევაც იქაური ქართული ლიტერატურული ძეგლები¹. უკანასკნელმა, პროფ. ივ. ჯავახიშვილმა, Христианский Востокъ-ის პირველ ტომში სპეციალური შრომაც კი მოათავსა შემდეგი სათაურით: Материалы для истории грузинской патристической литературы (стр. 6-29); მართალია, ეს შრომა არაა ორიგინალური და პირველწყაროების შესწავლაზე დამყარებული, ავტორს აღუწესხავს ქართული ეკლესიური ლიტერატურის ძეგლები სხვადასხვა დარგებისა არსებულ აღწერილობათა და კატალოგების მიხედვით, ამიტომ ის არც სრულია და არც სწორი ყოველთვის, — წყაროთა შეცდომები იმაშიაც გადასულა, მაგრამ მნიშვნელოვანია როგორც პირველი ცდა და მოწოდება ეკლესიური მწერლობის ისტორიის მეცნიერულად და საგანგებოდ შესასწავლად².

რამნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს პეტროგრადის შკოლის ღვაწლი ამ საქმეში, რა იმედებსაც არ უნდა ვამყარებდეთ ამ შკოლის წარმომადგენელ მეცნიერებზე, რომელთა უმეტესმა ნაწილმა თავისი მოღვაწეობა

¹) ეს მონუმენტალური აღწერილობა, სამწუხაროდ, ჯერ გამოცემული არაა და მეცნიერებისათვის ხელმიუწვდომელი რჩება; ჩვენ ვსარგებლობდით ამ აღწერილობით ავტორთა თავზიანი ნებართვით.

²) პეტროგრადის სამეცნიერო შკოლის მუშაობამ დასავლეთი ევროპის მეცნიერთა შორისაც გააღვიძა ინტერესი ქართული ეკლესიური მწერლობის შესწავლისა; სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში იქ დროგამოწეებით იბეჭდება შენიშვნები და მოკლე გამოკვლევანი ამ მწერლობის კერძო, სპეციალურ საკითხების შესახებ, ბიბლიოლოგიის, პაგიოლოგიის, ლიტურჯიკის და სხვა დარგებიდან. ყველაზე უფრო ნაყოფიერად მუშაობს ჯერჯერობით, პაგიოგრაფიის დარგში, ბოლანდისტი P. Peeters-ი, რომელმაც სხვა აღმოსავლურ ენებთან ქართულსაც საკმაოდ იცის. ყველაზე უფრო საზიანოდ ქართველოლოგიის ინტერესებისათვის მუშაობს Th. Kluge, რომელსაც თავისი თავი მოაქვს ქართული ენის მტოდნედ და ნამდვილად კი არ იცის; ეს, სხვათა შორის, შემდეგიდანაც ჩანს. Dr. A. Baumstark-ისთვის მას გადა-

გადმოიტანა ახ. რადშექმნილის ტფილისის უნივერსიტეტში, რა ღირსებისაც არ უნდა იყოს ყველა, ზემოდასახელებულ თუ დაუსახელებელ, მუშაკთა შრომა და მეცადინეობა, ჯერჯერობით ჩვენ არა გვაქვს ქართული ეკლესიური მწერლობის არამც თუ ისტორია, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არამედ ცდაც ამ ისტორიისა. ეს მით უფრო საწყენია, რომ საჭირო მასალა ბლომად მოგვეპოვება: ხელნაწერთა და ლიტერატურულ ძეგლთა რაოდენობით, შენახულობით და ღირებულობით ქართულს ეკლესიურ მწერლობას სხვა ერთა მწერლობა, გარდა ბერძნულისა, ნაკლებად შეედარება.

წინამდებარე შრომა წარმოადგენს პირველს ცდას ასეთი ისტორიისას; მას ჩვენ ვჰყოფთ, შესავლის გარდა, ორს უმთავრეს ნაწილად: პირველს, ასე ვთქვათ, პატროლოგიურს ნაწილში, რომელსაც ბიოგრაფიულ-ბიბლიოგრაფიული ხასიათი აქვს, ვიხილავთ, ქრონოლოგიური წესით, იმ მთარგმნელთა და ორიგინალურ მწერალთა ბიოგრაფიასა და ლიტერატურულ მოღვაწეობას, რომელნიც ცნობილნი არიან აქა თუ იმ წყაროებით, ხოლო მეორეში მიმოხილულია თანდათანობითი განვითარება ეკლესიური მწერლობისა, დარგებისდა მიხედვით, როგორც ეს მიღებულია საზოგადოდ ამგვარ შრომებში; აქ მხედველობაში მიღებულია როგორც ის თხზულებანი, რომელთაც პირველს ნაწილში ვეხებით, აგრეთვე, უფრო ვრცლად და გამოწვლილვით, ისეთებიც, რომელთა გადმომთარგმნელნი ან ავტორნი ცნობილნი არ არიან და რომელთაც ამიტომ პირველს ნაწილში ვერ შევხებოდით. ეკლესიური მწერლობის ისტორიის საზოგადო კურსებში, უმეტეს შემთხვევაში, ჩვენი შრომის მეორე ნაწილის შესატყვისია ხოლმე მართო, პირველს, პატროლოგიურ-ბიოგრაფიულს ნაწილს, იქ არ აქვს ადგილი. მაგრამ საქმე ისაა, რომ რაც საზოგადო მწერლობის კურსებში შეიძლება საჭირო არ იყოს, ქარ-

უთარგმნია გერმანულად ჩვენი გამოცემა იერუსალიმის განჩინება (Oriens Christianus, t. v, 1915 წ.) და იმდენად დაუმახინჯებია, რომ იმავე ორგანოს იმავე ნომერში Dr. C. Graff-ს მთელი ხუთი გვერდი (359-363) მოუწოდებია ამ მთარგმნის Aldenda და Corrigena-სათვის; ყველაზე კუროზულია შემდეგი კორექტურა, რომელიც Kluge-ს წვაქვს ჩვენს გამოცემაში: მას ვერ გაუგია მნიშვნელობა ისეთი ტექნიკური ტერმინისა, როგორცაა განიცადე (ჩვენს ლიტურჯიკულს ლექსიკონში რომ ჩაეხედა, იქ იპოვიდა განმარტებას) და შეუსწორებია ის განიხაზედ (mit Verbesserung des gar keinen Sinn ergebenden „ganicade“ in „ganibase“, S. 362). საერთოდ ჩამდენად კომპეტენტურია Kluge ქართველოლოგიის საკითხებში, ამის შესახებ იხ. პროფ. იოსებ ყიფ შიძის რეცენზია მის „მგზრულ გრამატიკაზე“ (Записки Вост. отд. Русск. Археол. Общества, т. XXII).

თულისაში აუცილებელია: საზოგადო კურსებში ბიოგრაფიული მიმოხილვის შეტანა საჭირო არაა, ვინაიდან მწერალთა ბიოგრაფია და ბიბლიოგრაფია იქ ცალკე მონოგრაფიებსა და შრომებშია წარმოდგენილი მდიდრად, ქართულად კი ასეთი მონოგრაფიები არ არსებობს, ჩვენი მწერლების ბიოგრაფია არამც თუ დამუშავებული არაა მონოგრაფიულად, ჩვენ ბევრი მათგანის ვინაობა სრულიადაც არ ვიცით, ეს კიდევ ცოტაა, — ბედნგერს მკვლევარს ჩვენი მწერლობისას სრულიად ახალის, უცნობის მწერალის აღმოჩენაც შეუძლია ხოლმე, იმდენად დაუმუშავებელია ჯერჯერობით ჩვენი წარსული. ესეც რომ არ იყოს, საზოგადო კურსებაც ვერ იშორებენ თავიდან სრულიად ბიოგრაფიულ ელემენტს; ისინი ან შესავალში უთბობენ ადგილს, მოკლედ რასაკვირველია, ამ ელემენტს ცალკე პარალრაფებით, როგორც, მაგალითად, *Die literarischen Persönlichkeiten*¹, ანა და ცალ-ცალკე დარგების მიმოხილვისას ამა თუ იმ დარგის წარმომადგენელთა ბიოგრაფიაც მოჰყავთ ხოლმე მოკლედ², რაც უფრო ართულებს საქმეს, ვინაიდან ერთი და იგივე მწერალი შეიძლება რამდენიმე სხვადასხვა დარგის წარმომადგენელი იყოს.

ჩვენი შრომა დამყარებულია მთლიანად პირველწყაროების, ესე იგი ძეგლების შესწავლაზე; ვინაიდან ჩვენ ჯერ კიდევ ლიტერატურულ ძეგლთა ძებნისა და შეგროვების პროცესში ვიმყოფებით, ვინაიდან, უნდა მოველოდეთ, კიდევ ბევრი რამ ახალი აღმოჩნდება ჩვენს საზოგადო თუ კვოდო სიძველეთსაცავებში, თავის თავად ცხადია, ამ შრომასაც შესწორება, შევსება და გაღრმავება დასჭირდება შემდგომში, რასაც, იმედი უნდა ვიქონიოთ, თუ ჩვენ ვერა, ჩვენი მომავალი თაობა უფრო ადვილად შესძლებს.

¹) Jordan, Geschichte der altchristlichen Literatur.

²) A. Ehrhard, Theologie, K. Krumbacher-ის Geschichte der byzantinischen Literatur-ში, 2 Aufl.

§ 2. ქართული ლიტერატურული ენა და დასაწყისი ქართული მწერლობისა.

ტერმინი საქართველო არ არის ეთნოგრაფიული, არამედ ნაციონალურ-კულტურული, ის ხმარებაში შემოდის, ყოველ შემთხვევაში, არა უადრეს მეთერთმეტე საუკუნისა; ეს ტერმინი აღნიშნავს უკვე პოლიტიკურად და კულტურულად შედუღებულს, სხვადასხვა ეთნოგრაფიულ, ძმურად მონათესავე ერთეულებს. ერთერთ ფერმენტად ამ შედუღება-გაერთიანების პროცესში უნდა ჩაითვალოს ქართული ლიტერატურული ენა. დღევანდელი საქართველო შესდგებოდა ძველადვე სხვადასხვა ეთნოგრაფიული ერთეულებისაგან, როგორცაა ქართველი, მესხები, იბერები, სონები, resp. სვანები, ქანები და მეგრელები; როგორც ეთნოგრაფიულად, ისე ლინგვისტურადაც, საქართველო ძველისძველად დანაწილებული ყოფილა სხვადასხვა ძმურად მონათესავე ენებად, დიალექტებად და კილო-კავებად. ამ ეთნოგრაფიულმა და ლინგვისტურმა ერთეულებმა ურთიერთის გაელენის წყალობით, თანდათანობითი გაერთიანების პროცესში, საფუძველი ჩაუყარეს საერთო ქართული ენის შექმნას. ამ შექმნის პროცესში ყველა ქართველი ტომები ღებულობდა მონაწილეობას, თვითეულს საკუთარი წვლილი შეჰქონდა ამ საქმეში, საფუძვლად კი საერთო ენას ქართველის დიალექტი დადება. ქართველი შედარებით უფრო ნიჭიერი, ენერგიული და, სხვადასხვა პირობათა გამო, დაწინაურებული ტომი იყო; ამის გამო ის კულტურულად, და მალე პოლიტიკურადაც, გაბატონდა სხვა მონათესავე ტომებზე. ამიტომ სრულიად ბუნებრივად ქართველის დიალექტი შეიქმნა საერთო კულტურულ და სახელმწიფოებრივ ენად, თუმცა, როგორცა ვთქვით, ასეთი ენის შექმნაში მონაწილეობას სხვა ტომებიც ღებულობდნენ. ამით აიხსნება, რომ, მაგალითად, საღმრთო წერილის ტექსტში ჩვენ ვპოულობთ წმიდა ქანურს ანუ მეგრულს და სვანურ სიტყვებსაც.¹ პროცესი საერთო ქართული ენის შექმნისა,

¹) პროფ. ნ. მარჩი ამ გარემოებას ხანის იმით, რომ თავდაპირველი ენა, რომელზედაც ითარგმნა საღმრთო წერილი, არის სონ-მოსხური, resp. სვან-მოსხური; ეს ენა შეიცავდა ელემენტებს, ერთა მხრით ქან-მეგრულია და მისი მონათესავე სვანურისა, მეორე

რომელიც ლიტერატურულ ენად იქცა, უფრო ინტენსიურად ქართუ-ბის მიერ ქრისტიანობის მიღების შემდეგ დაწყებულია; ამ ფაქტის შემდეგ ქართული ცხოვრების ზრდა-განვითარება მიისწრაფის იმისაკენ, რომ ეთნოგრაფიული და ლინგვისტური ტერმინი ქართი, ან უფრო სწორედ, ქართლი, გამხდარიყო ნაციონალურ-კულტურულ ტერმინად და ქცეულიყო საქართველოდ. საერთო ლიტერატურული ენის შექმნამ ეს პროცესი უფრო დააჩქარა. უეჭველია, გაცილებით უფრო ადრე შემუშავდა ის შეხედულება, რომელიც მერე, მეათე საუკუნეში, მკვეთრად გამოთქვა გიორგი მერჩულმა: ქართლად ფრადი ქუეყანაჲ აღიარებების, რომელსაც შინა ქართულითა ენითა უამი შეიწირვის და ღოგაჲ უოველი აღესრულები,¹ ესე იგი—საქართველო არის ის ტერიტორია, რომელზედაც წირვა-ლოცვა, საზოგადოდ—ღვთისმსახურება, ქართულად სრულდებაო, ხოლო საეკლესიო-საღვთისმსახურო ენად ჩვენში ლიტერატურული ენა იყო ყოველთვის.

მეხუთე საუკუნიდან დაწყებული ამ ენაში აუცილებელი ევოლუცია ხდებოდა; თუ V-VI საუკუნეებში მას, როგორც ეხლახან აღმოჩენილი პალიმესტებიდანა ჩანს, განსაკუთრებით ახასიათებს ზმნებში კრეთიქსალური ხმარება ასო ხ-ანისა, არა მარტო თანხმოვანთა, არამედ ხმოვანთა წინაც, შემდეგ, მეშვიდე საუკუნის გასულიდან თუ მერვის დასაწყისიდან, ასეთ დამახასიათებელ თვისებად იმავე შემთხვევებში ხდება ასო ჰ,² ხოლო მეცხრე საუკუნიდან ეს უკანასკნელი იჭერს იმ ადგილს, რა ადგილასაც მას ვხედავთ შემდეგი დროის კლასიკურ ტექსტებში. ასე რომ მეცხრე-მეცხრე საუკუნისათვის ეს ენა უკვე შესამჩნევად განახლებული

მხრით—მესხურისა და მის მიერ მოტანილის პარმენულ, *гeap. ლომხურისასო (Изъ поѣздкѣ въ Сванію, Хрпст. Востокъ, II, 20-24; Грузинская поэма Вптявъ въ барсови ѿ шкурѣ Шоты пѣз Рустава и новая культурно-историческая проблема, Изв. Акад. Наукъ 1917 г. стр. 439-442; Къ датѣ эмиграціи москховъ въ Сванію, ibid., 1916 г. стр. 1639-1691).* ამ ჰაოტეხის კეშმარტება თუ სიყალბე გამოძლევენდება მაშინ, როდესაც წაკითხულ, გამოცემულ და შესწავლილ იქნება ყველა ის პალიმესტები V-VII ს., რომელნიც ეხლახან იქნა აღმოჩენილი. ჯერჯერობით იხ. პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე II, 354-367.

¹) Н. М а р р у, Георгій Мерчულъ—Житіе Григоріа Хандатітскаго, стр. 20.

²) პროფ. ა. შ ი ნ ი ძ ე, უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო, ჰამეტობა-ადიშის სახარებაში, ტფილ. უნივერსიტეტის მოამბე, II გვ. 417-424, პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები, ტფილ. უნივერ. მოამბე, II 365-367

იყო, და ეს ახალი ნორმები ჩვენ გვაქვს IX-X საუკუნეთა ძეგლებში. მეთერთმეტე მეთორმეტე საუკუნეში ამ ენაში ცვლილება გამოიწვია საერო ლიტერატურის განვითარებამ, მეჩვიდმეტე-მეთვრამეტეში მეცნიერებისა და ხელოვნების აღორძინებამ, ხოლო მეცხრამეტე საუკუნეში ევროპიულ კულტურასთან პირისპირ წარდკამამ. აღნიშნულ მოვენტებში განახლებას განიცდის ერთი და იგივე ენა, რომელშიაც ამ განახლებას არავითარი ძირითადი ცვლილება, გარდა ფონეტიკურისა, არ შეუტანია: ფორმები ისევ წინანდელია (მხოლოდ რაც უფრო ძველი, უფრო რთულია), ლექსიკაც იგივეა, მხოლოდ რაც უფრო ძველია, იმდენად ნაკლებად ურევია უცხო ენებიდან ნასესხები სიტყვები. უძველესს განვითარების ხარისხზე ეს საქართო ქართული ენა უაღრესად წმიდაა, დავინც ამ ენას შეისწავლის, ის მკოდნე იქნება საზოგადო ქართული ლიტერატურული ენისა, რა ეპოქისაც უნდა იყოს ის, ვინაიდან შემდეგი ცვლილება მას ესმის იმ ცოცხალი ენის შემწეობით, რომელიც მან უკვე იცის. ისეთი განსხვავება, როგორსაც ჩვენ ვხედავთ ძველსა და ახალ ბერძნულს, სომხურს და სლავურ-რუსულ სალიტერატურო ენათა შორის, ქართულ მწერლობაში არ მოიპოვება. ამ ერთადერთ სალიტერატურო ქართულ ენაზე იწერებოდა, საქაროების მიხედვით, საეკლესიოც და საერო თხზულებანი. ქართველებს არ აქვთ საეკლესიო ლიტერატურული ენა, როგორც, მაგალითად, რუსებს სლავური. მათ აქვთ მხოლოდ ორი საწერი ანბანი, ენა კი ერთი, როგორც, მაგალითად, ასურელებს ძველად სამი სხვადასხვა საწერი ანბანი ჰქონდათ: ესტრანგელო, ნესტორიანული და იაკობიტური, მაგრამ ასურული სალიტერატურო ენა ერთი იყო.¹

ასეთია საერთოდ წარმოშობა, ხასიათი და განვითარება იმ ენისა, რომელზედაც შექმნილა, დამუშავებულა და შენახულა ქართული ლიტერატურა საზოგადოდ, კერძოდ და უმთავრესად ქართული ეკლესიური მწერლობა. ენლა უნდა დაისევას საკითხი: როდის დაიწყო ქართული მწერლობა? ეს საკითხი გადაბმული და დაკავშირებულია მეორესთან, — ქართული ანბანის შემოღება-განვითარებასთან.

ჩვენ ორგვარი ანბანი გვაქვს: ხუცური და მხედრული, რომლითაც დაწერილია ყველა ჩვენი ლიტერატურული ძეგ-

¹) შეად. პროფ. ნ. მარტი, ქართველთა ეროვნება (გადმოთარგმნილი გაზეთი P a z c - a t r x-იდან 1905 წ. № 68, 69 და გამოცემული ქუთაისში 1905 წელს) გვ. 8-10, 22-25; პროფ. ი. ვ. ჯავახიშვილი, ქართველ ერის ისტორია I, 4, ტულაის 1913 წ.

ლები.¹ ხუცური ანბანიც თავის მხრივ ორნაირია: ასომთავრული და ნუსხური, მეორე პირველიდანაა წარმოშობილი და განვითარებული. მეათე საუკუნის გასლვამდე ქართული ძეგლები უპირატესად ასომთავრულით იწერება, მეთერთმეტე საუკუნიდან, როდესაც მხედრულის ჩანასახიც ჩნდება, უკვე ჰბატონობს ნუსხა ხუცური, რომლის ელემენტებს მეცხრე საუკუნის ძეგლებშიაც (სინას მთის მრავალთავი 864 წლისა) ვხვდებით. ჩვენში განმტკიცებულია ის აზრი, თითქოს ხუცური ანბანი შექმნილი იყოს საგანგებოდ ხუცებისათვის, ესე იგი ეკლესიაში სახმარებლად, ეკლესიური მწერლობისათვის, ხოლო მხედრული ანბანი მოგონებულია სამხედრო ან საერო ხასიათის დოკუმენტებისა და მწერლობისათვის. ასეთი შეხედულება სრულებით უსაფუძვლოა; საქმე ისაა, რომ ჩვენმა ძველმა მწერლობამ ამგვარი სახელწოდება არ იცის, ეს ტერმინი შექმნილა და ხმარებაში შემოსულა საქაოლდ გვიან. ის არ შეესაბამება არც ისტორიულ-ლიტერატურულ სინამდვილეს: ვისაც ძველს ქართულ მწერლობასთან საქმე ჰქონია, ვინც ამ მწერლობის ძეგლებს შეჰხვებია და მათთვის თვალი გადაუვლია, იმან იცის, რომ უძველეს დროიდან მოყოლებული, როგორც ხუცურის ბატონობისას, ისე მხედრულის შემოღების შემდეგაც, ხუცურად უწერიათ არა მარტო ხუცური, ესე იგი საეკლესიო ხასიათის დოკუმენტები და წიგნები, არამედ საერონიც, როგორც, მაგალითად, სიგელები, მატიაწეები და წმიდა საეწონაწარმოებნი. აგრეთვე მხედრულის შემოღების შემდეგ ამ ანბანით უწერიათ არა მარტო მხედრული, ესე იგი საერო ხასიათის დოკუმენტები და წიგნები, არამედ საეკლესიო მწერლობის ძეგლებიც, და ასეთი ჩვეულება მეთვრამეტე საუკუნეში უფრო განმტკიცებულია: ანტონ კათალიკოზი თავის თთუნს ან სადღესასწაულოს მხედრული ანბანით აწერინებს. ამნაირად, ტერმინოლოგია ხუცური და მხედრული სწორი არაა და იმ აზრს არ გამოხატავს, რა აზრითაც მას ჰხმარობდნენ. როგორც უნდა იყოს, მეტად საყურადღებოა საკითხი მათი წარმოშობისა და განვითარების შესახებ.

¹) საქართველოში გავრცელებული ყოფილა აგრეთვე საიდუმლო, კრიპტოგრაფიული ანბანი, სხვადასხვა გვარი სიტყვისა; მაგრამ ამ ანბანით მთლიანი ძეგლები, რასაკვირველია, არ იწერებოდა. Н. Марр, Одинъ видъ грузинской криптографіи, Христ. Востокъ III, 205—207; პროფ. აკ. შანიძე, ქართული კრიპტოგრაფიის ახალი ნიმუშები, საქართველოს მუზეუმის ბოამბე, № 1, გვ. 63—68, ტფილისი 1921 წ.

ჩვენს ისტორიულ მწერლობაში დიდი კამათი იყო იმის შესახებ, თუ რომელი ანბანი უფრო ადრინდელია: ხუცური თუ მხედრული. ერთი ჯგუფი მეცნიერთა, ილ. ოქრომქედლიშვილის მეთაურობით, ¹ ამტკიცებდა, რომ მხედრული ანბანი უფრო ძველია, ის შემოდებულია ფარნაოზ მეფის დროს, რომლის შესახებ მემატინაძე ამბობს, რომ მან შექმნა მწიგნობრობა ქართულით; ² ქრისტიანობის მიღების შემდეგ კი შეიქმნა ანა და გადმოკეთდა მხედრულიდან ხუცური ანბანიო. მეორე ჯგუფი მეცნიერთა, დ. ბაქრაძის მეთაურობით, ³ ამტკიცებს, რომ თავდაპირველი ანბანი არის ასომთავრული ხუცური, რომლისაგან, ~~გეოლოგის გზით, ჯერ გამოვიდა ნუხსა ხუცური~~, ხოლო შემდეგ, X—XI ს., მხედრულიო. თავისთავად ცხადია, ასეთი კამათი შესაძლებელი იყო მაშინ, როდესაც ქართული პალეოგრაფია არ არსებობდა, დღეს კი, როდესაც მისი შეუსწავლის საფუძვლები უკვე ჩაყრილია, ყველასათვის უცილობელია, რომ თავდაპირველი ანბანი არის ასომთავრული ხუცური, მისგან განვითარდა ნუხსური, ხოლო უკანასკნელისაგან მხედრული. საკითხი ისმის მხოლოდ იმის შესახებ, — როდის გაჩნდა ასომთავრული ხუცური, ესე იგი, როდის დაიწყო ქართული მწერლობა?

ზოგიერთი მკვლევარის აზრით ასომთავრული ხუცური ქართველებს შეუქმნიათ VII-VI ს. ქრისტეს წინ და IV-III საუკუნეებში მეფე ფარნაოზს ის შეუესია ახალი ასოებით და გაუმჯობესებია: ამ ფარნაოზს გაუვრცელებია წერაკითხვა ქართველთა ყველა ტომებში, უთარგმნია უცხო ენებიდან რამდენიმე წიგნი და ამგვარად საფუძველი ჩაუყრია ქართული მწიგნობრობისათვის; ერთი სიტყვით ფარნაოზს უნდა ეკუთვნოდეს დაწყება მწიგნობრობისა, ამ სიტყვას ფართო ნიშნავლობით, და არა ანბანის შემოღება; ამას უნდა ნიშნავდეს მემატინაძეს სიტყვები ფარნაოზის შესახებ: ამანვე შექმნა მწიგნობრობა ქართულით ⁴

ამნაირად, ქართული მწერლობის დასაწყისს თუ VII—VI ს. ქრის-

1) Объ изобрѣтеніи грузинскаго алфавита, Труды V археологическаго Съѣзда въ Тифлисѣ, стр. 221—229.

2) ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 22.

3) ისტორია საქართველოსი, გვ. 82—85, Грузинская палеография, Труды V археологическаго Съѣзда въ Тифлисѣ, стр. 207—214.

4) ს. გარგაძე, წერილები საქართველოს ისტორიიდან I, 59—75.

ტეს წინ არა, ფარნაოზის დროს (IV—III) მაინც სდებენ ამ შეხედულებების მიმდევარნი. ქართველებს რომ ქრისტიანობის მიღებამდია ცქონდათ მწერლობა, ამის დასამტკიცებლად უჩვენებენ იმ გარემოებას, რომ მირიან მეფისა და მის დროს ქრისტიანობის შემოღების შესახებ ქართლის ცხოვრებაში ისეთი ცნობებია, რომელნიც ეჭვს არ სტოვებენ ამ აზრის. ქეშმარიტებაში; სახელდობრ, როდესაც მირიანმა წმ. ნინოს მოძღვრება მოისმინა, მან მიიწვია ურიაყოფილი აბიათარი და იწყო გამოძიება ქრისტეს სჯულისა ქეჯთა და ახლთა წიგნთაგან. მეფეს ცქონდა წიგნიცა ნებროთისი, რომელშიაც ცნობები იყო ნაკხოვრის შესახებ. მეფე დარწმუნდა, რომ ნინოს მოძღვრებას ქეჯთა წიგნი და ახლთა ეწამებოდას და ხებროთის წიგნიცა დაამტკიცებდა და შეეკმნა სურვილი ქრისტეს სჯულისა. ¹ უფრო კი ხაზს უსვამენ შემდეგ გარემოებას: ნინოს ბიოგრაფიის და თავგადასავალის ჩასაწერად, მისი აღსრულების ჟამს, მახხუნეს საწერელთა სადამე უყარმეღმან და სიუნიელმან შეაჯავრა; და იწყო სიტყუად წმიდამნ ნინო, და იგინი წერდას. ² მოყვანილ ცნობებიდანა ჩანს, თითქოს ქრისტიანობის მიღებისას ჩვენში უკვე გაჩაღებული ყოფილა მწერლობა, რომ ჩვენ მაშინ გვქონია „ქველი და ახალი წიგნები“ და „ნებროთის წიგნიც“. ³

რა გვეთქმის ყველა ამის შესახებ? ცნობა, ვითომც ფარნაოზმა შეეკმნა მწიგნობრობა ქართული, ეკუთვნის მეთერთმეტე საუკუნის ისტორიკოსს ლეონტი მროველს და უძველესი ჩვენი ქრონიკა მოქცევაჲ ქართლისაჲ იმას არ იცნობს. ჩვენ არას ვიტყვით VII-VI საუკუნეთა ქართველობაზე (ქრისტეს დაბადებამდე), ის სურათიც კი საქართველოსი ფარნაოზის დროსა, რომელიც დაუხატავს ლეონტი მროველს, უფრო ფანტაზიის ნაყოფია, ვიდრე ისტორიული სინამდვილისა: ასეთი მთლიანი და გაერთიანებული საქართველო შეუძლებელია IV-III ს. ქრისტეს წინ, როდესაც ქართველ ტომებს, ყოველ შემთხვევაში ყველას, ჯერ არც კი მიეხწიათ იქ აღნიშნულ ტერიტორიაზე. საეკვო და ლეგენდარულია თვით ფარნაოზ მეფის არსებობა და პიროვნება; როგორც უკვე გამოარკვია აკად. ნ. მარტია, ფარნაოზი, resp. ფარნავაზი, განსახიერებაა არმაზისა, ის არის ქართული გამოთქმა არმაზის ეპითეტის ხუარანალაშტემა-

¹) ქარ. ცხოვრება მარიამ დედოფლის ვარიანტი გვ. 86-87.

²) წმ. ნინოს შატბერდული ცხოვრება, ვ. თაყაიშვილი, Описание II, 734-735.

³) მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა I, 1-43.

ისა, რაც ბრწყინვალეს, მოლაპლაპეს აღნიშნავს,¹ და, თუ ფარნაოზი ისტორიული პირია, მისი ეპოქა, ყოველ შემთხვევაში, იმდენად საცილობელია და ბურუსით მოცული, რომ ს. კაკაბაძეს ის გადააქვს ქრისტეს შემდეგ დაახლოვებით პირველსა და მეორე საუკუნეში.² რაც შეეხება ძველსა და ახალ წიგნებს, უნდა შევნიშნოთ, რომ ესეც ლეონტი მროველის ცნობაა, ~~მოქცევაჲ ქართლისაჲ-მ არც~~ ის იცის; კიდევაც რომ მივიღოთ ეს ცნობა, იმიდან მხოლოდ იმას გავიგებთ, რომ ურიაყოფილ აბიათარს ჰქონია ძუელი და ახალი წიგნები, იგულისხმება არა ქართული წიგნები, არამედ ებრაული ძუელი ალექსის ბიბლია, რომელიც აბიათარს, როგორც ებრაელს, უმკვებლად ექნებოდა, და, შეიძლება, ბერძნულს ან სხვა რომელიმე ენაზე დაწერილი ახალი ალექსის წიგნები, — სახაყება. ნებროთის წიგნის გამო უნდა ვთქვათ, რომ ეს ცნობაც ლეონტი მროველს ეკუთვნის, მის დრომდე ასეთი ცნობა არ არსებობდა, თან ლეონტის თქმულებით, ის იყო სპარსთა წიგნი და არა ქართული. რაც შეეხება, დასასრულ, წმ. ნინოს შატბერდულ ცხოვრებას. მისი ცნობების სიყალბე და ლეგენდარობა, კერძოდ ზემომოყვანილი ადგილისა, სადაც ლაპარაკია ნინოს ბიოგრაფიის ჩაწერის შესახებ, — დიდი ხანია გამოარკვია და ნათელყო პროფ. ივ. ჯავახიშვილმა,³ და ჩვენ იმაზე აღარ შევჩერდებით.

ამნაირად, ყოველივე ცდა დამტკიცებულ იქმნეს ქრისტიანობის წინანდროის ქართული მწერლობის არსებობა ჯერჯერობით უშედეგოდ უნდა ჩაითვალოს. ქართველებს რომ არამც თუ გაქრისტიანებამდის, გაქრისტიანების შემდეგაც ერთი საუკუნის განმავლობაში, მეოთხე საუკუნეში, მწერლობა არ ჰქონიათ, და არამც თუ ქართველებს, მათ მეზობელ სომხებსაც, ეს ნათლად ჩანს, სხვათა შორის, იოანე თქროპირის ქადაგებიდან, რომელიც მას წარმოუთქვამს კონსტანტინოპოლში მეოთხე საუკუნის გასულს, 398—399 წელს, როდესაც ახლად მოქცეულმა გუთებმა პავლე მოციქულის ეკლესიაში თავის ენაზე საღმრთო წერილი წაიკითხეს. ამის გამო იოანე ამბობს: „სადღაა მოძღვრება პლატონისა, პითაგორესი და მკვიდრთა ათინისათა? ჩაქრა! სადა არს (მოძღვრება) მეთევზურთა და მეკარვეთა? არა მარტო ურიასტანში, არა-

1) Богъ ивмческой Грузи, стр. 5-6.

2) შემოკლებული ისტორია საქართველოსი, ძველი ისტორია, გვ. 7.

3) ანდრია მოციქულის და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში, მოამბე 1909 წ.

მედ ენასა ზედა უცხოსა, ვითარცა გესმა თქვენ დღეს, ის ბრწყინავს უაღრეს მზისა: სკვითნი, თრაკიელნი, სავრომატნი, მავრნი, ჰინდონი და სხვანი, კიდეთა ქვეყანისათა დამკვიდრებულნი, — ყველანი სიბრძნისმეტყველებენ, სთარგმნეს რა თვისითა ენითა იგივე სიტყვანი¹. მეორე ქადაგებაში ის ამბობს: „პირველითგან იყო სიტყუა“, — სპარსეთში, ჰინდოეთში, მავრიტანიაში, ყველგან ბრწყინავს ეს სიტყვა უზემთაეს მზისა“,² ხოლო სიტყვების „პირველითგან იყო სიტყუა“-ს თარგმანში ის ამბობს: „პირიქით, ასურთა და მეგვიპტელთა, ჰინდოთა და სპარსთა, ეთიოპელთა და სხუათა მრავალთა უგუნურთა იწყეს სიბრძნისმეტყველებად, სთარგმნეს რა საკუთარითა ენითა გარდამოცემული მის მიერ (იოანე ღვთისმეტყველის) მოძღვრებაო“³. როგორც ვხედავთ, ოქროპირს ჩამოუთვლია ყველა გაქრისტიანებული „ბარბაროსები“, რომელთაც საღმრთო წერილი ჰქონდათ თავიანთ ენაზე, და აქ ხსენებაც კი არაა არც ქართველებისა და არც სომხებისა, იმ სომხებისაც კი, რომელთა ნაწილი ბიზანტიის ფარგლებში იყო მოქცეული, სადაც მან დაყო უკანასკნელნი წელნი თვისი ცხოვრებისა და საკმაო რიცხვი მეგობრებისა და პატივისმცემლებისა მოიპოვა.⁴ ყოველ ექვს გარეშეა, ქართველებსა და სომხებს რომ შემოთქე საუკუნის გასულს თავის ენაზე მწერლობა ჰქონოდათ, ოქროპირი მათაც მოიხსენებდა. სპარსელთა და ასურელებთან ერთად. ასე რომ ქრისტიანობის მიღებამდე, უნდა ვიფიქროთ, ქართველებს მწერლობა არ ჰქონიათ და, მაშასადამე, ქართული ანბანიც არ ყოფილა; ამნაირად, ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ასომთავრული ხუცური, რომელიც უნდა ჩაითვალოს ჩვენ უძველეს ანბანად, შემოღებულია, ესე იგი შექმნილი, მხოლოდ ქრისტიანობის დამყარების შემდეგ საქართველოში.

ებლა უნდა ვიკითხოთ: ვინ ან როდის, სახელდობრ, შექმნა ეს ანბანი, შედგენილია ის სხვა ანბანთაგან დამოუკიდებელივ თუ მას საფუძვლად დაედვა რომელიმე ცნობილი ანბანი?

ამ სიკთხს ჩვენი მკვლევარნი სხვადასხვა მხრით უდგებიან და ჰფიქრობენ, რომ ქართველებს თავისი ანბანი შეუქმნიათ არამეულის (ს.

1) რუსული თარგმანი იოანე ოქროპირის თხზულებათა პეტროგრაფის სასულიერო აკადემიისა, ტომი XII, წიგნი 1, გვ. 329, პეტროგრაფი 1906 წ.

2) იქვე, ტ. XII, წიგ. 2, გვ. 913.

3) იქვე, ტომი VIII, წ. 1, გვ. 15.

4) Chrysost. epist. 4 ad Olymp., epist. 35 ad Alph. epist., 67,69.

გორგაძე), ძველი ჰინდურის, ეგრეთწოდებული დავა-ნაგარის, ¹ ანა და ბერძნული ² ანბანის მიხედვით; ზოგიერთები კიდევ, სომეხ ისტორიკოსთა ცნობების მიხედვით, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, ჩვენი ანბანის პროტოტიპად სომხურ ანბანსა სთვლიან. ერთგვარი ცდაც კი არის იმისა, რომ შედარებითი ცხრილებით დამტკიცებულ იქნეს ჩვენებული ანბანის ამა თუ იმ უცხო ანბანთან ნათესაობა; ³ მაგრამ შედარება ამ შემთხვევაში მეთოდოლოგიურად მაუღებელია: შედარება შეიძლებოდა და მისაღებიც იქნებოდა, თუ ჩვენ ხელთ გვექნებოდა იმ მომენტის ქართული და არამეულ-ბერძნული თუ სხვა ანბანი, როდესაც ქართული შემოუღიათ, წინააღმდეგ შემთხვევაში შემდეგი დროის მოხაზულობას, როგორც ნაყოფს ანბანთა დამოუკიდებელივ განვითარებისას, შეუძლია შეცდომაში შეგვიყვანოს. ამით აიხსნება, რომ შედარების პროცესში მკვლევართ სუბიექტური ელემენტი შეაქვთ, ასოებს ხან გადაატრიალებ-გადმოატრიალებენ, ხან კუდს მოაბმენ, ხან ფეხს მოაშორებენ და ყოველივე ღონეს ხმაობენ, რომ დაამსგავსონ იმ ანბანს, რომლისაგანაც ჰსურთ ქართულის წარმოება. ამ გზით, რასაკვირველია, ჩვენ ვერ გავარკვევთ, როდის და რა ანბანიდანაა წარმომდგარი ჩვენი ანბანი. ამ საკითხის გადასაწყვეტად უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ბგერათა და მათი გრაფიკული გამოხატულების, ასოების, თანმიმდევრობას ან დალაგების რიგს ამა თუ იმ ანბანში. ამ მხრივ თუ შევხედავთ საქმეს, ⁴ ქართული ასოების რიგი ანბანში მისდევს ბერძნული ასოების რიგს ისე, როგორც ისინი დალაგებული არიან რიცხვების აღსანიშნავად; თავში ქართველებს მოუქცევიათ ყველა ის ასოები, რომელნიც საერთოა აქვთ მათ ბერძნულთან, ბერძნულის რიგზე, მხოლოდ ასოთა ბერძნული რიცხვობრივი მნიშვნელობის დასაცავად, იმასოთა მაგიერ, რომელთა მიერ გამოხატული ბგერა ქართულში არაა, ქართველებს ჩაუსვამთ ბერძნულში არარსებულ ბგერათა გამომხატველი ასოები, ასეთებია: $\xi = \text{ა}(60)$, $\eta = \text{ე}(90)$, $\psi = \text{ღ}(700)$ და $\omega = \text{ყ}(800)$ ⁴. ამთა გარდა ქართულში კიდევ არის 10

¹) M. Brosset, *Éléments de la langue Géorgienne*, Paris 1837, p. 6-8

²) დ. ბაკრაძე, საქართველოს ისტორია, გვ. 82-85; Грузинская палеография, Труды V археологич. Съезда, стр. 207-214, დ. კარიჭაშვილი, ხუცური ანბანი. გვ. 29--35.

³) ს. გორგაძე. გვ. 71, კარიჭაშვილი გვ. 33-35

⁴) თუბეა ა-ს უნდა უძრბიდეს ქართული ჟ (ჰოე), რომელიც ა-სავით ქართველებს ანბანის ბოლოში მოუქცევიათ.

ბგერა, რომელიც ბერძნულმა არ იცის, მათი გამომხატველი ასოები, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, კ, ჯ, ჰ, ჰ ქართველებს მოუჭეცევიათ ანბანის ბოლოში, ბერძნულის გაგრძელებად, და ათასეულების აღმრიცხველი მნიშვნელობა მიუთვასებიათ. ამ მხრივ ქართული ანბანი იმდენადაა დაახლოვებული და დანათესავებული ბერძნულ ანბანთან, რამდენადაც დაშორებულია სივ ანბანისაგან, კერძოდ არამეულისა და სომხურისაგან - იდენტივობის თვალსაზრისითაც ქართული უფრო ბერძნულს უახლოვდება: იმას არ მოეძებნება არც ერთი ასო, რომელიც უცვლელად მეორდებოდეს არამეულში, სომხურთან შედარებით მას მხოლოდ ერთი ასო აქვს ასეთი, კ, ხოლო ბერძნულთან საერთო მას სამი ასო აქვს ჯ, ფ და ქ. თუ მაინცა და მაინც გარეგან მსგავსებასაც მივაქცევთ ყურადღებას, ქართული ასოების ელემენტები უფრო ბერძნულიდან გადმოღებულად შეიძლება მივიჩნიოთ, ვიდრე არამეულ-სომხურიდან. ¹ ამნაირად, ჩვენ იმ დასკვნაზე მივდივართ, რომ ქართული ანბანის პროტოტიპი არის ბერძნული; ² და მართლაც ანბანის შემოღების ხანაში ბერძნებს, როგორც ქრისტიანობისა და საქრისტიანო მწერლობის პირველწყაროს, მეტა კულტურული, მისაბაძი ღირებულება ექნებოდა ქართველებისათვის, ვიდრე სხვა ერებს, კერძოდ სომხებს, რომლებმაც, სხვა არა იყოს რა, დაახლოვებით ქართველებთან ერთად ჩამოაყალიბეს საბოლოოდ თავისი ანბანი და უნდა ვიფიქროთ, რამდენადმე ბერძნული ანბანისავე ზეგავლენით.

როდის იქმნა შემოღებული ან შედგენილი ქართული ანბანი? ამის შესახებ მსჯულობებს ცნობებს გვაწვდიან ჩვენ სომხის ისტორიკოსები, ქორიუნე და მოსე ხორენელი, ³ თუმცა შთა ცნობებს ზოგიერთი მკვლევარი სულ სხვა მიზნისათვის იყენებს; ამ ცნობებით ქართული ანბანის შემოღება დაკავშირებულია სომხური ანბანის შემომღების მესროპის სახელთან და ეპიქსთან. ქორიუნე მესროპის ბიოგრაფიაში

¹) იხ. დ. კარიკაშვილის შედარებითი ცხრილი. ქართულ-ბერძნულ ანბანთა ნათესაობის დამახასიათებლად მნიშვნელობა აქვს პროფ. ვ. ბოლოტოვის ჰიპოთეზას, რომლითაც ქართული ასომთავრული ჯ უნდა წარმოადგენდეს ბერძნული სიტყვის ΣΤΑΡΟΣ (ჯუარი) აბრევიატურას, მსგავსად კობურისა, Χριστιανικον Ψενιε 1893 г. Аиризм, стр. 266 *Исследования Академии*.

²) შეიძლება ამით აიხსნებოდეს ის გარემოებაც, რომ საწერი იარაღს სახელი ქართველებს უცვლელად გადმოუტანიათ ბერძნულიდან: კალამი (καλαμ), მელანი (μελαν).

³) შესაძლოა, ეს ცნობები პირადად ქორიუნესა და მოსე ხორენელს ეკუთვნოდეს და მანამდის ისინი არ მოიპოვებოდეს სომხურ მწერლობაში, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ამათზე უძველესი ცნობა სხვა ჯერჯერობით ჩვენ არა გვაქვს.

გადმოგვეცემს დაახლოებით შემდეგს: „მესროპი, სომხური ანბანის გამოგონების შემდეგ. გაეგზავრა იბერიაში, წარუდგა ამ ქვეყნის მეფეს ბაკურს და ეპისკოპოზს მოსეს და მათი თანხმობით ქართველებს შეუქმნა ანბანი. ამის შეკვლეგ მეფემ უბრძანა ერთს, ქართული ენის მცოდნე, კაცს ჯალ-ს, შეეკრიბა ბავშვები სხვადასხვა კუთხეებიდან, სადაც სხვადასხვა კილოკაეს ლაპარაკობდენ, და ესწავებია მათთვის ერთი ენა, რომლითაც ქართველებმა იწყეს ღვთის ღიღება.¹ მოსე ხორენელი, თავისი ისტორიის მესამე წიგნის 54 და 60 თავში, ასე გადმოგვეცემს ამ ამბავს: „არკადი კეისრის სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი შვილი თეოდოსი მცირე, რომელმაც კეთილი განწყობილება დაამყარა სომხეთისა და სპარსეთის მეფეებთან; ამ დროს დაბრუნდა მესროპი მის მიერ მოგონილი ანბანით და დაიწყო ბავშვების წვრთნა..... მეგრე ის წარემართა იბერთა ქვეყანას, რომელთაც, ღვთის მადლით და ბერძნულისა და სომხურისაგან მთარგმნელის ჯალის დახმარებით, მოუწყო ანბანი; ამ საქმეში მათ შეელოდნენ მეფე ბაკური და ეპისკოპოზი მოსე. იბერიიდან მესროპი გაეგზავრება ალბანეთს, სადაც იგონებს ანბანს გარგარაცთათვის, და ბრუნდება სამშობლოში. გავიდა რაჰდენიმე ხანი, მესროპი მიდის ბიზანტიაში, იქიდან დაბრუნების შემდეგ ცხოვრობს უდაბნოში, მერე მიმოივლის ზეო სომხეთის პროვინციებს და გადადის სამისიონერო მიზნით გარდაბანში. აქედან გუგარაკის ბღეშხის არშუშას თხოვნით მიდის ტაშირს, სადაც მან განსწავლა და გაწვრთნა ბავშვები; ამ დროს აქ დაემთხვია იბერიის მეფე არჩილიო“. მართალია, სომხის ისტორიკოსები ცოტა არ იყოს აზვიადებენ მესროპის როლს ქართული ანბანის შემოღებაში, მათი გადმოცემით ინიციატივა ამ საქმეში თითქოს მესროპს ეკუთვნის, მაგრამ მისი მონაწილეობა ექვს გარეშეა. 412 წელს მესროპის ხელმძღვანელობით საბოლოოდ ჩამოყალიბდა სომხური ანბანი,² რამაც მათი მწიგნობრობა და კულტურული წარმატება მტკიცე გზაზე დააყენა. უეჭველია, ეს მოვლენა მეზობელ ქართველებს, რომელთა შორის ქრისტიანობას მთელი საუკუნის ისტორია ჰქონდა ამ დროს, შეუძინეველი არ დარჩებოდათ და ის იმათშიაც გამოიწვევედა შესაფერსურვილს. როგორცა ჩანს სომხის ისტორიკოსების ცნობებიდან, ამის

¹) L a n g l o i s, Collect. des histor. Paris 1869, II, 12; И. О к р о м ч е д л о в ъ, Обрѣзѣтвеніи грузин. азбуки, Труды V археол. Съѣзда, стр. 221.

²) გაღუტ ტარ-მკრტიჩიანი, გახეთი ორიზონი, 1913 წ. №№ 121-122.

ვაჟო ქართველთა შორის, მეფისა და ეკლესიის მეთაურის ინიციატივით, შემდგარა ერთგვარი კომისია, რომელშიაც შედიოდა, სხვათა შორის, ვილაც ბერძნულისა და სომხური ენის მცოდნე ჯაღი. ამ კომისიაში, თუ შეიძლება ვთქვათ, ინსტრუქტორად მოუწვევიათ მეზობელ სომხეთიდან მესროპი, რომელსაც ქართველები იცნობდნენ, როგორც ანბანის შედგენაში დახელოვნებულ კაცს. ამნაირად, მესროპი ამ კომისიაში თამაშობდა მრჩევლის და არა ინიციატორის როლს; მაშასადამე, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ქართული ანბანი შექმნა, მოიგონათუ მოაწყო მხოლოდ და მხოლოდ მესროპმა და ისიც სომხური ანბანის მიხედვით, როგორც ზოგიერთნი ჰფიქრობენ. სომხური ანბანის პროტოტიპობაზე სომეხ ისტორიკოსებიც არას ამობენ, ისინი მხოლოდ აღნიშნავენ მესროპის ინიციატიურ მონაწილეობას ამ საქმეში; პროტოტიპად, როგორც დაინახეთ, კომისიას ჰქონია ბერძნული ანბანი, რომლის რაღაც ზეგავლენა მესროპსაც განუცდია სომხური ანბანის ჩამოყალიბებისას; მაგრამ ამასთანვე, უეჭველია, კომისიას, რომელშიაც მესროპის გარდა სომხური ენის მცოდნე ჯაღიც შედიოდა, წინ ექნებოდა სომხური ანბანიც საჭირო შემთხვევაში სახელმძღვანელოდ. შეიძლება ამით აიხსნებოდეს ის მოჩვენებითი მსგავსება (აკადემიკ. მ. ბროსეს სიტყვით), რომელსაც ჰხედვენ ქართულსა და სომხურ ანბანთა შორის.

სომეხ ისტორიკოსთა თქმით, ქართული ანბანის გამოგონებას აღგილი ჰქონია თეოდოსი მცირის გამეფებისას და სომხური ანბანის შექმნის, ესე იგი 408—412 წლების, შემდეგ, — მეხუთე საუკუნის დამდეგს. მესროპს დახმარებას უწევს ბაკური, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ ის გუგარაკის პიტიახშის არშუშას თხოვნით მიდის ტაშირს, სადაც ამ დროს დამთავრდა მეფე არჩილი. მართალია, მეხუთე საუკუნის პირველი ნახევრის მეფეთა ქრონოლოგია და სია, საბოლოოდ გარკვეული, ჯერ არა გვაქვს, მაგრამ დანამდვილებით ვიცით, რომ ამ დროს მეფე ბაკური მართლა იყო, სულერთია — ვიგულისხმებთ აქ ვარაზ-ბაკურს თუ ბაკურ მესაქეს, იყო აგრეთვე არჩილ მეფეც, ბაკურის ძმა, რომელიც მეფობდა დაახლოებით 429—437 წლებში.¹ რაც შეეხება გუგარაკის ან საკუთრივ ქართლის პატიახშს, სომხური ტერმინოლოგიით

¹) პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველ ერის ისტორია I, 181 ს. გორგაძე წყვილები ს: ქართველთა ისტორიიდან II, 57—59.

ბდემშს არ შუშას, ისიც სწორედ ამ დროს არის ცნობილი; ეს ალბად ის არ შუშაა, რომელიც სპარსეთის მეფე ივზდიგერდ მეორემ, ტახტზე ასლებისას, მაშასადამე 438 წელს, სომხეთისა და ალბანელთა დიდგვარიან კაცებთან ერთად სპარსეთში დააბარა და სარწმუნოების გამოცვლა მოსთხოვა. ¹ ამ ქრონოლოგიას არ ეწინააღმდეგება მესროპისა და საპაკ პატრიარქის ქრონოლოგია.

ამნიდან, ქართული ანბანის გამოგონება ჩვენ უნდა დავდვათ მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში, არა უადრეს 412 წლისა, როდესაც სომხური ანბანი იქნა შემოღებული, და ათა უგვიანეს 429 წლისა, როდესაც არჩილი მეფე ჩანს იბერიის ტახტზე; მაშასადამე, ამ დროიდან უნდა დავიწყოთ ჩვენ ქართული მწერლობის ისტორია.

მართლაც, ჩვენ გვაქვს უტყუარი საბუთი იმასა, რომ მეხუთე საუკუნეში მწერლობა უკვე გვქონდა; ² ეს არის იაკობ ხუცის ნაწარმოები წამება წმიდისა შუშანიკისა, მეხუთე საუკუნის საპოცდათიან წლებში დაწერილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ, როდესაც შუშანიკი წაიყვანეს პიტიახშ ვასქენთან, მან თანა წარიტანს ევანგელს თვისი და წმიდაი იგა წიგნა მაწამეოანი და ციხეში ყოფნისას ის მოუწიებდად ჰქითხულობდა წიგნებს. ³ მაშასადამე, ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ საქმეს, ნდობის ღირსად უნდა ჩაითვალოს მემატინეს სიტყვებიც, ვითომც ვახტანგ გორგასლანის დედას, საგდუხტს, ქმარმან მისმან მოკურანს კარნი სჯულის მეჩიერნი და უთარგმნეს სახარება უფლისა ჩვენასა იესო ქრისტესა, ⁴ აგრეთვე ცნობაც იმის შესახებ, რომ ვახტანგ გორგასლანმა შეამკო ერთი სახარება, რომელიც მერე, შეექვსე საუკუნეში, ფარსმან მეფემ შესწირა შიომღვიმესო ⁵

¹) ივ. ჯავახიშვილი, ქართველ ერის ისტორია I, 185—186.

²) ამ ნემოხვევაში არ გვინდა დავიწმომოთ პეტრე მაიუმელის ცხოვრება, სადაც ნათქვამია, ვითომც მან კონსტანტინოპოლში წაყვანამდე, ესე იგი 425 წლამდე „დაისწავა ყოველივე სწავლა და გულისხმის ყოფით აღმოკითხვენ წმიდათა წერილთა“ (ნ. მარჩის გაზოცება, გვ. 5); აქ ჩვენ გვაქვს უბრალო ჰაგიოგრაფიული შაბლონი, რომელიც იმასაც კი გვომტკიცებს, რომ პეტრემ საღირთო წერილის სწავლას აელი მიჰყო „ვითარ იქნა იგი სამისა წლისაო“. არ ვნოწმებთ არც იმ სიეკვო ნუმონმატიკურ ფაქტს, ვითომც სასანიანთ დროის ერთ-ერთ ფილზე წარწერილი იყოს ასომთავრულად ვახტანგ გორგასლანის სახელი (დ. ბაქრაძე, საქართველოს ისტორია, გვ. 197)

³) ს. გორგასლის გამოცემა, გვ. 7, 14.

⁴) ე. თაყაიშვილი, ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 120.

⁵) Brosset, Histoire de le Géorgie I, 147.

მეექვსე საუკუნის ნახევრიდან ჩვენ გვაქვს ესტატე მცხეთელის მარტილობა, ხოლო მისი დასასრულიდან ცნობა სტეფანოზ პირველის შესახებ. როდესაც სტეფანოზს, შიომღვიმისათვის მამულების ჩამორთმევის გამო, მძიმე სენი ეწია, მან მოინდომა ცოდვის მონანიება და ამისთვის მოჴწოდა მწიგნობარსა თვისსა და უბრძანა მას, რათა დასწერნეს ორნი დაბანი, დაბათგან სამეფოთა ურჩეულესნი; შერმე აღიღო კელითა თვისთა ქარტა იგი და დადგა საფლავსა ზედა წმიდისა მათსა... და დაამტკიცა შერმე კელითა წერილი იგი კელითა თვისითა და წარსცა უფიქსსა შანა ქუყანასა ქართლისსა. ¹ როგორც ვხედავთ, მეექვსე საუკუნის გასულს ჩვენში იწერებოდა სიგელები და სხვა დოკუმენტები, რისთვისაც საგანგებო თანამდებობაც კი ყოფილა მწიგნობრისა. ² მეხუთე-მეექვსე საუკუნეში ქართული მწერლობის არსებობის დასამტკიცებლად უფრო მნიშვნელოვანია უცხოელთა მოწმობა, რომელიც გვაჩვენებს, რომ ქართველთა მწიგნობრობა ამ დროს არ იყო შინაური, ოჯახური მოვლენა და ფაქტიურად მას იცნობდნენ სხვებიც, მახლობელი თუ დაშორებული, ერებიც. ამ შემთხვევაში პირველად ყოვლისა უნდა დავასახელოთ მეხუთე საუკუნის გასულის ცნობა, რომელიც დაცულია ასურულს თხზულებაში „წიგნი ერთა და ქუყანათათჳს.“ ამ თხზულებაში ვკითხულობთ: „სემის, ქამის და იაფეტისაგან წარმოიშვა 73 ერი, ტომი და ენა; მათ შორის არიან ისეთებიც, რომელთაც იციან წერა-კითხვა; 15 ერია ასეთი, სხვები კი არ განიჩქევინ ველურებისაგან და დამრწიან როგორც უგუნური პირუტყენი.“ ამას ავტორი დასძენს: „წიგნის მცოდნენი არიან ასურელნი, ებრაელნი, ბაბილოვნი, სპარსნი, ელამიტელნი, მეგვიპტელნი, კუშიტები, ჰინდონი, ფინიკიელნი, იონელნი, ამორელნი, ალანნი, რომაელნი, სომეხნი, ტაონი, ქართველნი.“ ³)

მექვე საუკუნის პირველ წლებიდან ჩვენ გვაქვს სომხური ცნობა,

¹) ბასილი კათოლიკოსი, საქართველოს სამოთხე, გვ. 259.

²) მეხუთე-მექვსე საუკუნეთა ქართული მწერლობის ცხადილი, უტყუარი და ექვმიუტანელი ძეგლები გვაქვს ჩვენ: ცხლახან აღმჩ ჩეხილს პალიმსესტებში, რომელნიც შეცავენ ბიბლიურ ტექსტს, მაგრამ იმათ ჩვენ განგებ არ ვიმოწებთ ამ შემთხვევაში, ვინაიდან, შეიძლება, ვინმემ ეპი შეიტანოს ასეთ დათარიღებაში; მაგალითად არის ისეთი აზრი, ვითომც ოქსფორდის პალმესტი მერვე საუკუნის იყოს (H. Marry, Къ наученію современнаго грузинскаго языка, стр. 15, прим. 1, Петерб. 1922 г.)

³) Scriptorum Syri t. III, s. IV. Chronica minora, p. 3, 352, 354, 357. H. Marry, Грузинскія письмени греческаго Евангелія въ Кориди, И в. А к а д. На у к ъ 1911 г. стр. 216; მისივე Историческій очеркъ грузинской церкви съ древнѣйшихъ временъ, Цервовиыя Вѣдомости, 1907 г. №3, прилож. стр. 116.

რომელიც შენახულა ეგრედწოდებულ ეპისტოლეთა წიგნში; აქ ჩვენ ვტყობილობთ, რომ სპარსეთის მეფის კავადის დროს 505-506 წელს, ქართველებსა და სომხებს მოუხდენიათსაეკლესიო კრება, რომელსაც დასწრებია ქართლის კათოლიკოზი გაბრიელი. აქტები ამ კრებისა (რომელსაც ამდებან სთელიდენ 491 წლის ვაგარშაპატის კრებად), ქალკიდონის კრების დადგენილებათა უარისყოფელნი, დაწერილი ყოფილა ქართულ ენაზედაც.¹ ყველაზე საყურადღებო მოწმობა შეექმნე საუკუნის პირველი მეოთხელიდან ჩვენ გვაქვს ბერძნულ მწერლობაში, ასეთია საბა განწმედილის „ანდერძი“, რომელიც მან დაუტოვა სიკვიდილის წინ (532 წ.) თავის მოწაფეს და წინამძღვრობაში მემკვიდრეს მელიტეს. საბა იყო დამაარსებელი პალესტინაში უდიდესი ლავრისა, რომელშიაც თითქმის ყველა ქრისტიანე ერის წარმომადგენელი მოღვაწეობდენ; უპეტეს ნაწილს ბერძნები შეადგენდენ, მაგრამ მათთან ერთად, სხვათა შორის, ყოფილან აქ, როგორც მისი ბიოგრაფიიდანა ჩანს, ასურელნი, სომეხნი და ქართველნი. ჩანს, მათ შორის ეროვნული ქიშპობა ყოფილა და ამით აიხსნება შემდეგი მუხლი ამ ანდერძისა:

Μη ἔχειν δὲ ἕξουσίαν μήτε τὸς Ἰβηρας, μήτε τὸς Σύρους λαιτουργίαν τελείαν ποιεῖν ἐν ταῖς ἐκκλησίαις αὐτῶν, ἀλλὰ συναρχιεπισκόπουσ ἐκείνων ψάλλειν τὰς ᾠχάς καὶ τὰ τυτὰ, ἀναγνώσκειν δὲ τὸν Ἀπόστολον καὶ τὸ Ἡσαγγέλιον τῆ ἰδίᾳ διαλέκτῳ, καὶ μετὰ ταῦτα εἰσερχεσθαι εἰς τὴν μεγάλην ἐκκλησίαν καὶ μεταλαμβάνειν μετὰ πάσης τῆς ἀδελφότητος τῶν θείων καὶ ἀρχράντων καὶ ἱεροποιῶν μυστηρίων².

არც ივერიელებსა და არც ასურელებს უფლება არ უნდა ჰქონდეთ თავიანთ ეკლესიებში ეამის წირვა შესახულონ; მათ, ამ ეკლესიებში შეკრებილთ, ნება ეძლევათ წართქვან ეამნი და სამზრისაჲ, წარკითხონ სამოციქულო და სახარება თავიანთ დედაენაზე, ხოლო ამის შემდეგ ისინი უნდა შეიკრიბნენ კათოლიკე ეკლესიაში და ყველა ძმებთან ერთად ეზიარნენ საღმრთოთა, უხრწნელთა და ცხოველყოფელთა საიდუმლოთა.

¹) Н. Марр, Историческій очеркъ груз. церкви, Церков. Вѣдом. 1907 г. № 3 прилож. стр. 116. И. Джануховъ, Исторія церковнаго разрыва между Грузіею и Арменіею въ началѣ VII в. Известія Акад. Наукъ, 1908 г. стр. 413-444.

²) Проф. А. Дмитриевскій, Описание литургическихъ рукописей, хранящихся въ библиотекахъ православнаго востока, т. I, стр. 222-223

აქედანა ჩანს, რომ ქართველებს მეექვსე საუკუნის დასაწყისს უკვე ჰქონიათ თავიანთ დედანაზე სახარება, სამოციქულო, ეამნი სამხრისა, 1, 3, 6 და 9; ცხადია, ყოველივე ეს მეექვსე საუკუნის დასაწყისს ვერ გაჩნდებოდა, არამედ მეხუთე საუკუნიდან მუშავდებოდა.

მეექვსე საუკუნის გასულს, როგორც „ეპისტოლეთა წიგნიდანა“ ჩანს, ქართლში გაჩაღებული ყოფილა წირვა ლოცვა და ღვთისმსახურება ქართულ ენაზე, ქართლის კათოლიკოსს კირიონს მიწერმოწერა ჰქონია არა მარტო სომხის, არამედ იერუსალიმის და რომის პატრიარქებთან. ¹⁾ ასე რომ, რაც დრო გადიოდა, ქართული მწერლობა უფრო და უფრო მაგრდებოდა და იკიდებდა ფეხს, იმას სხვა ქრისტიანებიც ეცნობოდნენ და აღიარებდნენ. მეცხრე საუკუნიდან ჩვენ გვაქვს ერთი ისეთი ცნობა, რომელიც ცხად ჰყოფს, რომ ამ მწერლობას შესახებ შორს დასავლეთშიაც კი სცოდნიათ ცოტა რამ. სლოვენთა განმანათლებელის კონსტანტინეს (resp. კირილეს) ცხოვრებაში მოთხრობილია შემდეგი: როდესაც ის ვენეციაში იყო, რომში მგზავრობისას, შეიკრიბნენ მასთან ეპისკოპოზები, მღვდლები, ბერები და ჰკითხავდნენ მას: რანება გაქვს შენ სლავებს მწერლობა შეუქნა, როდესაც ღვთისმსახურება შეიძლება მხოლოდ სამს ენაზე: ებრაულზე, ბერძნულზე და ლათინურზეო? კონსტანტინემ უპასუხა: *мы же народъ много знаемъ, книги оумѣюще и богу славою въздающе къждо своимъ езыкомъ: явѣ же соуть си: армены, перси, а в азгы, и вери, соугды, готѣи, обри, турьсы, козари, аравляне, египты и ины мнози;* ²⁾ ესე იგი: ჩვენ ბევრი ვიცით ერთი, რომელიც წიგნი იციათ და ღვთისადმი დადებას დავლენენ თავის საკუთარ ენით, ასეთებია: სომხები, სპარსნი, აბაზგები, იბერები, ზუგდები, გუთები, ობრები, თურქები, ხაზარები, არაბები, მეგვიპტელნი და სხვანი მრავალნიო ³⁾ შეიძლება, ამ მოწმობაში ჩვენ

¹⁾ მეექვსე საუკუნეში, ქართული ენის სიტყვით, მწერლობა თითქოს დახეხესაჲ ჰქონდათ; მათი დესპანების სიტყვით დახეხეს შინაბული ჰქონიათ ზავის წიგნები და ხელმწიკრულობა-პირობათა წერილები, რომლებითაც ისინი ოდესმე სპარსელებს შეჰკვირიათ (ი. ვ. აგანის შვილი, ქართულ ენის ისტორია 1, 221). არ მგონია, რომ აქ იგულისხმებოდეს ლაზების საკუთარი მწერლობა, საკუთარი ლაზური თუ ბერძნული, ან ქართული ანბანით; უძველესია აქ იგულისხმება ბერძნულსა და სპარსულ ენაზე დაწერილი ზავის პირობები და ხელმწიკრულებანი, რომელთაც ლაზებისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა.

²⁾ Zivot sv. Konstantina roceného Cyrilla, P. S. Safarik, vpraze 1868, str. 21. строка 10-13.

³⁾ ასეთივე აზრი გატარებულია მე-16 საუკ. ერთს სლავურ კრებულში:

„Се вѣдите, яко на свѣтѣ семь суть языкъ всѣхъ 72, половина правовѣрныхъ

გვექონდეს გამოძახილი პტოლომეოსის გეოგრაფიის ასურული რედაქციისა, მაგრამ საყურადღებოა, რომ იბერთა და აბაზგთა (ალბათ იგულისხმება ერთი და იგივე ქართული მწერლობა) ლიტერატურა შორეულ სლავებისათვისაც უეჭველი ფაქტი ყოფილა ამ დროს. ²



есть языкъ на свѣтѣ: болгари, греци, сурьяне, и верни, руси; въ тѣхъ суть три книги правобѣрныхъ: грецкии и болгарскии и иверскии (Н. Тихонравовъ, Памятники отреченной русской литературы II. 146). ზერე ჩაზოუელილია სამოცაქულთო საყდრებო: „мѣсто святаго апостола Петра престолъ фряжскии, мѣсто святаго Апостола Павла престолъ армянскии, мѣсто святаго апостола Томы престолъ Иверскии (стр. 147) სამხრეთ სლავურ მწერლობაში ქართველთა შეახებ კიდევ არის ცნობებები; მე-15 საუკ. სერბიულს ხელნაწერში: „Се вѣдите братье на свѣту суть трие царіе, якоже естъ на небѣхъ святая троица: царствъ греческое, царство болгарское, царство иверское. Въ греческомъ отецъ, въ Иверскомъ сынъ, въ болгарскомъ святыи духъ (стр. 140). მე-15 საუკუნის ბულგარული ხელნაწერით. სიბილა აჩვენებს 9 ნათესავს: первый родъ славене, второй Ивери, третий еллини, рекше греци (А. Веселовскій, Опыты по исторіи развитія христіанской легенды, Жур. Мин. Нар. Просв. 1875 г. Апрель. стр. 293.)

¹) ეს თავი (რაც წინა ფორმაზეა) უკვე დაბეჭდილი იყო, როგორც ბ. ს. კაკაბაძემ, 1923 წლის 20 ივლისს, საისტორიო-სა-ანოგო. საზოგადოებაში წაიკითხა მოხსენება, რომელშიაც ის შეეცადა ს. ნინოწმინდის ეკლესიას კედელზე ამოჭრილ რაღაც უცნობ და გაფრკვეულ სტრაქანებში ამოკითხა ძეგლზე საუკუნეთა ოროცანი წლების ქართული წარწერა (ქართულ-ფალაური ასოებით) შემდეგი შინაარსისა: დმერთო შეეწიე იოანე იაკობი მთავარეპისკოპოს. მაგრამ ეს ცდა დარჩა უბრალო ცდად, მოზახუნებლის საფუძვლზე საეცილისტები ვერ დააჯერა, რომ აღნიშნულ სტრაქანებში გვაქვს მართლაც 1: ქართული წარწერა, 2) მეოთხე საუკუნისა და 3) მოყვანილი შინაარსისა.

§ 3. პერიოდები ძველი ქართული მწერლობის ისტორიისა.

თუ მხედველობაში გვექნება ის პირობები, რომლებშიაც ვითარდებოდა ძველი ქართული მწერლობა, და ამასთანავე მის ხასიათსა და მიმართულებას ვაფიქსაციონებთ, ამ მწერლობის ისტორია ხუთ პერიოდად უნდა გავყოთ.

პირველი პერიოდი.

პირველი პერიოდი ძველი ქართული მწერლობის ისტორიისა გრძელდება დღიდან მწერლობის შემოღებისა მერვე საუკუნის ნახევრამდე; ეს არის დასაწყისი ხანა ჩვენი მწერლობისა, როდესაც ის ფეხს იდგამს, მტკიცდება და ერთ მთლიან რამედ ჩამოყალიბდება; ეს არის ხანმეტო ხანა ქართული ლიტერატურული ენისა და მწერლობისა, რომელიც ჯერჯერობით თვით ქართლში ვითარდებოდა. ჩვენი ეკლესია აღნიშნულ ეპოქაში შემოიფარგლებოდა იმ ტერიტორიით, რომელსაც ქართლი ეწოდებოდა, ამიტომ ეკლესიაც სამართლიანად ცნობილია ქართლის ეკლესიად. ის არის ერთერთი შტო აღმოსავლეთის ქრისტიანობისა, ის იზრდებოდა და ვითარდებოდა იმ სფეროში, რომელსაც ასაზრდოებდა პალესტინა და სირო-სპარსულ-სომხური საეკლესიო ტრადიციები. ესევე უნდა ითქვას საკუთრივ ეკლესიური მწერლობის შესახებაც, რის გამო აღნიშნული პერიოდის მწერლობისათვის ჩვენ შეგვეძლო აღმოსავლური პერიოდის მწერლობა გვეწოდებია. მაგრამ საქმე ისაა, რომ აღმოსავლური გავლენა ჩვენს სასულიერო ცხოვრებასა და მწერლობაში შემდეგაც გრძელდება, თითქმის მათე საუკუნის გასლვამდე, და თან ეს გავლენა ჩვენში შემოდის და მყარდება არა უშუალოდ, არამედ უმთავრესად *via armeniaca*; სომხების საშუალებით. ამიტომ ამ პერიოდის მწერლობას უფრო შეშვენის სომხური გავლენის სახელწოდება, რაც საქმის ვითარებასაც უფრო შეესაბამება. ჩვენ ვიცით, რომ ქართლში სირო-პალესტინური, აღმოსავლური ქრისტიანობა შემოვიდა და გავრცელდა სომეხ მისიონერთა მონაწილეობით, აქ ჩამოყალიბდა ეკლესია ისეთივე ტიპისა, როგორც მეზობელ სომხეთში იყო; იერარქიულად ეს ეკლესია თავდაპირველად შეკავშირე-

ბული იყო სომხურ ეკლესიასთან, ის წარმოადგენდა ერთერთ მის შემადგენელ ნაწილსაგანს, რომელშიაც ერთი და იგივე საეკლესიო წესები, ხნეჩვეულება და ტრადიციები იყო გამეფებული. თვით ქართული ანბანი, როგორც დავინახეთ, ჩამოყალიბებულა და დამთავრებულა სომეხ მწიგნობართა მონაწილეობით, მაშასადამე მწერლობას, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, საფუძველი დადებია ჩვენში სომეხთა მეზობლობით და ზეგავლენით. აღმოცენებული სომხეთის საეკლესიო ცხოვრებასთან ერთად და თითქმის მის წიაღში, ქართული საეკლესიო-საღვთისმეტყველო აზროვნება პირველ ხანებში განიცდის სპარსეთიდან მომავალ ნესტორიანულ იდეოლოგიის ზეგავლენას, მერე სომხეთის ეკლესიასთან ერთად ის აღუმხედრდება ქალკედონის კრების დიოფიზიტობას და შეექვესე საუკუნის ნახევრამდე, სომხებთან ერთად, მტკიცე დარაჯად უდგია ანტიქალკედონურს ან მონოთეოლოგიურ თეოლოგიას. შეექვესე საუკუნის ნახევრიდან, სხვადასხვა კულტურულ-ისტორიულ პირობათა ზეგავლენით, სომხეთსა და ქართლში იწყება პროცესი ეკლესიური ცხოვრების ნაციონალიზაციისა, რომელიც მეშვიდე საუკუნის დამდეგს (607 წ.) მთავრდება ამ ორი ეკლესიის ფორმალურად ერთი მეორისაგან დაშორებით. მიუხედავად ამ დაშორებისა, სომხურ პერიოდს ქართული მწერლობისას ჩვენ მერვე საუკუნის ნახევრამდე ვაგრძელებთ, ვინაიდან, ერთის მხრით, ამ ეკლესიათა ფორმალური, იერარქიული დაშორებით არ წყდება ფაქტიური ერთობა, ყოველ შემთხვევაში, ლიტერატურული ტრადიციებისა და მიმართულებისა. ხოლო მეორე მხრით თვით სომხეთის ეკლესიაში განცალკევების შემდეგაც ძლიერი იყო ერთხანობით ქალკედონისტური ფრაქცია და მერვე საუკუნის ნახევრამდე, ან, უფრო სწორედ, კათოლიკოზის იოანე ფილოსოფოსის სიკვდილამდე (728 წ.), იქ გვხვდება მთელი რიგი ქალკედონისტ-კათოლიკოსებისა, რომელნიც თავიანთ სამწყსოში კიდევ აღვივებენ ძველს ტრადიციებს და მით ხელს უწყობენ ქართულ-სომხური ერთობის საეკლესიო ცხოვრების ყოველ დარგში.

ნათქვამიდანაც ცხადია, რომ ამ პირველს პერიოდში ქართული მწერლობა განიცდის უმთავრესად სომხური მწერლობის გავლენას. ეს ისტორიულადაც ასე უნდა ყოფილიყო: მეხუთე საუკუნე, როდესაც ქართული მწერლობა დაიწყო, ის ხანა იყო, როდესაც სომხეთ-საქართველოსათვის გამწვავებული ბრძოლა წარმოებდა სპარსეთსა და ბიზანტიას შორის; სპარსეთი ყოველ ღონეს ჰხმარობდა, რათა ეს ორი მხარე კულ-

ტურულად ბიზანტიისაგან ჩამოეშორებია. ამით აიხსნება ქრისტიანობისათვის დევნულება სპარსეთის მხრივ სომეხ-ქართველებისა. როგორც სომხის ისტორიკოსები მოგვითხრობენ, სპარსები სომხებს აძულებდნენ სარწმუნოებრივ-ლიტერატურული კავშირი და ურთიერთობა დაეკირათ სირიასთან და, ყოველ შემთხვევაში, არა ბიზანტიასთან; ისინი მათ ნებას არ აძლევდნენ ბერძნული ენა შეესწავლათ და ამ ენიდან წიგნები ეთარგმნათ. ასეთ პირობებში მაშინდელ ქართლში ბერძნული საეკლესიო ლიტერატურული ორიენტაცია კიდევაც რომ ძლიერი ყოფილიყო, ის ხორცს ვერ შეისხამდა, ამიტომ ქართველები იძულებულნი იქნებოდნენ ლიტერატურული კავშირი დაეკირათ ისევ მეზობელ სომხებთან და იმ ქრისტიანებთან, როკელთანაც სომხები იყვნენ კულტურულად დაკავშირებულნი, ესე იგი ასურელებთან. მართლაც, ანბანის შემოღების ისტორიიდან ჩვენ ვიცით, რომ ერთერთი წყვეტილი მომქმედ კომისიისა, ჯალი, იყო მცოდნე სომხური ენისა და ამ ენიდან მთარგმნელი. ამნაირად, მეხუთე საუკუნის მწერლობა სომხურ მწერლობასთან ერთად და მის გავლენის ქვეშ ვითარდებოდა. შემდეგ შააც სომხური მწერლობა პირველეს როლს თამაშობდა ქართული მწერლობის განვითარებაში. და ესეთი მდგომარეობა გრძელდებოდა არამც თუ სომეხ-ქართველთა ეკლესიურად განცალკევებამდე (607 წ.), არამედ მერვე საუკუნის ნახევრამდეც. ამ პერიოდში, პირველად ყოველისა. ითარგმნებოდა ის, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა ახლადმოკცეული ერისა და ახლადდაწესებული ეკლესიისათვის, ასეთი კი იყო უმთავრესად საღმრთო წერილი, ვინაიდან, ჰიმნოგრაფიული ელემენტის განუვითარებლობის გამო, ლიტურდიკული პრაქტიკაც კი ბიბლიური მასალით ამოიწურებოდა ამ დროს, და ეკლესიაში თუ ოჯახში საკითხავი მარტივი ჰაგიოგრაფიულ-პომილეტიკური ნაწარმოებნი; მთლიანი, რთული პატრისტული თხზულებანი ჯერჯერობით, ალბად, ნაკლებად ითარგმნებოდა. სომხური მწერლობის უაღრეს გავლენას ამ პერიოდის ჩვენს მწერლობაზე ამჟღავნებს თვით ლიტერატურულ ძეგლთა შესწავლა და მათი ფილოლოგიურ-ლინგვისტური ანალიზი; სომხური გავლენა იმდენად ნათლად გამოსკვავის ამ ძეგლების შემადგენლობაში, ლექსიკა, ფონეტიკა და სინტაქსში, რომ ხშირად შესაძლებელი ხდება მათი შემწეობით აღდგენა სომხური დედნისა, რომელიც ეხლა, უმეტეს შემთხვევაში, დაკარგული ან მოსპობილია. სომხურიდან ნათარგმნ ძეგლებს ახასიათებს დედანთან უაღრესი სიახლოვე. სისწორე და სინამდვილე, ეს არის სიტყვა-

სიტყვითი თარგმანი. შეიძლება ამ შემთხვევაში მხედველობაში იღებდნენ გადმოსათარგმნ თხზულებათა ხასიათს. ასეთ სიტყვა-სიტყვითი თარგმანთა რიცხვს ეკუთვნის მნიშვნელოვანი ტექსტები და, მათ შორის, უნდა ვიფიქროთ, საღმრთო წერილის თარგმანი ასეთი სიახლოვე დედანთან და სიტყვა-სიტყვითობა ხშირად სასურველიც არ იყო, ამით აიხსნება ის აღტაცება, რომელიც გამოიწვია საქართველოში ქართულ მონასტერთა, განსაკუთრებით — ათონის, მთარგმნელთა მოღვაწეობამ, რომლებმაც პირდაპირ ბერძნულიდან თარგმნეს, და ის გაბოროტება, რომელსაც იჩენდნენ ჩვენი წინაპრები ამ პერიოდის სომხურიდან ნათარგმნ თხზულებებში. როდესაც ისინი გაეცნენ უკანასკნელთა სავალალო მდგომარეობას; ამ აღმოჩენამ იმდენად იმოქმედა მათზე, რომ დაიწყეს მტკიცება, საფიქრებელია — სრულიად გულწრფელად, თითქოს ძველ თარგმანთა ნაკლი სომხების საქმეაო.

მეორე ლიტერატურული გავლენა, რომელსაც განიცდიდა ჩვენი მწერლობა აღნიშნულ პერიოდში, არის ასურული. ასურულს ენაზე საქრისტიანო მწერლობა შედარებით ადრე დაიწყო; ძველი აღთქმის ბიბლიური წიგნები ასურულ ენაზე ითარგმნა იმ გაასიჩიელებულ ბერძნულთათვის, რომელნიც ედესაში ცხოვრობდნენ, 135—140 წლის ახლო ხანებში. 173 წლის დაახლოვებით ცნობილია ტატიანემ შეადგინა თავისი „დიატესარონი“ ან ეკლექტიური სახარება; 200 წლის ახლო ხანებში ითარგმნა „ოთხთავი“, ხოლო მეხუთე საუკუნის ნახევარში, რაბულა ედესელის დროს, — ეგრედწოდებული პეშიტო. IV—V საუკუნეში ასურული მწერლობა უკვე საკმაოდ მდიდარი და განვითარებული იყო. სომხური მწერლობის უძველესი პერიოდი არის სირიული; ამ პერიოდში სომხები არამც თუ სთარგმნიდნენ ასურულიდან, ხშირად, საკუთარი ანბანის შექმნის შემდეგ, ასურული ანბანით სწერდნენ სომხურ ტექსტს. ასურული გავლენა აღნიშნული პერიოდის ქართულ მწერლობაში მოდიოდა სომხური მწერლობის საშუალებით, *via armenica*. როდესაც ქართულად სთარგმნიდნენ ხოლმე რომელიმე თხზულებას სომხურიდან, რომელიც თავის მხრივ ასურულიდან იყო ნათარგმნი, ქართულში გადმოდიოდა ყველა ის სირიაზმები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ სომხურში. რასაკვირველია, შესაძლებელი იქნებოდა კანტიკუნტად ასურულიდან უშუალოდ თარგმნაც, სირია-პალესტინის

1) C. Brockelmann, Die syrische und die christlich-arabische Litteratur, (Die Litteraturen des Ostens in Einzeldarstellungen, B. VII, 2 Abteilung) S. 1—66;

ქართულს სავანეებში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩვენში სირი-
იდან მოვიდნენ ათცამეტნი მამანი, მაგრამ ასეთი უშუალოდ ნათარგმნი
თხზულებები ჩვენ ჯერ არ ვიცით, იქნება იმიტომაც, რომ ჯერ კიდევ
საკმაოდ გამორკვეული არაა ჩვენი ძველი მწერლობა ფილოლოგიურ-
ლინგვისტური მხრით

სხვებთან ერთად ამ პერიოდში ბერძნულ ლიტერატურულ გავლენ-
ასაც ექნებოდა ადგილი ჩვენს მწერლობაში. ბერძნული ენიდან თარ-
გმნა შესაძლებელი იქნებოდა იმთავითვე, თუ სისტემატიურად არა, სპო-
რადიულად მაინც. ჯალი ს შესახებ, მაგალითად, ნათქვამია, რომ ის
იყო მთარგმნელი არა მარტო სომხურიდან, არამედ ბერძნული ენიდანა-
ცაო. თუ თავდაპირველად ბერძნულიდან თარგმნას საერთოდ შემთხვევითი
ხასიათი ჰქონდა, მეშვიდე საუკუნიდან ბერძნული გავლენა უკვე ფაქტო-
რი შეიქნა ჩვენი მწერლობისა. მეშვიდე საუკუნის დასაწყისიდან, ერთის
მხრით სომხეთისაგან ეკლესიურად ჩამოშორების გაშო, მეორე მხრით იმპე-
რატორი ჰერაკლეს ჩვენში ომიანობისა და სხვა კულტურულ-ისტორიულ
პირობათა მიზეზით, რომელთა შორის იმასაც ჰქონდა მნიშვნელობა,
რომ მეექვსე საუკუნის გასულიდან თვით სომხეთშიაც ელინო-ფილური
მიმართულება დამყარდა, ქართველები ბერძნებს უახლოვდებიან და ყო-
ველმხრივ ეცნობიან მათ. მაგრამ აღნიშნულ პერიოდში ბერძნული გა-
ვლენაც უმეტს შემთხვევაში *via armeniaca* მომდინარეობდა; ბერძნულ
გავლენას ქართველები და სომხები ზიარად, ერთად განიცდიდნენ. თუ
ამით არა, სხვათრივ ჩვენ არ შეგვიძლია აეხსნათ შემდეგი მოვლენა: სო-
მხურსა და ქართულს ბიბლიაში ჩვენ ვპოულობთ ბერძნულ ელფერიან
ისეთ თავისებურობას, რომელიც წარმოშვა ბერძნული ტექსტის შეც-
დომითი გაგებამ, როდესაც ქართულ-სომხურ ბიბლიას ბერძნული სეპ-
ტანტის მიხედვით ასწორებდნენ. ¹⁾ ამნაირად, სომხური, ასურული და

¹⁾ H. Марр, Предварительный отчет о работах на Синае и в Иерусалиме
стр. 25. რუსეთის სამეცნიერო აკადემიის სააზიო მუზეუმის მეცხედი O. Lamm-ი პფიქრობს
რომ ამ პერიოდში ქართველებს, შესაძლებელია, ლიტერატურული კავშირი ჰქონდათ პალესტი-
ნაში კოპტებთანაც; ის აღნიშნავს, რომ ძალადი ქელენოპოლისის *Historia Lausiaca*-ს
კოპტურს თარგმანში ევაგრე პონტოელის შესახებ ნათქვამია, რომ ის იყო შვილი ერთი მღვ-
დლისა იბერიიდან. იაკობ დაქრილის კოპტურს ცხოვრებაში, ამბობს ლემმი, არის
ერთი ადგილი, სადაც ლაპარაკია პეტრე მაიუმელის შესახებ; მას გარდა, მისივე სიტყვით,
ერთს კოპტურს ანდერძს ზელს აწერს ენიმე მღვდელი ნაბარნუგიოსის სახელით, რაც პეტრე
მაიუმელის საერისკაცო სახელს უდრასო (*Hiberica Memoires de l'Academie Sciences*,
VIII, Serie dess. hist.—phil. VII, № 6.) ყოველ შემთხვევაში აღნიშნული საბუთები, კიდევაც
რომ საფუძვლიანი იყოს ისინი, ამ აზრის დასამტკიცებლად საკმარისი არაა.

ბერძნული, აი ის ლიტერატურული მიმდინარეობანი, რომელთა ზეგავლენით ვითარდებოდა პირველ პერიოდში ქართული ეკლესიური მწერლობა.

მეორე პერიოდი.

მეორე პერიოდი ძველი ქართული მწერლობის ისტორიისა არის ეროვნული პერიოდი; ამ პერიოდში დამუშავებული ლიტერატურული ძეგლები იმდენად არიან გამსჭვალული ეროვნული სულითა და ხასიათით, რომ შემდეგი დროის, XI-XII საუკუნეთა, მწერლები მას აღსანიშნავად ხშირად ჰხარობენ ტექნიკურ ტერმინს - ქართული, მაგალითად - ქართული სახარება, ქართული დავითნი, ქართული კანონი და სხვა. ეს პერიოდი გრძელდება მერვე საუკუნის ნახევრიდან მეთათე საუკუნის გასლევამდე, ესე იგი შეიცავს თითქმის 2 1/2 საუკუნეს. აღნიშნულ პერიოდში მძლავრად იფეთქა ქართველებში ეროვნულმა სულისკვეთებამ, ფრთები შეისხა ეროვნულმა თვითშეგნებამ. სომხებისაგან ეკლესიურად ჩამოშორება, რომელსაც ადგილი ჰქონდა მეშვიდე საუკუნის დასაწყისს, მოხდა, როგორც ვიცით, სხვათა შორის, ეროვნული-კულტურულ იდეოლოგიის საფუძველზედაც; ქართველებმა კულტურულ მიზნად თავისი ეროვნული ცხოვრებისა და ინახვის საბერძნეთ-რომის საეკლესიო სფეროებთან და წრეებთან დაახლოვება და თანდათანობითი განთავისუფლება აღმოსაველური, სიროსპარსული საეკლესიო ტრადიციებისაგან, რომელთაც, შეიძლება ძალაუწებურადაც, მაგრამ მაინც მძლავრად, ებლაუქებოდა სომხების ეკლესია. ამ ნიადაგზე წარმოიშვა, ერთის მხრით, მასწრაფება, თანახმად ქალკედონისტობაში გამეფებული პენტარქიული თეორიისა. ბიზანტიის ერთ-ერთი საპატრიარქოსაგან, ამ შემთხვევაში ანტიოქიის მამათავაყერისაგან; კანონიერი საეკლესიო დამოუკიდებლობის ძებნაში, რასაც ადგილი ჰქონდა სწორედ მერვე საუკუნის ნახევარში, პატრიარქი თეოფილაქტეს დროს, ხოლო მეორე მხრით - გამწვავებული პოლემიკა სომხებთან, რომელიც იქამდე მივიდა, რომ ქართველებმა წარსულშიაც კი უარყვეს ყოველგვარი ეკლესიურ-იერარქიული ურთიერთობა სომხებთან და, წინააღმდეგ გამეფებული აზრისა, საკუთარი, გრიგოლ პართელისაგან დამოუკიდებელი მისიონერიც კი წამოაყენეს წმ. ნინოს პიროვნებაში. საბერძნეთთან დაახლოვების სურვილი არამც თუ არ ეწინააღმდეგებოდა და არ ჰკლავ

და ეროვნულ მისწრაფებას და თვითშეგნებას, პირიქითაძლიერებდა კიდევაც მას: ეს, სხვათა შორის, გამოიხატა იმაში, რომ ქართველებმა ეკლესიურ-კულტურულად და თან ეროვნულადაც კატეგორიულად დაუპირდაპირეს თავისი თავი ბერძნულ-ბიზანტიურ მსოფლიოს და ერთერთი თავისი საუკეთესო წარმომადგენლის პირით თამამად გამოაცხადეს: არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებაჲ ესე ღმრთისა მიერ მოიჭაფეს, არამედ ჩუენცა, შორიელთა ამათ მკვდრთა... აჲ ესეუა ქართლისაჲ მკვდრთა აქეს სარწმუნოებაჲ და წოდებულ არს დედად წმიდათა, რომელთა თუთ აჲ მკვდრთა და რომელთაჲე უცხათა, სხვა მოსრულთა ჩუენ შორის უამად-უამად მოწამედ გამოჩინებულთა. ¹ ეს იყო მერვე საუკუნის გასულს, ხოლო მეთექვსმეტეში ქართული ენის შესახებ ქართველებმა შექმნეს ერთგვარი თეორია, რომლითაც ქართული ენა არამც თუ გასწორებულა ბერძნულთან იქამდის, რომ ისინი თრნი დახი არან, ვითარცა მარამ და მართაჲ, და მკობარნი. არამედ უპირატესობაც კი აქვს მის მინიჭებული შემდეგ სიტყვებში: უთჳელა საიდუმლოჲ ამაჲ მინა დამარხულ არს: არამც თუ უპირატესობა, საერთაშორისო საქრისტიანო ენადაც კია აღიარებული ის, კინაიდან. ქართველთა რწმენით, დამარხულ არს ენაჲ ქართული დაკმდე მკობრედ მასღვისა უფლისა სწამებულად, რათა უთჳელსა ენასა ღმერთმან ამაღლისა ამათ ენითა. ² ერთი სიტყვით, ბერძნებთან დაახლოვება ქართულ ეროვნულ კულტურის დაზრდილვას კი არ მოასწავებდა, პირიქით—მის გაღრმავება-გაძლიერებას და საკუთარი, ეროვნული ღირსებისა და თვისეპათა შეგნებას.

რამ შეუწყია ხელი აღნიშნული პერიოდში ქართველებში ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებასა და გაძლიერებას? სამი უმთავრესი მიზეზი იყო ამისი. პირველად ყოვლისა, არაბთა აუტანელმა ბატონობამ და კონობის მძიმე უღელმა ქართველები თავისი მდგომარეობის შესახებ დააფიქრა. სერიოზულად ჩაახედა თავის საკუთარ სულისა და გულში და დაანახვა, რომ ისინი დგანან ეროვნული გადაგვარების, დენაციონალიზაციის საშინელი კატასტროფის წინაშე, რომ ერთადერთი საშუალება ამ უბედურებისაგან თავის დახწვევისა არის საკუთარი ეკლესიის ფრთეთა ქვეშე ეროვნული იდეალის მოპოვება და ნაციონალიურ-ქრისტიანული კულტურის გაღვიძება. ასეთ რწმენას მისი განხორ-

¹ იოსანე საბანისძე, ცხოვრება ჰაბო ტფილელისა, საქართ. სამოთხე, გვ. 33

² იოსანე-ხოსიძე. ქება ქართულსა ენისა. А. Матареши, Собрание II. стр. 61

ციელებისათვის თავდადებულნი მუშაენიკ გამოუჩნდებოდენ, თუგინდ ისეთი, როგორც იყო იოანე საბანისძე, რომლის თხზულებაში („ცხოვრება ჰაბო ტფილელისა“) მთელი თავისი სიღრმე-სიგანითაა წამოყენებული მოსალოდნელი კატასტროფის საშინელება და აუცილებლობა დასახული მიზნისა მისი თავიდან ასაცილებლად.

მეორე მიზეზი იყო პოლიტიკური ხასიათის. არაბთა ბატონობისაგან დაკნინებულ-დაბეჭავებული, იქაჲდის, რომ მათი შიშით თავისთავს მეფეებსაც კი ვერ უწოდებდენ, ქაბოლის ერისთავები მერყე საუკუნის გასულიდან თანდათან იმაგრებენ წელს, ფეხს იკიდებენ ტაოკლარჯეთის კლდე ტიხეებში და მეცხრე საუკუნის გასულს ჯერ აქ აცხადებენ თავის თავს მეფედ, ხოლო მერე მუყაითად უდგებიან ეროვნულად დაკუწული სხეულის გამთელებას და მეთაუ საკუნის გასულისათვის თითქმის სრულიად ამთელებენ მას. პოლიტიკურად გაძლიერებამ და გამოსწორებამ, რასაკვირველია, კულტურულ-ეროვნული მთლიანობის სარგებლიანობა შეაგნებია ყველას და ყველა სამშობლოსათვის მოქირანახულე სამუშაო, ასპარეზზე გამოიწვია.

მესამე მიზეზი იყო წჷიდა ეკლესიური ხასიათისა. ჩვენ ვიცით, რომ მეშვიდე-მერვე საუკ. ქართლის ეკლესია გამოდის თავისი ეროვნული საზღვრებიდან და მიიღტვის დასავლეთის თანამოძმეებისაკენ, რომელნიც აღდებან ბერძნულ-ბიზანტიურ ეკლესიის სფეროში და გამგებლობაში იყვნენ. აქედან აღმოსავლეთის ქართველები სდევნიან ბერძნულ ენას, ბერძნულ ვიწრო ეროვნულ კულტურას, შემოაქვთ და ავრცელებენ საკუთარს, ქართულ ენას, ქართულ ღვთისმსახურებას და ქართულ საეკლესიო-სამონასტრო წესებს. კულტურულ-ეროვნულად დასავლეთი საქართველო უფრო ადრე გაუერთიანდა აღმოსავლეთს, ვიდრე იბრარქიულად და პოლიტიკურად. ქართულ ღვთისმსახურებას და ქართულ ენას თან მოჰქონდა ქართული პოლიტიკურ-ეკონომიური იდეალი, ასე რომ მეცხრე-მეთაუ საუკუნის მოღვაწენი პირდაპირ ამბობდენ: ქართლად ფრთადა ქეყენა ადირაცხების, რამეჲსაცა შინა ქართულითა ენითა ეამი შეაწარგოს და ლოცვაჲ კოველი ადესრეღებისო, ესე იგი, საქართველო იქაჲ, სდაჲ; ქართული ენა ისმის ღვთისმსახურებაში.

რამე გამოიხატა ეროვნული კიბართულება ამ პერიოდის ეკლესიური მწერლობისა? პირველად ყოვლისა, რასაკვირველია, ორი-

1) გიორგი მერჩული, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა. გვ. 80

გინალური მწერლობის განვითარებაში: არამც თუ წინა პერიოდში, როდესაც ქართული მწერლობა მხოლოდ იდგამდა ფეხს, შეიძლება ითქვას, თვით კლასიკურ ხანაშიაც ვერ ვხედავთ ჩვენ ორიგინალური ეკლესიური მწერლობის ისეთს მძლავრ ზრდა-განვითარებას, როგორც VIII-X საუკუნეებში. ამ პერიოდში შემუშავდა, პირველად ყოვლისა, ნაციონალური ჰიმნოგრაფია, დაიწერა ეროვნულ, ქართველ წმიდათა ცხოვრება, რომელიც მეთე საუკუნემდე მოღვაწეობდენ. თუ რა ზომამდე მიხწია ეროვნული ჰაგიოგრაფიის განვითარებამ, სანიმუშოდ დავასახელებთ იარ ნაწარმოებს, ერთს ამ პერიოდის დასაწყისიდან, — მარტვილობა ჰაბოტფილელისა, იოანე საბანიძისა, და მეორეს დასასრულიდან, — ცხოვრება გრ. ხანძთელიისა, გიორგიმ ერჩულიისა; თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასეთ სასაგალითო ნაწარმოებს, პირდაპირ მარგალიტს, მსოფლიო ჰაგიოგრაფიის ისტორიაშიაც იშვიათად შევხვდებით. ჰაგიოგრაფიასთან ერთად შემუშავდა ეროვნული ეორტალოგიაც, დაწყებული იქმნა წმიდა ქართული დღესასწაულები ეროვნულ წმიდანებისა და სხვადასხვა მოვლენათა აღსანიშნავად და სადიდებლად, რომელნიც შეუტანიათ კალენდრებსა, მაგ. — იოანე-ზოსიმესაში, და ლექციონარ-კანონებსა, როგორცა ჩვენ მიერ გამოცემული ერეუსალიმის განჩინება, და სხვადასხვა ლიტურგიკულ წიგნებში. ზოგიერთი, უძველეს დროს მსოფლიო ეკლესიის წილში აღმოცენებული დღესასწაულები, რომლებიც ამ დროსათვის სახემეცვლილი ან პრაქტიკიდან გამოხული იყო უკვე, ქართველებს უცვლელად შეუნახავთ, თავისი ეროვნული სული ჩაუბერიათ მათთვის, რის გამო შემდეგი დროის, XI საუკუნეიდან, მწერლებს, რომელთაც მათი წარმოშობა უკვე ნათლად აღარ გაეგებოდათ, ქართულ დღესასწაულებად მოუნათლავსთ. ასეთიან, მაგალითად, ჯვარის დღესასწაული აღდგომის მეორე დღეს, რომელიც აღმოსავლეთის ეკლესიაში იოანე ოქროპირის დროს ვიდევ ცხოველი იყო და მხოლოდ პერაკლე კეისრის დროს შეიცვალა, საქართველოში კის შემდეგაც განაგრძობდა არსებობას; დღესასწაული წმიდა გიორგისა 10 ნოემბერს, რომლის შესახებ. გიორგი მთაწმიდელი შენიშნავს თავის სჯნაკსარში: წმიდანო მამანო, ამას დღესა დაღატათ ბერძენნი წმიდასა გიორგისაჲს არა დიად აღესასწაულებენ. არაჲა არს უენებაჲ, რათა ჩუენ ვდღესასწაულობდეთ, რამეთუ ჩუენ ჰირველითგან ესრეთ გუაქუს ჩუეუღუ-

ბაჲ;¹ სატფურება იერუსალიმის ტაძრისა 13 სექტემბერს, რომელიც, თახახმად ეფთერიას მოწმობისა, უდიდესი დღესასწაული იყო აღმოსავლეთის ეკლესიაში და რომელსაც X-XI საუკუნეში, გიორგი მთაწმიდელის სიტყვით, საბერძნეთისა ეკლესია ანადიდად დაესასწაულებდა,² საქართველოში ძველებური ზეიშითა და ლიტურგიკული ხაზითით სრულდებოდა, რაც აღბეჭდულია ამ პერიოდის საღვთისმსახურო წიგნებში. ასეთივეა მამათმთავართა (იოანე ალექსანდრიელის და მოდისტოს იერუსალიმელის) ხსენება ბზობის პარასკევს, რომლის შესახებ გიორგი მთაწმიდელის სვნაქსარი შენიშნავს: ბერძნულად აქა მდღეღმთმოდჳარაჲ. ანა არს, ქართულად კუღა არს.³ როგორც ჩვენ მიერ გამოცემული იერუსალიმის განჩინებიდანა ჩანს, ეს დღესასწაული წინაღ ბერძნებისა ცოფილა, მაგრამ მერე, დროთა ვითარებაში, მათის მიუტოვებით, ქართველებს კი შეუენახავთ და თავის საკუთარ ქართულ დღესასწაულად მოუნათლავთ. ესევე უნდა ითქვას იოანე მახარებლის ხსენების შესახებ დეკემბრის 29, რომელიც, სინას მთის ხელნაწერით № 1, ფურ. 44^ა, ქართულად 8 მაისს სრულდებოდა. ეხლა, ამ პერიოდში, ქართველებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჰქონდათ განგება სახარებისა ბერძულსა წესსა ზედა,⁴ შეუქმნიათ საკუთარი წესი და განგება სახარების საკითხავებისა, როგორც ესა ჩანს ხელნაწერთა ანდერძებიდან: ესე წესი და განგება საბაწმიდისა არს, ვის ქართუდი უნდეს, კანონსა მიუდგეს და მასგან ისწავე.⁵ შეუდგენიათ აგრეთვე საკუთარი განყოფაჲ კანონთაჲ ან ფსალმუნთა, როგორც ესა ჩანს შემდეგი სიტყვებიდან: განყოფაჲ კანონთაჲ სამად გალობასა შინა, სადა დიდებაჲ ითქჳმის, ესრეთ ცან, ვითარ ქართველნი განჰყოფენ... ხოლო ვითარ ბერძენნი და ისრუსალიმელნი განჰყოფენ, ესრეთ იხილე და ცან... და არიან რომელნიმე ერთთურად და სწორად ისრუსალიმელთა და ქართველთაჲ კანონიცა და ფსალმუნთა.⁶ ამავე პერიოდში დაუმუშავებიათ ქართველებს საკუთარი, ქართული, სისტემა წელთა აღრიცხვისა, როგორც ესა ჩანს იოანე—ზო-

1) К. Кекелидзе, Иерусалимский Каюварь, стр. 283.

2) К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники, стр. 232.

3) Иерусалимский Каюварь, стр. 37.

4) სინას მთის ხელნაწ. № 19, ფურ. 262ა.

5) Иерусалимский Каюварь, стр. 37, прим. 1.

6) სიტვ. მუჭ. ხელნ. № 38, ფ. 251, 261; М. Жордания, Описание I, стр. 32 ქრონიკები, 93-94.

სიმეს სიტყვებიდან: და არიან ჟუდად წყლნი აღმისითგან ვიდრე ამაღლებამდე უფლსა ჩუენსა იესოჲ ქრისტესსა კვლად და შემდგომად მასა ვიდრე დეკანდელად დედამდე, ვითარ იგა ისრუსადიმელნი ითუალვენ სათუალავითა მზს - სს.ათა მზ და ვითარ ქართველნი ითუალვენ ჩით, და შეკრებ. თ, ვითარ ქართველნი ითუალვენ ხფნგ, ხოლო ისრუსადიმელნი ესრე ითუალავენ შეკრებით წელთა ვიდრე აქმომდე ხვმა. ას და იბ წლითა წინათ ითუალავენ ქართველნი ქართ. ნიკონისა თავისა დაწეებასა ვისისაკანმე მოცთუნებითა; ¹ ანა და იმისავე შემდეგი სიტყვებიდან: დაესრულა ქორნიკონი, სრული ვლბ წელი, სათუალავითა ქართველთა და ბერძულთა... რომელი თვთ სათუალავნი არიან ქართულად არიან და რომელ ბერძულთა არიან ბერძულად არიან... და ქართულად ზედნადი მთავარისა და ბერძულად... ქართულად [დესაბამითგან] ჟუარნუმამდე უფლისა ჩუენისა იესოჲ ქრისტესსა წყლნი კვლად... ² მაგრამ ყველაზე მეტი თავისებურება და ქართველობა ჩვენს წინაპრებს ამ პერიოდში ლიტურდიკულს მწერლობაში გამოუჩენიათ: ცნობილია, რომ მთელი წლის მოძრავი ლიტურდიკული მასალა მოთავსებულია ოთხს დიდს წიგნში, ესენია: 1) პარაკლიტონი ან ოქტოიხოსი, ან, როგორც ამ პერიოდის ძეგლები სახელსდებენ, ოხტაიხონი ან ოქტაიხონი, ³ 2) სადღესასწაულო-თთუენი ან, ამ პერიოდის ტერმინოლოგიით, იადგარი, ⁴ 3) მარხუანი და 4) ზატიკი. სისტემა ამ წიგნებისა შემუშავებულია საბერძნეთში, მათში მოთავსებული მასალა შეთხზულია სხვადასხვა ჰიქნოგრაფთა მიერ, ყველა მართლმადიდებელნი სთარგმნიან ამ ჰიქნებს: ქართველებიც ასე მოქცეულან, მათ უთარგმნიანთ თავიანთი ლიტურდიკული საჭიროების დასაკმაყოფილებლად ყველა ამ წიგნებში მოთავსებული ჰიქნები, მაგრამ ამავე დროს, სწორედ ამ მეორე პერიოდში, მათ განუზრახავთ და დაუწერიათ საკუთარი ორიგინალური ქართული ჰიქნები ამ წიგნებისათვის, ესე იგი შეუთხზავთ საკუთარი ქართული ოქტოიხოსი, იადგარი, მარხუანი და ზატიკი. ამ არაჩვეულებრივს, ისტორიაში ერთადერთ მაგალითს, განსაკუთრებით თავი უჩენია მათე საუკუნეში მიქილ მოდრეკალის, იონანე მინჩ-

¹) M. Brosset, Etudes de chronologie technique, p. 6.

²) სწახ მთხ ხელნაწ. № 38, ფ. 121b, 131a 132--139.

³) სწახ მთხ ხელნ. № 3, ფ. 80a. 110.

⁴) სწახ მთხ ხელნ. № 1, ფ. 5a, 50b, 121a, 291b, № 5, ფ. 28b; К. Кекелидзе. Литургич. груз. памятники, стр. XXV, Иерусалимский Канонарь, стр. 329.

ნის, იოანე მტბევიარის, სტეფანე ჯყონდიდელის, იოანე ქონქოზიძის და სხვა ჰიმნოგრაფთა კალმის ქვეშ. ძველს ხელნაწერებში, რომელთა შინაარსი მომდინარეობს აღნიშნულთა პერაოდიდან, ჩვენ გვხვდება: აქებდეთასანი ქართულნი, ¹ და'დებულნი სტუურებისანი მსკისისანი და ს. და'ც გინდან იანბიკანა ქართულსა ანბანსა ზედა ქუელსა; ² ძუელნი საგალობელნი, რომელნიც ქართულს ან გადაქართულებულ ჰიმნებს აღნიშნავენ, სინას მთის ხელნაწერში № 75 ოცდაშიდეჯერ გვხვდება; ³ გვხვდება ისინი აგრეთვე სიძვ. მუზ. ხელნ. № 596, ფ. 64, სადაც ისინი დაუპირდაპირებით სხუა ახალ ჰიმნებისათვის. ⁴ ერთი სიტყვით, ამ პერიოდში ქართველები დასდგომიან ღვთისმსახურების სრული გაეროვნების გზას, არა მარტო ენის მხრივ, არამედ შინაარსითაც, მაგრამ შემდეგმა პერიოდმა ეს მიმართულება შეაქენა.

ეროვნული მიმართულება მწერლობისა ეროვნულ სექტანტობას და კარდანშულობას კი არ ჰგულისხმობს; ქართველები თუ ამ პერიოდში ეროვნულს კულტურულ-ლიტერატურულ შემოქმედების გზას დაადგენ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა მებობელ ერებს მათ ზურგი შეაქციეს და მათთან ყოველგვარი ლიტერატურული კავშირი შეწყვიტეს. პირიქით, ეხლა უფრო გაცხოველდა და გაფართოვდა მათი ურთიერთობა და კულტურული კავშირი სხვა ერებთან, ეხლა უფრო ინტენსიურად სთარგმნიან ისინი სხვადასხვა ერთა ლიტერატურულ ნაწარმოებთ და ითვისებენ მათს კულტურულ მონაპოვარს. საქმე ისაა, რომ ეროვნული მიმართულება ეპოქისა არა ნაკლებ გამოიხატება ნათარგმნ ლიტერატურაში, ვიდრე ორიგინალურში. ეროვნული სული მოქმედობს, ერთის მხრით, სთარგმნელი მასალის შერჩევაში, — ითარგმნება უმთავრესად ის, რასაც თხოულობს ეკლესიის არსებითი, ყოველდღიური პრაქტიკული საჭიროება, ითარგმნება უცხო მასალა, ხოლო ეძებს, სთარგმნის და ითვისებს მას ეროვნული სული; მეორე მხრით, ეროვნული სული მეტავენდება თარგმნის პროცესში და ხასიათში. ძველად ნათარგმნ თხზულებებს ქართველები ადარებენ თანამედროვე ბერძნულ ტექსტს და ამისდამიხედვით შეაქვთ მათში საჭირო შესწორებანი, სთარგმნიან ახალს, მაგრამ არა მონურად, სიტყვა-სი-

¹) სინ. მთის ხელნ. № 1, ფ. 135ა.

²) იქვე, ფურ. 235ს.

³) პროფ. ა. (იაგარლის კატალოგი № 25.

⁴) Литургия. груз. памяти, стр. 390.

ტყვით, არამედ თავისუფლად და თავისებურად. ახალ მასალას ისინი უფარდებენ თავის ეკლესიის შეხედულებას და ტრადიციებს, ან ავრცობენ მას ისეთი მასალით, რომელიც მემკვიდრეობით ჰქონდათ მიღებული ძველი დროიდან, ან ამოკლებენ და სცელიან ადგილ-ადგილ. ამ გზით ზოგიერთ შემთხვევაში, ქართველი მთარგმნელები იძლეოდნენ არა წმიდა თარგმანს რომელიმე თხზულებისას ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არამედ ახალს რეცენზიას ან რედაქციას ამ თხზულებისას. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მეთერთმეტესა და შემდეგ საუკუნეებში, როდესაც ჩვენში დამყარდა ულტრაბიზანტიური გავლენა, ამ პერიოდში თავისუფლად ნათარგმნ თხზულებებს, საღმრთო წერილის ტექსტი იქნებოდა ის თუ სხვა რამ, უკვე ქართულს ეძახდნენ, ალბად იმიტომ, რომ ისინი თანამედროვე ბერძნულს უკვე აღარ უდგებოდნენ. მაგალითად, გიორგი მთაწმიდელი მის მიერ ნათარგმნ დავითნს უპირდაპირებს ქართველთა დავითთა; ექვთიმე მთაწმიდელსო, შენიშნაეს . ის, ჭაბუღნი დაფითნი თანაქსხანო,¹ ანა და ამ პერიოდში ბერძნულიდან ნათარგმნი იერუსალიმის კანონი ან განჩინება მეთერთმეტე საუკუნეში უკვე ქართულ კანონად იყო მიჩნეული.

ენა ამ პერიოდში ნათარგმნ თუ დაწერილ თხზულებათა შემდგარა ბუნებრივ განვითარების გზაზე: ფონეტიკა, გრამატიკა ან ლექსიკა მათი სრულიად თავისუფალია არამც თუ პირველი პერიოდის არმენიზმებისაგან, რომლებიც ასე აშფოთებდა მეთერთმეტე საუკუნის მოღვაწეებს, არამედ მესამე პერიოდის გრეციზმებისაგან, რომელთა მეოხებით, ზოგიერთ შემთხვევაში, თვით ბერძნულ დედანში უფრო ადვილად გაიგებ თხზულებას, ვიდრე ქართულ თარგმანში. იმიტომაცაა, რომ IX-X საუკუნეების ქართული ლიტერატურული ენა სამართლიანად ითვლება წმიდა, კლასიკური ქართულის ნიმუშად.

აღნიშნულ პერიოდში ქართველებს თითქმის იმავე ერებთან აქვთ ლიტერატურული კავშირი და ურთიერთობა, რომლებთანაც პირველს პერიოდში. ამ პერიოდშიაც განაგრძობენ ქართველები სომხური ენიდან თარგმანს: საქმე ისაა, რომ ტაო კლარჯეთი, სადაც მერვე საუკუნის ნახევრიდან დამკვიდრენ ქართველები და რომელიც ქართული მწერლობის ერთერთ ძლიერცენტრად გახდა, დასახლებული იყო ქალაქდონისტ სომხებით, რამდენიმე მნიშვნელოვანი ქართული სავანე აქ

¹) მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა 1, 109-111.

სომეხთა ნამონასტრალზე გაშენდა. აი სწორედ ამ წრეში, სადაც სომეხები და ქართველები ერთმანეთს პირდაპირ ხვდებოდნენ, განავრძობდა არსებობას სომეხ-ქართველთა ლიტერატურული ერთობა და კავშირი. მართალია, აქაური სომეხები უკვე გაქართველების გზაზე იყვნენ დამდგარნი, მაგრამ, ძლიერნი ლიტერატურული მემკვიდრეობით და ტრადიციებით, ისინი ჯერ კიდევ აძლევდნენ ერთმორწმუნე ქართველ მწიგნობრებს შემოქმედებითი და სათარგმნ მასალას; ქართველები მათგან სთარგმნიან არა მარტო VIII-IX საუკუნეებში, არამედ მეათეშიც. მაგალითად, ჩვენამდე შენახულა წერილი ვინმე დახისა, რომელიც მას მიუწერია მეათე საუკ. დამდეგს სტეფანე მტბევეარისათვის და რომელშიაც ის აუწყებს თავის ადრესატს, რომ მან სომხურიდან გადმოთარგმნა ეპიფანე კვიპრელის ფსალმუნების განმარტება; ¹ აგრეთვე მეთერთმეტე საუკუნეში ფერემ მცირეც მოწიობს, რომ მას ხელთა ჰქონდა გრიგოლ ღვთისმეტყველის ერთერთი თხზულება, რომელიც სომხურიდან ეთარგმნა მეათე საუკუნის მოღვაწეს, გრიგოლ ოშკელს. ²

განავრძობენ ქართველები ასურული ენიდანაც თარგმნას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ, თუ პირველს პერიოდში ასურული გავლენა *via armeniaca* შემოდიოდა ჩვენში, უხლა უშუალოდ ეწაფებიან ჩვენი წინაპრები ასურულ ლიტერატურას, განსაკუთრებით IX-X საუკუნეში. ქართულ-ასურული ლიტერატურული კავშირი იმდენად საგრძნობი ყოფილა, რომ ჩვენ ვამჩნევთ ზოგიერთ ქართული ასოის გარეგან ფორმა-მოხაზულობას ასურული ანბანის გავლენას; ეს გავლენა ორთოგრაფიაშიც იჩენს თავს, მაგალითად აპოსტროფული პუნქტუაცია, რომელიც გვხვდება სინას მთის ხელნაწერებში, შემოღებული უნდა იყოს ასურულის მიბაძვით. ³

უფრო ძლიერი და ინტენსიური იყო ბერძნულ ლიტერატურასთან კავშირი და ურთიერთობა. უხლა ქართველები სთარგმნიან ბერძნულიდან უშუალოდ, პირდაპირ, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთელ სამწიგნობრო ცენტრებში; თან ისინი იწყებენ ბერძნულ ტექსტთან შედარებას ძველი თარგმანებისას, რომელნიც სომხური ენი-

¹) თ. ყორღანია, ქრონიკები I, 100.

²) იქვე, 83. 227.

³) H. M a p p e, Προδιαριθελασμων οτιες, σφρ. III.

დან მომდინარეობდნენ. ასეთი შედარება და შესწორება წარმოებდა მწერლობის ყოველ დარგში, ამნაირად წარმოიშვა „ახალი თარგმანი“. მეცხრე საუკუნის გასულს და მეთექვსმეტე იმდენად ძლიერი შეიქმნა ბერძნული გავლენა ჩვენს მწერლობასა და ცხოვრებაში, რომ ძველად სომხური ენიდან ნათარგმნ თხზულებებს არამც თუ ასწორებდნენ ახალი ნორმების მიხედვით, მიზნადაც კი ისახავდნენ აღმოფხვრათ ყოველივე ის, რაც სომხურ მწერლობასა და მის გავლენას მოაგონებდა თანამედროვეთ; ამ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს პროფ. ა. კ. შანიძის მიერ აღწერილი წურიძის (სენაეთში) მეთექვსმეტე საუკუნის იადგარი, რომელშიაც ზოგიერთ საგალობელთა დასაწყისი ბერძნულადაა მოყვანილი ქართული. ტრანსკრიპციით, მაგალითად: „ტო კვრიო იესუ (Τῷ Κυρίῳ Ἰησοῦ), „ტონ ბასილეონ“ (Τὸν Βασίλειον), „ტონ თეოტოკონ მარიამ“ (Τῆς Θεοτόκου Μαρίας), „ტონ პანკოსმეონ“ (Τὸν πανκόσμιον), „პართენიკი პანიჯური“ (Παρθενική πανήγυρις), „შერუს ასქიტიკონ აღიოთოს“ (Χαίρις ἀγιωταρχῶν ἀλήθεια(?), „დოქსა ენ უფსის“ (Δόξα ἐν ψῆει), „ტისი პროსენენ“ (?) და სხვ. ამ სათაურებს შერეე მიჰყვება თვით ქართული ტექსტი საგალობელთა. ამავე მოვლენას რამდენადმე აღგილა აქვს აგრეთვე სინას მთის მეთათვისავე საუკუნის იადგარში № 1 (ი. ჯავახიშვილის აღწერილობით). ასე იქცეოდნენ, ალბად, იმის აღსანიშნავად, რომ ეს საგალობლები პირდაპირ ბერძნულიდან და არა სხვა წყაროებიდან მომდინარეობს. ეს გარემოება რამდენადმე გამოწვეული იყო იმითაც, რომ ამ დროს, IX-X საუკუნეებში წარმოებდა მწვავე კამათი საეკლესიო—დოღმატური ხასიათისა ქართველთა და სომეხთა შორის, რაც აღვივებდა მათ შორის ურთიერთისადმი უსაზღვრო მძულვარებას. ვინ იცის, რამდენი საყურადღებო ნაწარმოები, ნათარგმნი და ორიგინალური, ბარბაროსულად დაიღუპა ამ დროს, ვინ იცის, რამდენად დამახინჯეს ასეთ შეწამება-შესწორების პროცესში ძვირფასი ტექსტები, რომლებშიაც წარმოღვენილი იყო უძველესი ხანა ჩვენი მწერლობისა!!.

ამ პერიოდში ქართულ მწერლობას განუცდია აგრეთვე თვალსაჩინო გავლენა არაბული ლიტერატურისაც. არაბული ენის წინაშე, რომელიც ისლამთან ერთად ძლიერად გრძელდებოდა, თავი მოიღრიაკა ყველა ადგილობრივმა დიალექტებმა სირიაში, პალესტინაში და ეგვიპტეში; თუ სამღვდლოებაში ეს დიალექტები კიდევ დიდხანს ცოცხლობდა, ყოველდღიურ ცხოვრებაში არაბულმა ენამ ბატონობა მოი-

პოვა. ვინაიდან ხალხი თანდათან ივიწყებდა სამშობლო ენას და არაბულად იწყებდა ლაპარაკს, სამღვდელთა იძულებული შეიქნა დათმობის გზას დასდგომოდა: თუ მრევლს არ ესმოდა წირვა-ლოცვისა და საღმრთო წერილის ენა, ერთიცა და მეორეც უნდა მიეცათ მისთვის ახალ სალაპარაკო ენაზე, — არაბულზე. ამნაირად საქრისტიანო არაბული მწერლობა საჭიროებისა და აუცილებლობის პროდუქტია, იწყება ის არაუადრეს მერვე საუკუნისა.¹ არაბული ენით, როგორც ლიტერატურულით, სარგებლობდნენ სხვადასხვა აღსარების, ქვეყნის და ზოდგმის ქრისტიანები, — მართლმადიდებელნი, მონოფიზიტები, არაბები, ასურელები, კობტები და სხვები. ცენტრად არაბული საქრისტიანო მწერლობისა ითვლებოდა საბას მონასტერი პალესტინაში და წმ. ეკატერინესი სინას მთაზე. არაბების ბატონობამ საქართველოში, მართალია, საგრძნობლად შეარყია ხალხის სულიერი ცხოვრების საფუძველი, მაგრამ ენა ჩვენი ვერ მოსპო და სამწერლო-საქრისტიანო ენად, რასაკვირველია, ვერ გახდა. ვინაიდან საბას ლავრაში და სინას მთაზე ქართველებიც მოღვაწეობდნენ და აქ ქართული ლიტერატურული ცენტრები იყო, არაბული მწერლობის გავლენა ქართველებმაც განიცადეს ამ ცენტრებში. ხანა ამ გავლენისა გრძელდება მერვე საუკუნიდან მეთათეს დამლევამდე. ეს გავლენა გამოიხატა შემდეგში: ქართველები დასახლებულ ცენტრებში გულმოდგინედ სწავლობდნენ არაბულ ენასა და წერა-კითხვას; სინას მთაზე, მაგალითად, ნ. მ ა რ რ მ ა იპოვა არაბული ანბანი ქართველთათვის, რომელშიაც თვითეული არაბული ასო ახსნილია შესატყვისი ქართული ასოთი; იქვე, სინას მთაზე მოიპოვება არაბული ხელნაწერები, რომლებშიაც რვეულებს გაკეთებული აქვს ქართული ნუმერაცია. მეორე მხრივ, იქვე აღმოჩნდა ქართული ხელნაწერები არაბული ნუმერაციითა და სიტყვებით, აგრეთვე წარწერებითა და მინაწერებით არაბულ ენაზე, რომელიც ქართველებს გაუკეთებიათ;² საჭირო შემთხვევაში ისინი ამ ენიდან სთარგმნიდნენ ამა თუ იმ თხზულებათაც. გარდამოცემას არაბული მწერლობის გავლენის შესახებ ქართულში ჩვენ ვპოულობთ ბაგრატ ბატონიშვილის ისტორიულ-ლიტერატურულ დოკუმენტში, სადაც ნათქვამია, რომ ძველმა მთარგმნელებ-

¹) Brockelmann, Die syrische und die christlich-arabische Litteratur (Die Litteraturen Ostens in Einzeldarstellung, B. VII, 2 Abt.), S. 67-75.

²) Н. М а р р у, Предварительный отчетъ, стр. 33. Крещеніе армянь, грузинъ и абхазовъ св. Григоріемъ, стр. 163; Пліненіе Іерусалима перезамъ въ 614 г. стр. 8;

მა, დავით და სტეფანემ, — „გარდმოთარგმნეს არაბთა ენისაგან საღმრთონი წიგნნი მრავლითა შრომითაო“. ¹

მესამე პერიოდი.

მესამე პერიოდი ძველი ქართული მწერლობის ისტორიისა გრძელდება მეთთე საუკუნის გასულიდამ მეცამეტეს ნახევრამდე. ამ საუკუნეებში დამთავრდა პროცესი საქართველოს გაერთიანებისა, რომელიც წინაპერიოდში დაიწყო; საქართველო შეიქმნა ერთერთ მნიშვნელოვან სახელმწიფოდ წინა აზიაში, რომელმაც შესაფერი ადგილი დაიკავა საერთაშორისო ოჯახში. მას პატივსა სცემენ და ანგარიშს უწევენ მეზობლები, მის შეწუხებას ადვილად ვეღარ კბედავენ მტრები. ქართველებმა მოისვენეს გარეშე მტერისაგან და შეუდგენ შინაურ აღმშენებლობას; ისინი მომაგრდნ ეკონომიურად, რასაც ხელი შეუწყო, სხვათა შორის, უთვალავმა სამხედრო დაელომ და ალაფმა, რომელიც მათ ხელში უვარდებოდა ბრწყინვალე და სახელოვანი გალაშქრებისას მეზობელ სამაჰმადიანო ქვეყნებში. პოლიტიკურად განმტკიცებულმა, შინაურულად მოწესრიგებულმა და ეკონომიურად განლაღებულმა ქართველებმა იზოვეს დრო სულიერი კულტურის განვითარებისათვის; და მართლაც, ამ საუკუნეებში ბადრი მთვარესავით გაღიშალა მათი შემოქმედებითი ენერგია როგორც ლიტერატურაში, ისე ცხოვრების ყველა დარგში. ის მძლავრი და ნოყიერი ლიტერატურული ნაკადი, რომელმაც მეცხრე-მეთთე საუკუნეში იფეთქა, შეუჩერებლივ და ნორმალურად განაგრძობს დენას, სანამ ის არ დაიკარგა შემდეგი ეპოქის გარესკნელ წყვილიდში. ჩვენს საისტორიო ლიტერატურაში XI-XII საუკუნეთა მწერლობას ოქროს ან კლასიკური ხანის მწერლობადა სთვლიან; თუ მხედველობაში გვექნება საერთო მხატვრული მწერლობა, ასეთი კვალიფიკაცია მისაღებია, ხოლო თუ ექლესიურ მწერლობას ავიღებთ, ის შეუწყნარებელია. წინაპერიოდის ექლესიური მწერლობა, განსაკუთრებით მეთთე საუკუნისა, XI-XII საუკუნეთა მწერლობას არ ჩამოუვარდება არც ორიგინალური შემოქმედებით, არც ნათარგმნ თხზულებათა მნიშვნელობით და რაოდენობით, არც მთარგმნელობის ტექნიკით და არც ნამდვილი, ბუნებრივი და ნარნარი წმიდა კლასიკური ქართული ენით. ასე რომ, თუ საკიროა, კლასიკური

¹) Н. М а р т. Изъ книги царевича Баграта о грузинскихъ переводахъ духовныхъ сочиненій, стр. 234, 239, 242.

ან ოქროს ხანის მწერლობად ჩვენ შეგვიძლია მოვინათლოთ ქართული მწერლობა IX-XII საუკუნეების სივრცეზე და არა მარტო XI-XII საუკუნეებისა. ამ პერიოდის მწერლობას ჩვენ ვუწოდებთ ბერძნული ან ბიზანტიური პერიოდის მწერლობას. ბერძნულ გავლენას და მიმდინარეობას, როგორც ნათქვამი გვაქვს, ადგილი ჰქონდა წინაპერიოდებშიაც, მაგრამ იქ ის არ იყო არც ერთადერთი, არც ყველაზე მნიშვნელოვანი და ძლიერი; ეხლაჲ, XI-XII საუკუნეებში, უცხო გავლენათაგან ჩვენი ეკლესიური მწერლობა განიცდის მხოლოდ და მხოლოდ ბერძნულ გავლენას, იმას დაესვა ულტრაბიზანტიური ბეჭედი. და არა მარტო ლიტერატურას, არამედ ყოველ მხარეს საეკლესიო ცხოვრებისას: უკანასკნელს ეხლა ჩამოაშორეს წინასაუკუნეთა აღმოსავლური ელფერი და ბერძნულ-ბიზანტიური სახე მისცეს.

ლიტერატურაში ეს მიმართულება გამოიხატება, პირველ ყოვლისა, იმაში, რომ ახალ თხზულებებს სთარგმნიან მარტოდ-მარტო ბერძნული ენიდან, ხოლო ძველ შრომებს, რომელნიც წინაპერიოდებში უთარგმნიათ სხვა ენებიდან ან ბერძნულიდან, მაგრამ არა სიტყვა-სიტყვით, არამედ, თავისუფლად, —ადარებენ ბერძნულ ტექსტს. და მისი მიხედვით ასწორებენ. ამ მხრივ ის სიტყვები, რომელნიც ეფრემ მცირეს კერძო შემთხვევის გამო უთქვამს: ბერძნებისა შვილსა შვილსა, ნუ უკვე და არა უეჭუელსა, თუ უეჭვი და საკუთარა შვილი აღვარჩიეთ, ¹ — ეპოქის ლიტერატურულ ლოზუნგად შეიძლება მივიჩნიოთ: ბერძნული ტექსტი დედაა, ქართული თარგმანი, უშუალოდ ბერძნულიდან გადმოღებული, შვილია ბერძნულისა, ხოლო სხვა ენის საშუალებით — შვილისშვილი, შვილისშვილს კი ღვიძლი შვილი სჯობიაო. განსაკუთრებით აღუმხდრდენ ეხლა სომხური ენიდან მთარგმნელობას: ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ წინაპერიოდებში სიტყვა-სიტყვითი მთარგმნელობას ყოველთვის არ ჰქონდა ადგილი ჩვენს მწერლობაში, უფრო ხშირად თავისუფლად გადმოსცემდენ ხოლმე დედანს. ასეთი თარგმანი XI—XII საუკ. მწიგნობრებს არ აკმაყოფილებს, იმათ ის გარყვნილად მიაჩნიათ, ხოლო გამრყენელად სომხებსა სთვლიან; შეითხზა ლეგენდა, ვითომც ჩვენ იმათეთვე წმიდა და უხადო წიგნები გვქონდა, მაგრამ მერე სომხებმა გაგვირყენეს ისინიო. ამ შეხედულების მკვეთრი გამომხატველია გიორგი ხუცესმონაზონი, გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფი, რომელიც

¹) თ. ყორღანიძე, კრონიკები I, 227.

ამბობს: დაღაცათუ პირველითგანვე გუაქუნდეს წერილიცა და საწმუნობეცა ჭეშ-მარიტი და მართალი, გარნა ქუეყანაჲ ჩუენი შორს იყო ქუეყანისაგან საბერძნეთისა და, ვითარცა ღუარძლნი რაჲმე, დათესულ ივენეს ქუეყანასა ჩუენსა ბოროტნი იგი თესლნი სომეხთანი, გულარსნიღნა და მანქანანი, და ამის მიერ ფრად გუევენებოდა: რამეთუ ნათესავი ჩუენი წრფელ იყო და უმანკო, ხოლო იგინი, რცა მიზეჳითა წესიერებისაჲთა, რცა ცთუნებად გუაზმნობდეს, და რომელნიმე წიგნნიცა გუაქუნდეს მათგან თარგმნიღნი“. ¹ მიზეზი სომეხების ასეთი აწუნებისა იყო შემდეგი: XI-XII საუკუნეებში ბიზანტიაში თავი იჩინა სომეხებისადმი განსაკუთრებულმა სიმძულვარემ, რაც ნათლად ჩანს მათ წინააღმდეგ მიმართულ საპოლემიკო თხზულებებში; მათ შესახებ ბიზანტიელები სწერენ და ავრცელებენ სხვადასხვა გვარ პასკვილებს და პამფლეტებს, რომელნიც საქართველომდეც აღწევენ. ქართველები წინათაც არ უყურებდენ შინცა და მაინც გულდამწვიდებით სომეხებს, მათი ურთიერთობა ჯერ კიდევ IX-X საუკუნეში გამწვავდა, როდესაც მათ შორის დაიწყო პერიოდული პაექრობა საეკლესიო-სარწმუნოებრივ საკითხთა გამო, და ეხლა, ბიზანტინიზმით გატაცების ეპოქაში, ხომ ყოველივე ზომიერება დაჰკარგეს მათ.

დამახასიათებელ თვისებას ამ პერიოდის მწერლობისას შეადგენს სიტყვისიტყვითი თარგმანი; წინაპერიოდის თავისუფალი თარგმანი, რომელსაც ეხლა ქართულ თარგმანს ეძახიან, ბევრს აღარ აკმაყოფილებს; ეხლა მიზნად დაუსახავთ ბერძნული დედანი ზედმიწევნითი სისწორით გადმოიღონ ქართულად, მას ჰბაძვენ წინადადებათა აგებაში, ფრაზებისა და ნაწილაკების დალაგებაში. ქართული თარგმანის ბერძნულ დედანთან დაახლოვება თანდათან ვითარდება; ათონის შკოლა, რომელიც ქვაკუთხედად დაედვა ჩუენს მწერლობაში ბიზანტინიზმის გამეფებას, ჯერ კიდევ ანგარიშს უწევს ძველს ქართულ ტრადიციებს: მამათმთავარი ამ შკოლისა, ექვთიმე მთაწმიდელი, წინაეპოქის მთარგმნელთა შკოლას ეკუთვნის, თავის თარგმანებში ის ნახევრად მთარგმნელია და ნახევრად ორიგინალური მწერალი. ექვთიმესთან შედარებით უფრო გაბედული ნაბიჯი გადადგა ამ საქმეში მეორე მთაწმიდელმა, გიორგიმ, თუმცა, მიუხედავად მისი აკრიბიისა, იმანაც ვერ გასწვვიტა ყოველივე კავშირი ძველს ქართულ ლიტერატურულ ტრადიციებთან. უფრო წაწია წინ ეს პროცესი შავიმთის შკოლამ და მისმა კანონმდებელმა ეფრემ მცირემ. ეფრემის მთარ-

¹) ათონის კრებულის, გვ. 294-295.

გმნელობითი მოღვაწეობამ ქართულ საზოგადოებაში განხეთქილება გამოიწვია, ის ორ ბანაკად გაყო მან: ერთს მხარეზე იყვნენ ეფრემის თანამოაზრე პროგრესისტები, მეორეზე — კონსერვატიული პარტია, ძველი ტრადიციების მოთაყვანენი, რომელთაც ეფრემის მოღვაწეობა და ის ახალი მიმართულება, რომელიც მან მთარგმნელობაში დაამკვიდრა, იმდენად ეხამუშებოდათ, რომ მას ექვთიმესა და გიორგის უპატივცემულობას, მეტიჩრობას და მწვალებლობასაც კი სწამებდნენ.¹ თუმცა უნდა ითქვას, ეფრემიც არ იყო სრულიად თავისუფალი ქართული ტრადიციების ზეგავლენისაგან; ის ამბობს, რომ, ვინაიდან ძველი თარგმანი ზეპირად ვიცოდით, ახლად თარგმნისას უნებლიედ მეპარებოდა ტექსტში ძველი სიტყვები და ფრაზებიო. უკანასკნელი სიტყვა ქართული თარგმანის ბერძნულ დედანთან დაახლოვების პროცესში ეკუთვნის ეგრედწოდებულს პეტრიწონულ შკოლას, რომელმაც გააბატონა ჩვენში არა მარტო ბერძნულ-ბიზანტიური მასალები, არამედ ბერძნული ლიტერატურული ნორმებიც; მეთორმეტე და, რამდენადმე, მეცამეტე საუკუნის სალიტერატურო ენა არის უმთავრესად პეტრიწონული ენა, რომლის ფონეტიკა, ეტიმოლოგია, სინტაქსი და ლექსიკა აგებულია ბერძნულ ნორმებზე და ჩამოსხმულია ბერძნულ ყალიბზე.

ხასიათი და მიმართულება აღნიშნული ეპოქის მწერლობისა მატარებელია ბიზანტინიზმის უტყუარი ბეჭდისა. XI-XII საუკუნეებში ბიზანტიაში ნაკლებად იწერება ახალი, ორიგინალური თხზულება; ესლა უფრო იმას სცდილობენ, რომ, რაც შეიძლება, მეტად შეკრიბონ და ამოკრიბონ წინაეპოქის მწერალთა თხზულებებიდან ციტატები და სისტემატიურად დალაგონ ისინი, რათა ყველას ხელთა ჰქონდეს ამა თუ იმ საკითხის შესახებ ყოველგვარი მასალა და წინადროის მოღვაწეთა ნააზროვნეი. აქედან წარმოიშვა სხვადასხვა გვარის და ხასიათის კრებულები, რომელთაც ვხვდავთ მწერლობის თვითველ დარგში. ასეთმა მიმართულებამ თავი იჩინა სწორედ ამ დროს ქართულ მწერლობაშიაც. ესლა სთარგმნიან თუ აღგენენ კრებულებს ეგზეგეტიკაში (ეორდანიისეული დაბადება, ეფრემ მცირე, იოანე ჭიმჭიმელი), დოღმატიკასა და პოლემიკაში (არსენ იყალთოელი), საეკლესიო სამართალში (იგივე არსენი), საეკლესიო ისტორიაში (ეფრემ მცირე), ასკეტიკაში (თეოფილე ხუცესმონაზონი), მორალში (ექვთიმე ათონელი), ჰაგიოგრაფიაში (სვიმეონ მეტაფრასტი-

¹) Н. Марш, Иоаншъ Петрицкй, стр. 36-39.

სა და იოანე ქსიფილინოსის კრებულები). ბიზანტიაში ეკლესიურ მწერლობაში განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდნენ ამ საუკუნეებში წმიდათა ცხოვრების გადამეტაფრასებას ან გარდაქმნა-გადაკეთებას, საიდანაც წარმოიშვა მეტაფრასტული ჰაგიოგრაფია, და სხვადასხვა სარწმუნოებისა და აღსარებათა წარმომადგენლებთან საპაექროდ პოლემიკური მასალის შეკრებას. საქართველოშიაც საუცხოვოდ განვითარდა ეხლა მეტაფრასტული ჰაგიოგრაფია, აქ არამც თუ უთარგმნიათ ყოველივე ის, რაც ბიზანტიაში შექმნა ამ დარგში, არამედ დაუწყიათ ქართველ წმიდათა ცხოვრების გადამეტაფრება, რასაც სამწუხაროდ, სულერთიან გაუნადგურებია მათი ძველი რედაქციები. პოლემიკური მწერლობაც სწორედ ამ პერიოდში დამუშავებულა ჩვენში: ეხლა შეუდგენიათ მეტად საყურადღებო დოკუმტიკურ-პოლემიკური კრებული, რომელშიაც თავმოყრილია ყოველგვარი მასალა სარწმუნოებრივ ნიადაგზე საპაექროდ (დოკუმტიკონი არსენ ვაჩესძისა). მეთერთმეტე საუკუნეში ბიზანტიაში იწყება ფილოსოფიის აღორძინება, რასაც ხელს უწყობს ორი შესანიშნავი მოაზროვნე ამ ეპოქაში: მიქელ ფსელოსი და იოანე იტალი; მათ გააცხოველეს და აღადგინეს ნეოპლატონიზმი და თავისი გატაცებაში ამ ფილოსოფიით ისინი მივიდნენ იქამდე, რომ საჯაროდ შეჩვენებულ იქმნენ სოფიაწმიდის ამბიონიდან და კონსტანტინოპოლიდან გაძევებულ. ამ ფილოსოფიურმა მოძრაობამ ამავე დროს თავი იჩინა საქართველოშიაც, სადაც XI-XII საუკ. წარმოიშვა მთელი რიგი პირველხარისხოვან ფილოსოფოსებისა, რომელთაგან უნდა დავასახელოთ ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, იოანე ტარიჭისძე, იოანე კიმჭიმელი, იოანე „საღმრთო ფილოსოფოსი“ და არსენ იყალთოელი. ფილოსოფიაში ამათ აინტერესებდათ სწორედ ის საკითხები, რაც ბიზანტიელებს; მათ, განსაკუთრებით იოანე პეტრიწმა, გადმოიღეს და გადმონერგეს ჩვენში ნეოპლატონიზმი, რომელმაც ისეთივე რეაქცია გამოიწვია ქართველთა შორის, როგორც ბიზანტიაში: იოანე პეტრიწს, რომელსაც ინტიმური იდიური კავშირი ჰქონდა მიქელ ფსელოსთან და იოანე იტალთან, იგეთივე დევნა-შევიწროება დაუწყეს ქართველებმა, როგორც ფსელოსსა და იტალს ბიზანტიელებმა. ერთი სიტყვით, ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორია XI-XII საუკუნეებისა პირწავარდნილი განმეორებაა ბიზანტიური ფილოსოფიის ვითარებისა¹. რა იყო მიზეზი ბიზანტინიზმით ასეთი გატაცებისა?

¹) Н. Марр у, Иоаннъ Петрицѣи, стр. 46-61. ქართულ მწერლობა-აზროვნობაზე

ბიზანტიაში ჯერკიდევ მეათე საუკუნეში თავი იჩინა ძლიერმა კულტურულ-განმანათლებელ მოძრაობამ, რომელმაც მეთერთმეტე საუკუნეში, კონსტანტინე მონომაქის აკადემიისა და მისი სახელოვან პროფესორთა ხელმძღვანელობით, ნამდვილი რენესანსის ხასიათი მიიღო. ამ მოძრაობამ გადმოხეთქა კონსტანტინოპოლისა და საკუთრივ ბიზანტიის საზღვრები და ეგრედწოდებული „ბარბაროსებიც“ ჩაითრია და წარიტაცა. „ბარბაროსთა“ ცოცხალი, შემოქმედი ძალები მიილტვიან ბიზანტიაში, აქ ეზიარებიან მის კულტურას და საკუთარი წვლილი შეაქვთ ამ კულტურის ზრდა-განვითარებაში. დასავლეთის „ბარბაროსები“ მოეშურებიან ბიზანტიაში, როგორც სულასა და ციცეროს თანამედროვენი ათინაჴი; ეპისკოპოსი ლუქტატიანე ამბობს, რომ ის შხადაა ხელი აიღოს თავისი ქონების ნახევარზე, ოღონდ მის გერს შეძლება ჰქონდეს ბერძნებთან შეისწავლოს ფილოსოფია და ლიტერატურა. საფრანგეთიდან და იტალიიდან ახალგაზღობა მასიურად აწყდება ბიზანტიას, რომლის სამეცნიერო გავლენა გავრცელებული იყო აგრეთვე მთელს აღმოსავლეთზე და არაბებზედაც; ხალიფას ქვეშევრდომნი კრძალულებით შესცქეროდენ იმპერიას. ერთი სპარსეთის მგოსანი ამბობს: „მე წავალ ბიზანტიაში, მე იქ, ბიზანტიის ტაძარში, გაეხსნი შკოლას; მე გამოვეყამათები რომელიმე ქრისტიან მეცნიერს მამის, ძისა და სულიწმიდის შესახებ, მე ვიხილავ მღვდლებს, რომელნიც გატაცებულნი არიან ეპისკოპოსის გაკვეთილებით, ვიხილავ ეპისკოპოსს, ისეთივე ნანსწავლს, როგორც მეო“. ¹ ამ საერთო და საყოველთაო მოძრაობასა და გატაცებას საქართველოც ვერ დაახწევდა თავს; თუ მეცხრე-მეათე საუკუნეში ის ბერძნებს უმთავრესად იმპერიის პერიფერიებზე ხვდებოდა, ეხლა, XI-XII საუკუნეებში, ათონის ივერიის, პეტრიწონის ღვთის-

ბიზანტინიზმის უპირისპივე გავლენის მაჩვენებელია, სხვათა შორის, საერო პოეზია და მწერლობა, რომელიც აღნიშნულ ხანაში გაიფურჩქნა ჩვენში. შეიძლება ეს სიტყვები ვიმეცს პარადოქსად მოეჩვენოს, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ ქართულს საერო მწერლობას, რომელიც აღმოსავლური, სპარსულ-არაბული, კულტურისა და ლიტერატურის ზეგავლენით განვითარდა, ბიზანტიაში პარალელი არ მოეძებნება. მაგრამ, თუ მხედველობაში გვექნება ბიზანტინიზმის მთავარი დამახასიათებელი თვისება, რომ ის ცხოვრების, აზროვნების და შემოქმედების ყოველ დარგს აუცილებლივ ეკლესიურ-სარწმუნოებრივსა და ქრისტიანულ დღს ასეამდა, ადვილი გასაგები გახდება ის გარემოება, რომ ეკლესიურ-სარწმუნოებრივსა და ბიბლიურ-ქრისტიანულ ელემენტებს თვალსაჩინო ადგილი აქვთ ამ ეპოქის საერო მწერლობის ძეგლებში, არა მარტო ორიგინალურში, როგორცაა „ვეფხისტყაოსანი“, „თამარიანი“, და „აბდულ-მესია“, არამედ აღმოსავლურ-მუსულმანურ ენებიდან გადმოღებულეებშიც, როგორც, მაგალითად, „ვისრამიანი“ „ამირანდარეჯანიანი“, „დილარიანი“ და სხვ.

¹) R a m b o u d, L'empire Grec. au X siècle, p. 511—512, Paris 1870.

მშობელისა და სხვა¹⁾ მონასტერთა მეოხებით, შეიქრა პირდაპირ ბიზანტიის კულტურის ცენტრში, სადაც მან საკუთარი თვალით დაინახა მისი მომჯადოვებე. ი მშვენება, მისი სიდიადე და ტენდენცია დაეკირა მსოფლიო კულტურის ადგილი და დაეჩრდილა სხვა ერთა ნაციონალური კულტურა, რომელსაც ის, როგორც ბარბაროსულ კულტურას, მედიდურად უცქეროდა.

ამას თანდაერთო ის გარემოება, რომ აღნიშნულს პერიოდში პოლიტიკურად გაერთიანებულსა და ძლიერ საქართველოში უაღრესად განვითარდა ეროვნული თვითშეგნება და თავმომწონობა. ეროვნული გათვითცნობიერების პროცესს, როგორც დავინახეთ, ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ მეორე პერიოდში, რომელსაც ამის გამო ვუწოდეთ ეროვნული პერიოდი ჩვენი მწერლობისა. მაგრამ ხასიათი ამ პროცესისა, მაშინდელთან შედარებით, ეხლა სულ სხვანაირია. მეორე პერიოდში ეროვნული თვითშეგნების გაღვიძების შედეგი იყო ის, რომ ქართველები, როგორც ვთქვით, დაღვენ კულტურულ-ლიტერატურული დამოუკიდებლობისა და სეპერაციის გზაზე, მესამე პერიოდში კი საქმემ სხვა მიმართულება მიიღო. ბერძნებსა და ქართველებს შორის ეხლა დაიწყო ერთგვარი მეტოქეობა, რომლის გამოძახილი უფრო მკაფიოდ ქართველთა საზღვარგარეთელს სამონასტრო ცენტრებში გვესმის ჩვენ. შურითა და გესლით აღზნებული ბერძნები არავითარ საშუალებასა და ხრიკებს არ ერიდებიან, რომ ქართველები აღნიშნული ცენტრებიდან გამოაძეონ, მათ ისინი მედიდურად დაჰყურებენ ზევიდან, როგორც ბარბაროსებს, და იქამდეც კი მიდიან, რომ მწვალებლებადაც ჰხადიან მათ ეროვნულ-სარწმუნოებრივი თავმოყვარეობისა და სახელის დასაცავად ქართველებს უნდა დაერწმუნებიათ ბერძნები და სხვებიც, რომ ისინი, თუ განსხვავდებიან ბერძნებისაგან, მხოლოდ ეროვნებით, კულტურისა და სარწმუნოების მხრით კი არც ბარბაროსები არიან და არც, მით უმეტეს, მწვალებლები: მათ იგივე რჯული უპყრიათ, იგივე საეკლესიო წესები, იგივე საღმრთო წერილი და საეკლესიო ლიტერატურა აქვთ, რაც თვით ბერძნებს, რომ ისინი იმავე ბიზანტიური კულტურის ატმოსფეროში ცხოვრობენ, რომლითაც ასე

¹⁾ საყურადღებოა ამ თვალსაზრისით დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სულიერი განწყობილება, რომელიც დავით აღმაშენებელს არამც თუ აყენებს აღექსანდრე მაკედონელის გვერდით, უპირატესობასაც კი აძლევს მას იმ პირობათა მიხედვით, რომლებშიაც უზღებოდათ მოქმედება ერთსაც და მეორესაც.

იყვნენ მაშინ გატაცებულნი ყველგან და რომელიც ყველას იდგაოდ მიაჩნდა. ვინაიდან ბიზანტინიზმი ამ დროს ერთნაირ „მოდად“ იყო გადაქცეული და კულტუროსნობის მაჩვენებლად, ქართველთა გაღვიძებული ეროვნული თვითშეგნება თხოულობდა, რაც შეიძლება, მეტად დამსგავსებოდნენ ისინი ბიზანტიელებს, აწისათვის კი საჭირო შეიქმნა უარ ეყოთ მათ ის კულტურულ-ლიტერატურული სეპერაკია, რომელიც წარმოშვა წინაპერიოდში იმავე ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებამ. ამნაირად დამყარდა ჩვენში ის ულტრა-ბიზანტიური მიმართულება, რომლის დამახასიათებელი თვისებები ლიტერატურაში ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზევით.

ნათქვამიდან ცხადია, რომ უშთავრესი მამოძრავებელი ძალა ქართული ეკლესიური მწერლობა-კულტურისა ამ პერიოდში იყო ბიზანტინიზმი. ჩვენს საისტორიო მეცნიერულს მწერლობაში არის ისეთი შეხედულება, თითქოს აღნიშნულ პერიოდში ქართული მწერლობის განვითარებაზე გავლენა ჰქონდა ლათინურს ეკლესიურ მწერლობასაცო. უნდა შენვიშნოთ, რომ დასავლეთ საქრისტიანოსთან ურთიერთობის შესახებ ქართულ ენაზე ლეგენდები შეუთხზავთ საკმაოდ ადრე. წმიდა ნინოს შატბერდულ ცხოვრებაში ვკითხულობთ, რომ ნინოს მამამ ზაბულონმა მოაქცია ქრისტეს სჯულზე ბრანჯები, პატალონის ველზე მათი დამარცხების შემდეგ. ბრანჯები არის გაარაბებული ფორმა ფრანკებისა ან ფრანგებისა, ხოლო პატალონის ბრძოლა არის რემინისცენცია შალონის ბრძოლისა კამპანიაში 451 წელს.¹ რასაკვირველია, ასეთი ლეგენდების შექმნა, თუგინდ სხვა ენებიდან გადმოკეთება, დასავლეთ საქრისტიანოსთან რეალური ნაცნობობის ნიდაგზე უნდა აღმოცენებულიყო. მართლაც, მეექვსე საუკუნეში ჩვენ ნამდვილი საბუთი გვაქვს იმის, რომ ქართველ და რომაელ ქრისტიანთა შორის მისვლა-მოსვლა უეჭველად სწარმოებდა; ჩვენამდი მოახწია პაპა გრიგოლ დიდის წერილმა, რომელიც მას მიუწერია კათოლიკოზ კირიონისათვის მის ერთერთ დოღმატურ ხასიათის შეკითხვაზე.² ეს მისვლა-მოსვლა და ურთიერთობა უფრო გავრცელებულა მეცხრე საუკუნეში, როდესაც ცნობილმა ილარიონ ქართველმა იმოგზაურა დასავლეთ ევროპაში და ორი წელიწადი ორი თავისი მოწაფით თვით რომში ცხოვ-

¹) Н. Марр, Дѣшнія трохъ святыхъ близнецовъ Спесвица, Еласица и Меласица, стр. 319—323.

²) მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 575—577

რობდა, სადაც ის ყველას აკვირებდა თავისი ღეთისნიერი ცხოვრებით.¹ ლათინებთან ქართველები დაახლოვდნენ განსაკუთრებით მიმდინარე პერიოდის დამდეგს ათონის მთაზე: ექვთიმეს მამის იოანეს (†998 წ.) სიკაცხლეში ათონის მთაზე მოვიდა ბერი ჰრომთა ქუეყნისაჲ, რომელმაც აღაშენა მონასტერი წმ. ბენედიქტეს წესისა. ამ მონასტრის აშენებაში დიდი დახმარება გაუწიეს მას ქართველებმა, რის გამო ქართველი და ამ მონასტრის ბერები ძალიან დაუახლოვდნენ ერთმანეთს.² პროფ. ნ. მარჩი, ითვალისწინებს რა ასეთ პერსპექტივებს, ჰფიქრობს, რომ ტაოკლარჯეთის წრე, საიდანაც გამოვიდნენ ათონის მოღვაწეები, წარმოადგენდა იმ ნიადაგს, რომელზედაც შესაძლებელი იყო ლათინთა ლიტერატურული გავლენა ქართველებზე.³ როგორც უნდა ყოფილიყო ქართველ ლათინთა ურთიერთობა, ყოველ შემთხვევაში, ისეთი დოკუმენტი ჩვენამდე არ შენახულა, რომელიც მოწმობდეს ლათინთა ლიტერატურულ გავლენას ქართველებზე. მართალია, ჩვენს ხელნაწერებში არის ორი ცნობა, რომელიც თითქოს ამ გავლენის სასარგებლოდ ლაპარაკობს: გიორგი მთაწმიდელის დიდს სჯნაქსარში შეტანილია დოროთეოზ ტვირელის თხზულება 70 მოწაფეთათვის, რომელსაც შემდეგი მინაწერი აქვს: ესე სამგზის სანატრულმან და უოჟლად შეუნიერმან დოროთეოზ ჰრომს მუთფუმან რომაელებრ მეტყუელითა წერილითა მოსაკსენებელად დაუტყვა, რომლისაგან ჩუენცა შევკრიბეთ და ბერქენთა ენას ვთარგმანეთ და სცნაურ უოჟელთა ვუკათო;⁴ ამბობენ, რომ დოროთეოზის აღნიშნული თხზულება გიორგი მთაწმიდელს უთარგმნია ლათინურიდან ბერძნულად და მერე ქართულადაცო.⁵ ჯერ ერთი, აქ ლაპარაკია მარტო ბერძნულად თარგმნის შესახებ და არა ქართულად, თან ეს შენიშვნა იკითხება ამ თხზულების სლავურ თარგმანშიაც;⁶ აქ ლაპარაკია არა გიორგი მთაწმიდელზე, არამედ ვილაც ბერძენზე, რომელსაც ეს თხზულება ლათინურიდან ბერძნულად უთარგმნია და რომელსაც მიუწერია ეს შენიშვნა, შემდეგ გადმოსული ქართლსა და სლავურს თარგმანშიაც. მეორე: ათანა-

¹) კ. აქაქელიძე, ნაწყვეტი ქართული ჰაგიოგრაფიის ისტორიიდან, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე I, გვ. 38-37.

²) ათონის კრებული გვ. 30-31

³) Дѣяніе прѣсвѣ свѣтѣхъ блжннѣовѣ, стр. 306-307

⁴) სიძე. მუზ. ხელნ. № 222 გვ. 609

⁵) О. Морганія, Описаніе II, стр. 245

⁶) სოფიის წიგნთსაცავის ხელნაწერი №1345

სე ალექსანდრიელის თხზულების აღსარებაჲ წმიდასა და უბიწოესა ქრისტეანეთა სარწმუნოებისაჲ ს ქართულ თარგმანს, რომელიც გიორგი მთაწმიდელს ეკუთვნის, დართული აქვს შემდეგი შენიშვნა: ესე მართლასა სარწმუნოებისა აღსარებაჲ ჰრომთა წიგნასაგან გადმოგწერე; ვინ აღმოგიათხოთ, ღოგვა უფოთ გლახკისა გიორგისათვის, რომელმან ესე ვთარგმნე. ¹ აქ თითქოს პირდაპირაა ნათქვამი, რომ ეს თხზულება გიორგიმ გადმოთარგმნა „ჰრომთა ვნისაგან“ ქართულად. მაგრამ ესეც გაუგებრობაა: პირველი ნახევარი შენიშვნისა: ესე მართლასა სარწმუნოებისა აღსარებაჲ ჰრომთა წიგნისაგან გადმოგწერე, დამოუკიდებელია, ის ეკუთვნის ბერძენ მწერალს, ხოლო მეორე ნახევარი—გიორგი მთაწმიდელს, რომელმაც მართლა ვადმოიღო ის ბერძნულიდან. ამნაირად ლათინურიდან ქართულად თარგმნას ამ პერიოდში ჩვენ არ ვიხიარებთ, ვინაიდან ჯერჯერობით ამისი საბუთები არაა აღმოჩენილი.

მეოთხე პერიოდი.

მეოთხე პერიოდი ძველი ქართული მწერლობის ისტორიისა გრძელდება მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან მეთექვსმეტეს დამლევამდე. ამ ხანას ჩვენ გამოვჰყოფთ ცალკე პერიოდად არა იმიტომ, რომ მას მიეცეს ჩვენი ეკლესიური მწერლობისათვის რაიმე ახალი მიპართულება და ახალი იდიები, გაემდიდრებოს ის ახალი და მნიშვნელოვანი ორიგინალური თუ ნათარგმნი ნაწარმოებებით ან და შეექმნას ახალი კულტურულ-ლიტერატურული ცენტრები, — არამედ სულ საწინააღმდეგო მოვლენათა მიზეზით: ეს არის პერიოდი ეკლესიური მწერლობის დაკნინებისა და დაკევისა; თუ ვინა ორი პერიოდი ამ მწერლობისა იყო კლასიკური ხანა მისი ზრდა-განვითარებისა, ეს მეოთხე პერიოდი შეიქმნა კლასიკური ხანა მისი დაქვეითებისა. ამ მოვლენის მიზეზად, რასაკვირველია, ვერ ჩავსთვლით ჩვენ იმ გარემოებას, თითქოს წინასაუკუნეების კულტურულ-პოლიტიკურმა ზრდამ და განვითარებამ ქართველები ფიზიკურად და სულიერად მოქანცა, მათი შემოკმედებითი ენერგია ამოწურა, ხნობრივად დასცა და გაათახსირა. ² ჯერ ერთი, არც ფიზიკურად, არც სულიერად ისინი არ მოქანცულან; ამას ჰმოწმობს, სხვა არა იყოს, ის გარემოებაც, რომ იმ აუწერელ უბედურებას, რაც

¹) სიძვ. მუხ. ხელნ. № 63, გვ. 334, № 627, გვ. 6.

²) А. Х а х а н о в а, Очерки по истории грузинской словесности, вып. III, стр. 1.

მათ თავს დაატყდათ გარეშე მტერთა შემოსევით, ქართველები მამაცად და გმირულად იტანენ, თან ეროვნული ღრმად იმდენად მალლა უქირავთ, რომ მათთან დამეგობრებას ეძებენ აღმოსავლეთის ძლიერი ბატონები და მათ პოლიტიკურ მნიშვნელობას სცნობენ ისეთს შორეულ ქვეყანაშიც კი, როგორც იყო ეგვიპტე. რაც შეეხება ზნეობრივად გახრწნა-დაქვეითებას, ამ გარემოებას, ჩვენ ვფიქრობთ, უფრო უნდა შეეწყოს ხელი საეკლესიო-სასულიერო მწერლობის განვითარებისათვის, ყოველ შემთხვევაში ზოგიერთ დარგებში, როგორცაა მორალურ-ასკეტიკური და ჰომილეტიკური. მწერლობის დაქვეითება - დაცემაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რასაკვირველია, იმ აუტანელ პირობებს პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებისას, რომელთა მეოხებით, პირველ ყოვლისა, იძულებულნი იყვნენ ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისათვის ეზრუნათ და მერე მწერლობის განვითარებისათვის. მცაამეტე საუკუნიდან საქართველოს განუწყვეტლივ აოხრებენ და ავერანებენ მონღოლები, XV-XVI საუკუნიდან ოსმალები, ხოლო მეთექვსმეტედან სპარსელები, რომელთაც გაანადგურეს ყოველგვარი ცენტრები მწერლობისა და სწავლა-განათლებლისა, მესხეთი და სამცხე-საათაბაგო, ეს პირდაპირი აკვანი ჩვენი კულტურისა და მწერლობისა, სულ ერთიან გამაჰმადიანდა და საქართველოს ჩამოშორდა. ყველა ამ უბედურებას თანდაერთო საქართველოს დანაწილება ეკლესიურ სფეროში რამოდენიმე საკათოლიკოზოდ და პოლიტიკურში - სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ, რასაც შედეგად მოჰყვა ეკლესიის მეთაურთა ერთმანეთში ქიშპობა, მეფეთა, მთავართა და მსხვილ ფეოდალთაგან ერთი მეორის დარბევა, აწიოკება და განადგურება. ამნაირად, აუტანელი იყო პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მდგომარეობა საქართველოსი აღნიშნულ ხანაში, მაგრამ ამ მდგომარეობას ჩვენ ვერ ჩავთვლით ერთადერთ ფაქტორად ეკლესიური მწერლობის დაქვეითებისა, მას ერთნაირად უნდა ეჩინა თავი საერო მწერლობის სფეროშიც, ეს კი ასე არ მომხდარა: ეკლესიურ მწერლობაში შემოქმედება თითქმის შეჩერდა, საეროში კი მუშაობა გრძელდება; მაშასადამე, ეკლესიური მწერლობისათვის რაღაც სხვა პირობები უნდა ვეძიოთ. ამ მხრივ ყურადღება უნდა მივაქციოთ, პირველ ყოვლისა, შემდეგ გარემოებას: ჩვენ ვიცი, რომ უკვე წინაპერიოდისა და ქართული ეკლესიური მწერლობა იკვებებოდა მხოლოდ და მხოლოდ ბიზანტიური მასალებით და წყაროებით; ბიზანტიის კულტურულ-ლიტერატურული ენერჯია კი მცაამეტე საუკუ-

ნის დამდევრიდან, როდესაც ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლი აიღეს, თანდათან იშრიტება და მე-XV საუკუნეში, როდესაც ოსმალებმა აღიასოფიაზე ნახევარმთვარე აღმართეს, ის სულერთიან, შეიძლება ითქვას, ჩაქრა;¹ ამიერიდან ახალს ბერძნები უკვე აღარც საეკლესიო დარგში ჰქმნიან რასმეს. ქართველებმა წინაპერიოდში გადმოიღეს ბერძნულიდან რაც მათთვის აუცილებელივ საჭირო და საინტერესო იყო, ახალს ბერძენთა შემოქმედება მათ არას აძლევდა, ასე რომ წყაროს დახშვის გამო მათი ლიტერატურული შემოქმედებაც უნდა დახშულიყო. რასაკვირველია, ეხლაც შეეძლოთ მათ სამუშაო გაეჩინათ; მართალია, წინაპერიოდში მათ ბევრი რამ გადმოთარგმნეს, მაგრამ ბერძნული მწერლობა მთლად მაინც არ ამოწურავეთ, გადმოსათარგმნი კიდევ ბევრი იყო, ასე რომ მათ შეეძლოთ, ახალი მასალის უქონლობის გამო, ეთარგმნათ ძველი, ჯერ გადმოუთარგმნელი თხზულებები. მაგრამ ეს, კიდევაც რომ მოენდომებიათ, შეუძლებელი იქნებოდა; საქმე ისაა, რომ თვით საქართველოში გარეშე მტრების თარეშობამ და შინაურმა არეულობამ მთლად ერთიან გაანადგურა ეკლესიური მწერლობის ცენტრები, რაც შეეხება საზღვარგარეთელ ცენტრებს, შექმნილ მდგომარეობის გამო, ისინიც დაეცნ და დაკნინდნ. ოსმალებმა, ბიზანტიასთან ერთად, ეს ცენტრებიც მოსწყვიტეს საქართველოს, მისლვა-მოსლვა საქართველოსა და ცენტრებს შორის ძალზე გაძნელდა და შესუსტდა, ახალი ელემენტები საქართველოდან ამ ცენტრებს აღარ ემატებოდა, ძველი მოღვაწეები კი თანდათან იხოცებოდნ. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ ზოგიერთ ამ ცენტრებში ქართველები სულ გადაშენდნ, როგორც, მაგალითად, შავს მთასა და სინაზე, ზოგიერთებში კი, როგორც ათონი და ჯვარის მონასტერია, იმდენად შემცირდნ, რომ მეტოქეობას ვეღარ უწევდნ ბერძნებს, რომლებიც თანდათან დაეპატრონნ მათ ნაქიხნახულებს.

აი, ჩვენის აზრით, ის მიზეზები, რამაც გამოიწვია ქართული ეკლესიური მწერლობის დაცემა აღნიშნულ პერიოდში. ვინაიდან ეხლა ახალი მაინცა და მაინც აღარ იქმნებოდა და ითარგმნებოდა, ლიტერატურული შემოქმედება უმთავრესად უკვე ნათარგმნ თხზულებათა გადაწერაში, სადაც კი ეს შესაძლებელი იყო, გამოიხატებოდა. ამის გამო ლიტერატურული ენა არც წინ წაწეულა და მაინცა და მაინც არც წარყენილა: ეხლანდელი მწერლები, ძველს თხზულებებზე აღზრდილნი, ხშირად ამ თხზულებათა

¹) K. K r u m b a c h e r, Geschichte der byzantinischen Litteratur, 1897, S. 1.

ენას ჰბაძავენ და მის თვისებებს იმეორებენ; ამით აიხსნება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ეს ეპოქა გვაძლევს ჩვენ კლასიკური პერიოდის ნორმებით შესრულებულს ლიტერატურულ ძეგლებს.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, რასაკვირველია, ამ ეპოქაშიაც იქმნებოდა თუ ითარგმნებოდა ახალი თხზულებანი, მაგრამ ისეთი მცირე მაშტაბით, რომ ეს ვერ ასუსტებს ამ პერიოდის იმ დახასიათებას, რომელიც ჩვენ წარმოვადგინეთ.¹

მეხუთე პერიოდი.

მეხუთე პერიოდი ძველი ქართული მწერლობის ისტორიისა იწყება მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგიდან და გრძელდება მეცხრამეტე საუკუნის თითქმის ოცდაათიან წლებამდე. ამ პერიოდს ეწოდება ალორძინების ან ვერცხლის ხანა ქართული მწერლობისა საზოგადოდ და ეკლესიურისა კერძოდ. მართლაც, აღნიშნულ პერიოდში ქართველ ერში თავი იჩინა ძლიერმა კულტურულ—განმანათლებელ მოძრაობამ: გამოცოც-

¹) თუ იმ ცნობებს დაუჯერებთ, რომელნიც მოყვანილია ზ. კიკიძის წიგნში—„ქართული მწერლობა მეცამეტე საუკუნიდან მეთექვსმეტე საუკუნემდე“ (ტფილისი 1885 წ.); უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული მწერლობა ამ პერიოდში არაშუი თუ დაქვეითების, პირიქით—პროგრესის გზაზე დამდგარა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს ცნობები ეწინააღმდეგება არა მარტო ეკუმენიტანულ ისტორიულ-ლიტერატურულ ფაქტებსა და ქრონოლოგიას, არამედ ერთი მეორესაც. მაგალითად, არავითარი ცნობები არ შენახულა ევდემონ კათოლიკოსის (გვ. 2), ნიკოლოზ კათოლიკოსის (3), პიმენ სალოსის (3), ვასილ ათონელის (3--4), ელისე მთავარეპისკოპოსის (16), მიხეილ და არსენ კათოლიკოსის (16), მაკარი მღვდელმონაზონის, გიორგი არქიმანდრიტის (17), ნიკოლოზ კათოლიკოსის (20—21), თეოდორე ეპისკოპოსის (21), აბრაამ კათოლიკოსის (22—23), ბასილ მთავარეპისკოპოსის (23), ზაქარია კათოლიკოსის (26), დომენტი პირველის (26), მიხეილ ბერის (30), იოსებ მიტროპოლიტის (30), დანიელ მღვდელმონაზონის (30), ვერმანე ეპისკოპოსის (31), მელქისედეკ კათოლიკოსის და ნიკოლოზ ბაგრატიონის (31) სალიტერატურო მოღვაწეობისა და მათი თხზულებების შესახებ. თუ მართლა არსებობდნენ ასეთი „მწერლები“, უკეთეს შემთხვევაში ისინი, შეიძლება, ყოფილიყვნენ „გადამწერნი“ ან შემკვეთელ—მომგებელნი მათ სახელთან დაკავშირებული თხზულებებისა, თუმცა, დანამდილებით შეიძლება ითქვას, მომეტებული ნაწილი ასეთი თხზულებებისა არ იცის არც საზოგადო, არც ქართული ეკლესიური მწერლობის ისტორიაში, კერძოდ „სელინის კრების? შეტაფრასტი“ (გვ. 25). ზოგიერთ ამ პირების თხზულებას ავტორი სხვა ადგილას სხვებს შიაწერს; მაგალითად ნიკოლოზ კათოლიკოსის „მოგება სულისა“ (გვ. 21)—მაჰა ეხეიელს (მისივე „ქართული მწერლობა მე-XI საუკუნისა“, გვ. 25); ბასილ მთავარეპისკოპოსის „სიმონ კანანელის და ანდრია მოციქულის ცხოვრებას“ (გვ. 23)—გიორგი ტყონდიდელს (ქართული ბწერლობა XI ს. გვ. 29). აბრაამ ეპისკოპოსის „ბრწყინვალე კვირას“ (22)—არსენ ბუღაიანიძეს (გვ. 1). ყველა ამას თანერთვის უცნაური ნაქრონიზმები; მაგალითად, აბრაამ კათოლიკოსს, რომელიც „ცხოვრობდა მეცამეტე საუკუნეში“, ავტორი შიაწერს, სხვა თა შორი, წიგნს „ფლორენციის კრებისას“ (გვ. 3), რომელსაც, როგორც ვიცით, ადგილი ჰქონდა 1438—1439 წლებში.

ხლდა და გაუმჯობესდა სასკოლო საქმე, გაჩნდა ახალი ბუდე და წყაროები ლიტერატურული (უშაობისა, შემოღებულ იქმნა წიგნის ბეჭდვის ხელობა, საფუძველი დაედო ისეთ წიგნთსაცავებს, როგორც იყო მცხეთისა და ანტონ კათოლიკოზის, რომელთაგან უკანასკნელში 7000 ტომი ითვლებოდა.¹ გაიზარდა წერა-კითხვის მკოდნეთა წრე, განსაკუთრებით ქალთა შორის, როგორც ამას ამოწმებს კაპიტანი იაზიკოვი თავის მოხსენებაში: что же принадлежит до благородныхъ женщинъ, онѣ всѣ писать умѣютъ;² გაფართოვდა წრე ლიტერატურულ მოღვაწეთა: თუ წინაღ მწერლობას სათავეში მომეტებულ ნაწილად სამღვდლო-სასულიერო პირნი უდგენ, ეხლა ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს საერო პირებმაც და, რაც საყურადღებოა, სამეფო ოჯახის და გვარეულობის წევრებმა, როგორც მამაკაცებმა, ისე დედაკაცებმა (მაკრინე, ირაკლი მეფის ასული); გამშვენდა ლიტურგიკული მხარე საეკლესიო ცხოვრებისა, დამუშავდა და აყვავდა საეკლესიო გალობა, განსაკუთრებით ეგრედწოდებული „ქრელი“, რომელიც რუსულ კონცერტს უდრის.³ ვაიშალა და გაფართოვდა ასპარეზი ქართველთა საერთაშორისო კულტურული დამოკიდებულობისა, რაც გამოიხატა უცხო ენის მკოდნეთა გამრავლებაში და მკიდრო ლიტერატურული კავშირის გაჩაღებაში, ბერძნების გარდა, დასავლეთ ევროპასთან, რუსეთთან და სომხეთთან. ეს მოძრაობა მოედო ყველა წრეს, წოდებას და მდგომარეობას საქართველოში, მისმა ნაკადმა გადმოლახა საქართველოს სახლერები და მახლობელ მეზობლებსაც კი შეეხო; მაგალითად, ქართულიდან ითარგმნა სახარება სპარსულ ენაზე;⁴ ძეგლები ასეთი მუშაობისა დღესაც ამკობენ ჩვენს სი-

¹) ერთი ცნობით, როდესაც ვახტანგ მეფემ ტფილისის ტკამბაში წიგნები დაბეჭდა პირველად, მან ისინი დაარჩია მთელ საქართველოში და სამაგიეროდ ხელნაწერები მოითხოვა; შეაგროვა მრავალი ხელნაწერი, რომელთათვის სიონის მახლობლად აგებულ იქმნა წიგნთსაცავი (იხ. დროები • 1878 №111).

²) А. Цагарели, Свѣдѣнiя, III, стр. XXIV.

³) ამ დროს შექმნილა მთელი შკოლა მგალობლებისა, რომელნიც ავრცელებენ მას საქართველოს ყველა კუთხეებში; განსაკუთრებით ცნობილი ყოფილან: გერასიმე მღვდელმონაზონი (შემდეგ არქიმანდრიტი), რომელსაც 501 ქრელი სცოდნია, და გუზარდია მთელი რიგი შეგირდებისა; მღვდელმონაზონი გერონტი სოლაყაშვილი, ხუთასამდე „ქრელის“ მკოდნე; ისააკ ხუცესი კანდელაკი, „მგალობლობითა სრული, რომელმან იტოლა „ქრელი“ ათას ერთი, და სხუანი მრავალნი“ (მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის ძველი საქართველო ტ. I, განყ. 3, გვ. 34, 38, 40, 53, §§ 81, 92, 97, 132.)

⁴) მეფე დავით იმამ-ყული-ხანის მიერ; ხ. კიკინაძე, ქართული მწერლობა მეჩვიდმეტე საუკუნეში, გვ. 11.

ძველეთსაცავეებს.¹ ეხლა, ამ პერიოდში, ქართველებმა იკასრეს ოსურ ენაზე მწერლობის შექმნის ინიციატივა და უთარგმნეს ოსებს საღმრთო და საეკლესიო — მოჩალური ხასიათის წიგნები მშობლურ ენაზე. ასეთი მოძრაობა დაიწყო მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგს, მის ნახევარში ის უკვე ფაქტია, მერე თანდათან იზრდება და ძლიერდება, მისი ტალღები გადმოდის მეცხრამეტე საუკუნეში და ამ საუკუნის ოცდაათიან წლებში ქრება ჩრდილოეთიდან შემოპირილს ანტინაციონალურ ოკეანეში. რომელმაც ჩანთქა ქართული ეკლესია, ქართული შკოლა, მწერლობა, სული და თავისებურობა.

აღორძინება მწერლობაში გამოიხატა, პირველ ყოვლისა, იმაში, რომ ამ ეპოქას მწიგნობრებმა ქართულ მწერლობას მოაცილეს ის ფერფლი, რომლითაც დაფარა ის დაცემის ხანის წყევლიაღმა, და ამნაირად ხელი შეუწვევს კლასიკური ლიტერატურის მითვლემილ ნაკვერცხალთა აღაპლაპებას. ეხლა გულმოდგინედ დაქძებენ წინაპერიოდში ნათარგმნ თუ დაწერილ თხზულებებს და დაუღალავად იღებენ მათგან პირებს; ამით აიხსნება, რომ მეთვრამეტე საუკუნიდან ჩვენამდე შენახულა ნუსხები ისეთი თხზულებებისა და ტექსტებისა, რომელნიც, თუ არა ამ გზით, ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგული იქნებოდა; ეს უნდა ითქვას განსაკუთრებით ბიბლიური ტექსტების (სიძვ. მუხ. ხკლ. № 51, მოსკოვის გამოცემა) და ეგზეგეტიკურ-დოღმატაიკურ მწერლობის შეახებ. ტექსტებისა და ნუსხების დამზადების პროცესში შეიქმნა არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი საკალიგრაფიო შკოლა, ამათგან ყველაზე უფრო საყურადღებოა მესხი შვილთა შკოლა, რომლის საუკეთესო წარმომადგენლებად ითვლებოდენ დეკანოზები გრაგოლი, ალექსი, გიორგი, სლომოონი, დავით რექტორი და ტარასი არქიმანდრიტი. ჯუფრო მძლავრად აღორძინების ნაკადმა თავი იჩინა ახალ თხზულებათა თარგმნაში და ორიგინალურ შემოქმედებაში. რა დარგიც უნდა ავიღოთ მწერლობისა, ყველგან ჩანან თავდადებულნი მუშაკნი, რომელნიც ამდიდრებენ მას სხვადასხვა ნათარგმნი თუ ორიგინალური თხზულებებით. გაჩნდა ახალი დარგიც მწერლობისა, ეგრედწოდებული მოგზაურობანი წმიდა ადგილთა მოსახილველად და მოსალოცაველ, რომელნიც არ ჩამოუვარდებიან დაკვირვებითა და ერუ-

¹) Н. Марръ, Описание персидскаго рукописнаго Четвероевангелія, ЗВОРА Общ., т. III. стр. 377--381.

დიციით სხვა ერთა ანალოგიურ თხზულებებს. განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ეკლესიური მწერლობის პოპულარიზაციას; ამ მიზნით ახალი თხზულებები უმეტეს შემთხვევაში ითარგმნება და იწერება უბრალო, მარტივი და ლათონი ხალხურა ენით: გაქონაკლისს შეადგენს ანტონ კათოლიკოზი და მისი შკოლა, რომელმაც მოინდომა პეტრიწონული შკოლის ენის აღდგენა და გაბატონება, მაგრამ ამ მისწრაფებამ თანამედროვე საზოგადოებაში ძლიერი პროტესტი გამოიწვია და ფართო მასში ხორცი ვერ შეისხა. პოპულარიზაციის მიზნითვე ახალი თხზულებები იწერება ძაან ხშირად პოეტური ფორმით, ლექსად, ეგრედწოდებული ანბანთ-ქების სახით. სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ელემენტითა და ტენდენციით გამსჭვალულია მრავალი, თვით საერო ზასიათის, ნაწარმოები, რომლებითაც ასე მდიდარია აღორძინების ხანა.

ამ ეპოქის ეკლესიურ მწერლობაში უფრო ძლიერად გამოსჭვივის ეროვნული მიმართულება, ვიდრე წინაპერიოდებში. ეროვნული ტენდენცია ასულდგმულედა და ამოძრავებდა ხშირად ამა თუ იმ მოღვაწეს, უფრო კი უცხოეთში გადახვეწილს, როდესაც ის ასეთ სიტყვებს ამბობდა: არ მომწეინდების თქუენთანა საყბარი, ჯ ქართკელნო, სიბრძინსმოყუარენო; აღტუხიდეზო მ.ქკს ნიჭად თქუენდა მომართ შრომად, უბნობად, წერად, მოშაობობად, ამაღ გითარაშედ მიუფართ ჭკუშარიტებთ¹. ეროვნულმა მიმართულებამ თავი იჩინა: 1) კაპიტალურ საისტორიო თხზულებებში, რომლებითაც ასე მდიდარია ეს ეპოქა, განსაკუთრებით მეთვრამეტე საუკუნე; ² 2) მამაპაპურ სიძველეთადმი ყურადღებაში, რომელსაც იჩენენ საქრისტიანო აღმოსავლეთში მოგზაურნი (ტამოთე, იონა, გიორგი ავალიშვილი და სხვ.) და საქართველოს განაპირებში ქრისტიანობის ისტორიის მიმოძიებელნი ³, 3) ნაციონალურ პაგიოგიოგრაფიაში: ეხლა იწერება ახალი რედაქციები ძველ წმიდათა ცხოვრებისა, ითხზება ცხოვრება და მოქალაქობა ახალი, თანამედროვე მოწამეებისა, ვრცელდება ზუსსები პაგიოგრაფიული ძეგლებისა; 4) ნაციონალურ საეკლესიო ჰიმ-

¹) ანტონ კათოლიკოზი, წინასიტყუობა „კატეხიზმისი“, ტაეპი 828 „წყობილ სიტყუაობისა“.

²) ფარსადან გორგჯანიძე, ვახტანგ შრე და „სწავლულ კაცთა“ კომისია, ვახუშტი ბატონიშვილი, სუხია ჩხეიძე, პაპუნა ორბელიანი, ომან მღვიანვეგი ხერხეულიძე.

³) ვინმე იოანე ჩხატურელს 1698 წელს დაუწერია კობულეთში ქრისტიანობის გ. ვრცელების და მერე თათართაგან აღმოუბრის ისტორია; აგუთივე შრომა დაუწერია 1725 წ. მახლობლად მონზონს კეტრე ჩხატარაშვილს, ტრაპიზონში აღბრდილს, რომელსაც ანტონ კათოლიკოზი უწოდებს „მესტიურის და მქაიურის“.

ნოგრაფიაში: ამ ეპოქაში გამოჩნდა მთელი რიგი ჰიმნოგრაფებისა, როგორც სასულიერო, ისე საერო წრეებიდან, სამეფო ოჯახებიდანაც კი, რომელთაც დაწერეს ქართველ წმიდათა ახალი საგალობლები; ასე რომ ის ჰიმნები, რომლებითაც ამკობდა საქართველოს ეკლესია თავის ნაციონალურ წმინდანებს წინაეპოქებში, ეხლა, უმეტეს შემთხვევაში, შეიცვალა ახალ ავტორთა ნაწარმოებით.

ასეთია საზოგადოდ ხასიათი და მიმართულება აღორძინების ხანის მწერლობისა. რამ გამოიწვია ეს აღორძინება და რამ შეუწყო ხელი მის ზრდა-განვითარებას? უმთავრეს როლს ამ შემთხვევაში ორი ფაქტორი თამაშობდა: პოლიტიკური და კულტურული. წინაეპოქის ხანგრძლივმა უბედურებამ ქართველების ნებისყოფა გააკაფა და მათში გააღვიძა შეგნება ეროვნული მთლიანობის კეთილნაყოფიერობისა. წინაინდელმა პოლიტიკურმა პასივობამ, ინტრიგანობამ და აღმოსავლეთის დესპოტთა წინაშე ეფემერულ უფლებათა შენარჩუნებისათვის მლიქვნელობამ და სამარცხვინო მუხლთდრეკამ ქართველ მეფეთა შეგნებაში ადგილი დაუთმო საქართველოს მთლიანობისა, დაპოუკიდებლობისა და ძლიერებისათვის ზრუნვას. ვახტანგ მეექვსის თავგანწირულებამ და განსაკუთრებით ირაკლი მეორის პოლიტიკამ, შინაურმა და საგარეომ, ხელი შეუწყო საქართველოს გაერთიანებას, და პოლიტიკურად მოძლიერებას. რამაც, თავის მხრივ, გააუმჯობესა პირობები სამწერლო-საგანმანათლებლო მოქმედებისა. კულტურულ ფაქტორთა შორის პირველად ყოველისა უნდა აღინიშნოს საქართველოში წიგნისბეჭდვის საქმის შემოღება და სტამბების გახსნა, რამაც გაამრავლა წიგნების რიცხვი, გააადვილა მათი შეძენა და მით ხელმისაწვდომი გახადა ფართო მასისათვის. მერე უნდა დავასახელოთ სასკოლო საქმის გაუმჯობესება და ორგანიზაცია; ეხლა მოძრაველდა რიცხვი როგორც ელემენტარული, პირველდაწყებითი სკოლებისა, ისე საშუალო-სამეცნიერო სასწავლებელთა, რომელთაც შექმნეს მთელი თაობა მომზადებელი ლიტერატურულ მოღვაწეთა.

უფრო საყურადღებო და მნიშვნელოვანია ევროპის კულტურის შემოქრა ჩვენში. იმატა და ავლეთ ევროპიდან კომერსანტთა და მისიონერთა ტალღამ, რომელსაც შემოაქვეს ჩვენში სხვადასხვა ცოდნა. მეორე მხრით ევროპის კულტურა შემოდის ჩვენში ჩრდილოეთით, რუსეთიდან; ეს გზა გეოგრაფიულადაც და კონფენსიონალურადაც უფრო მისაღები იყო ქარველებისათვის, ვიდრე პირველი. ამ ფაქტებმა შექმნეს ჩვენი რენესანსი, ხელი შეუწყვეს კულტურისა და ლიტერატურის

აღორძინებას და მისს, ასე ვთქვათ, გავერაპაელებას და აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მობრუნებას.

როდესაც ლაპარაკია აღორძინების პერიოდის ეკლესიური მწერლობის შესახებ, ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: რავდენადაც სერიოზული, შინაარსიანი და საყურადღებოა ორიგინალური შრომანი ამ პერიოდში, იმდენად უფერული, უმნიშვნელო და წერილმანია ნათარგმნრ, რასაკვირველია თითო-ოროლას გამოკლებით. ნათარგმნ მწერლობას აკლია სიდიადე და ინტერესი IX—XII საუკუნეებში გადმოღებული ძეგლებისა, ის ჩვენ არ გვაწვდის ისეთს სულიერ საზრდოს, როგორსაც აწვდიდა აღნიშნული საუკუნეები თანაქედროვით. რასაკვირველია, ეს აიხსნება არა ქართველთა შემოქმედებითი ნიჭისა და აღმრჩეველობითი აღლოს დაჩლუნგებით, — ამ შემთხვევაში ორიგინალური მწერლობაც ხომ ასეთივე ღირსების უნდა ყოფილიყო, — არამედ მწერლობის დაკნინებით იმ ენებზე, რომლიდანაც ქართველები სთარგმნიდენ ამ პერიოდში. მართლაც, არც ერთს უცხო ეკლესიურ ლიტერატურას, რომლას ნამდვილსა და მუდმივს ზეგავლენას განიცდიდა ამ დროს ჩვენი მწერლობა, სერიოზული შემოქმედების ნიშანწყალი არ ატყვია, ის დაკნინებული და უფერულია, როგორც შემოღობის დამკნარი ყვავილი.

ვას, რომელ უცხო ტომთა ლიტერატურის ზეგავლენით ვითარდებოდა ამ პერიოდში ქართული მწერლობა? ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ქართველთა ლიტერატურული საერთაშორისო დამოკიდებულების წრე ამ პერიოდში, წინანდელთან შედარებით, შესამჩნევად გაფართოვდა; მართლაც, მიმდინარე პერიოდში ჩვენი მწერლობა განიცდის ბერძნული, სომხური, ლათინურ-იტალიური და რუსული მწერლობის ზეგავლენას.

მართალია, ბერძენთა ლიტერატურა, რომელმაც; როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, უკვე XIII—XV საუკუნეებში დაასრულა პრაქტისი თავისი ზრდა-განვითარებისა, ეხლა ახალსა და ნოყიერ საზრდოს აღარ იძლევა, ის სულ ერთიან გამომშრალ-გამოფიტულია, მაგრამ, თანახმად ტრადიციისა, ქართველები მაინც არ სწყვეტენ იმასთან კავშირს და იღებენ და ითვისებენ იმისაგან ყველაფერს, რის გადმოღებაც კი შეიძლება. ეხლა, ამ პერიოდში ქართველები უფრო ხშირად დაიარებიან ბერძნული აღმოსავლეთის მოსახილველად, სადაც ისინი უკვარდებიან აღვილობრივ ზნე ჩვეულებას, საეკლესიო ცხოვრებას და მწერლობას. თვით ბერძნებიც მოდიან ჩვენში, შეწირულების შესაკრებად თუ სხვადასხვა მისიითა და მონღობილობით, და ზოგი მათგანი ხანგრძლივად რჩება სა-

ქართველოში, ქართულ ენას სწავლობს და შემაერთებელ ხიდად ხდება ქართველთა და ბერძენთა შორის. მაგალითად, მეთვრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში ჩვენში ყოფილა პამფილიის მიტროპოლიტი პარტენი, რომელიც ბერძნულ ენას ასწავლიდა ბატონიშვილს თეიმურაზს¹ (შემდეგში ანტონ კათოლიკოზი) და ირაკლი პირველის ასულს მაკრინას. ირაკლი მეორე მის დროს გამოცემული პარაკლიტონის ანდერძში ამბობს, რომ ანტონ კათოლიკოზმა რუსეთში ყოფნისას ქართული პარაკლიტონი შეადარა ბერძნულ პარაკლიტონთან, რომელშიაც სერობის საღვთისმშობლო კანონი არ არისო; რომელიც ბერძენთა დროს ჩუენსა იყოფებოდენ მათგან გუგუწყებოდა ესრეთ, რომ ბერძენებს საღვთისმშობლო კანონი, რვა ხმისა, ცალკე წიგნად აქეთ და პარაკლიტონში ის არ შეაქეთო. ჩვენ ფრად ვიშეცადინეთ მათდამი, რათამცა გვეხილვა, და ვინაჲოგან დროსა ჩუენსა აქა შეყოფათ ბერძენთა არა აქუნდათ ეს წიგნი და ჩვენს ქვეყანაში არც წინეთ ვის ეხილვა ისო, დატოვება ველარ გაგებდეთ აღნიშნული კანონისა, რადგანაც ქართველები ღვთისმშობლის წილხვდომილნი ვართ, და პარაკლიტონში შევიტანეთო.² აქედან ცხადია, რომ მაშინ ჩვენში ყოფილა განათლებული ბერძენები, რომლებთანაც წიგნების გამოცემისას ბკობენ ჩვენი წინაპრები. ერთერთ ასეთ პირს ირაკლი ასახელებს მის მიერ გამოცემულს ზატიკში; ის ამბობს ამ წიგნის ანდერძში: წიგნი ესე ზატიკი ბერძნულსა ზატიკსა ზედა შევაწამებინეთ წინაჲ ჩუენსა თანდასწრებითა სამღვდელთაჲსა კრებისა ჩუენისაჲთა ნათესავით ბერძენსა, სახელით იოანეს ქსიფილინოსსა, რომელიცა განსწავდულ არს თვისსა ენასა ზედა და ქართულსაჲ შინა წერაჲსა დაკულოვნებულ-ო.³ რასაკვირველია, ჩვენ ვერ დავიჯერებთ კათოლიკე მისიონერთა ცნობებს, თითქოს ქართველებს ამ დროს ისინი უთარგმნიდენ ბერძნულ ლიტურლიკულ წიგნებსა და წესებს: ⁴ ამის ნებას, სხვა რომ არ იყოს რა, მათ არ მისცემდა სამისიონერო მიზანი და კონფესიონალური რწმენა; მაგრამ ცხადია, რომ ბერძენებთან ამ დროს ქართველებს უფრო მჭიდრო ლიტერატურული კავშირი ლიტურლიკულს დარგში ჰქონიათ. საღვთისმსახურო წიგნებს, როგორც ირაკლი მეფის ზემომოყვანილი სიტყვებიდანაც დავინახეთ, ისინი

¹) პლ. იოსელიანი, წყობილსიტყვაობა, გვ. V—VI

²) პარაკლიტონი, მოსკოვში გამოცემული 1861 წ. გვ. ქეთ.

³) ზატიკი ტფილისში გამოცემული 1868 წ. გვ. ფბ.

⁴) გ. თამარიშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 182, 184 et pass.

ნი აღარებენ ბერძნულ დედანს, ზოგიერთ რამეს ახლად სთარგმნიან, როგორც, მაგალითად, მეთერამეტე საუკუნის დამდეგს კვიპრიანე სამთავნელმა ბერძნულიდან გადმოიღო კურთხევანი; ანტონ კათოლიკოზი მღვდელმთავრის ქიროტონიის წესის წინასიტყვაობაში ამბობს: ესე უკუე წესი გამოჩნევისა და კულდასხმისა მღვდელმთავრობითისა განიშართა ჩუენ მიერ წინადადებითა საბერძნეთისა და რესეთისა ეკლესიისაგან ჰერობელთა... განწყაებათაგან... და ესრეთ უჩაბესისა აღმჩნეველმან უოველი აღსარებაჲ სარწმუნოებისაჲ და ლოცვანიცა კელთსდასხმითი ბეძულისაგან.. ნათარგმანებისა შევაწყვენო.¹ ბერძნულიდან სხვა დარგებშიაც სთარგმნიდენ, მაგალითად—საეკლესიო სამართალში, დასახელებული იოანე ქსიფილონისი, დოღმატიკურში - აღსარებაჲ მართლისა სარწმუნოების-ჲ ნექტარი იერუსალიმელისა;² უთარგმნიათ აგრეთვე ისტორიული თხზულებებიც, მაგალითად ბაგრატ სოლოლაშვილს გაუმოუღია ბერძნული ენიდან ხაზინა-დრაფი,—ისტორია დასაბამითგან სოფლისაჲთ, თეოდოსი მცირის შეფობის დასასრულამდე; გაიოზ რექტორს წიგნი აღაპიტე კონსტანტინოპოლელ არქიდიაკონისა და სხვ. როგორც ვხედავთ, ქართველებსა და ბერძენთა შორის ამ პერიოდშიაც საკმაოდ გაცხოველებული ლიტერატურული ურთიერთობა ყოფილა.

განახლდა და გაცხოველდა ამ პერიოდში, განსაკუთრებით მეთერამეტე საუკუნეში, სომეხ-ქართველთა ლიტერატურული ურთიერთობაც; ამ დროს წარმოიშვა მთელი რიგი სომხურიდან ნათარგმნ წიგნებთან, განსაკუთრებით ღვთისმეტყველებასა და ფილოსოფიაში. ეს აიხსნება იმით, რომ სომხები XVII—XVIII საუკუნეებში კულტურულ-ლიტერატურული მხრით შედარებით კარგს პირობებში აღმოჩნდენ, ნათ აღმოაჩნდათ კულტურული სიმდიდრე, ევროპასთან მტკიცე კავშირით შეძენილი. ერთის მხრით, შაჰაბაზის მიერ ძალდატანებით განდევნილმა და სპარსეთში, ჯულფაში, დასახლებულმა სომხებმა, მეორე მხრით, ევროპაში დაფუძნებულმა მეხიტარისთა სამონასტრო-სამეცნიერო კოლონიამ, შექმნეს ის პირობანი, რომელთაც შესაძლებელი გახადეს სომხური აზროვნების ევროპიულთან დაახლოვება. ეს დაახლოვება გამოწვეული იყო, სხვათაშორის, ევროპიულ მისიონერებთან გაცხარებული პოლემიკური მოთხოვნილებითაც.³ ცნობისმოყვარე და სწავლის მაძიებელმა ქართვე-

¹) О. Жорданія, Описание I, стр. 227

²) ს ი ძ ვ. მ უ ზ. № 529, 586, 239

³) Н. Марр, Иоаннъ Петрицкiй, стр. 10—11.

ლებმა შეიგნეს ეს უპირატესობა სომეხთა კულტურული ცხოვრებისა და განიზრახეს თავისი საკუთარი მიზნებისათვის გამოყენება მისი თვით საქართველოში მცხოვრებ სომეხთა საშუალებით. ამათგან რამდენიმე პირი კარგადაა ცნობილი მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში; მაგალითად: 1) ზაქარია ვართაპეტი მადინაშვილი, რომელიც იყო ზედმიწევნით ფილოსოფოსი, ღვთისმეტყველი და მეურნალობის კელფენებისა და მეცნიერი. ამან ასწავა მრავალთა ქართველთა და სომეხთა სწავლასოფოსო წერდნი და მან განუმარტნა კავშირი ღვთისმეტყველებითი, ჰორთერის ფილოსოფოსისა ხუთი კმა და საზღვრისა წიგნი, დაკით უძველესისა ფილოსოფოსისა მიერ ქმნილი, სხვათა და სხვათა მოწაფეთა და ამით განანათლა მრავალი¹. 2) ტერ-ფილიპე ყაითმაზაშვილი, ესეც ზედმიწევნით ფილოსოფოსი, მსგავსი ზემოკსენებულისა ვართაპეტისა; ამანც მრავალნი მოწაფენი განსწავლან და შეეწია რამდენთამე წიგნთა თარგმანებათა შინა კათალიკოსს ანტონს ჰორგელს (იქვე) 3) ტერ-პეტროზა, მსგავსი ზემოკსენებულთა და მთარგმნელობასა შინაც კარგ, რომელ შეეწია ამანც კათალიკოსს ანტონას თარგმანებასა შინა წიგნისა. ამანც დროს იყვნენ აგრეთვე კარგნი მთარგმნელები სომხურისა ენისაგან ქართულად და კარგნი დრამატკოს-დოღმატიკოსნი, ტერ-დავითა და ტერ-სამოელ.² ქართველთა შორის გამოჩნდენ ამ დროს კარგი მკოდნენი სომხური ენისა, რომელნიც თვალყურს აღევენებდენ სომხურ მწერლობას და ხელს უწყობდენ ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის განმტკიცებას; მაგალითად მსაჯული მზექაბუჯ ორბელიანი, რომელმაც თარგმნა სომხურიდან „პერიერმინია“ არისტოტელისა;³ ეგნატე ონისიმესძე მარტყოფელი, პლატონ იოსელიანის მამა, რომელსაც ფილოსოფიის კუჩხი (იოანე დამასკელის დიალექტიკა და პროკლე დიადოხოსის კავშირნი) ახსნით ასწავა და სახელეებულმა მზექაბუჯ ორბელიანმა;⁴ დოსითეოზ ნეკრესელი, რომელმან უწყოდა სომხური ენა კეთილად და გადმოაღო სომეხთა ენასაგან მიხითარ ბრძნისა რიტორება;⁵ გლახანათის შვილი, სომხურსა ენასა ზედმიწევნითი, რომელმანც გარდამოიღო სომხურისა ენისაგან სემიონ ჭუღფელ ფილოსოფო-

¹) მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის, ძველი საქართველო ტ. I, გვ. 3 გვერდი 45.

²) იქვე გვ. 46.

³) იქვე გვ. 44.

⁴) იქვე გვ. 42.

⁵) იქვე გვ. 39.

სისაცან შემოკლებული კავშირი ნაკლებ დადოხისისა და სხუანიცა წერილი. ¹ ქვემოთ, როდესაც ლაპარაკი გვექნება ანტონ კათოლიკოსის შესახებ, დავინახავთ, რომ ამ დროს ტფილისში ერთგვარი მიმართულებაც კი დამყარებულა, რომელიც გატაცებული იყო, განსაკუთრებით ფილოსოფიაში, სომხურიდან ნათარგმნი თხზულებებით, უფრო კი სვიმეონ გაჩეღის ან ჯულფელის შრომებით, და მათ უპირატესობას აძლევდა ძველ თარგმანთა წინაშე, ისეთთა წინაშეც კი, როგორც იყო იოანე პეტრიწი; ანტონი იძულებული იყო ლიტერატურულადაც გამოეღაშქრნა ამ მიმართულების წინააღმდეგ და, მიუხედავად იმ დავალებისა და პატივისცემისა, რომელსაც ის გრძნობდა ზოგიერთა სომეხ მთარგმნელთადმი, ჰკიცხავდა მათ შრომებს, რასაკვირველია ძველ თარგმანთა ad majorem gloriam. სომხური ენიდან ამ პერიოდში საღვთისმეტყველო თხზულებანიც კი უთარგმნიათ; მაგალითად, ანტონ კათოლიკოსმა ათარგმნინა „ღრახტყანკალი“ ან „სამოთხე საწადელი“ კათოლიკოს ლაზარე ჭუკელისა იმაში გატარებული აზრების დასარღვევად, აგრეთვე „საუნჯე“ კირილე ალექსანდრიელისა; ანტონ ცაგერელმა, — „ღმრთისმეტყველება შემოკლებითი“. სომეხ-ქართველთა ლიტერატურული ურთიერთობა აღნიშნული პერიოდისა მარტო იმით კი არ ამოიწურებოდა, რომ ქართველები სომხურ წიგნებს სთარგმნიდენ, — ამასვე სჩაღიოდენ სომხებიც; ჩვენამდე შენახულა დოკუმენტი, ანასტასი ანტიოქელის კატეხიზმო, რომელსაც ეწოდება სიტყუაჲ კითხვა — შიგვითთა საღმრთოჲსა გულისხმის უოფისთჲს; ამ თხზულებას შემდეგი პინაწერი აქვს: წიგნი ესე კონსტანტინოპოლისს ქართუელმან ვისმე მკნისეჲმან ბერძენთა ესასაცან სთარგმნა ქართუელად ლიტონად და ბერძენ საქართველოის სომეხმა — სომხურად, რომელმაც თავის თარგმანში ბევრი თავისებურება შეიტანაო. ²

ამავე პერიოდში ქართველებმა დაამყარეს მტკიცე და მჭიდრო კულტურული კავშირი დასავლეთ ევროპასთან; ამ კავშირს საფუძველი დაუდო მეცამეტე საუკუნეში რუსუდან დედოფალმა, რომელმაც მიწერმოწერა გამართა პავი ჰონორისთან მონგოლთა წინააღმდეგ დახმარების მისაღებად. მას შემდეგ ქართველ მეფეებსა და მთავრებს არა ერთხელ

¹) იქვე, გვ. 36. ვინმე იოანე ჯენაქურიან ორბელიანს და დავით მესხს 1712 წელს გადმოუთარგმნიათ სომხურიდან „წიგნი ლოცვათა განკითხვათასა, კლიტენი მზურვალედ ქმნაღნი, რომელნი განახუმენ გულისა კარსა, დახშულსა ცოდვათა მიერ“ (ს ი ძ ვ მ უ ხ. № 909).

²) წერ. კითხ. ხელნ. № 2106, გვ. 121-171.

გაუგზავნიათ წერილები და ელჩები დასავლეთი ევროპის ხელმწიფეებთან, უფრო ხშირად კი რომის პაპებთან, რომელთაც ისინი შველასა სთხოვენ სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ. ამ მიწერ-მოწერისა და მისვლა-მოსვლის დროს ევროპა ეცნობოდა საქართველოს, ხოლო საქართველო ევროპას, და მათ შორის კულტურული კავშირი მყარდებოდა. მაგრამ ამ კავშირს განსაკუთრებით ხელი შეუწყვეს კათოლიკეთა მისიონერებმა. ისტორია კათოლიკეთა მისიისა საქართველოში იწყება მეცამეტე საუკუნეში¹; ამ საუკუნიდან მოყოლებული ჩვენში მოდიან და ერთმანეთს სცელიან სხვადასხვა ორდენტა მისიონერები: დომინიკიანები, ფრანჩისკიანები, თეათინელნი და კაფუციანები, რომელნიც აარსებენ აქ საკუთარ კათოლიკეთა ეპარქიას Diocesis Thefelenciensis სახელით, იჩენენ საკუთარ ეკლესიებს, მონასტრებს, ქონებს და დაუღალავ კულტურულ მუშაობას ეწევიან. ხშირად გაუგებრობაც ხდებოდა მათ და ქართველებს შორის, ხშირად მათ ავიწროებდნენ კიდევაც, მაგრამ საერთოდ ისინი დიდი წარმატებით მოქმედობდნენ აქ, კათოლიკობაზე გადმოჰყავდათ არა უბრალო მოაზრებენი საქართველოს ყველა კუთხეში, არამედ კათოლიკოზ-მღვდელმთავრები და მეფეებიც, რომელნიც, ზოგი ფარულად, ზოგი ცხადად, იღებდნენ ახალ მოძღვრებას. მათი მნიშვნელობა და პოპულარობა ჩვენში თანდათან იზრდებოდა და მეთვრამეტე საუკუნეში ისინი პირდაპირ აუცილებელ საკიროებად იქცენ საქართველოში. ამ პოპულარობას ხელს უწყობდა შემდეგი გარემოება: მისიონერებისადმი კეთილი განწყობილებით ქართველებს ჰსურდათ დაემსახურებიათ რომის პაპების ყურადღება, ხოლო უკანასკნელთა საშუალებით—დასავლეთი ევროპის ხელმწიფეებისა, რომელთაგან ისინი დახმარებას მოელოდნენ სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ. ამასთან ერთად მისიონერები დიდ შთაბეჭდილებას ახდენდნენ ჩვენს წინაპრებზე თავისი მომზადებით და სწავლა-განათლებით. აგრეთვე პრაქტიკული საქმიანობით და იმ დახმარებით, რომელსაც ისინი უჩენდნენ ხალხს, როგორც ექიმები. მათ მოღვაწეობას დიდი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის: ისინი სწავლობდნენ და ეცნო-

¹) იხ. ამ ისტორიის პერიოტიკები მ. თამარაშვილის წიგნში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“; ეს თხზულება, თუმცა კონფესიონალური ტენდენციითა გამსჭვალული, მაგრამ მნიშვნელოვანია საარქივო მასალებით რომელთაც ობიექტური მკვლევარის ხელში დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიათ საქართველოს ისტორიის ერთერთ საყურადღებო სიკეთის გაშუქებაში.

ბოდენ ქართველთა ზნეჩვეულებას, მათ წარსულსა და თანამედროვე მდგომარეობას; თავიანთ ცოდნას ამ დარგში და დაკვირვებას ისინი ათავსებდენ ვრცელს მოხსენებებში, დღიურებში და საგანგებო თხზულებებში. ამით ისინი იწვევდენ საქართველოში სხვადასხვა ჯურისა და პროფესიის მოგზაურთ, რომელნიც მისიონერებთან ერთად ავრცელებენ ჩვენში მრავალგვარ ცოდნას და მერე თავიანთ მოგზაურობის აღწერაში შესამჩნევ ადგილს უთმობენ საქართველოს; ასეთებია მაგალითად: პეისონელი, შარდენი, ტურნეფორი, ლამბერტი და სხვები. ამგზით ევროპა ეცნობა საქართველოს და ევროპიელები მრავალ თხზულებებსა სწერენ, რომელშიაც ქართველებსა და მათ წარსულს ეხებიან, ასეთია, მაგალითად, შრომები პეტრე დელავალესი, პეტრე ავიტაბლესი, სილოსი, კლემენტი ვალანსი. ვერიჩელისა და სხვების. ¹ მისიონერები აფუძნებენ ჩვენში თავიანთ შკოლებს, ² რომლებშიაც ასწავლიან საერო და სასულიერო მეცნიერებას, იტალიურსა და ლათინურ ენებს და ხელს უწყობენ ქართველთა ახალთაობის აღზრდას. მაგრამ ამ მიზნისათვის მათ უფრო გამოიყენეს პროპაგანდის კოლეგია რომში, სადაც სხვა ტომთა ენებთან ერთად ქართულ ენასაც საპატიო ადგილი დაუთმეს; ამ კოლეგიაში მისიონერები ხშირად ჰგზავნიან ქართველებს, როგორც თითოთითოდ, ისე ჯგუფჯგუფობით, ³ სადაც ისინი ითვისებენ თანამედროვე ევროპულ განათლებას და, სწალაცოდნით აღჭურვილნი, სამშობლოს უბრუნდებიან; ამათგან ცნობილია ჩვენს წარსულში ანტონ თუნანიშვილი, მეფისაშვილი, ტულუკაშვილი დავით, მამულაშვილი, ხარისქარაშვილი და სხვა მრავალი, რომელთაგან ზოგიერთებმა სამწერლო ასპარეზზედაც ისახელეს თავი. კათოლიკე მისიონერთა მეცადინობით 1625 წელს დაარსდა პირველი ქართული სტამბა, რომში, და გაჩაღდა წიგნების ბეჭდვა; პირველი წიგნი, რომელიც ქართულად დაიბეჭდა აღნიშნულ წელს, იყო ლოცვანი. 1629 წელს ამ სტამბაში სტეფანე პაულინიმ ნიკიფორე ირბახის დახმარებით დაბეჭდა ქართული ანბანი და ქართულ-იტალიური ლექსიკონი; ⁴ 1643 წელს მისიონერმა მარი მაჯიომ დაბეჭდა ქართული გრამატიკა, რომელიც მეორედ 1670 წელს გამოიცა. ქართული გრამატიკა შეუდგენია აგრეთვე პატრი ანტონ ჯარდინასაც, რომელსაც ხმარობდენ, როგორც

¹) მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. '98.

²) იხილეთ იქვე გვ. 155.

³) იქვე, გვ. 191 et pass.

⁴) იხ. იქვე გვ. 95.

სახელმძღვანელოს, მისიონერების მიერ გურიაში გახსნილ შკოლაში.¹ ეს კულტურული მოძრაობა, კათოლიკე მისიონერთა მიერ გამოწვეული, ეკლესიურ მწერლობასაც შეეხო. კონფესიონალური მოსაზრებით მისიონერებს ქართულ ენაზე უნდა შეექმნათ ეკლესიური მწერლობაც, ეს მით უფრო საჭირო გახდა, რომ ქართველმა კათოლიკემბა: ნება მიიღეს პაპისაგან არა მარტო სახარება-მოძღვრების მოსმენისა ქართულად, არამედ მთელი წირვის წესის შესრულებისაც. საჭირო აღმოჩნდა ისეთი თხზულებების დაწერა ქართულად, კათოლიკობაზე მოქცეულთა განსამტკიცებლად, ხოლო მოუქცეველთა მოსანადირებლად, რომლებშიაც განმარტებულ იქმნებოდა კათოლიკეთა თვალსაზრისით ქრისტიანობა. მართლაც არა ერთი და ორი ასეთი თხზულება დაწერილა თუ გადმოთარგმნილა ქართულად ლათინური თუ იტალიური ენიდან. მაგალითად, პირველად ყოვლისა უთარგმნიათ და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1625 წელს რომში დაუბეჭდიათ ქართული „ლოცვანი“. პატრი ბერნარდე ნეპოლეოს, რომელიც ათი წელიწადი მოღვაწეობდა საქართველოში მეჩვიდმეტე საუკუნის გასულს, გადმოუთარგმნია იტალიური-დან კარდინალ ბელარმინოს „კატეხიზმო“, რომელიც 1681 წელს დაუბეჭდიათ რომში შემდეგი სათაურით: საქრისტიანო მამდგრება სიმძღვებით, დარეგებუდი კარდიალ ბელარმინოსაგან და გადმოთარგმნილი მტრის ბერნარდო მარიამისაგან ჩუაბდგელისა კანუჩინის და მქადგებელი და დმრთისმეტეუელი იტალიანურის ენისაგან მხედრული ქართულის ენითა ქარონიკოსსა ჩქჳა.² ამავე მეჩვიდმეტე საუკუნეში ათაბაგის ქალის ელენეს გასაშენებებლად, რომელიც ძალდატანებით სპარსეთის შაჰს მიათხოვეს, მაშინ საქარველოში მყოფს პატრი ქრისტეფორეს დაუწერია ქართულად სიტურფე სდმრთო სიუარულისა და ელენესთვის გაუგზავნა; მასვე დაუწერია კიდევ განზრახვა ქრისტეს ვნებისათვის, რომელიც მიუძღვნია მალაქია კათოლიკოზისათვის.³ მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს საბა-სულხან ორბელიანის ძმას, ვახტანგ ორბელიანს, რომელსაც ანტონ კათოლიკოზი მოშაირედ, პიიტოკოსად და ფილოსოფოსად რაცხდა და რომელმაც კათოლიკობა მიიღო რომში, გადმოუთარგმნია ლათინურიდან თხზულება მხუჩკაღებისა იუს სარწმუნოებისა.⁴ გორელს დავით ტულუკაშვილს, პროპაგანდას კოლეგი-

¹) იქვე გვ. 156.

²) იქვე გვ. 255.

³) იქვე, გვ. 163

⁴) პ. ლ. იოსელიანი, წყობილსიტყვაობა, შენიშვნა 167; ხ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა მეჩვიდმეტე საუკუნეში, გვ. 19—20

აში. სწავლისას რომში 1733 წელს გადმოუთარგმნია იტალიური ენიდან საქრისტიანო მოძღვრება გინა წერტნა შვიდთა საიდუმლოთა ზედა, რომელიც პირველად დაიბეჭდა რომში მღვდლის ივანე ჯიგანანთის თაობით 1741 წელს, ხოლო მეორედ 1797 წელს მღვდლის გრიგოლ ბალინანთის თაოსნობით; ¹ 1734 წელს მას უთარგმნია თომა კემფელის მიბადვა ქრისტესი ოთხწიგნად („ივერია“ 1903 წ. № 137). მეთვრამეტე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ქართულად უთარგმნიათ „სარწმუნოების აღსარება“ იმ ლათინურ დედნიდან, რომელიც გამოცემული ყოფილა რომში პაპი ურბანო მერვის ბრძანებით, ² ხოლო, მდივანბეგ იოანე ორბელიანს გადმოუღია „კლიტენი მხურვალეებისანი“ ³ კათოლიკეთა მისიონერები, როგორც ვიცით, დაახლოვებული იყვნენ ანტონ კათოლიკოზთანაც, რომელსაც მათი ცოდნა გამოუყენებია თავისი კაპიტალურ შრომათა დაწერისას. მაგალითად, ის ლათინური წყაროები, რომელიც მას ესაპირობოდა მზამეტყველების შედგენისათვის, უთარგმნია მისთვის ვინმე იოვანე ხუცესმონაზონს ლათინთაგანს, ⁴ ხოლო ღვთისმეტყველების დაწერისას, ალბად იმავე მისიონერების ჩვენებითა და რჩევით, უსარგებლნია კათოლიკეთა საღვთისმეტყველო ენციკლოპედიით. უფრო მეტია ნათარგმნი ლათინურიდან ამ საუკუნეში „ლოცვანი“ და კატეხიზმონი, რაც ასე საქირო იყო გაკათოლიკებულ ქართველთათვის.

კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობა მართლა ისე კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც მიხ. თამარი შეილს აქვს დახატული, ვითომც ისინი არაფითარ იდიურ წინააღმდეგობას არ ხედავდენ საქართველოში თავისი მოძღვრების გავრცელებისას; პირიქით, მათ მოღვაწეობას პრაქტიკულს თუ ლიტერატურულს, გამოუწვევია ქართული მართლმადიდებლობითი მწერლობის გამოცოცხლება. პოლემიკური მიზნით დაიწერა რამოდენიმე მნიშვნელოვანი და საყურადღებო თხზულება, როგორც, მაგალითად, გრდემლი ბესარიონ კათოლიკოზისა, მარწუხი ტიმოთე მიტროპოლიტის და, რაოდენადმე, მზამეტყველება ანტონ კათოლიკოზისა. ⁵

¹) თამარი შეილი გვ. 343-346; ზეად. А. Чагарели, Свѣдѣнія III, 138.

²) თამარი შეილი, გვ. 366-367.

³) А. Чагарели, Свѣдѣнія III, 261.

⁴) მზამეტყველება, გვ. 4-5.

⁵) იქვე გვ. 524-527.

ამნაირად გამაგრდა და განმტკიცდა XVII—XVIII ს. საქართველოში დასავლეთ ევროპის კულტურულ-ლიტერატურული გავლენა, რომელმაც შესამჩნევი კვალი დასტოვა ჩვენს ეკლესიურ მწერლობაშიაც.

უფრო ძლიერი და უფრო ცხოველი იყო ამ პერიოდში რუსული გავლენა. ერთმორწმუნე რუსებში ქართველებმა დაინახეს ბიზანტიისა და მისი კულტურის, მისი მისიის მემკვიდრენი, ამიტომ ისეთივე სასოებითა და რწმენით დაუწყეს მათ ცქერა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კონსტანტინოპოლი დაეცა, როგორითაც ბერძნებს უცქეროდნენ წინეთ. რუსეთისადმი ღრმა ერთგულებამ განსაკუთრებით თავი იჩინა მეთვრამეტე საუკუნეში, რუსების პოპულარობას ჩვენში ხელს უწყობდნენ განსაკუთრებით ის პირნი, რომელნიც რუსეთში გადასახლდნენ ანა და იქ ცხოვრება უხდებოდათ სამსახურისა თუ სხვა რაიმე მიზეზით. ასეთებია, მაგალითად, მეფე არჩილი, ვახტანგი, ანტონ კათოლიკოზი, იოსებ სამებელი, მიტროპოლიტი როჰანოზი, გაიოზ არქიდიაკონი, შემდეგ სემინარიის რექტორი, და სხვანი. ისინი დაახლოვებით ეცნობოდნენ რუსეთის ეკლესიურ მდგომარეობას, მის ტრადიციებს, მწერლობას და მერე, სამშობლოში დაბრუნებისას, და თვით რუსეთშიაც, რუსულ მასალებს აქართულებდნენ. ისინი ცდილობდნენ გადმოენერგათ საქართველოში რუსული ტრადიციები, უფრო კი ლიტურგიკული, სთარგმნიდნენ რუსულიდან როგორც ორიგინალურს, (მაგალითად, გაბრიელ ჩხეიძეს 1707 წ. უთარგმნია დიმიტრი როსტოველის წვერის პასუხა ან განსაზღვრება ხატებისათჳს ღმრთასა და მსგავსებად კცისა, წერა-კითხ. ხელ. № 290), ისე ნათარგმნ თხზულებებს ყოველ დარგში, უკვე არსებულს ძველისძველ თარგმანებს აღარებდნენ რუსულ ტექსტს და იმის მიხედვით ასწორებდნენ. თუ წინა, ბიზანტიურ, პერიოდში ქართველები სცდილობდნენ თავისი ეკლესია ბერძენთა ეკლესიის პარად გაეხადათ, ეხლა, XVII—XVIII ს. მოღვაწენი, მეცადნეობენ იმას რუსული ფიზიონომია მისცენ. რუსეთში განმტკიცდა და გაჩაჩა ქართული სტამბა: 1705 წლიდან მოყოლებული მოსკოვის, ნოვ-

¹⁾ მაგ. თავადს სარდიონ ჩოლოყაშვილს, მოსკოვში ბატონიშვილებთან გაზრდალს, მე-18 ს. უთარგმნია რუსულიდან „თელმაკი“ ფენელონისა, „დარღვევა იერუსალიმისა ტიტუსაგან“ და „აღება კონსტანტინოპოლისა თურქთაგან“ (ს ი ძ ე. მუხ. № 293), თუშტა სხვა წყაროებით ორი უკანასკნელის თარგმანი მიუწერება ბერს პოპოფილე ბაკრატიონს, ანტონ კათოლიკოზის მხლებელს რუსეთში (Царяреши, Свѣд. III с. т. 259), რომელსაც 1775 წ. ანტონ ყაფილიკოზის ბრძანებით გადმოუთარგმნია თეოფანე პროკოპოვიჩს „ისტორია თვის და წყევასა და განხეთქილებისა შორის ბერძენთა და რუხაელთა თვის გამოსლვისა სულისა წმიდისა (წ. 4. № 4804).

ვოროდის, პეტროგრაძის, ვლადიმირის და ყრემენჩულის ქართული ჰიპოგრაფიებიდან გამოდის მრავალი წიგნი, საეკლესიო და საერო შინაარსისა, რომელთაც პბექდავენ, რასაკვირველია, რუსული წიგნების უაიდაზე და ამით ხელს უწყობენ რუსული გავლენის გაძლიერებას ჩვენს მწერლობაში. რუსულს შკოლებში, განსაკუთრებით მოსკოვის ზღავენურ—ლათინურ აკადემიაში და პეტროგრაძის ალექსანდრე—ნეველის სეპინარიაში და აკადემიაში განათლებას ღებულობენ ქართველი სასულიერო და საერო პირნი, რომელნიც მერე გამოდიან მეღვარ დამცველად და ერთგულ მატარებლად რუსული გავლენისა ქართულს ლიტერატურაში. ჩვენში ხსნიან პირველდაწყებითი და საშუალო სკოლებს რუსულ შკოლათა მიხედვით, განსაკუთრებით ცნობილია ტფილისისა და თელავის სემინარია, რომლებშიც გადმოინერგა მოსკოვის აკადემიის ზქოლასტიკა; სახელმძღვანელოს ამ შკოლებისათვის უმეტეს შემთხვევაში რუსულიდან სთარგმნიდენ. ერთი სიტყვით, ქართველ მოზარდთაობას აწვდიდენ რუსეთიდან გადმოტანილ სულიერ საზრდოს და ბეჯითად ანხორციელებდენ ეკატერინე დიდის ლოზუნგს: ЧТО ДЫ ТЫЛО ДЫЛО ГРУЗИНСКОЕ, А ДУША РУССКАЯ. რუსული გავლენა დაეტყო ქართულ ენას, — ეტიმოლოგიას, სინტაქსის და ლექსიკას, — და არც შეიძლებოდა არ დატყობოდა, თუ გავითვალისწინებთ — ხშირად რა პირობებში ხდებოდა ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობა. ვალაპარაკოთ ამის შესახებ ანტონ კათოლიკოზი, რომელიც ერთ თავის შრომის წინასიტყვაობაში შენიშნავს: მართლ არს და ცხად, ვითარემედ ქართულისა კიდე ენაჲ არა გიცო და ვერცაჲ მივსწყუთ ენასა სლავურსა უმკუთრეს, და ნუ უკუე თქუას ვინმე, ვითარემედ თუ ვიოარ გადმოვიდე ესენი, მაგრამ უწყოდეს მან, ვითარემედ სლავურისა თარგმანი მივანდეკ გაბრიელს ხუცესსა, თარგმანსა ჩემსა, რომელმან დადათუ არა უწყოდა ღრამმატიკა არცა სლავურისა, არცაჲ ქართულისა, არამედ ღრამმატიკოსნი მუგეს რუსნი კლირიკნი ეკლესიისა ჩემასანი, რომელთა ახლად დაესრულათ სკოლაჲ სინტაქსისა... და ოტუც გაბრიელ, ჰრეოდშიყო ჩემი, მეტოდდა რა ქართულად, დიდითა გამოძიებითა თითოსა ლექსისაჲ გკითხუდი ღრამმატიკოსთა მათ რუსთა თუ რომლისა სიტუასა ნაწილი არს, და ეკრეთვე სიტუასცა უმკაცკეს, ვითარემედ სიტუეჲ ესე გიოარ შეთხზუდ არს და რაჲ არს ჰზრი მისი, და მათ მიერ გულის-ხმა ვჭკოფუდი თარგმანებითა გაბრიელისათა, და ესრეთ დაუსდებდი სიტუეთა და სიტუეთა შინა ლექსთა.

1) კ. კეკელიძე, ანტონ კათოლიკოზის სალიტურდიკო მოღვაწეობიდან, გვ. 3-4, 7-8

მეო, ამბობს ანტონი, სახელისადა ბრუნვისა ცულებასა უფრთხადი და ზმინისა დროთა, დროთა უკუე ვიტუე წარსულთადა, რომეღნიცა სხეა და სხეა არიან, და არა რიამე ცულებასა ჰაზრთა სიტუესათა იქმნების ცულებითა მათითა, მე მათსადა უფრთხადი ცულებასა, ვითარმედ ვითა სჯავენურსა შინა იუო სითხზუეს, ეგრეთ ვმეცადინებოდ ჩეერთადა შინა დაღებად, თორე წარსრულისა და უთფადისა ზმინისა დროთა რამედა ვსთქუა უცულებლობისა მეცადინობა? მრავალგზის აწიუეს სჯავენურსა აქუნდის ადგილი, ჩუეულებისამებრ ენისა ჩუენისა წარსულისა, და დიდითარე კრძალულებითა ვსცუაღვადი მას. ხალო მრავლობითსა და მსოფლობითსა უცულებლად ვიპურობდი, რომლითა ჰაზრსა სიტუესასა ვნებასა არა შეამთხუევიდის... ხალო ნაკლსხელთა და მიღებობათა აგრეთვე კრძალულებით ვიკარებდ, ვითა ზმინათა და სხელთა სხუათადა სიტუეს ნაწილთამებრე, თნიერ ზმინის ზედათა, რამეთუ სადაცა ზმინისზედა არს სიტუესა შინა წერილსა სჯავენურსა, ჩვენ შორის სშირად აუშუერებს, აუკემერებს, აკდენს.¹ უფრო კი მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან გაჩაღდა ინტენსიური მთარგმნელობა რუსულიდან მწერლობის ყოველ დარგში და ამ მუშაობამ გასტანა თითქმის მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათინ წლებამდე, როდესაც ჩაქრა ლამპარი ძველი ქართული ლიტერატურული ტრადიციებისა, განსაკუთრებით კი ეკლესიური მწერლობისა. ამნაირად, ბერძნული, სომხური, ლათინური-იტალიური და რუსული, აი ოთხი ფაქტორი, რომელიც ამოძრავებდა და ხელმძღვანელობდა ქართული ეკლესიური მწერლობის განვითარებას მისი ისტორიის მესხეთე პერიოდში.

¹) იქვე 83. 76.

§ 4. სწავლა-განათლებისა და ლიტერატურის ცენტრები ქველს საქართველოში.

იმ ფაქტორთა შორის, რომელნიც ხელს უწყობდენ ძველი ქართული მწერლობის, ზრდა-განვითარებას, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, რასაკვირველია, შკოლას, როგორც ისეთს დაწესებულებას, რომელიც, მონასტრებ-ეკლესიებთან, სამღვდელმთავრო კათედრებთან თუ სრულიად განცალკევებით, მუდამ აღვივებდა კულტურულ ნაპერწყალს და დაუშრეტელად ინახავდა ლიტერატურული შემოქმედების ლამპარს.

შემოვიდოდა თუ არა რომელიმე ერში ქრისტიანობა, მას თან მოჰქონდა ხოლმე შკოლებიც, მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, ამ მოვლენას საქართველოშიაც ექნებოდა ადგილი. საქართველომ და სომხეთმა ქრისტიანობა მიიღეს და მწერლობა შემოიღეს სწორედ იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთში, რომელთანაც დაკავშირებულნი იყვნენ ისინი ეკლესიურად და კულტურულად, გაბატონებული იყო ცნობილი ნიზიბინის შკოლა; მაშასადამე, თუ სომხეთსა და საქართველოში ამ დროს რაიმე შკოლები იყო, ესენი, უეჭველია, მოწუბილი იქნებოდნენ ნიზიბინის შკოლის ყაიდაზე, ხოლო ნიზიბინის შკოლის დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა პრაქტიციკში, რომელიც გამოიხატება სასწავლო მასალის შერჩევაში: განყენებულს სისტემატიურ ცოდნას, არც ფილოსოფიურს, არც თეოლოგიურს, აქ არ მისდევდენ; უმთავრეს სასწავლო საგნებად ითვლებოდა ეგზეგეტიკა, ესე იგი ბიბლიური ტექსტის შესწავლა და ახსნა-განმარტება, ჰომილეტიკა ან ეკლესიაში საჯაროდ სწავლა-მოდღერების წარმოება, ლიტურჯიკა ან ღვთისმსახურების შესრულება და საეკლესიო გალობა. ერთი სიტყვით, ნიზიბინის შკოლაში და სპარსეთ-ასურეთის იმ შკოლებში, რომელიც V-VII საუკუნეებში მრავლად იხსნებოდა მონოფიზიტურ-ნესტორიანულ ეკლესია-მონასტრებთან, სახეში ჰქონდათ პრაქტიკული მიზნები: ქრისტიანული დამოძღვრა და ეკლესიის მსახურთა მომზადება. ამით აიხსნება, რომ ამ შკოლებში სწავლობდნენ როგორც ბავშვები, ისე მოზრდილები და ხანში შესულნი. ვი-

მეორებით, თუ სომხეთ-საქართველოში ამ დროს, V-VII საუკუნეებში, შკოლები არსებობდა, ისინი უეჭველია, მოწყობილი იქნებოდნენ ნიზიბინის შკოლის პროგრამაზე.

იყო თუ არა მაშინ საქართველოში შკოლები? სომეხ ისტორიკოსთა სიტყვით, ანბანის შემოღებასთან ერთად ჩვენში თითქოს შკოლებიც გაჩენილა. ქორიუნი აზბობს: ანბანის გამოგონების შემდეგ მეფე ბაკურმა „უბრძანა ერთს, ქართული ენის მკოდნე კაცს, ჯალის, შეეკრიბა ბავშვები სხვადასხვა კუთხეებიდან, სადაც სხვადასხვა კილოკავებზე ლაპარაკობდნენ, და ესწავლებია მათთვის ერთი ენა, რომლითაც ქართველებმა ღეთის დიდება დაიწყესო“. მოსე ხორენელის თქმით, ანბანის გამოგონების შემდეგ, მესროპმა, მეფე ბაკურისა და ეპისკოპოსი მოსეს ნებართვითა და თხოვნით, შეაგროვა ყმაწვილები, გაყო ისინი ორ ჯგუფად და დაუტოვა მათ მასწავლებლად თავისი მოწაფეები: ხორცნელი და მოსე ტარონელი (III, 54). როდესაც მესროპი, არშუშა ბღეშის მოპატიუებით, ტაშირს მივიდა, იქ მან „გაწვრთნა შეგირდები უკეთესად და უფრო საფუძვლიანად, ვიდრე პირველადო (III, 60). ამ ცნობებიდანა ჩანს, რომ ქართული ანბანის შემომღებთ, მეფე ბაკურსა და ეპისკოპოსს მოსეს, მესროპისათვის, როგორც განათლებული და გამოცდილი კაცისათვის, დაუვალვითა შკოლების გახსნაც. და მართლაც, პეტრე მაიუმელის ცხოვრებაში ჩვენ ვკითხულობთ, რომ, როდესაც პეტრე სამი წლის შეიქნა, იგი მას(ი) ს ა მ. წაგნაბრედ და დაისწავა მ. რ უაჰჰლაჰჰ სწაკლდ და გულის ხმის ყოფით აღმაიკითხავნ წმიდათა წერილთაო.¹ ექვს გარეშეა, მაშინდელი ქართული შკოლები იყო ელემენტარული, პირველდაწყებითი, სადაც უპირველესად საღმრთო წერილს ასწავლიდნენ და ეკლესიის მსახურთ ამზადებდნენ. რაც შეეხება საშუალოსა და, მით უმეტეს, უმაღლეს შკოლას, ასეთი ქართლში V-VII საუკუნეებში არ უნდა ყოფილიყო. ეს, სხვათა შორის, სომხის ისტორიკოსის უხტანესის სიტყვებიდანაცა ჩანს, რომლის ცნობით, ქართლის ქათოლიკოზი კირიონი (VI-VII ს.) სწავლის დასამთავრებლად იძულებული გამხდარა წასულიყო მცირე აზიის ქალაქ ნიკოპოლში, სადაც 15 წელიწადი დაყო და საფუძვლიანი საღვთისმეტყველო განათლება შეიძინა.

ასეთივე პირველდაწყებითი ელემენტარული შკოლები ყოფილა

1) ნ. მარჩის გამოცემა. გვ. 5.

წევნი ში მეორე პერიოდშიაც, თუმცა გარკვეული ცნობები მათ შესახებ არც ეხლა მოგვეპოვება. ამ შკოლებში, როგორც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან ჩანს, ისწავლებოდა — დაფითი და კითხა სსწაველეა სწაველას სსკეკესიოა... და შწიგნობრობას მრავალთა ენათა და სდღმროთის წიგნნი (გვ. გ). ილარიონ ქართველს მისი მოძღვარი ასწავლიდა წიგნთა სუღიერთა ან ღმროთის სუღიერთა¹. მაშასადამე, როგორც პირველს პერიოდში, ამ შკოლებს ეხლაც პრაქტიკული ხასიათი ჰქონდათ: სწავლობდენ საღმროთო წერილს და საეკლესიო-სამოძღვრო სწავლას, აგრეთვე ზალობასაც, მაგალითად გრიგოლ ხანძთელი შესანიშნავი მაგალობელი იყო. მაგრამ ამ პერიოდში, როგორცა ჩანს, პროგრამა ცოტად თუ ბევრად გაფართოვებულა: გრიგოლმა, აღნიშნულ საგანთა გარდა, შეისწავლა შწიგნობრობას მრავალთა ენათა, რის გამო ის მრავალთა ენათა წურთილ იყო, (გვ. გ, ით) და აგრეთვე სიბრძნეს იგი ამის სოფლის ფილოსოფოსთა (იქვე). ესე იგი — მას შეუსწავლია უცხო ენები და ფილოსოფია, თუმცა, როგორც ჰაგიოგრაფი შენიშნავს, ის გარეშეს მას სიბრძნეს სოფლისას ჰბასრობნ, ესე იგი ფილოსოფიას მაინც და მაინც დიდს ყურადღებას არ აქცევდა.

სწავლას ბავშვებს ამ ორს უძველეს პერიოდში ძან აღრე აწყებინებდენ; პეტრე მაიუმელს, მაგალითად, მისი ბიოგრაფის სიტყვით, რაც, ცოტა არ იყოს, ექვს ჰბადებს, სამის წლისას დაუწყია სწავლა (ათონ. კრებ. გვ. 71). ამ დროს ჩვეულება ყოფილა, რომ თავიანთ შვილებს, უფრო დიდებულნი და დიდკვარიანნი, გააბარებდენ ხოლმე გასაზრდელად. რაჟდენ პირველ მოწამის ცხოვრებაში სწერია, რომ მას, რაჟდენს, არწმუნეს ასული მეფისა აღსაზრდელად, ხოლო წესი იყო მაშინ სპ. რსთა შარის, ვითარცა სკენ ქართველთა შარის, რომელსა მამაჰქედ უხმობდეს და დიდად რადმე ჰატყვად ანიჭებდეს.² მამამძეჲ ჰყოლია აგრეთვე შუშანიკ დედოფალსაც;³ გრიგოლ ხანძთელი მიბარებული ყოფილა აღსაზრდელად თავისი მამიდის, ერისთავთ ერისთვის ნერსეს, სახლში (ცხოვრება, გვ. ბ-გ). გაბარებულს ბავშვებს, რომელნიც სხვის სახლში იზრდებოდენ, ეწოდებოდათ ძუძუსმტე,⁴ ესე იგი ძუძუს მოზიარე სხვა ბავშვებთან. მიბარებდენ ბავშვებს აღსაზრდელად სასულიერო პირთაც; მა-

¹) ათონის კრებულთ, გვ. 71.

საქართველო, გვ. 171.

²) იქვე გვ. 191.

³) იქვე გვ. 189.

გალითად, ილარიონ ქართველი მისმა მამამ მისცა სწავლად კაცსა დიკსსა და ღმრთის მოუყარეს, რომელი იყო დაბასა მისსა, სადა იყოფებოდა თვით იგი.¹ სასკოლო საქმე შესამჩნევად დაწინაურდა მესამე პერიოდში, მეათე საუკუნის გასულიდან, როდესაც ქართველები პირისპირ შეეჯახნენ ბიზანტიურ კულტურასა და შკოლას. ეხლა მრავალი ქართველი, განსაკუთრებით დიდგვარიანი, დროებით ან სამუდამოდ სახლდება ბიზანტიაში და აქაურ შკოლებში იძენს ნამდვილს ბერძნულ სწავლა-განათლებას. მაგალითად, მეთერთმეტე საუკუნის დამდეგს გადასახლდა ვაჩე-კარი-კისძე, რომლის ოჯახმა, საბერძნეთის შკოლებში აღზრდილმა, მოგვიჩინეთი შესანიშნავი მოღვაწე, როგორცაა ეფრემ მციბრე. ვიცით აგრეთვე, რომ გიორგი მთაწმიდელმა საქართველოდან წაიყვანა ბიზანტიაში 80 ყმაწვილი; მართალია მას განზრახვა ჰქონდა ისინი ივერიის მონასტრის სამსახურისათვის აღეზარდა,² მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, მათგან არა ერთმა და ორმა მიიღო შესაფერი განათლება მაშინდელს ბიზანტიის შკოლებშიაც. დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონსტანტინე მონომახის მიერ 1044—1047 წლებში დაარსებული აკადემია, რომელიც ბერძენთა რენესანსის კერად გადაიქცა, არა ერთსა და ორს ქართველს იწყნარებდა თავის კედლებში; ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის პირნი, რომელთაც მეთერთმეტე საუკუნეში სისტემატიური სასკოლო განათლება მიუღიათ ბიზანტიაში, სწორედ ამ აკადემიაში გაიწვრთნენ; სხვათა შორის აქ მიიღეს განათლება არსენ იყალოოველმა და იოანე პეტრიწმა.

ბიზანტიის ბერძნულ სკოლათა ყაიდაზე თვით ქართველებიც აწყობენ თავიანთ საკუთარ შკოლას როგორც საზღვარგარეთ ბიზანტიაში, ისე საქართველოშიაც. პირველ რიგში აქ ჩვენ უნდა დავასახელოთ შესანიშნავი სემინარია პეტრიწონის ქართულს მონასტერში, რომელიც მონასტერთან ერთად დააარსა 1083 წელს გრიგოლ ბაკურიანმა და მოათავსა წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. ოცდა მეოთხე პარაგრაფი სამონასტრო წესდებისა შეეხება სწორედ ამ სემინარიას, სადაც განსაზღვრულია პროგრამა, შემადგენლობა და მიზანი სემინარიისა. გამომცემელი ამ წესდებისა L. Petit-ი გულახდილად შენიშნავს: „ჩვენ აქა ვვაქვს მეტად იშვიათი, შეიძლება, ერთადერთი მაგალითი ბიზანტიაში სემი-

1) ათონის კრებულის, გვ. 71.

2) ათონის კრებულის, გვ. 328.

ნარჩის არსებობისა ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობითა.¹ ამ შკოლის პირველი გაშვება და მასწავლებელი იყო ცნობილი იოანე პეტრიწი, რომელიც მისთვის სახელმძღვანელოებსაც კი ამზადებდა.

პეტრიწონის შკოლის ტრადიციების შექმნარებლად და განმგრძობელად გამოდის საქართველოში გელათის მონასტერი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აქ გადმოსახლდა იოანე პეტრიწი. დაახლოებით რუის-ურბნისის კრების შემდეგ, განიზრახა რა აშენება გელათის მონასტრის დიდი ეკლესიისა, დავით აღმაშენებელმა გადაწყვიტა შემოეკრიბნა კაცნი ჰატოასნი ცხოვრებითა და შეკუდნი უოჯდითა სათნოებითა, არა თვისთა საშეფოთა შინა ოდენ ჰოვნიდნი, არამედ ქუეყანისა კიდეთა, სადაცა ესა ვითემე სიკეთე და სისრულე. სუფიერთა და კარგიულითა სათნოებითა აღსავსება, ოძინა და კეთილად გამოიძინა, მოიუყანსა და დაამკვდრნა,² რათა იგი გამხდარიყო შკოლად ათინად. და მართლაც რომ გელათი ათინად იქცა საქართველოში, როგორც ცენტრი სწავლა-განათლებისა და მწერლობისა; ტყვილად კი არ ამბობს მემბტიანე, რომ გელათი აწ წინამდებარე არს უოჯდისა აღმოსავლეთისა შკოლად იერუსალიმად, სასწავლოდ უოჯდისა კეთილესა, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრად უდრეს მისსაო.³ საზღვარგარეთელი ლიტერატურული ტალღა პირველად ყოვლისა აქ ჰპოვლობდა გამოძახილს და აქ ითარგმნებოდა შესანიშნავი ფალოსოფიურ-თეოლოგიური ნაწარმოებნი ბიზანტიის აზროვნებისა. აქვე ექვს გარეშეა, მოწყობილი იყო სისტემატიური სპეციალური სასწავლებელი, სადაც ოგივე სული და ტრადიციები ტრიალებდა, რაც თანამედროვე ბიზანტიის უმაღლეს შკოლებში.

გარდა გელათისა, მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეში, როდესაც საქართველომ მიახწია უმწვერვალეს წერტილს თავისი პოლიტიკურ-კულტურული ზრდა-განვითარებისას, შკოლები იქნებოდა სხვა პუნქტებშიაც და კუთხეებში, მაგალითად, არსებობს დაჩინებითი გარდამოცემა, რომ უმაღლესი აკადემია იყო აგრეთვე იყალთოში, არსენ იყალთოელის მიერ დაარსებული, და გრემშიო, მაგრამ ამის შესახებ წერილობითი მოწმობა ჩვენ არ მოგვეპოვება.

სწავლა-განათლებისა და მწერლობის საქმის წინწაწევას, უეჭველია,

¹) Tipikon de Grègoire Pacourianos pour le monastère de Pétritzos (Blackovo) en Bulgarie, Визант. Временникъ XI (1904), прилож. № 1, стр. XV.

²) ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 293—294.

³) იქვე, გვ. 295.

ხელს უწყობდა მოძღვართ-მოძღვრის ინსტიტუტი, რომელიც, რამდენადაც არსებული მასალებით შეიძლება გათვალისწინებულ იქმნეს, ამ პერიოდში უნდა წარმოშობილიყო. მოძღვართ-მოძღვარი სასულიერო პირი იყო; კარის გარიგების წარჩინებულ და დიდხარისხოვან მონაზონთა ოთხეულში მას პირველი ადგილი ღკავია, მას მეტი პატივი აქვს სხვა ეპისკოპოსებთან, წარმოდგინეთ, თვით კათოლიკოზთან შედარებით: მეფე მას მეტის კრძალულებით ექცევა, ვიდრე კათოლიკოზსა და ჭყონდიდელს. მოძღვართ-მოძღვარს, როდესაც ის გამოდის საღმრეთ, თან ახლავს მოწაფეები. როგორც შენახული საბუთებიდან ჩანს, მოძღვართ-მოძღვარი ცხოვრობს გელათში ეპისკოპოსის ხარისხით, ეს, ალბად, იმიტომ, რომ უმაღლესი სასწავლებელი, რომელსაც ის უშუალოდ განაგებდა, ამ დროს გელათში იყო. მეგრე, საქართველოს დანაწილების შემდეგ, მოძღვართ-მოძღვრის ინსტიტუტი სხვა სამეფოებსა და სამთავროებშიაც გაჩნდა, მაგრამ მათი ფუნქციები, რასაკვირველია, ისეთი ვერ იქნებოდა, როგორც მთლიანი საქართველოს მოძღვართ-მოძღვრისა, რომელიც, თანამედროვე ევროპიული ტერმინი რომ ვინხაროთ, განათლების მინისტრი იყო სახელმწიფოში. ტერმინი მოძღვართ-მოძღვარი გვაჩვენებს, რომ ყოფილან ამავ დროს მოძღვარნიც; ასე იწოდებიან, ალბად, ის ოსტატები ან მასწავლებელნი, რომელთა ხელში იყო სწავლა-აღზრდისა და განათლების საქმე. ის პატივი და ყურადღება, რაც დამსახურებული ჰქონდა მოძღვართ-მოძღვარს თავისი თანამდებობის ძალით, მაჩვენებელია იმისა, თუ რავდენად აფასებდნენ საქართველოში სწავლა-განათლებას და სასკოლო საქმეს.¹

საქართველოში უძველეს დროიდან არსებობდა ინსტიტუტი მწერლისა და მწიგნობრისა, ხოლო მათე საუკუნიდან მაინც, თუ უფრო ადრე არა, — მწერალთ მთავრისა² და მწიგნობართ-უხუცესისა; განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ინსტიტუტი მწიგნობართ-უხუცესისა, რომელიც თავდაპირველად ერისკაცი იყო, მეგრე — სამღვდლო პირი: ჯერ უბრალო ბერმონაზონი, ხოლო 1103 — 1110 წლებიდან — ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი. მწიგნობართ-უხუცესი იყო უპირველესი ვეზირი სახელმწიფოში; თუმცა მისი ფუნქციები უმთავრესად სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული და საკანცელარიო

1) მოძღვართ-მოძღვრის შესახებ იხ. ექვთ. თაყაიშვილის გამოცემა: „ხელმწიფის კარის გარიგება“, გვ. XXIX—XXXIV, თბილისი 1920 წ.

2) ათონის კრებულში, გვ. 288.

ხასიათისა იყო, მაგრამ, ექვს გარეშეა, იმას სწავლა-განათლებისა და შკოლის საქმეზედაც ექნებოდა უშუალო თუ არაპირდაპირი გავლენა. სხვა არა იყოს რა, მისი ხელქვეითა მწიგნობრები, რომელთა ხელში იყო მთელი სახელმწიფოს საქმისწარმოება, უნდა მომზადებულიყვნენ ამ თანამდებობისათვის უმთავრესად, რასაკვირველია, შკოლებში, მაშასადამე მწიგნობართ-უხუცესისათვის უმნიშვნელო არ იქნებოდა ამ შკოლების ასეთი თუ ისეთი მდგომარეობა.¹

მეოთხე პერიოდში, როდესაც საქართველოს დაუღვა შავი დღეები და ყოველივე კულტურული ნამოქმედარი განადგურდა, სკოლის საქმეც, რა თქმა უნდა, არამც თუ შეჩერდებოდა, პირდაპირ მოისპობოდა კიდევ. მაგრამ მეხუთე პერიოდში, აღორძინების ხანაში, ის კვლავ გამოტოცხლდა. ამას ხელს უწყობდა ის პირობები, რომლებმაც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გამოიწვიეს ჩვენში საზოგადოდ კულტურული რენესანსი. კათოლიკეთა მისიონერები, რომელთაც ჩვენში შემოჰქონდათ დასავლეთის ცივილიზაციის შუქი, ხსნიდენ შკოლებს, რომლებშიაც ისინი ასწავლიდენ ენებს: იტალიურს, ლათინურს და ქართულს, აღვიძებდენ აზროვნებას და ავრცელებდენ მეცნიერულ ცოდნას. მისიონერთა მოქმედებას დაემატა რუსეთის კულტურის ზეგავლენაც და ყველა ამის გამო ჩვენში გამრავლდა რიცხვი როგორც ელემენტარულ, პირველდაწყებითი შკოლათა, — ასეთი იყო, მაგალითად, სიონის შკოლა იოსებ ტფილელისა,² ნეკრესის შკოლა დოსითეოზ ნეკრესელისა ირაკლი მეფის დროს, — ისე საშუალო სამეცნიერო სასწავლებელთა. ამ მხრივ უნდა დავასახელოთ პირველად ყოვლისა ტფილისის სემინარია, გახსნილი უმთავრესად ანტონ კათოლიკოზის ინიციატივით. ის გაუხსნიათ 1755 წლის დამდეგს³ და მოუთავსებიათ ანჩისხატის ტაძრის ეზოში „საეპისკოპოსოსა სახლსა შინა“; მის პირველ რექტორად დაუნიშნავეთ ჰარმანთა ან სოკებთა მღვდელი ფილიპე ყაითმაზაშვილი. როგორც ანტონ კათოლიკოზის წერილიდანა ჩანს, რომელიც მას მიუწერია აშტრახანის ეპისკოპოსის მეთოდისათვის გაიოზ არქიმანდრიტის საქმის გამო, ამ სემინარიაში ასწავლიდენ აზნაუთა და თავისუფალთა ცნობათა,

¹) მწიგნობართ-უხუცესის შესახებ იხ. პროფ. ივ. ჯავახიშვილის მონოგრაფია: ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მე-2, გვ. 126-142.

²) შემდეგ „საკათოლიკოსო სკოლად“ წოდებულ; ხ. კიკინაძე, ქართული მწერლობა მე-18 საუკ. გვ. 32.

³) პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 152-153.

სახელდობრ აქ ისწავლებოდა: ღრამმატიკაჲ, პიიტკისა კელოვნებაჲ, რეტორიკაჲ, ლოლიკაჲ ბაუმეისტერისა, ქუეთქუმულებანი (კატიგორიები) ძველისა სხოლასტიკოსისა არისტოტელესნი, მეტაფიზიკაჲ ბაუმეისტერისავე, ფიზიკაჲ სხუდასხუათაგან ფილოსოფოსთა ქმნილი, ფილოსოფიაჲ მორალი მისივე ბაუმეისტრისა. ¹ ტფილისის მაგალითმა გამოძახილი პოვა კახეთში, სადაც ამ დროს მეფობდა „სწავლის მოყუარე“ და ერის კეთილდღეობისათვის თავდადებული ერეკლე მეორე. დოსითეოზ ნეკრესელი გადმოგვცემს, რომ ქ. თელავში ირაკლამ შემზადა სხოდა თჳსს ჰადატსა შინა სახელსა ზედა წმიდას მღვდელმთავრისა ვასილ კასრიელისასა წელთა მეფობისა თჳსისთა 14 სა, დასაბამითგან წელთა 7266, ² ქრისტეს აქეთ 1758, თუესა ოკლამბერსა 26, კსენებსა დიდისა მოწამასა დიმიტრისსა, დღესა კარაიკესა, ჟამსა მესამესა, იკურთხა ჩემ მიერვე, მდაბლისა ნეკრესელ კპისკოპოსისა დოსითეოსისაგან, და შეკრიბნა ურმანი საბრძანებელისა თჳისანი, სოლოურმად ვიტყვ უმეგრების ძალით და არა ჰქსაკით: რომელნიმე ეფისკოპოსნი, რომელნიმე მღვდელნი და რომელნიმე ახალ მოსწავლენი ეკლესიის მსახურნი და ინება განმარტებად კეთილმეცრობისა. იწუა სწავებად თჳთა და სხუათაგა ზემოთქმულთა მოსწავლეთა, რომელთა ინებეს და ეტრფიადნეს სიბრძნის მოჟარებასა. ³ როგორც ვხედავთ, ამ შკოლაში სრულწლოვანებიც კი სწავლობდნენ, მაგალითად ანტონი ცაგერელ-ჰყონდიდელი და დოსითეოზ ნეკრესელი; უკანასკნელი ამბობს: ირაკლიმ შემოკრიბნა ურმანი საბრძანებელისა თჳისანი და რამეთუ მეცა მდაბალი ვინმე ეპისკოპოსი ნეკრესისა დოსითეოზ თანვედასებოდი მათ შეკრებილთა ბრძანებითა მეფასთაჲ. ⁴ პირველი რექტორი ან სხოლაპეტი ამ შკოლისა იყო, დოსითეოზისავე მოწმობით, ზემოდასახლებული მღვდელი ფილიპე ყაითმაზაშვილი, რომელიც ირაკლის ტფილისიდან თელავში გადმოუყვანია. ანტონ ცაგერელ-ჰყონდიდელი გადმოგვცემს, რომ ტფილისში ვახაღენ მრავალნი წარმატებულად ზედვითთა შინა ფილოსოფოსობათა, რამეთუ ბრწყინვალესა ირაკლიმ შოარესა, დიდსა მეფესა, ადევო სხოლაჲ ქადაქსა თელავს და მუნით წრთენილ იყვნენ; და ამასვე მეფეს, მოკპოვა სხოლაპეტად და მოძღვრად

¹) Н. Паллизовъ, Къ свѣдѣніямъ о личности архидіакона Гаіоза, инослѣдствіи архіепископа Астраханскаго и Ставропольскаго, Христіан. Востокъ, т. II, стр. 45—46.

²) ხელნაწერნი შეცდომით 7201 ზის.

³) წერ.-კითხ. ხელნ. № 2564, ვგ. 103—105.

⁴) წერ.-კითხ. № 1137, ვგ. 7—9.

პაბრძნისა ჰკამხნთა ზღაღელი ფილიპე, რომელი ღარს იყო ესევეთარსა მო-
ძღუერებისა პატრიუსა. და ამა მოძღურისა მიერ და ამის ერთისა რჩეულისა
მოწაფისა ზაქარიაჲს მიერ მაიღო უღირსობამანცა ჩემმან წვრთილებაჲ სკდვიო-
თჲ შინა ფილოსოფოსებათაჲ. აქედან ცხადია, რომ თელავის შკოლაში
ფილოსოფიასაც გადიოდენ და თანამედროვეთა თვალში ის თითქოს
ტფილისის შკოლაზე მაღლა მდგარა. დიდხანს არ უცოცხლია ამ შკო-
ლას, მის ნანგრევებზე 1783 წლის 28 მაისს გაიხსნა, მოსკოვის სლა-
ვენურ-ბერძნულ-ლათინურ აკადემიის ყაიდაზე, სემინარია, რომელშიაც
ასწავლიდენ გრამატიკას, რიტორიკას, ფილოსოფიას, მათემატიკას და
ღვთისმეტყველებას. ამ სემინარიის პირველი რექტორი იყო გაიოზ
არქიმანდრიტი, სახსარს სემინარია სახელმწიფო ხაზინიდან ღებუ-
ლობდა. სწავლის მოწესრიგების სიმძიმე კისერზე დააწვა კათოლი-
კოსს ანტონ პირველს და რექტორებს: გაიოზსა და დავით ალექსიძე-
მესხიშვილს; ამათ გადმოთარგმნეს თუ შეადგინეს ყველა საქირო სა-
ხელმძღვანელოები, რითაც დიდი სამსახური გაუწიეს მშობლიურ მეცნი-
ერებას და სწავლა-აღზრდის საქმეს. თელავის სემინარიამ იარსება ალა-მა-
ჰმად-ხანის შემოსევამდე, მაშინ კი იმასაც ბოლო მოეღო.

1799 წელს ბატონიშვილმა იოანემ თავის მამას, გიორგი მეფეს,
მიართვა მოხსენება სახელმწიფოში ხვადასხვა აუცილებელი რეფორმების
შესახებ, სადაც, სხვათაშორის, შკოლის შესახებაც იყო ლაპარაკი; მისი
პროექტით ქ. გორში უნდა გახსნილიყო უმაღლესი სასწავლებელი,
რომელშიაც უნდა ესწავლებინათ ორი ძველი ენა, ერთი ახალი (ფრან-
გული), ლოდიკა, რიტორიკა და სხ.¹ როგორც ვხედავთ, სასკოლო
საქმე სწორსა და ურყევს გზაზე იყო დამდგარი მეთვრამეტე საუკუნე-
ში; ამას ხელს უწყობდენ ისეთი მომზადებული პედაგოგები, როგორიც
აყვნენ იასტო ანდრონიკაშვილი, მის მიერ აღზრდილი ტფილისის შკო-
ლის მოძღვარნი იოანე კალოუბნელი და ნიკოლოზ ხელაშვილი, ზაქარია
ლაღახანაშვილი, მოძღვარი კახეთის შკოლისა,² გაიოზ რექტორი, დავით
რექტორი და სხვ. მაგრამ პოლიტიკური ვითარების შეცვლამ ეს გზა
უკუაბრუნა და ყოველგვარი გეგმა გააქრწყლა.

ასეთია მოკლედ ისტორია შკოლის საკითხისა ძველს საქარ-
ფველოში; შკოლების გარდა ეკლესიური მწერლობის განვითარებისათვის

¹) Проф. А. Нарелли, Свѣдѣнія I, стр. XXXVIII.

²) მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის, გვ. 31, 42, 43, §§ 101, 102, 105.

ნიადაგს ჰქმნიდენ და მის ზრდას ხელს უწყობდენ მონასტრები, რომელნიც სამართლიანად არიან მიჩნეულნი კულტურულ-ლიტერატურული მოღვაწეობისა და შემოქმედების ნამდვილ ცენტრებად. ეკლესიური მწერლობა, როგორც ყველგან, ისე ჩვენშიაც, გაიზარდა ან ჰო წიფდა სწორედ მონასტრებში, ამიტომ საჭიროა გავარკვიოთ სახელდობრ რომელი მონასტერი უდგა სათავეში ამ საქმეს ჩვენში.

არავითარი საბუთი იმისა, რომ ჩვენში ეგრედწოდებულ ათცამეტასურელ მამათა მოსლვაამდე მონასტრები, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ყოფილიყოს, არ არსებობს. პირველად მონასტრები დააარსეს ჩვენში აღნიშნულმა მამებმა, ხოლო მათ მოღვაწეობას ჩვენ ვაკუთხებთ მეექვსე საუკუნის მეორე ნახევარს. ყოველ შემთხვევაში მეშვიდე საუკუნეზე ადრე ეს მონასტრები ისე ვერ მოეწყობოდა, და ვერც ჩამოყალიბდებოდა, რომ აქ შექმნილიყო მწერლობის განვითარებისათვის საჭირო პირობები. ქართველთა სამონასტრო ცენტრებს აღნიშნულ პერიოდში ჩვენ ვხედავთ უმთავრესად იქ, საიდანაც მათ ქრისტიანობა მიიღეს, სახელდობრ აღმოსავლეთის სხვადასხვა პუნქტებში.

უახლოესი პუნქტი აღმოსავლეთისა, სადაც ამ დროს ქართველებს სამონასტრო ცხოვრება გაუჩაღებიათ, არის შავი ანუ საკვირველი მთა ანტიოქიის მახლობლად სირიაში. ამ დროს აქ მოღვაწეობდა სვიმეონ მესვეტე (†596 წ.), რომლის სახელი დაკავშირებულია ქართლის ეკლესიის ისტორიასთან; ეს ის სვიმეონია, რომლის თაოსნობით ან, ყოველ შემთხვევაში, რომლის დროს ქართლში მოსულან „ათცამეტნი ასურელნი მამანი“. სვიმეონთან, როგორც მისი ბიოგრაფიიდან ვტყობილობთ, ხშირი, მასიური მისღვა-მოსღვა ჰქონიათ ქართველებს, რომელთაგან ბევრი იქვე, მის მონასტერში, რჩებოდა საბერ-მონაზვნო მოღვაწეობისათვის.¹ სვიმეონის დედის, მართას, ცხოვრება იდანაცა ჩანს, რომ ქართველები ამ მონასტერში დიდ როლს თამაშობდენ.² მაგრამ სვიმეონის სავანე ამ ეპოქაში ქართველთა სამწერლობო ცენტრად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან არ არსებობს არავითარი საბუთი

¹) K. Kekelidze, Monumenta hagiographica Georgica, t. I, p. 260—261, 283—284, 236, 338. მისივე Историко-агиографические отрывки, Христ. Востокъ, II, 193—197.

²) Acta Sanctorum, Maii V, 418—425, II. М а р р у, Агиографические материалы по грузин. рукоп. Иверя, I, 36—44.

იმისა, რომ ამ დროს აქ რაიმე ლიტერატურული მუშაობა წარმოებდა საზოგადოდ.

მეორე პუნქტი აღმოსავლეთისა, სადაც ამ დროს ქართველები უკვე მოღვაწეობდნენ, არის პალესტინა.

ქართველთა სამონასტრო კოლონიზაცია პალესტინაში მეხუთე საუკუნიდან იწყება; პეტრე მაიუმელის ცხოვრებაში (V ს.) სწერია, რომ პეტრემ პალესტინაში აღაშენა სახლი სასტუმროდ ქალქსა შანა (იერუსალიმში) და განუსვენებდა მამაკლთა ძმთა ქართველთა და ბექსქანთა;¹ მას აუშენებია აგრეთვე მონასტერი, რომელსა ჰქვან ქართველისა მონასტერი (გვ. 16—17); შეიძლება, ეს მონასტერი იყოს ის იბერთა მონასტერი, რომელიც, პროკოპი კესარიელის თქმით, იუსტინიანე დიდს განუახლებია VI საუკუნეში.² საფიქრებელია აგრეთვე ისიც, რომ სწორედ ამ მონასტერს ჰგულისხმობს სეიმეონ საკვირველთმოქმედის დედის, მართას, ბიოგრაფი, როდესაც მოგვითხრობს შემდეგს: ს:მნი მანაზონნი ქართველნი იერუსალიმით მოვიდეს მონასტრად წმიდისა (სვიმეონისა), რომელთაგანი ერთი, სახელათ: ნტონი, მღვდელობისა ზტიჟითა შემოსილი იყო და სამსახელნი მონასტრისა ზტიონისისა და წინამძღუარი მათა სიმრავლისა.³ ექვს გარეშეა, რომ ქართველები მრავლად მოღვაწეობდნენ სომეხთა იმ სამოცდა ათ მონასტერში, რომელნიც IV—VI საუკუნეთა განზავლობაში გაშენებულა, განახლებულა თუ დამზობილა იერუსალიმსა და მის ახლო-მახლო ადგილებში,⁴ აგრეთვე ისეთ შესანიშნავ ლავრებში, როგორიც იყვნენ წმ. ხარიტონის, ექვთიმეს, თეოდოსის და საბა განწმედლის ლავრები, სადაც ყველა ქრისტიან ეროვნების წარმომადგენელთ ვხედავთ. განსაკუთრებით ეს უნდა ვთქვათ საბა განწმედლის ლავრის შესახებ: აქ რომ ქართველთა ელემენტი საკმაოდ თვალსაჩინო იყო, ეს ცხადია საბას ანდერძის იმ მუხლიდან, რომელიც ჩვენ უკვე მოვიყვანეთ ზემოთ (გვ. 33). დასახელებულ საეანეთაგან, მართალია, საბას მონასტერი მნიშვნელოვანი კერა იყო საქრისტიანო მწერლობისა არა მარტო ბერძნულს, არამედ სხვა ენებზედაც, მაგრამ

¹) ნ. მარჩის გამოცემა, გვ. 14—15.

²) De Aedificiis. V, 9.

³) Acta Sanctorum, Maii, p. 418. М а р р у, Агиографические материалы по грузин. рукоп. Ивера I, 38.

⁴) Н. М а р р у, Жизнь Петра Ивера, Правосл. Палестина. Сбор. т. XVI, вып. 2, стр. IX—X.

ჩვენი მწერლობა მაინც აქ არ დაწყებულა; ამას ჩვენ ვამბობთ არა იმიტომ, რომ ჩვენამდე არ შენახულა ისეთი ძეგლები, როგორცაა შესახებ შეიძლებოდა ეს თქმა, რომ ისინი ნათარგმნი და დაწერილია საბას ლავრაში ჩვენი მწერლობის ისტორიის პირველ პერიოდში, არამედ შემდეგი მოსაზრებითაც. ჯერ ერთი, იმ თავიანთი, მწერლობის შემოღებისასვე, ქართველებს, უნდა ვიფიქროთ, შეიძლება არ ექნებოდათ გამოეყოთ კულტურულ-ლიტერატურული ძალები საზღვარგარეულ პუნქტებისათვის; მეორე, ქრონოლოგიურადაც ეს შეუძლებელი იქნებოდა: საბამ თავისი მონასტერი დააარსა 483 წელს, ქართველები აქ მოვიდნენ არა უადრეს მეხუთე საუკუნის უკანასკნელი წლებისა, ვინაიდან, ჩვენ ვიცით, პირველი უცხოელი, რომელიც აღმოსავლეთიდან შეეფარა ამ საიანეს, იყო სომეხი იერემია თავისი ორი მოწაფით, პეტრეთი და პავლეთი, ეს კი მოხდა 491 წელს. მეხუთე საუკუნის გასულისათვის კი, როგორც დავინახეთ, ქართული მწერლობა უკვე ფაქტია: 474—484 წლებში ქართულ ენაზე იწერება ორიგინალური თხზულება, წმ. შუშანიკის მარტვილობა, საიდანაც ჩანს, რომ საღმრთო წერილი უკვე კარგა ხანი თარგმნილია ქართულად. ცხადია, მაშასადამე, რომ ეს მუშაობა შესრულებულა თვით ქართლში და ის ქართული წიგნები, რომელთაც ჰკუთლისხმობს ზემოპოყვანილი „ანდერძი“ საბასი, ქართველ ბერებს სამშობლოდან მოუტანიათ საბას ლავრაში. ასე რომ, შეგვიძლია ვთქვათ, ქართული მწერლობა როგორც დაწყებულა ქართლში, ისე პირველი პერიოდის განმავლობაში ქართლშივე მუშავდებოდა და ვითარდებოდა. შეგვიძლია დაახლოვებით ვაჩვენოთ კიდევაც ის რაიონი, სადაც დაიწყო და სადაც ვითარდებოდა თავდაპირველად ჩვენი მწერლობა; ეს არის, მტკვრის სამხრეთით, ის სომეხთი (ქართულად), გუგარქი (სომხურად) ან გოგარენა (ბერძნულად), ანუ საკუთრივ ქართლი, სადაც შედარებით იბერიასთან (ეთნოგრაფიულად, მტკვრის ჩრდილოეთით) ქრისტიანობამ უფრო ადრე მოიკიდა ფეხი, სადაც, მოსე ხონერელის მოწმობით, მოქმედობენ ქართული ანბანის შემომღებნი და სადაც ეპიგრაფიკული მასალები გვაძლევენ იმ ხანმეტ ტექსტებს (ჯვარის მონასტერი და ბოლნისის სიონი), რომელნიც დამახასიათებელია ეხლახან აღმოჩენილის პალიმესტებისა, ამ უძვირფასესი ძეგლებისა თავდაპირველი ქართული მწერლობისა. აღბად ეს მწერლობა თავდაპირველად ვითარდებოდა კერძო პირთა, უფრო მეტე-მთავართა და ეპისკოპოსთა, კარზე, აგრეთვე ღირსშესანიშნავ ტაძარ-

თა გარშემო, ხოლო მეშვიდე საუკუნედან, როდესაც ფეხი მოიკიდა სამონასტრო ცხოვრებამ, მონასტრებშიაც.

თუ პირველს პერიოდში ქართველები მხოლოდ აღმოსავლეთთან იყვნენ დაკავშირებულნი, მეორე პერიოდში მათ პირი იბრუნეს დასავლეთისაკენ, ესე იგი საბერძნეთისაკენ, და აქაც გაიჩინეს სამონასტრო ცენტრები. ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი უთამაშნია ილარიონ ქართველს, რომლის სახელთან დაკავშირებულია ორი ქართული მონასტრის შექმნა ბიზანტიაში; ერთია ოლიმპის ან ულუმბოს მონასტერი მცირე აზიის ბითვინიაში, სადაც ილარიონი მოსულა 864 წელს. ოლიმპის მთაზე ქართველებს ჰქონდათ სამი ეკლესია: ქუაბი ან ეკლესია წმიდისა ღვთისმშობლისა, კოზმან—დამიანე და ლავრა კრანია. მეორე მონასტერი, რომელიც ილარიონის სახელთანაა დაკავშირებული, არის ქართველთა მონასტერი ჰრომანას, იმპერატორი ბასილის მიერ აშენებული 878 წელს ილარიონის ნაწილთა დასასვენებლად. ამ მონასტერში გაჩაღებული იყო ქართული მწერლობა, ამას მოწმობს მრავალი ძეგლი, აქ გადაწერილი, რომელიც ჩვენამდე შენახულა, აგრეთვე ექვთიმე მთაწმიდელის ცხოვრება, სადაც ნათქვამია, რომ ექვთიმემ, რომელმაც კარგა ხანი დაყო ოლიმპზე, თავისი მამა იოანესთან ერთად, ულუმპოსა და სამეუფოსა ქალაქსა, ჰრომანას, რამდენიმე თხზულება თარგმნაო.¹

არც აღმოსავლეთთან შეუწყვეტიათ ქართველებს ამ პერიოდში კავშირი; კერძოდ საბას ლავრას სწორედ ეხლა მოუპოვებია ის მნიშვნელობა, როგორცაც ის ცნობილია ჩვენი მწერლობის ისტორიაში. მართლაც, \sqrt{V}^{III-X} საუკუნეებში აქ, შეიძლება ითქვას, დუღდა ნამდვილი ინტენსიური ლიტერატურული შემოქმედება ქართველებისა. უმეტესი ნაწილი იმ უძველესი ხელნაწერებისა, თარიღიანისა თუ უთარილოსა, რომელნიც დღეს სინას მთაზე ინახება განსაკუთრებით, დაწერილია და ნათარგმნი სწორედ საბას ლავრაში ამ პერიოდში, ის რედაქცია საღმრთო წერილისა, რომელიც საბაწმიდურადაა ცნობილი, ამ პერიოდში წარმოიშვა საბას ლავრაშიც ეხლა უნდა შემუშავებულიყო აქ ის ხელიც, რომელსაც საბაწმიდურს უწოდებენ ჩვენი ძველი ძეგლები. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ქართველებს საბას ლავრასთან განსაკუთრებითი მკიდრო კავშირი მეცხრე

¹) კ. კეკელიძე, ნაწყვეტი ქართული ჰაგიოგრაფიის ისტორიიდან, ტფილ. უნივერსიტეტის მთაბებე I, გვ 64—65.

საუკუნეში ჰქონიათ: აქედან გრიგოლმა მოატანია საბაწმიდისა განგებაჲ, აქ, წმიდასა აჰას დღილსა საბაწმიდას, ყოფილა ამ დროს გრიგოლის ორი მოწაფე, არსენი და მაკარი, რომელთაგან უკანასკნელს გადაუწერია 864 წლის მრავალთავეი.¹ ქართველთა ლიტერატურული მუშაობა აქ არ შეწყვეტილა მეთერთმეტე საუკუნემდე, როდესაც პალესტინაში გაშენდა ახალი ცენტრი ჩვენი მწერლობისა, ეგრედწოდებული ჯვარის მონასტერი.

პალესტინაში აღნიშნულ პერიოდში ქართველებს მეორე ცენტრიც ჰქონდათ, ეს იყო წმ. ხარიტონის ლავრა, ეგრედწოდებული ძველი ლავრა ან, როგორც ბერძნები ეძახდნენ, Παλαῖα λαύρα; აქედან წარმოდგა ტერმინი პალავრელი, ესე იგი პალეალავრელი ან ძველი ლავრის მოღვაწე.² პალავრას ჩვენი მკვლევარნი ეძებდნენ ხან ტაოში,³ ხან ქართლში;⁴ მართალია, თითქოს ქართლშიაც ყოფილა ასეთი სახელწოდების მონასტერი, მაგრამ მას ჩვენი მწერლობის ისტორიაში არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია. პალესტინის პალავრაში გადაწერილია მე-X საუკუნეში ერთერთი, სინას მთაზე დაცული, ჰაგიოგრაფიული კრებული № 11,⁵ აქვე უნდა იყოს გადაწერილი იმავე საუკუნეში სვიმეონ მგალობელის მიერ თევდორე პალავრელის იძულებით სინას მთაზევე შენახული იადგარც;⁶ 968 წელს იოანე საფარელს აქ გადაუწერია იოანე ოქროპირის ცხოვრება.⁷

მეორე მნიშვნელოვანი პუნქტი აღმოსავლეთისა, სადაც ქართველთა სამწერლო-საგანმანათლებლო ცენტრი ლევიოდა მეორე პერიოდში, არის სინას მთა: ქართველთა სამონასტრო კოლონია, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, აქ გაჩენილა არა უადრეს მეთათე საუკუნის ნახევრისა; ეს კოლონია პირდაპირი გაგრძელებაა პალესტინის, უფრო კი საბას მონასტრის, ქართველთა მოღვაწეობისა. საქმე ისაა, რომ

¹) ცხოვრება, გვ. კ—კა, აგ—ად. გრიგოლ ხანძთელმა ახლად აშენებულ უბეს მონასტერში მამასახლისად დააყენა იერუსალიმიდან მოსული ილარიონი, რომელსაც „აქედნდე“ კეთილნი წიგნი“ (გვ. 38), უმკველია—იქვე, იერუსალიმში, შეძენილნი.

²) თ. უორდანი, ქრონიკები I, 188.

³) Brosset, Rapor. XII, 86.

⁴) ქართლის ცხოვრება I, 221.

⁵) აღ. ცაგარლის აღწერილობით № 50.

⁶) აღ. ცაგარლის კატალოგით № 67.

⁷) სინას მთის ზელ. № 72 ა: ცაგარლის კატალოგით.

პალესტინის მონასტრები, განსაკუთრებით საბასა და ხარიტონის ლავრა, IX—X საუკუნეებში მეტად შეაფიწროვეს არაბებმა, ისინი არაერთხელ აუოხრებიათ მათ და მათი მოღვაწენიც ამოუყლევიათ. სინას მთა კი, როგორც მივარდნილი კუთხე, შედარებით უფრო მოსვენებული იყო, ამიტომ, ჩანს, ქართველები ნაწილობრივ აყრილან და საბას ლავრიდან სინას მთაზე გადასახლებულან, სადაც მათ საკუთარი ეკლესიებიც კი ჰქონიათ. გაცხარებული ლიტერატურული მუშაობა აქ მეთვე საუკუნის უკანასკნელს მეოთხედში ღვივოდა. ვინაიდან სინას მთა, როგორც განკალკევებული და განშორებული პუნქტი, მტრების შემოსევისა და აოხრებისაგან შედარებით უზრუნველყოფილი იყო, აქ შენახულა უძველესი ჩვენი თარიღიანი და უთარილო ხელნაწერები. სინას მთაზე შემუშავებულა საგანგებო ხელიც, რომელსაც სინას მთის ხელი ეწოდება, ეს მეტად ლამაზი და მოხდენილი მრგვალი ხელია. უნდა შევნიშნოთ, რომ აქ იმდენად არ სთარგმნიდენ, რამდენადაც გადაწერას მისდევდენ: სწერდენ არა მარტო ქართულ ხელნაწერებს, არამედ ბერძნულსაც და არაბულსაც; ეს იქიდანა ჩანს, რომ ბევრს იქაურ ბერძნულ-არაბულ ხელნაწერს ქართული პაგინაცია აქვს. მომეტებული ნაწილი აქაური უძველესი ხელნაწერებისა საბას ლავრიდანაა გადმოტანილი; საზოგადოდ ჩანს და იოკიევა, რომ სინასა და პალესტინის, საბას ლავრის, ქარძველ მოღვაწეთა შორის ხშირი და მტკიცე მისვლა-მოსვლა და ურთიერთობა წარმოებდა. სინას მთაზე პალესტინიდან გადადიოდნენ ქართველი მოღვაწეები, როგორც, მაგალითად, მიქელ კატამონელი (სინ. ზელ. № 9) და კვირიკე სოხასტერელი (ქწ 16); აქ, პალესტინაში, ამხადებდნენ სინას მთისათვის სხვადასხვა საჭირო ხელნაწერებსა და წიგნებს. მეთვე საუკუნის მოღვაწეთა შორის აქ ცნობილია: იოანე — ზოსიმე, კვირიკე მიძნაძორელი, ბერის დათუას შეგირდი, ეზრა მღვდელმონაზონი და მესვეტე, ბერი კვირიკე სოხასტერელი, გაბრიელი, მიქელი, გიორგი, თეოდორე კჳუდელელი, იოანე კუმურდოელი, გიორგი იწელი, ბასილი, იოსები, მაკარი და სხვა. ყველა ესენი იღებდენ ამა თუ იმ მონაწილეობას ხელნაწერთა გამრავლებაში: ერთს ეკუთვნის თაოსნობა, მეორე შოულობს საწერ მასალას, მესამე სწერს, მეოთხე სთარგმნის, მეხუთე უდას უკეთებს წიგნებს, შეექვსე ასურათებს მათ და ასე.

უფრო მნიშვნელოვანი ლიტერატურული ცენტრები მეორე პერიოდში ჩვენ თვით საქართველოში გვაქვს, სახელდობრ ტაოკლარჯეთის მხარეში; ამ მხარეში სამონასტრო ცხოვრების მეთაურად შეიქმნა

გრიგოლ ხანძთელი თავისი მოწაფეებით, რომელთაც უკაცური და უღაბური ქვეყანა გადააქციეს აყვავებულ კუთხედ. ეს მხარე დასახლებული ყოფილა ძველიდანვე ტუბალ-კაინიტთა ტომით, ქანებისა და მეგრელების მოღვმის ხალხით, მაგრამ V—VII საუკუნეებში აქ გაჩაღებულა და გაძლიერებულა სომხური საეკლესიო ვავლენა. სომხებს გაუშენებიათ აქ მონასტრები, როგორცაა ოპიზა, ხანძთა, იშხანი, მიძნაძორი, შატბერდი და სხვა, სადაც კულტურულ-შემოქმედებითი და ლიტერატურული მოღვაწეობა დულდა და გადმოდულდა. მერვე საუკუნის პირველ ნახევარში, მურვან ყრუს შემოსევით, ეს მხარე სულ ერთიან აოხრდა, ამას თან დაერთო ხოლერობა, რომელმაც მუსრი გაავლო მცხოვრებლებს. ამითი აიხსნება, რომ, როდესაც გრიგოლ ხანძთელი მოვიდა აქ, მას უამსა სხუა მონასტერი არა შსნ იყო მათ ქუეყანათა, თუნ იერ ონიზისა, და არცა მსოფლიონი კრისკანნი ახლვიდეს ახლად შსნებისათჳს მათ ქუეყანათაჲსა; რამეთუ კლარჯეთს და ტათა შინა და შავშეთს და ფოველთა მათ მახლობელთა ქუეყანათა მცირედნი იპოვებოდეს დაშსნებულ ტუკაა შინა ადგილადგილ. ¹ ამ უბედურების და აოხრების დროს დაცემულა და დაშრეტილლა ნახსენები სომეხთა მონასტრები; როდესაც გრიგოლი მოსულა აქ, მხოლოდ ერთადერთი მონასტერი ყოფილა, ოპიზა. ეს მონასტერიც ქალკედონისტ სომხებს სკერიათ, მაგრამ აღნიშნული უბედურებრს შემდეგ, სხვებთან ერთად, ისიც მიუტოვებიათ, დარჩენილა აქ ერთი პატარა ეკლესია იოანე ნათლისმცემლისა. მერვე საუკუნის ოცდაათიან წლებში აქ დამკვიდრებულან ქართველები და მონასტერი იოანე ნათლისმცემლის სახელზე განუახლებიათ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში ნათქვამია, რომ აღუშენა წმიდაჲ და დიდი ედაბნოჲ ოპიზაჲ მონაზონთა მიერ, რამელთა ეწოდებოდა: ამონა, ანდრია, ჰეტრე და შაკრიო. ² გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ნაჩვენებია სახელები ოპიზის პირველი სამი მამასახლისისა: სამოელ, ანდრეა რა გიორგი (გვ. 9); გიორგის დროს მოსულა აქ გრიგოლი, მაშინ იქ იუვნეს ძმანი მცირედნი შეკრებულ კრისტოს სიუყარულისათჳს, ვინაჲთჳნ ჰოვნილ იყო წმიდაჲ იგი მცირც ეეკლესიაჲ წმიდისა ნათლისმცემელისა (გვ. 9). ოპიზა შეიქმნა კერად ტაოკლარჯეთის სამონასტრო ცხოვრებისა, აქ მოღვაწეობდენ მიქელ პარხელი, გიორგი მაწყვერელი და სერაპიონ ზარზმელი. მეცხრე საუკუნეში ის განუახლებია აშოტ კუროპალატის ძეს გუარამს, რომელიც დამარხეს ოპიზას, მეორედ მისგან

¹) ცხოვრება გვ. ია.

²) მ. ჯანაშვილის გამოცემა, გვ. 5

ადშენებულსა. ¹⁾ ოპიზა იყო ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი ქართული მწერლობისა, აქ გადაწერილა აღბად თარგმნილა კიდევ, ბევრი საყურადღებო ძეგლი ამ პერიოდის და შემდეგი დროის მწერლობისა; მაგალითად, აქ გადაწერილია, სხვათა შორის, 913 წელს ეგრედწოდებული ოპიზის სახარება.

გრიგოლ ხანძთელმა ააშენა ხუთი მონასტერი: სამი ზამთადა ორი ღელათა, ანათგან მწერლობის ისტორიისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო შატბერდი. ესეც სომხური ნამონასტრალი იყო და ის აშოტ კუროპალატმა აგარაკად ხანძთისა განაჩინა (გვ. იზ.) აშოტის სიკედილის შემდეგ გამეფდა ძე მისი ბაკრატი; გრიგოლი მივიდა მასთან და უთხრა: ამას ვიხსოვ შენგან: არს აშოტ კუროპალატისა შეწირული აგარაკი ხანძთას და იქმნების კეთილად მონასტრად; უკეთუ მიბრძანოს მეფობამან შენმან, ადვანსნო სადიდებულად ღმრთისა და საცხოვრებლად სულისა შენისა... მაშინ სიხარულით უბრძანა ბაკრატ კუროპალატმან შწნებაჲ მისი და მისცა უოველივე საკმარი საშწნებულად (გვ. კ. 1-4 თ). გრიგოლმა აქ გააშენა დიდებული მონასტერი ღვთისმშობლის სახელზე (გვ. მ). და შეაერთა ორნივე იგი უდაბნონი (ხანძთა და შატბერდი) ერთად შენაწყვრებულნი და შემტკიცებულნი ძმობრივსა ზუდასიყურად (გვ. კთ). ბაკრატმა ამის შემდეგ მოუწოდა გრიგოლს და უბრძანა ადგილნი მარჯუენი აგარაკად შატბერდსა, და უოველი, რაჲცა უკმა, მისცა მასთჳს სრულიად საშწნებულად (გვ. კთ). შატბერდი ერთი უდიდესი ცენტრი იყო ჩვენი ძველი მწერლობისა, აქ გადათარგმნილა და გადაწერილა ბევრი მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელნიც სამართლიანად ამკობენ ჩვენ სიძველეთსაცავთ. აქაურ ძეგლებიდან ჩვენამდე შენახულა: ცნობილი შატბერდის კრებული (წერაკითხუ. ხელნ. № 1141), 973 წლის ახლო ხანებში გადაწერილი; ეგრედწოდებული ჰადიშის სახარება, 897 წელს გადაწერილი; ჯრუჳის სახარება 936 წლისა, ²⁾ პარხალის სახარება 913 წლისა იოანე ბერაჲს მიერ გადაწერილი, ³⁾ უდაბნოს მონასტრის მრავალთავი X. საუკ. ⁴⁾ და სხვ.

არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონია ჩვენი ძველი მწერლობისათვის აგრეთვე იშხანს, ესეც სომეხთა სავანე ყოფილა თავდაპირველად; ის, გრი-

¹⁾ ქართ.—ცხოვრება. მარიამ დედოფალის ვარიანტი, გვ. 225.

²⁾ თ. ეორდანია, ქრონიკები I, 89.

³⁾ იქვე გვ. 94-95.

⁴⁾ სიძვ მუხ. № 1147.

გოლ ხანძთელის ბიოგრაფიით, აუშენებია სომხის კათოლიკოსს ნერსეს (VII ს.). მაგრამ არაბთა შემოსევის გამო დაქვრივებულა (გვ. ლ); ეს ქვრივობა გრძელდებოდა წელაწადთა მრავალთა, მაგრამ გრიგოლის დროს კუაღად იქმნა სეკუარი ქაწწილი და შეორედ აღუშენა (გვ. ლ) ის ნეტარისა საბა ან საბანის მიერ, რომელიც იყო დედას დისწული გრიგოლისა (გვ. ვ). გრიგოლს საბა წაუყვანია იერუსალიმში, იქიდან დაბრუნებისას, როდესაც მათ მიიწიეს იშხანს, გამოცხადდა ღმერთისა მიერ ნეტარსა გრიგოლს და დიხსსა საბას იშხანსა ზარეკი დიდებულკბამ .. და ეუწვა, ვითარმედ კუაღად განახლებად არს ჰირეკეებრ კეთითა საბანისითა, და ეცნობა გზადცა მასვალად, რამეთუ მის უმისა კაცთაგან მიუვალ იყო ადგილი იგი (გვ. ით). გრიგოლმა მისცა საბას ხანძთის მონასტრიდან ორნი ძმანი (გვ. კ.ლვ) და მან ხელი მიჰყო იშხნის განახლებას, კორციელად მოღუწეობითა ღმრთისა მსახურთა მეფეთაჲთა (გვ. ლ). თუმა იშხანში ეპისკოპოსი იჯდა, მაგრამ ის ამავე დროს მონასტრადაც ითვლებოდა. იქ გაჩაღებული მწერლობა ყოფილა; ეს იქიდანაცა ჩანს, რომ ის მრავალთავე, რომელიც დღეს სიძველეთა მუზეუმში ინახება (№ 95), დაწერილთა დედითა იშხნისაჲთა, ესე იგი მისი დედანი იშხანს ყოფილა დაწერილი. მეათე საუკუნის უკანასკნელს წლებში ილარიონ იშხნელს გადაუწერინებია აქ ისაჲკ ასურელის თხზულებანი.¹

გრიგოლ ხანძთელის დროსვე აშენებულია აგრეთვე წყაროსთავის მონასტერიც; ის აუშენებია დავით მიძნაძორელის მოწაჲვეს ილარიონს, რომელიც მერე კათოლიკოს იქმნა შტეტის (გვ. ლა). წყაროსთავი, რომელი აშენებული ყოფილა მაცხოვრის სახელზე,² მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ჩვენი მწერლობის ისტორიაში, თუმცა მომეტებული ნაწილი აქ გადაწერილი ხელნაწერებისა, რომელთა შესახებ ცნობები შენახულა, მესამე პერიოდს ეკუთვნის.

გრიგოლ ხანძთელისავე ცხოვრებიდან ვტყობილობთ, რომ მის დროს ყოფილა მონასტერი ტბა, რაც ტბეთს უდრის (გვ. მ), სადაც ზაქარია, ანჩელ ეპისკოპოსს, რამდენიმე სასწაული შეუსრულებია. წმინტკუხუა (†918 წ) ტბეთი გახდა საეპისკოპოსო კათედრად, მაშასადამე, ესეც იქის საბოთია, რომ მონასტერი იქ მანემდრაც ყოფილა. ტბეთის ეპისკოპოსნი და სხვა პირნი, რომელნიც ხელს უწყობდენ აქ მწიგნო-

1) სიძველეთა მუზ № 35, თ. უორდანი, ქრონიკები I, 91.

2) თ. უორდანი, ქრონიკები I, 234.

პრობის აყვავებას, არიან ცნობილნი: პირველი მტბევარი სტეფანე, რომელმაც აღწერა წმ. გობრონის ან მიქაელის ცხოვრება; დავით ტბელი, რომელიც მოხსენებულა მიქელ მოდრეკილის საგალობელში; იოანე, თანამედროვე მიქელ მოდრეკილისა, ცნობილი ჰიმნოგრაფი, მეორე იოანე, აკილა, შაორის მოწამეთა ცხოვრებაში მოხსენებული 1002 წ., საბა — 1028 წ., ფერემ მცირის თანამედროვე ანტონ ტბელი¹ და პავლე ტბელი, რომელსაც მე-XII ს. გადაუწერინებია სახარება;² აქ გადაწერილ ხელნაწერთაგან ყველაზე საყურადღებოა ეგრედწოდებული ტბეთის სახარება 995 წლისა.

მეცხრე საუკუნის გასულს თუ მეათეს დამდეგს აშენებულია მონასტერი ეოშხი ან ოშკი, რომელიც თორთომის ხეობაში იმყოფება თორთომის ციხის მახლობლად. ის აშენებულია ადარნასე კუროპალატის მიერ (881 — 923 წ.), რომელმაც ააგო აგრეთვე შესანიშნავი ბანას ტაძარი მდინარე ოლთისზე. დ. ბაქრაძის აზრით, რომელსაც პროფ. ა. ცაგარელი და თ. ჟორდანიაც იზიარებენ, ოშკის ლავრა იოანე ნათლისმცემლის სახელისა იმყოფება ათონზე, ივერიის მონასტრის მახლობლად. ეს აზრი შემცდარია: ათონზე მართლა ჰქონდათ ქართველებს იოანე ნათლისმცემლის ტაძარი, მაგრამ ის ოშქად არასოდეს ცნობილი არ ყოფილა; ეს ეკლესია ქართველებმა ააშენეს აქ ბარდასკლიაროსის დამარცხების, ესე იგი 979 წლის შემდეგ,³ ხოლო ოშქში გადაწერილი ხელნაწერები ჩვენ გვხდება 977 და 978 წლებშიც: ასეთებია: შესანიშნავი, ერთადერთი ცალი უძველესი ჩვენი ბიბლიისა, რომელიც გადაწერილია ორ წიგნად გიორგი, მიქელი და სტეფანეს მიერ 978 წელს; სამოთხე ან იოანე მოსხის ლიმონარი ოქროპირისა და ფერემ ასურის ქადაგებათა კრებულით, იოანე და სტეფანე დეკანოზის ხელით გადაწერილი 977 წელს; იოანე ოქროპირის ცხოვრება, გადაწერილი იოანე ჩირაქის ხელით 977 წელს.⁴

მეათე საუკუნეში გაშენებულია შესანიშნავი ხახულის ღვთისმშობლის მონასტერი, რომელიც იმყოფება თორთომის წყლის მარცხენა ნაპირზე, სოფელ ხახულს ან ხახულში. ვახუშტი ამბობს, რომ ეს

¹) თ. ჟორდანიაც, ქრონიკები, I, 114.

²) Материалы по Археологии Кавказа, вып. XII. стр. 155-156.

³) ათონის კრებული გვ. 12-13.

⁴) დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, გვ. 215-216, თ. ჟორდანიაც, ქრონიკები I, 107-109.

მონასტერი ააშენა ორმ-ცდამერვე მეფე დავითმა; ბროსეს აზრით ის დავითია, რომელიც მეფობდა 876—881 წლებში, მაგრამ მემბტიანის სიტყვით აქ იგულისხმება დავით კუროპალატი, რომელმაც ბაგრატ მესამე იშვილა; ამან აღაშქა მანასტერი და საყდარი ღმრთისა წმიდა გეგესია სასუფისა.¹ ხახულს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი მწერლობის ისტორიაში; განსაკუთრებით ცნობილია ხახულის მოღვაწეთაგან ბაგრატ მესამის დროიდან (X—XI ს.) იოანე ხახულელი, რომელსაც გადაუწერა კირილე ალექსანდრიელის მოძღვრებანი² და თებერვლის თთუენი;³ ეს ის იოანე უნდა იყოს, რომელსაც მკერმეტყველებისათვის ოქროპირი ეწოდა.

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ნათქვამია, რომ ხანძთას მოვიდა გრიგოლთან მისი მეგობარი მიქელ მიძნაძორელი, რომელიც ეძიებდა მართლმყოფობას და ზოგა თავისა თჯისა სამეჯდრებელი ბერთისა ჰარესთა, სადაც დაემკვიდრა იგი (გვ. ლზ—ლც); მაშასადამე, ბერთას მონასტერიც დაახლოვებით გრიგოლ ხანძთელის დროს აშენებულა, ის იყო მოსაზღვრე ოპიზის მონასტრისა.⁴ აქ გადაწერილ ხელთნაწერთაგან დღეს ცნობილია ბერთას სახარება, რომელიც გელათის მონასტერშია დაცული (№ 41).

მეათე საუკუნეში უნდა იყოს აშენებული პარხალის იოანე ნათლისმცემლის მონასტერი ლაზისტანის ან პონტოს მთაგრეხილი აღმოსავლეთის კალთაზე, ქოროხის ხეობაში,⁵ სადაც ინტენსიური მწერლობა წარმოებდა; აქ გადაუწერიათ დედიოა იშხნისაჲთა ის მრავალთავი, რომელიც დღეს სიძველეთა მუზეუმში ინახება (№ 95). პარხალისათვის იოანე ბერაჲს შეუწირავს მის მიერ შატბერდში 973 წ. გადაწერილი სახარება, რომელიც დღეს პარხალის სახარების სახელითა ცნობილი.⁶

ტაოკლარჯეთის მონასტრებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ ჩვენი მწერლობის ისტორიაში. აქ გაიკვანძა ის კავშირი, რომელმაც

¹) მარამ დედოფლის ვარიანტი გვ. 237.

²) ჯვარის მონასტრის ხელთნაწერი № 123.

³) ჯვარის მონასტრის ხელთნაწ. № 35.

⁴) თ. ეორდანი, ქრონიკები I, 171.

⁵) И. Бакрадзе, Кавказъ въ древнихъ памятникахъ христіанства, стр. 119—120.

⁶) Такишишвили, матеріалы по Археологич Кавказаа вѣщ. XII, стр. 139—151, თ. ეორდანი, ქრონიკები I, 94—95.

შემდეგ პერიოდში წარმოშვა ბიზანტიური მიმართულება, აქ დულდა ლიტერატურული შემოქმედება, ასე რომ უდიდესი ნაწილი იმ საგანძურისა, რაც ჩვენ მოგვეპოება მეცხრე-მეათე საუკუნიდან, შექმნილა ამ მონასტრებში. აქ ჩამოყალიბდა საგანგებო ტაოკლარჯეთის სალიტერატურო შკოლა, ასე ვთქვათ, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული, რომელმაც შეიმუშავა თავისი საკუთარი გრამატიკა, ენა, ხელი და მიმართულება. ქართველთა შემოქმედებითი ენერგია იმდენად გაიზარდა ამ მონასტრებში, რომ ტაოკლარჯეთის საზღვრებში ის ველარ დაეცა, ამიტომ მან გადალახა ეს საზღვრები, გამოვიდა თავის კალაპოტიდან და ფართო ნაკადით გადავიდა მცირეაზიის სხვადასხვა პუნქტებში და მერე ათონის ნახევარ კუნძულზე, სადაც მან შექმნა ახალი ცენტრი ჩვენი მწერლობისა ივერიის მონასტრის სახით. ათონის სამონასტრო და სალიტერატურო წრე თავდაპირველად წარმოადგენდა ერთ შტოს ვეებერთელა ტაოკლარჯეთის საეკლესიო ხისას, ივერიის მონასტერი პირველ ხანებში იკვებებოდა ტაოკლარჯეთიდან გამოტანილი ტრადიციებით.



მესამე პერიოდში საზღვარგარეთელ ცენტრებიდან საბასლაურამ პალესტინაში დაკარგა თითქმის ყოველგვარი მნიშვნელობა არა მარტო ქართველებისათვის, არამედ სხვა ქრისტიანებისთვისაც, ვინაიდან ის გავერანებული იყო არაბთა გამუდმებული თავდასხმისა, ცარცვა-გლეჯისა და ძმათა უღმობელად ჟლეტისაგან.

სინას მთაზე ქართველები ამ ეპოქაშიც განაგრძობენ მოღვაწეობას; დავით აღმაშენებელმა აქ, ქორების მთაზე, ააგო ახალი ეკლესია და სენაკები ქართველ მოღვაწეთათვის, თამარ დედოფალი უხვ შეწირულებას უგზავნიდა აქაურ ქართველებს და მათ სავანეებს, და მხოლოდ XV-XVII საუკუნეებში მიატოვეს ქართველებმა აქაურობა, როდესაც საქართველოშიც და აღმოსავლეთშიც, ოსმალთა მეოხებით, ისეთი პოლიტიკური სიტუაცია დამყარდა, რომ მათი აქ დარჩენა შეუძლებელი შეიქნა. თვით კონსტანტინოპოლში, სადაც ამდენხანაც მოღვაწეობდნენ ქართველები, მაგალითად, ჰრომანასა და ხორას მონასტრებში, რამდენიმე ახალი ცენტრები გაიჩინეს მათ ამ პერიოდში; მაგალითად, ჩვენ გვხვდება ლიტერატურული ძეგლები, რომელნიც გადაწერილი თუ ნათარგმნია ღმრთის-მშობლის მონასტრისა ტრიანფლიუსს¹ და მონასტრისა წმიდისა გიორგისა-

¹ თ. ეორდანი, ქრონიკები I, 228-229.

სა მან განას. ¹ უფრო საყურადღებოა ამათგან მანგანას წმ. გიორგის მონასტერი; ის დააარსა იმპერატორმა კონსტანტინე მონომახმა შემდეგს პირობებში: კონსტანტინეს ჰყავდა ფავორიტა სკლირენა, რომელიც მან ვერ მოიშორა მაშინაც კი, როდესაც გამეფდა. ავიდა თუ არა ტახტზე, მან გამოიწვია სკლირენა ბიზანტიაში და დაასახლა ვინმე კინიგის სახლში. რომ რაიმე, თითქოს პატივსაცემი, მიზეზი გაეჩინა სკლირენასთან მისასლველად და მის სანახავად, კონსტანტინემ აქ დაიწყო შენება სასახლისა, და ხშირად დადიოდა ვითომცდა მუშაობისათვის თვალყურის სადევნებელად. ცოტა ხნის შემდეგ გეგმა გაფართოვდა: სამეფო სასახლის გარდაეხლა აქ ააშენა ტაძარი და მონასტერი, მონასტერთან სხვადასხვა დაწესებულებანი, როგორც ქსენონი, მოხუცთა და გლახაკთა თავშესაფარი და ბოლოს 1044—1047 წლებში უმაღლესი შკოლა, რომელსაც აკადემია ეწოდებოდა. ამ აკადემიამ დიდი როლი ითამაშა ბიზანტიაში სწავლა-განათლების საქმის მოწესრიგებაში, მას მნიშვნელობა ჰქონდა ქართველებისათვისაც; საქმე ისაა, რომ ის ქართველები, რომელნიც ბიზანტიაში მიდიოდნენ უმაღლესი სწავლის მისაღებად, შედიოდნენ სწორედ ამ აკადემიაში, სადაც მეთერთმეტე საუკუნეში ბრწყინავდა მთელი რიგი შესანიშნავი პროფესორებისა, როგორც მაგალითად, მიხაელ ფსელოსი, იოანე ნომოფილაქსი და სხვები. აქ მიიღეს განათლება: არსენ იყალთოელმა, რომელმაც აქვე თარგმნა ანასტასი სინელის წინამძღუარი, იოანე პეტრიწმა და ყველა იმათ, ვინც სისტემატიურს საშკოლო განათლებას ეზიარენ მეთერთმეტე საუკუნეში. უეკველია, ამ მონასტერში და აკადემიაში ლიტერატურულ მოღვაწეობას არსენის გარდა სხვა ქართველებიც ეწეოდნენ. ყოველ შემთხვევაში ისინი იყენებოდნენ იმ სულითა და ტრადიციებით, რომელიც აქ იყო გამეფებული.

ამავე დროს ქართველების სამონასტრო და, უნდა ვიფიქროთ, სამწერლო კოლონია ყოფილა კვიპრეს კუნძულზე; ვიცით ჩვენ აქ ქართველთა მონასტერი *ἱερός, ῥεσι*. *გადია*, სადაც გადაწერილია დავითნის თარგმანი; ეს მონასტერი განუახლებია თამარ დედოფალს. ²

ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და მსხვილ საზღვარგარეთელ ცენტრებად ამ პერიოდში სამართლიანად უნდა ჩავთვალოთ ივერიის მონასტერი ათონის მთაზე, სვიმეონ საკვირველთმოქმედის სა-

¹) იქვე №. 237.

²) ქართლის ცხოვრება I, 318, შეად. თ. ყორღანია, ქრონიკები I, 128, 130—131.

ვანე შავმთაზე ანტიოქიის მახლობლად, ჯვარის მონასტერი პალესტინაში და პეტრიწონის მონასტერი მაკედონიაში.

ათონის ივერიის მონასტერი. ათონის ივერიის პორტაიტისის ღვთისმშობლის მონასტერი აშენებულია მეათე საუკუნის გასულს, 982--985 წლებში, ტაოკლარჯეთის სავანეთა მოღვაწეებისაგან. მისი დამაარსებელი არის იოანე, ხოლო ორგანიზატორი--მისი შვილი ექვთიმე ათონელი, და მის შემდეგ გიორგი მთაწმიდელი. იოანე იყო სამცხიდან, დიდი ოჯახის შვილი; ეხლანდელი ზარზმის მონასტრის მახლობლად, შვიდ ვერსზე, არის სოფელი ჩორჩანი, სადაც ძველად ძლიერი და მიუვალი ოქრო-ციხე ყოფილა. ამ მხრის პატრონთ და დიდებულთ ეძახდნენ ჩორჩანელს, რესი. ჩორღვანელს. მეცხრე საუკუნეში, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებით, ცნობილია გიორგი ჩორჩანელი, რომელმაც, როგორც უშვილომ, თავის სამკვიდრებელთან ერთად ჩორჩანელობაც გადასცა თავის დის შვილებს--ხურსიძეებს. აი ამ ჩორჩანელ--ხურსიძეთა გვარიდან ყოფილა იოანე,¹ რომლის მშობლებს, ექვთ. თაყაიშვილის აზრით, სულასა და მარიამს, მის გარდა ჰყოლიათ კიდევ, სხვათა შორის, ერთი შვილი, ეს ის ცნობილი თორნიკეა, ბერობაში იოანე, რომელმაც 979 წლის 24 მარტს დაამარცხა ბარდა სკლიაროსი. იოანე, რომლის საერისკაცო სახელად ისტორიას ვარაზეაჩე მიაჩნია, ცოლშვილიანი ყოფილა, მას ცოლად ჰყოლია ბიზანტიის იმპერატორთაგან მიღებულის და პატრივცემულის ვილაც აბუჰარბის ქალი.² ვარაზეაჩეს ექვთიმე მთაწმიდელის ბიოგრაფი ასე ახასიათებს: იყო მამა ჩვენი იოანე მშობელთა და ჰანათაგან დიდებული და წარჩინებული და სწინათა მთავრათა შორის დავათ კურანჯატისათა, მუნე და ახოვანი და განთქმული წოდება შინა, მღვდელი და შეუნიერი ჰასაკიას და აგებულებითა გუმისათა, და ბრძენი და გონიერა გონებითა და გულის ხმის უფლითა და საკსე შიშითა დროთისათა და უოვლითავე კეთილისა საქმითა, და ფრიად საუარეო და საკეთარი კეთილადსენებულისა დავით კურანჯატისა.³

როდესაც ალი ქრისტეს სიყვარულისა მთელი თავისი სიძლიერით

¹) E. Такайшвили. Археологическія экскурсіи, раысканія и замѣтки, вып. I, стр. 32--34., მ. ჯანაშვილი ქართული მწერლობა II, გვ. LI--LIV, თ. ქორდანია, ქრონიკები I, გვ. 109--110.

²) ათონის კრებული გვ. 7.

³) ათონის კრებული გვ. 5. თუმცა დავით კურანჯატის გამეფებას იოანე ორ უნდა მოსწრებოდეს, ის მანამდის წასულა მონასტერში; იხ. ამის შესახებ ჩვენი სტატია: „ორი ექვთიმე ძველს ქართულ მწერლობაში, კრებული ჩვენი მეცნიერება, № 2--3, გვ. 106, შენიშვნა 4.

აენტო მის გულში, ვარაზვაჩემ მიატოვა სახლი, დიდება, ქონება—სიმდიდრე, ცოლშვილი და ნათესავები და ჩუნად წავიდა ჯაფრას დიდებულსა ოთხთა ეკლესიასა, სადაც იქაურ მოღვაწე, მოსე და გელასისაგან, ფარულად ბერად აღიკვეცა იოანეს სახელით. აქ მან დაყო ჟამ რაოდენიმე მორჩილებასა შინა, და ვინაითგან იწყო განცხადებად საქმეჲს მასმან, მიატოვა აქაურობა და გადასახლდა ულუმბოს მთაზე მცირეაზიაში, სადაც ქართველები კარგა ხანია მოღვაწეობდენ. აქ ის ერთს მონასტერში ჟამთა არაშვიდრდთა ჯოროთა მსახურების ღვაწლს ეწეოდა, ამიტომ ის ცნობილია ხარტულარის სახელით. აქ მან მოიყვანა თავისი უმცროსი შვილი ექვთიმე და შემდგომად რაოდენისაჲმე ჟამისა, ვინაითგან განითქვა სხვა მისი და მატყვსა უფოფდეს ბერძენნი და ქართველნი, გადავიდა ათონის მთაზე და დაემკვიდრა ლაყრასა დიდისა ათანესსა, რომელიც დედით იყო ლაზი და რომელმაც ის დიდის პატივით და სიყვარულით მიიღო. ცოტა ხნის შემდეგ აქ მოვიდა მისი ძმა თორნიკე, რომელიც მან ბერად აღკვეცა იოანეს სახელით, მას მოყვენ სხვებიც, ასე რომ ქართველთა რიცხვი აქ იმდენად გადიდდა, რომ შეუძლებელი შეიქმნა მათი ათანასეს ლავრაში მოთავსება, ამიტომ უკანასკნელის რჩევით და ლოცვა-კურთხევით ძმებმა ააშენეს ლავრის მახლობლად იოანე მახარებელის ეკლესია და სენაკები ქართველ ძმათათვის. რამდენიმე ხნის შემდეგ ბარდა სკლიაროსი აუჯანყდა ბიზანტიის მცირეწლოვან იმპერატორებს, ბასილსა და კონსტანტინეს, რომელთაც დახმარებისათვის, იოანე-თორნიკეს საშუალებით, დავით კოროპალატს მიჰპარტეს. დავითმა გამოგზავნა 12000 მხედარი თორნიკეს მეთაურობით, როგორც გამოცდილის და ახოვანი მხედართმთავრისა, რომელმაც სძლია ბარდას და ხელთიგდო დიდი ნადავლი; ნაწილი ამ სიმდიდრისა, ათონზე მობრუნებისას, იოანე-თორნიკემ შესწირა ათანასეს ლავრას და ბერძენთა სხვა მონასტრებს, ხოლო ნაწილი მისცა თავის ძმას იოანეს და ააშენეს ქართველებისათვის საგანგებო მონასტერი, რომლისა ჰეროდენებმა და მშენიერებამ უადრეს ქებისა აღმატებულ იყო, ასე რომ ათონის მთაზე დაღატოთ ფრადნი იყვენენ მონასტერნი, განსა მსკავსი მისა არა იწკობდა, და არა ხოჯო მთასა, არამედ სხუათაცა მრავალთა ადგილთა. ¹ ძმებმა განიზრახეს ამ მონასტერში მარტო ქართველები ყოფილიყვენ და ბერძენები არ შეეშვათ, მაგრამ დაბალი სამსახურისათვის, როგორცაა

¹) ათონის კრებულის გვ. 65.

შეზღვეურობა, მევენახეობა, მზარეულობა, ხაბაზობა, მეჯორეობა და სხ., ქართველები ვეღარ იშოვეს და ბერძნები მოიწვიეს. რაც დრო გადიოდა, ბერძენთა რიცხვი თანდათან მრავლდებოდა მონასტერში, რომელმაც თავისი სიმდიდრითა და მშვენებით მათ ხარბ გულში აღძრა სურვილი ქართველების გაძევებისა აქედან და მონასტრის ხელში ჩაგდებისა. თავის განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მათ ამოირჩიეს მომენტი, როდესაც მესამე წინამძღვარი მონასტრისა, გიორგი ვარაზიჭე, რომელმაც განსაკუთრებით გაამრავლა ბერძნები აქ, გარდაიცვალა მონასტრის ექსპორიობასა შინა, სადაც ის გაგზავნეს პოლიტიკურ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის. ბერძნები სამჯერ დაესხენ თავს მონასტერს, გაეცარცვეს ის და მოინდომეს სრულიად განედევნათ პატრონი აქედან, ასე რომ ქართველები იძულებული შეიქნენ არაერთხელ მიემართათ თხოვნით იმპერატორებისათვის, მოციქულებს გზავნიდნენ საქართველოში და ბაქმეში პრევედენ ქართველ მეფეებს, რომელნიც შესაფერს დიპლომატიურ შუამავლობას სძრავდნენ ხოლმე. ამ ყამად მონასტერი გადაარჩინეს, მაგრამ ისინი გრძნობდნენ, რომ ბერძნები მათ მოსვენებას არ მისცემდნენ; ამიტომ სვიმეონ წინამძღვრის დროს მათ დაწერეს მოსახსენებელი, რომელშიც აღნიშნეს ისტორია მონასტრის აშენებისა, ქართველების უცილობელი უფლებები ამ მონასტერში და წყვეა-გუემა შეუთვალეს იმ ქართველებს, რომელნიც ოდესმე მოინდომებდნენ ან ხელს შეუწყობდნენ. ნებით თუ უნებლიეთ, აქ ბერძნების გამრავლებას, ქართველების დაჩაგვრას და მათ მონასტრიდან გამოძევებას. ვერც ამან გაქრა: ბერძენთა რიცხვი აქ მაინც იზრდებოდა, განსაკუთრებით მეცამეტე საუკუნის გასულიდან; როდესაც საქართველოს პოლიტიკური ძლიერება თანდათან ძირს ეშვება, ქართველთა რიცხვი აქ შესამჩნევად კლებულობს, მათში ფეხს იკიდებს უთანხმოება და უწყობა, ასე რომ კონსტანტინეპოლის პატრიარქის კალისტეს დადგენილებით, მეთოთხეტე საუკუნეში, მონასტერში წინამძღვრად და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ქართველებს უკვე აღარ ნიშნავენ. ამიერიდან, თუმცა ბატონ-პატრონად მონასტრისა ითვლებიან ქართველები, საქართველოს მეფენი და მთავარნი მას მატერიალურ დახმარებას უწყვენ, მაგრამ ფაქტიურად ბერძნები სკარბობენ. მეცხრამეტე საუკუნეში, როდესაც საქართველო, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური და საეკლესიო ერთეული, მოიპოა, ბერძნებმა საბოლოოდ გამოდევნეს ამ მონასტრიდან ქართველები, რომელთაც ნება მისცეს სამოციან წლებში დამკვიდრე-

ბულიყვენ მახლობლად მონასტრისა იოანე მახარობლის სკიტში, მაგრანგხლა, ჩვენს თვალწინ, იქიდანაჲ კვამოაძვევე¹ ისინი და საბოლოოდ დაეპატრონენ ჩვენს წინაპართა და თანამედროვეთა ნაჭირნახულებს. ასეთი მოკლედ ისტორია ამ შესანიშნავი სავანისა, რომელიც მუდამ მატარებელი იყო ქართული ეროვნული იდიისა საბერძნეთში და რომელიც გადაიქცა იმ წყაროდ, საიდანაც ჩვენში უხვად მოდიოდა ბიზანტიური კულტურის ნაკადი. თუ ქართული მწერლობა უაღრესად განვითარდა მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეში, ეს ივერიის მონასტრის მეოხებით, სადაც თავმოყრილი იყო ქართველთა საუკეთესო კულტურული ძალები, რომელთაც მიზნად დაისახეს გაეცნოთ თავიანთ თანამემამულეთათვის ლიტერატურული სიმდიდრე და მემკვიდრეობა ბიზანტიისა. აქ ითარგმნა და გადაიწერა მომეტებელი ნაწილი იმ ლიტერატურული განძეულებისა, რომლითაც სამართლიანად ამაყობს ჩვენი ძველი მწერლობის ისტორია. აქ, ათონზე, შეიქმნა და ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო, საგრამატიკო და საკალიგრაფიო შკოლა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს წარსულში. ერთი სიტყვით, არც ერთს საგანმანათლებლო დაწესებულებას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიაში, როგორც ათონის ივერიის მონასტრს, უიძისოდ ჩვენი კულტურის ისტორიას, შეიძლება, სხვა სახე და ხასიათი მიეღო.

შავიმთა. ქართველთა სამონასტრო კოლონია შავიმთაზე, სვიმეონ საკვირველთმოქმედის მონასტერში, ანტიოქიის მახლობლად, აღნიშნულ ხანაში არამც თუ არ შესუსტებულა, უფრო განვითარდა, განსაკუთრებით მეთერთმეტე საუკუნეში, რასაც, უეჭველია, ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ 969—1084 წლებში აქ კვლავ ბერძნების ბატონობა დამყარდა.

როგორც გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფიიდან ვტყობილობთ, მეთერთმეტე საუკუნის ნახევარში აქ ყოფილა სამოცამდე ქართველი მოღვაწე, რომელნიც ბერძნებს აუთვალისწონებიათ და, სხვადასხვა ხრიკებით, მონასტრიდან გამოძევება განუზრახავთ. ¹ სვიმეონის მონასტერში ქართველებს ჰქონიათ თავისი ეკლესიაც, რომელსაც ისინი თორნიედ უწოდებდენ, ხოლო ბერძენნი მოღადა; აქვე, თუ სხვა ახლო-მახლო პუნქტებში, მათ უმოღვაწნიათ საკუთარს თუ უცხოელთა მონასტერში, როგორცაა—კასტანა, სადაც 1091 წლის მახლობლად წინამძღვრად

¹ ათონის კრებულთ, გვ. 312—316.

ყოფილა ეფრემ მცირე, კალიპოსი, სადაც მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა არსენ კალიპოსელი, წმ. ვარლამის, მამისა ეზრაელის, სადაც ეფრემ მცირეს უთარგმნია ფსალმუნთა განმარტება, ალექსანდრიის მონასტერი, უდანო ლეწმის ხევისა ზღვის ზიხსა, რომელ არს დასასრულსა შვიისა მთისას, მახლობელად სელეუკიისა,¹ თუალთა მონასტერი და სხვ. აქ, აღნიშნულ საეანეებში, მოღვაწეობდენ ლიტერატურულს ასპარეზზე გიორგი მთაწმიდელი, მისი მოძღვარი და მოწაფე, რომელთაც აგრეთვე გიორგი ერქვათ, თეოფილე, ტარსუს მიტროპოლიტი, ეფრემ მცირე და მისი თანამშრომელნი და სულის ჩამდგმელნი — ანტონ ტბელი, საბა სულაღსძე თუხარელი, ეფრემ დიდი ოშკელი, გაბრიელ მღვდელი, სტეფანე ქუეველი, იოანე ფარნაკელი, იოანე მთავარაღსძე, კვირიკე ალექსანდრიელი, არსენ კალიპოსელი და სხვები, რომელთა სახელები გვხვდება ამ დროს გადაწერილს და ნათარგმნს თხზულებებში. ქართველებს მკიდრო კავშირი ჰქონდათ აქაურ, ადგილობრივ ბერძნულ-ასურულ-არაბულ ლიტერატურულ წრეებთან, მაგალითად ეფრემ მცირეს მეგობრული განწყობილება ჰქონია ცნობილს ნიკონ შავმთელთან, რომელმაც დაწერა შესანიშნავი ტაქტიკონი, და იოანე დამასკელის ცხოვრების არაბული ვერსიის ავტორთან მიქაელთან; ქართველების განკარგულებაში ყოფილა თეოდორე პატრიარქის მიერ სვიმეონ წმიდას დაარსებული წიგნთსაცავი, რომელშიაც ეფრემის დროს 420 წიგნი ყოფილა. ამასთანავე მათ ცხოველი კავშირი ჰქონდათ პალესტინისა და განსაკუთრებით ათონის ქართველ მოღვაწეებთან; მაგალითად, გიორგი მთაწმიდელს მისი მოძღვარი, გიორგი შეყენებული, აქედან ჰგზავნის ათონზე სილიტერატურო მოღვაწეობისათვის, გიორგის მერვეც არ შეუწყვეტია კავშირი შავმთასთან, ის ორჯერ მოვიდა აქ ათონიდან. ათონისა და შავმთის მწერალნი ვაფაციცებით აღევნებდენ თვალყურს ერთიანეორის სალიტერატურო მოღვაწეობას, უგზავნიდენ ერთმანეთს თავიანთ ნაწარმოებს და, ერთგვარი ეთიკის დასაცველად, ცდილობდენ — რაც უკვე ნათარგმნი იყო ერთს ადგილას, მეორე ადგილას არ გადათარგმნილიყო ნებით თუ უნებლიეთ.² აქ, შავმთაზე, შემუშავდა განსაკუთრებული ლიტერატურულ-გრამატიკული შკოლა, რომლის იდეოლოგიად ითვლებო-

¹) თ. ეორ დანია, ქრონიკები I, გვ. 208—209.

²) თ. ეორ დანია, ქრონიკები, I, 224.

დენ ეფრემ მცირე და ბერი იოანე ფარნაკელი; ¹ ამ შკოლამ თვალსაჩინო კვალი დატოვა ჩვენს მწერლობაში. მეცამეტე საუკუნეში შავთაზე კიდევ არსებობდა ქართული მონასტერი, მაგრამ მას შემდეგ, რაც სირია თურქებმა დაიპყრეს და ანტიოქია პატარა მაჰმადიან ქალაქად იქცა, ხოლო ტაძარ-მონასტერი დანგრეულ-გავერანებული იქმნა, ქართველებიც იძულებული შეიქნენ აქაურობა სამუდამოთ მიეტოვებით.

ჯვარის მონასტერი პალესტინაში. მეცხრე-მეთათე საუკუნეში საბას ლავრა და მისი მკვიდრნი ძაან შეავიწროეს არაბებმა, აქ ცხოვრება და მოღვაწეობა გაძნელდა, ამიტომ ქართველთა ელემენტი ამ ლავრაში შესამჩნევად შემცირდა: ქართველებმა აირჩიეს უფრო მყუდრო და მიუვალი კუთხე მართლმადიდებელი აღმოსავლეთისა, სინას მთა, სადაც მეთათე საუკუნის მეორე ნახევარში დაემკვიდრენ და თან გადაიტანეს საბას ლავრიდან როგორც სამონასტრო ტრადიციები, ისე იქ გადათარგმნილი და გადაწერილი წიგნების დიდი ნაწილი.

მეთერთმეტე საუკუნის პირველს ნახევარში მდგომარეობა ცოტათი გაუმჯობესდა; არაბებმა თავისი პოლიტიკა პალესტინის ქრისტიანებისადმი, კერძოდ და განსაკუთრებით მონასტრებისადმი, რამდენადმე შეცვალეს, ასე რომ აქ შესაძლებელი გახდა სამონასტრო ცხოვრება. ამ გარემოებას უნდა გამოეწვიოს, ჩვენი აზრით, ქართველთა ჯვარის მონასტრის გაშენება აქ მეთერთმეტე საუკუნის სწორედ პირველ ნახევარში. ამ მონასტრის გაშენებელი იყო ვინმე ჰრახორე, რომელიც იყო ქვეყანით შავშეთით. ბავშობაში ის დაემკვიდრა კლარჯეთის მონასტერში წყაროს თავში, სადაც მოღვაწეობდა მისი ძმა. როდესაც პროხორე წამოიზარდა და განისწავლა საკმაოდ, ის აკურთხეს დიაკვნად და მერე ბერად აღკვეცეს და მღვდლადაც აკურთხეს. ამის შემდეგ ის წავიდა პალესტინაში და დაემკვიდრა საბას ლავრაში, სადაც მან დაუბნო წელნი მრავალნი ყოველგვარ მოძრეობაში. მერე, ღვთის განგებით და წმ. ექვთიმე ათონელის ბრძანებით, მან იწყო შენება მახლობლად იერუსალიმისა, დასავლით კერძო მისა, სავანისა, რომელსა უწოდებენ ჯვარისა მონასტრისა. აქ მან შემოკრიბა ოთხმოცამდე ძმანი, უზრუნველყო ისინი ყოველივე სახპარით, განუჩინა მათ წესი და კანონი მახასტრისა: მსგავსადვე წმიდისა საბას ჯვარისა და მერე ფრიადასა შრომისა და საბე-

¹) იქვე გვ. 218.

რისგან მოუძღვრებულნი გარდაიცვალა დღესა კვირიაკესა 12 თებერვალს. ¹ მონასტრის შენება პროხორეს დაუწყია ექვთიმე მთაწმიდელის ბრძანებით, მაშასადამე მეთერთმეტე საუკუნის პირველი მეოთხედის გასულს მაინც. ერთი ქართული ხელნაწერის მინაწერებით, რომელიც აქაა გადაწერილი, 1042 წლისათვის მონასტრის შენება თითქოს დამთავრებულია, ² მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ 1056 წლის გასულს, როდესაც გიორგი მთაწმიდელი პალესტინაში იყო, ნეტარი მამა პროხორე მამან აღკენ ჯუარის მონასტრესა აშენებდა. ³ უნდა ვიფიქროთ, რომ 1042 წელს დამთავრებული იყო მთავარი ტაძრის შენება, ხოლო რაც შეეხება მის შორთვისა და სენაკების აგებას, ეს 1056 წელსაც არ იყო სავსებით მოსრულებული, ასე რომ ეს მონასტერი შენდებოდა 1025—1060 წლებში, მაშასადამე, გარდაცვლილა პროხორე მეთერთმეტე საუკუნის სამოციან წლებში, სახელდობრ 1066 წ., ვინაიდან 12 თებერვალს კვირა დღეს მოდიოდა 1066 წ., მონასტრის აშენებაში მას მატერიალურ დახმარებას უწევდა მეფე ბაგრატ მეოთხე და განსაკუთრებით დედა მისი მარიამი, რომელმაც მას გიორგი მთაწმიდელის ხელით დიდი შეწირულება გაუგზავნა. ⁴ თავდაპირველად, სანამ მონასტრის შენება დამთავრდებოდა, საჭირო წიგნებს ამ მონასტრისათვის სწირავდნენ ათონის, კალიპოლის და სხვა მონასტერთა მოღვაწენი, მერე კი თვით ჯუარის მონასტერში გაჩაღდა ლიტერატურული მუშაობა. რომელიც უფრო სხვის მიერ ნათარგმნ თხზულებათა გადაწერაში გამოიხატებოდა, ვიდრე დამოუკიდებელ თარგმნაში. ქართული მწერლობა ჯუარის მონასტრისა, ხასიათითაც და შინაარსითაც, გაგრძელებაა ათონის და საბას ლავრის ლიტერატურისა; ხელი. სილამაზით აქაური ძეგლები მართალია ათონისა და საბას ლავრის ძეგლებს ვერ შეედრებიან, მაგრამ მაინც ძალიან ჰბაძვენ მათ და რამდენიმე მეტად საყურადღებო ნიმუშებს გვაძლევენ. როგორც უნდა იყოს, მეთერთმეტე საუკუნიდან მოყოლებული მეცხრამეტეშივე, როდესაც აქ შეწყდა ქართული ელემენტი და სავანე ბერძენთა ხელში გადავიდა, ჯუარის მონასტერი იყო უმთავრესი ცენტრი პალესტინაში ქართული მწერლობისა.

¹) თ. ეორდანია, ქრონიკები II, გვ. 523-524. А. Цагарели, Памятники грузинской старины въ св. Земляхъ и на Синаѣ, стр. 89-111.

²) ბრიტანის მუზეუმის Addit. 11281; იხილეთ ჰვენის Житіе и подвиги св. Іоанна католикаго уршаискаго, Христ. Востокъ, т. II, вып. 3, стр. 308-310.

³) ათონ. კრებ. გვ. 309.

⁴) ათონ. კრებ. გვ. 309.

ჯუარის მონასტრის გარდა აღნიშნულ პერიოდში ქართველები საშწელო ასპარეზზე მოღვაწეობდნენ სხვა მონასტრებშიც, მაგალითად ძეგლებში გვხვდება შემდეგი მონასტრები: კაპპატა, აშენებული მეთერთმეტე საუკუნეში დედოფალთა მართა და ბორენას მიერ, დეკეტაგეტა ქალთა მონასტერი, ¹ წმიდა აღდგომა, დედათა მონასტერი ახალი, რომელი იტკაღნეს ჰიტაღთაგან ძეგლისა სამწირფასა მიერ, ² კატამონის მონასტერი, გეთსიმანია და სხვები. სულპალესტინაში ქართველებს ჰქონიათ ოცამდე საფანე-მონასტერი, რომელშიაც მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან სულ ერთიან ამოიხოცა ქართველთა ხსენება.

პეტრიწონის მონასტერი. ჩამოთვლილ საზღვარგარეთელ ცენტრებზე ნაკლები მნიშვნელობა ქართული მწერლობის ისტორიაში ან ჰქონია პეტრიწონის მონასტერს; ის გაშენებული იყო ბულღარიაში სოფელს პეტრიწონი ან ბაჩკოვოში, სხვანაირად ვასილიკოსში, რომელიც მდებარეობდა ქ. ფილიპოპოლის მახლობლად, ჩრდილოეთით, მდინარე ჩეპელიარზე. ვინაიდან სოფელს პეტრიწონ ერქვა, მონასტერმა მიიღო სახელი პეტრიწონი (Πετριστον: Πετριστον), ხოლო მისმა მოღვაწეებმა — წეტრიწონელი ან, მარტივად, პეტრიწი. ეს მონასტერი აუშენებია 1083 წელს მეთერთმეტე საუკუნის ბიზანტიის ისტორიაში კარგად ცნობილს გრიგოლ ბაკურიანს; ამის შესახებ ცნობები დაუტოვებია ან ნაკომინას, ³ რომელიც მას სომეხადა სთვლის, თუმცა თვით გრიგოლი მონასტრის ტიბიკონში ან წესდებში თავისთავს ქართველს უწოდებს და მონასტერს, რომელიც მან მხოლოდ და მხოლოდ ქართველთათვის ააშენა, ეძახის ქართველთა ან ივერიელთა მონასტერს (μενη τον ἱβήρην). ეს გაუგებრობა გაქრება, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ გრიგოლ ბაკურიანი, პროფ. ნ. მარია მოსაზრებით, იყო გაქართველებული ქალკედონისტი. ⁴ გრიგოლის მამა დიდი კაცი იყო, მას ორი ვაჟი დარჩა, გრიგოლი და ასპაზი, და რამდენიმე ქალი, რომელნიც მალე დათხოვდნენ. დედამ თავისი სიმდიდრე შვილების აღზრდას მოანდომა; ასპაზიმ მიიღო ბიზანტიის კარის მაგისტ-

¹ Н. Марръ. Антиоха Стратига—Плѣненіе Іерусалима персами въ 614 году, стр. 63, прим., т. е. არ დანია, ქრუნიკები II, გვ. X.

² ჯუარ. მონასტ. ხელნ. № 86.

³ Alexiad. lib. II.

⁴ Аркадуй, монгольское названіе христіанъ, въ связи съ вопросомъ объ армянахъ халкедонитахъ, стр. 17-24. Петерб. 1905 г.

ტრობა და 1083 წელს, როდესაც გრიგოლი მონასტერს აშენებდა, ის უკვე გარდაცვლილი იყო. გრიგოლმაც მეტად სახელოვანი კარიერა შექმნა: განათლებული, ენერგიული და ქუეიანი, ის ბედს დაეძებდა სომხეთში, საქართველოში და სირიაში; ბოლოს მოვიდა კონსტანტინოპოლს და საკუთარი მეცადინეობით და ენერგიით აღემატა და გამდიდრდა. იმპერატორის მიხაილ დუკას (1071—1078) და ნიკიფორე ბოტანიატის (1078—1081) დროს ის იყო ქ. ყარსის დუკად სომხეთში, არზრუმში და მაკედონიის სმოლენაში. ამ დროს ის მოსულა ბანაში გიორგი მეფესთან და მასცა მის კარასდისე ქაღაჩი და მის მიმდგომი ქვეყნა.¹ იმპერატორმა ალექსი კომნენმა, რომლის გამეფებას გრაგოლმა 1081 წელს დიდად შეუწყო ხელი, დანიშნა ის დასკვლეთის დამპყსტვად, რომლის მოვალეობას შეადგენდა ბიზანტიელთა ჯარის ხელმძღვანელობა იმპერიის ევროპიულ თემებში. ის დიდ დახმარებას უწევდა ალექსის მტრებთან ბრძოლაში და 1086 წ. გპირულად დაეცა პეჩენეგებთან ბრძოლაში ველხატოვოს მახლობლად. იმ დიდი ღვაწლისათვის, რომელიც გრიგოლის და მის თანამემამულეთ მიუძღოდათ ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთშია და დასავლეთის საზღვრების თავგანწარულ დაცვაში, იმპერატორებმა მას დაუმტკიცეს ოქრობეჭდულით სოფელი პეტრიწო, სადაც მან, როგორც შიღებული იყო ბიზანტიის დიდ მოხელეთა და დიდებულთა შორის, მოხუცებულებაში, 1083 წელს, გააშენა მონასტერი, თავისი და თავისი საყვარელი ძმის ასპაზის ძვლების განსასვენებლად, და უზრუნველყო იგი უძრავ-მოძრავ ქონებით და ყოველივე სახარით. მთავარი ტაძარი მონასტრისა აშენებული იყო ღვთისმშობლის მიძინების, ხოლო სხვა ორი პატარა — იოანე ნათლისმცელისა ან მთავარმოწამის გიორგის სახელზე. 1084 წელს ამ მონასტერს დაუწერა წესდება ან ტიპიკონი, რომელიც შედგენილი იყო კონსტანტინოპოლის ერთერთის, ვინჰე ყოვლადწმიდის მიერ აშენებულის, მონასტრის (μνασῆ Παναγῆς) ტიპიკონის მიხედვით. ეს ტიპიკონი, რომელშიაც განსაზღვრულია ამ მონასტრის მკვიდრთათვის, სავალდებულო წესები, დაწერილი იყო ბერძნულად, ქართულად და სომხურად; შენახულა მხოლოდ ბერძნული ტექსტი მისი, რომელიც გამოცა 1904 წელს Louis Petit-მა.² მონასტერი აშენებული იყო ქართველთათვის ან სხვა ტომის ბერებისათვის,

¹) ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი გვ. 281.

²) Византинскій Временникъ т. XI. 1904 г.

რომელთაც ქართული ენა და წერა-კითხვა იცოდენ. გამოჩაყლისს აქედან შეადგენდენ ბერძნები; მათ შესახებ გრიგოლი პირდაპირ სწერს: „გირჩევთ ყველას, მონასტრის მკვიდრთ, და დაჟინებით ეთხოვლომ, რომ ჩემს მონასტერში არ იქნეს მიღებული არაოდეს ბერძენი მღვდელი. გინდა თუ ბერი, გარდა ერთი ნოტარისა (საქმის მწარმოებელი), რომელიც ადგილობრივ არქონტებს აცნობებს ხოლმე წინამძღვრის გადაწყვეტილებას“; ეს იმიტომ, ამბობს ის, რომ მე გამოცდილებით ვიცი, რომ „ღერაგი ბერძნები, ძალადობას, მტაცებლობას და ანგარებას მიჩვეულნი, სარგებლობენ ხოლმე სხვა ეროვნების, კერძოდ ქართველ ბერების გულწრფელობით და სიმარტივით და იტაცებენ მათ მონასტრებს, აყენებენ შიგ თავიანთ წინამძღვრებს და, ამა თუ იმ მიზეზით, აცხადებენ მათ თავის საკუთრებად“; ალბად გრიგოლს მხედველობაში ჰქონდა, სხვათა შორის, ათონის ბერძენ-ბერების ოინები და მათი ცდივერიის მონასტრის დაპატრონებისა. მონასტერი, რომელიც არ ემორჩილებოდა არც ერთს ადგილობრივს საეკლესიო და საერისკაცო ხელისუფალს, იყო კინოვიალური, შესდგებოდა 50 ბერისაგან, რომელნიც კტიტორის, გრიგოლის სიკვდილის შემდეგ, თვით ირჩევდენ წინამძღვარს. მონასტერთან დაარსებული იყო სემინარია, რომლის შესახებ ლაპარაკია წესდების 31 პარაგრაფში. აქ ნათქვამია: „დაგვიდებია, რათა უწვერულევაში ბავშვები მოთავსებულ იქმნენ წმიდა ნიკოლოზის მონასტერში, მახლობლად ციხისა, სადაც მათ აქმევენ, ასმევენ და ერთი ვინმე მოხუცებულ მღვდელთაგანი, სავსე სათნოებითა და ცოდნითა, უხელმძღვანელებს და ასწავლის საღმრთო წერილს... ამ მოხუცებულ მღვდელს უნდა ჰყავდეს არანაკლებ ექვსი ბავშვისა, რომელთაც დიდი მონასტერი მისცემს საზრდოსა და ტანსაცმელს; ისინი უნდა დარჩენ იქ, სანამ სრულიად არ განიწვრთნებიან და სამღვდლო ხარისხისათვის არ მოემზადებიან. როდესაც წამოიზრდებიან და წვერს გაუშვებენ, ღირსი მღვდლობისა უნდა განწესებულ იქნეს მღვდელმოქედად მონასტერში, ხოლო რომელნიც მღვდლობის ღირსად არ აღმოჩნდებიან, ისინი სრულიად განძევებულ უნდა იქმნენ (სემინარიიდან), თუმცა ექვსზე ნაკლები მოწაფე აქ არას შემთხვევაში არ უნდა იყოს“. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ეს სემინარია ამზადებდა მღვდლებს მონასტრისათვის, რომელთაც შესვლა შეეძლოთ მხოლოდ ისეთებს, ვინც ქართული ენა და წერა-კითხვა იცოდა, სწავლა ამ სემინარიაში, უეჭველია, ქართულ ენაზე წარმოებდა. უნდა ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად ამ

სემინარიის სასწავლო-საპროგრამო საკიროებას აკმაყოფილებდნენ მანგანის აკადემიიდან გამოსული ქართველი მოღვაწენი; ყოველ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ აქ მოღვაწეობდა ფილოსოფოსი იოანე, პირველი რექტორი მისი, რომელმაც ამ მონასტრისაგან მიიღო სახელი პეტრიწი.

აი, ეს პეტრიწონის მონასტერი შეიქმნა ერთერთ უმათერეს ცენტრად ჩვენი მწერლობისა, განსაკუთრებით მეთერთმეტე საუკუნეში. 1189 წელს ის გატარცვეს და დაარბიეს ჯვაროსნებმა, მაგრამ ქართული ელემენტი აქ მეთოთხმეტე საუკუნის დამდეგამდია (იყო).¹ აქ დამუშავდა განსაკუთრებული სალიტერატურო შკოლა, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ პეტრიწონულ შკოლას და რომელმაც საბოლოოდ ჩამოაყალიბა ჩვენს მწერლობაში ულტრაბიზანტიური მიმართულება. განსაკუთრებული ყურადღება ამ შკოლაში მიქცეული ჰქონდა განყენებული ღოდმატური და ფილოსოფიური ხასიათის თხზულებათა თარგმნას, რამაც ხელი შეუწყო ქართული ფილოსოფიური ენისა და ტერმინოლოგიის შექმნას. ამ შკოლამ შექმნა მთელი ეპოქა ჩვენს მწერლობაში, მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებო.

ჩვენ ჩამოვთვალეთ თითქმის ყველა მნიშვნელოვანი საზღვარგარეთელი ცენტრები, სადაც აღნიშნულს ეპოქაში ქართული მწერლობა ღვივოდა; თვით საქართველოშიაც იყო ამ დროს ისეთი პუნქტები, რომელნიც მწერლობის განვითარებას თვალსაჩინოდ უწყობდნენ ხელს. ამ მხრივ შეიძლება აღინიშნოს ის ტაოკლარჯეთის მონასტრები, რომელნიც ასეთ როლს თამაშობდნენ ჩვენში წინაეპოქაში; ეს მონასტრები, ხახული, შატბერდი, ხანძთა და სხვები, ეხლაც განაგრძობენ არსებობას, თუმცა უნდა ითქვას, რომ მათი მნიშვნელობა, როგორც ლიტერატურული ცენტრებისა, შესამჩნევად დამცირდა. ამ შემთხვევაში გავლენა იქონია საქართველოს პოლიტიკურმა ვითარებამ: მეთერთმეტე საუკუნიდან სცენაზე გამოვიდნენ სელჯუკიანები და ქართველთა სხვა მტრები, თუგინდ ბერძნებიც, რომელთაც განუწყვეტელი ომიანობა ჰქონდათ ამ საუკუნეში ჩვენთან; მათი მახვილი პირველად ყოვლისა გულში ხვდებოდა ტაოკლარჯეთის მხარეს, ამან კი აქაური მონასტრები, მეცხრე-მეათე საუკუნესთან შედარებით, დააკნინა სულიერადაც და მა-

¹) А. Цараповъ, Святѣица, III, стр. XII—XIII.

ტერიალურადაც, მაშასადამე — წაართვა მათ ის, რაც აუცილებელია ნაცოფიერი ლიტერატურული მუშაობისათვის მეორე მიზეზი უფრო კულტურული ხასიათისაა; როგორც ვიცით, მეთე საუკუნის გასულს ათონზე დაარსდა ახალი ცენტრი, ივერიის მონასტერი, რომლის მოღვაწენი და მოქმედნი უმთავრესად ტაოკლარჯელები იყვნენ; ყველა ცხოველი და ნაცოფიერი ძალები აქედან, ამ მხარედან, მიიღტვიან ათონზე, რის გამო ადვილობრივი მონასტრები თუ სრულიად არ დაცარიელდა, ყოველ შემთხვევაში კულტურული ძალებით ძან დაღარიბდა. ამიტომ ის ინტენსიური ლიტერატური მუშაობა, რომელიც IX—X საუკუნეებში წარმოებდა ტაოკლარჯეთის მონასტრებში, მეთერთმეტე საუკუნიდან გადადის ათონზე; ტაოკლარჯეთში ამიერიდან ჩვენ გვესმის წარსული დიდების გამოძახილი და ისიც მხოლოდ სხვაგან ნათარგმნ და შეთხუზულ ძეგლთა გადაწერაში.

მაგრამ სამაგიეროდ მეთორმეტე საუკუნის დამდეგს საქართველოში გაჩნდა ახალი სალიტერატურო ცენტრი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ჩვენი მწერლობის ისტორიაში; ეს არის დიდებული გელათის მონასტერი, რომელიც დავით აღმაშენებელმა ააგო. რუის-ურბნისის კრების ახლო ხანებშიო, ამბობს მემატრიანე, დავითმა მოიკონა ადმუნება მონასტრისა და დაამტკიცა რომელიცა გამაჩრახა მადღმან საღათომან ადგილსა უფლად შეიჩიურსა და უფლითურთ უკლელოსა, რამელსა შინა მერმე ცაღ გარდაარახს, ტაძარი უფლად წმადისა ღმრთისმშობლისა, რამამ რამე აღმტუბელი უოკელთა წინანღელთა ქმნულობასა, რამელიც ზესითა ჭესტს მკენაერებასა უოკელთა... და მუნკე შემოკრიბნა კაცნი ჰატოსანნი ცხორებითა და შეკელნი უფლითა სათნოებათა, არა თესითა სამეფოთა ღდენ შინა ჰოვნიღნი, არამედ ქუენახს კიდეთა: სდაცა ესთა ვიეთმე სიკეთე და სისრულე, სულერათა და კორციელათა სათნოებათა აღსავსეობა, იძინა და კეთადად გამოიძინა, მათი უფანსა და დაამკვდრნა;¹ და იგი აწ წინამდებარე არს უოკელსა აღმოსავლეთისა მერკედ იელუსაღემად, სასწულად უოკელსა კეთაღსა, მოძღურად სწავლელებისად, სხუად ათინად, ფრიად უადრეს მისსა, საღმრთოთა შინა წესად, კნონად უფლითა საკლეისიოღსა შექნაერებისად.² ამათარად, დავით აღმაშენებელს გელათი გაუხდია ცენტრად განათლებისა საქართველოში, იგი მას დაუარსებია მოქდურად სწავლეულისა, სხვადა (ან მეორე)

¹) ქართლის ცხოვრება, მარია ღვთისმშობლის ვარაუდი, გვ. 293—291.

²) იქვე გვ. 295.

ათინად ქართველთათვის; გელათი საქართველოსათვის გამხდარა აკადემიად, მსგავსად ათინის აკადემიისა, ამიტომ იმდროის მეხოტბენი უწოდებენ მას ელადას: გნატრი ელადსა, თკით მას გელათსა, სად რამე დაჭკრძალვენ წმინდათ სსუედათ. ¹ ამ მონასტერმა. როგორც მემპტიანეც ამბობს, იმ თავიდანვე შემოიკრიბა თავის კედლებში საუკეთესო კულტურული ძალები როგორც საქართველოდან, ისე საზღვარგარეთიდან, ამიტომ საკვირველი არაა, რომ ის მართლაც ათინის აკადემიას დაემსგავსა ქართველებისათვის. აქ დაინთო ლამპარო ლიტერატურული მოქმედებისა, რომელიც სავსებით არ ჩამკრალა საქართველოსათვის ბედშავ დროსაც კი, როგორცაა XIV—XVI საუკუნეები. ამ მონასტერში პოვებდა გამოქაზილს ლიტერატურული მოძრაობა, რომელიც განსაკუთრებით ათონსა და პეტრიწონის მონასტერში ღვივოდა. გვაქს საფუძველი ვაფიქროთ, რომ პეტრიწონის მონასტერში სხვადასხვა პირობათა გამო მცვაძმეტე საუკუნიდან შეწყვეტილმა თუ შესუსტებულმა ლიტერატურულმა მოღვაწეობამ გაგრძელება პოვა სწორედ გელათის მონასტერში, სადაც გადმოტანილ იქნა ყველა იქაური ლიტერატურული ტრადიციები. აქ ითარგმნებოდა შესანიშნავი ფილოსოფიურ-თეოლოგიური ნაწარმოები. ბიზანტიის აზროვნებისა, რასაც ხელს უწყობდა საგანგებოდ აქ შექმნილი სპეციალური სასწავლებელი—აკადემია, რომელშიც იგივე სული და ტრადიციები ტრიალებდა, რაც თანამედროვე ბიზანტიის შკოლებში.

მეთხე პერიოდში ახალ ცენტრებზე და ახალ ლიტერატურულ კერაზე ლაპარაკი აღარ გვიხდება; ეხლა უმეტესს და უკეთეს შემთხვევაში აქაიქ, სადაც მოახელთებენ, უკვე ნათარგმნ თხზულებათა გადაწერაში პპოულობენ ნუგეშსა და საქმეს. ამ მხრივ ყველაზე მეტი ღვაწლი მიუძღვის გელათის მონასტერს, რომელიც, შედარებით სხვა ცენტრებთან, ნაკლებ დაზიანდა იმ საერთო უბედურების დროს, რაც თავს დაატყდა საქართველოს ამ პერიოდში. ასეთი მუშაობა აქ განსაკუთრებით მეთექვსმეტე საუკუნეში ყოფილა გაჩაღებული ორი კათოლიკოსის ხელმძღვანელობით და მეთაურობით; ესენია ევდემონ I ჩხეტიძე (1540-1578) და ექვთიმე I საყვარელიძე (1579-1612). ევდემონი მეტად ენერგიული კაცი ყოფილა, მან მოხატა და გაამშენა გელათის მონასტერი და, ვინაიდან ფრიადი სურვილა აქუნდა ეკლესიათა და საღმრთოთა წყრძლათაჲს, გადააწერინა თითქმის მთელი კომპლექტი საღვთისმსახურო და საეკლესიო წიგნებისა, კერძოდ — შესანიშნავი ჰაგიოგრაფი-

¹) Н. М а р т, Древне-грузинские оодписи (ц, стр. 24, 105).

ული, ერთადერთი კრებული იოანე ქსიფილინოსისა და ეგრედწოდებული გულანი, რომელიც დღეს იქვე, გელათში, ინახება. ¹ არა ნაკლები მოტრფიალე ყოფილა ლიტერატურული ძეგლებისა ექვთიმე საყვარელიძეც; ამ მხრივ მას მშვენივრად ახასიათებს გელათის ერთერთი ხელნაწერის ან დერძი, სადაც ნათქვამია: ჭეშმარიტად იჭარვოდა საღმრთოთა წერილთა წიგნთა წმიდათა წერასა და ამკობდა პატრიარქთა საყდათა კახეთით, ქართლით, იმერეთით, ოდიშით და კურით და დასდებდა დიდრანსსა და პატრიარქსსა უფლითურთ შემკობილსა წიგნებსა, და ჩუენ გვბძობდა მათსა აღაღსა მათითა კონდაკითა ნაშობებსა საქონესსა მრავალსა და ჯურაგხელსა და არა დასცხრებოდა საღმრთოთა სურვილისაგან და უოველსა წელიწადსა შინა ოთხოთხისა, სამსამისა და ორორასა მწერლითა გვაწერინებდა და გუაშრამებდა. ² მისი ბრძანებით გადაწერილ ხელთნაწერთაგან ჩვენამდე შენახულა გელათის მონასტერში, სხვათა შორის, იოსებ ფლაბიოსის მოთხრობანი იუდაეკრივისა სიტყუადასამობისანი, იოანე პეტრიწის მიერ ნათარგმნი, უზარმაზარი ჰომილეტიკური კრებული მეტაფრაზებისა (№ 8) და გულანი (№ 47).

რაც შეეხება უკანასკნელს, მეხუთე, პერიოდს ჩვენი მწერლობისას, ამ პერიოდში ჩვენ არ შეგვიძლია ჩავთვალოთ მონასტრები ეკლესიური მწერლობის მნიშვნელოვან ცენტრებად, არც შიგ საქართველოში, არც საზღვარგარეთ. შინაური მონასტრები, წინაეპოქაში გაჩაღებულნი, ვერ გამოკეთდნ ამ პერიოდში იმდენად, რომ მათ შესძლებოდათ გაეჩაღებიათ თავიანთ კედლებში გარდასრულ ბრწყინვალე ეამთა საგანმანათლებლო მოღვაწეობა, - ისიც საკმაო იყო, რომ აქაიქ არსებულ აზნულეზათა გადაწერას ახერხებდენ. რაც შეეხება საზღვარგარეთელ მონასტრებს, აღნიშნული პერიოდის დასაწყისს ქართველების საკუთრებად ნომინალურად ითვლებოდა ჯვარის მონასტერი პალესტინაში და ივერიისა. ათონზე, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს ამათშიც ამოიფხვრა ქართველთა სახელი და მათ უცხოთესლნი დაეპატრონენ საბოლოოდ. ამ პერიოდის მწერლობა აღორძინდა მეფე დიდებულთა სასახლეებში და კათოლიკოზ-ეპისკოპოსთა სენაკებში; მწერლობა, რასაკვირველია ინტენსიური, მონასტერთა კედლებიდან გამოვიდა და კერძო პირთა ხელში და სახლში გადავიდა.

¹) იხ. ხელნაწ. ამ მონასტრისა №№ 1, 2, 3, 4, 5, 54.

²) გელ. ხელნაწ. № 10, ფ. 1.

ნაწილი პირველი.

გამომეტყველნი და თარგმანნი.

1. იაკობ ხუცესი

რა ხასიათისაც უნდა იყოს ქორიუნისა და მოსე ხორენელის ცნობა ქართული მწერლობის დაწყების შესახებ, ერთი ცხადია, რომ მეხუთე საუკუნის პირველს მეოთხედში ქართლში ცნობილი ყოფილა ვილაც ჯალი ან ჯალა, სომხურისა და ბერძნული ენებიდან მთარგმნელი. სამწუხაროდ, არც ვინაობა, არც ლიტერატურული შრომები მისი ჩვენ არ ვიცით, ასე რომ უძველეს მწერლად, რომლის ნაწარმოები ჩვენამდე შენახულა, უნდა მივიჩნიოთ იაკობ ხუცესი; მას დაუწერია პაგიოგრაფიული თხზულება, რომელსაც ეწოდება წამება წმიდისა შუშანიკის დედოფლისა.¹

შუშანიკი იყო ასული სომეხთა სპასპეტის ან მხედართმთავრის ვარდანისა, რომელიც ცნობილი ისტორიული პირია, მამიკონანთა საგვარეულოდან, სომეხთა კათოლიკოზის საპაქ დიდის შვილიშვილი, ტარონიდან. ის ცოლად ჰყოლია ჰერეთის პიტიახშს, ვახტანგ გორგასლანის მოადგილეს, ვარსკენს, რომელიც ქრისტიანი იყო. ვარსკენი წასულა სპარსეთში და რამეთუჲსა სთხოვედ ეჲ შეჲქესა სპარსეთისასა, ცეხლთაყვანისმცემლობა მიუღია) თან შაჰისაგან ცოლად გამოუთხოვია მისი ქალი და სიტყვაც დაუღვია ბუნებითი ცოლს, ესე იგი შუშანიკს, და შეიღებსაც მოვაქცევო. როდესაც შუშანიკმა გაიგო ეს, მიატოვა სასახლე და თავისთვის, განცალკევებულად, დაიწყო ცხოვრება. ვარსკენმა ამით თავი შეურაცხყოფილად მიიჩნია, თან თავისი განზრახვაც, შუშანიკის მოქცევა, ვერ განახორციელა, ამიტომ სამჯერ აუტანელი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მას და ციხეში ჩასვა. ციხეში შუშანიკმა დაყო ექვსი წელიწადი და მეშვიდე წელს, დიდი ღვაწლისა და მოთმენისაგან ძალამიხდილი, გარდაიცვალა იქვე.

ყოველივე ეს აუწერია არამც თუ უბრალო თანამედროვესა და თანადახუდომილს, არამედ სასახლესთან მეტად დაახლოვებულს და ამასთან შედარებით მომზადებულ პირს, ხუცესს იაკობს, რომელიც

¹) მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 181-192. ს. გორგაძე, იაკობ ხუცესი, წამება წმიდისა შუშანიკის, ქუთაისი, 1917 წ.

იყო კარის მღვდელი და მოძღვარი შუშანიკისა. იაკობი ერთი იმ პირთაგანი იყო, რომელიც ერთ წამსაც კი არ მოშორებია თავის სულიერ შვილს ანტანელი წამებასა და გაქირვების დროს, მასთან იყო სასახლეშიც და მის გარეშეც, ეკლესიაშიც და ციხეშიაც; ის ანუგეშებდა და ამხნეებდა მას, ის უამებდა მას როგორც ფიზიკურს, ისე სულიერ ტანჯვას. ამ კაცს, როგორც დაახლოვებულს და შუშანიკის ცხოვრების ინტიმურ მხარეთა მცოდნეს, უკისრია მისი ღვაწლისა და მოთმინების აღწერა. პიტიანში ვარსკენი არ დაბრუნებულ იყო სასახლეში სპარსეთიდან, სადაც მან ცეცხლთაყვანისმცემლობა მიიღო, იაკობი, რომელიც წინასწარ გრძნობდა, თუ რა მოხდებოდა კოლქმართა შორის, მივიდა შუშანიკთან და უთხრა მას: ღეაწდსა დიდსა შესჯვად ხარ, ღადოფალო; ამიტომ მაუწყე ყოველივე შენი თავგადასაყალი, რაჟო ვეწყოდი და აღვწერო შრომაჟ შენიო. აქედან ნათლად ჩანს, რომ იაკობს შუშანიკის წამების აღწერა არ უკისრია ვისიმე წინასწარი შეკვეთითა და თხოვნით, ¹ ამის მზადებასა და თადარიგს ის ჯერ კიდევ ღვაწლისძლე დედოფლის სიცოცხლეშივე შესდგომია. ბიოგრაფიული ცნობები იაკობის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება, არც სხვა ლიტერატურული შრომა ვიცით მისი; საფიქრებელი კია, რომ მას, როგორც საკმაოდ განათლებულსა და მომზადებულ პირს, შუშანიკის მარტვილობის გარდა, კიდევ დაეწეროს რამე. ყოველ შემთხვევაში ამის საბუთს გვაძლევს ჩვენ თვით დასახლებული მარტვილობა, რომელიც იწყება, როგორც იტყვიან, *ex abrupto*: და აწ დაშტკიცებულად გითხრა თქუენ; გამოდის, თითქოს ეს მარტვილობა გაგრძელებას შეადგენს რომელისღაც სხვა ნაწარმოებისას. ამასვე გვაფიქრებინებს წინადადებაც: შუშანიკი იყო მოშაშა დმრთასაჟ, ვითარცა იგი ვოქუთ, სიერმითგან თვისით; არსად თხზულებაში არ მოიპოვება ცნობა შუშანიკის ღვთისმოშიშობის შესახებ ბავშობაში; ცხადია, ავტორს სადღაც, რომელღაც ნაწარმოებში, წინათაც ჰქონია ლაპარაკი შუშანიკის შესახებ. ეს წინადადება და აგრეთვე სიტყვები — და აწ დაშტკიცებულად გითხრა თქუენ ადსასრულად. წმიდისა და ნეტარისა შუშანიკისა, საფუძველს აძლევს პროფ. ივ. ჯაგახიშვილს იფიქროს, რომ იაკობ ხუცის შენახული შრომა წარმოადგენს მეორე ნაწილს, — შუშანიკის აღსასრულის მომთხრობელს, ხოლო პირველი ნაწილი, რომელშიც ლაპარაკი იქნებოდა მისი ბავშობის შესახებ, ავტორს ამ შემთხვევაში განვებ არ მო-

1) როგორც ს. გორგაძე ჰფიქრობს, გვ. 25.

უკვანიაო. ¹ შეიძლება ეს ასეც იყოს, თუმცა ჰაგიოგრაფიული მწერლობის ტრადიციას ასეთი დანაწილება ერთი მთლიანი ნაწარმოებისა არ სჩვევია. შეიძლება უფრო ახლო ვიქნეთ სიმართლესთან, თუ ვიფიქრებთ, რომ იაკობს დაწერილი ჰქონდა რაღაც ისტორიული შრომა, რომელშიც გაკვრით შუშანიკის შესახებაც იყო ლაპარაკი, ისე, როგორც გაკვრით იხსენიებს მას მემატიანე. ² ვინაიდან ასეთი გაკვრითი მოხსენება ღირსშესანიშნავი პიროვნების მოწამებრივი აღსასრულისა მაშინდელ ეკლესიურად მოაზროვნე და განწყობილ საზოგადოებებს ცნობისმოყვარეობას უღიზიანებდა, იაკობმა მერე ცალკე, საგანგებოდ ან დამტკიცებით, როგორც თვითონ ამბობს, აღწერა მისი მარტვილობა. ³ როგორც თვითმხილველსა და თანამედროვეს აღწერილი ამბებისას, იაკობს თავის თხზულებაში შეუტანია ცნობები იქ მოხსენებულ პირთა ვინაობის შესახებ, აღუნიშნავს მათი სახელები, თუმცა სპარსთა მეფის სახელი ალბად შემდეგდროის გადამწერთაგან მოთხრობაში ეხლა გამოტოვებულია. მას დასახელებული აქვს აგრეთვე მოქმედების ყველა ადგილები, რითაც ჩვენი ისტორიული გეოგრაფიის შესწავლას ის თვალსაჩინო სამსახურს უწევს; ზოგიერთი პუნქტები ისეთი სიცხოველითა და ნიშანდობლობით აქვს აღწერილი, რომ უკეთესს საგანგებოდ აღწერილობაშიაც კი ვერ მოვითხოვდით, მაგალითად ჰერეთის ბუნებას ის ასე აგვიწერს: [ქაშსა ზაფხულისასა ცუცხლებრ შექუელო იგი მკურგაჲსაჲ მზისაჲ, ქანნი ხორჲკანი და წყალი მაკნებულო, რომლისა მკედრნიცა მის ადგილისანი. საესენი სენითა, წულითა განსიგებულნი და განუკითხებულნი, დაწერტილნი და დამპრშაღნი და დამღირებულნი, ჩარადოვანნი, ღირსიგანნი და დემოკელად ცხორებულნი; და მოხუცებულო არაფან არს მათ ქუეყანათა. ავტორს შეუმკვია თავისი თხზულება ქრონოლოგიური ცნობებითაც, როგორც, მაგალითად, ეარსქენის სპარსეთს გამგზავრება, სპარსელების ომიანობა ჰუნებთან, შუშანიკის ტანჯვის დასაწყისი და ეტაპეზი. მისი ცხნეში ყოფნა, გარდაცვალება და ხსენების დღის დაწესება. მას წარმოუდგენია ამ შრომაში ცოცხალი სურათი მაშინდელი ჩვენი

¹) ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 25, გამოც. 2.

²) მარიამ დედოფლის ქართ. ცხოვრება გვ. 185.

³) საფიქნებელია, რომ მას, როგორც თანამედროვეს, აღწერილი ჰქონდა ვახტანგ გორგასლანის მეფობა, როდესაც ეარსქენ პარტიანშიც გარკვეულ როლს თამაშობდა; შესაძლებელია, ეს, დღეს დაკარგული, შრომა ერთერთ წყაროდ ჰქონდა მემატიანეს თავისი ისტორიული თხზულების დაწერისას. რასაკვირველია, ამას ჩვენ ვამბობთ არა დავინებით, არამედ როგორც ჰიპოტეზას.

ყოფა—ცხოვრებისა, ჩვენი უძველესი კულტურულ-სარწმუნოებრივი ვითარება, სოციალ-პოლიტიკური წყობილება, საეკლესიო ორგანიზაცია და კერძო საოჯახო ცხოვრება. ასე რომ ამ მხრივ მისი შრომა არ ეტევა საეკლესიო მიზნით დაწერილი, ისიც ჰაგიოგრაფიული, თხზულების ჩარჩოებში და წმიდა ისტორიული ნაწარმოების ხასიათი აქვს. კილო მოთხრობისა გამსჭვალულია თავიდან ბოლომდე გულწრფელობით, უშუალოდ და ბუნებრივობით: ავტორი ერთნაირი მიუდგომლობით გვიხატავს ჩვენ დადებითი და უარყოფითი მხარეებს ყველაფრისა და ყველასას, ვისაც და რასაც კი ეხება ის თავის თხზულებაში. ასეთია ხასიათი და ღირსება ამ საყურადღებო მარტივობისა, რომლის მეორე მოკლე რედაქციაც შენახულა ჩვენამდე: მოკლე რედაქცია, რომელიც ათონის მეთე საუკუნის ერთერთ ხელნაწერში (№ 57) აღმოაჩინა ნ. მარმა¹ და აღ. ხახანაშვილმა² გამოსცა; გადმოთარგმნილი ყოფილა სიტყვა-სიტყვით სომხურიდან, არა უგვიანეს მერვე საუკუნის გასულისა, იმ რედაქციიდან, რომელიც დაბეჭდილია სოფერქ ჰაქაკაძის მეცხრე ტომში (გვ. 49—55). სომხური დედანი ამ მოკლე რედაქციისა გადმოკეთებული ყოფილა ვრცელი რედაქციიდან,³ ხოლო ეს უკანასკნელი, როგორც პროფ. ივ. ჯავახიშვილმა გამოარკვია,⁴ გადმოკეთებულია იაკობ ხუცის შრომიდან.

იაკობის შრომა რომ მეხუთე საუკუნის ნაწარმოებია და, მაშასადამე, ჯერჯერობით ჩვენი ორიგინალური მწერლობის ერთერთ უძველეს ძეგლად უნდა ჩაითვალოს, ეს ტექსტის ხასიათიდანაც მტკიცდება: გრამატიკა და ლექსიკა მისი შემკველია ისეთი არქაიზმებისა, რომელნიც მას უნათესავებენ საღმრთო წერილის თარგმანს. თუ ჩვენ გავითვალისწინებთ შუშანიკის მარტივობის ქრონოლოგიას, მაშინ უფრო დაახლოვებით შეგვეძლება უჩვენოთ მისი დაწერის დრო. ს. გორგაძის აზრით,⁵ რომელსაც მხარს უჭერს პროფ. ივ. ჯავახიშვილიც, შუშანიკი გარდაიცვალა 472 წლის 17 ოქტომბერს: ის ციხეში ჩასვეს

¹) Изъ поездки на Афонъ, Мюнхен. Мис. Ист. Нар. Просв. Мартъ 1899 г. Мис. Агиографическіе матеріалы по грузинскимъ рукописямъ Иверы, I, стр. 61.

²) Матеріалы по Грузинской агиологіи, Труды по Востоковѣдѣнію, изд. Лазаревскимъ Институтомъ. Восточныхъ языковъ, вып. XXXI, стр. 49—51.

³) სოფერქ ჰაქაკაძის, ტ. IX, გვ. 10—47.

⁴) ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გამოც. 2, გვ. 20—23.

⁵) იაკობ ხუცის, წამება წმიდისა შუშანიკის, გვ. 37.

სპარსეთის მეფის პეროზის მერვე წელს (466 წ.), ციხეში დაყო მან ექვსი წელი და აღესრულა, მაშასადამე, 472 წელსაო. მაგრამ სომხური წყაროების სინქრონოლოგიური ცნობით, რომელიც მოყვანილი აქვს ს. გორგაძეს, შუშანიკი გარდაცვლილა 471 წელს; ეს უკანასკნელი თარიღი მართლაც რომ სწორია; საქმე ისაა, რომ თხზულებაში ნათქვამია: და არს დასაბამი ტანჯაგია მათ წმიდისა შუშანიკისაჲთ თთუესა ანისისასა, მერვესა თთუესას, და დღესა თთუესათისა... და აღსრულდაჲ მისე — თთუესა ოქტომბერსა ათწემეტსა, დღესა ხუთშაბათსა. ამნაირად, შუშანიკის წამება დაწყებულია რვა იანვარს, რვა იანვარი კი ოთხშაბათს მოდიოდა 468 წელს. ვარსკენი წასულა სპარსეთში პეროზის მერვე წელს, ესე იგი 467 წ., აქ მას ცეცხლთაყვანისმცემლობა მიუღია, მეფის ქალი ცოლად გამოუთხოვია, მერე შინ დაბრუნებულია და 468 წლის რვა იანვარს, ოთხშაბათს, პირველად უცემია შუშანიკისათვის; მერედ უცემია მისთვის შემდგომად აღსკებისა ზიტისა დღესა ოთხშაბათსა, ესე იგი კვირაცხოვლობის ორშაბათს, და მაშინვე ციხეში ჩაუსვაჲს; ექვსი წლის შემდეგ (ვიგულისხმობთ 468 წლის აპრილიდან, ვინაიდან ეს ორშაბათი აპრილს ვერ გადასცილდებოდა), ვითარცა მეშუაე წელი დადგებოდა, ის გარდაიცვალა კიდევ, მაშასადამე, 474 წლის აპრილის შემდეგ ის დასწავლბულია და იმავე წლის 17 ოქტომბერს გარდაცვლილა. მართლაც, 17 ოქტომბერი ხუთშაბათს 472 წელს კი არ მოდიოდა, როგორც ბ. გორგაძესა ჰგონია, არამედ 474 წელს. თავისთავად ცხადია, რომ მარტვილობა დაწერილია შუშანიკის გარდაცვალების შემდეგ; ისიც ცხადია, რომ დაწერილია ის ვარსკენის სიკვდილამდე, რომელსაც აღვლილი ჰქონდა 484 წელს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჰაგიოგრაფი უმკველად აღნიშნავდა მის არაბუნებრივ აღსასრულს, თუ სხვა მოსაზრებით არა, როგორც ღვთისაგან სამაგიეროს მიგებას მისდა უკეთურობისათვის, მით უმეტეს, რომ ასეთ მიგებას ის თხოულბს შუშანიკის პირით, რომელიც ამბობს: მაგონ ჩემს ქმარს სმაგიერო უფაღმს, ვითარ მან უფაღმად ნაოთენი ჩემი მასთუაღსა და სანთელი ჩემი ააშრიტა და უფაილი ჩემი დაჰნო და შეენიერებაჲ სიკეთისა ჩემისაჲ დაახნელა და დიდებაჲ ჩემი დაამდაბლა. ამნაირად, შუშანიკის მარტვილობა იაკობ ხუცესს უნდა დაწეროს 474—484 წლებში, მაშასადამე, ეს მართლაც რომ უძველესი ძველი ქართული ორიგინალური მწერლობისა.

1) პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველ ერის ისტორია, I, 188—189.

ამით ჩვენ არ გვინდა ვთქვათ, რომ ჩვენამდე თხზულება შენახულა იმ სახით, რა სახითაც ის გამოვიდა იაკობ ხუცის ხელიდან. არა, მას განუცდია, სტილისტურად მაინც, შემდეგდროის რედაქტორის ხელი, რაც შემდეგიდანაც ჩანს: და ახს დასაბამი ტანჯვათა წმიდისა შუშანიკისათაჲ, ამბობს მარტილობა, თთუეს აწნისისსა... და კუ'ლად ტანჯვაჲ ვარდობისა თთუესა ათცხამეტსა და აღსრულებაჲ მისი თთუესა თკტანბერსა ათშუდმეტსა. ორ შემთხვევაში ნახმარია ძველი ქართული სახელწოდება თვეებისა, მესამეში კი რომაული — ოკდონბერი. რომაული კალენდრისა და თვეთა სახელების ხმარება ნებუთე საუკუნეში ქართლში შეუძლებელი იყო, ვინაიდან მაშინ კონსტანტინოპოლის კანცელარიებშააც კი არ ეძილათ ის ხეირიანად; იქ ჩვეულებრივ განათლებულ პირთათვის თვეების რომაულ სახელწოდებას მაკედონურად სთარგმნიდენ ხოლმე.¹ საქართველოში, რამდენადაც არსებული ძეგლების მიხედვით შეიძლება გავითვალისწინოთ, მერვე საუკუნემდე არ ყოფილა ხმარებაში რომაული სახელწოდებანი თვეებისა.²

2. კათოლიკოსი კირიონი

მეექვსე საუკუნის უკანასკნელს მეოთხედში იწყება სომეხ-ქართველთა შორის ეკლესიური განხეთქილება, რომელიც 607—609 წლებში დამთავრდა ამ ორ ეკლესიათა ერთიმეორისაგან ჩამოშორებით. ეს ისტორიული მისია წილად ხედა ქართლის კათოლიკოსს კირიონს. ქართულს წყაროებში კირიონი კარგად ცნობილი არაა, სამაგიეროდ სომხურ წყაროებს³ საკმაო, მაგრამ არა სრულიად ობიექტური ცნობები შეუნახავთ მის შესახებ.

კირიონის საერისკაცო სახელი ყოფილა სვიმეონი; პირველდაწყებითი სწავლა მას მიუღია თავის სამშობლოში, ჯავახეთში, სოფელ სკუტრის შკოლაში, ხოლო დაუმთავრებია სწავლა საბერძნეთში მცირეაზიის ქალაქ კოლონიაში, რომელიც მდებარეობდა მდინარე ლიკუსზე, ე. ნიკოპოლის მახლობლად. აქ კირიონს დაუყვია 15 წელიწადი და საუუძველესი ელინისტური განათლება მიუ-

¹) Проф. В. Болотови, Христианское Чтение, Журналы Совета за 1896-97 г. стр. 256—257.

²) დიფერენციითი ანალიზი მარტილობისა, უფრო როგორც ისტორიული ძეგლისა, გვეთვის პროფ. ივ. ჯავახიშვილს: ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გამ. 2, გვერ. 13—26.

³) წიგნი ეპისტოლეთა და ისტორიკოსი უხთანესი X საუკ.

ლია. სწავლის დამთავრების შემდეგ ის დაბრუნებულა ქალაქ ღვინში სომხის კათოლიკოზ მოსესთან, რომელსაც ის უკუბრუნებია მღვდლად და დაუნიშნავს მონასტრის კატეხიზატორად. მისი ეპისკოპოსობის მეხუთე წელს ქართლის მთავარმა დეპუტაცია გაუგზავნა მოსეს თხოვნით, რათა მას გამოეძებნა ქართლის ეკლესიისათვის, რომელიც იერარქიულად მის გამგებლობაში იყო, ახალი კათოლიკოზი, ვინაიდან აღგილი თავისუფალი იყო. კირიონზე უკეთესს კანდიდატს მოსე ვერ იშოვნინდა და ამიტომ ქართლის კათოლიკოსად ის იყო არჩეული, მოგვიტხოვრობს უხ თ ა ძ ე ს ი. რადგანაც კირიონი აღზრდილი იყო საბერძნეთში დიოფიზიტურ ტრადიციებში, რომელთაც ქართლში, პოლიტიკურ მიზეზთა გამო, უკვე სიმპატიები მოეპოვებიათ ამ დროს, ის ქართლში შემოსვლის შემდეგ გადაუდგა სომხურ მონოფიზიტობასა, და ამის გამო დაიწყო ქართლის ეკლესიასა და სომხებს შორის ცილობა და მძვავე მიწერ-მოწერა, რასაც საბაბი მასცა წურტავის ეპარქიაში სომეხ ეპისკოპოსის მოსეს მავიერ ისეთი ადამიანის დანიშვნამ, რომელმაც სომხურიც იცოდა და ქართულიც რქაურ შერეულ მრევლის მოთხოვნილებათა თანაბრად დასაკმაყოფილებლად. ეს მიწერ-მოწერა შენახულია სომხურად; მართალია, კირიონის ყველა წერილი არ შეუნახავს სომხებს, მაგრამ შენახულებიდანაც ნათლად ჩანს. რომ კირიონი განათლებული და ენერგიით სავსე ადამიანი ყოფილა; ის მედგრად იცავდა ქალკედონის კრების ქრისტოლოგიას. მას მიწერ-მოწერა ჰქონდა იერუსალიმისა და რომის პატრიარქებთან ამ მწვავე საკითხის გამო; რომის პაპს ის, სხვათა შორის, ნესტორიანთა შესახებაც შეკითხებია, ეჩვენა მდე შენახულა საპასუხო წერილი პაპის გრიგოლი დიდისა.¹ ერთი სიტყვით, კირიონი პირველი ქართველი მწერალია, რომელსაც დამოუკიდებელი პოლემიკა უწარმოებია ნესტორიანობა-მონოფიზიტობასთან, თუმცა მისი თხზულებები ჩვენამდე არ შენახულა.

3. გრიგოლ დიაკონი.

პირველ ქართველ ისტორიკოსად, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, უნდა იქმნეს მიჩნეული გრიგოლ დიაკონი. ქელიშური მოქცევაჲ ქართლისაჲ-ის ვერსიაში, იქ, სადაც ლაპარაკია მცხეთაში ნინოსა და მირიანის დროს ჯვარის აღმართვის შესახებ, ავტორი შენიშნავს: ვითარცა სწერია გრიგოლ დიაკონის წიგნსა მას მოკლედ აღწერილსა წიგნსა ქართლისა მოქცევისახაო.² აქედანა ჩანს, რომ გრიგოლ დიაკონს დაუწერია მოკლე ქართლის მოქცევა, რომელიც მაშინ, როდესაც იწერებოდა შატბერდულ—ქელიშური მოქცევა ქართლისა, კიდევ აო ყოფილა დაკარგული. ვინ იყო ეს გრიგოლ დია-

¹) მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 575—577. Epistolorum liber IX, p. 132, Epist. 61.

²) Е. Такашвили. Ошцание II, 714.

კონი, არ ვიცით, მაგრამ, ის რომ მეშვიდე საუკუნეზე უადრესი და მერვე საუკუნის ნახევრის უგვიანესი. მწერალი არ უნდა იყოს, იქიდანა ჩანს, რომ თქმულება მცხეთაში ჯვარის აღმართვის შესახებ, ყოველ შემთხვევაში მისი დედა-ახრი, მას ნასესხები უნდა ჰქონოდა მოსე ხორენელის სახელით ცნობილის, მეშვიდე საუკუნის გასულის, ისტორიკოსისაგან. რას წარმადგენდა ეს მოკლე ქართლის მოქცევა, ძნელია თქმა; შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ის იყო მცხეთის ჯვარის დღესასწაულზე საკითხავი სვინაქსარი—მოახსენებელი, როგელიც იმ მასალას არ სცილდებოდა, რომელიც რუფინუსსა და მოსე ხორენელს შეუნახავს ქართველთა მოქცევის შესახებ. რასაკვირველია, შატბერდულ—კულიშური ქართლის მოქცევის რედაქტორა თუ ავტორს გრიგოლის შრომიდან, მცხეთის ჯვარის აღმართვის გარდა, სხვა ცნობებიც ეძენება ამოღებული, მაგრამ დღესდღეობით იმაში ძნელია გამოყოფვა იმისა, რაც გრიგოლს ეკუთვნის. ¹

4. იოანე საბანისძე.

მერვე საუკუნის გასულს ტფილისში აწამეს ერთი გაქრისტიანებული არაბი, ჰაბო. ხალიფა მანსურის წინაშე დააბეზღე; ქართლის ერასთავი ნერსე, ის დაიბარეს ბაღდადში და 772 წელს ციხეში ჩაავეს. როდესაც გამეფდა მანსურის ძე მაჰდი, იმან ნერსე გაანთავსუფლა და ტფილისში გამოისტუმრა. ნერსეს თან წამოჰყვა ჰაბო, რომელმაც სულ-ნელებისა და საცხებელთა შემზადება იცოდა; აქ იმან გაიცნო ქრისტიანთა ზნე ჩვეულება. ნერსე იძულებულა შეიქნა ქართლა მიეტოვებია და თავისი ამალით, რომელიც 300 კაცისაგან შესდგებოდა, გაეგზავრა ხაზარეთს. მას თან გაჰყვა ჰაბოც; აქ მან ნაშლისდება მიიღო. — აქედან ნერსე გადავიდა აფხაზეთს, სადაც მისი ოჯახობა იმყოფებოდა; ჰაბოც თან წაყვა და იქ მან სამი წელიწადი დაყო; იქიდან ნერსესთან ერთად დაბრუნდა ტფილისს, აქ არაბებმა დააბეზღეს ის აწირასთან, რომ მამული სჯული მიატოვა და

¹) ბ. ს. კაკაბაძე თავის მოხსენებაში, რომელიც მან წაიკითხა საისტორიო-საეტიოგრაფიო საზოგადოებაში 1923 წლის 13 ივლისს, აპტყეობდა, რომ გრიგოლ დიაკონი არის შემთხვევითი მწერალი, რომელსაც ბუძნულ ენაზე დაუწერია თავისი შრომა; ეს შრომა ჩვენ გვაქვს, მისი სიტყვით, მოქცევაი ქართლისაი-ს ქრონიკაში, მირიანის გარდაცვალებამდის. სხდომაზე დასწრე სპეციალისტებმა ეს დებულება ვერ გაიზიარეს; მართლაც, მოქცევაი ქართლისაი ვერ ჩაითვლება გრიგოლ დიაკონის შრომად, ვინაიდან ეს ქრონიკა თვითონ აწვენებს და მიგვითითებს გრაგოლას დაკარგულ შრომაზე.

ისტინობა მიიღო. ჰაბო დიბარეს, ბევრი ეკლდენ გადმოებირები-
 მაგამ ვერას გახდენ; ამიტომ 785 წლის 27 დეკემბერს (თანამე-
 ლევე კალენდრით) ის ჩასვეს საპყრობილეში, რომელშიაც მან დაყო
 აღდე. 786 წლის 6 იანვარს ის გამოიყვანეს ციხიდან და კართა ზე-
 წმადთა ორმოცთა იარტუთა ეკლესიისა თაფი მოპკვეთეს, მერე და-
 ვის მისი გვაში ურემს, მიიტანეს ავლაბრის ხილთან, ადგილსა, რო-
 ისა ეწოდება სადღებელი, გადაასხეს ნაფთი და დასწვეს, ხოლო
 იგი გაახვიეს ცხვირის ტყავში და მტკვარში ჩაყარეს. ჰაბოს მოწამებ-
 კლავწლს ღრმა შთაბეჭდილება მოუხდენია თანამედროვეებზე და
 რომ ძალიან აღრე, არა უგვიანეს მერვე საუკუნის გასულისა, მისი
 ტრეილობა აღუწერიათ კიდევაც. ამ მარტვილობას მოუხწევია ჩვენამ-
 რამდენიმე უძველესი, IX—X-ს. ხელნაწერებით: სიძე. მუზ. № 19,
 95, № 1147, ათონის № 57; ის გამოსცა პირველად ნ. საბინინმა¹
 მეორედ პ. კარბელაშვილმა.² ავტორი ამ მარტვილობისა არის
 მე იოანე საბანიძე, რომელიც თანამედროვე და თვითმხილვე-
 , ამასთან დაახლოებული მეგობარი ყოფილა წმ. ჰაბოასა; ეს, სხვა-
 შორის, ჩანს შემდეგი მისი სიტყვებიდან: შეშინის შე დაუქობად, რო-
 ე სანატრელისა მათ ქრისტესმადრისა სიყუარულითა შემეყუარე შე, ვიდრე
 ჯდა სოფელსა ამას ჩუენსათ.³ ამ საქმისათვის მას ხელი მიუყვია შემდეგს
 აობებში: თანამედროვე ქართლის კათოლიკოსს სამოელს (780--
 0 წ.) აღძრვია სურვილი, რათა დაიწეროს სანატრელი ამისიგა მარტუ-
 ბად, ვითარტა მიწვედთა ქრისტეს მოწამეთად, [და] დაიწვას იგიცა წმიდასა
 ოლიგე ეკლესიასა შანა მოსაესკებელად უაყედთა, ვინ იუენეს შემდგომად
 ისა.⁴ ამ საქმეს, მისი რწმენით, შეასრულებდა მხოლოდ იოანე საბა-
 იძე, რომლის წადიერებად ღმრთისმსახურებისათს, ღმრთიემიმაღლესუ-
 შეცნიერებად საღმრთოთა წიგნთად და გუჯსმოდგინებად კეთილთა საქმე-
 მოღვაწეობისათს კარგად უწყოდა ან იცოდა საპოვლმა. ამიტომ მას
 უგზავნია ხსართან მღვდლის ხელით მისთვის ეპისტოლე, რომელშიაც
 იმინავს რა: შენ თვთ უწეი ახლისა ამის მოწამისა სანატრელისა ჰაბოასი,
 მეღი დღეთა მათ შინა ჩუენთა იმარტუდა შეობად ჩუენდა და უოვლისა ამის

¹) საქართ. საზოთხე, გვ. 3:3—350.

²) გამოცემა საეკლეს. მუზ. კომიტეტისა № 3, 1899 წ.

³) საქართ. საზოთხე, გვ. 348.

⁴) Н. Марр, Агиографические материалы I, стр. 53.

სოფლის ჩუენის ქართლისათჳს, სთხოვს მას: კელ ყუ სრულად გამოთქუი-
 ჳეშმარიტად ვითარ იყო და ვითარ შენ თუ ეწეი და აღწერი მარტრობაჲ
 წმიდისა მოწამისა ჰაბოხსი და აღწერილი ჩუენ მოგუადგანუ. იოანეს, მიუ-
 ლია თუ არა ეს ეპისტოლე, მაშინვე დაუწერია შეკვეთილი თხზულება,
 რომელიც გაუგზავნია სამოელისთვის; მას თან დაურთავს საპასუხო წე-
 რილი, რომელშიაც ის მადლობასა სწირავს სამოელს ასეთი საპატიო
 მონდობილობისათვის და შენიშნავს, რომ, თუმცა ეს საქმე ჩემს ძალდა-
 ნეს აღემატებოდა, მაგრამ ვერ გავბედე ურჩობა და, მსგავსად კინკვე-
 ლისა, რომელიც თავისთავზე უდიდეს პურის მარცვალს მოიღებს ზურგ-
 ზე და მიათრევს, ხელი მოვჰკიდე ამ საქმეს და აღწერი უღირსისაგან გო-
 ნებისა ჩემისა შემოკლებულა მარტრობაჲ, ჳეშმარიტი და უტუგანა, წმიდი-
 სა მოწამისაჲ. ამნაირად, იოანე საბანისძეს ეს თხზულება დაუწერია სა-
 მოელ კათოლიკოსის შეკვეთითა და თხოვნითა. ვინ იყო ეს იოანე, არ
 ვიცით, იმისი თქმაც არ შეგვიძლია დანამდვილებით, სასულიერო პირი
 იყო ის თუ საერო. სამოელის წერილში ერთი ადგილია — მშჯდო-
 ბაჲ იუენ შენ ზედა და გოგელთა სახლისა შენისა კრებულთა, რომელიც კომენ-
 ტარიებს თხოულობს; სახლისა შენისა კრებულთა შეიძლება გავიგოთ ისე,
 რომ სამოელს სახეში ჰყავს იოანეს ოჯახის წევრები, მისი ცოლშვილი,
 შეიძლება ისეც გავიგოთ, რომ სახლად ის უწოდებს მონასტერს და კრე-
 ბულად მის ბერმონაზვნებს, მაშასადამე, პირველს შემთხვევაში იოანე იგუ-
 ლისხმება როგორც ოჯახის მამა, მეორეში — როგორც წინამძღვარი მონ-
 ასტრისა. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ
 სამოელი ისეთი მორიდებით, კრძალვით და პატივისცემით მიჰმართავს
 იოანეს, რომელსაც ის უწოდებს სუღაყრად შეიჯად წმიდისა კათოლიკე
 გელქსიისა და საყურელს, თვისსა, — როგორითაც ის სასულიერო პირს, და
 მით უმეტეს ბერს, არ მიჰმართავდა, უფრო ახლო ვიქნებითი სიმართლეს-
 თან; თუ იოანე საბანისძეს ჩვენ მივიღებთ ყველასაგან ცნობილ, გა-
 ნათლებულ საერო პირად, რომელიც საღმრთთა წიგნთა მეცნიერი ყო-
 ფილა.

იოანე მართლაც რომ ფრიად განათლებული და ნიჭიერი კაცი
 ყოფილა; ამას ნათელ ჰყოფს აღნიშნული მისი თხზულება, რომელიც
 წარმოადგენს არა შაბლონურს ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებს, რომელიც
 სავსეა საღმრთო წერილის ტექსტებით, განყენებული ასკეტიკურ-მორა-
 ლური და რელიგიურ-დოქტრინული მსჯელობით, არამედ გარკვეული
 გეგმით დაწერილს მხატვრულ-ისტორიულ ნაწარმოებს, რომელშიაც ად-

ტორს იმდენად არ აქვს მიზნად ჰაბოს პიროვნება და გვისურათხატოს, მისი თავგადასავალი და გასამართლება-მარტილობა გვიამბოს, რადგანად თვალწინ ვადაგვიშალოს აზრი და მნიშვნელობა ჰაბოს მარტილობისა თანაჲედროვე ქართველთათვის და მაშინდელი საქართველოს ცხოვრების ყოველი მხარე: პოლიტიკურ-სოციალური, საწმუნოებრივ-ზნობრივი და ეკონომიური. თავისი აზრის ცხოველ-საყოფელად ავტორი აქაიქ პოეტურ სურათებსა და შედარებას მიჰმართავს ხოლმე, მაგრამ აქაც სასტიკ ზომიერობას იცავს და ყველაფერს მარტივად და გულწრფელად გვიშლის თვალწინ. თხზულება ოთხი თავისაგან შესდგება; პირველი თავი—ღმრთისმსახურთა და მარტვილოვანთა კრებულისათვის თხრობა და მოძღვრება და ახლას ამის მოწმისა კსენება. ეს არის შესავალის მგავსი ნაწილი, რომელშიაც ავტორი, აღნიშნავს რა, თუ როგორა ცვალებადობა და რყევა დაიწყო არაბთა გავლენის გამო ქართლში, მოუწოდებს მსმენელთ ყური დაუგდონ მის სიტყვებს და გაითვალისწინონ პიროვნება იმ ადამიანისა, რომელიც უცხო უცხოთა სჯულისა მოგიდა და ქრისტესა ღმერთსა ჩუქსა შეეშინა, იმ ქრისტეს, რომლის სხვადასხვა სახელებს, ესე იგი მოძღვრებას და მესიანურ მნიშვნელობას, ის განმარტავს და წარმოადგენს წამებთა წიგნთაგან საწინააღმდეგობა და მოცაქელთა ქადაგებისაგან და წმიდათა სასწავლებთა წერილთა და ნეტართა მამათა მოძღვართა მაურ განსაზღვრებულ საწმუნოებას. მეორე თავი, ქართლად შემოსდგა და ნათესაობა წმიდისა ჰაბოსისა, — მოგვითხრობს ჰაბოს ქართლად შემოსლვას, მის გადასლვა-გადმოსლვას ნერსე ერისთავთან ერთად საქართველოს ერთი კუთხიდან მეორეში და მის მიერ ქრისტიანობის მიღებას. მესამე თავი — წამება წმიდისა ჰაბოსისა, — აგვიწერს ჰაბოს გასამართლებას და წამებას. მეოთხე თავი, — ქება წმიდისა მოწმისა ჰაბოსისა, — წარმოადგენს შესხმას ან ხოტბას ჰაბოიძისას, რომელშიაც ავტორს განუზოგადებია თავისი აზრები და შეცდილა გაერკვია მნიშვნელობა და სიდიადე ჰაბოს ღვაწლისა და მარტილობისა, როდესაც ავტორს ხელი მიუყვია ამ თხზულების წერისათვის, იმას განუზრახავს ისეთი უბრალო და იმ დროს ჩვეულებრივი ფაქტი, როგორიც იყო ჰაბოს მარტილობა, გამოეყენებია დიდ და მნიშვნელოვან მიზნების მისაღწევად. ქართლი არაბების უღელ ქვეშ აუტანელ მდგომარეობაში იყო: პოლიტიკურად დამონაგებულნი და უფლებათაყრილნი, ეკონომიურად დაჩაგრულნი და გადატაცებულნი, სულიერ გადა-

გვარების გზაზე დადგენ ქარაველები; ისინი ირყეოდენ, ვითარცა ჭერ-
წამბი ქათვან ძლიერთა, შეითვისეს ზნე-ჩვეულება არაბთა ან, როგორც
ავტორი ამბობს, აღკრძეებით ერსა უცხოთა შჭუღით, განდგომილსა ქრის-
ტიანთაგან, ნათესავსა სწუთროდის ამის მოუყარეს, თესესა ურწმუნოსა ძისა ღმრ-
თისასა, სარწმუნოებისა ჩვენისა შაგინებულსა, რომელთაგან ვისწავნით საქმეი
შათნი და გმონებდით გულისთქუმასა გულთა ჩუქინათა შიბაძვებითა შათითა.
ერთი სიტყვით, რჯულის შერყევამ ქართველები ეროვნულად შეარყია;
ეროვნების გადასარჩენად, ავტორის აზრით და შეგნებით, საჭირო შეი-
ქნა სარწმუნოებრივი გრძნობის გაღვივება და გაძლიერება, საჭირო შე-
იქნა სარწმუნოებრივი შუაზღუდის აღმართვა ქართველთა და მაჰმადიან-
თა შორის. ამიტომ ის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ჰაბო, რომელ-
საც ქართველებთან არაფერი საერთო ეროვნულად არ ჰქონია, რომელ-
საც შეეძლო დიდი პატივი და სიმდიდრე დაემსახურებია ქრისტიანობის
უარისყოფისათვის, მტკიცედა დგას ქრისტიანობაზე და საკუთარი სისხლის
დანთხევით იცავს ახალ რწმენას. ეს მაშინ, როდესაც ქართველები,
რომელთა ქრისტიანობას ამ დროს ხუთასი წლის ისტორია ჰქონდა,
ლერწამივით ირყეოდენ და მაჰმადიანობისაკენ იხრებოდენ. ასეთი კონ-
ტრასტით ავტორს სურდა გაეღვივებია თავის თანამემამულეებში სარწ-
მუნოებრივი გრძნობა და შეგნება ქრისტიანობის უპირატესობისა მაჰმა-
დიანობის წინაშე, უნდოდა ნიადაგი გაემტკიცებია ეკლესიისათვის, რომ-
ლის წიაღში, ის დარწმუნებული იყო, შესაძლებელი იქნებოდა ეროვნ-
ების გადაარჩენა. ავტორს მიზნადა ჰქონდა არა მარტო გადაარჩენა
ეროვნებისა, არამედ გაღვივებაც და გაძლიერება ეროვნული გრძნობისა.
ეკლესიურ—ეროვნული თვითშეგნება ქართველებისა ჯერ კიდევ სა-
კმაოდ გაღვივებული არ ყოფილა; კერძოდ, ქართველ წმიდანებს იმდენი
ყურადღება და პატივი არ ჰქონიათ დამსახურებული, რადგენიც
მსოფლიო ეკლესიისას. ავტორს უნდა დაუმტკიცოს თანამემამულეებს,
რომ ჰაბო ნამდვილი მარტეილია, რომ მისი სახით ქართლს მოე-
ვლინა ისეთი მფარველი და შუამდგომელი ღვთის წინაშე, როგორიც
ჰყავდა სხვა ეკლესიას, მაშასადამე, ქართული ეკლესია არაფრით არ ჩა-
მოუვარდება სხვებს, თოგინდ ბერძნების ეკლესიასაც; ჩვენ ბერძნებზე
ნაკლები არა ვართ, რამეთუ არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებაჲ ესე ღმრ-
თისა შიერ მოიპოვეს, არამედ ჩუენცა, შორიელთა ამათ მკვდართა.... აჰა ესე
ქართლისცა მკვდრთა აქეს სარწმუნოებაჲ და წოდებულ არს დედად წმიდათა, რომ-
ელთაჲ იჯთ აქა მკვდრთა და რომელითაჲ უცხოთა სხუთ მოსრულთა ჩუენ შორის

ამაღესმად მოწამედ გამოჩინებულთა ქრისტე იესუმს შიერ უფლას ჩვენასო. ამნაირად, იოანე საბანისძე, შეიძლება ითქვას, პირველი ქართველი მწერალია, რომელიც ეროვნული ლოზუნგებით გამოვიდა მწერლობაში და რომელმაც ქართული ეროვნულ-ეკლესიური თეორია წამოაყენა ჩვენში.

თხზულებაში საუცხოვოდაა დასურათბატებული ქართლის პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ეკონომიური და სარწმუნოებრივი მდგომარეობა მერვე საუკუნეში, და არა მარტო ქართლისა, არამედ მისი მეზობელი ქვეყნებისაც, როგორც, მაგალითად, ხაზარეთის, ოსეთის და განსაკუთრებით აფხაზეთის; ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამ თხზულებას საზოგადოდ მეცნიერებაში იშვიათი ყურადღება აქვს დამსახურებული. ¹

5. სეით თარგმანი.

იმ მწერალთა შორის, რომელნიც იწყებენ მეორე პერიოდს ჩვენი მწერლობის ისტორიისას, საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს სეით თარგმანს. სეითი [Σημ, აქედან სმთ<სემთ<სეით<სეთ] არი' მოლვაწე მერვე საუკუნის გასულის თუ მეცხრის დამდეგისა; ეს ის დრო იყო, როდესაც ქართულს მწერლობაში საფუძველი ეყრებოდა იმ ჰაგიოგრაფიულ კრებულს, რომელიც ცნობილია „მრავალთავის“ სახელით და რომელიც შეიცავს უძველესს, გადაუკეთებელ რედაქციას წმიდათა ცხოვრებისას, ეგრედწოდებულს „კიმენს“. ეს კრებული საუკუნეთა განმავლობაში თანდათან ივსებოდა და ფართოვდებოდა და მხოლოდ მეათე საუკუნის გასულს მიიღო მან ის სახე, როგორითაც ის წარმოდგენილია შედარებითი სრულსა და დამთავრებულს ნუსხებში: ათონისაში № 57 და „სიძველეთა მუზეუმისაში“ № 95 და სხვ. საფუძველად ამ კრებულისათვის დაუდგია, უნდა ვიფიქროთ, სეით თარგმანს. არავითარი ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება, ვიცით მხოლოდ, რომ ის მოლვაწეობდა იერუსალიმში, უეჭველია, საბას ლავრაში, და მუშაობდა ჰაგიოგრაფიულ დარგში. მართლაც, სინას ზთაზე

¹) Акад. В. Васильевскій, Русско-Византийскіе отрывки. Житіе Іоанна Готескаго, Журн. Мѣн. Нар. Просвѣщ. 1877 г. стр. 124-125. К. Schultze, Das Martyrium des heiligen Abo von Tiflis, Texte und Untersuchungen, N. Fulge XIII. 4. პროფ. ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული სასტორიო მწერლობა, ვაშლი. 2, გვ. 59-52.

შენახულა კრებული მის მიერ ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული ტექსტებისა-
რომელიც გადაწერილია მეთე საუკუნეში „პალავრას კელითა პავლეს-
სითა“; ამ კრებულის ფურ. 240^ა დარჩენილა ასეთი შენიშვნა: „ითარ-
გმნა იერუსალმის კელითა სეთ თარგმანისაჲთა“.¹ ამ სეთის ჩვენ ვთვლით
მეორე პერიოდის დასაწყისის მთარგმნელად იმიტომ, რომ მისი ტექს-
ტები ჩვენ გვხვდება თითქმის ყველა ცნობილ „მრავალთავებში“, რო-
მელნიც მეცხრე-მეთე საუკუნეს ეკუთვნიან და რომლებშიაც ზოგიერ-
თი ტექსტი სეთისა უკვე სხვა, უფრო ახალი, რედაქციითა წარმოდგე-
ნილი. საყურადღებოა, რომ სეთის უმეტეს ნაწილად უთარგმნია იმ
წმიდათა ცხოვრებანი და მარტილობანი, რომელნიც მოღვაწეობდენ იმ-
პერატორ დეოკლიტანემდე, უფრო კი რომელნიც მის დროს მისი ბრძა-
ნებით ეწავენ. უნდა ვთარგმნოს სეთის ბერძნული ენიდან, ამას ამოწ-
მებს: 1) ბერძნული ფორმები საკუთარი სახელებისა: დიოკლიტიანოს,
დიონისიოს, კორნელიოს, ლეონტიოს, მაქსიმიანოს, კლავდიოს, ლიკი-
ნიოს, თოტიმოს, ფილაგრიოს, თალალეოს, მანიმოს, სტეფანია (ქალი)
ავათონანგელოს; 2) ცალკე სიტყვები, როგორც, მაგალითად: სტრა-
ტიოტი, მყურჭუმებელი; 3) მთელი ფრასა ბერძნულ ენაზე ქართული
ტრანსკრიპციით: „დოქსა სოჯა თეოს“. ასეთი გრეციზმები, მეორე
მხრით, მაჩვენებელია იმისა, რომ სეთის მოღვაწეობა შეუძლებელია
გადატანილ იქმნეს ჩვენი მწერლობის პირველს პერიოდში. უთარგმნია
სეთის სულ, აღნიშნული ხელნაწერით, 26 ჰაგიოგრაფიული ტექსტი:
1) წმიდისა მენაქსი (11 ნოემბერს), 2) წმიდათა და კეთილად მძლეთა
მოწამეთა გურია, სამონა და აბიბოსი² (15 ნოემბერს), 3) წმიდათა მო-
წამეთა ევსტრატისი, ევქუსანტისი, ევგენისი, არესტისი და მარდარისი
(13 დეკემბ.),³ 4) წმიდისა ფოკასი,⁴ 5) წმიდისა მარინაქსი (17 ივ-
ლისს),⁵ 6) წმიდისა ანასტასიაქსი (22 ოქტომბ.),⁶ 7) წმიდისა დომენ-
ტისი (8 ნოემბ.),⁷ 8) წმიდისა პანტელეიმონისა (27 ივლისს),⁸ 9) სა-

¹) ეს კრებული აღ. ცაგარლის კატალოგში აწერილია № 50 ქვეშ, ხოლო პროფ-
ივ. ჯაგაზიშვილის ვრცელსა და ყოველმხრივ აღწერილობაში ის № 11-ით არის აღნიშ-
ნული; ჩვენ ხელთა გვაქვს ეს უცნაურელი აღწერილობა.

²) არის სიძველეთა მუზეუმის ხელნაწ. № 95. ³) სიძვ. მუზ. № 95; ათონ.
ხელ. № 50 (H. Марр, Агиограф. материалы I, 6) სხვა რედაქციით. ⁴) არის სინ. ხელ. № 52
(Христ. Вост. т. II, № 1) და ათონისაში № 57 (H. Марр, Агиограф. матер. I).
⁵) სიძვ. მუზ. № 95, სინ. № 52. ⁶) სიძვ. მუზ. № 95 სხვა რედაქციით. ⁷) სინ. №
52 ⁸) არის ბოდლეს ხელნაწერში (Analecta Bollaudiana, t. XXXI) და სინ. № 52.

კვირველებანი წმ. ნიკოლოზისი (6 დეკემბ.), 10) წმ. პეტრე ალექსანდროულისა (25 ნოემბ), 11) წმ. იგნატი ანტიოქელისა, ¹ 12) დიონოსიოს ათენელ ეპისკოპოსისა, ² 13) წმ. ევგენიაჲსი, ³ 14) კიდე ევგენიაჲსი, ⁴ 15) წმ. საკვირველმოქმედთა კჯროსისი, იოანესი და სამთა ქალწულთა (31 იანვ.), ⁵ 16) წმ. ლეონტისი (18 ივნისი), ⁶ 17) წმ. მოწამეთა პავლე, ბილოს, თეონ, ირონ და მოყუასთა მათთა (2 ივლისი), ⁷ 18) წმ. ათანასი კოლიზმელისა (19 ივლისს), ⁸ 19) წმ. თალალეოს, თოტიმოს, ასტერი და ფილაგრიოსისა [20 მაისი], ⁹ 20) პოენა წმ. ანანია, აზარია და მისაელისი, 21) წმ. ბიქტორისი და სტეფანია დედაკაცისა, ¹⁰ 22) წმ. სერგისა და ბაქოზისი ¹¹ (7 ოქტომ.) 23) წამება წმ. 45 მოწამეთა ნიკოპოლელთა, ¹² 24) წმ. აგათანგელე დამასკელისა (7 თებერვ.), ¹³ 25) წმ. ილარიონ დიდის პალესტინელი-სა; 26) უცნობი წმიდანისა, რომლის დასაწყისი დაკარგულია.

6. გრიგოლ ხანძთელი.

მერვე საუკუნის გასულს და მეცხრის პირველს ნახევარში მოღვაწეობდა წმიდა და ნეტარი გრიგოლ ხანძთელი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ტაოკლარჯეთის ქართულ ბერმონაზვნობას და სამონასტრო ცხოვრებას, ააშენა რაჰდენიძე მონასტერი, სხვათა შორის — ხანძთის საეანც, საიდანაც მან მიიღო სახელწოდება ხანძთელი (იხ. ზემო გვ. 96 — 98). გრიგოლი ქართლელი იყო, თან დიდიკაცის შვილი: ქართლის ერისთავის ნერსეს ცოლის ძმისშვილად მოხედებოდა; ის აღუზრდიათ ნერსეს კარზე, მის სასახლეში, სწავლა-აღზრდის საქმეს თვით ნერსეს ცოლი ხელმძღვანელობდა. ბავშვა შესანიშნავი გულისხმიერობა გამოიჩინა, მან მსწრაფდ დაისწავლა ღვთაობა და კმითა სასწავლედი სწავლაჲ საეკლესიოჲ სამოძღვროჲ ქართულსა ენასა შინა და საღმრთონი წიგნნი ზეპირით ¹⁴ მოიწუართნა; თან მან მწიგნობრობაჲც ისწავლა მრავალთა ენათაჲ, ასე რომ, ვინაიდან ის მრავალთა ენათა

¹) სიძვ. მ. № 95. ²) სიძვ. მ. № 95, ათონ. № 57. ³) სიძვ. მ. № 95, ბოდლ. № 24. ⁴) სიძვ. მ. № 95, ბოდლ. № 25. ⁵) სიძვ. მ. № 95, ათონ. № 57. ⁶) სიძვ. მ. № 95, სინ. № 52, ათონ. 57, ბოდლ. ⁷) სიძვ. მ. № 95, სინ. № 52; ბოდლ. ⁸) სიძვ. მ. № 95, სინ. № 52. ბოდლ. ⁹) ათონ. № 57, სინ. № 52. ¹⁰) სინ. № 52. ¹¹) სიძვ. მ. № 95. ¹²) სიძვ. მ. № 95, სინ. № 52, ბოდლ. ¹³) სინ. № 52, გამოცემულია ჩვენ მიერ Х р и с т. В о с т. т. IV, в. III, 3.

¹⁴) პართლავ, მას ზეპირად მოჰყავდა ციტატები, სხვათა შორის, ეფრემ ასურის, გრიგოლ ღვთისმეტყველის და კირილე ალექსანდრიელის თხზულებათაგან.

წერთი იყო და მრავალმოსწავლს, ადვილად მოგზაურობდა აღმოსავლეთის-
 წმიდა ადგილთა მოსალოცავად. ეს კიდევ ცოტა, მან სიბჭძნსცა იგო-
 ამის სოფლისა ფილქოსოფოსთაჲ ისწავა კეთილად, შენიშნავს მისი ბიოგრა-
 ფი. გრიგოლს დიდი თანამდებობისათვის ამზადებდენ, მაგრამ მან სიკა-
 ბუკეშივე უარყო ამბქვეყნიური დიდება და ბერად შედგა ოპიზის მო-
 ნასტერში, საიდანაც დაიწყო მან ტაოკლოარჯეთის სამონასტრო კოლო-
 ნიზაცია. ცხოვრობდა სულ 102 წელიწადს და გარდაიცვალა 861 წ.,
 დაბადებულა მაშასადამე 759 წელს. როგორც უკვე ვთქვით, ის ღრმად
 და საფუძვლიანად განათლებული კაცი იყო, სიბჭძნის მისის მღინ-
 რეთაგან, შენიშნავს ბიოგრაფი, იწვეოდეს უაგეღნი უღაბონი კლარჯეთა-
 სანიო. უეკველია, ასეთი მომზადებული ადამიანი ლიტერატურულ ას-
 პარეზზედაც არ დარჩებოდა უსაქმოდ; მართალია, ჩვენამდე არ შენახუ-
 ლა არც ერთი თხზულება, რომლის შესახებ დანამდიელებით შეგვეძლოს.
 თქმა, რომ ის გრიგოლის მიერაა დაწერილი ან ნათარგნნი, მაგრამ მი-
 სი ბიოგრაფის სიტყვები: აწ არს ხანძთას კელითა მისითა დაწკილი სუღი-
 სა მიეკ წმიდისა სწელიწადოჲ იადგაჲი, რომლისა სიტყუნი ფრად კეთილ
 არიანო,—გვაფიქრებინებს, რომ ის მწერლობაში მართლაც რომ იღებდა
 მონაწილეობას. ფრაზა კელითა მისითა დაწკილი სუღისა მიეკ წმიდისა
 უფრო ასე უნდა გვესმოდეს, რომ ეს იადგარი ან ლიტურდიკული
 ჰიმნები მთელი წლისა მას თვით შეუთხზავს სულის წმიდის შთაგონე-
 ბით. აგრეთვე თავის მონასტრისათვის მიუცია მას კტიტორული
 ტიპიკონი, რომელიც შეუდგენია საბაწმიდის წესის საფუძველზე,
 როგორც უნდა იყოს, გრიგოლმა აღზარდა მთელი რიგი მოწაფეებისა,
 რომელნიც ლიტერატურული ინტერესებით იყვნენ გატაცებულნი. ერთს
 მათგანს, ვინმე მაკარის, პალესტინაში, საბას ლავრაში, 864 წელს
 გადაუწერია შესანიშნავი მრავალთავი, რომელიც დღეს სინას მთა-
 ზე ინახება.

7. კათოლიკოზი არსენ დიდი.

არსენი იყო სამცხიდან, შვილი დიდი ფეოდალის მირიანისა; რა-
 დესაც ის ექვსი წლის შეიქმნა, მირიანის სახლში გამოიარა გრიგოლ
 ხანძთელის ორმა მოწაფემ, თეოდორემ და ქრისტეფორემ, რომელნიც
 ჩუმად აფხაზეთს მიდიოდენ იქ მონასტერთა გასაშენებლად. მირიანისა-
 და მისი მეუღლის თხოვნით ბერებმა ბავშვი შემოსეს სამოსლითა მოწესე-

თავთა, ესე იგი ბერად აღკვეცეს, და არსენი დაარქვეს. მერე, როდესაც თეოდორე და ქრისტეფორე გრიგოლ ხანძთელმა წამოიყვანა აფხაზეთიდან, მათ გამოუარეს მირიანს და თან წამოიყვანეს პატარა არსენი, რომელსაც გზაზედ შემოუერთეს კიდევ ერთი ბეშვი, შემდეგ — ეფრემ დიდი, აწყურის ეპისკოპოზი სამცხეში. მონასტერში ბერებმა პროტესტი განაცხადეს ბავშვების მოყვანის გამო, ვინაიდან ეს აკრძალული იყო სამონასტრო წესდებით, მაგრამ გრიგოლმა ამას უწოდა პირველი და უკანასკნელი გამონაკლისი და ბავშვები ჩააბარა აღსაზრდელად თეოდორესა და ქრისტეფორეს, რომელნიც განცალკევებულად ცხოვრობდნენ სენაკში. როდესაც არსენი წამოიზარდა, მამა მისს, საეკლესიო და სამღვდელმთავარო კრების დაუკითხავად, მძლავრობით, მხოლოდ სამცხის ერისკაცთა დახმარებით და რამდენიმე ეპისკოპოსთა თანადგომით, კათოლიკოსად დაუდგენია ის. ეს იყო საეკლესიო კანონების დარღვევა, ამიტომ ქართლის ეპისკოპოსებს ჩოჩქალი დაუწყიათ, მათ მეთაურად გამოსულა ეფრემ დიდი, აწყურის ეპისკოპოზი, არსენთან ერთად აღზრდილი; მათთვის მხარი დაუჭერია მამფალს გუარამ დიდს, რომელსაც ამ ინციდენტის გამოსაკვევად ჯავახეთში საეკლესიო კრება მოუწვევია. კრებაზე არსენის საქმე არასასურველად გათავდებოდა, გრიგოლ ხანძთელი რომ არ ჩარეოდა შიგ: იმან არწმუნა ეფრემს, გუარამს და სხვებს, რომ თვითღმერთს უბრძანებია არსენის კათოლიკოსობა სისრულესა მისისათჳს, თუმცა, მართლა, არაკანონიერი გზით, და ამიტომ შეარიგა ისინი არსენს და მისი კათოლიკოსად დადგინება დაამტკიცებია კრებას. არსენი კათოლიკოსობდა 27 წელს (855—882); გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან ეტყობილობთ, რომ აშოტ კუროპალატის გარდაცვალების წელს (826 წ.), როდესაც არსენი მონასტერში მოიყვანეს, ის 6 წლის იყო, მაშასადამე დაბადებულა 820 წ. ვინაიდან ეპისკოპოსად დადგენის კანონიური პასაკი 36 წელიწადი იყო, კათოლიკოზად ეკურთხებოდა ის არაუადრეს 855 წლისა, მართლაც ამ წლის ახლოხანებში უნდა დაეპყრა გუარამსაც ჯავახეთი, სადაც მან კრება მოიწვია არსენის საკითხის გამო; გარდაიცვალა ის, მაშასადამე, 882 წელს და დიკსად ეწოდა დიდი არსენი, ქართლის კათალიკოზი და მცხეთის გუგუნი. ¹ ვინაიდან საეღარი მამთმთავრობისაჲ შეამკო სრულიად და შეამკო მადღბთა. ²

¹) ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. კბ.

²) იქვე გვ. მთ.

აი ამ არსენ კათოლიკოსს მივაწერთ ჩვენ ერთს ისტორიულ-პოლემიკურ თხზულებას, რომელსაც ეწოდება: თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა არსენასაჲ, მცხეთელ კათალიკოსისაჲ, რომელი იყო სანახებთაგან სამცხისთა საფართო, განუფისთაჲს ქართლისა და სომხითისა. ეს თხზულება, რომელიც ორი ხელნაწერთაა ჯერჯერობით ცნობილი (სიძვ. მუხ. №№ 691, 735), გამოსცა თ. ყო რ დ ა ნ ი ა მ.¹ ის ეხება ქართველ-სომეხთა სარწმუნოებრივ ურთიერთობის და განხეთქილების ისტორიას და აზრად აქვს გამოარკვიოს: ვინ უღალატა ქეშმარიტს აღსარებას, გრიგოლ განმანათლებელის მიერ დანერგულს სომხეთსა და ქართლში, სომხებმა თუ ქართველებმა, და რამ გამოიწვია ეს ღალატი? თხზულება იწყება აღსარებით, ან მ რ წ ა მ ს ი თ, რომელიც შემოკლებული განმეორებაა ნიკაიკონსტანტინოპოლის ს ი მ ბ ო ლ ო ს ი; მერე ავტორი მოგვითხრობს ვითარ განდგეს სომეხნი მართლისა სარწმუნოებისაგან და თან დასძენს: განუფთაჲ სომეხთა ქართლისაგან უეჭველად აღწერეო. დედააზრი თხზულებისა არის ის, რომ სომხებს თავდაპირველად იგივე სარწმუნოება ჰქონდათ, რაც ბერძნებს, მაგრამ მერე სპარსეთმა, პოლიტიკური მოსაზრებით, რათა მათ შორის შუაქედელი აღემართა, მოსთხოვა მათ დაეტოვებიათ ბერძენთა ან მელქთაჲ შჯული და მიეღოთ ასურთა ან იაკობთაჲ. ამნაირად სომხები იძულებულნი შეიქმნენ ეღალატნათ მამაპაპეული შჯულისათვის და განმდგარიყვნენ მართლისაგან სარწმუნოებისა, რაც გრიგოლ განმანათლებელს და საპაე კათოლიკოსს წინასწარ ჰქონდათ მოსწავებელი განცხადება—ხილვაშიო. არსენ კათოლიკოზი სომხებს ბრალსა სდებს არა მარტო ქეშმარიტი სარწმუნოებისაგან განდგომაში, არამედ იმაშიაც, რომ საეკლესიო დამოუკიდებლობაც უკანონოდ მოიპოვეს, წინააღმდეგ გრიგოლ განმანათლებელის ანდერძისა უკუნისამდე არა განმორებად კესარაი[ას] კელესიისაგან კელდასხმაჲ ეპისკოპოზისა სომხითისაჲ-თ. მესამე ბრალდება სომხების წინააღმდეგ, ეს არის მანასკერტის კრების დადგენილებანი, რომელნი აჲა ესწავა წმიდათა კრებათაგან ჰირველთა და საღმრთო წერილიდან; სახელდობრ—უცომომას ან ბალარჯის დაკანონება და წყალგაურეველი ღვინის ხმარება ევქარისტიანში. განდგომილება სომხეთისა მართლისა სარწმუნოებისაგან, არსენის თეორიით, დაწყებულა მეფე პეროზიდან (458—484) და დასრულებულა მანასკერტის კრებაზე (726 წ.). არსენი კვალდაკვალ იკვლევს ამ ხნის

¹) ქრონიკები I, 313—332.

ვანმავლობაში აღნიშნული განდგომილებების პერიპეტეებს, ასე რომ. წამდვილად რომ ვთქვათ, არსენის შრომა წარმოადგენს ისტორიას არა განყოფისათვის ქრთღისა და სომხისისა, როგორც სათაურშია აღნიშნული, ბრამედ განყოფისათვის ან უკეთ განდგომისათვის სომეხთა მართლმადიდებლობისაგან, რომელიც 726 წელს დასრულდა მანასკერტის კრებაზე.

ვინაა ავტორი ამ თხზულებისა? ¹ ეს საკითხი მით უფრო საყურადღებოა, რომ გამომკვებელი ამ თხზულებისა, თ. ყო რ დ ა ნ ი ა, მას მიაწერს არსენ ვაჩეს ძეს, რომელსაც სახელდება მეთე საუკუნის კათოლიკოზ არსენ მეორედ. სათაურში ამ თხზულების ავტორად დასახელებულია კათოლიკოზი არსენი, რომელი იყო სანახებთაგან სამცხასთა საფარით; აქ ჩვენ არ შეგვიძლია ვიგულისხმოთ არც არსენ II, მეთე საუკუნის კათოლიკოზი, არც, მით უმეტეს, არსენ ბულმაისიძე, მეცამეტე საუკუნის მამათმთავარი; ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, 1) ავტორს მოხსენებული ექნებოდა X-XIII ს. კრებებიც, რომელნიც სომეხ-ქართველთა სარწმუნოებრივ ურთიერთობას ეხებოდენ, კერძოდ ღრტილისა არტანუჯში, დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის დროისა; 2) იქ მოხსენებული იქნებოდა უხტანესის თხზულება, რომელიც იმავე თემას არკვევს, რასაც არსენის; 3) ქართველთა განმანათლებლად გრიგოლ პართელი კი არ იქნებოდა დასახელებული, არამედ წმიდა ნინო და მოციქულები, ვინაიდან მეთე საუკუნიდან ჩვენში უკვე არსებობდა თქმულება წმ. ნინოსა და მოციქულთა ქადაგების შესახებ საქართველოში. ავტორი თხზულებისა არის კათოლიკოზი არსენი I დიდი, რომელიც, როგორც ვიცით, მართლაც სამცხის რაიონიდან იყო; მაშასადამე, თხზულება დაწერილია მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში, რასაც ენაც არ ეწინააღმდეგება მისი. თხზულებაში მოხსენებულია უნიონალური კრებები იუსტინიანე მეორის, მავრიკი კეისრის და ირაკლი იმპერატორის დროისა, მოხსენებულია აგრეთვე მანასკერტის კრებაც, რომელზედაც, როგორც ვიცით, გერმანე პატრიარქის წინადადება ირჩეოდა, მაგრამ არაფერია ნათქვამი პატრიარქი ფოტისა და ზაქარია კათოლიკოზის დროის Schirachavensis კრების შესახებ, მაშასადამე თხზულება დაწერილია 862 წლამდე. ²

¹) ბ. ს. კაკაბაძის თეორიით, რომელიც მან მოახსენა საისტ.-საენოგ. საზოგადოებას 1923 წ. ვილისს, ავტორი ამ თხზულებისა არის მეშვიდემ-ერვე საუკუნის უცნობი არსენ კათოლიკოზი; მინცადამინც დამაჯერებელი საბუთები ანისა იმან ვერ მოიყვანა მაშინ.

²) M a n s i, Sacrorum conciliorum nova et amplissima collectio. t. XV, p. 639-641.

რა მიზანი ჰქონდა არსენის, როდესაც ამ თხზულებასა სწერდა? მეშვიდე საუკუნის დამდეგს საქართველოსა და სომხეთის ეკლესიები საბოლოოდ ჩამოშორდნენ ერთმანეთს; მას შემდეგ დაიწყო პაექრობა და ცილობა მათ შორის ამ განშორების მიზეზის და თვით სომეხ-ქართველთა სარძმწმუნოების შესახებ; განშორების მიზეზად ქართველები სომხებსა სთვლიდნენ, სომხები კი ქართველებს. საჭიროა შეიქნა ისეთი თხზულება, სადაც თავმოყრილი იქნებოდა საჭირო მასალა ამ საკითხის გასარკვევად, რათა ამ მასალით ესარგებლა ყველას, ვისაც სომხებთან პაექრობა მოუხდებოდა. ასეთმა საჭიროებამ განსაკუთრებით თავი იჩინა მეცხრე საუკუნის დამდეგს, როდესაც სომხეთში სასტიკი ბრძოლა წარმოებდა ქალკედონისტთა და ანტიქალკედონისტთა შორის. ამ ბრძოლის გამოძახილმა მოაწია თვით საქართველომდინაც, სადაც მას უფრო გამოეხმაურებოდა ტაოკლარჯეთი, ვინაიდან ეს იყო მაშინ ბუდე სომეხ-ქალკედონისტებისა და აქ უფრო ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს წარმომადგენელნი სომეხანტიქალკედონისტებისა და ქართველ-სომეხ ქალკედონისტებისა. აი ამ უკანასკნელმა გარემოებამ, უეჭველია, აიძულა არსენ კათალიკოზი, რომელიც ტაოკლარჯეთიდან იყო, დაეწერა ისეთი თხზულება, სადაც დასახელებული თემა საკმაოდ გარკვეული იქნებოდა და რომელიც საჭირო სახელმძღვანელო შეიქნებოდა ქართველებისა და სომეხ-ქალკედონისტებისათვის ანტიქალკედონისტებთან ბრძოლაში.

ავტორი თავის წყაროებს არ ასახელებს, მაგრამ, როგორც პროფ. ი. ვ. ჯავახიშვილმა გამოარკვია უკვე, ¹ მას ხელთა ჰქონია ქართული, ბერძნული და, უფრო კი, სომხური წყაროები; ² სომხურ წყაროებიდან მას უსარგებლნია, კერძოდ, ქართველ-სომეხთა განყოფილ დროინდელ მიწერ-მოწერით (წიგნი ეპისტოლეთა) და აგრეთვე ლაზარე პარფელის ისტორიით, ვინაიდან ლაზარეც, როგორც არსენი, სპარსელების პოლიტიკას უსვამს ხაზს ქართველ-სომეხ აღმბანელთა

¹) ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გამოც. 2. გვ. 67-72.

²) Dr. H. Goussen-ი შენიშნავს, რომ ამ თხზულებას, რომელსაც ის, თანახმად თვით დანიასა, მეათე საუკუნის არსენს მიაწერს, ბევრი რამ საერთო აქვს Combefის მიერ გამოცემულ „Historia haeresis Monothelitarum (Nov. Auctuar. II p. 272) და მიქაელ დიდის „ქრონიკასთან“ (Die Georgische Bibelübersetzung, Oriens Christianiaus, 6 (1908), S. 315).

სარწმუნოებრივ შევიწროებაში. მომეტებული ნაწილი მისი სომხური წყაროებისა ქალკედონისტური ფრაქციიდან მომდინარეობს და ამიტომ არსენის შრომაში აღებული საკითხი სრული ობიექტივობით ვერ არის გაშუქებული.

ტექსტი თხზულებისა ძალზე დამახინჯებული უნდა იყოს, განსაკუთრებით შერყეულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობა; შეიძლება ამით აიხსნებოდეს, რომ მასში მრავალი ანაქრონიზმებია:

1. არკადი კეისრისა (395-408) და არშაკ მეფის (392-396) დროს, ესე იგი 395-6 წელს, ბერძნებმა სომხებს დახმარება არ აღმოუჩინეს სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში და ამიტომ განუდგენ მათ სომხები და შეუერთდენ სპარსელებსაო (გვ. 314-315); ნამდვილად კი ეს განდგომა მოხდა 450 წელს; სომხებმა იეზდიგერდის წინააღმდეგ შემწეობა სთხოვეს თეოდოსი მცირეს, ის დაპირდა, მაგრამ მისმა მოადგილემ მარკიანემ, სპასპეტის ანატოლისა და ასური ელვარიანის რჩევით უარი უთხრა ნათ; ეს იყო მიზეზი ბერძენთაგან განდგომისა (ელი შე ვარ დაპეტე, III, 117-121).

2. პეროზ მეფემ (458-484) სომხებს გამოუგზავნა 9 კაცი მწვალებელი, მათ შორის იყო სევეროზიცი, რომელთაც თან ჰქონდათ წიგნი ივლიანე ჰალიკარნასელის და ფილოქსენისაო (გვ. 316); სევეროსი და ფილოქსენი არიან მოღვაწენი მეექვსე საუკუნისა, ისინი მართლმადიდებლობას განუდგენ 622 წლიდან; იმავე დროისა ივლიანე ჰალიკარნასელიც.

3. როდესაც პეროზს სომხებისაგან მოუთხოვია ან სჯულის გამოცლა ან გადასახლება, მაშინ კათოლიკოზად იყო ნერსე რომელსა ეწოდა მეჯინ ან შუა (გვ. 316), ესე იგი ნერსე მეორე (524-553), სხვა აღვილას კი ამ ნერსეს ის სთელის ხეასრო I-ის (577-579) თანამედროვედ (გვ. 322-323).

4. ამ ნერსეს არსენი სთელის ქართლის კათოლიკოზისკირიონის თანამდროვედ და ამ დროს ქართველ-სომეხთა ეკლესიური ცილობის დამწყებად (გვ. 319-320).

5. არსენი მავრიკ კეისრის დროს (582-602) იხსენიებს კონსტანტინოპოლში „დღესასწაულსა ჯუართა აღპურობისასა“ (გვ. 328), რომელიც ნამდვილად განაწესა ირაკლი კეისარმა სპარსეთიდან ჯუარის დაბრუნების შემდეგ, 629 წელს.

6. ხაჩეცარი და ალაჯორი სომხებში შემოიღო, ამბობს

არსენი, კათოლიკოზმა ნერსე მეჯინმა, და ეს შემოღება თითქოს მომხდარა დვინის პირველ კრებაზე 527 წ. (გვ. 316-318), მაგრამ სხვა ადგილას აღნიშნავს (გვ. 323), რომ ეს მოხდა დვინის მეორე კრებაზე (551 წ.).

7. ნამდვილად ხაჩეცარი შემოღებულია მეხუთე საუკუნის გასულს, ¹ ხოლო ალაჯორი უძველესი აღმოსავლეთის მარხვაა, რომლის ფესვები შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ.

8. წყალშეურეველი დვინო ზიარებისათვის შემოიღო იოანე კათოლიკოზმა მანასკერტის კრებაზე 726 წ. (გვ. 323), ნამდვილად კი ამას, როგორც სომეხთა პრაქტიკის განმასხვავებელ მოვლენას; აღნიშნავს მეექვსე მსოფლიო კრების (692 წ.) აქტები.

8. ღ ა ჩ ი.

ჩვენამდე შენახულა თარგმანებაჲ დავითის ფსალმუნებისაჲ ² ეპიტაფიე კვიპრელისა, რომელთაც გადმოუღია სომხურიდან ვინმე ღაჩის. ვინ არის ეს ღაჩი, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ერთი ცხადია, რომ ის არის მოღვაწე მეცხრე საუკუნის გასულის და მეთის დასაწყისისა; ეს იქიდანა ჩანს, რომ თავისი შრომა მას გაუზზავნია სტეფანე მტბევარისათვის, რომელიც, როგორც თავის ადგილას გვექნება ლაპარაკი, დადგენილ იქმნა პირველ ეპისკოპოსად აშოტ კუხის მიერ († 118 წ.) დაარსებული ტბეთის კათედრისა. ამ შრომასთან ერთად ღაჩს გაუზზავნია სტეფანესთვის წერილი, რომელშიაც ის მოაკითხავს სტეფანეს და ეუბნება, რომ დიდი ხანია მინდოდა შენი ხილვა, მაგრამ, სხვათა შორის, სიშარბასაგან ვერ მოვახერხე ესო; მაშასადამე, ის ტბეთიდან სადღაც მოშორებით ყოფილა. მეო, ამბობს, მრავალჯამთაჲ ვეძებდი ეპიტაფიე კვიპრელის მიერ აღწერილს ფსალმუნთა თარგმანებას, მაგრამ ქართულ ენაზე არ აღმოჩნდა ისო; ბერძნულ ენაზე მართალია ვპოვე, მაგრამ ის ჩემთვის აღმოჩნდა წყარო მუწოდომელი, ვინაჲდან ვერ შეუძლია ცნობაჲ. ამის შემდეგ ხელში ჩამივარდა ეს თხზულება სამხურათა ენითა დაწერილი, სრულიად მთაჲ ბერძნულითა განკებიითა და მთაჲ რაცხუთა, და შემეშრდა სომეხთათჳსო. მე სომხური ენა ვიცოდი და შემეძლო ამ ენიდან გადმო-

¹) გვ. კარაქეტი, *სხრე ზღაპარი*, გვ. LXXIII-LXXXV.

²) წერაკითხვის სახ. ხელ. № 1141, გვ. 515-518.

თარგმნა, მაგრამ შენეშინდა ამისი; საქმე ისაა, რომ, თუ წიგნი ერთ-ხელ უკვეა თარგმნილი, მეორედ მისი გადმოთარგმნა დიდი ბრალდება არს, ვინაიდან მეორედ თარგმანებული წინააღმდეგმად გამოჩნდების პირველი თარგმანისაო. და მხოლოდ მაშინ, როდესაც დავრწმუნდი, რომ ქართულად ეს თხზულება ჯერ გადმოთარგმნილი არ იყო, შეუღდეგი მის თარგმნას. ეპიტანეს განუმარტავს 150 ფსალმუნნი, ამიტომ მისი შრომა მეტად დიდი გამოდგა; მე უცალობის გამო ვერც შევძლებდი მთელად მის გადმოქართულებას და არც ვიცოდი—ელირებოდა ეს თუ არა, ამიტომ 150 ფსალმუნნიდან მხოლოდ შვიდის განმარტება გადმოვიღე; ამ ჩემს შრომას გიგზავნი შენ განსაკითხავად: თუ რაჟე ანადირსი აღმოჩნდეს, დაწვი ის, ხოლო თუ მოგეწონოს, გახსრულება მისი სიწმიდემან შენმან იკისროსო. ამასთან ერთად ის აღნიშნავს თუ რა ღირსება აქვს ეპიტანეს დასახელებულ შრომას.¹ მართლაც, ხელნაწერში მოყვანილია თარგმანება არა ყველა 150 ფსალმუნისა, არამედ მხოლოდ 14-ისა: 1, 2, 3, 4, 5, 6, 9, 17, 44, 45, 46, 48, 49 და 50. აქედან 7 დაჩის მიერაა გადმოღებული, არ ვიცი თუ მხოლოდ—რომელი, დანარჩენი 7 ალბად ვისმე სხვას ეკუთვნის. აქვე მოყვანილია მეორე წერილი დაჩისა, რომელიც მას მიუწერია მროველ ეპისკოპოსის ანტონისათვის;² ეს პატარა, მაგრამ რიტორული, ენაწყლიანი წერილი ცხად ჰყოფს, რომ დაჩი განათლებული კაცი ყოფილა და ურთიერთობა ჰქონია ლიტერატურულ მეცენატებთან, როგორცაა სტეფანე მტბევეარი და ანტონ მროველი, რომელსაც ის რაღაცას სწირავს.

9. სტეფანე მტბევეარი.

მეცხრე საუკუნის გასულს და მეათის დამდეგს ცნობილნი ყოფილან ლიტერატურული მოღვაწეობით რამდენიმე პირნი, რომელნიც მოხსენებულნი არიან გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში. გიორგი მერჩული, გრიგოლ ხანძთელის ბიოგრაფი, ამბობს: რამეთუ გჭკონებდ ცხორებისა ამის დაწკრად ბრძენთაგან და სრუტათა მამათა, რომელნიცა იუვენეს უამთა ჩუენთა: დიდი სოფრთნ, სანატრელი მამა, შატბერდისა ეკლესიისა გა-

¹) Е. Такайшвили, Описание II, ст. 640—641; თ. ჟორდანი, ქრონიკები I, 99—102.

²) Е. Такайшвили, Описание II, 644.

ხანლებით აღმავსებელი და უყუარისაჲ გვრგვინი მისი. და ღებრეშქმისადა მამაჲ ილარიონ პარეხელა და ქრისტეს მღვდელმთავრანი დარსნა გიორგი მწუერელი ეპისკოპოსი და სტეფანე, მტბევარი ეპისკოპოსი პირველი, და სხუანი მსგავნი მათნი. და ვითარცა მათ ნეტართა დაძახეს, მაშინდა რეც განმელჯა უცებისა მას და ფრად ცოფვილსა კელუოფად და აღწერად ცხარე-ბაჲ და სასწაულნი ესე, რომელ აწ გესმენ (გვ. 56). ეს ისეთი ცნობილნი და განთქმულნი მწერალნი ყოფილან, რომ, გრიგოლ მერჩულის რწმენით, ისეთი მნიშვნელოვანი პირის ბიოგრაფიის დაწერა, როგორც იყო გრიგოლ ხანძთელი, და ისეთი მსხვილი ფაქტის აღწერა, როგორც იყო კლარჯეთის უდაბნოთა აღშენება, სწოდედ მათ შეშვენოდათ და მათ შეეძლოთ. აქედანა ჩანს, ამ პირთ მართლაც იცნობდენ, როგორც ჰაგიოგრაფიულ-ისტორიულ ნაწარმოებთა ავტორებს, თუმცა, სამწუხაროდ, სოფრონ შატბერდელისა და ილარიონ პარეხელის შესახებ არავითარი ცნობა ჩვენ არ მოგვეპოვება; დანარჩენი ორი, გიორგი მაწყვერელი და სტეფანე მტბევარი, ცნობილნი პირნი არიან.

გიორგი მაწყვერელის შესახებ ცნობები მოიპოვება სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში. გიორგი მაწყვერელს მიუწოდებია ბასილ ზარზმელისათვის უმთავრესი ცნობანი სერაპიონის შესახებ; ბასილი ამბობს: უოგენს ესე სასწაულნი და საქმენი, რომელნი იგი პირველ ეპისკოპოსობისა და უკუნაღესნელ კბილენეს, მომითხრნეს პირმან მან უტყუელმან, გიორგის გიტუ მწუერელსაჲ. ¹ მეორე ადგილას ის უენიშნავს: ხელჲ მოგვეთხრა ესე (სერაპიონის ცხოვრება და სასწაულნი) არა თუ უჩინოთა ფიქთჲ მიერ ცტთა, არამედ ფრად საჩინოთა და ბრწენვაღეთა, — გიტუ უკუე გიორგის, ეპისკოპოსისა მწუერელსა, რომელი იგი აღმოსცენდა კვეისაგან შეარტელისა, მშობელთაგან წარჩინებულთა. და ღმრთისმომშითა; ხელჲ აღმზარდა იგი განთქმულსა მას უდაბნოსა ღაზას. ² გიორგი მაწყვერელი მეტად დაახლოვებულნი ყოფილა სერაპიონ ზარზმელთან, ის მის დასაფლოავებასაც დასწრებია და მისი ცხოვრების დაწერისათვისაც ხელი შეუწყვია საჭირო მასალების მიწოდებით. იმას აწყურის კათედრა დაუპყრია გიორგი ჩორჩანელის გარდაცვალების მეოთხე წელს, როდესაც გიორგის გვარში და სახლეულობაში, საერთოდ მთელს სამცხეში, დიდი მღვლევარება, მტრობა და ნათესავთა შორის მკვლელობა იყო გამეფებული, გიორგის შემკვიდრეობითი საკითხის გამო. და კელთიდგა რაჲ განკებაჲ სამცხა-

1) მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა II, გვ. 41. 2) *ibid.*, გვ. 27.

შაჲ, ამბობს ბასილ ზარზმელი, მან დააწენარა ეაგელი საბრძანებელი თჳსი, ვითარცა წეს იჲო, და დაიპურა უოველი მამული და კადესიანი ბირველთა მათ შიგნითათანაჲ. ¹ როგორც სამართლიანად შენიშნავს ექვთ. თაყაი-შვილი, გორგი მაწყვერელი უნდა გარდაცვლილიყოს მეცხრე საუკუნის გასულოს, ან მეათის პირველ წლებში. ² აი ეს გორგი მაწყვერელი ცნობილი მწერალი ყოფილა, თუმცა მის თხზულებათაგან ჩვენამდე არაფერი შენახულა, ყოველ შემთხვევაში ჯერ აღმოჩენილი არაა.

უფრო ცნობილია, როგორც მწერალი, სტეფანე მტბევაარი; ეს არის მეცხრე საუკუნის გასულის და მეათის პირველი მეოთხედის მოღვაწე. როდესაც აშოტ ერისთავთა-ერისთავმა, რომელსაც ზედმეტ სახელად კუხი ერქვა, ტბეთის საეპისკოპოსო საყდარი დააარსა, მის პირველ ეპისკოპოსად სტეფანე დასვა, მაშასადამე—მეათე საუკუნის დასაწყისში, ვინაიდან აშოტ კუხი გარდაიცვალა 918 წელს. სტეფანე მართლა რომ სახელგანთქმული და ნაყოფიერი მწერალი ყოფილა. იმას, როგორცა ჩანს, აინტერესებდა საეგზეგეტიკო მწერლობა, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, დაჩის თავისი თარგმანი ეპითანე კვიპრელის ფსალმუნთა განმარტებისა განსაკითხავად, ესე იგი სარედაქციოდ და საცენზუროდ, მისთვის გაუგზავნია; თან დაურთავს წერილი, რომელშიაც, აღნიშნავს რა ღმრთივმაცემულსა მისდა სიბრძნესა, ზთხოვს მას: უკუეთუ ჯერ არს განსრულება, სიწმიდჳმან შენმან განსრუდენო. ³ უფრო კი სტეფანე ცნობილი ყოფილა როგორც ჰაგიოგრაფი. ეს ჩვენ ვიცით არა მარტო გორგი მერჩულის ზემომოწერილი სიტყვებიდან, არამედ იმ თხზულებიდან, რომელსაც ეწოდება წამება წმიდისა მარკიმისა კობრონისი. რომელი განიჯახეს უუელის ტიხით. ⁴

914 წელს საქართველოსა და სომხეთს შემოესია არაბთა სარდალი აბდულყასიმი, რომელმაც საშინლად გაანადგურა ორივე ქვეყანა, მოკლა და ძელზე ჩამოკიდა სომეხთა მეფე სუმბატი. ამ დროს აბდულყასიმმა ალყა შემოარტყა ყუელის ტიხეს, რომელშიაც იმყოფებოდენ აზნაურნი და მათ შორის ერთი მთავარი, რომელსაც მიქელი

¹) ibid. გვ. 41.

²) შენიშვნები ზარზმის ეკლესიისა და მის სიძველეთა შესახებ, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, I გვ. 106—107, 111—114.

³) თ. შორდანი, ქრონიკები, I, 99—101, Е. Такайвили. Описание II, стр. 641.

⁴) საქართველოს სამოხე, გვ. 393—400.

ერქვა, ხოლო ზედნართაულად გობრონი. ის დაიჭირეს და მოჰგვარეს აბდულყასიმს, რომელმაც მას მოსთხოვა მაჰმადიანობის მიღება-გობრონმა უთხრა, რომ შენს საბრძანებელში ბევრი ქრისტიანია, რომელნიც ერთგულად გემსახურებიან შენ, მეც მიმსახურე, როგორც გენებოს, მხოლოდ ქრისტეს უარისყოფას ნუ მომთხოვია; მაგრამ მისი არა-ისმინეს და თავი მოჰკუთხეს 914 წელს. ამისი მარტვილობა აუწერიდა სტეფანე მტბევარს, როგორც თვითონ ამბობს, აშოტ კუხის ბრძანებით, მაშასადამე 914—918 წლებში. მარტვილობა მაინც და მაინც გრძელი არაა, მაგრამ ისიც, რაც არის, მომეტებულ ნაწილად გრძელბღვთისმეტყველებითი ტრაქტატს წარმოადგენს, რომელი საღმრთო წერილის ტექსტებითა და განყენებული ესჯელობითაა შეზავებული ატორის თვალსაზრისი საეკლესიო—პროვინდციალურია: მისი აზრით უცხო და გარეშე მტრის შემოსევა, ომიანობა და ქვეყნის დაწიოკება ღვთის რისხეა და შურისძიება ადამიანთა უკეთურების გამო. მაგალითად, სომხეთის მოოხრებას აბულყასიმისაგან სტეფანე იმიოი ხსნის, რომ მიწა იგი სომხეთისა ამჰარტავან და მკედრნი მისნი ცუდად მზუაობრ, ახკარლად და ცოდვისმეურე, ამჰარტავან, უწყალო, უეურული და უოვლითა უკეთურებითა სავსე, რომელსა შინა არა იპოვა თვისა მისადრეკელი ქრისტიანი, რომელთათჳს ქრისტე ცუდად მოკუდა (გვ. 394).

ეს თხზულება ტიპური წარმომადგენელია იმ ლიტერატურულ ნაწარმოებთა, რომელნიც მათე საუკუნიდან გაჩნდენ ჩვენში და რომელნიც სომხებისადმი ეროვნულ-სარწმუნოებრივი სიძულვილითა და მრისხანებითაა სავსე. მართლაც, თუ ის დახასიათება სომხებისა, რომელიც ამოვწერეთ, სიძულვილით არაა ნაკარნახევი, განა სტეფანე ვერ ხედავდა, რომ აბულყასიმმა ქართველებს, რომელნიც, სტეფანეს შეხედულებით, აღნიშნულ უარყოფითი თვისებებს მოკლებულნი არიან, არანაკლებ უბედურება დააყენა? მიუხედავად ასეთი ტენდენციისა, ეს თხზულება საყურადღებო ნაწარმოებს წარმოადგენს. იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება სტეფანეს თუმცა მოკლედ, მაგრამ ცხოველად და მკაფიოდ აქვს დახატული. არაბების შემოსევა, მათი რიცხვი, შეიარაღება, ციხის აღყის შემორტყმა და ქრისტიანების ხოცვა-ჟლეტა, უკანასკნელთა გასაქირი, რომელიც იქამდე მიდიოდა, რომ ისინი ვითარცა მკადნი მისჯამდეს ფურცელსა ხეთასა და მწუნადოფანსა ქუეყანისასა (გვ. 396) — ყველა ეს ისეთი სიცხოველითაა აღწერილი, რომ საუკეთესო ისტორიკოსსაც კი შეშურდებო. ამით აიხსნება ისიც, რომ ჩვენი მემკვიდრე-

როდესაც აბულყასიმის შემოსევას მოგვითხრობს, უჩვენებს სწორედ გობრონის მარტვილობას, რომელიც ნამდვილი მატანეა ქრისტიანთა დევნისა, შემუსრვისა და აკლებისა საქართველოში მეთათე საუკუნის დამდეგს არაბთა ძალმომრეობის მიერ.

10. ბასილ ზარზმელი.

მეცხრე საუკუნის პირველს ნახევარში სამცხეში მტკიცე საფუძველად ჩაეყარა სამონასტრო ცხოვრებას. ამ საქმის მეთაური და სულის ჩამდგმელი იყო სერაპიონი, რომელმაც ააშენა შესანიშნავი ზარზმის მონასტერი. მეცხრე საუკუნის გასულს ზარზმაში წინამძღვრობა მიუღია სერაპიონის ძმისშვილს ბასილს, რომელსაც დაუწერია თავისი ბიძის ცხოვრება.¹ მართალია, ეს უკანასკნელი არ არის ბასილის ხელიდან გამოსული ნაწარმოები, ის წარმოადგენს ბასილის შრომის გეტაფრახს, მაგრამ საბედნიეროდ, გადამკეთებელს, ყოველ შემთხვევაში შინაარსის მხრივ, ცხოვრებაში ბევრი ცვლილება არ შეუტანია, ასე რომ ამ გადამეტაფრახებული ნაწარმოებითაც შესაძლოა ნამდვილი, უტყუარი წარმოდგენა ვიქონიოთ ბასილის შრომის შესახებ.

სერაპიონი იყო კლარჯი, მისს მშობლებს, რომელნიც ადრე გარდაცვლილან, დარჩათ სამი ვაჟი: სერაპიონი, იოანე და ერთიც უფროსი, რომლის სახელი მოხსენებული არაა. ოპიზის მონასტრის ერთერთ პოლვაწეს, მიქელს, აუშენებია სავანე პარეხი, სადაც იმას თავი მოუყურია მოწაფეთათვის. მიქელთან მისულა სერაპიონი თავისი ძმით იოანეთი და ბერად შემდგარა, ხოლო უფროსი ძმა სოფლად დარჩენილა და ცოლშვილს მოჰკიდებია. მიქელმა ჩვენებაში ბრძანება მიიღო, რათა მას გაეგზავნა სამცხეს სერაპიონი და იოანე და იმ ადგილას, რომელიც სასწაულებრივ გამოეცხადებოდა მათ, მონასტერი აეშენებია. სერაპიონი და იოანე ოთხ სხვა ბერთან ერთად წამოსულან წართლაც, თან წამოუღიათ ფერისცვალების ხატი და მოსულან ზეკაჲს ჯუარს, სადაც შეჩერებულან სეკსა უტყუსსა, ადგილსა ძონძედ წოდებულს; ვინაიდან აქ არც სასწაული გამოეცხადა მათ, არც იმ ადგილის პატრონთ

¹) ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 227.

²) ცხოვრება სერაპიონისა იოჟა და გამოსცა მ. ჯანაშვილმა, ქართული მწერლობა II, გვ. 1-46, ტფილისი 1909 წ.

მოინდომეს, რომ აქ მონასტერი გაშენებულიყო, ისინი გადავიდნენ საბრძანებელში მთავრის გიორგი ჩორჩანელისა, რომლისა ტაძარნი შინ იყვნეს სანახებსა ჩორჩანასა და ზანჯისათა. ბევრი ძებნის შემდეგ მათ პპოვეს ადგილი, ზარზად წოდებული, და აქ, თვით გიორგი ჩორჩანელის გულმხურვალე მატერიალური და ზნეობრივი დახმარებით, სამი წლის განმავლობაში, ააშენეს პატარა ეკლესია, რომელშიაც დაასვენეს ფერისცვალების ხატი. მალე აქ გაჩაღდა მონასტერი, რომლის ცხოვრებას თვალყურს ადევნებდა მიქელ პარსხელი. სერაპიონის გარდაცვალების შემდეგ წინამძღვრობა მიიღო გიორგიმ, ხოლო გიორგის შემდეგ მიქელმა, რომლის დროს დაიწყეს შენება ახალი სამონასტრო ტაძრისა, რომელიც დამთავრდა შემდეგი წინამძღვრის პავლეს დროს. პავლეს შემდეგ წინამძღვრობა მიიღო სერაპიონის უფროსი ძმის, რომელიც სოფლად დარჩა, შეიღმა, სახელით ბასილიმ, რომელიც ზარზმაში მოსულა სერაპიონის გარდაცვალების შემდეგ; მან განამშენა სერაპიონის სამარხი და განაწესა იქ ყოველწლიური ხსენება სერაპიონისა 29 ოქტომბერს.

აი ამ ბასილს აღუწერია ცხოვრება თავისი ბიძის და ზარზმის მაშენებლის სერაპიონისა, რომელშიაც მას გადმოუცია ცნობები არაჰც თუ სერაპიონის დროისა, არამედ მისი სიკვდილის შემდეგ, თვით მის, ბასილის, დრომდე. ბასილის ავტორობას ამტკიცებს თვით ცხოვრების ერთი ადგილი, სადაც ნათქვამია: რამეთუ თვით დასწერს ბასილა, რომელსა წინამძღვრებდა ესე წმიდისა ადწერა (გვ. 43), ანა და—მე ბასილი, ძმასწავლა წმიდისა სერაპიონისა... მივაწიე... ვისილე... კელაქჟუვ და შევჭმზადე.. (გვ. 43-44). ცხოვრებაში არც ერთი თარიღი არაა აქ აღწერილი ამბების გამოსარკვევად, ამიტომ მით უფრო საყურადღებოა ჩვენთვის ფერისცვალების ხატის წარწერა, რომელიც გაკეთებულია 886 წელს პავლე წინამძღვრის დროს. 886 წელს წინამძღვრად ყოფილა პავლე, მაშასადამე, თუ მხედველობაში გვექნება, რომ პავლე იყო მეოთხე წინამძღვარი ზარზმისა (სერაპიონი, გიორგი, მიქელი, პავლე), სერაპიონის ცხოვრება და მოღვაწეობა ჩვენ უეჭველად მეცხრე საუკუნის პირველს ნახევარში უნდა დავღვათ; ასე რომ ის ყოფილა თანამედროვე გრიგოლ ჩანძთელისა, რომელიც ცოტა უფრო გვიან გარდაცვლილა (861 წ.). პავლეს შემდეგ, მაშასადამე, 886 წლის შემდგომ, წინამძღვრობა მიუღია ბასილს, დაახლოვებით მეცხრე საუკუნის გასულს და მეთის დამდეგს, და სწორედ ამ დროს უნდა დაწეროს მას თავისი ბიძის, სერაპიონის, ცხოვრებაც. მაშასადამე, ის დაწერილია გაცილებით

უფრო ადრე, ვიდრე გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება (951 წ.), და ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ გრიგოლის შესახებ აქ ხსენება არ არის. მართალია, არც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება იხსენიებს სერაპიონის ცხოვრებას, მაგრამ ეს აიხსნება, ალბად, იმით, რომ ავტორს, გიორგი მერჩულს, როდესაც ის თავის თხზულებასა სწერდა, ჯერ კიდევ არ სცოდნია, წაკითხული არ ჰქონია სერაპიონის ცხოვრება. საკმარისია ისიც, რომ გიორგი მერჩულს კარგად სცოდნია სერაპიონის ცხოვრების ერთი უმთავრესი მოქმედი პირი,—გიორგი მაწყვერელი, მის დროს უკვე დიდი ხნის მკვდარი, რომლის შესახებ ის ერთგვარ საყვედურსაც კი გამოსთქვამს, რომ მას არ აუწერია გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება.

ბასილი ზარზმაში მოსულა, როგორცა ვთქვი, სერაპიონის გარდაცვალების შემდეგ; მას, საფიქრებელია, პირადად არც უნდა ცნობოდა სერაპიონი, ის მას არ მოსწრებია, ამიტომ ცნობები, საზოგადოდ მასალა თავის თხზულების დასაწერად, იმას სხვადასხვა წყაროებიდან უნდა ამოეღოს, სახელდობრ: 1) ცნობებს სერაპიონის ჩამომავლობაზე, მშობლებზე, ძმებზე, პატარაობასა და ქაბუკობაზე (გვ. 4-6) ბასილი გაიგონებდა ან მამის ან სხვა თავისი საგვარეულოს წევრისაგან; 2) ყველაფერი ის, რაც სერაპიონის გარდაცვალების შემდეგ გაკეთებულა ზარზმაში და რაც აწერილია 41-43 გვერდზე, ბასილს საკუთარი თვლით ექნებოდა ნანახი, ხოლო ის, რაც მის დროს მოხდა და გაკეთდა იქ (გვ. 43-44), პირდაპირ მის მიერაა აღნუსხული; 3) სარგებლობს ბასილი გარდამოცემითაც: ესე სიტყუჟაჲ შამათა მიერ მოვალს ჩუენდაჲ, ამბობს ის; ალბად ამ კატეგორიის ცნობებში ზოგი რამ დამახინჯებულიც იყო, როგორც, მაგალითად, ცნობა იმის შესახებ, რომ მიქელ პარეხელი იყო, მოწაფე შიო მღვიმელისაო; 4) ბევრი მასალა მოუწოდებია მისთვის თავის დროს ცნობილს და გამოჩენილს გიორგი მაწყვერელს; ყოველნი ესე სსსწაელნი და სჰქმენი, რომელნი იგი პირველ ეპისკოპოსობისა და უკუანახსნელ ეხალესეს, ამბობს ის, მომათხრჩეს პირმან მან უტუეულმან, გიორგის ვიტუჲ მაწყუერელს, (გვ. 41), ანა და—ხოლო მოგუეთხრა ესე არა თუ უწინათა ვიეთუჲ მიერ ვაცთა, ანამედ ფრთად სანინთათა და ბრწეინვაღეთა; ვიტუჲ უკუჲ გიორგის ეპისკოპოსსა მაწყუერელსა (გვ. 27). 5) უსარგებლნია მას აგრეთვე მიქელ პარეხელის ცხოვრებით, რომელიც ამ უკანასკნელის მოწაფეებს დაუწერიათ და რომლიდანაც მას ამოღებული უნდა ჰქონდეს ცნობები მიქელის შესახებ (გვ. 5-6); იქიდანვე იქნება ამოღებული ცნობები სერაპიონის მოწაფეებისა და პარეხით ზარზმას წარგზავნის შე-

ს.ხებ (გვ. 6-9). 6) ცნობები სამონასტრო ადგილის ძებნის შესახებ ბასილისათვის მოუწოდებია სერაპიონის თანამხლებელ ერთერთ ძმათაგანს. რაც იქიდანაცა ჩანს, რომ საუბარი პირველი პირითაა მოყვანილი (გვ. 16-22); ზარზმის პირველი ეკლესიის აგების ამბავიც (გვ. 24-27), დაწვრილებით ნაამბობი, ბასილისათვის უნდა მოეწოდებოდა დასწრე და მონაწილე ძმას. როგორც ზარზმის წარწერებით მტკიცდება, ის მასალა, რაც ბასილს ხელთა ჰქონია თავისი შრომის დაწერისას, საკმაოდ სანდო ყოფილა, ამიტომ ეს შრომა სამცხე-საათაბაგოს უძველესი ისტორიის შესასწავლად ფასდაუდებელია. აქ მშვენიერად არის აწერილი ზარზმის მიდამოების ბუნება და მოსახლეობა, ზარზმის აგების ამბავი, გიორგი ჩორჩანელის სამფლობელო და სანადირო დაწესებულებანი, მისი სათნოიანი ხასიათი. აქ დასურათხატებულია ამ მხარის პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც განიცდიდა ფეოდალურ ხანას; მხარის ბატონ-პატრონად და გამგედ ითვლებოდნენ დიდებული ფეოდალები, როგორც მაგალითად, გიორგი ჩორჩანელი და მისი მემკვიდრეები. უფრო მნიშვნელოვანია ეს ძეგლი, რასაკვირველია, ამ მხარეში სამონასტრო და საეკლესიო ცხოვრების შესასწავლად: აქ აღნიშნულია რამდენიმე მნიშვნელოვანი მონასტრის (ოპიზა, ზარზმა, პარეხი, ზანაფი, იოანე წმიდა) არამც თუ სახელი, არამედ მოკლე ამბავიც. არაა მოკლებული ეს ცხოვრება მნიშვნელობას ჩვენი მწერლობის ისტორიის შესასწავლადაც, ვინაიდან აქედან ვტყობილობთ, რომ არსებობდა მიქელ პარეხელის ცხოვრება, აღწერილი მის მოწაფეთაგან, და ქართულად ნათარგმნი შემდეგი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები, როგორც, მაგალითად, ცხოვრება პავლე თებელისა, ანტონ დიდისა, მაკარის, ვეთიმე დიდისა, საბასი, გერასიმესი (გვ. 2), ილარიონის (გვ. 5), თეოდოსი დიდისა (გვ. 25), ხარლამპისა და გრიგოლ აკრაქანტელისა (გვ. 31); აქედანვე ვტყობილობთ ჩვენ ვინაობას გიორგი მაწყვერელისას, რომელიც, როგორც გიორგი მერჩულის ცხოვრებიდანა ჩანს, ცნობილი მწერალი ყოფილა.

11. გიორგი მერჩული.

ზემოთ ჩვენ არაერთხელ დაგვისახელებია შესანიშნავი მოღვაწე VIII-IX ს. გრიგოლ ხანძთელი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ტოკლარჯეთის კოლონიზაციას აქ სამონასტრო ცხოვრების გაჩაღებით და აყვავებით. გარდაიცვალა გრიგოლი, როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ.

მის ბიოგრაფიაში, 102 წლისა 861 წელს. მისი გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგ, მაშასადამე 951 წელს, ხანძთის მონასტრის მოღვაწეს, ვინმე გიორგი მერჩულს, როდესაც ხანძთაში წინამძღვრად ყოფილა თეოდორე, ამ უკანასკნელისა და მისი ძმის იოანეს დახმარებით, დაუწერია გრიგოლის ცხოვრება, რომელსაც ეწოდება: შრომაჲ და მოღუაწობაჲ დიდად ცხოვრებასაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ, ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებელისაჲ, და მასთანა მრავალთა მამათა ჩეტართაჲ. 958—966 წლებში ეს ცხოვრება განუახლებია, შეიძლება თვით ავტორის დახმარებით და ხელმძღვანელობით, ბაგრატ კუროპალატს რამდენიმე სასწაულებების ჩართვით, რომელნიც წინეთ თხზულებაში არ ყოფილან.¹ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება აღმოაჩინა და მეცნიერულად გამოსცა აკად. ნ. მარკმა.² ეს ცხოვრება ერთი უშესანიშნავესი ნაწარმოებია ძველი ქართული მწერლობისა, მას თამამად შეგვიძლია უწოდოთ არამც თუ პაგიოგრაფიული, თუგინდ ისტორიული, არამედ ხელოვნური, სიტყვაკაზმული ნაწარმოები, ისეთი უნართა და მეთოდითაა ის დაწერილი. მკითხველს აქ ჰხიბლავს არამც თუ ენისა და სტილის ვირტუოზობა, არამედ ფართო ისტორიული პერსპექტივები და საისტორიო სიუჟეტების დეტალური განვითარება, ცოცხალი და სულწარმტაცი ფერადებით ბუნების სურათთა დახატვა და ბუნების კულტი, ერთგვარი თაყვანისცემა და გაღმერთება მისი, რაც ძველი დროის, და ისიც ეკლესიურს ნაწარმოებში, იშვიათად გვხვდება. აქ ჩვენ ვხედავთ სიუჟეტების დრამატიულ ტრაქტოვკას, სცენის სისწორე—სიმართლითა და დეტალურად აღწერას. ასეთია გარეგანი, ლიტერატურული ფორმა და ღირსება ამ თხზულებისა, რაც შეეხება მის შინაარსს, ამ მხრივ ის წარმოადგენს საყურადღებო ისტორიას არა მარტო საქართველოს ეკლესიისას მერვე-მეცხრე საუკუნეში, კერძოდ—ბერმონაზვნობისას საქართველოს სინაზე, ტაოკლარჯეთში, —არამედ რამდენადმე პოლიტიკური და საზოგადოებრივ—სოციალური ცხოვრებისასაც. პოლიტიკურის მხრით, ამ თხზულებით, დასავლეთი საქართველო ბერძნების ხელშია; აქ, აფხაზეთში, ზის მეფე, რომელიც, ალბად, ბერ-

¹) ეს ბაგრატი, „გულისხმისყოფითა ქებული“, ამავე დროს ყოფილა „საღმრთოთა წიგნთა მჭიებელი და შემკრებელი“, ესე იგი ბიბლიოფილი, მეცნიეტი და, შეიძლება, ლიტერატორიც.

²) Георгій Мерчуль, Жизнь св. Григорія Хандзійскаго, Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи, кн. VII Петерб. 1911.

ძენტა იმპერატორის უზენაესს პროტექტორატს განიცდიდა. აღმოსავლეთი საქართველომაც ერთი ნაწილი არაბთა ხელშია; არაბთა ხალიფას წარმომადგენელი, ამირას სახელით, ტფილისში ზის, შინაურ საქმეებში, რომელთაც ადგილობრივი ერისთავნი განაგებენ, ის არ ერევა, თუმცა ამ ერისთავთა ბედობალი იმის ნებისა და სურვილის აღსრულებაზედამოკიდებული. სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, ტაოკლარჯეთი, თავისუფალია. უცხოვრებაში წარმოდგენილია ის მომენტი პოლიტიკური ცხოვრებისა, როდესაც საქართველოში იდია ეროვნული ერთობისა და მთლიანობისა გაღვივებულა და შესდგომიან კიდევაც საქართველოს გაერთიანებისათვის ზრუნვას და საქმეს, რომელიც დაწყებულია ტაოკლარჯეთიდან, აქაური მამულებისა და კუროპალატების თაოსნობით. საქართველოში უკვე ფეხი მოუდგამს კულტურულ-ეროვნული ერთობის იდიას, უმთავრესად ეროვნული ეკლესიის სავანეში, რაც შემდეგ სიტყვებშია გამოხატული: ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაღების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ყამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების, ხალხ კჳრიელესთნი ბერძულად ითქუმის (გვ. მთ). ის მხარე, საიდანაც ეს მოძრაობა დაწყებულია, ტაოკლარჯეთი, გრიგოლ ხანძთელის დროს, როდესაც ის იქ მისულა, განადგურებული და გაუშენებელი ყოფილა, ვინაიდან მურვან ყრუს შემოსევას და რბევა-წუას თანდართვია ყამიანობა, რომელსაც მუსრი გაუვლია მცხოვრებთათვის; მცირე რიცხი მათი, რომელიც კი გადარჩენილიყო, მთებში იმაღებოდა და იხიზნებოდა. გრიგოლის მისლვით, როდესაც აქ აყვავდა სამონასტრო ცხოვრება, მხარეც დასახლებულა და აშენებულა თანდათან.

უფრო ვრცელად წარმოდგენილია ამ თხზულებაში საქართველოს საეკლესიო მდგომარეობა. პირველად საქართველოს ეკლესია აქ გამოყვანილია როგორც ერთი მთლიანი-ეროვნული და დამოუკიდებელი ორგანიზმი, რომელიც თვით განაგებს თავისთავს და არავის, არც ერთი უცხო პატრიარქის ბატონობას არ განიცდის და არა გრძნობს. ეკლესიის სათავეში დგას მამათმთავარი-კათოლიკოზი, რომელსაც ირწმუნებს კრება, შემდგარი საერო და სამღვდლო წევრებიდან, როგორც მამაკაც, ისე დედაკაცთაგან. საეკლესიო ცხოვრებაში ბატონობს საზოგადოდ კრებითი პრინციპი, რომლის ხელშეუხებლობას მედგრად იცავენ ეკლესიის წარმომადგენელნი. დამოკიდებულება ეკლესიისა და სახელმწიფოს შორის კეთილგანწყობილობითია: ეკლესია არ ერევა სახელმწიფოს საქმეებში, ის მხოლოდ მტკიცე დარაჯად უდგია ახლადფეხ-

აღმულო სახელმწიფოს განმტკიცება-გამაგრებას და შეუბრალებლად ამხილებს ყველას, თუგინდ მეფესაც, ვინც კი ზნეობრივ პრინციპს ჰკლავს. მაგრამ არც იმას ითმენს ეკლესია, თუ სახელმწიფო მის საქმეებში ჩარევას მოისურვებს, განსაკუთრებით კი თუ ის კრებითი პრინციპის გათელვას ჰფიქრობს. ეკლესია ნებას არ აძლევს ერისკაცთ სარწმუნოების საქმეში ჩაერიონ; გრიგოლ ხანძთელი პირდაპირ ეუბნება გუარამ შამთალს: ზირველთა მათ წმიდათა მამათა შეკრებასა ეპისკოპოსთა და წინამძღურთა წესასათა შინაზონთა თანა ივენეს ზარველნი შორწმენნი მუფენი, არა თუ შათანა შჯულისა მოძღურებასა იკადრებდეს, არამედ შჯულისგამოძიებასა მათსა იკითხიან და ითხოიან სიტყუსა გამოცხადება... არა ბრძნებულ არს ერისკაცთა ვითარცა ეპისკოპოსთა და... მამათა განსაკუთრებულ შჯულისმოძღურებასა იკადრებდა გინა ახლასხიობასა მიიღებდა (გვ. 28) ესე იგი, შჯულის გამოძიება ან საეკლესიო კანონების დასხმა ერისკაცის საქმე არაა, თუგინდ ის მეფეც იყოს: დაღრათუ სმართლად საგონებულ იყოს, არამედ შჯულისა და მღუღეღამოძღურთა შეუწყობება არსო (გვ. 28). რაც უნდა ახალი რამე კეთილი წესი ერისკაცთა მოიგონოს ან იხილოს რამე კეთილი წესი იერუსალიმსა და სხვა წმიდა ადგილებში, ისეთი წესიც კი, რომელ ქრისტიანობასა შეერთდის და ჩუენ შორის არა იყოს, ან არადა წიგნთაგან წმიდათა გულისხმს იყოს, მანც იგი თაკით თვსით ერსა უსწავლელსა არ უნდა აუწყებდეს, არამედ უნდა გაჩუბებულ იყოს, უმჯობეს დუმილი არსო. მაგრამ თუ დამალი აერ საღედვას, მამინ აუწყოს თვსსა ეპისკოპოსსა და თუ ჯერ იყოს მან ასწავს, თვისით ქადაგებდესო. ხოლო ვინც ავითონ, უეპისკოპოსოდ თანამოძმეთ აუწყებს და შემოიღებს ახალს რასმეს, თუნდაც კეთილს, იგი უფლისა წინააღმდეგობას თანა დაისჯოსო (გვ. 29). ამნაირად, პირადი ინიციატივა, თაოსნობა, სარწმუნოების საქმეში სამღვდლოებას ეკუთვნოდა, სამწყსო მას მოკლებული იყო. ეკლესიის წიადში ამ დროს დასმული ყოფილა საკითხი თეთრსა და შავს სამღვდლოებას, ესე იგი ბერმონაზონთა და სოფლიო მღვდლოთა შორის დაპოკიდებულების შესახებ. ჰაგიოგრაფი მედიდურად უყურებს მსოფლიოთა ეკლესიის, ესე იგი სამრევლო ეკლესიებში მსახურთ და მხოლოდ ბერები მიაჩნია პატივისცემის ღირსად. თვით გრიგოლ ხანძთელიც კი ეპისკოპოსობას კორციელ ღიღებად სთვლიდა (გვ. 3), ამიტომ მან იმაზე უარი თქვა, ვინაიდან, მისი შეხედულებით, მსოფლიოთა მათ წმიდათა საუდართა არა უმრწემს არაან წმიდანა უდაბნოთა ეკლესიანო (გვ. 3). და მართლაც, მთელს თხზულებას აზის ბეკელი ბერობის

იდეალიზაციისა. ბერებს მედიდურად ექირათ თავი მეფეების წინაშეც. ჭეშმარიტნი მონაზონნი ქუეყანასა ზედა არავისსა კელმწიფებასა ქუეშე არაინო, ამბობდა გრიგოლი (გვ. კვ). როდესაც საბა იშხნელი კუროპალატმა წერილით თავისთან მიიწვია, ის არც თვითონ წავიდა, არც პასუხი გაუგზავნა, ასე რომ გაგზავნილმა მეფეს მოახსენა: არა ჭნებაჲს კაცსა მას.... მოსლგაჲ აქაო (გვ. კთ-ლ); ხოლო, როდესაც გრიგოლის საშუალებით კუროპალატმა იგი მოიყვანა და უსაყვედურა — ჯერ არს კელმწიფეთა მონილებაო, მან მედიდურად უთხრა: დიდებულო მეფეო, შენ ქუეყანისა კელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტე ზეცისა და ქუეყანისა და ქუესკნელთაჲ. შენ ნათესაჲთა ამათ მეფე ხარ, ხოლო ქრისტე უაუელთა დაბადებულთაჲ; შენ წარმავალთა ამით ჟამთა მეფე ხარ, ხოლო ქრისტე საუკუნოჲ მეფე.... უფროჲს შენსა ჯერ არს სმენაჲ სიტყუათა მისთაჲ, რამელმან ბრძანა, ვითარმედ გერვის კელმწიფების მონებაჲ ორთა უფალთაჲ-ო (გვ. ლ). ერთი სიტყვით, ამ დროს საქართველო განიცდიდა ბერმონაზვნობის ერთგვარ სულიერსა და კულტურულ გეგემონიას.

ცხოვრებაში წარმოდგენილია ინტიმური მხარეებიც VIII—IX საუკ. ქართული ცხოვრებისა; კლარჯეთის მოღვაწეთა ბიოგრაფიაში მოტანილია ეპიზოდები, რომელნიც გვიხატავენ იმ ეპოქის რეალურ ცხოვრების საოჯახო მხარეს. „ცხოვრებაში“ შეტანილია თავისებურად დამუშავებული რომანული ელემენტი ქართული ფეოდალური ცხოვრებისა, რომელიც (ელემენტი) მერე განვითარდა სპარსული რომანტიკიდან გადმოდებულ ფორმებსა და ძეგლებში. ასეთია, მაგალითად, ეპიზოდი აშოტ კუროპალატის და ადარნასეს საყვარელთა შესახებ, ასეთია ამბავი მამა ზენონის დის მიჯნურობისა. ამ რომანულ ნაწილში ავტორი არჩევს ქალისადმი ორგვარ სიყვარულს: წუთიერს, წარმავალს, კაცობრივს და სამარადისოს, წარუვალს, თუმცა ის უკანასკნელსაც უარყოფითად ეკიდება. ამნაირად, ამ თხზულებაში ეპოქობით ჩვენ იმ ნიადაგს, რომელზედაც მერე, XI—XII ს., აღმოცენდა განსაკუთრებული კულტა, კულტი სიყვარულისა და ქალის გაღმერთებისა.

ცხოვრება საყურადღებოა აგრეთვე ჩვენი ეკლესიური მწერლობის ისტორიის შესასწავლადაც, ვინაიდან აქ გაკვირვებით აღნიშნულია, თუ რას სწავლობდნენ მაშინდელი ქართველები, და მოხსენებულია ზოგიერთი თხზულებანი, რომელნიც მაშინ ქართულ საზოგადოებაში ცნობილნი ყოფილან. გრიგოლ ხანძთელის შესახებ ნათქვამია: ხოლო გულისხმეობაჲ სწავლასაჲ განსაკურგებელი იუო ფრად, რამეთუ

მსწრაფელ ხოლო დაისწავლა დავითა და კვითა სსწავლო სწავლია სს-
 კლესაო სამოძღვროჲ ქართულსა ენასა შანს უოკელი დაისწავლა და მწიგ-
 ნობრობამცა ისწავა მრავალთა ენათამ, და საღმრთონი წიგნნი ზეპნი-
 რათ მოიწერათს, ხოლო სობრძინსცა იგი ამას სოფლისა თელოსოფოსთამ.
 ასწავა კეთილად (გვ. გ). მაშასადამე, უკვე იმ დროს ლებულობდენ არა
 მარტო საეკლესიო, საღვთიმეტყველო სწავლა-განათლებას, არამედ საე-
 რო, თილოსოფიურსაც. სხვადასხვა თხზულებათა შორის მოხსენებულია:
 დაბეჭდულნი წიგნნი ძველისა და ახლისა სჯულისანი, დაუბეჭდველნი
 წიგნნი წმიდათა მოძღუართა თქმულნი აღურაცხელნი (გვ. ლთ), ია-
 დგარი საწელიწდოჲ, თხზულებანი ეფრემ ასურისა, გრიგოლი ლეთის-
 ნეტყველისა, განძი კირილე ალექსანდრიელისა, ცხოვება ბაგრატ ტაე-
 რომენიელისა (გვ. კჭ). აქვე მოხსენებულია მეცხრე-მეათე საუკუნის
 რამდენიმე მწერალი, რომელთაგან თანამედროვენი გამოელოდენ გრი-
 გოლ ხანძთელის ბიოგრაფიის აღწერას: სოფრონ შატბერდელი, ილა-
 რიონ პარტხელი, გიორგი ნაწყვერელი და სტეფანე მტბევარი (გვ. ნგ).

გიორგი მერჩული თათქოს ჰიმინოგრაფიც ყოფილა: მიქელ მო-
 ღრეკილის კრებულში მოთავსებულია მეხუთე ხმის ალდგომის კა-
 ნონი, რომელსაც აწერია: უცხონი მერჩულიაუღნი; ¹ მერჩულიულნი,
 აღბად, გიორგის ავტორობას აღნიშნავს.

X 12. კათოლიკოზი არსენ II.

საქართველოს ეკლესიის აყვავებასა და განმტკიცებას ხელი შეუ-
 წყვეს ეგრედწოდებულ ათცამეტ ასურელ მამებმა, რომელნიც საქარ-
 თველოში მოსულან მეექვსე საუკუნის მეორე ნახევარში შუამდინარით
 იოანე ზედაზნელის მეთაურობით. ამ მამებმა დიდი ღვაწლი დასდევს
 ქართლში ქრისტიანობის გავრცელებას და მის გაძლიერებას მწვალებ-
 ლობასთან და კერპთთაყვანისმცემელობასთან ბრძოლაში, აგრეთვე სა-
 შონასტრო ცხოვრების და მისი ორგანიზაციის დამყარება-ჩამოყალიბე-
 ბას; მათ დაუმსახურებიათ დიდი ყურადღება, ნდობა და პატივისცემა
 თანამედროვე ქართველებში. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ მათი
 ცხოვრება აღიწერებოდა ვისგანმე და შთამომავლობას სახსოვრად
 დარჩებოდა. მართლაც ჩვენამდე მოუხწევია იოანე ზედაზნელის, შიო

¹) პ. ინგოროყვა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. ტი-ტიზ.

მღვიმელის და დავით გარეჯელის სრულს, ვრცელს ცხოვრებას, აგრეთვე ისე წილქნელის, აბიბოს ნეკრესელის, იოსებ ალავერდელის და ანტონ მარტყოფელის ცხოვრების სვინაქსარულ, შემოკლებულ რედაქციას. აღნიშნული ცხოვრებანი და სვინაქსარული საკითხავები გამოცემულია მ. საბინინის „საქართველოს სამოთხეში“ და ყველა ისინი წარმოადგენენ ეგრედწოდებულ მეტაფრაზებს. იბადება საკითხი: იყო თუ არა ძველი, ლიტონად და მარტივად აღწერილი გადაუკეთებელი ცხოვრება აღნიშნული მამებისა? თვით ეს მეტათრასტული რედაქციები მოწმობენ, რომ ასეთი ძველი რედაქცია მართლაც ყოფილა თავის დროს. იოანე ზედაზნელის ცხოვრების შესავალში წერია, ¹ რომ ზედაზნის უდაბნოს წინამძღვარს მიქაელს იმ კაცისათვის, ვისთვისაც მას შეუკვეთია იოანეს ახალი ცხოვრების აღწერა, გაუგზავნია ქარტა წუღილი, რომელშიაც აღწერილი ყოფილან სქემნი მამისა ჩუენისა ზედაზნელისანი, ხოლო შიგ ცხოვრებაში ასეთ სიტყვებსა ვპკითხულობთ: უწინარეს აღმწერელთა ცხოვრებისა მისისათა (საქ. სამოთხე, გვ. 195); აბიბოს ნეკრესელის ცხოვრებაში წერია: ვითარცა წერილ არს წაგნსა მას წაჰებისა მისისასა (გვ. 216), იოსებ ალავერდელისაში—მიფარულ იმქნა ცხოვრება ამის ნეტარისა და ანდაჲსა სადა იმაჲსა ჟამთა ჩუენთა (გვ. 218); დავით გარეჯელისაში: უეუეთუ ვინმე ჰირვად და ძუედ რდესმე აღწერილსა მოქადაგობასა ამის დირსისასა მიხედვიდეს, სუ დაკრდების ესრება სიმარტივით აღწერად (გვ. 266). რას წარმოადგენდა ეს ძველი რედაქცია, შენახულა თუ არა ის, ან ვინ იყო მისი ავტორი?

ასეთი ძველი რედაქცია უნდა გვექონდეს ჩვენ სიძველეთა მუზეუმის ოთხ ხელნაწერში №199, 707, 832 და 833, რომელნიც ნაწილებია ერთი და იმავე ხელნაწერისა. ეს ხელნაწერი გადაწერილია მეცამეტე საუკუნის ხელით და, სხვათა შორის, ქართველ წმიდათა ცხოვრებას შეიცავს; აქ არის, მაგალითად, ცხოვრება შემდგთა მამათა: იოანე ზედაზნელისა, ისე წილქნელისა და შიომღვიმელისა (№ 199), დავით გარეჯელისა (№ 199) და აბიბოს ნეკრესელისა (№ 832). იოანე ზედაზნელის ცხოვრებას შემდგეი სათაური აქვს: ცხოვრებაჲ და მოქადაგობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ზედაზნელისაჲ (sic) და მოწაფეთა მისთაჲ, რომელთა განანთლეს ქუეყანაჲ ესე ჩრდილეთისაჲ, ხოლო აღწერა

¹) ანა დედოფლის „ქართლის ცხოვრების“ ვარიანტი, პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ძველი საისტორიო მწერლობა, გამოც. 2, გვერ. 7.

არსენი ქართლის კათოლიკოზმან სარგებელად რამეღნი ისმენენ (№ 199, გვ. 18). მართლაც, აქ ჩვენ გვაქვს ცხოვრება არა მარტო იოანესი, არა მედ მწაფეთა მისთაჲ: შიო მღვიმელისა და ისე წილკნელისა, მოხსენებულნი არიან და თითოთორთა ცნობა მოტანილია სხვა მოწაფეთა შესახებაც. მართალია, შიო მღვიმელის ცხოვრება თითქოს გამოყოფილია, მას სინგურით სათაურიც აქვს წითლად წარწერილი: ცხორება და შიქაქობაჲ დირსისა მაშისა ჩუქისა შიომისი და ევაგრესი, მაგრამ მექანიკურად, ნამღვილად კი შეადგენს ორგანიულს და განუყოფელ ნაწილს იოანეს ცხოვრებისას. ნაწარმოები იწყება იოანეს ბიოგრაფიით, აღნიშნულია მისი სამშობლო, მოღვაწეობა მისი ჯერ თესისაჲ ქუყისასა, მერე განშორებულ უღაბნოში, სადაც მან განიზრახა წარსლად უცხოებად, როგორ წამოვიდა ქართლს, მოიწია მცხეთას, დაეშენა ზედაზენს, როგორ გაგზავნა აქედან მოწადენი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, რომელნიმე კახეთს, რომელნიმე კუხეთს, ხოლო სხუანი ზეა სოფლით, ხოლო ნეტარი დავით გარეჯისა უღაბნოსა და სხუანი გარემო ქალაქსა ჩუქისაჲ. მერე ჩამოთვლილია იოანეს სასწაულები და მათი ჩამოთვლის შემდეგ ნათქვამია: ხოლო აწ ნეტართა მოწაფეთა მისთათჳ ვიტყოდეთ, რომელნი განათადგეს მადლითა საღმრთოთა და სხუანიცა განანათლეს და მონასტერნი ადაშენეს, რამედნი ვიდრე აქამომდე ჰკობან, და კურსებანი იქმობიან, რომელთაჲ თუთაჲ უღად მოთხრობაჲ ვერ ძალგუფ. ერთმან მოწაფეთაგანს, სხელით თათა, ქვეშე ძირსა მის მთისასა ადაშენა მონასტერი, რომელსა შინა განძრავლდეს მონაზონნი და უოველთაჲგ წესიერებითა იქცოდეს, ხოლო სხუანი შემდგომად ამისა მოვიქსენეთ (№ 199, გვ. 288). მერე ამას მისდევს შიოს ცხოვრება: მოთხრობილია, როგორ დაემკვიდრა შიო მცხეთის მახლობლად ქუაბსა შინა, როგორ იპოვა ის ევაგრემ; აღნუსხულია მისი სასწაულოთმოქმედებანი და მერე ნათქვამია: ხოლო ჯერ არს მოვიქსენთ ერთი მოწაფეთაგანი წილისა იოანესი სახელით ისე. მოთხრობილია, როგორ, მისდა უნებურად, შეიღერა იგი წმიდამან ზამთითაგანმან კათოლიკოზმან და აკურთხა წილკნის ეპისკოპოსად, როგორ მიჰპარათ მას ჩრდილოთა კერძო, რამეთუ ჯერეთ მოუქცევად იგუნეს და მტკიცედ ეპარა კერპიმისხურებაჲ, და როგორ სასწაულოთმოქმედებდა ის. ამ დროს იოანეს მოუნდომებია თავის შეგირდების მიმოხილვა, მოსულა წილკანში ისესთან, იქ მოუწვევია შიოც, აღნუსხულია სასწაული ქიქის შესახებ, აგრეთვე შიომ რომ ხელის გულზე ნაკვერცხალი დაიდო, რომელსაც საკმეველი დაახსნა, აღნიშნულია ისიც, თუ როგორ მოიყვანა ისემ ქსნიდან წყალი თავის საყდრამდი. ამის შემდეგ

მოთხრობილია როგორ მიიღო შიომ ნებართვა იოანესაგან დაყუდებისა, როგორ დაეყუდა და როგორ მოღვაწეობდა საშინელ მღვიმეში. მერე შენიშვნაა: ხოლო მოძღვრის მისის იოანესთვის ვიტყვით და მოთხრობილია—როგორ გარდაიცვალა, სად დასაფლავეს ის, წინააღმდეგ მისი სურვილისა, რა მოხდა ამის გამო და როგორ გადაასვენეს აქედან მის საფანეში. მერე მოკლედ მოხსენებულია იოანეს სხვა მოწაფეები, ვინ სად დაემკვიდრა და სად ააშენა მონასტერი. ასეთია მოკლედ შინაარსი ამ ნაწარმოებისა. ეს ნაწარმოები უნდა იყოს ის პირვანდელი თხზულება, რომლის ნიადაგზე მერე შეუქნიათ მეტაფრასტული ცხოვრება, საბინინის მიერ გამოცემული. მართლაც, ამ ნაწარმოებში წარმოდგენილია ფაქტიური მასალა და ჩონჩხი საბინინის რედაქციისა, არავითარი რიტორული ელემენტი, მიხვევ-მოხვევა, გრძელი ლოცვები, მოსაზრებანი და ასკეტიკურ-მორალური მსჯელობანი აქ არ არის. განსაკუთრებით მოკლედ წარმოდგენილია შიოს ცხოვრება: ყველაფერი თავიდან იმ ადგილამდე, სადაც ნათქვამია, რომ შიო წარქმართა დასჯულით კერძ მცხეთისათა და დაჯდა ქუაბშიო (საქ. სამ. გვ. 219-228), აქ გამოტოვებულია. გამოტოვებულია აგრეთვე თხრობა იმის შესახებ, თუ როგორ ძაგა უკვს მეფემან და მთავართა ევაგრესთვის და ეპიზოდი ფარსმანის შესახებ (გვ. 235—238), გამოტოვებულია შიოს გრძელი მოძღვრებაც მოწაფეთადმი (გვ. 246—249). იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში უფრო ვრცელადაა შედარებით გადმოცემული სასწაული სექტიცხოვლის აღმართების შესახებ და იქ, სადაც დათვისა და სხვა მხეცთა დამორჩილებაზეა ლაპარაკი, ქადაგებისებური ტენდენციური მოძღვრებაა; ასეთივე მსჯელობაა შიოს ცხოვრებაშიაც, სადაც მოთხრობილია ეპიზოდი ვირის შესახებ. თხზულება, როგორც სათაურშია აღნიშნული, აღწერა ანსენი, ქართლის კათალიკოზმან. ვინ იყო ეს არსენი? იოანე ზედაზნელის მეტაფრასტულ ცხოვრებას თანდართული აქვს შემდეგი შენიშვნა: შემდგომად ოთხას ოთხისა (ანა დედოფლის ვარიანტით—აღისა) წლისა გამოაოთხს და გამოიძია წმიდამან მამამან ჩუენმან ანსენი, ქართლის კათალიკოზმან ცხოვრება მისი (სიძე. მუზ. № 170, გვ. 23). ჩანს, ის რედაქცია, რომელიც საფუძვლად დადებია მეტაფრასტულ რედაქციას, დაწერილი ყოფილა არსენი კათალიკოზისაგან შემდგომად ოთხას ოთხის (ან ოცის) წლისა იოანეს ქართლში მოსლვიდან. იოანე თუ მეექვსე საუკუნეში მოვიდა ჩვენში, 404—420 წელიწადი მოდის მეთათე საუკუნის მეორე ნახევარში, და მართლაც ამ დროს ქართლში იყო კათო-

ლიკოზი არსენ II (955—980 წ.), კაცი განათლებული და მწიგნობარი. არსენის, უნდა ვიფიქროთ, ხელთა ჰქონდა რაიმე წერილობითი წყაროები, როდესაც ის თავის შრომას შეუდგა; წარმოუდგენელიცაა, რომ ოთხი საუკუნის განმავლობაში რამე არ ჩაწერილიყოს ამ მამათა შესახებ. სხვა არა იყოს რა, ამას გვაფიქრებინებს ბასილ კათოლიკოზის სიტყვები, რომელიც ამბობს, რომ შიო მღვიმელის სასწაულები თითო სახედ, სხვათა და სხვათა მოსაკსენებელთა შინა, ჩემ მიერ ჰოვნილ არსო (საქ. სამ. გვ. 253). მაშ ყოფილან სხვადასხვა მოსახსენებელნი, მათიანენი და წერილობითი ცნობანი ამ მამათა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, რომელნიც გამოუკითხეს და გამოუქვეია კათოლიკოზს არსენის თავის შრომისათვის.

დასახელებული ხელნაწერის იმ ნაწილში, რომელიც ეხლა აღნიშნულია № 832, მოთავსებულია აბიბოს ნეკრესელის ცხოვრება; ეს ცხოვრება საერთოდ იგივეა, რაც მ. საბინინის გამოცემაში, მხოლოდ აქ უფრო ნატივადაა წარმოდგენილი; არ არის აქ სხვათა შორის დასასრული საბინინის გამოცემისა სიტყვებიდან: არამედ მინდა, რათა გაუწყო თქვენ ქმნა (გვ. 216), ამის მაგიერ აქ უფრო შემოკლებული ბოლოა.¹ საბინინის გამოცემით, აბიბოს ნეკრესელის ცხოვრება არის თქმული არსენი დიდისა, ქართლისა კათოლიკოზისა. მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს მარტილობაც, რომელსაც გადამეტაფრასტიკისას უმნიშვნელო ცვლილება განუცდია, დაწერილია იმავე არსენ კათოლიკოზის მიერ მათე საუკუნეში.

ხელნაწერში № 199 მოთავსებულია აგრეთვე ცხოვრება და მოქადაგობა წმიდის მამისა ჩუენისა დავით გარესჯელისა, ცალკე, ასე რომ ის არ შეადგენს ნაწილს იოანეს ცხოვრებისას მსგავსად შიოს ცხოვრებისა. ესეც საბინინის გამოცემასთან შედარებით მეტად მოკლე რედაქციაა: დასაწყისი საბინინის გამოცემისა (საქ. სამთ. გვ. 265—269) აქ არ არის სულ, ცხოვრება იწყება პირდაპირ იმით, თუ როგორ დაძვიდრდენ დავითი და ლუკიანე პარესში ან გამოქვაბულში; ამის შემდეგ გადმოცემულია ყველა ფაქტები საბინინის გამოცემისა ბუბაქარის შვილის განკურნებამდე, აქ კი ცხოვრება წყდება დანარჩენი ფურცლების დაკარგვის გამო. ამ რედაქციაში არაა გრძელი მიხვეულობი-მოხვეულობი ადგილები, ლოცვები და ის ენაწყლიანობა, რასაც

¹) იხ. М. Джапашвили, Описание рукописей Церков. Музея III, стр. 27—28.

ადგილი აქვს საბინინის გამოცემაში. ვისი დაწერილია ეს მოკლე, უეკველია თავდაპირველი, რედაქცია, ამისი თქმა ძნელია; ერთი კი ცხადია, რომ კათოლიკოსს არსენ II-ს არ ეკუთვნის: ენა ამ ცხოვრებისა უფრო ძველია, ვიდრე არსენისა; მაკალითად, აქ ჩვენ ვხვდებით შემდეგ სიტყვებს: და მწკერმარკილი უწვა (გვ. 158), საბინინისაში—მანანა უწვა (გვ. 270), ჰარეხი (ხშირად) ქუბის ან გამოქუბულის მაგიერ; ფანაო (გვ. 155) ფაჟარის მაგიერ, იმსტარკიდეს (გვ. 157)—სტყიდეს მაგიერ, ურზაჲ იგი კოჟღი ბდუნ ვით მავალი (გვ. 160) და სხვა. დავით გარეჯელის ცხორება, ჩანს, დაუწერია ვილაც სხვა ჰაგიოგრაფს, უფრო ადრე, ვიდრე არსენ კათოლიკოსს სხვებისა.

13. იოანე-ზოსიმე.

იმ ხელნაწერთა მიხედვით, რომელნიც უმთავრესად სინას მთაზე არიან დაცულნი, ჩვენ შეგვიძლია გავითვალისწინოთ ლიტერატურული მოღვაწეობა ერთი ადამიანისა, რომელიც სათავეში უდგა ქართველების საზღვარგარეთელ სამონასტრო კოლონიას მეთვ საუკუნეში. ეს ადამიანი, მის მიერ დამუშავებული ძეგლების „ანდერძში“ წოდებულია იოანედ, თუმცა ხშირად ის ჩვენ გვხვდება ორმაგი სახელითაც: „იოანე-ზოსიმე“ ან „იოანე ფრიადცოდელი ზოსიმე“;¹ ჩანს, ერთი ამ სახელთავანი იყო საერისკაცო, ხოლო მეორე საბერმონაზვნო. თავის სახელს იოანე ერთხელ კრიპტოგრაფიულადაც აღნიშნავს; მაგალითად, ერთ-ერთს მის მიერ გადაწერილ „დასდებელთა“ წიგნში (პნ 26, ფურ. 185^ა ივ. ჯავახიშვილის აღწერალობათ) ის შენიშნავს: „ქრისტე შეიწყალე რხმმ“, რაც პროფ. ა. შანიძის მიერ აღმოჩენილი კრიპტოგრაფიული სისტემით,² ნიშნავს ივნე. იოანე უბრალო ბერი ყოფილა, მღვდლის ხარისხი მას არ ჰქონია, ყოველ შემთხვევაში არსად, არც ერთს შინაწერში და „ანდერძში“, სადაც აღნიშნულია მისი თანამშრომლების სახელები და ხარისხი, ის მღვდლად მოხსენებული არაა, ამიტომ ის თა-

¹) პროფ. ალ. ცაგარელს ამ სახელებში ორი პიროვნება დაუნახავს და ამიტომ სინას მთის ხელნაწერთა კატალოგში მათ ასე აღნიშნავს: „იოანე, ზოსიმე“ (პნ 9) ან „იოანე და ზოსიმე“ (პნ 12, 37: 85).

²) ქართული კრიპტოგრაფიის ძალი ნიშნები, „საქართველოს მუზეუმის მოაზრება“ პნ 1, გვერდი 65.

ვისუფალი ყოფილა ისეთ თანამდებობათაგან, როგორცაა მოძღვრობა, დეკანოზობა, მამასახლისობა, და მთელი თავისი დრო და ძალები ლიტერატურული მოღვაწეობისათვის შეუწირავს. რავდენადაც ის სულიერი ძალითა და ენერგიით აღსავსე ყოფილა, იმდენად ფიზიკურად სუსტი და მანკიერი: ხელნაწერთა „ანდერძებში“ ის უჩივის თვალნაკლოვანებას, ხაშმს¹ და მოხუცებულობას. მართლაც, 956 წელს გადაწერილს ჭეგლში იოანე ამბობს: „ფრიად ხაშმსა და თვალმორიდებითსა დამიხზრეკიან“ წიგნი ესეო;² 978 წლის „ოთხთაეში“ შენიშნავს: „დიად ხაშმ-მან და ბრმამან და დიად ულონომან“ დავხზრეკე ესო (№ 15—8), ამასვე იმეორებს 979 წლის სახარებაშიაც (№ 38—12), აგრეთვე 982 წლის „კანონში“: „დავხზრეკე კელითა ჩემითა ფრიად ცოდვილისაჲთა წიგნი ესე კანონი დღეთა ოდენ ბოროტად მოხუცებისა ჩემისათა დიად ხაშმ-მან და ბრმამან მრავლითა კირითაო“.³ 983 წელს ის ამბობს, რომ ეს სახარება (№ 9) შეიმოსა „დღეთა ოდენ უგუნურად და ბოროტად მოხუცებისა ჩემისათაო“.⁴ მათ უფრო საკვირველია, რომ ფიზიკურად სუსტი იოანეს მოღვაწეობა ასეთი ხანგრძლივი ყოფილა: დღეს ცნობილ ხელნაწერებში, რომელნიც მას დაუწერია, სულ აჯრინდელი 949 წელს ეკუთვნის (პეტროგრადის საჯარო წიგნთსაცავის), ხოლო უგვიანესი 987 წელს (№ 20—64); როგორც ზევითაც დავინახეთ, იოანე ჯერ კიდევ 956 წელს უჩივის თვალების სისუსტეს, ასე რომ, შეგვიძლია ვთქვათ, დაბადებულა ის, დაახლოვებით, მეათე საუკუნის დამდეგს (თვალის სისუსტე ლიტერატურულად მომუშავე კაცს 40—50 წლებშიაც დაეწყება), გარდაცვლილა კი ღრმად მოხუცებული 987 წლის ახლო ჭანებში, ვინაიდან ამ წლის შემდეგ მის სახელს უკვე ვეღარ ვხვდებით ვერსად.

იოანეს ლიტერატურული მოღვაწეობა ორ პერიოდად განიყოფება;

1) „ხაშმი“ საბას განმარტებით „ხორტოა დაპარდვეველ სენს“ აღნიშნავს, დღეს ამ სიტყვით აღნიშნავენ ციებას, მალიარიას. „ანდერძებში“ ხაშმი ნაპარია partic. pass.-ის მნიშვნელობით.

2) № 34 ივ. ჯავახიშვილის აღწერილობით და № 19 ა. ცაგარლისა. ჯავახიშვილის აღწერილობის №-ები ცაგარლისას არ უდგება, ამიტომ ჩვენ იმ ხელნაწერს, რომელიც ორთავეს აქვს იწერალი, აღვნიშნავთ ორმაგი №-ით, სადაც პირველი მაჩვენებელი იქნება ჯავახიშვილისა, ხოლო მეორე ცაგარლისა, მაგალითად № 34—19.

3) А. Цагарели, Свѣдѣнія II, стр. 67—68; უკანასკნელი სიტყვები ა. ცაგარელს შეუტომით ასე წაუკითხავს: „დიდხანმან და ბრმამან მართლითა კირითა“.

4) А. Цагарели, Свѣдѣнія II, стр. 58.

პირველს პერიოდში ის მოღვაწეობს პალესტინაში, საბა განწმედლის ლავრაში; ამ პერიოდიდან ჩვენ ვიცით სამი ხელნაწერი მისი: ერთი 949 წლისა, ¹ მეორე 954 წლის „საგალობელნი“ (№ 26 ი. ჯავახიშვილის აღწერილობით) და მესამე — „იადგარი“ 956 წლისა (№ 34—19). ამავე პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს „იადგარი საწელიწდო“ (№ 1 ივ. ჯავახიშვილის აღწერილობით) მისი შინაარსისა და შედგენილობის მიხედვით. მეორე პერიოდში იოანეს ვხედავთ უკვე სინას მთაზე, სადაც, ალბად, გარდაიცვალა კიდევ. 956 წლიდან მოყოლებული, როდესაც მას საბას ლავრაში დაუწერია „იადგარი“ № 34—19, 973 წლამდე ჩვენ აღარ ვხვდებთ მისი, ნაშრომი; 973 წელს „მონასტერსა მაყლოვანსა“ სინაზე მას „შეუმოსია“ ერთი წიგნი (№ 55).² უნდა ვიფიქროთ, რომ, როდესაც მეათე საუკუნის სამოციან წლების გასულს საბაწმინდის ლავრიდან სინას მთაზე გადასულა ქართველ მოღვაწეთა კოლონია, იმაში იოანე-ზოსიმეც ყოფილა; მასთან ერთად ამ კოლონიაში ყოფილან კიდევ, სხვათა შორის, გიორგი, გაბრიელი და ბასილი, რომელთა სახელებს ვხვდებით ჩვენ როგორც საბას ლავრაში გადაწერილს „იადგარში“ (№ 34—19), ისე სინას მთაზე 974—987 წლებში დამუშავებულ ხელნაწერებში (№№ 8, 12, 17, 30, 53, 81, 83, 92 ა. ცაგარლის კატალოგით). მათთან ერთად უნდა ყოფილიყვნენ აგრეთვე კვირიკე და მიქაელიც.

იოანეს მწიგნობრულ-ლიტერატურული მოღვაწეობა მრავალმხრივი და მრავალფეროვანი ყოფილა; ერთერთ ძვირფას თვისებად მისი მოღვაწეობისა უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ თითქმის ყველა ხელნაწერებისათვის, რომელთანაც რაიმე დამოკიდებულება ჰქონია, მას დაურთავს „ანდერძი“, რომელშიაც აღნიშნულია თარიღი (ქართული და ხშირად უცხოც) წიგნის გადაწერისა თუ „შემოსისა“, ავტორის თანამშრომელნი და სინას მთის მოღვაწენი. ამ „ანდერძთა“ მიხედვით იოანე ჩვენ გვევლინება როგორც 1) „განმაცხოველებელი“ ტექსტისა, ესე იგი გარდასული და წაბლალოლი ადგილების აღმდგენელი; 2) „შემოსელი“

¹) დღეს ინახება პეტროგრადის სიჯარო წიგნთსაცავში და აწერია M. Brossat-ის მიერ (Etudes de chronologie technique, Memoir. de l'Academie des sciences, t. XI, № 13).

²) А. Чагарели, Свѣдѣнія II, стр. 70. თითქოს პირველი შრომა მისი სინას მთაზე უნდა იყოს ხელნაწერი № 53, რომელიც დათარიღებულია 972 წლით, მაგრამ ქვეყნის გაქნიდან თარიღი უჩვენებს 977 წელს (ibid. стр. 75).

ან შემკინძველი და ყდის გამკეთებელი როგორც ახალი წიგნებისა, ისე ძველად გადაწერილებისა (№№ 9, 53, 55, 69, 70, 71, 73, 83 ა. ცაგარლით); 3) „შემკვეთელი“ და „მომგებელი“ ამა თუ იმ წიგნისა (№ 6—71) და 4) „დაჩხრეკი“ ან „ჩხრეკელი“; ესე იგი გადაწერილი ტექსტისა (№№ 11, 17, 30, 53, 61, 81, 92 ა. ცაგარლით და №№ 1, 26 ი. ჯავახიშვილით). საყურადღებოა, რომ იოანე, რომელმაც კარგად იცოდა ბერძნული ენა, მთარგმნელობას არ მისდევდა, ხელნაწერები, რომელნიც აღნიშნავენ მის მიერ „დაჩხრეკილ“ ან გადაწერილს, „შემოსილს“ და შეკვეთილ შრომებს, ერთხელაც არ უჩვენებენ, რომ მას ეთარგმნოს რამე.¹ გადასაწერ თხზულებათა შერჩევისას იოანეს ინტერესები უფრო ბიბლიური და ლიტურგიკული ტექსტების გარშემო ტრიალებს.

რასაკვირველია, ამით მხოლოდ არ ამოიწურება მისი სამწერლო მოღვაწეობა, ის ამავე დროს ორიგინალურ მუშაობასაც აწარმოებდა. ორიგინალური მისი შემოქმედება გამოიხატება, პირველ ყოვლისა, სხვადასხვაგვარ კრებულთა შედგენაში უკვე ნათარგმნი თხზულებებიდან არა მარტო პრაქტიკულ მოთხოვნილებათა და საქაროებათა დასაკმაყოფილებლად, არამედ მეცნიერული მოსაზრებითაც. ამ მხრივ საყურადღებოა და დამახასიათებელია „სავალობელნი იადგარნი, რომელსა შინა წერილ არიან დღესასწაულნი ყოველნი. ახალნი და ძველნი სრულიად, და ჟამნი ათორმეტნი სრულიად, ქართულად და საბაწქადურად, და ქორონიკონი სრულიად“ (№ 34—19). ამ კრებულს, რომელიც იოანეს დაუწერია საბას ლავრაში „მეცნიერისა კაცისათვის“, ორი თარიღი აქვს: წმიდა ქართული—დასაბამითგან ხფჳ=956, და ბერძნული—ქორონიკონი რჳ=5508+780+160-5492=956. შინაარსი მისი, როგორც სათარღიდანაც ჩანს, მეტად მრავალფეროვანია, ის თავისებურ ენციკლოპედიას წარმოადგენს, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჰაგიოლოგიისა და ლიტურჯიკის ისტორიისათვის სიზოგადოდ და ქართულისათვის კერძოდ. მეცნიერული ხასიათი იოანეს სარედაქტორო მუშაობისა მდგომარეობს იმაშიაც, რომ თანამედროვე რედაქციასთან ერთად მას მოჰყავს უკვე ხმარებიდან გამოსული „ძველი“ რედაქცია ტექსტისა, მაგალითად სავალობლებისა, მოჰყავს სავალობლები „ქართული“.

¹) რასაკვირველია, თუ ტერზინი „დაჩხრეკა“ მთარგმნელობასაც არ ნიშნავს.

და „ბერძნული“, აკროსტიხები ქართულისა და ბერძნული ანბანის რიგზე, აღნიშნავს ძუელსა და ახალ დღესასწაულებს, აგრეთვე ლიტურდიკულ წესებს სპეციალურად ქარაუღლს, ბერძნულ-კონსტანტინოპოლურს, იერუსალიმურს, საბაწმიდურს და სინას მთისას; მის დროს აღმოსავლეთის პრაქტიკაში მიღებულს წმიდა აღდგომის „კანონში“, რომელიც ჩვენ მიერაა გამოცემული,¹ შეაქვეს ქართული ელემენტი და ქართული პრაქტიკით გამოწვეული ცვლილებანი და სხვ. ერთი სიტყვით, ის მუშაობს როგორც მეცნიერი არქეოლოგი, რომელსაც ამავე დროს თვალწინ უდგია თანამედროვე ეროვნული მიზნები და საკირობანი.

ასეთი ხასიათი იოანეს ლიტერატურული შრომისა უფრო ნათლად გამოსკვივის წმიდა ორიგინალურ ნაწარმოებებში. ამ მხრივ პირველ ყოვლისა უნდა დავსახელოთ „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“ ან „ქართულისა ენისათჳს“, რომელიც მოთავსებულია სინას მთის ხელნაწერებში №№ 12, 71, 83.² აზრი ამ თხზულებისა შემდეგია: მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენა, ბერძნულთან შედარებით, დღეს „მდაბალი და დაწუნებულია“, ლაზარესავით „დამარხული“ და „მძინარე“, ის „შემკული და კურთხეულია“; ის ისეთივე „მეგობარი“ ან თანასწორია ბერძნულისა, როგორი მეგობრებიც იყვნენ ნინო და ელენე, რომელთაგან ერთმა უქადაგა სახარება ქართველებს, ხოლო მეორემ ბერძნებს; ისინი „დებია“, როგორც მართა და მარიაში. ქართულ ენას ბერძნულთან და სხვებთან უპირატესობაც აქვს: მეორედ მოსვლისას მაცხოვარი ამ ენაზე განიკითხავს და ამხილებს მსოფლიოსო. როგორცა ჩანს, იოანეს მაღლა ეჭირა დროშა ეროვნული თვითშეგნებისა და პატივისცემისა. ის, მსგავსად იოანედ საბანისძისა, თამაზად უპირდაპირებს ერთიმეორეს ქართულსა და ბერძნულ კულტურას და პირველს უპირატესობასაც ანიჭებს მეორის წინაშე. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ამასთანავე ისიც, რომ იოანე არ ყოფილა მაინცაღამაინც ღრმად მკოდნე მისგან შექებული ქართული ენისა: კლასიკური ნორმები ძველი ქართული ენისა მის მიერ გადაწერილს ძეგლებში საკმაოდ შერყენილია; ტექსტი სავსეა სხვადასხვაგვარი ვულგარაზმებით და სიტყვები ხშირად დამახინჯებულია; უკანასკნელი, შეიძლება, მისი თვალების სასუსტითაც

¹) К. Кекелидзе, Иерусалимский Канонарь VII века, Тифлисъ 1912 г.

²) А. Цагарели, Свѣдѣнiя II, стр. 61.

აიხსნებოდეს: ალბად გადაწერისას ის კარდად ვერ არჩევდა ტექსტს და ერთი სიტყვის ან ასოს მაგიერ მეორესს სწერდა.

მეორე შრომა იოანესი, რომელიც მოთავსებულია უკვე დასახელებულს კრებულში № 34—19, ფურ. 15^ა—33^ბ, არის „კრებაჲ თთუეთაჲ წიელიწდისათაჲ“. ეს არის ერთგვარი კალენდარი, რომელშიაც აღნიშნულია არა მარტო წმიდათა ხსენება, არამედ მარხვებიც, მათი დასაწყისი და დასასრული, აგრეთვე—როდის შესრულდება ღამისთევა, „სპირინი“, ესე იგი მწუხრი, და ეამისწირვა. ეს კალენდარი დიდად მნიშვნელოვანია პალესტინის სხვადასხვა მონასტერთა და წმიდა ადგილთა გასაცნობად და შესასწავლად, ის შეიცავს ცნობებს მონსტრების წინამძღვართა და კრიტორთა, მათი ადგილმდებარეობისა და ისტორიის შესახებ, საერთოდ ძვირფას მასალას წარმოადგენს პალესტინის ტოპოგრაფიის, ჰაგიოგრაფიის და ლიტურჯიკის შესასწავლად. ავტორი, იოანე, სწერს: „ესე კრებანი (Συναξαριον) ოთხითა დედითა დამიწერიან: თავად კანონისაჲთა და საბერძნეთისაჲთა და იერუსალჴმისაჲთა და საბაწმიდისაჲთა“. მაშასადამე, მას ხელთა ჰქონია ოთხი წყარო: კალენდარი კონსტანტინოპოლისა, იერუსალიმისა, საბაწმიდისა და თვით „კანონი“, ესე იგი წმიდასაფლავის კანონი ან განჩინება, რომელიც ჩვენ გამოვეცით¹. მართლაც, ამ კალენდრის „ესენებანი“ თითქმის სულ შეტანილია დასახელებულს „კანონში“ ან განჩინებაში, რომელშიაც ისინი, კალენდართან შედარებით, უფრო დამახინჯებულან. კალენდარში ქართული წმიდანებიცაა შეტანილი, მაგალითად: აბო ტფილელი (7 იანვ.) მეთე არჩილ ქართველი (15 იანვ.), კათოლიკოზი მამაჲ (5 მაისს), მანგლისის ჯვარი (20 მაისს), შუშანიკ დედოფალი (17 ოქტომბ.), „ყოველნი წმიდანი მოწამენი ქართლს შინა“ (11 დეკემბ.), მცხეთის ჯვარი (ზიტიკის მესამე კვირიაკეს და მარტვილიის შემდეგ ოთხშაბათს). იმ კალენდართა შორის, რომელნიც დღესდღეობით ცნობილია მეცნიერებაში, იოანეს კალენდარს უმნიშვნელოვანესი ადგილი უნდა დაეთმოს², აპიტომ მისი გამოცემა მორიგ საკოთხად უნდა ჩაითვალოს.

მესამე შრომა იოანესი, რომელსაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს, არის „ცნობისათვის და უწყებისა კეშმარიტად, რომელა მოგუეთხრა ჩუენ მოძღუართა მიერ განსაზღვრებულად, გამოძიებისათვის ეამთა და წელთა, თთუ-

¹) К. Кекозидзе, Иерусалимский Календарь VII в., Тифлис 1912 г.

²) Н. Марр, Предварительный отчетъ, стр. 41—42.

ეთა და დღეთა, მცხრალისათვის და დღის საძიებელისა, შვიდეულისათვის და ნაკთა, მთოვარისა ზედნადებისათვის და ხუთეულისათვის და ექუსეულისა.¹ ეს შრომა მოთავსებულია დღეს პეტროგრადის საჯარო წიგნთსაცავში დაკულს ხელნაწერში, რომელიც გადაწერილია იოანეს მიერ, ქართული ანგარიშით, დასაბამითგან ხფზ წელსა, ქრონიკონსა რათ, ესე იგი 949 წელს, ხოლო პანოდორესებური სათვალავით დასაბამითგან ხჟზ წელსა, ქრონიკონსა ნზ, ესე იგი 949 წელს.² ეგვეე შრომა უნდა იყოს მოთავსებული იოანეს მიერვე 956 წელს „მოგებულსა და დაჩხრეკილს“ კრებულში (№ 34—19, ფურ. 196^a—202^a), აგრეთვე 979 წლის სახარებაში (№ 38—12, ფურ. 132^a—139^a). ეს არის პასქალისტური შრომა, რომელშიაც გარკვეულია ყველა ის საკითხები, რაც სათაურშია ჩამოთვლილი, რასაკვირველია, თანამედროვე ბიზანტიური წყაროების მიხედვით. მაგრამ ჩვენთვის უფრო საყურადღებოა ავტორის ქრონოლოგიური სისტემა. პირველად ყოვლისა ავტორი სთვლის „დასაბამითგან“ ან „აღამისითგან ჯუარცუმამდე ჯფლისა“ ან „ვიდრე ამაღლებამდე“, როგორც ამას ვხედავთ წმიდა ნინოს შატბერდულ-ქელიშურ ცხოვრებაში და ზოგიერთ სხვა ძეგლებშიაც, 5534 წელს; ხოლო, თუ მისს სათვალავს გადავიტანთ ჩვეულებრივს სისტემაზე, ქვეყნის გაჩენიდან ქრისტეს დაბადებამდე ის სთვლის 5500 წელს, მაშასადამე მისდევს იულიოს აფრიკანელის ალექსანდრიულ სისტემას; ჰეორე მხრივ ამ სისტემასთან ერთად იოანე აღნიშნავს „ქართველთა სათვალავს“, რომელიც მისი სიტყვით და თარიღებით, „ას ათორმეტითა წლითა წინააღ“ ითვლის; მაშასადამე, ქართველთა სათვალავს ავტორი უპირდაპირებს პანოდორე ალექსანდრიელის სისტემას; რომელთან შედარებით მართლაც 112 წლის განსხვავებას გვაძლევს ქართული ანგარიში³ (5604—5492). თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ პანოდორეს სისტემა მართლაც ყალბ საფუძველზეა აგებული⁴, გასაგებია იქნება იოანეს სიტყვები, რომელიც ამ განსხვავებას „ვისისავანმე მოცთუნებითი“ სისტემას ეძახის. მიუხედავად ასეთი ქრონოლოგიური

¹) M. Brosset, *Études de chronologie technique*, p 2—9.

²) გაუგებარია, რატომ ბროსეს ეს ამ თარიღებისათვის არ მიუქცევია ყურადღება და მგლის დაწერას 941—965 წლებს მიაკეთებებს.

³) კ. ვ. ექელიძე, როდისაა გადაწერილი აღნიშნული სახარება? ტფილ. უნივერსიტეტის მოამბე II, 393—395.

⁴) Прсф. В. Болотовъ, *Лекція по исторіи древней церкви* I, 94—95.

აკრიბიისა, იოანეს შეცდომებიც მოსდის: თარღი „დასაბამითგან“, და ქრონიკონი ხანდისხან ერთიმეორეს არ უდგება მის „ანდერძებში“, მაგალითად № 53 (ა. ც ა გ ა რ ლ ი თ). ეს კიდევ არაფერი, „ქართული ენის ქებაში“ ის ქართველთა ქრონოლოგიის შესახებ ამბობს: „სასწაულად ესე აქვს: ოთხმეოცდაათოთხმეტი წელი უმეტეს სხუათა ენათა ქრისტჳს მოსლვითგან დღესამომდეო“, ¹ თუმცა მან თეორეტულადაც იცის და პრაქტიკულადაც ამქლავნებს „ანდერძებში“, რომ „უმეტესი“ 94 კი არა, არამედ 96 წელს უდრის (5604—5508).

დასასრულ უნდა დავსახელოთ ერთი იამბიკო იოანესი, რომელიც მოთავსებულია ზემოხსენებულს კრებულში (№ 31—19, ფ. 208^a) და იკითხება ასე:

ზუნდნი იგი ზეცისანი შენ, წმიდასა, განწყობითნი გიგალობენ: მე უღირ-
სი შეგივრდები,

რათა ვიყო მათთანვე შენგან უძაბ,

მსე შესხმაჲ სულიერი, შენ მიერვე მოცემული კაცთა მიერ მოღვაწეთა,
ფრიად სიბრძნით

გამოთქუმით, შეიწირე ჩემ მიერცა კაცთ მოყუარე:

რათა მიერ ბრწყინვალეთა ღმრთისა კაცთა, სასურველთა სიღრმითა
მით გულისაჲთა,

სათნოდ ღმრთისა შეკრებული, ვითარცა რაჲ მარგალიტი ურიცხესა
სასყიდლისა, ჩუენ მოგუეცა მორწმუნენო,

რათა ჩუენცა ვიხარებდეთ შეუენიერად, დატკობილნი კმათა მათთა სინ-
რავლითა,

გალობითა ბრწყინვალითა, შესხმითა მით წმიდათაჲთა,

რომლითაცა იდიდები შენ, სახიერ,

ზანგვმრავლე ქველის-მოქმედ განძი ესე სულიერი, მოცემული შენმიერი,
ძალსა მისსა მყვენ მიმწ[დ]ომელ, რათა არა იყოს ჩუენდა აუბ:

წიხარებდით მოძღურებითა სულიერად შესხმისაჲთა, წი კრებულთა მსწავ-
ლულთაო,

ვურთიდეთ რაჲ სიტყუათა მათ გალობითა კმეანთა,

რომელთაგან იდიდების კაცთმოყუარე ღმერთი ჩუენი:

კიდურწერილობა ან აკროსტიხოზ ორივე მხრივ, მარჯენივ და მარ-
ცხნივ, იძლევა სახელს **ბეორბი**; ამ „გეორგის“ პროფ. ნ. მარრი

¹) Проф. А. Цагарели, Свѣдѣнія II, 61.

სთვლის ავტორად იამბიკოსა, რომელშიაც ის ჰხედავს საერო პოეზიის ჩანასახს. ¹ ჯერ ერთი, აქ არავეთარი საერო პოეზიის ნიმუში არაა: ავტორი ამბობს იამბიკოში, რომ ეს იადგარი ან ჰიმნების კრებული, რომელიც მას გადაუწერია, წარმოადგენს „სულიერ შესხმას“, ფრიად სიბრძნით გამოთქმულს ღვთის შთაგონებით კაცთა მიერ მოღვაწეთა; ქართულ ენაზე ეს „სულიერი შესხმა“ ან ჰიმნები შეკრებილია ორთა მიერ კაცთა, რათა ჩვენცა ვიხარებდეთ მითო, და სთხოვს ღმერთს—მისცეს ქართველებს ძალი მათ მისაწლომად ან გასაგებად. როგორც აკროსტიხიდანა ჩანს, იამბოკო იოანეს დაუწერია ვილაცა გიორგის სახელობაზე თუ სახელით და ამიტომ ბოლოში დაურთავს ასეთი შენიშვნა: სახელად გეორგი, ძმაჲ ჩემი. შეიძლება ეს ის გიორგია, რომელიც იოანესთან ერთად მოღვაწეობდა საბას ლავრაში და რომელიც სინას მთაზედაც განუწყრელადაა მასთან სიკვდილამდე, ანა და ერთი იმ ორ პირთაგანია, რომელთაც შეუგროვებიათ იოანესთვის ეს ჰიმნები. იამბიკო ფორმის მხრივ, როგორც ვხედავთ, საკმაოდ უღაზათოა, არავეთარი საზომი, უბრალო მარცვალთა რაოდენობაც კი, ბოლომდე დაცული არაა მასში.

14. ბრიგოლ ოშკელი.

ოშკის ლავრაში, რომელიც ითვლებოდა პირველხარისხოვან ცენტრად მეთაე საუკუნის ქართული მწერლობისა, უნდა ემოღვაწოს რიგრიგოლს, რომელიც ოშკელის სახელითაა ცნობილი ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში. სამწუხაროდ, არავეთარი ცნობები მისი პიროვნებისა და სამწერლო მოღვაწეობის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება; ის, რაც ჩვენ ეხლა ვიცით მის შესახებ, მომდინარეობს ეფრემ მცირისაგან, ხოლო ეფრემს ეს ცნობა მიღებული ექნებოდა, უნდა ვიფიქროთ, მისი უფროსი თანამედროვეს, თანამშრომელის და ხელმძღვანელის, ეფრემ დიდისაგან, რომელიც აგრეთვე ოშკელი იყო. ეფრემ ოშკელი თუ თვით არ მოსწრებია გრიგოლს, ყოველ შემთხვევაში, უფრო ახლო იდგა მის ეპოქასთან, ამიტომ მისი ცნობა, როგორც ცოცხალი ტრადიციის გამომხატველი, ნდობის ღირსად უნდა იქნას მიჩნეული. ეფრემ მცირეს გადმოუთარგმნია გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებანი და ერთი

¹) Предварительный отчетъ стр. 40.

თხზულებისათვის, რომელსაც ეწოდება ეგნე მანასთა მიმართდა ღმრთის-
მეტყუელებისათვის, ასეთი შენიშვნა დაუბრუნეს: ღოგვა უვთ წმიდანო და
ქრისტეს მათეურენო ეფრემისათვის თარგმანისა, რომლისა მიერ მიჰრედ ითარ-
გმნა ესე საკითხავი; რამეთუ ნეტარისა გრიგოლ ოშკელისა მიერ სომხურისა-
გან თარგმნილი ესოდენ ვაჟივე. ხოლო მე სომხურისა წილ ბერძენისაგან
კუალად შეორედ ვიძიებდი თარგმნად, რამეთუ სომხისისა შვილსა და ბერძენისა
შვილისშვილსადა, ნუ უკუე და არა უეჭველსა, თუთ უაჭვი და საკეთარი შვილი
ადვირნიე. (სიძვ. მუზ. № 292 ფურც. 314). მართლაც, სიძვ. მუზ.
ხელნაწერში № 87 ჩვენ გვაქვს აღნიშნული საკითხავი გრიგოლ
ღვთისმეტყველისა (გვ. 771—784), მაგრამ სხვა რედაქციით, და ამი-
აზე მიწერილია, რომ ის ეკუთვნის გრიგოლ ოშკელს; გრიგოლის თარ-
გმანს აქ შემდეგი სათაური აქვს: საკითხავი სამხილებელი არიანასთა და
ეგნემანასთა ბოროტადუწქაობისაჲ, რომელნი იგი მასწარავე იყენეს წვა-
ლებისაებრ თხსსა ცთომილად ღმრთისმეტყუელებად და წინაჲ უწმუნოთა
საშჯელსა ჰყოფდეს ბართლმადიდებელთა თანა და უღიასთა და ჭაბუკთა კაცთა
მდღელად და ებისკოპოსად კელთა დასხმიდეს და სხვასა მრავალსა უწესოე-
ბასა იქმოდეს, რომელთაცა ამხილა წმიდამან გრიგოლი. ეფრემ მცირის ზე-
მოთამოწერილი სიტყვებიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ გრიგოლს სომ-
ხური სკოლნია და ღვთისმეტყველის აღნიშნული საკითხავი სომხურ-
რიდან უთარგმნია, ამასთან ის სასულიერო ხარისხის მატარებელი ყო-
ფილა, ალბად—ერთერთი ძმათაგანი იქნებოდა ოშკის ლავრისა, წი-
ნააღმდევ შემთხვევაში, ის რომ ერისკაცი ყოფილიყო, როგორც ზო-
გიერთებსა ჰგონიათ, ეფრემი მას არ უწოდებდა ნეტარს. გრიგოლ
ოშკელი დაინტერესებული ყოფილა თავისი თანამოსახელის და მფარვე-
ლის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, თხზულებებით და ამიტომ, უნდა ვი-
ფიქროთ, სხვა საკითხავებსაც გადმოთარგმნიდა ის ამ ღვთისმე-
ტყველისას. ყოველ შემთხვევაში სხვადასხვა ხელნაწერებში ჩვენ გვაქვს
ერთი შრომა გრიგოლ ღვთისმეტყველისა, რომელსაც ვერ მივაკუთვნებთ
ვერც ერთს გრიგოლ ღვთისმეტყველის ქართულად მთარგმნელს,—ვერც
ექვთიმე ათონელს, ვერც დავით ტბელს და ვერც ეფრემ მცირეს, და
რომელიც ენითა და სტილით გრიგოლ ოშკელის თარგმანს უფრო
უახლოვდება. ესაა ქებაჲ და შესსმეა ნეტარისა კესარიოს ძმისა თხსისაჲ;¹
ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს საკითხავიც გრიგოლ ოშკელის ნათარგ-
მნი უნდა იყოს.

¹) სიძვ. მუზ. № 87, გვ. 735-824, წერაკითხვ. ხელნ. № 1696.

15. იოანე მინჩხი.

იოანე მინჩხი ეკუთვნის იმ პირთა ჯგუფს, რომელთაც ხელი შეუწყვეს ქართული ჰიმნოგრაფიის აყვავებას მეთექვსმეტე საუკუნეში. ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება, ვიცით მხოლოდ, რომ ის იყო მოღვაწე მეთექვსმეტე საუკუნის პირველი ნახევრისა, თანამედროვე აფხაზთა მეფის გიორგისა. სინას მთის ერთ-ერთ ხელნაწერში მოთავსებულია გალობანი წმიდისა გეორგისანი, თქმულნი ნეტარისა მინჩხისანი,¹ რომელთაც შემდეგი შენიშვნა აქვთ თანდართული: ხალხ ესე გალობანი მას კარგსა გეორგი მეფესა, დიდსა, დიდთა ვედრებითა აღუწერებთან მინჩხისადა. დახასიათება გიორგი მეფისა იმ ზოგადი ეპითეტებით, რომელიც აქა გვაქვს, შეიძლება უფრო შეეფერებოდეს საქართველოს მეფეს, გიორგი პირველს (1014—1027), მაგრამ ამ უკანასკნელის მეფობა მინჩხისათვის მეტად ნაგვიანებია. ამიტომ ამ მინაწერში ჩვენ ვგულისხმობთ აფხაზთა მეფეს გიორგის, რომელიც, მათიანეს სიტყვით, იყო სრული ყოვლითა სიკეთათა, სიმკნითა და ახფნებითა, ღმრთისმოყუარე იყო უშეტეს უაუკლთა, მაშენებელი ეკლესიათა, მოწყალე გლახკათა, უხუი და მდაბალი და ყოვლითა კეთილითა ჭათნობითა სრული.² აქ შეიძლება ერთი საკითხი დაიბადოს: რით აიხსნება, რომ მიქელ მოდრეკილის საგალობელში, რომელიც შედგენილია 978—988 წლებში, მინჩხის მრავალრიცხოვანი ჰიმნებიდან მხოლოდ ოთხია შეტანილი? რასაკვირველია არა იმით, რომ ის ჰიმნები მინჩხისა, რომელნიც მიქელის კრებულში არ მოყვენ, ამ კრებულის შემდგეა დაწერილი და, მაშასადამე, მინჩხი მეთექვსმეტე საუკუნის გასულის ან მეთერთმეტეს დასაწყისის (გიორგი პირველის დროის) მწერალია, არამედ იმით, რომ იოანე მინჩხი მოღვაწეობდა და სწერდა სინას მთაზე, რის გამო, შესაძლებელია, მიქელს, რომელიც საქართველოში აგროვებდა მასალას თავის კრებულისათვის, ამ კრებულის შედგენისას, ოთხის გარდა, სხვა ჰიმნები საზღვარგარეთელი მოღვაწის, მინჩხისა, ჯერ ხელთ არა ჰქონდა.

უმეტესი ნაწილი მინჩხის ჰიმნებისა შენახულია სინას მთის ხელნაწერებში № 2, 5, 75, 77 (ივ. ჯახიშვილის აღწერილობით);

¹) № 2, ფ. 32—48 ივ. ჯახიშვილის აღწერილობით.

²) ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 229.

ზოგს მათგანს აწერია მინჩხნი, მინჩხისანი, თუნი, თუნი არიან მინჩხნი; ასეთი საგალობლები, რა თქმა უნდა, იოანე მინჩხისაა უცილობელად. მაგრამ არის ისეთი ჰიმნებიც, რომელთაც აწერია მინჩხურნი; ეს ტერ-
მინი, ალბად, იმავე მნიშვნელობისა და შინაარსისაა, როგორც ზემოთ აღნიშნული „მერჩულიულნი“, და ისიც იოანე მინჩხის საგალობლებს აღნიშნავს. ეს საგალობლები ზოგი პროზითაა დაწერილი, ზოგი კი იამ-
ბიკოთი. იამბიკოთი დაწერილი ჰიმნები მოთავსებულია მიქელ მოდრე-
კილის კრებულში; ¹ ესენია: ორი ჯგუფი წმიდის ადღკმის დასდებულთა, მესამე-მეფის თეოდოსი დიდისა (379-395 წ.), რომელიც წმიდანადაა აღი-
არებული (ხსენება მისი ჩვეულებრივ 17 იანვარსაა დადებული, ხოლო „იერუსალიმის განჩინებაში“ და იოანე სინელის „კალენდარში“, როგორც მინჩხის წარწერაში— 19 იანვარს), და მეოთხე—ექვთიმე დიდის, პალესტი-
ნელის, (†473 წ.), რომლის ხსენება, მინჩხითაც, 20 იანვარსაა დადებული. უკანასკნელი ორი ჯგუფის საგალობლები (თეოდოსისა და ექვთიმესი) წარმოადგენენ, უეჭველია, ფრაგმენტს იანვრის თვის ჰიმნოლოგიური კრებულისას, რომელიც ალბად ჩვენამდე არ შენახულა, ან ჯერ აღმო-
ჩენილი არაა. სინას მთის ხელნაწერებში დაცული ჰიმნებიდან უნდა დავასახელოთ: უკვე ზემოთ მოხსენებული წმიდა გიორგის საგალობლე-
ბი, გიორგი მეფის თხოვნით აღწერილნი, რომელნიც არიან თავუდნი, ესე იგი აკროსტიხული, და იტყვიან: წმიდა გიორგი შეეწიე გიორგი შეფესა წინაშე შეფეთა შეფისა და ადიდე; ბოლო საგალობელთა ხელნა-
წერში დაკარგულია, აკროსტიხი თავდება სიტყვა წინაშე-ზე. ხელნაწერ-
ნი № 56 (ნ. მარკის აღწერილობით) მოთავსებულია საგალობლები ფერისცვალებისანი მინჩხისანი (ფ. 76), ხოლო ხელნაწერებში № 56 ნ, 76 — დიდმარხვის ეგრედწოდებულ წინამსროლ კვირიაკეთა (მეზვერის და ფარისევლის, უძღების შვილის, ხორციელის და ყველიერის); ყოველ შემთხვევაში № 5-ის ფ. 26 ა იწყება არაჯგორთა, ესე იგი მეზვერისა და ფარისევლის კვირიაკის საგალობელით. ხელნაწერში № 77 დარჩენილა საგალობლები დიდმარხვის 1, 2, 3, 4 კვირიაკებისა. როგორცა ჩანს, იოანე მინჩხს უწერია საგალობლები მთელი წლისა იმ გეგმაზე, რა გე-
გმაზედაცაა აგებული საეკლესიო წელიწადი იერუსალიმის კანონ-
ში: ჯერ წამარისისისანი, — 20 დეკემბრიდან აპრილამდე (ამისი ფრაგმენ-
ტი თეოდოსისა და ექვთიმეს საგალობლები) და დიდმარხვის პერიოდი,

¹) პ. ინგოროყვა, ძველ ქართული სასულიერო პოეზია, გვ. იბ—ლწ.

მერე—ზაფხულის კანონი, —რომლის ნაშთად უნდა ჩაითვალოს ორი საგლობელი ადღმთისა ზატიკის პერიოდიდან, აგრეთვე წმ. გიორგისა და ფერისცვალების ჰიმნები თთუენიდან; ამავე კატეგორიას ეკუთვნის, ალბად, დასდებულ წმიდისა მამისა ჩუქისა შობისი, რომელიც იოანესავე სახელითაა შენახლილი¹. იოანეს ჰიმნებს ახასიათებს, როგორც ეს შევნიშნავეს პროფ. ნ. მარსაძე,² სუბიექტივობა, გულწრფელობა და უადრესი სიმარტივე, რომელიც შორსაა ჩვეულებრივი ჰიმნოგრაფიული ენა-წყლიანობისაგან.

16. იოანე მტბევეარი.

იოანე მტბევეარი ან ტბეთის ეპისკოპოსი მეათე საუკუნის ჰიმნოგრაფთა ჯგუფს ეკუთვნის. ტბეთის სავანე, მეათე საუკუნეზე გაცილებით ადრე დაარსებული, აშოტ კუხს (+ 918 წ.) საეპისკოპოსო კათედრად გაუხდია და პირველ ეპისკოპოსად აქ სტეფანე მტბევეარი გააღწესებია. ჩანს, ლიტერატურული ტრადიციები ტბეთში საკმაოდ ძლიერი ყოფილა, ვინაიდან ტბეთიდან გამოსულა არა ერთი და ორი ცნობილი საეკლესიო მწერალი, რომელთა რიცხვს იოანეც ეკუთვნის. იოანე მეათე საუკ. გასულის მწერალია, ის ჯერ ტბეთის ეპისკოპოსი ყოფილა და მერე მაწყვერელობა მიუღია; ამას ჩვენ ვტყობილობთ ტბეთის სახარების მინაწერიდან: ქრისტე, აღიდე იოვანე მამათმთავარი, ზირველ მტბევეარი და აწ შენ მიერ მაწყვერედე ეპისკოპოსი. დაიწერა სუადარსა შინა ტბეთისასა, ქართონიონისა სიე;³ აქედან ჩანს, რომ 995 წელს იოანე უკვე მაწყვერელი ყოფილა. სხვა ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ ჩვენ არა მოგვეპოვება რა; ტბეთის სახარების ბოლოსიტყვაობიდან, რომელიც პროფ. ა. კ. შანიძეს გაურჩევია, ვტყობილობთ მხოლოდ იმას, რომ მის მშობლებს ეწოდებოდათ არსენი და მარიაში; ვიცით ისიც, რომ 1002 წელს, როდესაც დაუწერიათ შორის მონასტრის წმიდათა ცხოვრება, იოანე ცოცხალი ყოფილა, ვინაიდან აქ ვკითხულობთ: და შეცა ცოდვილი იოვანე მტბევეარი ამის წიგნისა უცხად მხსრეკელი შემაწყადე.⁴ შეიძლება ითქვას, რომ

¹) პ. ინგოროყვი, ძველ ქართული სასულიერო პოეზია, გვ. ტა-ტაბ.

²) Предварительный счетъ, стр. 39.

³) თ. ყორღანი, ქრონიკები I, 111—112.

⁴) დ. ბაქრაძე, საქართველოს ისტორია, გვ. 249, А. Цагаели, საქართველო, стр. 85. № 53.

ის განათლებული კაცი ყოფილა. თავისი ღირსშესანიშნავი ჰიმნები, რომელნიც მიქელ მოდრეკილის კრებულშია მოთავსებული, იოანეს დაუწერია მტბევრობისას; ამას ამტკიცებს ის, რომ ეს ჰიმნები წარწერილია იოანე მტბევარის სახელით და თან მოქცეულია 978—985 წლის ძეგლში, ხოლო მაწყვერელად ის გამხდარა 995 წლის ახლო ხანებში. შეიძლება მას მაწყვერლობაშიაც ეწეროს, მიქელის კრებულის შედგენის შემდეგ, მაგრამ ჯერ იმის მეტი, რაც ამ კრებულშია, ჩვენ არა ვიცით რა. მიქელის კრებულში შენახულია 15 ჯგუფი საგალობელ-დასდებელთა (პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ძველ ქართული სასულიერო პოეზია, გვ. შვ—ჩხ); ამათგან მხოლოდ ერთია 12 მარცვლოვან იამბიკოდ დაწერილი: 23 დეკემბერს—წინაღღესასწაული შობისა და ხსენება იოსებ მართლისა (გვ. ნე—ჟზ),—სხვები კი პროზითაა დაწერილი. ერთს საგალობელს აკროსტიხი აქვს: „ქრისტეს შობასა შევამკობდეთ ერნო“ (გვ. თ—ყ). ამ 15 ჯგუფთაგან ერთი არის ალღაშისა (გვ. რგ—ჩხ), რომელშიაც შემკულია ქრისტეს აღდგონა, ის წარმოადგენს ოქტოხოსის მეორე ხმის საგალობელს; 14 ჯგუფი ჰიმნებისა შეამკობს სხვადასხვა ღღესასწაულებს 21 დეკემბრიდან ნოელოებული 28 იანვრამდე, ჩანს—იოანე მტბევარსაც ძველებური ტიპის სტიქირარის დაწერა განუზრახავს.—ესენია: 1) დეკემბრის 21—კრება სამწყსოს, წინამოსწავება შობისა, წინაღღესასწაულობა და სახელით ხსენება ძველისა სჯულის მამათმთავართა (გვ. შვ—ნე); 2) დეკემბრის 23—წინაღღესასწაულობა შობისა და ხსენება იოსებ მართლისა (გვ. ნე—ჟზ); 3—4) დეკემბრის 24—ქრისტეს შობის წინაღღე (გვ. ჟზ—ჟთ, ჟთ—ჟვ); 5) დეკემბრის 25—კრება ბეთლემს, შობა უფლისა (გვ. ჟვ—ყ); 6—7) იანვრის 1—ბასილი ნეოკესარიელის (გვ. ყ—ყ^ბ, ყ^ბ—რბ); 8) იანვრის 3—კრება იორდანეს ენკენისა იოანე ნათლისმცემლისასა, ნათლისღება უფლისა (გვ. რბ—რძ); 9) იანვრის 20—წმ. ევთიმესნი (გვ. რე—რვ), რომელიც შეამკო იოანე მინჩხმაც; 10) იანვრის 23—წმ. კლიპისა (გვ. რვ—რვ^ბ); 11) იანვრის 25—გრიგოლ ღვთისმეტყველისა (გვ. რვ^ბ—რდდ); 12) იანვრის 27—იოანე ოქროპირისა (გვ. რდდ—რდე), 13—14) იანვრის 28—ყოველთა მამათა შეუდაბნოეთა (გვ. რდე—რმბ, რმბ—რმგ).

ღრმა ღვთისმეტყველება, ფილოსოფიურ-თეოლოგიური სპეკულაცია, პოეტური აღმთფრენა და ლამაზი სტილი, დასრულებული-ჩამოყალიბებული ენა,—აი დამახასიათებელი თვისება იოანე მტბევარის ჰიმ-

ნებისა, აგრეთვე ტბეთის სახარების იმ ბოლოსიტყვაობისაც, რომელიც ზემოთ მოვიხსენეთ.

17. მიქელ მოდრეკილი.

ქართულს ორიგინალურ ჰიმნოგრაფიულ შემოქმედებას უმწვერვალეს განვითარებამდე მიუხწევია მიქელ მოდრეკილის ხელქვეით; ეს არის ერთი უდიდესი და უნიჭიერესი ჰიმნოგრაფი, რომელსაც დაუტოვებია ჩვენთვის არამც თუ თავისი შესანიშნავი საგალობლები, არამედ მთელი უზარმაზარი კრებული, რომელშიაც მოთავსებულია სხვა ავტორთა ჰიმნებიც, როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი. ეს კრებული მას შეუდგენია 978—988 წლებში.¹ აწის შესახებ მიქელი ამბობს: „შეწევნითა დიდადსახიერისა ღმრთისაჲთა მე, გლახაკმან და ფრიად უღებებით ცხორებულმან, ლელვათა სოფლისათა დანთქმულმან და სიმძიმითა ბრალთა სიმრავლისაჲთა დაიღონებულმან, მიქელ მოდრეკილმან ვიდუაწე და უხეშთაეს უძლურისა ძალისა ჩემისა შრომაჲ ვაჩუენე და შევკრიბენ საგალობელნი ესე წმიდისა აღდგომისანი, რომელნი ვპოენ ენითა ქართველთაჲთა, მეხურნი ბერძნულნი და ქართულნი, სრულნი ყოვლითა განგებითა, წესისაებრ საეკლესიოჲსა: უფალო ღალატყავითა, ოხითითა, მოიხილითა და აქებდითითა ძლიერად და სიწმიდით და სიმართლით სისწორითა კილოჲსაჲთა და უცთომელობითა ნიშნისაჲთა“. ² მეორე აღვიღას: შეწევნითა ღმრთისაჲთა, რომელი იგი არს მიზეზი ყოვლისა კეთილისაჲ, შეგლახაკმან მიქელ მოდრეკილმან, ამისწულმან ღმერთშემოსილისა მამისა დავითისაჲს, ვიდუაწე და ყოვლით კერწო შრომაჲ ვაჩუენე უხეშთაეს ძალისა ჩემისა და ფრადითა ხარკებითა და გუღსმოდგინედ ძიებითა შევკრიბენ ძლისპარნი ესე ყოვლით კერძოვე, რომელნი ვპოენ ენითა ქართველთაჲთა მესხურნი ბერძნულნი და ქართულნი, სრულნი ყოვლითა განგებითა, დადავწერენ წმიდასა ამას წიგნსა შინა. ³ მიქელს არამც თუ შეუტკრებია ეს ორიგინალური და ნათარგმნი ჰიმნები თვენისა და ოკტობისობისა, არამედ „დაუნიშნავს“ კიდევაც, ესე იგი გალობის ნიშნები მოუწერია მათთვის. ვინ იყო ეს მიქელი და რას ნიშნავს მოდრეკილი?, „მოდრეკილი“ უნდა ნიშნავდეს და-

1) წერა-კითხვის საზოგად. მუზ. ხელნ. № 425.

2) პ. ინგოროყვი, ძველ ქართული სასულიერო პოეზია, გვ. ტნთ-ტჲ.

3) თ. გორდანი, ქრონიკები I, 112.

ყუღებულს, მაშასადამე მიქელი ბერი ყოფილა. განსვენებული თ. ყო რ დ ა ნ ი ა ამტკიცებს, რომ მიქელ მოდრეკილი იყო მოღვაწე შატბერდის, იოანე-თორნიკესა და (ექვთიმე ათონელის მამის) იოანე ვარაზვაჩეს დედის, მარიამის, ძმა, ესე იგი — ბიძა თორნიკესი და იოანესი და დიდედის ძმა ექვთიმესი.¹ ძნელი დასაჯერებელია, რომ მიქელ მოდრეკილი იყოს ბიძა თორნიკესი და ექვთიმეს მამის იოანესი, ვინაიდან 978—988 წლებში, როდესაც მიქელს თავისი კრებული დაუწერია, იოანე და თორნიკე ღრმად მოხუცებულნი იყვნენ (თორნიკე 988 წელს სიბერესა შინა გარდაიცვალა კიდევ), და რაღა უნდა ყოფილიყო მაშინ მათი დედის ძმა, ეს ხომ რაღაც წარმოუდგენელია? ყო რ დ ა ნ ი ა ს ეს შეცთობა მოუვიდა იმიტომ, რომ ოშქის ს ა მ ო თ ხ ი ს „ანდერძი“, რომელიც ორი პირისაგანაა დაწერილი, იოანე-თორნიკესა და მიქელ მოდრეკილის დისწულის დავითისაგან, ერთს პირს, დავითს, მიაწერა მან. ჩვენ გვგონია, რომ სიმართლესთან ახლოს ვიქნებით, თუ ვიფიქრებთ, რომ მიქელ მოდრეკილი არის ის მიქელი, ძე იოანე ვარაზვაჩესი და ძმა ექვთიმე ათონელისა, რომელიც 978 წელს ოშქის ლავრაში ჩანს. ეს მიქელი მართლაც არის ძმისწული დავითისი (თორნიკესა და იოანეს ჰყავდათ ძმა დავითი). ექვთიმესა და ამ მიქელს ჰყოლიათ დაჲ, რომელსაც ორი შვილი ჰყოლია: იოანე ბერაჲ, გადამწერი შატბერდის კრებულისა, და დავითი, ერთერთი ავტორი ოშქის ს ა მ ო თ ხ ი ს „ანდერძისა“. ამნაირად, მიქელ მოდრეკილი არის ოშქის მოღვაწე, ძმა ექვთიმე ათონელისა, და ამით აიხსნება, რომ მისი კრებულის 491 გვერდის ქვემო აშიაზე წერია: უფალჲ შეიწყალე ევთჳმე ტოდვიჯი მწარედ; ის არის, ალბად, უფროსი ძმა ექვთიმესი.

მიქელ მოდრეკილის ჰიმნები შინაარსის მხრივ ორგევარია: ერთია სადღესასწაულო, რომლითაც ის შეასხამს ამა თუ იმ დღესასწაულს ან წმიდანს, როგორც ეროვნულს, ქართულს, ისე საზოგადოს. მომეტებულ ნაწილად იმას დაუწერია ჰიმნები ისეთი დღესასწაულებისა, რომელიც მოთავსებულია შობის წინაღღესასწაულის (21 დეკემბერი) და ნათლისღების განტევების (20 იანვარი) შუაში, სახელდობრ: 1) დეკემბრის 24 — შობის წინაღღისა, 2) იანვრის 1 — ბასილი დიდისა, 3) იანვრის 6 — აბო ტფილელისა (2 ჯგუფი) და ნათლისღებისანი, 4) იანვრის 6 — ნათლისღებისანი (7 ჯგუფი), 5) იანვრის 17 — ანტონი დიდისა, 6) იანვ-

¹) ქრონიკები I, 108—109.

რის 22—ყოველთა წმიდათა ძეგლისა და ახლისა შჯულისა, 7) ნოემბრის 22—კონსტანტინე კახასი,—სულ 15 ჯგუფი საგალობელთა. ამათ ვარდა მიქელს შეუთხზავს თავისი საკუთარი პარაკლიტონი, სწორედ ის ნაწილი ამ წიგნისა, რომელიც საბერძნეთის ეკლესიაში ცნობილია ოკტოიხოსის სახელით, ესე იგი—საგალობელნი აღდგომისა ან კვირიაკის დღისანი, რვა ჯგუფისა, რვა ხმათა მიხედვით. მართალია, ეს წიგნი მეცხრე-მეათე საუკუნეში უკვე ნათარგმნი იყო ქართულად და მისი საგალობელნი, როგორც „ბერძნულნი“, მიქელ მოდრეკილის კრებულშიაც არის მოთავსებული, მაგრამ ჩანს, ისინი ქართველებს არ აკმაყოფილებდენ და ამიტომ მიქელს თვით განუზრახავს შეთხზვა ამგვარი წიგნისა. მიქელის საგალობლები მდიდრადაა შემკული სხადასხვა აკროსტიხებით და რამდენიმე მათგანი იამბიკოითაც არის დაწერილი, მაგალითად: მესამე ხმის აღდგომის დასდებელნი დაწერილია იამბიკოდ, რომელშიაც ეოვექსს მუკქსს ა შეტუეუბაა აქეს: ე ჯერ იბ,¹ ხოლო 6 და 8 ხმის ყველა დასდებელნი და მესამის „უფალო ღაღატყყავისი“, აგრეთვე დასდებელნი ნათლისღებისანი (გვ. ტპგ) და „კანონი“ მისი (გვ. ტჟთ) დაწერილია არა სტრიქონთა, არამედ მუხლოთა ან სტროფების შეფარდებაშებადლებით. მიქელის საგალობლებს თითქმის ყველას აქვს მიქელის სახელი ზედწარწერილი, ზოგს პირდაპირ მიქელი, ზოგს კიდევ სიმბოლურად, რიცხვობრივ; მაგალითად, იანვრის 22—დასდებელნი თქუ-მუღნა ორმეოცისა, ათისა, ექვსისისა, ერთისა, ხუთისა და ოცდაათისა, აგრეთვე მესამე ხმის აღდგომის კანონს (გვ. ტმთ) და ნათლისღებისას (გვ. ტპგ). ეს რიცხვები რომ ასოებით გამოვხატათ, მივიღებთ: 40—მ, 10—ე, 600—ქ, 1—ა, 5—ე, 30—ჯ, ანუ მიქაელ.² რაც შეეხება მიქელის ჰიმნებს, როგორც ლიტერატურულ ნაწარმოებს, ისინი პოეტური აღმაფრენით და საღვთისმეტყველო სპეკულაციის სიღრმე—სიღიალით, აგრეთვე სტილის სილამაზითა და მოხდენილობით, არაჩვეულებრივ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ჩვენს მწერლობაში და ამ მიზრივ ისინი თუ არ სკარბობენ, ჩამოვარდნით მაინც არ ჩამოუვარდებიან იოანე მტბეარის საგალობლებს.

1) პ. ინგოროყვა, ძველ ქართული სასულაერო პოეზია, გვ. ტმთ — ტთე

2) იქვე, გვ. XII.

18. ე ზ რ ა.

ეზრას სახელით მიქელ მოდრეკილის კრებულში შენახულია ერთი საგალობელი, 20 იანვრისა, ექვთიმე ღიდის, პალესტინელის, სადიდებლად; ამ საგალობელს აკროსტიხი აქვს დართული, რომელიც იძლევა: ქრისტე, ადიდე საურმაგ და ძვი მისი მირეან ამენ; ¹ ალბად, ეს საურმაგი და მირეანი არიან შემკვეთელნი ამ საგალობელისა. შეიძლება აქ იგულისხმებოდეს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში მოხსენებული ეზრა, ღირსი, ანჩელი მამათმთავარი ეპისკოპოსი, დიდებულთა აზნაურთა დაფანჩულთა შვილი (გვ. ძთ:) ის იყო თანამედროვე ბაგრატ ერისთავთა ერისთავისა, რომელიც, სუმბატის ქრონიკით, გარდაიცვალა ენს წელს. ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ ეს ეზრა მეათე საუკუნის მწერალია და, მაშასადამე, ის არ არის უღირსი ეზრა, რომელსაც მეთერთმეტე საუკუნეში შეუთხზავს ექვთიმეს მამის, იოანეს, სადიდებელი კანონი. ²

19. იოანე ქონქოზისძე.

იოანე ქონქოზისძე არის მწერალი ტაოკლარჯეთის სალიტერატურო შკოლისა; თუმცა ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება, მაგრამ ცხადია, ისიც მეათე საუკუნის მოღვაწეა, ვინაიდან მისი საგალობელი მოთავსებულია მიქელ მოდრეკილის კრებულში. ეს არის გალობანი ქრისტეს ნათლისღებისანი და ჰაბო ისმაიელყოფალისა ქართველისანი, რომელნიც იამბიკოთია დაწერილი; საგალობელი შესდგება 28 მუხლისაგან, რომლებშიც რვა-რვა სტრიქონია, ხოლო თვითეულს სტრიქონში განსაზღვრული რაოდენობა „შეტყუებისა“ ან მარცვლებისა. ³

20. კურდანაძე.

ჩვენ არ ვიცით, ვინ არის ეს კურდანაძე, რომლის სახელს იძლევა აკროსტიხი ან კიდურწერილობა უფალო ღაღატყვაგ-ის საგალობელისა, რომელიც მიქელ მოდრეკილის კრებულშია მოთავსებული მეშვიდე ხმის აღდგომის დასდებულთა შორის. ⁴ ვგონებთ, რომ კურდანაძე არის ავტორი ამ საგალობელისა და მწერალი არაუგვიანეს მეათე საუკუნისა, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი შრომა მიქელის კრებულში ვერ მოხვდებოდა.

¹) პ. ინგოროყვა, ძველ ქართული სასულიერო პოეზია, ვე. რნს — რმე.

²) ეს კანონი მოთავსებულია 1074 წელს გადაწერილს ხელნაწერში, სიპ. მუხ. პნ 55ა, ათონის კრებულის, გვ. 191—196.

³) პ. ინგოროყვა, ძველ ქართული სასულიერო პოეზია, გვ. ლთ-მე.

⁴) პ. ინგოროყვა, გვ. რმდ — რმე

21. უ ი ლ ი ვ ი.

სინას მთის მეათე საუკუნის ორს ხელნაწერში (პ.პ. 59, 64) შენახულ ცამეტ-სტრიქონიანი იამბიკო, რომელიც დაწერილია 16 მარცვლოვანი სილაბურ-ტონური საზომით: იამბიკო ამასთანავე რითმიანია, — ყველა სტრიქონი ასო ო-ნით თავდება. აკროსტიხი ან კიდურ-წერილობა იამბიკოსი გვაცნობს — ფილადე ბეთლემში, მაშასადამე ავტორი ამ იამბიკოსი არის ვილაც ფილიპე, რომლის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით. იამბიკო შეასხამს ღვთისმშობელსა და მისგან ბეთლემის ბავაში განხორციელებულს. მნიშვნელობა ამ იამბიკოსი უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ საეკლესიო პოეზიის დარგში ის წინამორბედი შოთა რუსთაველის 16 მარცვლოვანი სილაბურ-ტონური საზომისა. პირველად ეს იამბიკო გამოცეცა პროფ. ნ. მარჩა, ¹ ხოლო მეორედ ბ. ინგოროყვამ. ²

X 22—23. სთეფანე სანანოძესა და დავით ტბელი.

ქართული ძველი მწერლობის ისტორიაში ჩვენ ვხვდებით ერთად და განუყრელად ორ სახელს: დავითსა და სტეფანეს. ძუელსა წიგნსა შინა მიხილავს მე, ზაქარია მოძღუარსა, და მისგნით გადმომიწერიეს: მრავლით წამითგან უწინარეს ეფთიმი და გიორგი, წმიდათა მამათა მთარგმნელია, დავით და სტეფანე, ქართველთა გვარისანი, იერუსალიმს მოიწინეს და მუნ შეემეცნეს ედინთა ენაშეობასა; და ზირველად მათ გადმოატარეს რადღენამე საეკლესიონი წიგნნი ბერძულისკან ქართულად და ახაბთა ენისკანცა საღმრთონი წიგნნი გარდმოიდეს მრავალითა შრომიითა. ³ ეს ამონაწერი, რომელიც არაფერს არ გვეუბნება იმის შესახებ, თუ ვინ იყვნენ დავით და სტეფანე, როდის მოიწინეს იერუსალიმს და სახელდობრ რომელი საეკლესიონი და საღმრთონი წიგნნი სთარგმნეს, ეკუთვნის მეთვრამეტე საუკუნის მწიგნობარს, მოძღუარს ზაქარია გაბაშვილს. მეთექვსმეტე საუკუნე მოღვაწე, ბატონიშვილი ბაგრატი, თავის შრომაში, რომელსაც მოთხრობაჲ სჯულთა უღმრთთა ისმაიტელთაჲ ჰქვია, ამბობს: იუვნეს უკუე უწინარეს მოქმედისა კანნი წმიდანთა და სასწაულთმოქმედნი, ნათესავით ქართველნი, დავით

¹) Вступительные и заключительные строфы Витязя въ Барсоей кожѣ; Шоты пѣснь Руэтава. Тексты и размыскания по армяно-грузинской филологин, кн. XII, стр. LV1 Петерб., 1910 г.

²) ძველ ქართული სისულიერო პოეზია. გვ. ტ. 2.

³) Н. Марр, Пѣснь книги царевича Баграга о Грузин. переводахъ духовныхъ сочиненій... Извѣстия Акад. Наукъ, т. X, № 2, стр. 234.

და სტეფანე... რომელნი წარგადეს იერუსალიმს... და გვითარგმნეს ჩვენ წაგნები უოველა ბერძენისაგან ქართულად¹. როგორც ვხედავთ, არც ბაგრატი და არც იაკობ შემოქმედელი († 1712), რომელმაც ლექსად გამოთქვა ბაგრატის შრომა,² არ გვაძლევენ გარკვეულ ცნობას დავით და სტეფანეს ქრონოლოგიის შესახებ; ამით იხსნება, რომ აკად. ნ. მარტის terminus post quem მათი მოღვაწეობისა გადააქვს ხან მეშვიდე საუკუნეში,³ ხან მერვე-მეცხრეში,⁴ ხან მეათეში.⁵ უფრო გარკვეულს და უტყუარ მასალას ამ საკითხის გასაშუქებლად ჩვენ მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეში ვპოულობთ. ეფრემ მცირე ერთს თავის შრომაში გვიგვითხრობს, რომ სვიმეონ ლოლოთეტი მეთათრაზებიდან ქართულადც თარგმნეს მცირედნი, ვითარ იგი არს წმიდისა არტემისა და კრიტიელთა და ელეუთერისი, რომელნი უთარგმნიან წმიდასა მამასა ჩვენსა დავით ტბელსა... ეკრთვეს სანაკრფსა სტეფანეს სანანოასძისა უთარგმნიან საკითხავი და უფდომელთა და ცხადრებათ იუდათისტე ჯეზუელისა და სხუანიცა.⁶ რუის-ურბნისის ძეგლის-წერაში ნათქვამია: დიდასა მათა ჩუენთა დავით ტბელის და სტეფანე სანანოასძისა საუკუნომცა არს კენჭა და კურთხევა მათი.⁷ მიქელ მოდრეკილის საგალობელშიაც ვხვდებით ჩვენ სტეფანე სანანოასძის და დავით ტბელის სახელებს ერთად.⁸ ცხადია, ძველნი თარგმანნი, დავით და სტეფანე, არიან დავით ტბელი ან მტბევარი ეპისკოპოზი, და სტეფანე სანანოასძე, რომელნიც თანამედროვენი ყოფილან და ამიტომაც ერთად იხსენიებიან. სტეფანე სანანოასძე არის ცნობილი სტეფანე, კყონდიდის ეპისკოპოზი, როგორც ესა ჩანს მიქელ მოდრეკილის საგალობლის ერთი მონაწერიდან: ქ. სტეფანე ჭყონდი[დის]ა, ნეტარისანა სანანოასძისანი.⁹ თვით სახელწოდებანი—ტბელი, მტბევარი, და კყონდიდელი, ნათელ ჰყოფენ, რომ სტეფანესა და დავითს უნდა ეცხოვრათ და ემოღვაწნათ არა უადრეს მეათე საუკუნისა. ჩვენ შეგვიძლია უფრო დაახლოვებით განვსაზღვროთ მათი ცხოვრების დრო;

¹) Ibid. გვ. 239. ²) Ibid. გვ. 242. ³) Ibid. გვ. 241, შენ. 1.

⁴) Изъ поѣздки на Афонъ, Жур. Мин. Народ. просв. Мартъ 1899 г., стр. 5.

⁵) Агиографическіе матеріалы по груз. рукоп. Ивсра. II, 106, ამ უკანასკნელ წიგნში ის თარგმანებათი ვნით და სტილით ხელმძღვანელობს.

⁶) ს. ი. ძვ. მუხ. ხელნ. № 90, გვ. 312 ბ—313 ა.

⁷) მ. საბინინი, საქართველოს საშობე, გვ. 330.

⁸) თ. ყორღანიძე, ქრონიკები I, 113—114.

⁹) Ibid. გვ. 113. პ. ინგოროყვი, ძველ ქართული სასულიერო პოეზია, გვ. 65.

ექვთიმე მთაწმადელი გიორგი ბერის ერთერთ შეკითხვაზე უპასუხებს: ეკსეკვი ზამფიჯელას წიგნი. . ქართულად ვისმე უიარგმნია... და სიტონცლკას ნეტარისა მამისა იოანესისა მოქყერა ქართლით სტეფანე ეპისკოპოსისა ქკონდიდისისა და ეკაისხ, ვიარგმეო შესაწყინარგებლ არსა. ¹ შეკითხვას აძლევენ იოანე მთაწმიდელს, უპასუხებენ მამა და შვილი [„ჩუენ მიუწყერეთ“]; ჩანს, სტეფანე სანანოაძე და მასთან ერთად დავით ტბელიც იოანე ათონელის († 998) თანამეღროვენი ყოფილან, ² მაშ იპათი სამწერლო მოღვაწეობის დროდ მეთათე საუკუნის მეორე ნ ხევარი უნდა მივიჩნიოთ; ამას ამოწმებს მათი თარმანებათა ენაც, რომელიც მეტად მსუბუქია და თვალსაჩინო აკჟი-ზმებს მოკლებული. უფრო დაახლოვებით, მათ უმოღვაწიათ მეთათე სა-უკუნის უკანასკნელ მეოთხედში; მართლაც, თუ, ეფრემის მოწმობით, მათ სვიმეონ ლოლოთეის მეტაფრასებიც სთარგმნეს ავტორისავე სი-ცოცხლენი, თავისთავაჲ ცხადია, ისინი ყოფილან თანადროვენი სვიმე-ონის მეტაფრასტული მოღვაწეობისა, რომელიც, როგორც ეხლა მტკი-ცელ დასაბუთებულია, 982 წელს დაიწყო. ³ სტეფანესა და დავითს უთარგმნიათ უმთავრესად ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებნი, თუმცა სტე-ფანეს ორიგინალური ჰიმნებიც უწერია, რომელნიც მიქელ მოდრეკილის კრებულშია მოქცეული. კერძოდ, სტეფანეს დაუწერია ორი დასდებელი: ნაილის-ღებისა და წჰიდისა მოწამისა ჰაზოაზნი, ⁴ აგრეთვე სტეფანე პირ-ველმოწამისა—რითჰოვანი, რომლის აკროსტიხო იძლევა სახელს სტე-ფანე; ⁵ ხოლო უთარგმნია მას: საკითხავი დაუჯდომელთაჲ, ეგრედწო-დებული აკათისტო, რომელიც დიდმარხვის მეხუთე კვირიაკის შაბათს იკითხება, ⁶ ცხოვრებაჲ თეოქტისტე ლეზველისაჲ (10 ნოემბ. წ.კითხ. ხელ. № 384, გვ. 597—612), აგრეთვე, როგორც ერთი მინაწერიდანა

¹) მ. საპინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 432—433, მ. ჯანაშვილი, საუნჯე მეთათე საუკუნის, გვ. 29—30.

²) თუ, როგორც თავის ადგილას დავინახეთ, მიქელ მოდრეკილი ძმისწული ღმერთმე-მოსილისა მამისა დავით (თ. უორდანი, ქრონიკები I, 112) ტბელისა, ძმა იყო ექვთიმესი, დავითი ყოფილა ძმა თორნიკისი და იოანე ვარაზნაჩისი.

³) К. К е в е з и д з е, Свѣтост. Метафрасты по грузинскимъ источникамъ, Т р у д ъ К і е з Д у х. А к а д., 1910 г. февраль, стр. 9.

⁴) პ. ინგოროყვა, ძველ ქართული სასულიერო პოეზია, გვ. რნა—რნე.

⁵) ibid, გვ. რნვ—რნზ.

⁶) ივლი. ხელ. № 8, ფ. 140 b—147; სიძულ. მეზ. ხელ. № 5, 140, 162. 272; ველაჲ № 2; მ. ჯანაშვილი, Къ материаламъ по исторіи и древностямъ Грузіи и Россіи, стр. 107—145. Тифл. 1912 г.

ზანს, — წმიდათა შორის მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისაჲ შესხმაჲ წმიდისა სტეფანე პირველმოწამისაჲ (გელ. № 5, ფ. 503 ხ—514 ა); ესენი ყველა მეტაფრასტული რედაქციისაა. ჩამოთვლილთ გარდა მას „სხუანიცა“ უთარგმნია, როგორც ეფრემ მცირე ამბობს, მაგრამ რა და როგორ, ცნობები ამის შესახებ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. დავით ტბელის საპაგიოგრაფიო შრომები ორ ჯგუფად განიყოფება: ერთია ქველი, კი მენის რედაქციის, ცხოვრებათა თარგმანი: ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ ნეტარისა მართაჲსი, წმიდისა სუმეონის დედისაჲ,¹ ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ წპიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ბარლამ მოღუაწისაჲ, რომელი იყო მთასა კავკასსა,² ცხოვრებაჲ და საკრველებანი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ეპისკოპოსისაჲ, აკაკანთელთა ქალაქისაჲ, რომელ არს საცილიისაჲ.³ მეორე — მეტაფრასტული რედაქციისა: წამებაჲ წმიდისა და დიდისა მოწამისა არტემისი,⁴ წამებაჲ წმიდათა და ყოვლადქებულთა ათთაქრისტეს მოწამეთა, რომელნი კრიტეს იწამნეს,⁵ წამებაჲ წმიდისა მლუდელმოწამისა ელფთერისი;⁶ დავითს უთარგმნია აგრეთვე რამდენიმე თხზულება გრიგოლი ღეთისმეტყველისა, სახელდობრ: 1) შესხმაჲ და წაებაჲ წმიდისა მლუდელმოწამისა კვპრიანესი,⁷ 2) შესხმა დიდებულისა მოწამისა დიმიტრისი,⁸ 3) შესხმაჲ და ქებაჲ თავისა დისა ლორლონიაჲსი,⁹ 4) განდგომილისა ივლიანესთჳს ძეგლის აღწერაჲ და განქიქებაჲ უშჯულოებათა მისთაჲ,¹⁰ 5) მიზეზიპონტოდ სივლტოლისა მისისაჲ და მოქცევისათჳს მიერ, კუალად სიტყჳს გებაჲ ხუცად კურთხევისა მისისაჲ,¹¹ 6) სწავლაჲ, რომელიც ასე იწყება: „მოვედით ძმანო ჩემნო საყუა-

1) ათონ. ხელნ. № 55, საველ. მუხ. № 42. II. Марръ. Агиографическіе матеріалы по груз. рукоп. Ивѣра I, 46. О. Жорданія, Описание рукописей Тифл. церков. музея I, 140.

2) ათონ. ხელნ. № 55, II. Марръ. Агиографич. матеріалы II. 109—144.

3) Проф. В. Бенешевичъ, О древнемъ іерусалимскомъ спискѣ груз. Минеи Четвѣей, Христіанскій Востокъ, т. I. вып. 1. стр. 67. წ-კით: ხელნ. № 334 83. 171—856.

4) ოქტ. 20. გელ. № 4. ფ. 185—510.

5) დეკ. 23, საველ. მუხ. № 90, გვ. 235—242, გელ. № 5. ფ. 391—395.

6) დეკ. 15, საველ. მუხ. № 90, გვ. 135—175, გელ. № 5, ფ. 286—295; ამ უკანასკნელში ეს წამება თვითილეს მიეწერება შუტოშით.

7) სიძე. მუხ. № 1, 87, წ. კ. № 383, საახ. მუხ. Georg. № 149.

8) სიძე. მუხ. № 16, 87, წ. კ. № 1606. საისტ.-საეთნოგრ. № 341.

9) სიძე. მუხ. № 16, 87, წ. კ. № 383, საახ. მუხ. Georg. № 149.

10) სიძე. მუხ. № 16, 87, 262, წ. კ. № 383.

11) სიძე. მუხ. № 87, წ-კით. № 383, 1696.

რელნო და ვისწრაფოთ სათნოყოფად ღმრთისა...“ (წ. კ. № 1696), 7) თქუმული ბორგეულთა მწვალებელთა ევნომიოს და ნავატ ფილოსოფოსის მიმართ,¹ 8) თქუმული თავისა მამისა გრიგოლისა და ერისა მის ანთინძორისა მიმართ ჟამსა მას, ოდეს ევედრნეს მას, რათა ძაეს იღვას წინაძღურობაჲ და ღუწაჲ ანძინძორისა საყდრისაჲ,² 9) თქუმული ეპისკოპოსთა მათ მიმართ ეგვიპტით მომავალთა და ერთსა,³ 10) ებისტოლენ პირველი კლიდონიოს ხუცისა მიმართ,⁴ 11) თქუმული თავისა მამისა გრიგოლის და დიდისა ბასილის მიმართ, ოდეს ეპისკოპოსად აკურთხეს იგი სასიმოსა საყდარსა,⁵ 12) თქუმულ მათდა მიმართვე მასვე ჟამსა.⁶ სამს უკანასკნელს თხზულებას თანდართული აქვს დავითის მიერ ნათარგმნი „თარგმანებაჲ ძნიაღ გულის ხმის საყოფელთა სიტყუათაჲ“, რომელიც ეკუთვნის ერთ-ერთს საეკლესიო მწერლობაში ცნობილ კომენტატორს გრიგოლის თხზულებებისას. 13) „თავისა თვისისა მიმართ და მათა მიმართ, რომელნი იგი იტყოდეს: ჰნებაეს და ჰსურის მას კონსტანტინოპოლისა საყდარი“.⁷

X 24. იოანე ბოლნელი.

ბიოგრაფიული ცნობები იოანე, ბოლნისის ეპისკოპოსის, შესახებ არ შენახულა; ვიცით მხოლოდ, რომ ის იყო თანამედროვე მეფის ბაგრატ მესამისა (980—1014), მაშასადამე—მწერალი მეათე საუკუნის გასულის და მეთერთმეტეს დასაწყისისა.⁸ სწორედ ამ დროს სხვადასხვა წყაროებით ცნობილია ჩვენში ვინმე იოანე ხახულელი, რომელსაც, როგორც მკერმეტყველ მქადაგებელს, თანამედროვენი აქრთმობენ უწოდებდნენ. პალესტინაში, ჯვარის მონასტერში, ინახება X—XI ს. ორი ხელნაწერი,⁹

1) სიძვ. მუხ. № 87, წ. კ. № 383.

2) სიძვ. № 87, წ. კ. № 383. სააზ. მუხ. Georg. № 149.

3) სიძვ. № 87, წ. კ. № 383. სააზ. მუხ. Georg. № 149.

4) წ. კ. ხელ. №. № 383, 1696. სააზ. მუხ. Georg. № 149.

5) სიძვ. მუხ. № 87, წ. კ. №. № 383, 1696, სააზ. მუხ. Georg. № 149.

6) წ. კ. №. № 383, 1696, სააზ. მუხ. Georg. № 149.

7) წ. კ. № 383, სააზ. მუხ. Georg. № 149.

8) ბოლნისი მღებარეობს ძველს სომხეთში; მატიათი აქ მეფე ფარსმანს (405—408) აუშენებია შეენიერი ტაძარი, რომელიც ვახტანგ გორგასლანს სიეპისკოპოზოდ გაუხდია. საქართველო იერარქიაში ბოლნისის ეპისკოპოსს მე-28 ადგილი ეკავა. მეოფრამეტე საუკუნეში ის დაუკვემღებარეს ტფილელ მიტროპოლიტს.

9) პროფ. ალ. ცაგარლის კატალოგით №. № 35, 123.

ან იოანესაგან გადაწერილი. ექვთიმე მთაწმიდელის ბიოგრაფიაში შენახულა ცნობა, რომ, როდესაც ექვთიმემ წინამძღვრობას თავი დაანება (1012 წელს), მასთან სამოღვაწოდ მოვიდა, სხვათა შორის, ეს იოანე ბაბუღელი (ათონის კრებული, გვ. 62). შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ იოანე ბოლნელი და იოანე ხახულელი ერთი და იგივე პირია, რომელიც წინად ბოლნისის ეპისკოპოსად ყოფილა, მერე ხახულის კათედრა მიუღია და 1012 წლის ბახლობლად კათედრისათვის თავი დაუწებებია და ათონზე გადასახლებულა. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ იოანე ბოლნელი შესანიშნავი მქადაგებელი ყოფილა, მას შემუენის სახელი ოქროპირი, სხვა მქადაგებელი კი აქ დროს წყაროებში არა ჩანს. ამით შეიძლება აიხსნებოდეს ის გარემოებაც, რომ იოანე ბოლნელის ქადაგებანი შენახულა, სხვათა შორის, ათონის ივერიის მონასტრის X—XI საუკ. ხელნაწერში № 80. დღემდე ცნობილს სხვადასხვა ხელნაწერებში შენახულა ცამეტი ორიგინალური ქადაგება იოანე ბოლნელისა, ამათგან თორმეტი გამოცემულია მ. ჯანაშვილის მიერ.¹ ესენია—ქადაგება ხორცით აღების კვირიაკისა, დიდმარხვის 1—7 კვირიაკეთა, ახალ კვირიაკისა და „ღვინის მსმელთა და მომთრვალეთათს.“ ათონის ხელნაწერში, რომელიც მ. ჯანაშვილს ხელთ არა ჰქონია, პირველი და ორი უკანასკნელი ქადაგება არაა, სამაგიეროდ აქ ორი სხვა ქადაგებაა, რომელნიც ჯანაშვილის ხელნაწერებში არ მოიპოვება: ქადაგება ფერისცვალებისა (ათონ. № 80, გვ. 151—153) და ენკენისა—13 სექტემბერს (იქვე გვ. 177—182). ჯანაშვილის გამოცემაში მეოთხე კვირიაკესათვის დადებულია იოანე ოქროპირის ქადაგება „უძღებისა მისთვის შვილისა“ (გვ. 32—47), ათონის ხელნაწერში ამის მაგიერ მოყვანილია სხვა ქადაგება,—იოანე ბოლნელისა, რომელიც ასე იწყება: „მოვედით საყუარელნო და ისპინეთ...“ (გვ. 220—222). უეჭველია, იოანეს სხვა ქადაგებებიც ექნებოდა დაწერილი, მაგრამ ისინი ჩვენამდე არ შენახულა, ყოველ შემთხვევაში ჯერ აღმოჩენილი არაა. იოანე ბოლნელის ქადაგებანი იმავე ხასიათისაა, როგორისაც იოანე ოქროპირისა, ის მას ჰბაძავს გარეგანი ფორმითაც. მისი ქადაგებანი წარმოადგენენ სახარების ტექსტის განმარტებას, მსგავსად ოქროპირისა; განმარტებულია უმეტეს ნაწილად „დასაწყისი“ ლუკასა და მათეს სახარებიდან, რომელიც ამა თუ იმ კვირიაკეს იკითხება საე-

¹) იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი. სავ. მუხ. გამოცემა № 14, ტფილისი 1911 წ.

კლესიო კალენდარით. ჰონილექტიკურ-ეგზეგეტიკური მეთოდი იოანესი არის ალევორიული, რეალ-ისტორიული, მორალური და, ზოგიერთ შემთხვევაში, ფილოლოგიური, სწორედ ისეთი, როგორიც იოანე ოქროპირსა.

25. ექვთიმე მთაწმიდელი.

მამათმთავარი ათონის სალიტერატურო შკოლისა და ერთი უდიდესი პიროვნება ჩვენი კულტურული წარსულისა, რომელმაც განსაკუთრებული კვალი დატოვა ქართული მწერლობის ისტორიაში, არის ექვთიმე მთაწმიდელი ან ათონელი. შვილი ზემოდასახელებულის იოანე ვარაზეაჩესი (†998 წ.) ცნობები ექვთიმეს შესახებ ჩვენ მოგვეპოვება საგანგებოდ დაწერილს ბიოგრაფიაში, რომელიც გიორგი მთაწმიდელის კალამს ეკუთვნის და ნამდვილს ისტორიულ ნაწარმოებს წარმოადგენს, სადაც დოკუმენტალურადაა აღწერილი ათონის ივერიის მონასტრის აშენების ამბავი იოანე და ექვთიმეს მიერ, მათი ცხოვრება და მონასტრის თავგადასავალი მეთვრთმეტე საუკუნის პირველს ნახევარში. ¹ როგორც ბიოგრაფიიდანა ჩანს, ექვთიმე სულ უმცროსი, უკანასკნელი შვილი უოფილა იოანესი და, როდესაც იოანე, მისი მამა, ბერად აღკვეცილა, ის მცირეწლოვანი დარჩენილა. სინას მთაზე დატოვს 977 წლის სამოთხეში თორნიკე, ბიძა ექვთიმესი, ან დერძში იხსენიებს ექვთიმეს მამას, იოანე ვარაზ-ვაჩეს, და მის შვილებს: მიქაელს, ხორალოჰდის და თორნიკეს; ჩვენ არ ვიცით—არის თუ არა აქ ექვთიმე მოხსენებული, ვინაიდან მისი საერისკაცო სახელი ჩვენამდე არ შენახულა. როდესაც იოანეს ოჯახი მიუტოვებია და ბერად შემდგარა დიდებულსა ლაგრაძას ოთხთა ეკლესიასთა, მისი ცოლშვილი წაუყვანიათ თავისთან მის სიმამრს აბუჰარბს და ცოლისძმებს. ამ დროს ბერძენთა იმპერატორმა დავით კუროპალატს დაუთმო ზემონი ქუეყანანი და მძევლად აზნაურთა შეიძინა ოთხთა მისგან (ათონ. კრებ. გვ. 6). ამ მძევალთა შორის მოხვედრილა იოანეს მცირეწლოვანი შვილი ექვთიმე, რომელიც იოანეს სიმამრსა და ცოლისძმებს კონსტანტინოპოლს წაუყვანიათ. ამ დროს იოანე ოლიმპის მთაზე იყო; როდესაც ეს მან გაიგო, წავიდა კონსტანტინოპოლს, პირადად ინახულა სიმამრი და

¹) გამოცემულია მ. საბინინის მიერ „ქართულ საზოგადოებაში“, გვ. 401—422 და ათონის კრებულში გვ. 1—68.

ცოლისძებნი, რომელთაც დიდი საყვედური უთხრა ასეთი გულქვაობისა და ობჟისადმი უყურადღებობისათვის და, იმპერატორების ნებართვით, შეილი უკან დაიბრუნა და ოლიმპის მთაზე მოიყვანა, აქ მან ასწავლა მას პარყეად ქართული სწავლა და შერმე ბერძნულად განსწავლა ყოველთავე სწავლულებისა სრულებით (გვ. 25). თავდაპირველად ბავშობაში ექვთიმე ქართულად ვერც კი ლაპარაკობდა თურმე თავისუფლად; მნაად უბნობნ ქართულად, ამბობს იოანე, მამა მისი, და ამის ჰირისთავს ფრად მწეხარე ვიყუფა (გვ. 26). საქირო შექმნილა, ბიოგრაფის სიტყვით, ღეთისმშობლის სასწაულთმოქმედე რავი გამოცხადება ექვთიმეს ავადმყოფობისას, რომ აეხსნა მისთვის ენა, ქართულად მეტყველი; და მართლაც, მიერიდან, გვამცნებს იოანე, სიტყვა ქართული დაუყენებლად, ვითარცა წყარად, აღმოდინ ჰირისთავს მისისა უწმიდეს ყოველთა ქართველთასა (იქვე). რასაკვირველია, ეს ეპიზოდი ექვთიმეს ბიოგრაფიაში შეტანილია მკითხველთა დასაჯერებლად, რომ თუ ღეთისმშობლის საგანგებო, სასწაულთმოქმედებრივ საქმეში ჩარევით არა, ექვთიმე ვერ ავიდოდა წარმატების იმ სიმაღლეზე, რომელზედაც მან აღაყუფა ენა ჩუენი და ქუეყანა თარგმანებითა წმიდათა წერილთათა და ყოველსივე განჯარსა, რაჟეთუ ეგვიპთარი თარგმანი არღარა გამოჩინებულ არს ენას ჩუენსა და ვკვობებ თუ არცაღა გამოჩინებულ არს (გვ. 3, 26—27); ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ ბავშობაში მას ბერძნული ენა მართლაც უფრო ებერებოდა, ის მას პატარაობიდანვე შეუსწაველია საფუძვლიანად და ამით აიხსნება, რომ ის არამც თუ ბერძნულად სთარგმნიდა შეუდარებლად, მისი ბიოგრაფის სიტყვით, ქართულიდანაც კი სთარგმნიდა ბერძნულად. / ოლიმპის მთიდან იოანე, როგორც ვიცით, თავისი შეილით და რამოდენიმე მოწაფით გადასახლდა ათონის მთაზე და ათანასე დიდის ლავრაში დაემკვიდრა; ეს მოხდა 965 წელს.¹ აქედან ჩუენ შეგვიძლია დაახლოვებით მაინც გავარკვიოთ ექვთიმეს დაბადების დრო. ბაქრაძის გამოანგარიშებით, რომელსაც იზიარებს თ. უორდანიაც (ქრონიკები I, 124-125), 1028 წელს, როდესაც ექვთიმე გარდაიცვალა, ის იყო 63 წლის, მაშასადამე დაბადებულა 965 წელს. მაგრამ საქმე სხენაირად წარმოვიდგება, თუ მხედველობაში მივიღებთ შემდეგს: იოანემ რომ მიატოვა შეუდღე და შეიღნა და ღაერასა დიდებულსა ოთხთა ეკლესიათასა შევიდა (გვ. 6), ექვთიმე მაშინ, როგორც ვთქვით, დაბადებული იყო და, მეტი თუ

¹) Порфирій Успенскій, Исторія Афона, ч. III, стр. 105.

ა.ა. ერთის ან ორი წლის მანც იქნებოდა. ოთხთა ეკლესიათა ლავრაში იოანემ დაყო ესა რაოდენამე დეაწლათა ძღუერთათა მორჩილებასა შინა (გვ. 6), აქედან ის წავიდა და შიას უღუმთხმსასა მიაწია და მის სტერესა ერთსა შანა ესთა არაძვირდთა ჟღრთა მსახურებისა დეაწლი ასოგზად თავს იდგა (იქვე). აქ მან ვაიგო, რომ მის სიმამრსა და ცოლისძმებს ექვთიმე მძევლად გაუღვენიათ ბიზანტიაში კეისრის კარზე; ის წავიდა კონსტანტინოპოლს, შეილი უკანვე დაიბრუნა და ოლიმპზე მოიყვანა. ხოლო შემდგომად რაოდენისამე ესმასა, ვისაჲთგან განათქჳა სახელი მისი და შაცოცხსა უყოფდეს ბერძენსა და ქარავედნა, შეუძნდა საქმე ესე და ამის ხარასათჳს... მთაწმიდეს მოვიდა ჯაგრასა დიდისა, ათასსესსა (გვ. 7). აქედან უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროს ექვთიმე, მეტი თუ არა, ათის წლის მაინც იქნებოდა, ასე რომ ის დაბადებული უნდა იყოს 955 წლის ახლო ხანებში.¹ ათონზე მოსლვის შემდეგაც განაგრძობდა, უეჭველია, იოანე თავისი შეილის ზრდა-განვითარების შესახებ ზრუნვას; როდესაც ექვთიმე საკმაოდ წამოიზარდა და ქართულსა და ბერძნულში იმდენად დახელოვნდა, რომ თარგმნას შეძლებდა, მამამ უთხრა მას: შეილო ჩემო! ქარაღასა ქუეყანას დიდად ნაკუღაოგზ არს წაგნთაგან და მრაკადნი წიგნნი აკლან და გხედავ; რომელ დმერთისა მოუმადლებია შენდა; აწ იღუწე, რათა განამრაკდო სასკიდეელი შენი დმრთისაგან, და იგი, ვითარცა იყო ეოველსავე ზედა მარჩილ, მოსწრავედ შეუდგა ბრძნებასა მისსა და იწყო თარგმნად (გვ. 26). ლიტერატურული მოღვაწეობა ექვთიმეს 975—7 წლებში უნდა დაეწყოს, ვინაიდან ჩვენამდე შენახულა ერთი მისი შრომა, აპოკალიპსი იოანე მახარობლისა და თარგმანება მისი ანდრია კესარიელისა, 978 წელს ვინმე საბას ხელით გადაწერილი.² უმეტესი ნაწილი თავისა თარგმანებისა ექვთიმეს მამის სიცოცხლეში შეუსრულებია; დაამთავრებდა თუ არა რომელიმე შრომას, მყისვე მის ნუსხას დავით კუროპალატს წარუგზავნიდა ხოლმე საქართველოში (გვ. 27). 998 წელს, მამის სიკვდილის შემდეგ, ექვთიმე შეიქმნა წინამძღვარი ივერიის მონასტრისა, ამ თანამდებობამ ის ჩააბა პრაქტიკულს სამონასტრო საქმიანობაში; მას დააწვა კისერზე ზრუნვა არამც თუ ქართველთა ივერიის, არამედ ბერძენთა მონასტრებისათვისაც, უიმისოდ არც ერთი მთაწმიდის მონასტრის საქმე არ კეთდებოდა. თუმცა ყველა ამასთან ის შრომასა თარგმანებისასა არა დატყუებდა, არცა სცემდა

¹) უფრო დანიშნულებით ამის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ორი ექვთიმე ძველ ქართულ მწერლობაში, კრებული წგენი შეცნოერება, № 2-3, გვ. 103-108.

²) თ. ცორდანიია, ქრონიკები I, 122.

განსვენებასა თავსა თავსა, არამედ უოკლადე იჭირვინ და ღმერთა ათევის: რამე-
 აუ უფროდსნი წიგნნი ღმერთი სანთლითა უთარგმნიან ფრიადისა უცლოგბ.სა-
 გან და სურავთა (გვ. 30). — მაგრამ ასეთმა პრაქტიკულმა საქმიანობამ
 მაინც დიდი გავლენა იქონია მისი ლიტერატურული მუშაობის ინტენსი-
 ვობასა და ნაყოფიერებაზე. მისი მეგობრები და თანამშრომლები*) ხელდაე-

*) ექვთიმეს ბევრი გულითადი მეგობარი ჰყავდა ათონზე: ასეთები
 იყვნენ: იოანე გრძელისძე, არსენი ეპისკოპოსი ნინოწმიდელი, ღირსი
 იოანე ხახულელი, ოქროპირი და შვილი მისი იოანე, ნეტარი ბერი
 ვრიგოლ, ახალი აბრაჰამ სტუმრის მოყუარე, და ზაქარია მირდატისძე.
 არსენი და სხუანი მობაძენი მათნი (გვ. 62), როგორც, მაგალითად, თე-
 ოფანე ხუცესი, „რომლისა მიმართ დიდი სიყუარული ჰქონდა მამასა ეფ-
 თჳჳეს, რამეთუ სიყრმიტგან აქა (ათონზე) აღჩრდილ იყო... და იყო
 მღდელი იგი სწავლული ფრიად და კელოვნებით მწერალი წიგნთა
 საღმრთოთაჲ, რომლისათჳს წამებდა მამაჲ ეფთჳჳე, ვითარმედ უფროდს
 ათასხუთასისა დრაჰინისა უწერაინ წიგნნი მონასტრისანი შინა და გარე
 (გვ. 56 — 57). განსაკუთრებით დაახლოვებულნი ყოფილან ექვთიმესთან
 არსენი ნინოწმიდელი და იოანე გრძელისძე. ესენი მოღვაწეობდენ
 ლავრასა შინა ოთხთა ეკლესიათასა იოანესთან ერთად; უკანასკნელის
 აქედან წასვლის შემდეგ ისინი გადასულან „კერძოთა პონტოჲსათა“ და
 დაჰკვიდრებულან ერთს კარგად მოწყობილს მონასტერში (გვ. 31). რო-
 ლესაც იოანემ ივერიის მონასტერი ააშენა, მან მოიპატიჟა აქ თავისი
 მეგობრებიც, როველთაც მხოლოდ მეორე წელს მოაწიეს აქ (გვ. 22). „ესე-
 ნი დღად თანაშემწე ექმნეს წმიდასა მამასა ჩუენსა ეფთჳჳეს თარგმანებასა
 შინა წმიდათა წერილთასა და მოშურნე და მობაძე წმიდათა სათნოებათა
 მასთა იქმნეს და მრავალნი წიგნნი ეკლესიისანი ჟამსა სიბერისასა თჳსითა
 ევლითა აღწერნესო“, ამბობს გიორგი მთაწმიდლის ბიოგრაფი (ათ.
 უკრებ, გვ. 301). და მართლაც, ჩვენამდე შენახულა რამდენიმე თხზუ-
 ლება, ექვთიმეს მიერ ნათარგმნი, რომელიც ამათ გადაუწერიით (ერთი
 მათ მიერ გადაწერილი ხელნაწერი დღეს უნივერსიტეტს ეკუთვნის, სიძვ.
 მკ. № 1141.) არსენისა და იოანე გრძელისძეს ანტონ კათოლიკოზი
 „წიგნთა“ ან „წერილთა“ თარგმანს უწოდებს (წყობილისიტყვაობა.
 699, 698), თუმცა ის არ უჩვენებს — რა წიგნები თარგმნეს მათ; პ. იოსელი-
 ანი აღნიშნავს მათ მიერ გადმოთარგმნილ თხზულებათაც, სახელდობრ,
 არსენის უთარგმნა: 1) ღვთისმეტყველება დამასკელია, 2) წიგნი გრი-

დენ, რომ ექვთიმე მახყსითა შრავაღიერთა ზრუნვათაჲთა დაქსრწოდა თარგმანებისგან წმიდათა წერილთაჲსა (გვ. 56), ამიტომ მათი თხოვნით 1012 წელს, მაშასადამე 14 წლის წინამძღვრობის შემდეგ, ექვთიმემ მამასახლისობას თავი დაანება, აჟსის სეჩაკს დაჟდა და წიგნთა სავსითათა თარგმანებას შეუდგა (იქვე). გარდაიცვალა ღვაწლთმოსილი მამა 1028 წლის 13 მაისს და გულწრფელად დატირებულ იქმნა ყველასგან, ვინც კი იცნობდა მას და ვისაც საქმე ჰქონია მასთან.

ექვთიმეს ლიტერატურულს მოღვაწეობაში საყურადღებოა, რომ ის არა მარტო ბერძნულიდან სთარგმნიდა ქართულად, არამედ ქართულიდანაც ბერძნულად რთდენსამე წერილსა და მათ შორის ბავშვური და აბუკურაჲ (გვ. 4) გადაიღო. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ექვთიმემ იმდენად საფუძვლიანად იცოდა ბერძნული ენა, რომ თამამად შეეძლო არამც თუ ეთარგმნა ესა თუ ის თხზულება ბერძნულად, არამედ ორიგინალური შრომაც დაეწერა ამ ენაზე, — და მართლაც, ცნობილი ელინისტიკოსორთგირი უსპენსკი, მას მიაწერს ერთს ბერძნულ ლექსს, რომელიც მას უპოვნია ისაჲკ შუამდინარელის თხზულებათა ხელნაწერში, ¹ მაგრამ ცნობა ბალაჰვარისა და აბუკურას შესახებ ჩვენ მაინც საეჭვოდ მიგვაჩნია.

გოლი ნოსელისა და 3) მეტაფრასნი და საგალობელნი წმიდათანი, ხოლო იოანე გრძელისძეს: 1) დარღვევა მაჰმადიანთა სარწმუნოებისა, 2) შეიღდა მსოფლიოთა კრებათათვის, 3) ისტორია ეკლესიური თეოდორიტიესი არა სრულად და 4) საგალობელნი კანონნი ივერიისა ღვთისმშობლისა (ibid). ეს ცნობა მტკნარი სიცრუეა: არც არსენის და არც იოანე გრძელისძეს არცერთი აქ აღნიშნული თხზულება არ უთარგმნია, მათი მთარგმნელები თითქმის ყველანი ვიცით, აქ უბრალო აღრევაა ლიტერატურული ფაქტებისა. ასეთისავე ღირსების წყარო ჰქონია ხელთ ეიმურაზ ბატონიშვილსაც, რომელიც თავის წიგნთსაცავის კატალოგში ამბობს: „დოღმატიკა, ღვთისმეტყველება იოანე დამასკელი-სა... თარგმნილი... არსენი ნინოწმიდელ ეპისკოპოსისა და იოანე გრძელიძისაგან“ (А. Иагарели, Свѣдѣнія III, 149). უეჭველია, თეიმურაზს სახეში აქვს დოღმატიკონი, გადმოთარგმნილი არსენი ვაჩესძისაგან ვინმე იოანე [რატეულის] დახმარებით: არსენ ვაჩესძე მას არსენ ნინოწმიდელად მიუღია, ხოლო იოანე რატეული — იოანე გრძელისძედ.

1) Первоз путешествие въ Синайскій монастырь въ 1845 году, стр. 212-213.

ვერას ვიტყვიტ გადაქრით აბუკურას შესახებ, ვინაიდან არ ვიცით რა იგულისხმება აბუკურას სახელით, ყოველ შემთხვევაში არა ხარანის ეპისკოპოსის თეოდორე აბუკურას თხზულებანი, რომელნიც ქართულად თარგმნა არსენ ვაჩხაძემ ექვთიმეს შემდეგ, — რაც შეეხება ბალაჰვარს, აქ იგულისხმება მსოფლიო მწერლობის ისტორიაში კარგად ცნობილი სიბრძნე ბალაჰვარისა ან „ცხოვრება წმიდისა ვარლამისა და იოდანასაჲისა“, რომელიც წარმოადგენს ბუდდას ცხოვრების ქრისტიანიზაციას და ქართულ ენაზე ნათარგმნი უნდა იყოს მეცხრე საუკუნეში ასურულიდან. მეცნიერებაში ამ ბოლო დროს ცდილობენ განაპტიკონ ის აზრი, რომ ბერძნულად ეს თხზულება მართლაც ქართული ენიდან ითარგმნა ექვთიმე მთაწმიდელის მიერ.¹ გარდა ექვთიმეს ბიოგრაფიისა ამ აზრის დასასაბუთებლად მოჰყავთ ორის ბერძნული ხელნაწერის მოწმობა, რომ ეს მოთხრობა ექვთიმეს მიერაა ნათარგმნიო; უძველესი იმათგან, თარიღიანი, ეკუთვნის მეთერთმეტე საუკუნეს. ჩვენ გვგონია, რომ ექვთიმეს ბიოგრაფია, გიორგი მთაწმიდელმა, ეს ცნობა შეიტანა თავის შრომაში სწორედ ბერძნული ხელნაწერიდან, ხოლო ამ უკანასკნელში ის უნდა შეეტანოს თავდაპირველად რომელიმე ქართველ ბერს თავის თანამემამულეთა სახელის ასამაღლებლად.² გელათის მონასტრის ხელნაწერში № 20, რომელიც შეიცავს მეორე ნაწილს იოანე ოქროპირის განმარტებისას მათეს სახარებაზე და 1047 წელსაა გადაწერილი, მოთავსებულია ექვთიმეს მამის, იოანეს, ცნობილი ანდერძი, სადაც ჩამოთვლილია ექვთიმეს მიერ მამის სიცოცხლეში ნათარგმნი თხზულებანი; აქ მებუთე ადგილზე აღნიშნულია თარგმანებაჲ ბალაჰვარისი, რაც არც ერთმა სხვა ნუსხამ ამ ანდერძისა მარცხენა მხარეზე არ იცის; თუ ეს ცნობა ისტორიულ-ლიტერატურული გაუკებრობის ნაყოფი არაა, გამოდის, რომ ექვთიმეს არამც თუ არ უთარგმნია ბალაჰვარი ბერძნულად, პირიქით ბერძნულიდან ქართულად გადმოუღია რაღაც მისი თარგმანება.³ და

¹) Н. М а р р з, Грузинскіе матеріалы для исторіи душеполезной повѣсти о Варлаамѣ и Іоасафѣ. Зап. Вост. Отд. Археолог. Обществ. т. XI, стр. 49—78; მისივე—Муарость Балавара, грузин. версія душеполезной повѣсти о Варлаамѣ и Іоасафѣ, ibid. т. III, стр. 223—260; მისივე—Изъ поѣздки на Афонъ, Жур. Минист. Народ. Просв. Маргъ 1899 г. მისივე—Агиографическіе матеріалы по грузин. рукописямъ Ивера, ч. II.

²) К. К r u m b a c h e r, Geschichte der byzantinischen Literatur, 1897, S. 387—388).

³) ტერზინი „თარგმანება“ ძველს მწერლობაში იხმარება „მოხრობის, ისტორიის“ ეპიგრაფიკულად.

მართლაც, სხვა არა იყო რა, — ადამიანი, რომელიც მოუცლელობის გამო ღამით სანთელზე მუშაობდა და ხშირად ამა თუ იმ თხზულებას ექსცერპტულად სთარგმნიდა, ცროს ვერ იშოვოდა ქართულიდან ბერძნულ ენაზე ეთარგმნა და ისიც ისეთი ვრცელი თხზულება, როგორცაა სიბრძნე ბალაქვიარისა. ჩვენთვის, რასაკვირველია, უფრო საინტერესოა ექვთიმეს ბერძნულიდან ქართულად მთარგმნელობა. ამ მთარგმნელობას ერაი რამ ახასიათებს, რასაც ხაზს უსვამს ცნობილი ეფრემ მცირეც, რომელიც თავის თავს სთვლის ექვთიმეს შეგირდად, ხოლო თვით ექვთიმეს — ლიტერატურულ მეფედ, ბუმბერაზად და ლომად ჰხადის; ექვთიმე მონურად არ მისდევს ბერძნულ ტექტს, სიტყვა-სიტყვით არ სთარგმნის ის მას: ის ავრცელებს ან ამოკლებს ტექსტს, შეაქვს შიგ სხვადასხვა წყაროებიდან დამატებითი ცნობები, განსაკუთრებით ისეთი, რომელიც ქართველებს შეეხება, უშვებს დედანში მთელს ადგილებს, უმატებს თავის კომენტარიებს ¹ და სხვა, ასე რომ იშვიათი თხზულება უწარგმნია მას ისე, როგორც ის დედანშია წარმოდგენილი, — უმეტეს ნაწილად ის იძლევა ახალს, დამოუკიდებელს, ასე ვთქვათ — გამოკრებულს ² რეცენზიას ამა თუ იმ თხზულებისას. ექვთიმესო, ამბობს ეფრემ მცირე, მაჯლითა სუფასა წმიდისათა ექუწიფებოდა შემატებად და აჯებოდა; ³ ვინაიდან მისი დროის ქართული საზოგადოება მომწიფებული არ იყო ბერძნულიდან სიტყვა-სიტყვითი თარგმანი მოენელებია, მას ჯერ კიდევ რძესავით რბილი და შეხავებული საზრდო სკირდებოდა. ⁴ უფრო ნამ-

¹) ამის დასამტკიცებლად მოვიყვანო ერთ ადგილს გრიგოლ დღისმეტყველის თხზულებიდან „ცხოვრება ბასილი დიდისა“, რომლის ბერძნული ტექსტი ეფრემ მცირის სიტყვა-სიტყვით გადმოცემით (სიძვ. მუხ. № 16, ფ. 286; № 292- ფ. 25), ამბობს: „არა მარტივ ნათესავ ეპოვებ სომეხთა, არამედ ფრიად დაფარულ რამე და ზღვსკლდე“; ეს ადგილი ექვთიმეს თავის თარგმანში ასე განუფრთხილა: „ეიოარცა ვრს ნათესავი იგი სომეხთაჲ არა წრფელ, არამედ წხიკუფარი და გულარძნილი და ბორბოტი. მიმსავსებელი კლდეთა მათ, რომელნი არიან დაფარულ ზღუასა შინა, და ვერ იძილევა მათ ზნავენი, ვიდრე არა სცენ ნაეი და განტეხონ, ესრეთ სსუასა იტუკან იგინი და სსუაჲ უყ გულსა მარადის და სარწმუნოებაჲ მათთანა არა არს. და რაჲ საკრწველ არს უყვეთჲ კაცსა ცტრუნენ, ეინაჲთგან თავადისა დმრთისა მიმართ ცრუ არიან და მხაკუფარ და ბორბოტად აღმაარებელ“ (სიძვ. მუხ. № 1, გვ. 253; № 16, ფურ. 86). ამ სიტყვებით ექვთიმეს წამოუწესებია ის კონფესიონალური და ეროვნული ზიზი, რომლითაც განმსჭვალული ყოფილან საქართველოში მოწინავე და მოაზროვნე წრეები.

²) თ. ეორდინია, ქრონიკები I. 218.

³) ibid. გვ. 216.

⁴) Н. Марр, Предварительный отчет. стр. 30.

დელი მიზეზი ამისა, როგორც ნ. მარჩი ფიქრობს, იყო ის, რომ ექვთიმეს დროს ქართულ საზოგადოებაში კიდევ ძლიერი და შეურყეველი იყო ძველი ლიტერატურული ტრადიციები და მოგონებანი, რომელნიც მას ნებას არ აძლევდნენ სიტყვა-სიტყვით ეთარგმნა და იძულებულ ჰყოფდნენ ახალი თარგმანი ძველისათვის შეეფარდებია და ყოველივე ბერძნულ მოვლენას სიფრთხილით მოპყრობოდა.¹

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ექვთიმეს ერთგვარი ლიტერატურული მტრები ჰყოლია, რომელთაც მისი შრომების გარყვნა და დაზიანება განუზრახავთ. ერთი მათგანის შესახებ ათონის კრებულის დამწერი მიქელ დაღალისონელი გადმოგვცემს: ვიხილეთ საქმე საშინელი: ოზან ვინმე, რომელ შეცუპულ არს, წმიდისა ეფთჳმეს სახარებისა თარგმანისაგან და დავითნისა და ღმრთისმეტყუელაზნაგან აუკოცია და ჩაურთავსო.² აქედან ჩანს, რომ ვიღაც ოზანს გაურყენია სახარების თარგმანი იოანე მოქროპირისა და გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებანი, ექვთიმეს მიერ გადმოთარგმნილნი, აგრეთვე დავითნი მისი. როგორ გარყვნა მან სახარების თარგმანი არ ვიცით, რაც შეეხება ორს უკანასკნელ თხზულებას; მათ შესახებ სხვა მოწმობაც გვაქვს. გიორგი მთაწმიდელი ამბობს: წმიდასა მამასა ეფთჳმეს ნუ ვინ იწამებს; წმიდამან მამამან დავითი აარგმანს და მწერალსა ვისმე მისცა დაწერად და მან განრეუნ და უკმარ ყოიგიო;³ უეჭველია, გიორგი აქ ჰგულისხმობს იმავე ოზანს. ეფრემ მცირე გრიგოლ ღვთისმეტყველის ორი თქუმულის შესახებ, რომელნიც ექვთიმეს გადმოუთარგმნია, შენიშნავს: საცნაურ იუაჳნ, ვითარმედ ესე საკითხავი⁴ ქართულსა შინა ანს და ესრეთ იწყების: „რახასათჳს ძმანო ჩემო უღებ იქმნენით“; ესე თავად დაუც და სიმცროდსათჳს ამასსა „ვიძლიე“⁵ თანადურთავს. უკანასკნელ ფიდიე კიდევანად უთარგმნია, რომლისათჳსცა ამას ეუედრებათა და სხვას საკითხავისა სხვას თანა შოკრებათა და სძრნეს სხუანი იძულებად და მძაჳრებად ჩუენდა დიდსა მას კადრებასა მეორედ თარგმნისასა, რამეთუ სიკრძისაგან ჟამთასა არა ვიციით თუ მწერალთაგან შესჳდა ანუ თუ წმიდასა მამასა ეფთჳმის დედაჲ ესეგჳარი მისჳდა ანუ თუ რამე განგებულეებით ჰქოა, ვით მას ჟამსა შეჰტყუნდა; ყოველ შემთხვევაშიო, ამბობს ის, ამას

1) *ibid.* სტ. 49—50.

2) ათონის კრებული, ვ. 176.

3) მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა I, 110—111.

4) „შემდგომად ხუცად კურთხევისა მისისა“ სიძ. მუხ. პ. 87, 425—455.

5) „თქუმული მამისა მიმართ თვისისა და ერისა“, წერ. კითხ. პ. 1696.

გუაუედრეებუს ბერძენთა. ¹ საქმე ისაა, რომ ორი სხვადასხვა სიტყვა გრიგოლ ლეთისმეტყველისა, რომელიც ექვთიმეს თავის დროს, რასაკვირველია, ცალცალკე უთარგმნია, ვილაცას მერე შეუერთებია, მექანიკურად გადაუბაჰს ერთი მეორესე: ეს ბერძენსაც კი შეუნიშნავთ 'და ქართველები გაუკიცხავთ ასეთი აღრევისათვის. ეფრემმა არ იცის მიზეზი ამ გაუგებრობასა, მაგრამ, უძვეელია, ეს არის საქმე იმავე ოზანისა, რომელსაც ასეთი ოპერაციები უკეთებია ექვთიმეს შრომებში.

ნუსხა ექვთიმეს ნათარგმნ თხზულებათა მოთავსებულთა მის ბიოგრაფიაში, თუშცა არა სრული: აქ შენიშნულია, რომ მის თარგმანთა აღრიცხვა შეუძლებელია. ამიტომ იმათგან მხოლოდ რაოდენიმე მოვიკისენეთო (გვ. 27); და მართლაც, ნუსხის შემდეგ ბიოგრაფი ამბობს: ესე უოკელნა და ამათს ფრად უქრავდესნი წიგნისა თარგმნსა დჰეკრთაშემოსილმან მამამან ჩუენმანო (გვ. 30). ყოველ შემთხვევაში ნუსხაში არაა აღნიშნული ის თხზულებანი, რომელნიც მას უთარგმნია ათონის მთის გარეშე, — უღუშბოთა, საშეუფოსცა და გზასა და სხუათა ესევითართა ადგილთა (გვ. 27). ასეთივე ნაკლებეფანი ნუსხა მოთავსებულია ხოლმე აგრეთვე ექვთიმეს მამის, იოანეს, ანდერძში, ამიტომ ამ წყაროთა ნაკლი უნდა შევსებულ იქმნეს სხვადასხვა ხელთნაწერთა მინაწერებიდან.

არ არის არც ერთი დარგი ეკლესიური მწერლობისა, რომელშიაც ექვთიმეს არ ეთარგმნოს ესა თუ ის თხზულება, ამიტომ მის ნაშრომთა წარმოდგენის გასაადვილებლად უკეთესია ისინი ცალცალკე დარგებად დავყოთ.

I. ბიბლიოლოგია. ჩვენს ისტორიულს მწერლობაში აქაიქ შეხედებით ისეთ აზრს, ვითოშც ექვთიმეს მთელი ბიბლია ეთარგმნოს ქართულად. ზოგიერთებს ასეთ შრომად ზიანიათ ეგრედწოდებული ოშქის 978 წლის ბიბლია. რომელიც ათონზე ივერიის მონასტერში ინახება; ეს აზრი უსაფუძლოა, ექვთიმეს, დრო რომ არა ვთქვათ, საბაბიც არ ჰქონდა მთელი ბიბლია ეთარგმნა, ვინაიდან ის უკვე მის დრომდღე ნათარგმნი იყო; კერძოდ, მას ხელთა ჰქონდა ზემოდასახელებული 978 წლის ბიბლია, რომელიც გადაწერილია საქართველოში, ოშქის ლავრაში, თორნიკესა და იოანეს შეკვეთით. ბიბლიაში მის ყურადღებას იპყრობდა ის წიგნები, რომელნიც ან გადმოთარგმნილი არ იყო ჯერ კიდევ, ანა და განსაკუთრებული მნიშვნელობა და ღირებულობა ჰქონ-

დათ. ამ თვალსაზრისით მას უთარგმნია: 1) გამოცხადება ან აპოკალიპსი იოანე ღვთისმეტყველისა, რომელიც მანამდის ქართულად ბართლაც არ ყოფილა თარგმნილი, ¹ და 2) დავითნი და 3) სახარება ოთხთავი. გიორგი მთაწმიდელი, გვამცნებს რა ვინმე ოხანის მიერ დავითნის გარყვნას, რაც ზემოთაც აღვნიშნეთ, უმატებს: მიერათგან სსუა. ანდარა სიანგმსა, ანამედ ქართულნი დავითნნი თანაქსნიან და სანა სიტყუაჲ ე. შარებოდის, მუხით იწამის, და ამათასა კეშმარიტებისა და სიმართლისა მარჯედ შეავს ეოველი საბერძნეთი და ეოველნი ბერძნულნი დავათნი, ვის არა ჰრწმუნეს, შეაწამერო. ²

როგორც აპოკალიპსი და დავითნი არ იხსენიება ექვთიმეს თარგმანთა არც ერთს ნუსხაში, ისე არც ოთხთავია მოხსენებული, მაგრამ ექვთიმეს, რომ სახარება უთარგმნია, ეს სხვათა შორის ჩანს სიძველეთა მუზეუმის მეთერთმეტე საუკუნის, ევრედწოდებული ალავერდის სახარებიდან (№ 484), რომელიც, თუ თვითონ არაა ექვთიმეს თარგმანი, ყოველ შემთხვევაში, 314 ფურცელზე ასახელებს მინაწერში წმიდისა მამისა ეფთჳმეს სახარეისა: ³ და ბართლაც, ევრედწოდებული მეტრიის სახარება 1033 წლისა, რომელიც განიჩჩევა როგორც ჰადიშის და სხვა ძველ სახარებათა, ისე გიორგი მთაწმიდელის რედაქციებისაგან, ⁴ უნდა ეკუთვნოდეს სწორედ ექვთიმე მთაწმიდელს. ეს მით უფრო დასაჯერებელია, რომ იგი მოგებულნი ან შეკვეთილია ილარიონ იშხნელის მიერ, რომელსაც ერთგვარი ლიტერატურული კავშირი ჰქონია ექვთიმესთან; მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ ამას მოუგია ან შეუკვეთია ვადაწერა ექვთიმეს მიერ ნათარგმნ თხზულებიან *Анѳанъ а҃н҃ასу ꙗ҃ꙋꙋ*-ის პირვანდელი რედაქციისა; ⁵ იოანეს, ექვთიმეს მამას, ბრძანებითა დემოსტოპოსიდას მამათავრისა ილარიონისითა წარუშრონია შეიჯი მისი ეფთჳმე და უხარკია, რათა თარგმანებაჲცა მათეს თავისა წმიდისა სასარკებისა დაწეროს ენასა ჩუენსა. ⁶ ექვთიმეს რედაქციას წარმოადგენს აგრეთვე ევრედწოდებული მეტრიის სახარება 1049 წლისა. ⁷

II. აპოკრიფები. ექვთიმე მთაწმიდელი პირველი მწერალი იყო

¹) ცნობილია 978 წლის ნუსხა მისი, თ. გორდანი, ქრონიკები I, 122.

²) მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა I, 110—111.

³) О. Н. Сп. I. ან. ი., Описание II, 48, 50.

⁴) Материалы по археологии Кавказа. вып. X, приложение, стр. 10—11.

⁵) სიძ. მუზ. № 35.

⁶) თ. გორდანი, ქრონიკები I, 142.

⁷) *Апостольный Вѣстникъ Грузинскаго Экзархата*, 1892, № 9; თ. გორდანი, ქრონიკები I, 203.

ჩვენში და, გვეონია-უკანასკნელიც, რომელმაც მეცნიერული, ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით შეჰხედა აპოკრიფულ მწერლობას და მიმოიხილა იგი. ჩვენამდე შენახულია, როგორც ვიცით, კითხვამიგება ექვთიმესა და გიორგი შეყენებულის შორის, რომელიც შეიცავს ინდექსს ან ნუსხას იმ წიგნებისას, რომელთაც კათოლიკე მართლმადიდებელი ეკლესია არ შეიწყნარებს. ექვთიმეს ეს ნუსხა გამოუგზავნია საქართველოში საგანგებოდ და მით განუზრახავს არამც თუ გიორგის ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებია, არამედ გაეფრთხილებია საქართველოს ეკლესია იმ წიგნებისაგან, რომელნიც საბერძნეთში აპოკრიფულად იყვნენ მიჩნეული. უნდა გვეფიქრნა, რომ ამით იმან ონი გამოუცხადა უკვე ნათარგმნს ქართულად აპოკრიფებს და სხვებიც გააფრთხილა შემდეგში ამგვარ თხზულებათა თარგმნისაგან; ყოველ შემთხვევაში მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ თვითონ მაინც არ სთარგმნიდა ამის მსგავსს რასმეს. მაგრამ ნამდვილად ჩვენ სულ სხვასა ვხედავთ: ექვთიმესაც თავისი წვლილი შეუტანია აპოკრიფული ლიტერატურის თარგმნაში ქართულად. მას უთარგმნია: 1) აკგაროზი ან მიწერ-მოწერა იესო ქრისტესა და ედესის მთავრის აკგაროზის შორის: „ეპისტოლე აკგაროზ მთავრის, რომელ მიუწერა უფალს ჩუენს იესუ ქრისტესს,“ „ეპისტოლე უფლის ჩუენის იესუ ქრისტესსი, რომელი მიუწერა აკგაროზ მთავარსა და მიუძღვნა კელსიას ანანაჲსითა“. ეს აპოკრიფი მეტად გავრცელებულია მთელს საქრისტიანოში, მისი თარგმანი ყველა თითქმის ენაზეა ცნობილი. ექვთიმეს ეს აპოკრიფი სახარებასთან ერთად უთარგმნია და სახარებისათვის დაურთავს ბოლოში, როგორც ეს მიღებული იყო სხვა საქრისტიანო მწერლობაშიაც. ექვთიმეს ეს თარგმანი მოთავსებულია, მაგალითად, ზემოდასახელებულს ალავერდის სახარებაში² და წარმოდგენს უბრალო გადამუშავებას ბიზანტიელთაგან აღებული ტექსტისას ან მის ხარტ ფორმულიროვკას. 2) ~~მეორე აპოკრიფული თხზულება~~, რომელიც ექვთიმეს უთარგმნია ბერძნულიდანვე, არის ქება და დიდება, შესმა და გალობა უოვლადწმიდის უხრწხელისა და უმეტესად კურთხეულისა... მარამისი და უწყება უბიწმალს მის და სანატრელისა მოქალაქებისა მისისა.

¹) Bardenhewer. Patrologie² S. 88—89, H. Jordan, Geschichte der altchristlichen Literatur, S. 77.

²) სიძ. მუხ. № 484; А. Хахановъ, Очерки по истории грузин. словесности, вып. I, стр. 193—199; Л. Меликсетъ-Беговъ, Семипечатіе и его толкованіе: Христианскій Востокъ, III, вып. I, стр. 44—50.

შობიასგან მიცვალებამდე, აღწერილი ნეტარისა მამას ჩუენისა მაქსიმეს მიერ. ფილოსოფოსისა და აღმსარებელისა. ეს აპოკრიფი, რომელიც ექვთიმეს უთარგმნია მაქსიმე აღმსარებელის, უეკველია, სხვა თხზულებებთან ერთად 190—990 წლებში, მთლიანად მოთავსებულია სიძე. მუხ. ხელნაწერში № 40, რომელსაც ბოლოში ტექსტისავე ხელით ასეთი მინაწერი აქვს დართული: ქრისტე, მუუფეჲ დიდებისაჲ, შეოხებითა შობისა შენისა წმიდისა ქაღწულისა მარიაშისთა შეიწუაჲ და აცხოვნე სულისა გლახაჲ ეფთჳჲ, რომელმან წმიდაჲ ესე წიგნი. ცხოვრებაჲ წმიდისა ღმრთასმშობელისაჲ, ბერძულისაგან ქართულად თარგმნა მთასა წმიდასა ათანას.

ეს არის დიდი თხზულება, რომელშიაც მოთხრობილია მთელი თავგადასავალი ღვთისმშობლისა: ვინაჲ იგი გამოჩნდა და ვინ იუვნეს მშობილნი მისნი და ვითარ ზრდილობაჲ მისი და უბიწოჲ იგი მოქალაქობაჲ და რაჲდენი იგი დიდებულებაჲ მის ზედა აღკურულა შობითან მიცვალებამდე. აქ მაცხოვარზედაცაა ვრცელი მოთხრობა: ხოლო უკუეთუ შეუფოსაცა და მის მასისათჳს ვთქუათ რაჲჲ ძალისაჲგან ჩუენისა, არაჲე გარეგან წესისა იუოს, რაჲეთუ უოველიჲე იგი დიდებ:ჲ ამის და ქებულებაჲ მისი, რაჲეთუ მისგან არს და მის მიერ ნეტარებაჲ და დიდებაჲ უბიწოს, მის დედასა მისისაჲ. აქვე, შესავალში, დასახელებულია ის წყაროები, რომლითაც უსარგებლნია ავტორს: უოველიჲე უკუე, რაჲდენიცა აღწერით და ვაუწუთ ღმრთისმოუყარეჲა კრებულთა, მოწამეთაგან ჭეშმარიტთა მტკიცე არს და სარწმუნო. ჰარეჲად წმიდასა მახრებულთა და მოციქულთაგან, შერმე წმიდათა და ღმერთშემოსილთა მამათაგან, რომელთა სიტყუისი უოვლისა სიბრძნითა სავსე არიან და სულისა წმიდისა მადლითა აღწერილ, და საქმენი მათნი შუენიერ და სათნო ღმრთისა. ესე არიან გრაგოლა ნიკოკასარიელა სანწყულთმოქმედა და დიდი ათანასი აღექსანდრიელი და ნეტარი გრიგოლ ნოსელი და დიონისიოს არიშაგელი და სხუანი, მსგავსნი საინთებისა მათისანი. და რაჲდენიმე დაფარულთა წერილთაგან თუ ვთქუათ, იგიცა ჭეშმარიტი და უცთომელი არს, რომელი ზემოკსენებულთაცა წმიდათა მამთა შეიწუნარეს და დაამტკიცეს. და მართლაც, მარიამ ქალწულის მშობელთა შესახებ ამ შესავალის შემდეგ ავტორი იწყებს გრიგოლ ნოსელის სიტყუებით: ესრეთ იტყუს ნეტარი გრიგოლ ნოსელი: ესრეთ აღმომიკითხესო წიგნსა შინა დაფარულსა, ვითარმედ წარჩინებულ იუო მოქალაქობასა მას შინა რჩულისასა და სანულოჲან ქველის-საქმითა მამაჲ უოჲად წმიდისა ქაღწულისა მარიაშისა. ჩანს, ბიზანტიურ ლიტერატურაში ცნობილი ყოფილა კრებული ღვთისმშობლის შესახებ აპოკრიფებისა, რომე-

ლიც, უმეტეს ავტორიტეტისათვის, წარწერილი ყოფილა მაქსიმე აღმსარებლის სახელით; ამ გარემოებას, აკრეფე იმას, რომ, როგორც ამოვწერეთ, შინაარსი აქ კრებულისა მოტანილთა თითქოს საღმრთო წერბლისა და წმიდა მამათა თხზულებათაგან, გაუბედვინებია ექვთიმესათვის ეთარგმნა ეს შინაარსით მკითხველთათვის საინტერესო კრებული. ხოლო რაც შეეხება ავგაროზს, იმას ზოგიერთა ეპოქებში და ზოგიერთა წრეებში კანონიურ ღირსებასა და მნიშვნელობასაც კი აძლევდენ, რის გამო იმას სახარებაში ათავსებდენ, როგორცა ვთქვით, და მაშასადამე გასაკვირველი არაა, თუ ექვთიმემ მისი თარგმნა გაბედა. ამით უნდა აიხსნეს ის გაუგებრობა, რომ ექვთიმე, პრინციპიალური და შეგნებული მოწინააღმდეგე ქართულ მწერლობაში აპოკრიფების შეტანისა, თვით სთარგმნის მწერლობას ამ დარგიდან რამდენიმე ნიმუშს.

აღნიშნულთ გარდა, ექვთიმეს უთარგმნია აგრეთვე აპოკრიფული აქტები მოციქულებისა, სახელდობრ: 3) იოანე მახარებელისა, აღწერილი ზროხორეს მკერ, მოწაფის მისის ერთისა შუდაგანისა, ძმისწულის სტეფანე ზირველმოწამისა, რომელიც იწყება ასე: ესე კაცი ღმერთშემოსილი უზეშთაისი ანგელოზთაგან, შეუარებელი ყოველთა შეკუფისა.¹ 4) პეტრე მოციქულისა; პეტრეს შესახებ ექვთიმეს უთარგმნია ორგვარი აქტები: ა) თქუმული წმიდისა და ნეტარისა მღვდელმოწამისა კლემენტის ჰრომისა და ჰაპისა და წმიდასა მოციქულისა პეტრეს მოწაფისა, თუ ვითარსახედ დაემოწაფა იგი წმიდასა მოციქულსა პეტრეს, რომელი ესე მთუწერა ჰრომით იერუსალიმს წმიდისა იაკობის მიმართ ძმისა უფლისა ბრძანებითა წმიდისა მოციქულისა პეტრესითა.² აქ ჩვენა გვაქვს ნაწყვეტი ეგრედწოდებული კლემენტინებისა, რომელიც შეადგენს ნაწილს *Kirpaxματα Πέτρος*-ისას. ბ) ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა მამისა ჩუენისა და მოციქულთაწორის ბაგრატისი მღვდელმოსძღურისა ტავრომუნელთა ქაქაქისა ჭაქაქისა მას სიკილისა, რომელი აღწერა ევაგრე ენასკობოზმან, მოწაფემან მასმან;³ ამ აპოკრიფშიაც, რომელიც გამოცემულია ალ. ხახანაშვილის მკერ,⁴ ლაპარაკია პეტრეს მიმოსლვის შესახებ. 5) ანდრია მოციქულისა; ანდრიას აქტებიდან ექვთიმეს უთარგმნია მოსაყენებელა მიმოსლათათვის და

¹) ათონის კრებული, გვ. 111-175, Bibliotheca Hagiographica Graeca, P. 127, № 916-917.

²) ათონ. ხელნ. № 50, 169-219, №73. 131-154, Migne. PG. t. II. col. 479-580.

³) ათონ. ხელნ. № 50, გვ. 1-102. სიძვ. მუშ. № 134, 424-391, № 382, 151-185, № 910.

⁴) Багратъ, епископъ Тавроменскій, Труды по восточнѣннѣю Алазаревскаго Института, кн. XIX.

ქაღაგებათა მთავრისა ანდრეასი, რომელიც გამოცემულია მ. საბინინის მიერ¹ და რომელიც, მთარგმნელის სიტყვით (სიძე. მუზ. № 1141), შეკრიბა ჰირველ წერილთა მოსაკსენებელთაგან ნიკიტა დინსმან მონაზონმან და ფაფოსოფოსმან, ესე იგი ნიკიტა-დავით პაფლალონელმან, მეცხრე საუკუნის პანეგირისტმა, თუმცა აქ ნიკიტაზე უფრო ექვთიმეს გამოუყენებია ეპიტაფე მონაზონის რედაქცია.² არანაკლებ გასაოცარია, რომ ექვთიმე, რომელიც ზემოდასახელებულ კითხვა-მიგებაში კრიტიკულად უყურებს მოციქულთა აქტებსაც, თარგმნის დროს კრიტიკულ თვალსაზრისსა სტოვებს და ისეთ ნაწარმოებსაც კი აქართულებს, როგორცაა კლემენტინები. 6) ამათ გარდა ექვთიმეს უთარგმნია, როგორც აპოკრიფული ლიტერატურის მიმოხილვისას დაენახავთ, ზოგიერთი სტატიები აპოკრიფული კრებულის მარგალიტისა.

III. **ეგზეგეტიკა.** ყველაზე აღრინდელი ეგზეგეტური და ამასთანავე საზოგადოდ ლიტერატურული ნაწარმოები ექვთიმესი არის თარგმანი იოანე მსხრეხელის ხიფვისაჲ, რომელიც ეკუთვნის ანდრია კრიტელის ან კესარიელის კალამს³ და რომელიც ექვთიმეს უთარგმნია გამოსაძღვების ან ანთაკლიასის ტექსტთან ერთად, დაახლოვებით 975-977 წლებში. უძველესი ნუსხა ამ თარგმანისა, რომელსაც ბოლოს მიწერილი აქვს ტექსტის ხელით: ქრისტე, ადიდე სულითა ეფთიმე. ამისი თარგმანი,⁴ ჰვენ გვხვდება შიო მღვიმის მონასტრის 978 წლის ხელნაწერში.⁵ 2) მეორე, აგრეთვე აღრინდელი, ეგზეგეტური შრომა ექვთიმესი, შესრულებული დაახლოვებით იმავე დროს, მაგრამ არაუგვიანეს 980 წლისა, არის თარგმანებაჲ იოანეს მსხრეხისაჲ, რომელიც იოანე ოქროპირის კალამს ეკუთვნის.⁶ მათეს თავის თარგმანების შესაფაღში იოანე ათონელი, მამა ექვთიმესი, რომლის ინიციატივითაა ნათარგმნი ეს თხზულება, ამბობს: ხოლო ენას აჴს ჩუენსა ქართულსა აჴაჴინ სადა ჰოენად იყო აჴამოდე, რათამცა გამოესუნეს წმიდანი ესე წიგნნი, თარგმანებანი წმიდისა ს-

1) საქართველოს სამოთხე, გვ. 24-47.

2) Migne PG. t. 120, col. 216-260

3) Migne, PG. 106, col. 215-458.

4) თ. ყორღანია, ქრონიკები I, 122-123; აგრეთვე სიძე. მუზ. ხელნ. X საუკ. № 397.

5) თ. ყორღანია სიტყვით აქ იგულისხმება ექვთიმე გრძელი, X ს. მოღვაწე, და არა ექვთიმე ათონელი, მაგრამ ამის შესახებ იხ. ჩუენი სტატია: ორი ექვთიმე ძველს ქართულ მწერლობაში, კრებული ჩვენის მეცნიერება, № 2-3, გვ. 103-104.

6) Migne, PG. t. 59.

ხარებისა, არამედ საიკონხეთისა ეკლესიისანი და ჰრომისანი საესე იუენეს ამა-
 ტან, ხოლო ჩუენას მის ქუეყანასანი საკლდევეს, და არა ესეთდენ წიგნი აკლ-
 დეს ენასა ჩუენსა, არამედ სხუანიცა მრავალნი. ამისთვის მე, გლახაკი ესე და
 ნარჩევი უოველთა მონასთანთაჲ იოანე, შწუხარე ვიყავ ამის საქმისათვის, რა-
 მელ ესრეთ საკლდევეს იყო ქუეყანაჲ ქართლისაჲ წიგნთაგან, და დიდი ხარკე-
 ბაჲ და მოღუწებ.ჲ კახუესე და შვილი ჩემი ეფთჳმე განუსწავლე სწავლითა ბერ-
 ძეღიითა სრულად და გამოთარგმანებაჲ წარვეჭმარითე წიგნთა ბერძელისაგან ქარ-
 თულად. ¹ ამ თხზულების თავდაპირველი ნუსხიდან, რომელშიაც მოყვანილი იყო ამოწერილი სიტყვები, გადმოუღიათ ერთი ცალი 100² წელს და ეს უკანასკნელი დადებია საფუძვლად იმ ნუსხებს, რომელნიც საქართველოში გამრავლდენ მერე, სახელდობრ, წყაროსთავის 1033-104² წლ., ველათის 1047-1053 და სხვ. ³ იოანეს სახარების გარდა ექვთიმეს უთარგმნია აგრეთვე თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ; ² ეს უკანასკნელი შრომაჲ, რომელიც მას უთარგმნია მამის სიკოცხლეში, მაშასადამე, დაახლო-
 ვებით 998 წელს; კამის სიბერისა და უძღურებისა ჩემისა, ამბობს მამა ექვთიმესი იოანე, ბრძანებითა დემეტრემოსილისა მამათმავრისა კარონისითა წარვეჭმართე შვილი ჩემი ეფთჳმე და ვისარკე, რათა თარგმანებაჲცა მათეს თავისა წმიდისა სახარებისაჲ დაწეროს ენასა ჩუენსა, რომელი იგი სიმრავლი-
 სათვის შრომისა აქამომდე არა დაგუეწერა, რამეთუ ვითარცა ხელავთ, დიდი წი-
 გნი არს და ძნელი გამოსათარგმანებლად ბერძელისაგანო. ³ იოანეს სახარების კომენტარიების შემდეგ ექვთიმეს გადმოუთარგმნია ⁴ თარგმანებაჲ ჟუსტინისაჲ ვასილი დიდისა. ⁴ ის თარგმნილი ყოფილა 981 წლამდე, ვინაიდან ამ წელს იმავე საბაჲ, რომელსაც გადაუწერია ზემოდასახელებული აპოკალიპსის თარგმანება, გადაუწერია მთარგმნელის მამის იოანესათვის ამ თხზულების ერთი ცალი. ⁵ ეფრემ მცირეც აღნიშნავს ერთს თავის ნაშრომში, რომ ვასილი დიდის დასახელებული შრომა უნაკლულად ითარგმნეს ენასა ამას ჩუენსა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ეფთჳმის მიერ. და წმიდისა ბასილდარ მიერ თარგმანებუდი სხუაჲ არა არს, თვნიერ მისსა, რომელ იგი მოგუანიტა წმიდამან ეფთჳმე, სიხარული-
 სს სეხნამან და უოველთა თარგმანთა თუადმან და წუარომან მეტყუელებლთა-

¹) თ. უორდანი, ქრონიკები I, 140-141.

²) Migne PG. t. 57-58.

³) თ. უორდანი, ქრონიკები I, 141-143.

⁴) Migne, PG, 29. col. 209-494.

⁵) A. Шагарели, Свѣдѣнія I, 82, ხელნაწ. № 49.

მან.¹ ქართული თარგმანი შეიცავს შემდეგ ფსალმუნთა განმარტებას: 1, 7, 14, 28, 29, 32, 33, 37, 44, 45, 48, 59, 61, 114. 115. ექვთიმეს ბიოგრაფიაში გიორგი მთაწმიდელი შენიშნავს, რომ ექვთიმემ გადაიღო ქართულად 5) თარგმანებად გალატელთა და თესლონიკელთა და პროპაგანდა ეპისტოლისა;² ასეთ სათაურიან თხზულებას ჩვენ ვერც ერთს ხელნაწერში ვერ ვპოულობთ, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ ის ასე უგზო-უკვლოდ დაკარგულიყოს; ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს თხზულება უნდა შენახულიყოს იმ ნაშრომში, რომელსაც ეწოდება თარგმანი ძნად გულისხმის საყოფელთა მოციქულის პავლეს სიტყუათაჲ, გამოკრებილი წმიდის იოანე აქროპარის თქმულთაგან. საქმე ისაა, რომ ამნაირ გამოკრებულ რეცენზიებს ამა თუ იმ თხზულებისას იძლეოდა სწორედ ექვთიმე მთაწმიდელი. თან იმ ერთად ერთ ხელნაწერში, რომელშიაც შენახულია ეს თხზულება,³ ის დაკავშირებულია იოანე სინელის კლემასთან, რომელიც ექვთიმეს 983 წლამდე უთარგმნია. აქ განმარტებულია ცალცალკე თავები და მუხლები არა მარტო სათაურში მოხსენებულ ეპისტოლეთა, არამედ კორინთელთა, ეფესელთა, ფილიპელთა, კოლასელთა, ებრაელთა, 2 ტიმოთესი, 1 და 2 იოანესი, იუდასი და 1 პეტრესი. ბიოგრაფიის ცნობით ექვთიმეს მამისავე სიცოცხლეში უთარგმნია გრიგოლ ნოსელის ორი ეგზეგეტური თხზულება: 6) წმიდის მამათ ჩუენოას თარგმანი⁴ და 7) წმიდის მოსე წინადასწარმოციქულის ცხორების თარგმანი, სახედ დაუდებისა, რომელი ძმას ვისმე ეთხოა.⁵ პირველი ამათგანი, რომელსაც სათაური აქვს: სწავლაჲ ღოცვისაჲ და თარგმანებაჲ მამათ ჩუენოასაჲ, შესდგება ხუთი თავისგან,⁶ ხოლო მეორის შესახებ ნათქვამია ხელნაწერში,⁷ რომ ძმას ეთხოვა მისგან სწავლაჲ სულიერი სისრულისათჳს და მან შემოიღო მოსეს ცხოვრებაჲ და მოუწერათ. 8) ქართულს ძეგლებში გვხვდება ერთი ნახევრად აპოკრიფული, ნახევრად ეგზეგეტური ნაწყვეტი: გამოცხადებისათჳს შექლისედეგისა, რომელიც იწყება ასე: შვა ასელა სადი, და საღმან შვა შელქინ, და შელქინ იყო წარმართი და ბილწი და აღასრულებდა გებასა კერძთა მათაჲ.

¹) ძველი საქართველო, ტ. 3, გვ. 1, გ. 245 ს.

²) ათ. კრებ., გვ. 29.

³) სიძ. მუხ. № 445.

⁴) Migne, PG. t. 44, 1119-1194.

⁵) ათონ. კრებ. გვ. 28. Migne, PG. t. 44, 297-430.

⁶) სიძ. მუხ. № 108, 316-350.

⁷) სიძ. მუხ. № 108. 350-412.

მართ.¹ თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნთსაცავის კატალოგში მე-13 ნომრის ქვეშ აღნიშნულია ბასილი დიდის ითიკა და ნათქვამია: კუალად ამსვე შინა წიგნსა არს აღწერილი დიდის ვასილის მიერ მექისედეკის გამოჩინებისა-საჲს და თუ რაჲსათჲს უმამოდ და უდელოდ იწოდა იგი. მექისედეკის შესახებ საღმრთო წერილში ნათქვამია, რომ ის იყო უმამო, უდელო, ნათესავმოუკსნებელი, არცა დასაბამი დღეიას, არცა აღსასრული ცხოვრებისა აქუს (ებრ. VII, 3). ამ ნიადაგზე უკვე ძველს ეკლესიურ მწერლობაში წარმოიშვა სხვადასხვა გვარი ცდა მექისედეკის გენეალოგიის შედგენისა და მისი სამეფო ქალაქის, სალიმის, ადგილმდებარეობის გარკვევისა; ამ ცდას, თვით წმიდა მამათა და საეკლესიო მოძღვართა თხზულებაშიაც კ, აპოკრიფული ხასიათი აქვს წმიდა ეგზეგეტურ პრეტენზიებთან ერთად. ერთერთ ცდას წარმოადგენს ქართული ნაწყვეტი, რომელსაც თეიმურაზ ბატონიშვილის ხელნაწერი ბასილი კესარიელს აკუთვნებს.² თუ ეს ნაწყვეტი მართლა შემადგენელი ნაწილია ბასილის ითიკისა,³ რომელიც ექვთიმეს მიერაა ნათარგმნი, ის ექვთიმეს თარგმანად უნდა ჩაითვალოს. ეგზეგეტური ხასიათისაა გრიგოლ ლეთისმეტყველის ერთი ტრაქტატი: 9) სიტყუათა მათიჲს წმიდისა სასარებისათა: რომელმან მეთევზურნი წინაღწარვე იხინნა იესო ქადაგად სიმართლისა და ჭეშმარიტებისად, რომელიც ჩვენ გვხვდება ექვთიმეს თარგმანთა შორის.⁴ დასასრულ, ექვთიმეს უთარგმნია მაქსიმე აღმსარებელის შემდეგი სამი საეგზეგეტიკო თხზულება: 10) თაღასეს მიმართ სუცისა და მამასახლისისა მრავალთა მონასტერთაჲსა სიტყუათათჲს, რომელთა განმარტებაჲ ეთხოა ნეტარსა მაქსიმესაგან,⁵ ვრცელი თხზულება, რომელშიაც განმარტებულია საღმრთო წერილის ძნელად გულისხმის საყოფი ადგილები და რომელშიაც, ჩანს, ექვთიმეს ბერი რამ თავისი საკუთარი და სხვა წყაროთა მასალები შეუტანია.⁶ 11) სიტყუანა სასარებისანი, გამოკრებულნი წმიდათა მამათა მიერ წმიდისა მაქსიმეს თქუმულთაგან, კითხვა—მიგების სახით.⁷ 12) თარგმანებაჲ ძნელად:

¹) სიძვ. მუხ. № 381, 9-12, № 394, 302-303.

²) იქ, შეიძლება, ბასილი კესარიელი არეული იყოს ევსევი კესარიელთან, რომელსაც აქვს ტრაქტატი მექისედეკის შესახებ.

³) თუმცა ითიკის სხვა ნუსხებში, რომელიც ჩვენ ვიცით, ის არ გვხვდება.

⁴) სიძვ. მუხ. № 87, 245-261.

⁵) მარტვილის მონასტრის ხელნ. № 1, 152-665; ჯრუჭის მონასტრ. № 4, 150-541, სიძვ. მუხ. № 636, 41-181.

⁶) Migne, P. G. t. 93, 243-786.

⁷) სიძვ. მუხ. № 128, 850-867.

გულისხმის საუფიქროს ქრისტეს შობისა სკიპისაგანათა გრიგოლ ღმრთისმეტყველისა. ¹ ახსნილია და განმარტებული ყველა ის ადგილები დასახელებული ქადაგებისა, რომელნიც რაიმე სიძნელეს წარმოადგენენ. ²

IV. დოღმატიკა და პოლემიკა. ამ დარგში პირველად ყოვლისა უნდა დავასახელოთ 1) გრიგოლ ღმრთისმეტყველის თხზულებანი, რომელნიც ექვთიმეს უთარგმნია 943—991 წლებში; სულ 24 თხზულება გადმოუღია მას, რომელშიაც გატარებულია დოღმატური მოძღვრება, მაგრამ ამათგან უდიდესი ნაწილი წარმოადგენს ქადაგებას და ამიტომ ისინი სხვა ადგილას იქმებიან დასახელებული; აქ კი აღნიშნავეთ გრიგოლის წმიდა დოღმატურ თხზულებებს, როგორცაა: ა) თქემული სარწმუნოებისათვის არინოზთა და ენოზიანოზთა მიმართ მწვალებელთა; ³ ბ) თქემული ძისათვის ზირეულსაუკუნეთა მამისაგან შობილისა, თავი ა და ბ, რომელნიც წარმოადგენენ 3 და 4 სიტყვას ღმრთისმეტყველებისათვის-იდან; გ) თქემული სულისა წმიდისათვის სიტყვსგებაჲ ბოროტთა მწვალებელთა მიმართ, ⁴ ეს არის მეხუთე სიტყვა აღნიშნული თხზულებისა ღმრთისმეტყველებისათვის. 2) მაქსიმე აღმსარებელისა ა) სიტყვსგებაჲ, რომელი იქმნა შორის წმიდისა მაქსიმესისა და ზირსი კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა მწვალებლისა, ⁵ რომელშიაც დარღვეული და განქიქებულია მონოფელიტური ქრისტოლოგია. ⁶ ბ) თავნი ათხუთმეტნი ღმრთისმეტყველებისათვის. ⁷ ვ) იოანე დამასკელისა: ა) როგორც ბიზანტიისაში, აგრეთვე იოანეს ანდერძში აღნიშნულია ერთი თხზულება, ექვთიმეს ნათარგმნი, —სარწმუნოებისათვის. ⁸ ეს თხზულება, როგორც ჩვენ გამოვარკვეით, ⁹ არის წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე მოხაზონისა და ხუცისა დამასკელისა თქემული სარწმუნოებისათვის, სიტყვსგებაჲ უთაოსა მიმართ მწვალებელთა, რომელნი ორთა მათ ბუნებასა ქრისტესთა უარჰყოფენ. ¹⁰ მოკლე

¹) Migne, P.G.t. 91, 1031-1060.

²) სიძვ. მუზ. № 1, 201-257.

³) სიძვ. მუზ. № 1, 16, 92, 87, წერ.-კით. № 383, 1696

⁴) სიძვ. მუზ. № 1, 16, 87, 92, წერ.-კით. № 1696.

⁵) მარტვი. ხელნ. № 1, 111-151, ჯრუჭის ხელნ. № 4, 117-150, სიძვ. მუზ. № 636, 33-41. წერ.-კით. № 1128.

⁶) Migne, P.G. t. 91, col. 287-354.

⁷) სიძვ. მუზ. № 23, 39, 711.

⁸) A. Цареплин, Свѣдѣніи I, 88, ათონ. კრებ. გვ. 28, ხადაც შეუთომთ ეს თხზულება აღნიშნულია ისე, თითქოს ის იყოს ფერეხ ასურის თხზულება.

⁹) Xpист. Востокъ, III, 133-135.

¹⁰) სიძვ. მუზ. № 200, 240, 853 და სხვა.

შესავლის შემდეგ აქ ჩვენ ვკითხულობთ: დაწეებაჲ წიგნისა ამის, რომელსა გწოდების წინამძღუარი, თქუმილი იოანე დამასკელისა. ამნაირად, ირკვევა, რომ სარწმუნოებისათვის და წინამძღუარი ერთი და იგივე თხზულება ყოფილა. რა თხზულებაა ეს თხზულება? ამას განგვიმარტებს ჩვენ ეფრემ მკირე, რომელიც მის მიერ ნათარგმნი იოანე დამასკელის თხზულების: გარდამოცემად უცილობელი მართლმადიდებელია სარწმუნოებისაჲ-ს შესავალში ამბობს: რომელსა... მოკლე წინამძღუარი უნდაეს წმიდისა მამისა ეფთჳშეს მიერ იარგმანებული, იგი შეიტკბოს, რამეთუ მას მადლითა სულისა წმიდისაჲთა კელეწიფებოდა შემატებაჲცა და ელებაჲცა, ხოლო უმეოუ ახალი ესე სწადეს გარდაწერად, მას ამასთანა ნუ გაჭრეეს, ნუცა ამას მას თანა... ამას ეთველს თანა ესეცა საცნაურ იყავს, ვითარმედ წინამძღუარი სახელად წმიდისა ანასტასია სინკლისა თქუმელთათჳს მინასაჲს ბერძელსა შინა, ხოლო ამის წიგნისათჳს არასადა თჳნიერ ქართულისა, ამისათჳს-ცა ესრეთ ჟერ უნდის სიწმიდესა თქუენსა, რათა, ვითარ იგი ზედაწარწერილსა ამისა შინა ითქუმის, გარდამოცემად უწოდეთ წიგნსა ამას, რომელი იგი ბერძელსა შინა ესრეთვე წარწერილ არს, და წინამძღუარი მასვე წმიდისა მამისა ეფთჳშეს იარგმნილსა სახელადებოდენ, რამეთუ აუთ იგი ამისგანვე გამოკრეიბილი არს. ხოლო ესე არა უწყი, თუ იუჳა მამისა ეფთჳშეს გამოკრეიბია. ანუ ბერძელად ესრეთ უპოვნია.¹ აქედან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ექვთიმეს მიერ ნათარგმნი თხზულება იოანე დამასკელისა სარწმუნოებისათვის ან წინამძღუარი ყოფილა შემოკლებული რედაქცია დამასკელის გარდამოცემისა (*Ἐκδοσις ἀκριβής τῆς ἐπιμιθῆναι πλάτυνας*). ის შედგება ოცდამეოთხე სტატიისაგან (ზოგიერთ ნუსხებში 25) და წარმოადგენს ნამდვილს *Compendium*-ს დამასკელის თხზულებებისას; აქ შეტანილია ექსცერპტები უმთარესად გარდამოცემიდან და აგრეთვე შემდეგ თხზულებათაგან: *Ἰερα παρὰ λήγλα*, *წვალებათათჳს*, *რთულისათჳს ბუნებისა*, *სამწმიდაობისა* *გალობისა* და *წმიდისა სამებისათჳს*.²

ბ) მეორე დოღმატური თხზულება დამასკელისა, ექვთიმეს მიერ თარგმნილი, არის ორისა ბუნებისათჳს ქრისტესსა,³ რომელსაც ხელნაწერში

1) თ. ყორღანი, ქრონიკები I, 216—218.

2) ამ თხზულების გადმოთარგმნას თ. ყორღანი მიაწერს ექვთიმე გრძელს (ქრონიკები I, 334), მაგრამ ამის შესახებ იხ. ჩვენი სტატია: ორი ექვთიმე ძველს ქართულ მწერლობაში, კრებული ჩვენი მეცნიერება № 2—3, გვ. 114—120.

3) ათონ. კრებ. გვ. 28.

შეკლდეგი სათაური აქვს: ქრისტეს შორის ორთა ნებაათვს და მოქმედებათა და სხუათა ბუნებითთა თხსებათა. განს. შემოკლებული, და ორთა ბუნებათათვს და ერთისა გუამისა; ¹ ჩანს, ესეც კრებულს წარმოადგენს დამასკელის ანტი-ზონოფიზიტურა და ანტიმონოფელიტური თხზულებებიდან ამოღებული აუცილებლისას. ექვთიმეს მიერ ნათარგმნ დოღმატურ თხზულებათა შორის უნდა აღინიშნოს ² მიქელ სჯეკლასის (IX ს) სიმბოლო: მრწამს ერთი ღმერთი, მამაჲ. უშობელი, და ერთი ძე... რომელიც შეტანილია მაქსიმე აღმსარებელის ცხოვრებაში, როგორც მაქსიმეს სიმბოლო. ³ დასასრულ, უნდა დავასახელოთ ⁴ გრიგოლ ნოსელიის ძაგამა სულიისათვის დის თვისის მკრინაჲს თანა, ⁵ რომელსაც ეპოულობო სიძე. მუზ. № № 55, 108, 142.

V ასკეტიკა და მისტიკა. ამ დარგში ექვთიმეს უთარგმნია შემდეგ მწერალთა თხზულებანი: 1) გრიგოლ ღვთისმეტყველისა: ა) სწავლანი სულიერნი ასთავად, ⁶ ბ) ღმრთის სათნოეთისათვის, რომელიც იწუება ასე: მოვედით ძმანო ჩემო საეუარეზო და ვისწრაფთო სათნოეთად ღმრთისა. ვახილნეთ ქველის-მოქმედებანი მისნი (სიძე. მუზ. № 1139). 2) მაქსიმე აღმსარებელისა: ა) სიტყვსკებისათვს ყებათაჲსა, მიწერილი მამისა თაჲსკს მიმართ; ⁷ ბ) სწავლანი სულიერნი, სულ 97 მოკლე სწავლაა ზნეობრივი ხასიათისა, თუ როგორ უნდა ცხოვრობდეს ქრისტიანე, ამოკრებილია მაქსიმეს სხვადასხვა თხზულებათაგან; ⁸ გ) სწავლათაგან მაქსიმე აღმსარებელისა, რომელი შეეჭუსისა კრებისაგან განბრწინდა; აქ ჩვენ გვაქვს კითხვა-მიგების სახით მთელი რიგი ახსნა-განმარტებისა ყოველდღიური ცხოვრების კაზუსებისა (სიძე. მუზ. № 57, 1—204, № 116, 1-206); დ) სწავლათაგან წმიდისა მამისა ჩუენისა მაქსიმე აღმსარებელისა, სადაც ლაპარაკია სულიერ მამისადმი მორჩილებაზე. ⁹ შეიძლება ეს სამი კრებული მაქსიმეს სწავლათა საგანგებოდ ექვთიმეს მიერ იყოს შედგენილი, შეიძლება ბიზანტიურს მწერლობაშიაც არსებობდა ან სახით. ე) სწავლაჲ მონისა ღმრთისა სერგის მიმართ მაგისტრისისა. ¹⁰

¹) სიძე. მუზ. № 205, 431—448, № 267.

²) K. Kekelidze, Monumenta hagiographica Georgica, t. I. p. 87—90.

³) Migne, PG. t. 46, 11—160.

⁴) სიძე. მუზ. №№ 1, 16, 80, 87, 224, 518. წერ.-კით. №№ 383, 1696.

⁵) მარტვი. მონასტ. ხელნ. № 1, 666-850, ჯრუჭის ხელნ. № 4, 341-686,

სიძე. მუზ. № 636, 181-232.

⁶) სიძე. მუზ. № 126, 271-291, № 146, 65-90.

⁷) სიძე. მუზ. № 57, 551-555.

⁸) სიძე. მუზ. № 1139.

3) გრიგოლ, ჰრომთა პაპის, დიაკონის, რომელიც მას უთარგმნია ქორონიკონსა სლა, ბერძულად დასაბამითგან წელთა ხვით, ესე იგი 1011 წელს, (სიძვ. მუზ. № 1141). ექვთიმეს ამ თხზულებაში ცოტა რამ თავისებურობაც შეუტანია: პეტრე იბერიელი, ან ესპანელი, რომელიც ევაზში მოღვაწეობდა და რომელმაც ჯოჯოხეთი იხილა,¹ მას ქართველად უქცევია: მონაზონი ვინმე იყო სახელით პეტრე, ნათესავით ქართველი.... და იგი მითხრობდა ცხოვრებისათვის თვისისა უმანკოდ, ვითარ-
 შედ ვიფაც რად ქვეყანასა ქართლასსა.² 4) სწავლანი წმიდისა ზოსიმეს-
 ნი, რომელნიც 993 წელს უკვე თარგმნილი იყო.³ 5) ამბა დორო-
 თე: ა) სწავლანი სამონაზონის, — შესდგება 15 თავისაგან, რომელთა-
 გან 6-15 შენახულა სიძვ. მუზ. ხელნ. №№ 146, 126, ხოლო პირ-
 ველი ხუთი თავის აღდგენა შეიძლება ილარიონის მიერ შედგენილი
 ათონის ქართულ ხელნაწერთა კატალოგით.⁴ ამ თხზულებაში უნდა
 გვექონდეს Δ:δανααλξια ψαχυφελξεξξ: ξ:αφοξου;⁵ ბ) მორხილევისათვის და ნე-
 ბისა დატევებისათვის და ვსებათა და ცოდვათათვის;⁶ გ) თქუმულთაგან წმიდისა
 დოროთესთა გამოკრებული.⁷ 6) იოანე სინელის კლემასი,⁸ რომელიც
 983 წელს უკვე თარგმნილი იყო.⁹ 7) მაკარი მეგვიპტელის ეპის-
 ტოლენი,¹⁰ ორი, და სწავლანი ძმათა მიმართ¹¹ 28 თავი, სულ 30 თავისა-
 გან, მოთავსებულია ათონის ხელნაწერში, რომელიც გადაწერილია
 აღმწვე ქუაბსა საყოფელსა ქართველთასა, ეკლესიასა წმიდისა ღმრთისმშო-
 ბლისასა ვინმე ისააკის ხელით 1030 წ.¹²
 8) ეფრემ ასურის სწავლანი რიცხვით ხუთი: ა) იოვანეს მიმართ მონა-
 ზონისა და მამასახლისისა, ბ) ნეოფიტეს მიმართ მონაზონისა, გ) ნეტარებაჲ მო-

¹) Migne PL, t. 77, col. 381-382

²) М. Джанашивили, Описание рукоп. Тиф. церков. музея, кн. III, стр. 21-22.

³) Н. Марр, Агиографические материалы по грузин. рукоп. Ивера, I, 83-86.

⁴) А. Цагарели, Свѣдѣнія I, დამატება, გვ. 9.

⁵) Migne, PG. t. 88 col. 1009-1844.

⁶) А. Цагарели, Свѣдѣнія II, 90.

⁷) სიძვ. მუზ. № 57, 389-409, № 116, 351-377.

⁸) Migne, PG. t. 88, 631-1164.

⁹) А. Цагарели, Свѣдѣнія I, 89.

¹⁰) Migne, PG. t. 34, 449-822.

¹¹) Migne, PG. t. 34, 405-446.

¹²) А. Цагарели, Свѣдѣнія I, 83-84, Н. Марр, Агиограф. материалы I, 84, თ-
 გორღანის, ქრონიკები I, 170.

დუწეთად, დ) ღოცვაჲ ჰარასკევისად, ე) შიღებაჲ თავის თვისად და აღსარებაჲ. ¹
 9) ისააკ განშორებულის, ასურის, სწავლანი მოღუწებითნი, შეს-
 ღება 4² თავისაგან; ² ბერძნულს ტექსტში ეს თხზულება შეიცავს 10
 თავს, ჩანს ექვთიმეს ესეც გამოკრებით უთარგმნია. ექვთიმეს ცხოვ-
 რებაჲი ნათქვამია, რომ მან თარგმნა წიგნა წმიდის ისაკისი, რომელსა
 შინა არიან სხუათაგა მამათა გამოჩინებულნი სწავლანთ; ³ ეს გამოჩინებული სწავლანი
 სხუათა მამათანი, გარდა ზემოდასახელებული გრიგოლ ღვთისმეტყველი-
 სა და მაქსიმე აღმსარებელისა, არიან შემდეგნი: ⁴ 10) ანდრია კრიტი-
 ლი—ამოებისათჳს კაცობრივთა საქმეთა და შესუენებულისათჳს, 11) თეოფა-
 ნე, მთავარებისკოპოზი კესარია კაპადუკისად: ა) სულის მიმართ თვისა,
 ბ) თავის თვისა მიმართ, გ) ღოცვაჲ სიანხელისად, დ) შიშისათჳს ღმრთისა,
 ე) მცნებათა ღმრთისა დაცვისათჳს. 12) იოანე ოქროპირი,—სწავლანთ,
 რომელიც ასე იწყება: გვედრებით თქუენ, შვილნო სემნო და მანო, აძიე-
 ლენით თავნი და გონებანი თქუენნი. 13) ისაია ხუცესი—საანთებისათჳს,
 14) ნილო მონაზონი განშორებული—სწავლანი (ერთია, რომე-
 ლიც იწყება: თქუა წმიდამან მამამან ნილო: დაღაცათუ არაფინ გდევნიდეს
 მძღავრი წარმართი, არამედ შენ მზა იყუე წამებისა მიმართ). 15 მარკოზ
 განშორებული—ეპისტოლე თვისის მოწაფისა ნიკოლასს მიმართ. 16)
 კასიანე ჰრომაელი—თქუული რვათა მათ გულის სიტყუათაჳს ბოროტთა:
 ნაურთუნებისა და სიძვას და ვეცხლის მოუარებისა და რისხვისა და მწუხარე-
 ბისა, მოწიენებისა და ცუდ მზუაობრობისა და აშარტყანებისათჳს; ⁵ ეს თხზუ-
 ლება რომ ექვთიმეს ნათარგმნია, დამოწმებულია მის ბიოგრაფიაშიც. ⁶
 17) კითხვაჲ ძმისა ფისიმე ბერისა მიმართ თიბაიდელისა; კითხვა: ვითარ ჯერ არს
 დაუუდებაჲ სენკსა შინა? 18) ვასილი დიდი კესარიელი: ა) ითიკა ⁷
 წარმოადგენს კრებულს, რომელიც ქართულს თარგმანში შესდგება 5:3
 სტატიისაგან ჰომილეტიკურ, მორალურ, ასკეტიკურ-მისტიკურ და
 ეგზეგეტიკურ ხასიათისა. ⁸ ცალ-ცალკე სტატიები ამ კრებულისა ჩვენ

¹) სიძვ. მუხ. №№ 1142, ფ. 298—337. და № 612, ფ. 563—637.

²) სიძვ. მუხ. № 35 და № 1139, სინ. № 87.

³) ათონ. კრებ., გვ. 27.

⁴) სიძვ. მუხ. № 1139.

⁵) Migne, PL. t. 49.

⁶) ათონ. კრებ. გვ. 29.

⁷) Migne PG. t. 31. col. 653—870.

⁸) სიძვ. მუხ. №№ 100, 181, 394. წიგნ-კითხ. № 376, გვ. 105, ათონის № 44.

გვხვდება სხვადასხვა ხელნაწერებშიაც. ¹ წერა-კითხვ. ხელნ. № 376 ბოლოში მინაწერი აქვს, რომლიდანაც ვტყობილობთ, რომ, როდესაც ეს თხზულება უთარგმნია ექვთიმეს ² დაეიოთ კუროპალატის ბრძანებით მისი პირის მოსატანად საქართველოდან ათონზე წასულა ვინმე იორდანე და მართლაც მოუტანია იგი. ბ) თქუშუჯი კაქნის შუღთა შურისგებათაჲს. ³ 19) გ რ ი გ თ ლ ნ ო ს ე ლ ი ს: ა) შემოსდგისათჲს წმიდათა მარხვათაჲსა ⁴ ბ) სწავლაჲ ქაღწეულებითჲს და სად'რთო-ჲსა მოქალაქობისა. ⁵ 20) ს ვ მ ო ე ნ მ ე ს ო პ ო ტ ა მ ი ე ლ ი ს სწავლაჲ სიკუდილისთჲს. ⁶ 21) წიგნა ცხორებისათჲს და მოქალაქობისაჲს წმადთა და ჩუკართა მამათა ჩუენთა, ეს არის ასკეტიკურა კრებული, ბურძნულ ენაზე 'Ανεργων αγων Βιβλίου-ის სახელით ცნობილი; შენახულა, სამწუხაროდ, დეფექტური სახით. ⁷

VI ჰომილქტია. ამ დარგში, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ 1) გრიგოლ ღვთისმეტყველის 17 ნაწარმოები, ამათგან 14 თქუმული ან სიტყუაჲა: აღვსებისაჲს და დაყოვნებისა პონტოდ, აღვსებისათჲს, ახალკურიაკისათჲს და სატფურებისა, ღლისა მეერგასისა ან მარტკლიისათჲს, წინადღესა ქრისტესშობისასა, შობისათჲს მაცხოვრისა, ნათლისღებისათჲს ღღესა განცხადებისასა, ნათლისღებისათჲს ღღესა მეორესა, გრიგოლ ნოსელის მიმართ, 150 ეპისკოპოსთა მიმართ, წყლულებისათჲს სეტყუსაგან მოწეწეწულისა, გლახაკო მოწყალეობისათჲს, მამისა მიმართ იჲსისა და ერისა. სამი წარმოადგენს შესწავლას ან ხოტბას ბასილ'დილისას, წმ. მაკაბელთა და ათანასე აღექსანდრიელისას; ⁸ 2) გ რ ი გ ო ლ ნ ო ს ე ლ ი ს ა) ცხოვრებისათჲს ღისათჲსისა 'მაკონისა ⁹ ბ) შესწავლა ღისწმი დაღისა ბასილისა ¹⁰ გ) მარხვათაჲს; ¹¹ 3) ი ო ა ნ ე დ ა მ ა ს კ ე ლ ი ს ა — შ ო ბ ი

¹) მეჯღ. 6-13 და 34 თავები მისი გვაქვს სიძ. მუხ. № 1139-ში ასეთი სათაურით: „სწავლანი წმიდისა ბასილისნი“.

²) 981 წელს ის უკვე თარგმნილი იყო, А. Сагарели, Свѣдѣнія I, 82.

³) ოთონ კრებ. გვ. 29.

⁴) სიძვ. მუხ. № 50, 164-191.

⁵) სიძვ. მუხ. № 108, 292-304.

⁶) სიძვ. მუხ. № 1139, ფურ. 167-170.

⁷) სიძვ. მუხ. № 35.

⁸) სიძვ. მუხ. №-ნი 1, 16, 80, 87, 92, 178, 518, 224, წერ.-კითხ. №-ნი 383, 1696.

⁹) სიძვ. მუხ. №-ნი 55, 108, 142.

¹⁰) სიძვ. მუხ. № 108, 251-255, № 55, 54-58, № 394, 33-37, ოთონ. № 73, 85-95, იერუსალი, № 2.

¹¹) სიძვ. მუხ. № 50, 164-191.

სათეს წმადისა ღმრთისმშობლასა: ¹ 2) ან დ რ ი ა კ რ ი ტ ე ლ ი ს: ა) შესხმაჲ ნიკოლოზ საკურველთმოქმედისა, ² ბ) თქმული ამოკებისათეს ცნობრივთა საქმეთა და შესუსნებულთათეს. ³ 4) ექვთიმეს უნდა ეკუთვნოდეს იოანე ოქროპირის მარგალიტის თარგმანიც; ყოველ შემთხვევაში, ამ თხზულების იმ ცალში, რომელიც პროფ. ჩუბინაშვილს ეკუთვნოდა, პირველი სტატია ექვთიმეს თარგმანია. ⁴ შინაარსი ამ კრებულისა უმთავრესად ჰომილეთიკურია, თუმცა არს შავ მორალურ-მისტიკური და ეგზეგეტური სტატიებიც. ასეთ კრებულებს წმიდა მამათა თხზულებებიდან უმთავრესად ექვთიმე ათონელი სთარგმნიდა; ფერემ მცირეც ადასტურებს, რომ ისეთი კრებულები, როგორცაა მარგალიტი და ყუავეალკრებული, ექვთიმეს თარგმანი არისო. ⁵

VII. ჰაგიოგრაფია. ამ დარგშიაც მეტად ბევრი უთარგმნია ექვთიმეს; ჯერ კადევ აპოკრიფულ თხზულებათა თარგმანების მიმოხილვისას დავინახეთ, რომ მას რამდენიმე აპოკრიფულ-ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებიც უთარგმნია, როგორც, მაგალითად, ცხოვრება ღვთისმშობელისა, მიმოსლვანი პეტრე მოციქულისა, იოანე მახარებელისა და ანდრია პირველწოდებულისა და ცხოვრება ბაგრატ ტავრომენიელისა. რაც შეეხება ექვთიმეს მიერ ნათარგმნ წმიდა ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებთ, ისინი ორ დარგად განიყოფებიან; უმეტეს ნაწილად მას უთარგმნია ძველი, კიმენის, რედაქციის ჰაგიოგრაფია, სულ 29 ნაწარმოები, აქედან მამის სიცოცხლეში 16: წამებაჲ და სასწაული წმ. მთავარმოწამისა დიმიტრისა, ცხოვრებაჲ და წამებაჲ წმიდისა სტეფანე ახლისა, წამებაჲ წმ. კლიმი ანკურელისა, ცხოვრება ზასილი დიდისა, ამფილოქე იკონიელის მიერ აღწერილი, ⁶ ცხოვრება გრიგოლ ღვთისმეტყველისა, გრიგოლ ხუცის მიერ აღწერილი, ცხოვრება წმ. აკეთსი-მაჰისი. წამება წმიდათა მინა და ერმოგინესა, ცხოვრება ათანასე დიდისა, წამება წმ. სამთა ყრმათა: ალფიოს, ფილადელფიოს და კვრინესი,

¹) გელ. №3, 78-81, წერ.კით. № 5648. А. Чагареян, Свѣдѣнія I, 57, ათონ. კრებული, 83-28.

²) სიძვ. მუხ. №№ 140, 134, 161.

³) იერუს. ხელნ. № 2.

⁴) А. Чагареян Свѣдѣнія III стр. 107.

⁵) თ. ყორღანია, ქრონიკები I, 217.

⁶) იხ. სიძვ. მუხ. № 1141, ფ. 118-130; ეს ცხოვრება განხორციელდა იმის, რაც ჩვენ ვაქვს სიძვ. მუხ. № 19, ფ. 266-306, არ არის მხოლოდ ზასილის სასწაულები, დანარჩენში შეცვლილია, გადასხმული, ან გამოტოვებული მხოლოდ ზოგიერთი სიტყვები, ასე რომ ეს ცხოვრება არ უნდა ეკუთვნოდეს ექვთიმეს, გიორგის ის მხოლოდ შეცდომით მიუთვინებია ზისთის, ან და უმნიშვნელო ცვლილებით გადმოუყვებია უკვე არსებული თარგმნი.

ცხოვრება წმ. ონოფრე მძოვრისა, ცხოვრება წმ. მარიამ მეგვიპტელისა, სოფრონ იერუსალიმელის მიერ აღწერილი, წამება წმ. პროკოპისი, ცხოვრება და მოქალაქობა წმ. მაქსიმე აღმსარებელისა, ¹ ცხოვრება იოანე სინელისა, ცხოვრება გრიგოლ ნოსელისა. მამის სიკედილის შემდეგ უთარგმნია 12: წამება წმ. ფებრონიასა, წამება წმ. ანთიმოასი, წამება წმ. ვლასისი, წამება ორთა ბევრთაჲ, წამება წმ. თეოდორე სტრატოლატისაჲ (გადმოთარგმნილია 1013 წ.), წამება წმ. თეოდორე პერგიელი-სა (იმავე წელს), წამება წმ. მოწამეთა ევსტრატესი, ავქსენტისი, ევგენისი, ორესტისი და მარდარისი, ² წამება წმ. ევსტათისი და შვილთა მისთაჲ, ცხოვრება ანტონი დიდისა, ცხოვრება და შესხმა წმ. ნიკოლოზ საკვირველთმოქმედისა, ანდრია კრიტელის მიერ აღწერილი, წმ. შთაფარანგელოზთა სასწაულნი, გერმანე კონსტანტინოპოლელის მიერ აღწერილი, ³ ცხოვრება გრიგოლ დიოლოლონისა, ჰრომთა პაპისა (1011 წ.). ⁴ ამათ გარდა ექვთიმეს, ეფრემ მცირის მოწმობით, უთარგმნია ს ვ ი მ ე ო ნ მ ე ტ ა ფ რ ა ს ტ ი ს ო რ ი ნ აწარმოები: წამება წმ. კლემენტოს, ჰრომთა პაპისა, ⁵ და წამებაჲ წმ. მოწამისა პროკოპისი; ⁶ ხალხ მოძღუარსა მას და ჩუენ უოუელთა მამასა და მნათობსა, ამბობს ამის შესახებ ეფრემი, წმიდასა მამასა ეფთჳმის, ღოღოთეიტის შეკახმულთაგან კლეუმერტოსი ოდეს უთარგმნია და წმ. პროკოპისი, რამეთუ სხუასა წიგნთაგან უცალო იყო; რომელთა მიერ ფრად განდიდა ნათესავი ჩუენიო. ⁷ ექვთიმეს ქართულს ჰავიოგრაფიაშიც უნდა ემუშავენოს; როგორც ჩვენ უკვე გავარკვეით, ⁸ ექვთიმეს უთარგმნია 991 წელს ბასილი ასიკრიტის მიერ ბერძნულად აღწერილი და ჩვენამდე არ შენახული ენკომია ილარიონ ქართველისა, რომე-

¹) K. Kekelidze, Monumenta hagiographica Georgica t. I, p. 60—103.

²) სიძე. შუბ. № 1142, ფურ. 114—126, № 5, 236—256.

³) სიძე. შუბ. № 1141.

⁴) K. Kekelidze, Monumenta hagiographica, Georgica, t. I, p. 125—132.

⁵) Н. Марр, Агиографические материалы I, 7.

⁶) იწყება ასე: „დიოკლიტიანე და მაქსიმიანე ჰმართებდეს.“—(ველ. № 3, 395—420); პროკოპის ცხოვრების მთელი რედაქცია, კიზნია, ქართულად ორა ყოფილი ნათარგმნი: ერთი. რომელც იწყება ასე: „მთა დღეთა შინა, ოდეს იგი დეოკლიტიანე და მაქსიმიანე იყვნეს მპურობელ შეფობისა პრომთა...“ (სიძე. შუბ. № 1141 და ბოდლესი 117—241), ეკუთვნის ექვთიმეს, ხოლო მეორე რომელიც იწყება—„წელსა პირველსა დევნულებისა ჩუენისასა, უწინარეს რვისა ქუელთობისასა“, უცნობი ავტორისა, მოთავსებულია სიძე. შუბ. № 25, 951—953; ბეთნოგრაფიო საზოგად. № 525, 175—177.

⁷) K. Kekelidze, Monumenta hagiographica Georgica, t. I, p. XVII.

⁸) „ნაწყვეტები ქართული ჰავიოგრაფიის ისტორიიდან ტფილისის უნივერსიტეტის შრომები, I, გვ. 41—42.“

ლიც მთარგმნელს გადაუკეთებია თავისებურად და ახალი მასალის შეტანით შეუესია.

VIII ლიტურჯია. ამ მხრივ ექვთიმემ 1) პირველ ყოვლისა უკურადღება მიაქცია დისციპლინარულს მხარეს ათონის ივერიის მონასტრისას და დაუდვა მას გარკვეული წესი, რომელიც რეგლამენტაციას უკეთებს ბერმონაზონთა შინაურ სამონასტრო ცხოვრებას; ეს წესი შედგენილია საერთო სამონასტრო და უფრო კი მთაწმიდელთა პრაქტიკის მახედვით, ის ექსცერპტულად მოუყვანია გიორგი მთაწმიდელს ექვთიმესა და იოანეს ცხოვრებაში, ¹ მთლიანი, ცალკე ნუსხა მისი არ შენახულა. 2) დისციპლინარული წესის შემდეგ ექვთიმემ დაუსხნა მოსასტერსა თვსსა საღმრთონი წესნი და განგვანა უოჯდისა წელაწდისანი, ვაჲარცა წერილ არს დიდსა სჯნაქსარსა. ² მაგრამ ეს დიდი სჯნაქსარი მის დროს გადათარგმნილი არ ყოფილა, ექვთიმემ თარგმნა სჯნაქსარი სწელაწდომ უმცრომსი. ³ დაღწათუ ეთარგმნა წმიდასა მამასა ეფთჳმეს სჯნაქსარი, ამბობს გიორგი ხუცესმონაზონი გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში, გარნა ფრიად სუფ მცირედ აღეწერა სხუათა წიგნთა თარგმანებასა უცალოებითა. ⁴ ეს მცირე სჯნაქსარი წარმოადგენს დიდი ეკლესიის, აია სოფიის, ტიპიკონის უძველეს რედაქციას, რომელსაც თთუენის ნაწილის დალაგებაში იერუსალიმის ტიპიკონის გავლენა ეტყობა. ⁵ ბიოგრაფიის მოწმობით ექვთიმეს უთარგმნია 3) დასდებულნი მარხუათანი სრულად, ესე იგი ეხლანდელი საღმრთისმსახურო წიგნის მარხუათანის მსგავსი რამ; ამ წიგნში იქნებოდა მოთავსებული, რასაკვირველია, ანდრია კრიტელის დიდი კანონი, რომლის შესახებ დავით აღმაშენებლის თანამედროვე არსენ ბერი ამბობს, რომ ექვთიმემ ძალზე შეამოკლა ანდრიას დიდი კანონი, მან გამოტოვა სახისმეტყუელეებიანი, ესე იგი ალეგორიები საღმრთო წერილისა, და მათ ნაცვლად შეიტანა შიგ საგალობელნი სინანულისანი, ვინაიდან ის უფრო ზრუნავდა სარგებელისათვის სულისა, ვიდრე წიგნის ძალის სავსებით გა-

¹) ათონ. კრებული, გვ. 35—52, К. К е л л и д з е, Грузинскіе шітургіческіе памятники въ отечественныхъ книгохраненіяхъ, стр. 375—483.

²) ათონ. კრებ. გვ. 35.

³) ათონ. კრებ. გვ. 28.

⁴) ათონ. კრებ. გვ. 297—298.

⁵) მ ც ი რ ე ს ჯ ნ ა ქ ს ა რ ი ექვთიმე ათონელისა ჩვენ დაწერილებით გვაქვს განხილული და შესწავლილი ჩვენს გამოცემაში Iерусалимскій Канонарь VII . в. (грузинская версия) стр. 297—310.

დმოცემაზეო. ¹ 4) უთარგმნია მას აგრეთვე მრავალთა წმიდათა გალობანი: ² აქ, შეიძლება, იგულისხმებოდეს, სხუათა შორის, სეკდენბრის თთლენი, რომელიც, გიორგი ხუცესმონაზონის სიტყვით, ექვთიმეს თთ გალობათა ეთარკუნა და რომელიც მერე გიორგი მთაწმიდელმა სრულყო. ³ 5) ერთერთ მსხვილ და საყურადღებო ლიტურდიკულ შრომად ექვთიმესა უნდა ჩაითვალოს კურთხევიანის გადმოღება; სამწუხაროდ მთლიანი რედაქცია ამ შრომისა ჩვენამდე არ შენახულა, ყოველ შემთხვევაში ჯერ მიგნებული არაა, ჩვენამდე მოუხწევია შემდეგს სტატიებს ამ წიგნიდან სხედასხვა კრებულებში და ხელნაწერებში: ა) სქემის კურთხევაჲ ბერძული და მონაზონის კურთხევაჲ; ⁴ ამ სტატიის ხელნაწერებში ასეთი სათაური აქვს: „განგებაჲ მათ ზედა, რომელთა მოაქუნდეს დიდი სქემაჲ“, ⁵ ანა და — კურთხევაჲ მონაზონისაჲ ბერძელი, თქემული წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილი კესარიელისა; ⁶ ეს წესი საყურადღებო თავისი ვარიანტებით ბერძულ დედანთან შედარებით. ⁷ ბ) ძეგლისწერაჲ სარწმუნოებისაჲ, რომელი აღწერეს წმიდათა მამათა კონსტანტინეზელის შეკრებილთა წმიდათა ხატთა თაუუანისცემისათეს, რომელი ესე წარკითხვის სოფთა წმიდას ზირკელსა კრიაკესა წმიდათა მარხუათასა: ⁸ აქ ჩვენ გვაქვს „მართლმადიდებლობის კვირიაკის სინოდისი“, რომელიც გამოცემულია აქადემ. თ. უსპენსკის მიერ. ⁹ ქართული რედაქცია არის უძველესი, რომელსაც ეს სინოდისი პირვანდელი, განუერცობელი, სახით შეუნახავს, იმ სახით, როგორც მას ჰქონდა მეათე საუკუნის გასულს, როდესაც ქართულად ითარგმნის. გ) თქემული წმიდისა ბასილი კესარიელი მთავარებისკანაზისაჲ მარტულისა მწუხრისათეს, ¹⁰ რომელიც ექვთიმეს ბიოგრაფიაში აღნიშნულია ასე: ღოცვანი წმიდისა მარტულისანი. ¹¹ ეს არის წესი, რომელიც აღესრულება სულის წმიდის მოსლვის დღეს წირვას შემდეგ: ექვთიმეს რედაქცია უძველესი რედაქციაა, რომელიც

¹) Н. Марр, Исторический очеркъ грузин. церкви съ древнѣйшихъ временъ. Церковныя Вѣдомости 1907 г. № 3, прилож. стр. 141.

²) ათონ. კრებ. 85. 29.

³) ათონ. კრებ. 83. 298.

⁴) ათონ. კრებ. 83. 29.

⁵) К. Кекелидзе, Литургии грузин. памятники, стр. 43—46.

⁶) *ibid.* стр. 62—69.

⁷) *ibid.* стр. 451—456.

⁸) *ibid.* стр. 33—36.

⁹) Синодикъ въ недѣлю православія.

¹⁰) К. Кекелидзе, Литург. груз. памятники, стр. 36—37.

¹¹) ათონ. კრებ. 83. 29.

ახლო დგას ეგრედწოდებული ბარბერინისა და კრიპტოფერატის ბერძნულ ნუსხებთან ¹ დ) წესა და განკება სატფურებისა, რომელ არს კურთხევა წმიდისა ეკლესიისა, რომელი თაგმნა იონთა ენისგან ნეტრმან ეუთუგემ; ² ეს წესი უახლოვდება იმ ბერძნულ რედაქციას, რომელიც გამოცემულია (Codex-ის მიერ. ³ ე) კურთხევა წიგნის შკათხეფისა და ფსალტისა, კერძოდ იაკონისა, შთაფარდაიკონისა, ხეცობისა და ეპიფანოზისა, ⁴ რომელიც საკმაოდ არქაულ რედაქციებს შეიცავენ ქიროტონია-ქიროტესიის წესებისას. ვ) სხვადასხვა მწვალებელთა მართლმადიდებლობითი ეკლესიაში მიღების ან შემოერთების წესი, მეტად მოკლე და მარტივი. ⁵

ნ) დასასრულ, ექვთიმეს უნდა ეთარგმნოს ყოველდღიურ შედეგთა და განგებათა წიგნი, რომელიც საღვთისმსახურო პრაქტიკაში ცნობილია ჟამნის სახელით; მართალია, ჩვენამდე არ შენახულა ასეთი წიგნი, მაგრამ, ექვს გარეშეა, მის შემადგენლობას ეკუთვნოდნ და მისს შინაარს შეადგენდნ, სხუათა შორის, შემდეგი ლიტურგიული სტატიები, რომელთაც ექვთიმეს სახელით მოუხწევიათ ჩვენამდე; ასე, მაგალითად, მის ბიოგრაფიაში აღნიშნულია ა) შუადამისა ბერძენი და ბ) ლოცვანი ბერძენი მამისანი; ⁶ პირველი ჰგულისხმობს ეგრედწოდებულს *Λειτουργία τῆς μεσοψαλμῆς*-ს, ან ქართულად შუადამის ყმნს, ხოლო მეორე — სხვა ჟამნებს: პირველს, მესამეს, მეექვსეს და მეცხრეს. 7). ხელნაწერებში გვხვდება ჩვენ შვიდეულის სავედრებელი ლოცვანი იოანე დამასკელისა, რომელიც ექვთიმე მთაწმიდელს უთარგმნია; ესენია: „ღღესა სამშაბათსა — სავედრებელი წმიდისა ნათლისმცემლისა და წინასწარმეტყუელთა“, „ღღესა ოთხშაბათსა — შესხმა წმიდისა ღმრთისმშობლისა და ვედრება“, „ღღესა ხუთშაბათსა — შესხმა წმიდათა მოციქულთა და ვედრება“, „ღღესა პარასკევსა — ვედრება ჯუარისა“, „ღღესა შაბათსა სავედრებელი წმინდათა მოციქულთა და მამათა“; ესენი ამოღებულნი უნდა იყონ იოანე დამასკელისა ოქტოხოსიდან ან უკეთ, პარაკლიტონიდან. ⁷

¹) К. Кекелидзе, Литург. груз. памятники, стр. 465—46.

²) *ibid*, стр. 37—41.

³) *Ἐβχολογία*, p. 657—663.

⁴) К. Кекелидзе, Литургия. грузинск. памятники, стр. 40—42.

⁵) *ibid*, стр. 46—48.

⁶) ათონ. კრებ. გვ. 29.

⁷) К. Кекелидзе, грузинская версия арабского Жития св. Иоанна Дамаскина, *Христ. Востокъ*, т. III. вып. 2., стр. 136.

IX საეკლესიო სამართალი. ცხოვრებაში ექვთიმეს მიერ თარგმნილ შრომათა შორის ნაჩვენებია კანონნი;¹ ჩვენ გვგონია, რომ ამ სიტყვით აღნიშნულია საეკლესიო სამართლის ძეგლები, საეკლესიო კანონები, რომელნიც მას უთარგმნია საეკლესიო ცხოვრების მოსაწესრიგებლად. და, მართლაც, ექვთიმეს გადმოუღია შემდეგი ამგვარი ძეგლები: 1) კანონი შეცოდებულთანი, აღწერილნი ნეტარისა შამისა ჩუენისა იანეს მიერ კონსტანტინოპოლელ მთავარებისკანონისა, რომელსა მზარხველ ეწოდა. ეს თხზულება სამი ნაწილისაგან შესდგება: ა) კანონარი იოანე ბერისა და დიაკონისა, რომელსა შეილი მორჩილებისა ეწოდა, და ბ) კანონნი იოანე მმარხველისა, რომელსაც დართული აქვს გ) კანონნი დლითი-დღეთა ცთომათანი ბასილი დიდისა.² 2) ამ შრომასთან ერთად ექვთიმეს უთარგმნია მცირე რსულის კანონი შეეკუესისა კრებისაჲ, რომელშიაც მთარგმნელს თავისებურად დაუღაგებ-ა მეექვსე კრების კანონები და ისეთი მასალა შეუტანია შიგ, რაც ბერძნულს ტექსტში არ მოიპოვება; კანონებს ფან დართული აქვს მეექვსე მსოფლიო კრების აქტები,³ სადაც მოთხრობილია შემოკლებით მეექვსე მსოფლ. კრების ისტორია; ამ ნაწილის მიმატება გამოუწვევ-ა, ალბად, იმ გარემოებას, რომ საზღვარდ მსოფლიო კრებათა აქტები ქართულად თარგმნილი არ ყოფილა.⁴ ეს ორი შრომა ექვთიმეს უთარგმნია ზამის სიკვიდილის შემდეგ; იგი თვით აღნიშნავს მათ ხასიათს, რომელთაც ის შემოკრებულს უწოდებს; აი მისი სიტყვები: დირს ვიქმენ მე, გლახაკი ეფთჳმე, თარგმანებად ბერძულისაგან შვირესა ამას რჩულის კანონსა, წმიდისა მის შეეკუესისა კრებისა მიერ აღწერილსა და უოვლად ნეტარისა იოანე მმარხველისა მიერ კონსტანტინოპოლელისა მთავარებისკანონისა განწესებულსა სასწავლებლად და სარგებლად სულისა, რომელნიცა იეითსვიდენ წინამძღუარნი და მოძღუარნი კადესისათანი, რამეთუ უოველივე პირი და სახე სხუათა მათ

¹) ათონ. კრებ. გვ. 29.

²) ეს უკანასკნელი ცალკეც გვხვდება წიგრიად ხელნაწერებში, იხ. მაგალითად ს ი ძ ვ. მ უ ზ. სელნა. № 404, 204-209; ქართული ტექსტი ამ თხზულებისა და მასთან ერთად პარალელურად ბერძნულ-სლავურზე გამოცემულია პროფ. ნ. ზაოზერსკისა და ა. ხახანაშვილის მიერ: *Намокаионъ Иоанна Постника въ его редакциѣхъ грузинской, греческой и славянскоѣ*, Москва 1902 г. ქართული ტექსტი, რომელიც თავისებურსა და ბერძნულ-სლავურთან შედარებით, საყურადღებო რედაქციის წარმოადგენს, მეტად დამახინჯებულია ამ გამოცემაში და მისი რუსული თარგმანი უმეტეს ნაწილად მიუღებელია.

³) *Ma n s i, Conciliorum amplissima collectio*, XI, 52 C - 640 B, 656 A - C, 657 C - D.

⁴) ეს „რჩულის კანონიც“ ალ. ხახანაშვილის მიერაა გამოცემული, იხ. *Правила VI всел. собора, Древности Восточныя*. т. II, вып. 3, Москва 1903 г.

ზირველთა შამათა მიერ აღწერილისაჲ რჩეულის-კანონისაჲ აქა შემაკრებელა არს და კეათაჲდ განმარტებულ. ¹ როგორც ანალიზიდანა ჩანს, ამ შრომათა შინაარსი, მართლაც რომ სხვადასხვა კანონიკურ კრებულთაგან შეუზავებია ექვთიმეს, თანახმად მისი ლიტერატურული ჩვეულებისა.

3) მეცამეტე საუკუნის ერთერთს კანონიკურ კრებულში, ² მოთავსებულია მცნებაჲ და განკებაჲ მსოფლიოთა ხუცესთაჲ ბერძნული, რომელი გარდამოსცა ქართულად დიდმა ეფთჳში; ეს კრებული შეიკავედა, ალბად. დარიგებას მრევლის სამღვდელოებისათვის მწყემსობრავი მოვალეობის კანონიერად და ჯეროვნად შესრულების შესახებ. ⁴ 4) იმავე კრებულში მოთავსებულია ყოფილა კანონიკურ-ლიტურჯული შრომა ექვთიმესი, რომელშიაც განმარტებულია სხვადასხვა საკითხები დისციპლინარული ხასიათისა, როგორც, მაგალითად, აღკრძალულ წიგნთა შესახებ, მარხვათა, მუხლისდრეკის, სულიერი მოძღვრის, სქემის კურთხევის, ც-ცხალთათვის ჟამისწირვის, სამონასტრო დეკანოზის და სხვათა შესახებ. ეს დოკუმენტი გამოცემულია ორჯერ: მ. საბინინის ³ ტ. ეორდანიას⁴ მიერ. საბინინის გამოცემას საფუძვლად უდევს ნიკოლოზ ტფილელის მიერ არჩილ მეფისაგან რუსეთში გატანილი კურთხევენიდან გადაწერილი ნუსხა, ხოლო ეორდანიას გამოცემას — ზემოაღნიშნული მე-XIII ს. კრებული; საბინინის გამოცემა უფრო ვრცელია და ალაგ-ალაგ კარგად შენახულა მკორესთან შედარებით. ამ დოკუმენტში აღძრულ საკითხების განმარტება უთხოვია ექვთიმესათვის ჭკონდიდიდან გიორგი შეეყნებულს. ექვთიმეს პასუხში ნათლადა ჩანს ზეგავლენა, განსაკუთრებით, სტოდიელთა დისციპლინარული პრაქტიკისა, რომელსაც რამზღენადმე ადგილი ჭკონდა ათონის მონასტერშიაც. ამ მხრივ ეს დოკუმენტი ყურადღების ღირსია აზა მარტო ძველი ქართული პრაქტიკის შესასწავლად, არამედ სტოდიელთა ტიპიკონისაც, რომელიც მთლიანი თავისი სახით ჯერჯერობით კიდევ საძებარია მეცნიერებისათვის.

¹) Заозерскій и Хажиновъ, стр. 91 текста.

²) თ. ეორდანიას, ქრონიკები II, 82-83; დ. ბაქრაძე, საქართველოს ისტორია, გვ. 258-259.

³) საქართველოს საზოგადოებ. გვ. 112-113.

⁴) ქრონიკები II, 83-87.

26. ბიორგი მთაწმიდელი.

გიორგი მთაწმიდელს, ივერიის მონასტრის წინამძღვარს, ჩვენი მწერლობის ისტორიაში ისეთივე დედაწლი მიუქღვის, როგორც ექვთიმე ათონელს, რომლის ტრადიციებს ის ბეჯითად იცავდა და აგრძელებდა. ამას ნათელჰყოფს მისი ბიოგრაფიკი, როდესაც შენიშნავს: ესე უფველთა უწყით, უიასრმედ ესევეითარი თარგმანი, თჳნიერ წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳქესსა, სხუაჲ არა გამოჩენილჲ ესსა ჩუენსა და ვგოსებ თუ არცა გამოჩინებად არს (ათონის კრებ. გვ. 309). ბიოგრაფია გიორგისა დაუწერია მის მოწაფეს, ათონისავე მოღვაწეს, გიორგი ხუცესმონაზონს.¹ უკანასკნელი განუშორებლივ თავის მოძღვართან იყო, ემსახურებოდა მას და დაწვრილებით იცოდა მისი თავგადასავალი; თან ზოგიერთი ცნობები მისთვის მიუწოდებია გიორგის მოძღვარს, ანტიოქიის შეყენებულს გიორგის. ამ ბიოგრაფიით, გიორგის სამშობლო იყო თრიალეთი სამცხეში; მამა მის ერქვა იაკობი, ხოლო დედას მარიამი; მათი შეუღლება ასე მომხდარა: იაკობ იყო კრთიკულთაგანი და სკუთარსა ღმრთაისმსახურისა მეფისა გიორგისა და სკჳისა რამეუღისათჳსჳე სკურთგულოჲსა მცტიქელად წარიუღისა მეფისა მიერ სპარსეთს (გვ. 285). მოგზაურობისას იაკობი გაჩერებულა ერთს კეთილმსახურსა და ღვთისმოშიშს ოჯახში, სადაც გაუცვნია მეტად ღვთისნიერი და შუენიერი ხატითა ქალი, რომელიც მოსწონებია მას, მშობლებისაგან გამოუთხოვია და, სპარსეთიდან დაარუნების შემდეგ, შეურთავს კიდევ. იაკობსა და მარიამს ექვსი შვილი მისცემიათ: სამი ქალი და სამი ვაჟი; უფროსი შვილი ქალი იყო, რომელსაც თეკლა უწოდეს და, შვიდი წლის რომ შეიქნა, წარიუყვანეს მონასტერსა სადგდოსა სამცხეს, რამეღის ტაძრისი ეწოდება, და მიაბარეს მონასტრის წინამძღვარს —საბიანას. მეორე შვილი ვაჟი იყო, ხახელით თევდორე, ხოლო მესამე, რომლის დაბადება მარიამს სიზმარში ეუწყა, იყო გიორგი; თანახმად აღთქმისა და სიზმარში მიღებული ბრძანებისა, მშობლებმა ის განუკუთვნეს ღმერთს სამონასტრო სამსახურისათვის, ამიტომ, როდესაც გიორგი შვიდი წლის შეიქნა, ის მიიყვანეს იმავე ტაძრისის დედათა მონასტერში, სადაც იზრდებოდა მისი და; აქ გიორგიმ დაყო სამი წელიწადი და, ათის წლის რომ გახდა, გადავიდა ხახულის მონასტერში, სადაც ამ დროს მოღვაწეობდნენ მისი ბიძები (მამის ძმები) გიორგი მწე-

¹) მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 137—145, ათონ. კრებ. გვ. 279—351.

რალი, რომელი ყოფილიყო მწერალთა სიკდა მთავრად კურაპლატიისათა, და საბა, კაცი წრფელი და უმანკო (გვ. 288). მიიყვანა თუ არა, ძმების წინადადებით, იაკობმა ათის წლის გიორგი ხახულში, ბიძებმა ის მიკვარეს ლოცვა-კურთხევის მისაღებად ხახულის მიწინდელს წინამძღვარს მაკარის და იქაურს მოღვაწეთ, —ვილაც ღმერთშემოსილ ანტონის და დაღს მას ბასილის, ბაგრატიის [მესამის] ძესა, რომელი იგი მას ჟამსა შინა იყო მოძღვარი და განმანათლებელი ქუეყანისა ჩუენისაჲ (გვ. 289). აღსაზრდელად და განსაწრთველად ბიძებმა ის მიაბარეს ილარიონ თუალელს, ესე იგი თუალის მონასტრის, ანტიოქიის მახლობლად, მოღვაწეს, რომელიც ამ დროს ხახულში ყოფილა დამკვიდრებული და რომელიც ვითარცა მოიები ბრწყინვიდა კრებულსა შორის მამათასა. აქ მან გამოიჩინა განსაცვიფრებელი ნიჭი და გულსმოდგინება, გულადიხუნა უოველნივე საღმრთონი წერილნი ძუელისა და ახლისა სჯულისანი, რომელნი ოდენ ჩუენსა ენასა ჰოუნა, და სკალობელნი იგი სწულადონი და შეწყობილებანი იგი გალობათანი უოკელნივე შეუსა შინა ზეპირთა დაისწავლნა. ხახულის მონასტერში, როგორც შემდგომი ფაქტებიდან მელავენდება, გიორგი დადხანს არ დარჩენილა; დაბა ტვარწათათს ცხოვრობდა ვინმე დიდებული ფეროს ჯოჯიკისძე, რომელსაც ცოლად ჰყოლია ბაგრატი მესამის ქალი, ზემოდასახელებული ბასილ მოღვაწის და გიორგი პირველის დაჲ. როგორც ღვთისნიერ ადამიანს, ცოლქმარს განუზრახავთ გონიერისა და სულიერ ცხოვრებაში გამოცდილი ბერის მასწავლებლად, უწესოების დამაყენებლად და სულიერ-სა და სორციელის ცხოვრების საქმეთა გამგედ მოპატიებება; მათი არჩევანი ხახულის მოღვაწე გიორგი მწერალზე შეჩერებულა. გიორგის წინადადება მიუღია და გადასახლებულა ფერსოს ოჯახში, სადაც პატარა გიორგიც მიუყვანია, როგორც კარგი მკითხველი და კანანახი. თუმცა ბიოგრაფიაში ნათქვამია, რომ აქ დაუგვი მრავალი ჟამი კეთილსა და ღმრთისა სიონის ცხოვრებასა შინათ (გვ. 290), მაგრამ, როგორც თავის ადგილას დავინახავთ, ეს მრავალი ჟამი ერთს წელიწადს არ აღემატებოდა. ამ დროს რისხვითა ბასილი მეფისადთა ფერსოს თავი წარუეთავს, რამეთუ განდგომილებად დასწამეს. ფერსოს ქვრივი ერთიურთ თჳსით, მათ შორის გიორგი მწერლით და პატარა გიორგით, ბრძანებითა საიეფოლათა კონსტანტინოპოლს წაუყვანიათ. აქ ფერსოს ქვრივმა და გიორგი მწერალმა პატარა გიორგი მისცეს სისწავლოდ კაცთა ფილოსოფოსთა და რიტორთა, ორითავე ცხოვრებითა შემკობილთა, არა ერისკაცთა, არამედ მონაზონთა. კონსტანტინოპოლში-გიორგი სწავლობდა 12 წელიწადი, სანამ აქ ფერსოს ქვრივი იმყოფე

ბოლა; გონების სიმახვილითა და ბეჯითობით გიორგის გაკვირვებაში მოჰყავდა ყველანი, კერძოდ თავისი ამხანაგები — ბერძნები: აი სწორედ აქ ამ დროს შეისწავლა გიორგიმ ზედმიწევნით ბერძნული ენა; რითაც მან ასეთი ღვაწლი დასდო ქართული მწერლობის წარმატებას. თორმეტი წლის შემდეგ ფერსოს ქვრივი, მთელი თავისი ამალით, კონსტანტინოპოლიდან სამშობლოში, ტვარწათას, დაბრუნდა, გიორგი მწერალი აქვე დარჩა და თავისთან მიიწვია თავისი ძმა, გიორგის ძაძა, იაკობი, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო; ხოლო ახალგაზრდა გიორგი წავიდა ისევ ხახულს, თავის მეორე ბიძა საბასთან, და ილარიონ თუალელის მიერ ბერად აღიკვეცა; ამ დროს ის 25 წლის იყო. რამოდენიმე ხნის შემდეგ გიორგიმ განიზრახა იერუსალიმის მოლოცვა, ადგა და ჩუმიად გაიპარა იქ; გზაზე მან შეუხვია შავმთზე, სვიმეონ საკვირველთმოქმედის მონასტერში და აქ ნაპრაღის შინა კლდისას კოვა ერთი ქართველი ბერი, გიორგი შეყენებული, რომელსაც ის

1) გიორგი შეყენებულს თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის ჩვენი მწერლობის ისტორიაში; მართალია, ის არ იყო ფილოსოფოსი (ანტონ კათოლიკოზის „წყობილსიტყვაობა“ ტ. 721) ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით, მართალია, ის „ჯდა მახლობელად მონასტერსა წმიდისა სვიმეონ საკვირველთმოქმედისასა“, სადაც ის „ნაპრაღისა შინა კლდისასა“ განმარტოვებულად დაყუდებულთა ცხოვრებას ატარებდა, — მაგრამ, მიუხედავად ამისა, მასში ძლიერი ყოფილა ლიტერატურული ტრადიციები და შიდა რეკლამა, რის გამოც მას მტკიცე კავშირი ჰქონია ქართველ მოღვაწეებთან ათონის მთაზე, საიდანაც, მისი სიტყვით, „სახიერმან და კაცთმოყუარემან ღმერთმან ყოველი აღმოსავლეთი საღმრთოთა წიგნითა განაბრწყინვა და წმიდანი ეკლესიანი ქართლისანი ახლად შეამკვნა“. 1) მან, პირველად ყოვლისა, ლიტერატურული მოღვაწეობის გზაზე დააყენა გიორგი მთაწმიდელი, უიმისოდ. შეიძლება, ჩვენ არ გვეყოლოდა ის გიორგი, რომელიც ჩვენმა მწერლობის ისტორიამ იცის. „არცა სისაწყლე ჩემი უგულბებელს ყო ტბილმან და მრავალმოწყალემან ღმერთმან“, შენიშნავს ის, „თქუენ ყოველთა მადლითა და შეწევნითა“, სწერს ის ათონელებს, „არა დამიტევა სურვიელი და უნაწილო მგათ საღმრთოთა წერილთგან... არამედ ძმასა ჩუენსა გიორგი დეკანოზსაცა აღულო პირიო“; ამით ის ხაზს უსვამს თავის წვლილს გიორგის ლიტერატურულ სეგბედში. 2) იმან ვისცა იდია და ორგზითი წერილის მიწერით თითქმის აიძულა. გიორგის შეგირდი, გიორგი ხუცესმონაზონი, დაეწერა თავისი მოძღვრის ბიოგრაფია, რისთვისაც მას საჭირო მასალაც მისცა. 3) მას თავისი წვლილიც შეუტანია ჩვენს მწერლობაში, ყოველ შემთხვევაში, სხვისი შრომების გადაწერით; მას გადაუწერია, მაგალითად, გიორგი მთაწმიდელის დეკანოზობაში (1048—1054 წ.) დავით ტბელის ან მტბევარის მიერ ბერძნულიდან ქართულად ნათარგმნი ცხოვრება სვიმეონ საკვირველთმოქმედის დედის,

დაემოწაფა. გიორგი შეყენებულმა შეამჩნია ტალანტი, რომლითაც გიორგი დაჯილდოვებული იყო, — ნიჭი და ზედმიწევნითი ცოდნა ბერძნული ენისა, მან შეიგნო-თუ რა სარგებლობის მოტანა შეეძლო მას მშობლიური ეკლესიისათვის სამწერლო ასპარეზზედ, ამიტომ ჯერჯერობით ის თავისთან დაიტოვა და რომანაწმიდას მონასტერში დაამკვიდრა, სადაც ის სამი წელიწადი მოღვაწეობდა. ოცდაათის წლის რომ შეიქნა, გიორგიმ სქემა შეიმოსა და, თავისი მოძღვრის ნებართვით, იერუსალიმს გაემგზავრა. გიორგიმ მოილოცა წმიდა ადგილები, სადაც დაყო ქაში მცირედი, და მერე უკანვე, შავმთაზე, მობრუნდა თავის მოძღვართან. მოძღვარმა მას წინადადება მისცა — ხელი მიეყო წიგნების თარგმნისათვის; თუმცა გიორგი წინააღმდეგი იყო ამისი, ვინაიდან თავის თავს ღირსად არ სთვლიდა ამ წმიდა საქმისათვის, მაგრამ ბოლოს დაუთმო მოძღვარს და წარმოემართა მთაწმიდას, ივერიის მონასტერში, სადაც ამ დროს გაჩაღებული იყო ლიტერატურული მუშაობა. მთაწმიდის ქართველებმა ის ღიდის სიხარულით და პატივით მიიღეს, მაგრამ გიორგიმ პატივს უპატიობა არჩია და შეიღი წლის განმავლობაში უკანასკნელი მოსამსახურისა და მორჩილის საქმეს ასრულებდა მონასტერში. ამ ხნის განმავლობაში ათონელებს საქართველოში გამოუგზავნიათ დელეგაცია ბაგრატ მეფისათვის და მისთვის დიპლომატიური დახმარება უთხოვნიათ ბერძნის იმპერატორის წინაშე ათონის ბერძენ ბერთა წინააღმდეგ, რომელნიც ივერიის მონასტრის წართმევას უპირობდენ ქართველებს; ამ დელეგაციაში, სხვათა შორის, ჩვენი გიორგიც მოყოლია (გვ. 64, 296). დელეგაცია უკანვე დაბრუნდა და გიორგი თავის მოძღვრის დავალებზე იმდენად არ ზრუნავდა, რამდენადაც მონასტრის შეურაცხ სამსახურზე. ეს რომ გიორგი შეყენებულმა გაიგო, გაგზავნა ათონზე თავისი მოწაფე თეოდორე და დიდი მღურფა მოუმცნო გიორგის

მართასი, და აგრეთვე წმიდისა ბარლამ სიროკაევასიელისა, რომელნიც მას მიუძღვნია ათონელ ქართველებისათვის, ვინაიდან მას სმენოდა, რომ აღნიშნული ცხოვრებანი „მთაწმიდას არა არს“ (შესაფერი ანდერძი გიორგი დაყუდებულისა გამოცემულია პროფ. ნ. მარჩის მიერ, თუმცა მან არ იცის, რომ გადამწერელი გიორგი არის გიორგი დაყუდებული: *Агиографические материалы по грузинскимъ рукописямъ Иверы I, 45—46.*). გარდაცვლილა გიორგი დაყუდებული პლატონ იოსელიანის ცნობით (წყობილსიტყვაობა, შენიშვნა 131), რომელსაც იხიარებს ნ. მარჩი (Иоаннъ Петрицкiй, стр. 57), 1068 წელს, ესე იგი თავისი მოწაფის, გიორგი მთაწმიდელის, გარდაცვალების შემდეგ.

არღა აღსრულებისათვის ნებისა მისისა (გვ. 297). ეხლა კი გადაწყვიტა გიორგიმ უფრო ბევრითად შესდგომოდა დაეალებულ საქმეს და ამისთვის წინასწარ, თანახმად თავისი მოძღვრის და ათონელთა სურვილისა, მღვდლობის ხარისხი მიიღო. კურთხევის შემდეგ ის დაუყოვნებლივ გაიწიეს მთავრად ეკლესიისა, უხუცესად მღვდელთა და მკალობელთა დაიდგინა (გვ. 297), ესე იგი არჩეულ იქმნა დეკანოზად, და სპეციალურად წიგნების თარგმნას შეუდგა. მაგრამ აქ სხვა დაბრკოლება აღმოჩნდა: რამოდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც წინამძღვრის ადგილი განთავისუფლდა, გიორგი, მისი სურვილის წინააღმდეგ, წინამძღვრად აირჩიეს. ეხლა ის შეუდგა სამონასტრო საქმიანობას; პირველად ყოვლისა გადმოასვენა დიდს ეკლესიაში ექვთიმეს, არსენ ნინოწმიდელის და იოანე გრძელიძის ნაწილნი; ვინაიდან მონასტერს სახურავი გასცვეთოდა და წვიმა ჩასდიოდა, ისე რომ მხატვრობაც კი წაშლილიყო, გიორგი წავიდა კონსტანტინოპოლს და იმპერატორს კონსტანტინე მონომაქს ტყვია გამოსთხოვა; ტყვიასთან ერთად სხვაც ბევრი წყალობა მიიღო მან მაშინ იმპერატორისაგან. ამ მგზავრობისას კონსტანტინოპოლში გიორგიმ ინახულა საქართველოს მეფე ბაგრატ მეოთხე და დედა მისი მარიაში, რომელიც ეკურთხა მის შიერ სქემითა (გვ. 303); ამათგანაც და მათ ამაღლაში მყოფ ქართველებისაგან მან ბევრი სიმდიდრე მოუპოვა მონასტერს. ბაგრატ მეფემ გიორგის ქყონდიდის საყდარიც კი შეაძლია, მაგრამ გიორგიმ კატეგორიულად ვარი განაცხადა. ამის შემდეგაც, ჩანს, გიორგის არაერთხელ მოხდომია სამონასტრო საქმეების გამო ყოფნა კონსტანტინოპოლში; სხვათა შორის მას ჩვენ აქ ვხედავთ, როდესაც ბაგრატის ასული მართა კონსტანტინოპოლს შემოიყვანეს, თეოდორა იმპერატრიცას აღსრულების წელს (30 აგვისტოს 1056 წლ.). სამონასტრო ზრუნვამ გიორგი სულ ერთიან შთანთქა, სხვა საქმისათვის მას თავისუფალი დრო აღარ რჩებოდა; მაშინ გულისხმყო და განიზრახა ღმრთისამიერითა განგებითა, ვითარმედ ღმრთივმინიჭებული იგი ტაღანტი არა აღორძინდებოდა, რამეჲ არს ღმრთივიუღიერთა წიგნთა თარგმნაჲ, იჟმნა წინამძღვრობისაგან, შენდობა ითხოვა ძმათა ყოველთაგან (გვ. 307), დაუტოვა მათ ყველა, დეკანოზობაში თუ წინამძღვრობაში, ნათარგმნი წიგნები, მოვიდა კონსტანტინოპოლს, ჯერ კიდევ აქ მყოფის მარიაში, ბაგრატის დედის, დახმარებით იმპერატორისაგან ნებართვა აიღო და შავშთაზე წავიდა, სადაც წიგნების თარგმნას შეუდგა. მალე ანტიოქიაში მოვიდა მარიაში, რომელსაც განზრახული ჰქონდა იერუსალიმის

მიმოვლა და მოლოცვა, მაგრამ, ვინაიდან ეს სხვადასხვა მიზეზთა და მოსაზრებათა გამო, უხერხული აღმოჩნდა. თავის მაგიერ იქ გიორგი გაგზავნა, მდიდარი შეწირულებით ქართველთა ჯვარის მონასტრის მამულებელის პროხორესა და პალესტინის სხვა მონასტრებისა და წმიდა ადგილებისათვის. იერუსალიმიდან დაბრუნების შემდეგ გიორგი უფრო ბეჯითად შეუდგა წიგნების თარგმნას, რითაც მან ყურადღება დაამსახურა თვით ანტიოქიის პატრიარქებისაც კი, როგორც, მაგალითად, პეტრესი (1053—1057 წ.)¹ და თეოდოსისა (1057—1076 წ.); ამათთან მას ქართველთა საეკლესიო დამოუკიდებლობის შესახებ ცხარე კამათიც კი ჰქონია და დიდი შთაბეჭდილებაც მოუხდენია. როდესაც ბაგრატ მეფემ გაიგო, რომ ისრულ იქმნა თარგმანებაჲ წიგნთა სდმრთთათაჲ გიორგის მიერ, ის მან მიიპატიოა საქართველოში საეკლესიო საქმეების მოსაგვარებლად. გიორგი წამოვიდა და, როდესაც მოადგა მდინარე ეფრატს, გაიგო, რომ თურქთა დაუპყრელს ყოფელი შუამდინარე და ასურის და სპაერძეთის (გვ. 318), ამიტომ მან შეუხვია სევასტიაში, მაგრამ, ვინაიდან აქაც უკვე ისირულ იყვნეს თურქნი, გადავიდა კესარიაში და აქედან ღვით-ქალ. ევხაიტს, სამისონს (სამსუნის) და ფოთს, ფოთიდან მოვიდა ქუთაისს და ქუთაისიდან გადავიდა ქართლს ბაგრატ მეფესთან, რომელსაც სწორედ მას უამისა შეეპყრნა წინააღმდეგობის თვისის შეუობისანი აბაზასი სენი (გვ. 319). საქართველოში გიორგი დარჩა ხუთი წელიწადი (გვ. 328), სანამ დავალებული საქმე, ეკლესიის მართვა-გამგეობის და შინაური ცხოვრების რეორგანიზაცია, არ დაამთავრა. მერე, მეფის ნებართვით, ის უკანვე გამობრუნებულა ათონზე, სადაც წამოაწყვანია 80 უღელმამო და უპატრონო ბავშვი აღსაზრდილად და მონასტერში ქართველ ბერთა და მოღვაწეთა რიცხვის გასაძლიერებლად. საქართველოდან ის წამოსულა მამონს, როდესაც თურქებმა ახალქალაქი ააოხრეს და ოდეს მართა ვიქლის წული სიდად თვისად კონსტანტინე დეიქმან მოიეგანა დედოფლად სამეფუთისა ქალაქს (გვ. 330) ცოტახნის შემდეგ კონსტანტინოპოლში გიორგი გარდაიცვალა კიდევ, პეტრეპავლობა დღეს 29 ივნისს, და აქედან ყველასაგან, უფრო კა ქართველებისაგან, დატირებული, ის მთაწმიდას, ივერიის მონასტერში, გადაუსვენებიათ.

ასეთია მოკლე ცხოვრება ამ შესანიშნავი მოღვაწისა: ცხოვრებაში, როგორც ვთქვით და დავინახეთ, ქრონოლოგიური თარი-

¹) ბიოგრაფიაში სწორი იოანე, მაგრამ ეს უბრალო გრაფიკული შეცომაა: ხუცურად იწერებოდა პეტრე ქარაგმით, პირველი და უკანასკნელი ასოთი, რაც იოანედ წაუკითხავთ მერე.

ღები არაა და ამიტომ ესლა უნდა შეუდგეთ ამ თარიღების გამოკვევას. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ, როდესაც გიორგი ტაძრისის დედათა მონასტერში მიუყვანიათ, ის შვიდი წლისა იყო, აქ მან სამი წელიწადი დაყო და ათის წლის ხახულის მონასტერში მივიდა, საიდანაც თავის ბიძასთან ერთად ფერსო ჯოჯიკის ოჯახში გადავიდა. ხახულის მონასტერში და ამ ოჯახში, სანამ ის კონსტანტინოპოლს გადასახლებოდა, გიორგის დაუყვია სულ სამი წელიწადი, ვინაიდან ცხოვრებაში ნათქვამია, რომ კონსტანტინოპოლში ის 12 წელიწადი დარჩა, ხოლო, როდესაც იქიდან დაბრუნდა და ბერად აღიკვეცა, 25 წლისა იყო; ჩანს, კონსტანტინეპოლში გადასახლებისას ის 13 წლისა ყოფილა, საიდანაც გამომდინარეობს, რომ მისი ხახულში მისლვიდან კონსტანტინოპოლს გადასახლებამდე სამი წელიწადი გასულა. კონსტანტინოპოლში გიორგი გაჰყვა ფერსო ჯოჯიკის ოჯახს, როდესაც ფერსოს განდგომილება დასწამა ბასილ იმპერატორმა და თავი მოჰკვეთა. როდის უნდა მომხდარიყო ეს ამბავი? სუმბატის ქრონიკითა და მათიანე ქართლისაჲთ ეს მომხდარა მაშინ, როდესაც ბასილ იმპერატორს ქსიფე განდგომია: მის ჟამსა შინა იქმნა განდგომილება დიდი საბერძნეთს, რამეთუ შეიერთებეს ბასილის სძანებუთა და წარვიზი, ძე ფთკას განდგომილისა, და შეფე იქმნა ქსიფენ და მიიდგინეს მათ უოველი აღმოსავლით კერძო ქუეყანაჲ. ბასილმა ხელში ჩაიგდო მემამბოხე ქსიფე, ექსორია ყო იგი ერთს კუნძულზე, და მიმდგომთა მისთა მრავალთა თავი მოჰკვეთა, რამეთუ თანა იყო ფერსის ჯოჯიკის ძე, ნათესავით ტათელი. ყოველივე ეს მოხდა 1022 წელს; მაშასადამე, ამ დროს, 1022 წელს, გიორგი 13 წლისა ყოფილა, და, თუ ეს ასეა, ის უნდა დაბადებულიყოს 1009 წელს. ესლა აღვილია სხვა თარიღების გარკვევა.² დაიბადა გიორგი 1009 წელს, შვიდი წლის, ესე იგი 1016 წელს, ის მიიყვანეს ტაძრისში; ათი წლის, 1019 წელს, — ხახულში, 1022 წელს ის ფერსო ჯოჯიკის ოჯახში გადავიდა; 13

1) ქართლის ცხოვრება, მარიამ ფელოფლის ვარიანტი, გვ. 356, 249.

2) გიორგის დაბადების თარიღის გარკვევით ჩვენ შეგვიძლია ერთი მნიშვნელოვანი კორექტურა შევიტინოთ მის ცხოვრებაში. მისი მშობლების დაქორწინებიდან გიორგის დაბადებამდე გასულა 7—10 წელიწადი: იაკობსა და მარიამს შეეძინათ პირველად ქალი თელა, რომელიც, შვიდი წლის რომ შეიქნა, მონასტერში წაიყვანეს; ამის შემდეგ ყოვლათ ვაჟი თეოდორე და შვირე გიორგი, ჩანს, დაქორწინებულნი ისინი არა უგვიანეს 1000 წლისა, მაშასადამე იაკობი ვერ იქნებოდა გიორგი პირველის „ერთგულთა და საკუთართავანი“ და მისი მინდობილობით ის ვერ წავიდოდა სპარსეთს, ვინაიდან გიორგი მხოლოდ 1014 წელს გაემგედა; უპიკველია, აქ იგულისხმებო მთუ გურგენი (+1003 წ.); დედანში აღბად იყო შემოკლებულად „მეთისა გრგსთა, ესე იგი გურგენისთა, რაც შემდეგ წიკითხეს გიორგისთა-დ.

წლის, 1022 წელს, კონსტანტინეპოლს წავიდა, სადაც 12 წელიწადი სწავლობდა, 1034 წლამდე. 1034 წელს, 25 წლისა, ის სამშობლოში დაბრუნდა და ხახულის მონასტერში ბერად აღიკვეცა. ორი წლის შემდეგ, 1036 წელს, ის შავთაზე წავიდა და იქ რომანას მონასტერში დაემკვიდრა. სადაც სამი წელიწადი დარჩა, 1036—1039 წლ.; სამი წლის შემდეგ, როდესაც ის 30 წლის იყო, მაშასადამე 1039 წელს, მან სქემა შეამოსა და იერუსალიმს გაემგზავრა, ხოლო იერუსალიმიდან მობრუნებული, ათონის მთაზე წარიგზავნა. იერუსალიმში მისლვა-მოსლვას, შავიმთიდან ათონზე გადასლვას ერთი წელიწადი მინც მოუწოდებოდა, ასე რომ ათონზე მოსულა გიორგი 31 წ., 1040 წ.; აქ შეიღი წელიწადი, 1040—1047, მან დაყო შეურაცხ სამსახურში და მორჩილებაში და მერე, 1048 წ., ეყურთხა მღვდლად და დაინიშნა დეკანოზად. რაჰდენი წელიწადი იყო დეკანოზად ცხოვრებიდან აკა ჩანს, მაგრამ ამისი გარკვევაც შეიძლება. წინამძღვრად დანიშენისათანავე გიორგი კონსტანტინოპოლს მოვიდა კონსტანტინე მონომაქთან ტყვიისა და სხვა რამეს გამოსათხოვად მონასტრისათვის; ამ დროს აქვე იყო ბაგრატ მეოთხეც; მაშასადამე ეს ამბავი, — გიორგის წინამძღვრად დადგინება და კონსტანტინოპოლს პირველი მოსლვა, მომხდარა 1054 წ., ვინაიდან, ეხლა გარკვეულია, რომ ბაგრატი კონსტანტინოპოლს მოვიდა 1054 წ., სწორედ იმ წელს, როდესაც კონსტანტინე მონომაქი გარდაიცვალა. ¹ ამნაირად ირკვევა, რომ დეკანოზად გიორგი ყოფილა 1048—1054 წლებში, სულ ექვსი-ოდე წელიწადი. როდესაც თეოდორა იმპერატრიცა მიიცივალა და ბაგრატის ქალი მართა კონსტანტინოპოლს შემოიყვანეს, ესე იგი 1056 წლის 30 აგვისტოს, გიორგი კიდევ მამასახლისად იყო; მაგრამ რამდენივე ხნის შემდეგ, არაუგვიანეს იმავე 1056 წლისა, მას წინამძღვრობა მიუტოვებია და შავთაზე წასულა, საიდანაც, მარიამ დედოფლის დავალებით, იერუსალიმს გამგზავრებულა მოწყალების დასარიგებლად. იერუსალიმიდან იმ წელსავე მობრუნებული, ის სთარგმნის წიგნებს, უმეგობრდება და ეკამათება ავტოკეფალიის შესახებ ანტიოქიის პატრიარქებს და მერე, როდესაც თურქებმა ასურეთი და მცირეაზია დაიპყრეს, ესე იგი 1059 წელს, ის შავიმთიდან, ბაგრატის მოპატიუებით, საქართველოში წამოსულა და დიდის ვაივავლახით მოუხწევია ქართლში. საქართველოში ის დარჩა ხუთი წელიწადი და იმ წელს, როდესაც

¹) პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველ ერის ისტორია II, 444.

თურქებმა ახალქალაქი აიღეს და ბაგრატის ასული მართა კონსტანტინოპოლს გასტუმრებულ იქმნა, ესე იგი 1065 წელს, ისიც გაემგზავრა საბერძნეთს, სადაც პეტრეპავლობა დღეს, რომელიც ოთხშაბათს სწორედ 1065 წელს მოდიოდა, გარდაიცვალა კონსტანტინოპოლში. ამნაირად, დაიბადა გიორგი 1009 წელს და გარდაიცვალა 1065 წელს. მაშასადამე უტოცხლია მას სულ 56 წელიწადი. ამ, ჩვენს მიერ დადგენილს, ქრონოლოგიას თითქოს ერთი გარემოება უნდა არყვედეს. გიორგის უთარგმნია თეოდორე აღმსარებელის ქალაგებათა კრებული, რომელსაც ქართულად სტოდირი ეწოდება; ამ თხზულების ერთერთ ნუსხას, რომელიც ზოსიმე ათონელს გადაუწერია მე-XI საუკუნეში, შემდეგი მინაწერი აქვს: ლოცვა ყავთ, წმიდანო მამანო, გიორგისათჳს მთაწმიდელისა წინამძღუარისა, ვისაცა მოიწინენ სწავლანი ესე სულთა განმანათლებელნი ნეტარისა მამისა თეოდორე აღმსარებელისა სტუდიელთა მამასხლისას თქემუღნი: დიდისა გულსმოდგინებითა და ყინადითა ხარკებითა და მადლითა მამისა ეფთჳსიითა ვთარგმნე წმიდაჲ ესე წიგნი მე გლახკამან გიორგო ახლად მთაწმიდას ქართველთა მონასტერისა. შრომისათჳს ლოცვა ყავთ, წმიდანო მამანო. ხოლო ითარგმნა მისაელ[ის] მეფობასა, ქრონიკონისა ს.ა.ბ. თუ ამ მინაწერს დაუჯერებთ, გიორგი ქრონიკონსა ს.ა.ბ. ესე იგი 1042 წელს, უკვე წინამძღვარი ყოფილა. მაგრამ ამ მინაწერს რომრალაც კარგი არა სჭირს, შემდეგიდანა ჩანს: აღნიშნული თხზულების დავითგარეჯული ნუსხით, რომელიც გადაუწერია იერუსალიმში, ჯუარის მონასტერში, მიქაელ გურგენისძეს დიმიტრი მეფის (1125—1154) და იოანე კათოლიკოზის (1110—1142) დროს, ის ასე იკითხება: ლოცვა ყავთ, წმიდანო მამანო, გიორგისათჳს დეკანოზისა მთაწმიდელისა, ვისაცა მოიწინენ სწავლანი ესე სულთა განმანათლებელნი... [როგორც ზევით]... ხოლო ითარგმნა მიქაელის მეფობასა და დანუსსა სიკუდილსა მისსა ქრონიკონისა ს.ა.ბ. ² ამ მინაწერით 1042 წ. გიორგი დეკანოზადაა მოხსენებული; ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ის 1042 წ. არც წინამძღვარი ყოფილა და არც დეკანოზი, ეს ტიტულები ჩამატებულია შემდეგ დროის გადამწერთა მიერ, ხოლო თვით გიორგის ნუსხაში არც ერთი იყო და არც მეორე, იქ ასე იქნებოდა: ლოცვა ყავთ, წმიდანო მამანო, გიორგისათჳს მთაწმიდელისა, ვისაცა მოიწინენ სწავლანი ესე, მით უმეტეს, რომ რამოდენიმე სტრიქონის შემ-

1) სიძვ. მუზ. № 500, ფურ. 253.

2) იერუსალიმის 1880 წ. № 30.

დღე ის ამბობს: ვაარგმნე წმიდაჲ ესე წიგნი მე, არა წინამძღვარმან ან დეკანოზმან, არამედ გლასკჳმან გიორგი ახლად მთაწმადას. და მართლაც, 1042 წელს გიორგი რომ წინამძღვრად ვერ იქმნებოდა, ესა ჩანს ერთ-ერთ სახარებიდან, რომელიც გადაწერილი ყოფილა შიასა წმიდასა ათონსს, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობლისასა, მონასტერისა ქართკელთასა. მამობასა სტეფანე სახუელისასა, შეუობასა კონსტანტინე მანთახისასა, ქორთიკონსა სჯგ;¹ ქორთიკონსა სჯგ, ესე იგი 1043 წელს, ივერიის მონასტრის წინამძღვრად სტეფანე ხახულელი ყოფილა. ამნაირად, თუმცა 1042 წელს გიორგი არც წინამძღვარი ყოფილა და არც დეკანოზი, მაგრამ მოყვანილი მინაწერი სტოდირისა საყურადღებოა მით, რომ ის აბათილებს ბიოგრაფიის ცნობას, ვითომც გიორგიმ მთარგმნელობა მხოლოდ დეკანოზად დადგინების შემდეგ დაიწყო და მანქმდის არა გაუკეთებია რა; ჩანს, თუმცა იშვიათად, მაგრამ დეკანოზად კურთხევამდისაც, როდესაც ის შეურაცხ სამსახურს ასრულებდა ათონზე (1040—1047), თარგმნიდა გიორგი წიგნებს. ერთერთ ამჟროის ნაშრომად უნდა ჩაითვალოს მისი დიდი პარაკლიტონი; სინას მთაზე ინახება ერთი ცალი ამ წიგნისა, ვილაც პეტრეს მიერ გადაწერილი (.N. 60), რომელსაც შემდეგი წარწერა აქვს; დაწერა წმიდაჲ ესე ზნაქლიტონი საფელავსა წმიდისა ღმრთისმშობლისასა წმიდასა გკსამანის . . ქორთიკონსა იყო სჯდ;² თუ ის გადაწერილია ქორთიკონსა სჯდ, 1044 წელს, ნათარგმნი, თუ მეტი არა, ერთი წლით ადრე მაინც იქნებოდა.

გიორგი შესანიშნავი მოღვაწეა ჩვენს ისტორიაში, იმან თავისი კვალი აღბეჭდა ცხოვრების ყოველს დარგში, მაგრამ ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია მისი ლიტერატურული მოღვაწეობა, რომლისთვისაც დაბადებული იყო იგი. როგორც ექვთიმეს, მას უფროაწინა წიგნი დაწერა ვაარგმნიან (ათონ. კრებ. გვ. 305), და ესრეთ შეუსვენებულად თარგმნის, რომ არა სცემდა განსუენებას თავსა თვსსა, არამედ დღე და დამე ტკბალსა მას თაფელსა—წიგნსა სჯდმრთასა, შურებოდა, რომელთა მიერ დატკბოენა ჩუენი და წმიდანი კვლესიანი განაშუენსა და წერილთა აყსთა აქროთთა განაშლიდრნა უხუად და გარდარეულად (გვ. 309-310). თარგმნიდა ის ყველგან, სადაც კი უხდებოდა ყოფნა; რამეთუ არა თუ მთაწმიდასა და შაჳსა შიასა ოდენ თარგმნა, შენიშნავს მისი ბიოგრაფი, არამედ სპეუფოსა გჳასა,

¹ А. Сагарели, Свѣдѣнія о, стр. 73-76. № 3. გორდანი. ქრონიკები I. 191

² ფურც. 270, ა. ცაგარლის კატალოგში შეტომის სწორია სჯგ.

სულუმბას, ანტიოქიას, სუმსწმიდას და კალინასის (გვ. 310), ამიტომ თავისი დაუღალავი შრომით მან ყოველნი განაკურსა, არა ხოლო თუ ქრთველნი, არამედ ბერქენიცა და ასურნი (გვ. 312). სთარგმნიდა თუ არა რომელიმე წიგნს გიორგი, იმწამსვე შეუდგებოდენ მის გადაწერას საქართველოს ყველა კუთხიდან და საზღვარგარეთელს ქართულ სამონასტრო—საეკლესიო ცენტრებში, რამეთუ ყოველთა მონასტერთა კარდაწერენეს მისი წიგნებო, ამბობს ბიოგრაფი (გვ. 366), და უფროდეს ყოველთასა ღიდად იღვაწა სულთა კურთხეულმან ანტონი ლაზარიტ ყოფილმან და თვისისა მონასტრისა ბარლამი წმიდისათჳს დააწერინათ.

რა გააკეთა საზოგადოდ გიორგიმ? ამაზე მისი ბიოგრაფი ასეთს პასუხს იძლევა: 1) რომელნიმე წიგნი, სრულიად არა ყოფილნი და ენისაგან ჩუენისა უცხონი, სიღრმეთაგან უმეტრებისათა ნათლად გამოადრწეინვა; 2) ხოლო სხუანი, ოდესმე თარგმნილნი და წუთ ვერ კეთილად გადმოღებულნი, გინათუ ჟამათ სიგრძითა უცებთა და უგუნურთა მკამრებელთაგან დაგესღებულნი, ბრძმელსა მას შინა წმიდისა გონებისა თვისისა გამოადრსა და გამოაკურსნა; 3) ხოლო ჟუდად სხუანი წიგნნი წმიდისა შამისა ჩუენისა ეფთჳმეს მიერ თარგმნილნი და უცალობათა წუთ ვერ სრულქმნილნი, არამედ სულ მცირედ აღწერილნი. განასრულნა და განავრცნა; 4) და ჟუდად სხუანი რომელნიმე ბერძულსა შეაწმნა და უოკლისა ნაკულუევანებისაგან განასრულნა და სიტყუადუხტირობისა და ვერავთბისაგან განაშუენა და განაბრწეინვა. (გვ. 310). მაშასადამე, იმას გადმოუთარგმნია ჯერ კიდევ ქართულ ენაზე არარსებული წიგნები, უკვე ნათარგმნი და ხმარებისაგან გარყვნილნი გაუწმენდია და გაუსუფთავებია, ექვეთიმეს მიერ დაწყებული და დაუსრულებელი ან მოკლედ ნათარგმნი წიგნები ვრცლად და სავსებით უთარგმნია და სხვები კიდევ ბერძნულინათვის შეუდარებია და ყოველივე ნაკლისაგან გაუწმენდია. ბიოგრაფი პირდაპირ განცვიფრებულთა მისი სამწერლო მოღვაწეობის სიდიადით და შენიშნავს: მოსკოვნებლადცა დად არს ვითარმცა ესკოდენნი წიგნნი ერთმან კაცმან მზანთა თარგმნილნი ცხოკრებას შინა თვისსა აღწერნა. არა რათამცა ბერძულსაგან სრულად თარგმნნათ (გვ. 310). ნუსხა გიორგის შრომათა წარმოდგენილია მის ბიოგრაფიაში, მაგრამ არა სრული, ასე რომ ბევრ რამეს ჩვენ ვარკვევთ ხელნაწერთა და მათში შენახულ ანდერძთა საშუალებით. თუმცა, როგორც ამ შრომათა მიმოხილვა გვარწმუნებს, გიორგი ძან დანტერესებული ყოფილა ქართველთა ლიტურჯიკული პრაქტიკით და უფრო მეტი ლიტურჯიკულს დარგში უმუშავნია, მაგრამ ამასთანავე მას არ დაუტოვებია უყურადღებოდ არც ერთი სხვა დარგი ეკლესიური მწერლობისა.

1. ბიბლიოლოგია. როგორც ექვთიმეს, ზოგიერთნი მკვლევარნი გიორგისაც მიაწერენ ხოლმე ბიბლიის ქართულად თარგმნას; მაგალითად, განსვენებული თ. ყორღანია ამბობს, რომ „ჩვენი ძველი დაბადება, მეთერთმეტე საუკუნეში გიორგი მთაწმიდელისაგან ხელახლად გადმოთარგმნილი და გასწორებული, არსად მოიპოვებოდა“¹ ამდენანსო, და სიხარულს გამოთქვამს ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის ნანგრევებში, ერთი ძველი ნუსხის პოვნის გამო, რომელშიაც ის გიორგის თარგმანს ჰხედავს. მაგრამ, როგორც გამოიჩვენა, ეს ხელნაწერი, რომელიც ეხლა ტფილისის უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმს ეკუთვნის, შეიცავს არა გიორგის თარგმანს, არამედ გაცილებით უფვიანეს დროისას;² ასეთი თარგმანი არც ყოფილა არასდროს, გიორგის უთარგმნია მხოლოდ ზოგიერთი წიგნები ბიბლიისა, როგორც 1) დავითნი, 2) სახარება იახთავი და 3) ჰაყლე სრული და საქმე მოციქულთა და კათალიკენი მოციქულთანი, ესე იგი სრული სამოციქულო. დიდი შრომა გაუწევეია მას დავითნის თარგმნისას: ეფრემ მცირე ამბობს, რომ გიორგის არა ხოლო ერთგზის, არამედ ორგზისცა ეთარგმნა აგი ბერძულისაგან,³ და საკვირველიც არაა, ვინაიდან, როგორც გიორგი მოწმობს, ექვთიმეს მიერ ნათარგმნი დავითნი გადაწერს განერყვნა, ექვთიმეს ხელმოკრედ შრომა არ შეუსრულებია, მაშასადამე ხმარებაში რჩებოდა ჯერ კიდევ შეუსწორებელი ძველი რედაქცია ან ქართული დავითნი, გიორგისავე ტერმინოლოგიით. ამ შრომის ანდერძში გიორგი ამბობს, რომ მას ის მრავალთა ბერძულთადა დავითნის თარგმანთა⁴ შეუწამებია:.... რამელიც ვერ იყო სიტყუა საურთავეს. რამელიც ვერ იყო — დაუკლია, ვითა ჩუენსა ენასა მოვიდოდა. ამიტომ, სთხოვეს იგი გადაწერეთ, ნუცა დონ-ანსა დაკლებთ, ნუცა რამეთუსა, ვინაიდან დონ-ანნი ჩუენცა ვიცოდით, და იუწყა რას აუნებდა გინა იგი, გინა სხუთა რაჲცა სიტყუთა, არა დაუტეობდით, არცა აღმოვჰყოფდითო. ვთხოვე ყველას, ვინცა კე (კე) იცოდას, ანუ დარ (დარ), გინა ოტი (ოტი), ანუ დმერთი (დმერთი) და უფადი (Kპადი), გინა იგი რიტორიცა იყოს ანუ ფილასოფოსა, ჩუენსა ნაშრომსა ზედა ნუ ბრძნობს, თუ უნდა — თვით თარგმნოს ანოდა დავითნი, თუ უნდა ქართული დავითნი გადაიწეროს, მხო-

¹) ქრონიკები, II, 37.

²) ქ. ვეველიძე, თარგმანება ეკლესიისტისი მიტროფანე ჰვიონელისა, გვ. XXVII-XXX

³) ძველი საქართველო, ტ. III, გვ. 1, გვ. 243 მ.

⁴) დედნშია „ბერძულთა და დავითნის თარგმანთაგანი“.

ლოდ ჩემ მიერ ნათარგმნი არ შეცვალოსო. ¹ რაც შეეხება სახარებას, ამახედაც არანაკლები შრომა გაუწევია გიორგის; როგორც ეკლესიის ნუსხაშია ნათქვამი, გიორგის იგი ბერძულთა სახარებათადა შეკუმწმმა შესმედ, არაჟელ ზირჟელ შეკუმწმმა. ² ეს საქმე ამნაირად უნდა წარმოვიდგინოთ: გიორგის აუღია ექვთიმეს სახარება, შეუწამებია ბერძნულ ტექსტისათვის და, როგორც ექვთიმე-გიორგის რედაქციითა შედარება გვარწმუნებს, ცოტათი შეუსწორებია იგი. ამიტომ მართალი იყო გიორგი, როდესაც თავის სახარების ან დერძში სწერდა: ესე ოთხთაჲ არა თუ ახლად გვიასრგმნია, არამედ იურიადითა იძულებითა ვიესამე სუფიერთა [ძმთათაჲ] ბერძულთა სახარებათა შეკუმწმმებითა. ³ რაც უნდა ყოფილიყო, გიორგიმ მოგვცა ახალი რედაქცია სახარებისა და, მგავსად დავითნის ან დერძისა, გადამწერი სთხოვს: თუ გინდათ, ძველი რედაქციები გადაწერეთ, — ყველა ჩვენი სახარებანი, — ხან მეტნიცა და საბაწმიდურნიც, პირველიდგანვე შმიდად და კეთილადაა ნათარგმნი, ხოლო ჩემსას ნურც შესცვლით და ნურც სხვებთან არევთო.

სამოციქულოს თარგმნისას გიორგის შემდეგი წესი მიუღია: თვითეულ ეპისტოლეს წინ უძღვის უწყება მიზნისა ეპისტოლისისა, სადაც მოკლედ გათვალისწინებულია, როდის ან სად დაიწერა ეს ეპისტოლე, ვის და ვისი ხელით ეგზავნება ის და რამ გამოიწვია მისი დაწერა; წინასიტყვაობას მოჰყვება ტექსტის, შინაარსის მიხედვით, თავებად დაყოფა (არა ეხლანდებურად), მათი სათაურის მოყვანით, ამის შემდეგ იწყება თვით ტექსტი ეპისტოლისისა, რომლის ბოლოს კვლავ აღნიშნულია რამოდენიმე სტრიქონით — თუ საიდან ან ვისი ხელით ეგზავნა ეს ეპისტოლე და რამდენ მუხლს ან სტრიქონს შეიცავს ის. ⁴

II. აპოკრიფები. აპოკრიფებიდან გიორგის უთარგმნია, სხვათა შორის, სახარებასთან ერთად 1) ავგაროზი ან მიწერ-მოწერა იესო

¹) მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა I, 107—110.

²) თ. უორდანი, ქრონიკები I, 209.

³) თ. უორდანი, ქრონიკები I, 207, II, 173; Христианскій Востокъ, I, 120. ზოგიერთი ხელნაწერებში ეს ან დერძი სულ სხვანაირად და სხვა აზრითაა გადმოცემული: „ეე ოთხთაჲ ახლად გვთარგმნია ფრიადითა იძულებითა ძმთა ვიეთმე სულიერთათაჲთა და ბეძულთა სახარებათადა შეკუმწმმებითა ფრიადითა გამოწულლითა“ (პროფ. ა. შანიძე ტიფლ. უნივ. მოამბე II, 402—403). პროფ. შანიძე უკანასკნელ რეცენზიას უკერს მხარს, ის ამასა სთვლას გიორგის ნამდვილ ან დერძად, მაგრამ ამის ეწინააღმდეგება გიორგის პიოტრის შემდეგი სიტყვები: „ეს კვალად სხუანი რომელნიმე ბერძულთა შეაწამნა და ყოვლისა ჩაკლულეფანებისაგან განსრულნა. ვითარცა თუთი თაჲადი სახარებო“ (გვ. 310).

⁴) სიძვ. მუხ. ხელნ. № 584.

ქრისტესა და ედესის მეფის ავგაროზის შორის, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა უკვე ლაპარაკი. გიორგის რედაქცია, რომელიც მოთავსებულია გელათის ხელნაწერ სახარებაში XI საუკ. № 39, განსხვავდება ექვთიმეს რედაქციისაგან, პირველად ყოვლისა, ბექედთა ნიშნების ახსნა განმარტებაში, მერე — გიორგის რედაქცია უფრო მოკლეა, ვიდრე ექვთიმესი, აქ გამოტოვებულია ზოგიერთი ადგილები და ფაქტები. იმ ადგილს, სადაც მოინათლა ავგაროზი, გიორგის რედაქცია უწოდებს ვერის წყაროს, ხოლო ექვთიმესი — ქერასანს.¹ მეორე აპოკრიფი, რომელიც გიორგის უნდა ეთარგმნოს, არის წაგნი, რამელი დ წყარა იოსებ არიშთიუდშან, მაწაყუმან უფლისა ხუენისა იესა ქრისტესმან, და უწყებას ადგომასათჳს უფლისა ხუენისა იესა ქრისტესა და აღსკნებისათჳს გელესიისა, რამელ იგი ზირკელ აღაშენა ლუდს შინა, ქაღაქსა წმიდისა დედაყლისა ხუენისა, დმრასანშობდასა შარდის ქაღწყლისა შარამისსა, ეს აპოკრიფი, რომელიც, აღბად, წარმოადგენს ნ. მარტის მიერ გამოცემული ამგვარივე ძეგლის² ხელმეორე თარგმანს, შეიძლება სხვა რედაქციისასაც, მოთავსებული ყოფილა ათონის ქართველთა წმ. ილიას სახელობის სკიტის ხელნაწერში № 5 და გადაწერილია მეთერთმეტე საუკუნეში სიმეონ ხერკელის მიერ. როგორც ამ ხელნაწერის მოკლე აღწერილობიდანა ჩანს,³ ეს აპოკრიფი იწყება ასე: მუათცხანამეტკასა წელსა ..; გვერდის აშიაზე მას მიწერილი ჰქონია: წმიდანო მამსო [და] ძმასა ლოც[გ] უკათ გასს[აკას] გისთეს, რამელმან ესე წმიდას საკითსავი ბერძელ[ისა]გან ვაარ[ტმნე], რათა დაცვით[ა აქუენი]თა ყოს დმერთმან [წყ[ლო]-ბასა აურ[აცხელ]თა ცოდვათა[ა] და წერტილსა ჩუენსა ნუ შ[ე]ცვალებთ. თვით ანდერძის ხასიათიდანაც შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომ ამ აპოკრიფის ბერძულიდან მთარგმნელი გრ არის გიორგი მთაწმიდელი.

III ეპიგრაფიკა. ამ დავრში გიორგის უთარგმნია: 1) ბასილი დიდის გქესთა დღეთაჲს, რომელშიაც განმარტებულია ბიბლიური კოსმოგონია ანუ თქმულება სამყაროს ექვს დღეში შექმნის შესახებ. როგორცა ჩანს ამ თხზულების ანდერძიდან: დმერთმან იგი ზირკელსა

1) A. Naxanov. Oчерки по истории груз. словесности I, 197.
 2) Тексты и разьяснения по архаично-грузинской филологии, II, 1900 г.
 3) ეს აღწერილობა, რომელიც ეწაა უნივერ. სოფ. მუზეუმში იმყოფება № 1178, ეკუთვნის აღნიშნული სკიტის მოღვაწეს პ. ილიას.
 *) Migne, PG. t. 29.

თარგმანნი აკურახეს, დიდად კელი აღმზეურეს, ¹ ის ძველადაც ყოფილა ქართულად თარგმნილი, თუმცა ვისვან ან როდის, არ ვიცით. ბასილ დიდს ამ თხზულებაში განუმარტებლად დაუტოვებია ბიბლიური თქმულება კაცის შექმნის შესახებ; ეს ნაკლი აღუვსია და, მაშასადამე, ბასილის თხზულება გაუგრძელებია შერე მის ძმას, ნოსელ ეპისკოპოსს გრიგოლს, შრომაში, რომელსაც ეწოდება კატასა შესაქმისათვის; ² ეს თხზულება ძველადვე უთარგმნიათ ქართულად. ³ გიორგი მთაწმიდელს, როგორც მისი ბიოგრაფი მოგვითხრობს, სხვათა შორის, უთარგმნია წიგნა გრიგოლ ნოსელასა, რომლისა შეენიერება და ქებაჲ სეჴათა არს ყოვლისა მთასწობასა; ⁴ ამ შემთხვევაში მას გადმოუღია: 2) აღნიშნული თხზულება გრიგოლ ნოსელისა, რომელსაც მის თარგმანში ასეთი სათაური აქვს: რომელი იგი აკლდა აღწერასა ექესთა დღეთასა, რომელა იგი წინააღწერაჲ ნეტარმის დადმან ბასილი და ვინაჲთაგან დაბადებისათვის კაცისა დაჴმთა მას, ესე სრულჴა წმიდამან გრიგოლი მრთაღი: და ღმრთივშუენიერად. ⁵ აქას გარდა მას უთარგმნია აგრეთვე იმავე გრიგოლ ნოსელის 3) თარგმანებაჲ ქება-ქებათაჲ-სა, ⁶ რომელიც თავდება მეექვსე თავის მეგრე მუხლით, ⁷ და 4) განმარტებაჲ მამაკესისაჲ, ⁸ რომელიც შეიცავს მათ V—VII თავების ახსნას. ბიოგრაფის სიტყვით გიორგის უთარგმნია 5) დაბადებისაჲ თარგმანი იოანე ბქრობირისაჲ, რომელ არს ცხოვრებაჲ აბრაჴამისი; ⁹ ამ თხზულებას დღევანდლამდე ცნობილს ხელნაწერებში ჩვენ ვერ ვხვდებო ბით, შეიძლება ის შენახული იყოს ათონის ივერიის მონასტრის XIV—XVI ს ხელნაწერში № 81, ¹⁰ რომელშიაც ჩვენ უნდა გვქონდეს ილარიონის მიერ აღნიშნული ექვსთა დღეთათვის, ადამის დაბადებისათვის, აბულისათვის, სეითისათვის, ნოესთვის და შვილთა მისთა, წყლისა რდჴნისათვის და შერ-

¹) თ. ეო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები I, 291—292. მისივე Описание рукоп. Церковнаго Мусея I, 44, 73.

²) Migne PG. t. 44.

³) წერა-კითხ. მუხ. ხელნ. № 1141 და სიძველ. მუხ. №№ 6, 165.

⁴) ათონ. კრებ. გვ. 311.

⁵) სიძველ. მუხ. №№ 55, 73, 108, წერა-კითხ. №№ 1358, 5066, 120, 1799, 273.

⁶) Migne, PG. t. 11.

⁷) სიძველ. მუხ. № 55.

⁸) Migne. PG. t. 44.

⁹) ათონ. კრ. 298. 311.

¹⁰) A. Παπαρελι, Συβληται I, 93.

მე გამრავლებისაჲს კაცთა და ცოთმიანებისა მას გოჯთდას შენებისა უბადრუკთა მასგან, და ენის შერყენისაჲს, ¹ ესე იგი დაბადებისა თარგმანსა. ²

IV. დოღმატიკა. ამ დარგში პირველად ყოვლისა უნდა აღნიშნული იქმნეს მთელი რიგი სიმბოლოთა, რომელიც წარმოადგენენ, ასე ვთქვათ, მართლმადიდებელთა credo-ს, სახელდობრ: 1) სიმბოლო ნიკია-კონსტანტინოპოლის კრებისა, რომელიც იწყება: მრწამს ერთადმერთად მამა, ყოვლას მწყობრად... ექვს გარეშეა, კიორგის მოუცია უკანასკნელი რედაქცია ამ სიმბოლოსი, რომელიც დღესაც გვიპყრია ჩვენ. 2) გრიგოლ საკურველთმოქმედისა, ნეოკესარიის ეპისკოპოსისა: ერთაჲს დმერთა მამა სატყუას ცხოველას... ³ 3 — 4) ათანასე ალექსანდრიელისა — უუყუაჲ ვისშე ჭნებაჲს ცხოველას... და გაასკა — მიგებაჲ, რომელშიაჲ ლაპარაკია მსოფლიო და ადგილობითი კრებათა შესახებ: სად, როდის და რა მიზეზის გამო იყვნენ მოწვეულ იგინი. ამ უკანასკნელის მსგავსი რამ მოიპოვება მოსკოვის სინოდის წიგნთსაცავის ერთერთს ბერძნულ ხელნაწერშია, ⁴ მხოლოდ ქართულში კრებათა შესახებ უფრო ვრცლადაა ლაპარაკი. ათანასეს სიმბოლო, რომელიც, შეიძლება, მართლაც არ ეკუთვნოდეს მას, მკვლევართა აზრით, საბერძნეთის ეკლესიაში ცნობილ იქნა მხოლოდ 1223 წ. რომის პაპის ელჩების მეოხებით, ⁵ მაგრამ ამ აზრს არღვევს ქართული თარგმანი, რომელიც მეთერთმეტე საუკუნეშია გადმოღებული ბერძნული ენიდან გიორგის მიერ. 5) სიმბოლოს ხასიათი აქვს ათანასესავე თხზულებას ქაღწულებისაჲს — საც, რომელიც იწყება: ჰარველ ყოვლას გრწმენის ერთი დმერთა, მამა ყოვლას მწყობრად... 6) სიმბოლო პატრიარქი ფოტისა — ესრეთ მრწამს და ადუარკუბ კთალიკა და სამოციქულო უკლეისას... რომელიც წააგავს მეხუთე თავს მისი ეპისტოლისას პაპა ნიკოლოზ პირველისა ღმრ. ⁶ 7) იოანე დამასკელის სიტყუაჲ დქრასისმეტყუელებისაჲს და შობისაჲს უვლას ჩუენისა იესო ქრისტესა, ⁷ რომელსაც ჰო-

¹) *ibid.* прилож. стр. 9 № 21.

²) *Migne*, PG. t. 53-54.

³) *Migne* PG. t. 10.

⁴) Архим. Владимиръ, Систематическое ошнненіе греческихъ рукописей Москов. синодальн. Библиотекы №317.

⁵) Филаретъ, Историческое ученіе оъ ошнненіи церкви II, стр. 50, 1882 г.

⁶) Βαλλεττα, 110-112, Fabricii, Biblioth. Gr. ed. Harles, XII. 349-351. აღნიშნული სიმბოლო ნი მოთავსებულია, ხევათა შორის, სიბე. მუხ № 584 ხელნაწერში.

⁷) ელვით. მონისტ. ხელინ. № 5, ფ. 117-157.

მილეტეკური ფორმა აქვს, მაგრამ შეიცავს განყენებულს, დოღმატიკურ მსჯელობას ღვთაების შესახებ. დოღმატიკური შინაარსისა აგრეთვე სხვადასხვა ავტორთა ეპისტოლენი, რომელნიც გიორგის უთარგმნია, სახელდობრ: 8) ეპისტოლენი ეგნატე ღმერთ შემოსილისა; ეგნატეს სახელით დარჩენილა 15 ეპისტოლე სხვადასხვა პირთა და საზოგადოებათა მიმართ, რომელთაგან შვიდი უცილობელად მას ეკუთვნის, ხოლო რვა ყალბია, მხოლოდ წარწერილია მისი სახელით. 1 გიორგის ამათგან უთარგმნია მხოლოდ 12, რომელთაგან შვიდი ნამდვილია: ტრაელელთა, მალნისიელთა, ეფესელთა, რომაელთა, ფილადელფიელთა, ზმირნელთა და პოლიკარპეს მიმართ, ხოლო ხუთი ყალბი: მარიამ კოსოვოლელის, ტარსიელთა, ფილიპელთა, ანტიოქელთა და ირონის მიმართ. 2 არ უთარგმნია გიორგის სამი ყალბი ეპისტოლე: ღვთისმშობლისადმი და იოანე ღვთისმეტყველის მიმართ ორი, ვინაიდან ეს სამი ეპისტოლე დარჩენილა მხოლოდ ლათინურ ენაზე, ქართული თარგმანი კი მომდინარეობს ბერძნული დედნიდან. 9) ეპისტოლე ბასილი დადისა სიმოლადიკაჲს მიმართ სეუეკადასა. 3

V. ლიტურჯია. ყველაზე მეტი, როგორცა ვთქვით, გიორგის ლიტურჯიკის დარგში უმუშავნია. 1) დიდი სჯნაქსარი, რომელიც მისი ბიოგრაფის აზრით, არის საფუძველი ეკლესიასა, რომლისა აზნიერ შეუძლებელ არს წარმართებაჲ ეკლესიისაჲ, ნამყოფი რამელსა ეკლესიასა სჯნაქსარო არა ჰქანდინ, დადაჯაჲჲ უგუკლანა წიგნი ჰქანდინ, თაფლსა სჯამს, ხოლო სიტკბოსა სასა ვერა სჯნაბს, — გიორგის უთარგმნია პირველად ყოვლისა დეკანოზობაში (1048—1053), ვინაიდან მცირე სჯნაქსარი ექვთიმესი მას და თანამედროვე ლიტურჯიკულ პრაქტიკას უკვე აღარ აკმაყოფილებდა. ეს სჯნაქსარი დიდად საყურადღებოა როგორც წყარო, საიდანაც ჩვენ ვეცნობით სოფიაწმიდის, სტოდიელთა საეპისკოპოსოს და ათონის მონასტერთა ლიტურჯიკულ პრაქტიკას. 2) სასარგებლო გვიჩვენებენ სწავლად; 3) ზაქარე გამოკრებული საწყდაწად, ესე იგი ეგრედწოდებული აპრაკოსის ტიპის სახარება და სამოციქულო. 4) თთუენი სათარგმნისეუ სრულად ღმრთიებრწინეჲდეჲ. 5) ეს კანტალურის შრომაჲ, რომელიც საყურად-

1) Проф. А. Гусевъ, Чтения по патростории, вып. I, стр. 156-192.

2) სიძვ. მუშ. №№ 53, 60, 66, 239, წიგნით. № 49, 1587.

3) სიძვ. მუშ. № 584, ფ. 217.

4) К. Кевелашв. Литургическіе рукоп. памятники, стр. 228-230, 283-300.

5) ათონ. კრებ. გვ. 311.

დებო რამეს წარმოადგენს ქართულს ლიტერატურაში, ვინაიდან ამის მსგავსი სისრულით თითუენი ბერძნულს ენაზედაც კი არ არსებობდა. საქმე ისაა, რომ ამა თუ იმ წმიდანის ან დღესასწაულის სახელობაზე მრავალ ავტორს უწერია საგალობლები, ერთს ხელნაწერში ერთი რომელიმე ავტორის საგალობლებს აქვს აღვილი, მეორეში მეორისას; გიორგის კი, შეძლებისამებრ, თავი მოუყრია ამა თუ იმ დღის წმიდანის ყველა ავტორთა საგალობლებისათვის, რომელნიც კი ხელში ჩაეარდნია მას, ასე რომ მისი თხზულება წარმოადგენს ერთგვარ კრებულს მთელი წლის ჰიმნებისას. ამის შესახებ ეფრემ მცირე ამბობს: გიორგის სათუგამო საგალობელი არა ერთისა, არამედ მრავალთა დედათაჲს ერთად შეკრებილ არს და ერთს წიგნს შინა ბერძნულად არა რამელს იბოების ეგადენს საგალობელიო. ¹ ამიტომ ეს შრომა ფასდაუდებელია მსოფლიო ეკლესიის ჰიმნოგრაფიის ისტორიის წესასწავლად. თან ეს ჰიმნები ისეთი ხელოვნებით, პირდაპირ ვირტუოზულადაა ნაარგმნი, რომ განცვიფრებაში მოჰყავს ადამიანი. აქ აკროსტიხები იძლევა მთელ წინადადებებს, როგორც მაგალითად: გისართდენ დუმენტი, დუწლით განშუქსკუღო ასოჯანო (ან ივლისს), ზამენს, სამწესოთა მწვემისს, უოველნი უგალობდეთ (27 აგვისტოს): მთარგნელს დაუცავს აკროსტიხებში ბერძნული წინადადებანი, რაც იშვიათია სხვა ძეგლებში, როგორც მაგალითად: ათლოფორო მარტირიე ებგენიე ზარზვი ეშინ (25 ივლისს), ² ანიმნის ომინ ზანტეს ეესებოს ევზრაქსას (25 ივლისს), ³ ანიმნის ომინ ეესებოს ანდრიანო კე ანატალა (26 აგვისტოს) ⁴ და სხვ. ეს თარგმანი, ეფრემ მცირის მოწმობით, დიდად მისანდობელ ყოფილა აგრეთვე წერტილითა მაროჯად განკუთვლილთაისთჲს; ⁵ ესე იგი პუნქტუაციის ნიშნების შემოღებით, რომელნიც ალბად ამავე დროს სამუსიკო ნიშნების როლსაცთამაშობდენ. 5) სტიქარონნი საწელაწდონი დღესსწაუდასანი, რომელნი ოთუეთაჲ თანა სწერია: (გვ. 311); ეს არის ნაწილი ზემოაღნიშნული თხზულებისა, მისგან გამოკრებილი ერთი ნაწილი, სახელდობრ ის ჰიმნები, რომელთაც სტიქარონი ეწოდებათ, ან ბერძნულად — სტიხირარიონ. 6) სტიქარონნი თჳსაჯნი უძღისნირონი, ვი-

¹) ძველი საქართველო. ტომი III, გვ. 1, გვ. 216.

²) ἀμλιονδρε μαρτυρ ενυξινε παρβαπυε ημων.

³) ἀνάμνησον ημων παύσαν ενσπερξ ενπαρξια.

⁴) ἀνάμνησον ημων ενσπερξ Adριανε και Ναταλια.

⁵) თ. გორდანიძე, ქრონიკები I, 218.

თარგა არიან ბერძენულად (იქვე); ეს ისეთი ზიმნების კრებულებაა, რომელნიც სკთავაჯანი, ესე იგი თვთქიოვანნი არიან, იმასტაფისი საკუთარი კილო აქვთ და სხვა ჰიმნების კილოზე არ სრულდებიან, უძლი სპირონი არიან, ვინაიდან თვითონ წარმოადგენენ ძლისპირს; ბერძენულად ასეთ კრებულს ეწოდება ირმოლოგიონი. 7) ეჟადად აგიგე სტიქარხსნი აღისწირთა ქეჟე, რომელთა შინა სსუაჯტა მრავალნი კეთილნი სწერიან და მათვე შინა მარხვათა სტიქარხსნი (იქვე). 8) დიდი ზარაგლიტონი, სამკაული ეკლესიათა და სხვთა მრავალითა კეთილითა აღსავსე (იქვე); აღრინდელი ცალები ამ წიგნისა, რომელთაც ჩვენამდე მოუღწევია, არის სინას მთის 1044 წლის № 60, იკაურივე 1061 წლისა (№17) და სიძე. მუხ. 1093 წ. (№ 93). უკანასკნელი გადმოღებულია გიორგის დედისაგან, რომელიც ეზომ წყრილად ნაწერი იყო, რომელ კაცისა თავისა თმისა გუნდა. 9) დიდნი მარხვანი, 10) სატიკნი მრავალფერითა კეთილითა აღსავსე (იქვე). დიდს მარხვანში მოჰყვებოდა ანდრია კრეტელის დიდი კანონი, რომელიც გიორგის ვრცლად გადმოუღია: მას არამც თუ უთარგმნია ანდრიას ტექსტი სრულად. შეუტანია აგრეთვე ექვთიმეს დამატებანიცა და ზედმეტი აღგილები; თუმცა მას კმანი არ შეუცვლია, მაგრამ არც იმას სცდილა, რომ შეეთანხმებია მათთვის შესათფერი ჰიმნები. 11) საწინამეტყუელთა საწელიწდო, რომელიც მასუთარგმნია დეკანოზობაში (გვ. 298); ამის შესახებ ეფრემ მკრე ამბობს: ვაქეუ წესისა სწინამეტყუელთა წიგნთა მთარგმნელისსა, რომელთაგანი მცირედი რაჟგაგონების უსწავლელთა, გინა თუ ზოგსრე სწავლელთა მიერ, გარნა სიტყუას სიტყუსა ნცვალი შედარებულა ბერძენისა. 2 12) დიდი კურთხევანი, ესეც დეკანოზობისას უთარგმნია გიორგის. 3 კურთხევანი, მცირედ და შემოკლებულად, როგორცა ვთქვით, ექვთიმეს ეთარგმნა, მაგრამ, ვინაიდან ის თანამედროვე ლიტურგიკულ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა, გიორგის განუძრახავს ახალი, უფრო სრული რედაქციის გადმოთარგმნა. ამ წიგნს საქართველოში მიუღია კანონიერი მნიშვნელობა, იმისათვის სანქცია მიუცია რუს-ურბნისის კრებას, რომლის ერთერთს კანონში ნათქვამია: ხოლო წესი კელდასხმადთა სრულებისა გრეუთ ადესრულებოდედ, ვითარტა

1) Н. Марр, Исторический очерк грузин. церкви съ древнѣйшихъ временъ, Церковная Вѣдомости, 1907 г. № 3, прилож. ст. 141.

2) თ. ეორდანი, ქრონიკება I, 210.

3) ათონის კრებ. გვ. 298, 307-308.

ასაღათა შინა კურთხეასა სეტარებით მოკსენებულისა მამისა გიორგი
 მოაწმადელასათა დ წერილ არს. ეგრეთვე კურთხევაჲ ეკლესიისაჲ და დამურ-
 იაჲ სკურთხეველასა და წმიდაყოფა დაკრამთველასა მარანასი ეგრეთ სრულქი-
 ნებოდდე. ვითრცა მის შინა მოკსენებულ არს. ¹ შეიძლება ვიფიქროთ, რომ
 გიორგის უთარგმნია აგრეთვე ეამისწირვა, ან წირვის წესი იოანე ოქრო-
 პირისა და ბასილი დიდისა; მეთერთმეტე საუკუნის ერთერთს კონდაკ-
 ში, რომელიც პირველად ჩვენ სენათში ვნახეთ და დღეს საისტორიო-
 საეთნოგრაფიო საზოგადოების კუთვნილებას შეადგენს, მოთავსებულია
 ბასილის წირვა და მიცვალებულთა მოსახსენებელში ნაფქვამია: მოკსენ-
 ნე უფალო სული. გიორგისა თარგმანისა. ² კონტექსტი საფუძველს გვა-
 ძლევს ვიფიქროთ, რომ გიორგი აქ მოხსენებულია არა საზოგადო წნი-
 შენელობით, არამედ როგორც წირვის წესის თარგმანი ან გადმომ-
 ლებელი. ამნაირად, როგორც ვხედავთ, გიორგის გადმოუთარგმნია თი-
 თქმის მთელი კომპლექსი საღვთისმსახურო წიგნებისა და ამ მხრივ
 ქართველი საზოგადოება სავსებით უზრნველ უყვია.

V]. **ჰომილეტიკა.** ბიოგრაფი გადმოგვცემს, რომ გიორგიმ თარ-
 გმნა 1) წიგნი თეოდორე სტრადიკლასაჲ, სწავლანი დიდთა მარხვათა საკ-
 თხვანა (გვ. 311). აქ მოთავსებულია თეოდორე აღმსარებელის სწავლანი
 სუჯიერნი თქოსა მოწაფეთა მამართ ყველაერისა კრიაკითგან ვიდრე დიდად
 ოთხშათათამე, რომელნი წარიათხვიან მარხვათა შემდგომად სერობისა და
 ასმენენ ქმნი უოგელნი ზემდგომნი და მდუმრად უოვლითავე ღმობიერებითა
 (სიძვ. მუზ. № 500). შინაარსი: შესავალი, 57 სიტყვა დიდმარხვის
 პირველ ოთხშათათიდან ბზობის პარასკევამდე, ვნების კვირიკის ორ-
 შაბათისა და სამშაბათის, აღვსების, შემდგომად აღვსებისა და ხსენები-
 სა წმ. დომენტისა, შემდგომად აღვსებისა ოთხი სიტყვა, შუაზატიკის,
 ამალლების წინაღლის, გარდამოსლვისათვის სულისა წმიდისა, ყოველთა
 წმიდათათვის, პირველის, მეორის და მესამე კვირიკის, შემდგომად
 ხსენებისა წმ. თეოდორესი და შემდგომად ხსენებისა წმ. წინამორბედი-
 სა. ეს თხზულება გიორგის უთარგმნია წინამძღვრობაში, ვინაიდან დე-
 კანოზობაში ნათარგმნ წიგნთა სიაში (გვ. 297-298) ის არ არის. 2)
 სოფრონი ექუსალიმელის სიტყვაჲ ხარებისათვის, რომელიც იწყე-
 ბა ასე: ხარებაჲ არს, ქმანო, ხარებაჲ. ³ აქ ხელნაწერის აშიაზე აწერია

1) მ. საბინინი, საქართველოს სამოხე, გვ. 524.

2) К. Кекелидзе, Древне-грузинский Архипастырь, стр. XI прим. 1.

3) გელათის, № 8, ფ. 151-172.

გრიგოც ჩვენ გიორგი მთაწმიდელად მიგვაჩნია. 1) გრიგოლ ნოსე-
ლის შესწავლა წმიდისა და დიდებულისა მოწამისა თეოდორესი. 1

VII. ჰაგიოგრაფია. გიორგის მიერ ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული თხზუ-
ლებანი არიან მეტაფრასტული რედაქციისა; ესენია: 1) ნექტარი კონ-
სტანტინოპოლის წამებაჲ წმ. თეოდორე ტარსისა და სასწაულისა
მისთვის, რომელი იგი აღასრულა უოვლადქებულმან უძვეველმან მოწამემან უმ-
თა ივლიანე განდგომილისათა, 2) იკითხება დიდმარხვის პირველ შაბათს. 2) იოანე დამასკელის უწყებათაგან პირველთა დიდთა გამოწყდილთა
შეკრებილი საკითხავი უოვლად ქებულის შობისათჳს უფლისა. 3) 3) დორო-
თეოს ტვირელის მოწაფეთა მათჳს უფლისათა, რომელიც ძველიადაც
იყო ქართულად ნათარგმნი, 4) გიორგის ხელმეორედ უთარგმნია ბერძნუ-
ლი ენიდან, ხოლო ბერძნული დედანი ლათინურიდან ყოფილა გადმო-
ღებული. 5) 4) თხრობაჲ მარგებელი. ძველთა თხრობათაგან შეკრებილი მაუწყე-
ბელად საკსენებელსა საკურდელითქმნიდისა სასწაულისა, რაჟამს სწარსნი და
ბაზაროზნი დედოფალსა ამის ქალასა ბრძოლად მოადგეს და წარტყუნეს
საღმრთოთა ბჭობითა განშვიდნი, ხოლო ქალაქი ესე უგებელად დეგულა შე-
ხებითა ღმრთაიმშობლისათა. მიერთგან წდითიწდაღსა გლობასა შესწირავს
სამადლობელსა, დაუჯდომელად სხელმძღვანელი დღისა ამის. აქ ჩვენ გვაქვს
დიდმარხვის მეხუთე შაბათის საკითხავი, ბერძნულად აკათისტოდ სა-
ხელღებული, რომელშიაც მოთხრობილია ამბავი კონსტანტინოპოლის
მოცივისა სკვითებისა და აფარების მიერ 626 წელს. ეს თხრობა ქარ-
თულად სამი რედაქციითა შენახული: 1) მცირე. 2) მოკლე. სტეფანე სა-
ნანოასძის მიერ თარგმნილი, 3) და ვრცელი, 4) რომელიც გიორგის გად-
მოუთარგმნია. 5) 5) წამებაჲ წმიდისა და დიდისა მოწამისა გეორგისი,
23 აპრილს, რომელიც იწყება ასე: დიოკლიტიანე რომთა თჳსმპერსებელი
უღირსებით მომხუმელი სკიპტრისაჲ. 10) 6) გიორგის ორიგინალური შრო-

1) გელ. № 8. ფ. 40-45.

2) სიძვ. მუხ. №№ 5, 55, 120, 272, გელათ. № 8. ფ. 23-29, №1, ფ. 59-64.

3) სიძვ. მუხ. № 162, გელათ. № 5.

4) სიძვ. მუხ. № 95, 156-163, № 144, ფ. 320-334.

5) სიძვ. მუხ. №№ 139, 223, 257 და სხვ.

6) სიძვ. მუხ. № 317.

7) სიძვ. მუხ. №№ 5, 140, 162, 272, გელ. № 2.

8) სიძვ. მუხ. № 500, 518, 674.

9) М. Джанашивили, Сказание оъ осалахъ Константинополя персамъ, скиа-
ми—русскимъ и арабамъ, (Материалы по исторiи и древностямъ Грузiи и Россiи) Тиф-
лисъ 1912 г. стр. 107—145.

10) გელათ. № 7. ფ. 320—340.

მაც დარჩენია ჰაგიოგრაფიაში, სახელდობრ—ცხოვრებაჲ სეკარის მამის სუენის იანესი და ეუთუმესი და უწყებაჲ ღირსის მის მოქალაქობის მათისა.¹ ეს თხზულება, რომელიც მეტად მნიშვნელოვანი ნაწარმოებია ჩვენი ისტორიის შესასწავლად მეთერთმეტე საუკუნეში, მას დაუწერია კიდრელა იყო დეკანაზსად.² თუმცა მასალის გროვება დაუწყია იმთავითვე, რაც ათონზე მისულა: რამეთუ ზირკელთგანგე, აღბობს გიორგის ბიოგრაფი, ვინაჲთგან მოვიდა იგი წმიდას მის მათსა, მოსწრაფებითა და წადიერებითა და გულსმოდგინედ გამოწულილვით გამოიკითხს და გამოიძია მოწაფეთგან და მეკობართა წმიდას მამის სუენასა დიდის ეუთუმესთა უსხეულთა მამსგავსებული და კაცთა ბუნებისა აღმატებულა ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ.... და დიდებულის მის ღაფრასა შენებაჲ და განკებანი, რომელნი წმიდას მამასა ეუთუმეს დაესხნეს, ესე ეოფელნი აღწერათ დაგუტენა (გვ. 299). ერთი მიზანი ამ თხზულების დაწერისა აღნიშნულია შემდეგ სიტყვებში: ცხოვრება მათი გიორგიმ სტად ცხოველად და ქუდად ზირმეტყუელად მომავალთა ნათესავთა აღგზმართსა, რომელსა იგი მკითხველ-მსმენელნი სულით და კორცთა განათლებიან (იქვე), ესე იგი, გიორგის განუზრახავს ივერიის დიდებულ მამებებელთა ბიოგრაფიის დაწერა სტად ცხოველად და ქუდად ზირმეტყუელად შემდეგ თაობისათვის, რომელსაც ის მისაბაძად ექნებოდა მულამ: ამ შემთხვევაში ეს ერთგვარ ზნეობრივ ვალსაც იხდიდა დიდებულ მოღვაწეთა წინაშე მათი მოქმედებისა და თავადადავალის აღწერით: ეკლესიაში მიღებული იყო ასეთი დამიანებას ცხოვრების, ღუაწლის და შრომათა აღწერა, და იოანე და ექვთიმე ზომ არაფრით არ ჩამოუვარდებოდენ სხვებს, ისინი არადაჲი უსკლო იუჩნეს ზირველგამომსინეულთა წმიდათსა (გვ. 2). მაგრამ იყო სხვა მიზეზიც: როგორც ვიცით, ათონის ბერძნები ყოველ ღონეს ხმარობდენ, რათა ქართველები გამოეძევიებიათ ივერიიდან, წაერთვათ მათთვის ლავრა და მისი ქონება და თვით სასულიერო მამსენებელთა აღმოქმედით (გვ. 63). გიორგისა და ათონელ ქართველებს უკეთესა საშუალებად მიუჩნევიათ ამ მამებებელთა ცხოვრების აღწერა, რათა ის გამხდარიყო წერილობითი დოკუმენტად მათი უფლებებისა ათონზე და რათა ესევეთარი ბოროტი, რომელი მოაწიეს მათ სულა ბერძენთა, არა დავიწყებულ იქმნას და კუდად შემდგომად მათსა მომავალნი ესევეთარსა ჭირსა მოაფრენ (გვ. 61). ავტორი

¹) იქვე. მუხ. 255: გამოცემულია ათონის ქრებულში, გვ. 1-68. და სიქართველოს სამოთხეში, გვ. 401-432.

²) ათონ. ქრებ. გვ. 299.

წყაროებსაც უჩვენებს თავის შრომისას: სუენი იაკით თქლით არარა აღგუ-
წერია, არამედ რა. იგი ვისწყუთი კაცთა სარწმუნოთაგან და სუელითა მამიას,
რომელთა იგი ეძღვანეს და ემსახურა მათდა. რამელნი იგი ეცნო ივესეს ყო-
ლითერთ ტუფუჯლისაგან და სუესე მადლითა სუეგადმოფთა; აგრეთვე საქმე-
თაგან, რომელნი იგი ღუმილით წამებენ და კამადლად ჰქადაგებენ ღუაწლ-
თა და შრომითა მათთა. — დაგრად ესე დიდებული და ყოფლითა შეენიერებო-
თა შეგუელა და ყოფლითა სამკაულითა განშეუენებულა (გვ. 3). მას ხელთა
ჰქონია წერილობითი წყაროებიც, მაგალითად, ნუსხა იმისა, რაც ქარ-
თველებმა ათანასეს ლაერას შესწირეს, ყაჭელი თჳთ წმიდისა მამისა ყოთ-
რშეს კელთა ნუსხისაგან დაგუწერიაო, ამბობს ის (გვ. 17), ანა და ათონის
სხვა ეკლესია — მონასტერთადმი ბოძებული ესეცა ყოველი მამათავე ჩუენ-
თა დაწერილისაგან დაგუწერიაო (გვ. 18); სიკვილიის წინ იოანეს თავისი
ან დ ერ ძ ი დაწერით დაუტოვებია და ეს დოკუმენტიც გიორგის გან-
კარგულებაში ყოფილა (გვ. 24). ნუსხა ექვთიმეს მიერ ნათარგმნ თხზუ-
ლებათა იმას ამოულია იოანეს ან დ ერ ძ ი ს ა გ ა ნ, რომელიც სახარე-
ბათა თარგმანებას აქვს თანდართული და სხვა ხელნაწერებშიაც მოიპო-
ვება. ამის გამო ეს თხზულება უაღრესი ნდობის ღირსია და პირველ-
ხარისხოვანი ლიტერატურული ძეგლი. ¹

VIII საეკლესიო სამართალი. ამ დარგში გიორგის პირველად
ყოვლისა ხაზი გაუსვამს მღვდელმსახურთა მოვლეობისათვის და უთარ-
გმნია დარიგება მღვდელთადმი, თჳთ როგორ უნდა ექიროთ თავი; ² სა-
ხელდობრ: 1) მცნებაჲ მღუდეულთა მიმართ, რომელიც იწყება: ეგრძაღე
თავსა შენსა და ისიღე მსახურებაჲ, რამელი მიიღე, რათა დასრულო იგი; ³
2) მცნებაჲ წმიდისა ჟამას წირვისაჲ მღუდეულთა მიმართ, რათა არა წირვიდენ
დღეს, შინა თრგზის, არამედ ერთგზის. ⁴ 3) ბიოგრაფიაში აღნიშნულია
ენისტოღენი წმიდისა კურიელისნი და სხუთა წმიდათა მამათანი განუუეთისათჳს
ნისტორ უსჯულოფსა (გვ. 311); ეს შეიძლება ამონაწერი იყოს მესამე
მსოფლიო კრების აქტებიდან, საწუხაროდ, ჩვენამდე ეს თარგმანი არ
შენახულა, ყოველ შემთხვევაში ჯერ აღმოჩენილი არაა. 4) ბიოგრაფი-
ვე აღნიშნავს გიორგის მიერ ნათარგმნ წიგნთა შორის ერთს: წიგნი მეუ-

¹) ყოთრო დაწერილებით ამ შრომის შესახებ იხ. პროფ. ივ. ჯავახიშვილის ძველი
ქართული სისტორიო მწერლობა, გამოც. 1, გვ. 73—84. გამოცემა 2, გვ. 125—137.

²) ათონის სინტაგმა IV, 391—392.

³) სიძე. პუბ. № 584, თ. 247—248.

⁴) იქვე, თ. 248.

ქვისსა კრებას (იქვე); ასეთი თხზულება ქართულად იარსენა, როგორც ვიცით, ექვთიმე ბაონელმა. გიორგის რომ ეთარგმნოს ის, არავითარი კვალი ამისი არა ჩანს. არც თარგმანი შენახულა და არც რაიმე ცნობა მის შესახებ, თუგინდ ხელნაწერთა მინაწერით და ბიბლიოგრაფიული შენიშვნის სახით. იქნება გიორგის ბიოგრაფს შეეძომაკ მოღვიდა და ექვთიმეს შრომა გიორგის მიაწერა, თუ ანა და საქმე ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ბიოგრაფის სიტყვით გიორგიმ თარგმნა წიგნი მეექვსისა კრებისა ეპისტოლენი წმინდისა კერალესისა და სხუთა წმინდა მამთა კნეკეთის თესნისტორ უსჯულოთს: (გვ 311): შესაძლებელია აქ იგულისხმებოდეს ერთი თხზულება, სახელდობრ იმ კრების წიგნი, რომელშიაც აღნიშნული ეპისტოლენი იყვნენ მოთავსებულნი, ე. ი. მესამის. იქნება ხელნაწერში მესამის აღსანიშნავად იყო ასომთავრული ხტყუჩი ბ, რომელიც გადამწერს ასომთავრულსავე მთან აერია და აქედან წარმოდგა მესამის შაგიერ მეექვსე.

ასეთია გიორგის მიერ ნათარგმნი თხზულებანი, რამდენადაც ჩვენ დღესდღეობით ვიცნობთ მათ; შეიძლება სხვაც ეთარგმნოს მას, მაგრამ ცნობები ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. გიორგიმ ნაბიჯი წადგა წინ ქართული ტექსტის ბერძნულ დედანთან დაახლოვებაში, ის აღარ იჩენს თარგმნის პროცესში იმ თავისუფლებას, რომელსაც ექვთიმე იჩენდა, თუმცა იმანაც ვერ შეძლო სულერთიან შეეწყვიტა ყოველივე კავშირი ძველ ქართულ ლიტერატურულ ტრადიციებთან და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ, როგორც ეფრემ მცირეც აღნიშნავს, მაუხედავად იმისა, რომ გამოწულილვითა აწამებდა ქართულ თარგმანს ბერძნულს, სანოციქულო და დავითნი, მაგალითად, მაინც სიტყვასიტყვით ვერ შეუჯერებია ბერძნულ ტექსტთან და ამიტომ დავითნი ეფრემმა ხელმეორედ თარგმნა.

გიორგი არა მარტო მთარგმნელი იყო, იმას ორიგინალური თხზულებაც უწერია, როგორც, მაგალითად, ზემოგანხილული ცხოვრება იოანესი და ექვთიმესი; ამავ დროს ის პოეტიც ყოფილა. პოეტური ნიჭი მას გამოუჩენია ჯერ კიდევ საეკლესიო ჰიმნების თარგმნისას, რომელნიც, თუმცა პროზითაა გადმოცემული, მაგრამ პოეტური ელფერით არიან მოსილნი, რაც, სხვათა შორის, აკროსტიხთა ვირტუოზულად შექმნაშიაც გამოსჭევივს. მას იამბიკოც უწერია, მაგალითად მის მიერ ნათარგმნ სახარებას თან ახლავს შემდეგი თორმეტმარცვლოვანი იამბიკო:

ბანსაკრთიბელთა ღმრთისა სჯმეთა წიგნი,
 ემბაზით მადლოთა აღმომშობელი ჩუენი,

მეტყვირად გაქუს თუღლით ნამუშავევა.

რომელიც გწეურის სუემლით წეაღის ცსოველსა,

ბარსა სემდადცა ითხლით, რომლისასა

იტყვან თაფნა სტიხოსთან ი სხელსა. (გელათ. № 39)

თავნი სტიხოსთანი, ესე იგი აკროსტიხი, იტყვიან ან ამბობენ სახელს გიორგი, რომელსაც ეკუთვნის ეს იამბიკო. პროფ. კალინოვის სკის სიტყვით, გიორგის ბერძნულადაც დაუწერია ერთი ლექსი, რომელიც თითქოს რუსულ ენაზე გადმოკეთებულია ი. კოზლოვის მიერ და იწყება ასე: „Вечерний звонъ, вечерний звонъ, какъ много думъ наводитъ онъ!“¹ მაგრამ ეს აზრი სრულიად უსაფუძვლოა: ეს ლექსი, რომელიც ქართულად იწყება ასე: „რეკა მწუხრის ძელისა, მწუხრის ძელისა, რაფენს აღგვიძრავს იგი მოგონებასა,“ და რომელსაც გიორგის ნაწარმოებად სთვლიან, თვითონ არის სიტყვა-სიტყვითი თარგმანი კოზლოვის ლექსისა და, სტილის მიხედვით, შეუძლებელია მეთერთმეტე საუკუნეში იქმნეს ვადატანილი.

27. სტეფანი ათონელი.

პლ. იოსელიანის ცნობით მამა სტეფანე გარდაიცვალა ათონზე 1069 წელს, მაშასადამე ის თანამედროვე ყოფილა გიორგი მთაწმიდელისა. ანტონ კათოლიკოზი, რომელიც სტეფანეს „პატივისა სცემს“, როგორც ფილოსოფოსსა და ბრძენს, ეუბნება მას: „მოდერობა საღმრთო წიგნთ-თარგმნობა წრფელად ვიცით მამაო შენოა.“² პლ. იოსელიანის სიტყვით, სტეფანეს უთარგმნია ბერძნულიდან იოანე ოქროპირის თხზულებათაგან ორი კრებული: კლიტე და ფუტკარი.³ კრებული ოქროპირის თხზულებათა, რომელსაც „ფუტკარი“ ეწოდება, სხვა ენებზედაცაა ცნობილი, თუმცა ქართულად მთლიანი ნუსხა მისი გარდა ფრამენტებისა, არ შენახულა: რაც შეეხება „კლიტეს“, ეს კრებული შეუდგენია მეთერთმეტე საუკუნის გასულს გაბრიელ მცირეს და არა სტეფანე ათონელს; შეიძლება ასეთი შეცდომა პლ. იოსელიანს მოუვიდა იმის გამო, რომ ეს კრებული გაბრიელს შეუდგენია სტეფანე ნინოწმიდელ-რუსთველისათვის, რომელიც იოსელიანმა სტეფანე ათონელთან არია, ბიოგრაფიული ცნობები სტეფანე ათონელის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება.

¹) А. Хахановъ, Опытъ по исторіи грузинской словесности, II, 81; მ. ჯანა-შვილი, უცვლელი და დაღება, გვ. 86; ა. კვერ-ძე, ერთი კურთხი (კეგელია“ 1904 წ. № 10)

²) წამბილსიტყვაობა, ტაეი 729-730.

³) იქვე, შენიშ. 135.

28. ეზრა მთაწმიდელი.

1074 წ. გადაწერილს ეგრედწოდებულს ათონის კრებულში¹ მოთავსებულია საგალობელი „წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ქართველისანი, რომელმან აღაშენა მთაწმიდას დიდი ლავრაჲ ქართველთაჲ.“² კანონის საგალობლებს შემდეგი აკროსტიხი ან კიდურწერილობა აქვს: „იდიდებოდენ აწ ჩამაი იოანე უღირსისა ეზრას მიერ“, მაშასადამე, ავტორი ამ საგალობლებისა არის ვილაც უღირსი ეზრა; ვინ იყო ეს ეზრა, ჩვენ არ ვიცით, უეჭველია--ის იყო ივერიის მონასტრის ერთერთი მოღვაწე. ამ საგალობლებში იოანესთან ერთად ის შეაქებს აგრეთვე მის შვილს, წმიდა ექვთიმეს. ჰიმნოგრაფს უსარგებლნია იმ მასალით, რომელიც ჩვენა გვაქვს იოანესა და ექვთიმეს ბიოგრაფიაში, აქედანაა ამოღებული ზოგიერთი არამც თუ აზრები და ფაქტები, არამედ სიტყვები და წინადადებანი, მაშასადამე, საგალობლებს დაწერილია მას შემდეგ, რაც გიორგი მთაწმიდელმა იოანესა და ექვთიმეს ბიოგრაფია შეთხზა. აღნიშნული ბიოგრაფია გიორგის დაუწერია დეკანოზობაში, 1048-1051 წლებში, მაშასადამე უღირსი ეზრას თავისი საგალობლები შეუთხზავს 1054-1074 წლებში. ამნაირად იტყვება, რომ ეზრა იყო მწერალი მეთერთმეტე საუკუნის ნახევრისა.

29. ბასილი.

1074 წელს გადაწერალს ხელნაწერში „შენახულა საგალობლები ექვთიმე მთაწმიდელისა, რომელთა აკროსტიხი იძლევა შემდეგს წინადადებას: „ღმერთშემოსილსა ეფთიმის გლახაკი ბასილი შეამკობს.“¹ თავისთავად ცხადია, საგალობლები დაწერილია 1028-1074 წლებში. ვინაიდან საგალობელთა შინაარსი ამოღებულია ექვთიმეს ბიოგრაფიიდან, რომელიც შედგენილია გიორგი მთაწმიდელის მიერ მაშინ, როდესაც ის დეკანოზად იყო (1048-1054 წ.). მაშასადამე, ბასილი ყოფილა მეთერთმეტე საუკუნის ნახევრის მწერალი, ალბად ათონელი.

30. ზოსიმე.

ჩვენამდე შენახულა საგალობლები ილარიონ ქართველისა² და ექვთიმე მთაწმიდელისა,³ რომელნიც დაუწერია ვილაც უღირსს ზოსიმეს; ამ საგალობლების შედგენისას ზოსიმეს, როგორც მიღებულია ჰიმნოგრაფიაში, უსარგებლნია იმ მასალით, რომელსაც იძლევა ცხოვრება ექვ-

¹ ს.პე. მუხ. ხელნ. № 558.

² ათონის კრებულთ. გვ. 187-201.

³ ს.პე. მუხ. № 558.

⁴ ათონის კრებულთ. გვ. 209-215.

⁵ ათონის კრებულთ. გვ. 177-186.

⁶ იქვე, გვ. 202-208.

თიმესი და ილარიონის (უკანასკნელი—ქელი, ათონური რედაქციისა). ერთიკა და მეორეც, როგორც მინაწერიდან ჩანს, ზოსიმეს დაუწერია იაკობ მღვდელის იძულებით, რომელიც დეკანოზი ყოფილა ივრიის ლავრაში გიორგი ოლთისარის მამასახლისობისას. უკანასკნელს მამასახლისობა მიუღია გიორგი მთაწმიდელის სიკვდილის შემდეგ, 1066 წელს, და 1074 წელს, როდესაც გადაწერილია ის ხელნაწერი, რომელშიაც მოთავსებულია ეს საგალობლები,¹ ის კიდევ მამასახლისი ყოფილა; ასე რომ ზოსიმეს² ეს საგალობლები დაუწერია 1066-1074 წლებში.³ ამ ზოს მის გადაუწერია, სხვათა შორის, გიორგი მთაწმიდელის მიერ გადმოთარგმნილი სტოდირი.⁴

31. ლეონტი მროველი.

მეთერთმეტე საუკუნიდან ჩვენა გვაქვს რამდენიმე ნაწარმოები, რომელთა ავტორად ერთერთი მინაწერი ლეონტი მროველი სასთვლის; სახელდობრ. მარიამ დედოფლის (აგრეთვე ანნა დედოფლისაც) ქართლის ცხოვრებაში ერთ ადგილას აღნიშნულია: არჩილის წაშენა და შეფუთვა ცხვარება და სისოსაცან ქართლას მოქცევა ლეონტი მთაწმიდელის დაწერა (გვ. 211), და თან დამატებულია: დედას ესაყენ ეწერათ. არაერთი სხვა, ან სხვა წყაროდან მოპოვებულად, ცნობა ლეონტი მროველისა და მისი ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება,⁴ მაგრამ პასაკი იმ ნაწარმოებისა, სადაც ამ მინაწერს ადგილი აქვს, თავმდებია იმისა, რომ ის, თუ თანამედროვე არაა ლეონტისა, ძან მალე კია გაცეთებული მის შემდეგ. სიტყვები: დედას ესაყენ ეწერათ, გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველად, სანამ ქართლის ცხოვრების პირველი კრებული შედგებოდა, არსებობდა ცალკე კრებული ლეონტის შრომებისა მოყვანილი მინაწერით, რომელიც აქედან რედაქტორს, მართალია უადგილო ადგილას, ქართლის ცხოვრებაშიც ჩაურთავს.

ტიტული მროველი გვაფიქრებინებს, რომ ლეონტი ყოფილა რუისის მღვდელმთავარი: ეპისკოპოზი ან მთავარეპისკოპოზი. ის რომ მართლაც სასულიერო პირია, ამის თავმდებია წმ. ნინოს და არჩილ მე-

1) სიძველეთა მღვდელის ხელნ. № 558.

2) კ. კეკელიძე. მინაწერი ქართული საგონათვის ისტორიიდან, ტფილ. უნივერს. მოამბე 1, 56-57.

3) ათონის კრებული. გვ. 218, შენიშვნა.

4) პროფ. ნ. მარტის სიტყვით, ათონის ერთგვარს XI—XII ს. ხელნაწერში № 61 მონაწილე ყოფილა „მთავარეპისკოპოზი ლეონტი მროველი“ (Αγιογραφικαί μαρτυρίαι του ἱεροσολ. ὑπομοναχῆ Ἰωάν. 1, 84. ЗВОАО. XII), მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ლეონტი უთვოდ ჩვენი მწერალია.

ფის ცხოვრება, აგრეთვე მეფეთა ცხოვრების ზოგიერთი აზრები და მისი, წარმართობის განმაქიქებელი პოლემიკური და ქრისტიანობის განმადიდებელი აპოლოგეტური, ტონი.

როდის ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ლეონტი? ამის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს: პროფ. ნ. მარტის შემხვედრო გამოთქმული აზრის თანახმად, ლეონტი მერვე საუკუნის მწერალია; ¹ ამ აზრს, რომელსაც მხარს უჭერს მ. ჯანაშვილიც, ² საფუძვლად უდევს, ალბად, არჩილ მეფის პეტაჟრასტული ცხოვრების შემდეგი სიტყვები: არჩილის დიარქებისაა ქებათა ვერვის შკაღრე ქმნაჲ არს, თხსიერ მის ქამისა წმიდისა ეპისკოპოსისა ლეონტი მროველისა, რომელსაჲ მისი სანატრელა ცხოვრებაჲ და დეაწლა ვრცელად აღუწერია, ვითარცა მოკვთხრობს შატრასე ქართუელთა ცხოვრებისაო. ³ მაგრამ, როგორც ის არაა შართალი, რომ ლეონტის არჩილის ცხოვრება ვრცელად აღუწერია, ისე არც ისაა შართალი, ვითომც ის, ლეონტი, მის ეამისა, ესე იგი—არჩილის დროის, მაშასადამე, მეშვიდე-მერვე საუკუნის, მწერალია. პროფ ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, შეუძლებელია ლეონტი მროველს მეთერთმეტე საუკუნედრე ეცხოვრა, ის მას სთელის ამ საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწედ. ⁴ ს. კაკაბაძე არსებითად ეთანხმება პროფ. ჯავახიშვილს, თუმცა ლეონტის მოღვაწეობის ხანად მას მიაჩნია მეთერთმეტე საუკუნის არა პირველი ნახევარი, არამედ დასასრული მისი, დავით აღმაშენებელის მეფობა. ⁵ უდავლა, რომ ლეონტი მროველი მეცხრამეტე საუკუნის მწერალია, მაგრამ არც ისე ადრინდელი, როგორც პროფ. ჯავახიშვილი ფიქრობს, და არც ისე გვიანი, როგორც კაკაბაძეს აქვს წარმოდგენილი. როგორც ქვემოთ, თავის ადგილას, დავინახავთ, ყველაზე ადრინდელი შრომა ლეონტისა არის წმ. ნინოს ცხოვრება, ამით ის სარგებლობს თავის მეორე შრომაში, მეფეთა ცხოვრებაში, რომელიც დაწერილია 1072 წლამდე; ხოლო მესამე მისი შრომა, წამება არჩილ მეფისა, შედგენილია 1072 წლის შემდეგ, ვინაიდან იმითი სარგებლობს ჯუანშერი და მათიანე ქართლისაჲ. ასე რომ, ამისდა მიხედვით, ლეონტი ჩვენ გვესახება მეთერთმეტე საუკუნის სომოციანი და სანოცდათიანი (1060—1080) წლების მოღვაწედ.

¹) Кавказскій Вѣстникъ. 1902 г. № 3.

²) Сборникъ матеріаловъ для описанія мѣстностей и племенъ Кавказа. VIII. XXXV.

³) მ. ჯანაშვილი. ქართული მწერლობა I, 258.

⁴) ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გ. 113, 262.

⁵) О древнегрузинскихъ летописяхъ XI стол. стр. 27.

როგორც მისი შრომებიდან ჩანს, ლეონტი საკმაოდ ნაკითხი და განათლებული კაცი ყოფილა: მას კარგადა სცოდნია როგორც საეკლესიო (ბიბლია, ჰაგიოგრაფია,) იმე საერთო (მაქნავე, ამირან-ლარეჯანი), საისტორიო (ბიზანტიელი ისტორიკოსები, მოსე ხორენელი, აგათანგელოსი) და აპოკრიფული (ფსევდოფერემი, ფსევდომეთოდი) მწერლობა. უცხო ენათაგან მან იცის ბერძნული ენა, რომლიდანაც სთარგმნის ერთს აპოკრიფს და რომლის ნორმების მიხედვით აწარმოებს ქართველი ეთნარხოსების სახელებს, აგრეთვე სპარსული (ამ ენაზე მას მთელი წინადადება მოუყვანია თავის მატინანეში, გვ. 160) და შეიძლება სომხურაც. ეხლა განვიხილავთ მის შრომებს, რომელნიც ზემომოყვანილს მინაწერში არიან ჩამოთვლილნი; ესენია: წმ. ნინოს ცხოვრება, მეფეთა ცხოვრება და არჩილ მეფის წამება.

1. ცხოვრება წმ. ნინოსი. ლეონტი მროველის დრომდე ჩვენს მწერლობაში არსებობდა ის რედაქცია წმ. ნინოს ცხოვრებისა, რომელიც შემოუნახავთ ჩვენთვის შატბერძლისა და კელიშის ხელნაწერთა და რომლის შესახებ ქვემოთ, საისტორიო მწერლობის პიმონილვისას, გვექნება ლაპარაკი. აი ეს რედაქცია აუღია ლეონტის და თავისებურად გადაუკეთებია: რაც ძველს რედაქციაში თავში იყო მოქცეული, მას ბოლოში მოუთავსებია; პირველი პირის მოთხრობა მესამე პირისად გადაუკეთებია, ზოგიერთი პარალრაფები ძველი მოთხრობისა გამოუშვია, ზოგი მიუმატებია, ფრაზები განუფრცა და სიტყვები განუახლებია. უმთავრესი განსხვავებანი ლეონტის რედაქციისა ძველი რედაქციისაგან ჩამოთვლილია ექ. თაყაიშვილის შრომაში, ¹ ამიტომ მათ აქ აღარ გაეიმეორებთ, შევნიშნავთ მხოლოდ, რომ იმ ადგილთა შორის, რომელნიც ლეონტის თავისით შეუტანია, უფრო მნიშვნელოვანია ცნობა ნებროთის წიგნის შესახებ (გვ. 86-87) და ამბავი კეისრისათვის საცოლოს ძებნისა და თრდატ, სომეხთა მეფისაგან, ნინოს თანამოგზაურ რიფსიმიანთა წამებისა (გვ. 53-56). პირველი ამოღებულია აპოკრიფიდან — თარგმანი დაბადებისაჲს ცისა და ქუეყანისა, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, ხოლო მეორე — ეგრედწოდებულის რიფსიმიანთა (რიფსიმე-გაიანე და მისთასანი) მარტვილობიდან, მაგრამ არა იმიდან, რომელიც შემდეგ შეუტანიათ, როგორც შემადგენელი ნაწი-

¹) ასალი ვაროანცი წმ. ნინოს ცხოვრებისა, გვ. XV-XXV, მხოლოდ თაყაიშვილი ამ ახალ რედაქციას აუთენტიზებს არა ლეონტის, რომლის არსებობა მასში ცნობილი არ იყო, არამედ მეათე საუკუნის კათოლიკოსს არსენს.

ლი, სომეხთა მოქცევის ან აგათანგელოზის ისტორიაში, ¹ არამედ მისი ცალკე, დამოუკიდებელი ვერსიიდან. ² მართლაც, აგათანგელოსით (მისი ქართული თარგმანით) რიცხვი სომხეთად მოქცეული ქალწულებისა იყო 70 (აქედან 32 აწამეს), ³ ხოლო მატთანით — 53; რომით ლტოლვილნი, ეს ქალწულნი, აგათანგელოსით, მოაწინეს ქაჯაქსა არა-რატსა, ⁴ ხოლო მატთანით — დგიდსა მას, რომელსა ჰქვანასა დაქადაქადარეს შენებულსა, რომელსა არს დვინი (გვ. 64).

საერთოდ უნდა შევნიშნათ, რომ ვერცერთი იმ ნაკლთაგანი, რომელიც ახასიათებს ძველს, შატბერდულს რედაქციას წმ. ნინოს ცხოვრებისას, ლევონტის თავიდან ვერ აუცილებია და თავის შრომაში ნაბიჯი წინ ვერ წაუდგამს. ამით აიხსნება, ალბად, ის სიტყვები, რომლითაც არსენ ბერი ახასიათებს ამ შრომას: ესე ნეტარისა ნინოსს ცხოვრებაჲ შეუწუბებულად, განსწუბულად და აღრუულად ეწერა..... ამისთჳს საკეჯესითთა შეასხუკელათთჳს იწრაღად სწუხინთა იყო და მსმენელთათჳს უკმარ და ვერ საცნაურო; ⁵ თუმცა, მიუხედავად ამისა, ლევონტის შრომამ გაჰოდევნა სხვა ვერსიები ჩვენი მწერლობიდან და უცილობელი ბატონობა მოიპოვა, ალბად იმიტომ, რომ ის ქართლის ცხოვრების შემადგენელ ნაწილად იქცა.

ლევონტის ეს შრომა თავდაპირველად მეფეთა ცხოვრებაში შეტანილი არ ყოფილა, ის შეადგენდა დამოუკიდებელ შრომას, ისე, როგორც მისი არჩილის წამება; ეს რომ ასეა, შემდეგიდანა ჩანს: 1) ის იწყება, როგორც მთლიანი და დამოუკიდებელი შრომა, სიტყვებით: პირველად უკვე ეკისნათ ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა დედისა ნუგისა (გვ. 55); 2) არსენ ბერი, ავტორი წმ. ნინოს მეტაფრასტული ცხოვრებისა ამბობს: ესე ნეტარისა ნინოსს ცხოვრებაჲ შეუწუბებულად და განსწუბულად ჰქმნა ვსა მეფეთასა სასა სწერიით; მაშასადამე, მის დროს ყოფილა ისეთი ნუსხებიც წმ. ნინოს ცხოვრებისა, რომელნიც მეფეთა ცხოვრებაში კი არ ყოფილა შეტანილი, როგორც ესლა, არამედ მასთან ერთად, ან მის გვერდით არსებობდა; 3) ავტორი გადმოგვცემს მირიანის ცხოვრებას ვრცელს პარალრაფში (გვ. 48-55), რომელსაც ათა-

¹) ლ. მედიქსეთ-ბეგი, ცხოვრებაჲ წმ. გრიგოლ პართელისაჲ გვ. 24-26.

²) კ. კეკელიძე, ლევონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, თბილ. უნივ. მოამბე III, 30.

³) ლ. მედიქსეთ-ბეგი, ცხოვრება წმ. გრიგოლ პართელისა, გვ. 26. ⁴) იქვე, გვ. 21.

⁵) ცხოვრება წმ. ნინოსი, საეკლ. მუზ. გამოცემა № 10, გვ. 51-52.

ვებს მირიანის მიერ მოხდენილი სარწმუნოებრივი რეფორმის მოკლე აღწერილობით: მას ეპისა მოსკულ იყო წმ. და და სეტარი დედა და ემბასი ჩუქნი ნინო და დაეყო მცხეთას შინა სიმა წელი და განაცხადა ქდაგება ქრასტეს სჯულისა და იქმთა კურნებასა თხნიერ წამალთა კმარებისა და კმამალად იქყო ქდაგება ქრასტეს სჯულისა, ჭეშმარიტისა შინა ღმრთისა ჩუქნისა (გვ. 55). ლეონტის მიზნებისათვის, ისტორიის საზოგადო კურსში, ეს მოკლე ცნობაც საკმაო იქნებოდა, ამიტომ სრულიად ბუნებრივად მას თავისი მოთხოვნა ამ სიტყვების შემდეგ ასე გაუგრძელებია: მაშინ კეისარს კას-სტანტისეს რამელ ჭეჭა მსეველი, ქე მირიანისა, რამელსა ერქვა ბაქარ, გა-შაუგზავსა მეფემან კახსტანტანე ნიჭითა დიდითა და შაუწერა ესე (გვ. 109). მაგრამ შემდეგი დროის რედაქტორს სწორედ ამ აბზაცებ შუა ჩაუყრებ-ბია ცხოვრება წმ. ნინოსი, რომელშიაც უფრო ვრცელადაა გადმოცე-მული ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტი მირიანის მეფობისა. 4) ლეონტის რამოდენიმე შემთხვევა ჰქონდა 'მეტანა თავის შრომაში ესა თუ ის ჰავიოგრაფიული ნაწარმოები, მაგალითად, წამება რაედენ პირველმო-წამისა (გვ. 179—180), ცხოვრება იოანე ზედაზნელისა (გვ. 187—188) და მარტილობა შუშანიკისა (გვ. 188), მაგრამ ამას ის მორიდებია, როგორც დამარღვეველს მისი საისტორიო მოთხოვნის მთლიანობისას; შუშანიკის შესახებ, მაგალითად, ის პარდაპირ შენიშნავს, რომ საგრძი-საგან არა დაუწერენ ღუაწლნი მისნი ჩემს შრომაშიო (გვ. 188), რაღა ნი-ნოს ცხოვრებისათვის უღალატებდა ის თავის მეთოდს? როდის შეიტანეს ეს ცხოვრება მატიანეში, დანამდვილებით არ ვიცით; ერთი ცხადია, რომ, როდესაც ლეონტის მატიანე სომხურად უთარგმნიათ, მაშინ ის უკვე შეტანილი ყოფილა შ-გ. 1 ასე რომ, დაახლოვებით, ის მეთორმეტე საუკუნის მეორე ნახევარში უნდა იყოს შეტანილი მატიანეში, ესე იგი მაშინ, როდესაც ლეონტისა და ჯუანშერის შრომებიდან შეუდ-გენიათ ერთი კრებული, პირველი რედაქცია ქართლის ცხოვრებისა.

წ. ნინოს ცხოვრება უფრო ადრე უნდა იყოს დაწერილი ლეონ-ტის მიერ, ვიდრე მეფეთა ცხოვრება; ამას, სხვათა შორის, გვაფიქ-რებინებს ერთი წინადადება, რომელსაც მეფეთა ცხოვრებაში ვკითხულობთ: წმ. ნინო იქმთა კურნებასა თხნიერ წამალთა კმარებისა (გვ. 55); ეს წინადადება ამოღებულია წმ. ნინოს ცხოვრებიდან, სადაც ნათქვამია: რეცათუ მიიწეითა წამალთა კმარებისათა მრავალნი განუ-

კერძებელთა სენსაცან შეშერობილსა განსათვისებულსა ეძღურებათაგან მათთა (გვ. 76) და განკურნის განუკურნებელსი ახსნიერ წამალთას (გვ. 83). წინ უსწრებს ეს ცხოვრება ჯუანშერის შრომასაც, რომლის ერთი წინადადება — ქართველებსა სათელი მიიღეს კელთა ქუეშე ბერძენთასა (გვ. 206), ამოღებულთაა წმ. ნინოს ცხოვრებიდან, სადაც ნათქვამია: სიხარულითა აკისკობდა შეფე და დედოფალი (ბერძენთა), რამეთუ კელსა მათსა ქუეშე სათელს იღებდა ეუველი ქრსალი (გვ. 97).

II. მეფეთა ცხოვრება. ყველაზე მნიშვნელოვანი ოხსულება ლეონტისა არის ცხოვრება ქართვეულთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა, შემოკლებით — მეფეთა ცხოვრება, ანადა ჰამბავი მეფეთა. ეს არის საკმაოდ ვრცელი ნაწარმოები, რომელშიაც წარმოდგენილია ქართველების ისტორია, თუ შეიძლება ეს სიტყვა ვიხმაროთ, წარღნის შემდეგ კაცობრიობის მოძრავლებიდან ქრისტეს მოსლვამდე და ქრისტესიდან მეექვსე საუკუნის ოცდაათიან წლებამდე, როდესაც ჩვენში სპარსელებმა გააუქმეს მეფობის ინსტიტუტი (მარიამ დედოფ. ვარიანტი, გვ. 1—55, 109—190). ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ის შეხედულებაა მიღებული, ვითომც ლეონტის საისტორიო შრომა მოყვანილია მხოლოდ ვახტანგ გორგასლანამდე, ვახტანგიდან მოყოლებული კი არჩილ მეფის წამებამდე ჩვენი ისტორია დაწერილია სხვა პირის მიერ, რომელსაც ჯუანშერს უწოდებენ. ამ შემთხვევაში ცყრდნობიან მატეანის იმ მინაწერს, რომელშიაც ნათქვამია: წავნი ესე ქართველთა ცხოვრებას ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებადა ეშითიჟამდ, ხოლო ვახტანგ შეფისაგან ვიდრე აქამამდე (არჩილის წამებამდე) აღწერა ყუანსურ ყუანსურთაჲსან, ძმის წულის ქმარმან წმიდისა არჩილისაჲსან (გვ. 215). მაგრამ ეს მინაწერი ეკუთვნის ისეთს რედაქტორს, რომელსაც მეტად ყალბი შეხედულობა ჰქონია ჩვენი ისტორიისა და ისტორიკოსების შესახებ, ჩაყვრებულია ის ამ რედაქტორის მიერ უაღაგო ალაგას, ხოლო ფრაზები — ვახტანგისადმე და ვახტანგისითგან — იმდენად ბუნდოვანი და გაურკვეველია, რომ იმათგან რაიმე გადამწყვეტი დასკვნის გამოტანა შეუძლებელია: თან, მატეანეს სხვა ანალოგიურ და პარალელურ ადგილებთან დაკავშირებით, არც შეიცავენ იმ აზრს, ვითომც ვახტანგის ისტორია უთუოდ ჯუანშერს ეკუთვნის. ნამდვილად კი, თუ შეხედვლობაში გვექნება ლეონტის გვემა, რომელსაც განუსრახავს მეფეთა ცხოვრება დაეწერა, ვახტანგის ისტორიაც უეჭველად მის შრომაში უნდა მოიხატა.

სოთ. მართლაც, ისტორიულ-ლიტერატურული ანალიზი მისი შრომისა ამას გვიკარნახებს: ვახტანგის ცხოვრებაც იმავე ზღაპრული, სადევ-გმირო სულითაა გამსჭვალული, როგორცაც ლეონტის უცილობელი შრომა; ორსავე ამ ნაწილში მოთხრობას ერთი და იგივე ხასიათი აქვს, ენაც მათი თავიდან ბოლომდე ერთგვარია; აქ ჩვენ გვხვდება ერთი და იგივე აზრები, ერთი და იგივე სტერეოტიპული წინადადებანი და ფრაზები, ერთი და იგივე სურათები და აღგილები. ამასვე გვიკარნახებს ჩვენ ერთობა ლიტერატურული წყაროებისა ორსავე ნაწილში და მათი ერთი და იმავე მეთოდით გამოყენება. ¹

მთავარი მიზანი ლეონტის საისტორიო შრომისა ყოფილა პირველ-თა მამათა და მეფეთა ცხოვრების დასურათება, ეს იგი წარმოდგენა საქართველოსა იმ ხნის განმავლობაში, როდესაც ჩვენს ქვეყანას განაგებდენ ჯერ მამანი და შემდეგ მეფენი, ანუ უძველეს დროიდან ქრისტეს შემდეგ მეექვსე საუკუნის ოცდაათიან წლებამდე. ასეთი შრომის დაწერას თხოულობდა ის დრო და წრე, რომელშიაც ლეონტი ცხოვრობდა, ეს კი იყო, როგორც გამოვარკვიეთ უკვე, ბაგრატ მეოთხის დრო. ამ დროს ქართულს საისტორიო მწერლობაში მხოლოდ ერთი შრომა იყო, სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა მეფეთა“. ამ შრომაში ქართველთა ისტორია წარმოდგენილია მეექვსე საუკუნიდან, ბაგრატიონთა დამკვიდრებიდან ჩვენში, ბაგრატ მეოთხემდე; რას წარმოვადგენდით ჩვენ წინეთ, ამაზე ის პასუხს არ იძლევა. მართალია, იყო ამ დროს მეორე ყაჯი — ისტორიული შრომაც, ეგრედწოდებული მოქცევაჲ ქართლისაჲ, მაგრამ, ჯერ ერთი, ამაში ისტორია იწყება მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელი-სა და პირველი მეფის ფარნაოზის დროიდან; მთელი ძველი, მეფეთა წინადროინდელი, ან, ლეონტის ტერმინოლოგიით, პირველთა მამათა ეპოქა ჩვენი წარსულისა, მოუხილველი რჩება; მეორე, — ეს შრომა წარმოადგენს ნამდვილად არა ცხოვრებას ან ისტორიას, არამედ მეფეთა მშრალს სიასა და კატალოგს, რომლიდანაც ცნობის მოყვარე ადამიანი მაინცდამაინც ბევრს ვერას შეიტყობს. არ ამით აიხსნება სწორედ წარმოშობა ლეონტის შრომისა, ღირებულება მისი და ხასიათი იმ წყაროებისა, რომელნიც მას გამოუყენებია ამ შემთხვევაში.

¹) ამის შესახებ დაწერილებით იხ. კ. ქეცელიძე: „ვახტანგ გორგასლანის ისტორიკოსი და მისი ისტორია“, კრებული ჩვენი მეცნიერება № 4.

წყაროები, რომლებითაც სარგებლობდა ლეონტი თავისი შრომის დაწერისას, წარმოშობის მიხედვით ოთხგვარია: სომხური, სპარსული, ბერძნული და ქართული; ვამბობთ „წარმოშობის მიხედვით“ მეთქი იმიტომ, რომ შესაძლოა ზოგიერთ უცხო ხასიათის წყაროებს ის ქართულ ენაზე, ქართულ თარგმანში, ჰკითხულობდა.

სომხურ წყაროთაგან ლეონტის ხელთა ჰქონია: 1) მოქცევაჲ სომეხთაჲ ან აგათანგელოსის სახელით ცნობილი ისტორია, საიდანაც ამოღებულია ა) დასაწყისი მეოთხე თავისა: ქართლსა მკლდჳ სჰასთაჲ და შეუობა მირიანისი, სიტყვებამდე: მშინ, ვითარცა დიპერა სომხითი სჰასთა მუჳემან და შემოვიდა ქართლად (გვ. 14--17), და ბ) მოკლე აღწერილობა თრდატ მეფის გოლიათობისა, მის მიერ გუთთა დპარცხებისა და მათი მეფის ხელით შეპყრობისა (გვ. 52. 53).¹ ლეონტის ამ შემთხვევაში გამოუყენებია აგათანგელოსის ისტორიის არა ის რედაქცია, რომელიც ქართულ ენაზედაც არის თარგმნილი 1081 წელს,² არამედ სხვა, რომელიც უფრო უახლოვდება სვიჟონ მეტაფრასტის რედაქციას, ვიდრე ვრცელს აგათანგელოსს. მართლაც, სხვას რომ თავი დაეანებოთ, საკმარისია ერთი გარემოება: აგათანგელოსის ბერძნული რედაქციებით და ქართული თარგმანით ანაკმა ხვასრო მეფე მოკლა სასახლეში, ხოლო ლეონტის ისტორიით ის ჰკლავს მას სადირობად გასულს (გვ. 46).

მეორე სომხური წყარო, რომელსაც განსაკუთრებით დიდი გავლენა მოუხდენია ჩვენს ისტორიკოსზე, არის ცხოვრება სომხითისა მოსე ხორენელის სახელით ცნობილი. მას მოუცია ლეონტისათვის როგორც გეგმა მისი საისტორიო შრომისა, ისე რამდენადმე შინაარსი და ზოგიერთი დეტალები, მგონია თვით ძირითადი ტერმინი სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა შამასახლისი, რომელიც სომხური ტანუტერის ექვივალენტია. აქედანაა შეტანილი, თითქმის სიტყვასიტყვით, სურათი თარგამოსიანთა შეტაკებისა ნებროთ გმირთან (გვ. 3—5), ქართველთა გენეალოგიური ნუსხა, საზღვრები, რომელთაც ლეონტი უჩენს ჰაოსის სამფლობელოს, მისი ბრძანებლობა კავკასიაში მობნადრე ტომების მამათმთავრებზე და სომხური ენის ბატონობა მთელს კავკასიაში, კერძოდ ქართლოსიანთა შორისაც, — ერთი სიტყვით — სომეხთა პრიორიტეტობის და უპირატესობის ილია, რომელი-

¹) Langlois, Collection des historiens anciens et modernes de l'Arménie, t. I. p. 123—125.

²) ლ. მელიქსეთ-ბეგი, ცხოვრება წმ. ვრიგოლ პართლისა, თბილისი 1920 წ.

თაც გამსკვალულია პირველი ნაწილი ჩვენი პატიანესი. ¹ ვინაიდან მეთერთმეტე საუკუნეში, როდესაც ქართველ-სომეხთა პოლიტიკურ-ეროვნული და კულტურულ-ლიტერატურული დამოკიდებულება და ურთიერთობა მეტად გამწვავებული იყო, ამგვარი არმენოფილური ტენდენციების გატარება წარმოუდგენელია, უნდა ვიფიქროთ, ლეონტის მოსე ხორენელის ისტორიის გავლენა უშუალოდ კი არ განუცდიდა, არამედ მას ხელთა ჰქონია რაღაც ძველი ქართული წყარო, დაწერილი მეშვიდე საუკუნის გასულს თუ მერვეს დამდეგს, როდესაც ასეთი აზრების გამოთქმა ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო; ეს მით უფრო დასაჯერებელია, რომ დასავლეთი საქართველოს აღსანიშნავად აქ ნახმარია არა პოლიტიკური ტერმინი აფხაზეთი, რომელიც მერვე საუკუნის ნახევრიდან შემოდის ხმარებაში, არამედ ეგრიისი. ²

სპარსულ წყაროთაგან ლეონტის ხელთა ჰქონია ეგრედწოდებული სპარსთა ცხოვრება, რომელსაც ის თვითონ ასახელებს (გვ. 10, 11); ამ წიგნით მას უსარგებლნია სპარსთა მიერ ქართლის დაპყრობისა და მათ წინააღმდეგ სომეხ-ქართველთა ბრძოლის აღწერისას, დაწყებული სიტყვებიდან: მიერნიღან განძღიერდეს სპარსნი მზისა; აღმოსაჯლითაგან, ჩათესაგნი ნებრთთისნი, ვიდრე აღექსანდრე მაკედონელის შემოსლვამდე ჩვენში (გვ. 9—13). თუ მხედველობაში მივიღებთ აქ მოხსენებულ სახელებს: აფრიდონ, ბევრასფ, იარედ, ქეკაპოს, ფარაშოროტი, შაოშ ბენდიერი, ქაიხოსრო, ვაშტაშაბ, სპანდიატ რვალი, ბაჰამან და სხვ., დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სპარსთა ცხოვრება არის, თუ ფირდოუსის შაჰნამე არა, რომელიც 1011 წელს გამოვიდა, ყოველ შემთხვევაში მისი პირდაპირი წყარო, ეგრედწოდებული ხოდაშნამე, რომელიც შეიცავს სპარსეთის ლეგენდარულ-გმირულ ისტორიას ქვეყნის გაჩენიდან ხოსრო მეორის მეფობამდე და რომელიც მერვე საუკუნეში ფალაურიდან არაბულად გადმოუთარგმნია აბდულა-იბნ-მუყაფს. ჩვენ უფრო მომხრე ვართ ამ შემთხვევაში შაჰნამესი, რომელიც ლეონტის დროს, შესაძლებელია, ქართულადაც ყოფილიყო ნათარგმნი. ³

მეორე სპარსული წყარო, რომელსაც უდიდესი გავლენა მოუხდევ

¹) ქ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, ტფილის. უნივერსიტეტის შოაშბე, III, 30—38.

²) იქვე გვ. 55.

³) იქვე გვ. 38—41.

ნია ლეონტი პროველზე, არის სადევ-გმირო რომანი ამირან-დარეჯანიანი, რომლის გადმოთარგმნას ქართულად თუ გადმოკეთებას მიაწერენ მოსიხონელს. ჩვენს მწერლობაში დამყარებულია აზრი, თათქოსის ზღაპარული, სადევ-გმირო, გოლიათ-ბუმბერაზის შესახებ თქმულებანი, რომელითაც ამდენი ადგილი უკავიათ ლეონტის შრომაში (როგორც პირველს ნაწილში, ისე ვახტანგის ცხოვრებაში), წარმოდგენენ ხალხური ეპოსის კვალს, მათში ჩვენ გვაქვს ქართული ზეპირი ხალხური თქმულებანი. მაგრამ, როგორც დეტალურა დაკვირვებისა და შესწავლის შემდეგ გაშიშრება ჩვენთვის, მომეტებული ნაწილი თქმულებათა ლიტერატურული გზით შემოსულა ჩვენს მატაანეში, სახელდობრ. ამირან-დარეჯანიანიდან. აქედან ამოღებულია ზოგიერთი დეტალები ლეგენდარული მოთხრობებისა, განსაკუთრებით აღწერა ბუმბერაზისა შეტაკებისა და ბრძოლისა; ეს აღწერა გადმოტანილია მატაანეში არა ზოგადი მარტო მოხაზულობით და აზრებით, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში სიტყვა-სიტყვით. ეს ურიცხვი, ხშირად უმიზეზო და ისტორიაში უადგილო ლაშქრობა, ეს თავბრუდამხმელი რიცხვი ჯარისკაცებისა და ტყვეებისა, შეუბრალებელი ხოცვა-ჟლეტა ბუმბერაზებისა, რომელნიც ხშირად ღომის კვლითა იწყობენ, ვითარცა თიანისა, — ყველა ეს მატაანეში შემოსულა ამირან-დარეჯანიანიდან; არას ვამბობთ ცალკე წინადადებათა, ფრაზებისა და სიტყვების შესახებ, რომლებითაც ერთნაირად და ზიარადაა აქრელებული როგორც მატაანე, ისე ეს სადევ-გმირო რომანი.¹

ბერძნული წყაროები უფრო მეტადაა გამოყენებული ლეონტის შრომაში; ამ შემთხვევაში პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ ბიზანტიელი ისტორიკოსები IV—V საუკ. რომელთა შრომას ის ბერძენთა ცხოვრებას ეძახის. ამ ისტორიკოსებიდან (ეგსევი კესარიელი, სოკრათი, სოლომენი და თეოდორიტი), ლეონტის ამოუღია ცნობა კონსტანტინე კეისრის მიერ ნათლისღებისა და წარმდგანებითა ჟუარისაჲთა მტერთა ზედა ძღვევისა (გვ. 54), აგრეთვე იობიანე იმპერატორის გამეფების შესახებ სპარსეთში ლაშქრობისას (გვ. 139, 143—144, 151).

მეორე ბერძნული წყარო ლეონტისა არის ცხოვრება გიორგი ამასტრიდელისა (IX ს.),² რომლის საფუძველზე მას შეუღებია თხრო-

¹) დაწერილებით იხ. კ. კეკელიძე: ვახტანგ გორგასანის ისტორიკოსი და მისი ისტორია, კრებული ჩვენს მემკვირვება, № 4.

²) Acta Sanctorum, Febr. III, 278 899.

ბა პონტოდასა და ქ. ანძიანძორის სპარსთა ლაშქრისაგან დახსნის შესახებ ვახტანგ გორგასლანის მიერ, გრიგოლ ნაზიანზელისა და მისი მოწაფეებისაგან მხილების შემდეგ (გვ. 138, 142—150).

მესამე ბერძნული წყაროა წიგნი ნებროთისა. ან მოკლედ ნებროთიანი, რომლიდანაც ლეონტის საკმაოდ ვრცელი ციტატა მოჰყავს ვახტანგის ცხოვრებაში (გვ. 122—123). ნებროთის წიგნი, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, არის ფსევდოგრაფიის სახელით ცნობილი აპოკრიფი „თარგმანი დაბადებისათვის ცისა და ქუეყანისა და ადამისათვის“.

მეოთხე ბერძნული წყარო ლეონტისა არის ფსევდოკალისტენის პოპულარული რომანი ალექსანდრია; ესე ალექსანდრეთ, აშობს ლეონტი მაკედონელის შესახებ, გამოჩნდა ქუეყანასა საბერძნეთისას, ქუეყანას, რომელსა ჰქვან მაკედონი, ძე ნიკიტანებისი მეგუპტელისა, ვითარცა წერილ არს ამბავა მისი წიგნსა (გვ. 13—14). ამ წიგნიდან უნდა იყოს შემოტანილი ჩვენს მათიანეში საზოგადოდ ცნობა ალექსანდრე მაკედონელის ჩვენში ყოფნის შესახებ და კერძოდ დახასიათება წარმართობის დროის ქართველებისა, რომელნიც თითქოს ნათესაობას არ სცნობდენ, მკედრებს არ მარხავდენ და მათთან ერთად ყოველგვარ სიბანძურესა სკამდენ (გვ. 13, 14).

მეხუთე ბერძნული წყარო ლეონტისა არის ერთი აპოკრიფულ-ესქატოლოგიური თხზულება, რომელიც მეოთხე პატრიელის ან ოლიმპელის (III—IV ს.) სახელს ატარებს: „მოთხრობა უცთომელი სუფივეისათვის ნათესავთა და უკუანასკნელთა ჟამათვის“; აქედან ამოღებული უნდა იყოს ცნობა სარკინელთა შესახებ, რომელთაც კლდე გახვრიტეს და ისე დააწიეს თავი ალექსანდრე მაკედონელის ალყასო.¹ (გვ. 14—15).

ქართულ წყაროთაგან ლეონტის ხელთა ჰქონია ჩვენს მწერლობაში კარგად ცნობილი ქრონიკა მოქცევაჲ ქართლისაჲ; აქედან მას ამოუღია, ცოტა ცვლილებითა და განსხვავებით, მშრალი ნუსხა მეფეებისა, რომელსაც შერე ხორცად შეასხა სხვადასხვა ლეგენდარულ-აპოკრიფული და სადევ-გმირო ნაწარმოებებიდან ამოღებული მასალები.²

ქართულ წყაროთაგან ლეონტი იცნობს ამ შრომაში აგრეთვე ზო-

¹) დაწერილებით იხ. ქ. ქვეკელიძე, ლეონტი პროველის ლიტერატურული წყაროები, ტფილისის უნივერს. მოამბე, III, გვ. 42—52.

²) იქვე, გვ. 52—53.

გიერთ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებთ: ასეთია: წამება რაჟდენ პირველ-მოწამისა (გვ. 179---180), ცხოვრება იოანე ზედაზნელისა მოწათები თურთ, არსენ კათალიკოზის მიერ (X ს) შედგენილი (გვ. 178—188), და მარტვილობა შუშანიკ დედოფლისა (გვ. 188). აღნიშნულ პართა ღვაწლს ის მოკლედ მხოლოდ და გაკვრით აღნიშნავს, ვრცელი ციტატები მათი ცხოვრებებიდან და წამებებიდან მას არ მოჰყავს, პირიქით — გაურბის კიდევაც ამას; მაგალითად, შუშანიკის ღვაწლთა შესახებ ამბობს, რომ მათ, სიგრძისა გამო, ჩემს შრომაში ვერ შემოვიტანო (გვ. 188).

უკვე წყაროების მიმოხილვაც ამქადავენებს, რომ მეცნიერული ღირებულება ლეონტის საისტორიო შრომისა მაინცადამაინც დიდი არ უნდა იყოს, სწორედ რომ ვთქვათ — ფრიად უმნიშვნელოა: ის უფრო საყურადღებოა როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც გვისურათებს იმდროინდელ მოწინავე წრეთა გონებრივ ინტერესებსა და სულისკვეთებას. როგორც აღვნიშნეთ, დაწერილია ის წმ. ნინოს ცხოვრების შემდეგ, მაგრამ 1072 წლამდე, როდესაც ჯუანშერს დაუსრულებია თავისი საისტორიო შრომა; ეს შემდეგიდანა ჩანს: ჯუანშერმა იცის ლეონტის მოთხრობა ვახტანგ გორგასლანის ლაშქრობის შესახებ შინდოეთსა და სინდეთს, საიდანაც მან დიდძალი სიმღიდრე გამოიტანა (გვ. 168—176, 202); იცის მან, ლეონტის ისტორიით, აგრეთვე ისიც, რომ სპარსთა მეფემ ვახტანგს მოუძღუნა გვრჯანი ანთაკოჯანი (გვ. 161, 202); საკმაოდ ვრცლად გადმოგვცემს ის მეფეთა ცხოვრების მოთხრობას იმის შესახებ, რომ ვახტანგმა პონტოს არემარე გადაარჩინა შემეუსრვას და მისი შუამდგომლობით ბერძენთა არამც თუ დაეზავენ სპარსელებს, პალესტინა და ჯაზირეთიც კი მიიღეს მათგან (გვ. 148—150, 162—163, 206). დასასრულ მატთან ე ქართლისაჲ, რომელიც 1072—მ წლებშია დამთავრებული, აღიარებს, ლეონტის ისტორიის მიხედვით უეჭველია, ვახტანგის სიდიადეს და შეუდარებლობას, როდესაც ბაგრატ მესამის შესახებ შენიშნავს: შეუდგომად დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასლანისა არავინ გამოჩინებულ არს სხუაჲ მსგავსი მისი დიდებითა და სიდითა და ყოფლითა გონებითაო (გვ. 246).

III. წამება არჩილ მეფისა არის პატარა, მოკლე ნაწარმოები, რომელიც ქართლის ცხოვრების პირველ რედაქტორს შეუტანია ჯუანშერის თხზულებაში (გვ. 211-215), იქ, სადაც ლაპარაკია არჩილის შესახებ, და თანდაურთავს: წიგნი ესე იზოფა ესრეთ სულ მცირედ

ადწერილა, რამჟეა უამთა შიდადობითა ჯუანსებრ ვერკას აღწერიათ (გვ. 215). ლეონტი მროველის დრომდე, თუ წამება არა არჩილია, კულტი მინც არსებობდა მისი: ეს იქიდანა ჩანს, რომ იოანე-ზოსიმეს კალენდარში, რომელიც მეათე საუკუნის მეორე ნახევარშია შედგენილი, 15 იანვარს დადებულია ხსენება არჩილის. ქრთველის მოწამ სად.

ლეონტი მროველს ამ თხზულების დაწერისას ხელთა ჰქონია უჟფავრესად ჯუანშერის შრომა. მართლაც, 1) დასაწყისი მისი: ვითარ გარდადეს წელიწადნი ორმოცდაათნი, კულად მოვიდა..., განმეორებაა ჯუანშერის სიტყვებისა: საჩინოზნი წელაწადა ორმოცდაათსა არდასა შემოვიდოეს ქართლს (გვ. 211); 2) თანახმად ჯუანშერისა ლეონტიმ იცის, რომ არჩილის პაპა არის ადარნასე ხოსროიდი და არა ბაგრატიონი (გვ. 213); 3) იცის მან ისიც, რომ ირაკლი კეისარმა და სტეფანოზ მთავარმა ქართლში მიწასა შინა დაფლეს მრავალი საგანძური (გვ. 213-214), რაც მხოლოდ ჯუანშერს აქვს გადმოცემული (გვ. 199-200); 4) არაბთა მხედართმთავრად მათი პირველი შემოსევისას ჩვენში ლეონტი სთვლის ამირა ყრუს (გვ. 212, 214) და ამ შემთხვევაში იმეორებს ჯუანშერის შეცდომას (გვ. 200).¹ საერთოდ თხზულება ღარიბია შინაარსით; ჩანს მეტი ცნობები ამ ეპოქიდან არც ლეონტის დროს არსებობდა, თორემ, თუ ის არა, ჯუანშერი მინც შეიტანდა თავის ისტორიაში.

როდის ეწამა არჩილ მეფე? ეს საკითხი მეტად ბუნდოვანი და ძნელად გასარკვევია ჩვენს ისტორიაში: საქმე ისაა, რომ, გარდა ჯუანშერისა, სხვა ქველი ისტორიკოსები არჩილს არ იხსენიებენ. ამით აიხსნება, რომ მის გარდაცვალებას ჩვენი მკვლევარი სხვადასხვა დროს უჩვენებენ: ბატონიშვილი ვახუშტით (მასთან ერთად ბროსსე, ბაქრაძე, ჯანაშვილი) არჩილი (გამეფებული 668 წ.) გარდაცვლილა 718 წელს,² მ. საბინინით 744 წ. "პროვ" ივ. ჯავახიშვილი, მართალია, არჩილ მეფეს სულ არ იხსენიებს. მაგრამ, ვინაიდან მისი შვილის ჯუანშერის ამბავს 761-771 წლებში სდებს,³ არჩილის წამებას, მისი კონცეპციით, არაბთა მეორე შემოსევისას (737-741) უნდა ჰქონოდა ადგილი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისტორიკოსის ჯუანშერის ხელმძღვანელობით

1) შესაძლოა ვინმე პრიორიტეტი ამ შემთხვევაში ლეონტის მიაწეროს და არა ჯუანშერს, მაგრამ ამის ნებას არ გვაძლევს გენეალოგია ყრუს ამირასი, რომელიც ჯუანშერს აქვს (გვ. 200), ლეონტის კი არა.

2) ისტორიის საქართველოსი, დ. ბაქრაძის გამოცემა, გვ. 116-117.

3) საქართველოს საზოგადოება, გვ. 332.

4) ქართველ ერის ისტორია II, 352-353.

ამისი გარკვევა დაახლოვებით მაინც შეიძლება. ჯუანშერი ვადმოგვცემს, რომ, როდესაც არაბები პირველად შემოვიდნენ ქართლში, მაშასადამე — 643 წელს, სტეფანოს მეორე შეილებითურთ ვადახიხნა ეკრისში, სადაც ის იმავე წელს გარდაიცვალა და დაეფლა (ივ. 200-201); მისი უფროსი შვილი მირი ლიქრა აქ არაბებთან ბრძოლაში და წყლულღებისაგან გარდაიცვალა იმ წელს, როდესაც არაბებმა ჩვენი ქვეყანა დეტოვეს, ესე იგი 645 წ. (გვ. 207). მის შემდეგ ერისთაობა დაიპყრო მისმა ძმამ არჩილმა, რომელიც ხანგრძლივ განაგებდა ქართლს. პირველი შემოსევის შემდეგ. ამბობს ჯუანშერი, წელაწაღსა თარქუაღდა ათსა არღარა შემოვიდოდეს არაბნიო (გვ. 211), ხოლო ორმოცდაათი წლის შემდეგ, მაშასადამე 695 წელს, ლევონტის სიტყვით, მ ვიჯა ქაჭუმ, რომელსა ეწოდა ასიმ (გვ. 211-212), და მან აწაჰა არჩილი. ამნაირად, არჩილის წამება მომხდარა 695 წლის ახლო ხანებში. ამ დროს ის კარგა მოხუცებული უოფილა; საქმე ისაა, რომ არჩილი კიკუმს ეუბნება: კი-უჯ ჰასკითა მტირე ოდეს იგი განულო ქუეყან. ესე ჰუეკლე მეფეჰანო (გვ. 214), ესე იგი 627 წელს ის მტირეწლოვანი, დაახლოვებით 7-10 წლის, უოფილა, დაბადებულია, მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, 620 წლის ახლო ხანებში, აქედან — გარდაცვალებისას ის 75 წლის უოფილა.

1°. ჩამოთვლილი თხზულებანი ორიგინალური ნაწარმოებია ლევონტი შროველისა, უეჭველია, მას ნათარგმნი შრომებიც ექნებოდა, მაგრამ ამათგან ჩვენ მხოლოდ ერთი ვიცით, სახელდობრ: „ქუეყანი წმიდისა მამასა სუენისა ეფრემისი, თარგმნი დაადებისათჳს ცისა და ქუეყანისა და ადამისათჳს; უითარ მისცუადეს გუჳში მისი და დამარხეს გოღგოთას და ცუჳლებსა ნათესაჳთა. ეს არის აპოკრიფი, რომელიც წინ უძღვის ლევონტის საისტორიო შრომას, როგორც მისი, ასე ვთქვათ, შესავალი და პროპედევტიკული ნაწილი. 1 ეს აპოკრიფი, რომელიც წამოადგენს ასურული თხზულების განძთა ქუაბის ერთერთ რედაქციას, გადმოთარგმნილია ბერძნულიდან, როგორც სტილიდანა ჩანს, ლევონტის მიერ; ლევონტი, რომელსაც ეს აპოკრიფი სჭირდებოდა ქართული ისტორიის მსოფლიო ისტორიასთან დასაკავშირებლად, უხვად სარგებლობს მით თავის ისტორიაში. მისი მიხედვით შეუთხზავს მას ნებროთის წიგნი, ვინაიდან მასში ლაპარაკია ნებროთ გმირის შესახებ და მოხსენებულია ასტროლოგიური წიგნი ხილვათა ნებროთისათა. 2

1) გამოცემულია ე. ქ. თაყაიშვილის მიერ: ქართლ.-ცხოვრ. მარიაშ დეოდოლის ეპიგრაფიკა გ. 786-846.

2) დაწვრილებით იხ. ქ. ქუეყელიძე, ლევონტი შროველის ლიტერატურული წყაროები, ტფილის. უნივერს. მომხბე, III, 42-47.

32. თეოფილე ხუცესმოწამი.

ბიოგრაფიული ცნობები თეოფილეს შესახებ არ შენახულა, ამიტომ მისი ვინაობა საკმაოდ არ ვიცით. არსებობს ერთი ცნობა, ვითომც ის თანამედროვე იყო არსენი იყალთოელისა, ეფრემ მცირისა და იოანე ტარიქისძისა, ესე იგი—იყო მწერალი მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევრისა, და მათთან ერთად 1114 წელს საქართველოში შემოსულა ან დაბრუნებულა; სახელდობრ: ს ი ძ ვ. მ უ ხ ე უ მ ი ს ხ ე ლ ნ. № 131, გვ. 247, და მარიამ დედოფლის ქართლ. ცხოვრებაში აშიაზე მიწერილია ტექსტის ხელით: შექმთქვიდეჩ მთარგმნელსა წიგნთანი ეფრემ მცირე და თეოფილე და არსეს იყალთოელი და იოანე ტარიქისსე ქრისტეს აქეთ ქორთნიგონსა ჩროდ¹ (=1174), რაც შეცდომით ჩრიდ (1114)-ის მაგიერ უნდა იყოს დაწერილი, ვინაიდან 1174 წელს არც ერთი ამ პირთაგანი ცოცხალი არ ყოფილა,—ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი და იოანე ტარიქისძე, დანამდვილებით ვიცით, არიან მოღვაწენი დაახლოვებით 1114 წლისა. ანტონ კათოლიკოზის სიტყვითაც თეოფილე ბრწყინებდა დროს მას წინათქმულთა მამათასა, ესე იგი იოანე პეტრიწისა და ეფრემ მცირისა;² ხოლო თხზულებაში, რომელსაც მცირე უწყებად ქართველთა მწერალთათჳს ეწოდება, ნათქვამია: ესე მამა თეოფილე იყო ქართველი და თანამედროვე ძველთა მამათა ქართველთა. არსენისი, ეფრემისა და იოანე იყალთოელისისა, სიბრძნის-მოყუარებასა მინა სრული და ღმრთის-მეტყუელი, საღმრთოთა წერილთა შინა გამოცდილი და მთარგმნელი ბერძენულიდან ქართულსა სება.³ ეს თეოფილე ზოგიერთებს მიაჩნიათ იმ თეოფილედ, რომელიც მოხსენებულია გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში; აქ გადმოცემულია, რომ დაახლოვებით 1057 წელს გიორგის კამათი ჰქონდა ანტიოქიის პატრიარქ პეტრესთან (1053-1057) საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის შესახებ; ქართველთა ავტოკეფალობის კანონიერების დამტკიცება გიორგის განუზრახავს იმ ფაქტით, რომ ქრისტიანობა საქართველოში ანდრია მოციქულის მიერაა გავრცელებული (იმ დროს ეს საკმაო საბუთი იყო), და ამიტომ ასეთი წინადადება მიუცია პატრიარქისათვის: მოღებად ედ წიგნი მიმოქსელავ ანდრია მოციქუ-

1) თ. გორდანი, ქრონიკები I, 225, 241.

2) წყობილსიტყვაობა, ტომი I, 49.

3) ძველი საქართველო, ტ. I, განვ. 3, გვ. 15.

ღისა და მენით გეუწყოს სამიუბედი თქუენით: პატრიარქის უბრძანა თეოფილეს, ნა თესავათ ქართველსა, რამელი იგი უკუანაღსკნელა ტარსუს მიტროპოლიტი აქმნა, მოადგამა წიგნისაჲ მის. ¹ მაგრამ ეს რომ ასე არ არის, შევდევნიდნა ჩანს; გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფიის დაწერის დროს (1065-1068) აქ მოხსენებული თეოფილე უკვე მიტროპოლიტი ყოფილა, ხოლო ის თეოფილე, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს, 1081 წელსაც უბრალა ხუცესმონაზონი იყო, როგორც ამას ერთერთი მისი შრომა ნათელჰყოფს. ² თან, ტარსუს მიტროპოლიტი თეოფილე ქართული მწერლობის ისტორიაში არაერთ ცნობილი არაა და, თუ ზოგიერთი შეკლევარა, როგორც, მაგალითად, პლ. იოსელიანი ³ და მ. საბინინი, ⁴ იმას მოციქულ იაკობისა და პეტრეს ლიტურჯიის და ბასილი ფილოსოფოსის მიერ დაწერილის ილარიონ ქართველის ცხოვრების გადმოთარგმნას აკუთვნებს, სრულიად უსაფუძვლოდ: ჩვენ ვიცით, რომ იაკობ მოციქულის ლიტურჯია, მაშასადამე პეტრესიც, რომელიც, სტილის მიხედვით, იმასთან ერთად უნდა იყოს გადმოღებული, უთარგმნათ ქართულად არა უგვიანეს მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისისა, ⁵ ხოლო ილარიონის ცხოვრება ბასილი ასიკრიტისა გადმოუკეთებია ექვთიმე ათონელს. ⁶ თეოფილე ხუცესმონაზონი კი, რომელსაც ლიტერატურული მოღვაწეობა დაუწყია გიორგი მეფის ბრძანებით არ უადრეს 1073 წლისა, საკმაოდ ნაყოფიერი მწერალი იყო. ⁷ ერთერთი მისი შრომის მინაწერიდანა ჩანს, რომ ის გიორგი მთაწმიდელის შეგირდი ყოფილა: აქ ვკითხულობთ: საეკუნომცა არს საკსენებელი და კურთხევაჲ სეტარისა და წმიდისა მამისა, მზრდელისა და მოძღუარისა სემასა გიორგი მთაწმიდელისა, ახლისა თქრობინისაჲ და მისიჲლთა: მისთაჲ. ⁸ თეოფილეს შრომები შემდეგ დარგებად შეიძლება დაეყოთ:

1) ჰაგიოგრაფია. თეოფილეს ჰაგიოგრაფიული შრომები სულ ყველა მეტათერასტული რედაქციისაჲ; აქ მხრავ უნდა აღინიშნოს: 1) მთელი

¹ ათონ. კრებ. გვ. 315.

² K. Kekelidze, Monumenta hagiographica Georgica, I, t. 1, p. XXI-XXIII

³ წყობილიტყუაოზა ანტონ კათოლიკოსისა, შენიშვნა 138.

⁴ Полное житиописание святаго грузинской церкви, III, 116, стр. 19.

⁵ K. Kekelidze, Древне-грузинский Архипастырь, стр. IV-V.

⁶ ქ. კეკელიძე. ნაწივეტი ქართული ჰაგიოგრაფიის ისტორიადან, ტფილისის უნივერსიტეტის მოახბე, I, 41-52.

⁷ მოღვაწეობდა ის კონსტანტინოპოლის ლეონიმოპოლის მოპატრონო, რომელსაც საზელად რქმევია ტრიანფლით.

⁸ სიძველეთა მუზეუმისა, № 1143, ფ. 333 მ.

სექტემბრის თვის წმილათა ცხოვრებანი სვიმეონ მეტაფრასტისა; ამას ამოწმებს ივერიის მონასტრის შეთერთმეტე საუკუნის მეტაფრასტი, რომელსაც შედეგი მინაწერი აქვს: ითარგმნა უკუ წიგნი ესე მეტაფრასტა ქალაქსა შინა სასუეფასა კანსტანტინაპოლის. მანსიტურსა შინა უოუჯად შეუნიერსა ტრანსლაციუს, დედასა ღმრთისასა, უღირსისა მიერ თეოფაჯესა ხუცეს-მონაზონის, მათკე ევლიათ მიერ განიესხა დასამთავან წყლთა ექუსი-სათს სუასთ თანშეცდა შეცნეს, ინდიკტიონსა თახსა ბერძულად, შეუთბასა აღმო-საუჯესა გოთგი ექსანდრისა, საგატის ძისა, რომლისა ბრძანებითა უიწეე თარ-გმნად წიგნთა უჯღინურისაგან ქართულად, საბერძნეთს დედოფლობასა მართა-|სსს|. მისივე გოთგის დასსა, და შეუთბასა ნიკიფორე ბოტანიტისა და აღექ-სი ვოშინისათა, მას უამსა, თდექ საგრატის ასულა მართამ დედოფალა აღმო-საუჯესათ კანსტანტინაპოლის შემოვიდა. ¹ როგორცა ჩანს, სექტემბრის მე-ტაფრასტი თეოფილეს 1081 წელს უთარგმნია; ამ წიგნის ორი ცალია ჩვენში: ერთი გელათის მონასტერში (№ 4), მეორე — წერაკითხვის საზოგადოების მუზეუმში (№ 384). პირველი შეიცავს 36 ცხოვრება-ენკომიას; მეორე — 24. როგორც ხელნაწერების მინაწერთაგან ჩანს, თეოფილეს უთარგმნია: 2) დეკემბრის თვის მეტაფრასტებიც, მაგალითად: ამბროსიმედიოლანელისა, ² წმ. პატაპისი ³ და მოწამისა ვონიფანტე პრო-მისა. ⁴ 3) თეოფილეს უნდა გადაემეტაფრასტებოც აგრეთვე ილარიონ ქართველის ცხოვრება, ⁵ რომელიც ექვთიმე ათონელს შეუდგენია ბერძნის ფილოსოფოსის ბასილი ასიკრიტის აწ დაკარგული შრომის მიხედვით. ⁶

II) ჰომილეტიკა. თეოფილეს ჰომილეტიკური შრომანიც მეტაფრას-ტული რედაქციისაა; მას უთარგმნია ამ დარგში: 1) ეპიფანე კვიპრელის სკაითხაი მუცლადღობისათჳს ანსაჲსა, რაჴემს ეხარა შობაჲ წმიდისა ღმრთის მშობედისა. ⁷ 2) ანასტასი სინელის შემოსლგისათჳს მარსუაასა და შექქუსი-სათჳს ფსალმუნისა; ⁸ 3) კირილე ალექსანდრიელის სკაითხაი, თქუ-

1) A. Harnack, *Sehepunkte I. ser.* 72—80; თ. კორღანია, *ქრონიკები I*, 228—229.

2) *ველ.* № 5, ფ. 107—118.

3) *იქვე*, 118—123.

4) *იქვე*, ფ. 337—356.

5) *მ. საბინიძე*, *საქართველოს საზოგადო. გე.* 371—392, სიძ. მუხ. №№ 130, 170, 176.

6) *ს. ქვიციანიძე*, *ნაწევრები ქართული საგიოგრაფიის ისტორიიდან*, *ტფილ.* უნი-ვერსიტეტის მოამბე I, 28, 52—57.

7) *ველ.* № 5, ფ. 123—130.

8) *ველ.* № 8, ფ. 29—30 სიძ. მუხ. № 733, № 129, ფ. 152—161.

მუქი უავლად წმიდისა ღმრთისმშობელისათჳს და წმიდათა მამათაჳს ეკუთმს ერე-
ბისა, რამელნი შეკრბეს დამკობისათჳს ეშუაღობაჳს ნისტორისა.¹ 4 - 6) იოან-
ეოქროპირისა ოთხი სიტყუა ან საკითხავი: ბზობისათჳს,² იუდაჲს
მიერ განცემისათჳს და ვნებისათჳს უფლისა,³ ვნებისათჳს უკლასა ჩეგნისა
და ვითარმედ დღესა, რამელნი განივღინა ადამ სამოთხით, მასკე დღესა შეკრდა
სამოთხედ ავასაკი⁴ და განცემისათჳს უფლისა და მიცემისათჳს საიღუმლოთა.⁵

III) დოღმატიკა და პოლემიკა. 1) თეოდორიტი ეკრელის აღსა-
რებაჲ მართლისა და უსიწოდისა ქრისტესნებასა წმინტისათჳსაჲ, " რომლის ბერძ-
ნული დედანი ჯერ ცნობილი არაა. 2) ეპიფანე ევიპრელის პასუხი ეპი-
სტოლისაჲ, რამელა მიეწერეს მთელსათჳს მასთა ავაკასი და ზედე თავთა რე-
ბისათჳს ოთხმოცთა მათა წვალებათაჲსა,⁷ რომელშიუ ჩვენ გვაქვს აპოტანეს
მაერ სამ წიგნად დაწერილი წვალებათა წასაღმდეგ თხზულების შემოკლებ-
ბა, ბერძნულად *Ανακταφάλασος*-ის სახელით ცნობილი.⁸

IV) ასკეტიკა. ამ დარგში თეოფილეს უთარგმნია: 1) წაცხი ცხაკ-
რებისათჳს და მქალაქობათა წმიდათა და სეტართა მამათა ჩეგნათა, რომელსაც
ბერძნულად ეწოდება *Ανεριου ἄρειου βιβλιας*. ეს თხზულება, როგორც უკვე
გვქონდა ლაპარაკი, უთარგმნია ჯერ კიდევ ექვთიმე მთაწმიდელს; თეო-
ფილეს თარგმანი შეიცავს მეორე რედაქციას ამ თხზულებისას, რომე-
ლიც შესდგება შესავალი სიტყვისა და 24 თავისაგან. ექვთიმეს რედაქციას-
თან შედარებით ეს რედაქცია უფრო ვრცელია; ჯერ ერთი, აქ არის
შესავალი და მეთოთხმეტე თავი, რომელნიც ექვთიმეს რედაქციას აკ-
ლია, თან მოღვაწე მამათა და მათი აპოფთეჲმა ჭა-თქმულებათა რიცხვიც
მეტია თეოფილეს რედაქცია მოთავსებულია ს ი ძ ვ. მ უ ს. ხელნაწერში
№ 1143, რომელსაც შემდეგი ჰინაწერები აქვს: ლადგა ეკათ წ'იღანო
მამნო ცადგაღას თეოფილეს [სიტყვის], რტა თარგმანისათჳს, რამეთუ ცადგანი
ურთამად მქონას, და ბერი კლიში აკურთხეთ ეთველთა. რ მეთუ შემდგომად
ღმრთისა და წმიდათა მამათა მადლარქებისა ითარგმანების წმიდაჲ ასე სულთ-

1) გელ. № 8, ფ. 369-376.
2) გელ. № 8, 211-218, სიძველ. მუხ. № 5, 317-322, № 129, 212-217, № 272,
125-131.
3) გელ. № 8, 224-233, სიძველ. მუხ. № 5, 360-365, № 129, 202; № 272, 135-136.
4) გელ. № 8, 245-248, სიძველ. მუხ. № 5, 356-361, № 129 და 272.
5) სიძველ. მუხ. № 5, 315-351, № 272, 136-143, გელათ. № 8, 220-233.
6) გელ. № 8, 376-385, სიძველ. მუხ. № 6, 490-502, № 140, 496-507.
7) სიძველ. მუხ. № 203, 287-298, ხადც მიწერულია: „თეოფილეს“, № 101, 101-108.
8) Migne P. G. t. 42, col. 833-886.

საცხარებელი წიგნი (ფურ. 163); ღმერთმან შეიწყალენ ურიაღ ცოდვილი თეოფილს (ფურ. 11); ღმერთმან შეიწყალენ ცოდვილთა თეოფილს, ამისი აარგმანი (ფურ. 231). 2) ასკეტიკონი იოანე ოქროპირისა, ¹ რომელიც შესდგება 19 თავისაგან მორალურ-ასკეტიკურ-ჰომილეტიკური შინაარსისა; მეცამეტე თავის შემდგე ვკითხულობთ: აარგმანი თეოფილესი. ²

33. პროკოპი მღვდელი.

ეკლესიური მწერლობის ისტორიაში ცნობილია ბასილი დიდის თხზულება, რომელსაც ასკეტიკონი ეწოდება; ეს თხზულება მეთერთმეტე საუკუნის უკანასკნელს მეოთხედში უთარგმნია ეფრემ მცირეს, რომელსაც შემდგე ცნობა დაურთავს თავის თარგმანისათვის: როდესაც დავიწყე ამ წიგნის თარგმნა, გავიგე, რომ ის უკვე თარგმნილია ქართულად ჰატოასისის მღვდლის ჰნაიკონის მიერ, ამიტომ მაშინვე შევაჩერე ჩემი შრომა იმ იმედით, რომ პროკოპის თარგმანს როგორც ვიწონიდიო. ველოდე თორმეტი წელიწადი, მაგრამ, ადამიანის დაუდევრობით თუ დროთა სიახით, ვერ მივაღე ის ვერც საქართველოდან, ვერც კონსტანტინოპოლიდან, ამიტომ, იმედ გადაწყვეტილმა, ანტონ ტბელის ბრძანებით, განვაგრძე თორმეტი წლის წინად დაწყებული და შეწყვეტილი შრომაო. ³ ამნაირად, მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში ყოფილა ვიღაც პროკოპი მღვდელი, რომელსაც უთარგმნია ბასილი დიდის ასკეტიკონი. შესაძლებელია ვიფიქროთ, ის იყო მოღვაწე კონსტანტინოპოლის რომელიმე მონასტრისა, ვინაიდან ეფრემი ამ წიგნს კონსტანტინოპოლიდანაც მოელოდა; ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ ის წარმოადგენს სიტყვა-სიტყვით თარგმანს ბერძნული დედნისას, საკუთარ სახელთა ბერძნული ფორმების დაცვით და ბერძნული ფონეტიკის თვალსაჩინო ზეგავლენით, რასაც ამ დროს ჯერ კიდევ არ ჰქონია ადგილი არამც თუ საქართველოში, არამედ ათონზედაც, და რასაც საფუძველი სწორედ კონსტანტინოპოლის ქართველ მოღვაწეებმა ჩაუყარეს მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში პროკოპის შრომა შენახულია სიძველე. მუზეუმის ერთადერთს ხელნაწერში № 63 და წინასიტყვაობის გარდა (ფ. 1... 8) შესდგება რვა თავისაგან.

¹ Mighe, PG. t. 47, 319—386.

² სიძე. მუხ. № 143, ფ. 100.

³ თ. გორდანიძე, ქრონიკები II, 39—40.

34. გიორგი ხუცესმონაზონი.

ჩვენი სახელოვანი მოღვაწისა და მწერლის გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება¹ დაუწერია მის მოწაფეს, გიორგი ხუცესმონაზონს, რომელიც თუაღით მხილველ და კელიმსახერ უაფიდა და ეურით მისსქნელ სატყუთა წმიდას ზიჩისა მისისათა.² ანტიოქიას თუ შევმთაზე, იერუსალიამში, საქართველოში, კონსტანტინოპოლში თუ ათონზე, — გიორგი განუყრელდ თავის მოძღვართან იყო, ამიტომ მან დაწერილებით იცოდა ყოველივე თავგადასავალი დიდებულნი მოძღვრისა და სხვებზე უფრო კარგს პირობებში იდგა ამ თავგადასავლის აღსაწერად. გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც მისი ნეშთი კონსტანტინოპოლიდან ათონს გადასვენეს, გიორგი ხუცესმონაზონიც, რასაკვირველია, ათონზე გადავიდა და იქ სამუდამოდ დაკვიდრდა თავისი ღირსეული მოძღვრის საფლავთან ახლო სამოღვაწოდ. ჩანს, ისეთი შესანიშნავი პიროვნების ბიოგრაფიის დაწერა, როგორც გიორგი იყო, ბევრს ჰქონია მიჩნეული აუცილობელ საჭიროებად; ყველაზე უწინ ამის შესახებ ხმა ამოუღია მის მოძღვარს, შავიშთის შეყენებულსა და მოღვაწეს, გიორგის. ამ უკანასკნელს თვითონაც კარგად სცოდნია გიორგი მთაწმიდელის თავგადასავალი ბავშობიდან სიბერემდე, ამიტომ მას ორჯერის წერილობით უთხოვია გიორგი ხუცესმონაზონისათვის აეწერა პოლოდ ის პერიოდი, როდესაც ისინი მას, გიორგი შეყენებულს, მოშორდნენ, წმიდანის აღსრულებამდე, უფრო კი აღსრულება მისი. მაგრამ ათონზე ყოფილან ისეთი ძმებიც, რომელთაც ნდომებით აღწერილი ყოფილიყო მთელი ცხოვრება გიორგისა, დაბადებიდან სიკვდილამდე. გიორგი ხუცესმონაზონს აურჩევია უკანასკნელი გზა, რომელიც ორივე მხარეს დააკმაყოფილებდა. ავტორი ამბობს, რომ თავის შრომისათვის მას ხელი მიუყვია, სხვათა შორის, იოანე ქყონდიდელის იძულებით; მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი მოვიდა სპიგუფოდ ქადაგად მოფლანგებულ ბერატ აფხაზთა მეფის მიერ სევსტასისა;³ მაშასადამე

¹) ათონის კრებულნი, გვ. 289—351. მ ხაბინინი, საქართველოს ხაშოთაჲ, გვ. 137—188.

²) ათონ. კრებ. გვ. 349.

³) ათონ. კრებ. 280.

ცხორება დაწერილია 1065-1068 წლებში, ვინაიდან გიორგი შეყენებული, რომელმაც პირველად მისცა აზრი გიორგი ხუცესმონაზონს ხელი მოეკიდა ამ საქმისათვის, 1068 წელს გარდაცვლილა.¹ როდის გარდაიცვალა თვით ავტორი ცხორებისა, — გიორგი ხუცესმონაზონი, დანამდვილებით არ ვიცით, ცნობილია მხოლოდ, რომ 1083 წელს ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ვინაიდან ამ წელს მას გადაუწერია თავისი მოძღვრის მიერ ნათარგმნი სამოციქულო.² ავტორს არ გადმოუყია დეტალები გიორგის ცხოვრებისა, არამედ მხოლოდ მსხვილი და საყურადღებო ფაქტები; მის ნაწარმოებში ჩვენ ვხვდებით მნიშვნელოვანი მომენტები ბაგრატ მეოთხის მეფობისა და მაშინდელი საქართველო — ბიზანტიის ურთიერთშორის დამოკიდებულებისა. ენა მისი მეტად მარტივი და მასთან მომხიბლავია, განსაკუთრებით გიორგის გარდაცვალების აღწერისას ის პირდაპირ პათოსს წარმოადგენს.³ მიუხედავად მრავალი ღირსებისა, გიორგი ხუცესმონაზონის შრომას ზოგიერთი დეფექტებიც ახლავს თან. პირველად ყოველისა, ის არ უჩვენებს მის მიერ გადმოცემული ამბების წელიწადს, ფაქტებს ის მხოლოდ ამა თუ იმ პირთა სახელების აღნიშვნით და ხანგრძლივობით ათარიღებს; აქ კი მას ხანდისხან, შეიძლება უნებლიედ, შეცდომა მოდის, მაგალითად, როგორც უკვე ვთქვით, გიორგი მთაწმიდელის დაბადებას ის გიორგი I-ის მეფობას მიაკუთვნებს (თუ ეს შემდეგი დროის გადამწერთა კორექტურული შეცდომა არაა), ნამდვილად კი ამას უფრო ადრე ჰქონდა ადგილი. ვერ აქვს მას აგრეთვე სისწორით გარკვეული გიორგის სამწერლო მოღვაწეობა: ის არ გვაძლევს ჩვენ სრულს ნუსხას მისი შრომებისა და ერთ შემთხვევაში მას ისეთ შრომასაც კი მიაწერს („წიგნი შეექუსისა კრებისა“), რომელიც ნამდვილად გიორგის არ ეკუთვნის. რაც უფრო საყურადღებოა ამ მხრივ, მას ვერ აქვს სისწორით აღნიშნული გიორგის სალიტერატურო მოღვაწეობის დასაწყისი: მისი გადმოცემით, გიორგი მთარგმნელობას შეუდგა თითქოს მხოლოდ დეკანოზობაში, ნამდვილად კი მას, როგორც თავის ალაგასაც აღვნიშნეთ,

1) პლ. იოსელიანი, წყობილსიტყვაობა ანტონ კათოლიკოსისა, შენიშ. 131. II. М а р р у, Иоанн Перинский, грузинский неоплатоник XI-XII в. стр. 57.

2) ს ი ძ ე, მ უ ზ. ც ე ლ, № 581.

3) გიორგი ხუცესმონაზონი, როგორც ისტორიკოსი, განხილულია პროფ. ი. ვ. ჯავახიძის შრომის თხზულებაში „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“, გამოც. 1, გვ. 84—91, გაბ. 2: 23-137-145.

ღვკანოზობამდნაც უთარგმნია წიგნები, როდესაც ის უბრალო მორჩილი იყო.

წერის მანერაში გიორგი ხუცესმონაზონი ჰბაძავს თავის მოძღვარს, რომელმაც ექვთიმეს ბიოგრაფია დასწერა; ამ მხრივ ჩვენ ხაზს არ გაუხვამთ მაინცაღაშაინც წინადადებას: ხოლო ჩვენ ჰირველსავე სიტყუასს შოვიდეთ, რომელიც ორივესავე თხზულებაში გვხვდება¹ და რომელიც შაბლონურია ჰავიოგრაფიულს ნაწარმოებებში, აღვნიშნავთ შემდეგს აღვილებს:

„რამეთუ ეგევითარი თარგმანი, გარეშე შათ ზიჲველთასს, არღარა გამოჩენილ არს ენასა ჩუენსა და გჰგონებ თუ არღარა გამოჩინებად არს“. „რამეთუ უფროჲსნი წიგნნი ღამით, სანთღითა უთარგმნინა“ (ექვთიმეს ცხოვრება, ათონ. კრება. გვ. 26, 30)

„რამეთუ ესე ეოველთა უწით, ვითარმედ ეგევითარი თარგმანი, თჳნიერ წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳჲსსა, სხუჲა არა გამოჩენილ არს ენასა ჩუენსა და გჰგონებ თუ არღა გამოჩინებად არს. და უფროჲსნი წიგნნი ღამით უთარგმნინა“ (გიორგის ცხოვრება, ათონ. კრება. გვ. 309).

საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ გიორგი ხუცესმონაზონი საკმაოდ განათლებული ყოფილა და მას, უეჭველია, თარგმანებიც ექნებოდა, მაგრამ ჯერ ჯერობით მათ ჩვენ არ ვიცნობთ.

X 35. ეფრემ მცირე. ✓

ეფრემ მცირე არის შესანიშნავი მეცნიერი, ფილოლოგი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი და ამავე დროს თარგმანი; იმან ქართულ მწერლობაში შექმნა მთელი ეპოქა, რომელმაც დიდებულად დააგვირგვინა ექვთიმესა და გიორგი მთაწმიდელეების სამწერლო ღვაწლი. ეფრემის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები ნაკლებად შენახულა. ზაქარია გაბაშვილი, ერეკლე მეფის მოძღვარი, ამბობს, რომ მან ძველს წიგნებში ამოიკითხა, ვითომც ეფრემი იყო სამცხიდან, მოწაფე იოანე პეტრიწისა, მოღვაწეობდა შავ-მთაზე და იერუსალიმში.² საიდანაც უნდა იყოს ამოღებული ეს ცნობა,³ ის საესებოთ სიმართლეს არ შეეფერება: ეფრემი იოანე პეტრიწის

¹) ათონ. კრება. გვ. 25, 286, 293, 309 და სხვ.

²) თ. ცოტდანი, ქრონიკები I, 225.

³) Н. Марръ, Изъ книги царевича Баграта о грузин. переводахъ духовныхъ сочиненій... Пэнкестія Акадemiн Паукъ, т. X, № 2.

შეგირდი არას დროს არ ყოფილა, ის უფროსი თანამედროვე იყო მისი და, მეტი თუ არა, 20 — 25 წლით ადრე გარდაიცვალა, ვიდრე პეტრიწი; ისიც საეკვოა, რომ ეფრემს იერუსალიმში ემოღვაწნოს ხანგრძლივ. მიუხედავად ბიოგრაფიულ ცნობათა უქონლობისა, ჩვენ შეგვიძლია, რამდენადმე მაინც, გავითვალისწინოთ ეფრემის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმთავრესი ეტაპები.

მეთერთმეტე საუკუნის პირველს ნახევარში ბიზანტიასა და საქართველოს შორის დიდი ცილობა ატყდა ზემო ქუეყანათ, ან ტაოკლარჯეთის მიწების გამო. ეს მიწები ბიზანტიის იმპერატორმა მეათე საუკუნის საშობრდათიან წლებში მეორედ დაუთმო დავით კუროპალატს, რათა თქსს სიფრცხლეს ჰქონდნ, ¹ იმ სამსახურისათვის, რომელიც მან გაუწია იმპერატორს ვარდა სკლიაროსის აჯანყების ლიკვიდაციის საქმეში. დავითის გარდაცვალების შემდეგ (1001 წ.) იმპერატორი ბასილი II მოვიდა ამ მხარეს, სადაც მას კრძალულებით და მოწიწებით შეეგებენ მეფეგურგენ და ბაგრატის; ბასილმა ეს მხარე დროებით ჩააბარა გურგენსა და ბაგრატს. ბაგრატ მეფემ და მერე მისმა შვილმა გიორგი პირველმა სრული ბატონპატრონობა მოინდომეს აქ, ამიტომ ბასილი იძულებული შეიქნა იარალის საშუალებით დაებრუნებია უკანვე გიორგისაგან ეს მხარე, რომლისაგან მან შექმნა ცალკე, ივერიის, თემი. ² ამ არეულარვის დროს თვით ადგილობრივ მკვიდრთა შორის, უფრო კი არისტოკრატიაში, დაწყებულია განხეთქილება: ერთი ნაწილი ბიზანტიის ორიენტაციას იზიარებდა, მეორე საქართველოსას. ბერძნები არავითარ საშუალებას, ქრთამსა და მოსყიდვასაც კი, არ ერიდებოდნენ, რომ ქართველი დიდებულები იმპერატორის მხარეზე გადნობიერებიათ; იმათ ისინი ბიზანტიაში იწვევდნენ, მიწაწყალსა და ადგილმამულებს ურიგებდნენ იქ, დიდ თანამდებობასა და ჩინორდნებს აძლევდნენ, ხოლო მათ ქონებასა და ავლადიდებას საქართველოში თვითონ ეპატრონებოდნენ და ივერიის თემს უერთებდნენ. ³ ასეთმა ვერაგულმა მოქმედებამ განსაკუთრებით თავი იჩინა მკირეწლოვანი ბაგრატ მეოთხის გამეფებისას. ბაგრატის ტახტზე ასლვის პირველსავე წელს, 1027 წ., ივერიის თემის გამგის ნიკიტას მეცადინეობით წარვი-

¹) ა. თ. ბ. კრძ. გვ. 12. კ. კეკელიძე, ორი ექვთიმე ძველს ქართულ მწერლობაში, ჩვენს მუცნიერება № 2—3, გვ. 104—106.

²) Проф. М. Скабалазовичъ, Византийское государство и церковь въ XI вѣкѣ стр. 201—203.

³) Ibid. стр. 201; Акад. В. Латышевъ, Къ исторіи христіанства на Кавказѣ стр. 14.

დეს აზნაურნი ტაყდნი საბერძნეთს: ვაჲ კარაიჭისქე და ბანელი კპისკოპოზი იოანე და მათანა სამრავლე აზნაურთა ტაყდთა.¹ ეფრემი, რომლის გვარი კარიკიძე უოფილა,² ჩვენ მიგვაჩნია სწორედ ამ ვაჲე კარიკისძის შვილად. კონსტანტინოპოლში ეფრემს, სადაც ის თუ არ დაბადებულა, ყოველ შემთხვევაში სულ მცირეწლოვანი მაინც მისულა, მიუღია ბერძნული განათლება და ზედმიწევნით შეუსწავლია ბერძნული ენა; ამის შემდეგ წასულა შაემთაზე, ანტიოქიის მახლობლად, და დაუწყია იქ მოღვაწეობა; აქ ის დამოწაფებია გიორგი მთაწმიდელს, რომელსაც ის ერთერთს თავის თხზულებაში ეძახის მოძღვარს, ხოლო თავისთავს მისს მოწაფედ და შეგირდად ჰხადის. საკითხავია, კონსტანტინოპოლში გაზრდილმა ეფრემმა რატომ შაემთაზე არჩია წასლვა და არა მახლობელს ივერიის მონასტერში, ათონზე? ჩვენ გვგონია, ამის მიზეზი იყო ის გამწვავებული ურთიერთობა, რომელიც სწორედ ამ ხანებში დამყარდა ათონზე ქართველ და ბერძენ ბერებთა შორის და რომელმაც კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა ათონის ქართველობა. როდესაც ათონზე ქართველები ასეთს გაქირვებაში იყვნენ, შაემთაზე, სადაც მათი რიცხვი ამ დროს სამოცამდე აღიოდა, ისინი შედარებით მყუდროდ ცხოვრობდნენ. მართალია, რაგორც გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებებიდან ჩანს, აქაც მოსდიოდათ მათ ბერძენ ბერებთან შეტაკება, მაგრამ ამას სისტემატიური ხასიათი არ ჰქონია და ყოველ შემთხვევაში პატრიარქი ანტიოქიისა მათ მფარველობას უწყევდა.³ შაემთაზე, ანტიოქიაში, გიორგი მთაწმიდელის იქ ყოფნისას, როდესაც მას კამათი ჰქონდა პატრიარქთან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის შესახებ, ეფრემი ჯერ კიდევ ცნობილი არ ყოფილა, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი არ ექნებოდა არც პატრიარქის შეკითხვას: არაჲნს არსა ნათესავსა მათ შორის (შაემთის ქართველებში) ბერძულის ენისა შეცნეირი და წერადთა სწავლუდი?—არც პასუხს: ჰე, არსი ერთი ვინმე მოხაზონი დრამატიკოსი, ბერძულთა წიგნთა ქართულად თარგმნას, ესე იგი გიორგი.⁴ მაგრამ მერე, დაახლოვებით მეთერთმეტე საუკუნის სამოციან წლებში, როდესაც მას მწერლობა დაუწყია, ეფრემს ლიტერა-

¹) ქ.-ცხოვრ. მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 254.

²) კატალოგი ჯუარის მონასტრის ქართული ხელნაწერებისა, პროფ. ა. ცაგარლიძის კატალოგი № 138, Свѣдѣнія II стр. 33.

³) ათონ. კრებ. გვ. 312—316.

⁴) ათონ. კრებ. გვ. 313.

ტურული-მეცნიერული კავშირი დაუჭერია ფილოსოფოსებთან და მიტროპოლიტთან და თვით ყველაზე მეტად განსწავლულ წმიდა მეუფე-პატრიარქთან ანტიოქიის ქალაქისა, სადაც ის სარგებლობდა სვიმეონ-წმიდის უდიდესი და უმდიდრესი წიგნთსაცავით.¹ სხვათა შორის მას ან კავშირი და ნაცნობობა ჰქონია ბიზანტიის მწერლობის ისტორიაში გარგად ცნობილ კანონისტ ნიკონ შავმთელთან, პანდეკტიკებისა და ტაქტიკონის² ავტორთან, რომელსაც საქართველოს საეკლესიო საკითხის გასარკვევად იგივე წყაროები ჰქონია ხელში, რაც ეფრემს; ასეთივე ნაცნობობა უნდა ჰქონოდაც ეფრემს აგრეთვე იოანე დამასკელის ცხოვრების არაბულად აღმწერელ მიქაელ ბერთან და, შეიძლება, ამ ცხოვრების ბერძნულ ენაზე მთარგმნელი, ადანის მიტროპოლიტ, სამუელთან, რომლის შრომა მან ქართულად თარგმნა.³ შავიმთის ქართულ კოლონიაში ამდროს საკმაოდ განვითარებული ყოფილა სალიტერატურო ინტერესები, აქ შემდგარა მთელი წრე, რომელიც განსაკუთრებით მწერლობითა და მისი განვითარებისათვის ზრუნვით ყოფილა გატაცებული. ამ წრეს ეკუთვნოდნენ: გიორგი მთაწმიდელი, კვირიკე ბერი, ანტონ ტბელი, საბა სულაჰსძე თუხარელი, ეფრემ დიდი ოშკელი, იოანე მთავარაბსძე, რომელმან „თვნიერ მცირედთა წიგნთაჲსა ყოველნივე მისითა საკმარითა და წარსაგებელითა ათარგმნინა“⁴ მას, კირილე ალექსანდრიელი⁵ და სხვ. განათლებული, ენერგიული და მომზადებული ეფრემი მოყოლია ამათ წრეში და მათ ჯეროვნად გამოუყენებიათ მისი ცოდნა და მომზადება, მისთვის წიგნების თარგმნა დაუვალებიათ. მთარგმნელობას ეფრემს ასწავლიდნენ საბა თუხარელი და ანტონ ტბელი, რომელნიც გულმოდგინედ ადევნებდნენ თვალყურს მის სამწერლო მო-

¹) თ. გორდანიძე, ქრონიკები I, 217; Н. Марр, Предварительный отчетъ, стр. 30.

²) Fabricii, Bibliotheca Graec. XI, 276, Ang. Maii, Collect. veter. aetor. p. 4, 158. Филарета, Историческое учение объ отцахъ церкви, III, 242, прил.

³) К. Кекелидзе, Грузинская версия арабскаго житія св. Иоанна Дамаскина. Христ. Востокъ, III, 119—126.

⁴) თ. გორდანიძე, ქრონიკები I, 33 შენიშვნა.

⁵) ნიშნით იმისა, თუ რა კუროვნებთან ვაკვს ჩვენ საქმე ზოგიერთ ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროებში, დაეხსანებებთ თბულეზის „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“ ავტორს, რომელიც ამბობს, რომ საბა თუხარელი და ანტონ ტბელი „ცხოვრობდნენ ალექსანდრიისა შინა დროსა კირილე ალექსანდრიელისასთ“ (ძველი საქართველო, ტომი I, განკ. კვ. 24. თავი 57—58). ჩინს, ქართველო მოღვაწე კირილე, რომელიც მოღვაწეობდა ანტიოქიის მახლობლად მონასტერში, მის მიუღია მეზუთე საუკუნის კირილედ, ხოლო ანტიოქიის მახლობლად მდებარე ალექსანდრია, ეგვიპტის ალექსანდრია.

ღვაწეობას და სხვადასხვაგვარი ტექნიკური რჩევა-დარიგებით ეხმარებოდნენ მას. პუნქტუაციის წესის შემოღება მას უკარნახა საღმრთო ფილოსოფოსმა იოანე [პატრიკ-ყოფილმა] ფარნაკელმა, რომელსაც ანტონ კათოლიკოზის სიტყვით, ¹ ეფრემი თავის მასწავლებლად სთვლიდა და რომელიც შემდეგი დროის მკვლევართ იოანე პეტრიწად მიიღეს. გაპრიელ მღვდელი მას ამოუჩჩევდა ხოლმე სხვადასხვა თხზულებას გადმოსათარგმნელად. ² შავიშთა, სადაც 1091 წლის ახლო ხანებში ის კასტანას მონასტრის მამად ან წინამძღვრად იყო, ³ ეფრემს სიკვდილამდე არ დაუტოვებია. უნდა გარდაცვლილიყოს ეფრემი მეთერთმეტე საუკუნის უკანასკნელს წლებში, ყოველ შემთხვევაში რუის-ურბნისის კრების (1103 წ.) აქტები მას მიცვალებულთა რიცხვში იხსენიებენ. ამიტომ მიუღებელია ის ცნობა, თითქოს 1114 წლის ახლო ხანებში ის სამ-შობლოში დაბრუნდა თეოფილე ხუცესმონოზანთან, არსენ იყალთოელთან და იოანე ტარიქიძესთან ერთად, ⁴ მით უმეტეს, რომ მეორე აღგილას, სადაც ეს ცნობა გამეორებულია, ⁵ ეფრემის სახელი უკვე აღარაა.

ეფრემი შესანიშნავი მეცნიერია და მისი ღრმა სწავლულობა ჩანს ყოველს დარგში, უფრო კი წიგნების თარგმნაში. იმან შექმნა საკუთარი თეორია თარგმნისა, რომელიც საფუძვლად დაედვა შემდეგი დროის ქართულ მწერლობას. ეფრემი იმის მოწინააღმდეგეა, რომ თხზულება დედნიდან ითარგმნებოდეს პირდაპირ და ითარგმნებოდეს ისე, როგორც დედანშია, მთლიანად, შეუმოკლებლად და შეუმატებლად, „ზედაწარწერილის“ ან სათაურის შეუცვლელად. იმისი აზრით, მთარგმნელს მუდამ უნდა ახსოვდეს თვისება ქართულის და ბერძნული ენისა და იმას კი არ უნდა ზრუნავდეს, რომ სიტყვა-სიტყვით გადმოიღოს დედანი, — მაშინ თარგმანი უხეში და უღალატო გამოვა, არამედ იმას, რათა სიტყვა იმდენად დაახლოვებულ იყოს დედანთან, რომ არსებითი და „მართებით“, ესე იგი — საჭირო, არ აკლდეს თარგმანსო. თვითონ ის სხვადასხვა „ლექსიკონთა“ საშუალებით ჯერ არკვევდა პირვანდელს აზრს და მნიშვნელობას დედნის რომელიმე ძნელის და ძველი სიტყვისას და მერე უძებნიდა მას ქართულს შესატყვისს, და, თუ მოხ-

¹) წყობილ სიტყვაობა, ტიები 7-18.

²) თ. ეორდანიი, ქრონიკები I, 214-228.

³) თ. ეორდანიი, ქრონიკები I, 215.

⁴) თ. ეორდანიი, ქრონიკები I, 225.

⁵) იქვე, გვ. 241.

დებოდა, რომ ქართულ ენაზე შესაფერი სიტყვა არ მოიპოვებოდა, ის ბერძნული სიტყვის „დაგდებას“ ან გამოტოვებას ისევ უთარგმნელად მიღებას ამჯობინებდა. სხვათა ნათარგმნის შესწორებისას ეფრემი მეტად ფრთხილად იქცეოდა, ის ირკვევდა — რატომ არ უდგებოდა ეს თარგმანი თანამედროვე ბერძნულ ტექსტს, და იმისდა მიხედვით თავის შესწორებას, თუ საჭიროდ დაინახავდა, აშიაზე ათავსებდა. თანახმად მისი ხელმძღვანელი ბერების რჩევისა, ეფრემი, როდესაც რასმეს სთარგმნიდა, დედნის სიტყვებს მარტივად, შეუზავებულად და შეუხებულად გადმოსცემდა ხოლმე, მაგრამ აზრის ნათელსაყოფლად ის აშიებზე ურთავდა განმარტებას და სქოლიებს, რომლებითაც მოქარგულია ხოლმე ძირითადი ტექსტი ნათარგმნი თხზულებისა: ბერძნულს წიგნებშია ცხად ანოლო, შენიშნავს იგი. მთავრად მიხნით, ესე იგი დედნის აზრის შესაგნებლად და გასაადვილებლად, მან შემოიღო საკუთარი სისტემა პუნქტუაციისა, — ერთწერტილი, ორწერტილი, სამწერტილი და ექვსწერტილი, — რომელიც ქართულს მწერლობაში დაკანონდა კიდევ. ¹ ის დიდი სიფრთხილით აიღებდა ხოლმე ხელში ამა თუ იმ თხზულებას სათარგმნელად; პირველად ყოვლისა ცნობებს ჰკრეფდა, ხომ არ არის ეს თხზულება ქართულად ნათარგმნიო. თუ გაიგებდა, რომ ის უკვე ნათარგმნი იყო, სანამ ამ თარგმანს დაწერდებოდა არ გაიკნობდა, კლამს ხელში არ აიღებდა; მაგალითად, მას განუზრახავს ბასილი დიდის „ასკეტიკონის“ გადმოთარგნა; გაუგია, რომ ეს წიგნი უკვე პროკოპი მღვდელს უთარგმნია; ის 12 წელიწადი ელოდებოდა ამ წიგნის მიღებას და მერც, ვინაიდან ამას ვეღარ ეღირსა, მართლაც გადაუთარგმნია ის. ასეთივე შემთხვევა ყოფილა გრიგოლ საკვირველთმოქმედის ცხოვრების თარგმნისას; ეფრემს სცოდნია, რომ ეს ცხოვრება გიორგი მთაწმიდელის მიერ უკვე იყო ნათარგმნი, მაგრამ, ვინაიდან ის მას ვერ მიუღია, თვითონ უთარგმნია ხელახლა. ² ერთი სიტყვით, თხზულებანი, რომელნიც მისი ხელიდან გამოდიოდნენ, დაწესებულნი იყვნენ სასტიკი და რთული ფილოლოგიური მეთოდებით, არაფერი აქ უგულვებელსაყოფილი არაა, არც აღდგენა და კრიტიკა ტექსტისა, არც სისწორე და სინამდვილე თარგმანისა, არც შედარება სხვადასხვა სწავლულ კომენტატორთა აზრებისა. ამ მხრივ, როგორც შეგნე-

¹) თ. ქორდანია, ქრონიკები I, 218.

²) თ. ქორდანია, ქრონიკები I, 224.

ბული მეცნიერი მთარგმნელი, ეფრემი. იშვიათი მოვლენაა ჩვენს მწერლობაში. ექვს გარეშეა, ეფრემი. როგორც ფილოსოფიურად მომზადებული და განათლებული კაცი, მიმდევარი იყო რომელიმე ფილოსოფიური შკოლისა, უფრო კი ნეოპლატონიზმისა, რომელიც მის დროს დიდ ნაბიჯსა სდგამდა ქართულს განათლებულ წრეებში. ეს, სხვათა შორის, ჩანს სათარგმნ თხზულებათა არჩევანშიაც: ის სათარგმნის ფილოსოფიური ხასიათის თხზულებას, — იონანე დამასკელის გარდამოცემას, რათა მის მიერ წინააღმდეგობდინ შეიღწი ეკლესიისანი გარეშეთა მათ ფილოსოფოსთა და მათთავე ასრითა განგვრემდეს მათ: ¹ უთარგმნია თითქოს აგრეთვე ამონიოს საკის წიგნი. ² ყოველს შემთხვევაში იმას იზიდავს პრაქრისტიანული კულტურა, თუგინდ ეკლესიის მამათა საშუალებით, რომელნიც ახლო იდგენ ანტიურ ქვეყანასთან და მძლავრად განიცდიდენ მის სიმშვენიერეს. რომ ეს ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ ეფრემს დაუტოვებია ზღაპრობანი დიდისა ბასილის ეპიტაფიასა შინა შემოღებულნი. მიუხედავად ამისა, ის თითქოს უარპყოფს ყოველგვარ ფილოსოფიურ-გრამატიკულ შკოლებს; კვირიკე ხუცესს ისა სწერს: „როგორც უწყით, ჩვენ, შემდეგი დროის თარგმანნი, ვსწავლობთ პირველ ჩვენსა მოღვაწე-თარგმანთა წიგნებში და არა ფილოსოფიისა და გრამატიკის შკოლებშიო.“ ეს იმიტომ, რომ ზოგიერთი თანამედროვე სასულიერო და საერო პირნი ეფრემს, მის მოქმედება-მოღვაწეობას, ექვის თვალით ეფრემებდენ, მათ არ მოსწონდათ, ჯერ ერთი, მისი ფილოსოფიური სტლისკვეთება, მერე ის გარემოება, რომ ეფრემი ძველს ტექსტებს, რომელზედაც ისინი აღზრდილი იყვნენ, ასწორებდა, წარმოიდგინეთ — ეწვთიმესა და გიორგი მთაწმიდელისასაც კი. მათ მიერ სათარგმნ წიგნებს ხელმეორედ სათარგმნიდა, რასაც მას მეტიჩრობაში ართმევდენ და ბოლოსდაბოლოს მის მართლმადიდებლობაშიაც კი ექვი შექქონდათ. ანაზე ეფრემი იძულებული იყო განეცხადებია, რომ ის ქედს იხრის ეწვთიმესა და გიორგის წინაშე, რომელთაც თავის მასწავლებლად სთვლის, მაგრამ, თუ მათს ნაპუშაკევეში მას კორექტურა შექქონდა, ამისი მიზეზი თეით იმდროინდელ ქართველთა სულიერსა და გონებრივ მდგომარეობაში უნდა ვეძიოთო; მე მზადა ვარო, ამბობს ის, პასუხი გავსცე ყველას და შევაჩვენებ ყოველგვარ მწვალებლობას და წმიდა მამათა და

¹) თ. უორდანი, ქრონიკები I, 216.

²) პლ. იოსელიანი, წყობილ სიტყვაობა, შენიშ. 137.

მართლმადიდებელ კრებათა წინააღმდეგობათა. გარდა ფილოსოფიურ-ხასიათისა და მიმართულების მწერლობისა ეფრემმა საფუძველი ჩაუყარა ეგრედწოდებულს მეტაფრასტულ ჰაგიოგრაფიას, რომელიც ბიზანტიაში მეთავე საუკუნის გასულს დაშორდა. ეფრემი არამც თუ თვითონ სთარგმნიდა ამ დარგში, მან დაგვიტოვა ფასდაუდებელი ცნობები ამ დარგის მწერლობის აღმოცენებისა და განვითარების შესახებ როგორც საბერძნეთში, ისე ჩვენში.¹ საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ეფრემს ჩვეულებადა ჰქონია თავის ნაშრომებისათვის ლიტერატურულ-ისტორიული ცნობები და შენიშვნები დაერთო, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ მკვლევარ-აღივსის. ეფრემმა საფუძველი ჩაუყარა არა მარტო ნათარგმნ მეტაფრასტულ ჰაგიოგრაფიას, არამედ ორიგინალურსაც: მის შემდეგ ჩვენსა დაიწყეს ქართველ წმიდათა ძველი ცხოვრების გარდაქმნა გარდაკახნა და გადამეტაფრასება.²

ეფრემ მცირის შრომანი, ორიგინალური და ნათარგმნი, შემდეგ დარგებად შეგვიძლია დავყოთ:

I ბიბლიოლოგია. ამ დარგში ეფრემს უთარგმნია სამოციქულო, ესე იგი: საქმე მოციქულთა, კათოლიკე ეპისტოლენი და ეპისტოლენი პავლე მოციქულისა. ცნობებს ამის შესახებ ჩვენ ვპოულობთ იერუსალიმის ხელნაწერში № 25: „უწყობდეთ, ვისაც ეს წიგნი ჩაგივარდეს ხელში, რომ, როგორც ფსალმუნთა განმარტებისას,³ ისე სამოციქულოს თარგმნის დროს, მარადხსენებულის, დიდის მოძღვრის და ყოველთა მნათობის გიორგი მთაწმიდელისადმი მე, მის მოწაფეს და უხმარ მტვერს მისი ფეხებისას, ეფრემ მცირეს. არ დამირღვევია შეგირდის მოვალეობა. ჩემ წინ იდგა მის მიერ თარგმნილი „საქმე მოციქულთა, კათოლიკენი და [პავლეს] ეპისტოლენი, საიდანაც ვწერდი ტექსტს, რათა

¹) К Кекелидзе, Симеонъ Метафрастъ по грузинскимъ источникамъ, Труды Кіевской Духовной Академіи 1910 г. февраль, стр. 172—191.

²) თ. უორდანი, ქრანოგები I, 214—228. Н. Марръ, Церковныя Вѣдомости за 1907 г. № 3. прилож. стр. 101—106; მისივე—Предварительный отчетъ о работахъ на Синаѣ и въ Іерусалимѣ, стр. 28—31; მისივე—Іоаннъ Петрицкій, грузинскій неоплатоникъ XI—XII в. стр. 36—40. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა გვ. 91—111, I გამოც., კ. კეკელიძე, Симеонъ Метафрастъ по грузин. источникамъ (Труды Кіевской Дух. Академіи, 1910 г. февраль, стр. 172—191), და Іоаннъ Ксифилинъ, продолжатель Симеона Метафраста, (Христиан. Востокъ, I, вып. 3).

³) აქედან ჩანს, რომ სამოციქულო ეფრემს უთარგმნია დავითის განმარტების შემდეგ, ესე იგი არა უადრეს 1080 წლისა.

არ ეფიქრა ვისმეს, რომ სამოციქულო მეორედლა თარგმნილი. მაგრამ ბერძნული ენა ღრმად, ვით უფსკრული, ერთი და იგივე სიტყვა მისი სხვადასხვა აზრებს გამოხატავს. ასეთს შემთხვევაში ხანდისხან საქირო ხდებოდა ქართული ტექსტის შეცვლა და გადასხვაფერება... იქ, სადაც სიტყვებს ვსცვლიდი, აშიაზე, სტრიქონის გასწვრივ, ვსვამდი იოტას, ხოლო შიგნით, ტექსტში, შესწორებული სიტყვის წინ, — საგანგებო ნიშანსო“. ¹ ეფრემი აღნიშნავს გიორგის თარგმანის სუსტ მხარეს, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ გიორგიმ ვერ გაწყვიტა კავშირი ძველს ქართულ ტექსტთან და ვერ გადმოსცა ქართულად ბერძნული დედანი სისწორით; მიუხედავად ამისა, ის ითხოვს—არ შეიტანონ გიორგის ტექსტში პისი, ეფრემის, შესწორებანი. ეფრემის „სამოციქულო“ ჩვენ გვაქვს სიძვე. მუხეუმის ხელნაწერებში №№ 137 და 482.

II ეგზეგეტიკა. 1) ქართულს ეგზეტიკურ მწერლობას ეფრემ მცირემდე საგრძნობელად ემჩნეოდა ეპისტოლეითა კომენტარიების უქონლობა, ვინაიდან ექვთიმეს მიერ თარგმნილი კომენტარიები იოანე ოქროპირისა მეტად შეკვეცილი იყო და შემოკლებული. ამ ნაკლის შევსება უკისრია ეფრემს იმავე ოქროპირის კომენტარიების გადმოღებით. ეფრემის ეს შრომა, რომელიც ბიბლიურ ტექსტთაგან ერთად გადმოღებული, დაცულია იერუსალიმის ხელნაწერში № 25 და სიძვე. მუხეუმისაში № 390, უკანასკნელში დეფექტურად. ამ თხზულების თარგმნისას მას ხელია ჰქონია ლექსიკონები, ესე იგი კრებული ძველი სიტყვებისა ანბანის რიგზე, და აგრეთვე სამი აუთენთიკური თარგმანი პავლეს ეპისტოლეითა, რომელთაც, აღბად, ის მიმართავდა, როდესაც რომელიმე ადგილი განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენდა. იოანე ოქროპირი ეფრემს არ უთარგმნია არც იმ სახით და არც იმ სისრულით, როგორც ბერძნულს დედანშია ის წარმოდგენილი; ის მას გაუხდია მხოლოდ ხელმძღვანელად და მოკლედ, ეგზეგეტიკური მეთოდით, გადმოიუცია მისი აზრები, ასე რომ ეს თარგმანება წარმოადგენს ეფრემ მცირის შრომას, იოანე ოქროპირის მიხედვით დაწერილს. ყოველ შემთხვევაში ეგზეგეტიკური მწერლობის ისტორიაში ჩვენ ვიციით ისეთი ავტორები, რომელთაც თავიანთ შრომაში იოანე ოქროპირით, თუ მეტად არა, ნაკლებ არ უსარგებლნიათ, ვიდრე ეფრემ მცირეს, და, მიუხედავად ამისა, შრომა თავისი საკუთარი სახელით გამოუშვიათ; ამ მხრივ ეფრემს

¹) Н. Марр, Предварительный отчетъ, стр. 28—29.

უფრო მეტი თავმდაბლობა და ავტორული თავდაკერილობა გამოუჩენია, ვიდრე სხვებს. 2) მეორე მნიშვნელოვანი ეგზეგეტიკური შრომა ეფრემისა არის თარგმანება და ვითნისაჲ, რომელიც მას დაუწერია 1080 წლამდე. ამ თხზულების ღირსშესანიშნავ წინასიტყვაობაში, რომელიც ეხლა უკვე გამოცემულია, ¹ ეფრემი აპობს, რომ მას აუღია გიორგი მთაწმიდელის მიერ ნათარგმნი ტექსტა დავითნისა, რომლისათვისაც მას დაურთავს განმარტება ან ახსნა, მაგრამ ეს განმარტება მისი საკუთარი, ორიგინალური კი არაა: რადენიცა იუვნეს წიგნისსაცავსა სჰემონ წმიდისასა, გვამცნებს ავტორი, თარგმანსი და ვითნისა, უოველნაჲ დედად შტონდეს და ფრადითა შრამითა მათ უოველთაგან ერთად შეეყრთე, რომელი ოდენ იპოებოდა მათ შინა შართლჲადიდებულთა მიერ თარგმანებულთა. ² ეს მართლმადიდებელი თარგმანსი, ეფრემის ცნობით, არიან ათანასე და კირილე ალექსანდრიელნი, რომელთაც ორორი რედაქციით აღუწერიათ დავითნის განმარტება, — ვრცელითა და შემოკლებულით, — ბასილი დიდი, ევსუქი იერუსალიმელი, ასტერი აზსიელი და იოანე ოქროპირი. ³ როგორ უსაგებლნია ამ პირთა შრომებით ეფრემს? ათანასესა და კირილეს თხზულებათაგან, რომელნიც, მისი სიტყვით, მას ხელთაჲ ჰქონია, პირდაპირ, უშუალოდ, ამოუკრებია საკირო მასალა და აზრები; ამნაირადვე უნდა ესარგებლნა ბასილი დიდის თხზულებითაც, რომელიც უკვე ექვთიმე ათონელის მიერ იყო ნათარგმნი, ⁴ ხოლო ამათ გარდა მას ჰქონია კუადად სხუანი წიგნნი მრნი, რომელნი უოველთაჲ დავითისა თარგმანთაგან ერთად შემოკრებულნი იუვნეს, ⁵ ესე იგი მას ხელთაჲ ჰქონია, დავითნის ეგრედწოდებული კატეხების ორი წიგნი, რომლებშიაც, სხვათა შორის, შეტანილი ყოფილა ციტატები ათანასეს, კირილეს, ევსუქის, ასტერის და სხვა ეგზეგეტთა თხზულებებიდან. ⁶ ამნაირად, შინაარსით, აზრებით და, საზოგადოდ, მასალით ეს თხზულება ორიგინალური არაა, ხოლო გარეგანი კონსტრუქციით და გეგმით, რომელიც გამოიხატება მასალისა და წყაროების შერჩევაში და მათ დალაგებაში, ის ეფრემის ორიგინალურ ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს. ერთი სიტყვით, ეფრემის შრომა

¹) ძველი საქართველო, ტ. III, გვ. 1, გვ. 243—269.

²) ibid. გვ. 247.

³) ibid. გვ. 244—246.

⁴) ibid. გვ. 245.

⁵) ibid. გვ. 247.

⁶) ibid. გვ. 247.

არის დამოუკიდებელი რეცენზია დავითნის კატენებისა, მნიშვნელოვანი არა მარტო ქართული მწერლობის, არამედ საზოგადო ეგზეგეტიკური ლიტერატურის ისტორიაში. ¹ 3) ძველი აღთქმის ბიბლიურ წიგნთა შორის ქრისტიანულს მწერლობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა „ეკლესიასტე“ სოლომონისა; ამით აიხსნება, რომ სხვადასხვა ავტორებს უწერი-ათ თარგმანება ან განმარტება მისი, როგორც, მაგალითად, იერონიმეს, იპოლიტეს, ორიგენს, გრიგოლ ნოსელს, დიონისე, ათანასე და ოლიმპიოდორე აღექსანდრიელთ, პროკოპი ლაზელს, გრიგოლ აკრაკანტელს და მიტროფანე სმირნელს. ხოლო ნეოკესარიის ეპისკოპოსს გრიგოლ საკვირველთ-მოქმედს († 270 წ.) შეუდგენია გრძელწოდებული *Μεταφρασις ες τὴν Ἑκκλησιαστικὴν Βιβλίον αὐτοῦ*, რომელიც წარმოადგენს მოკლესა და ცოცხალ მოთხრობას ეკლესიასტეს შინაარსისას, გერძნულს სექტანტაზედ დამყარებულს. ² წინად ამ თხზულებას აკუთვნებდენ გრიგოლ ღვთისმეტყველს, ვინაიდან ხელნაწერებში ის მოთავსებულია ხოლმე უკანასკნელის თხზუ-ლებათა შორის. ეს თხზულება ქართულ ენაზედაც შენახულა; ის გად-მოუთარგმნია ეფრემ მცირეს და მოთავსებულია სიძველეთა მუზე-უმის ხელნაწერში № 292, გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა შორის, სათაურით *Μεταφρασις ἑκκλησιαστικῆς* (ფ. 323—331). 4) ასეთივე ხასიათი აქვს მოკლე ეგზეგეტიკურ ნაწყვეტს, რომელსაც *Μεταφρασις ἐπι-κοπῆς*, ეწოდება; ისიც გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა შორის არის მოთავსებული და შეიცავს განმარტებას ეზეკიელ წინასწარმეტყვე-ლის ხილვისას (თავი I). ეს ნაწყვეტც ეფრემ მცირეს უთარგმნია (სი-ძველ. მუზ. № 292, ფ. 322). ³

III. დოღმატიკა და პოლემიკა. ამ დარგში, პირველად ყოველისა, უნდა დავასახელოთ 1) გრიგოლ ღვთისმეტყველის ოთხი ნაწარმოები: სიტყვა ივლიანეს განმაქიქებელი, ⁴ სიტყვა არაანოსთა მიმართ და თავისა თვისის, ⁵ ეგნაშინანოსთა მიმართ და ღმრთაისმეტყველებისათჳს წინაგანგება. ⁶

¹) ეფრემის აღნიშნული თხზულება შენახულა ოთხ ხელნაწერში: მარტვილისაში XI ს., გელათისაში XII—XIII ს. (№ 29), ჯრუჭხა და სიძვ. მუზეუმისაში (№ 14) XIX საუკუნისა.

²) *Μετρίον PG. t. 10. col. 987—1018.*

³) ეფრემის ეგზეგეტიკური შრომების შესახებ იხ. კ. კეკელიძე, თარგმანებაჲ ეკლესიას-ტისაჲ მიტროფანე ზმურცელისა გვ. XIX—XXII, XXV—XXVI, XXXI

⁴) სიძვ. მუზ. № 292, ფ. 202-218.

⁵) იქვე, 305-311.

⁶) იქვე, 311-314.

2) ყველაზე მნიშვნელოვანი შრომა ამ დარგში არის იოანე დამასკელის Πνευγώνων, წყარო ცხდნისა, რომელსაც ეფრემის თარგმანში ეწოდება გარდამოცემად უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაჲ, რაც უდრის ბერძნულს Πνευγώνων ἁγίων τῆς Ἐκκλησίας ἁπλοῦς. ეფრემის თარგმანი შეიცავს აღნიშნული თხზულების ორ ნაწილს: დიალექტიკას, 50 თავად, და თვით გარდამოცემას 100 თავად; მეორე ნაწილი ამ თხზულებისა, რომელსაც ბერძნულად ეწოდება წაჯვარებათჲს, ეფრემს არ გადმოუთარგმნია. თარგმანისათვის ეფრემს დაურთავს შესავალი, რომელშიაც ის განგვიმარტავს ფილოსოფიური ნაწილის, დიალექტიკის, მნიშვნელობას; მის მიერ წინააღმდეგებიან შვიდნი ეკლესიისანი გარეშეთა მათ ფილოსოფოსთა და მათთჲც ისრითა განგვრეშენ. მათ, რამეთუ ოჯნიერ ამათ სიტყუათასა სხუებრ შეუძლებელ არს სიტყუსგებაჲ წინააღმდეგობათჲ, სიტყუას გვიგებდენ რაჲ გარეშენი იგი განუიუყუელათჲს, რამელ არს გუამი, და ბუნებისათჲს. იოანე დამასკელს ამ ნაწილის ეკლავნებითა მრუზღულდაჲს ნაყოფთა შექნიერებაჲ ვენაჲისა ამის ოჯისა, ესე იგი მეორე ნაწილის — გარდამოცემასა-სო. მერე თავის გარდამოცემას ადარებს ექვთიმეს მიერ ნათარგმნ წინამძღუარს, რომელიც შეიცავს, როგორც უკუე აღენიშნეთ: დასახელებული თხზულების შემოკლებას, და თხოვს მკითხველს — ნუ გარევეს ერთმანეთში ამ ორ თარგმანს. ეს თხზულება ეფრემს უთარგმნია გაბრიელის ბრძანებით და თან დახმარებით არსენ იყალთოელისა, იოანე ხუცისა და სტეფანე დიაკონისა; შენახულა მხოლოდ ერთადერთი ცალი მისი სიტყველეთა მუზეუმის ხელნაწერში № 24. მ) ეფრემს გადმოუღია აგრეთვე იოანე დამასკელისავე სიტყუაჲ სიტყუსსაგებელი მათი, რამელსა კვმოიბენ წმიდათა სიტთა. ¹

IV. ასკეტიკა და მისტიკა. ასკეტიკურ-მისტიკურ დარგში ეფრემს გადმოუთარგმნია ექვსი მნიშვნელოვანი მწერლის თხზულება; ესენია: 1) ასკეტიკონი ბასილი დიდისა ითიკის გამოკლებით, რომელიც ექვთიმე ათონელს უთარგმნია. ² ეს თხზულება, როგორც ვიცით, ეფრემზე ადრე პროკოპი ხუცესს ეთარგმნა. ³ შეუღდა თუ არა ეფრემი მის

1) გელათის ზელნ. № 8, ფ. 90-108.

2) Migne. PG. t. 31, col. 889-1306.

3) ზაქ. კიკინაძეს საიდანაც გაუგია, რომ ბასილის ასკეტიკონი ქართულად უთარგმნია ბერძნულიდან აგრეთვე შევიდმეტე სალუქნის გასულის მოღვაწეს იოსებ კანდელიას, რომელიც აღიზარდა გელათში და შემდეგ ათონზე ცხოვრობდა (ქართული მწერლობა მრეიდმეტე სალუქნისა, გვ. 12).

ზარგმნას, გაიგო, რომ არსებობდა პროკოპის თარგმანი, ამიტომ იმწამსვე შეწყვიტა მუშაობა და 12 წლის განმავლობაში ელოდა პროკოპის შრომას. ვინაიდან მან ის ვერ მიიღო, თანახმად ანტონ ტბელის ბრძანებისა, იძულებული შეიქმნა გადმოეთარგმნა ის ბერძნული ენიდან ამით გულის-სიტყვით, რომელ, უგუეთუ ოდესმე მოიწიოს მისი (პროკოპის) თარგმანი, მისი იწერათ, მიმართავს. ეთრემი თავის მკითხველებს, უფრო კი მავიშთის ქართველებს, ვითარცა უსუტკისისა, და ასე, ვითარცა უმრწემისისა, და რომელი რამე მუნ ჰქმტდეს, გინა აქა, ორთაგნე უმჯობესი შეიძინეთ; და სხუებისა ნევე გიკვრს: რამეთუ თჳს ბერძნულნიცა წიგნნი, ვითარცა ვინ დედაჲ ჰოფოს, იგრე გარდაიწერებინან, და თჳთ ორთა წიგნისსაცა ვისე ონწმიდისთა ასიციტეონნი სხჳთა და სხჳთა ჰქმტდეს ურთიერთას; ამისთჳს თჳს ჯისიცა მოვიდეთ და თჳთ მათგე ბრძენთა უბრძენსთა და უსუდიერესთა კითხვითა ძალისაგერ სისრულე და სიმართლე ვახარეკო.¹ როგორცა ჩანს, ეთრემს ხელთა ჰქონია რამდენიმე ორიგინალური ტექსტი ამ თხზულებისა, ორი სვიმიონწმიდის წიგნთსაცა ვიდან და ერთიც თჳს მონასტრისა; აგრეთვე ცნობები ამ წიგნის შესახებ მას შეუკრებია ადგილობრივ მეცნიერთაგან, ასე რომ მისი თარგმანი მეცნიერული, კრიტიკული შრომაა. ის დარწმუნებულა, რომ მის საკუთარსა და პროკოპი მღვდლის თარგმანთა შორის განსხვავება იქნება, ამიტომ წინასწარ ამზადებს ამისათვის მკითხველს. მართლაც, მათ შორის განსხვავება უვალსაჩინოა: ეთრემის რედაქცია შესდგება 14 ნაწილისაგან,² ხოლო პროკოპის "წინასიტყვაობით ც'რასაგან: ეთრემს აქვს ზედმეტი 10, 11, 12 და 13 ნაწილები: „კანონი ბრალეულთანი“, „მეკანონისა მიმართ“, „განსაზღვრებაჲ წამებულთა წმიდათა წერილთაჲთა“ და „სიტყუაჲ მოლუაწეპითი განშორებისათჳს სოფლით და სრულყოფისათჳს“. მეთორმეტე ნაწილი ეთრემის რედაქციაში შესდგება 30 თავისაგან, პროკოპისაში კი 28-საგან, უკანასკნელს არ აქვს ეთრემის 27 და 28 თავები; თვით მიმდევრობა თავებისა სხვადასხვაა ამ რედაქციებში, 2) ასკეტ იკონი ეთრემასურისა⁴ შესდგება ორი წიგნისაგან, რომელთაც ეწოდებათ ეთრემ პირველი და ეთრემ მეორე; პირველი შეიცავს 18 თავს, მეორე 32. ასე ყოფილა ის გაყოფილი, როგორც თვით ეთრემი ამბობს ან-

1) თ. ყო რ დ ა ნ ი ა, კრონიკები II, 59-10.

2) სიძვ. მუხ. № 132, 689.

3) სიძვ. მუხ. № 63.

4) სიძვ. მუხ. № 62, 154, 166, 190, 673, გელ. № 8, ვ. 111-907.

დერძში, სვიმეონწმიდის და თულთა მონასტრის ბერძნულს ნუსხებშიაც. ჩანს, ამ თხზულებასაც ისეთივე ყურადღებით მოპყრობია ეფრემი, როგორც ბასილის ასკეტიკონს. 3) ეფრემსვე უთარგმნია დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილი ხუთი თხზულება: ა) „სალმართთა სახელთათვის (1:3 თავისაგან), ბ) „ზეცათა მღდელთმთავრობისათვის“ (15 თავი), გ) „საეკლესიოასა მღდელთმთავრობისათვის“ (7 თავი), დ) „აღმდელთა ღმრთისმეტყუელებისათვის“ (5 თავი) და ე) „ეპისტოლენი თითოსახენი“ — გაიოსის მიმართ მოწესისა! (1 ეპისტ.), დოროთეს მიმართ (1), სოპატროას მიმართ მღუდელისა (1), პოლუკარპოას მიმართ მღუდელთმთავრისა (1), დიმოფილოას მიმართ მოწესისა (1), ტიტეს მიმართ მღუდელთმთავრისა (1), იოანეს მიმართ ღმრთისმეტყუელისა (1).¹ 4) კასიანე ჰრომაელის „თხრობაჲ წესსა და განგებასა ეგვიპტისა აღმოსავლეთისა მონასტრთა საკრებულოთასა“² და „მიწერილი ლეონტის მიმართ მოქალაქობისათვის წმიდათა მამათა სკიტისათა“.³ 5) პალადი ჰელენოპოლიელის ლავსაიკონი,⁴ რომელიც მრავალ ხელნაწერებში გვხვდებოდა ჩვენ, ⁵ შეიცავს მეფურსის შემოკლებულ რედაქციას⁶ და 72 თავისაგან შესდგება. 6) თეოდორიკე კვრელის „ღმრთისმოყუარებთი თხრობაჲ გინა თუ მოღუაწეთა მოქალაქობაჲ“, რომელსაც ბერძნულად *Θεοδωρικὴ ἱστορία* ეწოდება, შეიცავს წმიდა მამათა ცხოვრებას, რომელნი განსწავლადეს ანტიოქიას და გარემოს სანასებთა.⁷ ამას წიგნსაც, ამბობს ეფრემი, ეწოდების *ფილოთეონ ისტორიაჲ*, რომელ არს ღმრთისმოყუარებთი თხრობაჲ; რამეთუ, ვითარ იგი კლემასს და დიოდოროსს იგივე ბერძული სახელი უწოდან ქართულადც, აგრეთვე ამისთვის უსაკუთრეს არს წოდებად *ფილოთეონ ისტორიაჲ*, რომელი ესე თუთ აღმწერელისა ამისის თეოდორიტესაგან სახელდებულ არს ამისდა.⁸ ეს თხზულება ეფრემს უთარგმნია ბრძანებითა და ლოცვითა ანტონ ტბელისა, რომელი მოსურნე ყოფილა ამ წიგნისაჲ წიგნსა, შენიშნავს ეფრემი, აქვს ფრიდა სიღრმე სიტყუათაჲ; რომლისა

¹) სიძველეთა მუხ. №№ 110, 163, 169. 180. 651.

²) De institutis coenobiorum, Migne, PG. t. 49.

³) Collationes XXIV, Migne, PG. t. 49, col. 477—1328; სიძვე. მუხ. №№ 154—196, 362, 400, 682.

⁴) *Λαυσαϊκόν, resp. Λαυσαϊκόν*, Migne, PG. t. 34, col. 995—1278.

⁵) სიძვე. მუხ. №№ 143, 154, 164, 196, 362, 400, 682 და სვ.

⁶) Проф. И. Троицкий, Обзоръ илѣ источниковъ начальной исторіи египетскаго монашества, стр. 189.

⁷) თ. ეორდინია, ქრონიკები, I, 220.

⁸) თ. ეორდინია, ქრონიკები II, 40—41.

შეცვალებ და გ.მ.რ.ტ.კ. ხაზ არა ძნელ იყო, მაგრამ მე ეს არ ვკენი, ვინაიდან ესე უკმა არს მათს, რომელნი ეს ზრდილ არიან სძითა სიტყუათა მარტივობა ამათა და მაწიგნულ ჰასკის მტკიცის საზრდელისაჲსა. ¹ ქართული რედაქცია ამ თხზულებისა ოცდაათი თავისაგან შესდგება. ² ამ თხზულებას ქართულს თარგმან მი დართული აქვს თეოდორიტესვე „სიტყუაჲ საღმრთოჲსა სიყუარულისათჳს“, რომელიც თითქოს დასასრულს შეადგენს წინა თხზულებისას.

V **ჰაგიოგრაფია და ისტორია.** როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეფრემ მა მტკიცე და ურყეველი ნიადაგი შეუქმნა ქართულს გეტაფრასტულ მწერლობას, რომლის პირველმა შუქმა მათე საუკუნის გასულს შემოანათა ჩვენში; განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ჰაგიოგრაფიული მწერლობის შესახებ. ამ დარგში ეფრემს უთარგმნია: 1) ცხოვრება თეოდოსი დიდისა, კი-ილე სვეთოპოლელის მიერ აღწერილი, ³ 2) ცხოვრება პელაგია ანტიოქელისა, ⁴ 3) წამება დიმიტრისი, ⁵ 4) წამება იერონისი და მისთანათა, რომელნი იწამნეს მელიტინეს სომქითისასა, ⁶ 5) წამება მინა მეგვიპტელისა, რომელი იწამა ქალაქსა კოტჯაოს, ⁷ 6) ცხოვრება წ. იოანე ოქროპირისა, ⁸ 7) ცხოვრება გრიგოლ ნეოკესარიელისა, გრიგოლ ნოსელის მიერ აღწერილი, ⁹ 8) ცხოვრება იოანე დამასკელი-სა, არაბულად აღწერილი მიქაელ ხუცის მიერ და ბერძნულად თარგმნი სამუელ ადანელის მიერ, ¹⁰ 9) თხრობაჲ დიდებულისა სასწაულისა, რომელი იქმნა წმიდასა მას ზედა ჯურღმულსა დ-დისა ეკლესიისასა სოფიაშიდას საუფლოჲსაგან და პატრიოსნისა ხატისა უფლისა იესო ქრისტესა და მუნ მოსრულისა მისთჳს პატრიკისა და ქრისტეს მოყუარისა მწიგნობრისა მისისა, ¹¹ 10) თხრობაჲ სულთა სარგებელი სასწაულისა

¹) იქვე, გვ. 12.

²) სიძვ. მუხ. № 682, 689.

³) სიძვ. მუხ. № 79, 26—105.

⁴) გელ. № 4, 403—414, წ.ჯ. № 384, გვ. 167.

⁵) გელ. № 1, 593—602, წ.ჯ. № 384, გვ. 214.

⁶) წ.ჯ. № 384, გვ. 590—597.

⁷) წ.ჯ. № 384, გვ. 635—643.

⁸) ნოემბ. 13, წ.ჯ. № 384, გვ. 1—61, თავში აკლია.

⁹) წ.ჯ. № 384, გვ. 682—721.

¹⁰) К. Кекелидзе. Грузинская версия арабского жития Иоанна Дамаскина, Христ. Востокъ III, 142—174.

¹¹) გელ. № 8, თ. 59—64. სიძვ. მუხ. № 129, 162, 272.

მისთვის, რომელი იქმნა ხალკურკრატის ხატისა ქრისტესისა, რომლისა მიზეზისათვის ეწოდა მას თავსმდებ, და თეოდორესთვის მენავისა და აბრაჰამ ჰურიისა.¹

ფერემს ორი ორიგინალური ისტორიულ-ჰაგიოგრაფიული შრომაც დაუწერია: ესენია: 1) მასაკსენებელი² მცირე სჯულისთვის ლადოთისა და თხრობაჲ მიზეზისა ამათ საცაზხაგათა თარგმანისათა;³ ამ თხზულებაში ფერემს შეუკრებია ცნობები სვიმეონ ლოდოთეტის ცხოვრებისა, ლიტერატურული პოლემიკებისა და მისი მეტაფორების შესახებ; ამ მხრივ მას მოაქვს სრულიად ახალი მასალა აღნიშნული საცილობელი საკითხის ვადასაწყვეტად.⁴ 2) უწყებაჲ მიზეზსა ქრისტიანთა მოქცევისათა, თუ რამეღათა წიგნთა შინა მასაკსენების;⁵ ეს თხზულება ფერემს დაუწერია შავიმთის ქრათველთა ეკლესიარბის. იოანე-კვირიკეს, მონდობილობითა და ბრძანებით. იოანეს მიზნდვია მისთვის დაეწერა მასაკსენებიჲა ოდეს-მოქცევათა სუენისაჲ და თუ რამეღათა წიგნთა შინა ბერძენთაჲსა კსენებულ არს იგი, უკიდეს თუ ვისმე კამომძიებელთაგანსა ცნობად,⁶ ესე იგი, ფერემს უნდა დაეწერა საილმძღვანელო წიგნი, სადაც ბერძნული წყაროებიდან ამოკრებული ექნებოდა ცნობები იმის შესახებ, თუ როდის მოიქცენ ან გაქრისტიანდნ ქართველები. სწორედ ამ დროს, მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში, ანტიოქიის საპატრიარქოში დაიწყო საკათო ქართველთა საეკლესიო დამოუკიდებლობის კანონიერებაზე, ანტიოქიისა და შავიმთის ბერძნები ამ კანონიერებას, სხვადასხვა მიზეზებით, არ სცნობდენ; ფერემს ამ თხზულებაში ყველა მათი საბუთები უნდა გაეზოთილებია. საკირო ცნობები მას „ბერძნული“ წიგნებიდან უნდა ამოეღო, ვინაიდან ბერძნები ქართულ წყაროებს არ ენდობოდენ, ისინი მხოლოდ იმ საბუთებს შეიწყნარებდენ, რომელნიც მათი ბერძნული წიგნებიდან იქნებოდა მოტანილი. ფერემი მთავარ ყუჩადლებას აქცევს საკათს, როდის მოიქცენ ქართველები. ქართველები მოიქცენო, ამ ბოძს ის, ნინოს მიერ კონსტანტინე დიდის დროს; ამ შემთხვევაში ის

¹) ველ. № 8, 61-75, სივ. შუბ. №№ 102, 276.

²) ველ. № 4, ფ. 576-579, სივ. შუბ. № 90, ფ. 310-314.

³) К. Кекелидзе, Симеонъ Метафрастъ по греческимъ источникамъ, Труды Киевской Духовной Академіи, 1910 г. № 2. მისივე-Іоаннь Кекелидзе, продолжателъ Симеона Метафраста, Христіан. Востокъ. I. 325-347.

⁴) ე. თაყაიშვილი, ძველი ქრისტიანული წიგნის ცხოვრებისა, 32. XXXVIII-LVII; თ. კობახიძე, ქრონიკები I. 33-37, 47, 53-54.

⁵) ე. თაყაიშვილი, იქვე, 39. XXXVIII, ე. კობახიძე, იქვე, 36, 34.

იმოწნებს თეოდორიტე კვირელის ისტორიის ოცდაშეოთხე თავს, სადაც ლაპარაკია ამის შესახებ. რაც შეეხება აფხაზების გაქრისტიანებას, ამის შესახებ ეფრემს მოწმობა მოაქვს ევაგრეს ისტორიის ოცდამეორე თავიდან, სადაც აფხაზთა მოქცევა აღწერილი. თეოდორიტე და ევაგრე კარგად ცნობილი ისტორიკოსები იყვნენ ანტიოქიაში, როგორც ანტიოქიაში და ანტიოქიის საპატრიარქოში მცხოვრებნი და ნოდეაწენი, ამიტომ სხვა მოწმობები ფერემს არ მოჰყავს. პეტრეები უარყოფდენ ქართველთა ეკლესიურ დამოუკიდებლობას, სხვათა შორის, იმიტომ, რომ საქართველოში თითქოს არცერთ მოციქულს არ უქადავნიათ. ამასე ფერემი უპ.სუხებს, რომ საქართველოში ქრისტიანობა იქადაგეს ანდრია პირველწოდებულმა და ბართლომემაო. იმის დასარღვევლად, თითქოს ქართველებმა თვითნებობით დაისვეს კათოლიკოსი, ფერემი იმოწმებს ანტიოქიურ ხრონოლოგს, სადაც ნათქვამია, რომ ეს უფლება ქართველებს მიანიჭა მერვე საუკუნეში ადკილობრივმა კრებამ პატრიარქი თეოფილაქტეს თავმჯდომარეობითაო. არც ბირონის შემხადება დაუწყიათ ქართველებს თვითნებობითაო, ამბობს ფერემი; ამისი უფლება მიანიჭა მათ, სხვებთან ერთად, ქალკედონის კრებამო ფერემის ცნობეში მის თხზულებაში აღძრულ საკითხების შესახებ, არსებითად რომ გაესინჯათ, ლეგენდარულია, ვინაიდან ლეგენდარული იყო ის წყაროები, საიდანაც ეს ცნობები ამოუღია მას. მაგრამ ეს წყაროები სრულიად უშეშარიტად პიზნეული იყო ანტიოქიაში, ანტიოქიელებს ისინი აკმაყოფილებდენ და ფერემს მეტი არა უნდოდა რა: იმას კიდევაც რომ სკოდნოდა მათი ლეგენდარობა, მას მიხანს არ შეადგენდა მათი კრიტიკულად განხილვა, მისთვის საკმაო იყო მხოლოდ გადმოცემა მათი, ეს კი მან ჩინებულად შეასრულა. აღნიშნული თხზულების შეკვეთა და დაწერა შედეგი უნდა იყოს იმ კამათისა, რომელიც 1057 წლის ახლო ხანებში მოხდა გიორგი მთაწმიდელისა და ანტიოქიის პატრიარქის პეტრეს შორის: როგორც ვიცით, სწორედ მაშინ წამოიჭრა საკითხი იმ წყაროების შესახებ, სადაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ფერემის მიერ წამოყენებული თეზისები. გიორგი მთაწმიდელმა მაშინ მხოლოდ ერთი წყაროს დასახლება მოახერხა, - ანდრია მოციქულის მიმოსდგავისა. მაგრამ ეს არ იყო საკმაო და ამიტომ ამ საქმის მეცნიერულად შესრულება და სვსებით ამოწურვა შეეიმთის ქართველებმა მიანდვეს ფერემს, რომელიც გიორგის აქედან წასლების შემდეგ მედგრად აგრძელებდა და ამტკიცებდა მის ლიტერატურულსა და საეკლესიო-პრაქტიკულ ტრადიციებს. მცირე უწყება

ქართველთა მწიკაღათაჲს უნდა ჰგულისხმობდეს ეფრემის დასახელებულ შრომას, როდესაც გადმოგვცემს, რომ ეფრემმა აღწერა ცხოვრება წმიდის ნინოსი და ქართველთა კერპისმანერებისგან მოქცევა; ამან უკადაგა აიხსნათა და მოქცევასა მათისა აღწერა ისტორია და ამან ასწავა თავისუფლებისათჳს არსიებისკაპოზთა, რომელ ქართველნი არა უტყუებდენ თავისუფლად არსიებისკაპოზთა. ამან გარდმოიღო ქადაგება დიდის თეოდორიტესი; ამან ქმნა წერილი ავტოკეფალის წოდებული, რომელ არს თავისუფლება ეპისკოპოზთა.¹

VI. ჰომილეტიკა. ეფრემის ჰომილეტიკური შრომანიც იგივე მეტაფრასტული, ესე იგი—გამშვენებული რედაქციისა, როგორც ჰაგიოგრაფიული. ამ დარგში პირველად ყოვლისა უნდა დავასახელოთ ჩვენ 1) გრიგოლ დეათისმეტყველის ოცდა ექვსი „სიტყუანი“, „თქმულნი“ და „შესხმანი“. გრიგოლ დეათისმეტყველი, როგორც ვიცით, წინეთაც უთარგმნიათ ქართულად, — გრიგოლ ოშკელს, დავით ტბელს და, განსაკუთრებით, ექვთიმე მთაწმიდელს. ამის შესახებ თვით ეფრემი ამბობს, რომ მან, ვითარცა ძაღლმან, მოლოკა ნაბიჭვისგან დაცუნებულია წმიდათა მათ ზიკთაგან ევთიმი მთაწმიდელისა და დავით ტბელისა ნეშტი საკითხავათა ამათ, რომელნი აკლდეს ერგასისათა მათ თავთა მიერ შესრულებულსა წიგნსა წმიდისა გრიგორი დმრთისმეტყველისათა, რათა ქართულადაც უნაქლულო უოფილიყო რიცხჲ საკითხავათა მისთა, ვითარ იგი იუროძეჲდა.² მაშასადამე, ეფრემს მოუნდომებია, პირველად ყოვლისა, გადმოეთარგმნა ჯერ კიდევ გადმოუთარგმნელი თხზულებანი გრაგოლისა; მართლაც 29 ნაწარმოები მის მიერაა მხოლოდ ნათარგმნი, წინეთ ისინი არავის უთარგმნია. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მან ისეთებიც თარგმნა, რომელნიც წინეთაც იყო ნათარგმნი, თვით ექვთიმეს შრომებსაც კი შეეხო, რისთვისაც მას თანამედროვენი მეტაჩრობას და მწვალებლობას სწამებდენ.³ აქ რაღა მოტივით ხელმძღვანელობდა ის? ამაზედაც იძლევა ეფრემი პასუხს; ის ერთს აღგილას შენიშნავს, რომ მას სურდა ქართულად გრიგოლის თხზულებანი არამც თუ იმ შემადგენელობისანი ყოფილიყვენ, როგორისაც ბერძნულად, არამედ ისიც, რომ ისინი გადმოღებულნი ყოფილიყვენ უთუქლიყუ ბერძულისაგან.⁴ მართლაც, გრიგოლ ოშკელის მიერ სომხური-

1) ძველი საქართველო, ტომი I, განუ. 3, გვ. 14-15; შეად. ახტონ კათოლიკოსის წყობილსიტუვაობა, ტაეპ. 716-747.

2) თ. ყორღანია, ქრონიკები I, 227.

3) Н. Марш. Предварительный отчет, стр 29-30.

4) თ. ყორღანია, ქრონიკები I, 227.

დან ნათარგმნ ღვთისმეტყველის ერთერთ „სიტყვს“ შესახებ, რომელიც მან მეორედ თარგმნა, ეფრემი შენიშნავს: მე სომხურისა წილ ბერძნულისა-გან გულად შეიკრუდ ვიძულებ თარგმნად, რაკეთუ სომხისა შვილისა და ბერძნისა შვილას-შვილას, ნუ უნუ და არა უიჭუელას, თვით უმტკა და საკუთარი შვილი აღვირსიგო. ¹ რაც შეეხება ექვთიმეს შრომათა განმეორებას, აქ სულ სხვა მოტივები ჰქონია ეფრემს. ექვთიმეს მიერ ნათარგმნ რედაქციაში ორი სიტყუა გრიგოლისა, —ხუცად კურიხევის შემდეგ, აღდგომა დღეს, და პონტოდ წასლვის გამო, —მექანიკურად შეერთებული ყოფილა, ერთი მეორეზე გადაბმული, თუმცა მეორე მათგანი ცალკეც, ან როგორც ეფრემი ამბობს, კიდეთაგან, ყოფილა ნათარგმნი (იხ. ზემოთ გვ. 189—190). სიგძისაგან ჟამისა არ ვიციით, შენიშნავს ეფრემი, აუ მწერალთაგან შერხუდა ანუ თვთ წმ. დასა მამას ეფთუმის დედაჲ ესეგჳარი მიჰხუდა ანუ თუ რაჲი განგებულებით ჰყო, ვით მას ჟამისა შეჰკუხნდაო. როგორც უნდა იყოს, ამ მოვლენას ჩვენ გუუგედრებდეს ბერძენით და მათთა უუგედრებათაგან ბერძან ჳრდუ ალექსანდრიელმან მრავალთა წელთა მძდაგრა და კანნიკ შეო მეახლად თარგმნად ათექვისშეტთა სადღესსწაუღოთა და ამას ერთსა ახორიტთაგანსა, რომელნი ესე არა ქართულისა შეენებითა, არამედ ბერძნულისა შედარებითა გვაქმნივივიო. ² ყოველ შემთხვევაში ეს კერძო ფაქტი იყო, უფრო ზოგადი ხასიათის მოტივი აღნიშნულია ეფრემის თარგმანთა იერუსალიმის ნუსხაში № 34, სადაც ეფრემი სწერს კვირიკე ეკლესიარბს: ჩნურავის უკვირს, რომ წმიდამან მამამან ჩვენმან გვერდი აუარა ზოგიერთა საექვო აღგილებს, ის რძითა ზრდიდა ჩვენს უსუსურ ერს, რომელიც დღეს. მის მიერ აღორძინებული, მისივე მადლით უფრო მავარ საქმელს თხოულობა. ექვთიმე წმიდასა და მავარ ღვინოს, რომელსაც გრიგოლ ღვთისმეტყველის წიგნი შეიცავდა, აზავებდა წყლით და, ვინაიდან ჩვენი ერი მაშინ ლიტონი და უსუსური იყო, მოძღერის ნამუშავეს ავრცობდა: ამიტომ მან შეაზავა წმიდა მამის სიტყუათა განმარტებაც. მაგრამ შენ თვითონ, კვირიკე, მოისურვე, რომ გამომეგდო მთარგმნელის დამატებანი და ზედმეტი აღგილები და გადმომელო მხოლოდ გრიგოლის სიტყუანიო. ³ ეფრემი დიდი სიფრთხილით შესდგომია ექვთიმეს რედაქციის შეცვლას; მე იმას ვადარებდი ბერძნულსო, ამბობს ის, არა თავისი წემისა მინდობითა, არამედ კითხვითა და გამოკითხვითა კაცთა ბრძენთა და სულიერთა, ⁴

¹) იქვე, 227.

²) სიძვე. მუხ. № 292, ფ. 282, თ. უორდანიი, ქრონიკები I, 226.

³) II. M a p y. Правосудельный отчет, стр. 30.

⁴) თ. უორდანიი, ქრონიკები I, 227.

სხვათა შორის, ვკითხავდი ხოლმე დიდის ანტიოქიის საპატრიარქოსის წასწავლ მიტროპოლიტებსა და თვით მას, ყველაზე უბრძნეს მეუფე პატრიარქსო; რადგანაც ძველი თარგმანი მე ხებირად ვიცოდი, თარგმნისას ძალაუნებურად ძველი სიტყვა შემეპარებოდა, რაც ბერძნულს დედანში არ იყო, მაგრამ მე დაუხარებლივ იმწამსვე წავშლიდი იმას და ვწერდი რაც საქირო იყო. ¹ ბერძნული ტექსტიც, რომლიდანაც მას უთარგმნია, დიდი მეცაღინეობით უშოვია ეფრემს; ის გასწორებული ყოფილა და კრიტიკულად დადგენილი ვინმე ასიად გრამმატიკოსის მიერ. ² ეს ბასილი აღბად ის ბასილი გრამმატიკოსია, რომელიც ანტიოქიის პატრიარქს მეთერთმეტე საუკუნის სამოციან წლებში საქართველოში გამოუგზავნია, ეფრემისავე ცნობით, წვადებისათვის აკაკთაძეს. ³ სულ ეფრემს გადმოუთარგმნია ერვასი ააფი, ესე იგი 50 სხვადასხვა ნაშრომი გრიგოლისა. ⁴ ზოგიერთი ამოთგანი მას უთარგმნია სიტყუაღაროვო, ესე იგი სქოლიებით, რომელნიც მოწერილია ხელნაწერთა აშიებზე, მაგალითად სიძვ. მუხ. № 109 და იერუსალიმის № 34. ამ 50 თავიდანათექსმეტე სადაესსწავლლათანი ყოფილა, ⁵ ესე იგი სხვადასხვა დღესასწაულებისა და წმიდათა ხსენების „სიტყუანი“. სქოლიონი სწორედ ამათ აქვთ დართული და ისინი უნდა ეკუთვნოდენ ეფრემის თანამედროვეს ნიკიტა სერონელსან ჰერაკლიელს. წმიდა ჰომილეთიკური ხასიათის ნაშრომი სულ 26 უთარგმნია ეფრემს, ესენია: სიტყუა ირონის მიმართ ფილოსოფოსისა, ექსორიობით აღმოსლვისა, კეთაღწესიერებისათვის მეტყუელებათასა, შეერთებისათვის მონაზონთასა დასამშუდებელი, —სამი სიტყუა, მოქალაქეთათვის შეშინებულთა და მთავრისათვის განრისხებულისა, თქმული ჟამსა მოქცევისა თვისა აგარაკითსაყდრად კონსტანტინოპოლისა, სწავლა ქალწულისა მიმართ, ომილია ხელდასხმისათვის დაროელთასა, სიტყუა შობისათვის მაცხოვრისა, სიტყუა წინაღღესა ქრისტესშობისასა აღწერისათვის, სიტყუა ნათელთავს, ნათლისღებისა მიმართ შაწვეველობითი, პასხაესათვის ოცი სიტყუა, ახალკვრიაკისათვის. და არისა და ოცენისათვის, მეერვასისათვის და სულისა წმიდისა, მოწაპეთათვის, დიდისა ათანასესათვის, ასერვასისა მიმართ ეპასკოპოსთა სიტყუაჲ ჯმნისაჲ, გლახაკმოყუარე-

¹) H. Марр в. Предварительный отчет, стр. 39.

²) ibid. 29. 30-31.

³) თ. უთარგმნია, ქრონიკები I, 70.

⁴) ყველა ესენი მოთავსებულია სიძვ. მუხ. ხელნ. № 292.

⁵) სიძვ. მუხ. № 292, ფ. 292, თ. უთარგმნია, ქრონიკები I, 220.

ბისათვს, წყლულებისათვს სეტყვსამიერისა, მაკაბელთათვს, კვპრიანესათვს მღუღდეღმოწამისა. სიტყუა მათდა მიმართ. რომელთა მოუწოდეს მას შემდგომად ხუცობისა, აღესებისათვს და არა წინადაემთხვნეს მას, სიტყუაჲ პასუხისგებითი პონტოდ მიმართ ღტოლვისათვს და კუალად უკმოქცევისათვს. ¹ სხვა ჰომილეტიკური ნაწარმოებნი. რომელნიც ეფრემს უთარგმნია, შემდეგია: 2) აშფილოქე იკონიელის, სიტყუა მიგებებისათვს მაცხოვრისა; ² 3—4) გიორგი ნიკომიდიელის ანუ წიგნის მკითხველისა: სიტყუაჲ ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისათვს. ³ სიტყუაჲ ტაძრადმიყუანებისათვს ღმრთისმშობლისა: ⁴ 5) ეესუქი იერუსალიმელის შესხმაჲ ხარებისათვს ღმრთისმშობლისა; ⁵ 6) თეოდორე სტოდიელის შესხმაჲ ნათლისმცემლის თავის პოვნისა. ⁶ 7—9) სოფრონი იერუსალიმელის სამი სიტყუა: მიგებებისათვს მაცხოვრისა, ⁷ ამაღლებისათვს უფლისა, ⁸ წმიდისა გრიგოლ დვთისმეტყველისათვს. ⁹ 10—13) იოანე ოქროპირის შესხმა წმ. რომანოხისა. ¹⁰ შესხმა სტეფანე პირველმოწამისა, ¹¹ ორი სიტყუა ამაღლებისათვს უფლისა. ¹² 14) ანასტასი სინელის — შესუენებულთათვს ¹³. 15—16) იოანე დამასკელის — შესუენებულთათვს, ¹⁴ სიტყუა ლევისათვს განხმელისა და იგავისათვს ეენახისა. ¹⁵ 17) ბასილი დიდის — მარხუათათვს: ¹⁶ 18) გერმანე კონსტანტინოპოლელის — სიტყუა ჯუარისათვს და წმიდათა ხატთა: ¹⁷ 19) იოანე თესალონიკელის — სიტყუა განკაცებისათვს უფლისა და ხარებისათვს ღმრთისმშობელისა: ¹⁸ 20) ანდრია

¹) ისენი მოაგებებულა სიძვ. მუხ. ხელნაწ. №№ 100, 202

²) სიძვ. მუხ. №№ 162, 182, 180, გვლათ. № 1, ფ. 30—30.

³) წ.ვ. № 381, 39, 750—703, სიძვ. მუხ. № 128.

⁴) სიძვ. მუხ. №№ 128, 182, 382, წ.ვ. № 1276.

⁵) სიძვ. მუხ. №№ 5, 272, გვლათ. №№ 3, 8.

⁶) სიძვ. მუხ. №№ 162, 182.

⁷) გვლ. № 1, 1—13, სიძვ. მუხ. № 120.

⁸) გვლ. № 8, 336—339, სიძვ. მუხ. № 120.

⁹) წ.ვ. № 1276, 213—230.

¹⁰) გვლ. № 381, 610—650.

¹¹) გვლ. № 5, 514—516.

¹²) გვლ. №8, 330—330, სიძვ. მუხ. № 120, № 272, 171—173.

¹³) სიძვ. მუხ. № 120, 132—137, № 272, 22—32.

¹⁴) სიძვ. მუხ. №№ 120, 102, 180.

¹⁵) გვლ. № 8, 210—21, სიძვ. მუხ. № 120.

¹⁶) სიძვ. მუხ. № 120, 161—171, № 272.

¹⁷) გვლ. № 8, 45—51, სიძვ. მუხ. № 162, 134—143.

¹⁸) გვლ. № 8, 140—151.

იერუსალიმელის—სიტყუა ბზობისათვის და იერუსალიმად შესღვი-
სათვის უფლისა; ¹ უცნობ ავტორთა: 21) მეორედ მოსლვისათვის უფლისა
და რათა არა ვზუნვიდეთ სარგებლობისათვის სულთა ჩუენთასა; ² 22)
პირველსა კვრიაკესა წმიდათა მარხვათასა — თხრობაჲ სასწაულისა მის, რომე-
ლი აღესრულა ბივრიტიას ხატისა მიერ მაცხოვრისა და სიტყუაჲ სწავლისაჲ
მარხვისაფვის და მოწყალეობისა; ³ 23) ქებაჲ ეკლესიად მომავალთა და კე-
თილწესიერებისათვის დიდებრსმეტყუელებათა შინა. ⁴

VII. ეპისტოლენი. 1) ეპისტოლეთაგან იოანე ოქროპირისა
ექსორობით მოწერილი ოღვმპიაჲს მიმართ დედათა დიაკონისა; ⁵ 2)
ოცდახუთი ეპისტოლენი ბასილი დიდისა გრიგორი ღვთისმეტყუელისა
და სხვა პირებთადმი; ⁶ 3) ეპისტოლენი გრიგორი ღვთისმეტყუ-
ელისა: ათი ვასილის მიმართ დიდისა, ოცდარვა სხვადასხვა პირთადმი, ⁷
ერთი ნექტარი კონსტანტინოპოლელის მიმართ. ⁸

VIII. ეპიტაფიები. ეს იგივე ჰომილეთიკური ნაწარმოებია, საფ-
ლავზე წარმოთქმული, მაგრამ ფორმა მისი სხვაა; 1) მამისა თვისისა გრი-
გორი ანძიანძორეველი ეპისკოპოსისა, რომელი აღმოსტყუა საფლავსა
ზედა მისსა მუნ ყოფასა დიდისა ვასილისსა; ⁹ 2) ეპიტაფიად ბასილისსა
სტიხონსი იროიკონი, პარაფრასნი ნიკიტა ფილოსოფოსისანი (სერონის
მიტროპოლიტ-სა XI ს.); ¹⁰ 3) სიტყუა ეპიტაფიად დიდისა ბასილი-
სათვის; ¹¹ 4) ეპიტაფია ძმისა თვისისა კესარიოსისათვის. ¹²

IX. ფილოსოფია. იოანე დამასკელის გარდამოცემის პირვე-
ლი ნაწილის შესახებ ეფრემი ამბობს: ესე ერგასისნა თავნი გარეშეთა წიგნ-
თა და საფილასოფოდსა სწავლულებისაგანი არიან . . . ენასა ჩუენსა სხუაჲ არარაჲ
ოდეს თარგმნილა საფილასოფოსთთა წიგნთაგანი. ¹³ ამნაირად, იოანე დამას-

1) გელ. № 8, 202—214, სიძვ. მუხ. № 162.

2) გელ. № 8, ფ. 965, სიძვ. მუხ. №№ 162, 182, 172.

3) გელ. № 8, 51—59, სიძვ. მუხ. №№ 162, 276.

4) სიძვ. მუხ. №№ 5, 276.

5) გელ. № 8, 133—140, სულ ექვსი ეპისტოლეა: 6—10, 13.

6) სიძვ. მუხ. № 292, 346—358.

7) სიძვ. მუხ. № 292, 332—346.

8) სიძვ. მუხ. № 292, 318—319.

9) სიძვ. მუხ. 292, 367—387.

10) სიძვ. მუხ. № 292, 54—56, № 109 139—142. № 16, 306—311, გელ. № 89, 88—90

11) სიძვ. მუხ. № 292, 16—54, № 16, 280—309, № 109, 29—37.

12) სიძვ. მუხ. № 292, 359—367.

13) თ. გორდანიძე, ქრონიკები, I, 215—216.

კელის დიალექტიკის გადმოთარგმნია, ევრემმა საფუძველი ჩაუყარა ჩვენი ფილოსოფიური მწერლობის განვითარებას. ევრემის ფილოსოფიური სულისკვეთებას და ანტიური კლასიციზმისადმი მიდრეკილებას ამტკიცებს ზღაპრობანი დიდის ბასილის ეპიტაფიასა შინა შემადებულის¹ და 'სდაპრ. ბანი კუაღად იკსუფსნი,² რომლებშიაც ვრცელადაა გადმოცემული და განმარტებული ძველ ელლინთა სხვადასხვა მითოლოგიური თქმულებანი, გრიგოლ ღვთისმეტყველის მიერ მოხსენებულნი მის თხზულებებში.³ ევრემს, გარდამოცემით, უთარგმნია აგრეთვე ამოსიას სჯაის წიგნი.⁴

X. სქოლიონი. ევრემს, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ჩვეულება ჰქონია—თითქმის ყველა მის მიერ ნათარგმნ თხზულებსაჲთაჲს აშიაზე დაერთო ამაჲთა იმ სიტყვის ან ადგილის განმარტება, რომელსაც ის სიტყუადაროულობას უწოდებს ეოკკელს თარგმანსა, ამბობს ის, უკის ჰქონებაჲ, რეცა განსაცხადებულად ძაღის; ჩემი მოძღვარი — ბერი მამბრანებლის, რათა წმიდისა სიტყუად მარტივად და შეუზავებლად და შეუხებულად ეთარგმნო და უკუეთუ რაჲმე ძაღის განსაცხადებელი უკმდეს ჩუენსა ესასა, იგი კიდეს ზედა ადგილადგილ და შესავალს შინა თავსა წიგნისასა დაწერიოთ.⁵ ასე იქცევიათ ბერძენნიცო: თეოდორე პატრიარქის მიერ სვიმონწმიდას შეწირულ 420 წიგნებს სჭირთესა სიტყუსა თარგმანი ზატეითა ზედა უწერიათ, ხოლო შეისწავენი და განსაზღვრებაჲ განსინებითურთ და სანეცნიეროჲ ესე ეოველთა წიგნთა ბერძულთა უწერიან კიდესა, რათა რაჲმე სანეცნიეროთა რასმე სიტყუასა კიებდეს ვისმე, ადვილად ზოგთა და არა უკმდეს მიმეოგრებული ეამი ანუ ეოვლისავე გარდაკითხვაჲ (იქვე). ამ სქოლიებით, რომელთაგან რომელნიმე ზეპირითა დაწერილია და რომელნიმე დიდისაგან (იქვე), მოქსოვილია ძირითადი ტექსტი, ხანდისხან სქოლიო თვით ტექსტს აღემატება. განსაკუთრებით ბევრი და დიდი სქოლიები დართული აქვს გრიგოლი ღვთისმეტყველის⁶ 16 სიტყვას, ეკუთვნიან ისინი, როგორცა ვთქვით, ნიკიტა ხერონელს ან ჰერაკლიელს, აგრეთვე—დიონისე არეოპაგელის თხზულებათა თარგმანს; უკანასკნელის სქოლიები ეკუთვნის გერმანე კონსტანტინოპოლელს და მაქსიმე აღმსარებელს. სქოლიები საზოგადოდ

1) სიძე. მუხ. № 109, 8:—89.

2) იქვე, გვ. 89—97, 327.

3) H. Mapp, Предварительный отчетъ, стр. 31.

4) პლ. იოსელიანი, წყობილსიტყუობა, შენიშენა 137.

5) თ. ეორდანი, ქრონიკები I, 217.

6) იერუსალ. ხელნ. № 34, სიძე. მუხ. № 109.

სხვადასხვა ხასიათისა: გრამმატიკული, ისტორიული, ლექსიკოგრაფიული, ეგზეგეტიკური, ფილოსოფიური და სხვ.

XI. ლიტურლიკა. ავტორი თხზულებისა „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათჳს“ ეფრემის. შესახებ, სხვათა შორის, ამბობს: ამას გარდა-
მოძღვრეთი მოხანი, მოძულ არს დიდმარხვის საშუაროდ მისხუება ეკლესიისა.¹
„შეთიმონი“ არის „დიდი სერობის“ შედეგი, რომელიც მართლაც დიდ-
მარხვაში სრულდება; ეს სიტყვა ქართული განოთქმება ბერძნული Μει-
ζυσιον-ისა, რომლითაც იწყება დიდი სერობის ჰიმნი: ჩუენთანა არს ღმერ-
თი. სცასი წარმართთა და იდეიანიო. შეიძლება, ეფრემს ეკუთვნოდეს ახა-
ლი რედაქცია ამ შედეგისა, თორემ თარგმნილი ის წინეთაც იქნებოდა
უეჭველად. სინას მთის ხელნაწერში² არის ღოგჯაჲ ღხისნიისაჲ მათ
სება, რომელნი ზიარებისაგან განეენებულნი ანუ დაეენებულნი ახლად ეზიარე-
ბოდან.“ მას აწერია: „ეფრემის თარგმნილი“.

XI. იამბიკონი. ეფრემს იამბიკონიც უწერია, ამათგან ზოგი ნა-
თარგმნია, ზოგი ორიგინალური: მაგალითად, უთარგმნია მას ცალკე
წიგნად გრიგოლ ტეთისმეტყველის 19) აპოკრიტა ან საიდუმლო ჰიმ-
ნები, რომელთაგან ხშირად გვხვდება ხელნაწერებში მუკვლები იამბიკოს.
სასწავლოჲს წილ წარმართთაჲს, რომლისგან განაყენნის ქრისტიანენი ივლანზე
განდგომილმან, ას ტაებად.³ იამბიკონი მოტიქულთა საქმისა და მათთანა მათ
კათოლიკეთა და ზაუღეს ეპისტოლეეთანი ბერძნულნი, რომელიც იწყება: აღე-
მართების წიგნი ესე რჩეული სუეტად უძრავად.⁴

მეორე, ორიგინალური, იამბიკო, რომელსაც „თვთ ეფრემ მეტყუ-
ლებს“ ასეთია:

სახელ საბრძნისა გაწესს, მოკედ და შეედ
და განიცადე წიგნი სამოციქულოჲ,
ვითარ მოქმედებს მას შინა იატაკად
ლუკა საქმესა ქრისტეს მოტიქულთასა,
და აკობ და ზეტრე იოვანეთურთ
შეუდგენ შჯათ სუეტთა იუდაისტანს,

ხოლო სასთულსა მისსა ზაუღე შეაკობს
მენაკებისა თქრატხებულებითა,
რათა შჯდაბაჲ კათოლიკეთაჲ დაწრიოს,
შისიტოლეათ მიერ მწიბობდ შჯდეულთა
ამათა იუსად განმასაკუორებელა,
შუფაღო, თჳსად შენდა განისაკუორე.“

1) ძველი საქართველო. ტ. I. გვ. 3, 83. 15.
2) № 38 ა. ცაგარლის ცალკეობით. № 73 ჯაგაბი შეილიბა.
3) ფურ. 233-231.
4) სი. გ. მუხ. № 85. № 100, 327-334, № 711. 83-87. გვლ. № 22. 207-204. წ. 3.
№. № 318. 3731.
5) სი. გ. მუხ. № 137. 16-17, № 182. წ. 2 ითბ. № 370. 39. 180-191.
6) წ. 3. № 379, 39. 101; სი. გ. მუხ. № 137. ფ. 17.

ორიგინალური, საკმაოდ ვრცელი, ჩამბიკო უძღვნია ეფრემს აგრეთვე გრიგოლ დვთისმეტყველისათვის მისი თხზულების ბოლოს: ეს ჩამბიკო აკროსტიხულია, პირველი და უკანასკნელი ასოები სტრიქონისა იძლევა შემდეგ წინადადებას: „იზრადო მო დეკრემისა უფსერულთაგან სრულათა მით საზომათა სრულქმნილითა შემწე ჩემდა იქმენ დავსა განშეასასა, რამილისა თჳს გხადი უნდად შიწირე ეფრემ.“¹

ასეთია ეფრემ ძეგრის ლიტერატურული მოღვაწეობა; ჩვენ ჩაბოვთვალეთ მხოლოდ ის შრომანი ეფრემისა, რომელთა შესახებ დანაშაულებით ვიცით, რომ ისინი ეფრემს უთარგმნია თუ დაუწერია: ამათ გარდა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, მას სხვაც ბევრი აქვს ნათარგმნი, განსაკუთრებით ჰაგიოგრაფიასა და პომილეთიკაში, მაგრამ დანაშაულებით ვერ დავასახელებთ, ვინაიდან ეფრემის სახელით ისინი წარსწერილი არ არიან, როგორც სხვები.

36. ბასილ კათოლიკოზი.

ეს ბასილი, ძე დადისა ნატრაქისა ვაქსი. შეიძლება ვაჩე კარიკისის შვილი და ეფრემ ძეგრის ძე იყოს. თუ ეს მოსაზრება საფუძვლიანია. უნდა ვიფიქროთ, სწავლაგანათლება მას ბიზანტიაში, კონსტანტინოპოლში, ექნება მიღებული. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ შეგვიძლია ვთქვათ: ბასილი კარგად ჩახედული ყოფილა ბერძენთა ცხოვრებაში და მათი ეროვნულ-კულტურული და საეკლესიო-ლიტერატურული იდეალები და მისწრაფებანი კარგად სცოდნია. ეს შემდეგიდან ჩანს: ათცამეტე ასურულ მამეხმა იმდენი ნიში და საკვირველებანი აჩვენესო, აბოპს ის, რომ, იმათ რომ ბერძენთა შორის ქქონოდა ადგილი, უკანასკნელნი ძლიათცა აღსარიცხველ წყრალებს შექმნიდენ, ესე იგი დასწერდენ ამის შესახებ, ჩვენშე კი არავინ იზრუნა ამისათვის. ვინაიდან ნათესავი ქარაველთა არს მარტივ და მასთან ღიკონიკათ. რასაკვირველია, ასეთი კონტრასტი გადაქარბებულია, მაგრამ ერთი ლიტერატურული მოვლენა მართლად აღუნიშნავს ბასილს: ბიზანტიის ჰაგიოგრაფიაში არსებობდა ისეთი მიმდინარეობა, რომელიც ამათუიმ ცხოვრებაში სასწაულოთმოქმედებათ განსაკუთრებულ ხაზს უსვამდა და მათ ცალკე თავებად გამოქყოფდა ხოლმე; ამგვარ ცხოვრებათა ნიმუშები ქართულადაცაა ნა-

¹) ს ი ძ ვ. მ უ ზ. № 292, ფ. 406.

²) საქართველოს საზოგადო. ვე. 253.

თარგმნი, მაგალითად, ცხოვრება ტიმოთე საკვირველთმოქმედისა, სვიმეონ მესუეტისა, მაკარი მეგვიბტელისა და სხვა მრავალი. ბასილს უნდოდა სწორედ ამისი მსგავსი რამე ყოფილიყო ქართულს ჰაგიოგრაფიაშიც, ვინაიდან მის დროს არსებული ცხოვრებანი ათცამეტ მაშათა, არსენი კათოლიკოსისა (X ს.), თუმცა სასწაულებსაც შეეხებოდა, მაგრამ გაკვრით, არა სპეციალურად, ყოველ შემთხვევაში აღნიშნულ მიმართულებას და მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა. ამიტომ ბასილს განუზრახავს თავი მოეყარა შიომღვიმელის სასწაულთმოქმედებათა შესახებ ცნობებისათვის და დაუწერია თხრობაჲ სასწაულთათჳს წმიდისა და ღმერთშეშობილისა მამისა შიოსთა, რომელი ესე სსუათა მიერ აღწერილი ადგილადგილ ერთად შემაჰკრება¹ მან. განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც გამოუჩენია ამ შემთხვევაში ბასილს შიომღვიმელის სახსენებელისადმი, გვაფიქრებინებს, რომ ოდესღაც, კათოლიკოსობამდე (მისი კათოლიკოსობა მოდის დაახლოებით 1090—1110 წლებში), ის შიომღვიმის სავანეში მოღვაწეობდა. ეს თხზულება თავდაპირველად შესდგებოდა 18 თავისაგან; თვითეულში მოთხრობილი იყო ერთი რომელიმე სასწაული შიოსი, ამათგან დარჩენილა მხოლოდ 1, 7, 8, 9, 11 და 12 თავები, სხვები კი, უნდა ვიფიქროთ, დაკარგულია. თუმცა აქ მართლა სასწაულებია აღწერილი, მაგრამ ბევრი საყურადღებო ისტორიული ფაქტებიცაა აღნიშნული და ისტორიულ პირთა სახელები, რომელთაც სხვა წყაროებში ვერ ვხვდებით. ასეთია, მაგალითად, ბართლომე კათოლიკოსისა და სტეფანოზ ერისმთავრის შორის მომხდარი ინციდენტი, რომელიც საფუძვლად დაედო სტეფანოზის საეკლესიო-სამონასტრო პოლიტიკას (სასწაული 8), აგარიანთა ან არაბთა თარგმობა ქართლში სამეფო კათოლიკოსის დროს (9 სასწაული), ცნობა იოანე, ქართლის კათოლიკოსის, შესახებ, რომელა უფლებიანური იქმნა სწორ იოანე ბქრობინისა (სასწაული 11),² შიოს დღესასწაულის აღწერა სარმიანე კათოლიკოსის

¹) საქართველოს სამოთხე, გვ. 253—264.

²) ეს იოანე უნდა იყოს იოანე IV (1032—1043): ბასილის სიტყვით, ის, იოანე იქმნა სწორ იოანე ბქრობინისა, რომლისა სათხოვებანი და საქმენი უკუეთუ ვისმე უნდინ ცნობად, მიიღედ კელად მისთჳს აღწერილი წიგნი და მუნით სცნობდინ“ (საქართ. სამოთხე, გვ. 262). ზოგიერთ ჩვენ მკვლევარს ჭგონია, რომ თავის დროზე დაწერილი ყოფილა ამ იოანე კათოლიკოსის ბიოგრაფია, მაგრამ ბასილის სიტყვები: „მიიღედ კელად მისთჳს აღწერილი წიგნი“, შეეხება არა იოანე კათოლიკოსს, არამედ იოანე ბქრობინს, რომლის ბიოგრაფია მართლაც იყო მის დროს ორი რედაქციით: კიმენისებური და მეტათრასტულით. თუ რამდენად ნაკლებ ვიცნობთ ჩვენს ლიტერატურულ წარსულს, ჩანს იქიდან, რომ პლ. იოსელიანი (წყობილისიტყვაობა, შენ. 100) და მ. საბინინი (საქართ. სამოთხე, გვ. 262 შენ.) იოანე კათოლიკოსს მია-

დროს (სასწ. 12) და სხვ. ამავე ბასილს უნდა ეკუთვნოდეს ბასილ კათოლიკოსის სახელით ცნობილი დასდებულა შიო მღვიმელისა, რომელიც სიშებსა და სასწაულებს უსვამს ხაზს.¹

37. დავით აღმაშენებელი.

დავით აღმაშენებელი, გამოჩენილი მეფე (1089—1125), რომელმაც შექმნა კულტურული და პოლიტიკური ძლიერება საქართველოსი, მიუხედავად იმისა, რომ თავის თავს უსწავლულს და სწავლულებისა და მეცნიერებისაგან დაშორებულს ეძახის,² როგორც მისი მატთანდანა ჩანს, ყოფილა განათლებული, კაცი და მეგობარი სწავლა-განათლებისა და ლიტერატურისა. მას საკმაოდ შეთვისებული ჰქონია საერო მეცნიერება, სხვათა შორის ვარსკვლავთმრიცხველობა, გაღასრუდას საქმეი ან ისტორია (გვ. 318), მაჰმადიან პოეტთა და მეცნიერთა თხზულებანი. უფრო საფუძვლიანად მას შესწავლილი ჰქონია ეკლესიური მწერლობა და ღვთისმეტყველება არა მარტო ქრისტიანული, არამედ მაჰმადიანურიც, სხვათა შორის ზედმიწევნით სკოდნია კურანი. მთელ თავის თავისუფალ დროს ის წიგნების კითხვას ანდომებდა, — შემდგომად სერობისა, ნაცულად ძილის ასე სხუ[ა]სა რა[ა]საჲ საქმისა, ჩვეულებად ჰქონდა კითხუა წიგნთა, რომელნიც თან დაჰქონდა ყოველთვის, სადაც უნდა წასულიყო; ნადირობისას, მიმოსლისას, თუ ლაშქრობისას, ყოველთვის წიგნები ეტარათა სიმრავლესა ვართთა და აქლემთასა და სადა გარდაკადის ჰონესა, პირველ ყოვლისა წიგნი მოაქუნდიან კელითა (გვ. 315). წიგნების კითხვით იმდენად იყო გატაცებული, რომ ერთხელ ლაშქრობისას, გრიგოლ ღვთისმეტყველის წიგნის კითხვით მოხიბლულმა, კინალამ განსაცდელში ჩააგდო თავისი ჯარი (გვ. 318), რასაც მერე აყვედრიდენ კიდევაც მეომარნი. როდესაც თვითონ დაიღლებოდა კითხვით, სხვას გადასცემდა წიგნს საკითხავად და

წერენ ანასტასი (შეტომოზი—ათანასი) ანტიოქელს წინამძღვრისა და გრიგოლ ნოსისწავლის თხზულებთა თარგმნას: ნამდვილად კი პირველი თარგმნა არსენ ვარტანუ, სოლომონოვი—გრიგოლ ოშკელმა, დავით ტბელმა. მექთიმე ათონელმა და ევრემ მცარემ. ბ. ქ. კინაძე კიდევ უფრო შორს მიდის: იმას ბასილი კათოლიკოზი გ. დ. მოკაყავს მე-XIV სუტყენში და შიომღვიმელის სასწავლების გარდა შიანურს კიდევ შემდეგს წიგნებს: „სამოთხის გასდები“ და „დაღწერა მთელი ზველეთის უდიდესთა ქალაქთა“, რომელნიც მას თითქოს პერძნულიდან უთარგმნია (ქართული მწერლობა მეცამეტე საუკუნიდან მეექვსემეტე საუკუნემდე, გვ. 134).

1) შ. ი. გ. ო. რ. ო. ყ. ე. ა. ძველ ქართული სასულიერო პოეზია, გვ. ტ. 6 ბ.

2) ქართ. ცხოვრ. მარიამ დედოფლის ვარიან. უგ. 326—327.

თვითონ უსვენდა. განსაკუთრებით ჰყვარებია მას წიგნის სწავლა, რომელიც, ისტორიკოსის სიტყვით, წელიწადში 24-ჯერ წაეკითხა (გვ. 316). წიგნების კითხვას დავითი ეწაფებოდა არა გასართობად, არამედ სულიერი საზრდოს მოსაპოვებლად: იქას ჩვეულებადა ჰქონდა ჩაუძირებოდა წაკითხულს, მის სიღრმეში ჩაებედა და ყოველ მხრივ გამოეკვლია ის. დავითი ყოველ ღონეს ხმარობდა ხელი შეეწყო სწავლა-განათლებლისა და მწერლობის განვითარებისათვის საქართველოში და ქართულ ენაზე; ამისთვის საზღვარგარეთელ მონასტრებს, სადაც ქართული მწერლობა დღევოდა, საბერძნეთში, ზულღარეთში, ასურეთში, შავმთაზე, პალესტინაში, კვიპროსზე, ის უხვ შეწირულებას უგზავნიდა, მათსა სინასს ზედა აღაშენა მონასტერი და წასტა იქნა მრავალი სასულიერო და წიგნები საკვლე-სათნი სწავლიათ (გვ. 321). საქართველოში მან მადარად შეკრიბა საღმრთონი წერილნი, რადუხნი ზოგნი გარდამოღებულად ენას ქართლისასა სხუათა ენათაგან ძეგლი და ასაღნი (გვ. 314), ხოლო რუის-ურბნისის კრების შემდეგ, ქორონიკონს ტკვ. ანუ 1106 წელს, მთავრის აღაშენებ მონასტრისა და ადგილს ყოვლად შეუენაერსა და ყოვლითურთ ენაქაყასა ააგო გელათის დიდი ტაძარი, აღმატებულთ ყოველითა წინანდელთა ქმნულეთა (გვ. 293-294). ამ მონასტერში საქართველოსა და უცხოეთში მყოფ ქართულ სხვადასხვა მონასტრებიდან შემოკრიბნა და დაამკრანა კაცნი ზატათსანი ცხორებითა და შექმულნი ყოვლითა სათნაქებითა, სიწმიდითა, სასრულთა და კარცაქათა აღსაქსობითა (გვ. 294): ამნაირად განდა ის საქართველოს კულტურის, მწერლობის და სწავლა-განათლების უზენაეს ცენტრად, ყოვლისა აღმოსავლეთისა შტორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისა, მადღურად სწავლულებისად. სხუად ააინად, ფრთად უადრეს მისსა (გვ. 295). სწორედ მისი მოპატიებებით უნდა დაბრუნებულიყვნენ აღმოსავლეთიდან საქართველოში 1114 წელს თეოფილე ხუცესმონაზონი და არსენ იყალთოელი და მათთან ერთად ზოგიერთი სხვა მოღვაწენიც. დავითის მეცადინეობით და აღნიშნული თვისებებით აიხსნება ის მოვლენა, რომ მის მეფობაში ქართული ეკლესიური მწერლობის ასპარეზს ამკობს მთელი რიგი გამოჩენილ მღვდელთა, ასე რომ ამ მხრივ ამ ეპოქას ბადალი არა ჰყავს ჩვენს ისტორიაში. როგორცა ჩანს, დავითი თვითონაც დებულობდა მონაწილეობას ქართულს მწერლობაში; მავალითად, ჩვენამდე შემანახულა მის მიერ დაწერილი გადომანი სინსყდასანი, რომ-

მელნიც მას შეუთხზავს ანდრია კრიტელის დიდი კახანის ნიბაძკით და მას არ ჩამოუვარდება არც აზრთა და გრძნობის სიღრმით, არც სატყუა-კაზმულობით. დავითის გალობანი, რომელნიც ნათლად ქმოწუობენ მის საფუძვლიან საღვთისმეტყველო განათლებას, საინტერესოა აგრეთვე როგორც მაჩვენებელნი მისი ცხოვრების ზოგიერთი ინტიმური მხარეებისა და ავტორის ფსიქოლოგიურ-რელიგიური განცდისა.

38. არსენ იყალთოელი. ✓

მეთერთმეტე საუკუნის გასულს და მეთორმეტეს დამდეგს ჩვენ გვხვდება რამდენიმე არსენი: არსენ იყალთოელი. არსენ ვაჩესძე და არსენ კალიპოსელი. ნამდვილი და ექვმიუხანგლი ცნობები მათ შესახებ ჩვენ არ მოგვეპოება, შეგვიძლია ვთქვათ მხოლოდ, რომ არსენ იყალთოელი და არსენ კალიპოსელი ერთი და იგივე არაა, როგორც ზოგიერთებსა ჰკონიათ. არსენ იყალთოელი ცნობილი მწერალია, ხოლო არსენ კალიპოსელი, რომელმაც ასეთი სახელი მიიღო, ალბად, იმიტომ, რომ კალიპოს მონასტერში მოღვაწეობდა ანტიოქიის მახლობლად, როგორც ლიტერატორი, ძველებით დამოწმებული არაა, თუმცა თანამედროვეთაგან დიდად პატივცემული ყოფილა, რაც იქიდანაცა ჩანს, რომ რუის-ურბნისის კრება მას მრავალჯამიერს ეუბნება, როგორც სჯულიერისა მსადაუწესს: ¹ რაც შეეხება არსენ იყალთოელსა და არსენ ვაჩესძეს, ანალიზი მათი სახელით ცნობილი თხზულებებისა გვარწმუნებს, რომ ეს ერთი და იგივე პიროვნებაა, მხოლოდ ერთს შემთხვევაში აღნიშნულია მისი სამშობლო იყალთო, კახეთში, მეორეში კი გვარი ან მამის სახელი - ვაჩესძე. ²

როგორც მისი ლიტერატურული შრომებიდანა ჩანს, არსენს ნიჟელია ღრმა და საფუძვლიანი ელინურ-ბიზანტიური განათლება. ჩვენის აზრით; კონსტანტინოპოლს, კონსტანტინე მონომაქის მიერ დაარსებულს აკადემიაში მანგანის წმ. გიორგის მონასტერში, სადაც მას შემდეგ უთარგმნია ერთერთი მნიშვნელოვანი თხზულება. მხოლოდ მიქაელ ფსელაოსისა და იოანე ნომოფილაქსის მიერ მანგანის აკადემიაში

1) საქართვ. სამართლებ. ჟ. 1910.

2) იყალთოს ათეულთა მიხედვით და მანგანისა და სავარაუდოდ ტრადიციებით არსენი, წმიდათა რიცხვში სარწმუნო. გვარით თითქოს მანგანისა უთქვას, თანადაც მელი, არქეოლოგიური მოვლათობანი და შენიშვნანი, ს. 12. 13-14-ის ტექსტისათვის წი.

შექმნილსა და განმტკიცებულს ტრადიციებს შეეძლოთ აღეზარდათ არსებ იყალთოელის პიროვნებაში ის ფილოსოფოსი და იურისტი, რომელიც გამოსქვივის უკანასკნელის ფილოსოფიურ-იურიდიულ ნათარგმნ თხზულებებში და მის მიერ, გარდამოცემით, დაფუძნებულს იყალთოს აკადემიაში. სწავლის დაძავრების შემდეგ არსენს მოღვაწეობა დაუწყია შავთაზე ეფრემ მცირის იქ ყოფნისას; ეს უნდა მომხდარიყოს მეთერთმეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში, ვინაიდან მისი სახელი დაკავშირებულია ეფრემის ორ შრომასთან, რომელნიც ოთხმოციან წლებშია ნათარგმნი: იოანე დამასკელის გარდამოცემასთან¹ და სამოციქულოსთან; საქოციქულოს მან საკუთარი იამბიკოც კი უძღვნა. შავთაზე მისღვისას არსენი, როგორც ეფრემზე უმცროსი, უკანასკნელის მზრდელსა და მსახურთა რიგებში ითვლებოდა² და მისი ხელმძღვანელობით მთარგმნელობას სწავლობდა; ამიტომ ეფრემი თავისთავს უწოდებს მოძღურად არსენისა³ და ერთერთი მისი შრომის გამო (ცხოვრება გურია, სამონა და აბიბოსი), რომელიც, მისი სიტყვით, არის შესმე ნაყოფი არსენის, გამოიიხივს ქართველთა ნათესავისათვის წარმართებას თარგმნობის მისისას.⁴ შავიმთიდან, ალბად, თავისი მოძღვრის — ეფრემის, სიკვდილის შემდეგ არსენი დაბრუნებულა მანგანის მონასტერში, სადაც ის სწავლობდა; ეს უნდა მომხდარიყოს მეთორმეტე საუკუნის დამდეგს, როგორც ამაში დავრწმუნდებით მისი დოღმატიკონის ანალიზის დროს. მანგანის მონასტრიდან ის სამშობლოში გადმოსახლებულა, ალბად, დავით აღმაშენებლის მოწვევით, როდესაც ის გელათის მონასტრისა და სასწავლომსახურის საუკეთესო მოღვაწეებს იწვევდა საზღვარგარეთიდან; როგორც უკვე იყო ზემოთ აღნიშნული, ის 1114 წელს უნდა შემოსულიყოს საქართველოში თეოფილე ხუცეს-მონაზონთან და იოანე ტარიქიძესთან ერთად. საბოლოოდ არსენი შიომღვიმის მონასტერში დამკვიდრებულა, სადაც დოღმატიკონს აწამებდა და ცულისა საფიას წმიდასა მარტოჲ იქმნა.⁵ ის იქ ძან დაახლოვებია დავით აღმაშენებელს, სხვათა შორის დასწრებია იმ კრებას, რომელზედაც სომხებსა და ქართველებს პაექრობა ჰქონდათ დავითის მო-

1) თ. უორდანი, ქრონიკები, I, 219.

2) იქვე გვ. 219.

3) იქვე გვ. 224.

4) იქვე გვ. 223.

5) იქვე, გვ. 216, 311.

ნაწილეობით.¹ ჰეიქრობენ 1103 წელს არსენ იყალთოელი უკვე მკვდარი იყო, ვინაიდან რუის-ურბნისის კრების აქტთა ზოგიერთი ნუსხები მას, როგორც მიცვალბულს, საუკუნო ხსენებას უთვლიანო;² მაგრამ ეს მართალი არაა: უძველესი ნუსხა რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერისა აჩვენებს იყალთოელს სულ არ იხსენიებს, არც მკვდრებში, არც ცოცხლებში;³ თან ზემოდასახელებული პაექრობა სომხებისა და ქართველებისა, რომელშიაც არსენსაც მიუღია მონაწილეობა, უნდა მომხდარიყოს გაცილებით გვიან, ვიდრე რუის-ურბნისის კრება, არა უადრეს 1123 წლისა, როდესაც დავითმა ქალაქი ანისი აიღო და როდესაც მან, მათე ურპაელის სიტყვით, სომეხთა ეპისკოპოსნი, ხუცესნი და მოწესენი საზეიმოდ შეკრიბა.⁴ ასე რომ, როდის გარდაიცვალა არსენი, ჯერჯერობით გადაჭრილის ფქმა ძნელია, ცხადია, დავითის მეფობას ის ბევრით ვერ გადასცილდებოდა. დავითის გარდაცვალებას კი არსენი უეჭველად მოესწრო; ეს იქიდანა ჩანს, რომ ევლემწიფის კარისგარეგების ცნობით მას დაუწერია ეპიტაფია დავით აღმაშენებელისა ოთხტაეპოვანი ლექსით, რომელიც ასე იწყებოდა: ვვინ საჭანაგეკს შეფეენი თონმეტნი ზურად ჩესხხეს; აქ პირდაპირაა ნათქვამი: მამა არსენი იყალთოელი, ეგეთა აცდი, მტუყანი რთგორა ეგების? ამა შინას ანა იგა იტყესო?⁵ ზოგიერთი ჩვენი მკვლევარი არსენ იყალთოელს ანიკებს არამც თუ უბრალო ეპისკოპოსის, არამედ კათოლიკოსის ხარისხსაც,⁶ მაგრამ ეს გაუგებრობაა: არსენი არასდროს ეპისკოპოსად არ ყოფილა; მართალია ეფრემ მცირე ერთერთს თავისი თარგმანის ანდერძში არსენს უწოდებს მეუფე არსენის,⁷ მაგრამ სიტყვა მეუფე ამ შემთხვევაში ეპისკოპოსს არ აღნიშნავს, როგორც თანემედროვე ენაში,--ასე იწოდებიან უბრალო ბეზმონაზენებიც; მაგალითად რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაში ვკითხულობთ: ღირსისა მეუფისა ჩუყენისა... გიორგია მონასთანისა მრავალჯა არიან წელ-

1) ქართლის ცხოვრება, მარია დედოფლის ვარიანტი, გვ. 326.

2) საქართვ. სამოთხე, გვ. 530.

3) გელათის მონასტრის ხუცელის კანონი № 17.

4) პროფ. ი. ჯავახიშვილი, ქართველ ერის ისტორია, II, 527.

5) ექ. თაყაიშვილის გამოცემა, გვ. 12. ეს ლექსი, რომელსაც ზოგიერთები თამარ დედოფლის ეპიტაფიად სალოდენ (თ. ჟორდანიას, ქრონიკები II, 52). გამოსცა, როგორც საბალნო პოეზიის ნაშთი, მესხეთში გავონილი, პროფ. დ. ჩუბინაშვილი (ქრისტომატიკა: II, 212).

6) მ. საბინიძე, საქართ. სამოთხე, გვ. 530.

7) ი. ჟორდანიას, ქრონიკები I, 223.

ნი.¹ გიორგი ჯყონდიდელი, რომელიც 1103 წელს უბრალო მღვდელმონაზონი იყო, როგორც ვხედავთ, მეუფედ იწოდება.

არსენი დიდად განათლებული კაცი ყოფილა; ამას დავით მეფის ისტორიკოსიც ამოწმებს, როდესაც ამბობს, რომ დავითმა სომეხ-ქართველთა პაექრობაზე დასასწრებლად, სხვათა შორის, მოუწოდა არსენის იუდათოელს, თარგმანსა და მეცნიერსა ბერძენთა და ქართველთა ენისასა და განმანათლებელსა უოველთა ეკლესიათსა.² ეს მისი თარგმანებიდანაც ნათლად ჩანს: მის ყურადღებას იზიდავს, უმთავრესად, განყენებული დოღმატაკურ ფილოსოფიური და იურიდიული ხასიათის თხზულებანი, რომელნიც გადმოცემულია შესაფერად დამუშავებული და ჩამოყალიბებული ქართული ენით, განმარტებულია ეფრემისებური სქოლიებით და ანდერძებით, რომლებშიაც ავტორი თვალწინ გადაგვიშლის ბერძნულისა და ქართული ენის ხასიათსა და თვისებას. მაგალითად, ანასტასი სინელის წინამძღუარის ბოლოს არსენი შენიშნავს: ჩემს თარგმანს იუ სიბნელე რაჟმე საღმე ანუ სიღუჭტირე შესდგამს, იგი ბერძულისა შედარებულობისაგან არს და არა ქართულთა სიტყუათა დაშუენებას ვერმეცნიერობისაგან, ანადა—შეისწავე, ვითარმედ რომელი იგი ჩუენთა ქართულთა სხარებათა შინა გარნად წერილ არს ამას ადგილასა,—არცა სემან, გარნა შამამან,—და ჩუენ აქა უოველგან თჳნიერი დაგვიწერია ნაცვლად გარნაჲსა. ბერძულად ესრეთ არს ვითარმედ იმი (ἴμιν), რომელი ესე გარნასაცა მთასწავებს და თჳნიერსაცა... ხოლც ერთისა არარომლისაგან გარეშეაგვას ქართულისა სიტყვას, ვითარმცა ერთი რაჟმე დაჰმართე და სხვას მიმართ არდა ჰქონდა კუალი განსავალი სიტყუასა.⁴ არსენი ერთერთი პიონერთაგანია იმ ლიტერატურული მიმართულებებისა, რომელიც გაიფურჩქნა პეტრიწონის მონასტერში მანგანისავე აკადემიაში აღზრდილი იოანე პეტრიწის კალმის შეოხებით; განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ლიტერატურული ენის შესახებ: ელემენტები პეტრიწონული შკოლის ლექსიკისა და ეტიმოლოგია—სინტაქსისა არსენის თხზულებებშიაც გვხვდება, სახელდობრ: გრძელი პერიოდები, მიმდგომის საშუალებით შემოკლებულ წინადადებები, ზედშესრულ სახელთა ნაწილაკი თი-ს დახმარებით წარმოება, როგორც მაგალითად—მიმდგომითი, შემოუყვანსილხობითი,

1) თ. ყორღანიძე, ქრონიკები II, 71.

2) ქარ. ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 326.

3) С. Школьник, Очерки I, стр. 233.

4) წერ.-კითხ. მუხ. იელნ. № 1163, თ. 159.

წარმკითხველთსიტი და სხე., რთული სიტყვები და ასეთი ფორმები: ვიდრეჟე, ეგერა, ძღისი. ენა მისი საერთოდ ხელოვნურია, განსაკუთრებით განყენებულ დოლმატიკურ—ფილოსოფიურ თხზულებებში, ჰაგიოგრაფიულ ისტორიულში კი შედარებით მარტივი და ლიტონია.

ლიტერატურული მოღვაწეობა არსენ იყალთოელისა სამ პერიოდად იყოფა. პირველი შაგომთის პერიოდი, როდესაც ის ეფრემ მცირესთან ერთად და მისი ხელმძღვანელობით სთარგმნიდა წიგნებს. ამ პერიოდში, დაახლოვებით მეთერთმეტე საუკუნის უკანასკნელ მეხუთედში, მას უნდა ეთარგმნოს ჰაგიოგრაფიულ-ჰომილეტიკური თხზულებანი, რომელთა ენა შედარებით მარტივია; ესენია: 1) იასანე მონაზონისა და ხუცისა დამსკეღისაჲ სიტყუაჲ დიდისა შაბათისა თჳს, ¹ 2) ცხავრებაჲ და მოქაჯაქობაჲ და ღუაწდი წმიდისა ღირსმოწამისა ქრისტესა ეგპენიაჲსა და მშაბულთა მისთაჲ, ² 3) წამებაჲ სამთა ჯდმსარებულთაჲ: გური, სამონა და აბიბოჲსი და თხრობაჲ სასწაულსა ეგუემიაჲს ზედა ქაღისა, ³ რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, ეფრემ მცირე სთვლის არსენის მთარგმნელობის შესამე ნაყოფად. შეიძლება არსენს სხვა ჰაგიოგრაფიულ-ჰომილეტიკური ნაწარმოებიც ეთარგმნოს, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, ვინაიდან საჭირო ბიბლიოგრაფიული ცნობები და მინაწერები ჯერ-ჯერობით არ აღმოჩენილა.

4) ჩვენ ზემოთა ვთქვით, რომ, როდესაც ეფრემ მცირემ მეთერთმეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში სა მო ც ი ქ უ ლ ო გადმოთარგმნა, მას თან დაურთო ორი იამბიკო, ერთი ბერძნულიდან ნათარგმნი და ერთიც თავის საკუთარი, ორიგინალური; ასეთი იამბიკო დაურთავს ამ შრომისათვის, როგორც მისი ნუსხებიდანა ჩანს, ⁴ მაშინ შავმაზე ეფრემთან მყოფ არსენ იყალთოელსაც. მისი იამბიკო, რომლის აკროსტიხო ამბობს: წიგნი სამოციქულთა, და რომელსაც წარწერა აქვს: არსენ მეტყუელებს ამთ იყალთოელი, იკითხება ასე:

წმიდა მეოფელი მიიასუადე საუნჯე,
 იენოსე მისთა მიჭრონთა სულსელებაჲ.
 ბანწყობილისა იხილე ვითარებაჲ.
 ნავთ უბრწვანვადეს ოქროსა გეგმენის მენ,
 ინებოს რაჟამს უწეებად შენდა ღუკა

¹) გელ. ხელ. № 8, 218-263.

²) დეკ. 24. გელ. ხელ. № 5, 395-412, № 6, 2-8.

³) დეკ. 15, წიგნი, ხელნ. № 384, 658-679.

⁴) ს ი ძ ვ. მ უ ზ. №№ 137, 182.

საქმე სიტყვას მოწაფეთაჲ, და მიერ
 აღვედ იაკობ უფლისა ძმისა ბრძნისა;
 მან წარტყალინოს ძისა მიმართ ტრედისა.
 მრთა ამათ რაჲ თანაწარტყდე, გეზრახოს
 ცაჲ ზირმეტყუელი და თავა ღმრთისმეტყუელთაჲ;
 იუდაჲს მიერ შუდუელად სრულ იქმნენ
 ძადაგთა ღიხთა შუანი კათოლიკენი.
 უმინაგანეს შეხუდე იუ, გეზონენ
 ლღნი ათორმეტ რიცხუნი ზატისანსა
 მრდანდჲსა მის ღმრთისა ებისტოლენი.
 იუგნედ ესენი ნათელ აღაგთა შენთა: ¹

უფრო მეტი შრომა არსენ იყალთოელს გაუწვევია თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის მეორე პერიოდში, როდესაც ის, ჩვენის აზრით, მან განასწმ. გიორგის მონასტერში ცხოვრობდა კონსტანტინოპოლს, დაახლოვებით: მეთორმეტე საუკუნის პირველ ათეულში (1114 წლამდე). აქ, პირველად ყოვლისა, უნდა ვთარგმნოს მას, ენის მიხედვით, გიორგი ჰამარტოლის ხრონოლოგია, რომელსაც შემდეგი ანდერძი აქვს: დაესრულა სრულდრათი გიორგი მონაზონისაჲ... და ესეცა მცირედ შესასწავლებლად ღმრთიესუდითა წერილთა ძაღისა და ჩემისა უნდოებისად გაქუნდინ და წმიდათა შინა ღოცაათა თქუენისა სუ დამივიწებთ ქრისტესმოყუარენო ძმანო და მამანო უღირსსა მონსა თქუენისა არსენის, რომელმან ესე ბერძუნისაგან ქართულთა ენად ვთარგმანე. ² განსვენებულ თ. ყორდანიას ეს არსენი მიანიხან მეთე საუკუნის არსენ კათოლიკოზად, ³ ხან არსენ კალიპოსელად. ⁴ მაგრამ მეთე საუკუნისათვის ამ თხზულების ენა პირდაპირ ანაქრონიზმია, ხოლო არსენ კალიპოსელის ლიტერატურული მოღვაწეობა, როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, ძველებით დამოწმებული არაა. თან კალიპოს—ანტიოქიის სალიტერატურო სკოლაში, როგორც ვიცით, ადგილი არ ჰქონია იმ პეტრიწონიზმებს, რომელიც ახასიათებს ამ შრომას. ბერძუნულს ენაზე არსებობს საში რედაქცია გიორგის ხრონოლოგიისა: ვრცელი, მოკლე და საშუალო; ⁵ ქართული თარგმანი, ზოგიერ-

¹ სიძგ. მუხ. № 137, ფ. 17--18, წ.-კ. № 379, გვ. 192.

² ს. ყაუხჩიშვილი, ბრონოგრაფი გიორგი მონაზონისა, გვ. VIII, ტფილისი 1920 წ.

³ Omicron I, стр. 171, № 165.

⁴ ქრონიკები I, 221.

⁵ Проф. В. Бенешевичъ, Очерки по истории Византии, вып. III, стр. 103.

თა განსხვავებით, მისდევს, მოკლე ძირითად რედაქციას, რომელიც წარმოდგენილია ხრონოლოგიის უძველესი ხელნაწერებით (Coislianus 310 და 134), და ამავე დროს საშუალებას გვაძლევს ამ ძირითად ტექსტშიაც თვალსაჩინო შესწორებანი და დამატებანი შევიტანოთ. ¹ ქართული თარგმანი შესდგება ცხრა წიგნისაგან და მოგვითხრობს ისტორიას ადამიდან თეოდოსი დიდამდე.

აქვე, მანგანას მონასტერში, არსენს დაუწყია თარგმნა ერთი დოღმატიკურ-პოლემიკური კრებულისა, რომელსაც ქართულს მწერლობაში დოღმატიკონი ეწოდება. ეს კრებული ხშირად გვხვდება ქართულს ხელნაწერებში, მაგრამ სხვადასხვა სისრულითა და შემაღგენლობით: ყველაზე სრული ნუსხა არის წერ.-კითხ. ხელნაწ. № 146-ქ. ² ხელნაწერთა ანალიზიდან ჩანს, რომ დოღმატიკონის შემაღგენლობა არსენის შემდეგ თანდათან ივსებოდა სხვა პირთა მიერ ნათარგმნ თხზულების შეტანით. დოღმატიკონში იმ შემაღგენლობით, რა შემაღგენლობითაც ის არსენმა თარგმნა, მოთავსებული ყოფილა ცხრა ისეთ ავტორთა ნაწარმოები, რომელთა სახელი ცნობილია, ხოლო თერთმეტი ანონიმისა; შინაარსით აქ თავმოყრილი თხზულებანი შემდეგ ნაირად შეიძლება დავყოთ: 31 პოლემიკური ხასიათისაა, ამათგან მძიმართულია ნესტორიანთა წინააღმდეგ, 6 იაკობიტთა ან მონოფიზიტთა, 3 სომეხთა, 6 ურიათა, 9 მაჰმადიანთა ან სარკინოზთა, 2 ორიგენიანთა წინააღმდეგ; 16 დოღმატიკურ-ფილოსოფიური შინაარსისაა, 5 მორალური. ხასიათი, დანიშნულება და მნიშვნელობა ამ კრებულისა თვით მთარგმნელს გაუთვალისწინებია, როდესაც ის ამბობს, რომ ეს წიგნი სამღვდიო წინამძღუარი არს წინადის კათალიკე და სამოციქულო ეკლესიისა და თუაღი, რომლითა ჰსედავს, და ზირი, რომლითა ზრასავს, და სასმენელე, რომლითა ესმიან ღმერთშემოსილთა მამათა უცვიომელნი მოძღვრებანი. და საყნოსელა, რომლითა იენოსს სულნელეპსა ღმრთავსუდიერთა წერილთა უყავიღისასა, და მარჯუენე მელავი, რომლითა ესრვის და სდევნის სამწავლებლთა მკეცთა გესღიანსა სიბოროტესაო. ³ ამ კრებულში ქართველებს ჰქონიათ თავმოყრილი ყველაფერი, რაც კი საჭირო იყო მათთვის ქრისტიანობის დოღმატიკურ-ფილოსოფიური შინაარსის შესაგნებად და სხვადასხვა სარწმუნოებათა

¹) ს. ყაუხჩიშვილი, გვ. VIII.

²) სხვა ნუსხებიდან შევიძლია დავასახელოთ: სიძვ. მუხ. №№ 64, 65, 205, 267, 269 გელათის მონასტრის №№ 23, 24, 15, წერ.-კითხვის №№ 155, 401, 248, 512. პარტიელის მონასტრის № 17 (ძველი საქართველო, ტომ. III, განყ. I, გვ. 84-90).

³) А. Жордания, Описание I, стр. 232.

და წვალებათა პირის დასაყოფად; ამ მხრივ გადმომთარგმნელს ფასდაუდებელი განძი მიუცია მათთვის. ვფიქრობთ, ინიციატივა ამ კრებულის შედგენისა ეკუთვნის თვით მთარგმნელს, ბერძნულს ენაზე ასეთი სახელმძღვანელო ჯერჯერობით ცნობილი არაა, და, რაც უფრო საყურადღებოა, ყველა მისი შემადგენელი სტატიები, თუმცა ზოგიერთი მათგანი მანამდინაც იყო გადმოღებული, მას თვითონ დამოუკიდებელი უთარგმნია. დოღმატიკონი რომ არსენისგანაა შედგენილი და იმაში მოთავსებული თხზულებებიც მის მიერაა ნათარგმნი, ეს შემდეგიდანა ჩანს: 1) ანასტასი სინელის წინამძღუარს თავში ჯვარედინად აწერია: არსენი თარგმანი, ხოლო ბოლოს ანდერძი აქვს დართული: ღირს ვიქმენ შე, უუნდუსი უოველთა დასადებულთა შენთაჲ, მდაბალი მონაზონი არსენი, ბერძულისაგან ქართულად თარგმანებასა წმიდისა ამის წიგნისა. ¹ 2) იოანე დამასკელის გარდამოცემთაჲ-ს ბოლოს მიწერილია: დასსრული შრომათა იოვანე მანსურისთაჲ, სოლო ითარგმნა არსენისაგან ვაჩეს ძისა. ² იოანე დამასკელისავე სიტყუასა სარწმუნოებისათჳს დასაშობელად ნესტორთანთა აწერია: თარგმნილი მამისა არსენისი. 4) ჰერიათა მიმართ სიტყუასაგებას ორი მინაწერი აქვს: საუკუნომც კსენებულ სარ მამათ ესოდენბრძნისა მარწმუნებელბისათჳს, რომლითა მეცა ელფარედ ცისკროანმოფ გულისხმაერთა ხედვათა იერებითა. არსენი. რამე ნაცვალი ქველყოფისაჲ მიგატოქსოდენ მდიდრად შეუბუღმან უოვლად ბრძენთა გულისხმის საყოფითა შიამიერ, გარსა იუ უადსსრულიად დამარხვად კსენებისაჲ. არსენი. ³ 5) ნიკიტა სტითატის სომეხთა განმაქიქებელ ხუთ სიტყუას წ.-კ. ხელნაწერში № 1463 შემდეგი შენიშვნა აქვს: ამის წიგნისა დედასა ბერძულსა ესრე ეწერა, ვითარცა ესერა აქა დამიწერია, არა თუ ანუ ბერძული ვერ გამოგონებია ანუ წერილისა სიტყუაჲ არა მკსოვნიბია; შეიანდკეთ თავისა მართლებისათჳს (ფ. 264), ხოლო გელათის ხელნაწერში: —ლოცვა ყავთ მამანო არსენისათჳს თარგმანისა და დავითისათჳს პეტრიწონელისა მონაზონ-ხუცისა, რომლისა იძულებითა ბერძულისაგან გადმოქართუებუიან ხუთნი ესე სიტყუანი სომეხთა განმაქიქებულნი; საუკუნომცა არს კსენებოჲ არსენისაჲ ამინ. ⁴ 6) ამავე ნიკიტა სტითატის თხზულებას — სიტყუაჲ სულისათჳს კაცობრივისა, დართული აქვს ბო-

¹) О. Жордания, Описание 1, стр. 232.

²) წ.კით. ხელნ. № 1463, ფ¹ 102 მ.

³) წ.-კ. № 1463, ფ. 228, 241.

⁴) ხელნ. № 23, ფ. 266 ა.

ლოს ორი იამბიკო, რომელთა აკროსტიხო იძლევა სახელებს ნიკიტა და არსენი: აი ეს იამბიკო:

ნათელთა წყაროდ ჰირველად ნათლად მიმარი
 იმსთობდ შესამე შეორეთა ძღუნებითა,
 ძრეტსაბმელი რაჲ კორცთა სიზრქისაჲ განჰვლე
 ისრაელქმნილმან უსახთა ხედვათა
 ტაძრისა შორის ქცევად ამაღლებათა.

შმას ჩემთვსცა იოსდ ე: საკურველო,
 რომელმან შენთა სიტყუათა უფსკრულისა
 სივრცისა კერძოჲ ფრიად შრომით წაჰვლე
 ეღლენურსა რაჲ ქართველთა ენად ვსცვლიდი
 ნიშებმოსილთა შამათა სიქადულთა:.

7) თეოდორე აბუკურას თხზულები — სიტუესგებაჲ მიაგრის მიმარი ედესისა შეიგანთაჲს, ბოლოს მიწერილია: ესე შე ესრეთ ვითფლე აქამოდე არსენი. უნდომან მეტა მიერვე ვამორე ითანე. 8) თხზულებას — შეტუჟულთა მიმ. რაჲ ვითარმედ სულნი კაცთანი ჰირველვე ივენეს კორცთასა, ბოლოს დართული აქეს შემდეგი იამბიკო:

„საუკუნოდმცა იქსენების არსენი:
 აქა დასრულდა ერთბამად განქიქბჲ
 ეღლინებრისა სულთაჰირველეოფისაჲ
 და თანად ორთა უფსკრულისა ვეშანთა
 ორიკენის და მანენტოჲს, ს:ცაურისაჲ.

მოყვანილი ადგილები, ვფიქრობთ, ექვს არ სტოვებენ, რომ დოღმატიკონი არის არსენ ვახესძის ნაშრომი. ამ კრებულის ერთ ნაწილს, რომელიც ნიკიტა სტითატს ეკუთვნის, შემდეგი ან დერძი აქვს: აღიწერა წიგნი ესე... თთუესა იანვარსა, ინდიკტიონსა სამსა დასაბამითგან წელთა ხფლს; ამისდა მიხედვით თ. ჟორდანიას დოღმატიკონის მთარგმნელი გადაჰყავს მეთე საუკუნეში (6538-5604=934) და მის თარგმანს მიაწერს არსენ კათოლიკოზს, რომელიც, მისი სიტყვით, 961 წლის ახლო ხანებში დამჯდარა კათოლიკოზად.¹ მაგრამ, ჯერ ერთი, ხფლს გვაძლევს არა 934 წელს, არამედ 1030 (6538-5508=1030), მეორე —

¹) ქრონიკები I, 310-311.

თ. უორდანი თვითონ ამბობს: ამ ანდერძის პირდაპირ აშიაზე შავი მელნით აწერია: თუთ ამის ღირსისა შამისა, საკითხაჲთა ამათ გამოქუეტიუელისა, არს ანდერძი ესე, ესე იგი—ნიკიტა სტითატისა, რომელიც 1030 წლის ახლო ხანების მწერალია, და არა მთარგმნელისა. ამნაირად, არსენ ვაჩხიძე არაა არსენ კათოლიკოზი მეთე გსაუკუნისა, არც არსენ ნინოწმიდელი, მეთე საუკუნის გასულის და მეთერთმეტის დამდეგის ათონის მოღვაწე († 1018 წლის ახლო), როგორც თეიმურაზ ბატონიშვილს ჰგონია.¹ არსენ ნინოწმიდელი, ექვთიმე ათონელის გულითადი მეგობარი, ცნობილია როგორც გადამწერი წიგნებისა და არა მთარგმნელი.² როდის ითარგმნა ეს კრებული? როგორც მისი მეთაური სტატიის, ანასტასი სინელის წინამძღუარის, ანდერძიდანა ჩანს,³ არსენ ვაჩხიძეს ამ კრებულზე მუშაობა დაუწყია კონსტანტინოპოლის მონასტერსა შინა წმიდისა გიორგისას მანგანს, მაშასადამე არა უადრეს 1042 წლისა, როდესაც გამეფდა ამ მონასტრის ამშენებელი იმპერატორი კონსტანტინე მონომახი.⁴ თარგმანის პეტრიწონიშეები, ერთის მხრით, და დავით პეტრიწონელის ხსენება, მეორე მხრით, ექვს არ სტოვებენ, რომ თხზულება გადმოთარგმნილია არა უადრეს 1083 წლისა, როდესაც საფუძველი ჩაეყარა პეტრიწონის მონასტერს. ამნაირად, დოღმატიკონის შედგენა და თარგმნა არსენს დაუწყია მეთერთმეტე საუკუნის გასულს მანგანს მონასტერში და, ვინაიდან ეს საქმე საკმაოდ რთული და ძნელი იყო, გაუგრძელებია და დაუმთავრებია ის საქართველოში შიო მღვიმის მონასტერში; ამას გვაფიქრებინებს შემდეგი მინაწერი კრებულისა: არსენისსა მისრული მღვმეს იტყუს დავით მეფე: მე მაშინდელი კაცი ვარ, ოდეს არსენი დაროჯიდი ქაშა; მარუეუნესა გუერდსა ზედა წვა, ნოსელსა იკითხვიდა და დოდმატიკონსა აწამებდა და ცვლისა სოფია წმიდას იგივე მარტო. იქმოდა.⁵ არსენის, როგორც ზემომოყვანილი მინაწერებიდანა ჩანს, დამხმარეც ჰყოლია ამ საქმეში: დავით პეტრიწონელი მონაზონ-ხუცესი, რომლის იძულებით მას სომეხთა განმაქიქებელნი ხუთნი სიტყუანი უთარგმნია, და ვილაც იოანე, რომელიც არსენის შენიშვნას—ესე მე ესრეთ ვიოფლე აქამოდყო, დასძენს:

¹) А. Шагарели, Свтѣхнія III, 149.

²) იხ. ამის შესახებ ექვთიმე ათონელის ბიოგრაფია, ათონ. კრებ. გვ. 21, 52, 56.

³) О. Жорданія, Описание I, стр. 232.

⁴) Проф. Н. Скабалаповичъ, Византийское государство и церковь въ XI вѣкѣ, стр. 430-432.

⁵) წ.-კათ. № 1463, ფ. 181, თ. უორდანი, ქრონიკები I, 246, 311.

უნდა მან მეცა მიერვე ვაშეარკა. ეინაა ეს იოანე, ძნელია გამოცნობა; შე-
იძლება ის იყოს ბერი ააფანე რატეული, რომლის ლოცვით არსენის
უთარგმნია ანასტასი სინელის წინამძღუარი. ¹

შემადგენლობა დოღმატიკონისა, არსენის რედაქციით, ასეთია:

1) ანასტასი სინელის, ანტიოქიის პატრიარქის, წინამძღუარი
(*Ὁ ἀρχιεπίσκοπος*), რომელიც მიმართულია მონოთეიზიტობისა და მისი სხვადა-
სხვა ფრაქციების წინააღმდეგ.

2) იოანე დამასკელის, ან მანსურის, ოქრონეკტარად წოდებუ-
ლის ა) *Πατριάρχης Ἰερουσαλὴμ*-ის ორი ნაწილი: დიალექტიკა და გარდამოცემად
უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისა. (*Ἐκθέσις ἀκριβῆς τῆς ὁρι-
ζήσεως πίστεως*). ეს თხზულება, როგორც ვიცით, გადმოთარგმნა ეფრემ
მცირემ; ორივე თარგმანი საზოგადოდ ერთი და იგივე რედაქციისა, გან-
სხვავება მათშორის უმნიშვნელოა, დიალექტიკაში, — თავების დალაგების
წესრიგში; თან ეფრემის თარგმანი არსენისაზე ცოტათი უფრო ვრცელია.
ისმება საკითხი: რად თარგმნა არსენიმ მეორედ ეს თხზულება, რომელიც
რამოდენიმე ხუთეული წლით ადრე უკვე ნათარგმნი იყო ისეთი მეცნი-
ერისაგან, როგორიც ეფრემ მცირეა, ნუ თუ არ იცოდა არსენიმ მისი
არსებობა ქართულს ენაზე? არამც თუ იცოდა, თვით მის თვალწინ
სთარგმნიდა მას ეფრემ მცირე, რომელიც თარგმანის ბოლოს შენიშნავს:
ლოცვა ყავთ ქრისტეს მოყუარებთ გაბრეფისათჳს, რომლის ბრძახებითა ითარ-
გმნა წმიდაჲ ესე წიგნი, და კეთილთა მოღუაწეთა ჩემთა და განმადიებელთა,
ამსთანა მზრდელთაცა და მსახურთა არსენი იყალთოელი, იოვანე და
იოვანე ხუცესთა, სტეფანე დიაკონისათჳს. ² საქმე ასე უნდა წარმოვიდგინოთ:
როდესაც არსენიმ განიზრახა დოღმატიკონის შედგენა, გამოირკვა
მისთვის, რომ ყველა მისი შემადგენელი ნაწილები მას უნდა ეთარგმნა,
ვინაიდან ქართულად მანამდე არც ერთი არ ყოფილა; გამონაკლისს შე-
ადგენდა მხოლოდ იოანე დამასკელის დასახელებული თხზულება, რომ-
ელიც სხვებთან ერთად ხელმეორედ თარგმნა არსენიმ, რათა მის კრე-
ბულში სხვისი ნაშრომი არ შესულიყო, თარგმნა იმ ახალი ტერმინე-
ბითა და მეთოდებით, რომელნიც ახასიათებდენ პეტრიწონულ სალიტე-
რატურო შკოლას და რომელთაც, გასაგები მიზეზით, ეფრემი არ მის-
დევდა და არ იზიარებდა. არსენის თარგმანმა განსდევნა ხმარებიდან ეფ-

¹) ო. Жорданія, Описание I, стр. 232.

²) თ. უორდანი, ქრონიკები I, 219.

რემის თარგმანი, ყოველ შემთხვევაში ეფრემის თარგმანს მხოლოდ სამი ხელნაწერით მოუხწევია ჩვენამდე.¹ არსენისას კი მრავალით; თან უკანასკნელი დაიბეჭდა კიდევაც მოსკოვში 1744 წელს.

ბ) ორი სიტყუაჲ საწმუნოებისაჲს დასამხობელად ნესტორიანთა, გ) სიტყუაჲ დასამხობელად ღმრთისშობასკებულისა წვალებისა იაკობაჲსაჲს, დ) ქრისტეს შირის ორთა ნებათათჳს და მოქმედებათა და სხუათა ბუნებითათა თჳსებათა, განსა შემოკლებულა, და ორთა ბუნებათათჳს და ერთისა გუამისა; ე) სიტყუანი წმიდათა მამათანი, ესე იგი არს განკაცებანი წამებანთანი.² ვ) კირილე ალექსანდრიელი: ა) თარგმანებაჲ ათორმეტთა თავთაჲ, ესე იგი 12 ანათემატისმეზიზა და ბ) ნაწყვეტები მისი საუნჯისგან: ეპისტოლე ნუკესონის მიმართ, განკაცებისათჳს მხოლოდშობილისა, რაოდენ სახედ ვიტყვთ შეერთებასა, უსხეულოჲსა ღმრთეებისა სხეულ იქმნნეს კორცნი, იესო ქრისტედ სახელიდების განკაცებული სიტყუაჲ ღმრთისაჲ, ღმრთისშობილად გულისხმა იყოფების წმიდაჲ ქალწული.

4) თეოდორე აბუკურასი, ხაჩანელ ეპისკოპოსისა, რომელიც უნდა იგულისხმებოდეს აგრეთვე ყოფილად ღმრთისმოყუარე მონაზონად და უფროჲსად ბრძენ ფილოსოფოსად: ა) თუ ვითარ სათანადო არს გულისხმისყოფაჲ საღმრთოჲს და განკაცებისა ფილოსოფოსობისა სიტყუათაჲ (10 სიტყუა), ბ) ეპისტოლე მქონებელი წმიდისა და უბიწოჲსა საწმუნოებისაჲ, წარცმული ნეტარისა თომასს მიერ, იერუსალიმელ პატრიარხისა, სასომხეთოჲსა მწვალებელთა მიმართ, რომელსა შინა წერილ არს, რომ მხოლოდ ქალკიდონის კრების განსაზღვრებაჲ შეიცავს ქეშმარიტებას; ეს თხზულება არაბულად დაუწერია თეოდორე აბუკურას, არაბულიდან ბერძნულად უთარგმნია მიხეილ სვინკლოსს იერუსალიმელს (IX ს.), ხოლო აქედან გადმოღებულია ქართულად. გ) განკაცებებისათჳს და განკორციელებისა და ვითარმედ გუამი განკორციელდა, ხოლო ბუნებაჲ ღმრთეებისაჲ შეუერთდა კაცობრივსა ბუნებასა გუამსა შინა სიტყუსა ღმრთისასა; დ) ნესტორიანისა მიმართ სიტყუსკება, ე) სიტყუსკება მწვალებელისა და მართლმადიდებელისა, ვ) სიტყუსკებაჲ მთავრისა მიმართ ედესისა შეიგანთაჲსა, რომელმან ითხოვა მისგან, რათა მოხონებითა გულის სიტყუათა მიერ გამაჩინოს და უჩვენოს მას, ვითარმედ არს ღმრთი (კითხვა-მიგება ურწმუნოსა და მორწმუნეს შორის, კითხვა აგარიანისა, სიტყუსკება ურიის, ნესტორიანის და ორი-

1) სიძე. მუხ. № 24, 406, წერ. კითხ. № 1358.

2) [Ἐξά παραλληλία, Migne t. XCIV—XCVI.

გენიანის მიმართ): ზ) მოძღვრებაჲ შემოკლებული საღმრთოთა სახელთათჳს საზოგადოათა სამუქისათა და განთჳსებულთა თუთუქისა გუამისათა; ც) განრჩევაჲ და განქვეშარიტებაჲ ფილასოფოსთა მიერ მოკსენებულთა კმათაჲ და მხილებაჲ უთათა სეკერანთა, ესე იგი არს იაკობიტთა სულთგანმხრწნელისა წყალებისაჲ; თ) სარკინოზთა მიმართ სიტყუსკებისაგან სხვადასხვა დოღმატურ-პოლემიკურ საკითხთა გამო.

5) ეპისტოლენი პეტრე ანტიოქელის მმურკენელის მიმართ ანტონოს არსენელისა, გელასი რომაელისა, პამფილე ავინდელისა, ასკლიპიადოს ტრალლელისა, ფავსტეს აპოლონიადოსა, კვტიანე ასკულანელისა და ფილიკე რომაელისა შემატებისათჳს „რომელი ჯუარს ეცუ ჩუენთჳს“.

6) ნიკიტა მონაზონისა და ხუცისა სტუდიელთა მონასტრისა სტითატისა: ა) ხუთი სიტყუჲ განსაქიქებელი მგმობრის მის წვალებისა სამეხოთაჲს; ბ) სათნობითთა აღსავალითჳს: ეპისტოლენი ევსევი მონაზონის, ნიკიტა ხარტოფილაქის სჯელოსისა კორონიდისა და ბასილი მესობრძისადმი; გ) სიტყუჲჲ სულისათჳს კაცობრივისა (15 სიტყუა); დ) სამოთხისათჳს, ე) სიტყუჲჲ მწუვეველი სინანულისა მიმართ და სიტყუსა მისთჳს მოციქულისა, ვითარჲედ რომელნი წინაჲსწარ იგნა, ესენი წინაჲსწარცა განაჩინნა და შემდგომი, და გარდამქვეყელიათჳს ამისთა და უკლისა საღმრთოთაჲს წერილისათა (7 თავისაგან).

7) პაპა'ლეონის ეპისტოლენი ფლაბიანეს მიმართ კონსტანტინოპოლელისა.

უსახელო ავტორთა შრომანი დოღმატიკონ ში შემდეგია:

8) წინაგანსაწყობად ჰურიათა წამებანი წერილებრნი, ვითარმედ სამეზასა შინა ღმრთეებაჲ წერილთა მიერ საიდუმლოდ იქადაგების.

9) სიტყუსკებამა ჰურიათა მიმართ.

10) სიტყუსკებებისაგან ქრისტიანისა და ჰურიისა წამებანი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესთჳს წმიდათა წერილთაგან.

11) შეკრებაჲ შჯულთაჲ ასოეული იოანეს მიმართ ყოველად ღირსისა ეპისკოპოსისა ლაოდიკიელისა.

12) „ითოთასახეთა თავთა, ესე იგი არს გამოძიებით კითხვათა აღკსნაჲ ქრისტესმიმართისა კეთილად მსახურებისათჳს და თანად მხილებამცა და უკურღვევაჲ ღმრთეებისა მიმართ და კაცებისა ქრისტესისა უთავოთა ურთიერთას წინააღმდეგომისა წვალებისაჲ ნესტორისაგან და სევეროზისა ბოროტად მსახურთაჲსა და სიტყუსკებამა უარისმყოფელთა მი-

მართ წმიდისა კრებისა ხალკიდონისათა მოძღურებისაგან ღმრთივმოცემულთა წმიდათა მამათა ჩუენთაჲსა“, — კითხვა-მიგების სახით, სულ 17 კითხვა-პიკებაა.

13) საზღვარი წმიდისა და მსოფლიოჲსა ხალკიდონის კრებისა.

14) თაენი სომეხთა წვალებისანი ოცდაათნი.

15) წინამსწარმეტყუელებანი კორციელისა განგებულებისათჳს უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა ადამისითგან ვიდრე ზაქარიაჲსამდე.

16) მეტყუელთა მიმართ ვითარმედ სულნი კაცთანი ზირველვე იუვენეს კარტასსა.

17) „რომელთათჳს ფილოსოფოსნი შთამოვლენ კმათა და მხილება უთაოთა სევერიანთა, ესე იგი არს იაკობიტთა სულთ განმხრწნელისა წვალებისა“.

როგორც თავშიაც ვთქვით, არსენის „დოღმატიკონში“ შემდეგი დროის გადამწერთ მრავალი დამატებითი სტატიები შეუტანიათ და ყველაზე უფრო აღრე — ევსტრათი ნიკიელის ანტიკათოლიკური თხზულება ეკლესიათა განყოფის შესახებ და აგრეთვე ეკლესიაში მიღების წესი გაქრისტიანებული ურჩების, მაჰმადიანების¹ და მოქცეული იაკობიტ-სომეხებისა.

მესამე პერიოდში, როდესაც არსენი საქართველოში ცხოვრობდა, მას უთარგმნია დიდი სჯულისკანონი; ეს დამოწმებულია გელათის მონასტრის ერთერთ ნუსხაში (№ 25), რომელშიაც ვინმე გრიგოლ ჩახრუხაძე ამბობს: გულმოდგინებითა გადავწერე ბესიითა კელითა ქრისტიანეთა წინამძღუარი, დიდი ესე სჯულისკანონი საუკუნოდ მოკსენებულისა და ჩუენ ქართველთათჳს ფრად ქართთა თავსმდებელისა არსენი აჲალთელის ოარგმნილი (ფ. 296). აქ ჩვენ ვაქვს 14 ტიტლოანი სჯულისკანონი პატრიარქი ფოტის რედაქციისა, ბერძნულ ნუსხებთან შედარებით განსხვავებული ვერსიით; ანალიზი ამ შრომისა და აღნუსხვა მისი შემადგენელი სტატიებისა ეკუთვნის პროფ. ვ. ბენეშევიჩს,² რომელსაც კანონები პავლესი და აგრეთვე პეტრე-პავლესი შეცთომით მიუჩნევიან თავდაპირველ ნაწილად ქართული სჯულისკანონისა, — ეს კანონები არსენის არ უთარგმნია, ისინი, როგორც სხვა ზოგიერთი სტატიები,

¹) სთუძელად უღვს ორი შრომა: Προς Μοαμαζε, თხზულება მე-XI ს. უცნობი ავტორისა, და Κατὰ Σαρακηνῶν ექვთიმე ზოდანენისა (Migne PG. t. CXL. col 124—135; А. Яблоковъ, Чинъ принятія отъ саракивъ обращающихся (Православный Собесѣдникъ. 1891 г. мартъ.)

²) Грузинскій Великій Самоканонъ по спискамъ Тифлискаго Церковнаго Музея, Христианскій Востокъ т. II и IV,

მერეა ჩამატებული მის შრომაში. რუის-ურბნისის კრების დროს, 1103 წ., ეს სჯულისკანონი ჯერ კიდევ არ იყო თარგმნილი, ეს იქიდანა ჩანს, რომ შემადგენლობა სჯულისკანონისა რუის-ურბნისის კრების ძეგლის-წერით განირჩევა არსენის თარგმანის რედაქციისაგან; მაგალითად, ძეგლისწერაში არაა აღნიშნული სარდიკიის კრება. აგრეთვე გრიგოლ ღვთისმეტყველის და ამფილოქე იკონიელის კანონნი, პარტიკრი ანტი-ოქელისა და ათანასე ალექსანდრიელის ეპისტოლენი; არსენას თარგმან-ში არაა მოხსენებული ვასილი დიდის 87 კანონი, სხვადასხვა ნაირადაა ჩამოთვლილი ამ წყაროებში ვასილის ეპისტოლენიც. ცხადია, თხზულება ნათარგმნია საქართველოში დაბრუნებისას, 1114 წლის შემდეგ.

ამ არსენის უნდა ეკუთვნოდეს აგრეთვე რმცნება ბასილი დიდისა მღვდელთა მიმართ¹, რომლის ერთი რედაქცია გიორგი მთაწმი-დელს უთარგმნია წინეთ.

ქართველ მწერალთაგან მცირე უწყებას ავტორი, რომლის სიტყვით არ-სენი იყო ღვთასმეტყველი, ფალოსოფოსი, აფაზიკოსი, ანატომოსი, აღიღარო-ულთა შეტხზვათა შინა ქებული უცხო და მკაფი მესტიხე და სიკეკისითა ტიბიკონთა მცნებერი, გადმოგვცემს, რომ მან, როგორც სკამათთა სკა-ლობელთა კეთილად დასოხზუელმა, ქმნა დასჯებელნი და მოქალსიშე ქართველთა წმიდათანი.² ჩვენ გვგონია, აქ არეულია სახელები: ავტორი არსენ იყალ-თოელს ჰრევს ერთ შემთხვევაში არსენ ბერთან, რომელმაც შიომღვი-მეში შემოიღო სვიმონწმიდის წესი ან ტიბიკონი,³ ხოლო მეორე შემ-თხვევაში — კათალიკოზ არსენ ბულმაისიძესთან, რომელიც, მართლაც, ცნობილია როგორც მქმნელი ან შემთხვევლი ქართველ წმიდათა სა-გალობლებისა.

39. იოანე პეტრიწი.

მეთერთმეტე საუკუნის გასულს და მეთორმეტეს დამდეგს ქართულ სამწერლო ასპარეზს ამშვენებს იოანე პეტრიწი. გარკვეული ზიოგრა-ფიული ცნობები იოანეს შესახებ არ მოგვეპოვება, მაგრამ ჩვენ შეძლე-ბა გვაქვს გავითვალისწინოთ როგორც დრო მისი მოღვაწეობისა, ისე ზოგიერთი ეტაპები მისი ცხოვრებისა.⁴

¹) სივ. მუხ. № 1, 26, ფ. 72—73.

²) ქველი საქართველო, ტ. I, გან. 3, გვ. 15—16.

³) K. K e r e a n i n e, *Chrymoeckie tpyuocckie namytkau*, სტ. 500.

⁴) ლიტერატურა საქობისათ, ჩვენს გამოცემაში: თარგმანებად ელექსიასტისად მიწო-ფანე, ზნვრელ მიტროპოლიტისად, ტფილისი 1920 წ. გვ. LVIII, შენიშვ. 1.

სწავლაგანათლება იოანემ მიიღო საბერძნეთში, მაგრამ არა ათინაში, როგორც ამბობს ავტორი „მცირე უწყებისა ქართველთა მწერალთათვის“,¹ — ათინა ამ დროს განათლების ცენტრად არ ითვლებოდა საბერძნეთში, — არამედ იმპერატორის კონსტანტინე მონომაქის მიერ 1044-1047 წლებში დაარსებულ აკადემიაში, რომელიც ელინთა რენესანსის კერად გადაიქცა.² კონსტანტინოპოლში ის ჩაება იმ ფილოსოფიურ წრეში, რომლის მეთაურად და რეგულიატორად ითვლებოდნენ მიქაელ ფსელოსი და იოანე იტალი; ამ უკანასკნელებთან ერთად ის შეიქმნა აქტიურ ძალად აღნიშნული ფილოსოფიური მოძრაობისა, ამიტომ იმათთან ერთად მან დაიმსახურა დევნა-შევიწროება ოფიციალურ კონსერვატიულ წრეებისა და, უეჭველია, 1075-1076 წლებში, როდესაც მიქაელ ფსელოსი საზოგადოებრივ სცენიდან ჩამოვიდა, ხოლო სხვებს; ამ მოძრაობის მეთაურთ, ნამდვილი დევნა დაუწყეს, ის სამშობლოში დაბრუნდა.³ სამშობლოშიაც ვერ პოვა მან ის, რასაც დაეძებდა. საქმე ისაა, რომ 1080 წლის დაღმსა აურჩქაბჰ და მისმა მომდევნო მიწისძვრამ დიდი უბედურება დაატეხა თავს საქართველოს; როდესაც აქ ეკლესია — მონასტრები, ქალაქ-დაბა-სოფლები დაინგრა და მოოხრდა, როდესაც აქ დამყარდა აუტანელი პირობები სამწერლო-სამონასტრო ცხოვრებისა, პეტრიწი, ალბად, საბერძნეთში გადასახლდა და, ვინაიდან მას აღარ ეცხოვრებოდა კონსტანტინოპოლში, საიდანაც 1082-1084 წელს გააძევეს იოანე იტალი და მისი თანამოაზრენი,⁴ ის დამკვიდრდა ბულღარიაში ქართველთა პეტრიწონის მონასტერში, რომელიც 1083 წელს ააშენა გრიგოლ ბაკურიანმა. ამ უკანასკნელს იოანე ან საბერძნეთში გაიცნობდა, ან თვით საქართველოში, ვინაიდან 1080 წლის ახლო ხანებში გრიგოლი ბანას მოვიდა გიორგი მეფესთან დიპლომატიურ-პოლიტიკური მისიით.⁵ პეტრიწონის მონასტერში, სადაც სასულიერო სემინარიას ჩაუდგა სათავეში, იოანემ დაყო ოციოდე წელიწადი, ასე რომ უმნიშვნელოვანესი და უკეთესი ხანა მისი სამწერლო-სამეცნიერო მოღვაწეობისა პეტრიწონის მონასტერთანაა დაკავშირებული, ამიტომ საკვირველი არაა, რომ მან ამ მონასტრისაგან მიიღო

1) ქველი საქართველო, ტ. 1, გან. 3, გვ. 14.

2) კ. კეკელიძე, იოანე პეტრიწის სამწერლო მოღვაწეობიდან, ეურნალი პრომეთე 1918 წ. № 1, გვ. 62-64.

3) შედ. H. M. არს, Иоанн Периостен, стр. 17-56.

4) ibid, стр. 52.

5) ქარალის ცხოვრება პარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 286.

პეტრიწის სახელწოდება. ჩანს, მისი წარსული, მისი თავისუფალი ფილოსოფიური აზროვნება და აღზნებული სამეცნიერო სულისკვეთება, რომელსაც პეტრიწონის მონასტრის წესდება არ თხოულობდა, გახდა მიზეზი იმისა, რომ, როგორც თვით იოანე ჩივის, აქაც დევნა აუტეზიათ მისთვის და იძულებული გაუხდიათ სხვა ადგილის მოძებნაზე ეფიქრა. ამ დროს, დაახლოებით რუის-ურბნისის კრების შემდეგ, დავით აღმაშენელმა, როგორც უკვე მოვიხსენეთ, გელათში შექმნა სალიტერატურო ცენტრი, რომლისათვის ღირსეულ მოღვაწეებს საზღვარგარეთიდანაც კი იწვევდა. ცხადია, ამ შემთხვევაში ის ვერ დაივიწყებდა და გვერდს ვერ აუვლიდა პეტრიწონის მონასტერში მოღვაწე იოანეს, რომლის სწავლა-განათლება და სამეცნიერო სტაჟი იმ დროს საბერძნეთშიაც კი იყო ცნობილი, და იმას ეს უეჭველად მიიწვევდა გელათის მონასტერში, მით უმეტეს, რომ, როგორცა ვთქვით, პეტრიწონის მონასტერში ამ დროს იმას უკვე აღარც კი ედგომებოდა. მართლაცდა, ჩვენ ვიცით, რომ მეთორმეტე საუკუნის დამდეგს იოანე სამშობლოში დაბრუნებულა, დამკვიდრებულა კუკლისს შინა გაენათისსა და აქ უთარგმნია რამდენიმე საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური თხზულება.¹ ამნაირად, იოანე პეტრიწის სამწერლო-სამეცნიერო და საეკლესიო-საზოგადოებრივი მოღვაწეობა დაწყებულა მეთერთმეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში, თუ ტრადიციას დაუჯერებთ — 1069 წლიდან,² მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველშემთხვევაში დავით აღმაშენებელის მეფობას ის ვერ გადასცილდებოდა.³ ხოლო მისი სამწერლო მოღვაწეობა რომ უმთავრესად დავით აღმაშენებელის ხანას ეკუთვნის, ეს თვით პეტრიწის სიტყვებიდანა ჩანს, როდესაც ის ამბობს, რომ მუშაობს დავითის გამგონებობას და წყალობათა და თანადგომასა შინაობიჯი; ჩანს, მისი მოღვაწეობა დავით აღმაშენებელის მხრივ დახმარებასა და წაქეზებას ჰპოულობდა.

იოანე პეტრიწი ერთი იმ პირთაგანია, რომელნიც XI—XII ს. ცდილობდნენ ქართულ ენაზე გადმოეღოთ არისტოტელის თუ სხვა ფილოსოფოსების, უფრო კი ნეოპლატონიკების, ნაწერები, ხშირად განმარტებათა თანდართვითაც, და ამნაირად ქართულ ფილოსოფიურ აზ-

¹) ს. გორგაძე, ნემესიოს ემესელი—ბუნებისათვის კაცისა, გვ. VIII—XV.

²) Н. М а р р е, Искусство Петрици, стр. 52.

³) კ. კეკელიძე, თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ მიტროფანე ზმეარნელ მიტროპოლიტი-საჲ, გვ. LVIII—LXI.

როვნებას აღვივებდენ. ამ მხრივ, უნდა ვთქვათ, იოანე პეტრიწს ყველაზე მეტი ღვაწლი მიუძღვის ჩვენში; იმან არამც თუ შექმნა ჩვენში ფილოსოფიური აზროვნება და მიმართულეზა, არამედ შესაფერი ფილოსოფიური ენა, სტილი და ტერმინოლოგიაც შემოიღო. ეგრედწოდებული პეტრიწონული სალიტერატურო შკოლა, რომლის ელემენტებს არსენ იყალთოელის ნაწერებში ვხვდებით, ჩამოყალიბებულია იოანე პეტრიწის მიერ. მისი ენა მეტად ხელოვნური, ღრმა და ფილოსოფიურია, ის ჰქმნიდა ახალ ტერმინებსა და სიტყვებს, რათა ბერძნული დედანი სისწორით გადმოეცა, ის მუდამ იმისათვის ზრუნავს, რომ ბერძნულს სამეცნიერო—ფილოსოფიურ ტერმინს ქართული შესატყვისი მოუძებნოს ან, თუ არ მოიპოვება, ქართული ძირიდანვე შექმნას; ის ჰბაძავბერძნულ დედანს ფრაზებისა და ნაწილაკების დალაგებაშიაც, რათა ქართული ენა გახადოს ისეთივე იარაღად ფილოსოფიური აზროვნებისას, როგორც იყო ბერძნული. მისი გაღლენა ძლიერი იყო XII—XIII ს. მწერლობაში, მაგრამ მერე შესუსტდა და მხოლოდ ანტონ კათალიკოზი შეეცადა მეთვრამეტე საუკუნეში აღედგინა ის, თუმცა თანამედროვენი დიდ წინააღმდეგობას უწყევდენ მას.

იოანე პეტრიწის შრომები შემდეგ დარგებად შეიძლება დავეყოთ:

ფილოსოფიური: ვინაიდან იოანე სულით და გულით ფილოსოფოსი იყო, ნეოპლატონური იდეოლოგიის მიმდევარი, ფილოსოფიურ მწერლობაში მას მეტი კვალი დაუტოვებია; ამ დარგში მას უთარგმნია:

1) კავშირნი ღმრთისმეტყველებიანსი პროკლე დიადოხოსისა, რამელსაც იოანემ საკუთარი კომენტარები დაურთო, 2) *Περὶ τῆς τριωνίας* არისტოტელესი, 3) *Περὶ ἀφαιρετικῆς* მისივე, ამ ორ თხზულებათა თარგმანს ჩვენამდე არ მოუხწევია; 4) ბუნებისაჲს კაცისა ნემესიოს ემესელიისა, ფილოსოფიურ-თეოლოგიური თხზულება, რომელიც ქართულადაც გამოცემულია (ს. გორგაძის მიერ).

ისტორიული: ამ დარგში იოანეს უთარგმნია იოსებოსის წიგნი ჰერაიასაჲ, რომელსაც ეწოდება მოახრახანი იუდაებრივის სიტყუადსაბამობი საჲ ან დასაბამიტყუაობისაჲ, გინა თუ ძუკლსიტყუაობაჲ; პეტრიწის თარგმანი შეიცავს მხოლოდ 15 წიგნს ამ თხზულებისას, დანარჩენი ხუთი წიგნი ან დაიკარგა, ან არ უთარგმნია მას. ² ყველა არსებული ნუსხები

1) П. Марр, Исавъ Петричскій, грузинскій философъ XI—XII вѣка.

2) ველ. ბელ. № 10, სიძვ. მუხ. № 675.

პეტრიწის თარგმანისა მომდინარეობენ აფხაზეთის კათოლიკოზის ექვეთიმე საყვარელიძის ნუსხიდან, რომლის შესავალში ვკითხულობთ: იწუებინ სახედითა ღმრთისაჲთა და წადინება-ბრძანებითა დიდისა აფხაზეთისა და უფლისა საქართველოჲსა პატრიარხისა კათალიკოზისა პატრონისა ეფთჳმისითა. ალბად, ამ სიტყვებმა ააქმევინა დ. კარიკაშვილს, რომ აღნიშნული თხზულება „თარგმნილია აფხაზეთის და ყოვლის საქართველოს პატრიარხის ეფთიმეს მიერო“. ¹ ჩვენ არ ვიცით, ამ თხზულების გარდა თარგმნა თუ არა კიდევ იოანემ რაიმე იოსებ ფლაბიოსის შრომათაგან; ნ. მარკოშოვი მას თითქოს უთარგმნია იოსების არათანხმანი ადგილნი საღმრთოს წერილსა თანა. ² ეს ცნობა დამყარებული უნდა იყოს იოსებ ფლაბიოსის მთარგმნელის შუ.-XIX საუკუნეში დავით ინანაშვილის შემდგომ იამბიკოზე:

ვშუერ დღე და ღამე და ვიქმენ ესრეთ მსრულავ
 იოსიფოსსა, რომელი არს ნაშრომი
 თარგმანებითა ელიზურისა ენისა
 საქებელისა წოდებულის პეტრიწი,
 უძველეს მთხზველის ვითარ ელჯაადიდამ
 ძუელებრთა თქმათა ჩვენთა ივერისაჲსა
 ღრმად გასაგონთა აწინდელისა ენის
 უცხოთ ნათხზავთა ვითა რიტორისაგან. ³

აქ ზოგადადაა ნათქვამი, რომ იოსიფოსი ნათარგმნი ბერძნულიდან იოანე პეტრიწის მიერო, მაგრამ არაა აღნიშნული—სახელდობრ რომელი ან რამდენი თხზულება; ვინაიდან ეს იამბიკო მისდევს დასახელებულ თხზულებას, არათანხმანი ადგილნი-ს, რომლითაც თავდება იოსების შრომათა კრებული წ.-კ. საზოგადოების ხელნაწერში № 332, დ. კარიკაშვილს ⁴ ის დაუკავშირებია მხოლოდ ამ თხზულებასთან, თუმცა ის შეიძლება ეკუთვნოდეს არა მარტო მას, არამედ ყველას, ანადაარც ერთს, გარდა ძუელსიტუაობისა.

გრამატიკული. იოანე პეტრიწს ქართული გრამატიკის უმდგენასაც

¹) კატალოგი ქართველთა შორის წ.-კ. გამაგრებულ საზოგადოების წიგნთსაცავისა, გვ. 209, № 83, ტფილისი 1905.

²) Иоаннъ Петрицкій, стр. 4.

³) წ.-კით. ხელ. № 332.

⁴) კატალოგი გვ. 30.

მიაწერენ; ანტონ კათოლიკოზი¹ და მასთან ერთად მ. ბროსე, შეგ-
რენი და ა. ცაგარელი² პეტრიწს გრამატიკოსადა სთვლიან, თუმცა
ნისი გრამატიკა ჩვენამდე, სამწუხაროდ, არ შენახულა.

ასკეტიკური. ასკეტიკურ დარგში იოანე პეტრიწს უთარგმნია იოანე
სინელის კლემაქსი ან კიბე ლექსად, იამბიკოდ; გადმოუღია მას
მარტო კლემაქსი, ხოლო მეორე ნაწილი, რომელსაც ეწოდება
მწყემსის საღამო, დაუტოვებია.³ ამ თარგმანს თავში დართული აქვს
შემდეგი იამბიკო:

იოანესგან სინელისა სამაინი
ბუარნი კიბისა აღსავალთაებრ აქეშულანი,
ვინცა აღსრულ ხარ, სისრულედ მოწეგნულ ხარ,
ესენი თათთ თავისაგან ათ მუხლად
მე იოანე დაუღუქსენ ჰირისპირად

კლემაქსის იამბიკოდ გადმოღებას იოანე პეტრიწს მიაწერენ
როგორც ანტონ კათოლიკოზი,⁴ ისე რექტორი დავით ალექსიძე-მე-
სხიშვილი; უკანასკნელი მის მიერ გადაწერილ ნუსხაში (სიძვ. მუზ. №
342) შენიშნავს: აღვიწერე მტრე ესე კლემაქსი იოანე იფილოსოფოსისაგან
იამბიკოდ გაღუქსული, ოცდა ათა კიბენი, თითონი ათაა სტიხთა შინა, რთ-
მელსა წოდებულ ჰეოფენ პეტრიწად.

ჰაგიოგრაფიული. ავტორი „მცირე უწყებისა ქართველთა მწერალ-
თათვს“ ამბობს, რომ იოანემ მრავალნი წმიდათა ცხორებანი გარდამოიღო.⁵
მართლაც, ჩვენ ვიცით, რომ მას აღუწერია სკავრუელის მშუენიერის ენა-
შუობის ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა დედისა თეოდორა ალექ-
სანდრიელისა,⁶ სვიმონ ლოლოთეტის მეტაფრასებიდან უთარგმნია
ცხოვრება წმ. მეჩვირისა და წმ. მოწამისა ბარბარესი.⁷ ამათ გარდა
იოანეს გადმოუღია იამბიკოდ ქრისტეფორე მიტილენელის⁸ ეგრედწო-
დებული „გალექსილა კალენდარი“, რომლისათვისაც მას დაურქმევია

1) წყობილხიტვაობა, 740.

2) მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, II, გვ. XII.

3) სიძვ მუზ. №№ 342, 711, წერ.-კითხ. №№ 130, 1597, 3731.

4) წყობილხიტვაობა, 739.

5) ძველი საქართველო, ტომ. I, გან. 3, გვ. 14.

6) A. Harpeleur, Cahiers III, 158.

7) K. K e l i d z e, Monumenta hagiographica Georgica I, p. XXIV.

8) 1010-1050 წ. K. K r u m b a c h e r, Geschichte der byzantinischen Literatur, S.

გალობანი ეოკელაა წმიდათა, ¹ აქ გალექსილია მთელი წლის, სექტემბრიდან აგვისტომდე, წმიდათა სახელები და იწყება ასე: ღირსი სჯემონ, მამაჲ, ანთიმოზ, ბაბილა, ზაქარია, მიხაილ, სოზონტ. ქრისტეფორეს იცედაც მცირე შრომა იოანეს უფრო შეუმოკლებია: ზოგიერთი სახელები გამოუშვია, ამასთანავე წმიდანების ეპითეტებიც; მთელი თხზულება იოანეს წარმოუდგენია ლიტურგიკული კანონის სახით; თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ამ შრომაში იოანეს ეკუთვნის პირველ ნახევარი, „კურთხეულ არსადი“, ესე იგი 1-6 გალობა ან სექტემბერი—მარტი, ხოლო მეორე ნაწილი, —კურთხეულ არსი, აკურთხედითი და აღიდგებით“ ან 7-9 გალობა, ესე იგი აპრილ—აგვისტოს წმიდანები, —დაუწერია იოანეს ძმას პავლეს. ² იოანე პეტრიწს ეკუთვნის აგრეთვე პროლოლი იამბიკოდ პატივად იმ მსოფლიო წმიდანებისა, რომელნიც იხსენიებიან სვინაქსარში ენკენისთვიდამ იანვრამდე. ³ ამგვარი შრომა ბერძნულ ენაზე პირველად იმავე ქრისტეფორე მიტილენელმა დაწერა, მაგრამ იოანეს შრომა არც ქრისტეფორეს, არც სხვა რომელიმე ბერძნულ პროლოლის თარგმანს არ წარმოადგენს, ის ორიგინალურია, მხოლოდ შედგენილი ქრისტეფორეს შრომის მიბაძვით; უნდა ვთქვათ, რომ ის შინაარსით, ფორმით, ენაწყლიანობით და ეპითეტებს სიმდიდრით ქრისტეფორეს „პროლოლს“ არ ჩამოუვარდება. ამ შრომან საფუძვლად უნდა ედოს კალენდარული სისტემა სვიმეონ ლოლოთეტის მეტაფრასებისა, რომელთა თარგმნა სწორედ პეტრიწის დროს და მისი მონაწილეობით დამთავრდა. გარდა ქრისტეფორეს „მოკლე კალენდარისა“ და სექტემბერ—იანვრის „პროლოლისა“ იოანესაგან დარჩენილა მესამე იამბიკური პროლოლისებური შრომა, რომელშიაც შეტანილია დღესასწაულები და ცნობილი წმიდანების სახელები სექტემბერ-დეკემბრის თვეებისა; ეს შრომა, რომელიც, უეჭველია, ორიგინალური უნდა იყოს, იწყება ასე:

ქალწულაა შარის დედა ხალა დედათა
 ქალწული მხოლო ახალი მზესა ქუეშე
 ანნას საშობას დღეს განჯნის კრულებას ⁴

1) სიძვ. მუხ. № 85, 290, წ. კ. № 379.

2) სიძვ. მუხ. № 290. არავითარი ცნობა ამ პავლეს შესახებ არ მოგვეპოვება; შესაძლებელია ვთქვათ, რომ ის იყო მოდელაწე გელათის მონასტრისა.

3) სიძვ. მუხ. № 85, თ. 196-212, № 67, თ. 92-105, № 115, თ. 261, წ. კით. № 379.

4) სიძვ. მუხ. № 290, თ. 241 ა, ურნალი ჯუარი ვაზისა 1906 წ., № 8, გვ. 8-9.

ლიტურდიკული. იოანეს რომ ლიტურდიკულ დარგშიაც უმუშავ-
ნია, ეს ანტონ კათოლიკოსის თთუენის წინასიტყვაობიდანაც ნათ-
ლალა ჩანს; იქ ავტორი ამბობს: „მეხილვა ოდესმე იოანეს მიერ ფილოსო-
ფოსისა, დღეთა ქართლსა შინა უოფისა ჩემისასა, გუჯანსა შინა მცირესა
საკუეთითა, დაღათუ არამცირესა წერილითა, სამსაკაღობელები წინათქმულთა
დღესასწაულთანი და ვიმხარკე დიდითა შეცადინობითა, რადგენ შესაძლებელ იყო,
ეგვეითარსა მას ენითსაქცევასა ზედა კარდამოდებად იგი. ¹ სამწუხაროდ, ჩვენ-
ნამდე არ შენახულა ეს მცირე გულანი, რომელშიაც იოანე ფი-
ლოსოფოსის ან პეტრიწის სამსაკაღობელნი ყოფილა მოქცეუ-
ლი, სამაგიეროდ ანტონს დასახელებულს თთუენში შეუტანია ზო-
გიერთი ჰიმნები იოანე ფილოსოფოსისა, სახელდობრ ცისკარზე სათ-
ქმელი აქებდითსა ზედა დასდებლების აწღა შემდეგი დღესასწაუ-
ლებისა: ჯვართამაღლების წინადღესასწაულისა 13 სექტემბერს, ტაძ-
რადმიყვანების წინადღესასწაულისა 19 და 20 ნოემბერს, ნათლისღე-
ბის დღესასწაულისა 8 იანვარს, ანტონ მარტყოფელისა 19 იანვარს,
ღვთისმშობლისა 7 მაისს და დიდება აქებდითსა ზედა დასდებლებისა
კვიპრიანეს სახელისა 2 ოქტომბერს. ეს ჰიმნები, რომლებიც დაბეჭ-
დილს თთუენში ან სადღესასწაულოშიაც მოთავსებულია, და-
წერილია ხუთსტრიქონიან იამბიკოდ, ამათგან 19 იანვრის და 7 მაისის
ჰიმნი იგივეა, რაც ზევით მოვიყვანეთ: ქაღწულთა შორის დედა ზოლო
დგათა. ²

ბიბლიოლოგიური. ამ დარგში იოანე პეტრიწს დაუწერია იამ-
ბიკოდვე საღმრთო წერილის კანონი ორ მუხლად:

1. ერთ ოთხნი, ორ აკლს იოანე, სამ მარკოზ,
ოთხ ულუკად, ხუთ მათე ლუკა ზოლო,
მათე მარკოზ ექუს, შუდ მათე იოანე,
მარკოზ ლუკა რვა, ცხრა ლუკა იოანე,
ათოთხთაჲ თჳსთჳს აღწერილი კანონი. ³
2. ჰრომ, კორი კორი, გალატ, ეფეს, ფილიპელებ,

¹) ქ. ქეკელიძე, ანტონ კათოლიკოსის სალიტურდიკო მოღვაწეობიდან, გვ. 12.

²) ჩვენ არ ვიცით, ეს თუ სხვა „ხუთმუხლადი დასდებელი“ აქვს სახეში ანტონ კათოლი-
კოსს, როდესაც ის ამბობს: „ქართველთა შორის დიდმან ღვთისმეტყველმან და სტრძანის მო-
ყუარებმან იოანემან თქუა პეტრიწმან: ამეძიებელთა ეპოების მეთ ომერთი მისგან შექმნილთა რო-
ელთაცა დასისაჲ-ო (შხამეტყველება, გვ. 3).

³) ქიძღ. მუხ. ხელნ. № 240. თ. 241ა.

კოფას, სუსადო, სუსადონიკ, ტიმოთ,
ტიმსაჲე, ტიტკე, ფილ, ებრაელ, ათორმეტ,
იაკობ, ჰეტრე თრ და სამ იოვანე,
ხლო იუდა შუდ, შემდგომად „საქმეთა“. ¹

პირველი მუხლი წარმ.ოადგენს სახარებათა აღრიცხვისთან ერთად მათ „სიმფონიას“ ან პარალელურ ადგილთა მაჩვენებელ „კამარებს“; მართლაც, ძველს სახარებებში ცხრა კამარაა მიღებული, რომელთაგან პირველში ოთხი მახარებელია, 2-4 სამსამი, 5-9 ორორი. მეორე მუხლში, რომელსაც სიძვ. მუზ. ხელნაწერი № 342 დიმიტრი მეფეს მიაკუთვნებს, მოყვანილია წინამუხლში მოხსენებული „ათოთხთაჲს კანონი“, ესე იგი 14 ეპისტოლეთა სახელები დასაწყისი მარცვალის აღნიშვნით.

ასტრონომიული. იოანე პეტრიწის ღვაწლს ასტრონომიულს დარგში აღნიშნავს ანტონ კათოლიკოზი, რომელიც ამბობს:

ასტრონომოსებ კეთილგანუგმობელად
ასტროლოგიათ ჭეშმარიტი გარდამოცემი-ო. ²

რა ასტრონომიული შრომა აქვს სახეში ანტონს, არა ჩანს, ჩვენ გვეგონია, რომ ის უნდა ჰგულისხმობდეს შემდეგ მოკლე ნაწარმოებთ:

1. „სიბრძნისაგან ფილოსოფოსთაჲსა წინასწარმეტყუელებად ჟამთა და შენებათა წელისწდისა მოწვენადთაჲს, თუ ვითარნი იყვნენ“; აქ გარკვეულია, როგორი ამინდი და მოსავეალი იქნება ამა თუ იმ ზედნადებიან წელიწადში.

2. „კალანდაჲ თქმული ეზრა წინასწარმეტყუელისაჲ“; აქ გარკვეულია ამინდი და მოსავეალი იმისდა მიხედვით, თუ შვიდეულის რომელ დღეს დადგება იანუარი ამა თუ იმ წელს.

3. „ძრვისა და ქუხილისა გამოცხადებაჲ“; აქ აღნიშნულია დამახასიათებელი თვისებანი ამა თუ იმ წლისა, როდესაც ძრვასა და ქუხილს ადგილი აქვს ერთერთს ათორმეტ თვეთაგანში.

4. „მთოვარისა დღენი სათუალავნი“, არკვევს, როგორი შედეგები ექნება ამა თუ იმ საქმეს ან მოვლენას, რომელსაც ადგილი აქვს ერთერთ მთვარის რიცხვს. ³

ეს ასტრონომიულ-ასტროლოგიური სტატიები ქართულად ძველად

¹) წ.კ.ი.თ.ხ. ხელნ. № 379, გვ. 192.

²) წყობილიტყვაობა, 738, Н. М а р р у, Иоаннъ Петрицкiй, стр. 5.

³) სიძვ. მუზ. ხელნ. № 290, ფ. 254-259.

თაც, შეათე საუკუნემდე, ყოფილა თარგმნილი, ¹ მაგრამ პეტრიწის ისინი ხელშეგორედ უთარგმნია, როგორც შედარებიდანა ჩანს, ² სხვა რედაქციით. და თუ ეს სტატიები არ აქვს სახეში ანტონ კათოლიკოზს, უნდა ვიფიქროთ, იმას პეტრიწის ასტრონომიულ-ასტროლოგიურ შრომად მიუღია ამ სტატიათა პირდაპირ აშიაზე მაწერილი „კვატნი იამბიკოდ თქმულნი პეტრიწისაგან“; ³ თუმცა ტექსტი სრულიად გადასულია, მაგრამ, ჩანს, იამბიკოში აღნიშნული ყოფილა რამდენი კვიმატი დღეა ამა თუ იმ თვეში სექტემბრიდან მოყოლებული აგვისტომდე.

დასასრულ, უნდა მოვიყვანოთ ორი ბუნდოვანი, შეიძლება გადამწერთა მიერ დამახინჯების გამო, იამბიკო პეტრაწისა: ⁴

1. მტერობა ღმრთისა არს მას ქუენახათამი
მკებ მდგომისკან ამაოდ აღმდგომთამი
კოდ წისქვლთასც არსს უკმობ და ემუშუენებ
ეთერ ღრუბლისცა სულთმიდგმ ზღუდეთ ღმრთისამი
დავითი ორი ეზუია სამოცდა სამ
სამოცდა სამ შუდ ღითეთსუ ელაფია.
2. გან ბან ვინ, გან ბან ვინ დონ, გან ზენ ვინ და დონ,
მეუე, მთავარი, სიონი და წყარონი
ჭაბუკსა სწორი ებგური საებგურო,
აღჯრი, კიცვ, თუაღნი და ისრაელი,
გოდოლი, მენავე, სხელი და მამაძცა,
და მეგვბტელი ცხენითა ზარე ქუდი.

40. იეზეკიელი.

ბიოგრაფიული ცნობები იეზეკიელის შესახებ არ მოგვეპოვება; ზ. ჰიჭინაძის სიტყვით, ის ცხოვრობდა 1105—1149 წლებში, აღიზარდა ათონის მთაზე, იმზავრა იერუსალიმში და მერე სამშობლოში დაბრუნდა. ⁵ ზვენ არ ვიცით, საიდანაა ეს ცნობები ამოღებული, მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს იეზეკიელი იოანე პეტრიწის თანამედროვე და თანა-

¹) Н. Марр, Предварительный отчетъ, стр. 32.

²) დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, გვ. 236, M. Brosset, Etudes de chronologie technique, Mem. de l'Acad. t. XI, № 13, p. 2—9.

³) ს ი ძ ვ. მ უ ზ. № 290, ფ. 257.

⁴) წ. კ. № 379, გვ. 192—193.

⁵) ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, გვ. 25.

მიღვაწეს და პეტრიწონულა ღიჭერატურული შკოლის მუშაკთა რიცხვს ეკუთვნის. ანტონ კათოლიკოსი მას, როგორც ღვთისმეტყველს, პიტიკოსს, რიტორს და ფილოსოფოსს, ადარებს არსენ იუალითოელსა და პეტრიწს. ¹ რაც შეეხება მის ლიტერატურულ მოღვაწეობას, არც ამის შესახებ ვიცით ბევრი რამ; ზ. ქიქინაძე მიაწერს მას შემდეგ თხზულებებს: ლექსნი წმიდათა მამათა შესახებ აკროსტიხურნი, დაუჯდომელი და მოგება სულისა. ² ამათგან უკანასკნელი, მოგება სულისა, საექვოა, მით უმეტეს, რომ სხვა ადგილს ზ. ქიქინაძე ამ თხზულებას მიაკუთვნებს მე-XV საუკუნის მოღვაწეს, ნიკოლოზ კათოლიკოსს; ³ რაც შეეხება დაუჯდომელს, ამას პლ. იოსელიანი იც უჭერს მხარს და ათონის მთის ძველს დაუჯდომელს იმოწმებს, ⁴ თუმცა არ აღნიშნავს, სახელდობრ ვისი „დაუჯდომელი“ ეკუთვნის იეზეკიელს. „ლექსნი წმიდათა მამათა შესახებ აკროსტიხურნი“ უნდა ჰქონდეს მხედველობაში ანტონ კათოლიკოსსაც, როდესაც ამბობს: შენნი შაირნი, იეზეკიელ დიდო, აკროსტიხურნი, ასპ სჭკრუენ სარდიონ, მარგარიტებენ ურთიერთას კიდულნი. ⁵ ამ შაირთა გარდა, მაშასადამე, ანტონმა სხვა თხზულება იეზეკიელისა არა იცის რა, თორემ სხვებსაც მოიხსენებდა. ეს აკროსტიხურნი, ურთიერთას კიდულნი შაირები ჩვენამდეც შენ ხულან; ⁶ ეს არის სამი იამბიკო, რომელთაგან ორი შეაქვამს იოანე სინელის კლემაქსს, იოანე პეტრიწის მიერ გალექსილს, ხოლო მესამე ვილაც წმიდა სუმეონს, საფიქრებელია—მესვეტეს. პირველი ორი მართლაც აკროსტიხულია, ისინი თითო ტაეპოვანია, ტაეპში ხუთი სტრიქონია, თვითეული სტრიქონი პირველი იამბიკოსი ორ ნაწილადაა გაყოფილი, ხოლო მეორისა ოთხად; პირველი და უკანასკნელი ასოები თვითეული ნაწილისა, წითურად დაწერილი, გვაძლევს აკროსტიხს, რომელიც შეადგენს უკანასკნელს სტრიქონს ტაეპში. აი პირველი იამბიკო:

იძღვენ	სატემნი	ი	მრთევის	კმათ	დამკსნულნი
ნათელმყოფელ	მ	აღთა	გულისათა		მ
ნიეთი	კერძოდ	ნ	მუსიკთ	კმათასა	ზესთა
ისე	მიიდ	ე	აღმონაშენი	მშობეღმა	ნ
შენნი	იოხე	ნ	მამათ	იოან	ე

1) წყობილსიტყვაობა, ტაეპი 766—767.
 2) ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, გვ. 25.
 3) ქართული მწერლობა XIII—XVI საუკ. გვ. 21.
 4) წყობილსიტყვაობა, შენიშვნა 1.13.
 5) წყობილსიტყვაობა, ტაეპი 767.
 6) სიძვ. მუხ. ხელნ. № 711, ფ. 105.

დიდი ასოები რომ შეეაერთოთ, მივიღებთ აკროსტიხს: შენნი იოხენ მამა იოანე, ესე იგი უკანასკნელს სტრიქონს იამბიკოისას. მეორე იამბიკო:

ბუნებითა მათ აღძრვათა ეს ე აწ წამებრეთ ა უფლის უ
 ეღვა მედღეს ე მეთნათელ იუმ თვალთა თუ ნამდჯ ლ ნ მ
 თხემოვანთაც ა მთენ უკეთუ შენ ნივთთ ზესთ მბრწეინავი იქმნე კეთილმორ უ
 ნათხზთა რა ამათ მსევითართ ა უტკბილმორწეე ს ჩემდ ჭყოფდე თქმითა
 ანთებ თვით ა ჩემთა ეონა ღ მუნთა აღის ღ უჩინო უოფა ღ

აქაც დიდი ასოები გვაძლევენ აკროსტიხს, რომელიც უკანასკნელს სტრიქონს შეადგენს.

მესამე იამბიკო უაკროსტიხია:

ნათელთა შორის უღამისა მბრწეინავიან
 დაუგადისა მზისა ეღვარებითა
 უმიმწუხრო მართალოა საშუებელსა
 თან შეებულება მთხვეე უფლისა სჯემონ
 მოსავსა შენსა მრწემსა იეზეკიელს
 და აწისაცა დეღვიანისა ზღვსა
 შფოთთა მშჯღობით ღირსმყავ განწითლებად.

41. იოსანი ტარიჰისძე.

მეთორმეტე საუკუნის დამდეგს ჩვენ გვხვდება ერთი მწერალი, იოანე ტარიჰისძე; ჩვენ უკვე ზემოთ მოვიყვანეთ ერთი ბიბლიოგრაფიული ცნობა იმის შესახებ, რომ 1114 წელს საქართველოში დაბრუნებულა თეოფილე ხუცესმონაზონთან და არსენ იყალთოელთან ერთად იოანე ტარიჰისძეც;¹ მაშასადამე, ისიც თანამედროვე ყოფილა დავით აღმაშენებლისა. ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ ჩვენამდე არ შენახულა ძველს ძეგლებში; ანტონ კათოლიკოზი უწოდებს მას სიბრძნის მოყუარეს, ღვთისმეტყველს, რიტორს და პიიტიკოს,² ხოლო ავტორი „მცირისა უწყებისა ქართველთა მწერალთათჳს“ ამბობს: „იოანე ტარიჰისძე იყო ქართველთა აზნაურთაგანი; ამან სიყრმესავე შინა შეისწავლა ფილოსოფია და ღვთისმეტყველება და ენა ბერძენთა, რომელმანცა მრავალნი საღმრთონი წერილნი გადმოიღო ქართულსა ენასა ზედა, იყო ფრიად

1) თ. ეორდანიი, ქრონიკები 1, 225, 249.

2) წყობილსიტყვაობა, 763.

რიტორი და ეკლესიათა შემამკობელი, უცხო პიტიკოსი და მოშიირე. რომელმანცა მრავალნი ქართველნი განსწავლნა სიბრძნის მოყუარებასა შინა.¹ საიდანაა ეს ცნობები ამოღებული, ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, არ ვიცით არც ის, საიდან წარმომდინარეობს პ. იოსელიანის ცნობა,² რომელსაც იმეორებენ მ. ჯანაშვილი³ და ზ. კიქნაძე,⁴ ვითომც იოანე ტარიქისძე საქართველოში ათონიდან მოვიდა, აქ დააარსა სასწავლებელი ყრმათათვის და მიმართულვით იყო ნეოპლატონიკი.

პ. იოსელიანის გადმოცემით იოანეს უთარგმნია: 1) საგალობელნი წმიდათანი და 2) სამი ფილოსოფიური თხზულება: დიალექტიკა, პორფირის შეყვანილება და კატილორია დამასკელისა.⁵ პარველი თხზულების შესახებ არა ვიცით რა, ვფიქრობთ, აქაც შეცდომა მოუვიდა იოსელიანს და იოანე პეტრიწის საგალობლები იოანე ტარიქისძეს მიაკუთვნა; ფილოსოფიური თხზულებების აღნუსხვაშიაც შეცდომა მოსლვია მას: საქმე ისაა, რომ დიალექტიკა იოანეს არ უთარგმნია არაროდის.⁶ ორი დანარჩენის სახელი სისწორით ვერ აღუნიშნავს: იოანე ტარიქისძემ გადმოთარგმნა არა პორფირის შეყვანილება,⁷ არამედ ამმონიოს ერმისის (V-VI ს. ნეოპლატონიკი) „მოსასკენებელი ზუთთა კმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“;⁸ აგრეთვე არა დამასკელის კატილორია, არამედ იმავე ამმონიოსის „მოსასკენებელი ათთა კატილორიათადმი არისტოტელისათა.“⁹ ეს თხზულებანიც ჩვენამდე შენახუ-

1) ძველი საქართველო, ტ. I. გვ. 3, გვ. 17.

2) წყობილიტიკეობა, შენიშ. 14.

3) ქართული მწერლობა II, გვ. XX.

4) ქართული მწერლობა მე-XII საუკუნისა, გვ. 27.

5) ამათ გარდა, იოსელიანისავე სიტყვით, იოანეს თითქოს უთარგმნია ეპიფანე კვიპრელი „ათორმეტთა ქუათათუს“; მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეესაბამება, ვინაიდან დანამდვილებით ვიცით, რომ ერთადერთი ქართული რედაქცია დასახელებული თხზულებისა ნათარგმნია გაცილებით უფრო ადრე და ის გვხვდება მათვე საუკუნის შატბერდულს კრებულში.

6) ამ იოანეს მიაწერენ შეცდომით ზოგიერთები, მათ შორის პროფ. ნ. მარჩიცი (Иоанну Петрицкiй, стр. 58), ერთს, მეთვრამეტე საუკუნის ნუსხეში დარჩენილს, დიალექტიკას, რომელიც ნამდვილად ეკუთვნის სვიმეონ ჯუღთელს და ქართულად ნათარგმნია სომხურიდან ანტონ კათოლიკოსის მიერ (ს. გორგაძე, ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში, ჩვენის მეცნიერება, № 2-3, გვ. 145-146.)

7) პორფირის შეყვანილება შეიძლება ძველათაც, მე-XII ს. ეთარგმონს ვისმეს ქართულად, მხოლოდ ეს ძველი თარგახი არ შენახულა; დღეს დღეობით ცნობილი თარგმანი მისი გადმოღებულია სომხურიდან და ეკუთვნის ზურაბ შანშოანს, რომელსაც ის შეუსრულებია 1735 წ. ვახტანგ მეფის ბრძანებით (ს. გორგაძე, იქვე, გვ. 144-145).

8) ს. გორგაძე მზადია ეს თარგმანი იოანე პეტრიწის მიაწეროს (იქვე, გვ. 142-143), მაგრამ ამის ნებას არ გვაძლევს ხელნაწერთა ტრადიციები.

9) ს. გორგაძე ამაშიაც იოანე პეტრიწის თარგმანსა სკვრეტს (იქვე, გვ. 143-144).

ლან არს ძველის, არამედ უმთაყურესად, მე-XVIII ს. ნუსხებით, ამიტომ ძნელია იმისი თქმა, რამდენად სისწორითაა დაცული მათში ჩვენი ფილოსოფოსის ტექსტი.

X 42. არსენ ბერი.

არსენ ბერი ან ბერმონაზონი, თანამედროვე დავით აღმაშენებელის და დიმიტრი მეფისა, არ არის არსენ იყალთოელი, როგორც ზოგიერთებსა ჰგონიათ. თხზულებანი, ჩვენამდე შენახულნი არსენ ბერისა და არსენ იყალთოელის სახელით, იმდენად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან ვით, რომ შეუძლებელია ეს ორი სახელი ერთიადიმავე პიროვნების აღმნიშვნელად მივიჩნიოთ; არსენ ბერის შრომებში აღგილი არ აქვს პეტრიწონის ლიტერატურული შკოლის ელემენტებს, რაც, როგორც აღვნიშნეთ უკვე, დამახასიათებელია არსენ იყალთოელის ენისა. ეს არსენ ბერი ჩვენ გვხვდება ოთხს დოკუმენტში, ესენია: 1) ანდერძი დავით აღმაშენებელისა სიკვიდილის წინ,¹ 2) ანდერძი მისივე, შიომღვიმის მონასტრისადმი ბოძებული,² 3) „ცხოვრება მეფეთ-მეფისა“ ან დავით აღმაშენებელის ისტორია³ და 4) ტბეთის სახარების (XII ს.) ანდერძი,⁴ სადაც მოხსენებულია, სებათა შორის, არსენი, დიმიტრის შუჟის მწირველი, რომელიც ექვს გარეშეა, ჩვენი არსენ ბერი უნდა იყოს. ამ ანდერძიდან ირკვევა, რომ არსენი ყოფილა დისწული ტბეთის ეპისკოპოსის პავლესი, რომელსაც გიორგი მესამის მეფობაში გადაუწერია დასახელებული ტბეთის სახარება; მას ჰყოლია ძმები: ნიკოლოზი, ქუთათელი მთავარეპისკოპოსი, იოანე, ანჩელი მთავარეპისკოპოსი, ცნობილი მწერალი, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, და ანტონი, ოპიზის მონასტრის წინამძღვარი. თუ მართალია პ. ცხვილოელისა და ე. თაყაიშვილის მოსაზრება, რომ ოპიზის წინამძღვარი ანტონი არის ანტონ საღირისძე, ქუთათელი მთავარეპისკოპოსი, რომელმაც თამარ მეფის კორონაციისას მას გვირგვინი დაადგა თავზე,⁵ უნდა ვიფიქროთ, არსენი ბერიც საღირისძე

1) საქართველო. სამოთხე. გვ. 512—513.

2) О. Жордания, Замѣчаніе Давида Возобновителя, данное Шю-Мгвимской лаврѣ, ст. 9—15.

3) ქართ. ცხოვრება მარიაშ დედოფლის ვარიანტი, გვ. 281—361.

4) პ. ცხვილოელი, გზეთი ივერია 1900. წ. № 229; Е. Такайшвили. Матеріалы по Археологін Кавказа, вып. XII, стр. 151—158.

5) ქართ.—ცხოვრება მარიაშ დედოფლის ვარიანტი, გვ. 400.

ყოფილა გუარბლ. დაკითხი ამ არსენს უწოდებს თავის „სასოს და კანონ-
ნათლებელს (ეორდანიი გვ. 10); ის უჩენს ლიტურგიკულ დისკიპ-
ლინარულ წესს შიომღვიმის ლავრას (იქვე, გვ. 10, 13), მას მინდო-
ბილი აქვს მეფისაგან „საშუალ მონატრისა“ ეკლესიის აშენება, მისი
მოხატვა და გამშვენება (იქვე, გვ. 10—11); მას აბარია მეფის ნადავლი
და ფული, აგრეთვე ეკლესიის ქურქელნი და სამკაულნი და მეფის მი-
ერ ნაშოვნნი „ადგილნი უმკვდრონი და უმაჟლონი;“¹ ის არის „მლოც-
ველი“ მეფისა და „მღელი, მაკენებელი მეფისა შეუცვალებელად“ მ-
ნასტრის სოხასტერში.² ის ამასთანავე უნდა იყოს „მოდლუარი“ დავითი-
სა „სულიერის ბერის“ იოანეს შემდეგ (ეორდანიი, გვ. 10); მაშასადამე
— მოძღვრობა მას დიმიტრის მეფობაშიაც შეუნარჩუნებია. არსენი მე-
ტად დაახლოვებული პირია დავითთან: ის არ სცილდება მას არასდროს,
არც გზაში, არც ლაშქრობისას და არც ნადირობისას; ის თავისუფლად
შედის მის სასახლეში და შინჯავს მის წიგნებს, რომელთაც შენიშვნებს
უკეთებს;³ მან იცის არამც თუ ყველასათვის ცხადი ღიანი საქმენი მე-
ფისანი, არამედ მისი სჯლისკვეთება, გულისნადები და ინტიმურა მხა-
რეები მისი ცხოვრებისა.⁴ ის განათლებული კაცია და საფუძვლიანად
იცის არა მარტო ღვთისმეტყველება, არამედ საერო ძველი ბერძნული
წარმართული და ფილოსოფიური მწერლობა. ზედმიწევნით უნდა სკო-
დნოდა აგრეთვე ბერძნული ენაც. არსენი ბერი თვალსაჩინო მწერალიც
ყოფილა, მას ეკუთვნის: 1) „ანდერძი წმიდისა მეფისა დავით აღმაშე-
ნებლისა“, როგორც მისი დასაწყისიდანა ჩანს: გიბრძანებს და მოკაცუნებს
მეფეთა მეფე დავით დღეთა შინა სიკუდილისა და სოფლით განსჯვის მისისა-
თა ჩუენ მიერ უნდოჲსა და უდგისისა მლოცვედისა მამისა ბერისა ჰიართა. ⁵ 2)
სტილითა და ზოგიერთი აზრებით ეს ანდერძი ძიან წააგავს მეორე
ანდერძს დავითისას, რომელსაც ის სიკვდილის წინ შიომღვიმის ლავ-
რას აძლევს; სასომან და განმანათლებულმან ჩემმან ბერმან არსენამ მიბრძანა
ამის ანდერძისა დაწერათ, ამბობს დავითი. ⁶ ორივე ანდერძი, ჩვეულები-
სამებრ, დაწერილია დავით მეფის სახელით, ამიტომ ავტორი მათი მე-
სამე პირით იხსენიება მათში; დაწერილია ისინი, უნდა ვიფიქროთ, და-

1) თ. ეორდანიი, გვ. 11, 12, ხაქ. სამოთხე, 513.

2) ხაქ. სამოთხე, გვ. 512, ეორდანიი, გვ. 12.

3) მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 293, 316.

4) იქვე, გვ. 320, 323.

5) საქართვ. სამოთხე, გვ. 312.

6) მ. Жордания, Завѣщаніе... стр. 10.

კითხის შეფობის უკანასკნელს წლებში. ამ ძეგლებში, განსაკუთრებით მეორეში, შენახულა რამდენიმე საყურადღებო ცნობები, რომლებიც დავითის მატთან ავსებენ და, კერძოდ, სამონასტრო წესწყობილებას გვისურათებენ.¹ 3) ამ ანდერძთა შემდეგ არსენის უნდა დაეწეროს ცხოვრებაჲ შეფეთა შეფისაჲ ან ისტორია დავით აღმაშენებლისა;² რომ ავტორი ამ თხზულებისა, თანამედროვე დავითისა და მასთან დაახლოებული პირი, არის სწორედ არსენ ბერი, ეს დამტკიცებულია ს. კაკაბაძის მიერ³ და მის არგუმენტებს აღარ გავიმეორებთ. ეს შრომა ავტორს დაუწყია მაშინ, როდესაც ტფილისი საბოლოოდ შემოერთებული უოფილა, ესე იგი არა უადრეს 1123 წლისა, და გაუთავებია ის დავითის სიკვდილის შემდეგ; მაშასადამე დავით აღმაშენებლის ისტორია, რომელიც ყოველმხრივ განხილულია პროფესორის ივ. ჯავახიშვილის მიერ,⁴ დაუწერია არსენ ბერს 1123—1126 წლებში. 4) არსენ ბერს უნდა ეკუთვნოდეს შესხმა ან ხოტბა, რომელსაც უძღვნის შეფეს დავითს მონაზონი არსენა;⁵ ეს რომ ასეა, ჩანს იქიდან, რომ არსენ მონაზონი იმავე ენაშეობით, იმავე ფრაზებით, სიტყვებით და ეპითეტებით ამკობს დავითს, რომლებითაც არსენ ბერი ავგიწერს დავითის ფიზიკურსა და სულიერს თვისებებს თავის ისტორიაში;⁶ ორსავე ძეგლში ერთიდაიგივე პარალელიზმია დავითისა და ალექსანდრე მაკედონელი-სა, დავითისა და აქილლეე ელინისა.⁷ 5) თუ დასახელებული შესხმა დავით შეფის მართლა არსენ ბერს ეკუთვნის, მასვე უნდა ეკუთვნოდეს ძეგლისწერა წმიდისა და ღმრთიფშეკრებულისა რუის-ურბნანის კრებისა;⁸ ეს იმიტომ, რომ შესხმა გაგრძელებაჲ ძეგლისწერისა და მისი ორგანიული ნაწილია, თან ერთშიაც და მეორეშიაც დავითი ერთგვარი ენაშეობითა და ეპითეტებითა შემკობილი და დახასიათებული: ორსავეში ნახმარია ეპითეტები: მხნე, ბრძენი, მშუდი, ტკბილი, უბრძოლველი, გმირი, ბრწყინვალე, ვითარცა ცისკარი.⁹ ძეგლისწერა საყურადღებო

1) Жордания, стр. 1—9.

2) ქართ.-ცხოვრებ, მარიამ ღვთისმშობლის ვარიანტი, გვ. 281—361.

3) დავით აღმაშენებლის შემატანის ვინაობა, ტფილისი 1913 წ., გვ. 5.

4) ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გამოც. I, გვ. 152—165, გამოც. II, გვ. 213—224.

5) საქართვე. სამოთ. გვ. 528—530.

6) შეიღ. ქართ. ცხოვ. მარიამ ღვთ. გვ. 331—332.

7) იქვე, გვ. 316, 328—329.

8) საქართვე. სამოთხე, გვ. 518—528, თ. უორდონია, ქრონიკები II, 56—72.

9) შეიღ. საქ. სამოთხე, გვ. 522—523 და 528—529.

იურიდიული ძეგლია საქართველოს ეკლესიისა და გამომხატველი დაეით აღმაშენებელის საეკლესიო პოლიტიკისა; ის შედგენილია იმ ყალიბზე, როგორც იწერებოდა მსოფლიო და ადგილობრივი კრებათა აქტები. კრებას „დაუსხამს“ ან შეუდგენია 15 კანონი, რომელიც ეხება ყველა იმ არანორმალურ მოვლენას თანამედროვე საქართველოს ეკლესიაში, რომელთა აღმოფხვრა შეადგენდა დაეითის საზრუნავ საქმეს. როგორც უკვე ზემოთაღნიშნულთა, ძეგლის წერა შედგენილია მაშინ, როდესაც ქართულ ენაზე „დიდი შჯულისკანონი“ კიდევ არ იყო თარგმნილი არსენ იყალთოელის მიერ; ამით აიხსნება, რომ შემადგენლობა შჯულისკანონისა, ძეგლისწერაში აღნიშნული, სხვა, ვიდრე არსენ იყალთოელის თარგმანში.

6) თუ ძეგლისწერა რუის-ურბნისის კრებისა ეკუთვნის არსენ ბერს, მასვე უნდა მივაკუთვნოთ მეტაფრასტული ცხოვრება წმ. ნინოსი.¹

ეს თხზულება დაწერილია დიმიტრის მეფობაში (1125—1154 წ.) და ეკუთვნის არა არსენ დიდს კათოლიკოზს, როგორც გამომცემელს ჰგონია, ამისი მსგავსი კათოლიკოზი დიმიტრის მეფობაში არც ყოფილა ვინმე, — არამედ ჩვენს არსენ ბერს; ეს შემდეგიდანა ჩანს: ენა ამ თხზულებისა და არსენ ბერის სხვა შრომებისა, უფრო კი რუის-ურბნისის ძეგლისწერისა, ერთიდაიგივეა, აზრებითაც ისინი ძაან უახლოვდებიან ერთმანეთს, მაგალითად: 1) თავში მაცხოვრის მოსლვა ქვეყნად და მოწაფეთა ღვაწლი თითქმის ერთნაირადაა ორსავეში გადმოცემული; 2) ორსავეში აღნიშნულია, მხოლოდ ცხოვრებაში უფრო ვრცლად, ანდრია მოციქულის სამისიონერო მოღვაწეობა ჩვენში; 3) თანახმად გადმოგვცემს ორივე წმ. ნინოს მოსლვას ჩვენში ანდრიას შემდეგ, მის კაპადოკიელობასა და ტყვეობას; 4) ესტატე ანტიოქელის მობრძანებას ჩვენში, მის მიერ მეფისა და ერის მონათლვას, ეკლესიის აშენებას და კურთხევას და კათოლიკოზის დადგინებას; 5) 6) ძაან წააგავს ერთმანეთს შემდეგი ადგილები რუის-ურბნისის ძეგლისწერისა

1) ცხოვრებაჲ და მოქალაქეობაჲ და ღვაწლი წმიდისა და ღირსისა დ. დ. ს. ჩვენისა ნინოსის, რომელმან ქადაგა ქრისტე ღმერთი ჩუენი ქუეყანასა ჩრდილოეთისასა და განანათლა ნათესავი ქართველთაჲ, გამოცემა საეკლესიო მუზეუმის კომიტეტისა, № 10, 3. კარბელაშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1902 წ. ეს თხზულება რომ არსენს ეკუთვნის, ეს ანდერძშიაც ნათქვამია.

2) საქართ. სამოთხე, გვ. 519—520, ცხოვრება, გვ. 3—4.

3) საქ. სამ. 520, ცხოვრ. 4—6.

4) საქ. სამ. 520, ცხოვრ. 7—14.

5) საქ. სამ. 520, ცხოვრ. 35—36.

და ნინოს ცხოვრებისა: გარნა არა თუ უბიწოებასა ქართველთა სარწმუნოებისა: ბიწი რამე შეეხებოდა, ნუ იყოფინ ესრე, არა გეტრეგნეთ შენ სიწმიდათ მშობელთა ჩუენთ კათალიკე ეკლესიათ, არცა განგცეთ შენ სიქადულთ ჩუენთ მართლმადიდებლობათ, რომლისა არცა განმცემელ ქმნილვართ გინაჯთგან შემეცნებასა შენსა ღირს ქმნილ ვართ, მოწამე არს ტყუპმართება; ¹ და — ხალხ ჩუენ ზედა, ქართველთა, ღმრთისა მიერითა მოხედვითა მარადისა და ზედამდგომელობითა უფვლად წმადისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობლისა და მარადის ქაღწულისა მარამისაჯთ, გინაჯთგან გინანთ ტყუპმართება და აღვიბეჭდვით სულისა მიერ წმადისა ნათლისღებითა და ვისწავეთ მართალი სარწმუნოებაჲ, არაადეს შიდრეკილ ვართ გზისა მისგან წრფელისა, არცაადეს შესრულ არს გესლი სიბართისა მათისაჲ გულისა ჩუენსა, არცა ბიწი შეცნებისაჲ მიუღია სსმენელთა ჩუენთა იდეცტა ბორიკთა მათა შწვადებულთა მრავალმზრახველობისაჲ. ² ავტორი ცხოვრებისა მის ბოლოს გვაცნობს თუ როგორ წარმოიშვა ეს შრომა: წმიდანთა მამართა და მამართა, ესე ნეტარისა ნინოჲს ცხოვრებაჲ შეუწყობულად და განბნეულად ქართლისა მოქცევისა თანა და ჭანბავსა მეფეთასა თანა აღრეულად სწერი, ვითარცა აუქენ უწითა. რომელიმე თჯთ მის წმიდისაგან მოახრობილად, რომელიმე მეფისა მირიანისაგან, სხუაჲ იკობ მდღელისაგან, სხუაჲ ამითარისაგან, სხუაჲ ეულად სიდონიასაგან, გარნა წინაჲ უგან და უგანაჲ წინ, იგივე და ერთი ზირი; და ამისათჳს საეკლესიოდ მკითხველთათჳს ფრად საწიონო იყო და მსმენელთათჳს უგარ და გერ სანაურ; ამის ზირისათჳს დაფარულად მდებარე იყო და თანა წარგვეტებოდეთ მოთხრობასა ღუაწლისა მისისასა დღესა ესენებისა მისისასა, რომელა ესე დიდი ზღვეკაჲ არს ეთველთა მარწმუნეთათჳს და უფროჲსად ჩუენ ქართველთა სსწავლთა, შრომათა და ღუაწლთა მისთა დაწივებასა მიცემაჲ (გვ. 51-52). წმ. ნინოს ცხოვრებას მისი ბნენების დღეს ჰკითხულობდენ ეკლესიაში, მაგრამ, ვინაიდან არსებობდა ორი რედაქცია ამ ცხოვრებისა, ერთი ქართლისა მოქცევისა თანა და მეორე ჭანბავსა მეფეთასა თანა, ესე იგი ლეონტი მროველისა, არ იცოდენ — რომელი წაეკითხათ, მით ლმეტეს; რომ აქ, ამ რედაქციებში. ამბები არეულ-დარეული იყო ერთიმეორეში, სხვადასხვა ავტორებსა ჰქონდათ მიწერილი ის ამბები, რომელნიც ერთსადიამვე ისტორიას მოგვითხრობდენ. ისეთს უხერხულობას განიცდიდენ მორწმუნენი ამ მხრივ, რომ სულაც აღარ ჰკითხულობდენ წმ. ნინოს ცხოვრებას, ვინაიდან

¹) საქ. ხმ. გვ. 523.

²) ცხოვრება, გვ. 51.

უგი ყოფილა ფრიად სწყენო, უკმარ და ვერ სცნაურ, ეს კი დიდი დანაკლისი იყო მათთვის. აი ამ გარემოებას იძულებულ უყვია არსენ ბერი შეედგინა ახალი რედაქცია წმ. ნინოს ცხოვრებისა, რომელშიაც მისი თავგადასავალი და მოციქულებრივი ღვაწლი დალაგებით და მარტივად, მოთხრობის სახით, იქნებოდა გადმოცემული და ეკლესიაში საკითხავად გამოდგებოდა. არსენის შრომა წარმოადგენს არსებულ ცხოვრებათა გადაკეთება-გადამეტაფრასებას, რათა ღვაწლი, სასწაულნი და ქადაგებანი ნინოსი მსმენელთათვის არ ყოფილიყო სწყენო, უკმარ და ვერ სცნაურ. არსენი თვით ამბობს: მიწვია ლიტონისა სიტყუთა [აღწერად] იგი ზირი, რომელი ძუეღსა შინა სწერია, არცა შემიმეტებია, არცა დამიკლია, არამედ ძალა სიტყუთა და გამოცხადებაჲ საქმისაჲ მოკლედ და მარტივად წარმამითქუაჲს და მრავალკეცსა და მსგეჲ ახანადრეულობასა ჭნბაყისასა ახანარკ დიდ ვართ (გვ. 52). მართალია, რომ მას თავისი შრომა დაუწერია მარტივითა და ლიტონითა სიტყუთა, ენაწყლიანობა, რომელიც შეტაფრასტებს ასე ახასიათებს, იმას მიზნად არ დაუსახავს,—მართალია ისიც, რომ არ დაუკლია მისთვის რაც ძუეღსა შინა ეწერა, ის სავსებით ამოუწურავს, მაგრამ ვერ დავეთანხმებით ავტორს, როდესაც ამბობს, რომ ძუეღლისათვის არა შემიმეტებია რაო; შემეტებული მას ბევრი აქვს, როგორც ფაქტიური მასალა, ისე განუყენებული მსჯელობა, ლოცვა და საუბარი ამა თუ იმ საგნის შესახებ. როდესაც ის თავის შრომას სწერდა, არსენს ხელთა ჰქონია, როგორც თვით ამბობს, მოქცევაჲ ქართლისაჲ და ჰანბავი მეფეთაჲ ან ლეონტი მროველის საისტორიო ნაშრომი, და ამათში დაცული ცხოვრება ნინოსი გადაუმეტაფრასებია. ამათ გარდა მას ჰქონია კიდევ: 1) მიმოსლვანი და ქადაგებანი მოციქულთანი, უფრო ანდრია მოციქულისა, ექვთიმე მთაწმიდელის მიერ ნათარგმნი, საიდანაც ამოულია ცნობები ანდრია, სიმონ, თადეოზ და მატათას ქადაგების შესახებ (გვ. 5-6). 2) წმ. გიორგი კაბალუკიელის წამება (გვ. 7), 3) ფერემ მცირის უწყებაჲ მიხეისასა ქრთველთა მოქცევისაჲ, საიდანაც იმას ამოულია ცნობები ესტატე ანტიოქელის საქართველოში მოსლვისა და საქართველოს ეკლესიის ანტიოქიასთან დამოკიდებულობის შესახებ (გვ. 37-38, 49); 4) ლეონტი მროველის ისტორია, საიდანაც ამოულია ცნობები ვახტანგ გარგასლანის შესახებ (გვ. 46-48), 5) გიორგი მთაწმიდელის დიდი სჯნაქსარი, საიდანაც ამოღებულია ცნობები იოანე გუთელის შესახებ (გვ. 51); 6) რუისურბნისის ძეგლის წერა, საიდანაც ამოღებულია ზემოამოწერილი

სიტყვები ქართველთა მიუღრეკელობის შესახებ გზისა მისგან წრფელის (გვ. 51). მიუხედავად თავისი მიზნისა, არსენის ამ შრომას მოქალაქობა ვერ მოუპოვებია ჩვენში და ხმარებიდან ვერ გამოუდევნია არსებული რედაქციები წმ. ნინოს ცხოვრებისა, ბატონობა შერჩენია ლეონტი მროველის რედაქციას, რომელიც მრავალ ხელნაწერებშია წარმოდგენილი, თან ვახტანგ მეექვსეს მიერ ქართლის ცხოვრებაშიაც მიღებული; არსენის შრომა კი შენახულა მხოლოდ ორა ხელნაწერით, რომელთა მიხედვით ის გამოცემულია (ერთი მათგანი სიძვ. მუზ. № 717). შემდეგში ვილაცას ეს შრომა ცოტათი შეუმოკლებია და მოუცია თავისუფალი პერიფრაზი მისი ალაგალაგ რამოდენიმე ახალი ცნობის "ჩართვით."¹

ჩამოთვლილი თხზულებანი უნდა ჩაითვალოს არსენ ბერის საკუთარ ორიგინალურ შრომებად; უეჭველია, მას ნათარგმნიც ექნებოდა ბევრი რამ, თუმცა ამგვარი შრომები მისი ჩვენ დღეს არ მოგვეპოვება, ვიცით მხოლოდ, რომ მას უთარგმნია ლიტურდიკულს დარგში. ასეთია, მაგალითად, ანდრია კრიტელის დიდი კანონი, რომელიც მას გადმოუღია დავით აღმაშენებლის ბრძანებით, ვინაიდან უკანასკნელს არ აკმაყოფილებდა წინინდელი რედაქციები ამ კანონისა, არც ექვთიმესი, არც გიორგი მთაწმიდელისა. ექვთიმემო, ამბობს არსენი, ძალზე შეცვალა და შეამოკლა ანდრიას კანონი, გამოტოვა სახისმეტყუელელებანი საღმრთო წერილისანი და სამაგიეროდ შეიტანა შიგ სინანულის საგალობლები, რადგანაც ის ზრუნავდა სულის სარგებელისა და არა სისრულისათვის წიგნისა; ამავ დროს ექვთიმეს თურმე კმანიცა და ძლისპირნიც შეუცვლია. გიორგი მთაწმიდელმა კი ძალზე განავრცო ეს კანონი, ვინაიდან მან თარგმნა ის მთლიანად და ექვთიმეს მიერ მიმატებული საგალობელნიც არ გამოტოვა; და, თუმცა მას კმანი არ შეუცვლია, მაგრამ მაინც არ უმეცადინია შეფუარდებია მათთვის ესათუის საგალობელიო. ამნაირად, საქართველოს ეკლესიას მძიმე ტვირთად აწვა ეს ორი თარგმანი, ამიტომ არსენ ბერმა, ბრძანებითა დავით აღმაშენებლისა, მესამედ გადმოიღო ის ხმათა შეუცვლელად და მათთან საგალობლების შეფუარდებით. დავითმა მე მომანდოო, ამბობს არსენი, ტექსტის გადმოთარგმნა, ზოლო კათოლიკოსს იოანეს, სასულიერო გალობის მცოდნეთა მესაურს, უბრძანა შეექმნა მისთვის კილო, ვინაიდან ძველი კილო მისი ჩვენი ენისათვის

¹) ეს შემოკლებული პერიფრაზი გვაქვს პეტროგრადის ს. ა. ა. ბ. ი. მ. მუზ. მუზ. XIII ს. ხელნაწ. № 39 და სიძვ. მუზ. № 587.

უცხო იყოვო.¹ არსენს გადმოჯთარგმნია აჰას გარდა, როგორც ხელნაწერებიდანა ჩანს,² ხორციელას შაბათის საგალობლები თეოდორე სტოდისა, აგრეთვე ყველიერის ხუთშაბათისა და დიდმარხვის პირველი შაბათისა.³

43. დიმიტრი მეფე.

დიმიტრი მეფე (1125—1154), შვილი დავით აღმაშენებლისა, არა მარტო სახელმწიფოს პოლიტიკურ აღმაშენებლობასა და გაძლიერებაში ჰპაძავდა თავის დიდებულ მამას, არამედ ღვთისწილობასა და მწერლო ბაჰიაც. თავისი შვილის დავითის მიერ ტახტიმხდილი და ბერად აღკვეცილი დამიანეს სახელწოდებით, ის დავითგარეჯის უდაბნოში მოღვაწეობდა, სადაც მისი სახე გამოხატული ყოფილა კედელზე როგორც ანტონ კათოლიკოსის, ისე პლ. იოსელიანის დროს.⁴ ანტონ კათოლიკოზი უწოდებს მას სიბრძნისმოყუარეს, მარტივ ღვთისმეტყველს, ბრძენს, რიტორს და ზიიტიკოსს და ამბობს, რომ ის გამოთქმულ იყო სტიხთა მადლშიართა, რომელნიც დღესაც ჩანან დღწერიდადო (ტაეპი 781—782). დიმიტრის იამბიკონი ზ. კიკინაძესაც უნახავს ქვაბთახევის მონასტერში.⁵ სამწუხაროდ, არც ანტონ კათოლიკოზი აღნიშნავს და არც ზ. კიკინაძე ასახელებს რა იამბიკონი ნახეს მათ დიმიტრი მეფისა; ჩვენ ვფიქრობთ, რომ უკანასკნელს ხელთა ჰქონდა ქვაბთახევის მონასტერში იერონიმე ალექსიშვილის ხელნაწერი, რომელიც შემდეგ ტარასი არქიმანდრიტის ხელში გადასულა და დღეს სიძველეთა მუზეუმს ეკუთვნის (№ 342); აქ, მართლაც, ვკითხულობთ: საქართველოს მეფის დიმიტრისგან თქმულნი იამბიკონი, მუკლი ათორმეტი (ფ. 43—45). აი ეს იამბიკონი:

¹) Проф. Марръ, Предварительный отчетъ о работахъ на Синаѣ и въ Иерусалимѣ, стр. 42. მისივე — Древнейшая история грузинской церкви (Церковныя Вѣдомости за 1907 г. № 3 прилож. стр. 141—142.

²) სიძვე. მუზ. № 431, ფ. 10. № 629.

³) სიძვე. მუზ. № 431, ფ. 62. К. Кекелидзе, Литургическіе грузинскіе памятники въ отечественныхъ книгохранилищахъ и ихъ научное значение, стр. XXII.

⁴) წყობილსაყუაობა, 781, შენაშ. 150

⁵) ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, გვ. 28.

1. შიო მღვმელისა:

შენის დაფნისა იშოთებს ასურსა,
 ისაგებს ქართლი ნილომსა ნაკადუდებრ,
 არბობს მოხუცი, მღვმე ფართობს სამუაროდ,
 იბერწისწულებს მრავლად უდაბნოს ესე,
 სულს აღვთისებს, მტვერისა მტვერად დამტვევი.

2. მისივე:

ცასა ბეწვთა კეიდა, ვნახე, კაცი,
 და მასვე კაცსა შუბის წუერს ედგნეს დარბაზნი,
 მუმლსა ზედა ჯდა, მინდორს სდეგდა ქურციკთა,
 და ზღუასა ზედა მოარბეგდა ცხენითა,
 და ესრეთ დადადებდა: დმერთო, შენ, კურთხეულ ხარ!

3. ღვთისმშობლისა:

ღვთისმშობელი და ყოვლად ჰატიოსანი
 დედა ქალწული, შეენიერი შრომანი,
 მას ახარებდა ანგელოზი ფართოსანი:
 შენგან იშვების შეფე გვრგვინოსანი,
 და მას ჰმონებდეს შეფე მრავალუმოსანი.

4. ღვთისმშობლისა:

შენ ხარ ეენაკი, ახლად აღევაგებული,
 მორჩი კეთილი, ედემში დანერგული,
 ადგა სულნელნი, სამოთხით გამოსრული,
 დმერთმან შეკამყო, ვერაფინ გჯობს ქებული,
 და თავით თჳსით მზე ხარ განბრწეინვებული.

ეს იამბიკოები გამოცემულია ჟურნალში ჯ უ ა რ ი ვ ა ზ ი ს ა, რო
 მელიც ტფილისში გამოდიოდა 1906 წ., (პმ 8, გვ. 10) მაგრამ აქ შე
 სამჩნევად დაზიანებულია მათი ტექსტი; გამოცემლებს დაურთავთ,
 წყაროს აღუნიშვნელად ერთი ზედმეტი იამბიკოც, რომელიც ეპიტაფიის
 ხასიათი აქვს:

5. ნაშრომი საშრომი, შშრომედი უშრომ,
 მუყუთაგან მცნობი, აწ ვერ საცნობი,
 ვიშეგ ვისადვე, შევედ მისადვე.

მესამე და მეოთხე ზემო-მოყვანილ იამბიკოთაგან შეტანილია და-
 ბეჭდილს სადღესასწაულოშიაც, როგორც აწ და ს საგალობელი ღვთის-
 მშობლის აქებდითსა ზედა დასდებელისა 13 მისსა და 12 იე-
 ლისს (მეოთხე) და 27 იენისს (მესამე).

44. იოანე ჰიმჭიმელი.

ჩვენამდე უენახულან თხზულებანი, რომელნიც ნათარგმნია ფილო-
 სოფოსის იოანე კიმჭიმელის მიერ. ვინ იყო იოანე კიმჭიმელი? ჩვენი
 მწერლობის მკვლევარნი, რომელნიც ამ საკითხს შეჰხებიან ძველად. თუ ახ-
 ლად, სპეციალურად თუ შემთხვევით, იოანე კიმჭიმელს იოანე პეტრიწადა
 სთვლიან ხშირად. სახელწოდება კიმჭიმელი, რესპ. ქირჭიმელი, ზოგი-
 ერთებს ესმის როგორც გეოგრაფიული ტრემინი, აღმნიშვნელი იოანეს
 სამშობლოდსა სამცხეში, ზოგიერთებს კიდეც როგორც ეპითეტი-ზე-
 ციერი. ¹ მაგრამ ეს მართალი არაა: ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი იმის
 შესახებ, რომ იოანე პეტრიწის მოღვაწეობა, ყოველ შემთხვევაში, და-
 ვით აღმაშენებელის მეფობას ვერ გადასცილდებოდა. რაც შეეხება ფი-
 ლოსოფოსს იოანე კიმჭიმელს, იმის სახელს ჩვენ ვხვდებით თამარ მე-
 ფის ისტორიკოსის თხზულებაში. ამ თხზულების შესავალში ნათქვამია,
 რომ იოანე ფილოსოფოსისა ჭიმჭიმელისა შესხმა — მოთხრობა აღმოჩენს დიმი-
 ტრისა მკხესა კდამათა შინა და მძღესა ბრძალასა შინაო. ² ამ სიტყვებიდანა
 ჩანს, რომ იოანე კიმჭიმელს შესხმის სახით აუწერია დიმიტრი მეფის
 ქველობა და მხნეობა; თავისთავად ცხადია, იოანე პეტრიწი დიმიტრი
 მეფის (1125-1154) თავგადასავალსა და ს.გმირო საქმეებს ვერ ასწერ-
 და, თუ, რასაკვირველია, იმას პატრიარქალურ დღეგრძელობასა და მა-
 თუსალობას არ მივაწერთ. ამასაც რომ თავი დავანებოთ, როგორ უნ-

¹ ზედმეტი არაა ვაცნობოთ ვკითხულებს შემდეგი: აპოკრიფში, რომელსაც ეწოდება „კითხვა — მიკებაჲ იესოსი და განრღუეულისაჲ“, იესო ქრისტე ეუბნება განრღუეულს, რომ შენი განკურნებისათვის „ვითხოვ შენგან თუალსა პტროსანსა, მეორედ კი მჭიმელსა, შესამედ კიმჭიმელსაო“ (სიძვ. მუხ. № 153, გვ. 293). აგრეთვე პეტრე ლარაძის „დილარიანშიაც“ სწერია: „თვით ესე ხება კი მჭიმელსა ზედა ვაცისკმარებულისა მიერ მოუღიეს“ (გვ. 369).

² ქართლის ცხოვრება, მარტო დედოფლის ვარიანტი, გვ. 364.

და გავიგოთ ისტორიკოსის სიტყვები—იოანე იტყვს ჭამჭამედიო, როდესაც ის, თამარის სიკვდილისა და დასაფლავების აღწერისას, ასახელებს რამდენიმე პირთ, მათ შორის იოანე კიმქიმელსაც, რომელთაც მის ცხედარზე სიტყვა წარმოუთქვამთ? ¹ განა წარმოსადგენია, რომ იოანე პეტრიწს თამარის გარდაცვალებაზე (1213-1214 წელი) ეთქვა სიტყვა? მაშასადამე, უცილობელი და ექვემოთნულია, რომ იოანე კიმქიმელი და იოანე პეტრიწი ორი სხვადასხვა პირი და სხვადასხვა დროის მოღვაწეა. პეტრიწი, როგორც მოღვაწე, თანამედროვეა გიორგი II და დაეთ აღმაშენებელისა, ხოლო კიმქიმელი—გიორგი III და თამარ მეფისა, ისინი მთელი საუკუნით არიან ერთმანეთს დაშორებულნი. ² მართალია, იოანე კიმქიმელს ეგზეგეტიკური მწერლობის დარგში უმუშავებია, მაგრამ ეს გარემოება არ ართმევს მას „ფილოსოფოსის“ სახელწოდებას: მისი ფილოსოფიური სულისკვეთება და მიდრეკილება მის მიერ ნათარგმნ ეგზეგეტიკურ თხზულებათა შერჩევაშიაც ნათლად ჩანს; იოანეს თარგმანთა ენა ამჟღავნებს, რომ ის არის პეტრიწონული სალიტერატურო შკოლის მიმდევარი, რომელსაც ზედმიწევნით შეუთვისებია და უმწვეგრვალესად განუფითარებია ყველა თვისებები ამ შკოლისა.

მის მიერ ნათარგმნ თხზულებათაგან ჩვენამდე შენახულა: 1) თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ მიტროფანე ზმკრნელისა, რომლის ბერძნული დედანი ჯერჯერობით ცნობილი არაა. ³ 2) თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ ოლიმპიოდორე ალექსანდრიელისა, რომელიც გამოცემულ ბერძნულ ტექსტთან შედარებით, ⁴ საყურადღებო ვარიანტებს იძლევა. ⁵ 3) თარგმანებაჲ მარკაზის სახარებისაჲ თეოფილაქტე ბულღარელისა და 4) თარგმანებაჲ ჯუკას სახარებისაჲ იმავე თეოფილაქტესი. ⁶ მისთვისვე შეიძლება მიგვეთვისებია თეოფილაქტე ბულღარელის თარგმანებაჲ იოანეს სახარებისაჲც, რომელიც ერთადერთი ხელნაწერით შენახულა, ⁷ რომ არა ერთი გარემოება: გადმომთარგმნელი ამ უკანასკნელი თხზულებისა ზმნა-

¹) ქართლ. ცხოვ. მარიაჲ დედოფლის ვარიანტი, გვ. 535.

²) ქ. ქეკელიძე, თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ მიტროფანე ზმკრნელ მიტროპოლიტისა, გვ. I, VIII-LXI.

³) გამოცემულია ზენ მიერ ზემოდისაჲ ელესულ შრომაში.

⁴) M i g u e, P G. t. 93, col. 177-623.

⁵) ქ. ქეკელიძე, თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ გვ. LXI-LXIV.

⁶) ქ. ქეკელიძე, იოანე პეტრიწის სამწერლო მოვალეობიდან, ყურ'ადი პრომეთე 1918 წ. № 1; მხოლოდ აქ იოანე კიმქიმელი იოანე პეტრიწადაა მიღებული.

⁷) ხ ი ძ ვ. მ უ ზ. № 52.

თა მრავლობითი რიცხვის მეორე და მესამე პირში ხშირად ხმარობს ნაწილას ყუ, რაც კიპქიმელის უცილობელს შრომებში არ გვხვდება.¹ იოანე კიპქიმელის თარგმანს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თანამედროვე სალიტერატურო წრეებში, ვინაიდან ის აჩვენებდა მკითხველებს განყენებული ფილოსოფიურ თეოლოგიურ მსჯელობას, თავის აზრების სხარტად და ლოღიკურად ჩამოყალიბებას და ამდირებდა მათ ახლად შექმნილი სიტყვებითა და ტერმინებით. იმათში დასული გვაქვს მრავალი საღვთისმეტყველო, საფილოსოფიო და, თუ გნებავთ, საგრაჰმატიკო სიტყვები, რომელნიც განვითარებას წარმოადგენენ იმ ახალ სატერმინოლოგიო მუშაობისას, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა პეტრიწონის ლიტერატურულ შკოლაში. როგორც ეგზეგეტიკურ თხზულებებში, კიპქიმელის თარგმანში უფრო მდირებულია წარმოდგენილი ეგზეგეტიკური ტერმინები, რომელთაც მიზნად აქვთ ეგზეგეტიკის მეთოდების გათვალისწინება.²

45. ნიკოლოზ გულაბრისძე.

ნიკოლოზი იყო კახელი, ძმისწული კათოლიკოსის სვიმეონისა (1112—1146); ის განათლებული და ნიჭიერი კაცი ყოფილა, მიმდევარი პეტრიწონის ლიტერატურული შკოლის ტრადიციებისა, როგორც ეს მის მიერ დაწერილი თხზულებიდან ჩანს. ვინაიდან ის განათლებულ და მომზადებულ კაცად იყო ცნობილი, ეკლესიის მეთაურად აღურჩევიათ, და კათოლიკოსობდა დაახლოებით 1150—1178 წლებში. მატეანე მოგვითხრობს, რომ მან სიმდაბლის ძლით იყვნ, კათალიკოსობისაგან და იერუსალიმს წავიდა. გამეფდა თუ არა თამარი, პირველად ყოვლისა მან ეკლესიის საქმეთა მოსაწესრიგებლად იერუსალიმიდან გამოიწვია ნიკოლოზი, რომელიც უნდოდა კათოლიკოსად დაეყენებია მიქელის მაგიერ (1178—1186), ვინაიდან უკანასკნელი თავის დანიშნულებას არ შეეფერებოდა და ყველასაგან შეძლებული და ათვალისწინებული იყო. ნიკოლოზმა კათოლიკოსობაზე უარი თქვა, მაგრამ ის საეკლესიო კრება, რომელიც თამარმა მოიწვია და რომელმაც საეკლესიო ცხოვრებაში საჭირო მიწმედ-მოწმედა მოახდინა, წარმოებდა მისი თავმჯდომარეობით. გარდაიცვალა, ნიკოლოზი 1190 წლის ახლო ხანებში.

¹) ქ. კეკელიძე, თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ, გვ. XXIV.

²) ibid. გვ. LXIV—LXXV

ნიკოლოზ კათოლიკოსისაგან, როგორც უცილობელად ნიჭიერის კაცისაგან, არაერთი თხზულება უნდა იყოს დაწერილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენამდე შენახულა მხოლოდ ერთი, სახელდობრ: სკაოთაჲი სუეტისა ცხაგელსა, კჳართისა საუფლოასა და კათოლიკე კაქესისასა.¹ ნიკოლოზის მიზანი ყოფილა აეწერა ამ თხზულებაში ის სასწაულები, რომელნიც სვეტიცხოვლის მიერ სრულდებოდა ქართველების მოქცევისას და შემდეგშიაც. ვინაიდან სვეტიცხოვლის ამბავს ცენტრალური ადგილი უკავია წმიდა ნინოს ცხოვრებაში, თავისთავად ცხადია, ავტორი ვერ ასცდებოდა წმ. ნინოს ცხოვრებას, რომ ის არ აეწერა. მაგრამ მას განუზრახავს გადმოცემა ნინოს მოღვაწეობისა საქართველოში, რაც შეეხება მის ცხოვრებას საქართველოში მოსლვამდე, ვინაობასა და სადაობას მის ნეტარისას, ის ამას თითქოს სულ არ ეხება; ამის შესახებ, ამბობს ის, წიგნი იგი კჳად მიიღჳნ აღწერილი მოწერილებით მოთხრობისათჳს ქართველთა ცხოვრებისათჳს და მისგან გუჳწუთს უოველივეთ.² მაშასადამე, წმ. ნინოს ცხოვრებას ნიკოლოზი გადმოგვცემს ისე, როგორც მოთხრობილი აქვს ლეონტი მროველს ქართველთა ცხოვრებაში; იმას განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია იმ სასწაულებისათვის. რომელნიც სვეტიცხოვლის გარეშემო სრულდებოდენ, ვინაიდან, როგორც ის ჩივის, ქართველებს, ჩვეულებასამებრ, ამისთვის წინათ ყურადღება არ მიუქცევიათ. ეს სასწაულები ნაწილობრივ თვით მას შეუტრებია, ზოგი მათგანი თვით მას უხილაეს, ზოგი კიდევ გაუგონია სარწმუნოთა და ჭეშმარიტთა კაცთაგან. მიუხედავად ამითი მიზნისა, ნიკოლოზის თხზულება მეტად საყურადღებო ისტორიულ ცნობებს შეიცავს ქართველთა გაქრისტიანების ისტორიიდან და დიდ ინტერესს წარმოადგენს იდიური მხრითაც. ავტორი იწყებს თხზულებას ვრცელი წინასიტყვაობით, სადაც ის, ფილოსოფიური მოსაზრებითა და ბუნების წიაღში ღრმა ჩაკვირვებით, არკვევს საკითხს ღვთის სიბრძნისა და ყოვლადშემძლებლობის შესახებ. ამ შემთხვევაში ის იმყოფება ბასილ დიდის თხზულების, კჳესთა დღეთათჳს გავლენის ქვეშ. აღნიშნავს რა, რომ ქართველები მოაქცია დედაკაცმა ნინომ, ის სვამს ასეთს საკითხს: რაჲსათჳს უკუე დედაკაცი აზანა და წარმთაყვანისა დმკრთმან ჩუენდა მიმართო (გვ. 41)? ეს სრულიად ახალი საკითხი იყო ჩვენს მწერლობაში, მანამდე არავის ის არ წამოუყე-

¹) გამოცემულია ორჯერ: საქართველოს სამოთხეში, გვ. 69—118 და ვასილ კარბელაშვილის მიერ 1908 წელს ტფილისში.

²) კარბელაშვილი, გვ. 43.

ნებისა; წინააღმდეგობის მწერლები და ისტორიკოსები რკვევდნენ—ვინ გაავრცელა ჩვენში ქრისტიანობაო, და დაამყარეს ის აზრი, რომ ჩვენი განმანათლებელი იყო წმ. ნინო, არაუარსებებს არ მოსლვია გვითხა—რატომ ქალი ამოარჩია ღმერთმა ამ დიდებული მიზნის განსახორციელებლად და არა მამაკაცი? ეს საკითხი პირველად ნიკოლოზმა წამოაყენა და თავისებურადაც გადაჭრა ეს. პირველი მიზეზი იმისა, რომ ჩვენში დედაკაცი, წმ. ნინო, მოივლინა, იყო ისო, ამბობს ავტორი, რომ საქართველო ნაწილი იყო დედის დმრთისა, მას თითონ სურდა აქეთკენ წამოსლვა და ქრისტიანობის დამყარება, მაგრამ, ვინაიდან ძემან მისმან დააყენა ის ამის სწავდელისგან, გამთხოვით და ხუაიშნათა დედისა თქვისა მათა მაცხოვარმან, მის მაგიერ, დედაკაცი წამოავლინა ჩვენშიო (გვ. 41). ამნაირად, პირველი საფუძველი, საქართველოში გავრცელებული ტრადიციაა, რომ ჩვენი ქვეყანა ღვთისმშობლის, ქალის, წილხდომილია, მასთანადამე ქალს უფრო შეენოდა მისი მოქცევაო. მეორე მიზეზი ამისა არის ის, რომ, ვინაიდან ქართველები ყველაზე უფელურენი იყვნენ, ღვთაებამ, თავისი ძლიერების გამოსაჩინად, აირჩია არა ძლიერი, ენამკვერი და შეუღრეკელი მამაკაცი, არამედ სუსტი ქალიო: ვინაჲდან ყოველთა ნათესავთა უმძხვარესნი და უველურესნი რეგნეს ესე ნათესავნი, ამის თქსტა დედაკაცი წარმოაფინა, რათა უმეტეს საცნაურ იქმნეს ძადი ღმრთეებისა მისისაჲ და არაგისი ენაჲ კადნაურ იქმნეს აკოჲსა მთხზველობისათჳს ცუდისა შეტუეულებად, კითარმედ სიმენემან და სობრძნით ფილოსოფოსობამაჲ, გინა ენარცტორობამან მის ვინმე მამაკაცისმან დაცნრო ბოროტბორგნეულობაჲ მათიო, ამისთჳს უკუე ნარნარად მდინარითა წყლისა ნეკტარითა დაძრითა სიმძაფრე საკმიდისა მკურნალმან მან კელაგანმან... რამეთუ არა ვიდრემე სხვდობარკალო მამაკაცთა სათნო რჩენს ღმერთი სახიერი... ამისთჳსტა უძღურისა ბუნებისა დედაკაცისა მაერ მოაჯობო ქედფიცხელობაჲ უღმობეღთა მათ და უკლდითა ნათესავთაჲო (გვ. 41—43). მესამე მიზეზი—ღირსება დედათა პატრიისა: ღვთაება თვით არჩევს დედაკაცს, განსაკუთრებულ ყურადღებაჲ აპყრობს მას, ამიტომ თვით მაცხოვრის აღდგომა პირველად ეუწყა დედაკაცს და მის მიერ სხვეს ეხარაო (გვ. 43). აი სამი მიზეზი, თუ რატომ დედაკაცი მოივლინა ჩვენშიო. ამისთჳს, განაგრძობს ავტორი, დაიგუნ ჰირი ბოროტად და ამოდ დაშინებელი ქდაგებისა და მოქცევისა ჩუენისათჳს ბუნებისა მიერ დედობრივისა, არაჲედ უფროჲსად და უმეტესად გმობარულობდეთცა და ვმოქდაქობდეთ მკუედრებეღთა მათ ჩუენთა მიმართ უკუნურების მომზარხთაო (გვ. 43). აქედანა ჩანს, რომ ასეთი საკითხი ავტორს თითქოს იმიტომ

წამოუყენებია, რომ ვილაც ეგუნურსი დასცინოდენ ქართველებს, რომ ისინი დედაკაცის მიერ იქმნენ მოქცეულნი, ამით ისინი ამცირებდენ და წუნსა სდებდენ თვით მათ ქრისტიანობასაც. ჩვენს წარსულში რომასეთ რასმეს აღვილა ჰქონოდეს, ეს ჩვენ არ ვიცით, შეიძლება მიზეზი ასეთი საკითხის წამოყენებისა სულ სხვა იყო. ეს ის დრო იყო, როდესაც თამარი ტახტზე ავიდა, საქართველოს ისტორიაში ეს პირველი მაგალითი იყო, რომ დედაკაცი გამეფებულიყო მართალია, დიდებულთა საგანგებო ბჭობამ თამარი მამაკაცის თანასწორ უფლებების ღირსადა სცნო, მაგრამ, უუქველია, ყველა არ იქნებოდა არამც თუ საქართველოში, ამ ბჭობაშიაც, ამისი მომხრე,¹ და ზოგიერთ წრეებში ბუნებრივად დაისმოდა საკითხი ღირსებისათვის დღითა პატივისა. თამარმა ტახტზე ასლვისას, როგორც ვიცით, იერუსალიმიდან გამოიწვია ნიკოლოზ კათოლიკოზი და მას მიანდო საეკლესო საქმეების მოწესრიგება, ნიკოლოზმა, ალბად, თამარის ტახტის და ავტორიტეტის განსამტკიცებლად დაწერა ეს თხზულება და მასში საგანგებოდ ხაზი გაუსვა იმ დედაკაცის მოღვაწეობას, რომელიც თვით განგებამ აირჩია ჩვენი ქვეყნის განმანათლებლად; აქედან ბუნებრივი იქნებოდა შემდეგი დასკვნა: რა გასაკვირველია დედაკაცი შეფედ გვეყადეს, როდესაც განგებამ დედაკაცის, ღეთისმშობლის, წილხდომილი გვეყო და დედაკაცივე, ნინო, ირჩია ჩვენდა მოსაქცევად და გასაქრი ტიანეთს დაო.

ნიკოლოზი შესანიშნავ დაკვირვებასა და ცოდნას ჩვენს ეროვნული ფსიქოლოგიისა და თვისებისას; ის ამბობს, რომ, როგორც ცალკე, კერძო ინდივიდუმს, ისე თვითვე ეროვნულ ერაყულს, აქვს საკუთარი თანდაყოლილი ნიჭი და მიდრეკილება; მაგალითად, ბერძნებს — ენამკვიერობა და ფილოსოფოსობა, ხოლო ქართველები ბუნებით სწავნი და მართვინი და გონებით წაფეხნი, სიმართლას ცხოვრებისას და უღელსა უმანკობისას მზიდველნი, მხოლოდ ღმრთისა ოდენ და მკლავის თვისისა მოსაყნი, ფილოსოფოსობას, სწავლულების გამოძიებას და ენამკვიერობას მოკლებულნი არიან. რასაკვირველია, ასეთი პარალელიზმი, რომელშიაც ბასილ კათოლიკოზის შეხედულების გავლენა გამოსქვივის, სიმართლეს არ შეესაბამება, ამის წინააღმდეგ შეგვიძლია თვით ამ სიტყვათა ავტორის პიროვნება წამოვყენოთ, ეს მხოლოდ პოლემიკური მიზნითა ნაკარნახევი, — მაგრამ თვით იღია, რომ განუთფილებანი არიან მადლთა-

1) პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველ ერის ისტორია II, 574—575.

ნა უაგეღთაჲე შაარისა, საყურადღებოა და ქეშპარიტებასაც არ არის დაშორებული. ნიკოლოზი ამასთანავე ყოფილა კრიტიკული ნიქით აღტურვილი მწერალი და ისტორიკოსი; ამას ის, მაგალითად, იჩენს საკითხში: როგორ შევთანხმობთ ერთმანეთს ანტიოქიურ და ქართველ მწერალთა და წყაროთა თქმულება, რომელთა მიხედვით საქართველოში ქრისტიანობის განსამტკიცებლად და ახლადდანერგული ეკლესიის მოსაწყობად მოვიდა ან ესტატე, პატრიარქი ანტიოქიისა, ან ეპისკოპოზი. იოანეო? ამაზე ნიკოლოზი თავის პასუხს იძლევა და მისი ახსნა ამ პრობლემისა თითქმის მეოცე საუკუნემდე იყო გაბატონებული ჩვენს საისტორიო მწერლობაში (გვ. 87—88). მართალია, ის სცდება, როდესაც ამბობს, რომ ესტატეს საქართველოში მოსვლას და მოღვაწეობას თეოდორიტე კვირელი მოგვითხრობსო, მაგრამ ეს აიხსნება იმით, რომ მას ვერ გაუგია კარვად თავისი წყარო, — ფრემ მცირის უწყება. მიზეზსა ქართველთა მტკიცებისა. მართალია, ნიკოლოზი თავის თხზულებაში სვეტიცხოვლის სასწაულებს აგვიწერს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იმაში ბევრი საყურადღებო ფაქტებიცაა გადმოცემული, რომელნიც სხვა წყაროებიდან არ ვიცით; ასეთია, მაგალითად, ამბავი თურქთა შემოსევის დროიდან ჩვენში (გვ. 107—109), კოზმან ბერის ნაამბობი (გვ. 109), ცნობები ნიკოლოზის ბიძის სვიმეონ პატრიარქისა (გვ. 110), დავით აღმაშენებელის ჩვენება, რომელიც მან იოანე კათოლიკოსს უამბო (გვ. 114—115), ფიცი ეპისკოპოზთა, რომელსაც მნიშვნელობა აქვს ჩვენი ეკლესიის იერარქიის ისტორიისათვის და სხვა. ავტორს ამ თხზულების დაწერისას ხელთა ჰქონია, ზეპირთქმულებათა გარდა, წერილობითი წყაროებიც, როგორც, მაგალითად, მოქცევაჲ ქართლისაჲ, ლეონტი მროველის მათიანე და ზემოდასახელებული წერილი ფრემ მცირისა. თუმცა პირდაპირ დასახელებული არაა, მაგრამ იმას უნდა ჰქონოდეს გარეთვე არსენ ბერის მეტაფრასტული ცხოვრება წმ. ნინოსი, ვინაიდან ცნობა ესტატე ანტიოქელის მოღვაწეობის შესახებ საქართველოში, რომელსაც ნიკოლოზი კრიტიკულად იხილავს, არსენ ბერის თხზულებაშიაც იკითხება.

ნიკოლოზ კათოლიკოსს შეუთხზავს არა მარტო საკითხავი სვეტიცხოვლობისა, არამედ მთელი განგება ამ დღესასწაულისა, ესე იგი როგორც წესი ღვთისმსახურების შესრულებისა ამ დღეს, ისე საგლობლები მწუხრისა და ცისკრისა; იმ სამსაცისკრო კანონთაგან,

1) კარბელაშვილის გამოცემა, გვ. 2.

რომელიც მოყვანილია კარბელაშვილის გამოცემაში, ნიკოლოზს უნდა ეყუთვნოდეს პირველი (გვ. 19—24), კინაიდან წესში სწორედ ეს კანონია აღნიშნული და ნაჩვენები. ნიკოლოზ კათოლიკოზი ამავე დროს მთარგმნელიც ყოფილა ბერძნული ენიდან; მას უთარგმნია, მაგალითად, მაქსიმე აღმსარებელის თხზულებანი: დღმატიკური შინაარსისა: ა) ეპისტოლენი თალასეს მიმართ ხუცისა, გიორგი ეპარხოზისა, პირრომს მიმართ, ყოვლად ღირსისა ხუცისა, იოვანეს მიმართ კუვიკულარისა, პეტრეს მიმართ ილლუსტრომსა, მარინომს მიმართ ყოვლად ღირსისა ხუცისა, გიორგის მიმართ ხუცისა და წინამძღვრისა, ნიკანდრომს მიმართ ეპისკოპოზისა, იოვანეს მიმართ მთავარეპისკოპოზისა კუზიკოელისა და იორდანეს მიმართ ხუცისა;¹ ბ) ორასეული—ღმრთისმეტყუელები სათვს და კორციელად განგებულებისათვის ძისა ღმრთისა.² ეგზეგეტიკური შინაარსისა: ა) „თალასეს მიმართ ყოვლად ღირსისა ხუცისა და წინამძღვრისა თითოსახეთა უღონობათათვის წმიდისა წერილისათა,—სიტყვს დაწყებაჲ პატივსა შინა გუერდით მღებარეთა სხოლიოთათვის“, რომელშიც ჩვენ გვაქვს მაქსიმეს *De variis scripturae sacrae quaestionibus ac dubiis ad Thalassium*;³ ბ) „ლოცვისათვის მაგარო ჩუენრმსა ქრისტეს მოყუარისა ვისჲე მიმართ თარგმანებაჲ შემოკლებული“, რომელიც შეიცავს მაქსიმეს *Orationis Dominicae brevis expositio*-ს.⁴ ორივე ეს თხზულება მოთავსებულია ერთადერთ სველათის ხელნაწერში № 14. პოლემიკური შინაარსისა: ა) პიროსის და მეგისტეს სიტყვსგებაჲ (გელ. თ. № 14), ეს ის თხზულებაა, რომელიც წინათ ექვთიმე ათონელმა გადმოთარგმნა;⁵ ბ) მოკლე პოლემიკური ტრაქტატები მონოფიზიტთა და მონოფელიტთა წინააღმდეგ.⁶ სქოლასტიური ნორმები პეტრიწონული სალიტერატურო სკოლისა, რომელთაც ჩვენ სუეტიცხოველის საკითხავშიაც ვამჩნევთ, ნათარგმნ თხზულებებში მთელი მათი მრავალფერობითაა წარმოდგენილი. ზ. კიკინაძე კათოლიკოზ ნიკოლოზს მიაწერს აგრეთვე შემდეგი თხზულებების თარგმნას: გრიგოლ ღვთისმეტყველისას, ბასილდიდის კაცისა შესაქმესათვისას და გრიგოლ ნოსელის განმარტებაჲ ქებაჲ ქებათაჲსას-ს;⁷ მაგრამ ჩვენ დანამდვილებით

¹) გელ. ხელნ. № 14, Migne, PG. t. 91, col. 363—650.

²) სიძვ. მუხ. № 711, Migne, t. 90, col. 1083—1176.

³) Migne, t. 90, col. 243—786.

⁴) Migne, t. 90, col. 871—910.

⁵) Migne, t. 91, 287—354.

⁶) გელათ. № 14, Migne t. 91, 9—288, *Opuscula theologica et polemica*.

⁷) ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, გვ. 26—27.

ვიციტ, რომ ორი უკანასკნელი გიორგი მთაწმიდელის მიერაა ნაიარგმნი, პირველი კი ექვთიმე ათონელისა, დავით ტბელის და ეფრემ მცირის მიერ.

46. იოანე ანჩელი.

იოანე იყო ანჩის მთავარეპისკოპოსად თამარ დედოფლის მეფობაში, მეთორმეტე საუკუნის გასულს და მეცამეტეს დამდეგს. ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება, ვიციტ მხოლოდ, რომ ის იყო ძმა არსენ ბერისა (იხ. § 42) და ქუთათელ მთავარეპისკოპოზის ანტონ საღირისძისა, ¹ მაშასადამე, თვითონაც საღირისძე. მას მოიხსენებს წარწერა ანჩისხატის ღვთაებისა: ბრძანებითა და ნიჟთის ბოძებითა ღმრთივეჯვრჯნოსნასა დიდისა დედოფალთდედოფლისა თამარისაჲთა მე იოანე ანჩელმან რკინელმან კელეჯუვ საშინელისა ამის ხატისა ჰატვიით მოჭყდად. ² ანჩისხატი, რომელიც დღეს ტფილისში ინახება, შეადგენდა უდიდეს სიწმიდეს მთელი კლარჯეთის მხარისას და კერძოდ იოანეს ეპარქიისას, ამიტომ საკვირველი არაა, თუ იოანემ არამც თუ მოაჭედრანა ეს ხატი, საგანგებო საგალობელითაც კი შეამკო ის. გალობანი ანჩისხატისანა, რომელთა თავნი იტყუან: ესაშინელსა ანჩისა ხატსა უგალობ უნდა იოანე ანჩელია, მოთავსებულთა სიძვ. მუზ. ხელნ. № 1040. ³ გალობანი წარმოადგენენ ლიტურგიკულ კანონს, რომელიც გამსჭვალულია გრძნობით და კრძალულებით. აქ ავტორი ამბობს: ქრისტე ღმერთო, ანებე რა მოჭეცეგაჲ ჩუენი, ურწმუნთაჲ, სარწმუნოებად, ხატი განკაცებისა შენისაჲ მოციქულისა ანდრიაჲს მიერ გამოგზბრწეანევე, აპისათვის ანდრიაჲ, თავი მოციქულთაჲ, ჰირველწოდებული მოწაფე მეუფისა დიდისაჲ, იდიდებოდენ ეთველთაგან უღაღთა დაღთა კლარჯეთისათა, იერაპოლით მოვიდა და ხატი ესე საშინელი ჩუენ მოსაგთა მისთა მოგუჩიჭა. ამნაირად, იოანეს სიტყვიტ, ანდრია მოციქულს. რომელიც იერაპოლიდან შემოსულთა კლარჯეთში, თან მოუტანია არა ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ჩვილელი ხატი, რგორც ეს გადმოცემულია მატრიანეში, არამედ მაცხოვრის ხატი. შეიძლება იოანეს სხვაც რამე ჰქონდა დაწერილი, მაგრამ ამის მეტი ჯერჯერობით არა ვიციტ რა.

¹) პ. ცხელილოელი, გახეთი ივერია 1900 წ. № 229. Е. Таквайшвили, Материалы по Археологии Кавказа, вып. XII. стр. 151—158.

²) თ. ეორდანი, ქრონიკები I, გვ. 293.

³) М. Джанашидзе, Описание рукописей тиф. церк. музея, III, стр. 308—312

47. იოსებ შავთელი.

სახელოვანი მგოსნის, იოანე შავთელის, შესახებ ძაან ცოტა ცნობები მოიძებნება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზე კიკინაძის მიერ შედგენილს ფანტასტიურ ბიოგრაფიას, რომლით მიხედვით იოანეს უსწავლია ჯერ შიომღვიმეში, მერე ათინაში და ათონის აკადემიაში(?), ხოლო სწავლის დამთავრების შემდეგ უმოგზავრია ეგვიპტე-ფინიკიაში და ბოლოს სამშობლოში დაბრუნებულა.¹ თვით დრო, როდესაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა იოანე შავთელი, საცილობელია. თუ ამდენხან ჩვენს მწერლობაში თითქმის ყველა იმ აზრისა იყო, რომ შავთელი თამარ მეფის მგოსანია, უკანასკნელ დროს პრაფ ნ. მარტია წამოაყენა თეორია, რომ ის დავით აღმაშენებელის თანამედროვე და შემამკობელია.² არგუმენტაცია ნ. მარტიასა, რომელიც მას აბდულმესიანის შინა-აზრისაგან მოჰყავს, მთლად დამაჯერებელი ვერაა, ასე რომ, როგორც ქვემოთაც დავინახავთ, ტრადიციული შეხედულება ჯერჯერობით შეუწყველი რჩება. სახელწოდება შავთელი უნდა იყოს შემოკლებული შავშეთელი, ეს კი ეთანხმება იმ ცნობას, რომელიც პლ. იოსელიანს აბდულმესიანის ძველ ხელნაწერში ამოუკითხავს, რომ ის იყო ადგილთაგან საათაგასა.³ ქართლის ცხოვრებით იოანე ყოფილა ყოფილად განთქმული და საკრეველი მღვდნაწებთა შინა და ღუქსთა გამომთქუმელი.⁴ პლ. იოსელიანის მიერ მოტანილი ცნობით შავთელი იყო მდივანი თამარ მეფისა, ხოლო შემდგომ იქნა მონაზონ და უწოდეს სახელი იოანე, რომელმან მოიგო ცხოვრება თვისი გელათისა მონასტერსა შინა.⁵ და მართლაც შავთელი თვითონ უწოდებს თავისთავს მწირად და სხემად,⁶ მაშასადამე, ის მართლაც ბერი ყოფილა. 1206 წელს ის თამართან იყო ბოლოსიტყვის ომის დაწყება-გათავებისას.⁷ იოანე, მათიანის სიტყვით, კაცი ფილოსოფოსი, რიტორი, ამისთანავე ყოფილა ღუქსთა გამომთქუმელიც, ერთი სიტყვით — განათლებული მოღვაწე და მწერალი. მის კალამს ეკლთვნის გალობანი ვარძიისა ღმრთაისმშობლისანი; ეს არის ლიტურგიკული კანონის

1) ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნისი, გვ. 14-23.

2) Древние-грузинские описания, Тексты и разьясканія, кн. IV, Пет. 1902.

3) აბდულმესია, გამოცემა 1838 წ., გვ. 6.

4) მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 501.

5) აბდულმესია, გვ. 6.

6) აბდულმესია, გვ. 54.

7) ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 501.

სახით დაწერილი სამადლობელი იამბიკო ღვთისმშობლის პატივად იმ გამარჯვების გამო, რომელიც წილად ხვდა ქართველებს ბოლოსატყის იმში. ეს იამბიკო შენახულია გელათის ხელნაწერში № 22, რომლის ხანდუკში ან სარჩევში ის იოანე შავთელის ნაწარმოებადაა აღნიშნული.¹ იამბიკოს აკროსტიხი აქვს, რომელიც ამბობს: ზესთა დადებისა აღმატებულთ და ანგელოზთა და კაცთა დიდებულ შენდა კითხარ შობისა და ქაღწეულებისა შემაგრებულთ უაღაღწმიდით ღმრთის მშობელთ ვარძიისა მასახელესა ტაძარსა შესსა მსა მგაღობელი ვინმე შენი მაცხაჲნი და მიჲსენ შე სულიერისა ტუუეობისაგან. (ფ. 209--212). იამბიკო უხეში ფორმითაა დაწერილი, არავითარი საზოგი, თვით ჩვეულებრივი მარცვალთ რაოდენობაც კი არაა დაცული. იოანე შავთელს მიაწერდენ ასურული კანკალისის განმარტებას, რომელიც მოთავსებულია სიძვ. მუზ. ხელნაწ. № 85 და გამოცემულია M. Brosset-ის მიერ.² მაგრამ ეს განმარტება, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სულ სხვა პირს ეკუთვნის; იოანეს ეკუთვნის მხოლოდ საძიებელი და მასწავლებელი ამ კვნილოსისა, რომელიც იამბიკოდაა თქმული მის მიერ. ეს საძიებელი და მასწავლებელი იწყება ასე: რიცხუ თუეთა და კრიაკეთა, დღეთა, ჟამთა და შარცჳალთა, ხოლო თავდება სიტყვებით: ერთრიცხუად ეოფუელი შარცჳალნი ჟამთანი თხთ ბეურ სა მთასდა რჳას.³ ეს არის, ასე ვთქვათ, შესავალი ამ კვნილოსის განმარტებისა, რომელიც უკანასკნელის ავტორს განგებ მოუტანია აქ. მერე, თავისი ტრაქტატის დასასრულს, მას მოჰყავს იამბიკო შავთელისა, რომელშიაც წარმოდგენილია კვნიტესენცია კვნილოსის ან პასქალისტურის სისტემისა, ეს იამბიკო იწყება ასე: ხოლო კანკალისის ამის ასურულას კითხვად ესრეთ უწაღე, თავდება კი სიტყვებით: ესეცა საკმარად რაჲ დღისად აღიწერა შარციელთა მათ დღეთა ძიებისათჳს.⁴

ყველაზე უფრო საყურადღებოა იოანეს ოდა ან ხოტბა, რომელსაც აბდულ-მესიხი ეწოდება. ამ თხზულების გარშემო მთელი ლიტერატურა შეიქმნა, ვინაიდან საკამათო და საცილობელი გახდა საკითხი: ვის ეკუთვნის ის, როდისაა დაწერილი და ვინ არის შემკობილი ან შექმნილი იმაში? ამ საკითხების შესახებ სამგვარი აზრი არსებობს: ტრადიციული შეხედულებით, ავტორი ხოტბისა, იოანე შავთელი, აქვს თა-

¹) იხ. აგრეთვე წერა-კითხ. ხაზ. ხელნ. № 379, გვ. 155-162.

²) *Etudes de chronologie technique*, p. 24-39.

³) Brosset, *ibid* p. 24.

⁴) Brosset, *ibid*. p. 37-38.

მარ მეფესა და მის მეუღლეს, დავით სო¹ლანს. 1902 პროფ. ნ. მარ-
რმა, აბდულ-მესიანის კრიტიკულად და მეცნიერულად გამომცემელმა, წა-
მოაყენა თეორია, რომ ხოტბაში შექმებულია არა ორი პირი, არამედ
ერთი, დავით აღმაშენებელი, და მეხოტბე არის არა თამარ მეფის, არა-
მედ დავით აღმაშენებლის თანამედროვე იოანე შავთელი. დასასრულ,
1913 წ. ეს ხოტბა გამოსცა ს. კაკაბაძემ, რომელიც ლაშობს დაამტკი-
ცოს, რომ ის, რასაც ჩვენ აბდულ-მესიანს ვუწოდებთ, არის შესხმა გიორ-
გი ლაშას შვილის, დავით მეფის, და დაწერილია ვილაც მწირის დავი-
თის მიერ 1268—1270 წლებში, როდესაც დასახლებული დავით მეფის
მემკვიდრედ მისი შვილი დიმიტრი ითვლებოდაო.¹ ასეთი სხვადასხვაობა
აზრებისა აიხსნება იმით, რომ წამოყენებულ საკითხთა გადასაწყვეტად,
გარდა ხოტბის ტექსტისა, არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება, ტექსტი
ხოტბისა კი პირვანდელი სახით ჩვენამდე არ შენახულა, ამიტომ ყველა
მკვლევარი და გამომცემელი მას თავისი საკუთარი, სუბიექტური, თვალ-
საზრისით უდგება, რის გამო თავისებურად ჰკითხულობს და განმარ-
ტებს ამათუიმ ადგილს თხზულებისას. არც ერთი ამ სამ შეხედულებათა-
გან საესებით სიმართლეს არ შეესაბამება. დავიწყით უკანასკნელი თეო-
რიიდან, როპლის შესახებ ბევრი არა გვეთქმისრა: ჯერ ერთი, იმ ადგი-
ლების კაკაბაძისებური წაკითხვა ან გაგება, რომლებზედაც ეს თეო-
რია ამყარებს თავის შეხედულებას ავტორის სახელისა (1, 2) და ლაშა
გიორგის შვილის, დავით მეფის, შესახებ (55, 1, 65 1), სატკვო და სა-
ცილობელია. მეორე—მართალია, უმეტესი ნაწილი ქებაში ნახმარი
ეპითეტებისა საზოგადო ხასიათისაა, მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ
ზოგიერთ მათგანის მკვეთრ, უცილობელ ინდივიდუალობას და ხოტბის
საერთო სულსა და დედააზრს, მისი მიკუთვნება ლაშა გიორგის შვი-
ლის დავითისათვის იმდენად საბუთიანი იქნება, რამდენადაც მეჩვიდმე-
ტე საუკუნის მეფის არჩილ მეფისათვის, როგორც ამას ზოგიერთი ხელ-
ნაწერები სჩადიან. ასეთი შეხედულების გამართლება შეიძლება არა სხვა
რაიმე მოსაზრებით, არამედ სურვილთ, დამტკიცებულ იქმნეს, რომ ვეფ-
ხის ტყაოსანი, რომელიც იხსენიებს შავთელის აბდულ-მესიას,
თამარ მეფის ეპოქის შემდეგაა დაწერილი: მართლაც, თუ აბდულ-მე-
სია 1268—1270 წლებშია დაწერილი, ვეფხის ტყაოსანი თამა-
რის დროს, თავისთავად ცხადია, ვერ მიეკუთვნება.

1) კახანი დავით მეფისა დავით მწირის მიერ, ტფილისი 1913 წ.

ნ. მარჩის თეორიით აბდულ მესია, რომელიც შეამკობს მხოლოდ დავით აღმაშენებელს, დაწერილია მისი და არა თამარ მეფის თანამედროვე იოანე შავთელის მიერ. ეს ასე არ უნდა იყოს: ხოტბაში შემკობილია არა ერთი, არამედ ორი პირი. მართლაც: 1) ავტორი ქების საგანს მიჰმართავს თქვენობით (1, 1 25, 1, 27, 1, 54, 1, 62, 1-2, 94, 1 99, 1-2, 101, 1, 106, 1, 107, 3); თუმცა ზოგიერთს ასეთ შემთხვევაში pluralis majestatis არის ნახვარა, ვინაიდან შეათყერი ზმანა იქვე მხოლოდობითს რიცხვშია, მაგრამ პირველი ტაეპის პირველს მუხლში და უკანასკნელის მეორეში, რომელთაგან პირველი ზოგადი შესავალია თხზულებისა, ხოლო მეორე — დასასრული, — ყოველ ექვს გარეშე ორი პირი იგულისხმება. 2) საგანი ქებისა სიცოცხლეშივე გაღმერთებულია, მას მეხოტბე წმიდანად პრაცხს უკვე (9, 2, 41, 4, 45, 2-3, 68, 1, 72, 2, 4 94, 1, 95, 14, 105, 1) და სამოთხეში ჰხედავს, დავით აღმაშენებელს თანამედროვენი სიცოცხლეში წმიდანად არ სთვლიდნ და არ აღმერთებდნ, დავითის კულტი მისი გარდაცვალების შემდეგ შეიქმნა.¹ 3) ერთი ტაეპიდან (105, 4) ჩანს, რომ მეხოტბის დროს გელათი უკვე საზოგადოდ მიჩნეული მეფეთა საკრძალავი ყოფილა, ხოლო ეს არ შეიძლება დავით აღმაშენებელის დროს ყოფილიყოს, რადგან მაშინ გელათის დიდი ტაძარიც დამთავრებული არ იყო და გელათიც მეფეთა საკრძალავად არ ითვლებოდა² 4) ხოტბის გმირი იმორჩილებს ტრაპიზონისაკენ ლიქონას,³ ის არის ჭიმშედს მუფლაბელი (36, 1), მას ხალიფასაგან ახალი ფასი მრავლად მოკრთმის თავთა მანებად (16, 4), მას თან ახლავს დროშა დაკიოიანი, (31, 2); ეს ყველაფერი დავით აღმაშენებელის მეფობაში ანაქრონიზშია. ამნაირად, პოეტი შეამკობს არა ერთ პირს, დავით აღმაშენებელს, არამედ ორს; ამათგან ერთი უცქველად დედაკაცი, ქალი, უნდა იყოს. მართლაც პოეტი ალაგალაგ ისეთ ეპითეტებსა: ჰხმარობს, რომ ყოველად შეუძლებელია მამაკაცი ვიგულისხმოთ ამისთანა შემთხვევაში; მაგალითად: ეთერ ბრწყინვალე, მზეკებრ სადარი (3, 1), მერცხალი, ემატებილქმობარე იაღანი, ნძვი

1) თუ მართალია ბარათაშვილის ცნობა, დავითმა ტფილისის აღების პირველსავე დღეს 500 მუსლემინი ჩამოახრჩო ქალაქში, — გეზინოდეთ და მეკრძალოდეთო (История Грузии, тетр. IX, с. 20, ნ. ურბნელი, „ივერია“ 1888. № 10), ამის მოწაჲნი მას სიცოცხლეში იერ გაღმერთებდნ.

2) ს. კაკაბაძე, ქებანი დავით მეფისა, გვ. II—III.

3) „თვით სულ იმონა კადე ლიქონა“, რომელსაც მარჩი, არ ვიცით რატომ, ჰკითხულობს ასე: „თვით სული მონა; კიდელი მონა“, 33, 1.

ღიბანი, სჯო ერმონათ; თანიკად ზრდიდი ენაგდომს, ნერგი ვარდისა იერიქოს (7, 1-3);¹ ნარკიზ-ლაფროტი, ან-მაკროტი (8, 4), ვარდი ფურჩხინი, ცვართგანასინი, ნერკი სვიანი, სუნნელ-კასია (51 1-2), მზისადმი წამწამა, ვიყა ლახვარის, მსრალედი (67, 4) და სხვ. ერთ აღგილას ის პირდაპირ ამჟღავნებს დედობრივ სქესს, როდესაც ამბობს: მკნე ხარ ასუელი, მჭვრეტადა სუელი.² ამნაირად, მეხოტბე ამკობს ორ გვირგვინოსანს: კაცსა და ქალს. ნუ თუ მართლდება ტრადიციული შეხედულება, რომ აქ შექობილია თამარ მეფე და მისი მეუღლე დავით სოსლანი? დედაკაცად რომ აქ თამარ მეფე იგულისხმება, ეს ყოველ ექვს გარეშეა: 1) სიწმიდე, უხრწნელობა, ანგელოზთა მედასეობა, სილამაზე-სიკეკლუცე, სინაზე და სხვა ქალური ეპითეტები, რომელიც ნაწარმოებში ბლომადაა მიმობნეული, მხოლოდ თამარს შეშვენის, რადენადაც მას ჩვენ ვიცნობთ ძინი მათიანედან. 2) იდუმალი ქვედის საქმე, რომლის შესახებ პოეტო გვამცნებს (22, 3), თამარის განსაკუთრებითი თვისება იყო; 3) გეოგრაფია ხოტბისა (33, 1, 36, 1, 60, 1-3) სწორედ თამარის მეფობით მართლდება; 4) სიტყვენი: კაცთა მკოდვისა და მამკოდვისა, შეიწრებისა არ მომთმანოს (59, 2) პაჩალელს ჰპოულობს თამარ მეფის დახასიათებაში: ვიდრემდის ამისა განკებისა ათორმეტს წელიწადს შინა არცა თუ ტაჯკენავი უბრანა ვისდამე დაკრვად, კიდე მქონებელი უოფლისავე მესისხლკობისა და მნებობლობისა და ასოთა მიღებისა.³ მეორე პირი და საგანი ხოტბისა არის მეფე-მამაკაცი, მაგრამ არა თამარის მეუღლე დავით სოსლანი. მართალია, პოეტო ზოგადი შტრიხებითა და ეპითეტებით ამკობს თავის გმირს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში დავით სოსლანი არ შეგვიძლია დავსახოთ. ისეთ დიდებულ და სახელოვან მეფედ, როგორც პოეტს მხედველობაში ჰყავს. ჯერ ერთი, დავით სოსლანი იმდენად იყო მეფე, რამდენადაც ის თამარ მეფის ქმარი იყო, მეტი არაფერი, ხოლო ხოტბის მეფე არის ცხებუდი ან ზეთცხებუდი (2, 1 6, 1), ნაკურთხი (27, 3), კეისარი (36, 1), გვირგვინოსან-ნორფიროსან-სეიპტრამჭერობედი (41, 1), ქვეენისმჭერობედი (4, 1) და თვითმჭერობედი (28, 1). ამგვარი მეფე დავით სოსლანი არასდროს არ ყოფილა, მისი ქება და სახელი საქართველოსა და მის მომიჯნე საბერძნეთოებს არ გასცილებია, ასე რომ კრიტს, ალასს, მადრიბს,

1) ეპითეტები ამოღებულია ქება ქაბახოძის წიგნიდან, რომელიც, როგორც ცნობილია, ქალს ამკობს.

2) ნ. მარჩი ამ ადგილს, სრულიად უსაფუძვლოდ, ასე ჰკითხულობს: „მკნე ხარ ასური, მჭვრეტა დასური“.

3) მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 412.

ეგვიპტეს, შაშრაეს, ჩინ-მჩინეთს, ანაშის ქებუდი ას ვერ იქნებოდა (2, 1). თან ხოტბა კვლდისხმოზს იესიან მცუეს, დავით სოსლანი ეს წოდებულა არა იესიანად, არამედ ვფრეშიანად, მაგალითად: ჩახრუხაძის ,,თამარბიანში“ (VII, 1, IX, 10, X, 25, XI, 21, XII, 34), ანა დაპატრიანეში: იყო სასჯას შინა დედოფლის რეწუღანისსა, ამოშს შემატრიანე, მოყმი ეფრემის ძეთაგინა. რამეჯ არან თვისია. ¹ ეს მცუე არაღ დავით აღმაშენებელი; მართლაც, მებოტბეს რომ დავით აღმაშენებელი ჰყავს სახეში, ეს საკმაოდ ნათელყო პროფ. მარტოვა, ჩვენ მის არგუმენტებს აქ აღარ გაეიშეორებთ, ჩვენის მხრით დავუმატებთ შემდეგს. პოეტის ამბობს: აფხვის ხე ტანი, მსგავსად შუმტანი ჰქვს კოწილ-აყუჩათ გეპარბიას (49, 2); ამასვე იმეორებს დავით აღმაშენებელი თავის ღანჩელს გალობაში: შეჯნტური გუჯშიაიოხაჲ . კოწილ-აყუჩათ ღანჩუანი .. გუარმეტიასად მოვიგეთ. ² პოეტის სიტყვები: უწყას ყაუეღნა ეშია დ წიღნა, შეეინჯა ჩავთთა ცითომბიგურგუჯბუღთა (69, 2) პარალელს პოეტლობს სანჩუქის გალობაში, სადაც დავითი ამბობს: ზეჩაღსა შობიას ასურასტანელი ზინობაჲ დ ცოაშიღთა ჟარსყუდაჟთა დ უცთომეღთა ვრუბაჲ, განკრაჲ, სუე დ ბედი დ შობისა დღე, ვითარცა საღმრთოთა უსმენელმან, ვ ჩქერენო. ³ პოეტის სიტყვები— შემესრავს ბააღს, მადოკს დ ქაშადს, ასტარტას გარბსა სიბაგუღთასა (78, 4), უნდა იყოს მებოტბის ანტითეზა, სანჩუქის სიბაგუღთიდან ამოღებული, სადაც დავითი ამბობს: თაუეჩის ვიდ ანგარუბისა მამონას. ჟათარ იგი ძუელთა შთი ბააღს დ ასტარტას დ ქმასის საყუელსა. ⁴

ასეთ და ამნაირად, ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ პოეტი შეამკობს აბდულ-მესრიასი ორ გეარგენოსანს: დავით აღმაშენებელს და თამარ მეფეს. ეს საკვირველიც არაა, პოეტი სწორედ ასე უნდა მოქცეულიყო, თუ სახეში გვქნება მისი საზოგადო პოლიტიკური მსოფლმედველობა და თანამედროვეობის შეგნება. პოეტა მონიბლულია, პირდაპირ მოჯადოებულა თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური, კულტურული, სოციალ-ეკონომიური და ზნეობრივი სურათით, მას თვალწინ ეხატება ძლიერი, განათლებული და ჯანდაღებული საქრისტიანო სახელმწიფო, რომელიც შიშის ზარსა სცემს აზიის ბარბაროსებს, მას უნებლი-

1) მარამ დედოფლის ვარაიტი, გვ. 430.
 2) თ. ყორღანია, ჟურნალი II. 104.
 3) იქვე, გვ. 104.
 4) იქვე, გვ. 105.

ედ აღედრვის საკიოხი: ვინაა მიზეზი, ვინ შექმნა ასეთი საქართველო? რასაკვირველია, არა მარტო თამარ მეფემ, არამედ დავით აღმაშენებელმაც, თამარი უდავითოდ წარმოუდგენელია, დავითი არის ძლფა მომზიბლველი საქართველოსა, ხალხოთამარი ომეგვა, მათ ორივეს თანაბარი ღვაწლი მიუძღვის მის შექმნაში, წარმატებაში და განდიდებაში. ისინი ორივენი თანაბარი მსახურნი და მხედარნი არიან სათაყვანებელი ქრისტემესიასი, მათ ორივეს ერთნაირად შეიძლება ვუწოდოთ აბდულ-მესიპ. ამიტომ ის განაყურელად შეაქებს ორსავეს, მისი ჩანგი პოეტური აღრეულობით გადმოგვცემს მის გულში ორივე გვირგვინოსანთა მიერ აღძრულ გრძნობებს, რომელნიც უშუალოდ სცვლიან ერთი მეორეს: ზოგს ტაეპში დავითია შესხმული, ზოგში კიდევ ორივე ერთად.

არც მეორე დებულებაა მართალი ნ. მარტისა, თითქოს ავტორი ხოტბისა იყოს დავით აღმაშენებლის და არა თამარ მეფის თანამედროვე იოანე შავთელი. ჯერ ერთი, საექვოა რომ ორი იოანე შავთელი ყოფილიყოს, ერთი დავითის და ერთი თამარის დროს; ეს არსაიდან არა ჩანს, გარდა ზ. კიკინაძის ფანტასტიური ცნობისა, ¹ რომელიც თვით ავტორმა უარყო რამოდენიმე წლის შემდეგ. ² მეორე, თუ მივიღებთ დებულებას, რომ პოეტი თამარ მეფესაც აქებს თავის ნაწარმოებში, თავისთავად ცხადია, იმას დავით აღმაშენებლის თანამედროვედ ვერ ჩავთვლით. მაგრამ ჩვენ თვით ხოტბის ტექსტი გვაძლევს საბუთს ვიუქროთ, რომ ის დაწერილია სწორედ თამარის თანამედროვე იოანე შავთელის მიერ. როგორც უკვე ვთქვით, თამარის თანამედროვე შავთელს დაუწერია ბოლოსიტეკის ომში გამარჯვების გამო გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი, რომელთაც ის ასე იწყებს: ზეცით მიჰმადლე ენასა ბრგუდ მეტეუეფსა სიტეუა სიბრძნისაჲ, დედოფად; სწორედ ამგვარადვე თავის ენაბრგვნილობას არა ერთხელ ხაზს უსვამს ხოტბის ავტორიც (20, 1, 96, 1, 101, 1, 107, 2); მაშასადამე, პირველსაცა და მეორე შემთხვევაში ავტორი აღნიშნავს თავის უღირსობას შეასრულოს ისეთი ღიადი საქმე, როგორცაა შესხვა-შემკობა ღვთისმშობლისა და შავანდედთა. ამ ხოტბაში ნათლად ჩანს ავტორის ორმაგი განათლება: საერო და სასულიერო; იდიურად და ფორმით საერო ხასიათის ნაწარმოები, სულითა და დამუშავებით სასულიერო ელფეროვა-

¹) იოანე შავთელი მე-XII საუკუნეში, ტფილისი 1883 წ. სამწუხაროა, რომ ამ აზრში დღილი პოვა ს. გორგაძის ქრისტოპაჯის „ჩვენი ძველი მწერლობა“-ს ერთერთ გამოცემაში.
²) ქართულ მწერლობა XII საუკუნეში. გვ. 14. შენიშვნა. ტფილისი 1887 წ.

ნი თხზულებაა. სასულიერო ელემენტს ჩვენ ვგრძნობთ არა თემის დამუშავებაში უძთაფრესად, არამედ უფრო ენაში: შედარებანი ავტორს მოჰყავს ძველი აღთქმიდან და აზრებს გამოსთქვამს ბიბლიის სიტყვებით. ¹ ის ნაკითხია როგორც ძველს ბერძნულ ისტორიულს, ფილოსოფიურ და მხატვრულ მწერლობაში, ისე აღმოსავლურს, — სპარსულ-არაბულში, მაგრამ არა ნაკლებ მკოდნეა ის. ბიბლიის გარდა, საეკლესიო-სასულიერო მწერლობისაც, რომლითაც უხვად სარგებლობს თავის ნაწარმოებში. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ავტორს ციტატები და პარალელები მოჰყავს დაეით აღმაშენებელის სინასუქას გადობათაგან, ვუჩვენებთ სხვა წყაროებსაც. პირველ ყოვლისა აქ უნდა დავასახელოთ ერთი აპოკრიფი, რომელსაც ეწოდება ოქმუფი წმადისა ისამისა ჩუენისა ეურემისი, თარგმანი დაბადებისათჳს ცისა და ქუეყანისა და ადამასთჳს. ² აქედან, როგორც ნ. მარრიც შენიშნავს, ³ ამოღებულია ცნობა ანდიბან მოგვის შესახებ; პოეტრი ამბობს: ანდიბან მოგვმან, გრძნებთთა მბოგვმან, მისნობით ხელყო ზაკვით ზღაპრობა. ეშმაქს კეედრა, სუფი შეუედრა. შით ექმნს სრულად მათთან საგრობა (79, 1-2); ეს პოეტური გადმოცემა აღნიშნული აპოკრიფის შემდეგი ადგილისა: ნებროთმა იუნიტან გრძნეულისაგან ისწავლა წიგნი საბრძნისა, რომლითაც ის ყველას აკვირვებდა. ვითარცა იხილა ესე ანდიბან მდღეჟმან, რომელი ჰქმნასურებდა ცეცხლს, ეკედრებოდა იგი ეშმაქსა, რომელი გამოეკხადობდეს ცეცხლს მას შინა, რათა ასწათ მათ საბრძნე იგი ნებროთისა: ეშმაქმა მართლია ასწავლა მას ყველა ის, რაც ნებროთმა ისწავლა იუნიტან გრძნეულისაგან და რომლითაც ის აკვირვებდა ყველას: ამის შემდეგ ანდიბან იწყო ვარსკედაყო-რიცხვად და გრძნებაჲ და პედას თხრობად და მანობად და ზღპრობად და კარა ყოვლისა ბიძგებისად ისწავა და ესე კელაფნებაჲ ეშმაქისად არს. ⁴ ამას გარდა ამ აპოკრიფიდანვე უნდა ჰქონდეს მას ამოღებული ცნობა ნებროთ გმირის შესახებაც (46, 2, 91, 3-4), ⁵ თუმცა ამ შემთხვევაში ის უფრო დამოკიდებულია მემატრიანზე. ნებროთის შესახებ მემატრიანე მოგვითხრობს, რომ მან განიზრახა ველზე აშენება მაღალი გოდლისა, რათა ადგიდეს და იხილნეს მყოფნი ცისანი; მაგრამ, როდესაც მან გაუღო საზღვარი ჰუკრისა და შევიდა საზღვარ-

¹) Н. М а р р ь, Древне-грузинские олошисы, стр. 16-17.

²) ე. თ. ყაიშვილი, ქართლის ცხოვრება მარია დედოფლის ვარიანტი, გვ. 786-816.

³) Древне-грузинские олошисы, стр. VI.

⁴) სიძე. მუხ. ხელნაწ. № 153, გვ. 140-143.

⁵) ქართ. ცხოვრ. მარია დედოფლის ვარიანტი, გვ. 812. 813. 835.

თა ვარსკვლავთასა, საიღანაც იწყებოდა კელმწიფება ტიტხდისა, იძულებული იქნა შეჩერებულიყო, და ესმა მუნით საზრახავა შვილთა გუჩდთა ზეცისათა და იქნა ეოველი თუთო კაცი ნათესავითურთ მეტუეველ თუთო ენასა... და დაუტევს ჰინდურად მზრახველნი ინდოეთს, სინდნი სინდეთს, ჰრომნი ჰრომა, ბერძენნი საბერძენთს, აგ და ჰაგუგ მაგუგეთს, სპარსნი სპარსეთს; ზოლო პარველი ენა ასურებრი იყო, და ესე არიან შვიდნი ენანი, რომელნი ნებროთისადმე ზრახვიდეს.¹ ყველაფე ეს გადმოუცია პოეტს შემდეგს ტაეპში: რის ენა შვიდი, მათთვის დამშვიდი, საზრახველ იყო სუღათა ეოველთა: ასურთა, ჰინდთა, რამთა და სინდთა, ბერძენთა, სპარსთა, გოგმაგოგელთა, მაშინდა ნებროთ ჰკუით სამისებრით გოდოლი ხელჰყო შენებად ველთა (91, 1-3). იქ, სადაც პოეტი ჩამოგვითვლის ძველისა და ახლის აღთქმის მწვალეებელთ, რომელთაც მისა ხოტბის გმირი პირს უყოფს (84, 85), ავტორი იძუარებს, განსაკუთრებით პირველს ნაწილში, ერთს საეკლესიო ნაწარმოებს, რომელსაც ეწოდება გალობანი მწვალეებელთა ეოველთა თუთუელის წვადების შეზუენებისანი და რომელსაც ჰგალოზდენ ეკლესიაში განქიქების მათისათჳს პირველსა კვირიაკესა წმიდათა მარხვათასა.² აი პარალელურად ეს აღვიღებთ:

შავთელი.

შვიდ წვადებითა შეცვადებითა
იუვენს ძე ღთაგან შობის დღის მზემელნი,
სადუკეველნი, ფარისეველნი,
მცნებათა სჯულსა არ კმა[შ]უოფელნი,
წეილთ მამაზონნი, თვისით მომგონნი,
სხენი დღათი დღე ნათლამდებელნი,
ნაზარეველნი, ხუთოსინელნი,
მასგან შეიქმნიეს პარდაყოფელნი.

(ბ4, 1-4)

ხუთოსინელნი, არმკერნი წინაღწარმეტუეველთანი; შეექუსედ-ნაზარეველნი, კორცის მწამელთა მასგანი და წინაღწარმეტუეველთა არ შემწენარებელნი; შუღჰე-როდასანი, ჰეროდეს ქრისტედ მეტუეველნი.³

ამის შემდეგ ჩამოთვლილია ორსავე ძველში ახალი აღთქმის მწვალეები, ხოტბაში — მაკედონიოსი, საბელიოსი, მანი, სამუსატელი და მომ-

გალობანი.

შუღ წვადებანი იუვენს ქუელ-
თაგან: პარველ — შვიგნობართაჲ,
სჯულ მცნებათა არა კმაყოფელნი,
სხუათაცა რათმე უწერელად მომ-
პოენნი; და ფარისეველნი, შობისა
დღისა მზემელნი; სამ-სადუკეველ-
ნი, აღდგომისა და სუღთა და ას-
კელოზთა უარისმყოფელნი. სხუ-
ანი დღითა დღე ნათლამდებელნი;

1) იქო. გვ. 140-141.

2) სიძვ. მუხ. № 85, ფ. 347-350.

3) სიძვ. მუხ. № 85, ფ. 347.

ფსევდელი (85), რომელიც საგალობლებშიც იხსენებინ სხვებთან ერთად. ეს საგალობლები შედგენილია ეპიფანე კვპრელის თხზულების 'Ανακρηψα-
 λαισας¹ მიხედვით, რომელიც, როგორც ვთქვით თავის ადგილას, ქარ-
 თულად უთარგმნია თეოფილე ხუცესმონაზონს მეთორმეტე
 საუკუნის პირველს მეხუთედში. შედგენილია ისინი, შეგვიძლია ვიფიქ-
 როთ, ქართველ მამათა მიერ, არაუადრეს, არის საბუთი, 1172 წ.² იოანე
 შავთელს ხელთა ჰქონია არა ეპიფანეს თხზულება თეოფილეს თარგმან-
 ში, არამედ თვით საგალობლები, რაც, სხვათა შორის, იქიდანა ჩანს, რომ
 ძველი აღთქმის მწვალებელთაგან საგალობლებში მეხუთე ადგილას ყო-
 ფილან ოსინელნი: «ხუთ—ოსინელნი» (ესე იგი, მეხუთედ—ოსი-
 ნელი), რაც შემდეგდროის გადამწერათვის, გაუგებრობის გამო, შე-
 ერთებულა და ქცეულა ხუთოსინელად (1:85); ხუთოსინელად
 გადმოუღია ისინი იოანე შავთელსაც.³ ამნაირად, აღნიშნული წყაროს
 მიხედვითაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ავტორი აბდულმესიანისა
 არაა დავით აღმაშენებლის თანამედროვე.

მესამე წყარო, რომლითაც უსარგებლნია იოანე შავთელს, არის
 სიტყუაჲ გრიგოლ ღმრთისმეტყუელისაჲ ივლიანსჲ შიშართ განდგომილისა გან-
 შაქიქებელი პირველი, რომელიც გადმოუღია დავით ტბელს. აქ ჩვენ
 ვკითხულობთ: გარნა მითხარდა, შენი არს, ელენობა? ანუ არა ფინიკელ-
 თანი არიანა წერილნი, და ვიარ ვიეთნიმე ირევან შეგპტულთანა გინა
 თუ უბრძნესთადა მათთა კბრაქლთანი? ⁴ ამ სიტყვებზე აუშენებია შავთელს
 შემდეგი ტაეპი:

ვსთქვა ფინიკელნი,
 არ აფრიკელნი,
 მათ ქმნეს წერილთა

მოგონებანი. (78, 1)

მეორე ტაეპი მისი (102, 1) — ჰარველ წერანი

და აწერანი
 ჰალამიდისგან
 მოპოვნებულ არს,—

¹) Migne PG. t. 42, 833-886.

²) 1103 წლის ხელნაწერში, რომლიდანაც მომდინარეობს სიძე. მუხ. № 85-ის მსგავსი
 გვლათის ხელნ. № 22 მეცამეტე საუკუნისა; ეს საგალობლები არ ყოფილა.

³) ასევე ვკითხულობს მას ნ. მარტიც, 34, 4. გვ. 103.

⁴) სიძე. მუხ. № 292, ფ. 198.

დამყარებულია იმავე ნაწარმოების შემდეგს სიტყვებზე: რაშეთუ საც-
ნურ არს, ჰაჯამიდი, მომზოკნებელი იგი ამითი, იუბოსელი იუო, რომელ-
მან მრავალნი სახნი მოიზოკნა დი ადძრნა ამას ზედა მომზონენი, რამელთა
ჰმურდა სიბრძნე იგი მისი.¹

დასასრულ, კიდევ ერთი საკითხი: როდისაა სახელდობრ დაწერი-
ლი აბდულმესიანი? დანამდვილებით ამისი თქმა ძნელია, მაგრამ,
უეჭველია, გიორგი ლაშას დაბადების შეკდევ. სიტყვებში—ძირით მისი-
სა, იესუსისა, შვილი მართალი იშვის ცხორებად ქაღწუღწმიდისა წიფხდომილისა სა-
ჭართველასა მეფედ წიღებად (16, 1-2), უნდა იგულისხმებოდეს გიორგი ლაშას
დაბადება. მართლაც, პოეტი მოგვითხრობს, რომ მართალი შვილის დაბა-
დების გამო იკითხვენ, სწერენ, იაუჟისა სჩარეკენ, რამელს ჰკვრენ, არჩევენ
ბედთა მათთაგან, მნათობნი მძაფრად სხივთა მისთაგან იწვიან, მზე მას
ვერ ეღრება და პირს არიდებს, ის დაფლათ-სვიანად სუფევს მზიანად, შვიდ-
თა მნათობთა გარმზღუდვითა;.... განათლდა არე მისთვის, ვით მთვარე, შობა
მისი ღხინად ეუფვის ყველას და არს მაწივ შკებით და განცხრობით (17, 18).
მემატიანეც გადმოგვცემს, რომ, როდესაც დაიბადა ერმა ახალი, ჰარველ-
საუკუნეთა განწყობული ძედ მეფისა, მეფედ შვილად ცხებულად დავითიანად,
იშვებდეს, იხარებდეს და იმთხვიდეს სამთხესა შანა ამის საწუთთაჲსა...
მნათობნი სცვივდეს მას და ენთებდა სული ზენისა სვეროლსა და მეტბედი
ბედსა ზედა და სჯანობა სუისა ზედა, მარჯუებანი უმეტესნი წარემეტეოდეს;
მაშინ, სხეთა შორის, იქმნა გალაშქება... ბედსა და სუისა ზედა ღამასა,
რამელი განმანთლუკლად სოფლისა ითარგმანა.²

ამნიარად, აბდულმესიანი ეკუთვნის თაპარ მეფის თანამედროვის
იოანე შავთელის კალამს, ის დაწერილია ლაშა გიორგის დაბადების შემ-
დეგ და შეაქებს დავით აღმაშენებელსა და თამარს.³

¹) ს ი ძ ვ. მ უ ზ. № 292, ფურ. 198.

²) პარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 447-448.

³) ბ. ი. აბდულმედი ჩენს შეხედულებას ხოტბაში შექმბულ პირთა შესახებ. რიმელიც
მან გიორგი და შვითვისა ჩენი ლექციებიდან (თუმცა იმ წყაროს ის პირდაპირ არ აღნიშნავს)
ხნის ისე, რომ აბდულმესიანი ორი იეტორის ნახელავია, რომელთაგან ერთი დავით აღმა-
შენებლის თანამედროვეა, ხოლო მეორე, იოანე შავთელი, თამარისაო (მე. XII საუკ. ქართული
საერო მწერლობა და მუშუხის-ტყაოსანი“, გვ. 237-239, ტფილისი 1923 (გარეთ) და 1922 (შიგ-
ნით). საკვარველია, რომ მას ვეუხსიან-სტყაოსანიც „ორის ძველი პოეტის ნახელავად“ მიანიი
(იქვე, გვ. 192). საბუთი?!

48 არსენ ბულმაისიძე.

არსენი, რომელიც, ს. კაკაბაძის გამოკვლევით,¹ კათოლიკოსობდა დაახლოებით 1224.—1233 წლებში არსენ მეოთხის სახელით, თვალსაჩინო მოღვაწეა მეცამეტე საუკუნის პირველი ნახევრისა; მის დროს რუსუდან დედოფალმა მიწერ-მოწერა დაიწყო რომის პაპის პონორი მესამესთან თათრების წინააღმდეგ დახმარების წესახებ. როგორც მწიგნობართუხუცესი, ის ალბად, განათლებული კაციც იყო, ამით აიხსნება, რომ მას მჭიდრო კავშირი ჰქონია იმდროის მეცენატებთან: ვარდან და აბუსერ აბუსერიძეებთან, რომელნიც იყვნენ შვილნი ერისთავთერისთვის ივანესი. ერთ დროს არსენი გელათშიაც ყოფილა, ვინაიდან ერთი მისი წერილი აბუსერის მიმართ გამოგზავნილია გელათიდან,² ხოლო საკათოლიკოზო ტახტის დატოვების შემდეგ უბრალო მწირად შიომღვიმეში დაბინავებულა. არსენი საკმაოდ ნაყოფიერი მწერალია, ზოგიერთი მისი თხზულება დაწერილია აბუსერისა და ვარდანის შეკვეთით; ის არის უმთავრესად ჰიმნოგრაფი, მას დაუწერია საგალობლები როგორც ქართველ წმიდათა და დღესასწაულთა სადიდებელად, ისე მსოფლიო ეკლესიისა. სხვა ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ არა მოგვეპოვებარა. ჩვენამდე შენახულან შემდეგი ნაწარმოებნი არსენ ბულმაისიძისა:

1) სვნაქსარი იამბიკური ოთხთა თთუეთანი: ფებერვლის, მარტის, აპრილის და მაისის, რომელთა გამოთქმა უთხოვია მისთვის აბუსერ აბუსერიძეს.³ ეს გაგრძელებაა იოანე პეტრიწის იამბიკური სვნაქსარისა, რომელიც მოყვანილია ფებერვლამდე (სექტემბრიდან), დაწერილია პეტრიწისავე სტილით და მეთოდით, ქართველ წმიდათა ხსენება შიგ არ არის.

2) უფალო დადატყუავსი, სტიქარონნი, წარდგომა, კანონი და აქედითი ხელთუქმნელისა და უხილავისა ხატისა, ვარდან აბუსერიძის თხოვნით გამოთქმული.⁴ აქ ჰიმნოგრაფი შეამკობს ჩვენში ანტონ მარტყმოფელის მიერ ედესით ხელთუქმნელი ხატის მოტანას, რაც გამოწვეულ იყო, ერთი მხრით, იმით, რომ ანტონის ღმრთაემსწავლულსა ეძუებოდა ღმრთისმბრძოლისა ნესტორას

¹) მე-XIII ს. პირველნახევრის საქართველოს კათოლიკოსნი, და კენ იყო და როდის ცხოვრობდა სარგის თმოველი,“ გვ. 10.

²) თ. უორდანი, ქრონიკები II, 108—110.

³) სიძვ. მუზ. № 84, ფ. 233—245.

⁴) სიძვ. მუზ. № 85, ფ. 287—293.

შეიძთა პერობად უხ: წყნდსა ხატსა, ხოლო მეორე მხრით-მაცხოვრის დიდის სი-
ეურ უღით ნათესავის მიმართ ჩუენისა. ავტორი ამის გამო ქება-დიდებას შეას-
ხამს ანტონი მარტყოფელს და მაცხოვარს და უჩუენებს დ დაზხრს ხატთა
თაყვანისცემისას; თუთ ჰიარშოდას ხატისა მიმართ აღიწუვის ჰატევი ქრისტეს ღმრ-
თისა ხატისაჲ, ვითარტა კობს ჩეტარი და დიღი ჰდღუღთმოძღუარი ბრძენი ბასი-
ლიო. ხელთუქმნელი ხატის ქართლად შემოსლვა, ჰიმნოგრაფთა აზრთ, არის
მამასწავტელი იმასა, რომ ქართველები წარმოადგენენ კრსა საზუპურო-
სა და ქართველთა საშუეფეო არასდა უმრწუქეს უო ღმერთმან, ამისათვის ის გუ-
ლის სიღრმიდან წამოიძახებს: ერხო ქართლისანო, გისაროდენ და აღიპურენით
კელნი და მადლობა შესწირეთ ხატსა ამას უოფლადუხრწყედსა კელითუქმნელა,
რამეთუ ესე არს სუკუფოდას ამას სიმტკიცე, ძალი და დიდებაჲ, და კობდით:
მონიჭე მეფესა ჩუენსა ძლეუაჲ, ქრისტეს ღმრთისა ხატო საშინელო.

ჰ) ძლისპარნი ზესთგამოთქემისა ხელთუქმნელისა ხატისანი 16
ავვისტოდას,—სრული კანონი, დაწერილი არსენის მიერ აბუსერ აბუსე-
რიძის შეხვეწით.¹ წინასავალობელში ავტორი შეამკობდა, როგორც
ვთქვით, ხელთუქმნელი ხატის ქართლად მოტანას ედესია ქალაქით ანტონ-
ნი მარტყოფელის მიერ; ეს ფაქტი, უცილობელი და ურკეველი ქართ-
ლის ეკლესიის რწმენით, ჰიმნოგრაფს აგონებს მაცხოვრის მიერ თაბო-
რის მთაზე ბუნებრივი ხატის ცვალებას, და ამიტომ ამ ჰიმნებს 6 ავის-
ტოს, ფერი: ცვალება დღეს, ჰგალობდა ჩუენი ეკლესია. ამავე დროს მსო-
ფლიო ეკლესია 16 ავკატოს დღესასწაულობდა სწორედ იმავე ხელთ-
უქმნელი ხატის ედესია ქალაქით კონსტანტინოპოლეს გადასვენებას;
ქართველები, რასაკვირველია, ამ დღესასწაულს ვერ უარჰყოფდენ, ამი-
ტომ საკვირველი არაა, რომ არსენის ამ დღესასწაულისათვისაც დაუწე-
რია ჰიმნები, რომლებთაც უფრო დოღმატური ხასიათი აქეთ: ავტორი
აქაც არკვევს ხატთა თაყვანისცემის დედაზრს, მიმოიხილავს მსოფლიო
მამათა მოძღვრებას ამ ჩუეულების შესახებ, არკვევს მაცხოვრის ღმერთ-
კაცობრივ ბუნებას, მაგრამ მას, ჩანს, მაინც აინტერესებდა საკითხი: რო-
გორ მოხდა, რომ ერთიდაიგივე ხატი ჩუენშიაც მოიტანეს და კონ-
სტანტინოპოლშიაც, სიყალბე ხომ არა არის რა აქო? არა,—ქალაქთა მზუ-
მან (კონსტანტინოპოლმა) ტიღოდა, ხოლო ქართლმან კეტვი დაიმკვდრა
სიმდიდრედ საცხოვრებლად კელთავან ანტონისათაო, ამბობს ის. მართლაც
ისტორიული მხარე ხელთუქმნელი ხატისა და მისი მისლვა-მოსლვა ჰიმნო-

¹) სიძვ. მუხ. № 85, ფ. 294—302

გრაფს წინასაგალობლებში ასე აქვს წარმოდგენილი: ქრისტემ დაკსნილს აგვაროზს ტილოსა ზედა დაუსუქდა უცვალებლად ხატი თვის, რომელიც მან კეცი დატყუა და კეციან კუთვად მსგავსა დაჭბეჭდა, რომელი ღირსისა ანტონის მიერ მადლაწებითა ზენაათა ქართლად მოგუენიჭა ჩუენს. მაშასადამე, კონსტანტინოპოლში გადაუტანიათ ედესია ქალაქით თვით ტილოზე აღბეჭდილი ხატი, ხოლო ქართლში მოუტანიათ ამ ტილოდან ეცხე გადმობეჭდილი პირი ამ ხატისა. ეს გარემოება საბოლოო აძლევს ჰიმნოგრაფს ეხლაც თქვას: სისარუჯით აღიტყუელენ კელნი ვ ქართულათა სემუფუგოთ, არასადა უმრწემეს ხარ ქალაქთა შორის ახდისა ისრაილისათა, ქართულათა მუფობათ, ისარუბდ და კანცსრუბოდე, და მიპართოს მაცხოვარს ვედრებოთ: მუყე მორწმენე, შენ მიერ გურგუნოსანი, განაჩენევე ძლევად მტერთა და გამათანე იგი მსჯედ ბარბაროზათ. ამ პატრიოტული გრძნობით ნაკარნახევი სიტყვების მიზანი უნდა იყოს მონღოლებისა და ჯალალ-ედინის შემოსევის გამო სულით დაცემული ქართველობის ვამნენეება.

4) ებისტოლე, მიწერილი გელათით აბუსერი აბუსერიძის მიმართ. როდესაც აბუსერ აბუსერიძეს უთხოვნია არსენისათვის ზემოდასახელებულ 16 აგვისტოს საგალობელთა დაწერა, არსენს საპასუხოდ გამოუგზავნია მისთვის ეს წერილი, რომელიც მაჩვენებელია მისი ელინური განათლებისა და ენაწყლიანობის. ის ეუბნება აბუსერს: შენი წინადადება მე მაცვიფრებს; მე კევი ვარ ურწუელი უღაბოაჲსა, შენ კი ჩემში ჰკონე მდინარე და მდიდრობა სიღოაჲსა; განა ის, ვინც მოჯდომია ტრ ხეხსა აღსავსესა, გლახავისა უბეთავან სასრებს განძლომასა? ანუ ვინ დაუტყვას თდესცა სამეფონი საწდენი, ტაკუენი და ფიალანი, აღსავსენი და გაუდ უოქემიდა მხრუტსა ჰერედრინთასა შთაწრედად? ვინ თქუას დატეუებად წყალთა ჰანტოაჲსათა და მისწრაფებად ფრეთათა უქმთა არაბიაჲსათა? მე თუქცა ვიცი, ვითარჲედ უოველი წერილი ძეგლი არს მეტუეელი, გამომაჩინებელი აღწერედისაჲ საუკუნოდ, რომელისაჲე საქმეჲდ ეოფედ, ხოლო სხვას განქიქებად უმერე ის, ვიცი ისიც, რომ იოანე ოქროპირის არ იყოს, რომელთა არ სუჯისა წმიდისა მიერ მოედოს და რიტორობდენ, მსგავს არიან ბრძისა, კელელთა მფეშუებელისა. — მაგრამ ვიძლეე და შენს თხოვნას ვასრულებო.

5) საგალობელნი შიო მღვიმელისა: ა) მოკლე დასდებელი, ² ბ) დაუჯდომელი მისი და გ) კანონი; ³ მასვე უნდა ეკუთვნოდეს მო-

1) სიძვ. მუხ. № 35, ფ. 302-303, თ. ყო რ დ ა ნ ი ა, ქონიკები II, 108-110.

2) ვ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ძველ ქართული სასულიერო პოეზია, გვ. ტმბ-ტმგ.

3) საქართ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგ. ზელნ. № 1349, სიძვ. მუხ. № 365.

კლე სვინაქსარული ცხოვრება შიო მღვიმელისა, რომელიც გამოცემულია თ. ჟორდანიას მიერ.¹

6) საგალობელნი წმ. ნინოჲსა: დასდებელნი „უფალო ლალატყუავისანი“ და კანონი, რომელსაც შემდეგი აკროსტიხი აქვს: ქებთ უგალობსასსას ჩემს ნანოს. არსენი;² ეს საგალობლები დაბეჭდილს სადღესასწაულო შიაც შესულან.

7) აწდა აქებდითსა ზედა წმ. გობრონისა და ესტატე მცხეთელისა (სადღესასწაულო ში).

8) იამბიკო ღეთისმშობლის სახელობისა.

ზ. კიკინაძის გადმოცემით,³ არსენის დაუწერია კიდევ თითქოს კრება, რომელიც შეიცავს მსოფლიო და ადგილობრივი კრებათა ისტორიას, და ბრწყინვალე კვირა, რომელიც განმარტავს აღდგომის ბრწყინვალე მნიშვნელობას ქრისტეანეთათვის. მაგრამ, ჯერ ერთი, ასეთი თხზულებანი არ ვიცით არსაიდან, მეორე და უმთავრესი: სხვა თავის თხზულებებში აღნიშნულ შრომებს ზ. კიკინაძე სულ სხვა მწერლებს მიაკუთვნებს: კრებას—მიხეილ კათოლიკოსს,⁴ ხოლო ბრწყინვალე კვირას—აბრაამ ეპისკოპოსს,⁵ ასე რომ ეს ცნობა ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია.

49. საბა სვინგელოზი.

საბა სვინგელოზი ყოფილა კარის (ყარისი?) ეპისკოპოზი, თანამედროვე კათოლიკოზის არსენ ბულმაისიძისა და ძმათა აბუსერიძეთა: ვარდანისა და აბუსერის. ჩვენ არ ვიცით, ეს საბა სვინგელოზი ჰყავს მხედველობაში ზ. კიკინაძეს, თუ სხვა, როდესაც გადმოგვცემს, რომ ის იყო ჯავახეთიდან 1102—1158 წლებში, მოღვაწეობდა ათონზე და დაწერა: 1) კანონი მართლმადიდებელი ეკლესიის ზოგიერთი წესებისა, 2) ცხოვრება და ვით აღმაშენებელისა და 3) გადმოთარგმნა ელინურიდან ირმოლოლიონიო;⁶ ყოველ შემთხვევაში ჩვენს საბაზე, კარის ეპისკოპოზზე, ეს არ ითქმის. არც კლ. იოსელიანი ა მართალი, თუ ჩვენს სა-

1) ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრისა. გვ. 70. ტფილისი, 1896.

2) სინტ. სავთნოგრ. სახ. ხელნ. № 1349, ფ. 3—9.

3) ქართული მწერლობა XIII—XVI ს., გვ. 1—2.

4) ქართული მწერლობა XII ს., გვ. 24—25.

5) ქართული მწერლობა XIII—XVI ს., გვ. 22—23.

6) ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, გვ. 27—28.

ბას ჰგულისხმობს, როდესაც შენიშნავს, რომ საბა სინკელი ცხოვრობდა 1150 წელს და გარდმოიღო ბერძნულიდან ირმოლოლი ანუ ძლისპირი, რომელსაც ხმარობს აწ ეკლესია ქართველთაა.¹ საბა სვინგელოზის, კარის ეპისკოპოსისაგან, შენახულა მხოლოდ გაჯობანი ქრისტეს განგებულებისა და განკაცებისანი, რომელთა აკროსტიხი ამბობს: ქრისტე, ღმრთის ხატო, მეფე ექმუნ ფარდანს,² ესე იგი ვარდან აბუსერიძეს, რომლის შეხუეწით, როგორც საგალობელთა წარწერაშია აღნიშნული, შეუთხავეს მას ისინი. ამის მეტი არც ანტონ კათოლიკოსსა სკოდნია საბას შრომებიდან, ვინაიდან ის პირდაპირ ამბობს: საბასგან ქმნილი ყნახენ კანონი რამე, კეჯითუქმნულის ხატისათჳს ძნობილი.³ ამ კანონში, ლაპარაკია მაცხოვრის განკაცების შესახებ, როდესაც მან გვიჩვენა ჩვენ ბუნებით მამული ან პირამშო ხატი თვისი; ეს ხატი, ან, უკეთ რომ ვთქვათ, განკაცება მაცხოვრისა, ჰიმნოგრაფს აგონებს ხელთუქმნელს ხატს, რომელიც აღმოუკანებულ იქმნა ედესით ქართლად ქრისტეს საკუთარის ან მეგობრის ანტონის მიერ. კანონი, როგორც კათოლიკოზი ანტონიც შენიშნავს, საკურგელი, მშუენიერი ფრასითაა დაწერილი და უხეშობით განკარგული.

50 აბუსერიძე ტბელი.

აბუსერიძე ტბელი ყოფილა დიდიგვარის კაცი, ძე ხიხთა-აქარის ერისთავთერისთვის ივანესი და ძმა ზემოხსენებულთ ვარდანისა და აბუსერისა. სახელწოდება ტბელი გვაფიქრებინებს, რომ ის იყო მტბევარი ან ტბეთის ეპისკოპოსი; ის ნიქიერი, განათლებული და ნაყოფიერი მწერალი ყოფილა ამასთანავე. მის თხზულებათაგან ჩვენამდე შენახულან შემდეგნი:

1) სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისანი.⁴ აქ აღწერილია: ა) ოპიზის მახლობლად ვინმე ბასილის ან ბაჩილას, ანდა ბოლოკ-ბასილას მიერ, წმიდა გიორგის ბრძანებით, მის სახელზე ეკლესიის აშენების ამბავი; ბ) ალავერდის წმ. გიორგის სასწაულთმოქმედება, გ) აღამიანის დახსნა ტყვეობიდან წმ. გიორგის მიერ, დ) ხვარაზმელთა შემოსევა საქართველოში და ქვეყნის აოხრება, ე) ხიხთა ეკლესიის აგება, გაფარ-

¹) წყობილსიტყვაობა ანტონ კათოლიკოზისა, შენიშვნა 142.

²) სიძგ. მუხ. № 85, ფ. 304—307.

³) წყობილსიტყვაობა, ტაეპი 764.

⁴) სიძგ. მუხ. № 85, ფ. 851—962, თ. ყორდანიო, ქრონიკები, II 112—122.

თოვება და შემკობა. ზოგი რამ, რაც აქ აღუწერია აბუსერიძეს, მიუთხრეს მას ბაჩილას შვილის შვილმა იოსებმა და მისმა მახლობლებმა. მართალია, ავტორს მიხნადა ჰქონია წმ. გიორგის სასწაულთმოქმედების აღწერილობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს თხზულება საყურადღებო საისტორიო წყაროდ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან იქაში წარმოდგენილია იმდროინდელი საქართველოს ყოფა-ცხოვრების სურათები.¹

2) ქორნიკონი სრული მსითა სუწყებეფითა და განგებითა,² რომელსაც რალაც გაუგებრობით, ზოგიერთნი ამდებან იოანე შავთელს მიაწერდენ. იოანეს ის არ ეკუთვნის, ვინაიდან ავტორი მისი პირდაპირ ამბობს, რომ მან თავის შრომას თავსა და ბოლოში დართო იამბიკონი იოანე შავთელისა, ამას გარდა შიგ თხზულებაშიც იხსენიებს ის სანთელსა სულეირისა ფილოსოფოსობისსა, წმიდასა შავთელსა, შეწყობითა იანბიკონთაჲთა კეთილად და ღმრთივშუქნიერად წარმომჩინებულსა ზოგიერთა მისთვის საინტერესო აზრებისას.³ ეს არის ვრცელი ტრაქტატი, რომელშიაც განმარტებულია ეგრედწოდებული ასურული კვანკლოსი; ტრაქტატი მდიდარია სხვადასხვა კალენდარული, არითმეტიკული და განსაკუთრებით ასტრონომიული ტერმინებით, აქ რომ სრული საბუთი ჰქონდა ბროსეს ეთქვა ამ შრომის გამო: „ქართველებმა 1233 წელს (როდესაც დაუწერია ის აბუსერიძე ტაბელს) უკვე იცოდენ ნახევარი იმ ცთომილებისა, რომელმაც 1582 წელს პაპი გრიგოლ XII აიძულა შესდგომოდა კალენდრის შესწორებას“. საყურადღებო უფრო ისაა, რომ ავტორი შეცდილა შეეფარდებია ერთიმეორისათვის ქართული და ბერძნული წელთა აღრიცხვა და პასქალისტური სისტემა და შეძლებისადაგვარად შეეთანხმებია ისინი. ამ შრომაში ჯერ წარმოდგენილია 532 წლიანი დიდი ინდიკტიონი, რომელსაც შემდეგი განმარტებანი, აქვს დართული: 1) ზედნადებისათვის, 2) უწყებაჲ დიდისა მცხრალისა, თუ რაჲთა დაიყენების დიდი იგი პასექი და ცხოველსმყოფელი აღდგომაჲ, 3) დიდისა მცხრალისათვის, 4) მარხვის დაყენებისათვის, 5) უწყებაჲ დიდის საძიებელთათვის თუ რაჲსა მიზეზისაგან შეიქმნებან, 6) მიზეზისათვის თუ რად მოიკმარებიან ზედნადებნი, 7) უწყებაჲ დასაბამითგანთა წელთაჲთაგან მასწავლებელი, 8) ძიებისათვის და შემოაწმებისა ბერძენთა და

1) ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 191.

2) სიძვ. შუბ. № 85, თ. 317-345, M. Brosset, *Etudes de chronologie technique*, p. 24-32.

3) Brosset, *ibid.* p. 33.

ქართველთა სათულაღვისა, თუმცა, როგორც დავინახეთ, ამ ტრაქტატში, სხვათა შორის, დღის საძიებელთათვისაც არის ლაპარაკი, მაგრამ ავტორს საკაროდ მიუჩნევია „განცხადებულესადრე გამოთქუაჲ“ მისი და ამიტომ საგანგებოდ განუმარტავს ეს მუხლი იმ-ვე ხელნაწერის მეორე ადგილას.¹ ამ შრომაში საყურადღებოა აბუსერიძე ტბელის ესქატოლოგიური რწმენა იმის შესახებ, რომ ქვიცნის გაჩენიდან შვიდი ათასი წლის განსრულების შემდეგ, სახეოდობრ 1392 წელს, ქეოვეჯ მოსლვა და ქვეცნის აღსასრული უნდა მოხდეს.²

3) აბუსერიძე ტბელს შეიძლება ეკუთვნოდეს აგრეთვე გალობანი სამთა იოანეთა: ნათლისმცემლისა, მახარებლისა და ოქროპირისა ერთმოსეხნეობისათვის მათისა,³ ყოველ შემთხვევაში ის ამბობს, რომ ეს საგალობელნი მის მიერაა შემატებული ხელნაწერში № 85, რომელშიაც მას სხვა ავტორთა ნაწარმოებნიც მოუქცევია.

51. პეტრე გელათელი

პეტრე გელათელის შესახებ, რომელსაც მესამე პერიოდის მწერალთა შორის ქრონოლოგიურად უკანასკნელი ადგილი უკავია,⁴ ბიოგრა-

1) სიძე, მუხ. № 85, ფ. 231—232.

2) კ. კეკელიძე, ესქატოლოგიური მოტივები ძველს ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში, ჩვენი მეცნიერება, I, გვ. 59—65.

3) სიძე, მუხ. № 85, ფ. 218—230. გელათ. № 22, ფ. 1—2

4) იმ მწერალთა გარდა, რომელნიც ჩვენ ჩამოვთვალეთ მესამე პერიოდისა, ანტონ კათოლიკოზი თავის „წყობილსიტყვაობაში“, პლ. იოსელიანი „წყობილსიტყვაობის“ სქოლიებში და ზ. ქიქინაძე თავის თხზულებაში „ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში“ უჩვენებენ რამდენიმე პირთ, რომელთაც თითქოს მწერლობის ასპარაზზედ უმოღვაწიათ; სამწუხაროა, ისინი არ აღნიშნავენ წყაროებს, საიდანაც ასეთი ცნობები, ამოვლიათ, თხზულებები კი, რომელნიც მათ აქვთ ჩამოთვალაი, ან სრულიად არ შენახულან ჩვენამდე, ანა და, დანამდვილებით ვიცით. სულ სხვა პირთ ეკუთვნის. ასეთებია მათი ცნობით: 1) ზაქარია მირდატიძე, რომელსაც ანტონ კათოლიკოზი უწოდებს „წიგნთ მეთარგმანეს“ და რომელიც პლ. იოსელიანის ცნობით 1008—1014 წლებში ცხოვრობდა (წყობილსიტყვაობა, ტაეპი 702, შენიშ. 123). იოსელიანი ამბობს, რომ ზაქარიამ აღწერა სტოდირი, მეტაფრასტი ნიკოლოზ საკვირველთმოქმედისა და ღვთისმშობლის მიძინებისა და საუენჯე კირილე აღექსანდრიელისაო. თუ „აღწერა“ გადმოწერას ნიშნავს, ეს ცნობა შეიძლება მიღებულ იქმნეს, ვინაიდან ზაქარია მირდატიძეს ჩვენ ვიცნობთ როგორც ერთ-

ფიული ცნობებია არა გვაქვს. ანტონ კათოლიკოზი პეტრეს უწოდებს ფილო-სოფოსს, რიტორს და ლეთისმეტყველის და ადარებს მას იოანე პეტრიწსს, არ სენ იყალთოცლს და ეფრემ მცირეს. (წყობ.-სიტყ. 768 — 769). პლ. იოსელიანი ის სიტყვით პეტრეს, რომელიც 1250 წლის ახლო ხანებში ცხოვრობდა და გეოათის მონასტერშია დასაფლავებული, დაუწერია, თუ უთარგმნია, შემდეგი თხზულებანი: 1) სატყუა განხორციელებისათვის ძისა ლეთასა, 2) ქალწულებისათვის ვასილი დიდისა, 3) „მოწამეობისა გვრგვნი განსაძნეველად აგარიანთაგან დევნილ ქართველებისა, 4)

ერთ დაახლოებულ პირს ექვთიმე ათონელთან (ათონის კრებული, გვ. 62), რომელიც თავის დროს უმთავრესად წიგნების გადაწერას ანდომებდა; ხოლო „აღწერა“ თუ თარგმნას ჰკულისხმობს, ეს ცნობა უკუგდებულ უნდა იქმნეს, ვინაიდან ჩამოთვლილი თხზულებები სულ სხვა პირთა მიერაა თარგმნილი. 2) გიორგი ოლთისელი, პლ. იოსელიანის ცნობით გარდაიცვალა ათონის მთაზე 1072 წელს, მან გადმოთარგმნა ბერძნულიდან ტიბიკონი საბაგანწმედლის მონასტრისა, სიტყვანი მაქსიმე აღმსარებლისა და ოქროს წყარო იოანე ოქროპირისაო. გიორგი ოლთისელი არის ცნობილი წინამძღვარი ათონის ივერიის მონასტრისა, რომელიც ამ თანამდებობაზე აყვანილ იქმნა გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალების შემდეგ. ის არამც თუ 1072 წელს, 1074-საც ცოცხალი იყო, ვინაიდან სწორედ მის მამასახლისობაში, 1074 წელს, გადაუწერია მიქელ დაღალსონელს ცნობილი ათონის კრებული (სიძველ. მუხ. ხელნაწ. № 558, გამოცემა მუხ. კომიტეტისა, გვ. 175). ხელნაწერთა მინაწერებიდან ვტყობილობთ, რომ გიორგის ბრძანებით ხშირად გადაიწერებოდა ხოლმე ესა თუ ის თხზულება, მაგრამ იმას რომ თვითონ ეთარგმნოს რამე, არსაიდან არა ჩანს; კერძოდ, ტიბიკონი საბაგანწმედლისა ქართულად ითარგმნა არა უადრეს მეთორმეტე საუკუნისა (K. Kekelidze, Литургические грузин. памятники, стр. 507 — 510); „სიტყუანი“ ან თხზულებანი მაქსიმე აღმსარებლისა გადმოღებულია ექვთიმე ათონელისა და პეტრიწონელების მიერ, რაც შეეხება იოანე ოქროპირის ოქროს წყაროს (წ.-კითხ. ხელნ. №№ 2436; 2600, 3650), ის შედგენილია მე-15 საუკუნეში გაბრიელ მცირის მიერ და საბუთს იმსას, რომ ის გიორგი ოლთისელის მიერაა ნათარგმნი, ვერსად ვპოულობთ. 3) იოანე პატრიკ ყოფილი, ანტონ კათოლიკოზის ცნობით, იყო დიდებული მთავარი, რომელიც მერე ბერად შემდგარა, ამასთანავე „წიგნთა თარგმანი“, „ფილოსოფოსი საღმრთო“ და „ბერძენთა შორის კება-სხმა განსმენილი“ (წყობილსიტყვაობა, ტაეპი 725-726). ეს იოანე მოხსენებულთა: გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფიაში, სადაც ნათქვამია, რომ მას „ფრიადითა შრომითა და გულსმოდგინებითა“ აღუწერია გიორგის მიერ თარგმნილი თხზულებათა, „ჯანდუკი და ანდერძი“, „რაეამს იგი თავისა თვისისათვის გარდაიწერნა წმინდანი ესე წიგნნი“ (ათონ. კრებ. გვ. 311), მაგრამ მას რომ თვითონ ეთარგმნოს რამე, არსაიდან არა ჩანს,

გრიგოლ ნაზიანზელის 186 მუხლიანი სიტყვა სტიხად (წერ. კით. № 279, გვ. 103—119), 5) დასდებელ-საგალობელნი წმიდათანი და 6) ლექსი იამბიკოდ ღვთისმშობლის პატივად (წყობილსიტყვაობა, შენიშვნა 144; ზ. კიკინაძე, ქართული მწერლობა XIII—XVI ს. გვ. 2).

ვერ ვიტყვით, რამდენად სანაოა ეს ნუსხა, ვინაიდან აქ ჩამოთვლილი თხზულებანი, გარდა მეოთხისა, არსად არ შეგვხვედრია. თუ მეოთხე მართლა პეტრეს ეკუთვნის, იმავე უნდა ღივაკუთნოთ ის 24 იამბიკო გრიგოლ ღვთისმეტყველისა, რომელიც ჩვენ გვაქვს წერ. კითხ ხელნაწერში № 379.

პლ. იოსელიანიც კი არას ამბობს ამის შესახებ. 4) ანტონი მნათი, რომელიც პლ. იოსელიანის ცნობით გარდაიცვალა 1085 წელს, ანტონ კათოლიკოზის სიტყვით ყოფილა „წიგნთა თარგმანი, სიბრძნისმოყუარე, ღვთისმეტყველი და რიტორი“ (წყობილსიტყვაობა, ტაეპი 715—716); პლ. იოსელიანი გვამცნებს, რომ ანტონს დაუწერია ექვთიმე ათონელის საგალობლებიო. ექვთიმეს საგალობლები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაუწერიათ ზოსიმესა და ბასილს, შეიძლება ანტონსაც შეეთხზას რაიმე ამის მსგავსი, მაგრამ ვერსად ასეთ საგალობლებს დღესდღეობით ჩვენ ვერ ვპოულობთ. 5) მიხეილ კათოლიკოზი, რომლის შესახებ ცნობები მხოლოდ ზ. კიკინაძეს დაუბეჭდია (ქართული მწერლობა მეორემეტყველ საუკუნეში, გვ. 24—25), აღზრდილი ყოფილა საქართველოში, უმგზავრია იერუსალიმში, ათონის მთაზე და სანშობლოში დაბრუნების შემდეგ თავი გამოუჩენია, როგორც სომეხთა წინააღმდეგ პოლემისტს. მიხეილს, რომელიც, კიკინაძის ცნობით, 1114—1171 წლებში ცხოვრობდა, დაუწერია: „მამათა კრება“, — მოთხრობა მსოფლიო კრებათა შესახებ, რომელიც თითქოს მეფერამეტყველ საუკუნეში დაკარგულა, „გვრგვნი“, რომელიც მეცამეტე საუკუნეში დაკარგულა და მერე სხვას უთარგმნია ხელმეორედ, ცხოვრება სოფრონ პალესტინელისა და დავით აღმაშენებელის ძის, დიმიტრი მეფისა. მეორემეტყველ საუკუნეში ჩვენ ვიცით მხოლოდ ერთადერთი კათოლიკოზი მიხეილი 1178—1186 წლებში, რომელიც ცნობილია მხოლოდ თავისი უარყოფითი მხარეებით და არაფერი მწერლობაში არ გაუკეთებია. საიქვოა თვით სია მიხეილის თხზულებათა, ყოველ შემთხვევაში ჩვენს მწერლობაში, რომ „მამათა კრების“ მსგავსი თხზულება არ ყოფილა, ამას ამოწმებს. სხვათა შორის, ტიმოთე მიტროპოლოტი თავის „მარწუნის“ შესავალში, თან ამ თხზულების თარგმანს ზ. კიკინაძეს სხვა ადგილას (ქართული მწერლობა XIII—XVI ს., გვ. 1—2) აკუთვნებს კათოლიკოზს არსენი ბულმაისიძეს. 6) თეოდორე ქართველი, ზ. კიკინაძის ცნობებით, ცხოვრობდა 1101—1181 წლებში; ის აღიზარდა იერუსალიმში ჯვარის მონასტერში, ზედმიწევნით შეუსწავლია ბერძნული ენა, ასე რომ ბერძნებს ნიკომიდიის კათედრაზე აუყვანიათ ეპისკოპოზად. თეოდორეს უთარგმნია შემდეგი წიგნები: სხარება ლუკასი და მარკოზისი, სამოციქულო, სტოდიერის მონასტრის მარხვა-

ერთად ერთი შრომა პეტრესი, რომელსაც მისი სახელი აწერია, არის თარგმანი ოიანე სინელის კლემენტისა პატრიარქ-ფოტის სქოლიებითურთ (სიძვ. მუზ. № 39). ამ თარგმანს ბოლოში დართული აქვს იამბიკო, რომლის კიდურწერილობა ამბობს: კიბეღ ვინაჲ ცად მიმაჲდენ წარმომართე. აგრეთვე მას აქვს ორი მავგვლიეწარწერა, ერთი იამბიკოს გარშემო, რომელიც ასეთ ფრაზას გვაძლევს: კიბე განსთაღე კეფათს ნაკები, მეორე—ჰეტრე წყრად ვეცადე. უფრო მკაფიოდ პეტრეს მთარგმნელობას ამჟღავნებს შემდეგი იამბიკო:

აჰა შენთაცა, დიდო, იქართლეს კუაღად
 ძიბე ხარისხთა, ცად მეკანთა, იოანნი
 ონებისა ღუქსთა, ქრისტეს ქუესწორ ჟამ რიცხვთა
 შენ სუდსახელმან, შენ ღეწამან ინება რა
 სძღის უფან: მათი. ჰეტრესგან ჩერგუდისა ¹

[ნი], წიგნი „ფუტკარი“ და „მარგალიტიდან“ გამოკრებილი ადგილები (ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, გვ. 27) თეოდორეს პიროვნებასაც რომ დავანებოთ თავი, თვით სია მის მიერ ნათარგმნ თხზულებათა პირდაპირ ფანტასტიკურია: სახა-ოებისა და სამოციქულოის უკანასკნელი თარგმანი ეკუთვნის ქართულ მწერლობაში გიორგი მთაწმიდელს, ეფრემ მცირეს და იოანე ჭიჭიშელს, არავითარ იოანეს ან სხვა ვინმეს ისინი მერე არ უთარგმნია. „სტოდირის მარხვანი“ გადმოთარგმნა გიორგი მთაწმიდელმა, „ფუტკარი“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, — მამა სტეფანე ათონელმა, ხოლო „მარგალიტის“ ზოვიერთი ნაწილი უნდა ეთარგმნოს ექვთიმე ათონელს; ყოველ შემთხვევაში, ეფრემ მცირის მოწმობით, „მარგალიტი“ (სინას მთის ხელნ. № 85, სიძვ. მუზ. № 50) უკვე მეთორმეტე საუკუნეში იყო გადმოთარგმნილი (თ. უორდანი, ქრონიკები I, 218). 7) გიორგი კჟონდიდელი გამოჩენილი საეკლესიო და სახელმწიფო პოლევანე მეთორმეტე საუკუნის დასაწყისისა; ეს იქიდანაც ჩანს, რომ რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერა“ მას ჰხადის „თუთლად წმიდისა ამის კრებისა“ (თ. უორდანი, ქრონიკები II, გვ. 71). 1103—1110 წლებში გიორგის კჟონდიდელობა მიუღია, ვინაიდან რუის-ურბნისის კრება 1103 წლისა მას ჯერ კიდევ უბრალო „მონაზონად“ იხსენიებს, ხოლო სამშვილდისა და ძერნას ალებისას, 1110 წელს, ის უკვე კჟონდიდელადაა მოხსენებული (პროფ. ი. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, II, 511); გიორგი რომ გამოჩენილია მეცნიერი და მწიგნობარი ყოფილა, ამას მისი თანამდებობა „მწიგნობართ უხ. ცესოა“ ყველაზე მეტად აქტიციებს და ამისათვის სრულიად საჭირო არაა მას მივაწეროთ რაღაც „ალაპი“ და „სიმონ კანანელისა და ანდრია მოციქულის ცხოვრება“, როგორც ამას სჩადის ზ. ჭიჭინაძე (ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, გვ. 29), მით უმეტეს, რომ გიორგი თავის თხზულებაში „სიმონ კანანელისა და ანდრია მოციქულის ცხოვრების“ დამწერად ზ. ჭიჭინაძე მეთორმეტე საუკუნის მოღვაწეს, ვილა მასილ მთავარეპისკოპოსს, სთვლის (ქართული მწერლობა XIII—XVI ს. გვ. 23).

¹) სიძვ. მუზ. № 39. № 711, ფ. 105.

თუმცა იოანე სინელის კლემასის ნათარგმნი იყო ექვთიმე ასონელის მიერ, მაგრამ ის ჩვენს მწერლობაში ულტრაბიზანტიური მიმართულების დამყარების შემდეგ, განსაკუთრებით პეტრიწონულს სალიტერატურო წრეებში, მკითხველებს არ აკმაყოფილებდა, ვინაიდან სიტყვასიტყვით კი არ იყო ნათარგმნი, არამედ ექვთიმესებურად, თავისუფლად და პარტიულად. ამიტომ პეტრეს კვლავ ვადმოუთარგმნია იგი გელათში (ჩემი გელათის ნაგობი¹) და დედნად აულია ისეთი რედაქცია, რომელსაც თანდართული ჰქონდა ფოტი პატრიარქის სქოლიები. ამ თარგმანიდან ნათლად ჩანს, რომ პეტრე მიმდევარი ყოფილა პეტრიწონული შკოლისა, რომლის ნორმებს ჩვენ ვხედავთ ამ თარგმანის ყოველს სტრიქონში.

52. შაკარი მღვდელი.

მესამეტე საუკუნეში უთარგმნიათ ქართულად ცხარება და შაკაქაქობა წმიდისა და ნეტარისა შამისა ჩუენისა პეტრე ქართველისა, რომელი იყო ძე ქართველთა მეფისა.¹ პეტრე იყო ძე მეფის ვარაზ-ბაკურისა და ერისკაცობაში მურვანოზი ერქვა. დაიბადა ის 412 წელს და, როდესაც 12 წლისა შეიქმნა, თეოდოსი იმპერატორმა კონსტანტინოპოლში გაიწვია მძევლად, რათა ქართველები სპარსელებს არ მიჰკერძებოდნენ. აქ, სასახლეში, მან შეისწავლა ბერძნული ენა და ყოველგვარი მეცნიერება, მაგრამ, ვინაიდან სასახლის ცხოვრება მას არ აკმაყოფილებდა, ადგა ღამე და გაიპარა იერუსალიმში, სადაც სხვადასხვა მონასტრებში მოღვაწეობდა. მეხუთე საუკუნის ნახევარში ის აირჩიეს მაიუმის ან გაზის ეპისკოპოსად: ის ცნობილი იყო როგორც მიმდევარი მონოთეიზიტთა იდეოლოგიისა, თუმცა აქტიურ მებრძოლედ არასდროს არ ყოფილა; გარდაიცვალა პეტრე 488 წელს. მისი ცხოვრება მეხუთე საუკუნის გასულს თუ შეექვსეს დამდეგს აუწერია მის მოწაფეს და თანამხლებელს შაკარიას, ქართველს, ასურულ ენაზე (ცხოვრება, გვ. 2—3), ხოლო ქართულად უთარგმნია ვილაც მღვდელს შაკარის. ამის შესახებ ცხოვრებაში ნათქვამია: ესე ცხარება წმიდისა და ნეტარისა შამისა ჩუენისა პეტრე ქართველისა ამას კურთხეულს შაკარიას, მოწაფეს მის წმიდას პეტრესსა, ასუ-

¹ П. Магунъ, Жизнь Петра Исврт, царевича-подвижника и епископа Майюмскаго, Православ. Палест. Сборникъ, т. XVI, вып. 2, Петерб. 1896 г.

რეზონანს ადუწერა, ვინაჲღან ფრიად მეტნიერ უოფილა მათსა ენასა და კუადად რამეთუ ჰაღესტინეს ასურნი მრავალნი არიან და დიდ და უფროსად ქალაქსა მაიუმისასა, სდა იგი წმიდა ჰეტრე მდღეფთმომდღერობდა. ხალხო მე, გლასკამან მაკარ ხუტესმან, კადმოფთარგმნი ქართულად ასურთა ენისგან, რამეთუ ფრიად მეტნიერ ვიუფ მეცა მათსა ენასა (გვ. 52—53).

მაკარის თარგმანი ჩვენამდე პირვანდელი სახით არ შენახულა, მისთვის რედაქცია გაუკეთებია ვილაც პავლე დეკანოზს, რომელიც ამბობს: წმიდანო ღმრთისანო და მამანო ღმერთშემოსილნო... ღოცვა ვაუთ ჩემთვისცა ზაფლე ხუტისა და დეკანოზისა, დადაცაუ წერა არა ვიცოდი, არამედ გულისმოდგინება ფრიად მაქუნდა... ღმერთმან უწიეს, თუ რა ჭირი მინახავს ამის წმიდის... ცხორებისა წერასა და ხუ შემიწუხდებითა—გადამიფრცველებია შესავალითაცა და სასწაულთა მიწეებითა და ბოლოს კეთილად დასრულებით (გვ. 53). ყოველივე ეს პავლეს ჩაუდენია იმიტომ, რომ დედანი, რომელიდანაც ის სწერდა, აშლილი და უთავბოლო ყოფილა, საეკლესიოდ საკითხავი წიგნი კი არა აშლილი გამსო, ამბობს ის; მართლაც, პავლეს უნდა ეკუთვნოდეს წინა და ბოლოსი ტყუაობა (თ. 1 და 70). პავლეს რედაქციიდან ვილაცას გადმოუკეთებია მოკლე სუნაქსარული რედაქცია და ამ უკანასკნელიდან ვახანგ შეექვსეს, როდესაც ის ჯერ კიდევ ბატონი შვილი იყო, მამასადამე, 1711 წლამდე, შეუტანია ქარლის ცხოვრებაში (გვ. 139).

როდის თარგმნა მაკარი მღუდელმა ასურული ცხოვრება ქართულად? ცხოვრებაში ნათქვამია, რომ ნათლისღებას ბერძენთა მეფედელთალი წარვიდენ სალოცავად წმიდად ეკლესიად სოფიად (გვ. 7), რომელიც იუსტინიანე კეისარიმ ააშენა მეექვსე საუკუნეში; ცხოვრებაში მოხსენებულია ნიკიტას სამართო ფილოსოფოსი (+ 890 წ.), თხზულება მიმასლფანს და ქადაგებანი ანდრია მოციქულისანი (გვ. 3), რომელიც ქართულად მეთვე საუკუნის გასულს ითარგმნა ექვთიმე ათონელის მიერ; აქვე გვხვდება ცნობა ნინოს ქადაგების შესახებ (გვ. 3), რომელიც IX—X ს. იკიდებს ფეხს ჩვენში; მას შემდეგ, ნათქვამია აქ, არა შიღრევილ არს ქუეყანს იგი ქართლისა წმიდისა და მართლისა სარწმუნოებისაგან და არცა შიღრეკეთ უკუნისამდე მადლითაჲე წმიდისა სამებისაო (გვ. 3—4). ეს ადგილი გვაგონებს რუის-ურბნისის კრების (1103 წ.) ძველი სწერის სიტყვებს: არცა განგვეთ შენ, სიქადულო ჩუენო მართლმადიდებლობაო, რომელსა არცა განმცემელ ქმნილ ვართ, ვინაიდან შეუტანებას შენსა ქმნილ ვართ.¹ ამ ადგილების მიხედვით, რომელთაც, რასაკერძეელია, ზაქა-

¹) ს. ქ. რ. ხ. ა. მ. თ. გ. გვ. 523.

რის ვერ მივაკუთვნებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცხოვრება ნათარგმნის რუის-ურბნისის კრების შემდეგ. ენის მიხედვით ნ. მაკარი თარგმანს XIII—XIV ს. აკუთვნებს (გვ. XX—XXI), თუმცა სიტყვა მკბოსტნე. რომელიც მას, სხვათა შორის, მოჰყავს თავის აზრის დასამტკიცებლად, გაცილებით აღრე გვხვდება სხვადასხვა ძეგლებში. ის უნდა ნათარგმნი იყოს მეცამეტე საუკუნეში, როდესაც მამლიუკთა შევიწროების გამო პალესტინელ ქართველებში ერთგვარი მოძრაობა დაწყებულა; მათ ამ დროს ჯვარის მონასტერსაც კი ართმევდნ და, თავის უფლების დასამტკიცებლად იერუსალიმის და საზოგადოდ პალესტინის სიწმიდეებზე. მათ, სხვათა შორის, ეს ცხოვრებაც უთარგმნიან. მაკარის შრომა არ არის თარგმანი უცნობი ავტორის ასურული ცხოვრებისა, რომელიც გამოსცა R. Raabe-მ.¹ როგორც შენახული ცნობებიდან ჩანს, ასურულ ენაზე ყოფილა მეორე რედაქცია პეტრესი, ვინმე ზაქარიას მიერ დაწერილი, რომელიც, ალბად, უდევს საფუძვლად ქართულ თარგმანს. რაც შეეხება პავლე დეკანოზის რედაქციას, ის უნდა მივიჩნიოთ მეჩვიდმეტე საუკუნის შრომად, ვინაიდან მისი სვინქსარული შექოვლება 1711 წლამდე ყოფილა ცნობილი. თუმცა ეს თხზულება ორიგინალური არაა, მაგრამ მასში შენახულა მრავალი საყურადღებო ცნობები ქართველთა წარსულიდან, მაგალითად, მეფის ვარაზ-ბაკურის დახასიათება, ქართულს ენაზე მეხუთე საუკუნეში სიღმრთო წერილის არსებობა (გვ. 11), აღნიშვნა კავშირისა, რომელიც ამ დროს არსებობდა თურმე ქართლისა და სპარსეთის ეკლესიათა შორის,² და აგრეთვე ჩვეულებისა იერუსალიმსა და წმიდა ადგილებში მოკზაურობისა. საყურადღებოა ცნობა, რომ იერუსალიმში უკვე მეხუთე საუკუნიდან დამყარებულა ქართველთა ახალშენი: აქ მომავალ ქართველებისათვის პეტრეს აუშენებია სხელი სასტუმრო ქალაქს შინა განსასვენებლად მომყავლთა ძმთა ქართველთა (გვ. 14—15), აქვე მას აუშენებია მონასტერი, რომელსა კრქვან ქართველისა მონასტრისა (გვ. 16—17), ასეთივე მონასტერი აუშენებია მას იორდანის უდაბნოშიაც (გვ. 17).

¹) Petrus der Iberer, Leipzig 1895.

²) აქ ნათქვამი: „მათ ეამთა იწამნეს წმიდანი მოწაქენი სპარსეთს, ბოლო კრისაჲებეთა მას, რომელნი იყვნეს მტ. წარმოგზავენს ნაწილნი იგი წილდათანი წინაჲე მეფისა ვარაზ-ბაკურისა (გვ. 7.)“

53 ნიკოლოზ, ქართველთა მნათობი.

ამ ნიკოლოზის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები ჩვენ არა გვაქვს; პლ. იოსელიანის სიტყვით, ის ცხოვრობდა მეფის ვახტანგ დიმიტრის ძის დროს (1301—1308 წ.), მაშასადამე—მეთოთხმეტე საუკუნის დამდეგს. ანტონ კათოლიკოზი გვამცნებს, რომ ნიკოლოზი არის აქსონა კანონთ, მრავალ აკოლოთიად და უჩვენებს ერთს ასეთს მის თხზულებას: ამან უზომოდ წჳმისა გარდამოსდგის დასაუყენები შექმნა აკოლოთია. მსურვალსავედრი ღვთისაღმი ერისაგან, მადღგამოთქმით. ¹ ეს აკოლოთია ნიკოლოზის სახელით მართლაც გვხვდება ჩვენს ქუ რ თ ხ ე ვ ნ ე ბ შ ი, როგორც ხელნაწერში, ისე ნაბეჭდშიც, ² მაგრამ მართლა არსებობდა თუ არა კიდევ სხვა მისნი სრულნი საგალობლები, რომელნიც პლ. იოსელიანს თითქოს ივერიის მონასტრის წიგნებში უნახავს, ³ ამისი თქმადნელია. შეიძლება, როგორც ლიტურლისტს, მას ეკუთვნოდეს ის წესები, კერძოდ განკება წყლის კურთხევისა, რომელნიც 1306—1316 წლებში ნათარგმნი ქართულად ბერძნულიდან. ⁴

54 ბაბრატ ბატონიშვილი.

ბაბრატ ბატონიშვილი, ზ. კიკინაძის ცნობით, ცხოვრობდა 1511—1573 წლებში, ⁵ მათიანეს სიტყვით 1539 წელს ის ბერად აღკვეცილა: ⁶ სხვა ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება. ბაბრატისაგან დარჩენილა ერთი პოლემიკური ანტიმაჰმადიანური თხზულება, რომელსაც ეწოდება მითხრობაჲ სჯუღთა უღმრთთა ისმაილატთაჲ, თხზულება იწყება მაჰმადის მოკლე ბიოგრაფიითა და მისი მოღვაწეობის წარმოშობის ამბით, რომელსაც მისდევს ელემენტარული ცნობები ძველისა და ახალი აღთქმის საღმრთო ისტორიიდან, ცნობები ისმაიტელთა შესახებ აბრაამიდან ჰერაკლე კეისრამდე, მიმოხილვა მაჰმადის სასწაულებისა და ყურანისა და შენიშვნა, რომ ქრისტიანობის კეშმარიტებას ადა-

¹) წყობილისტევაობა, ტაფი 779—780.

²) მოსკოვის გამოცემა 1826 წ. გვ. ფნგ—ფნთ

³) წყობილისტევაობა, შენიშვნა 149.

⁴) К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники. стр. 57, 150.

⁵) ქართული მწერლობა XIII—XVI ს. გვ. 27.

⁶) ქართლის ცხოვრება II, 23, 271.

სტურებს მრავალი წიგნი ძველისა და ახალი აღთქმისა, აგრეთვე ეკლესიის ღვთივგანბრძნობილ მამათა თხზულებანი, ხოლო მაჰმადიანთ სურთ მხოლოდ ერთი წიგნის, ბილწი ყურანის, საშუალებით დაგვიმტკიცონ თავიანთი სარწმუნოების ქვეშარიტებაო. ამის შემდეგ იწყება წინაგანწყობა მართლისა სარწმუნოებისა; ამ ნაწილს ავტორი იწყებს ღვთაების შესახებ დოღმატიკური მოძღვრებით, უმთავრესად ძველი აღთქმის ბიბლიური წიგნების მიხედვით. მაჰმადიანის შეკითხვაზე, — საიდან იცი შენ, წარმართმა და არა ებრაელმა, ეს მოძღვრებაო, — ავტორი გადმოგვცემს ისტორიას პტოლომეოსის დროს ებრაელთა ზიბლიის ბერძნულ ენაზე გადმოთარგმნისას და აგრეთვე: — რომელმა მოციქულმა რომელი წიგნი და რა ენაზე დაწერა. მაჰმადიანის შეკითხვაზე; შენ, ქართველს, რომელიც არც ებრაელი ხარ, არც წარმართი-ელინისი, ვინ მოგცა ეს წიგნებიო, გადმოგვცემს მოკლესა და არეულ-დარეულ ცნობებს „ძველ მთარგმნელთა“ შესახებ, რომელთაც ელინურისა და სხვა ენებიდან ქართულად გვითარგმნეს წიგნები. ამის შემდეგ ავტორი არღვევს მაჰმადიანთა რწმენისა ყურანის წარმოშობის შესახებ, გადმოგვცემს ნამდვილს ბიბლიურ თქმულებას ადამისა და ევას' შეცოდების შესახებ წინააღმდეგ მაჰმადიანთა რწმენისა, თითქოს ისინი პურის ხორბალის გამო შეკეთნო, და ანალიზს უკეთებს ყურანს — ეწამება თუ არა ის ქრისტიანეთა წიგნებს. მერმე ავტორი იძლევა პასუხს მაჰმადიანთა შემდეგ საკითხზე: რაოდენ ღმერთსა სცემთა ევანს, იესო ღმერთად გრწამს თუ კაცად. რაისათვის განხორციელდა ქრისტე, რატომ აცვეს ის ჯვარს, — გზადაგზა ის არღვევს მაჰმადიანთა თქმულებას — თითქოს ჯვარს იესო კი არ აცვეს, არამედ სხვა ვინმე, რომელიც მას ჰგავდაო, ლაპარაკობს და ათავეებს ღორის ხორცის ჰამისა და მაჰმადიანთა ყოველღიური განბანის შესახებ მსჯელობით. როგორც ვხედავთ, ავტორს მიზნად დაუსახავს მაჰმადიანობის განქიქება მიღებული უაიდაზე. ზოგიერთი დეტალებისა და მაჰმადიანური ტერმინების სპარსული ფორმის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბაგრატს სახეში ჰყავს სპარსელი მაჰმადიანები — შიიტები. ამ თხზულებას ბევრი მკითხველი ჰყოლია ძველად და არაერთ ავტორს უსარჯელნია იპიოთ თავის შრომის დაწერის დროს. ¹

¹) Проф. Н. Марръ, Изъ книги царевича Баграта о грузинскихъ переводахъ духовныхъ сочиненій и героической повѣсти Дареджаніани, Извѣстія Академіи Наукъ г. X, февраль 1894 г. стр. 235—244. ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა XIII—XVI სს. 27. А. Хадановъ, Очерки по исторіи грузин. словесности, вып. III, стр. 323.

სხვათა შორის, ეს იხზულება ვაულექსავს მეფე გიორგი XI-ის ბრძანებით შემოქმედის მიტროპოლიტს იაკობ დუმბაძეს (1647—1718 წ.) შემდეგი სათაურით: „უსჯულოესა მუჰამედის და ქრისტიანეთა გაბაასება“. ბაგრატიან შედარებით იაკობი მეტს ორიგინალობას იჩენს აპოლოგეტურს ნაწილში, სადაც ლაპარაკია მაცხოვრის განკაცების, ხატთა თაყვანისცემის, ევქარისტიის და იესო ქრისტესა და მამადის ურთიერთობის შესახებ. ნუსხები ამ თხზულებისა ხშირად გვხვდება ჩვენს სიძველეთსაცავებში.

55. არჩილ მთვა.

არჩილი, უფროსი შვილი ვახტანგ მეხუთისა (შაჰნავაზისა), დაიბადა 1647 წელს; თუთხმეტი წლის რომ შეიქმნა, ის გამეფდა კახეთში, რომელსაც ბრძნულად განაგებდა. ვინაიდან სპარსეთის შაჰის ბრძანებით ერეკლე პირველმა მას ტახტი წაართვა, არჩილი გადავიდა იმერეთში და იქ ბაგრატის მაგიერ გამეფდა, მაგრამ ხონთქარის სკრვილით აქედანაც განდევნეს. ტახტის ძიებამ და არეულ-დარეულ ცხოვრებამ ის ჯერ გადასტყორცნა სპარსეთში, სადაც მამალიანობაც კი მიიღო შაჰ-ნაზარ-ხანის სახელით, და ბოლოს, 1699 წელს, — რუსეთში. რუსეთში არჩილი სამუდამოდ გამოეთხოვა ტახტზე ოცნებას და ხელი მოჰკიდა ლიტერატურულ მოღვაწეობას; გარდაიცვალა ის მოსკოვს 1712 წელს.

ამ „პოეტსა და ფილოსოფოს“ მეფეს შესამჩნევი კვალი დაუტოვებია ჩვენს მწერლობაში საზოგადოდ თავისი ღირსშესანიშნავი არჩილიანი, რომელშიაც აგვიწერა თეიმურაზ პირველის თავგადასავალი და მამინდელი საქართველოს სავალალო მდგომარეობა, კერძოდ — ეკლესიურ მწერლობაში. არჩილმა პირველმა დაიწყო მზადება ქართული ბიბლიის დასაბეჭდად, ამისთვის შეაგროვა სხვადასხვა ნუსხები მისი, შეუდარა ისინი სლავურ ტექსტს, საიდანაც გადმოთარგმნა ისო ზირაქისა და მაკაბელთა წიგნები, რომელნიც მან ქართულად ვერ აღმოაჩინა. ამ შრომით ისარგებლეს მერე 1742-3 წლის ბიბლიის გამოცემლებმა, ბაქარმა და ვახუშტიმ. არჩილმა საფუძველი ჩაუყარა მოსკოვში ქართულ სტამბას; მოსკოვის სახაზინო სტამბაში მან ჩამოასხმევინა ხუცური შრიფტი და 1705 წელს დააბეჭდვინა „დავითნი“, მას გადმოუთარგმნია იერუსალიმელი პატრიარქის ნექტარიოსის „აღსარებაჲ მართლისა სარწმუნოებისაჲ წმიდისა კათოლიკე და სამოციქულოესა ეკლესიისაჲ“, რომელიც წარმოადგინს კატეხიზმოს, სამი ჩვეულებრივია ნაწილისაგან შემდგარს.¹ არჩილსავე ეკუთვნის ხრონოლოგია დასაბამითგან სოფლისა კონსტანტინე პალეოლოღამდე; ეს არის ვრცელი ისტორია, საეკლესიო და სამოქალაქო, ქვეყნის გაჩენიდან კონსტანტინოპოლის აღებამდე. პირველი ნაწილი ამ შრომისა, თეოდოსი მცირის მეფობის დასასრულამდე, უთარგმნია ბერძნულიდან მღვდელმონაზონს

1) სიძვ. მუხ. № 239, 529, 586.

ბაგრატ სოლოლაშვილს. ათონის ივერიის მონასტრის პოლევწეს, რომელიც საქართველოდან რუსეთში გაპყოლია არჩილს; მოსკოვიდან არჩილის გაუგზავნია სტოგკოლმში თავის შვილ ალექსანდრესთან,¹ რომელიც შვედებს დაეცვევებინათ ნარვის ბრძოლაში. მეორე ნაწილი ამ თხზულებისა, მარკიანე და პულქერიას მიფობიდან, უთარგმნია სხვების დახმარებით, რუსულიდან თვით არჩილს.² არჩილსავე დაუწერია კიდევ: „სიტყუა სანათლისღებო, თუ რამდენი ნათლისღებაა ცოდვის განსაწმედელი“,³ „ანბანტება წმიდისა ღვთისმშობლისა სავედრებელი“,⁴ და შვიდი იამბიკო სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ხასიათისა,⁵ რომელიც არჩილიანშია ცაა მოთავსებული

56 კვიპრიანე სამთავნელი.

კვიპრიანე, სამთავისის ეპისკოპოზი, ყოფილა თანამედროვე დომენტი კათოლიკოზისა (1703—1721), რომელიც მას უწოდებს „ბერძნულს ენაში დახელოვნებულს“; ის დიდგვარიანი კაცი იყო, — არაგვის ერისთავთა ოჯახიდან, და თან განათლებულიც. ბერძნული ენის ცოდნა მას გამოუჩენია სხვადასხვა თხზულებათა თარგმანში. მის შრომათაგან, რომელნიც ჩვენ ვიცით, მნიშვნელოვანია კურთხევეანი. გადმოღებული ბერძნულიდან დომენტი კათოლიკოზის მონღობილობით: ეს კურთხევეანი ორი რედაქციით გავრცელდა ჩვენს ეკლესიაში: ვრცელითა და მოკლეთი, სლავური კურთხევეანის მიხედვით ის არ შეუსწორებიათ და ეხლაც მიღებულია ქართულს ლატურლიკულს პრაქტიკაში.⁶ პლ. იოსელიანი კვიპრიანე სამთავნელს ჰხადის იოანე ბოლნელის (X—XI-ს.) მოწაფედ და კურთხევეანს სთვლის იოანესა და კვიპრიანეს კოლექტიურ შრომად,⁷ მაგრამ ეს არის ჩვეულებრივი აღრევა ფაქტებისა, რაც გაუგებრობაზე და მყარებული და ასე ახასიათებს პლ. იოსელიანის ისტორიულიტერატურულ ექსკურსებს. კვიპრიანესვე უთარგმნია ბერძნულიდან კათოლიკოზ დომენტის ბრძანებით „განმარტება ეკლესიისა და კურთხევა მისი“ რომელიც 1719 წელს დაიბეჭდა კიდევაც.⁸ მასვე უთარგმნია 1703 წელს ბერძნულიდან „საქმენი შვიდთა სასიკუდინეთა ცოდვათანი“,⁹ სქემა თხზულებისა ასე-

1) ეს ის ალექსანდრეა. რომელსაც რუსულიდან უთარგმნია „ბასილის, მეფისა ბერძენთაგან, თანეი სამწიღებელნი, რომელსა აქუს ზემოწერილი ესე: ბასილიოს, მეფე ბერძენთა, ლეონს, სიუუარელსა და თანამოსაყდრესა, სწავლა სათნობისათჳს“ (სიძ. მუზ. № 617), და „სავალომბელნი ბაცხოვრისანი“, რუსულიდანვე.

2) სიძ. მუზ. № 657, А. Пагарели, Свѣдѣнія III, 178.

3) წ.კ. № 135, გვ. 269—276.

4) იქვე, გვ. 293—299.

5) იქვე, გვ. 175—186.

6) К. Кекелидзе, Грузинские литургические памятники, стр. XVII—XVIII.

7) წყობილისტყუაობა, შენ. 110.

8) ძველი საქართველო III, 98, 291—292.

9) სიძ. მუზ. № 1134, ფურ. 56—64.

თია: დახატულია ხე, რომლის ძირში ესა თუ ის მომაკვდინებელი ცოდვია მოთავსებული, ხოლო წვერში—მისი განმაქარწყლებელი მადლი; „ხის ძირს“, ან მომაკვდინებელი ცოდვიდან, „აღმოცენებთან და მისდევენ სხუანი ათნი ცოდვანი“, ხუთხუთი აქეთიქით. ტექსტში, რომელიც დაროული აქვს სურათს, განმარტებულია მომაკვდინებელი ცოდვა და მადლი.

ჩვენამდე შენახულა აგრეთვე კვიპრიანეს მიერ 1711 წელს დაწერილი გუჯარი, რომელსაც აძლევს დოდოს წინამძღვარი ზაქარია ბატონიშვილს სიმონს შონასტრისათვის ვენახის შეძენის გამო.¹

57 იმხი ტლაშაძე.

ვინაობა იესე ტლაშაძისა ჩვენ არ ვიცით, ვიცით მხოლოდ, რომ ოდესღაც მას უმსახურნია ვახტანგ მეფისათვის და რუსეთშიაც წაჰყოლია მას, მაგრამ მერე თავის ნებით მოშორებია. ამის შესახებ ის ამბობს: „წაველ, მივმართე რუსეთსა, თავი არაეინ მანება, მოვშორდი მწყალობელს ბატონს, რაღას მიშველის ნანება“. რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ იესე გაჰყოლია სტამბოლში კათოლიკოზ დომენტის (1705—1724), სადაც 1727 წ. დაუწერია თავისი თხზულება კათოლიკოზ—ბაქარიანი. დომენტისთან ის ვეტად დაახლოვებული ყოფილა და ამიტომ გასაკვირველი არაა, რომ მის ბედს, მის გაქირვება-დაღბინებას ის ასე ერთგულად იტანდა. არ ვიცით, გაჰყვა თუ არა იესე დომენტის ტენედოსის კუნძულზე; ჩვენამდე შენახულა სიგელი დომენტისა 1727 წლისა, რომლითაც ის უბოძებს იესეს და მის შვილებს სახუცოდ ათენში ოცდა სამ კომლკაცს.² ძნელია იმისი თქმაც—იესე ტლაშაძეს ეკუთვნოდა თუ სხვას ეისმეს ის ქორონიკონები. რომლითაც უსარგებლია ვახუშტის და რომელთაც ის ტლაშაძის ამოწერილად სთვლის. კათოლიკოზ—ბაქარიანი დაწერილია ლექსად: ავტორი ეკუთვნის რუსთაველის შკოლას, რომელსაც ის ბაძავს ლექსთა წყობაში; ფორმაში და ლექსიკაშიაც. ხელოვნურ ნაწარმოებად ის ვერ ჩაითვლება, პოეზიის მხრივ ის საკმაოდ სუსტია, მაგრამ მისი მნიშვნელობა ჩვენ შეგვიძლია დავაფასოთ როგორც ისტორიული თხზულებისა. ის წარმოადგენს გალექსილ მართიანეს ტლაშაძის დროის ქართლ-კახეთის ისტორიისას, ავტორს მიზნად დაუსახავს აეწერა აღმოსავლეთი საქართველოს მდგომარეობა მეთვრამეტე საუკუნის პირველს მესამედში. თხზულება მოთხრობაა კათოლიკოზ დომენტის და მეფის ბაქარის ამბებისა, მაგრამ უმეტესი ნაწილი მისი დომენტის ბიოგრაფიას შეიცავს. დომენტი, შვილი ლევანისა და ძმა ვახტანგ მეექვსისა, შესანიშნავი პიროვნებაა ჩვენს ისტორიაში; კათოლიკოზობა მან მიიღო 1705 წელს, წავიდა სპარსეთში და შაჰს მცხეთის ტაძრისათვის დაამტკიცებია ყველა ის მამულები, რომელნიც მის-

¹) თ. ვორონიოვი. ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები 33. 39—40.

²) Е. Такайшвили, Сборник матеріаловъ для описанія мѣстностей и племенъ Кавказа, вып. XXI, 77.

ოვის შეეწირნათ წინათ და ეხლა მომეტებულ ნაწილად დათანტული იყო; მოკლე დროში მან გამოაკეთა საეკლესიო საქმეები. ვახტანგის რუსეთში გაღასახლების შემდეგ, 1725 წელს. დომენტი სტამბოლში გაემგზავრა ხონთქარის პატივებით, რომელმაც მან მდიდარი საჩუქრები გაუგზავნა. კონსტანტინოპოლში, სადაც ის დიდი პატივით მიიღეს, დომენტი დაუმეგობრდა მამინ იქ მყოფ აღმოსავლეთის პატრიარქებს, განსაკუთრებით—ხრისანთო იერუსალიმელს. ტლაშაძე დაწერილებით აკვიწებს კონსტანტინოპოლის წმიდა ადგილებს და ეკლესიებს, აგრეთვე დომენტის იქაურ ყოფი-ცხოვრებას: ის უჩივდა კათოლიკოსს წასულიყო საქართველოში, მაგრამ დომენტი იყოფნებდა, ალბად ელოდა ვახტანგის დაბრუნებას რუსეთიდან, მაგრამ ის ამას ვერ მოესწრო: 1727 წელს ხონთქარმა, როგორც ოსმალეთის ინტერესებისათვის სამიში კაცი, იმისი დაბრუნება სამშობლოში უხერხულად ცნო და ვაგზავნა კუნძულ ტენედოსზე. აქედან ის დაბრუნდა 1739 წელს და 1472 წ. გარდაიცვალა კიდევ. დომენტი განათლებული კაცი ყოფილა და მწერლობის მეგობარი: მისი ბრძანებით უთარგმნიათ არერთი ახალი თხზულები (კვიპრიანე სამთავნელს). მაგრამ უფრო მეტი გადაუწერიათ ძველად ნათარგმნი შრომები. ზოგიერთი ხელნაწერების ნუსხა მას კონსტანტინოპოლში ყოფნისას გადაუღებინებია. ალბად, იესე ტლაშაძისათვის.

58 ვახტანგ VI და მისი შვილები.

ვახტანგ მეფე ერთი მთავარი პირთავანია, რომელთაც ხელი შეუწყვეს ქართული მწერლობისა და კულტურის აღორძინებას შეთვრამეტე საუკუნეში. მიუხედავად იმისა, რომ მან უმეტესი ნაწილი თავისი ცხოვრებისა სამშობლოს გარე ვაატარა,—სპარსეთში, ოსმალეთში, რუსეთში,—და მხოლოდ რვა წელიწადი განაგებდა საქართველოს სამეფოს (1703--1711), ვახტანგმა ვაკეთა იმდენი რამდენიც არც ერთს მის მახლობელ მეგვიდრეთთავანს არ გაუკეთებია. პირველად ყოვლისა აღსანიშნავია მის მიერ ტფილისში სტამბის გახსნა, რომლიდანაც მრავალი წიგნი გამოვიდა. როგორც საეკლესიო, ისე საერო შინაარსისა. ქართული სტამბა, როგორც უკვე აღვნიშნეთ. სულ პირველად რომში გაიხსნა, 1622 წელს, მერე, არჩილ მეფის მეცადინეობით, რუსეთში 1705 წელს. ამავე დროს ქართული სტამბა გაიხსნა ვალაქიაში, ქალაქ ბუქარესტში: ამ საქმის ინიციატორი იყო მღვდელმონოზანი ანთიმოზ ივერიელი. ანთიმოზი ნასწავლი კაცი ყოფილა. მას ზედმიწევნით სცოდნია რუმინული, ბერძნული, სლავური. თათრული და არაბული ენები, რომლებზედაც უბეჭდია წიგნები მის მიერ დაარსებულ სტამბაში 1701 წლიდან. 1705 წელს ის რომნიკის ეპისკოპოსად უკურთხებიან, 1709 წელს ვალაქიაში მიუტიათ კათედრა; რამდენიმე ხნის შემდეგ

1) Н. Такайшвили, Описание II, 592--596, მისივე კათოლიკოს-პატრიარქი, გვ. 52--54. А. Халановъ, очерки III, 325--6.

2) იესეს კათოლიკოს-პატრიარქი, რომელიც შენახულია ერთადერთი დღევანდელი ხელნაწერით, 318 ტაყვად (წ. კ. № 953) გამოცა ეჭვ. თაყაიშვილმა 1895 წ.

კათედრისათვის თავი დაუწევია და სინას მთაზე გამგზავრებულა, მაგრამ პდინარე მარიცაში დამრჩვალა.¹ როდესაც ვახტანგს განუზრახავს ტფილისში ქართულ სტამბას გახსნა, მიუშართავს ანთიმოზისათვის, როგორც ამ საქმეში გამოცდილი და დაულოვნებულ პირისათვის. ანთიმოზს მართლაც ჩამოუსხამს ქართული შრიფტი და გამოუგზავნია საქართველოში საკირო ოსტატებთან ერთად, რომელთაგან იმდროს დაბეჭდილ წიგნებში მოხსენებულია მიხეილ სტეფანეს ძე უნგროვლაქელი. ამ სტამბამ მოქმედება დაიწყო ტფილისში 1709 წელს; ამ წელს დაიბეჭდა სახარება, შემდეგ წელს-ჟამნი და კონდაკი, ხოლო მერე—დავითნი და საწინასწარმეტყველო. ზედამხედველობას სწევდა ამ შემთხვევაში მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზ ორბელიანი, ხოლო კორექტორობას კარის დეკანოზის შვილი მიხეილი. ვახტანგის რუსეთში გადასახლების შემდეგ სტამბაც დაიხურა და განახლდა თეიმურაზისა და ირაკლის მეფობაში.

ვახტანგმა, როგორც განათლებულმა კაცმა, ზედმიწევნით მცოდნემ აღმო-სავლური ენებისა და მწერლობისაშ, უპირველესი ადგილი დაიჭირა ქართულს მწერლობაში; მან თარგმნა და შეთხზა მრავალი კაპიტალური თხზულება, რომელთაც წარუვალა მნიშვნელობა მოიპოვეს ქართველ მკითხველთა შორის. ეკლესიური მწერლობის ისტორიაში აღსანიშნავია მისი ანბანთქება, რომელშიაც გალექილია ზოგიერთი ფაქტები საღმრთო ისტორიისა, უფრო კი ეპიზოდები იესო ქრისტეს ცხოვრებიდან. მნიშვნელოვანია ეკლესიური მწერლობის ისტორიაში აგრეთვე მისი საკოდიფიკაციო მუშაობა, რომლისგანაც მან მიიღო სახელწოდება „სჯულმდებლისა.“ ვახტანგმა გამოცა კრებული კანონებისა. რომელშიაც მოათავსა: თავისი საკუთარი „დებულება“, ბერძნული და სომხური კანონები, „ძეგლისდება“ გიორგი ბრწყინვალისა, დებულებანი ბექასი და აღბუჯასი, მოსესა და საკათოლიკოზო კანონები. გიორგი ბრწყინვალის, ბექა-აღბუჯას და საკათოლიკოზო კანონები ძველია ადგილობრივი, ქართული საკანონმდებლო მუშაობისა, რაც შეეხება სხვებს,—სომხურ კანონებად იგულისხმება მეხიტარ გომის (XII—XIII ს.) შრომა, რომელიც წარმოადგენს იმპერატორი ვასილისკოს (V ს.) იურიდიული კრებულის თარგმანს. „ბერძნული კანონები“ წარმოადგენენ თავისებურს, შემოკლებულ რედაქციას მათე ბლასტარის სინტაგმისას, არმენოპულოს ექვსწიგნიდან შეესებულს, რომელიც შემუშავებული იყო საბერძნეთში.² მოსეს კანონები ამოღებულია მოსეს წიგნებიდან, უფრო კი მეოცე მჯულიდან, ხოლო რაც შეეხება თვით ვახტანგის კანონებს, ისინი მას შეუდგენია 1709 წლამდე, როგორც თვითონ ამბობს წინასიტყვაობაში, თავისი ძმის დომენტი კათოლიკოზის, არაგვის ერისთვის შვილის გრიგოლ მთავარეპისკოპოსის და სხვა მიტროპოლიტთა, ეპისკოპოსთა, წინამძღვარ-

¹) ეს იქ ანთიმოზია, რომელსაც 1705 წელს ბუქარესტში გამოუცა *Ερμηνεία καὶ ἀκολοῦσι* და *ἐξ ἐγκλίνας γαθῆ* (Проф. А. Дмитриевскій, Недоумѣніе по поводу недоумѣній, Труды Кіевской Духов. Академіи, 1892, № 9).

²) Проф. Соколовскій, Грекоримское право въ уложениі Вахтанга, Жур. Минист. Народн. Просв. 1897, Сентябрь; რუცენზია Визант. Времени. 1898г. вып. V.

თა და მდგდელთა ლოცვა-კურობებით და დახმარებით. შესდგება ვახტანგის დებულება 267 მუხლიდან და მდიდარ მასალას იძლევა საქართველოში საეკლესიო სამართლის კომპენტენციის შესასწავლად.¹ საყურადღებოა აგრეთვე ვახტანგის დასტურება მაც, რომელშიაც წარმოდგენილია სურათი ქართული ადმინისტრაციული სისტემისა და სახელმწიფო კარის წესწყობილებასა. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ვახტანგის წაომა, რომელიც მას გაუწევია ქართლის ცხოვრების შედგენისას. ქართლის-ცხოვრებაში, როგორც ვიცით, თავმოყრილია ყოველგვარი ისტორიული მასალა, რომელიც ხელმისაწვდენი იყო რედაქტორებისათვის და რომელიც უამისოდ, შეიძლება, ჩვენამდე არცკი შენახულიყო. ლაპარაკი არ უნდა, რომ ეს მატრიანე ერთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი წყაროა ჩვენი წარსულის შესასწავლად, არა მარტო პოლიტიკურისა და სამოქალაქოისა, არამედ უმთავრესად საეკლესიოისა, და კერძოდ, თუ ვნებავთ, ეკლესიური მწერლობისაც.²

გზა ლიტერატურული მოღვაწეობისა, რომელზედაც ადგა ვახტანგი, მან უანდერძა თავისი შვილებს, ბაქარსა და ვახუშტის. რომელნიც ნამასავიო განათლებულნი იყვნენ; მათ დიდი ღვაწლი დასდევს ქართული სტამბის მოწყობას რუსეთში, სადაც 1742—3 წლებში დაბეჭდეს ქართული ბიბლია, რომელიც მათ შეუდარეს სხვა ენებზე არსებულ ბიბლიებს, შეიტანეს შიგ ზოგერთი შესწორებანი და რამდენიმე წიგნი ხელახლა თარგმნეს.

ვახუშტი შესანიშნავი მეცნიერი იყო,³ მისი „ისტორია“ და „გეოგრაფია“ ეკლესიური მწერლობის ისტორიაშიაც მსხვილ ფაქტად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ისინი შეიცავენ მნიშვნელოვან საეკლესიო-ისტორიულსა და გეოგრაფიულ მასალას. ვახუშტის ორიგინალურ შრომებში საპატიო ადგილი უკავია მის პასქალიონს,⁴ რომელშიაც პასქალისტური საკითხები უფრო მარტივადია ვარკვეული, ვიდრე წინანდროის ანალოგიურს შრომებში; მის ტერმინებს რუსული გავლენა ეტყობა. რუსული ენიდან ვახუშტის უთარგმნია „სასწავლი მოსლვისა ანტიქრისტესი და აღსასრული საუკუნისა“ (1749 წელს),⁵ აგრეთვე „САМЫЯ ЧИСТАЯ“ სტეფანე იავორსკისა,⁶ ხოლო ბაქარს — რუსის მეფის ალექსი მიხაილის ძის იურიდიული კოდექსი, რომელსაც „УЛОЖЕНІЕ“ ეწოდება.

¹) Сборникъ законовъ грузин. царя Вахтанга VI. издание. А. Френкеля под редакц. Д. Бакрадзе.

²) პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 133, 251—273.

³) *ibid* გვ. 283—310.

⁴) Brosset, *Etudes de chronologie technique*. p 57—66.

⁵) სიძე. მუხ. ხელნაწ. № 48.

⁶) Проф. А. Цагарели, *Свѣдѣніи* III. 255.

⁷) უფრო სწორედ რომ ეთქვას. ეს თხზულება უთარგმნია ბაქარის პრინციპით. იოსებ ტფილიძეს. რომელიც პირველად ყოფილა სომეხთა სარწმუნოებისა და იმპ. პეტრე დიდს შემოუერთებია მართლმადიდებლობისათვის და ეკ. პეტროვიჩის სახელით

59 ნიკოლოზ რუსთველი.

ნიკოლოზ რუსთველი გვარით იყო ჩერქეზიშვილი: ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ არ მოგვებოება, მხოლოდ აქაიქ სიგელ-გუჯრებში გვხვდება მისი სახელი და ამ გზით შესაძლებელია გავითვალისწინოთ ზოგიერთი ფაქტები მისი ცხოვრებისა. რუსთავის მიტროპოლიტად ნიკოლოზი დაუდგენია კახეთის მეფეს დავით იმამ-ყული-ხანს. როგორც ესა ჩანს 1722 წლის გუჯარიდან,¹ მხოლოდ როდის, რომელს წელს, ეს არ ვიცით, ყოველ შემთხვევაში მისი გამღვდელმთავრება 1703 წელზე ადრე ვერ დაიდება, ასე რომ ის „ნიკოლოზ რუსთველი“, რომელიც ხელს აწერს ერთს, დავითგარეჯის, 1690 წლის სიგელს,² ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი არ უნდა იყოს. 1711 წელს კათოლიკოს დომენტის, იმავე დავით იმამ-ყული-ხანისა და ვახტანგ მეფის შუამდგომლობით, ნიკოლოზისათვის, რადგანაც რუსთველი ღრმის მატრანი და სარდალი იყო, ბისონი ჩაუტყვევია.³ 1721 წელს ის კიდევ რუსთველია, ვინაიდან ამ წელს მას დაუწერია ალავერდის ტაძრის ერთ-ერთი სიგელი,⁴ რუსთველია ის 1722 წელსაც, როგორც ამას ნათელჰყოფს დავით იმამ-ყული-ხანის შემოდასახელებული 1722 წლის სიგელი. 1724 წელს ის უკვე რუსთველად აღარ ჩანს, ვინაიდან კახეთის სამღვდელოების 1724 წლის თხოვნას იმპერატორ პეტრე დიდის სახელზე ხელს აწერს ბესარიონ რუსთველი⁵ და არა ნიკოლოზი. მისი დამდგინებისა და კეთილისმყოფელის დავით იმამ-ყული-ხანის გარდაცვალების შემდეგ (†1723 წ.) ნიკოლოზს კათედრისათვის თავი დაუნებებია და ვახტანგ მეექვსეს 1724 წელს, იმ ხუთ ეპისკოპოსთა შორის, რომელნიც მას რუსეთს გაჰყენენ, იმერეთს გადაჰყოლია;⁶ როგორც ქვემოთ დავინახავთ, იმას რუსეთს წასლვა გადაუფიქრნია, იმერეთსავე დარჩენილა და თავი შეუფარებია მეფე ალექსანდრე მეხუთისა და აფხაზეთის კ-

¹) Д. Пурцеладзе. Грузинские церковные гужары, стр. 2.

²) თ. ქორდაია. ქართლკახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუღალსო, გვ. 9—11.

³) *ibid.* გვ. 195, 250—252.

⁴) *ibid.* გვ. 232—234.

⁵) Броссе. Переписка грузинских царей с иностранными государями, стр. 170—172.

⁶) Bull. hist.—phil. III. 64. Brosset Hist. Georg. II, 1, p. 598.

ათლიკოზის გრიგოლ მეორისათვის. თ. ჟორდანიას ამბობს, რომ ნიკოლოზ რუსთველი, რომელიც მას ორბელიანად მიაჩნია. მეუფე ვახტანგს გადაჰყვა რუსეთს და იქ მოკვდა 1828 წ. ივლისის 19-სა,¹ ხოლო პლ. იოსელიანი მის სიკვდილს 1729 წ. დასდებს.² პირველად ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ ნიკოლოზ რუსთველი ვახტანგს რუსეთში არ გაჰყოლია, ის ნიკოლოზი, რომელიც მართლაც გადაჰყვა ვახტანგს რუსეთში, იყო ნიკოლოზ ორბელიანი, ტუილისის მიტროპოლიტი; ეს ნათლად ჩანს ვახტანგ მეფის 1730 წ. ორბელიანებისადმი ბოძებული წყალობის წიგნიდან, სადაც ის პირდაპირ ამბობს, რომ, რადგანც რუსეთს წამოვედით, თან გუიანდა აბილეღ მიტროპოლიტი ნიკოლოზისა;³ ამასვე ადასტურებს სინოდის არქივის საქმეებაც, რომლებიდანაც ჩანს, რომ 1727 წელს პეტრე მეორეს კორონაციაში მონაწილეობას ღებულობს თბილელი მიტროპოლიტი ნიკოლოზი, ხოლო 1728 წელს მას, თბილელ მიტროპოლიტ ნიკოლოზს, აძლევენ, 300 მანეთს.⁴ არც ისაა მართალი, ვითომც ნიკოლოზ რუსთველი ვარდაცვილიიყოს 1728 თუ 1729 წელს; მართლაც, ჩვენამდე შენახულა აფხაზეთის კათოლიკოზის გრიგოლ მეორის იადგარა მამულისა და შემწირუჯობისა, ბიჭვინთის ტაძრისათვის ბოძებული, რომელიც მისი ბრძანებით აღუწერია ნიკოლოზ რუსთველს ქრისტეს აქვა ჩღღ, ქარონიკონსა, უკა, ესე იგი 1733 წელს;⁵ ამნაირად ის 1733 წელს ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა. აი ყველაფერი, რაც შეგვიძლია ჯერჯერობით ვთქვათ ნიკოლოზ რუსთველის ცხოვრების შესახებ. ნიკოლოზი განათლებული კაცი ყოფილა, ჯერ კიდევ დავით იმამ-ყული-ხანი შენიშნავს ზემოდასახელებულს 1722 წლის გუჯარში: მე შევამეკვ რუსთავის ეკლესია და დაჯადგინე მიტროპოლიტად რუსთავის ეპარქიისა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, კაცი ცნობილი სწავლისაჲთა განათლებითა.⁶ როგორც მწყემსი, ის გამოჩენილი მქადაგებელიც იყო; ანტონ კათოლიკოზი შენიშნავს, რომ მის ქადაგებებს, რომელთა ქება მას სიკაბუ-

¹) თ. ჟორდანიას, ქართლკახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, გვ. 195.

²) წყობილის ტყვითობა ანტონ კათოლიკოზისა, შენიშვნა 141.

³) საქართველოს სიძველენი, ტომი II, გვ. 357. ამასვე ადასტურებს ავით ნიკოლოზ თბილელი სიძვ. მუხ. ხელნაწერებში №№ 849 და 853 (М. Ажаиашиши. Описание рукоп. церков. Музея, III, стр. 71, 78-79).

⁴) Описание документов и делъ, хранящихся въ архивѣ св. Синода, т. VII, 1827 годъ, стр. 325. прил. 1, томъ VIII, 1828 г. стр. 461.

⁵) ს. კაციაძისე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წიგნი I, გვ. 141-147 ტფილისი 1921.

⁶) Пурцеладзе, Грузинскіе церковные гуджары, стр. 2.

ვეში სპენია, ჰრაცხდეს მის დროს შინათა უაყუელთა აქმუელთა უხადესს უმჯობესად; ¹ ამ დროს კი, მართლაც, სხვა გამოჩენილი მქადაგებლებიც უოფილან, როგორც, მაგალითად, იობი, პიტარეთის მონასტრის წინამძღვარი, შესანიშნავი მგალობელი, და მღვდელქონოზანი გერმანე († 1748). ნიკოლოზი ლიტურლისტიც იყო, რასაც ამოწმებს ანტონ კათოლიკოზიც, როდესაც ეუბნება მას: აკოლოთიას გიქებ, რადგან ჰქმენო. ² დიდორქელ ხუცესმონაზონ გრიგოლთან ერთად ნიკოლოზს დაუწესებია ანტონ მარტყოფელის ხსენება 17 იანვარს და, საფიქრებელია, დაუწერია ამავე დროს მისი აკოლოთიაც. ³ მასვე შეუთხზავს აგრეთვე საგალობლები წმიდა დედისი. ⁴ ამავე დროს ნიკოლოზი ერთდროით აღტურვილი და ენამზიანი ღვთისმეტყველიც ყოველია, როგორც ეს ნათლად ჩანს მის მიერ გრიგოლ კათოლიკოზის ბრძანებით 1733 წელს აღწერილი ბიჭვინთის იადგრიდან ან სიგელიდან. თავში იადგარს დართული ჰქონდა იამბიკო, ⁵ რომლის აკროსტიხი ამბობს: ნიკოლოზ რუსთველი ვმუსიკაბ; ის წარმოადგენს ქებას ღვთისას ოსხმუნლოდ და კათოლიკოზი გრიგოლისას. იამბიკოს შემდეგ იწყება ვრცელი საღვთისმეტყველო ტრაქტატი, რომელიც შესდგება შვიდი წყობისა ან თავისაგან; პირველს თავში ლაპაჯია ღვთაების ერთგვამოვნებისა და სამპიროვნების შესახებ, მეორეში წარმოდგენილია ღვთისმეტყველება ორის ბუნებისათვის, მესამეში — „მესხმა ანგელოზთაათს“, მეოთხეში გვაქვს მოძღვრება „კაცთა დაბადებისათს“, მეხუთეში — „მღუღელთმოძღუართათს“, მეექვსეში — „მოწამეთათს“ მეშვიდეში — „მამათათს“. ამ უკანასკნელს თავში ავტორი, შენიშნავს რა, რომ წმიდა მამებმა „იმარტულეს თვნიერ სისხლისა დათხვეისა“, განაგრძობს: მეფეებმა და მდიდრებმა იწყეს მათ სახელზე ეკლესიათა აგება და განმშვენება, რომლებშიაც ღვთისა და „მამათა“ სადიდებლად განსაკუთრებულად მღუღელთმთავარნი, ჰატრიარქნი, მთავარეპისკოპოსნი, მღვდელნი და დიაკონნი. ხოლო ამთ განწყესუელთა და სამღუღელთა დასთა და კრებულთა თავად და შწყემსად და სხედ: მდგომეულად განჩინნეს კათალიკოზნი, რათა ამთ მიერ განწმდენ, განათდენ და სრულიქმნენ ერთი ქრის-

1) წყობისიტყვაობა, ტაეპი 67ა.

2) *ibid*, ტაეპი 69ა.

3) კ. კეკელიძე. ანტონ კათოლიკოზის სალიტურდიკო მოღვაწეობიდან, გვ. 10.

4) ნიკოლოზის დროს სხვა ლიტურლისტიც უოფილან, მაგალითად, იესე, ქსნის ერისთავი († 1739), რომელსაც შეუდგენია „აკოლოთია“ წმ. მოწამეთა შალვა, ელიზბარ და ბიძინა.

5) იამბიკოები მას იმერეთის მეფის ალექსანდრე მესუთის სახელზედაც უწერია, როგორც „ქართლის ცხოვრების“ ერთერთ ნუსხიდან ჩანს (E. Такайшвили, Описание, II, стр. 49-50).

ტიანეთა, რომლისათვის დიდად ეღვაწათ შეფეთა, შთავართა და დარბაზიერთა განდიდება ცათამობაძავის კათალიკო ეკლესიის ბიჭვინთისა ღუთისმშობლისა და სამოციქულომას საუდრასა და მას ზედა მკდამარისა კათალიკოზისა ამაღლებაჲ, რათა შეკრეითა და განკსნითა მისითა ეკნენ სამეფონი ესე ღმერთაშერისა აყვას-ზეთისა და ყოფლისა ჩრდილოეთისა ეკლესიისანიჲ; ეს ქვეყნებო, ამბობს ის, მოქცეულია ანდრია პირველწოდებულის მიერ „ჩინებითა წმიდისა ღუთისმშობლისაჲთა“, რომლის წილხდომილნი ვარა ჩვენო. კათალიკოზებ, მუდამ ცდილობდნენ ბიჭვინთის შემკობას, ამიტომ მას სწირავდნენ სოფლებს, აგარაკებს, ჯვრებს, ხატებს და სხვა ყოველგვარ სამკულებს-სო; მსგავსად მათდა, ამბობს გრიგოლ კათალიკოზი, მეც ცოტა რაჲ შეეშაბატე მის დიდებასო და ჩამოთვლის დაწერილებით, რაც კი მართლა შეუწირავს მისთვის. თავდება იადგარი საკმაო ვრცელი წყევ-კრულვით მათზე, ვინც ამ შეწირულებას შეეხება. ჩამოთვლა შეწირულებისა და თვით წყევა-კრულვა ნიკოლოზის დაწერილი არ უნდა იყოს, ჯერ ერთი — ენა ამ ნაწილისა შესამჩნევად განსხვავდება საღვთისმეტყველო ტრაქტატის ენისაგან, თან ფორმულა წყევა-კრულვისა განმეორებულია გრიგოლ კათალიკოზის 1706 წ. სიგელში, რომელიც ბიჭვინთისავე სახელზეა დაწერილი.¹ უნდა ვიფიქროთ, რომ გრიგოლმა ნიკოლოზს მიანდო ამ მნიშვნელოვანი იადგარისათვის შესავლის სახით საღვთისმეტყველო ტრაქტატის დაწერა, რომელსაც მერე დაუმატა სია შეწირულებათა და სტირიოტიბული ფორმულა წყევა-კრულვისა.

საერთოდ უნდა აღენიშნოთ, რომ ნიკოლოზ რუსთველი თანამედროვეთაგან ცნობილი ყოფილა სიგელ-გუჯრების შედგენაში დახელოვნებულ მწერლად და მართლაც, ბიჭვინთის სიგელის გარდა ჩვენამდე შენახულა 1717 წელს მისი ხელით დაწერილი „მზვითების წიგნი“ დავით იმამ-ყული-ხანის დის ხვარზნისა,² და ალავერდის ტაძრის სიგელი 1721 წლისა.³

60. ნიკოლოზ ტფილელი.

ნიკოლოზი, გვართა ორბელიანი, იყო ნათესავი ვახტანგ შვექვისისა და ძმა საბა-სულხან ორბელიანისა; დაიბადა ის 1672 წელს, 1705 წ.

¹ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წიგნი I, გვ. 99-90.

² Акты Кавказской Археологической Комиссии, т. I, стр. 34-35.

³თ. ყორღანიძე, ქართლკახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, გვ. 232-234.

ბერად შედგა, 1716 წელს პროველობა მიიღო, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ ტფილელიობა: 1724 წელს ის ვადაძყვა ვახტანგს რუსეთში, სადაც ვარდაიცვალა 1735 წელს. ნიკოლოზი იყო ერთგული თანამოდგაწე ვახტანგ მეფისა, ჯერ კიდევ ბერმონაზვნობაში მან ბევრი შრომა გასწია ტფილისში სტამბის მოწყობისა და წიგნების ბეჭდვის საქმეში; ის ამასთან ნაყოფიერი მწერალიც იყო. უმთავრესად მას ლიტურჯიკულს დარგში უმუშაენია; აქ მას, თანახმად ანტონ კათოლიკოზის მოწმობისა, ¹ აღუწერია, მღვდელმონაზვნობისას, ტროპარნი და კონდაქნი ქართველი წმიდანებისა ² და, როდესაც პირველად ქაშენს ბეჭდავდენ, შიგ შეუტანია თავის შეხედულებით ქართველ წმიდათა ხსენების დღე. ამას გარდა მას დაუწერია აქებდიასა ზედა დასდებულნი აბო ტფილელისა, ესტატე მცხეთელისა და აჩილ და ლუარსაბისა და მოკლე ხუთსტრიქონიან იამბიკობად ცისკრის აქებდიასა ზედა დასდებულასა უკანასკნელი მუხლი, რომელსაც დიდება ეწოდება, შემდეგი წმიდანებისა: წმ. ნინოსი, რაქდენ, პირველმოწამისა, ესტატე მცხეთელისა, შუშანიკ დედოფლისა, იოანე ზედაზნელისა, შიო მღვიმელისა, დავით გარეჯელისა, ისე წილკნელისა, აბიბოს ნეკრესელისა, ანტონ მარტყოფელისა, აჩილ მეფისა, აბო ტფილელისა, დავით და კონსტანტინესი, ილაჩიონ ქართველისა, წმ. გობრონისა, იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელებისა, დავით აღმაშენებელისა, ერისთავთა შალვა. ზიძინა და ელიზბარისა, მეფე ლუარსაბისა და ქეთევან დედოფლისა. ³ ამ იამბიკობთაგან ჩანს, რომ ნიკოლოზი პოეტი ყოფილა, მას, ალბად, სხვა ლექსებიც ექნებოდა დაწერილი, ყოველ შემთხვევაში ს ი ძ ვ. მ უ ზ. ხ ე ლ ნ ა წ ე რ შ ი № 342 (ფ. 46 — 46) შენახულა შეიდტაეპოვანი იამბიკო, აქმუელი ნიკალოზ ტფილელისა, რომელიც. დარიგების სახით, მიმართული უნდა იყოს რომელღაც მეფისადმი:

1. ბრძნად ბრძენი უბრძნეს, ერთობ მძანი დანებით,
 ბრძენა საგრძენ უაძდ. ეძრავად განიბასიგობა,
 განსჭურატენ გუჯიის, სჭვიდენ თითნა დანებით,
 ჩხვდნი კლდესა ჭკარ, მტერთა შახვილ დანებით
 სეფეგ მტურგანყრით, მარად შეუბით და ნებით.

¹ კ. ვ. კელიძე: ანტონ კათოლიკოზის სალიტურჯიკო მოღვაწეობადნ, გვ. 12

² ს. დ. დესასწაულლოში შეტანილია კონდაკი ქეთევან დედოფლისა და აჩილ მეფისა

³ დაბეჭდილია სადღესასწაულოში და მ. ს. ბიჩინის „საქართველოს სამოთხე-ში“ დასაჯილბედილი წმიდანების ბიოგრაფიის წიხ.

2 ივანეებს სწორებოფს, საჭიროს აფართოვრებებს,
 უძლვისა ძალ-უძს კაპანის გზად ს-გ-ლად,
 მძკემან ჭპოვის, კაკუნითა განიღოს,
 მთხოვა შობბდეს, უწყადეს იმწყლობლებს
 წესიერ მქმნი, თუთ არძანებს უ წარო მზე.

3. გიხილავნი დიდნი, ღართა დიდთა მქონებნი,
 არა თუთ იხ. ნის, არ სხვს ნიჭთა მშაყენი,
 საშლად-მარ-ვთად დაუნჯუასა მწონებნი,
 ამასლამ უსულ ვის რომელ ხარ მტონებნი
 მაწა ილებო, ღოდი გკსაბანებნი.

4. ღმერთსა სთავს ქმნადი ესე შეგან შეფისა:
 სიმდაბლე კეციანთა, ფრენა მალდადმი.
 სიმშჯდე კთილ, საგრი უკრთთა თან
 სულგრძობება აღთისის ფარილის მწდეღას
 ამს ჭეოფდ, სუფევდ მტვერისა მტვრად ღამტეფი.

5. არ ქრთამით სჯადე, მ-წე-ღე იუფ დიდი,
 ჭეუარობდ უოკელა ღეთასა სამეჯღრებელად,
 მს-ჯუღს ტკბილგოთაყს, სამჯავროდ ჭირვეულსა.
 მგზავრს მელამზრების მერე სუფევამდი
 აბრანძისა წიადსა აღაწიე.

6. ესრეთ მოქმედებდ სამსა წინე უღთადმი:
 სიერგო წესიერ, სერ უქმერ უფოთფელი,
 მკეღართა სტიროდღე, ვით თანამ-აგზურნი,
 თანმოხარულთა ისარებდ, გიხმობს მავლე,
 ას წელ დაფღულს ხელად ვოფეღთა წინაშე.

7. კარსა ნუ დაუხმავ ქრისტეს, მთხოველად მცდვდიღსა,
 დესპანით უძღვნი მას მფლობელის შეთფდიღსა.
 ახარგახაროს. ვითა ვაზან მესტელისა,
 შენა რეკდ მსასთე, სუფევდ მომავდიას,
 ნეტარ გარდახლად აქიქის ვადისა.

დოღმატიკურსა ღარგში ნიკოლოზ ტბილელს დაუნწერთა კატეხიზმო;
 რომელსაც ეწოდება სარწმუნოება შემოკლებითი.¹ ამ თხზულებაში უბრა-

¹ გამოცემულია ტბილისში 1885 წელს მღვდლების მღებრიშვილის კარბელაშვილის და მოლოდინაშვილის მიერ.

ლოდ და მრტავადაა წარმოდგენილი საფუძველნი საქონისტიანო დოღმა-ტიკისა და მორალისა. ნიკოლოზს ჩადა, მონაწილეობა მიუღლი, არჩილ მეთესთან ერთად ნიკტარის იერუსალიმელის კატეხიზმოს გადმოქართულებაში; აქ ჩვენ ვკარხულობთ: დმერთ, აცხოვნე ამ წაჩის ქართულ ენაზე გამწეობი ტფელაჲ მაქროპოლიტი ნიკოლოზ თრბელიშვილი; ¹ უნდა ვიფიქროთ, რომ ნიკოლოზმა შეასწორა ენა ამ თარგ¹ ნისა, ენაიდან გაწყობა აღრძინების ხანაში სწორედ ამ ახრათ იხპარება. ჩამოთვლილთ გარდა ჩვენამდე შენახულა ეთი შრომა ნიკოლოზისა, რომელსაც ეწოდება შჯდთ, შთ მ. მაკუდინებელთ, ცოდვთა და შჯდთ მადლთათჳს. ² სქება თხზულე¹ისა ასეთია: ჯერ დასაჯლებულა და გამარტებულა მოპაკუდინებელი ცოდვ. და ჩამოთვლილია ის 10 ცოდვა, რომელიც ამისკან წარმოსდგება, თვითელი მათგანის ახნა განპარტებით. ამის შემდეგ აღნიშნულია და გაკვეთული ამ მ. მაკუდინებელი ცოდვას აღმამუგრეჲა და დამრღვევეი მადლი, ჩამოთვლილია 10 მადლი, რომელიც ამისკან აღმოეცენების, და განპარტებულა თვითელი მათგანი. შჯდი მოპაკუდინებელი ცოდვა და შჯდი მადლი, ნიკოლოზის აღრიცხვით, ასეთია: 1) ამპარტვენება — სიმპაბლე, 2) არაწიღება — სიწიღე, 3) ნაყოფენება — მარხვა, 4) მკონარება — სიმხნე, 5) მრისხანება — სიმშვიდე, 6) შური — სიყუარული, 7) ანგარება მოწყალება. როგორც ვხედვთ, ეს იმგვარივე თხზულებაა, როგორც წინათ კვპრიანე სამთავენელს დაუწერია, კვიპრიანეც და ნიკოლოზიც ერთსა და იმავე მოპაკუდინებელ ცოდვასა და მდლს ასახელებენ, მხოლოდ სხვადასხვა რიგით ჩამოთლიან მათ და, ზოგიერთ შემთავებაში, სხვადასხვა ტერმინით აღნიშვენ მათ; განსხვავდებიან ისინი ერთი-ერთისაგან იმათ, რომ კვიპრიანე არ ასახელებს ათ მადლს. რომელიც გამომდინარეობს უმთავრესი მადლსაგან, ხოლო ათი ცოდვა, რომელიც მოპაკუდინებელ ცოდვისაგან წარაოსდგება, მათი ნუსხით სხვადასხვაობს.

61. შიბროპოლიტი რომანოზი.

რომანოზი იყო შვილი არაგვის ერისთავის გორგისა; მისმა ლიტერატურულმა მოღვაწეობამ განელო რუსეთში, მოსკოვს, სადაც მას, იანკრატრი და ელისაბედ პეტრეს ასულის დროს, მწირობასა და რუსეთსა შინა სტუმრობასა

¹) სიძგ. მუხ. № 586, გვ. 119.

²) სიძგ. მუხ. № 342, წ.კ. № 348, გვ. 214—248.

საქართველოს მევის შვილის ბაქარისა“, 1745 წელს დაუწერია თხზულება, რომელსაც ეწოდება წინწილა ლაღადებისა. ეს წიგნი, აზობს ავტორი „ჩეხლია მეთიანი მათოვს, როელთა მტკაცელ არა უპყრის სიტყუანი ქ-ის-ტისნი და მამათა და მოწამეოანი, აკაჲედ თვსთა მუტლითა მეზღარობენ და გარეშეთ წიგნებთა იმ-წმებენ და ეძიებენ და გამოეძიებენ ცუთთა და ამაოთა საძიებელთა“, და ის „არა თუ თვსითა მუტლითა და საბრძნითა ნაზღაპრი, ანუ თუ ჩემობითა და მოგონებითა ახალი რაჲმე და თვსაგან ნასიბრძნი“, არამედ სახარების, სამოციქულოს, დავითნის და წინაწარმეტყველთაგან აპოკრიბილ ადგილებს შვიტ-ვსო. ეს ადგ ლებიო. განაგრძობს ავტორი, ამოვკრიბე მე „მაცილობელთა პირის დასათარაჲად:“ ერთი კვირის განწილობაში აღენუსხე „ძველისა და ახლისა წიგნებისა მოწმობა და სწავლა რომელთა მე საქირთთა ს ქვეთა და ცილობათათვს, რომელი იქმნების მორწმონეთა და ურწმუნეთა შორისო“,¹ მართლაც, ეს საკმაოდ მოზრდილი თხზულება შეიცავს სახარებას—სამოციქულოსა და დავითნ—საწინასწარიტყველოდან ამოკრებილ ადგილებს ამათუიმ დოღმატიკურ თუ მორალურ ხასიათის დებულებათა შესახებ. თხზულება დიმათულია თ.ე-სუფალ აზროვნების წინააღმდეგ, რომეოამც ფეხი გაიდგა ქართველთა მოწ ნავე წრეებში მეთვრამეტე საუკუნეში ევროპიუ ი კულტურის ზეგავლენით, და კერძოდ სახეში უნდა ჰყავდეს არჩილ მეფის შვილი ალექსანდრე.

62 საბა-სულხან ორბელიანი.

საბა-სულხან ორბელიანი მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანი მწერალია; ის იყო დისწული არჩილ, გიორგი და ლეონ მეფეებისა, დაიბადა 1658 წელს და ძან კარგი განათლება მიიღო: საფუძვლიანად შეისწავლა საღმრთო წერილი, ქართული საერო და სასულიერო მწირობა და რამდენ მე უცხო ენა, თუმცა თავის ლექსი რომის წინასიტყვაობაში უკანასკნელს ის უარყოფს. დაქვრ ვების შექდევ, 1698 წელს, ის ბერად აღიკეცა, ალბად, საბას სახელით (სულხანი იყო საერისკაცო სახელი) და დავითგარეჯის უდაბნოში დაიწყო მოღვაწეობა. 1710 წელს საბა ვახტანგ მეფეს ახლდა სპარსეთში, საიდანც ის დაბრუნდა 1718 წელს და გაემგზავრა ეროპაში, — საფრანგეთის მეფე ლიუდოვიკო მეთოთხმეტესთან, რომელსაც მან წაულო ვახტანგის დიპლომატიური წერილები; ეროპაში ის წავიდა კათოლიკე მისიონერთა თანხლობით, რომელთაგან მან ლათინობა ან კათოლიკობა მიიღო. ლიუდოვიკომ ის შესაფერი პატრიოთ შეაწყნარა და დახმარება აღუთქვა: ამის შემდეგ საბა უკანვე დაბრუნდა, გზადაგზა ის ჩერდებოდა რომსა, სტამბოლსა და ტრაპიზონში, საქართველოში მან მოიყვანა კათეციონთა ორდენის მისიონერები; რითაც ძალზე განარისხა მეფე იესე, ასე რომ იძულებული შეიქმნა მეფე ვახტანგთან ერთად გა-

¹) სიძვ. მუზ. № 150, გვ. 22—35.

დასახლებულ იყო რუსეთს, სადაც გარდაიცვალა 1725 წელს, მართლმადიდებლობის წიაღში დაბრუნებული.¹

საბა ნამდვილი მეცნიერი იყო და მეცნიერულად მომზადებული, რასაც ხე-ი შეუწყო სხვათა შორის, კათოლიცი მისიონერებთან და ხლოებამ და ვეროპაში მოგზაურობამ, სადაც ის ეცნობოდა გამოჩენილ მწე-ლებს, როგორც, მაგალთად, ლაფოტენი. იქას დიდი ღვაწლი დაუდგია ქართული მწერლობისათვის, როგორც, საერო, ისე სასულიერო დარგში. მისი ლექსიკონი დღესაც, შეუდარებელია და სწორუპოვარი. მისი მოგზაურობა ევროპაში,² რომელშიაც ის გასაოცარ დაკვირვების ნიჭი იჩენს, იატერესს ეხლაც არაა მოკლებული და საუკეთესო წარმომადგენელად ამ ეპოქაში აღმოცენებულა ლიტერატურული დაოგისა, რომელსაც, როგორც შევნიშნეთ, „მოგზაურობანი“ და „მიმოხილვანი“ ეწოდება. განსაკუთრებით აყრატება, ეკლესიური მწერლობის თვალსაზრისით, აქ რომსა და მისი სწმიდეების ღწერილობა. აგრევე პაპის ცხოვრებისა და იმ დაწეებულებათა, რომ ღწე მის უშუალო განმგებლობაში იმყოფებოდენ. მისი სიბრძენ-სიციკრუის წინი, რომელიც იგავ-არაკათა კრებულს წარმომადგენს და თავისი დიდკტურ-მორლური ხასიათით ეკლეიური მწერლობის ისტორიკოსისათვისაც არაა ინტერესს მოკლებული, არაფრით არ ჩამოუვარდება თანამედროვე უცოელთა ანალოგიურ თხზულებებს. საკუთრივ ეკლესიური მწერლობის დარგში საბა, პირველად ყოვლისა, საყურადღებოთა თავისი „ლესიკონით“, რომელშიაც მას მოჰკავს ციკატები ბიბლიის ისეთი ვერსიებიდან, რომელიც ჩვენ მდე არ შენახულან, და აგრეთვე სხვა-ასხვა ჯერ უცნობ თხზულებებიდან. მკორე მსი შრომა, პირდაპირ განსაცვიფრებელი, არის კონკორდანსი ბიბლიისა, როგორც ძველის, ისე ახალი აღკმის წიგნებისა; ის წარმომადგენს ჩვეულებრივ კაპის „სიჟონიას“, რომელშიაც თ ვოყრილია პარალელურად ვიბლიიდან აღამ ანი პირდაპირ გაოცებას ეძლევა, როდესაც დაუვიქრდება, თუ როგორ შეძლო და მოახერხა აბამ იმ დროს შექენა ისეთი შრომისა, რომელიც დღესაც კი არ ჩამოუვარდება ევროპულ ენებზე დაწრილ კოკორდან-ებს. საბას ეკუთვნის აგრეთვე „სამოთხია იარი,“ „სწალა მეცნიე თათჳს თქულო, — აღვიარება რომელ არს ღმერთი და ან სჯული.“ „საქრისტიანო მოძღვრება“ — პიველი სასწავლო წიგნი ყრმათათვის, და „წამებანი წინასწარმეტაულით ნი“ იესო ქრისტეს შესახებ. რომელიც ლათინურ ენიდან არიან ვადმ-თარგმნილნი და მიზნად აქეთ შეათვისებდონ მკითხველა ელემენტარული დოღმატიკურ — მორალური დებულებანი კათოლიკობისა:

¹) ლიტერატურა საბას შესახებ: проф. А. Сагарели, Книга мудрости и лжи Спг. 1878 г. რ. ერიოთავი, საბას „ლესიკონი“; ივერია 1899 წ. № 21; თ. ვორდანიი. ქრონიკები II, 502—503, დროება 1874 წ. და სხვ.

²) ცისკარი № 1—4, 1852 წ.

63 ბესარიონ კათოლიკოზი.

ბესარიონი, როგორც თვითონ ამბობს ერთერთ ხელნაწერის ანდერძში (სიძ. მუხ. № 105), ყოფილა ნათესავით ბარათაშვიდა, ტომაბ თორაქლიშვიდა. ბერად აღკვეცას შეჰდევ მას უპოვებია დავითგარეჯისა და იოან; ნათლისმცემლის უდაბნოში და 179 წელს კათოლიკოზობა მიუღია; გარდიცვალა ის 1733 წელს. უდაბნოში ყოფნისას მას ჩვეულებად აქონია ძველი ხელნაწერებისა და თხზულებებისა გადაწერა, უფრო ასკეტიკური შინაარსისა.¹ ბესარიონს საკეთარი, ორიგინალური თხზულებანიც უწერია; მას ეკთვნის; სხვათა შორის, ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები, რომელიც ქართველ წმიდათა ცხოვრების შესახებ და რომელსაც ანტონ კათოლიკოზი ქართველ წმიდათა მოთხრობა — ისტორიას უწოდებს.² ეს არის ახალი რედაქცია ქართველ წმიდათა ცხოვრებისა, რომელიც მინკადა-მაინც ვერ გავრცელებულა, რაც იქადაგაც ჩანს, რომ მისი ნუსხები ეხლა იშვიათად, შეიძლება ითქვას — სულაც არ მოიპოვება. უფრო საყურადღებოა ბესარიონის საპოლემიკო თხზულება გრიგელის; ეს თხზულება მას დაუწერია ჯერ კიდევ ბერად ზეობისას, როდესაც ის დავითგარეჯის უდაბნოში მონაწილეობდა, მაშასადამე 1729 წლამდე, იმ დროს ტფილისში მუფთის ლათინთა მძღვრის ფანჯიკო ბოლონიელის კათედრის დახმარებით. როგორც შესავლიდან ჩანს, ამ თხზულების დაწერა გამოწვევით იმ ანტიმოვლინებულ „ფილოსოფოსებს“, რომელნიც ენამკვივრობენ, გამოიკვლევენ გამოუკვლევებს და გამოიძიებენ გამოუძიებებს, რომელთა ჰნებავს ახალი რაღაც სწულისდება და ახალი სარწმუნოება; ავტორს სახეში აქვს კათოლიკობის პროპაგანდა საქართველოში, რომელიც მის დროს შესაძენად გაძლიერებულა და რომელსაც ბევრი მიმდევარი აღმოჩენია ჩვენში. თხზულება სწორედ მიმართულია კათოლიკობისა და რომის ეკლესიის წინააღმდეგ და შეიცავს მის დოქტრინას და შეცთობილებათა განქიქებას. აქ, სხვათა შორის, წარმოდგენილია ისტორიული სურათი რომის ეკლესიის თანდათანობითი განდგომილები ანტი-ნათესავთის ეკლესიისაგან ვიდრე ფლაცენციის კრებამდე. ნათესავი ჩვენისა, ათავერა ავტორი თავის შრომას, რაც რომ განათლებულა ანდრია მოციქულისა და წმიდანის ქადაგებით, შეერ

1) კლემენსი, ლავსიკონი. კახიანი რომელი და სხვ.

2) წყობილსიტყვათა, ტაბ. 665.

დღითგან არღარა ოდეს მიდრეკილ არს ურწმუნოებად... არა დაგვაკლიეს და არც შეგვემატებოესა.¹ ბესარიონს ლიტურჯულს დარგშიაც უმუშავებია; მას დაუწერია: „კანონი სავედრებელი მღვდელმთავრის“, — იესე წილკნელი-სა (2 დაცემბ.), „კანონი საგალობელი საუფლოჲსა კუართისა“ და „კანონი საგალობელი პირველმოწამისა რაეფენისა“, რომელნიც დაბეჭდილს სადღესასწაულ მოწაჲც არიან შექანილნი. ბესარიონის ქმნიდი კანონა კუართისა, ანტონ კათოლიკოზის სიტყვით, არის სუფით თქემუჲი, ღუთის-მეტეუჲნ ლიტორებრა (წყობილსიტ. ტ. 666). თუ მხედველობაში მივიღებთ ანტონის ავე სიტყვებს, რომ ბრძენთაგან საქებელ არის, სხვათა შორის, ბესარიონის მიერ „ტიპიკონთ პოვა, მკობა დღესასწაულთა“ (ტ. 666), ბესარიონს უნდა მივაკუთნოთ საბაწჳადური ტიპიკონის ძველი, პეთორმეტე საუკუნეში ნათარგმნი, რედაქციის შესწორება მეჩვიდმეტე საუკუნის გასულის სლავური ტიპიკონის მიხედვით.² ბესარიონი უნდა გამოჩენილი ჩქადაგილიც ყოფილიყოს, ვინაიდან ანტონ კათოლიკოზი ამბობს: ქაღაგებანი შეინა ნეტარ მამო, წრფელნი ნაუბნა, გარნა მსგავსებანი ჰაფელს... სწად იუ, ნეს მსმეჩელთა (ტ. 666); სამწუხაროდ, ეს ქადაგებანი ჩვენამდე არ შენახულა, ყოველ შემთხვევაში ჯერ აღმოჩენილი არაა.

64 ტიმოთე ბაბაშვილი.

ტიმოთე იყო შვეიცრდი ბესარიონ კათოლიკოზისა; ის ერთი საუკეთესო მღვდელმთავარია მეთვრამეტე საუკუნისა როგორც კყუით, ისე განაოლებით. თავდაპირველად ის ამშვენებდა სამიტროპოლიტო კათედრას ქუთაისში, საიდანაც 1738 წელს მეფე ალექსანდრემ გაგზავნა რუსეთს დიპლომატიური მისიით, რომელსაც სასურველი შედეგი არ მოპყლია. უკან დაბრუნებული ტიმოთე რეკებს ჩაუვარდა ტყვედ და, ბევრი ვარჯაღის შემდეგ, ძლივს მოახწია სააშობლოში, აქ მან მიიღო კათედრა ქართლის მთავარეპისკოპოზისა, რომელსაც პირველი ადგილი

¹) ავტორი ხარკებლობს სპირიტუალად ვეტრატო ნიკიერის მოღვაწეობით, აღიგა-ალაგ ბაბუთები საქართველოს წარსულიდანაც მკაცრად: ძაკალითად, იმას დასაბუტყებლად რომ პეტრე არ იყო თავი მოცუქულთა, ეს გადმოგვეცემს გიორგი მთავრიდელის პაქობას ანტოქიის პეტრიარქთან, ან ა მისი გასათვალისწინებლად, რომ ქაღებს ნება არ აქვთ ხათლის-ღება შესაულონ, უთითებს წმ. ნინოს, რომელმაც ვეო იკისრა მის მიერ მოქცეულ ქართველთა, მონათულა და საბეჭდითიდან გამოიწერა იმისათვის სამღვდელთაგანა.

²) К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники, стр. 512.

ეჭირა კათოლიკოზის შემდეგ. თავისი რწმენით, მსოფლმხედველობით და იდეალე'ით ის ახლა იდგა კათოლიკოზ ანტონთან; როდესაც ანტონის პიროვნების გარშემო დიდი მოქა-შოქმა და მღელვარეობა ატყდა, 1751 წელს, მაშასადამე — ანტონის საბოლოოდ გასმართლებამდე და სამშობლოდან გაძევებამდე, ტიმოთემ ეპარქია მიატოვა და აღმოსავლეთს გაემგზავრა წაიდა ადგილების მოსალოკად და მოსახილველად. აღმოსავლეთიდან დაბრუნდა 1756 წელს და ერთხან დავითგარეჯს უღაინოში ცხოვრობდა, რამდენამე ხნია შემდეგ კი რუსეთს გაემგზავრა კათოლიკოზ ანტონთან და გარდაცვალდა აშტარხანს 1764 წელს. ამის მეტი ცნობები ტიმოთეს შესახებ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება; მის თხზულებიდან ჩანს, რომ ის მართლაც განათლებული კაცი ყოფილა: საფუძვლიანად სკოლნია ღვთისმეტყველება და ფილოსოფია, განსაკუთრებით პროკლე დიადოხოსის კავშირი, საეკლესიო ისტორია და თათრული ენა, საკმაოდ სკოლნია ბეჭდული ენა და რამოდენამე რუსულიც. ადამიანი, ჟალრესად მოყვარული თავისი სამშობლოც და ეროვნულ კულტურული იდეალებით გატაცებული, ის ამავე დროს მატარებელი იყო კრიტიკული სილისა, რამელიც უღმობელად ათრაახებდა და ამხილებდა ყოველგვარ ნაკუს თავისი სამშობლოს წარსულისა და აწმყონისას; ასეთს კრიტიციზმს ის იჩენდა განსაკუთრებით ლიუბლიკულ სფეროში, ამ მარცხის წინამორბედი იყო იმ შესწორება შედარებითი მმართველებისა, რომელიც დამყარდა ჩვენში, სამწუხაროდ უფრო ვიწრო მაშტებით, ალექსი მისხიშვილისა და ანტონ კათოლიკოზის დროიდან. ჩვენში რომ შესაფერისი პირობები და ნიადაგი ყოფილიყო, შესაძლოა, ტიმოთეს ჩვენს საეკლესიო-საზოგადოებრივს ცხოვრებაში ისეთივე რამ გამოეწვია, რაც გამოიწვია რუსეთში პატრიარქი ნიკონის ანალოგიურმა სულისკვთებმ ლიტურგიკულ მწერლობასა და სფეროში.

ტიმოთეს თხზულებათაგან პირველად გყავლისა უნდა დავსახლოთ მხილვა წმიდთა და სხუთა ადმასვლედიისა ადგილთა, გამოცემული ტფილისში 1852 წელს პლ. იოსელიანის მიერ. ამ თხზულებას, რომელშიაც ტიმოთეს აუწერია თავისი მოგზაურობა აღმოსავლეთში, შემოკლებით ეწოდება „ტიმოთიანი“. მაწუგდა მკ შინაგანთა ჩემთა სიყუარული ძიობისა და ეთსუღათა სჭუუანისაგანთა ჩუნთა და კულად დავიწეიისათვის მაიგან მწერობელობისა წმადათა ამთ ადგილთსა, ამბობს ავტორი შ სავალში, და ამისთვის შედგამდა თუ ვითარ შეფუქი ს ქართველობისანი ჟამთა მათ

მხა შუპტრანე და მპერობედ სრუჯიად იერუსალიმისა და პალესტინისა ქმნიად. არიან, და შიდად და ძლიერ უიფიოდ არიან ნათესავნი საქართველოსანი და ესოდენ დაწინებულ დას გარექმანი ზეესა მპერობედნი. სიტყვას რაღასმე ზეუნ და მოცემად არა შეადრე არიან (გვ. 9-10). თხზულება 26 თავისაგან შედგება და შეიცავს უმთავრესად ათონისა და პალესტინის სიძველეთა აღწერილობას, განსაკუთრებით კი ქართული ნაშთებისას. გზადაგზა ავტორი აგვიწერს ყველა იმ პუნქტებს, სადაც მას გაუვლია, მოგვითხრობს თუ რა საეკლესიო-ისტორიული მოგონებაა შეერთებული ამათუ იმ ადგილთან, აგვიწერს შეჰანიშნავ ტაძრებს, მონასტრებს, სკოლებს, სასახლეებს. ყველგან და ყველაფერში ის იჩენს გასაოცარ ცოდობილ-ყვარებას, რომლის დასაკაყოფილებლად, ხშირად მაშინაც კი, როდესაც საკითხი თვით საქართველოს ეხება, ის იძულებულია მიმართოს თავის თანამოსაუბრე განსწავლულ ბერძნებს; მაგალითად, სხოლარი ევგენიოსისაგან ის გამოიძიებს, რატომ ეწოდებათ ქართველებსა და ესპანელებს იბერიელები და რას ნიშნავს ქართველთა სახელწოდება გეორგია, კონსტანტ ნოპოლის პატრიარქს გამოჰკითხავს ცნობებს ქარველთა მოქცევის შესახებ, იერუსალიმის პატრიარქისაგან მოისმენს კურობულ მოთხრობას საქართველოში სამი საკათოლიკოზოს დაარსების შეახებ (გვ. 106—107) და სხვ. მისი ისტორიული გაშუქება ამათუიმ ფაქტისა და მოვლენისა ხშირად შემკდარია და დღეს მიუღწეული, მაგრამ ამაში ტიმოთეს ბრალი არ მიუძღვის, ის მტკიცედა დგას ვახუანგ მეფის მიერ შეუშავებული ქართლის ცხოვრების ნადაგზე.

მეორე შესანიშნავი თხზულება ტიმოთესი, ისტორიულ-პოლემიკური ხასიათისა, არის მარწუხი; მარწუხი ნიშნავს მაშას, რომლითაც ნაკვერცხალს აიღებენ ხოლმე. ავტორს ასეთი სახელი ამოუღია ბიბლიიდან: ერთმა ანგლოზაგანმა, ნათქვამია ისაია წინასწარმეტყველის წიგნი (თავი VI), მიიღო მარწუხითა ნაკვერცხალი და შეხუ ისაიას ბაგეს, ამით მან განსწიღებ წინასწარმეტყველი და პირში ჩაუდო სიტყვა, რომელიც ხალხისათვის უნდა ექადაგნა მას. რად გამოძებნა ტიმოთემ ასეთი სიმბოლური სახელი? თხზულებაში ლაპარაკია შეად მაგალითი კრებათა შესახებ, რომელთა დადგენილებანი და კანონნი განსწმედენ ქვეყას უკეთურებისაგან, როგორც ისაია განწიდა ნაკვერცხალმა, და ასწავლიან მას ქრმარიტების სიტყვას. მაშასადამე, წიგნი, რომელშია ვ გარკვეულია ეს საგანი, არის მარწუხი, მიწოდებული ქვეყნისათვის განმწმედელი და განმანათლებელი ნაკვერცხალისა.

შესაყლოში ავტორი ამბობს: „მრავალგანთქუმული ესე მართლმადიდებლობითა დიდდი იფერია მრავალგზის წარპართთა აიხრებათა მიერ შემცირებულ იყო. ამა წიგნიდგან და ეკლესიათანი საკანძურნი დაკარიღლებულ იყვნეს ს. ღმრთოთა წერილთაჲთა. და კრებისა ესე წიგნი სრულებით არღარა სადა იპოვებოდა: თუ ქრ. სტეს აქეთ რაოდენსა ეამსა იქნენს წიღანი კრებანი, ანუ მეფენი რომელნი სუფევედე, ანუ პაპანი რომელნი ცხოვრობდენ და პოტირიტნი! რომელნი მოიწეოდენ კრებათა და ანუ პატრიარქნი რომელნი მძწყსილდენ მას ეამსა და ანუ რომელსა ქალაქსა იქმნებოდენ კრებანი ანუ წინააღმდეგომნი მწყალეპელნი ვინა იყვნენ: ეპისკოპოსნი, მღუღელნი თუ ერისკაცნი თუ ვითარ მსცვალეებდენ ანუ რომლითა სიტყვათა იტყუდიან წვალებათა, ანუ მართლმადიდებელნი ვითა პირსა უყოფდენ საწინააღმდეგეთუეფოჯოჯთა და სამოციქულოჯოჯთა მოძღურებითა, და ანუ ვითა სწავლითა დაუყვენს პიონი მათნი და შეიჩუენენს, ანუ მწვალებელთაგან ვითარ იტანჯენს მართლმადიდებელნი, ანუ კანონნი რაოდენნი დასხენს სჯულისანი კრებასა. ესენი რჩეულნი ზედმიწევნით არა იწყუდიოთ“. აი აქ ნაკლის შევსება განუზრახავს ტიმოთეს ჩვენს მწერლობაში და მართლაც ღირსეულად შეუსრულებია ეს. „ხოლო მე, მდაბალი ქუთათელ-არხიეპასკოპოზი ტიმოთე . . .“, ამბობს ის, „ვიწყე, შეკრებად საღმრთოთა წერილთაგან, რომელნი თვთ მაშინვე კრებასა ნათქუამნი და ზოგი შემდგომად კრებასა აღწერლნი წმდათა მამათაგან, არა თუ ჩემით შემიწყვენს რაჲმე წიღასა ამას კრებასა, არაჲდ თვთ ღირსთა პირისათა ნაბიჭენი აღმოპივისეს, და ვუწოდე წიგნსა ამას „მარწუხი“, მტვრთველი წვდთა ნაკუერცხალთა ნამდვლი ესაიასერ ბაგე“¹⁾ ავტორს განხილული იქეს ყველა მსოფლიო კრებანი, გათვალისწინებული იქეს საკითხები ამ კრებათა შესახებ, მოყვანილია ექსცერპტები მწვალებელთა მოძღურები აგან და მათ დამარღვეველი საღმრთო წერილისა და წმიდათა მამათა თხზულებებიდან; კერძო და სადაც პირველი მსოფლიო კრების შესახება ლაპარაკი, ტიმოთეს მოქავეს ერთი ადგილი პროკლე დი დოხოზის კავშირიდან, იოანე პეტრიწს განმარტებიანურთ, უჩვენებს აგრეთვე ციტატას, რომელიც ყოფილა „დიდისა წერსესისა, სოქებთა კათოლიკოზისა, წიგნსა შინა იხუს ვორდოსისასა“. დასასოულ, მოყვანილია ანათემ კრების მიერ დასხმულნი კანონნი და იროიკო ანუ იამბიკო ამ კრე

1) ამ სიტყვათა ტომთე თვთ განმარტება: „ადგლის მცველნი პაპისანი, რომელნი პოტირიტად ბერძენეებრ სახელ იღებია“.

ბის შესახებ. თხზულება დაწერილია პირველწყაროების დახმარებით, ავტორს ხ. ლთა ჰქონია კრებათა აქტები, არ ვიცით მხოლოდ რა ენაზე, წმიდა მამათა თხზულებანი და შესაფერი საისტორიო ნაწარმოებნი.

ტიმოთეს დაუწერია კიდევ ერთი კაპიტალური შრომა, რომლის შესახებ ამდენხან ჩვენ არა ვიცოდით რა; ეს არის გარდამოცემული ერთი-მანათს და სიუყარუჯას წმიდათა ეკლესიათასა სარწმუნოებასა შინა ქრისტიანეთასა აღმადინარა ა მის ტკბილხადადუჯასა წერადას, გასწმენდუჯისა გუჯის-ხმის უფათასა წმიდათა წერილთაჲსა.¹ ეს საკმაოდ მოზრდილი დოღმატიკურ-პოლემიკური თხზულება წარმოადგენს კრებულს, რომელიც 15 თავისაგან შესდგება. პირველი თავი თითქოს შეიკვალა მთელი კრებულისა და შეიცავს ტრაქტატს საღმრთოთა სჯულთათჲს, სხვა თავების შინაარსი კი ასეთია: 2 — განვრღობისათჲს და დატევებისა ჰურიათა, 3 — წარმართთა წოდებისათჲს და ახლად ისრაელად სახელდებისათჲს მათისა, 4 განკარციელე ისათჲს მაცხოვრისა, 5 — ჯუარკმისათჲს უფლისა, 6 — დაფლისა და ჯოჯოხეთად შთსღვისა, 7 — აღდგომისათჲს, 7 — ჰურიათა მოსალოდენელის ანტისათჲს, 9 — აგარიანთათჲს, 10 ეკლესიათათჲს თუ ვითარ განხტქილებითა და განწვალებითა მტრად აღდგომილ არიან ურთიერთას, 11—12 — განწვალ-განხტქილებისათჲს ეკლესიათა და წვალლების მთავართათჲს, 13 — რა მდგომარეობაში არიან ცოდვილნი და მართალნი მეორედმოსლვამდე, 14 უღრთოდასა ნესტორსა წვალებისათჲს და არი-ზისათჲს საძაგელისა, 15 — განყენებულთა მსჯელობა დოღმატიკურ-მორალური ხასიათისა. ყველა აღნიშნულ საკითხთა გასარკვევად ავტორს მოჰყავს მოსაზრებანი დოღმატიკური და ფილოსოფიური ისტორიული, როგორც 11—12 თავში, სადაც ლაპარაკია განსაკუთრებით მათთვის, რომელნიც უარჰყოფენ თეოლოგიას და განსაზღვრებას და ამტკიცებენ, რომ საკმაო დეკსი სამოციქულო-სახარები ა აღმანის ცნობისმოყუარების დასაკმაყოფილებლად; უფრო მეტ არა მენტაციას ავტორს აძლევს საღმრთო წეილი, საიდანაც იმას უხვად შემოაქვს ციტატები. საყუოდლებოა ავტორის მსოფლმხედველობისა და პიროვნების გასათვალისწინებლად ერთი ადგილ, რომელიც მიმართულია თანამედროვე ქართველებისადმი. „ხოლო გეტყვ შენ, ძჰანო და ერთგულნო საქართველოჲსანო, რამე უ, იკითხვიდი რა წიგნთა საღმრთოთა, შიშით განსჩხროქედი და ყოველთა კრძალულეით დაიტევიდი საკმართო. გევედრები—

1) წერა-კითხვის ხანგადობის მუხეუმის ხელნაწერი № 3244, გვ. 258—296.

წიგნთა უძველესთაოვსცა ნუ ირწმ-ნებ ყოველსავე, თუ სწორედ სარ-
წმუნო არიან, რამეთუ მრავალნი მართლმადიდებლობით აღუწერიათ და
მრავალნი დაფარულ დ წვალებანიცა შთაუხსნამთ, და მრავალთა მთა-
რგმნელთა ბერძენთა ენასა ვერ შეუწაჰებიათ ქართულნი და წაღებად
გამოსრულ არს, მრავალნი მწერალთაცა გაურყვნიათ. და კუალად პრო-
კლე დიადოხოსი პლატონისი წიგნი იპოყების საქართველოთა შინა;
უკუეთუ მართლმადი ებელობით სძებნიდე. დეთისმეტყუელება მაღალი
და ქეშმარიტი გეპოვოს, და უკუეთუ ვერ კეთილად და უგულიანოდ
ეძიებდე, ჰპოვენე მას შინა დელკანი და მთხრებლნი არიოზისნი და ორი-
გ ნისნი. აწ სახეცა შემოვიდოთ ამისთვის, ვითარ იგი უთარგმნიათ ქა-
რთულებ: და მკედარნი სცვაეს უხრწნელსა გუამსა შინსა, და კუალად: შუენი-
ერმან იხსნებ ძედასიგან გარდამკსნა უხრწნელი გუამი შინი, ქრისტე. იხელე ბო-
როტი თარგმანი და ნესტორიანი. ან ამისთვის გამოვიძიოთ თუ ვითარ
იტყვის: უხრწნელი გუამი არს ძი. ა ღმრთისა, რომელი გუამ ექმნა კორც-
თა, და არა თუ გუა ი კაცისა მიიღო, არამედ გუამოვნებით შეერთა
და თვთ გუამოვანი სიტყუაჲ, სიტყუა მამისაჲ, იქმნა თესლი საღმრთო
და გუამ და, ქალწულებ-იეთა სისხლთა მიმღები, შეიერთებს კორცთა
და თანადმერთ ჰყოფს. აწ ეკითხებოდდე მთარგმნელსა მას: თუ კაცისა
გუამი იყო, ვითარ იქმნებოდა უხრწნელ, და თუ სიტყუსა ღმრთისა გუა-
მი იყო, ვითარი ქება არს უხრწნელი გუამი ღმრთისა? არამედ კორცნი გან-
ღმრთობითა უხრწნელად თქუა; ვინაცა ბერძენნი არა ესრეთ იტყვან,
არამედ ახრანტუ ს-მა, ესე კეთილად არს, ვითარმედ უხრწნელი კორცი ესრეთ
მოვა... და კუალად შობისა ალობაში უთარგმნიათ: და ეზიარე გუამსა უძ-
დეუ სა; უკუეთუ გუამსა უძლურსა კაცისასა ეზიარა გუამი სიტყუსა ღმრთი-
სა, ორი გუამი ყოფილი ქრისტე ი და შევიქმნებით ნესტორიანი, არამედ
ბერძენნი იტყვან ამა სიტყუსა ესრეთ: და ეზიარე კორცსა უძდურსა, ქეშმარი-
ტი ლექსი არს ესე. და კუალად მო იქალისაცა მას სიტყუსა ვტყუოდეთ:
რ ჟამს და იმდენიან სქესნიო, ბერძენებრ ასეა... ხოლო ქართულად
აღუწერიათ: რაჟამს და იმდენიან ქრისტესნი იგიო.... კუალად ბერძენთა
და რუსთა ენასა ზედა ევდოგისონ და რუსულებ ბლადისდოგი, ესენი ითა-
რგმნება ქართულებ ქვედმსიტყვე გინა კეთილმსიტყვე, ხოლო მოუღია
მთარგმნელს გუაგურთხენ, ა-აფერი სიტყვა არა არ, და არცა ესე ვიცი,
თუ ვითარ უქნიათ. და კუალად პარაკლიტონის მკლები კრადლობისა
სამი დამასკელის თქმული და სამი ანატოლი პატრიარქისა; ანატოლი
ამისავედეთად უთარგმნიათ და ჰგონებენ საქართველოსაგანნი, ვითარმედ

ადმოსავლური თქუმულ იყოს სამი მღვლი იგი და მრავალი ესევეთარი წესთომილი რამ უთარგმნიათ, ამათი ძიება და განჩიება საკმარ არს (გვ. 484—489). რასაკვირველია, მთლიანად ჩვენ ვერ გავიზიარებთ ამ სასტიკ კრიტიკას: 1) ბერძნული თმუა ქართულად გუშადც იხმარება, 2) ქრისტიანთა „სქესნი“-ს მაგერ უბრალო გრაფიკული შეცდომაა, რომელიც ტიმოთეს დრას, როგორც მისი სიტყუები ანა ჩანს, თავისებურ შეხედულებას არგუმენტაციადაც მოჰყავდათ, 3) ანატოლის ადმოსავლურ დ თარგმნაში არა მარტო ქართველნი არიან დანაშაულნი, ასეთი ბრალის სლავიანებსაც მოუძღვიათ, რომეთაც ანატოლის მაკიერ „ВОСТОКЪ: ИЛИ“ უხმარნათ, 4) ხოლო გუაგურთხენის შეცვლა ქველმსიტყუითი, რომელიც პეტრიწონელების მიერაა შემოღებულა, არც ისე აუცილ ზელია, მაგრამ საყუაღღობა არა მაგალითები, არამედ თვით აზრი ავტოლისა, საკითხის დასმა, რომელიც გზას უკაფაედა ჩვენს მწერლობასა და საზოგადოებაში კრიტიკაზმს.

თხზულების 15 თავთაგან შინაარსის მხრივ უფრო საინტერესოა მეცხრე, — აგარიანთათვის (გვ. 359—414), რომელიც მთლიანს ანტიმაჰმადიანურ პოლემიკურ ხაწა-მოებს წარმოადგენს, ამასთან ორიგინალურსა შინაარსი მისი ასეთია: მოიხსენებს რა მაცხოვრის მოსლევსა და ამაქვეყნიურ ცხ-ვრებას, მის ზეცად ამალღებას და სოლის წმიდის გაღოსლევს, ავტორი აგვიწებს თუ რა სასწაულებს იქმოდენ ქრისტიანობის გასავრცელებლად მოცქეულები და წმიდანები, სხვათა შორის—ნიხოსაქათვედოთა ბეაწყედაადობისა ნათლად უბაზმაკება და არმაზის კეწმსა ჟუარითა მქმეს ვიდა, ბარბაროზთა მათ მუფეთა და უძღვევლთა მკედრობათა საქათვედოქსათა სუა მცირე იგი ენკრატისა ბრძანებითა მუამინებდა და ნათლად ღმრთისმსახურ ბისა აღმოიქმანდა (გვ. 363—364); საკვირველებათ იქმოდენ წმიდათა ნაწილებიც კი, ვითრცა ქართლადცა იხადვებს ძველი წმიდისა ეკსტათისი მანასტერისა სხელად ერთაწმიდის საკვრკელად წამდევჩელი ემმაკოა (გვ. 361). გავრცელდა და დაყარდა ქრისტიანობა, მაგრამ ეამითიუა აღ გამოჩნდებოდენ ხოლმე ცრუმოდღვარნი, რომელნიც ანახიჯებოდენ მას; ერთა ასთი ცრუმოდღვარნი იყო მაჰმადიცო: მერე ავტორი მოგვითხრობს მჰმადის წარმოშობას აგარისა და ისმაილისაგან, მის ცხოვრებას, რელიგიურ სისტემის შექმნას ებრაულ-ქრისტიანული ელემენტებიდან და ყუანის შედგენას, აოჩევს მაჰმადიანთა თქულებას ქრისტიტეს შესახებ და მათი მოძღვრების ზოგიერთადებულებას, აღნიშნავს როგორ გავრცელდა მაჰმადიანობა აზიასა და აფრიკაში და რატომ ვერ

მოიკიდა მან ფხი ევროპასა და ამერიკაში. საყურადღებოა მისი აზრი ამის შესახებ: ძველი გეოგრაფებიო, ამბობს ის, დუნის სხედ სხვა ნაწილებს ცხოველთა სახით წარმოიდგენდნო: აზია სახეა ლომისა სისხლისმამელისა, აფრიკა—ხარისა, ამერიკა—მლისა, ხოლო ევროპა—ადამიანისაო. ევროპა არს სახე დედაკაცისა წარწარი და, ვითარცა აღმკანი სარძენე-შემოსილი და შეცნიერი თუთუჯისა სახეა, არ შეაწყნარებდა ასეთ უგუნურ სწავლასო. ამერიკამან, ვითარცა გერაკონ მეღის სახე ან პლბიკრმან, არა შეიწყნარა ქადაგება მისი; ამერიკა ესოდენ დამაღველი იქნა თავისა, სოფლისა შესაქმეთა აქეთ არავინ უწუდა თუ არს, ვინამტან ჰოვანად იქნა აქერიკა, მას აქეთ წყდნი არიან გარდასრუდნი 250 და უწოდენ ურჩენა ამერიკას იენგი დუნისა. აზია და აფრიკა კი. ვითარცა სახე პირუტყვისა და უკონურისა მხეცისა, მიეზავა ბარბაროზისა მაჰმადის სეკულთმოდეულებასაო. ეს იმას კი აკნიშნავსო, განაგებობს ავტორი, რომ ღმერთმა წინასწარ განუწყესა ამ თუიმ ერს კარგი ან ცუდი, არა—ბუნება ადამიანისა ერთია, მაგრამ ადამიანთა სხვადასხვაობა ჰაეასა და ბუნებაზეა დამოკიდებულიო, მაგალითად, ქართლის სანახ ბთაცა შინა სხუარინან მთაუღნი და სხუა ბარის აღ გისაჩინებოთათ (გვ. 896). ამას შემდეგ ავტორი გეითვალისწინებს იმ განსხვავებას, რაც საბუნებისა და ოსმალეთის მაჰმადიანთა შორის არსებობს, აღნიშნავს, რომ „მოადგილიდ და ვექოლად“ მაჰმადისა ითულება სულტანიო და ავივიერს ცევექონის მისი სას ხლიდან გაქოსღვისას და ხალხის შეხვედრისა!; ყველა ეს ისეთი ზემით, მედიდურობით და აჰპარ ჯაენობით ხდება, რომ სულტანი განსახიერებდად უნდა ჩაითვალოს ანტიქრისტეს აჰპარტავენებისაო. ასეთია ხას ათი და შინაარსი ამ ანტიმაჰმადიანური პოლემიკური თხზულებისა, რომელში აც იმ მასალის გარდა, რასაც იძლეოდა არსებული ლიტერატურა, ავტორს შეუტანია ზოგი რამ აღმოსავლეთში მოგზაურობისას გაგონილი მაჰმადიანთა შესახებ, როგორც, მაგალითად, შემდეგი, ვითომდა, რწმენა მაჰმადიანებისა: მაჰმადიანთა სმოთხის კარებში დვას ფატმანი, როდესაც მოადგებიან კარებს მაჰმადიანები, ის გაწლის ფეხებს და ლაჯებ შუა გაატარებს მათ, ხოლო, თუ ქრისტიანები მოვლენ და იმავე გზით მოწოდომებენ სამოთხეში შესღვას, ფატმანი წყვილთაგან თვსთა გამოუშვებს წვალს ქრისტიანების თავზე და მოაშთობს მათო.

ენა ტიმოთეს თხზულებებისა ისტორიულ-მოთხრობითს ნაწილში მარტირია, ხოლო იქ, სადაც განეცნებულ თეოლოგიურ-ფილოსოფიურ მატერიებთან გვაქვს საქმე, მეტად ხელოვნური, ასე რომ ანტონის ენას არ ჩამოუვარდება.

65 ალექსი მესხიშვილი,

მესხიშვილთა გვარმა, რომელსაც ეკუთვნოდა დეკანოზი ალექსი, მისცა ქართულ მწერლობას მთელი რიგი გამოჩენილ მოღვაწეთა, რომელთაც შექმნეს შესანიშნავი კალიგრაფიული შკოლა და ხელი შეუწყვეს ჩვენი ლიტერატურის გამდიდრებას XVIII—XIX საუკ. როგორც ახალ თხზულებათა თარგმნით თუ დაწერით, ისე უკვე არსებულთა გადაწერით; ასეთია დეკანოზი გრიგოლი, ალექსი, გიორგი, სოლომონი, დავით რექტორი, იერონიმე და ტარსი არქიმანდრიტი. ალექსი იყო, როგორც თვითონ ამბობს, ძე ტფილერთა შოქალაქეშხუდის კედონის მხატვრის გრიგოლ შდუღედის დეკანოზისა; ის იყო დეკანოზი ანჩისხატის ტაძრისა მცთვრამიტე საუკუნის ნახევარში, თანამოღვაწე ანტონ კათოლიკოსისა ან მწერალი მისი.¹ ანტონ კათოლიკოსთან მას აერთებდა გულწრფელი მეგობრობა, ამიტომ, როდესაც ანტონი გასამართლეს, მისთვისაც მიუყენებიათ რაღაცა შეურაცხყოფა, მგონია—აღუკრიჭათ; ეს იქიდანა ჩანს, რომ ანტონ კათოლიკოსი მას წერილსა წერს მოსკოვიდან 1756 წ. 6 აპრილს, სადაც ამბობს: ჩვენ ამჯერებს ეგონათ, რომ ძაღვი შდღედობას ჩვენისა რათა იუფესმცა კოწოქსა შინა თმათა ჩვენთსა; გარსა არა ეგრეთ (წერ.-კთხ. ხე-ნ. № 1158). როგორც განათლებულს კაცს, მას თვალსაჩინო როლი ჰქონდა თანამედროვე საზოგადოებაში და მწერლობაშიაც მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა. მას, როგორც დახელოვნებულ კალიგრაფს, მრავალი ხელნაწერი გადაუწერია, თუცა თვითონაც შეუტანია საკუთარი წვლილი ჩვენი მწერლობის საღაროში. ამ მხრივ პირველად ყოვლისა უნდა დავასახელოთ მისი სათგემ განგებ, ან თათუნი. ჩვენ ვიცით, რომ XI საუკ. გიორგი მთაწმიდელმა გადამოიღო ბერძნულიდან „ათთუნი ათორმეტზე სრულიად“, რომელმაც უცილობელი ბატონობა მოპოვა ჩვენს ლიტურჯიკულს პრაქტიკაში. შემდეგი დროის გადამწერელნი ამ შრომისა ამათუნი წმიდანის ხსენების დღეს ხან ერთ ჯგუფს მოათავსებდენ საგალობლებისას, ხან მეორეს, ხან მესამეს, ვინაიდან, როგორც ვიცით, გიორგის სათუჯოჲ საგალობლები არა ერთასა, არამედ მრავალთა ღვლათაგან ერთად შეკრებილ იყო; ამან გამოიწვია თათუნის რედაქციების სხვადასხვაობა, რასაც განსაკუ-

1) მკირე უწყება ქართველთა მწერალთათჳს, ძველი საქართველო, ტ. 1 გვ. 3, 83-41.

თრებული ყურადღება მიაქციეს მეთვრამეტე საუკუნის ნახევარში. საქმე ისაა, რომ ამდროს ჩვენს ლიტურლიკულს პრაქტიკაში განტყიცებული იყო რუსოფილური მიმართულება და გატაცება, ჩვენში ცდობდნენ უცვლელად გადმოენერგათ რუსული საღვთისმსახურა წესები და ტრადიციები. ქართული თთუენის შედარებამ რუსულთან გამამყდაინა ორი რამ: 1) ზემოაღნიშნული მიზეზის გამო რუსულ თთუენში ვერ პპოულობდენ ყველა იმ საგალობელთ, რომელთაც ქართუში პქონდათ ადგილი, 2) ქართულ თთუენში ვერ პპოულობდენ ტპიკარულ შენიშვნებს, ან ამათუიმ დღეს ღვთისმსახურების შესრულების წესრიგის აღნიშვნას, რასაც რუსულ თთუენში ამ დროს ფართო ასპარეზი პქონდა მოპოვებულა. ამან გამოიწვია სუფილი, სხვა წიგნებთან ერთად, ქართული თთუენიც შესწორებულ ყოფილიყო რუსულთან შედარებით. ეს რომა ორი მიმართულებით სრულდებოდა: საქართველოში და რუსეთში. საქართველოში ის უკისრია აღექსი მესხიშვილს; მოგვყავს ბოლოსიტყვაობა მისი სათვეო განგებისა: „ესენი სრულიად აღკვერიეს რუსულს ტიბიკონზე კმასაყოფელნი წმინდისა ეკლესიისანი ტიბიკონის განწესებისაებრ.... ამას საწადელსა და სასურველსა სიგნსა წერად კელვპყავ ტფილურთა მოქალაქექმნილის კლოანის მხატურის გრიგორ მკუდლის დეკანოზის ძემან თვთ უღირსმან მღუაელდეკანოზმან აღექსიმ, რომელსა ფრიაღი შრომა დამიც, ვინაათგან რომ დღესამდე რუსული ტიბიკონი ქართლში არა გვეპოვებოდა ამისთვს კეთილად ვერ გამოიძიებინათ ტიბიკონის წესით მწეალთა აღწერად წიგნთა და რაზადენიცა აღწერათ წიგნი, თავის ნებზედ განეკყენათ დასდებელნი და საგალობელნი და ეკლესიისა წესნი და განწესებანი სრულიად დაეშინათ, რადგან დედანი არა პქონდათ, ამისთვს რომელსაც რგორც პნებოდათ, ისრე ეწეათ. მერმე, როდესაც რუსული ტიბიკონი ენახეთ. აღწერე მე გლახკმან და ყოველთა უზნდოესმან რაპტაოდენ შემეძლო მადლითა და ძალმწეობითა ღმრთისაათა. გულსმოადვინებით მრავალემ ვძებნე და გამოვიძიე მრავალთა ძველთა წიგნთა წინა ხილვითა და მრავალთა მიფრალთა ადკილთა, დაძველებულთა, დაშლილთა და დაყრილთა ფურცელთა შინაცა ვპპოვე დიდის შროპით და ძიებით და საეღესიოთა საგალობელთა, სადაც რომ იპოვებოდა და მივსწვდი, უნახავ არა დამიშთა და სხუათაცავან გამოწულილვით გამოვიძიე და ესრეთ ტიბიკონთა შემოწმებით ვწერდი და რომელნიცა არა შეემოწმნის მუკლნი დავაცადი, სანამ სადამე არა ვპოი არ

ღარა აღწერდი, როდემდის არა შეიკრძობის ტიბიკონსა: უწყის უფაღ-
მან და თქვენსა სიწმიდეჲან, რომ მრავალგზის გამოვიძიე, რომ უფროს
ამისსა აღარ გბოდა ჩემბრ მდამბალიაგან, და რდეს აღწერე; ჯერეთ
ჩემს წინაშე რუსულს ტიბიკონზე სხუას არივას აღწეუნეს; და სამი
თვე: სეკანბერი ოკდონბერი და ნოენბერი რუსულის სადღესასწაუ-
ლ-ს წაგნიდნ დაიწერა, და ეს, ცხრა თვე, ნამუშაკვეი ჩემი, დეკანბრი-
დან ვიღრი აგვატომდე, მე ვიშროვე და შევაწყვე, ვითარცა შეიკრე
ვიქვე და რომელნიც ამას ნაშრომა ჩემსა ზედა მიქიხვევნეთ, განა სწერ-
დეთ, ნურვინ ბრძნობთ, და რომელსაცა უკეთ შეგეძლოთ. მან სხუა
აღწერენ, და ესე ჩემბრ უკეხისათვის იყვენ... წერი იყვენს აღამისით-
გან ესე და ქრისტეს განკორცელებითგან ჩდნ¹ და ქარონიკონსა
უმკ. ამნაირად, აღექსი დეკანოზის შრომა, როელიც მას დაუმთავრებია
1753 წელს, მდომარეობდა იმაში, რომ, როდისაც მას ხელში ჩავარ-
დნია რუსული ტიბიკონი და ამ ტიბიკონზე მწყობილი თთუენი,
ტიბიკარული შენიშვნები გადმოუტანია ქართულს თთუენში და სა-
გალობლებიც რუსულთან შეუთანამეხია. მას ამ შრომაში, რუსულ წმი-
დანებისა და დღესასწაულთა მაგიერ, შეუტანია ქართული, ქველის, ან-
ტონ კათოლიკოსის წინადროის სასტემითა და საგალობლებით, სახელ-
დობრ: 13 სექტემბერს ქართვეან დედოფალი, 1 ოქტომბერს—სვეტი-
ცხოველი, 19 ნოემბერს—წმ. ნინო, 20 მარტს—არჩაღ და ლუარსაბი,
7 მაის—იოანე ზედაზნელი, 13 მაის—იქვობე ათონელი, 29 ივლისს
—ევსტარე მცხეთელი, 3 აგვისტოს—რადენ პირველმოწამე და 28
აგვისტოს—შუშანიკ დედოფალი. აღექსი დეკანოზი ცდილა მასი შრო-
მა დაახლოებული ყოფილიყო რუსულ დედანთან, ეს, სხვათა შორის.
ჩანს იმ შენიშვნადან, რომელიც მას 3 ნოემბრის ქვეშ მოუთავსებია:
„წმიდისა ამის დიდებულისა მოწამისა გიორგის დღესასწაულსა ვინაჲცა
აპირლსა 23 აღვასრულებთ, ვინაჲთაჲც მას დღესასწაულსა ყო-
დუ წლი მოწამეობისა ეკისსა, ხოლო ნოემბერსა 3 განახლება არს ტაძრისა მისი-
სა, სადა დაიდვა მრავალმოღუაწე წმიდა გუამი მისი... ხოლო აპირლ-
სა 23 ბრწყინვალედ დღესასწაულობს წმიდა ეკლესიაჲ ბერძენთ
და რუსთაჲ... ხოლო სხუათა დღეთა სანეკლესიოდ განწიებული დღე-
სასწაული წმიდისა გიორგისა ვერასადა ვაბეთ, არცა ბერძნისა და არცა
რუსისა წერილსა შინა, ვითარ ჩუენ ქართველნი ვდღესასწაულობთ. ნოე-

1) ხ ი ძ ვ: მ უ ზ. ხელნაწერი № 1136

ნბერსა ათსა და სხუასა და სხვასა ადგილსა სხუათა და სხუათა დღეთა, შემდგომად აღვსებისა ყოველთა კვრიაკეთა ვიდრე ყოველთა წმიდათა კვრიაკემდე, რომელსამე ქაშოეთად უწოდენ, რომელსამე კალობნად, რომელსამე ზღუდრად, თვთ საუფლოსა დღესა ამალღებისასა თელეთობად სახელსდებენ. შე ესრეთა ვგონებ, ესენი არცა ერთი სათნო ღმრთისაა იყოს, არცა დიდისა მოწამისა გიორგისა, არამედ ყოველი მოპოვნე-ბული და საეშმაკო¹⁾ (იგივე ხელნაწერი).¹⁾ გატაცება რუსული დედანით იქამდის მისულა, რომ მთელი რუსული ფრაზები შეუტანია ალექსის თავის შრომაში ქართულ ტრანსკრიპციით, მაგალითად, შნოემბრის კანონს აწერია იედღვე კრავლანხსიე. — его же краегранесіе, ანუ ქართულად — რომლისა კიდურწეხილთა. რაგორც უნდა იყოს, ალექსის შრომა თთუენის ისტორიაში თვალსაჩინო მოგლენად უნდა ჩითვლოს.

თთუენის განწყობა რუსული ტიბიკონის წესზე, რომლითაც ასე გატაცებული ყოფილა ალექსი, გამოწვეული იყო იმით, რომ სწორედ იმ ხანებში შესწორებულ იქმნა ანტონ კათოლიკონის მიერ ქართული ტიბიკონი რუსულის მიხედვით; შეიძლება ამ შესწორებაში თვით ალექსიც იღებდა რამე მონაწილეობას, ყოველ შემთხვევაში ჩვენამდე შენახულა ორი ცალი ამ შესწორებულ ტიბიკონისა,²⁾ ალექსის ხელით ვადაწერილი, რომელთა ბოლოსიტყვაობა ძაან მოგვაგონებს თთუენის ზემოამოწერილს ბოლოსიტყვაობას. ყოველ შემთხვევაში, გამოსულა თუ არა ეს ტიბიკონი, ალექსის მის ნიადაგზე და საფუძველზე ხელი უყვია თთუენის შესწორებისათვის.

66. ფილიპე ყაითაყაშვილი.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ თავის ალაგას, რომ მეთვრამეტე საუკუნეში გაცხოველდა ქართველსომეხთა ლიტერატურული ჯრთიერთობა, რამაც, სხვათა შორის, გამოიწვია ქართული კულტურისა და მწერლობის აღორ-

¹⁾ ეს შენიშვნა, რომელსაც აღ. იოსელიანი ანტონ კათოლიკონს მიაწერს, შეტანილი ყოფილა 1791 წ. ქ. ტფილისში დაბეჭდულს „სამთაჟენში“ (ტომოთეს მოწახურობა, გვ. 136-137. შენიშ.)

²⁾ სიძ. მ. უ. ხელნ. № 399 და 459.

წინება. იმ პირთა შორის, რომელთაც ხელი შეუწყვეს ამ ჟრთიერთობის გაღვივებას, პირველი ადგილი უნდა მიეკუთვნოს მღვდელს ფილიპე ყაითმაზაშვილს. ეს საკმაოდ სხვილი ფიგურაა მეთვრამეტე საუკუნის მოღვაწეთა შორის, თუმცა, სამწუხაროდ, ვინაობა მისი გარკვეული არაა.¹

დოსითეოზ ნეკრესელის მოწმობით, ფილიპე იყო ჭარმანთა მღვდელი ადგილობრივისა ნათესაობისა სქესითა ქართველი და ტომობითისა სქესითა ძე აზნაურთა,² ანა და—მღვდელი ჭარმანთა, ჭარმანთაჲ გვარისა, აუქისიან გან ქართველთა, ცამისვან აზნაურთა.³ სომეხთა ან ჰარმანთა მღვდლად და ხუცად ფილიპეს სახელსდებენ აგრეთვე ანტონ კათოლიკოზი, მდივანბეგი იოანე ორბელიანი და ანტონ ცაგერელ-ჰყონდიდელი. ანტონ კათოლიკოზის სიტყვით, მღვდელი ვინმე ნათესავით ერმანინი (რომელ არს ჭარმანნი), სახელით ფილიპე ყაითმაზაშვილი გვართავს აზნაური, იყო დად თავადთა ორბელიანთა სამთავროთაგანი.⁴ მაშასადამე ვასაგებია იოანე ორბელიანის სიტყვები. რომ სომეხთა მღვდელი ფილიპე იყო აზნაურთა ჩუენთაგანთა.⁵ ნათქვამიდანაც უხადია, რომ ფილიპე ყოფილა ტომით ჰარმანი ან სომეხი. წარმოშობით კი ქართველი და მასთან აზნაური, გვარათ ყაითმაზაშვილი, ორბელიანთა სამფლობელოდან, ესე იგი—გაქართველებული სომეხი. და, როგორც ასეთი, თანახმად დოსითეოზ ნეკრესელისა, ქართველთა უნისა ქცევისათა. ფრიად შეცნიერი.⁶ როგორ მოხვდა ტფილისში ფილიპე ან რა პირობებში, ამის შესახებ არა ვიცით რა; შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად ის გაემწყვდა აქ ერთერთ სომხის სამრევლოში მღვდლად. მდივანბეგი იოანე ორბელიანი გადმოგვცემს შემდეგს: ძავადა სსმეფად საქართველოვსად, ქადაქად ტფილისად, სომეხთა კათალიკოსისა მიერ უნისკოვასად და ეგუურად წარმოვლესილი საქართველოსა შინა მყოფთა სომეხთა 'ხელა ყოვლად ბრძენა ავერტიქ უნისკოვასი, რომელი იყო ქვეყანისაგან ხახვივასისაგან, სოფელ-ქადაქით ჭუეკით, კაცი ფრიად საქმა და განსწავლული ხელციოისა და საქმითისა შეცნიერებითა... მივედ მე მოწაფედ სწავ-

¹ რამოდენიმე ცნობება ფილიპეს შესახებ განოაქვეყნა ლ. მელიქსეძემ: იხ. ანაველი წგ XVIII ს. ქართული ლიტერატურის ისტორიიდან (ფილიპე ყაითმაზაშვილი), ლომონია, 1922 წ. № 26; მისივე—სმ. biographie sommaire d'Alexandre Kaitchava, Xrist. Vostok, t. VI, стр. 281—284.

² წერეთლის. ხელნ. № 1137, გვ. 6.

³ წერეთლის. ხელნ. № 2504, გვ. 103.

⁴ სიტყ. მთხ. № 785, გვ. 3—4.

⁵ წერეთლის. ხელნ. № 192, ფ. 7.

⁶ წერეთლის. ხელნ. № 1137, გვ. 6, № 2504, გვ. 103.

ღისა ზემოკაცებისა ნისკაპას... და მოვიდა თანამესხოჯედ ჩემდა ხი-
კოლას მდღედი კახთა შუის კარს და კუალად სიურმით სიჩხოთიკან მოწაფე
ყოფლად ბრძნისა მის ეპისკოპოსისა გიორგი ნათლისძე, რა შედიცა განსწავლად
წიგნითა და კითხვითა და სწავლისმეუფარებითა სამეხთათა. და სამეხთათა მდღედი
ფილიპე, აწსაურთა ჩუენთაგანი. ტრფიადი სწავლისაო.¹ როგორცა ჩანს, ფი-
ლიპე ყაითმაზა შვილი, ზოგიერთ ქართველებთან ერთად. დამოწმებულია
ტფილისში ახლად გამწესებულ ეპისკოპოს ავეტიქს და მისი ხელმძღვა-
ნელობითა გაუარცია და გაულრმავებია ანოლოგიურ ფილოსოფიურ
კოდნა, რომლითაც რამოდენადმე წინათაც ყოფილა აღქურვილი. მარ-
თლაც, იპდენად დაწინაურებულა ფილიპე სწავლა-მეცნიერებაში, რომ
ის მიუწოდომელ და შეუღარებელ ავტორიტეტად ითვლებოდა ტფილი-
სის ქართულ-სომხურ წრეებში. დოსითეოს ნეკრესელი აბობს, რომ
ფილ პე იყო ფრანდ განება ვრცელ-მალადი და კეთილმეტეხი ძლავთურთა
არისტოტელ და ზითადრებრთა სიბრძნისმეტყველებათა ჭარმანუღითა ენითა.²
ამიტომ ის მას იხსენიებს დოკტორის სახელით,³ ხოლო ავტორი
თხულებსა: მცირე უწყება ქართველთა მწერალთათეს, მხადის მას ზედმიწევნილ
ფილოსოფოსად.⁴ რასაკვირველია, ასეთი განათლებული და მომზადებუ-
ლი კაცი უსაქმოდ არ დარჩებოდა მაშინდელს ტფილისში: როდესაც
1755 წელს ანტონ კათოლიკოზმა აქ საღვთისმეტყველო-საფილოსოფიო
სემინარია გახსნა, მის სხოლაპეტად, ესე იგი რექტორად, დანიშნა ფი-
ლიპე მღვდელი. ტფილისიდან ის გადაუყვანია თელავში ერეკლე მეფეს
და დაუნიშნია სხოლაპეტად ან რექტორად მის მიერ 1758 წელს
გახსნილი საფილოსოფიო-სათეოლოგიო შკოლისა: ამას მოწმობენ დო-
სითეოს ნეკრესელი⁵ და ანტონ ცავერელ-კყონდიდელი. რომლის სი-
ტყვით ბრწენავაჟეს ირაკლა შერქეს, დიდსა მეფესა, აღეგო სხილად ქაღაქ-
სა თელავს და მოკაფავს სხოლაპეტად და მოძღურად სიბრძნისა ჭარმანთა მდღე-
დი ფილიპე, რომელი დიანს იყო ესეკითარის მოძღურებისა პატივსა.⁶ ამ-
ნაირად, ფილიპეს მოღვაწეობა ჩვენში იყო პირველად ყოვლისა პედაგო-
გიური: როგორც სხოლაპეტმა და მოძღვარმა ტფილისისა და თელავის

1) წერა-კითხ. ბელნი. № 192, ფ. 7.

2) წერა-კითხ. ბელნი. № 2564, გვ. 10.

3) წერა-კითხ. ბელნი. № 255, ფ. 2.

4) ძველი საქართველო, ტომი I, გვ. 2, 3, 10.

5) წერა-კითხ. ბელნი. № 1237, გვ. 7.

6) ბელნი. ქუთაისის ს. ისტ.-საეთნოგრაფ. საზოგადოებისა.

შკოლებისამ, მან შრავაღნი მოწაფენი განსწავლნა,¹ სხვათა შორის — დოსითეოზ ნეკრესელი, ანტონ ცაგერელ-ქყონდიდელი და სახელოვანი ვილაც ზაქარია. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ფილიპეს ლიტერატურული მოღვაწეობა, რომელიც მიმართული იყო იქეთენ, რომ ქართულ ენაზე გადმოღებულ ყოფილიყო საუკეთესო ფილოსოფიური და თეოლოგიური თხზულებანი სომხური ლიტერატურისა. ფილიპე ამ შემთხვევაში მუშაობდა არა მარტო, დაჰოუკიდებლივ, არამედ რომელიმე გამოჩენილ პირთან ერთად, როგორცაა, მაგალითად, ანტონ კათოლიკოზი, მდივანზეგი იოანე ორბელიანი, ნიკოლოზ კახელი, დოსითეოზ ნეკრესელი, ანტონ ცაგერელ-ქყონდიდელი და სხვ. ამ პირთა შეკვეთით და დავალებით ის სთარგმნიდა ხოლმე სომხურიდან ამათუიმ თხზულებას; თუმცა ქართული ენა მან, როგორც ზემოთაც ვთქვით, კარგად იცოდა, მაგრამ დასახელებულნი პირნი მის თარგმანს მაინც აშალაშინებდენ სტილისტურად და აწყობდენ მას ქართულ ენის კანონზე. არსებულ და დღესდღეობით ცნობილ ხელნაწერთა მიხედვით, სულ ადრინდელი შრომა ფილიპესი ეკუთვნის 1750 წელს. ზოგადი მიმოხილვა ფილიპეს შრომებისა ჩვენ გვაქვს ანტონი ცაგერელ-ქყონდიდელის დიდს ლოდიკაში, სადაც ის ამბობს: ფილიპე „ბრძანებათაებრ საღვთოთაჲსა უმურთულად მისცემდა ყოველთა სიბრძნესა წერილთასა: ამას მეთქუეობასა მიმტკიცებს ხილვაჲ მისთა გარდამონაცემთა წიგნთაჲ, რომელი გარდმოიცა ამის ფილიპეს მიერ ბრძანებითა უბრწყინვალესისა საქართველოთაჲსა ირაკლი მეორისა მეფისაჲთა: სიმეტნე ღრამმატიკისა, უვრცელესიკა ღრამმატიკა ბიბითარისა, მკირე დიალექტიკა სიმერონ ჯულფელისა, ხუთი კმა პორფირისა თვისთა განმარტებითურთ, პერიარმენია, ნახხზი არისტოტელის მიერ, ვრცლად ნათქვა რიტორიკა მიხითარის მიერ, წიგნიკა ღვთისმეტყუელეებითი პროკლე პლატონ ღრისა ფილოსოფოსისა, რომელ არს „კავშირი“, უკანასკნელ ამათსა კუალად დიალექტიკა მკირე ანტონი კოვიდისა. ესე ყოველი გარდმოიცა ამის ფილიპეს მიერ ბრძანებითა ზემოქსენებულთაჲსა დიდისა ბრწყინვალისა მეფისაჲთა“. მერე ანტონი დასახელებს ორს თავის შრომას, რომელიც ფილიპესთან ერთად დაუშუშავებია მას, სულ, მაშასადამე, ათს შრომას.² ეს სია ფილიპეს შრომებისა არც სწორია და არც სრული, ამიტომ ჩვენ ჩამოვთვლით მათ არსებულ ხელნაწერთა მიხედვით.

¹) წერ. კითხ. ბელბ. № 1137. გვ. 7.

²) წერ. კითხ. ბელბ. № 250. ფ. 174—170.

I. როგორცა ვთქვით, განსაკუთრებით ბევრსა მუშაობდა ფილიპე ანტონ კათოლიკოზთან, რომელსაც ის, თანახმად მისივე ცნობისა, ძან დაუახლოვებია თავისთან და დაუმეგობრებია. 1) პირველად ყოვლისა ფილიპე ანტონს ეხმარებოდა მზამეტყუველების შედგენისას 1750—1752 წლებში; შემეწოდა მე ფილიპეზე ხუცესი, სომეხთა გვარისაგანი, თარგმანებისა სომეხთა წერილთაჲთა, ამბობს ანტონი,¹ ესე იგი ფილიპე უმზადებდა მას მასალებს სომხური წყაროებიდან. 2) უწინარეს იმწინად როსსიის წარსდგის ჩემსა, ამბობს ანტონ კათოლიკოზი, კადმდეჲს ვუაგ ჭადიხვესათა ხუცესსა სომეხთაგანსა დაალექტივისათ:² ის არას ამბობს, ვისი იყო ეს დიალექტიკა, მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, აქ ჩვენ გვაქვს შიგნი დაალექტიკა სიმეონ ჯუღუყულისა, რომლის გადმოთარგმნას, როგორც ზევით დავინახეთ, ფილიპეს მიაწერს ანტონ ცაგერელ—კყონდიდელი. ეს თარგმანი, რომელიც შესრულებულაა 1755 წელს, ზოგიერთებს შიანნიათ იოანე ტარიქისძის ნაწარმოებად, მაგრამ სრულიად უსაფუძვლოდ.³ 3) შემეშთხუა მე, გვამცნებს ანტონი, ფილიპე ხუცესი, რომლისა თანა ძიებასა ვჭეოფდი სიტუუათასა დღითიდღე ურთიერთს და ფრად შეგობარ ვიქმენ მისი; ჯერეთ თრთა ნაწილთა არისტოტელის შესმენათასა ვუაგთ სომეხთა ენისაგან გადმოთარგმნაჲ, ესე იგი მეთხზუათბისა და შესატუუთბისა, რომელ არს სიღთგიზმო.⁴ აქ, უეჭველია, იგულისხმება ათნი კატრილორიანი არისტოტელეებანი, რომელნიც ანტონის სხვათა და სხუთა მაგალითებითა განუარგვნია, როგორც თვითონ გადმოგვცემს, ფილიპეს დახმარებით.⁵ 4) ამასთან ერთად, ამბობს ანტონი, გადმოვართარგმნიე ფილიპეს, კუაღად ხუთნი კმანი, სიარებთაყრთ და განყოფით, ზორფირითს ფანიკელისანი და რომელნიმე მცირესა შინა ნაქესთა შევაწუვდიენ და რომელნიმე განვარტვნეთ (იქვე). სამი უკანასკნელი შრომა (2—4) შესრულებულია 1755 წლამდე, როგორც ეს ანტონის სიტყვებიდანა ჩანს. 5) ვინაიდან, ანტონის სიტყვით, ფილიპე შდდედი ფრად სედიქიწენილი იყო ღრამატისა კელტენებისა სედა, მას გადმოუთარგმნია მეხითარ სეესტიელის ღრამატისა, რომლას მიხედვით და მთარკინელის დახმარებით ანტონიმ 1755 წელს შეადგინა ქართული ღრამატისა შემდეგი სათაუ-

¹) წყობილისიტუვაობა, გვ. 4—5.

²) წერ. კითხ. ხელნ. № 4839, „შოამბე“ 1898 წ. № 9, გვ. 43.

³) მოთავსებულია წერ. კითხ. ხელნ. № 45, 131, 255, 271. ს. ა. გ. მუხ. № 1: 85, 329, 340. შეად. ს. ვორგაძე, კრებ. ჩვენნი მეცნიერება. № 7—3, გვ. 141—148

⁴) სიძვ. მუხ. № 785, ფ. 3.

⁵) შოამბე 1898 წ. № 9, გვ. 93.

რით: დრამატუკა სომხურიდან შედგენილი მიხაიასისა დრამატიკისა წესით.¹ 6) ანტონ ცაგერელ-ჰყონდიდელის ცნობით, ფილაქემ გადმოიღო სიმეტრე დრამატიკისა, ესე იგი—ის დახმარებია ანტონ კათოლიკოსს დრამატიკა-სიმე ნეს შედგენაში, რომელიც დაწერილი უნდა იყოს 1763 წლამდე, როდესაც ჩვენ გვაქვს ერთერთი ნუსხა მისი (სიძვ. მუზ. № 415). 7) 1764 წ. ანტონის რუსეთთან დაბრუნების შემდეგ ფილიპეს გადმოუღია მისთვის შემოკლებულად მსითარ ფოკლადბრანსა მოძღვრისა სომეხთასა სევასტიანისა ქმნილი წიგნი რიტორიკა, რომელშიაც ანტონს მაგალითები ქართულიდანაც მოუყვანია.² 8) 1776 წელს ფილიპეს გადმოუთარგმნია I, II და III მსოფლიო კრებათა აქტები (სიძვ. მუზ. № 618). რომლის იამბიკურ წინასიტყვაობაში იოანე ოსესძე ამბობს: „რამეთუ ამაღ აწვია ესე ხუცესსა ეკლესიისა სომეხთასა ფილიპესს, კაცსა ბრძენსა და მეცნიერსა ქართველთა ენასა ზედა გარდამოღებისასა, რამეთუ ესრედ მოსწრაფებად მსუროდა, რომლისა ლუაწლნი და შრომანი მრავალნი ჰქონან თვთ მისის უწმიდესობის თანა მრავალთა წიგნთა გარდამოღებასა შინა ქართულთა ზედა სომეხთა ენისაგან და დამაშურალ არს მსახურებად ამისად“ (ფურ. 3). 9) იმავე ფილიპეს უნდა გადმოუთარგმნოს ანტონისათვის საუნჯე კირილე ალექსანდრიელისა (სიძვ. მუზ. № 3), რომელსაც ანტონი, მისი სიტყვით, დიდი ხანია ეძებდა; 10) აგრეთვე დაწიო საბრძანისმოყუარისა ახსნა პრინციპის შეყვანილებისადმი რწათ თავთა შერთვისა (წერ.-კითხ. ხელნ. № 203).

II. როდესაც მდივანბეგი იოანე ორბელიანი და ფილიპე ყაითმაზაშვილი დამოწაფებიან ტფილისში ავეტიქ ეპისკოპოსს, ისინი დაინტერესებულან პროკლე დიადოხოსის თხზულებით კავშირნი ღვთისშეტყუარებისანი, რომელიც მათ ჰქონდათ როგორც ქარაულ ენაზე (იოანე პეტრიწის თარგმანი), ისე სომხურზე (სვიძეონ ჯულჯელის რედაქცია). ჩვენ ვიცოდითო, ამბობს იოანე, რომ ქართული და სომხური რედაქციები ერთმანეთს ენათესავენოდენ, მიუხედავად ამისა, მათ შორის ვამჩნევდით დიდს განსხვავებას, რომლის მიზეზი ვერ გაგვეგოო. ამიტომ ვევიდრე კსენებულს მას ფილაქემ ხუცესსა. რომელმან კეთილად უწყობდა ენა ქართული, რამეთუ სხუანნი წიგნიცა ეთარგმნეს ენას ზედა ჩუენსა. და ურთიერთთა სხონიყოფითა ვიწყეთ ზოგადრე თარგმანებად და უმრავალესრეს კვლითა ჩემითა

¹ სიძვ. მუზ. № 785, წიგნ-კითხ. № 137, გვ. 6. А. Чагарели, О грамматической литературе Грузии. хыка, стр. 6—7.

² А. Чагарели. Свѣдѣнія III, стр. 116; შიგნით 1898 წ. № 6, გვ. 93.

ესწერდი და აღესმე ნიკოლაას აღსწერდისო.¹ ამნაირად. 1757 წელს გარდ-პოუღიათ მათ პროკლე დიადობოსის აღნიშნული თხზულება ივიმეონ ჯულფელის რედაქციიდან.

III. ავეტიქ ეპისკოპოსს ტფილისში, როგორც ხევითაც იყო მოხსენებული, იოანე ორბელიანსა და ფილიპესთან ერთად დამოწაფებია ნიკოლაას მღვდელა კახთა შეფის კარისა; დოსითეოზ ნეკრესელი გადმოგეცემს, რომ ამ მღვდელმან ნიკოლაოზ ქიზიყელმან გარდაშობილ არისტოტელის ოხზუთნი ფილასოფობანი, რომელ არს ჰერაკლეონია და კუადად მისივე ფილასოფობასა ნააქსა აწრი, რომელ არს დიალექტიკა; თარგმანებით. მისივე მღვდელისა ფილიპესითა (წერ.-კითხ. № 1137, გვ. 7).² რომელ წელს ითარგმნა ეს თხზულებები, არა ჩანს.

IV. ფილიპეს შრომა გამოუყენებია აგრეთვე ნეკრესის ეპისკოპოსს დოსითეოზს ჩერქეზიშვილს: როგორც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. დოსითეოზმა და ფილიპემ გადმოითარგმნეს სომხურიდან დავით უძლეველის: 1) წაგნი საზღვართა, 2) ასხნა ზორფირისა. შეკვანბლებიანი-დმი, ორივე 1758 — 62 წლებში; 3) რიტორიკა მებითარ სევასტიელისა 1761 წ. 4) შემოკლებითი ასხნა ჰერაკლეონიასი - დავით უძლეველისა 1762 წელს და 5) მძირე ღოდია ანტონი კოვილისა 1764 წ.

V. როგორც თავის აღგილას გავარკვევო, ფილიპეს უკიდნა გამოუყენებია აგრეთვე ანტონ ცაგერელ-ჰყონდიდელს; მას ფილიპესათვის გადმოუთარგმნინებია 1775 წელს თვისი ძმის, სამეგრელოს მთავრის, კაცია დადიანის ბრძანებით წიგნი ჭეშმარიტებისათა ღმრთისმეტყუელებისა უკვლად ბრძნისა აღფერდისი,³ ხოლო 1776 წელს ღოდია დიდი ანტონი კოვილისა.

დასასრულ, 1775 წელს მღვდელმან, მისის სიმაღლის მოძღვარის იოანეს ძემან, გავრდიდმა, თარგმნა სომხურიდან ანტონ კათოლიკოზის ბრძანებით და თანშრომითა ჰარმანთა კასა მღვდელის ტერ ფილიპესკან თხზულება გრიგოლ ნარეკელისა ქება და შესხმა ქაღწულისა უფადაისი.⁴ ამნაირად, ფილიპეს მეცნიერულ-მთარგმნელობითი ხელა ატყვია, როგორც ვხვდავთ, 21 კაპიტალურს ფილოსოფიურ-თეოლოგიურ შრომას: ვინ იცის. ამით გარდა რამდენი უწერია და უთარგმნია კიდევ მას. მაგრამ არსებულ მასალათა მიხედვით ჯერჯერობით მეტს ვერას ვიტყვი.

1) წერ.-კითხ. № 192, ფ. 7-11.

2) ეს დიალექტიკა გვაქვს ნიკოლოზ უღლ. № 220. შავაწერ-ვით. № 111. უღრ. 35-148.

3) წერ.-კითხ. № 230, ფ. 176.

4) წერ.-კითხ. ხელნ. № 370, გვ. 65-81.

67 დოსითეოზ ნეკრესელი.

დოსითეოზ ნეკრესელი, გვარათ ჩერქეზიშვილი, ერთი მნიშვნელოვანი პოლემიკური ქართული მწერლობის ასპარეზზე მეთვრამეტე საუკუნის შორე ნახევარში; ის თანამედროვე კათოლიკოსის ანტონ პირველისა და ტრიალემს იმ ლიტერატურულ სფეროში, რომელიც შექმნა დარომელსაც ასულდგმულებდა დასახელებული კათოლიკოსი. საჭირო ბიოგრაფიული ცნობები დოსითეოზის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება, არ ვიცით—როდის მიიღო მან ნეკრესელობა ან როდის დასტოვა ის. 1746 წ. ნეკრესის კათედრაზე ჯერ კიდევ ენისელი მოურავის შვილი იოანე ზის,¹ ხოლო დოსითეოზის სახელს, როგორც ნეკრესელისას, პირველად ვხვდებით, მგონია, 1758 წელს, როდესაც მას, მისივე სიტყვით, უკურთხები ირაკლის მიერ თელავში გახსნილი საფილოსოფიო-საღვთისმეტყველო შკოლა.² მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ის საკმაოდ გაწვრთნილი უფილა განსაკუთრებით ქართულს მწერლობაში, დოსითეოზი ჩაწერილა ამ შკოლის პირველ მსმენელთა რიცხვში, რათა უფრო დახელოვნებულიყო მეცნიერებაში. ამის შესახებ დოსითეოზი გადმოგვცემს შემდეგს: ერეკლემ მის მიერ გახსნილს შკოლაში შემოიკრიბა ერმანი საბრძნებლისა თვისისანი, ხოლო ერმად ვიტყვი უმეცრებისა ძლიო და ჰასაკით: რა მელნიმე ეფისკოპოსნი, რომელნიმე მდღენი და რომელნიმე ახალ მოსწულენი ეკლესიის მსახურნი.³ და მეც მდაბალი ვინმე ეპისკოპოსი ნეკრესის დოსითეოზ, თანედასებოდი მათ შეკრებულთა ბრძანებითა მეფისათა, ⁴ ასე რომ შევიქენი თანამესხლე პირველთა მათ მესხლელთა.⁵ როგორც სწავლა-განათლებისათვის გულშემოტკივარსა და სამწყსოისათვის თავდადებულ იერარქს. მას თავის ეპარქიაში გაუხსნია პირველდაწყებითი შკოლა. 1762 წელს მეფე ერეკლე ეკითხება მას, რამდგომარეობაშია ეს შკოლა; „იკოლდით“, სწერს მას მეფე, რომ მე მეტად სასიამოვნოდ დამირჩება. თუ თქვენ ბეჯითად იზრუნებთ იმისათვის.⁶ სიგელ-გუჯარები, სხვადა სხვა საქმეთა გამო, მას იხსენიებს 1762, 1784, 1788 და უკანასკნელად 1789

¹) Д. Пурцеладзе, Грузинские церковные гужары, стр. 40.

²) წერ.კითხ. ხელნ. № 2564, გვ. 103—104.

³) წერ.კითხ. ხელნ. № 2564, გვ. 103—104.

⁴) წერ.კითხ. № 1137, გვ. 7—9.

⁵) წერ.კითხ. № 2564, გვ. 103—104.

⁶) Д. Пурцеладзе, стр. 40.

წელს;¹ შართალია, 1797 წელს კიდევ ვხვდებით მას, მივჩნეოთ არა როგორც ეპარქიის გამგეს, ვინაიდან ჯერ კიდევ 1794 წელს ნეკრესელად ამბროსია მოხსენებულნი.² როგორც განათლებული კაცი, ამბროსი დაახლოვებია თანამედროვე ლიტერატურულ წრეებს, განსაკუთრებით თელავის შკოლის სხოლაპეტს ან რექტორს, ჰარმანთა მღვდელს ფილიპე ყაითმაზაშვილს. ლიტერატურული მუშაობა დოსითეოზს ჯერ კიდევ თელავის შკოლაში ყოფნისას დაუწყია; მეტო, ამბობს ის, მეწარმეს ნაშენი ქართველთა ენისა ძველთა წერილთანი და მწერლობათაჲცა.³ მისი ლიტერატურული მუშაობა მიმართული იყო უმთავრესად სომხურისა და ქართული მწერლობის ურთიერთ დაახლოვებისაკენ. ამაში ხელს უწყობდა მას, ერთი მხრით, ის გარემოება, რომ მან, როგორც ნათქვამია ერთს დოკუმენტში, უწყადა სოქუხთა ენა კეთილად,⁴ მეორეს მხრით — ისეთი განსწავლულისა და მომზადებული სომხის მეგობრობა, როგორც იყო მღვდელი ფილიპე ყაითმაზაშვილი. დოსითეოზი სცდალობდა გადმოეღო სომხურიდან ისეთი წიგნები, რაც ქართულ ენაზე არ მოიპოვებოდა: არა დაკსცხრებოდი მე მდაბალი მუშაკობასა კადმთღებისასა ფილასთფოსობითა ხათქვასასა, რომელნი აკლდეს ენასა სუენსათ. ამბობს ის.⁵ დოსითეოზი და ფილიპე ერთად მუშაობდენ, ფილიპე სთარგმნიდა სომხურიდან, ხალხო დოსითეოზი მის თარგმანს ასწორებდა და აშალაშინებდა სტილისტურად. მეგრძანა მე თანამწეობაჲ თარგმანებისა მისისაჲ (ფილიპესა) კუთაღწეობითა ლექსთაჲთა, ქართველთამებრ ენისა კანონისათა, გვაქცნებს ის.⁶

მომეტებულ ნაწილად დოსითეოზი ფილოსოფიური ხასიათის თხზულებებს სთარგმნიდა; ერთერთ თხზულებებს ან დერძში ის ამბობს: აჰა აპურათ კელად თრა და თრა და ექმნებიან ათხსი. რამელა არიან რიტორებისა, საზღვრისა წიგნი, ზორფურისა ახსნა და ახსნა ჰერტიერმენიასი: არა უკანასკნელი შრომა: ახსნა ზორფურისა. ესე იგი ზორფურის შეყვასიღებისა, და ძემოკლებითი ახსნა ჰერტიერმენიასი წიგნთა გადმოთარგმნილია 1762 წელს; პირველი ამათგანის ნუსხა გვაქვს წ-კითხ. №№ 203, 266, 334, 794;

¹) *ibid.* სტ. 40—43. თ. კორდანი. ქართლ-თავის მოხსატრების და ელქების აღკორიული საბუთები, გვ. 258—9.

²) *Пурцеладзе*, სტ. 43.

³) წერ.-კითხ. ხელნ. № 2564, გვ. 104—105.

⁴) მცირე უწყება ქართველთა მწერლობათვს, ძველი საქართველო, ტ. 1, გვ. 34

გვ. 39.

⁵) წერ.-კითხ. № 1137, გვ. 8—9.

⁶) წერ.-კითხ. № 1564, გვ. 104—105.

⁷) წერ.-კითხ. № 278.

მეორეს, წინასიტყვაობის სახით, წარძღვანებული აქვს 17 ხუთსტრიქონიანი ტაეპი, რომელთა აკროსტიხი ამბობს: დოსითეოს სეკრესელა. აქ ნათქვამია, რომ სიბრძნე იგი, რომელი სტაგირელსა ესიბრძნა ზირველ, ერისნეს თარგმანად აქ ენად ჩუქუნეს ენამზე მდღელსა ფილიპპეს ჰარმანულთაჲს ერავლეს მაურ მეფისა ქართველიმფლობელასაო;¹ ეს თხზულებათ, ამბობს ის, უგანმარტნ-ეოხსზა დაჲთ ჰარმანთა ბრძენსა და ქართული ტექსტი წარმოადგენს ამ თარგმანისა თარგმანს,² რასაკვირველია, შემოკლებულს. მესამე ფილოსოფიური შრომა. რომელსაც დოსითეოზი აახელებს, არის რიტორება ან რატორიკა მენითარ სევისტიელიისა. მის შესახებ ანტონ კათოლიკოზი გადმოგვცემს შემდეგს: დროსა როსისასა შინა ეოფისა ჩემისასა სემოქსენებულისა თანა ჟილიპპე ხუცისა სომეხთაჲსა გარდამადებად ექმნა რიტორიკაჲ ქართულად ეოვლადსამდღელსა დოსითეოზს, ეპისკოპოსისა ნეკრესელსა ჩერქეზსა, რომელიცა დიდითარე ღუწიისა გარდამოვლოე... გარნა იგი გრძელ არს და მოძღუართათჲს ჩუუმე ფრიად სავმარ, გარნა მოწაფეთათჲს მოკლე უმჯობეს.³ თვით დოსითეოზი ამბობს: კვლავსე გარდამოვლოად [ეს] მდაბალმან ეპისკოპოზმან ნეკრესისამან დოსითეოს ბრძანებითა მეფისა ირავლისადა... მდღელა ფილიპპე მსახურ იუთ იარგმანებისა, ხოლო მე ჩუენია ენასა ვილსა ზედა წეობასა ვმეცადინობდიო;⁴ მისი თარგმნა დაუსრულებიათ 1761 წლის 18 იანვარს. მეოთხე ფილოსოფიური თარგმანი, რომელსაც დოსითეოზი უჩვენებს, არის წიგნი საზღვართა დავით უძლეველი ფილოსოფოსისა: ამ წიგნის გადმოთარგმნა უბრძანებია ფილიპესა და დოსითეოზისთვის ერეკლე მეფეს თელავის შკოლას გახსნისათანავე, მასასადაჲე — გადმოვლებულია 1758 — 9 წლებში.⁵ ამათ გარდა უნდა დავსახელოთ კიდევ ფილასოფოსობაჲს მეტრ უცთომელ და უბრძემელ მოძღურებისა თომასა, რომელი ქმნიდა არს ანტონი ვოვიდასა ლეჟმოაკელისა ღვთასმეტეველ მოძღურისა ფარეზ ქადაქსა. ეს არის მცირე ღვთაება ან მცირე დიაკონობაჲ. ვინა მცირე ნაცვალსიტყუობაჲ, რომელიც გადმოთარგმნილია ფილიპე მღვდლის მიერ ირავლი მეფის ბრძანებით თანაშრბნითა და

1) წერ.-კითხ. № 278.

2) არისტოტელის „პერიერმენია“ ან ქართულად „განმარტებისათჲს“. თარგმანებული დ. განმარტებული დავითის წიგრ, ჰარმანთა ფილოსოფოსისა. უძლეველად სახელდებულისა, ქართულ ნახედაც არის (წერ.-კითხ. № 278), მხოლოდ არ ვიცით, ვისგანაა გადმოვლებული სომხურიდან ქართულად.

3) წერ.-კითხ. № 1739, მოკლედ 1890 წ. № 6 გვ. 62.

4) წერ.-კითხ. № 1137, გვ. 7-8.

5) წერ.-კითხ. № 2364.

თანტოგ-ღმრავლობითა განმკაცრათ ღუქსთ წეობათაჲს და ქსეათა წესდებასა მღაბდისა ეპისკოპოსისა დოსითეოს ნეკრესელისათა ახელქადაგისა შანა აქლავის დასაბამათ-გან წელთა რ²72. ქრისტეს აქთ 1764 წელსა. ანტონ ცაგერელ-კუნდიდელი გადმოგვკემს, რომ დოსითეოზს უნდოდა ღიღისა ღოღიკისა გადმოღება, მაგრამ ვერ ეწაფა წადიას ამას რომელთაჲ გარეშეთა ში-რეხეთა გამო, ამისათვის მან გადმოიღო მხოლოდ მცირე ღიღიკა ან მცირე დაღუქობაჲ² ეს მცირე ღიღიკა შესდგება სამი ნაწილისაგან: 1) პირო-ბისათჲს და კიდურთა, 2) განსჯისათჲს და წინადადებათა, 3) მტკიცე ზრახველსათჲს და კელხებისათჲს.

დასახელებულ ფილოსოფიურ ხასიათის თხზულებათა გარდა დოსითეოზს, ალ. ხახანაშვილის ცნობით, უთარგმნია სომხურიდან აპოკრიფები, სხვათა შორის. სიურმე უფლისა; ამ აპოკრიფთა ნუსხა ჩვენ პირადად არ ვიცით ჯერ. დოსითეოზი ცნობილი ყოფილა ამასთანავე როგორც ნიჭიერი და მკერმეტყველი მქადაგებელი და მოძღვარი თვისი სამწყობისა.³

68 კათოლიკოზი ანტონ პირველი.

ანტონ კათოლიკოზი შესანაშნავი პიროვნებაა საქართველოს ისტორიაში: ეს იყო ადამიანი, რომელიც თანაბარი ენერჯითა და გამ-ჭრიანობით მოღვაწეობდა როგორც საეკლესიო. ისე სახელმწიფო და სამწერლო ასპარეზზედ. ანტონი იყო შვილი მეფე იესესი, ვახტანგ მე-ექვსის ძმისა, და ირაკლი პირველის ასულის ელისაბედის, ან, როგორც სხვა წყაროებშია, ელენესი, თეიმურაზ მეორის დისა. მზამეტყველების ბოლოში ანტონი შენიშნავს, რომ 1752 წელს, 11 მარტს, როდესაც მას ეს თხზულება დაუსრულებია, ის 31 წლის და 4 თვის იყო, მაშასადამე. დაბადებულია ის 1719 წლის გასულს.⁴ ერისკაცობაში მას სახელად თეიმურაზი ერქვა, თუმცა ზოგიერთები მას არჩილსაც უწოდებენ. როდესაც ანტონი 7 წლის შეიქმნა, მას მამა მოუყვდა და თავისი ორი დით, ანასტასია და მარიამით, რომელნიც, ანტონისავე სიტყვით, „ყრმანი წარსულან აქაჲთ“, ესე იგი—ბავშობაშივე გარდაცვ-

¹) წერა-კითხ. № 250, უ. 2—171.

²) წერა-კითხ. № 250, ფ. 174.

³) А. Х а х а н о в с к и, Очерки по истории грузин. словесности, III, 109, прил.

⁴) ს. ბ. მუხ. იელ. № 175-ის ცნობით ანტონი დაბადებულია 1720 წ. 17 ოქტომბერს.

ლილან, — დარჩა ქვივი დედის ამარა. მისი აღზრდა უკისრია მის ნათლას, დავითგარეჯის წინამძღვარს, არქიმანდრიტ სპირიდონს, რომელიც, თავადი ნოდარ ხერხეულიძის, იოსებ ფალავანდიშვილის და მაჰმადიანობისაგან მოქცეულის მირზა ალი-ისპაანელის დახმარებით, შეასწავლა მას საღმრთო წერილი, ელემენტარული ფილოსოფია და ღვთისმეტყველება და, თითქოს, სპარსული და რაბრული ენებიც;¹ ამავ დროს მას ბერძნულ ენასაც ასწავლიდა ტფილისში მყოფი ჰამფილიას მიტროპოლიტი პართენი.² 15 წლის რომ შეიქმნა, თეიმურაზი დანიშნა გივი ამილახვრის ასულზე და ოჯახური ცხოვრებისათვის ემზადებოდა, მაგრამ ერთმა გარემოებამ ძირიან-ფესვიანად შეცვალა მისი ცხოვრება და სულ სხვა გზაზე დააყენა ის: სპარსეთის მეფე ნადირ-შაჰმა გივი ამილახვარს მოსთხოვა ანტონის დანიშნული თავის „სადედოში“; ზმწყო მამა იძულებული იყო ბრძანება უყუკმანოდ შეესრულებია, რამაც ახალგაზდა და თავმოძწონე თეიმურაზს თავზარი დასცა და სასოწარკვეთილებებში ჩააგდო ის: სულიერი წყლულების დასაამებლად თეიმურაზი ჯერ დაეთვარეჯის ჯდაბნოს შეეხიზნა, მაგრამ, ვინაიდან აქ მან ვერ პოვა კურნება, იმერეთში გადავიდა გასართობად. აქედან 1738 წელს მან თავის დედასთან ერთად მოინდომა რუსეთს წასლვა და აშტრახანამდის მივიდა კიდევ: აშტრახანში მოსკოვს გამგზავრების ნებართვა მხოლოდ დედამ მიიღო, ამიტომ თეიმურაზი გამოეთხოვა მას და სამშობლოში დაბრუნდა, სადაც გელათის მონასტერში 1739 წელს, კათოლიკოსის გრიგოლის ლოცვა-კურთხევით, მიტროპოლიტის ექვთიმეს მიერ ბერად აღიკვეცა ანტონის სახელით. დედას, რომელსაც სულ სხვა გეგმები ჰქონდა და რომელიც სულ სხვა რაქსეის ემზადებდა თავის შვილს, მისი ასეთი საბიჯი არ მოეწონა და საყვედურის წერილიც კი მოსწერა მას; მაგრამ ანტონისათვის სხვა გზა აღარ დარჩენილიყო. განათლება და გვარამედილობა ხელს უწყობდა ახალგაზდა ანტონის იერარქიული კარიერის საქმეში: ერთი წლის შემდეგ იმან მიიღო წინამძღვრობა გელათისა, ხოლო 1740 წ., 20 წლის, ის აყვანილ იქმნა ქუთათელი მიტროპოლიტის სარისხზე, ტომოვ გაბაშვილის ადგილზე, რომელიც რუსეთს გაიგზავნა დიპლომატიური მისიით. ქუთათელობისას, როდესაც ის დროებით თელიავში იმყოფებოდა, კათოლიკოსის დომენტი მესამის გარდაცვალების შემდეგ, მას

1) ი. ბ. გელიანი, შობაღსაქცეობა, გვ. V.

2) იქვე.

შესთავაზეს მცხეთის ეკლესიის საქეთმპყრობელობა, რაზედაც ანტონიმ კატეგორიული უარი განაცხადა და მალე ისევ ქუთაისს დაბრუნდა. 1743 წელს ანტონიმ დატოვა იმერეთი და დაბინავდა დავითგარეჯის უდაბნოში. სადაც სამონასტრო მოღვაწეობაში თვალყურს ადევნებდა აგრეთვე პოლიტიკური ცხოვრების ჩარხის ტრიალს საქართველოში. 1744 წლის 11 აგვისტოს ტარხელ თაშაზაშვილმა ხანჯლით განგმირა კათოლიკოზი ნიკოლოზ სერხეულიძე და ამის შემდეგ დაქვრივებულს კათედრაზე მოწვეულ იქმნა კვლავ ანტონი: ეხლა მან უარი არ თქვა და გაწოდებული სამწყემსთმთავრო კერძი ღირსეულად აიღო ხელში. ამიერიდან იწყება ანტონის ინტენსიური საეკლესიო და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა. საეკლესიო მიზნების მისაღწევად მან მოინდომა მეფის უფლების განმტკიცება-გაძლიერება და მისი ავტორიტეტის ამაღლება. რათა მერმე დაყრდნობოდა ამ ავტორიტეტს და საეკლესიო სფეროშიაც, მისი სახელით, ადვილად გაეტარებია და გაეხორციელებია თავისი განზრახვანი. გასაკეთებელი და განსახორციელებელი კი ბევრი რამ იყო: ეკლესია, შეიძლება ითქვას, კრიზისის განიცდიდა ამ დროს: მას ჩამოგლეჯილი ჰქონდა ერთი ნაწილი. სამცხესაათაბაგო, რომელიც ამ დროს თითქმის სულ გამაჰმადიანებული იყო; შიგ ქართლში ფეოდალურმა მიდრეკილებამ და სულისკვეთებამ იერარქიაშიც იჩინა თავი და ბევრი მღვდელმთავარი ჯეროვან მორჩილებას არ იჩენდა კათოლიკოზისადმი. ეკლესია-მონასტრები დანგრეული იყო, შკოლები დახურული: თან ყველა ამას დაერთო სომეხთა და კათოლიკეთა მისიონერების ძლიერი პროპაგანდა, -- ასე რომ საქარო იყო ენერგიული, მტკიცე ნების ყოფის და განათლებული კაცი, რათა საეკლესიო ცხოვრება ნორმალურს კალაპოტში ჩამდგარიყო. ასეთი იყო სწორედ ანტონი, მაგრამ მის მოღვაწეობას ბოლო მოუღია შემდეგნაკარემოებამ. ანტონიმ, როგორც მეცნიერმა და ცნობისმოყვარე ადამიანმა, მტკიცე კავშირი დაიჭირა იმ დროს ტფილისში მყოფ კათოლიკეთა მისიონერებთან, რომელთა ცოდნა, გამოცდილება და სტილისდაქცვა მას განსაკუთრებით სასკოლო საქმის მოწესრიგებაში სჭირდებოდა. ეს დავაშირება და დაახლოება დამთავრდა იმით, რომ ანტონიმ კათოლიკეობა მიიღო. ნინოწმიდელი მთავარებასკოპოზი საბა და კარის მოძღვარი ზაქარია გაბაშვილი გამოავიდენ ნათლიანადიდებლობის დამკვლად. მათ მოაწვევიეს თეიმურაზსა და იოსებს მეორეს მსჯელთაში საეკლესიო კრება, რომელზედაც 1753 წლის 16 დეკემბერს ანტონი გადაყენებულ

იქმნა კათოლიკოზობიდან და მღვდელმსახურებისაგან დაყენებულ, ხოლო მისი თანამოაზრენი სასტიკად იქმნენ დასჯილ. მეორე კრება მოხდა 1756 წლის 4 აპრილს: ამ კრებაზე ანტონიმ გულწრფელად აღიარა თავისი დანაშაული, უარყო კათოლიკობა და ნება გამოითხოვა რუსეთში წასვლისა, მხოლოდ ისე კი, რომ ეს ღვთისმსახურების უფლებაში აღდგენილ ყოფილიყო. ეს თხოვნა შეწყნარებული იქმნა კრებისაგან და ანტონი გაემგზავრა მოსკოვს, სადაც ამ დროს ცხოვრობდნენ ვახტანგ მეექვსის მემკვიდრენი, რომელნიც იმედს არ ჰპარგავდნენ ქართლის ტახტის დაბრუნებისას. მოსკოვიდან ანტონი გაემგზავრა პეტერბურღს, სადაც წარუდგა უწყმდესს სინოდს, იმართლა თავი და დაამტკიცა თავისი მართლმადიდებლობა, რის შემდეგ 1757 წლას 8 აგვისტოს დანიშნულ იქმნა მთავარეპისკოპოსად ვლადიმირის ეპარქიისა, რომელსაც ის განაგებდა 1762 წლამდე. ვინაიდან მან სუსტად იცოდა რუსული ენა, თარჯიმანად დაუნიშნეს მას ქართველი მღვდელი გიორგი დავითაშვილი ქალაქ სვიატიდან, ამასთან მას მეორე თარჯიმანიც ჰყოლია, რომელსაც ანტონი უწოდებს ჰრეკოდშიაკ ატეეგ გაბრიელს რუსეთში ყოფნამ ტყვილად არ ჩაუარა ანტონს: აქ მან ვაიცნო რუსული და ლათინური ენა, საფუძვლიანად შეისწავლა რუსული და ევროპიული საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური ლიტერატურა, ვაიცნო რუსული საეკლესიო დაბალი, საშუალო და მაღალი სკოლის ტიპები, დაამზადა მთელი რიგი სასკოლო სახელმძღვანელოებისა, შეისწავლა დაწვრილებით რუსეთის ეკლესიის წყობილება, - ასე რომ რუსეთიდან დაბრუნებისას იმან საქართველოში წამოიღო დიდი და მდიდარი მასალა გამოცდილებისა და ცოდნისა საეკლესიო ცხოვრების გასაუმჯობესებლად და მწერლობის გასამდიდრებლად. როდესაც თეიმურაზ მეორის სიკვდილის შემდეგ ქართლისა და კახეთის სამეფო ირაკლი მეორემ გააერთიანა, უკანასკნელმა რუსეთიდან გამოიწვია ანტონი, რომლის სიახლოვეს ის დიდად აჟასებდა. 1762 წ. ანტონი პართლა დაბრუნდა სამშობლოში, სადაც საკათოლიკოზო ტახტზე ის შეუდგა ყველა იმ მასალის განაღდებას, რაც რუსეთიდან მოიტანა მან. პირველად ყოვლისა მან გახსნა ორი სემინარია, ტფილისსა და თელავში, სადაც სწავლა გაჩაღებული იყო რუსეთის სასულიერო სემინარიის ყალიბზე; მათთვის მან დაწერა, თუ სხვებს დააწერინა, თითქმის ყველა საჭირო სახელმძღვანელო, მოაზღინა საეკლესიო მართვაგამგეობაში ისეთი ცვლილებანი, რომელნიც რუსეთის ეკლესიის მიხედვით, საჭიროდ მიაჩნდა მას, თარგმნა და შეთხზა მთელი რიგი სა-

ღვთისმეტყველო, საფილოსოფიო და ლინგვისტურ შრომათა; ამავე დროს ის დიპლომატიურ ასპარეზსაც არ სტოვებდა: 1772 წელს ირაკლი მეორემ ის გაგზავნა რუსეთს საგანგებო მისიით, რომელმაც მოაზახადა 1783 წლის ცნობილი ტრაქტატი საქართველოსა და რუსეთს შორის. აუტანელი, ზედმეტა და გადაჭარბებული შრომით დაღლილი და დაქანცული კათოლიკოზი გარდაიცვალა 1788 წლის 1 მარტს და დასაფლავებულ იქმნა სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში.

ასეთია მოკლედ თავდადასავალი ამ შესანიშნავი იერარქისა, შესანიშნავის არა მარტო ქართლის, არამედ, თამამად შეიძლება ითქვას, მსოფლიო ეკლესიის ისტორიაში; ეს იყო როგორც პრაქტიკული. ისე თეორეტიული, კაბინეტური მოღვაწე და სწორიუბოვარი მეცნიერი. მისი კალამი, მისი ღრმად განვითარებული გონება თანაბარი ნაყოფიერობით ჰქმნიდა და მუშაობდა ცოდნისა და მეცნიერების ყოველს დარგში. ჩვენ ვხვალა განვიხილავთ მის ლიტერატურულ მოღვაწეობას. როდესაც ჩვენ ვითვალისწინებთ ანტონის ლიტერატურულ მოღვაწეობას, გახტვიფრებაში მოვდივართ — როგორ შეძლო ერთმა კაცმა, რომელიც ამასთანავე პრაქტიკული საქმიანობით იყო დატვირთული. ამდენ შრომათა თარგმნა და შეთხზვა; მით უმეტეს სპეცირველია ეს, რომ ანტონის ლიტერატურულ მოღვაწეობას საგრძნობლად აფერხებდა ორი გარემოება, რომლის აღნიშვნა აქ საჭიროდ მიგვაჩნია. პირველად ყოვლისა, ანტონის სამწერლო მოღვაწეობას, როგორცა ჩანს, ბევრი მოწინააღმდეგე ჰყოლია ლიტერატურულსა და მოწინავე წრეებშიაც; ბევრი, შურით შეპყრობილი, მის ასეთ მოღვაწეობას ანგარებას უკავშირებდა, რაც, სხვათა შორის, ჩანს „თთუნის“ წინასიტყვაობიდან, სადაც ანტონი ამბობს, რომ ეს შრომა მე მიზღვსა, ესე იგი სასყიდლისათვის, კი არ მიკისრიაო. — მიზღვს არაჩანს მოგვლი ახანათქაშეასაგან ჩემას ქართველსა, მევიცი, მწარედ შენიშნავს ის, რაც „მიზღვი“ მომეცა ღრამატიკის, სადღესასწაულოჲს და საღმრთო ლიტურდიის შექმნა — განმართვისათვის, იმასვე მივიღებ ვხლაცო; საბელდობრ რას? ესე საზღვარდუბუღეა აჩს ჩაცსა ვიეთუე სამღუდელოთა, თავვედთა და უთჯად უმეცართა ჩუენ ჰოინს, ანბობს ის, რამეთუ ვიაცა ავი მეცნიერების მიზანთად გამოაჩენენ თუ რასამე ქანსა ბორობასა ადადგესენ მას ზედა და საჭესა ცხოვრებისასა განუტყუენ და მასტყუენ აღუეთა წარტანებად უფსკრუქთამით: ასეთი აღამიანებოსავან ანტონის.

1) კ. კეკელიძე, ანტონ კათოლიკოზის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ, ტფილისი 1914 წ.

უნდა ვიფიქროთ, საკმაოდ უტყუარებია. სხვები კიდევ უარყოფით ეკიდებოდნენ ანტონის სამწერლო მოღვაწეობას იმიტომ, რომ ის მათთვის გაუგებარი იყო, განსაკუთრებით მისი ენა და სტილი. „ღვთისმეტყველების“ შესავალში ანტონი ამბობს, რომ ჩვენში არიან ისეთები, რომელნიც სძულაბუნ და სიმწარით განუყოფელია ბრწუნვალებსა ფრანსისსა, რეცა რიტარებისა მაქესეჯსა და მეტეეჯსი: ემაჯიეს ანს წერილთა შინა რათა იყენებნა ესეგვარანი სისტუმანი ღუქსთა და ჭარბანი, რამელნი დიდითა შრომითა გულისხმა იყაფებანი; ამ მიზეზის გამო, სხვათა შორის, ანტონი ეჯავრებოდა ირაკლის მემკვიდრეს გიორგის, რომლის ნაყოფენებით ქუედა-ზიდული გონება ვერ მისწვდა ანტონის სქოლასტიურ თხზულებათა სიღრმე-შაეროვნებას. მეორე გარეჰობა, რაც, უტყველია, შესამჩნევად აფერხებდა ანტონის ლიტერატურულ მოღვაწეობას; იყო ის, რომ მან ქართულის გარდა სხვა, უცხო, ენები არ იცოდა. თთუენის წინასიტყვაობაში ის პირდაპირ ამბობს: მართაღ ანს და ცხად, ვითარმეა ქართულის კიდე ენაჲ არა ვატი და ვერცადა მივსწუეთა ენასა სჯავენურსა უმკუთრეს, ხოლო მხამეტყველების შესავალში შენიშნავს: რამეთუ მე ქართულის ენისა კადე სხუაჲ არაჲა უწოდა ენაჲ, ვარა მსაფოდ წიგნი დღენსამეხთა უწუადი და იგიცა ფრად სცირედ და შოკაქელა (გვ. 5). რასაკვირველია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მან უცხო ენები სრულიად არ იცოდა, არ იცოდა საფუძვლიანად. თორემ „მცირედ და მოკლედ“, როგორც სოპხური სკოდნია, უტყველია იცოდა სლიეურ-რუსული, პერძული, ლათინური და სპარსულ-თათრულიც. ადვილი წარმოსადგენია, მაშასადამე, ის გაჭირება. რასაც განაცდოდა ანტონი, როდესაც მას საქმე ჰქონდა უცხო ენებიდან გადმოსაღებ მასალასთან, ის ამ შემთხვევაში მიპართავდა ხოლმე სხვათა დახმარებას. მხამეტყველების შესავალში ის ამბობს: შემიწუადა მე ფიდიმზე ხუცესი, სამეხთა გუარისაჯანა, თარგმანებათა სამეხთა წერაღათა, ხოლო ღათინთა წერილთა თარგმანებასა სჯელა—იოსე ვინმე ხუცესმთხარანა ღათანთაჯანათ (გვ. 4.—5). ღრამსტიკის წინასიტყვაობაში ამბობს: რასთასა ესეგვარა სჯესა ვავითხვად ელინურასა და ღათინურისა და რანსკუელისა და იტალიანურისა და კერძანიულისა და რესულასა ესათა მეცსკრთად ეჯაღად ვითარმე იყო გუარა გმარებად ნაწილთა სიტყასათა და სხვთა მათთა ენათა მათ შორის თქემულთა და შამიგებდინ და სიტყურ ჭუანს (გვ. 2). ხოლო თთუენის წინასიტყვაობაში უფრო რე-

აღურ სურათს გვიხატავს: სჯაკენურის თარგმანი მავანდეკ გაბრიელს ხუცესსა, თარგმანს ჩემსა, რომელმან დადათუ არა უწყობდა დრამატისა არცა სჯაკენური და არცა ქართული, არამედ დრამატისნი მუყუეს რქსნი კლირაკნი ეკლესიასა ჩემისანი, რომელთა ახლად დაესრულათ სკოლამ სინტაქსისამ... და ოტენ გაბრიელ, პრეოდშიკი ჩემი (რომელ არს თარგმანი), შეტყუადა რა ქართულად დიდითა გამძობებითა თითოსა ლექსისა ვითხელი დრამატისთა მათ რუსთა, თუ რომლისა სიტყვას ნაწილი არს, და აგრეთვე სიტყუასაცა ემკაცრეს, ვითარმედ სიტყუა ესე ვითარ შეიხსნულ არს და რამ არს ჰაზრი მათი და მათ მიერ გულისხმა ვჭკოფდი თარგმანებითა გაბრიელისათა და ესრეთ დასდებდი სიტყუათა და სიტყუათა შინა ლექსთა.¹ მაგრამ ენერგიით აღსავსე მწყემსთმთავარმა ყოველგვარ დაბრკოლებას სძლია და დავიტოვა მათელი რიგი წარუვალლი მნიშვნელობის და ღირსების თხზულებათა.

ანტონის მიერ ნათარგმანი და შედგენილი თხზულებანი ჩვენ შემგვიძლია შემდეგ დარგებად დაყვით:

I. ეგზეგეტიკა. 1) თარგმანებამ რომელთა მიმართ ეპისტოლისამა; სემწუნაროდ ნუსხები ამ თხზულებისა აღარ გვხვდება, ამიტომ ძნელია თქმა—ნათარგმანი ის თუ ორიგინალური. 2) განმარტებამ მიწყაღესი ან მეერვასისა ფსალმუნისა, რომელიც ორიგინალურ შრომას წარმოადგენს. ანტონის მოწინააღმდეგე ზაქარია მოძღვარმა მოინდომა ამ თხზულების გამოყენება ანტონის კათოლიკობის დასამტკიცებლად და ამ მიზნით ერთი ცალი მისი უწინიდეს სინოდშიაც კი გაგზავნა რუსეთს; ამ გარემოებამ გამოიწვია ქართველებში დიდი მითქმა-მოთქმა და შფოთი, რომელიც დამთავრდა ზაქარიას მღვდლობიდან განკვეთით და შეჩერებით. ეს წიგნი, ზაქარიას ცნობით, ანტონს ელადიმირში დაუწერია და მეფე თეიმურაზისათვის გამოუგზავნია სკოლებში სახმარებლად: იმასში ანტონს გამოუჩენია „რაც მეცნიერება ჰქონდა“, და „დიახ გრძლადაც აღუწერია... დავითნზე ბევრით უდიდესიაო“, ამბობს ის. მაგრამ, რადგანაც ის პაპისტების მოძღვრებას შეიცავდა, საქართველოში ჯერ დამალეს და მერე დაწვესო.

II. დოღმატიკა და პოლემიკა. ამ დარგში ანტონის კალამს ეკუთვნის: 1) კატეხიზიო, 1757 წელს დაწერილი; ესეც ორიგინალური თხზულებაა, ჩვეულებრივი კატეხიზმოების, უფრო კი რუსეთის

¹) კ. კეკელიძე, ანტონ კათოლიკოსის სალიტურლიკო მოღვაწეობიდან, გვ. 8.

ეკლესიის გეგმაზე აგებული, რომელშიაც გარკვეულია მართლმადიდებელთა აღსარების უმთავრესი დოღმატიკურ-მორალური დებულებანი; წიგნი დაწერილი იყო შკოლაში სახმარ სახელმძღვანელოდ. 2) წიგნი აღს. რებას, ალბად დაწერილი მაშინ, როდესაც ანტონს მოუხდა თავის მართლება და სარწმუნოებრივი ცრედო-ს წარმოთქმა რუსეთში, სინოდის წინაშე; და ოვით საჩატველოში, ზაქარია მოძღვრისა და სხვათა ბრალდების გამო.

3) ღვთისმეტყველება სამნაწილოდ, ოთხ ტომად, — შესანიშნავი თხზულება, 1779 წელს დამთავრებული ანტონისაგან. პირველი ტომი შეიცავს დოღმატიკურ ღვთისმეტყველებას და სამი ნაწილისაგან შესდგება: ა) ერთობითი ღვთისმეტყველება, სადაც ლაპარაკია ღვთაების ერთობაზე და მისი არსებითი თვისებებზე; ბ) სამწმიდაობითი ღვთისმეტყველება, — ეხება ღვთაების სამპიროვნებას, თვითეული პიროვნების საკუთარ თვისებებს და ქალწული მარიამის ღვთისმშობლობას; გ) ზედღადგინებანი საქმეთა ღვთისათა, — აქ ლაპარაკია იმაზე, თუ რა დამოკიდებულება აქვს ღმერთს საზოგადოდ ქვეყანასთან და კერძოდ ადამიანთან (შექმნა, განგება, მართლმსაჯულება, მადლი, გამართლება, განწმენდა, განახლება, ცოდვათა მოტევება და წინაგანსაზღვრება). მეორე ტომი შეიცავს მისტიკურს ან საიდუმლო ღვთისმეტყველებას და ისიც სამი ნაწილისაგან შესდგება: ა) უხილავთა არსთათვის (ანგელოზი, სამოთხე, წინასწარი განსჯა, ორიგენის მოძღვრება სასჯელის დროებითი ხასიათის შესახებ, ანტექრისტე); ბ) ეკლესია და მისი საიდუმლონი; გ) „მოცემულათჳს,“ ესე იგი გარდამოცემა: პირჯვრის წერა, ღვთისმშობლისა და წმიდათა მოწოდება, ჯვრის, ხატების და წმიდა ნაწილების პატივისცემა, მარხვა, ღღესასწაულები, საღმრთო წერილი, კრებანი და მათი კანონები, იერარქია, ცხება მეფობისა, ბერმონაზვნობა. მესამე და მეოთხე ტომი შეიცავს „ყოფაქცევითი ღვთისმეტყველებას:“ ეს ღვთისმეტყველება გაიყოფება ორად: A) ღვთისმეტყველება ყოფაქცევითი სათნოებითი (მესამე ტომშია), რომელიც სამი ნაწილისაგან შესდგება: ა) თეოლოგია პრაქტიკა, კაცობრივთა საქმეთათვის, ბ) თეოლოგია ზომიერებითი, — თანანადებნი ქრისტიანეთანი ღვთისადმი თავოანნი, გ) თეოლოგია ითიკა, — სათნოებათათჳს საზოგადოდ: სარწმუნოება, სასოება და სიყვარული. B) ღვთისმეტყველება ყოფაქცევითი უთნოებითი (მეოთხე ტომშია), ესეც სამი ნაწილისაგან შესდგება: ა) გამოსლვისათჳს სულისა წმიდისა, ბ) განმართლებისათჳს შეცოდებულისა კაცისა იესო ქრის-

სტეს მიერ, გ) ცოდვითათვის სასიკუდინეთა და მოსატყვევებლთა. ასეთია საზოგადოდ შინაარსი ამ „ღვთისმეტყველებისა,“ რომელსაც ავტორი უწოდებს „სხოლასტიკებრ“ ღვთისმეტყველებას; ამ სახელწოდების განსამარტებლად ანტონი ამბობს, რომ ღვთაშეტყველება ორგვარიანა: დადებითი, როდესაც სარწმუნოებას გაქოვაჩენთ და ვამტკიცებთ საღვთოა წერ-ლით, წმ. ნამათა თხზულებებით და კრებათა დაღვნილებებით, და სხალასტიკებრი, როდესაც ყველა ამას თანდაერთვის ფილოსოფიური დამტკიცება, — დიალექტიკისა და სილოჯიზმის საშუალებით. ვინაიდან მისი თხზულება დამყარებულია ყველა ზემოჩამოთვლილ საფუძვლებზე, ის არის როგორც დადებითი, ისე ფილოსოფიურ — სქოლასტიკებრი; ავტორს მრავლად მოჰყავს ციტატები ამათუიმ დებულების დასამტკიცებლად როგორც საღვთო წერილიდან, ისე წმიდა მამათა თხზულებებიდან, და აგრეთვე ტრაქტატები, ესე იგი ფილოსოფიური მოსაზრებანი. თხზულება დაწერილი უნდა იყოს შკოლაში მოწაფეთა მიერ სახმარებლად, რაც წინასიტყვაობიდანაც ჩანს, სადაც ნათქვამია: ჩუენ უკუე მოცაფეთა დრქსა ამს შინა სხუათა საქმეთაგან და მხოლოდ განმსჯელთა ოდენ ღვთისმეტყველებისათა თანაგუამს ჩუენებად მოწაფეთა დმი ღვთისმეტყველებითისა ცნობისათა თუ ვითარმე განმსჯეების ღვთისმეტყველება. თხზულება ავტორს დაუწერია სხვადასხვა წყაროების, ან, როგორც თვით ამბობს, სხუათა აუქსონთა წერილთა მიხედვით, მაგრამ ყველაზე მეტად მას უსარგებლნია ერთი თხზულებით, რომლის შესახებ ის ამბობს: მხილველთა [ენ]ციკლოპედიისგანთა წერილთა, რომელიცა ყოვლისა ქრანციისა მონარხობითსა დაღსა შინა რეზიდენცია ქალაქსა ჰარიზს დიდსა აკადემიასა შინა დაბეჭდილ არს ქრანცისულისმებრ ენისა, ვსაჟეთ ვითარამედ კმა არს იგი განსჯისათვის ღვთისმეტყველებისა, რომლისათვის აქ დავსდევით რაღცადა აღმოვიკითხეთ მისგან და გულისხმა ვუავთ და ესენი შემდგომთა შინა ჰარადრატთა იჩუენებინო. მაშასადამე, უმთავრესი წყარო ანტონისა ყოფილა ფრანგულ ენაზე გამოცემული საღვთისმეტყველო ენციკლოპედია, რომლიდანაც მას მოხერხებულად გამოუგდია ყველა ის ადკილები, რომელნიც მართლმადიდებლობას და კათოლიკობას განასხვავებენ ერთიმეორისაგან.¹

1) მზამეტყველება,² — ეს უზარმაზარი დოღმატიკურ-პოღემიკუ-

¹) ერთად ერთი ცალი ამ ღვთისმეტყველებისა შენახულია წერა-კითხ. მუხეუმში I ტომი № 3657, II ტომი № 3658, III ტომი № 3659, IV ტომი № 3660.

²) გამოცემულია ტფილისში 1892 წ. ალექსანდრე ეპისკოპოსის საფისით და ჰღედლის პ. კარბელაშვილის რედაქტორობით.

რი შრომა ანტონს დაუწყია 1750 წლის 1 ოქტომბერს და დაუსრულებია 1752 წლის 11 მარტს. ეს თხზულება არაჩვეულებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს არამც თუ ქართულს მწერლობაში, არამედ მთელს აღმოსავლეთის ეკლესიის საღვთისმეტყველო აზროვნების განვითარების ისტორიაში უკანასკნელ დროს. თხზულება მიმართულია მონოფიზიტთა, კერძოდ სომეხთა, წინააღმდეგ და მიზნად აქვს დასახული განქიქება მონოფიზიტური იდეოლოგიისა, როგორც ისტორიულად, ისე დოღმატიკურად, და განმარტება—განმტკიცება მართლმადიდებლობითი დოქტრინისა. ის სამ წიგნად კანცოფება: პირველი წიგნი „წინააღმდეგება“ ნესტორიანობას, რავდენადაც ის დაკავშირებულია მონოფიზიტობასთან ისტორიულად თუ იდიურად; მეორე წიგნში მოთხრობილია ისტორია ეფესოს და ქალკედონის კრებისა, მონოფიზიტობის წარმოშობის და მისი შექრისა სომეხთში; მესამე წიგნში გარჩეულია მუხლმუხლად მონოფიზიტთა დოღმატიკა, სომეხთა ეკლესიის წესნი და ჩვეულებანი და ნაჩვენებია მათი სიყალბე. ამ თხზულების შედგენისათვის ანტონს ხელი მიუყვია შემდეგ პირობებში: ის დროს, განსაკუთრებით 1744—1749 წლებში, ჩვენში გაძლიერებულა სარწმუნოებრივი პროპაგანდა, რომელიც დიდს ხიფათს უქადდა მართლმადიდებლობას საქართველოში. პროპაგანდა სწარმოებდა როგორც სიტყვიერი, ისე ლიტერატურული. ანტონი თვით ამბობს, რომ მე ვიხილე წიგნები სომეხთა მოძღვრებისა, იოანე ოძნელისა, პავლე ტარონელისა, სტეფანე სიუნელისა, გოშიკ ვანაკანელისა, ვარდანისა, სერგისა, მამტოციისა, იოანე ოროტნელისა, გრიგოლი ტათეველისა, გრიგოლი კესარიელისა, ანგელისა, იაკობისა და ჩემი თანამედროვე კათოლიკოზის ლაზარე ქუკელისა, რომელმაც დაწერა დრახტცანკად ან სამოთხე სწადაქლი; ყველა ეს თხზულებები სავსე იყო გამობითა და უკეთურებითა; ამიტომ მე ვიწვეე წინაგანწყობად ზემოთქმულთა ამათ მწვალებულთა. მონოფიზიტთა და კერძოდ სომეხთა „წინაგანსაწყობი“ ლიტერატურა საკმაოდ მდიდარი იყო ქართულს ენაზე; ანტონს განსაცვიფრებელი ერუდაცია გამოუჩენია და მეტად ხელოვნური კომბინაცია მოუხდენია იმ მასალისა, რასაც ეს ლიტერატურა იძლეოდა, ასე რომ აზრებით ეს თხზულება ორიგინალური არაა: მეტად უხვად სარგებლობს ანტონი ანასტასი სინელის წინამძღუარი-თ, იოანე დამასკელის გარდაამტკიცებით, კირილე ალექსანდრიელის საუნჯე-თ და ლეონ დიდის, რომის პაპის, ტომას-თ, საზოგადოდ იმ მასალით, რომელიც თავმოყრილია არსენ იყალთოელის „დოღმატიკონში“; აღნიშნული ავტორებიდან მას

მთელი გვერდებით მოჰყავს ციტატები. მიუხედავად ამისა, როგორც გარეგანი, ისე შინაგანი ღირსებით, ეს თხზულება შეგვიძლია ერთს დონეზე დავაყენოთ ბიზანტიის დოღმატიკურ-პოლემიკური მწერლობის საუკეთესო ნაშრომებთან.

5) საუნჯე კირილე ალექსანდრიელისა, რომელიც წინათაც იყო ნათარგმნი „განძის“ სახელით; ამ თხზულების იამბიკოდ დაწერილს წინასიტყვაობაში ანტონი ამბობს, რომ ის დიდიხან დაეძებდა ამ წიგნს და, რადგან ვერსად ვერ იპოვა, ხელახლა სთარგმნა სომხურიდან და დაურთო სუო მოკლე სქოლიები და განმარტებანი.

III. ლიტურჯია. ანტონ კათოლიკოზს დიდი ღვაწლი მიუძღვის ლიტურჯიკულს მწერლობაში, განსაკუთრებით იმ მხრივ, რომ მან შეადარა ქართული საღვთისმსახურო წიგნები რუსულ წიგნებს და შეასწორა იმათი მიხედვით. ამ შემთხვევაში ანტონიმ ის მოინდომა, რაც მეთერთმეტე საუკუნეში ათონელმა მამებმა ჩაიდინეს. როგორც ათონელებმა მოაკლეს ჩვენს ლიტურჯიკულ პრაქტიკას „აღმოსავლური“ ელფერი და ის გახადეს უცილობელ პირად ბიზანტიის საღვთისმსახურო პრაქტიკისა, ისე ანტონიმ მოინდომა მიეცა მისთვის, ბიზანტიურის ნაცვლად, რუსული ფიზიონომია. შესწორებულ წიგნთა შორის, პირველად ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ტიპიკონი.¹ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მეთორმეტე საუკუნეში ნათარგმნი ტიპიკონი შეჩვიდმეტე საუკუნის გასულს ბესარიონ კათოლიკოზმა შეასწორა თანამედროვე სლავურ-რუსულ ტიპიკონზე. მეთვრამეტე საუკუნის ნახევარში რუსეთის ეკლესიაში ახალი, შესწორებული რედაქცია გამოვიდა ტიპიკონისა, რომელიც ბესარიონის თარგმანს უკვე აღარ უდგებოდა, ამიტომ ანტონ კათოლიკოზს განუზრახავს მისი ხელმეორედ შესწორება; ეს საქმე მას თითქოს 1756—1762 წლებში შეუსრულებია, ვინაიდან თავისი დამატაკის წინასიტყვაობაში ის შენიშნავს, რომ რისიასა შინა ყოფასა გარდამოვიღე ტიპიკონიო (გვ. 2). ეს შენიშვნა შემცდარია, ტიპიკონი ანტონს, რუსეთში წასლვამდე, თვით საქართველოში უნდა შეესწორებოდა; ეს შემდეგიდანა ჩანს: რუსეთში ანტონი გაემგზავრა 1756 წლის აპრილს და იქ ლიტურჯიკული შრომა დაიწყო არა უადრეს 1757 წლისა, ხოლო მის მიერ შესწორებული ტიპიკონის ერთერთი ნუსხა, რომელიც ალექსი მესხიშვილს ეკუთვნის, გა-

¹) ჯერ კიდევ ტახტზე აღსდგისთანავე მას შეუდგენია წესი მეფის კურთხევისა და ამ წესით უკურთხებია მეფე თეიმურაზ II (ქარ.-ცხოვ. II, გვ. 382—386); ეს არის ახალი რედაქცია აღნიშნული წესისა, რუსეთის ეკლესიის მცირე ზედგაყვანილთ შედგენილი

დაწერილია 1756 წლის 13 თებერვალს.¹ პროცესი შესწორებისა, რომელიც მომხდარა 1749—1756 წლებში, შეგვიძლია გავითვალისწინოთ სიძვე. მუხ. ხელნაწერთი № 122.² შესწორებია ანტონს აგრეთვე კონდაკი, მღვდელმთავრის კურახევის წესი და პარაკლიტონი (ღრამატიკა, გვ. 2), ეს უკანასკნელი, როგორც ანდერძიდანა ჩანს, — ბერძნული დედნის მიხედვით. მაგრამ ყველაზე მეტი შრომა მან დასდო სათუფოთა წიგნის (ღრამატიკა, გვ. 2.) შესწორებას. ჩანს, რუსეთში მყოფმა, მან არ იცოდა, რომ ასეთ შრომას საქართველოში ალექსი მესხიშვილი აწარმოებდა უკვე და ამიტომ იმ მოსაზრებათა გამო, რომლებითაც ალექსი ხელმძღვანელობდა, ანტონსაც დაუწყია თთუენის შესწორება; პროცესი ამ შესწორებისა დაწვრილებით აქვს მას აწერილი ამ შრომის წინასიტყვაობაში.³ მსოფლიო წმიდანების საგალობლები მას სიტყვა-სიტყვით შეუფარდებია სლავურ ტექსტისათვის, ტიპიკარული შენიშვნების თანდართვით, ხოლო, რაც შეეხება ქართველ წმიდანებსა და დღესასწაულებს, მათნი აკოლოტიანია, ამობს ის, რაჟცა ვაჟგენ, დაესდუენ და ზოგბულთა თუ რაჟმუ აკლდა; ახლად გამოთქმითა შეკუმზადენო და რომეზნიმე სრულად აკლდეუე აკოლოტია ქართველთა წმიდათა, ახლად გამოთქმითა; ზოგიერთი საგალობლები სრულად გამოვსცვალე, ვინაიდან ისინი არცა მოთხრობა იყუნეს, არცა გალობაო. ბოლოს და ბოლოს მას შეუდგენია საგალობლები თითქმის ყველა ქართველ წმიდანებისა და დღესასწაულებისა, ამათგან „აქებდითსა ზედა დასდებელნი“ იამბიკოდაა დაწერილი. თან ზოგიერთ წმიდათა ხსენება მან სხვა დღეებზე გადაიტანა წინაწდელთან შედარებით, ასე რომ მან მოგვცა ახალი რედაქცია თთუენისა, რომელიც უფრო ვრცელია, ვიდრე ალექსი მესხიშვილისა: იმაში უფრო მეტია რიცხვი მსოფლიო და ქართველ წმიდანებისა; მსოფლიო წმიდანების საგალობელთა ტექსტი ორივეში ერთი და იგივეა, ხოლო ქართულისა სხვა, ვინაიდან ანტონმა ამ შემთხვევაში უმთავრესად საკუთარი ჰიმნები მოათავსა თთუენში.⁴

IV. ჰომილეტიკა. იონა ხელაშვილი თავის ქადაგებათა კრებულის წინასიტყვაობაში ამბობს, რომ ანტონიმ მრავალი ქადაგებანი და-

1) სიძვე. მუხ. № 399.

2) К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники, стр. 512—513.

3) ს. ქეკელიძე, ანტონ კათოლიკოსის სალიტურდიკო მოღვაწეობიდან, ტფ. 1914 წ.

4) როგორც ამ „თთუენის“ წინასიტყვაობიდან ჩანს, ანტონს წინასწარ „სადღესასწაულო“ უნდა დაეწეროს, ესე იგი ბოლოდ დიდ დღესასწაულთა „შეგვენი“ და „აკოლოტიანი“.

ტოვაო: და მართლაც. ჩვენ ვიცით, რომ კათოლიკოზი ანტონი შესანიშნავი მქადაგებელი იყო და განუწყვეტლივ ჰმოძღვრდა თავის სამწყსოს. საჩუხაროდ, ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ სიტყვა მირქმის დღესასწაულის და შესხმა წმ. შიო მღვიმელის და აბიბოს ნეკრესელისა.

V. ასკეტიკა. ამ დარგში ანტონს დაუტოვებია იოანე სინელის კლემაქსი, იამბიკოდ გალექსილი, რომელშიაც ავტორი ამბობს:

იოანემან სინელმან სხლასტიკოს
 ძიბუ ცადმუკანი ქმნა სჲმ ათ აღსავადნი,
 ამათნი თავნი, ათ სტიხთა შინა თჯოთ,
 აკროსტიხთა გარდა შესამის თავის
 ანტონი გლექსე, უქმობის დასახსნელად.

აქ გალექსილია უკანასკნელი ნაწილიც კლემაქსისა, რომელსაც ეწოდება შწყემსისა მიმართ.¹

VI. კანონიკა. ამ დარგში ანტონს სომეხთა მღვდლის ფილიპე ყაითმაზაშვილის დახმარებით სომხურიდან უთარგმნია 1776 წელს პირველის სამი მსოფლიო კრებების აქტები (სიძვ. მუზ. № 618), ხოლო 1768 წელს შეუდგენია და ერეკლე მეფის ნებართვით დაურჩებია მღვდელმთავართათვის კანონიკური ეპისტოლე, რომელიც შეიცავს სხვადასხვა ხასიათის დარიგებას ეკლესიური პრაქტიკიდან.²

VII. ჰაგიოგრაფია. ჰაგიოგრაფიულს დარგში საყურადღებო შრომას წარმოადგენს პროფოდი სამი თვისა: იენისის, იელოსის და აგვისტოსი, სადაც იამბიკოდ წარმოადგენილია სახელები და ღვაწლი ოღნიშნულ თვეთა წმიდანებისა; ეს შრომა გაგრძელებაა იოანე პეტრწიისა და არსენ ბულმანისიძის ამგვარივე შრომათა. საყურადღებოა აგრეთვე მარტირიკა, 1769 წელს დაწერილი, რომელიც შეიცავს მოკლედ ღვაწლსა და ცხოვრებას 19 ქართველ წმიდანისას და გრიგოლ პართეველისს.³ ამათ გარდა ანტონს შეუდგენია წამება წმ. ქეთევან დედოფლისა,⁴ წამება წმ. ლუარსაბ მეფისა,⁵ ცხოვრება ნეოფიტე ურბნელისა.⁶

1) სიძვ. მუზ. ხელნ. № 226, 711, 799.

2) პ. კარბელიაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 179—184.

3) წერ. კითხ. ხელ. № 3638, 1272, 2988.

4) საქართ. სამოთხე, გვ. 583—597.

5) იქვე, გვ. 580—582.

6) იქვე, გვ. 303—312.

VIII. ისტორია. ანტონის საისტორიო თხზულებათა შორის ყველაზე საყურადღებოა მისი 1) წიგნი „ისტორიაჲსა, პლ. იოსელიანის მიერ გამოცემული ტფილისში 1853 წელს. წიგნი შესდგება შვიდი ნაწილისაგან და დაწერილია იამბიკოდ; საისტორიო ხასიათი და მნიშვნელობა აქვს უკანასკნელს სამს ნაწილს (5—7), პირველი ოთხი კი უფრო დოღმატიკური შინაარსისაა. I ნაწილი შეიცავს „ღვთისმეტყელებას“, — სამება, ერთარსებობა, განკაცება, ვნება, აღდგომა მაცხოვრისა, ევქარისტია, შვიდთა მსოფლიოთა კრებათათვის. II ნაწილი — ღვთისმშობლის შესახებ, III ნაწილი — ჯვარისა და საღმრთო კვართისათვის, IV ნაწილი — ყოველთა წმიდათათვის, V — ქართველ წმიდათათვის, ჩამოთვლილია ქართველი წმიდანები მოკლე ცნობათა თანდართვით, VI — ქართველ ჩინებულ მეფეთათვის, VII — ქართველთა სიბრძნისმოყუარე კაცთა მწიგნობართათვის; ამ უკანასკნელი ნაწილის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი შესავალში, სადაც ქართული მწერლობის ისტორიის დამუშავებაზე ვლაპარაკობდით. 2) მოკლე ისტორია საქართველსი, შკოლებში სახმარებლად შედგენილი; 3) ქართველ მეფეთა შთამომავლობა, რომელიც ანტონიმ დაწერა ყიზლარის კომენდანტის ფრაუნდორფის მონღობილობით (1756—1761 წ.) 4) ისტორია ალექსანდრე მაკედონელისა, კინტოს კურციოსისაგან ქმნილი ათ წიგნად (ღრამატიკა, გვ. 2).

IX. ლინგვისტიკა. ანტონს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული ენის ისტორიაში; მართალია, ის სწერდა მეტად განყენებული, ხელოვნური ენით, იოანე პეტრიწის შკოლის სტილით, რომელსაც მისი თანამედროვენი მაინცადამაინც არ თანაუგრძნობდენ, მაგრამ მან შექმნა თეორია სამგვარი სტილისა და თავისი წვლილი შეიტანა ქართული ფონეტიკისა და ღრამატიკის ისტორიაში. მნიშვნელოვანი და საყურადღებოა მისი ღრამატიკა, გამოცემული ტფილისში 1885 წელს ალექსანდრე ეპისკოპოზის საფასით და რ. ერისთავის რედაქტორობით. ანტონიმ სამჯერ დაწერა ღრამატიკა: პირველად 1753 წელს სომხურიდან ნათარგმნის, მიხითარ სევასტიელის, გრამატიკის მიხედვით (სიძვ. მუხ. № 785); მერე, 1767 წელს, შეადგინა საკუთარი ღრამატიკა (რომელიც გამოცემულია), საკუთარი სისტემით, და ბოლოს გამოუშვა სიმეტრე ანუ მოკლე, ყრმათათვის შედგენილი, ღრამატიკა. სიტყვიერების თეორიის შესასწავლად შკოლაში ანტონიმ 1764 წელს დაწერა რატორება, ქმნილი მიხითარის რიტორების გვარზე, რომელშიაც მას

მაგალითები ქართულიდანაც მოუყვანია.¹ საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ანტონის საღვთისმეტყველო შრომით იწყება მეცნიერული დამუშავება ქართული ენისა.

X. ფილოსოფია. ანტონი შესანიშნავი, სწორუბოვარი ფილოსოფოსია მეთვრამეტე საუკუნისა, მან გააცოცხლა ჩვენში ტრადიციები ოქროს ხანის ფილოსოფიური აზროვნებისა და ფილოსოფოსებისა, უფრო კი იოანე პეტრიწისა. საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ მეთვრამეტე საუკუნეში გაიღვიძა ჩვენში ფილოსოფიურმა აზროვნებამ და მუშაობამ, რომელიც გამოიხატა იმაში, რომ ხარბად დაეწაფენ ძველი ფილოსოფიური მწერლობის შესწავლას, ეძებენ ძველად ნათარგმნ თხზულებებს. იღებენ პირს ძველი ხელნაწერებისას, სთარგმნიან ახალაბალ თხზულებებს სომხურისა და სხვა ენებიდან. ამ მოძრაობას სათავეში ედგა თვით ანტონ კათოლიკობი, თუმცა მას საკუთარი გზა ჰქონდა არჩეული. ჩვენ ვიცით, რომ იოანე პეტრიწმა თარგმნა პროკლე დიადოხოვის კავშირი, რომელსაც თავისი საკუთარი კომენტარიები დაურთო. ქართული ენიდან ეს შრომა 1248 წელს, იოანეს კომენტარიებითურთ, თარგმნა სომხურად სვიმეონ ბერმა. 1651 წელს სვიმეონ, გარნისის ეპისკოპოსმა, შეადგინა კომენტარიები პროკლეს კავშირისა. 1757 წ. სომხურიდან ეს თხზულება და სვიმეონის კომენტარიები თარგმნა ქართულად ფილიპე ყაითმახაშვილმა იოანე ორბელიანის მონდობილობით. ამნაირად, ქართულს ენაზე გაჩნდა ორი თარგმანი პროკლეს თხზულებისა: იოანე პეტრიწისა, ბერძნულიდან, და ფილიპესი—სომხურიდან.² უკანასკნელს თარგმანს თანამედროვენი და თვით ანტონიც ახადს კავშირს უწოდებენ, ანტონი უარყოფით ეკიდება მას; ღვთისმეტყველების წინასიტყვაობაში ის ამბობს: აღამაღლებენ უდიდესითა ქების-სიტყუაობითა ახადსა კავშირსა, რომელ არს მეტაფისიკაჲ სტოაიკელთა, განრუენილი ვისგანმე სომეხთა ხუცისა, რამეთუ განაგდეს ვითემე თვთ იგი მეტაფისიკაჲ სტოაიკელთა, ახადთა ბრძენთა ქართველთა, თარგმანებული იოანესგან ფილოსოფოსისა ჩუენისა, და განრუენილი იგი ტერტრამას ვისგანმე მეტაფისიკაჲ თარგმანებულ ჭევეს ენისგან სომეხთასა ჩუენსა ზედა ენასა და უგულისმოდცი-

¹) А. Пагарели, Свѣдѣнія III, 118.

²) ავტორი უცნაურად უწყობს ქართველთა მწერალთათვის ამბობს, რომ „სჯეონს უდიდელ ფილოსოფოსისაგან შემოკლებული კავშირი“ პროკლესი გადმოიღო სომხური ენიდან და „შე-თხზა შიდალსა ქართულსა ენასა ზედა სასკოლო სასწავლებლად“ გლახა ნათისშვილიძე, ირაკლი მეორის კარის დიკავანშაო (ძველი საქართველო, ტომი I, განყ. 3, 83. 36).

ნესითა მსწრაფებითა შეუდგეს მას. ხოლო განმარტებაჲ მისი ჟუდეელის ვის-
 განმე ვარდაპეტისა შეიწყინარეს უმწუჟურგაღესითა სურვილითა. მისდაში უგუელსმო-
 დგინესითა, სულთა შინა თჳსთა ... უგუეთუ მეტაფისიკა აღმაღლებული იგი ჩუენ-
 კანთა ვაუთკანმე ღირს არს ესოდენისა ძაღლადღიღებისა, რად. სადამე განიგდების
 ნამდვილ ჭეშმარიტ მეტაფისიკაჲ იგი სტრაიკელთა, რომლისსა თჳთ იგი მეტ-
 თურნი წინასიტყუათსა სა შინა ახლად თარგმანებულსა მეტაფისიკისასა სწერენ,
 ვითარმედ ქართულისაგან სომეხთა ენათად ითარგმანსა ესე. ხოლო ვინაჲთგან
 ესე ესრეთ არს და ვიცით, ვითარმედ ყოფილითურთ სხუთბს ახალი იგი ძუელი-
 საგან, რად სადამე საჭირო არს ვისდაში ახალი იგი სწავლად და არა ძუელი,
 რომელიცა ურიტორესითა ქრასითა თარგმანებულ არს? ამავე დროსვე ქარ-
 თულად უთარგმნიათ, როგორც აღნიშნულა წინასიტყუაობიდანა ჩანს,
 იმავე ჟუდეელის ან სვიმეონ გარნელის მეორე თხზულებაც; განამდიდრე-
 სო, აზბობს ანტონი, ქებაჲ სომეხთა ენისაგან ახლად თარგმანებულისა ცნო-
 ბისა, მპურობელისა თჳს შორის ჰირველსა ნაწილსა შინა კატილორათა არის-
 ტოტულებრთა, ხოლო მეორესა შინა ქუემდებარისა მამართ / შესმენილისა მოკი-
 დებასა. ხოლო მესამესა შინა სილოგიზმითა... აქუნდა ვიდრეჲ ქართუელთა თარგ-
 მანებულა ოროთგან დრამატიკოსთა ჩუენთა, ესე იგი სანატრელისა ვეთიშისაგან
 და ეურემისაგან მცირისა, კატილორათა არისტოტულებრი, ქმნილი გარდამოცე-
 მით წმიდისაგან დამსკეელისა; ხოლო განსჯისათჳს 49 თავსა შინა და გამო-
 ჩინებისათჳს 50 თავსა შინა იტყუს იგივე დამსკეელი. ამისთჳს არ საკრ-
 ველ არს და სადიდებელ ჟუდეელისა იგი განდიდებულო ვიეთკანმე სიბრძნისმო-
 უარებაჲ. როგორც ვხედავთ, თანამედროვე ფილოსოფოსებს, ახალ ბრძენ
 ქართველებს, ზურგი აუხვევიათ ჩვენი ძველი ფილოსოფიური მწერლო-
 ბისათვის და სომხურიდან დაუწყიათ თარგმნა იმისა, რაც უკვე გვექონ-
 და ნათარგმნი ბერძნულიდან. ანტონი ამას არამც თუ არ თანაუგრძნობ-
 და, გაულაშქრნია კიდევაც ამის წინააღმდეგ და მედგრად გამოხარჩლე-
 ბია ძველ თარგმანთა და ფილოსოფოსთა ავტორიტეტს. თვით ანტონს
 ბევრი უმუშაენია ფილოსოფიურს დარგში; მისი ფილოსოფიური შრო-
 მები ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, როდესაც ფილიპე ყაითმაზაშვილის
 შესახებ გვექონდა ლაპარაკი, და ხელმეორედ იმათ აღარ ჩამოვთვლით;
 იმათ გარდა მას უთარგმნია კიდევ: 1) წიგნი კატილორია. სიმეტრეჲ. დას-
 ჯილი მისგან კმასა ზელა არისტოტელასა შედგომითვე მისითა. მაგრა სხუათა-
 ცა სხოლასტიკოსთა და ახლოსა ფილოსოფოსთა განსაზღვრებათაგან და გარდა-
 მოცემათა მოღებულ, ხოლო წინადადებულო თჳსისა სხოლისა მოწაფეთად, და-
 სრულდებულთა 1767 წ. (წერ.-კითხ. № 52). 2) ლოდიკა ქრისტიან ბა-

უმეისტერისა, 3) მეტაფიზიკა ბაუმეისტერისავე, 4) ითიკა და „საზღვარი ფილოსოფიისა“ მისივე (მოამბე 1898 წ. № 9, გვ. 93) ანტონი ამბობს, რომ ბაუმეისტერის ჩამოთვლილი თხზულებანი ჯათინთა ენისაგან გარდმოდებად იმხარკა (იქვე), ამასვე მხარს უჭერს ბატონიშვილი თეიმურაზიც,¹ მაგრამ, სხვა წყაროებით,² ისინი თითქოს რუსული ენიდან არიან ნათარგმნი. 5) ფიზიკა, თეორია ვოლფიუსისა.

ანტონ კათოლიკოზმა აღზარდა მთელი რიგი მოწაფეებისა, რომელთა შორის უფრო საყურადღებოა: მიტროპოლიტი იონა გედევანიშვილი, კათოლიკოზი ანტონ მეორე, გაიოზი და დავით რექტორები, ამბროსი ნეკრესელი, მიტროპოლიტი ვარლამ ერისთავი, იონაე ოსეშვილი, მიხეილ ტფილელი, არქიმანდრიტი გამალიელ ოსყაფილი, ლერვასა სამთავნელი მაქაევარიანი, გაბრიელ ჯვარისდევანოზი, ტრიფილე არქიმანდრიტი, მთარგმნელი სლავეურიდან „სამადლობელი პარაკლისისა“³ და სხვ. ესენი იყვნენ მატარებელნი, გამგრძელებელნი და გამამტკიცებელნი ანტონის ლიტერატურული ტრადიციებისა. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საეკლესიო მწერლობას უნდა ეწოდოს ანტონ კათოლიკოზის ეპოქა, ისე დიდია მისი ღვაწლი და დამსახურება ამ მწერლობის ისტორიაში.

69. იონა გედევანიშვილი.

იონა, რომელსაც ერისკაცობაში ივანე ეწოდებოდა, იყო შვილი კათოლიკოზის სარდლის გაბრიელისა; დაიბადა ის 1737 წელს და აღიზარდა ანტონ კათოლიკოზის კარზე, რომელმაც 1753 წელს, მაშასადამე 16 წლის, იეროდიაკონად აკურთხა ის. ანტონი რომ რუსეთს გადასხლდა, იეროდიაკონი იონაც თან გაჰყვა მას და ერთწუთსაც არ დაშორებია. საქრთველოში დაბრუნების შემდეგ ანტონიმ ის აკურთხა მცხეთის ჯვარის მონასტრის არქიმანდრიტად, ხოლო 1775 წელს არჩეულ იქმნა რუისის სამიტროპოლიტო კათედრაზე. 1780 წელს რაღაცა დანაშაულისათვის, ირაკლი მეფის განჩინებით, საეკლესიო კრებამ მას მიუღო

¹) А. Чагарели, Свѣдѣнія III, стр. 174.

²) იქვე, გვ. 259.

³) А. Чагарели, Свѣдѣнія, III, стр. 259, და ფრთვე. 1784 წელს, ეკლესიის კურთხევის წესისა (ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, I. 118, ტფ 1907 წ.)

ეპარქია, მღვდელმთავრებმა აღუკმალა და დავით გარეჯის უდაბნოში დაამწყვდია. აქედან ის ჩუმად გაიქცა იმერეთს, მაგრამ აქ ის არ შეიწყნარეს და უკანვე გამოგზავნეს ტფილისს, სადაც ქაშვეთის ეკლესიის გალავანში მიუჭინეს საცხოვრებელი ბინა. იონა აქედანაც გაიპარა და ახალციხეს გადავიდა, საიდანაც ფაშის დახმარებით კონსტანტინოპოლს წავიდა. აქედან მან შემოიარა მთელი სამართლმადიდებლო აღმოსავლეთი. პატრიარქებს აღადგენია თავისი თავი მღვდელმთავრის ხარისხში და მერე, ევროპაში შემოსვლის შემდეგ, ვენით გადავიდა მოლდავიაში, სადაც გრაფი პოტიომკინის კარზე შეხვდა ირაკლი მეფის ელჩს, არქიმანდრიტ გაიოზს. 1792 წელს იმპერატრიცა ეკატერინე დიდმა მას დაუნიშნა ყოველწლიურ პენსიად 600 მანეთი „за усердіе къ Россіи“; ხოლო უწმიდესმა სინოდმა ნება მისცა კიევში ცხოვრებისა. კიევში იონამ სამი წელიწადი დაყო და 1795 წელს, სინოდისავე ნებართვით, გადასახლდა მოსკოვში, სადაც საცხოვრებლად ჩუდოვის მონასტერი აირჩია. გარდაიცვალა ის 1821 წელს, ოთხმოცდა ოთხი წლისა. ღრმა მოხუცებული.

თავისი ხანგრძლივი მოგზაურობა იონას 1805—1810 წ. აღწერია ცალკე წიგნად, რომელიც 1852 წელს გამოცა ტფილისში პლ. იოსელიანმა შემდეგი სათაურით: მიმოსუჯა ანუ მგზაურობა იონა რუისის მიტროპოლიტისა. თხზულება იწყება ტფილისიდან კონსტანტინოპოლამდე მგზავრობის აღწერით, ამას თან მიჰყვება მიმოხილვა კონსტანტინოპოლისა და მთაწმიდის მონასტერთა; მერე ავტორი აგვიწერს იერუსალიმამდე მგზავრობას, იერუსალიმსა და ქრისტეს საფლავს, არქიპელაგოსის კუნძულებს, ვენეციას და მისთა გარემოთა, ალექსანდრიას და ეგვიპტეს, სინას მთას, ქალაქ ვენას, პალმას და მის ქალაქებს, მოლდავიას და კერძოდ იასის ქალაქს. ამის შემდეგ იწყება მიმოხილვა და აღწერა რუსეთის იმ ქალაქებისა, სადაც მას მოუხდა ყოფნა: კიევის, მისი დიდებული ლავრითურთ, და მოსკოვისა.

ეს თხზულება საინტერესო შრომას წარმოადგენს; მას ატყვია ბეჭედი ნამდვილი ტურისტის ნაწარმოებისა: იონა გვიხატავს ბუნების სურათებს, ვაჭრობა მრეწველობას, მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებას, შესანიშნავ შენობებსა და ნაშთებს, მოგვითხრობს ყველა საყურადღებო ამბებს. რომელნიც ამათუიმ ადგილთანაა დაკავშირებული; ხანდისხან ის კრიტიკულ ნიჟსაც იჩენს: ყველაფერი, რაც მას გაუგონია, ბრძოდ როდი სჯერა, ხან ვრცელად მოგვითხრობს, ხან მოკლედ, მაგრამ შემთხვევას არ

უშვებს რომელიმე ღირსშესანიშნავ ადგილს ან ფაქტს შეეხოს. ენა მისი საკმაოდ მხატვრულია, თუმცა ეტყობა რუსულის მძლავრი გავლენა: თხზულებაში გვხვდება ისეთი რუსული სიტყვები, როგორცაა ჯოდჯა, კროვაცი, კარეტა, თსტრაფი, მრისხდი, რუნკა, ოტკა, აფონსკი, ჰეჩრესკი, კნაჰი და სხვ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ერუდაციითა და მეცნიერული ორიენტაციის მხრივ იონას შრომა საყურადღებო და მნიშვნელოვანია ანალოგიურ თხზულებათა შორის.

70. გაიოზ რექტორი.

რამდენად მნიშვნელოვანია გაიოზი ჩვენი მწერლობისა და საზოგადოდ წარსულის ისტორიაში, იმდენად გამოურკვეველი იყო უკანასკნელ წლებამდე მისი ბიოგრაფია და თავგადასავალი, განსაკუთრებით საქართველოში ყოფნისა და მოღვაწეობის პერიოდიდან. მიუხედავად მისა, რომ მის შესახებ საკმაოდ მღაღარი ლიტერატურა არსებობს,¹ ჩვენ დანამდვილებით არ ვიცოდით გაიოზის არც დაბადების, არც გარდაცვალების წელი და არც სხვა, მისი ცხოვრებიდან მნიშვნელოვანი, ფაქტების თარიღი; საკმაო მოვიგონოთ, რომ, როდესაც ზოგიერთები მას თავად ბარათაშვილად ჰნათლავდენ (თეიმურაზ ბატონიშვილი, ეპ. კირონი, ალ. ცაგარელი, ი. სავინსკი), სხვები — აზნაურ ნაცვლიშვილად (მთვარელიშვილი, ხახანაშვილი), იყვნენ ისეთებიც, რომელნიც მას სთვლიდენ თაყაშვილად (ბატ. თეიმურაზი, დ. ბაქრაძე და ავტორი „მცირე უწყებისა ქართველთა მწერალთათვის“). ნამდვილი საარქივო ცნობები გაიოზის ცხოვრების დასაწყისი პერიოდიდან გამოაქვეყნა 1913 წელს პროფ. ნ. ნ. პალმოვმა;² ამ ცნობების მიხედვით გაიოზის ბიოგრაფია ჩვენ შეგვიძლია შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ. მოსკოვის კანტორაში გაიოზმა 1774 წელს განაცხადა, რომ ის 28 წლი-

¹) ნ. მთვარელიშვილი, თელავის სემინარია და მისი პირველი რექტორი გაიოზ ნაცვლიშვილი (ივერიი 1881 წ. აგვისტო); *Иеромонахъ Несторъ, Гифлисскій Духовный Вѣстникъ*, 1865 г. Январь; А. Цагарели, *Свѣдѣнія III* стр. LII—LVII. А. Хахановъ. *Очерки по исторіи грузинской словесности III*, 276—284; Еп. Кирионъ, *Краткій очеркъ исторіи грузин. церкви и Экзархата за XIX ст.* Прот. И. Саввинскій. *Историческая записка объ Астраханской епархіи за 300 лѣтъ ея существованія*, Астрахань 1903 г. და სხვ.

²) *Къ свѣдѣніямъ о личности архидіакона Гаіоза, впоследствии архіепископа Астраханскаго и Ставропольскаго, Христіанскій Востокъ*, т. II, вып. 1, стр. 36—53.

სა, მაშასადამე, დაბადებულია გაიოზი 1746 წელს და არა 1739-ს, როგორც გამოდის მისი საფლავის ქვის წარწერიდან, არც თუ 1748 წელს, როგორც ნათქვამია სინოდის ერთერთ ქალაქში გაიოზის მემკვიდრეობის შესახებ. რაც შეეხება მის წოდებას, — ძავადობას თუ აზნაურობას, — და გვარს, ეს ისტორიისათვის გამოუტყვეველი რჩება. ანტონ კათოლიკოზი თავის საპასუხო წერილში, რომელიც მას მიუწერია 1776 წელს ტფილისიდან აშტრახანის ეპისკოპოზის მეთოდისათვის გაიოზის შესახებ უწმიდესი სინოდის შეკითხვის გამო, აპბობს: „მე დიაკონისა ოის აზნაურყოფისა, რომელსა ჰსწამებს თავისა თვისისათვის, ესე მიმიღიეს უწყებამ, ვი-ა-მედ დიაჩოქმან რომელმანმე ტფილისელმან; სახელით ზედაწოდებულმან ზაქარია, აღზარდა დიაკონი იგი კსენებული გაიოზ შეილად და მემკვდრედ მცირისა საცხოვრებელისა თვისისა“. აქედან ცხადია, რომ გაიოზი არ ყოფილა თავადი, ანტონ კათოლიკოზს, როგორც ვხედავთ, მისი აზნაურობაც კი საეჭვოდ მიაჩნია. კათოლიკოზის სიტყვები გვაუჩვენებინებს, რომ გაიოზი უბრალო, ღარიბი, შეიძლება — უპატრონოც, ყოფილა და, როგორც ასეთი, აუყვანია გასაზრდელად ვიღაც ტფილისელ დიაჩოქს. ანტონს მისი გვარი, ალბად, არ სცოდნია სრულებით, თორემ ამასაც აღნიშნავდა; რაც შეეხება კერძოდ იმ აზრს, თითქმის გაიოზის გვარი ნაცვლი შეილი იყო, ეს უბრალო გაუგებრობაა. გაიოზის დაი სალომე მისთხოვებია ვიღაც თადეოზ ნაცვლიშვილს, ამით შესძენიათ შვილი გურგენი, რომელსაც მემკვიდრეობით დარჩენია; გაიოზის გარდაცვალების შემდეგ, მთელი მისი ქონება და ავლა-დიდება; ამ ქონებიდან წიგნთსაცავი, რომელიც 273 ნომრისაგან შესდგებოდა, გურგენს 1822 წელს შეუწირავს აშტრახანის სასულიერო სემინარიისათვის. დიაჩოქ ზაქარიას გაიოზისათვის უსწავლებია წერა-კითხვა მხოლოდ; როდესაც ანტონ კათოლიკოზი რუსეთიდან დაბრუნდა საქართველოში, 1763 წელს მას „უხილავს“ ტფილისში 16 წლის ქაბუკი გაიოზი და შეუნიშნავს, რომ ხელსაყრელ პირობებში მას შეეძლო შეეთვისებია „აზნაურნი და თავისუფალნი ცნობანი;“ ამიტომ მას მიუღია ის თავის სახლში და სხვა ქაბუკებთან ერთად მოუსმენინებია მისთვის ტფილისის სემინარიაში ღრამატიკა, პიტიკა, რეტორიკა, ლოლიკა, რქუეთქმულებანი“. ან კატილორიები არისტოტელესი, მეტაფიზიკა, ფიზიკა და ფილოსოფია. 1765 წელს ანტონს ის აღუკვეცია ბერად და უკურთხებია ჯერ დიაკვნად და მერე არქიდიაკვნად, თან სულიერ მამად, მოძღვრადაც, გახდომია მას. როდესაც 1772 წელს პეტროგრადს

გაემგზავრა დიპლომატიური მისია მეფე ირაკლისა კათოლიკოზ ანტონის და ბატონიშვილი ლეონის მეთაურობით, ამ მისიაში გაიოზიც მოყოლია, მაგრამ არა „ასისტენტად“, როგორც ა. ხახანაშვილი ამბობს; პირიქით, მას იმდენად უპნიშვნელო ადგილი ჰკავებია ამ მისიაში, რომ არც კი სკოლანია მისი დანიშნულება და დაწმინდებული ყოფილა, თითქოს ანტონი რუსეთს თავის საკუთარ საქიროებათა გამო მიდიოდა; ალბად კათოლიკოზმა ის წაიყვანა, როგორც არქიდიაკონი, პირადი სამსახურისათვის წირვა-ლოკვის დროს, და საქიროდ არ დაუნახავს გაეცნო მისთვის ნამდვილი მიზანი და დანიშნულება ამ მისიისა. პეტროგრაღში ყოფნისას გაიოზს დრო ტყვილად არ დაუკარგავს: მას აქ, ალექსანდრე ნეველცის სემინარიაში, ქ. ტვერის მთავარეპისკოპოზი პლატონის ზეგავლენით დაუწვია რუსულის, ლათინურის და ბერძნული ენების შესწავლა. პეტროგრადიდან მობრუნებული, მისია მოსკოვში გაჩერებულა და აქ გაიოზი 1775 წელს შესულა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში „სწავლისათვის ლათინურისა და რუსულისა“, როგორც თვითონ ამბობს, ანტონ კათოლიკოზის ნებართვით და ლოცვაკურთხევით. ნამდვილად კი, თანახმად ანტონის ცნობისა, ეს საქმე ჰას ჩაუდენია მისდა დაუკითხავად, შე უკანასკნელ დრომდე არც კი ვიცოდი მისი განზრახვა, მხოლოდ მოსკოვიდან გამოსვლის დღეს მომიგზავნა მოციქულები ამის შესახებ, მაგრამ მე კატეგორიული უარი უთხარიო. 1774 წელს, 18 ივნისს, რუსეთის სეკლესიო სფეროთა და კათოლიკოზ ანტონის შორის დაწყებულა მიწერ-მოწერა გაიოზის პიროვნებისა და მისი მოსკოვში დარჩენის გამო და სანამ ეს მიწერ-მოწერა გათავთებოდა, გაიოზმა კიდევაც დაასრულა კურსი მოსკოვის აკადემიაში 1778 წელს და გამოწვეულ იქმნა ირაკლის მიერ ტფილისში, სადაც მან დააარსა სკოლა რუსული ენის შესასწავლად. 1779 წელს ის მღვდელმონაზვნად აკურთხეს, 1780 წელს გაწვეულ იქმნა რუსეთში და აქ იღუმენობა მიიღო. 1782 წელს ის გამოგზავნეს საქართველოში ირაკლისთან პოლიტიკურ საქმეთა გამო მოსალაპარაკებლად.¹ ამავე წელს გაიხსნა თელავში სემინარია, ალბად გაიოზის ინიციატივით, და მის პირველ რექტორად დაინშნა თვით გაიოზი, რომელმაც ამ თანამდებობაზე დაყო ერთი წელი: 1783 წ. ის დაინიშნა წვერედ იმ კომისიისა, რომელმაც ქ. გეორგიევსკში

¹) ს. კაკაბაძის ცნობით, გაიოზი ამ დრომდე ათქოს ტფილისის ფილოსოფიის სემინარიის რექტორად იყო (საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, გვ. 217-218 ტფილ. 1922 წ.). ამ ვითით, რაზეა დამყარებული ეს ცნობა.

შეკრა რუსეთთან 1783 წლის ცნობილი ტრაქტატი. აქ მან დაიმსახურა ყურადღება კავკასიის მმართველის პ. ს. პოტიომკინისა, რომელმაც მერე ხელი შეუწყო მის კარიერას. 1784 წელს ის პეტროგრადში, იმპერატრიცას თანდასწრებით, არქიმანდრიტად აკურთხეს და მას შემდეგ აღარც დაბრუნებულა სამშობლოში: ის გაჰყვა გენ. პოტიომკინს ჯერ მალოროსიაში, სადაც 1785—1789 წლებში ქალ. ყრემენჩუგში ცხოვრობდა, მერე—მოლდავიაში და აქ, 1790—1792 წლ. მიტროპოლიტს იონა გედევანიშვილს შეხვდა. 1793 წელს დაარსდა მოზდოკის ეპარქია, რომელშიაც ეპისკოპოსად დაინიშნა გაიოზი, მასვე ჩააბარეს გამგებლობა ოსებში ქრისტიანობის გამავრცელებელი კომისიისა; ოსების განათლებას გაიოზმა დიდი ღვაწლი დასდო: მათ მან შეუდგინა ანბანი, რომელსაც საფუძვლად დაუდო სლავური ანბანი, და გადაუთარგმნა „პირველდაწყებითი საქრისტიანო მოძღურება“. 1799 წლის 16 ოქტომბერს გაიოზი დანიშნეს ეპისკოპოსად სარატოვისა და ჰენზის ეპარქიისა, რომელსაც განაგებდა 1808 წლამდე; 1808 წელს დაინიშნა აშტრახანისა და სტაფროპოლის მთავარეპისკოპოსად; გარდაიცვალა ის 1821 წლის 20 თებერვალს აშტრახანში, სადაც მას დაიმსახურა საერთო სიყვარული და დაუეიწყარი ხსოვნა.

ამნაირად, მომეტებული ნაწილი თავისი ცხოვრებისა გაიოზმა რუსეთში გაატარა: ის ცხოვრობს ხან პეტროგრადს, ხან სარატოვსა და ჰენზაში, ხან აშტრახანში, ხან კიდევ მოლდავიაში. ამიტომ მისი ლიტერატურული მოღვაწეობა უფრო რუსული მწერლობის ზეგავლენით ვითარდებოდა. ყველა მისი თხზულებანი, რომელთა რიცხვი საკმაოდ დიდია, რუსულიდანაა ნათარგმნი მცირე გამონაკლისის გარდა, როგორც, მაგალითად, „წიგნი ქმნილი აღაპიტ არქიდიაკონის მიერ კონსტანტინოპოლისა დიდისა ეკლესიისა, მირთმეული ბერძენთა იმპერატორისა დიდისა იუსტინეს მიმართ, ოდეს იგი მიიღო მან საყდარი კონსტანტინეპოლისა“, თარგმნილი ბერძნული ენიდან.¹ აი სია გაიოზის შრომებისა: 1) თხზულებანი ამბროსი მედიოლანელისა, გადმოთარგმნილნი ქ. ყრემენჩუგში 1789 წ.;² 2) ღვთისმეტყველება მოსკოვის მიტროპოლიტის პლატონისა; 3) „წიგნი ზნეთსწავლულება“ მარკოზ ავრელიოზისა (1795 წ.); 4) „კიტაის სიბრძნე“, — ზნეთსწავლულებანი, მირთმეული მეფის ასულის ანასთვის, გადმოთარგმნილი 1777 წელს მოსკოვში და დაბეჭდილი

¹) ასეი აღნიშნული ო. ცაგარლის მიერ დაბეჭდილს კიტალოგში (Свѣдѣнія III, 174). ხელნაწერებით კი (საისტ.-საეთ. სახ. №№ 39, 70, 125. წგო.-კიობ. № 71, 83) ის აღნიშნულია რუსულიდან გადმოთარგმნილად 1776 წ.

²) სიძვ. მუსხ. № 796, წ. 3. № 173.

ტფილისში 1784 წელს. 5) თარგმანება სოლომონის სიბრძნეთა, 6) ეპისტოლენი ბასილი დიდისა (მოზდოკში 1799 წ.), 7) საღმრთო ისტორია (მოზდოკში 1799 წ.), 8) დილის ლოცვანი (ყრემენჩუგში 1786 წ.), 9) ბოროტთა ანგელოზთათვის, გადმოთარგმნილი 1792 წ. იასაში,¹ 10) რელამენტი პეტრე დიდისა, 11) ძველი აღმოსავლეთის ისტორია (1783 წელს); 12) „ისტორია ეგვიპტისა“ დიოდორესა და ჰეროდოტესი, 13) ლექსიკონი ევროპის ქალაქებისა, 14) ველიზარი მარკონტელისა, 15) კანონი და დაუჯდომელი იესო ტუბილისა (სიძვ. მუზ. № 813); 16) უთარგმნია მას საღმრთო წერალის წიგნებიც, უფრო ახალი აღთქმისა, 1814—1817 წლებში, ეს თარგმანი ინახება პეტროგრადს ყოფილი სასულიერო აკადემიის წიგნთსაცავში. გაიოზს ორიგინალური თხზულებანიც უწერია, ასეთია: მოკლე ქართული ღრამატიკა, „წინასიტყვაობა ანტონ კათოლიკოზის „წყობილსიტყვაობისა“ და „საძიებელი“ მისი „ღვთისმეტყველებისა“, ისტორია საქართველოისა, ქადაგებანი და მოძღვრებანი და „ქრისტიანობრივი სწავლა ანუ ქეშმარიტი სიტყვა ღმრთისა“, დაწერილი ყრემენჩუგში 1788 წელს.

71. ამბროსი ნეკრესელი.

საქირო ბიოგრაფიული ცნობები ამბროსის შესახებ არ მოგვეპოვება, ვიცით, რომ ის იყო გვართ მიქაძე, შეგირდი ანტონ კათოლიკოზისა, კაცი განათლებული და ნაყოფიერი მისიონერი, რომელიც განაგებდა ნეკრესის კათედრას კახეთში დოსიათეოზის შემდეგ, დაახლოვებით 1794—1808 წლებში. 1801 წელს ის დავით ბატონიშვილის ბრძანებით, ღროებით, სანამ თავს არ იმართლებდა, გადაყენებულ იქმნა ეპარქიის გამგებლობისაგან რალაც პოლიტიკურ აქტში მონაწილეობისათვის. ამბროსი ქართული მწერლობის ისტორიაში ცნობილია, როგორც ნაყოფიერი მქადაგებელი; 1886 წელს ტფილისში გამოიცა კრებული მის ქადაგებათა, რომელიც შეიცავს 38 მოძღვრებას; ეჭვი არაა, რიცხვი მისი ქადაგებებისა უფრო მეტია, მაგრამ ჯერ ცნობაში არაა მოყვანილი.

¹) А. Чагарели, Свтѣхнѣя, III, LV.

მას ჩვეულება ჰქონდა თავისი ქადაგება რამდენიმე ცალად გადაეწერა და სოფლებში დაეგზავნა მღვდლებისათვის ეკლესიაში წარმოსათქმელად. მისი ქადაგებები ორგვარია: დოღმატური და პუბლიცისტური; ისინი სქოლასტური ხასიათისაა: ქადაგებაში ხშირად გვხვდება იამბიკოები, აკროსტიხები, ვილაც ფილოსოფოსების ხსენება, კერძოდ ბაუმეისტერი-სა, ვრცელი ფილოსოფიური ტრაქტატი, რომელსაც ხშირად კავშირი არ აქვს მთავარ აზრთან, დანაწილება ამათუიმ საგნისა და რიტორული ფორმა ქადაგებისა, — ყველა ეს მაჩვენებელია ანტონ კათოლიკოზის სქოლასტიკური შკოლის გავლენისა ჩვენს მქადაგებელზე. უფროსაყურადღებოა მისი პუბლიცისტური ქადაგებები, რომლებშიაც ის ეხება თანამედროვე საზოგადოების, უფრო თავისი სამწყსოის, ზნეობრივისიდუბჭირეს და ნაკლს, განსაკუთრებით ხალხში გავრცელებულ ცრუმორწმუნოებას, ანა და საქართველოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ვითარებას. მძიმე იყო იმ დროს კახეთის მდგომარეობა: დარბეული ქვეყანა, გალატაკებული ხალხი, მაჰმადიანთა თარეშობა და ისლამის გაძლიერება, რამაც გამოიწვია ხალხში ქრისტიანული ზნე-ჩვეულების შერყევა, — მდიდარ მასალას აძლევდა ორატორს მქუხარე, ცეცხლისმფრქვეველი სიტყვებით მიემართა სამწყსოსადმი და მოეგონებია მისთვის მაღალი ღირსება ადამიანისა და ქრისტიანისა, ანა და მღუღარე ცრემლები ეფრქვია გავერანებული სამშობლოს სურათის დანახვაზე. ამბროსის ქადაგებებს დიდი მორალური და აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველებისათვის და კერძოდ ნეკრესის ეპარქიისათვის, რომელსაც ამბროსამდეც ამკობდა გამოჩენილი მქადაგებელი და მეცნიერი — დოსითეოზ ნეკრესელი.

72. ანტონ ცაბერელ-ჰუმნდიელი.

ანტონი, რომლის საერისკაცო სახელი ჩვენ არ ვიცით, იყო შვილი სამეგრელოს მთავრის ოტია დადიანისა (1728—1744). და ლეთის-მოყვარე გულქანის, რაქის ერისთვის შოშიტა მესამის ქალისა. მაშის გარდაცვალების შემდეგ ის იზრდებოდა თავისი ძმის, კაცია დადიანის (1744—1788), კარზე, თავისი ლეთისნიერი დედის ზეგავლენით. დედამ მას ჩაუნერგა გულში საეკლესიო-სარწმუნოებრივი აღზრდის ელემენტები, შეასწავლა საღმრთო წერილი და თათრული ენა. როდესაც ჰასაკში შევიდა, ანტონი ბერად შედგა და, საეკლესიო განათლების წყურვილი

რომ მოეკლა, მიჰპართა მარტიელის ბერებს, რომელთა ხელმძღვანელობით წმ. მამათა თხზულებებს ეცნობოდა. განათლების შესავსებლად მას მოჰგვარეს ფრანგთა მისიონერები, რომელთაც მისთვის უნდა შეესწავლებიათ სქოლასტიკური ფილოსოფია; ეს ბერები ანტონმა მალე დაითხოვა, ვინაიდან მან შეუძლებლად დაინახა მათი მოძღვრებისა და მართლმადიდებლობის შეთანხმება-შერიგება. ამ დროს სამეგრელოში გაიგეს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში არის გახსნილი საფილოსოფიო სკოლაო, და ამიტომ 1757 წლის ბზლო ხანებში ანტონი გაემგზავრა ტფილისს, ირაკლი მეორის კარზე, რომელსაც ცოლად ჰყავდა მისი მამიდა დარეჯანი. ტფილისში ანტონს უხილავს მრავალნი წარმატებულად ხედავითთა შინა ფილოსოფოსობათა, რომელთაც განათლება მიეღოთ ირაკლის მიერ თელავში. დაარსებულ სკოლაში, აქ ის სწავლობდა სომხის მღვდლის ფილიპე ყაითმაზაშვილის და მისი მოწაფის ზაქარიას¹ ხელმძღვანელობით. სამეგრელოში დაბრუნების შემდეგ, 1761 წელს, ანტონმა მიიღო ცაგერლობა, 1777 წელს ის დანიშნულ იქმნა კუონდიდის კათედრაზე, რომელზედაც დადიანები, მისი მნიშვნელობის გამო, მუდამ თავის სახლისკაცს ნიშნავდენ. ანტონი კუონდიდლობდა 1788 წლამდე, როდესაც კათედრა დატოვა და უბრალო ბერად მის მიერ გაშენებულს ნახარეობუს მონასტერში დამკვიდრდა, თუმცა საეკლესიო საქმეები მას შემდეგაც არ მიუტოვებია; მაგალითად, მისი ინიციატივით მოწვეულ იქმნა 1792 და 1794 წლებში საეკლესიო კრება, რომელზედაც, ანტონის თავმჯდომარეობით, სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხები იჩივოდა. გა⁴ დაცივალა ანტონი 1815 წელს და დაიმარხა ნახარეობის მონასტერშივე. ანტონი მეტად ღვთისნიერი, მარტივი და ნამდვილი ასკეტიკური სულის მატარებელი ადამიანი იყო, მას ღიდად შესტკივოდა გული თავისი სამწყსოსათვის, ცდილობდა ამოეფხვრა მასში სხვადასხვა მანკი, განსაკუთრებით ტყვეთა ყიდვა-გაყიდვის ჩვეულება, და მშვიდობიანობა დაემკვიდრებია მეგრელებსა და გურულებს შორის.

ჩვენს მწერლობაში ანტონი ცნობილია, პირველად ყოვლისა, როგორც გამოჩენილი მქადაგებელი; მკერმეტყველი ორატორის სახელი მან ჯერ კიდევ ცაგერის კათედრაზე მოიპოვა და 1765 წელს აღმოსავლეთის საქართველოც დაარწმუნა ამაში, როდესაც ტფილისში, კაცია დადიანის ქორწილზე, სულიწმიდის დღეს, ექსპრომტად წარმოსთქვა ისე-

¹) თ. ყორღანიას ის მიაჩნია ზაქარიი გაბაშვილად, რომელიც ანტონ კათოლიკობა გააქვეა, რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ.

თი შესანიშნავი სიტყვა, რომ ანტონ კათოლიკოზიც განცვიფრებაში მოიყვანა. კრებული მისი ქადაგებებისა გამოიცა 1898 წელს ქ. ფოთში ბესარიონ ეპისკოპოზის (დადიანის) ხარჯით და თ. ჟორდანიას რედაქტორობით. ამ კრებულში ყველა მისი ქადაგებები არ შესულა, აქ მხოლოდ 34 მოძღვრებაა; ამათ გარდა, როგორც თ. ჟორდანიას ამბობს, კიდევ არსებობს მეორე კრებული დიდმარხვის დღეებში წარმოსათქმელ ქადაგებათა, რომელთა დაბეჭდვა მას ვერ მოუხწრია. ანტონის ქადაგებანი ყველა ზნეობრივ თემებზეა წარმოსათქმული, განყენებული დოღმატური ხასიათის თემებს ის გაურბოდა, ალბად, ის უფარდებდა თავის მოძღვრებას მსმენელთა წრეს. ამით აიხსნება, რომ მისი ქადაგებანი გასაოცარი მარტივი, ყველასათვის გასაგები და მდაბიური ენითაა დაწერილი, თუმცა სხვა თხზულებებს, თეოლოგიურსა და ფილოსოფიურს, ის გადმოგვცემს მაღალი, სქოლასტიკური, ანტონისებური სტილით. ორატორი დგას საღვთო წერილის ნიადაგზე, არგუმენტები მოჰყავს უმთავრესად ბიბლიიდან, მოკლედ და თავისუფალი გადმოცემით. ამავე დროს ის წმ. მამათა თხზულებებითაც სარგებლობს, ციტატები მოჰყავს გრიგოლ ღვთისმეტყველის, ოქროპირის, ბასილი დიდის, იოანე სინელის, თეოდორიტე კვირელის, თეოდორე სტოდელის, კირილე ალექსანდრიელის და სხვ. თხზულებებიდან. ერთ ალაგას მას სიმეონ ჯულფელის დიალექტიკიდანაც მოჰყავს ციტატა (გვ. 17), რაც მაჩვენებელია ამ სომხის მწერლისა და ფილოსოფოსის პოპულარობისა იმ დროს ჩვენში; ხანდისხან „საფილოსოფოსო“ მაგალითსაც მიჰმართავს ორატორი (გვ. 25, 69) და თავის საკუთარ მოსაზრებასაც არაიშვიათად გვაჩვენებს, თუმცა ყოველთვის ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ; მაგალითად, ერთ ადგილას ამბობს, რომ „ქამა შემოვიდა ცოდვის შემდეგ, თორემ ცთომამდის ანგელოზის მსგავსად ღვთის ხედვით იზრდებოდა კაცი“ (გვ. 35). ეს რომ ასე არაა, ჩვენ ბიბლიიდან ვიცით: ღმერთმა შეცოდებამდე განუჩინა კაცს საქმელად მცენარეულობა და ნაყოფი (შესაქ. I, 29).

ანტონი ცნობილია აგრეთვე, როგორც მთარგმნელი სომხური ენიდან; ერთს ამგვარ თხზულებას ეწოდება წიგნი ჭეშმარიტებითისა ღმრთის-მეტყუელებისა და ის შენახულა ერთადერთ ხელნაწერში (ქუთაისის საისტორიო და სიეთნოგრაფიო საზოგადოებისა). თხზულებას დართული აქვს წინასიტყვაობა, რომელსაც მოვიყვანთ in extenso:

საეგრელოთ წარვედ რომელთამე მიზეზითაჲს შარსს სოფელსა, საჲ-

უფოსა ქალაქის ტფილისის, არა განბნევად სიმიდირისა, რამეთუ დამიცვა მე უფალმან ანგელოსისა მიერ თჳსისა, არამედ მიმხედველმან ფუტკრისამან ვინებე მიბაძვაჲ, ვითარ იგი, წარკვლის რაჲ შორით და მუხით უუაღილთაგან ჰქოფს საგრძნობთა საამოსა გოლსა თათლისასა, ეგრეთვე მუხით მოძლებმან უუაღილთაგან სიბრძნისათა, მეცა ვჰქუავ სულიერთა საგრძნობთა საამნი ესე, რომელა უტკბილეს არს უფროჲს თათლისა და გოლეულისა. მივიწიე რა ზემოკსენებულსა ქალაქსა, ვიხილენ მრავალნი წარმატებულად ხედვითაჲ შინა ფილოსოფოსობათა, რამეთუ ბრწყინვალესა ირაკლი მეორესა, დიდსა მეფესა, აღეგო სხოლთაჲ ქალაქსა თელავს და მუხით წრთვნილ იუვნენ; და ამასვე მეფესა მოეპოვა სხოლთაჲცად და მოძღურად სიბრძნისა ჰრმანთა მდღელი ფილიპჲ, რომელი დირს იუო ესევითარსა მოძღურებისა ჰატვისა. და ამა მოძღურისა მიერ და ამის ერთისა რჩეულისა მოწაფისა ზაქარაჲს მიერ მიიღო უღირსებაჲმანცა ჩემმან წვრთნილებაჲ ხედვითაჲ შინა ფილოსოფოსობათა. და ამის მოძღურისა მიერ და ამის მოძღურისა მოწაფეჲმნილთა უოკელთა მიერცა მასმიოდა საკრველებით ჰებაჲ ამის წიგნისაჲ, გარნა ვიხილენ რა, ჩუენსა ზედა ენასა კანონებრივ ვრცხე თქუმად ამისთჳს სიტუთაჲ საბაჲს დედოფლისაჲ, რომელი აქუა სოლომონისთჳს ბრძნისა, და ვიტუჲ მე ესრეთ: არა არს ნახევარი ამისა, რომელი იგი მოვითხრეს მე ამისთჳს. ხოლო პირველ ვიდრე ხილავმდე და გარდამოცემად ამის წიგნისა მასმიოდა რა ესევითარი ჰებაჲ, არამცირელი მქონდა ურვაჲ თუ სადაჲოცა მეპოვა მეკრნალი ურვისა ამის ჩემისა. და მუის ესევითარსა შინა ძიებასა, რომელი იტუჲს: ეძიებდით და ჰქოლოთ, მანვე მცა მეკრნალი ამის ურვისაჲ, და ვპოვე ზემოკსენებულნი იგი მდღელი ჰრმანი ფილიპჲ სხოლთაჲცად და შევითქუენით გარდამოცემად ამის წიგნისა. გარნა მის ჟამისა შეთქემულებაჲ რომელმანმე საცთურმან და ზრუნვამან ამის სოფლისამან შეაშთო და უნაყოფო ქმნა. გარნა საღმრთომან მადლმან სულისამან არა უტევა სრულიად უნაყოფო უოფად; და მოუწოდე მასვე მდღელსა ჰრმანთასა ფილიპჲს, რათა ჯერჩინებითა დიდისა მთავრისა, ძმისა ჩემისა, სამეგრელოჲსა. და თაკუერისა მჰერობედისა, დადიანისა კაციაჲსითა დავიწყოთ გარდამოცემად ესრეთ, რამეთუ იგი მდღელი ჰრმანითა გარდამოცემდა ჰრმანუღთაგან ენათა ჩუენსა ზედა ენასა, რაჲოღენცა ძაღედვა, და მეცა შეძლებისაებრ ჩემისა წესიერ კანონითა ვჰკარგევი ჩუენსა ზედა ენასა, ვითარცა აწ იხილვებინ. ხოლო თუ მამრალბედეს ვინ მწუალებულთა წიგნთა გარდამოცემისათჳს, მაქუს წინაუოფად მისდა ოქრონიეტარისა იოანე დამასკელისა მიერ გარდამოცემაჲ კატილორიისა წიგნისა, რამეთუ მანცა იოანე მიიღო წიგნი ესე მათ კაცთაგან, რომელნი არა თანახმა იუვნენ ჩუენისა ეკლესიისა მოძღურებასა ზედა. კუალადღა თუ შეტუოდეს—წიგნი იგი განკაზმა იოანე

დამსკეღმან თანაჲმად ჩუენის ეკლესიის, მეც არა წინააღდგომად, არამედ უფროდ თანაჲმად ჩუენის უკლესიის განკარგულ ვჰყავ წინამდებარე ესე წიგნი; დაღათუ არა იოანესებრ მაქუნდა წმიდაყოფაჲ სინიდისისა და ცნობაჲ წერილთაჲ, რათა მისებრ უოფლითურთ თანაჲმად ჩუენის ეკლესიის განშეკარგა და არა დამეშინამცა რაჲმე სიხენეჲმე, კარნა მამაჲც იგი ზეცათაჲ არა ითხოვს უმეტესსა ძალისას, არამედ ვითარ იგი შეჰძლე არს თითოეული ვინ; და თქვენცა ესრეთ თანაგაც მხილველთა და მსიხენელთა ამის წიგნისათა, ვითარ იგი თქვა მცნოვარმან იესუ: იუკენით სრულ, ვითარცა მამაჲ თქვენი ზეცათაჲ სრულ არს. და ესეცა სცანთ ჭეშმარიტი: რაჲოდენისცა ძალმედუა სწორებრივ განსჯაჲ, არაჲა დამიშთენიეს წვალებაჲ აღუკრცელად ამის წიგნსა შინა, და თუ რაჲმე დამიშთამცა უნებლიეთ, თქვენ ჭეშმარიტთა განმრჩეველთა განარჩიეთ და გარეგანსობიეთ ღვარძლი იგი წვალებისაჲ, ხოლო იუქლი წმიდაჲ, რომელ არს სიტყუაჲ საწმუნოებისაჲ, დამარხეთ საუნჯესა შინა გულისა თქვენისას, რათა ესევიითარითა შექმეობითა იმადღათუენისიციემებოდეს მომცემემელი ამათ უოველთა კეთილთაჲ, მადლი სულისა უოვლად წმიდისაჲ, აწდა უკუნისამდე, ამინ! ადესრულა ღმრთისმეტყუელებითი წიგნი ესე ქრისტეს აქეთ ჩლოე ივლისსა დ.

არც სათაურში, არც წინასიტყვაობაში აღნიშნული არაა—ვის ეკუთვნის ეს თხზულება, მაგრამ მეორე ნათარგმნ თხზულებაში, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, ნათქვამია, რომ ეს არის წიგნი ღმრთისმეტყუელებითი ბრძნისა ალფერდისი. მართლაც, წიგნბოლოში დართული აქვს აღსანიძველგანსაცნთა და ღვთებითთა სიტყუათა ალფერდისათა, დაქსულნი მიხითარ სევასტიელის ვარდაუეტისა მიერ, ვანებისა და გზისებრ თომა აჭვინელისა და სხუათა სოფლიოთა მნაიშობღუართა. თხზულება შესდგება შეიდი წიგნისაგან და წარმოადგენს დოღმატიკურსა და ზნეობითი ღვთისმეტყუელებრივ სისტემას.

მეოთხე, აგრეთვე სომხურიდან ნათარგმნი, თხზულება ანტონისა, არის ფილოსოფოსობა მებრ უცთომელ და უბრკმელ მოძღურების თომასი, რომელი ქმნილ არს ანტონი კოვადისა ლევითაკელისა ღვთისმეტყუელ მოძღურისა ფარეზ ქაქქისა; ამ თხზულებას ანტონი უწოდებს სხეანაირად ღოღიკა დიდი, დიალექტობა დიდი, ნაცვამეთქეობაჲ დიდი. წინასიტყვაობაში ანტონი გადმოგვცემს შემდგომ: ვინებე მე სუმიად სასუმელი ესე და კვლავჲვ კარდამოცემად დიდისა ამის ღოღიკისა... უოვლად სამდღეფოსა თანამძისა ჩემსა დოსითოფს ნეკრესელსა ეწადა კეთილობაჲ ამის წიგნისა, რათა სრულეუთმცა ნაცვამეთქეობაჲ ესე დიდი, და ვერ ეწიფა წადილსა ამას რომელთამე გარეშეთა მიზეზთა მიერ, ხოლო მე აღვაგვსე წადილი მისი, რამეთუ კარდამოვეც ღო-

დიკა ესე... ხოლო დოსითეოს თანამას ჩემის ესურგა „მცირისა დალეკტიკისა სიტკბოსა გეშეხა, რამეთუ აჯთცა გარდამოცა მაშასდამე ამის უდიდესისადა სიტკბოსა სურვიელ იყო. კუალად იგი სურვიელ იყო ამის წიგნისა გარდამოცემად, ვითარცა ითქუა, ხოლო რომლისათჳს მას სეროდა, მე დავშუერ და გარდამოვცე წიგნი ესე... ხოლო გარდამოღებაჲ ვუჯ ენასა ზედა ჩუენს დიდისა სხოლანჭეტისა ჰარმანთა მდღლის ფილიპჳს მიერ, რომელი ბრძანებისაგბრსადმერთთაჲს უშურველად მისცემდა უოველთა სიბრძნეს წერილთას. და ამას მეთქუეობასა მიმტკიცებს ხილვაჲ მისთა გარდამონაცემთა წიგნთაჲ, რომელი გარდამოიცა ამის ფილიპჳს მიერ ბრძანებითა უბრწუინჯალესისა საქართველთაჲს ირაკელი მეორისა მეფისაჲთა (მერე ჩამოსთელის იმ რვა წიგნს, რომელიც ფილიპეს ბიოგრაფიაჲაჲც აღწინშნეთ ზემოთ)...ხოლო წიგნი ღვთისმეტუეელებითი ბრძნისა ალფერდისი და წინამღებარე ესე ლოდიკა დიდი გარდამოვცე მე ამის ფილიპჳს მიერვე ბრძანებითა დიდისა მთავრისა, ძმისა ჩემისა, დადიანისა კაცისა მიერ (წ.-კითხ. № 250, ფ. 176), წიგნი ანტონის განუზრახავს სახელმძღვანელოდ, როგორც შემდეგი სიტყვებიდანა ჩანს: ხოლო აწ მოძღუართა და მოწაფეთა თანაცაც ლოცვა ჩემ უღირსისათჳს; მოძღუართა—რამეთუ ორდანო არს თქუენი სიბრძნის მოყუარებისა ესე წინამღებარე წიგნი; მოწაფეთა—რამეთუ უმკუეტრეს ჰყოფს გონებას თქუენსა ხედვითისა სიბრძნისა მიმართ. წიგნის თარგმნა დაუსრულებიათ 1776 წლის 17 თებერვალს.

შესდგება ეს დიდი ლოდიკა, რომელიც მოთავსებულია წერა-კითხ. ხელნ. № 250, ფ. 174—410, სამი ნაწილისაგან: 1) სიტყვსა მყოფისათჳს, რომელი სკურეტს პირველსა გონებისა მოქმედებასა, 2) სიტყვსა მყოფისათჳს, რომელი სკურეტს გონებისა მეორე მოქმედებასა, 3) სიტყვსა მყოფისათჳს, რომელი არს წარმმართველ მესამე გონების მოქმედებისა ანუ კელხებისათჳს.

ანტონისაგან დარჩენილა აგრეთვე ანდერძი, რომელიც მას მიუცია ნახარებოუს მონასტრისათვის; ¹ აქ აღწინშულია—როგორ გადააკეთა ანტონიმ სამრევლო ეკლესია ნახარებოუს მონასტრად, და ჩამოთვლილია, რა ადგილ-მამული, გლეხები და წიგნები დაუტოვა მან მონასტერს.

¹) გამოცემულია თ. ხუსკივიძის მიერ გაზეთ „კოლხიდაში“ 1912 წ. №39, 40.

73. იოანე მისხილის ძე ქსიფილინოსი-პაპუწისშვილი.

იოანე ქსიფილინოსი იყუ ნათესავით ბერძენი და ეკუთვნოდა საქართველოში მყოფ ბერძენთა ჯგუფს, რომელნიც ანტონ კათოლიკოზისა და ირაკლი მეფის დროს თავგამოდებით მუშაობდნენ ქართულ-ბერძნული ლიტერატურული ურთიერთობის ასპარეზზედ. ირაკლი მეფის მიუცა განსასწავლად ქართულსა ზედა კმას სიონის დეკანოზის იოანე ოსეს ძისათვის, რომელიც მას ენას უსწორებდა და თარგმნაში ეხმარებოდა; ამიტომ ქსიფილინოსი მას ჰხადის თანაშემწედ და მოძღურად თვისად.¹ საქართველოში ყოფნისას იმას არამც თუ შეუსწავლია ქართული იმდენად, რომ თავისუფლად სთარგმნის ბერძნულიდან, არამედ გაქართველებულა თითქმის და ზოგიერთ თავის ნაწარმოებში ის თავისთავს ბერძნული გვარი ქსიფილინოსით კი არ იხსენიებს (ასე მას უფრო ხშირად თვით ქართველები ეძახიან), არამედ პაპუწისშვილად. ირაკლი მეფე და ანტონ კათოლიკოზი დიდად აფასებდნენ მას და განსაკუთრებულ მფარველობასაც უწევდნენ, ამიტომ თვით იოანე ქსიფილინოს-პაპუწისშვილიც უაღრესი კრძალულებით იხსენიებს ხოლმე კათოლიკოზისა და მეფის სახელს და სიხარულით ასრულებს ყოველივე მათ ბრძანებას. იოანეს მართლაც თვალსაჩინო დეაწლი მიუძღვის ქართული მწერლობის წინაშე; ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ ირაკლი მეფის დროს გამოცემული ზატოკის ანდერძი, სადაც ნათქვამია: წიგნი ესე ზატოკო ბერძულსა ზატოკსა ზედა შევაწამებთ ნათესავით ბერძენსა, სხელით იოანე ქსიფილინოსსა, რომელიც განსწავლულ არს თვისსა ენასა ზედა და ქართულსაცა შინა წერიდსა დახედოვნებულით (ზატოკი, ტფილისში გამოცემული 1868 წელ. გვერდი ფბ.). ნათქვამიდან ჩანს, რომ იოანე მუშაობდა ლიტურგიკულს დარგში. ამავე დარგში მას 1785 წელს ბერძნულიდან გადმოუღია, იოანე ოსეს ძის დახმარებით, აღსარება კეთილთა საქმეთა, წინააღმდეგობათა ცოდვისათა.² ეს თხუხულება შესდგება 7 ნაწილისაგან: პირველში ჩამოთვლილია ის ცოდვები, რომელნიც წინააღმდეგებიან სარწმუნოების კეთილთა საქმეთა, მეორეში—სასოებისას,

1) სიძე. მუხ. № 711, ფ. 10.

2) სიძე. მუხ. სელნ. № 711, ფ. 1-8.

მესამეში — სიყუარულისას, მეოთხეში — მეცნიერებისა და განათლებისას, მეხუთეში — სიმხნისა ან დიდსურობისას, მეექვსეში — სიწმიდისა ან მრთელ-
 ცნობობისას, მეშვიდეში — სიძარბლისას. ეს არის სახელმძღვანელო, რომელშიაც აღნიშნულია ცოდვანი აღსარებად სჯირონი მონანუღაიკას, მაშასადამე ერთერთი რედაქცია ეგრედწოდებული პენიტენციალისა; როგორც ასე-ის, მას არა მარტო ლიტურგიკული ხასიათი აქვს, არამედ რამოდენიმედ კანონიკურიც. ის, ალბად, დანიშნული იყო სამღვდელოებისა და მორწმუნეთათვის, რათა მით აღსარება ეთქმევინებინათ და ეთქვათ აქ წარმოდგენილი სისტემით, თუმცა შენიშნულია: არა ვიტყუა, ვიარამედ რაოდენსადაც სცოდვენ კაცნი, ყოველნი არიან დაწერილ; ამისთვის თანა-ამის მონანუღას, რათა რაოდენსადაც აკისრდეს ცოდვანი, აღიარეს სეკლავრისა შამისა შამართ, თვნიერ ყოველისა დაფარვისათ (ფ. 7).

უფრო საყურადღებოა მეორე თხზულება, რომელიც ქსიფილინოსი-პაპუწისშვილს გადმოუთარგმნია იოანე ოსეს ძის დახმარებითვე, 1785 წელს აგვისტოს 10 თუ ოქტომბრის 17;¹ ეს არის წმიდა კანონიკური შრომა ქორწინების თავთაიჯს, რომელიც გადმოუღია მას სერასიუღი ენათქართულებრ კურსევითა სიქართველომსა ეკლესიისა მზისა და თავისა, უნეტარებისა და უწმიდესისა პატრიარქისა, უწმიდესისა სინოდის ჩვენისა, მეფის ძის ანტონისადათა;² თარგმანი მას მიურომეგია მეფე ირაკლისათვის, რომელსაც ეუბნება: ხოლო უკუეთუ სთხეს ესე უმადლესსა მეფობასა თქვენსსა და იხუბთ სხუათადაც წიგნთა კარდამოღებად პერძულით ქართულს ზედა ენასსა, მზა ვარ ყოველისავე ბრძანებულისა აღსრულებასათ (ფურ. 10). ეს თხზულება შესდგება ორის ნაწილსაგან: პირველში აღნიშნულია ხუთი სახე ნათესაობისა (სისხლის, მძახლობის, სამნათესავობის, ნათლისღების და შვილად სახელდებულის), ხოლო მეორეში წარმოდგენილია დიაგრამები ან ცხრილები — თუ რომელ ნათესაობაში რომელ ხარისხამდე შეიძლება ქორწინება. ეს არის იმდროინდელს საბერძნეთსა და მართლმადიდებლობითი აღმოსავლეთში მიღებული სახელმძღვანელო ქორწინებითი სამართლისა, რომელიც ეკუთვნის უბრძქესსა და უსიტყუერესს დიდსა ხარტოფილასსა უწმიდესისა ქრისტეს დიდისა ეკლესიისა კონსტანტინუპოლისა იეროდაკოსსა უფაქსა მანუილ ქსანთინოსს. მანუილ ქსანთინოსს (Μανουήλ) ეს შრომა დაუწერია იერემია პატრიარქის (1525—1540) ბრძანებით, ხოლო გამოუცია ის პირველად ვენეციაში 1564 წელს

1) სიძვ. მუხ. ხელნ. №№ 595, 711, 787, 988.
 2) სიძვ. მუხ. № 711, ფურ. 10.

მღვდელს ზაქარია სკორდვილოსს. პირველი ნაწილი, სადაც განხილულია სხვადასხვა სახე ნათესაობისა, მანუილს ამოუღია უმთავრესად მათე ბლასტარის სკნტაგმიდან, ხოლო მეორე ნაწილი,— დიაგრამები ნებადართულ და დაყენებულ ქორწინებათა, თვითონ შეუდგენია.¹ მართლაც, ქართულს თარგმანში პირველი ნაწილი ამ შრომისა წარწერილია მათეს სახელით და სჟუ-ტზ თავების აღნიშვნით,² ხოლო მეორე ნაწილი, დიაგრამები, მანუილის სახელითაა მონათლული (ფურ. 18—24).

ამავე იოანეს შეუმოწმებია ბერსკულს ზედა ღექსითი-ღექსად, ორგზის და სამგზის, კათოლიკოზის ანტონ მეორის ბრძანებით, იესო ტკბილის დაუჯდომეჯი დასდებუჯით, კანონით და კუაჯად კონდაკიკოსით თჳსით, რომელიც რუსულიდან გადმოუთარგმნია რუსეთში ყოფნისას გაიოზ რექტორს³.

74. იოანე ოსესძე resp. ოსეშვილი

იყო დეკანოზი ჯერ ჯვარის მონასტრისა ტფილისში, ხოლო შემდეგ „იკონომოს—დეკანოზი, ტფილისის სიონისა“ და რექტორი ტფილისის სემინარიისა, გარდაიცვალა 1801 წელს.⁴ იოანე უფრო ცნობილია როგორც გადამწერი ხელნაწერებისა; მას გადაუწერია, მაგალითად, ნაწილი ტიბიკონისა (სიძე. მუხ. № 122), და გრივოლ ღვთისმეტყველის თხზულებანი, ეფრემ მცირის მიერ ნათარგმნი (სიძე. მუხ. № 292). საყურადღებოა ამ უკანასკნელის მინაწერი: „ვიდეენებოდით რა ტფილისით სპარსთაგან ჟამად და ჟამად და ადგილითი-ადგილად ვიცუალებოდით და მიმოვეკუთებოდით, ვიწყე წერად ამისა ადგილსა შინა მწირობისა ზემისასა ქალაქსა დუშეთს, საუფლისწულოდ საპყრობელსა... ..საქართველოას მეფის ძის ვახტანგ-აღმახანისსა“. იოანე ოსესძე, როგორცა ვთქვით,

¹) Проф. А. Павловъ, 50-я глава Кормчей Книги, какъ историческій и практическій источникъ русскаго брачнаго права, Москва 1887. Проф. М. Горчаковъ, О гайнѣ: супружества, происхождение, историко-юридическое влечение и каноническое достоинство 50-й главы Кормчей Книги, Петр. 1880 г.

²) სიძე. მუხ. № 711, ფურ. 11—17.

³) სიძე. მუხ. № 813, ფ. 119.

⁴) ზვეს მწერლობაში ცნობილია აგრეთვე მეორე ოსეშვილი, იასე, 1729 წელს დაბადებული, რომელსაც დლიუროს მსგავსად აღუწერია „ანდრძი“ [გამოცემულია „ცისკარში“ 1871—1872 წ. და ს. კაკაბაძის მიერ]; თხზულება მეტად საყურადღებოა თანამედროვე ქართლ-კახეთის მდგომარეობის შესასწავლად (А. Хахановъ, Очерки по исторіи грузинской словесности, вып. III, стр. 312—316.)

ენგარებოდა იოანე ქსიფილინოს-პაპუწიშვილს წიგნების თარგმნაში: ეს დახმარება გამოიხატებოდა ენისა და სტილის გასწორებაში. მას სომხური ენა სკოდნია, რაც იქიდანა ჩანს, რომ სომხურიდან გადმოუთარგმნია „სიმბოლონი და მსგავსებანი წმიდისა ღვთისმშობელისანი ძუელსა შინა აღთქმასა“.¹ იოანეს ორიგინალური თხზულება დაუწერია, მაგალითად „განმარტებაჲ მამაო ჩუენოჲსა“,² უწერია მას აგრეთვე იამბიკონიც, რომლებითაც შეუშკვია მის მიერ ნათარგმნი თუ დაწერილი თხზულებანი; მაგალითად, ანტონ კათოლიკოზის ბრძანებით მას დაურთავს იამბიკოდ ვრცელი წინასიტყვაობა ანტონის მიერ სომხურიდან ნათარგმნ პირველი ოთხი მსოფლიო კრებათა აქტებისთვის.³ ზოგიერთი მისი აკროსტიხები გვაჩვენებენ მისს საკუთარ სახელს, მაგალითად: „იოანე . ხუცესი დეკანოზი ოსეს ძე“,⁴ ანა და „იოანე“.⁵ იოანე ამასთანავე ცნობილი მქადაგებელიც ყოფილა.

75. გაბრიელ მცირე.

მღვდელმონაზონი გაბრიელ მცირე იყო მოწესე ნათლისმცემლის მრავალმთის მონასტრისა; ერთერთ ნუსხას მის მიერ აღწერილი „გვრგვისას“, რომელიც დაკულია მოსკოვში, ყოფილ ლაზარიათ ინსტიტუტში, განსვენებული ალ. ხახანაშვილის კოლექციაში (№ 17, გვ. 479 - 481), დართული აქვს გადაშწერელის, მეფის გიორგის ძის, ბაგრატიის მიერ შემდეგი ბიოგრაფიული ცნობები გაბრიელის შესახებ: ესე ნეტარი გაბრიელი იყო მცხოვრები ტფილისით მოქალაქეთაგანი და ხელოვნებითა მკურნალო, რამჟღამნცა დაუტევა ღმრთისა სიუარულისათჳს სახლი, დედა და ძმანი და მეგობარნი თჳსნი და ეოველი მონაგება და წარვიდა მონასეტრსა ზემოკესენებულსა და აღიკვეცა და იქმნა მონაზონს და ისწაულნა საღმრთონი წერილნი შეწევნითა და ნაკითა სულისა წმიდისაჲთა და ფრიად დეაწლსა და მარხვასა შინა, რომლისცა სათნოებანი არცა თუ რიცხვთა შესაძლებელ არს აღწერად. სოლო კეთილის მოძულებან ეშმაკმან, იხალა რა სათნოებანი ამა წმიდისა მამისა მადლნი, ვერა დამთენი, ისწრაფდა ფრიად ვნებასა და დაბრკოლებასა მისსა ესევითართა კეთილთაგან, გარნა უქმ იქმნა სიგურაკე მი-

¹) П. Лоселиани, Описание древностей города Тифлиса, стр. 119, 164.

²) А. Цугарели, Свѣдѣнія о памятникахъ груз. словесности, III, 109.

³) ს ი ძ ე. მ უ ზ. № 266.

⁴) ს ი ძ ე. მ უ ზ. № 292, გვ. 407.

⁵) ს ი ძ ე. მ უ ზ. № 711, ფ. 108.

⁶) იოანე ნათლისმცემლის 1774 წლის ერთერთ სიგელს ადასტურებს, როგორც მოწმე, „მღვდელმონაზონი მამა გაბრიელ“, უმცველია ჩვენი გაბრიელი (თ. ე თ რ დ ა ნ ი ა, ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, გვ. 130.)

სი; და ამის ძლით აღძრა გული შთაფარდიაკონისა იოვანე ნუბინისძის,¹ რომელიცა მას უამის შთასრულ იყო ტფილისით მონასტერსა მას შინა, რათა განატაროს მადგაწებითა დღენი წმიდათა დიდთა მარხვათანი. გარნა აღძრა იგი დიაკონი ყოვლადბოროტმან ეშმაკმან და მარადის აგონების ცოლთა და შვილთა და მიქცევად სხილ თვსად, რომელმანცა ვერღარა უძლო მონასტერსა მას შინა უოფა და აძულა წმიდასა მას ღმრთისსა გაბრიელს რეცა მოგზაურობად მისთანა ტფილისიშდის, და ამისთვის დასდო სუელი თვისი შეგობრისათვის. ხოლო წარსრულთა მუნით, მივიდნენ მრავალწაროსა ხევსა შინა და მუნ დახვდენ ღკეათა მხედრთბანი; ხოლო ესე წმიდაჲ მამა გაბრიელ მათ მიერ მოიკლა და შეირაცხა იგი რიცხვსა წმიდათა მღვდელმთწამეთას² და ეგრეთვე სწყალობელი იგი დიაკონიცა იოვანე მოიკლა მათ მიერ წელსა 1802. ხოლო გვამი ნეტარისა მამისა მას მოიღეს ძმათა მის მონასტრისათა და დაფლავს მუნვე მონასტერსა შინა, რომელიცა სუფუვეს ქრისტეს ღმრთისა თანა და მეოხ არს სულთა ჩუენთათვის. გაბრიელ მცირე მნიშვნელოვანი ფიგურაა ქართული მწერლობის ისტორიაში მეთვრამეტე საუკუნის გასულს; მისი ლიტერატურული მოღვაწეობა იწყება რამდენადაც არსებული ხელნაწერებით შეგვიძლია გავითვალისწინოთ, 1780 წლიდან. ეს მოღვაწეობა გამოიხატება, პირველად ყოვლისა, იმაში, რომ მას საკუთარი ინიციატივით თუ სხვადასხვა გამოჩენილ პირთა, — მაგალითად, მეფის ძეთა ბაგრატის და ფარნავაზის, აგრეთვე ენისელთ მოურავის ძის ნინოწმიდის მიტროპოლიტის და რუსთავის მთავარებისკობოზის სტეფანეს, — შეკვეთით გადაუწერია მშვენიერის მხედრული ხელით მრავალი სხვადასხვა შინაარსის ხელნაწერები, რომელთაც უმეტეს ნაწილად დართული აქვთ როგორც გადამწერელის სახელი, ისე წელი და თვის რიცხვი გადაწერისა.³ მერე მას ორიგინალური შრომებიც დაუწერია; ამ მხრივ აღსანიშნავია:

1) მღვდელმთავრისა ღიტურდიისა განმარტებაჲ სსხისმეტეუელებითი ვითარმედ უაუელსავე მღვდელმთქმედებასა მისსა სიადუმლოებითი ძალი უბურეის;⁴

¹) ამის პირდაპირ ამაზე ტექსტისავე ხელით მიწერილია: „ქარის საყდრის მღვდლის დავითოს ძე. ამა დავით მღვდელს ეწოდა ზედმესრული სახელი სიმშვიდისა გამო და სათნოებისა ბაკაკა“.

²) ამაზე ტექსტისავე ხელით: „და მრავალნი სხვანიცა საღმრთო წერილნი აღწერნა სულისა სარგებელნი და დავითევენა ჩუენ“.

³) მაგალითად, სიძველეთა მუზეუმში გვაქვს შემდეგი ნაშრომები გაბრიელისა №№ 224, 225, 226, 227, 228, 229, 232, 233, 234, 238, 240; 214, 352 და სხვ. არის აგრეთვე „წერაკითხვის საზოგადოების“ მუზეუმშიაც, მაგალ. №№ 54, 77, 120, 127, 128, 1380, 2331, 2436, 2600, 3650 და სხვ.

⁴) იხ. „სიძველეთა მუზეუმის“ ხელნ. № 228, ფურ. 198—221; проф. А. Шагарели, Свѣдѣнія о памятникахъ груз. письменности, вып. III, стр. 168, № 73.

აქ მოკლედ განმარტებულია ტაძარი, მისი ნაწილები, ცერემონიალური მხარე მღვდელმთავრის წირვისა, მისი შემოსჯისა და სამოსელისა, აგრეთვე წირვის სხვადასხვა მომენტებისა. ავტორს უსარგებლნია მის დრომდებამდე ქართულად ნათარგმნი თხზულებებით გერმანე კონსტანტინოპოლელისა¹ და სვიმეონ სოლუნელის ან თესალონიკელისა;² აშინაზე ნაჩვენებია ციტატები საღმრთო წერილიდან და წმ. მამათა თხზულებებიდან დაუწერია ის მას სტეფანე ნინოწმიდელ-რუსთველისათვის, რომელსაც სწერს, რომ დიდიხანა მინდოდა შენი ნახვა პირადად, მაგრამ ეს ვერ მოვახერხე, ვინაშთაჲც ცოდვათა ჩემთათჲს ვდგეჯარ უდაბნოსა შინა დიდუკესა, ამიტომ ესე მცირე რაჲმე მდღეაჲმოდვრობისა თქვენისა შესაბამი სისისმეტყუელუბაჲ აღწერე მე, გაბრიელ მცირემაო.

2) მეექვსე მსოფლიო კრების სჯულის-კანონისათვის, (ექვთიმე ათონელის თარგმანი), რომელიც მას გადაუწერია იმავე ნინოწმიდელ-რუსთველისათვის 1791 წ., გაბრიელს დაურთავს ვრცელი „მაჩვენებელი“ და ბოლოსიტყვაობა, რომელიც ინტერესს არაა მოკლებული.³

დასასრულ, საყურადღებოა გაბრიელის ლიტერატურული მოღვაწეობა იმ მხრივ, რომ მას, როგორც ნაკითხსა და მდიდარი ერუდიციით აღჭურვილ მწიგნობარს, პოპულარიზაციის მიზნით, ხელი მიუყვია სხვადასხვაგვარი კრებულების შედგენისათვის ანათეიმ წმიდა მამათა თხზულებებიდან; შეგროვებული მასალა მას დაუყვია თავებად და საკითხავებად და დაურთავს მათთვის სიმბოლური ახსნა-განმარტების შემცველი ბოლოსიტყვაობა. ამნაირად მას დაურთოვებია რამდენიმე ასკეტიკურ-ჰომილეტიკური კრებული, რომელნიც უმთავრესად ეკლესიაში დასამოძღვრადაა განკუთვნილი. აი ეს კრებულები, რომელთა ნუსხები ჩვენამდე შენახულა:

I. ღმრთიფშუენიერნი თხრობანი, სულის ფრიად სარგებელნი, რომელსა ეწოდების გვრჯანი,⁴ შესდგება ხუთი თავისაგან: 1) მღვდელმთავრებთან-ათჲს და საიდუმლოთა გამოცხადებისა (თხრობა 1—20); 2) სასწაულთ-მოქმედებათათჲს და საკვრველებათა (თხრობა 21—40); 3) ქველისმოქმედებათათჲს და მოწყალებისა (თხრობა 41—60); 4) სინანულით განათლებულთათჲს და ღმობიერებისა (თხრობა 61—80); სულთა, საზომით

1) სიძვ. მუხ. №№ 432, 450, 691.

2) სიძვ. მუხ. № 642.

3) სიძვ. მუხ. № 229, ფურ. 200—207.

4) სიძვ. მუხ. №№ 228, 311, 427, 537, 723; წერ.-კ. თხ. №№ 138, 2331. გამოცემულია ტყეისში 1892—1895 წლებში ვასილ კარბელაშვილის მიერ.

სრულთა, მიცვალეებისათვის. (თხრობა 81—100). კრებულს ბოლოში შემდეგი „ბეჭედი“ აქვს დართული:.. ღმრთიესულიერსა ამას წერილსა ეწოდების გვრგვნი ამათ ესევეთართა მიზნითათვის, რამეთუ, ვითარცა გვრგვნი პატიოსანი შემკობილ არს მრავალფერთა პატიოსანთა ნიეთთა და თუალთა მარგალიტთა მიერ, აგრეთვე ესე გვრგვნი სულისა შეწყობილ არს და შემკობილ მრავალთა საღმრთოთა კეთილთხრობათა მიერ. იგი გვრგვნი შუენიერ ჰყოფს თავსა ღირსთა მისთასა და ესე აბრწყინებებს სულსა აღმასრულებელთა თვსთასა, რომელსა ჰქონან თვს შორის თავნი. ხუთნი, მსგავსად ხუთსაგრძნობელთა ჩუენთა, რომელნი იპოებიან თავსა შორის ჩუენსა. ხოლო სულიერთა თხრობათა რიცხვ არს ასი, მეგრ ივავისა, რომელსა ედგა ასი ცხოვარი, და მოსურნეთა. ნაყოფიერ გვეყოფს ოცდაათეულად, სამოცეულად და ასეულად“. „თხრობანი“ უმეტეს ნაწილად ამოღებულია ძველად ნათარგმნ მეუღაბნოეთა ცხოვრება-სიტყვებიდან. ეს კრებული რომ გაბრიელს შეუდგენია, ამას, სხვათა შორის, ჰმოწმობს ხახანაშვილისეური ნუსხა მისი მოსკოვში (№ 17), გადაწერილი ბაგრატ ბატონიშვილის მიერ „მწირობასა მყოფობასა მისსა როსიას“ 1815 წელს, რომელშიაც ვკითხულობთ: „ესე წმიდა სულისა გვრგვნი აღწერილი არს გაბრიელის მიერ მღდელმონაზონისა“.

II) ღმრთიევანთაღებულნი თხრობანი სულისა ნაყოფიერ მყოფელნი, რომელსაც ეწოდების სამოთხის ყუაველი,¹ შესდგება ის ათი თავისაგან,² თვითეული თავი ათი „თხრობისაგან“, ასე რომ წიგნში ასი თხრობაა. კრებულს თან ართავს შემდეგი „ბეჭედი“: „ღმრთიესულიერსა ამას წერილსა ეწოდების სამოთხის ყუაველი მით, რამეთუ წიგნისა მისგან მამათაჲსა, რომელ არს „სამოთხე“, რჩევით აღმოწერილ არს და დატკობილ საღმრთოთა სიტყუებითა და განათლებულ სარგებელად სულთა ღმრთისმოყუარეთა; ვითარ იგი კაცი ბრძენი შერავალნ მტილსა წალკოტთასა და მოარჩვენ ყუაველთა შუენიერთა და შეჰკრავნ ერთად კეთილსულნელებითა საყნოსელად მოსურნეთა; და ვითარცა ყუაველთაგან შეამზადებს ბრძენი ფუტკარი თაფლსა, სასისა დამატკობელსა, და ცკლსა, ღმრთისა მიმართ შესაწირავსა ძლუენსა, ეგრეთვე ესე სათნოებათა ყუაველი მოატყუებს კაცსა კეთილცხოვრებასა კორციითა და ნაყოფიერებასა სულთითა“. ამის შემდეგ სიმბოლურად ახსნილია — თუ რად

1) სიძვ. მუხ. №№ 244, 588, 852, 854, წ. კიო. № 128, გამცემულია ტფილში ვასილ კარბელაშვილის მიერ 1896 წ.

2) ჩამოთვლა თავებისა იხ. А. Жанашвили, Описаніе III, стр. 77.

არის დაყოფილი წიგნი 10 თავად და 100 თხრობად.¹ როგორც მოყვანილი ადგილიდანაც ჩანს, კრებულის მასალა ამოღებულია იოანე მოსხის „სამოთხიდან“; მას უფრო ჰომილეტიკური დანიშნულება აქვს, ვინაიდან, როგორც მისი „სარჩევი“ ან „ზანდუკი“ ამჟღავნებს, მის „თხრობებს“ ჰკითხულობდენ ეკლესიაში მთელი წლის განმავლობაში კვირიაკე დღეს, თვითო კვირიაკეს თვითო „თხრობას“. მისი შედგენა რომ გაბრიელ მცირეს ეკუთვნის, ეს ჩანს ერთერთი მისი ნუსხიდან (წერ. კითხ. № 128), სადაც ნათქვამია: „სასურველი ესე სწავლა აღიწერა კურთხეულის გაბრიელის მიერ“.

III) ხუფევა.² შესდგება 12 თავისაგან, რომლებიც წარმოადგენენ ბასილი დიდის „ითიკიდან“ უმთავრესად და სხვა მის თხზულებათაგან ამოღებულ მასალას. აი სათაურები ამ სტატიებისა: 1) სარწმუნოებისათვის (=2 თავს ითიკისას), 2) სიყუარულისათვის, 3) სურვილისათვის ღმრთისა (=8 თავს ითიკისას), 4) სიმდაბლისათვის (=47 თავს ითიკისას), 5) სამარადისო მსალოცვისათვის და მადლობისათვის ღმრთისა, 6) მოწყალებისათვის გლახაკთა (=41 თავს ითიკისას), 7) ანგართა მიმართ, 8) მოვახშეთა მიმართ, 9) მრისხანეთა მიმართ (=39 თავს ითიკისას), 10) მოშურნეთა მიმართ (=40 თავს ითიკისას), 11) სინანულისათვის (=7 თავს ითიკისას), 12) ღმობიერებისათვის (=11 თავს ითიკისას). კრებულის დართული აქვს შემდეგი „ბეჭედი“: „ღმრთიესულიერი და პატრიოსანი ესე წიგნი წმიდისა და ღმერთშემოსილისა ვასილი დიდისა მრავალთა და ვრცელთა სწავლათაგან რჩევით აღმოწერილ არს.... და ეწოდების ამას „სუფევა“ მით, რამეთუ, ვინაჲთგან წიგნსა მას საგალობელსა ფსალმუნსა ეწოდების მთქუმელისა მის სახელი „დავითი“ და საღმრთო მსალოცვის დიონოსიოსის წიგნს „დიონუსიოს“, და გრიგორის ღმრთისმეტყუელის წიგნსა „ღმრთისმეტყუელი“ და სხუათა მრავალთა ესრეთვე, ვითარ იგი „ეფრემი“ და „დამასკელი“, ამისთვის ამასცა ღირსად და სამართლად შეუნიერად ეწოდა „სუფევა“, რამეთუ „ვასილი“ „სუფევად“ გამოითარგმანების, და ჰქონან თვის შორის სწავლანი ათორმეტნი მსგავსად იესო ტკბილისა მოძღურისა, რაჟამა იყო რაჲ იგი ათორმეტის წლისა ტაძარსა შინა მჯდომარე, სიტყუას უგებდა და განაკვრებდა ყოველთა, და შემდგომად გამოირჩივნა ათორმეტნი მოციქულნი და წარავლინნა ქადაგებად და სწავლად, და ესეცა ამცნო ღმრთიესუნიერად

¹) ვ. კარბელაშვილი, გვ. 293—294.

²) სიძვ. მთხ. №№ 22, 232, წერ.-კითხ. № 54.

მეტყუელმან: არა ათორმეტნი ეამნი არიანა დღისანი? რომელი ვიდოდეს ამათ რიცხუთა სწავლათა შინა არა წარსცეს ფერკი საბრკეთა ეშმაკისათა, რამეთუ ნათელსა ამის სოფლისას ჰხედავს, რომელ არს მეტყუელი: მე ვარ ნაოელი სოფლისა და მერმესა მას შევებასა დასხდეთ თქუენცა ათორმეტა საყდართა განსჯად ათორმეტთა ტომთა ისრაილისათა“.

IV) ღმრთივეშენიერნი სწავლანა, რომელსა ეწოდების ოქროს წყარო.¹ ეს კრებული შესდგება 33 თავისაგან, თვითეული თავი შეიცავს 3 „სწავლას“, თავში, შესავლის სახით, მათ მიუძღვის ერთი „სწავლა“, („წმიდათა წერილთა კელად მოღებისათვს“), ასე რომ სულ კრებულში 100 „სწავლაა“. 1 თავი—ეკლესიისათვს, 2—ლოცვისათვს, 3—მღვდელთათვს, 4—აღსარებისათვს, 5—ზიარებისათვს. 6—ღმრთის სიყუარულისათვს, 7—კაცთა სიყუარულისათვს, 8—მოწყალებისათვს, 9—რათა არა ნატაცებისაგან ვიქმოდეთ მოწყალებასა, 10—სათნოებისათვს, 11—წმიდათა წერილთა კიოხვისათვს, 12 ქრისტეს—მცნებათა დამარხვისათვს, 13—მოთმინებისათვს, 14—არა ბოროტის ყოფისათვს მტერისა, 15—სიმდაბლისათვს, 16—ამპარტავენებისათვს, 17—ცუდად მზუაობრობისათვს, 18—ვეცხლისმოყუარეობისათვს, 19—მრისხანეობისათვს, 20—შურისათვს, 21—ნაყროვნებისათვს, 22—მარხვისათვს, 23—სინანულისათვს, 24—საქმეთათვს კეთილთა, 25—გლახაკთ მოყუარებისათვს, 26—ღვთის სათნოყოფისათვს, 27—სიმართლისათვს, 28—კეთილადმსახურებისათვს, 29—სასუფეველისა დიდებისათვს, 30—ქრისტეანეთათვს ქვემარტისა, 31—ქრისტიანეთა მიცვალებისათვს, 32—შემდგომად სიკუდილისა მოწყალებისათვს, 33—მეორედ მოსღვისათვს. კრებულს ბოლოში დართული აქვს შემდეგი „ბეჭედი“:

„ღმრთივესულიერსა ამას წერილსა ეწოდების ოქროს წყარო მით, რამეთუ ოქროსპირისაგან ოქროს წყაროჲსა ჯერ არს წარმონაკადულეზად, არა მომრწყველად ყუაველსულნელისა, არამედ მაცხოვრად კაცთა სულეზსა; რომელსა ჰქონან თვს შორის თავნი ოცდაათსამეტნი, მსგავსად იესო ღმერთმამაკაცისა ჰასაკრულისა ოცდაათსამეტ წლისა. ხოლო თვთეულსა თავსა შინა სამი სწავლაჲ, ვითარმედ ორისა და სამისა მოწამისაჲთა დაემტკიცების ყოველი სიტყუაჲ; და სწავლისა ასეული რიცხვ იგავისამებრ, რომელსა ედგა ასი ცხოვარი. და აღმასრულებელთა ნაყოფი გამოიღონ ოცდაათეული, სამოცეული და ასეული სადიდებელად

¹) წერ.-კითხ. № 2436 (1794 წ.), 2600 (1795 წ.), 3650 (1795 წ.)

ძისა ღმრთისა ცხოველისა ამინ“. ამნაირად, კრებული შეიცავს იოანე ოქროპირის თხზულებათაგან ამოკრეფილს მასალას; ის რომ გაბრიელ მცირეს ეკუთვნის, ეს, სხვათა შორის, ჩანს შემდეგი „ანდერძისაგან“: „ყოვლადის სურვილით ტკბილსიტყვაობისათვის ოქროპირის მწერალი ამისი გვედრები ყოველთა ლოცვისა მომხსენეთ ყოვლად უღირსი იერომონახი გაბრიელ მრავალმთის უდაბნოს გარესჯისასა მონასტერსა ნათლისმცემლისასა“.

V. კლიტე;¹ ეს კრებული შესდგება 30 თავისაგან, შინაარსი მისი ამოღებულია იოანე ოქროპირის თხზულებათაგან, კერძოდ იმ კრებულისაგანაც, რომელსაც „ასკეტიკონი“ ეწოდება; სახელდობრ, მისი მე-8 თავი უღრის ასკეტიკონის მე-6, 1=5, 15=12, 16=2, 17=3, 24=7; ესეც ასკეტიკურ-ჰომილეტიკური კრებულია.

VI. სამსეული,² შესდგება სამი ნაწილისაგან, თვითეული ნაწილი 100 მოკლე თავისაგან ან, უკეთ რომ ვთქვათ, აფორიზმისაგანაა შედგენილი პირველი „ასეული“ ან ასი თავი შეიცავს გრიგოლ ღვთისმეტყველის აფორიზმებს, მეორე—ბასილი ღიღისას, ხოლო მესამე—მაქსიმე აღმსარებელისას.

VII. მანანა, ორმოცნი შესხმანი ღვთისმშობლის, იესო ტკბილის, ჯუარის, ანგელოზის, ნათლისმცემლის, მოციქულების, მოწამეების, მღვდელმობღვართა და ღირსთა მამათა, ამ წიგნს, როგორც ბოლოსიტყვაობაში ამბობს ავტორი, ეწოდება „მანანა“ ღვთისმშობლის სიყვარულისათვის, ვინაიდან მისგან მივიღეთ ჩვენ ქეშმარიტი პური ცხოვრებისა—იესო ტკბილიო; ის შეიცავს 40 თავს იმის მომასწავებლად, რომ 40 დღის წყლითრდენისაგან ნოე კიდობანში გადარჩა, 40 დღე მოსე განბრწყინდა ღვთის ხედვითა, ილია 40 დღე მარხულობდა, იესო ქრისტე მეორმოცე დღეს ტაძრად მიიყვანეს, მან 40 დღის მარხულობის შემდეგ ეშმაკი განდევნა და მეორმოცე დღეს ამაღლდაო.³

1) სიძვე. მუხ. № 227, წერ.-კითხ. № 127.

2) სიძვე. მუხ. № 224, წერ.-კითხ. №№ 77, 127.

3) სიძვე. მუხ. №№ 403, 522. პროფ. დ. ჩუბინა შეილის აზრით გაბრიელ მცირე არის თანამედროვე იოანე და ექვთიმე ათონელთა, მეოთხე წინამძღვარი ათონის ივერიის მონასტრისა; „მანანა“, მისი სიტყვით, ეკუთვნის სწორედ ამ გაბრიელსო. (E. Кирионъ, Культурная роль Иверия въ исторіи Руси, стр. 408).

76. დიმიტრი ბაგრატიონი.

დიმიტრი იყო შვილისშვილი იესე მეფისა მხველისაგან, ორგულებისათვის გაძევებული მოსკოვს. ის დიდ მონაწილეობას იღებდა საეკლესიო-სალგთისმსახურო წიგნების ბეჭედაში (კერძოდ „სადღესასწაულოისაში“); დაუწერია მას ლექსად ქეთევან დედოფლის წამება და უთარგმნია რუსულიდან: 1) ანტონ კათოლიკოზის ბრძანებით „ისტორია დაწყებისა განხეთქილებისა შორის ბერძენთა და რომაელთა გამოსლვისათვის სულისა წმიდისა“, და 2) 1786 წელს ოქროს აღნაქსევი¹ — „წიგნი სამოელ რაბინ მარაკანელისა, უპირველესის სინალოლის გინა სჯულის შესაქრებელის მოძღურის ისაკ რაბინის მიმართ, რომელი არს სუბელმეტოს მარაკანის ქალაქსა შინა“. ეს წიგნი, რომელიც დიმიტრის უთარგმნია მისი მამიდის, მეფის ქაიხოსროს ასულის, ანნას თხოვნით და ბრძანებით, დაწერილი ყოფილა, როგორც წინასიტყვაობაშია ნათქვამი, მეთუთხმეტე საუკუნის² დასაწყისის არაბულს ენაზე, საიდანაც ლათინურად გადმოუღია ის დომინიკელთა წესის მღვდელს; ბერს ალფონს ბოდამის,³ ხოლო ლათინურიდან — რუსულად.⁴ ის შეიცავს დამტკიცებას იმისას, რომ იესო ქრისტე არის ჰემმარიტი ღმერთი, ძე ღვთისა, მოსული ქვეყნად, და არა ჯერ არს მოლოდება სხვა მესიისაო.⁵

X 77. იონა ხელაშვილი.

იონას ერისკაცობაში ერქვა იოანე, ის იყო კახელი, სოფელ ვაქირიდან; მისი წინაპრები, რომელნიც იწოდებოდნენ არა ხელაშვილებად, არამედ მიხელაშვილებად; ცხოვრობდნენ სოფელს ზემოხოდაშენს; ერთი მათგანი თეიმურაზ მეორის დროს გადასახლდა ვაქირში, აქ ჩაესიდა ერთს გლეხის ოჯახს და მიიღო გვარი „ხელაშვილი“. მამა იონასი გიორგი

¹) Цроф. А. Шагарели, Свѣдѣнія III, 205.

²) რუსული თარგმანით — მე. XI საუკუნის დასაწყისს; მართლაც, სამუილი გარდაიცვალა 1085 წლის.

³) ბონის; „ბოდამის“ წარმომდგარა, ალბად, რუსული Боним-ის შეტომითი წაკითხვისა და გაგებისაგან.

⁴) რუსულად ის თარგმნა ებრაელობიდან მოქცეულმა არქიმანდრიტმა ვარლოამმა; ის სამჯერა გამოცემული: ორჯერ პეტერბურღში 1782 და 1788 წ. მესამედ მოსკოვში 1837 წ. (Архип. Филарета, Обзор русской духовной литературы. изд. 3, стр. 386); ქართული თარგმანი უნდა მომდინარეობდეს, ცხადია, 1782 წლის გამოცემიდან (ლათინური თარგმანი Migne, P. L. t. 149).

⁵) თეიმურაზ ბატონიშვილი თავისი წიგნთსაცავის კატალოგში ამ თხზულების გადმოთარგმნას შეტომით შიტროპოლიტ ვარლამ ერისთავს მიაწერს (А. Шагарели, Свѣдѣнія III, 157); ჩვენ ვიცით ორა ნუსხა „ოქროს აღნაქსისა“: სიძვ. მუხ. № 1011 და წერ. კით. მუხ. № 326²

ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში მოიკლა ლეკებთან ბრძოლაში; მისი ობ-
 ლები: იონა, სოლომონი და გრიგოლი, შეიწყნარა ირაკლი მეფემ, რო-
 მელიც მათ თავის სასახლეში ზრდიდა. თავდაპირველად იონა მიუბარე-
 ბიათ სწავლისათვის თითქოს ბოდბეს, წმიდა ნინოს სასწავლებელში, მა-
 გრამ 1793 წელს ირაკლის ის იქიდან ისევ ტფილისში დაუბრუნებია
 და ჩაუბარებია თავის მოძღვრის, მეტეხის დეკანოზის იესესა და მისი
 შვილის, კარის ხუცესის, მწიგნობრისა და მგალობლის ზაქარიასთვის.
 ტფილისის უკანასკნელად აოხრების შემდეგ ირაკლის ის თელავს წაუყუა-
 ნია და 1796 წელს მიუბარებია აქაური კარის მღვდლის, მწიგნობრის იოა-
 ნე კალატოზიშვილისათვის. ირაკლის გარდაცვალების შემდეგ მას პა-
 ტრონობას უწევს გიორგი მეფე, რომელსაც 1798 წ. მიუბარებია ის თე-
 ლავის სემინარიაში მაშინდელი რექტორის დავით ალექსიშვილისათვის.
 1800 წელს მან დატოვა სასახლე და ქვაბთახევის მონასტერში ბერად
 აღიკვეცა, რას შემდეგ იწყო მოგზაურობა საქართველოს სხვადასხვა კუთ-
 ხეებში პრაქტიკულის თუ მეცნიერული მუშაობით ეს იყო გარდამავალი
 ხანა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, ამ დროს ისეთი ნიჭიერი და მომზადე-
 ბული კაცი, როგორც იონა იყო, უსაქმოდ ვერ დარჩებოდა: ის ხან
 ერთ ბატონიშვილთანაა, ხან მეორესთან, ხან მესამესთან. ბოლოს იუ-
 ლონსა და ფარნაოზს რუსეთში გადაჰყვა და მოსკოვაში მიაცილა, სა-
 დაც მის გარშემო თავი მოიყარეს ყველა იქ მყოფმა სავიწყო ოჯახის წევ-
 რებმა, რომელთა ერთერთ ნუგეშს იონა შეადგენდა. ბატონიშვილებმა
 მოსკოვიდან თავიანთ საქმეების გამო ის პეტერბურგში გაუზავნეს; პეტერ-
 ბურგს, სადაც ის მისულა, როგორც ერთერთი თავის თხოვლების წინა-
 სიტყვაობაში შენიშნავს, „მეკუხრამეტისა საუკუნისა მეექუსესა წელსა,
 იანვარსა ოცსა“, ის შეიწყნარეს ბატონიშვილებმა დავითმა, იოანემ და
 ნიხილმა, რომელთაც შეასწავლეს მას ღრამატიკა, რიტორიკა, ლოდი-
 კა და მეტაფიზიკა. „ხუაიშნობითა“ ან „შუამდგომლობითა დავითბატო-
 ნიშვილისა, იმპერატორი ალექსანდრე პირველის ნებართვით და ბრძანე-
 ბით, პეტერბურგის მაშინდელმა მიტროპოლიტმა ამბროსი პოდობედოვი-
 მა (1800—1816 წ.) ის მიიღო ალექსანდრე ნეველის აკადემიაში 1809
 წლის 24 აპრილს ფილოსოფიისა და ლეთისმეტყველების კლასში. აკა-
 დემიაში სწავლისას იონა სასმელ-საქმელს ღებულობდა მიტროპოლიტი
 ამბროსის კარზე, ხოლო ტანისამოსისათვის მას ყოველწლივ აძლევდნ
 იმპერატორის კაბინეტიდან 250 მანეთს. კურსი დაამთავრა იონამ 1812
 წელს, მარტში; მოწმობაში, რომელიც მას მისცეს, სწერია: საქართველს

იპოდიაკონმან იონა ხელაევმან ისწავლა ს.-პეტერბურდის სემინარიას შინა კითხვა რუსული და სლავონური, და წერა, და ღვთისმეტყველება, და დოქმატიკა, და მორალი, საღმრთო ისტორია, დრამატიკა რუსული, ფილოსოფია და არითმეტიკა დია მისწრაფებითა, ანს კეთილყოფაქცევისა და იყო უოფელთა დღეთა ბატონისა. კურსის დამთავრების შემდეგ პეტერბულში მყოფს ქართველ მღვდელმთავარს დოსითეოზს ის უეკრთხებია 5 ოკტომბერს, ან როგორც იონა ამბობს თავის „ქადაგებთა“ წინასიტყვაობაში, „პირველსა შვიდეულსა ოქტომბრისასა“, დიაკვნად, ხოლო 10 ოკტომბერს—მღვდლად, ამაზე ზევით ის იერარქიის კიბეზე არ ასულა. ამის შემდეგ ის გამოითხოვა თავის მოძღვრად ბატონიშვილმა დავითმა, ხოლო, როდესაც პეტერბურლში მცხოვრებმა დედოფალმა ანნამ თავის სასახლეში კარის ეკლესია მოიწყო, დავითმა მოძღვრად მას დაუთმო იონა; ამ ეკლესიაში დაყო მან მთელი თავისი დანარჩენი სიცოცხლე და ამიტომ სიკვდილამდე ის იწოდებოდა დედოფალთა მოძღვრად. იონა შეიქმნა სული და გული პეტერბურგის ქართველი კოლონიისა და განსაკუთრებით ყოფილ სამეფო ოჯახის წევრებისა, რომელთაც ის დიდს, დაუფასებელ სამსახურს უწევდა ცხოვრების ყოველ დარგში. ბატონიშვილებიც ამიტომ დიდად აფასებდენ მას, მის ცოდნას, ჰკუას და გამოცდილებას. რა პატივით ეპყრობოდენ ისინი მას, ჩანს იმ იამბიკოთაგან, რომელნიც მისთვის მიუძღენიათ თეიმურაზს, მირიანს, იოანეს, პეტრე ლარაქეს და სოლომონ რაზმაძეს.¹ აი იოანე ბატონიშვილის იამბიკო:

დღეს აღმოცენდა ძირთაგან სელანთა
მთიები დიდი, ბერი მამა იონა;
გჯხმს ჩუენ ვიშებდეთ შობის მაგის დღისათჳს,
ვინადგან გჯქებს ტახტასა სულიერსა,
ამისა გამო ჩუენც შევსევით სადღეგრძელოსა.

—
იონა ბერსა, მონაზონთა გვრგვინსა,
ახალ რიტორსა, ღვთისმეტყველების ჭურსა,
წიგნთა ხელმხუებსა, ქადაგების აქსონსა
და უოფაქცევით ძველ მამათ შენადრსა
მონაზონების კანონთა სრულ დამცველსა

1832 წლის 17 მარტს იონას აძლევენ სიგელს დედოფალი მარია-

1) წ.-კ. საზოგ. იულნ. პ. 279.

მი და ბატონიშვილები ბაგრატი, თეიმურაზი, ილია, ოქროპირი და ირაკლი შემდეგი შინაარსისას: დღე და დამე არ დასცხრები შენ შრომისათვის და შესთხზე შენ წიგნი საღვთისმეტყველონი, რომელთამე განმარტებანი, ქადაგებანი საღვთისწაულონი წელიწადისა და კვრთაყეთა დღეთანი, ლექსიკონი ვრცელი ქართულისა ენისა, შესხმანა და სხვა და სხვანი ეპისტოლეანი სასულიეროთა მიმართ და სიბრძნის მოუყარეთა კაცთადმი და კუადადც არა ატარებ დღეთა შენთა უქმად და მარადეჲმ შრომობ. 1837 წელს, როდესაც იონა თავის სამწერლო მაგიდაზე უკანასკნელად ჰფურცლავდა თავის დამთავრებულ ლექსიკონს და შიგადაშიგ სიტყვებს ასწორებდა, მას ცხვირში სისხლი წასკდა და იქვე განუტევა სული.¹

იონა ერთი შესანიშნავი მოღვაწეთაგანია ჩვენი საეკლესიო მწერლობის ასპარეზზე, ეს რამოდენადმე ზემომყვანილი იამბიკო და სიგელიდანაც ნათლად ჩანს, მაგრამ მის დამსახურებას ამ მხრივ უფრო ნათლად წარმოვიდგენთ, თუ მის შრომებს გავითვალისწინებთ. სია მისი შრომებისა ჩვენ გვხვდება ზოგიერთ მის თხზულებთა წინა ფურცელზე; აი ეს სია წერაკითხვის საზოგადოების ხელნაწერით № 279: 1) ღვთისმეტყველება სამნაწილედ, 2) ქადაგებანი კვირთაყეთა და ღვთისწაულოთანი, 3—5) კატეხიზმო დიდი, ვრცელი და შემოკლებული, 6—13) განმარტებანი: მოსეს ხუთთა წიგნთა, ისუნავესი და მეფეთა წიგნთა, ნეშტთა წიგნისა, იობისა, იგავთა სამი წიგნითურთ, ისო ზირაქისა, ათექვსმეტთა წინასწარმეტყველთა და ფსალმუნთა, 14) ათი მცნების და ცხრა ნეტარების წიგნი, 15) ქართულსა ენასა ზედა წირვალოცვის მოსმენის წიგნი, 16) წიგნი ამოებისა, 17) წიგნი ქორწინებისა, 18) წიგნი უხარწნელის საზრდელისა, 19) იფქლ-ლუარძლის განმარტების წიგნი, 20) არაჲინ წინასწარმეტყველი შეწყნარებულ არს თვისსა მამულსა, 21) ქრისტეს მოყუარის მხედრობის წიგნი, 22) სარკე სულიერი მემხოლოეთი, 23) მაკაბელთა წიგნების გასაღები, 24) უსეინდისოჲს მხილების წიგნი, 25) არა განკითხვის წიგნი, 26) ღაიკანელთა ნერსესისადმი სიტყვსება, 27) წირვის განმარტების წიგნი, 28) მელქისედეკის მღვდლობის წიგნი 29) მოძღვრისაგან სულიერ მოწაფის სარჩელა, 30) იონა მოხუცებულის წიგნი, 31) ასოთა და გუამთა განმარტების წიგნი, 32) ალფა-ვიტა, ანბანზე ასმული წიგნი, 33) მეფის ძის იოანეს 34 შეკითხვის წიგნი,

1) ბიოგრაფიული ცნობები ამოღებულია „ქადაგებათა“ კრებულის, ღვთისმეტყველების და თხზულების „ქორწინებისათვის“ წინასიტყვობათაგან, ივრეთვე ნ. ბარნაბიშვილის შრომიდან — „ბერი იონა ხელაშვილი“, სახალხო გაზეთი 1911 წ. №1: 347—348.

34) ორ ენა კაცის წიგნი აკრძალვისა, 35) წიგნი წყლულებისა, ესე იგი არს ხოლერისა, 36) წიგნი კაცის ცნობისა, 37) ლექსიკონი შავად დაწერილი, 38) ხელმძღვანებელი სიბრძნისადმი, 39) ანდერძიერი გინა კურთხევიერი, 40) წიგნი მასწავლისაგან მოსწავლისადმი, 41) წიგნი სოფლით ცხოვრებისა; 42) ყველაზე მნიშვნელოვანი თხზულება, რომელიც ამ სიაში არაა დასახელებული, არის „კალმასობა“; რომელსაც ზოგიერთები სრულიად უსაფუძვლოდ, მიაწერენ იოანე ბატონიშვილს (გაცემულია ორჯერ, 1867 წელს დ. ბაქრაძის წინასიტყვაობით, და 1896 წ. ზ. ქიქინაძის მიერ).

ამ წიგნს ის ბედი სწევია, რაც ლექსიკონს: ლექსიკონი ვრცელი ქართულის ენისა, გინა თუ ლექსიკონი შავად დაწერილი, რომელიც მოხსენებულია ბატონიშვილების სიგელში და ზემოაღნიშნულ ნუსხაში და რომელზედაც სული ამოხდა იონას,—დღესდღეობით არსად არა ჩანს, ჰუიქრობენ —ის ვიღამაც მიიჩემაო; „კალმასობის“ შესახებაც ასეთი აზრია ამ ბოლო ხანს: ის იონა ხელაშვილს დაუწერია, მერე თითქოს ისიც იოანე ბატონიშვილს მიუთვისებიაო.¹ მართლაც, თხზულების ენციკლოპედიური ხასიათი იოანე ბატონიშვილის სახელს ვერ ურიგდება, პირიქით—იონა ხელაშვილის გარდა იმ ეპოქაში ჩვენ სხვას ვერავის ვუჩვენებთ, რომელსაც შეძლება ჰქონოდეს ასეთი თხზულების დაწერისა. რასაკვირველია, იოანე ბატონიშვილის ავტორობის დასამტკიცებლად დიდ მნიშვნელობას ვერ მივსცემთ იმ გარემოებას, თითქოს ზოგიერთი თავები იოანეს „მოხსენებისა“, რომელიც მას გიორგი მეფისათვის მიუერთმევია 1799 წელს,—მაგალითად—სამხედრო სამართლისა და ადმინისტრაციის შესახებ, — „კალმასობის“ შესაფერ ადგილებს მოგვაგონებდეს,² —ეს შესავსება იმითაც შეგვიძლია აუხსნათ, რომ იონამ იცოდა ამ „მოხსენების“ შინაარსი და, როდესაც საჭიროებამ მოიტანა, ისარგებლა იმით. სამაკიეროდ უდიდესი ნაწილი თხზულებისა, განსაკუთრებით—თეოლოგიური, შეუძლებლად ხდის იოანეს ავტორობას; ამ შრომის დამწერს პილებული აქვს სისტემატიური სასკოლო განათლება, რაც იოანეს შესახებ არ ითქმება; თან იონა ხელაშვილი ეუბნება ვოლტერიანეც ციციშვილს: „მე ათის მცნების და ცხრა ნეტარების განმარტებასაც გეტყვოდი, მაგრამ ორნივე მგზავრნი ვართ, სხმანაწილეში იხილე ამათი განმარ-

¹) სიერთოდ ცნობილია, რომ ბატონიშვილი იოანე სხვის შრომებს ითვისებდა, მაგალითად ჰე ტ რ ე ლ ა რ ა ძ ი ს „დილარიაში“.

²) А. Х а х а н о в з, Очерки по истории груз. словесности, вып. 3. стр. 344—345

ტებაო;¹ „სამნაწილედ“ კი, როგორც ზემომოყვანილი ნუსხიდანა ჩანს, ივულისხმება იონას ღვთისმეტყველება; ამოწერილი სიტყვების კონსტრუქცია ასეთია, რომ იქ ავტორი სხვის თხზულებაზე კი არ მიუთითებს ციციშვილს, არამედ თავის საკუთარზე. უფრო მეტს საბუთებს იონას ავტორობისას იძლევა ახლად აღმოჩენილი, ჯერ გამოუცემელი, გაგრძელება ამ „კალმასობისა“, რომელიც პეტროგრადის საჯარო წიგნთსაცავში ინახება. „კალმასობა“ უნდა წარმოდგებოდეს „კალოსაგან“ და აღნიშნავს პურისა და ღვინის შეკრებას მონასტრის საჭიროებისათვის. შემკრებელად, ქვაბთახევის მონასტრის წინამძღვრის დოსითეოზ ფიცხელაურის ბრძანებით, გამოდის თვით ავტორი, რომელიც შემოვილის ქართლს, კახეთს, ქიზიყს და სომხეთს; ავტორი აგვიწერს ყველა სოფელს, სადაც მოხვდება, იქაურ ზნეჩვეულებას, ლაპარაკის კილოს, გვიხატავს მეთვრამეტე საუკუნის გასულის საქართველოს პოლიტიკურს, საზოგადოებრივს და ეკლესიურ მდგომარეობას და გვაწვდის ბევრ საყურადღებო ისტორიულ-იურიდიულ ცნობებს. ავტორი თვალწინ გვიშლის თავისი საღვთისმეტყველო ცოდნის საღაროსაც და წარმოგვიდგენს მოკლედ ბიბლიურ ისტორიის ზოგიერთ ეპიზოდებს, უმთავრეს დებულე ბათ კატეხიზმოს, ანთროპოლოგიის, ფსიქოლოგიის, ეთიკის და შედარებითი ღვთისმეტყველებიდან. მოჰყავს მას ცნობები სხვა სამეცნიერო დარგებიდან, როგორც, მაგალითად, იურისპრუდენცია, ფილოსოფია, მედიცინა, რიტორიკა, პოეზია, ფიზიკა, მათემატიკა, სტრატეგია, ლოლიკა, კოსმოგრაფია, ხუროთმოძღვრება და საზოგადო ისტორია; წარმოდგენილია აქ ვრცლად მთელი კურსი გრამატიკისა. ერთი სიტყვით, „კალმასობა“ წარმოადგენს თავისებურ ენციკლოპედიას, რომელშიაც ყველას შეეძლო თავისთვის საჭირო ცნობები ეპოვა. უკანასკნელ დროს პეტროგრადის საჯარო წიგნთსაცავში აღმოჩნდა გაგრძელება „კალმასობისა“,² რომელიც დაბეჭდილზე უფრო დიდია და, სხვათა შორის, შეიცავს იმ ისტორიულ-ლიტერატურულ კრებულს, რომელსაც ეწოდება „მცირე უწყებაჲ ქართველთა მწერალთათჳს“³ და რომლის ავტორი ამდენხან ცნობილი არ იყო.⁴ მიტროპოლიტს ამბროსი პოდობელოვს უკითხავს ერთხელ იონასათვის—ვინ და რით იყო საქართველოში ცნობილი, განსაკუთრებით სამწერლო ასპარეზზე; პასუხად იონას დაუწერია დასახელებული „მცირე უწყებაჲ“.⁵ დაწერილია „კალმასობა“ რუსეთში, 1815—1825 წლებში, ვინაიდან ავტორი იხსენიებს შიგ,

1) კალმასობა, ქიქინაძის გამოცემა, გვ. 32.

2) ბატონიშვილის იონას კოლექცია № 8.

3) ძველი საქართველო, ტომი 1, გვ. 3.

4) დაბეჭდილი „კალმასობისა“ გაგრძელება რომ მართლაც არსებობდა, ამის შესახებ იხ. ნ. დადიანის ცნობები (გაზეთი ლომისი 1922 წ. № 15; „პერი იონას შოგბაურობის წიგნი“)

5) ს. ცოშიაი, „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. № 228.

როგორც ზეგითაც ვთქვით, „სამნაწილედ ღვთისმეტყველებას“, რომელიც შედგენილია 1815 წელს, ხოლო ვარლამ ერისთავი, ყოფილი ექსარხოსი, „მცირე უწყებით“ ცხოვრობს პეტროგრადში, საიდანაც ის გადასახლდა მოსკოვს 1825 წელს.

მეორე საყურადღებო თხზულება იონასი, „ღვთისმეტყველება სამნაწილედ“, დაწერილი 1815 წელს, მართლაც სამი ნაწილისაგან შედგება: ბუნებითი ღვთისმეტყველება, განცხადებითი ღვთისმეტყველება და ზნეობითი;¹ შედგენილია ალექსანდრენეველის აკადემიის პროფესორთა ლექციების და საერთოდ თანამედროვე რუსული ღვთისმეტყველების ძლიერი ზეგავლენით.

საყურადღებოა ქადაგებანი იონასი; შენახულა სულ 54 ქადაგებანი მოძღვრება,² რომელთაგან 10 სხვადასხვა შემთხვევათა გამოა წარმოთქმული, ხოლო 44-კვირა დღეებზე, აღდგომიდან ვნების კვირიაკემდე; ეს ქადაგებები მას წარმოუთქვამს პეტროგრადს, დედოფალთა და ბატონიშვილთა კარის ეკლესიაში. ქადაგებები წმიდა სქოლასტიკურია, როგორც აწყობით, ისე ენითა და ტექნიკით; ავტორი სარგებლობს საღვთო წერილით, დოღმატიკით და ფილოსოფიით.

შენახულა ჩვენამდე აგრეთვე თხზულება „მართლმადიდებელთა ქორწინება“; ეს წიგნი, ამბობს ავტორი შესავალში, „მეტყუელებს საღვთოთა შეუღლებულთათჳს საღვთოთა თანამდებობათა“ („წერაკითხვის ხელნაწერ. № 279). ის იონას შეუდგენია 1832 წელს იანვარში და მიუძღვნია იოანე ბატონიშვილისათვის. თხზულება წარმოადგენს საღმრთო წერილიდან ქორწინების შესახებ ციტატების ამოწერას და მათ განმარტებას

ცნობილია ჩვენს მწერლობაში ერთი თხზულება, რომელსაც ეწოდება „ორმეოცათჳს შეკითხვათა მიგებანი, სრულიად იამბიკოდ თქმულნი“; შეკითხვები ეკუთვნის იონასს, ხოლო „მიგებანი“—გიორგი მეფის ძეს თეიმურაზს, მაგრამ გალექსილია ისინი იონას მიერ. ესე კოახვაშიგებანი არიან, ამბობს თეიმურაზი, საღმრთოთა წერილთაგან აღმორჩეულნი ღვთისმეტყველებანი ფილოსოფიურნი და ისტორიანი და სხუთა საგანთათჳს.³ გაჰოსარკვევია მხოლოდ, რა დამოკიდებულება აქვს ამ თხზულებას იონას იმ შრომასთან, რომელსაც, ზემოთაყვანილი ნუსხით, ეწოდება „მეფის ძის იოანეს ოცდაათოთხმეტრა შეკითხვათა წიგნი“?

1) სიძე. მუხ. ხელნ. № 13.

2) სიძე. მუხ. № 7. 182.

3) А Сагарели, Свѣдѣнія III, 168—169.

ნაწილი მეორე.

ძველი მწერლობის დარგები.

§ 1. ბიბლიოლოგია.

პირველ ყოვლისა ქართულად ბიბლიური წიგნები უნდა ეთარგმნოს. — ევანგელე ან სახარება, ორი მისი უძველესი რედაქცია: ხანშეტო და საბაწმიდურა. — დავითნი და მისი რედაქციები. — წინასწარმეტყველთა წიგნი. — მთლიანი ბიბლია, მისი უძველესი: დღესდღეობით ცნობილი, რედაქციები. — რა ესაღან ითარგმნებოდა: ქართული ბიბლია? — ბიბლიური კანონი. — ქართული ბიბლიის გამოცემანი. —

ყოველ ქრისტიან ერს, რომელსაც თავის ენაზე მწერლობა ჰქონია, ეს მწერლობა დაუწყია საღმრთო წერილის ან ბიბლიის, ქართულად-დაბადების, თარგმნით (ეს გამოწვეული იყო უფრო პრაქტიკული მოსაზრებითა და საქიროებით: საღმრთო წერილი შეადგენს ერთერთ მნიშვნელოვან ელემენტს ლიტურგიკული პრაქტიკისას და უიმისოდ, განსაკუთრებით ძველად, როდესაც ღვთისმსახურებაში ჰიმნოგრაფიული ელემენტი ჯერ განვიარებული არ იყო, არავითარი წესის შესრულება არ შეიძლებოდა.) ასე უნდა ყოფილიყო ჩვენშიაც, საქართველოში, მით უმეტეს, რომ ქართული ეკლესიური მწერლობა დაიწყო მაშინ, როდესაც, ეფრემ მცირის სიტყვით, ეკლესიას არააჲ აქუნდა სხუაჲ საგადობეჲად საეკლესიოჲ, თჳნიერ ფსალმუნთა წიგნისა.¹ მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, საღმრთო წერილი ყველაზე ადრე ითარგმნა ქართულად. მართლაც, თუ პეტრე მაიუმელის ცხოვრებას დაუჯერებთ, პეტრემ ჯერ კიდევ შინ, კონსტანტინოპოლს გამგზავრებამდე, ესე იგი 424 წლამდე, დაისწავა ყოველივე სწავლა და გულისხმის უოფით აღმოიკითხავნ წმიდათა წერილთა და იწურთინ მათ დღე და ღამე.² ეს ცნობაც რომ უბრალო ჰაგიოგრაფიულ შაბლონადა და რიტორიკად ჩავთვალოთ, მატინეს ცნობაც რომ უყურადღებოდ დავტოვოთ, ვითომც ვახტანგ გორგასლანმა შეამკო მდიდრულად სახარება, რომელიც მეექვსე საუკუნეში ფარსმან მეფემ შიომღვიმეს შესწირაო, იაკობ ხუცის თხზულება: მარტვილობა წმ. შუშანიკისა, ნათლად გვიბტკიცებს, რომ მეხუთე საუკუნის ნახევარში ქართულად უკვე არსებობდა ევანგელე ან სახარება, პაველ მოციქულის ეპის-

¹) ძველი საქართველო, ტ. III. განუ. 1, გვ. 245.

²) ნ. მარტის გამოცემა, გვ. 5.

ტოლენი, საიდანაც იაკობს ციტატები მოჰყავს, და ასერგასი ფსალმუნისაგან შემდგარი დავითნი. მეექვსე საუკუნის დასაწყისიდან ჩვენ გვაქვს საბა განწმედლის მოწმობა, რომ ქართველებს მის მონასტერში ნება ჰქონდათ თავის ენაზე სახარება-სამოციქულოის და უაქთა შედგენის, ანუ დავითნის, კითხვისა. ამნაირად, ყოველ ექვს გარეშე უნდა იყოს, რომ უპირველესი და უძველესი ნაშთი ჩვენი მწერლობისა არის საღმრთო წერილი, რასაც ურყევად აღსატურებს ეხლახან ნაპოვნი პალიმესტები V—VII ს., რომელნიც ბიბლიურ ტექსტს შეიცავენ.

ბიბლია ორი ნაწილისაგან შესდგება: იმაში მოთავსებულია ეხლა 22 ძველი აღთქმის წიგნი და 27 ახალი აღთქმისა. ქრისტიანებისათვის უფრო მნიშვნელოვანი იყო და არის ახალი აღთქმის წიგნები. ახალი აღთქმის წიგნების პირველ ნაწილს შეადგენს ოთხი ავტორის თხზულება: მათეს, მარკოზის, ლუკას და იოანესი, რომელთა აღსანიშნავად ქართულად ორი ტერმინი იხმარება: ევანგელს, რაც ბერძნული სიტყვაა და ქართლად სახარებას ნიშნავს; უკანასკნელი ტერმინი უფრო მიღებულია. როდესაც ოთხივე ავტორის ნაწარმოები ერთ წიგნშია მოქცეული, მაშინ თვითელი ამ ნაწარმოებთაგანი ცალკე თავად არის მიღებული და მთელ წიგნს ეწოდება სახარება ოთხთავი. თავისთავად ცხადია, ყველაზე ადრე ქართულად სახარება უნდა ეთარგმნათ; მართლაც, ეხლახან აღმოჩენილი V—VII ს. პალიმესტები უმთავრესად სახარების ტექსტს შეიცავენ, და წმიდა შუშანიკის მარტვილობაშიაც ვკითხულობთ, რომ, როდესაც შუშანიკი წაიყვანეს პიტიახშ ვასქენთან, მან თანაწარტანა ჟანგელს თჳსი;¹ მაშასადამე, მას უკვე ჰქონია სახარება. პირველი ორი პერიოდიდან ჩვენამდე შენახულა შემდეგი ნუსხები სახარებისა: შატბერდის ენ პალიშის (897 წ.), ოპიზის (913 წ.), ჯრუჟის (936 წ.), პარხალის (973 წ.), ტბეთის (995 წ.), ურბნისის და ქსნის (X ს.). რაც შეეხება სახარების ტექსტის რედაქციებად დაყოფას, ჯერ ამის გარკვევა მოუხერხებელია, ვინაიდან აღნიშნული ნუსხები შესწავლილი არაა, მაგრამ მაინც შეგვიძლია წინასწარ უჩვენოთ შემდეგი რედაქციები მისი. გიორგი მთაწმიდელი მის მიერ ნათარგმნ სახარების ან დერძში ამბობს: ჩუენნა ჟოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილნი და კეთილად, ხანშეტნიცა და საბაწმიდურნიცა. ქართულს სამეცნიერო მწერლობაში ბევრი ულაპარაკნით ამ ტერმინების შესახებ; ხანშეტის მომდინარეობა ჯერ როგორც გეოგრაფიული ტერმინი (ქოჩდანი, ბაქ

¹) ს. გორგაძის გამოცემა, გვ. 6—7.

რადე), მერე როგორც ქრონოლოგიური (კ. კეკელიძე), უკანასკნელად როგორც მუხლი, ტაეპი, სტიქი.¹ მაგრამ გასაღები ამ ტერმინის გასაგებად მოგვცა ჩვენ ახლად აღმოჩენილმა პალიმსესტებმა V—VII ს., რომელთა დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ფონეტიკურ—მორფოლოგიურად ხმა-რება ასო ხან-ისა (h), პრეფიქსის სახით ზმნების ფორმებში. როგორც პროფ. ა. შანიძემ უცილობლად გამოარკვია, გიორგი თავის ანდერძში ჰგულისხმობს სწორედ ასო ხ-ანით ზედმეტად (ხან+მეტი) შემკულ ტექსტებს,² რომელთაც, რადენადაც აღმოჩენილი მასალების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, მერვე საუკუნის მეორე ნახევარში, ესე იგი ჩვენი მწერლობის მეორე პერიოდში, არ გადმოუწევიან. მაშასადამე, ხან-მეტი არის ერთერთი, შეიძლება ერთადერთიც, რედაქცია პირველს პერიოდში არსებული სახარების და, საზოგადოდ, ბიბლიური, ტექსტისა. რაც შეეხება საბაწმიდურს, აქ იგულისხმება ის ტექსტი, რომელიც შემუშავდა საბაწმიდის ლავრაში პალესტინაში ჩვენი მწერლობის მეორე პერიოდიდან, როდესაც ქართული ლიტერატურის ცენტრი დამყარდა და გაიფურჩქნა საბას ლავრაში; ეს არის ერთერთი რედაქცია სახარების ტექსტისა, რომელიც მეორე პერიოდში აღმოცენდა.³ (მართალია, გიორგის ანდერძი სახარების შესახებ ლაპარაკობს, მაგრამ ტერმინებით ხან-მეტი და საბაწმიდური აღინიშნებოდა, უეჭველია, ბიბლიის სხვა წიგნებიც. საბაწმიდური ტექსტი სახარებისა (საზოგადოდ ბიბლიისა), ჩვენ ვფიქრობთ, განირჩევიდა ხან-მეტისაგან უმთავრესად ფონეტიკურად, იმაში ხ-ანები უკვე აღარ იხმაოებოდა; ტექსტუალურად კი მათში განსხვავება ან არ ყოფილა, ან თუ იყო იმდენად და იმ მიზეზით, რადენადაც და რა მიზეზით თვით ხან-მეტ ტექსტებზე⁴; შესაძლებელია, ამ საბაწმიდურ ტექსტებს ფონეტიკურად ახასიათებდა ხ-ანის მაგიერ ჰ-ავს ხმარება.)

¹) ნ. შარრი, მგავსად სპარსული chian, სემიტური beth, სომხური tund-ისა, რაც სახლს ნიშნავს, Христ. Вост. I, 121.

²) უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო. ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ მეთერთმეტე საუკუნის მწერლობაში, ტფილ. უნივერს. შოაშბე, II, 398—416.

³) ოთხთავის გარდა საეკლესიო-სადღისმსახურო პრაქტიკამ უძველეს დროიდან შემუშავა საგანგებო ტიპი სახარებისა, რომელსაც აპრაქსისი ეწოდება (ბერძნული ტერმინი, შემოღებული არაბერძნებისაგან); ეს წარმოადგენს ოთხთავიდან ამოკრებილ ადგილებს, კუპიურებს, ამათუიმ დღესასწაულზე წასაკითხავად. აპრაქსები ქართულ ენაზედაც ბევრი შენახულა, თუმცა პირველი ორი პერიოდიდან იძენი არა.

⁴) მაგალითად, მათ. VII, 5—15 ხან-მეტ ტექსტში ორი სხვადასხვა რედაქციითაა წარმოდგენილი. პროფ. ი. ვ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა შეცნობებისათვის, ტფილ. უნივერს. შოაშბე, II, 83. 376—380.

როდესაც ჩვენში დამყარდა ბიზანტიური მიმართულება, ძველად ნათარგმნი სახარების ტექსტმა განიცადა ძირითადი ცვლილება. ვინაიდან აღნიშნული რედაქციები, უეჭველია, ბევრ რამეში განსხვავდებოდნენ თანამედროვე კონსტანტინოპოლის ეკლესიაში მიღებული რედაქციიდან, საჭიროდ დაუნახავთ დაახლოვება ამ რედაქციებისა ბერძნულ ვერსიებთან. ამ გარემოებას პირველად ყურადღება მიაქცია ექვთიმე ათონელმა, რომელსაც მოუცია ახალი რედაქცია სახარების ტექსტისა.¹ ექვთიმეს შრომა გაუგრძელებია გიორგი მთაწმიდელს; გიორგის სახარების ტექსტი სამჯერ შეუმოწმებია ბერძნულ ტექსტთან და მოუცია ახალი, დამოუკიდებელი, რედაქცია, რომელმაც საქართველოში მოიპოვა კანონიური ღირსება და მნიშვნელობა ქართული ვულგატისა.² გიორგის შემდეგ იყო კიდევ ერთი ცდა სახარების ტექსტის გადმოღებისა, ის ეკუთვნის იოანე კიმენელს, რომელსაც გადმოუღია ოთხივე მახარებელის თხზულება; მაგრამ მისი შრომა გამოწვეული იყო არა წმიდა ბიბლიოლოგიური მოსაზრებით, არამედ სპეციალური ეგზეგეტიკურით: მან, როგორც ვიცით, გადმოთარგმნა თეოფილაქტე ბულღარელის განმარტებასა და განმარტებასთან ერთად თვით ტექსტიც გადმოიღო. ამ შრომას, როგორც შემთხვევითი ხასიათისას, თან მეტად მძიმე და ხელოვნური, წმიდა პეტრიწონული, ენით შესრულებულს, არ შეეძლო რაიმე მეტოქეობა გაეწია გიორგის რედაქციისათვის და ამიტომ ის თითქმის შეუძინეველი დარჩა ჩვენს მწერლობაში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ გაიოზ რე-

¹) სიძვ. მუხ. № 484, მესტიის სახარება 1033 წ. და მეტეხის სახარება 1049 წ.

²) სინტერესო დეტალებს გადმოგვცემს ჩვენ გიორგის სახარების შესახებ ვერადწოდებულ დანიის სახარების (სიძვ. მუხ. № 1392) შინაწერი; აქ ნათქვამია, რომ, როდესაც გიორგიმ სახარება გადმოთარგმნა, მისი საკუთარი ავტოგრაფი დადევს ივერიის მონასტრის დიდსაწიგნოსა ცაყვსა და მას ტყვილაუბრალოდ აღარ ეხებოდნენ, ზოლო ავტოგრაფისაგან გადმოღებული პირი დღევს ეკლესიაში დვთისმსახურებისას საკითხავად და სახმარებლად და მას უწოდეს „სეკულესიოჲს ხარებაჲ“. ყველა ქართული სახარება, „მთაწმიდით აღწერილნი და გამოსრულნი“, მომდინარეობენ არა გიორგის ავტოგრაფიდან, არამედ „სეკულესიო სახარებდიანო“. ამ ნუსხაში კი ბევრი ცვლილებაა გიორგის ავტოგრაფთან შედარებით, რომელნიც ან მწერლის უნებლიეთი შეცომაა, ანდა „შჯულობით“, ესე იგი განხრახ, განჯებ ვისგანმე შეტანილია. ამას გრძობდნენ საქართველოში, ამიტომ ვინმე ზაქარია ბერს მთაწმიდაზე ყოფნისას მოუხერხებია გიორგის ავტოგრაფის ხელში ჩაგდება და გადმოწერა, ზაქარიას ნუსხიდან გადმოუღია პირი შატერდელ ბერ სტეფანეს, ზოლო სტეფანეს ნუსხიდან გადმოუწერიათ დანიის სახარება მე-XII საუკუნეში (ეკ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი პირველი, გვ. 15-16, ტფილისი, 1907 წ.). აქ მხოლოდ ერთი გაუგებრობაა: რად უნდა გადმოეღოთ გიორგის ოთხთავიდან პირი „სეკულესიო სახარებია“, როდესაც დვთისმსახურებაში სახმარებლად მან სიგანგებო ტიპის სახარება, აქარაკოსი, დაამუშოვა და დაგვიტოვა?

ქტორის ცდას ახალი აღთქმის წიგნების, მათ შორის სახარების, თარგმნისას რუსული ენიდან, რომელსაც საქართველომდე, მკონი, არც კი მოუხწევია, ჩვენ სხვა ცნობები არა გვაქვს, რომ ვისმეს კიდევ ეთარგმნოს ქართულად სახარება.)

მეორე ნაწილს ახალი აღთქმის წიგნებისას ეწოდება სამოციქულო; იმაში მოთავსებულია: საქმე მოციქულთა, შვიდი პატარა, კათოლიკე, ეპისტოლე, 14 ეპისტოლე პავლე მოციქულისა და აპოკალიპსი ან გამოცხადება იოანე ღვთისმეტყველისა. უკანასკნელი ქართულად მეთათე საუკ. გასლვამდე არც კი ყოფილა თარგმნილი, რაც შეეხება პირველს ორს, ძველად, პირველს ორ პერიოდში მინც, ისინი ცალცალკე უნდა ყოფილიყვნენ; (ამით აიხსნება, რომ ძველს, პირველი ორი პერიოდის, ძეგლებში ჩვენ გვხვდება ამ ეპისტოლეთა აღსანიშნავად ორი ტერმინი: კათოლიკე და პავლე; პირველი აღნიშნავს წიგნს, რომელიც შვიდ პატარა ეპისტოლეს შეიცავს, მეორე — პავლე მოციქულისას. და მართლაც, უძველესი ნუსხა სამოციქულოჲსა, სიძვ. მუზ. № 345 (რომელიც ეხლა წერ.-კით საზოგადოების მუზეუმშია), შეიცავს მხოლოდ პავლეს ეპისტოლეებს: რომაელთა, კორინთელთა 1 და 2, ებრაელთა, ტიტეს მიმართ, ტიმოთეს მიმართ მეორე, ფილიმონის მიმართ, ტიმოთეს მიმართ. 1, გალატელთა, ეფესელთა, ფილიპელთა, კოლასელთა და თესალონიკელთა მიმართ. ამ სამოციქულოჲს წინასიტყვაობაში, სხვათა შორის, აღნიშნულია, რომ მოციქული პავლეს გარდაცვალებიდან მიმდინარე წლამდე, რომელიცაა მეოთხე წელიწადი არკადი კეისრის მეფობისა, ხოლო მესამე ჰონორისა, გავიდა 335 წელიწადიო. მაშასადამეო, ასკენის თ. ყორდანი, სამოციქულო ქართულად ეთარგმნიათ არკადის მეოთხესა და ჰონორის მესამე წელს, ესე იგი 399 წელს ქრისტეს შემდეგო. მართალია, როგორც შუშანიკის მარტილოზიდან ვტყობილობთ, პავლეს ეპისტოლენი ქართულად მეხუთე საუკუნეში უკვე ყოფილან, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი 399 წელს ითარგმნა. საქმე ისაა, რომ ზემომოყვანილი დათარიღება ეკუთვნის არა ქართველს; არამედ იმ ბერძნული ნუსხის გადამწერს, რომლიდანაც მომდინარეობს, უშუალოდ თუ რომელიმე თარგმანის საშუალები, ქართული ტექსტი; რომ ეს ასე იქიდანა ჩანს, რომ ამგვარი წინასიტყვაობა ჩვენ გვხვდება სხვა მწერლობაშიაც, მაგალითად სომხურსა და სლავურში.² აქ ჩვენ საქმე

¹) Описание рук. Тиф. цер. Муз. I. 330.

²) Описание славянских рукописей синодальной библиотеки; стр. 148—150, 151, 169, 320, 323, 325, Москва 1865 г. Описание рукописей Соловецкого монастыря ч. I. стр. 176, 185.

გვაქვს ევთალი ალექსანდრიელის ეგრედწოდებულ სტიხომეტრიასთან, რომელიც ქართულშიაც გადმოსულა.¹

საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველი ორი პერიოდიდან სამოციქულო სწავლებები ძაან ნაკლებად შენახულა ჩვენამდე, ამიტომ მისი ტექსტის შესასწავლად ისეთ პირობებში არ ვიმყოფებით, როგორც სახარებისა. მეათე საუკუნის გასულს ექვთიმე ათონელს თავისი კვალი სამოციქულო შიაც აღუბეჭდავს. პირველად ყოელისა უნდა აღინიშნოს, რომ მას გადმოუთარგმნია 975—978 წლებში აპოკალიპსი ან გამოცხადება იოანე ღვთისმეტყველისა, რომელიც წინათ ქართულ ენაზე არ ყოფილა. მასვე უთარგმნია გალატელთა, თესალონიკელთა და ჰრომაელთა მიმართ ეპისტოლეთა ტექსტი მათ განმარტებასთან, ერთად. ექვთიმეს მუშაობას ამ სფეროში შემთხვევითი ხასიათი აქვს, უფრო სერიოზული და თან სპეციალური შრომა გიორგი მთაწმიდელს გაუწევია აქ. მას, როგორც მისი ბიოგრაფიიდან ჩანს, უთარგმნია ჰაჯლე სრული და საქმე მოციქულთა და კათოლიკენი მოციქულთანი (სიძვ. მუხ. № 584). ხასიათი ამ თარგმანისა ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, როდესაც გიორგის ლიტერატურულ მოღვაწეობას ვარკვევდით. გიორგიმ ვერ გასწყვიტა მთლიანად კავშირი ძველს ქართულ ტექსტთან და ვერ გადმოსცა ქართულად ბერძნული დედანი სისწორით; ამიტომ ეფრემ მცირეს, რომელიც ყველაზე ნათლად ხედავდა ამას, ხელმეორედ უთარგმნია სამოციქულო, თუმცა იმას ვერ განუდევნია ხმარებიდან გიორგის ტექსტი და არც ჰქონია მას ასეთი პრეტენზია; ასე რომ კანონიურ ტექსტად ქართულს საზოგადოებაში მაინც გიორგის ტექსტი დარჩა.

ძველი აღთქმის ბიბლიური ტექსტიდან ჩვენ მოგვეპოება სხვადასხვა ცალკალკე წიგნები, როგორც, მაგალითად, წინასწარმეტყველები; მთლიანი ბიბლია 978 წლამდე არ გვხვდება, მაგრამ ის რომ ყოფილა, იქიდან ჩანს, რომ სინას მთის მეათე საუკუნის ხელნაწერს № 92 ყდაზე გადაკრული ჰქონია ასომთავრულად დაწერილი ფურცელი ბიბლიის პირველი წიგნისა;² ახლად აღმოჩენილი V—VII ს. პალიმსესტები შეიცავენ, სხვათა შორის, ფრაგმენტებს შესაქმეთა წიგნისა და იერემია წინასწარმეტყველისას. თავის თავად ცხადია, სანამ მთლიანად გადმოითარგ-

¹) H. Goussou. Die georgische Bibelübersetzung, Oriens Christianus, 1906, Sechster Jahr. S. 313—314.

²) Н. Марр, Предварительный отчетъ о работахъ на Синаѣ и въ Иерусалимѣ... стр. 14.

მნებოდნა ბიბლიის ძველი აღთქმის ნაწილი, გაჩნდებოდა (კალკალკე წიგნები მისი.) ყველაზე ადრე ძველი აღთქმის წიგნებიდან, ექვს გარეშეა, უნდა გადმოთარგმნილიყო და ვითნო, ვინაიდან ძველად ღვთისმსახურებაში, სანამ ჰიმნოგრაფიული ელემენტი გაჩნდებოდა, ფსალმური სკარბობდა, ღვთისმსახურება ფსალმუნთა გალობიდან შესდგებოდა მომეტებულ ნაწილად. შუშანიკის მარტვილობაში ვკითხულობთ, რომ მან კელთა აღიხუნა და ვითნო და მცირეთა დღეთა შემდგომად ასერკასისნი იგი ფსალმუნნი დაისწავლნათ;¹ მაშასადამე, მეხუთე საუკუნეში ეს წიგნი ქართულად უკვე არსებობდა. მცირე საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს პაპირუსზე დაწერილი ნუსხა დავითნისა, რომელიც ყველაზე უძველესად ითვლება და დღეს სინას მთაზე ინახება, გარდა რაოდენიმე ფურცლისა, რომელიც პორფირი უსპენსკის წამოუღია იქიდან 1850 წელს და პეტროგრადის საჯარო წიგნთსაცავშია დაცული. (რადენადაც პროფ. ა. ცაგარლის აღწერილობით შეგვიძლია დავინახოთ,² ფსალმუნები აქ წარმოდგენილია ჩვეულებრივი ზედაწარწერით, აღნიშნულია თუ ვის ეკუთვნის ის (მაგალითად „ფსალმუნი დავითისა“), რა მიზეზის გამოა დაწერილი („ფსალმუნი დავითისი დღესა მას, რომელსა იგი იკნა უფალმან კელთა[გან] საულისათა და ყოველთაგან მტერთა), ნაჩვენებია მოკლედ შინაარსი ფსალმუნისა, მაგალითად — „მოლოდებამ სულისა წმიდისაჲ“, „თქუა ეკლესიათა გამორჩევაჲ და დგომამ“, „ქრისტს სიკუდილისათვს და საფლავისა დაპყრობისათვს და ერთა ყოველთა დაპყრობისათვს“, „წინაჲსწარმეტყუელებამ ქრისტს ვნებისაჲ და ჩინებამ წარმართთაჲ“. ფსალმუნებს თანასდევს მათი აღრიცხვა, აგრეთვე იმაში აღვლილი აქვს იგრედწოდებულ „კანონებად“ და „დიდებად“ ლიტურგიკულ დაყოფვას, რომელსაც ძველს ქართულ დავითნებში „განსუენებამ“ ეწოდება. მეორე უძველესი რედაქცია ქართული დავითნისა ჩვენა გვაქვს სიძველეთა მუზეუმის ხელნაწერში № 38, რომელიც 904 წელსა (და არა 974) გადაწერილი ასომთავრულად. ეს მეტად საყურადღებო რედაქციაა იმ მხრივ, რომ ის წარმოადგენს ერთგვარ სამეცნიერო გამოცემას დავითნისას, რომელიც გასაოცარი გულდადებითაა შესრულებული. დავითნს წინ უძღვის „დავითის თქუმული“: უმცირეს ვიყავ მე ძმთა

¹) ს. გორგაძის გამოცემა, გვ. 15.

²) Свѣдѣнія II, стр. 51—53.

ჩემთა, მერე „თქუმული ნეტარისა ათანასი მთავარეპისკოპოსისა აღექსანდრიელისაჲ, ვითარ იგი დიდთა წადიერებითა გულსმოდგინე ყოფილ არს გამოკულებად ძალსა ფსალმუნთასა და უპოვნია ვინმე მოხუცებული ერთი მარტოდმყოფი, სავსე მადლითა სულისა წმიდისაჲთა, და მისაგან ზედამიწევნულ არს ძალსა ფსალმუნთასა დავითისთა გულსხმის ყოფად.“ ამ სტატიაში, რომელიც ბერძნულიდანაა ნათარგმნი,¹ ჩვენა გვაქვს ისაგოგიური ცნობები დავითნის შესახებ, თუ რა „ძალი“ და მნიშვნელობა აქვს ან რა სარგებლობა მოაქვს ამ წიგნს მკითხველთათვის, გაკეთებული აქვს ანალიზი მას შინაარსის მხრივ და გარკვეულია—რომელი ფსალმუნი ადამიანის ცხოვრების რომელ შემთხვევას შეესაბამება; მაგალითად, უკუეთუ გინდეს წათმვა მონატრე ვინმე, აიღე დავითნი და გამოიჩინე ის ფსალმუნები, რომლებიც იწყებიან სიტყვებით—ნეტარ არს; ასეთებია: 1, 31, 40, 111, 118 და 127 ფსალმუნები. მოყვანილია „ზედწარწერანი“ ფსალმუნებისა, სადაც ნაჩვენებია მათი ავტორები და საბაბი დაწერისა, აგრეთვე აღნიშნულია—რამდენი ფსალმუნია დავითნში, რამდენი მუხლი თვითეულში და ყველაში ერთად; მოყვანილია აგრეთვე ლიტურდიკული განყოფვა დავითნისა, რომელსაც თანდართული აქვს შენიშვნა, სადაც მოხსენებულია ბერძნული და იერუსალიმელი განყოფვა, ესე იგი ბიზანტიური და აღმოსავლური, ასეთი დასასრულით: და არიან რამეჯნიმე ერთფერად და სწორად იერუსალიმელთაჲ და ქართველთაჲ კანონიცა და ფსალმუნიცა. დავითნი თავდება ეგრედწოდებული „ბიბლიური ჰიმნებით“, პასქალიურ გამოანგარიშებათა თეორიით და ეპიტანე კვიპრელის თხზულებიდან ამოღებული ნაწყვეტით ებრაულ თვეთა და ძველი აღთქმის წიგნთა შემადგენლობისა და გაყოფვის შესახებ.²

ყოფილა კიდევ მესამე განსხვავებული რედაქცია დავითნისა ქართულს ენაზე, როგორც ესა ჩანს შატბერდის კრებულში (X ს.) მოთავსებული ორმოცდამეათე ფსალმუნიდან, რომლის ტექსტი არ უდგება ზემოაღნიშნულებისას; მაშასადამე, უკვე მეთათე საუკუნეში ცნობილი ყოფილა რამდენიმე სხვადასხვა რედაქციის დავითნი, რომელთაც, როგორც ზემომოყვანილი სიტყვებიდანა ჩანს, ქართული დავითნი ეწოდებოდა. მაშასადამე, მართალი იყო გიორგი მთაწმიდელი, რომელიც ექვთი-

¹) Epist. ad Marcellin. Migne PG. t. 27. col. 11—46.

²) მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, I, 139—191, თ. ეორდანი, ქრონიკები I, 93—94, Описание рукописей тифл. церков. муз. I, 29—34.

მე ათონელის შესახებ ამბობდა, რომ მოიხუნა ქართული დავითნო, და თავის საკუთარ დავითნს უპირდაპირებდა „ქართულ დავითნს“.

აქ ქართული დავითნის შეცვლა-გარდაქმნაზე უმუშავებია ჯერ ექვთიმე ათონელს; გიორგი მთაწმიდელის მოწმობით, ექვთიმეს 'გადმოუთარგმნია „დავითნი“ და მიუცია გადასაწერად ვილაც მწერალისათვის, რომელმაც განრუხა და უკმარყო იგი; ამის შემდეგ მას როგორც აღარ უთარგმნია ის და, როდესაც დასკირდებოდა, ქართულ დავითნს მიმართავდა ხოლმე; ამიტომ მის შემდეგ ამ საქმისათვის ხელი უყვია გიორგი მთაწმიდელს, რომელსაც, როგორც თავის ადგილას ვაჩვენეთ, დიდი გულმოდგინებით შეუწამებია ქართული ტექსტი ბერძნულისათვის და მოუცია ახალი რედაქცია დავითნისა, რომელმაც ვულგატის მნიშვნელობა მოიპოვა ჩვენს საზოგადოებაში.

მეორე ძველი აღთქმის წიგნი, რომლის უძველესი თარგმანი შენახულა ჩვენამდე, არის წინასწარმეტყველთა წიგნი, გადაწერილი პალესტინაში, ჯვარის მონასტერში, მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში.¹ ჩვენ ამ, შედარებით ახალ, ხელნაწერში გვაქვს თარგმანი არაუგვიანეს მეშვიდე საუკუნისა და, შეიძლება, უფრო ადრინდელიც; აქ მოყვანილია ჯერ 12 მცირე ან პატარა წინასწარმეტყველთა წიგნები და მერე ოთხი დიდისა, რომელთაც თანმისდევს წიგნი ბარუქისა, ნეემიასი და ეზდრასი.)

ბიბლიის მთლიან ნუსხათაგან, რომელნიც ჩვენამდე შენახულან, პირველად ყოვლისა უნდა დავსახელოთ ეგრედწოდებული ათონის ბიბლია, გადაწერილი 978 წელს. მომგებელი ამ ბიბლიისა, როგორც მისი მინაწერებიდანა ჩანს, არის იოანე, თორნიკ-ყოფილი, ბარდასკლიაროსის დამმარცხებელი და ათონის ივერიის მონასტრის ამშენებელი. ის გადაწერილია ჯვრასა შინა დიდსა უშეს, (=ოშეს, სამცხეში და არა ათონზე, როგორც ზოგიერთებსა ჰგონიათ) სეოფიელსა წმიდას ნათლისმცემეჯისას, სამი მწერლის ხელით: მიქელის, გიორგის და სტეფანის. გადაწერილია ის ასომთავრული ანბანით ორ წიგნად. მას აკლია შემდეგი წიგნები: ნემტი, დავითნი და მაკაბელთა, სხვა წიგნებიდანაც, ფურცლების ამოცვენის გამო, საკმაო რიცხვი თავებისა დაკარგულია. წესრიგი წიგნების დალაგებისა და მათი თანმიმდევრობა სხვანაირია, ვიდრე მიღებულს ბიბლიაში; თავებად და მუხლებად წიგნები დაყოფილი არაა,

1) А. Цагарели, Свѣдѣнія II, стр. 1—10.

წიგნი „ქება-ქებათაჲ“ წარმოდგენილია დიალოგური ფორმით. ათონის ბიბლია არის ერთი უძველესი დათარიღებული ნუსხა, რომელიც ქართულ ენაზე შენახულა.¹

მეორე ძველი რედაქცია ქართული ბიბლიისა არის 1743 წელს ბაქარის მიერ მოსკოვში დაბეჭდილი ტექსტი; ამ გამოცემას საფუძვლად უდევს ისეთი ხელნაწერები, რომელთაც დაუსავეთ უძველესი აღმოსავლურ-სირიული ტრადიციები ბიბლიის ტექსტისა; რა ხელნაწერები იყო ეს ხელნაწერები, სადაური ან როდის გადმოიზარგმნილ-გადმოწერილი, ჩვენდა სამწუხაროდ, გაუმომცემელს ეს არ აღუნიშნავს.

მესამე, აგრეთვე ძველი, რედაქცია ქართული ბიბლიისა შენახულა ეგრედწოდებულს მცხეთის ბიბლიაში, რომელიც დღეს ს ი ძ ვ. მ უ ზ ე უ მ შ ი ინახება (№ 51) და გადაწერილია მეფერამეტე საუკუნის პირველს ნახევარში. გადაწერილია ის უძველესი ხელნაწერიდან, რომელშიაც ბიბლიის ტექსტი დაყოფილი არ ყოფილა თავებად და მუხლებად. ტექსტის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ ის აღმოსავლურ-სირიული ტრადიციების მატარებელია, თუმცა უფრო ხშირად ბერძნულ სებატანტას მისდევს.²

განსაკუთრებულ რედაქციად ბიბლიური ტექსტისა უნდა მივიჩნიოთ ჩვენ აგრეთვე ორი ტექსტი, რომელიც შენახულა ს ი ძ ვ ე ლ ე თ ა მ უ ზ ე უ მ ი ს ხელნაწერებში № 570 (1460 წლ.) და № 646 (XVI ს.). ამ ხელნაწერებში გვაქვს შედეგი წიგნები: მეფეთა (ოთხივე), ნეშტა (ორივე), ესთერის, ტობიასი, ივდითისი, ეზდრა-ზარობაბელისი და ნეემიასი; ალაგალაგ ამათში მოყვანილია აკვილას და სვიმანხოსის ვარიანტები. თუმცა ამ ორ ხელნაწერთა ტექსტი ზოგაერთ შექთხევეაში ერთი-

¹) 1849 წ. ათონზე წაიედა საგანგებოდ პლ. იოსელიანი, რათა, მაშინდელი კავკასიის მმართველისა და სინოდალური კანტორის მონღოლიზმით, გადმოეწერა ეს ბიბლია, მაგრამ, ვინაიდან იქ ამ მონღოლიზმის შესრულება შეუძლებელი შეიქმნა, მან გამოითხოვა ეს ხელნაწერი და მოიტანა საქართველოში, სადაც მისგან გადმოღებულ იქმნა ორი პირი: ერთი საშვერკელოს მთავრის დავით დადიანისათვის და მეორე სიონის საკათედრო ტაძრისათვის. დადიანის ნუსხა ინახება წ.-კ. საზოგადოების მუზეუმში (№ 422), ხოლო სიონის ტაძრის — „სიძველეთა მუზეუმში“ № 471; უკანასკნელი უფრო სრულია, ვიდრე დადიანის. ორივე ნუსხა გადაწერილია 1851 წელს: სიონის — ნიკოლოზ კაპარავას მიერ, ხოლო დადიანის — პეტრე ტაბლიაშვილის, მღვდელ-მონაზონი გრიგორის და იმავე ნიკოლოზ კაპარავას მიერ. გადაწერის შემდეგ დედანი უკანვე ათონზე დაუბრუნებიათ, სადაც დღესაც ინახება. ამ რამდენიმე წლის წინათ პეტროგრადის სამეცნიერო აკადემიის სახით მუზეუმმა გადმოაღებია ამ ხელნაწერიდან ფოტოგრაფიული პირი, რომელიც აღნიშნულს მუზეუმში ინახება.

²) კ. კეკელიძე, თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ მიტროფანე, ზვიერენელ მიტროპოლიტისაჲ, გვ. LXXXI.

მეორისაგან განსხვავდება, მაგრამ საერთოდ ეს ერთილი იგივე რედაქციას, რომელიც უფრო უახლოვდება მცხეთის ბიბლიას, ვიდრე ათონის ან მოსკოვის გამოცემისას.¹

ჩამოთვლილთ გარდა ჯერ-ჯერობით ჩვენ სხვა რედაქცია ბიბლიისა არ ვიცით, ასე რომ ამთავად შეგვიძლია დავასახელოთ შემდეგი რედაქციები ქართული ბიბლიისა, რომელნიც პირველი ორი პერიოდიდან მომდინარეობენ, უმეტეს შემხვევაში აღმოსავლური წყაროებიდან, შეუსწორებლად, ანადა ბერძნული სექტანტის ზეგავლენით, რასაკვირველია—სხვადასხვა საზომით: იერუსალიმელი (წინასწარმეტყველები); ათონური (978 წლისა), მცხეთური (სიძვ. მუზ. № 51), მოსკოვეური (1743 წ. დაბეჭდილი) და ჯანაშვილისეური (სიძვ. მუზ. № 570, 646).

მესამე, ბიზანტიურს პერიოდში, მართალია, ექვთიმესა და გიორგი ათონელებს, როგორც თავის აღგილას აღენიშნეთ, წინააღმდეგ ზოგი ერთ მკვლევართა აზრისა, მთელი ბიბლია არ უთარგმნიათ; მაგრამ ცდა კი ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი წიგნების გადმოთარგმნისა, რასაკვირველია—ბერძნული ენიდან; ამ მხრივ პირველად ყოვლისა უნდა დავასახელოთ ის ხელნაწერი, რომელიც ვანსვენებულმა თ. ეორდანისამ იპოვა ქუთაისში, ბაგრატიან ტაძრის ნანგრევებში, და რომელიც დღეს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კუთვნილებას შეადგენს (სიძვ. მუზ. № 1146).² ეს ყოფილა დიდი წიგნი, გადაწერილი ქალაქლზე, in folio, მეცამეტე საუკუნის ნუსხა ხუცურით, რომელშიაც საკმაოდ გამოსკვივის ელემენტები მხედრული ანბანისა. ეს ხელნაწერი, რომელსაც ეხლა თავშიც აკლია, შუაშიც და ბოლოშიც, მეტად დაზიანებულია; არის იმისი ნიშნები, რომ თავდაპირველად ის შეიცავდა ძველი აღთქმის თითქმის ყველა წიგნებს, რომელთაგან დღეს დარჩენილა მხოლოდ ჯევიტიდან რუთამდე და წინასწარმეტყველები, სხვა დაკარგულია. ეს არ არის, ასე ვთქვათ, წმიდა ბიბლიოლოგიური ნაშრომი, ის უფრო ეგზეგეტიკურია,—წარმოადგენს დასახელებულ წიგნთა განმარტებას კატეხეზის სახით; აქ ასეთი სქემაა მიღებული: ხელნაწერის გვერდი, ან მთლიან ან ნაწილობრივ, დაკავებულია ბიბლიური ტექსტით, რომელსაც აქ კამენი ეწოდება და რომელსაც უკავია გვერდის ან შუანაწილი ან მთელი განი, ხოლო მას მისდევს ამ ტექსტის განმარტება. სტილის

1) შ. ჯანაშვილი, ნაშრომი III, გვ. 37—70.

2) Р. П. Блэйкз, О древне-грузинскихъ версияхъ Ветхаго Завета. Иавѣстия Кавказскаго Отдѣленія Московскаго Археолог. Общества, вып. VI, Тифлисъ 1921.

მიხედვით დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეს ტექსტი ნათარგმნია ეგრედწოდებული პეტრიწონული შკოლიდან გამოსული მწიგნობრის მიერ, მაშასადამე არაუადრეს მეთერთმეტე საუკუნის გასულისა,¹ ეგზეგეტიკურ ნაწილთან ერთად; როგორც ასეთს, ამ ტექსტს ქართული ბიბლიის ისტორიაში მაინცადამაინც დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

მეორე ავგვარი შემთხვევა და ამავე ხასიათის ცდა ჩვენ გვაქვს მიტროფანე სმირნელისა და ოლიმპიოდორე ალექსანდრიელის ეგზეგეტიკურ თხზულებათა „თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ“-ის ქართულს თარგმანში, რომელიც ჩვენ მიერაა გამოცემული (დასახელებული თხზულება.) ამ თხზულებაში განმარტებულია ეკლესიასტის ტექსტი, და ქართულ მთარგმნელს, ეგზეტაკურ ნაწილთან ერთად, ბიბლიური ტექსტიც გადმოუღია ბერძნულიდან. მთარგმნელი, რომელიც ჩვენ იოანე კიმპიმელად მიგვაჩნია, არის მიმდევარი პეტრიწონული შკოლისა, რომლის ლიტერატურული ნორმები აქ უფრო ხაზგასმითაა წარმოდგენილი, ვიდრე ზეჰოალნიშნულში; წიგნი ნათარგმნია სიტყვა-სიტყვით, როგორც ესა სხვევით პეტრიწონული სალიტერატურო შკოლის მიმდევართ. ამ რედაქციაში შენახული ბერძნული ტექსტი და ის ტექსტი, რომლის გაფლენა ოშკის ან ათონის რედაქციის ბიბლიას განუცდია, ზოგიერთ შემთხვევაში ერთისა და იმავე ბიბლიური ტრადიციის მატარებელნი ყოფილან; მაგალითად, ეკლესიასტის წიგნის პირველ თავის მეჩვიდმეტე მუხლში პეტროწონისა და ოშკის რედაქციებმა არ იციან სიტყვები: *και χωρηθη αυτος εν πνευματι*;² არ იციან მათ აგრეთვე მეორე თავის მეხუთე მუხლის მეორე ნახევარიც.

მეთვრამეტე საუკუნეში, როდესაც ულმოზელი ბედის მიერ რუსეთში გადატყორცნილი ქართველი მამულიშვილები იქ ქართული ბიბლიის გამოცემის თადარიგს იტერდენ, იმათ წინასწარ ქართული ტექსტი შეუდარეს სლავურ ტექსტს და იმის მიხედვით შეასწორეს ის, ხოლო ზოგიერთი წიგნები, რომელთა თარგმანი ქართულ ენაზე მათ ვერ იპოვეს, ხელახლა სთარგმნეს სლავურიდან, როგორც, მაგალითად, წიგნი ისუ ზირაქისა და მაკაბელთა, ხოლო ორი წიგნი, ივლითისა და ტობიასი, ლათინურიდან გადმოიღეს.

ამდენხან ჩვენ ლაპარაკი გვქონდა ბიბლიის მთლიან ტექსტზე, მა-

¹) იხ. ჩვენი გამოცემა: „თარგმანება ეკლესიასტისა მიტროფანე, ზმირნელ მიტროპოლიტისა, გვ. XXVII—XXX.

²) Migne, PG. t. 93, 492 C.

გრამ მთლიან ტექსტისა და წიგნების გარდა არსებობს ლიტურგიული კრებულები, რომლებშიაც ამორჩეული ადგილებია შეტანილი ამათუ-იმ წიგნიდან. როგორც სახარება-სამოციქულოდან ადგენდენ ეკლესიაში ღვთისმსახურებისას სახმარებელ გამოკრებულ ეგრედწოდებულ აპაკოსებს, ისე ძველი აღთქის წიგნებიდანაც ადგენდენ ღვთისმსახურებისას საკითხავ კრებულებს, რომელთაც სახელად ერქვა ლექციონარი, ანა და პროფიტოლოლონი, ქართულად, საწინასწარმეტყუ-ელო. ამგვარი ლექციონარის ნიმუშს წარმოადგენს, სხვათა შორის, ჩვენ მიერ გამოცემული იერუსალიმას განჩინება და განწყება.¹ ასეთი კრებუ-ლი საწინასწარმეტყველო, როგორც ვიცით, გიორგი მთაწმიდელმაც გადმოთარგმნა. ამ კრებულებში იშვიათად შექმნიდათ მზამხარეული თარგ-მანიდან ადგილები, უფრო ხშირად მათ ხელახლა, დამოუკიდებელივ სთარგმნიდენ ხოლმე, მომეტებულ ნაწილად ბერძნული ენიდან. ასეთ კრებულებს ბიბლიის ტექტის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

ასეთია რედაქციები ქართული ბიბლიისა, ესე იგი ძველი და ახალი აღთქმის საღმრთო წერილის წიგნებისა. ეხლა უნდა დაისვას ერთი კარ-დინალური საკითხი: არა ენიდანაა გადმოთარგმნილი ქართული ბიბლია? რასაკვირველია, ეს საკითხი შეეხება პირველი ორი პერიოდის ბიბლიურ ტექსტს და არა შემდეგი დროისას, როდესაც, დანამდვილებით ვიცით, საღმრთო წერილის წიგნებს ასწორებდენ თუ თარგმნიდენ ბერძნული დედნის მიხედვით, ხოლო უკანასკნელ დროს სლავურისა. პირველად ამ საკითხს შეეხო პროფესორი ბერძნული ენისა ვენის უნივერსიტეტში, ფილოსოფიის დოქტორი Fr. K. Alter-ი თავის გამოკვლევაში Ueber georgianische Litteratur, რომელიც 1798 წ. გამოვიდა. ალტერს აუღია მოსკოვის ბიბლია 1743 წლისა და თვითველი წიგნიდან, რო-გორც ძველის, ისე ახალი აღთქმისა, მიჰყავს რამდენიმე ადგილი და უდარებს მათ ბერძნულს, სომხურს და სლავურ ტექსტებს. ჩას, ალ-ტერს ქართული ენა არ სცოდნია, როგორც საჭირო იყო ამ შემთხვევა-ში, და დაუხმარებია გრ. ბაგინაანთი, ქართველი, რომელიც ქართულ ენას ასწავლიდა რომში, იქაურს საკონგრეგაციო სკოლაში de propa- ganda fidei. ამ შედარებიდან ალტერს გამოჰყავს ის უეჭველი და-სკვნა, რომ ქართული ბიბლია გადმოთარგმნილია ბერძნული სექტანტი-სა ანუ 70 თარგმანთა ტექსტიდან და გასწორებულია შემდეგში სლავუ-

¹) Иерусалимскій Канонарь VII вѣка, груз. версія, Тифлисъ 1912 г.

რი ბიბლიის მიხედვითო. აღტერის შემდეგ ქართული ბიბლიის თარგმნის საკითხს შეეხო ჰოლმეზი თავის Praefatio ad Pentateuchum,¹ სადაც ის ამტკიცებს, რომ ქართული თარგმანი ძაან ახლოდგას ევრედწოდებულ editio Romana ან სიქსტინის გამოცემათა ტექსტთან, რომელთაც საფუძვლად უდევს შესანიშნავი ვატიკანის კოლექსიო. ამავე საკითხს მერე, შემთხვევით და არა სპეციალურად, შეეხო M. Brosset-ი,² რომლის აზრით ქართული ბიბლია, როგორც სლავურის, ნათარგმნია ბერძნული სეპტანტიდან. პროფ. ალ. ცაგარლის აზრით ქართული ბიბლია, ყოველ ეჭვს გარეშე, ნათარგმნია ბერძნული სეპტანტიდან, თუმცა მთარგმნელნი დროგამოშვებით, ალაგ-ალაგ, სომხურ ტექსტშიაც იხედებოდნენო.³ ქართული ბიბლიის ბერძნული ტექსტიდან თარგმნას თავგამოდებით იცავენ ადგილობრივი მკვლევარნიც შემდეგი დროისა. ამ საკითხის მეცნიერულად გადაწყვეტისათვის საჭიროა შემდეგი პირობება: 1) საფუძვლიანი ცოდნა ძველის, კლასიკური ეპოქის ქართულისა, აგრეთვე ებრაულის, ასურულის, სომხურის და ბერძნულისა. 2) ყოვლად შეუძლებელია ამათუიმ ტექსტთან შედარების დროს ვიხელმძღვანელოთ ქართული ნაბეჭდი ბიბლიის ტექსტით, არ შეიძლება აგრეთვე შესადარებლად ავილოთ დაბეჭდილი ტექსტი უცხო ბიბლიისა, უფრო კი სომხურისა და ასურულისა. საქმე ისაა, რომ ნაბეჭდი ტექსტი ქართულის თუ სომხურ-ასურული ბიბლიისა არ შეიცავს უცვლელად იმ ტექსტს, რომელიც ან რომლიდანაც სთარგმნეს თავდაპირველად ბიბლია ჩვენმა წინაპრებმა; ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ შემდეგ საუკუნეებში ქართული, ასურული და სომხური ბიბლია არაერთხელ შეუსწორებიათ ბერძნული ტექსტის მიხედვით, მაშასადამე, მეთოდოლოგიურად სწორი არ იქნება, თუ ეხლანდელს, რამდენჯერმე შესწორებულს ქართულ ტექსტს ჩვენ შეუდარებთ უძველესს ასურულ-სომხურსა. ან, პირიქით, ეხლანდელს ასურულ-სომხურს დაუპირდაპირებთ უძველეს ქართულ ტექსტს. ჩვენ უნდა ხელთა გქვონდეს უძველესი, თუ პირვანდელი არა. მასთან დაახლოვებული მაინც, ტექსტები, შეძლებისდაგვარად კრიტიკულად გამოცემული, ამ პირობებში შედარებაც მეცნიერული და მეთოდოლოგიურად მისაღები იქნება. ამგვარ მუშაობას ხელი

¹) Vetus Testamentum, c. 4.

²) Notice sur la Bible géorgienne imprimée à Moscou en 1742 an. Journ. Asiatiq. t. II, p 42-50.

³) Сѣхшшш... I, 13-17.

მოჰკიდა; უკანასკნელ დროს, ნ. მარჩმა, რომელიც, როგორც დიდი-ხნიდან დაინტერესებული ამ საკითხით, გავკრით არაერთხელ შეხება მას. უფრო გულდადებით ამ საკითხს ის შეეხო 1899 და 1903 წლებში, ათონსა და სინას მთაზე სამეცნიერო მოგზაურობის ანგარიშში, ხოლო სპეციალურად მისი რკვევა მან დაიწყო აკადემიურს ორგანო Христіанскій Востокъ-ში, სადაც ათავსებდა Замятки по текстамъ св. Писанія въ древнихъ переводахъ армянъ и грузинъ.¹ მკვლევარი შედარების პროცესს აწარმოებს უპირატესად უძველესი ტექსტების ფარგლებში და შემდეგ დასკვნამდე მიდის: თავდაპირველად, არაუადრეს მეხუთე საუკუნისა, ბიბლია ქართველებს უთარგმნიათ ეგრედწოდებულს სვან-მოსხურ დიალექტზე, რომელიც ამ დროს, თუ სრულიად არა, თვალსაჩინოდ მაინც გაქართებული იყო. ეს სვან-მოსხური დიალექტი შეიცავდა ელემენტებს, ლექსიკურსა და ფონეტიკურ-მორფოლოგიურს, აწ არარსებული მესხურის, აგრეთვე სვანურის, ქართულის და სომხური ენებისას; ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ქართული ბიბლიის უძველეს ტექსტებში ჩვენ ვპოულობთ როგორც სვანურს (მაგალ. ჰალიშის სახარება), ისე სომხურ სიტყვებს.² ჩვენთვის ამ შემთხვევაში იმდენად საინტერესო არაა ნ. მარჩის უაღრესად საეჭვო ჰიპოტეზა ჩვენი პირვანდელი ბიბლიის სვან-მოსხურობის შესახებ,³ რამდენადაც ის, რომ ენა, რომლიდანაც ქართული ბიბლია ითარგმნა თავდაპირველად, არის სომხური; ამას ამტკიცებს: 1) სომხური ფორმები საკუთარი სახელებისა, 2) მრავალი სომხური სიტყვა, უძველესად და უთარგმნელად გადმოტანილი სომხური ტექსტიდან, 3) სომხური კილოს ფრაზები და 4) სომხური ტექსტუალური ვარიანტები. ამ დებულებათა დასადასტურებლად მარჩს შეუდარებია სომხურ დედანთან მთლიანად შემდეგი წიგნები: გამოსლვათა, რუთი, ნეემია, ეზდრა, ქება-ქებათა, წინასწარმეტყველთა, სახარება ოთხთავი, დანარჩენი

¹) т. II, стр. 163—174, 263—274, 378—388, т. III. 249—262, т. IV, 229—245.

²) Христіанскій Востокъ, т. II, стр. 20—24, „Изъ поѣздки въ Сванію“. Грузинская поэма „Витязь въ Барсовой шкурѣ“ Шоты изъ Рустава и новая культурно-историческая проблема“, Извѣстія Академіи Наукъ 1917 г. стр. 439—442; „Къ датѣ эмиграціи Мосоховъ изъ Арменія въ Сванію“, Извѣстія Академіи Наукъ 1917 г. стр. 1689—1691.

³) ჯერჯერობით ამის შესახებ იხ. პროფ. ივ. ჯავახიშვილი: ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, ტფილ, უნი-ვერსიტეტი, II, გვ. 354—360.

წიგნებიდან სხვადასხვა ადგილები. მის მიერ განხილული ხელნაწერები შეიცავენ იმის დასამტკიცებელ საბუთებსაც, რომ ხელნაწერებში თავდაპირველი სომხური სიტყვები შემდეგი დროის შემსწორებელთ წაუშლიათ და ზემოდან დაუწერიათ ან ქართული ან ბერძნული შესატყვისები; მაგალითად, მათე XVIII, 24 სომხური ქანქარის მაგიერ ბერძნული ტალანტი, ანადა იმავე მათე V, 26 დანგისა კოტორი გადასწორებულია კოდრანტედ. თავდაპირველად სომხურიდან ნათარგმნ ბიბლიას ქართველები, ჯერ სომხებთან ერთად, და მერე, ელინოფილური მიმართულების დამკვიდრების შემდეგ, დაახლოვებით მეშვიდე საუკუნიდან, თვითონ, დამოუკიდებლივ, ბერძნული ტექსტის მიხედვით ასწორებენ. ამ გასწორებამ რამდენიმე საფეხური გაიარა და დასრულდა მხოლოდ მეთერთმეტე საუკუნეში, გიორგი მთაწმიდელის და ფერემ მცირის ხელქვეით.

ამნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ ქართული ბიბლია ორი ელემენტი-საგან შესდგება: სომხურისა და ბერძნულისაგან.¹

ბერძნული სექტანტა პირვანდელი სახით არ შენახულა, ის დაყოფილა სამ უმთავრეს რედაქციად; ბიბლიოლოგიის ყურადღება ეხლა მიქცეულია იქითკენ, რომ ეს თარგმანი როგორმე აღდგენილ იქმნეს, ამას კი შესაძლებლად სცნობენ სხვადასხვა ენაზე ნათარგმნ ტექსტთა მეოხებით, რომელთაც, უმეკველია, საფუძვლად დაედო ერთერთი ქვემოდასახელებულ სამ რედაქციათაგან; ეს რედაქციებია: ორიგენის ჰეგზაპლები, (Ἐξαπλά), რომე-

¹) სულ უკანასკნელ დროს ევროპაშიაც ცხოველი ინტერესი გაადვილა ქართულ ენაზე ბიბლიის თარგმნის საკითხში; ამ საკითხს წერილი უძღვნა 1904 წელს ჟურნალს Bessarione-ში, (ser. II, 6), ცნობილმა A. Palmieri-მ, რომელიც მთლიანად ეყარება ალ. ხახანაშვილის დაძველებულს, ტრადიციულს და ყალბ ცნობებს. უფრო ვრცლად და საფუძვლიანად საკითხი განიხილა Dr. Goussien-მა, რომელმაც 1906 წ. Oriens Christianus-ში (sechster Jahrgang) შოთაქეს წერილი: Die georgische Bibelübersetzung (S. 300-318); ავტორი ეყარება მხოლოდ და მხოლოდ ნ. მარჩის შრომებს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ქართული ბიბლია სომხურიდანაა ნათარგმნი. ამ გარემოებას ის იყენებს იმის დასამტკიცებელ საბუთად, რომ ქრისტიანობა და ეკლესიური ცხოვრება საქართველოში სომხეთიდან შემოვიდა. Goussien-ის აზრი 1910 წ. გაიშვრა T. Kluge-მ, რომელმაც დაუმტკიცა, რომ ქართული ბიბლია უთარგმნიათ არა მარტო სომხურიდან, არამედ შემდეგში (შეიძლება უფრო იტრუ) ბერძნულიდანაცო (Zeitschrift für die neutestamentliche Wissenschaft, 1910 Elfter Jahrg. Heft 2, S. 161-166). Kluge-ს აზრს ავრცობს და უფრო ასახულებს Dr. F. Gonybeare თავის სტატიაში The Georgian Version of the NT, რომელიც მან შოთაქეს იმავე წელს დასახელებული ჟურნალის მესამე ნაკვეთში, (S. 232-239). აზრი ქართული ბიბლიის სომხურიდან მომდინარეობის შესახებ საბოლოოდ განმტკიცდა შვ. როპაში და ის ადგალს კპოულობს ისეთ სახელმძღვანელოებშიაც კი, როგორცია, მაგალითად, პროფ. Her. Jordan-ის Geschichte der altchristlichen Literatur (1911), S. (434-435)

ლიც პალესტინაში იყო გავრცელებული, ლუკიანეს, ანტიოქიელი მღვდელ-მოწამისა მეოთხე საუკუნეში, რომელსაც ეწოდება *ἀδυσή* და მიღებული იყო ანტიოქიისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში, და ისევე ალექსანდრიელისა, რომელიც ალექსანდრიაში იყო მიღებული. ამ სამ რედაქციათაგან რომელს იღებდენ საფუძველად ქართული ბიბლიის ბერძნულ ტექსტის მიხედვით გასწორებისას? ვინაიდან ქართულ ეკლესიას იმთავითვე კავშირი ჰქონდა სირია-ანტიოქიასთან და VII—VIII საუკუნეებიდან კონსტანტინოპოლთანაც, სადაც მიღებული იყო ლუკიანეს რეცენზია, აპრიორულად შეიძლება ითქვას, რომ შესწორებლებს ხელთა ჰქონდათ ამ რეცენზიის ტექსტი. ამ მოსაზრებას თვით ქართული ტექსტის შესწავლა ამართლებს; 1899 წელს გამოვიდა რუსის მეცნიერის М. Благовѣщенскій-ის დისერტაცია „Книга Плачъ, Опытъ изслѣдованія исагогико-экзегетическаго“, რომელშიაც ავტორი ირკვევს იერემიას გოდებას. ავტორს შეუსწავლია ყველა თარგმანი ამ წიგნისა და, სხვათა შორის, ქართული ტექსტიც ათონის 978 წლის ბიბლიიდან; მას ქართული ტექსტი შეუდარებია სამივე რეცენზიისაჲვის და იმ უცილობელ დასკვნამდე მიდის, რომ ქართულ თარგმანს საფუძველად უდევს სომხური ტექსტი და ბერძნული ლუკიანეს რეცენზიითაო (стр. 192 — 221).¹

გარდა სეპტანტიისა, ესე იგი 70 მთარგმნელთა ტექსტისა, ბერძნულ ენაზე შემდეგშიაც უთარგმნიათ ებრაულიდან ბიბლია; ასეთ თარგმანთაგან ცნობილია მეორე საუკუნის სამი თარგმანი: აკვილასი, სვიმანხოსისა და თეოდოტიანესი. ბერძნული ბიბლიის ისტორიაში ამ თარგმანებსაც მნიშვნელობა ჰქონდათ; სეპტანტის ხელნაწერების აშე-ებზე, ამათუიმ ადგალის გასწვრივ, ხშირად ვხვდებით მინაწერებს იმის შესახებ, თუ როგორ იკითხება ეს ადკილი უკანასკნელ თარგმა-

¹) გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ჩვენში ორიგენის ჰეგზაპლებსაც იცნობდენ, ჯერ კიდევ მეათე საუკუნის გასლგამდე; შართლაც, არსენ იყალთოელი გიორგი მონაზონის „ზრონოდრაფის“ თარგმანში, მოიხსენებს რა ორიგენის „ექუსკეცად სახელდებულთა მათ წიგნთა“, ესე იგი — ჰეგზაპლებს, შენიშნავს სქოლიოში: „ექუსკეცად“ მათ წიგნთა იტყუს ორიგენისთა რომელთა ქართულად ექუსშთასაველედად“ იტყუან, ხოლო „ექუსშთასაველესა“ „ექუსკეცი“ უმართლედ არს, ვინამთგან ექუსგზის დაწერა ყოველი სიტყუაჲ მასვე და ერთსა წიგნსა შინა, და თუთ ბერძულად ცხადად „ექუსკეცი“ კრქან მათ წიგნთა, ხოლო „ექუსშთასაველი“ თუ სადამთ არს, არა ვიცი, ნუ უკუედ და სხუა რაიმელოსამე გარემოჲსა ვნისაგან“ (ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ზრონოდრაფი გიორგი შონოხანისა, გვ. 237), ზაშასადამე, მეთერთმეტე საუკუნემდე, როდესაც არსენი ამ სიტყუებს სწერდა, ორიგენის ჰეგზაპლები საქართველოში ცნობილი იყო „ექუსშთასაველედის“ სახელით, არსენს კი ამის ნაცვლად „ექუსკეცი“ შემოუღია.

ნებში. ქართული ბიბლიის ხელნაწერებიდან ჩანს, რომ, როდესაც ქართულ ტექსტს ბერძნულს უდარებდენ, ასეთი შენიშვნები ქართულშიაც გადმოჰქონდათ; ამით აიხსნება ის გარემოება, რომ, მაგალითად, 4 მეფეთა X, 30 აქვს აკვილას ვარიანტი (სიძვ. მუზ. №№ 570, 646), X, 27—სვიმახოსისა, XI, 4—აკვილა-სვიმახოსისა, XI, 8—აკვილასი, XI, 18 აკვილასი, XI, 19, აკვილასი, XII, 5—აკვილასი და სვიმახოსისა, XIV, 29—აკვილა-სვიმახოსისა, XV, 5—აკვილასი, XVII, 9—10—აკვილა-სვიმახოსისა, XVIII, 4—სვიმახოსისა¹ და სხვ.)

ერთერთ უმთავრეს ბიბლიოლოგიურ საკითხად ითვლება საკითხი საღმრთო წერილის კანონის შესახებ, ესე იგი—როგორ შეიქმნა კანონი, როდის დასრულდა ის და რა შემადგენლობისა იყო. აღნიშნული საკითხი ქართველებსაც აინტერესებდა და ისინიც თვალყურს ადევნებდენ მის ახსნა-განმარტებას. ყოველ შემთხვევაში მეორე პერიოდში ჩვენებს შეგნებული ჰქონიათ—რა არის კანონიური და არაკანონიური წიგნები. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ვკითხულობთ, რომ გრიგოლმა ახლისა შჯულის დაბეჭდულის წიგნი ზეპირით იცოდა და მრავალნი წიგნი ძუელისა და შჯულისანი: არამედ დაუბეჭდულის წმიდათა მოძღუართა თქმულნი აღურაცხულის წარმითქუმოდეს უწიგნოდ ენითა მისითა (გვ. ღთ); აქ დაბეჭდულად და დაუბეჭდულად იგულისხმება კანონიური და არაკანონიური წიგნები. საყურადღებოა ამ მხრივ სინას მთის ერთი ქართული ხელნაწერი მეათე საუკუნისა, სადაც ჩამოთვლილია „დაბეჭდულნი“ წიგნი ძველისა და ახალი აღთქმისა.² წიგნი ბეჭდულნი ძუელისა შჯულისანი: დაბადება, რომელ არს შობათა, გამოსჯათა, ღვეტიკლათა, რიცხუათა, მეორეს შჯული, ასუ ხაგსი, რუთისი, მეფეთა ა, ბ, გ, დ, ნეშტათა ა, ბ, კზრათ ბ, დანიუდი და ესთერ ბარტოკე, ფსალმუნათა, იგავათა და მრავალმსწავლელისა, ზირაქის წიგნი, ეკლესიასტ, ათარმეტთა წინააღმდეგეთა, ესაია, იერემიას, ბარუქ და გოდებანი, ეზეკიელი, იობი: ახლისა აღთქმისანი: სახარებათთხთავი მათე, მარკოზ, ლუკა და იოანე. ჰაელს ებისტოლს იდ, სსკმს მოციქულთა და კათოლიკენი.³ ხელნაწერში, რომელიც ასომთავრულადაა ნაწერი, შემდეგ ნუსხა ხუცურით შეტანილია შესწორებანი და დამატებანი; თვითონ ეს ნუსხა მეტად საყურადღებოა ჯერ ერთი მით, რომ აქ წიგნები ჩამოთვლილია არა საზოგადოდ მიღებული წესით, არამედ ცო-

1) მ. ჯანაშვილი, ნაშრომი III, გვ. 46—51.

2) ჩვენ ხელთი გვქონდა ნუსხა პროფ. ივ. ჯავახიშვილისა.

3) სინ. მთ. № 34, ფ. 203.

ტა არეულად, მეორე—დაბეჭდულ წიგნთა რიცხვში აქ შეტანილია წიგნი ზირაქისა და ბარუქისა, რომელნიც საზოგადოდ დაუბეჭდველად ითვლებიან, ხოლო ახალ აღთქმის წიგნთა შორის მოხსენებული არაა აპოკალიპსის ან გამოცხადება იოანესი, რომელიც ქართულად ითარგმნა მეთე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში მხოლოდ.

დასასრულ, საჭიროდ ვრაცხთ მოვიყვანოთ მოკლე ცნობები ქართული ბიბლიის გამოცემის შესახებ. მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, სანამ მთლიანი ბიბლია დაბეჭდებოდა, გამოიცა სხვადასხვა წიგნები მისი; მაგალითად, 1705 წელს მეფე არჩილმა მოსკოვის სახელმწიფო სტამბაში დაბეჭდა დავითნი, 1709 წელს ვახტანგ მეექვსემ დაბეჭდა ტფილისის სტამბაში სახარება, მღვდელმონაზონის ნიკოლოზ ორბელიანის მიერ გასწორებული, და სხვ. მთლიანი ბიბლიის გამოცემის თადარიგს შეუდგა არჩილ მეფე რუსეთში გადასახლების შემდეგ. მან შეაგროვა ქართული ნუსხები საღმრთო წერილის წიგნებისა, წესრიგში მოიყვანა ისინი, შეუდარა სლავურ ბიბლიას, მოსკოვში 1663 წელს გამოცემულს, საიდანაც მან ხელახლა გადმოთარგმნა ორი წიგნი: ისო ზირაქისა და მაკაბელთა, ვინაიდან ეს წიგნები ქართულ ენაზე არ აღმოჩნდა, და, სლავურისავე მიხედვით, თავებად დაყო ბიბლიური წიგნები. ამ შრომის დაბეჭდვა არჩილმა ვერ მოასწრო, იმით ისარგებლა ვახტანგ მეფემ და იქიდან თავის ტფილისელ სტამბაში დაბეჭდა დავითნი და წინასწარმეტყველთა წიგნები. ამ საქმის დაგვირგვინება იკისრა ვახტანგ მეფის შვილმა ბაქარმა, რომელმაც მიანდო თავის განათლებულსა და ნასწავლ ძმას, ვახუშტი ბატონიშვილს, გადაეთვალიერებია არჩილის შრომა, შეედარებია ის სლავურ ბიბლიისათვის და შეესწორებია ყველა დეფექტები, რაც არჩილის შრომას თანსდევდა. ვახუშტიმ ისეთივე ერთგულობა და ბეჯითობა გამოიჩინა ამ საქმეშიაც, რაც მას ყველგან და ყოველთვის ახასიათებდა; მან შეასწორა თითქმის ყველა წიგნები, ორი წიგნი—ივდითისა და ტობიასი, გადმოიღო ლათინური ვულგატიდან, წიგნები დაყო თავებად და მუხლებად სლავურის მიხედვით და მოამზადა დასაბეჭდად. ვინაიდან რუსეთის მთავრობამ ბაქარს არ მისცა საჭირო თანხა ამ მონუმენტალური ნაშრომის დასაბეჭდად, ბაქარმა თვით, საკუთარი ხარჯით, დაბეჭდა ის მოსკოვის მახლობელს სოფელ ვსესვიატსკოვში 1742—1743 წ.; ამ გამოცემას ეწოდება „ბაქარის ბიბლია“ ან მოსკოვის გამოცემა. მიუხედავად იმისა, რომ გამომცემლნი ყოველ ღონეს ჰხმარობდნენ გამოცემა უნაკლულო ყოფი-

ლიყო, მაინც ვერ აიცილეს თავიდან ზოგიერთი მსხვილი დეფექტები. ჯერ ერთი, ისინი მეტად მონურად მისდევდნენ სლავურ ტექსტს და ქართული ენის ბუნებას ხშირად ჰღალატობდნენ, მეორე, რაც უფრო სავალალოა, მათ სლავური ენა არც ისე ზედმიწევნით იცოდნენ, ამიტომ ზოგიერთი ადგილები ვერ გაუგიათ სისწორით; მაგალითად, *цвѣтъ польный* (ქება-ქებათაჲ II, 1) მათ გაუგიათ როგორც *полный* და, უგავილი ველისაჲ-მაგიერ, დაუბეჭდიათ უგავილი სავსე; 1 მეფ. XXVI. 1: და მოვიდეს ზეფეღნი ზნოინისა საუღისა მიმართ, რაც უღრის სლავურს *изыдоша зифли отъ знойныя къ Саулу*, ძველებური არმურის (სიძ. მუხ. № 51) მაგიერ. ისო ზირაქის XIII, 21 ეგრეც შესაწმეჯ არიან მდიდართა გლახანნი, გადმოუციათ ასე: ეგრეთვე ჰაჟითი¹ მდიდართა გლახანნი, ვინაიდან სლავურში არის: *также пажити богатымъ чюдзи*. ყოველ შემთხვევაში მოსკოვის ბიბლია მეტად მსხვილი და მნიშვნელოვანი ფაქტია ქართული მწერლობისა და კულტურის ისტორიაში.

1884 წელს ტფილისში, ექვთ. ხელაძის სტამბაში, დაიბეჭდა მეორედ იგივე მოსკოვის გამოცემა, რომელიც მას ბევრად ჩამორჩება უკან, ვინაიდან, მოსკოვის გამოცემის დეფექტებთან ერთად, იმაში ჩვენ ვხედავთ ახალს, კორექტურულსა და ნებსითი, შეცთომებს. კრიტიკული გამოცემა ძველი ქართული ბიბლიისა შეადგენს მორიგ კულტურულ საზრუნავ საგანს ქართული მწერლობისა და მეცნიერებისას.

1) 1884 წ. გამოცემაში შეუცვლიათ „საძულველ“-ად, რაც დედანს სულაც არ უღებო.

§ 2. აპოკრიფები.

წარმოძობა აპოკრიფული მწერლობისა.—ინდექსი ქართული აპოკრიფებისა შეათე საუკუნიდან.—განვითარება მისი შეზღვევა საუკუნეებში.—ძველი აღთქმის აპოკრიფები ქართულად: ადამის წიგნი და ეგრედწოდებული ნებროთის წიგნი.—ახალი აღთქმის აპოკრიფები: ლეთისმშობლისა და იესო ქრისტეს შესახებ; მოციქულთა აქტები: იოანესი, პეტრესი, თომასი, ანდრიასი, პავლესი, იაკობისი, მარკოზისი, ტიმოთესი.—აპოკრიფული ცხორება-მარტვილობანი.—აპოკრიფული შარგალიტი.—აპოკრიფული ელემენტები ევქოლოგონში.—

ბიბლიის დაბეჭდულსა და დაუბეჭდველს, ესე იგი კანონიურსა და არაკანონიურს, წიგნებთან დაკავშირებულია ეგრედწოდებული აპოკრიფები. ბიბლიაში ბევრი ამბავი და მოთხრობა ამათუიმ პირის შესახებ მხოლოდ აღნიშნულია, ასე ვთქვათ, დაწყებულია, და დამთავრებული არაა. ეს გარემოება საღმრთო წერილის წიგნების მკითხველებს ცნობისმოყვარეობას უღვიძებდა, მათში იწვევდა სურვილს—ამოვსებული ყოფილიყო როგორმე ბიბლიაში ის ცარიელი ადგილები, რომელიც მათ ცნობისმოყვარეობას ასე აღიზიანებდა. მაგალითად, თუ ავიღებთ იესო ქრისტეს ცხივრებას, 12 წლიდან მოყოლებული 30 წლამდე, როდესაც მან ნათელილო და საზოგადოებრივი სამსახურის ასპარეზზე გამოვიდა, მის შესახებ არაფერი არ ვიცით სახარებებიდან. მორწმუნეთა შორის იმთავითვე აღმოჩენილან ისეთები, რომელთაც მოუსურვებდათ ფარდის ახდა ამ საიდუმლოებით მოცული პერიოდისათვის და, ვინაიდან სხვა არავითარი წყარო მათ არა ჰქონდათ, საკუთარი ფანტაზიის წყალობით შეუთხზავთ მაცხოვრის ბავშობის თავგადასავალი. ამგზით წარმოიშვა განსაკუთრებული დარგი ეკლესიური მწერლობისა, რომელსაც აპოკრიფული მწერლობა ეწოდება. ეს დარგი ყველაზე უფრო განვითარდა მწვალებელთა შკოლებში; მწვალებლებმა აპოკრიფულ ნიადაგზე შექმნეს თავისებური რომანები და მოთხრობები, ადვილად საკითხავი და საინტერესო, რომლებშიაც მათ შეიტანეს თავიანთი ტენდენციები, აზრები და თეორიები. ვინაიდან ასეთ საინტერესო წიგნებს ხალხი ხარბად ეწაფებოდა, მწვალებელთა აზრები

ადვილად ვრცელდებოდა საზოგადოებაში; ამას ყურადღება მიაქცევს თავის დროზე ეკლესიის ოფიციალ წარმომადგენლებმა, რომელთაც მორწმუნეებს აღუკრძალეს ასეთი წიგნების კითხვა. რადგანაც ყველას არ შეეძლო ადვილად გაერჩია აპოკრიფული წიგნი ნამდვილისაგან, ბევრმა არ იცოდა — რომელი წიგნი აპოკრიფულია და რომელი არა, ეკლესია დროგამოშვებით აქვეყნებდა მორწმუნეთა და მკითხველთა საყურადღებოდ ინდექსს ან ნუსხას აპოკრიფული წიგნებისას. თვით სიტყვა აპოკრიფი წარმოდგება ბერძნული ἀποκρυφειν-აგან, რაც დაფარულს, საიდუმლოს ნიშნავს (მარკ. IV, 22, ლუკ. VIII, 17, კოლ. II, 3). ღვთისმშობლის შესახებ აპოკრიფში, რომელიც ქართულად ექვთიმე ათონელს უთარგმნია, ავტორი ამბობს, რომ ამ წიგნში მე ცოტა რამეს შემოვიტან იესო ქრისტეს ცხოვრების შესახებაც წმიდათა მახარებელთა და მოციქულთაგან, მკრმე წმიდათა და ღმერთშემოსილთა მამათაგან.... და რაფლენიმე დაფარულთა წერილთაგან თუ ვთქვათ, იგივე ჭეშარიტი და უცთომელ არს. რომელი.... მამათა შეიწინარეს და დაამტკიცეს, რამეთუ ესრეთ იტყვს ნეტარი გრიგოლ ნოსელი: ესრეთ აღმომავითხავს წიგნსა შინა დაფარულსა, ვითარმედ წარჩინებულ იყო მოქალაქობასა მას შინა რწმუნისასა და სახელფან ქვედის საქმიათა მამაჲ უოვლადწმიდისა ქაღწულისა მარამისი.¹ მეორე აპოკრიფის ბოლოში, რომელსაც ეწოდება საკითხავი აღამ და ევასი საშოთხით გამოსჯვისაჲ, ჩვენ ვკითხულობთ შემდეგს მინაწერს ქართველ მთარგმნელისას: ამას წიგნსა ეწოდების ბერძელად აპოკრიფთა, რომელ არს სამოქალაქობათა კითხვაჲ და არა უოვლისა ერისა საამჟრო უოვთაჲ, უცებთა და უმეტართა, არამედ უმეტრნიერთა, ვითარცა რწმუნისაჲ კანონი.² ამ ამონაწერებიდანა ჩანს, რომ ქართულად აღნიშნული დარგის მწერლობას ეწოდებოდა ან აპოკრიფთა, რაც ბერძნული სიტყვის ქართული გამოთქმაა, ანაღა, თარგმნით — დაფარული წიგნი; რომ ეს წიგნები ქართველთა შეგნებით, არ ყოფილა დანიშნული საჯარო საკითხავად, ყველა უმეტართა და შეუგნებელთათვის, არამედ მოძღვართათვის, ესე იგი იმათთვის, ვისაც შეეძლო მათი ჯეროვნად გაგება, მოხმარა და სხვათათვის გადაცემა.

აპოკრიფები ორგვარია: ძველისა და ახალი აღთქმისა; იმისდა მიხედვით — ეკლესიის ის ძველისა თუ ახალი აღთქმის ავტორს, ანა და ძველისა თუ ახალი აღთქმის ამბებს გადმოგვცემს. აპოკრიფული წიგნები

1) სიძვ. მუხ. № 153, გვ. 54.

2) სიძვ. მუხ. № 40, ფურც. 54-ბ.

და ადგენები მოიძებნება ჯერ კიდევ ბიბლიაში; დონ ბრუნო-
 ეულ ლაკომბი სთვლის ძველი აღთქმიდან 115 აპოკრიფს, ხოლო
 ახლიდან 99. ძველი აღთქმიდან აპოკრიფულად მიჩნეულია: მესამე და
 მეოთხე წიგნი ეზდრასი, მესამე და მეოთხე წიგნი მაკაბელთა, წიგნი
 ენუქისა, სოლომონის ფსალმუნები, იზბილეთა წიგნი, ანდერძი ათორ-
 მეტთა მამათმთავართა, ხილვა ისაიასი და სიბილას წიგნები. ახალი აღთქმის
 წიგნები ბევრია, და ისინი განიყოფებიან ოთხ კლასად: სახარებანი, საქმე
 მოკრძულთა, ეპისტოლენი და აპოკალიპსები. ამთ გარდა ბევრი აპოკრი-
 ფული თხზულება და თქმულება დაწერილა და შენახულა წმიდათა
 ცხოვრებიდან, სადაც ამათუიმ წმიდანის შესახებ ისეთი დაუჯერებე-
 ლი ამბებია გადმოცემული, რომ ზღაპარს მოაგონებს ადამიანს.

მოპეტებული ნაწილი ქართულ ენაზე შენახული აპოკრიფებისა არა
 გორ; დოკუმენტებიდანა ჩანს, ნათარგმნია ჩვენი მწერლობის პირველს
ორ პერიოდში, თუმცა—როდის ან ვისგან, —დანამდვილებით არ ვიცით;
 მაშასადამე, უკვე მეთე ს. უკუნემდე ჩვენ საკმაოდ მდიდარი აპოკრიფული
 მწერლობა გვქონია.

მეთე საუკუნის გასულს ეს დარგი მწერლობისა ქართველებს
 თეორიულად, მეცნიერულადაც კი აინტერესებდა. ამის დამამტკი-
 ცებელია, სხვათა შორის, ის პასუხი, რომელიც ექვთიმე ათონელს
 მიუცია ერთერთი პირის შეკითხვაზე ათონიდან საქაროველოში. ეს დო-
 კუმენტი გამოუცია პირველად მ. საბინინს შემდეგი სათაურით:
 თქმული წმიდისა მამისა ჩვენსა ევთიმისი მთაწმიდელისა.... ესე მცირედი
 კითხვა მიგებად მოსცა თეოდორე ხუცესსა საბაწმიდელსა, რომელ იუ-
 მდედელი კეთილი ქართველივე. ეს დოკუმენტი, საბინინის რედაქციით,
 ჩვენ ვიცით ორს სხვა ხელნაწერში სიძველ. მუზეუმისა: ერთი
 XVI ს. № 450, მეორე XIX ს. № 381, უკანასკნელს ბოლოში შე-
 ნიშნა აქვს: ესე კითხვა — მიგებად წმიდისა მამისა ევთიმე ქართველისაგან სა-
 თქუამი რუსეთში ენახა იერომონახს ტარასი აღქსაიჯს ერთს ძველს კელსაწერ
 კურთხევეანში, რთ ედიც უოფიჯიუთ რეისას დვთაებას კელესისას აკალიშვიდ. ს
 მწოფლისაგან დადგუჲდი და მეფეს არჩილს გადაჭეოდა და რესესას და იქი
 დამ გადმოეწერა.² მეორე რედაქცია ამ დოკუმენტისა, რომელიც პირვე-

1) საქართვ. სამოთხე, გვ. 432—436.

2) К. Кекелидзе, Древне-грузинский Архивариатиконъ, стр. VI, прим. 1.

ლად ხელში ჰქონია განსვენებულ დ. ბაქრაძეს¹ და დაწერილია ტყაუზე მეცამეტე საუკუნეში, გამოუცია თ. ჟორდანიას.² ამ ორ რედაქციათა შორის თვალსაჩინო განსხვავებაა როგორც შინაარსის, ისე ადრესატის სახელის მხრივ. ადრესატი ეს, საბინინის რედაქციით, არის ხუცესი ან მღვდელი თეოდორე საბაწმიდელი,³ ბაქრაძე-ჟორდანიას რედაქციით კი — „დიდი ბერი გიორგი“. უკანასკნელი უფრო უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს და, თუ მხედველობაში მივიღებთ სიტყვებს: მოეწერა შუნით (ესე იგი ჰყონდიდით) სტეფანე ებისკოპოსსა, ჰყონდიდელსა, — გიორგი ბერი უნდა იყოს; როგორც ჟორდანიას სამართლიანად ჰფიქრობს, გიორგი ჰყონდიდელი. ამ გიორგის, მაშასადამე, ჰყონდიდიდან ათონზე წერილი მიუწერია ექვთიმესათვის და უთხოვია განმარტება, რასაკვირველია, — ბერძნული პრაქტიკის მიხედვით, ზოგიერთი საცილობელი და საკამათო ლიტურგიკული და სამონასტრო-ღისციპლინარული საკითხებისა, რომელნიც, ჩანს, მაშინ საქართველოში გაუგებრობას იწვევდენ; ეს მომხდარა, როგორც დოკუმენტიდანა ჩანს, იოანე ათონელის გარდაცვალებიდან, ესე იგი 998 წლიდან, შემდგომად მრავლისა უპისა, მაშასადამე — მეთერთმეტე საუკუნის პირველ მეოთხედში; ექვთიმეს თავის მოვალეობად ჩაუთვლია პასუხი გაეცა ამ შეკითხვაზე. საბინინის რედაქციაში ეს დოკუმენტი მოყვანილია კითხვა-მიგების სახით, ესე იგი ჯერ მოყვანილია გიორგის კითხვა, მერე ექვთიმეს პასუხი; ბაქრაძე-ჟორდანიას რედაქციაში კი — მართო ექვთიმეს საპასუხო წერილია. გიორგი პირველად ყოვლისა ექვთიმეს აძლევს სწორედ იმ ისტორიო-სალიტერატურო შეკითხვას, რომელიც აშკამად ჩვენ გვაინტერესებს; ის სწერს: გვედრები შენ, ღმერთშემოსილო მამაო, მაუწყე თუ რთმელნი წიგნნი არიან, რომელთა იგი წმიდაჲ კათალიკე ეკლესიას არა შეიწყნარებს. აი პასუხი ექვთიმესი, რომელსაც ჩვენ ორივე რედაქციით მოვიყვანთ:

1) საქართველოს ისტორია, გვ. 134, შენ. 1.

2) ქრონიკები II, 82—88.

3) საბაწმიდის მონასტერი უფილა კახეთში ანაგასა და კარდანას შუა.

ს ა ბ ი ნ ი ნ ი :

ბ ა ჯ რ ა მ ე - უ მ რ დ ა ნ ი ა .

„წიგნნი, რომელთა კათოლიკე ეკლესიაჲ არა შეიწინარებს, არიან უოველნი, რომელნი მწვალებელთა მიერ აღიწერნეს: ორაგინე მწვალებელსა მრავალნი წიგნები აღუწერია და არა შესაწინარებელ არს. და გუაღად ევსკვი ზამოილელისა წიგნი არს, მრავალთა რათამე საქმეთა და თხრობათა წარმოიტყუეს თვითასხეთა, რომელ მრავლითა ფილასოფოსობითა დაწერილ არს იგი, არამედ წვალებანი მრავალი ჩაურთავნ მასვე და ამისთვის არ შეიწინარებს ეკლესიაჲ; იგი ქართულად ვისმე უთარგმნია და უწინარეს მრავლისა ჟამისა, სიტოცხელსა ნეტარისა მამისა ჩუენისა ითანესა, მაკწერა ქართლით სტიფანე გუიკუ ზოსსა ჭყონდიდისასა და კეითსა, ვითამედ შესაწინარებელ არსა ვითხვად წიგნისა ამის ანუ თუ არა? ხოლო ჩუენ მიუწერათ მის ვითარმედ არა შესაწინარებელ არს, მაგრა კარგნიცა საქმენი მრავალნი სწერიან, გარნა ღუარძლნიცა წვალებისათნა შთაურთავს და მით უხმარ არა იგი. და ვითარმედ „ანტიოქიისა მოქცევაჲ“ არა შესაწინარებელ არს, კემმარიტი „ანტიოქიისა მოქცევაჲ“ იგი არს, ვითარცა კლემენტის იტრუს. და „ზავდეს ცათა. მახილვაჲ“ სტუეარივე არს. და სხუაჲ რადმე, რომელსა შინა წერილ არს თუ „თომას სახარებაჲ“, იგიცა უცხოვე არს ეკლესიისაგან. და წიგნი „ანაკროფა“ უცხოთა რათამე საქმეთა მეტუეულებს და ეკლესიაჲ საბერძნეთისაჲ არა შეიწინარებს. და

წიგნნი, რომელთა ეკლესიაჲ არა შეიწინარებს, არიან უოველნი, რომელნი მწვალებელთა მიერ აღიწერნეს. ოროგინეს მწვალებელსა წიგნი დაუწერა და არა შეიწინარებს ეკლესიაჲ. ევსკვი ზამოილელი წიგნი არა და მრავალთა საქმეთა წარმოიტყუეს და თხრობათა თვითასხეთა, ფილასოფოსობითა დაწერილი, გარნა წვალებანი ჩაურთავნ, ამისთვის არა შეიწინარებს ეკლესიაჲ. იგი ქართულად უთარგმნია და უწინარეს მრავლისა ჟამისა, სიტოცხელსა მამისა ჩუენისა. მაკწერა მუნით სტიფანეებისკანთოსსა და კეითსა, თუ შესაწინარებელ არს; კარგიცა მრავალი სწერია, გარნა ღუარძლიცა მრავალი ჩაურთავს და მით უხმარ არს. „ანტიოქიისა მოქცევაჲ“ არა შესაწინარებელ არს და სხუაჲ რადმე არს [რომელსა შინა სწერია] თუ [თომას სახარებაჲ] იგიცა უცხოვე არს. წიგნი, რომელსა „ანაკროფა“ ჰქვან, ვჰგონებ თუ წვალებელსა ცხელი რადმე სწერია; გარნა უცხოთა რათამე საქმეთა მეტუეუელ არს და ეკლესიაჲ საბერძნეთისაჲ არა შეი-

სხუად რადმე არს „ადამის ცხოვრებად“ და არც მას მიითუაღვს ეკლესიად. და ვითარმედ სხუად არს წიგნი „სიერმე უფლისად“ და არც იგი შესაწინარებელ არს. და „მოციქულთა ცხოვრებანი“ რომელნიმე გარეუნილ არიან მწვალებელთაგან: წმიდისა მათე მახარებელისად და წმიდისა ანდრიასი. კუალად წმიდისა გიორგისა არს წამება უცხო და უცხონი რადმე საქმენი სწერიან, რომელსა „დადიანესი“ ეწოდების, ხოლო წამებაჲ ჭეშმარიტი წმიდისა გიორგისა, რომელი ეკლესიათა შინა იკითხვების, იგი არს, რომელი დეოკლიტიანეს მიერ იწამა. და წმიდისა კრიკოს წამებაჲ, ვითარმედ სხუათა ვიეთმე დასწერეს წამებაჲ კრიკოსი, უცხოჲ სჯულისგან ქრისტიანეთასა. და სხუანი რომელი ესევითარიმე ნატეუარნი, მრავალ არიან სახელები მათნი, არა საკმარ არს ესევითარი აწ რომელიმე სხუათა მწვალებელთა დაუწერია და თუთუე სცნაურ არს. ხოლო ესე მოციქულთა და მოწამეთაჲ მას დაწეულსა ივლიანეს, ვითარცა იყო მტერი უფლისა და ეოველთა წმიდათა, მან გარეუნი, რათამცა ნაცილად შერაცხნეს უოველნი და არამცა ვის სარწმუნო უნდა წამებაჲ წმიდათა მოციქულთაჲ გინა, თუ მოწამეთაჲ, არამედ უთაღმან ჩუენმან იესო ქრისტემან სახელი მათი აქკოცა; ხოლო წმიდათა საკსენებელი ვითარცა მხე გამოაბრწეინვა უოველსა სოთუელსა შინა, რომელთა თანა არსმცა ნაწილი და სამკვდრებელი შენი და ჩუენი წმიდაო მამაო“.

წინარებს. და სხუად რადმე არს „ადამის ცხოვრებად“ და არც მას შეიწინარებს. და სხუად არს წიგნი „სიერმე უფლისად“, და არც მას შეიწინარებს. და მოციქულთა ცხოვრებანი ზოგნი განრეუნილნი არიან მწვალებელთაგან: წმიდისა მათე მახარებელისა სხუად რადმე არს და წმიდისა ანდრიასი. წმიდისა გიორგისი არს წამებაჲ ჭეშმარიტი, რომელი ეკლესიათა შინა იკითხვების, და კუალად სხუად რადმე არს უცხოჲ და უცხონი რადმე საქმენი სწერიან და არა შესაწინარებელ არს. და წმიდისა კრიკოს წამებასა სწერია, ვითარმედ სხუად ვიეთმე დასწერეს წამებაჲ, უცხოჲ ქრისტიანეთა წესისგან, და სხუანი ესევითარნი რადმე ნატეუარნი, ზოგისა სახელები არა ვიცი.

აწ ესევითარიმე, რომელი სხუათა მწვალებელთა დაუწერია, იგი თუთ სცნან რად არიან. ესე კულა მოციქულთა და მოწამეთაჲ მას წეულსა ივლიანეს განზრახვით განურეუნიან, რათამცა უოველი ნაცილად შეჭრაცხეს და აღარამცა სარწმუნო უნდაეს წამებანი წმიდათანი, გინა მოციქულთანი. გარნა უთაღმან მისი საკსენებელი აღკოცა და წმიდათა სახელები ბრწეინაგენ ვითარცა მხე“

ამ დოკუმენტში დასახელებულია 11 თხზულება, რომელთაც, ექვთიმეს სიტყვით, ეკლესია არ შეიწყნარებს. ესენია: 1) დრიკანის და 2) ეესკეი ჰამფილის ან ჰამფილელის თხზულებანი; ესენი სიაში მოყოლილან როგორც მწვალებლობის ღვარძლით აღსავსე. მართლაც, ძველს ეკლესიურს მწერლობაში, მაგალითად, ვგრედწოდებულს გელასი პაპის დეკრეტალებში, აპოკრიფულ წიგნებად მიჩნეულია მწვალებელთა თხზულებანიც.¹ 3) ანტიოქიის მოქცევაჲ, 4) ჰაჟლეს ცათა მოხილვაჲ, რომელსაც ბაქრაძე-ჟორდანიას რედაქცია არ იხსენიებს, შეიძლება იქ გადამწერლის მიერ იყოს გამოტოვებული; 5) თომას სხარებაჲ, 6) წიგნი აბაკროფა ანუ აბუკაროვა, რომელიც უცხოთა საქმეთა მეტყუეჲ არს. რა წიგნი უნდა იყოს ეს წიგნი, რომლის სახელწოდებაში ჩვენ გვაქვს ბერძნული სიტყვა ἀποκρυφως, წარმოადგენდა ის სხვადასხვა აპოკრიფთა კრებულს, თუ აქ იგულისხმება ერთი რომელიმე აპოკრიფი? აკად. ნ. მარრი სამართლიანად უნდა ჰფიქრობდეს, როდესაც ამბობს, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ერთერთ აპოკრიფული წიგნის სპეციალურ სახელწოდებასთან.² ეს აპოკრიფი, რომელმაც სახელი მისცა მთელს წიგნს, უნდა იყოს კარგად ცნობილი ეკლესიური მწერლობის ისტორიაში. ცხოვრება ანდრია სალოისისაჲ,³ რომელსაც სიძვ. მუზ. ხელნ. № 311, შემდეგი შენიშვნა აქვს: ამა წიგნსა ეწოდების ბერძნულად აბაკროფა. ანდრია სალოისი იყო მოდგაწე X საუკუნისა, გარდაიცვალა ის 936-960 წლებში; მისი ცხოვრება დაუწერია მეთე საუკუნის გასულს მის მოწაფეს ნიკიფორე ხუცესს, მაგრამ მას ის არ გამოუქვეყნებია; მის შემდეგ ეს ნაშრომი ხელში ჩაეარდნია ვილაც უცნობს, რომელსაც შიგ შეუტანია ბევრი აპოკრიფული ელემენტი, ასე რომ ნიკოლიმე მთაწმიდელი თავის თხზულებაში სჯნაქსარისტი, 28 მაისის ქვეშ, პირდაპირ შენიშნავს, რომ ამ ცხოვრებაში ბევრი რამ ძნელად მისაღებიაო (δυσπαράδεχτα). მართლაც, აქ ჩვენ გვაქვს ვრცელი აღწერილობა სამოთხისა სხვადასხვა გრძნობადი სურათებით, აგრეთვე წინასწარმეტყველება ქვეყნის აღსასრულის შესახებ, რომელიც მოგვაგონებს მეთოდი პატრელისა და დანიელ წინასწარმეტყველის ხილვას. ანდრიას სწავს,

1) Thiel, Epist. Rom. Pont. t. 1, p. 462-469. Mansi, Conc. ann. 494, t. VIII, col. 165-172.

2) Армяно-грузинские материалы для истории душеполезной повѣсти о Варлаамѣ и Іоасафѣ, Зап. Восточ. Отдѣл. Русскаго Археол. Общ. т. XI, стр. 53, прим. 1.

3) სიძვ. მუზ. №№ 311, 794, 332, იერუს. ხელნ. № 26, წ.-კით. ხელნ. №№ 244, 1117, 1498, 3635, 3636 და სხვ.

რომ ენუქი, ილია და იოანე ღვთისმეტყველი არ მომკვდა¹ ან, ისინი ჯერ კიდევ ქვეყნად იმყოფებიან და მეორედ მოსლვის წინ გამოჩნდებიანო, აგრეთვე ისიც, რომ კონსტანტინოპოლს მტრები ვერ აიღებენ, ქვეყანა იარსებებს მხოლოდ 7000 წ. და სხვა ამგვარი რამ.¹ სწორედ იმ დროს, როდესაც ექვთიმე თავის საპასუხო წერილს სწერდა ქართულ აღრესატს, ბიზანტიაში დიდი მითქმა-მოთქმა იყო ამ წიგნის შესახებ და ამ მითქმა-მოთქმის უშუალო ზეგავლენით ის აუცილებლივ მოიხსენებდა აღნიშნულ თხზულებასაც, რომელიც, ექვთიმეს გაფრთხილების მიუხედავად, ქართულად მაინც უთარგმნიათ, და უთარგმნიათ, სტილის მიხედვით, იმავე ათონის ლიტერატურულ სკოლაში ექვთიმეს სიკოცხლეშივე; ეს იქიდანა ჩანს, რომ მკლქისედევ კათოლიკოზი თავის 1020 წლის სიგელში იმ წიგნთა შორის, რომელნიც მას მცხეთისათვის შეუწირავს, სხვათა შორის ანდრია სალოსის წიგნსაც აღნიშნავს,² 7) ადამის ცხოვრებაჲ, 8) სიერმე უფდისაჲ, 9) შოტქიქლთა ცხოვრებანი, სახელდობრ: მათე მახარებელისა და ანდრიაისი; 10) წამებაჲ წმიდასა კიორგასი, რომელსაც, საბინინის რედაქციით, დადიან ესი ეწოდების. 11) წამებაჲ წმიდისა კარაიკისი. აქ ჩამოთვლილ აპოკრიფთაგან ზოგი უკვე ექვთიმეს დროსვე ყოფილა ქართულად ნათარგმნი, როგორც, მაგალითად, ევსევი პამფილის თხზულებანი, რომელთა შესახებ სტეფანე ჭყონდიდელს, ჩვენი გამოკვლევით, სანანოაქძეს, ცნობილ მთარგმნელსა და ჰიპნოგრაფს,³ ჯერ კიდევ იოანე ათონელის დროს ჰქონია მთაწმიდელბთან მიწერ-მოწერა, ზოგი კი არა; მაგალითად, ჩვენ უკვე ვთქვით, რომ წიგნი აპოკოროფა—ანდრია სალოსის ცხოვრება, მის მერმეა ნათარგმნი; მის შემდეგვეა ნათარგმნი აგრეთვე წმიდა გიორგის წამება, რომელსაც „დადიანესი“ ეწოდება. მაშასადამე, არც გიორგი ჭყონდიდელს, როდესაც ის ექვთიმეს შეკითხვას აძლევდა, არც ექვთიმეს, როდესაც პასუხს ამხადებდა, მხედველობაში არ ჰქონიათ ქართულ ენაზე არსებულ აპოკრიფთა სია, იმათ ჰსურდათ გაერკვიათ—რა წიგნებს არ იწყნარებს კათოლიკე, ან უფრო კონკრეტულად, ბიზანტიის ეკლესია. ბერძნული დედანი ექვთიმეს ინდექსისა, როგორცა ჩანს, მონათესავე ყოფილა პაპი გელასის ინდექსის დედნისა.⁴

1) Arch. Sergii, Sviatyy Andrey Khrista radi iurilichnyy i pravdnyy Pokrova presvetya Bogoroditsy, Strannikъ 1898 г. Сентябрь стр. 28—32.

2) თ. კორღაძის, ქრონიკები I. 183.

3) Monumenta hagiographica Georgica t. I. p. XIII—XIV. იხილვ ზემოთვე 176—178.

4) Richter, Corpus jur canonici, Lipsiae 1836.

ქართული აპოკრიფული მწერლობის განვითარება პირველს ორ პერიოდში არ დამთავრებულა; მიუხედავად რმ კრიტიკული ნაკადისა, რომელსაც გზა გაუკაფა ამ დარგში ექვთიმეს ზემოყვანილმა პასუხმა, აპოკრიფები მათე საუკუნის შემდეგაც ითარგმნებიან ჩვენში.

საკვირველი ისაა, რომ ექვთიმე ათონელს, რომელიც სხვებს აფრახლებდა, თვითონ შესამჩნევი კვალი დაუტოვებია აპოკრიფული ლიტერატურის განვითარებაში ქართულ ენაზე; მის მოღვაწეობას ამ მხრივ ჩვენ უკვე შევხებით თავის ალაგას, სადაც აღენიშნეთ ექვსამდე აპოკრიფი, ექვთიმეს მიერ გადმოთარგმნილი. უთარგმნია ორიოდე აპოკრაფი აგრეთვე გიორგია მთაწმიდელსაც, როგორც ზემოთ დავინახეთ. უთარგმნიათ აპოკრიფები მეთორმეტე საუკუნეშიც, მაგალითად, პეტრიწონის ლიტერატურული შკოლის ერთერთ მიმდევართაგანს გადმოუთარგმნია წმ. გიორგის ცხოვრება, დადიანების სახელით ცნობილი, რომელიც მოთავსებულია გელათის მეტაფრასტულ კრებულში № 7, ფ. 320—340. ის აპოკრიფები, რომელნიც თავდაპირველად ლიტერატურული გზით წარმოიშვა, შემდეგ დროში, განსაკუთრებით საშუალო საუკუნეებში, ზეპირგადმოცემაში და თქმულებაში თავის პირვანდელ სახეს ჰკარგავენ და მრავალი ვარიაციებით ვრცელდებიან; ბოლოს ეს ვარიაციებიც ჩაიწერა. XVIII—XIX საუკუნეში ქართულად უთარგმნიათ სომხური ენიდან მრავალი აპოკრიფული ვარიანტები ძველი და ახალი აღთქმის სიუჟეტებისა, მაგალითად კაინის მიერ აბელის მოკლეა, სეთის შობა, ნოეს კიდობნის აშენება, წარდენა, სოლომონ მეფე, აბრამიანი და სხვ. ამ მხრივ ცნობილია, მაგალითად, დონი თეოს ნეკრესელი, რომელსაც სომხურადან უთარგმნია სიერმე უფლისა.¹ ეხლა ჩვენ შევუდგებით იმის მიმოხილვას, თუ რა აპოკრიფები ყოფილა ქართულად ნათარგმნი.

ბიბლიური წიგნებიდან, რომელნიც აპოკრიფებად არიან ცნობილნი, მაკაბელთა წიგნები, საფიქრებელია, ქართულად არასდროს არ ყოფილა თარგმნილი, ვინაიდან მოსკოვის ბიბლიის გამომცემელნი იძულებულნი იყვნენ თვით კანონიური წიგნი მაკაბელთა სლავური ენიდან უთარგმნათ. რაც შეეხება მესამე და მეოთხე წიგნს ეზდრასას, რომელთაგან პირველი დაწერილია ქრისტეს დაბადებამდე მეორე საუკუნეში, ხოლო მეორე — ქრისტეს შემდეგ მეოთხეში, — იმათ ჩვენ ვხვდებით ჯერ კიდევ „იერუ-

¹) А. Хахановъ, Очерки по истории грузинской словесности, вып. I, стр. 165—181, вып. III, стр. 396—420.

სალიმის წინასწარმეტყველთა“ კრებულში და მერე ათონის 978 წლის ბიბლიაში „წიგნი ეზდრა სალათიელისა“-ს სათაურით; ეს წიგნი ნ. მარჩის აზრით, რომელსაც ის გადმოუწერია და შეუსწავლია, ნათარგმნია არაუგვიანეს მეშვიდე საუკუნისა სომხური ენიდან.¹

ძველი აღთქმის აპოკრიფთაგან ჩვენამდე შენახულა საკითხვა ადამ დაქვისი სამოთხით გამოსაფრისაჲ, რომელიც იწყება ასე: და იყო გამოვიდა ადამ და ევა, ცოლი მისი, სამოთხით გამოვიდეს, სამოთხის აღმოსაფრეთით კერძო ქმნა ადამ ტაფარი საუღელდად იჯსა.² აქ ჩვენ საქმე გვაქვს იმ. აპოკრიფთან, რომელიც ცნობილია ადამის წიგნის ან ადამის ცხოვრების სახელით და რომელიც გადმოვეცემს ადამისა და ევას შეცოდების შემდეგ სამოთხიდან გამოძევებას, შვილების გაჩენას, კაინის მიერ აბელის მოკლვას, ადამის სიკვდილს და დასაფლავებას. ✠

დედანი ამ აპოკრიფისა, რომელსაც ბერძნულად ეწოდება *Διήγησις και παλαιά και Ἄνεξι Εὐαγγ τῶν παροπληστων*,³ სხვადასხვა ვარიაციებით წარმოდგენილია მრავალ ერთა საქრისტიანო მწერლობაში, მაგალითად, ლათინურში,⁴ ძველს სლავურში⁵ და სომხურში;⁶ გერმანული თარგმანი ამ რეცენზიებისა გამოსცა პრაფ. Kautzsch-მა.⁷ ქართული თარგმანი წარმოდგენს შეზავებულ რედაქციას, რომელსაც საფუძვლად უდევს ტიშენდორფის ბერძნული და მეიერის ლათინური რეცენზია, თავში ის მისდევს თითქმის სიტყვა-სიტყვით ლათინური ტექსტის 1—44 §§-ს,⁸ გამოტოვებულია მხოლოდ §§ 25—29, მერმე კი ბოლომდე—ბერძნულს რეცენზიას,⁹ მხოლოდ ბოლო აპოკრიფისა, სადაც მოახრობილია ევას აღსასრული და დასაფლავება (§§ 42—43), ქართულში უფრო მოკლედაა გადმოცემული. ამ აპოკრიფში ჩვენ უნდა გვქონდეს ექვთიმე ათონელის მიერ დასახელებული ადამის ცხოვრებაჲ, რომელ-

¹) Предварительный отчетъ о работахъ на Синаѣ и въ Иерусалимѣ..., стр. 14—15.

²) სიძ. მუხ. № 153, 1—54.

³) Tischendorf, Theologische Studien und Kritiken, 1851, I, 432—439.

⁴) W. Meyer, Abhan. d. bayr. Ak. d. Wissen., philol.-philos. Kl. XIV, 3, 1875, 185 ff.

⁵) Jagie, Denkschr. d. Wien. Ak. d. Wissen., phil.-hist. Kl. XLII, 1893, 1 ff. Н. Тихонравова, Памятники отреченной русской литературы, I, 1—15, 298—304.

⁶) Conybear, Jewisch Quart. Rev. VII, 1895, 216 ff.

⁷) Die Apokryphen und Pseudepigraphen des Alten Testaments, II, 506—528, Tübingen 1909.

⁸) Kautzsch, S. 512—520.

⁹) Tischendorf, §§ 15—43.

საც, მისი სიტყვით, ეკლესია არ შეიწყნარებს. მისი არქაიზმები გვაფიქრებინებს, რომ ის ნათარგმნია მეათე საუკუნემდე, შეიძლება სომხური ენიდანაც, ვინაიდან ზოგიერთ შემთხვევებში ის უახლოვდება სომხურ ვერსიას იმ ადგილებში, რომლებშიაც ის განსხვავდება ბერძნულ-ლათინური რედაქციებისაგან. ამ აპოკრიფიდან უნდა მომდინარეობდეს ის ვერსიები კაინის მიერ აბელის მოკლვისა და სეთის შობის შესახებ თქმულებათა, რომლებიც ქართულს მწერლობაში ჩნდება სომხური ენიდან XVIII - XIX საუკ.¹

მეორე აპოკრიფი, რომელიც ქართულ მწერლობაში შენახულა და ძველი აღთქმის ამბებს ეხება, არის თქმუფი წმიდისა მამისა ჩუენისა ეფრემისა, —თარგმანი დაბადებისათჳს ცისა და ქვეყანასა და აღმისათჳს, ვითარ მისცუადეს გუამი მისი და დამარხეს გოლგოთას, და ცუადებაჲ ნათესავთაჲ, ვითარ ვპოეთ ნათესაობაჲ ქრისტესი კორცითა, ვითარცა წერილ არს სახარებასა ლუკას თავსა, აღაშისგან ეფრემთა მამათა, ვიდრე ქრისტესამდე უფლისა და ღმრთისა ჩუენისა. ამ აპოკრიფს კავშირი აქვს ეგრედწოდებულს ნებროთის წიგნთან, რომლის არსებობას დატინებით უსვამენ ხაზს ზოგიერთი ჩვენი წყაროები და რომელიც ჯერჯერობით არავის უნახავს² და არავის წაუკითხავს, ამიტომ ამ ნაწარმოებთან ერთად განვიხილავთ. დაბადებაში, იმ ადგილას, სადაც ჩამოთვლილია წარღვნის შემდეგ ნოეს შვილთა შთამომავლობა, ნათქვამია, რომ ქამის შვილმა ხუსმა შვა ნებრო: ამან იწყო გმირუფად ქვეყანასა ზედა; ესე იყო გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღმრთისა, ამისთჳს თქუეს, რამეთუ ნებროთ გმირი მონადირე წინაშე უფლისა. და იქმნა დასაბამ მეფობისა მისისა: ბაბილოვანა, თრეკი, არქადი და ხლანი, ქვეყანა სენარასა. ქვეყანისა მისგან გამოვიდა ასურ და აღაშენა ნინევი და ქალაქი რამოთი და ხლანი და დასენი საშუალ ნინევისა და საშუალ ხლანისა; ესე არს ქალაქი დიდი (შესაქმეთა, თავი X, მუხლი 8—12). ეს ნებროთი, რომელიც, როგორც ნათქვამიდანა ჩანს, ყოფილა გმირი, მონადირე და პირველი მეფე ქვეყანაზე და რომლის სამეფო შეიცავდა მთელ შთამდინარეთს ან მესოპოტამიას, არაიშვიათად იხსენიება ხოლმე სხვადასხვა ბიბლიურ თქმულებათა ნიადაგზე აღმოცენებულ აპოკრიფებ-

¹) А. Хахановъ, Очерки по исторіи грузинской словесности, вып. I, стр. 165--170.

²) ის არ უნახავს არც ზ. კიკინაძეს, რომელიც ვითომცა პლ. იოსელიანს დაუარწმუნებია, რომ „ნებროთინი“ მეთორმეტე საუკუნის ნახევარს უნდა იყოს დაწერილი (ქართული მწერლობა XIII—XVI საუკ. გვ. 14); ეს საეჭვოა. სხვა არი იყოს, იმიტომ, რომ ამ წიგნს უკვე მეთერთმეტე საუკუნის ისტორიკოსი ასახელებს.

ში.¹ კერძოდ ძველი ქართული მწერლობა გვამცნებს, რომ თითქოს არსებობდა საგანგებო ნებროთის წიგნი ან, მოკლედ, ნებროთიანი. ისტორიკოსი ლეონტი მროველი მეფეთა ცხოვრებაში გადმოგვცემს, რომ, როდესაც წმიდა ნინო მითხრა მეფე მირიანს მაცხოვრის გამოჩინება, მისი სწავლა და ცხოვრება, მირიან შეუე განკურდა და იწყო გამოძიებად სჯულს ქრისტესს და მარადის ჰქითხვენ ჰქურთაფთილს მას აბათარს, [მოძღვარს] ძუელთა და ახალთა წიგნთასა, და იგი აუწუებდა უგუელს. და წიგნიც, რომელი ჰქინდა მირიან შეუესა, ნებროთისი, მას წიგნს შინა ჰოვა წერილი ესრეთ: აღშენებას მას გადღისასა გმიყო ზეცით ნებროთის მიმართ, რომელი [ეტყოდა]: შე ვარ მიქაელ, რომელი დადგინებულ ვარ ღმრთის მაერ მთავრობასა ზედა აღმოსავლისასა; განუდ ქალაქით მაგიო; რამეთუ ღმრთი დაჰუარავს, ხოლო უკუანაღსკნელთა უამთა მოვიდეს შეუე იგი ცისა, რომლისა შენ გნებას ხელდა, შეურაცხი ერსა შორის შეურაცხსა; შიშინ მისმან განაქარვნეს გემონა სოფლისანი, შეუენი დაუტობდენ შეუობასა და ეძიებდენ სიგლასაკესა, მან გიხილოს ჰირსა შინა და გიკნას შენ. მასინ გულის-ხმა უო შეუემან მირიან, რამეთუ ძუელნი წიგნი და ახალნი ემოწებოდეს და ნებროთის წიგნიცა დაამტკიცებდა, და შკეკმნა სურვილი ქრისტეს სჯულისა.² ამავე ცნობას, მხოლოდ ნებროთის ბიოგრაფიის თანდართვით, იმეორებს ვახტანგ გორგასლანიც, რომელსაც ისტორიკოსი ათქმევინებს: მამათა ჩუენთა დაფარულად ეპურა წიგნი ესე ნებროთისაო.³ ასეთი წიგნი არ შენახულა არც სხვა რომელიმე ენაზე და, როგორც ირკვევა, ის არც არსებობდა; ნამდვილად ნებროთის წიგნად იგულისხმება ზემოდასახელებული აპოკრიფი ფსევდოეფრემისა. ეს აპოკრიფი, როგორც პროფ. ივ. ჯავახიშვილიცა გამოარკვია თავის დროს,⁴ წარმოადგენს ასურულ თხზულების, განძთა ქვაბის,⁵ ერთერთი რედაქციის თარგმანს. როგორც ქართულს თარგმანში, ისე ასურულ ტექსტსა და აგრეთვე ბიზანტიურს მწერლობაში ეს თხზულება ეფრემ ასურს მიეწერება, თუშცა

¹) F. Kautzsch, Die Apokryphen und Pseudopigraphien des Alten Testaments, II, S. 490.

²) ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 86—87.

³) იქვე, გვ. 140—142.

⁴) Государственный строй древней Грузии и древней Армении, т. I, стр. 19—27, მიხე—ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გამოც. 1, გვ. 112—126.

⁵) K. Bezold, Die Schatzhöhle I. Dilmann, Christliche Adambuch des Morgenlandes (Jahrbücher d. bibl. Wissenschaft, 5 Jahr. 1852—1853, S. 1—35), Migne's Dictionnaire des apocryphes, I, 298—383.

ის ნამდვილად გაცილებით უფრო გვიან, VI საუკუნეში, უნდა იყოს დაწერილი. მას დიდი გავლენა ჰქონდა საშუალო საუკუნეთა ბიზანტიისა და აღმოსავლეთის ხრონოლოგებზე, რომელნიც თავიანთ შრომებში უზვად სარგებლობდნენ მით. სხვათა შორის ამ თხზულებით უსარგებლნია ჩვენს ისტორიკოსსაც, ლეონტი მროველს. თავისი საისტორიო შრომა მას აუგია ამ აპოკრიფის ნიადაგზე: ეს გავლენა და პარალელური ადგილები ლეონტის შრომისა და დასახელებული აპოკრიფისა აღნიშნულია პროფ. ივ. ჯავახიშვილის¹ და ჩვენს შრომაში,² ამიტომ აქ აღარ გავიმეორებთ.

ამ აპოკრიფსა და ლეონტი მროველის საისტორიო შრომის შორის ჩვენ ვამჩნევთ არა მარტო შინაარსის მხრივ ნათესაობას, არამედ სტილის მხრივაც; ენით ეს აპოკრიფი ნამდვილი პირია ლეონტის თხზულებისა. ყველა ამ მოსახზრებით ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის გადმოთარგმნილია თვით ლეონტი მროველის მიერ; ამით აიხსნება, ალბად, ისიც, რომ მარიამ დედოფლის „ქართლის ცხოვრების“ ვარიანტში ეს აპოკრიფი წინ უძღვის ლეონტის შრომას. ეს ასეც უნდა ყოფილიყო: ლეონტი მრაველმა განიზრახა დაეწერა უძველესი ისტორია თავისი ერისა, ამ ისტორიას ის ვერ დაიწყებდა, როგორც იტყვიან, ex abrupto, მას უნდა ეჩვენებია ქართველებისათვის ადგილი კაცობრიობის ოჯახში და ქართველთა ისტორია, თანახმად ბიზანტიურ ხრონოგრაფთა ტრადიციებისა, მსოფლიო ისტორიასთან, ესე იგი მაშინდელი თვალსაზრისით, ბიბლიურ ისტორიასთან უნდა დაეკავშირებია; ამისათვის მისთვის საჭირო იყო ისეთი ნაწარმოები, რომელიც ამ მიზნისათვის გამოსადეგი იქნებოდა და რომელიც ამავე დროს ხოგიერთ უმთავრეს დებულებებს მისცემდა მას. ასეთია სწორედ დასახელებული აპოკრიფი, რომელიც, როგორც გამამართლებელი და დამამტკიცებელი მისი ისტორიული შრომისა, მისი, ასე ვთქვათ, შესავალი და პროპედევტიკული ნაწილია, თვით ლეონტიმ გადმოთარგმნა და მკითხველი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადა.

ეს აპოკრიფი, რომელშიაც მესიაზედ ან მაცხოვარზედაცაა ლაპარაკი და ნებროთის გმირობაზეც, მ. ჯანაშვილს მიაჩნია ნებ-

1) ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 120 - 122.

2) ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, ტფილ. უნივერ. მოამბე,

როთის წიგნად.¹ მაგრამ ეს შეცდომაა, დასახელებული აპოკრიფი არაა ნებროთის წიგნი, ვინაიდან ის თვითონ უჩვენებს ნებროთის წიგნს (გვ. 835), რომელსაც ამნაირად ახასიათებს: ხოლო იგი წიგნი, რომელი ისწავა ნებროთ იანიტან გრძნეულისაგან, არა შეიწყნარეს მოძღვართა ეკლესიისათა, ამისათვის რაძეთუ ვარსკულავთრიცხუაჲ არს, არამედ სპარსნი უწოდენ ღირსად წმიდად, ხოლო ბერძენნი უწოდენ ვარსკულავთრიცხუად წიგნსა მას, ხოლო მოგენი ფედ სახელსდებენ, რომელ არს წიგნი სიტყვას; ესე არს წიგნი გრძნებისა და მოძღურებაჲ ეშმაკთა სიბიძწისა, და უმეცარნი იტყუან, ვითარმედ ჭეშმარიტ არსო, ხოლო არს კარი გრძნებისა და შეგინებისა.²

ნუ თუ, მაშასადამე, მართლა სამუდამოდ დაიკარგა ეს „ნებროთის წიგნი“? ჩვენ გვგონია, რომ არავითარი ნებროთის წიგნი იმ სახისა და შინაარსის, რომელიც წარმოდგენილი აქვს ლეონტი მროველს, არ არსებობდა არც ქართულს, არც სხვა რომელიმე ენაზე; თქმულება ნებროთის წიგნის შესახებ შეთხზულია ლეონტი მროველის მიერ. ეს თქმულება, როგორც სხვაც ბევრი რამ თავის საისტორიო შრომაში, ლეონტის შეუთხზავს აღნიშნული აპოკრიფის ნიადაგზე, იქიდან ამოუღია მას ის ელემენტები, რომლებიდანაც მას შეუკოწიწებია ლეგენდა რაღაც საგანგებო ნებროთის წიგნის შესახებ. პირველად ყოველისა, თვით სახელწოდება, წიგნი ნებროთისა, ამოღებულია ამ აპოკრიფიდან; აქ ნათქვამია: და ისწავა ნებროთ იანიტანისაგან წიგნი სიბრძნისა, ხოლო წიგნი იგი, რომელ ისწავა ნებროთ იანიტან გრძნეულისაგან, არა შეიწყნარეს მოძღვართა ეკლესიისათა;³ მოგვებმა წარავითხეს წიგნი ხილვათა წებროთისა.⁴ აქ პირდაპირაა დასახელებული ნებროთის წიგნი, მაგრამ იგულისხმება არა ლეონტის წიგნი, რომელშიაც თითქოს საგანგებოდ ლაპარაკი იყო ნებროთ გმირისა და იესო ქრისტეს შესახებ, არამედ ვარსკულავთმრიცხველობის, ასტროლოგიური თხზულება. აპოკრიფის ავტორი მოგვითხრობს, როგორ წარმოიშვა ნებროთის დროს სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა სახე კერპთთაყვანისმცემლობისა; სხვათა შორის მის დროს გამოჩნდა ცეცხლი აღმასვადით, ესე იგი სპარსეთით, თაყვანის სცა მას ნე-

1) Сборникъ матеріаловъ для описанія мѣстностей и племень Кавказа, вып. 29, стр. 19, 43, 44 et pass.

2) სიძვ. მუზ. ხელნ. № 153, გვ. 141—142. ექთ. თაყაიშვილის გამოცემას, შესაფერხე უტრულების დაკარგვის გამო ხელნაწერში, ეს აღვლი აკლია.

3) სიძვ. მუზ. ხელნ. № 153, გვ. 140

4) მარიამ დედოფლის ქართლის ცხოვრება, გვ. 835.

ბროთმა და დაადგინნა მღვდელნი, რათა თაუანისცემდენ და აკუმეცდენ გუნდრუგსა; იქვე იყო წყარო წყლისა, სადაც საღმრთო განბანაც სრულდებოდა. ამ წყაროსთან ნებროთმა პოვა ვილაც გრძნეული იუნიტანი ან იონიტანი, რომლისგანაც მან ისწავა წიგნი სიბრძნისა. ამ წიგნის საშუალებით ნებროთი სიბრძნისმეტყველებდა და ყველას აკვირებდა; ეს სიბრძნე შეშურდა ანდიბან მღვდელს ან მოგეს, რომელიც დადგინებულ იყო მის მიერ საღმრთო ცეცხლის მსახურად, და მან ეშმაკთა დახმარებით შეიგნო ეს სიბრძნე, რის შემდეგ იწყო მან ვარსკვლავთრიცხვად, და გრძნებად, და ბედის თხრობად, და მისნობად და ზღაპრობად.¹ ერთი სიტყვით, აპოკრიფის ავტორი გვითვალისწინებს, როგორ წარმოიშვა სპარსული ცეცხლთთაყვანისმცემლობა და ის ვარსკვლავთმრიცხველობა ან ასტროლოგია, რომელიც შეადგენდა სპარსეთის ქურუმთა ან მოგვთა სპეციალობასა და ხელობას; ამ სპეციალობით, რომელიც წარმოდგენილი იყო ნებროთის მიერ იუნიტანისაგან მიღებულ წიგნში და რომელიც მათ საშუალებას აძლევდა მომავალი ამბები წინასწარ შეეტყუთ, მოგვებმა, როდესაც მათ დაინახეს ცაზე უცხო ვარსკვლავი, სცნეს, რომ უნდა აღმოსავლეთში დაბადებულიყო მეფე დიდებული,² და ვარსკვლავის წინამძღოლობით ისინი მივიდნენ იერუსალიმსა და ბეთლემს. ერთი სიტყვით, აქ გავრცობილია და შემკობილი აპოკრიფული ელემენტებით სახარების თქმულება ბეთლემის მოგვთა შესახებ, რომელთაც ვარსკვლავთმრიცხველობის საშუალებით ახლად დაბადებული მაცხოვარი იპოვეს. აპოკრიფის ასტროლოგიური წიგნი, რომელიც ნებროთმა გრძნეული იუნიტანისაგან მიიღო, ლეონტის გადაუყვებელია ლეგენდარულ ნებროთის წიგნად, რომელშიაც ვითომცდა წარმოდგენილი იყო ნებროთის გმირობა და იესო ქრისტეს შობა და თავდადასავალი.

მიქაელ ანგელოზსა და ნებროთის ბაასში, რომელშიაც გამოსკვივის დანიელ წინასწარმეტყველის აპოკალიპტიკა (თავი X—XII), იპავე სპარსთა კულტურულ-ისტორიულ სფეროში აღმოცენებული, და რომელიც შედგენილია ამ აპოკრიფის პირველ ნაწილთან დაკავშირებულის „ადამის წიგნის“ ზეგავლენითაც, არეულია ერთმანეთში ადამი და ნებროთი; მართლაც, ადამს და არა ნებროთს აღუთქვა ღმერთმა თავის

¹) ს ი ძ ვ. მ უ ზ. ხელნ. № 153, გვ. 130—141.

²) მარიამ დედოფლის ქართლის ცხოვრება, გვ. 839.

ძის მოვლინება მხსნელად მისა; ოდეს განსრულდეს ჟამი იგი, რომელი განვაწყეს შენზედა. ეუბნება ღმერთი ადამს, მოგივლინო შენ ესე ჩემი, რომელი გარდამოკდეს და გაჩნდეს შენ (გვ. 791). სიტყვები: მოვიდეს შეფე იგი ცის შეურაცხი, ნათქვამია მოგვების ზეგავლენით, რომელნიც განკურნებულ იყვნენ, რაჟამს არა ეგვივითარი იხილეს ბაგასა შინა, რომელსა ჭგონებდეს ძის თანა შეუფისა (გვ. 837); ხოლო ფრაზა—შიშან მისმან განაქარგნეს გუმბინი სოფლისანი, შეიქნა დაუტოებდენ შეფობასა და ეძიებდენ სიგლახაკას, შედგენილია აპოკრიფის ცნობას მიხედვით, ვითომც მოგვნი, რომელთაც დაუტევს ქვეყანა თვისი და მოიღეს ძღუენა ესე, შეუკენი იუგნეს და შვილი შეფისანი, ესენი შეფენი სწარსნი იუგნეს; ვითარ აღმოვიდეს, შეძრწუნდა უფელი ქუეყანა წინაშე მათსა და შემინდეს უაგელნი შეფენი ძლიერნი, რამეთუ იყო საქმე მათი ფიციელი ფრიად (გვ. 838).

ამნაირად, ჩვენ შევძევ დასკვნამდე მივღავართ: 1) ლეონტი მროველის მიერ მოხსენებული ნებროთის წიგნი, რომელშიაც ვითომც და ლაპარაკი იყო ნებროთის გმირობა-თავგადასავალის და მაცხოვრის დაბადების შესახებ, არ შენახულა არც ერთს ენაზე; 2) ასეთი თხზულება ან წიგნი არც ყოფილა არასოდეს; 3) თქმულება ამ წიგნის შესახებ შეუთხზავს ლეონტის მის მიერ ნათარგმნი აპოკრიფის მიხედვით, რომელსაც ეწოდება თარგმანი დაბადებისათვის ცისა და ქუეყანისა და ადამისათვის და რომელშიაც მოხსენებულია ასტროლოგიური წიგნი ხილვათ ნებროთისათა; 4) ამ აპოკრიფიდან ამოღლია ლეონტის როგორც სახელწოდება წიგნისა, ისე მის მიერ მოყვანილი ცნობები მისი შინაარსის შესახებ.¹

ახალი აღთქმის აპოკრიფთაგან ზოგი ეხება ღვთისმშობელს, ზოგი იესო ქრისტეს და ზოგი მოციქულებს. ღვთისმშობლის შესახებ აპოკრიფთაგან ჩვენამდე შენახულა შემდეგი:

1) თქმული შამათშავართაჲ სახარებისაგან სულისა წმიდისა მიერ წითლ და ლუკასაგან; ეს აპოკრიფი, რომელიც შენახულა მეათე საუკუნის პარხალის მრავალთაგან,² ნათარგმნია ძველად, იმაში მოყვანილია შთამომავლობითი ხაზი იოაკიმე და ანასი. აპოკრიფი იწყება ასე: წმიდაჲ ქალწული, რომელმან შვა უფალი და ქალწულებსავე დაადგრა რომელ იგი ასული იყო იოაკიმისი, ხოლო დედაჲ მისი ანაჲ, ხოლო იოაკიმ ძე ძეთა ბარსისთაჲ, რომელსა ზედანართულად შეორედ სახელედჲა ჰათერის...

¹) უფრო სრულად იხ. ჩენი შრომა: ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, ტფილ. უნივ. შოკ. III, გვ. 42-47.

²) სიძე თხ. № 95, 121-122, № 691, 238-241

✓ 2) თქმული ღმრთისმშობლის შობისათვის, შენახულია სინას მთის ხელნაწერში № 6 და მოგვითხრობს არა მარტო შობას, არამედ ტაძრადმიყვანებას, ხარებას, ქრისტესშობას და მოგვთა თაყვანისცემასაც; იწყება ის ასე: ახილვას მას ათორმეტთა ტომასა იუო იოვანკიმ მდიდარ ფრიად და შესწირვიდა მსხერაშლთა მრჩობლთა და იტყუდა გულისა თვისსა...

✓ 3) ეს აპოკრიფი შეტანილია, როგორც შემადგენელი ნაწილი, მეორე ვრცელს აპოკრიფში ან, უკეთ, ღვთისმშობლისშესახებ აპოკრიფთა კრებულში, რომელიც ქართულად გადმოუთარგმნია ექვთიმე ათონელს 980—990 წლებში და იწოდება: ქებაჲ და დიდებაჲ, შესხმაჲ და გალობაჲ ეოვლადწმიდისა უხრწნელისა და უმეტესად კურთხეულასა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულასა მარიამისა და უწყებაჲ უბიწოასა მის და სანატრელისა მოქალაქებისა მისისაჲ. შობითგან მიცვალებამდე, აღწერილი ნეტარისა მამისა ჩუენისა მაქსიმეს მიერ, ფილოსოფოსისა და აღმსარებელია. (სიძვ. მუხ. № 40). ამ უზარმაზარ აპოკრიფში, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი და რომელშიაც ვრცლად მოთხრობილია დაბადება ღვთისმშობლისა, მისი ტაძრადმიყვანება, ხარება, მაცხოვრის შობა, მირქმა, ნათლისღება, ვნება მისი და მიძინება ღვთისმშობლისა, ესე იგი—თითქმის მთელი სახარების ისტორია, ჩვენ უნდა გვქონდეს ეგრედწოდებული იაკობ მოციქულის პირველსახარება, რომელიც, თუ მთლიანად არა, მისი პირველი ნაწილი, რომელიც ზემოდასახელებულ სინას მთის ხელნაწერშია მოთავსებული, თავდაპირველად, ნ. მარკის აზრით, სომხურიდანაა ნათარგმნი.¹

✓ 4) მიმოსლვა ღვთისმშობლისა ადგილთა ტანჯვისათა, თითქმის ყველა საქრიტიანო მწერლობაში ცნობილი აპოკრიფი, შენახულა ნაკლულევნად ერთადერთს ხელნაწერში.²

✓ 5) ეგრედწოდებულს სვანურს მრავალთვში³ შენახულა ერთი აპოკრიფი: აღსარებაჲ თეგდოსისი ჭურიათა მთავრისაჲ, რომელი აღწერა ფილიპე, განკაცებისათვის ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა და ვითარ იქმნა იგი მდღელ. აქ, თუმცა, როგორც სათაურიდანაც ჩანს, თითქოს იესო ქრისტეზეა ლაპარაკი, მაგრამ შინაარსი მისი უფრო ღვთისმშობელს შეეხება. ურიათა

¹) Предварительный отчетъ..., стр. 20.

²) სიძვ. მუხ. № 70, 260—263, თემა აკლავ. ბერძნული ტექსტი დაბეჭდილია პრაფ. ი. სრეხნევსკისა (Древние памятники русскаго писма и языка, стр. 204—217) და ა. ვასილიევის, (Anecdota graeco-byzantina, 125 sq.), ხოლო სლავური ნ. ტიხონრაევიის მიერ (Памятники отреченной русс. литературы, II, 23—30).

³) სიძვ. მუხ. № 19, 318—330.

მღვდელნი მოიწვევენ მარიამ ქალწულს და გამოჰკითხვენ მას, თუ როგორ იშვა მისგან იესო ქრისტე; ვინაიდან მათ არა სჯერათ უთესლოდ შობა, მოიწვევენ აღქუმელს ან ბებიაქალს და გააშინჯვინებენ მას; როდესაც დარწმუნდებიან, რომ მარიამი მართლა ქალწულად დარჩენილა, ისინი დაიჯერებენ მარიამის ნათქვამს და იესო ქრისტეს მღვდლად აარჩევენ. ავტორი ამ ამბავისა არის ვინმე თევდოსი ჰურია, რომელმაც ეს უამბო ვინმე ფილიპეს ძველი გუჯრებიდან, ხოლო იყვნენ ისინი თითქმის იუსტინიანე დიდის თანამეფროვენი.¹

აქ ჩამოვლილ აპოკრიფებში, უმეტეს ნაწილად, ჩვენ გვაქვს სხვა და სხვა თქმულებანი, რომელნიც შეუნახავს ბერძნულ ენაზე შემდეგ თხზულებებს: *Ἡστορία Ἰακωβίου περὶ γέννησως Μαρίας*, *Ἱερωτήσις Μαρίας μεγάλου*, *Ἐρωτήσις Μαρίας μικραῖς*, *Γέννηα Μαρίας*, *Ἐναγγέλιον κατὰ Μαρίας* და სხვა.

6) ჩამოვლილთ გარდა ცნობილია ერთი აპოკრიფი, რომელშიაც ღვთისშობებელზეა ლაპარაკი, ეს არის მოთხრობა ლუდიის ეკლესიის აშენების შესახებ; მას ასეთი სათაური აქვს: წიგნი, რომელი დაწერა ოსკებ არიმთაიელმან, მოწაფემან უფლისა ჩუენისა იესოჲ ქრისტესმან, და თხრობაჲ აღმშენებისათჳს ეკლესიის, რომელი იგი არს ჯუდას შინა, ქალქისა წმიდისა დედუფლისა ჩუენისა მარიამ დმრთისმშობლისსა;² გამოცემულია ეს აპოკრიფი ნ. მარჩის მიერ,³ გადმოთარგმნილია ის VIII—IX ს. ასურულიდან ან არაბულიდან, დედანი მისი არ შენახულა, ის ამე მად მხოლოდ ქართული წყაროებიზაა ცნობილი. მეორე რედაქცია ამ აპოკრიფისა უთარგმნია, როგორც თავის ადგილას აღვნიშნეთ, გიორგი მაწმიდელს.

იესო ქრისტეს შესახებ აპოკრიფები ზოგი შეეხება მისი ბავშობის პერიოდს, ზოგი მისი მოღვაწეობის ხანას და ზოგი კიდევ მისი ცხოვრების უკანასკნელ დღეებს. პირველი კატეგორიის აპოკრიფთაგან ქართულ ენაზე უთარგმნიათ ჯერ კიდევ მეთექვსმეტე საუკუნემდე ეგრეთწოდებული სიურამს უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, რომელიც იწყება ასე: ერმაღა იყო. ხუთწლად მოდკებოდა იესუ...; ამ აპოკრიფისაგან დარჩენილა მხოლოდ თავი, სხვა სულ დაკარგულა, ის გამოცემულია ჩვენ მიერ.⁴ ამ

¹) A. Vassiliou, *Anecdota graeco-byzantina*, p. 59—72; Н. Тихомировъ, *Памятники отреченной русской литературы*, II, 164—171.

²) თომ. ხელნ. № 69, 154—164, სიძვ. მუხ. № 144, 182—193, № 249, 1—17, №№ 339, 395.

³) *Тексты и разьсканія по армяно-грузинской филологии*, кн. II.

⁴) *Monumenta hagiographica Georgica*, t. I, p. 115—117.

აპოკრიფს კავშირი აქვს ცნობილს თომას სახარებასთან, რომელსაც, როგორც დავინახეთ, ექვთიმე ათონელიც ასახელებს და ბერძნულად Τὸ πᾶντο τὸν Κριστὸν εἰσὸν εἶναι, აგრეთვე იმ აპოკრიფთან, რომელიც ცნობილია როგორც „არაბული სახარება იესო ქრისტეს სიყრმისა“.¹

მეორე კატეგორიის აპოკრიფთაგან უნდა დავასახელოთ კიასხვაშაგებაჲ. იესუჲსი და განრღუეულისაჲ, რომელიც ნათარგმნი უნდა იყოს ძველადღე, არაუგვიანეს მეთე საუკუნისა,² და ამნაირად იწყება: ოდეს შევდა იესუ იერუსალიმად, მუნ იღვა განრღუეუი, რომელი წვა ცხედარსა ზედა და კუნესოდა განჭრილი შეუსუენებულად. ვითარცა მიეხსიდა მას იესუ, ჰრქე: რომლისა საღმობისა უფალი ხარ. აქ მოყვანილია სცენა სილოამის საბანელთან იესო ქრისტესა და განრღუეულის შორის, რომელიც სახარებაში შედარებით მოკლედაა გადმოცემული.

მესამე კატეგორიის აპოკრიფთაგან პირველად ყოვლისა უნდა აღინიშნოს ავგაროზი, ან მიწერ-მოწერა იესო ქრისტესა და ედესის მეფის ავგაროზის შორის, რომელიც, შეიძლება, წინათაც იყო ქართულ ენაზე რომელიმე აღმოსავლური ენიდან გადმოღებული, მაგრამ ჩვენამდე შენახულა ორი შემდეგიდროის რედაქციით, რომელთაგან ერთი ექვთიმე ათონელს ეკუთვნის და მეორე გიორგი მთაწმიდელს; მათ შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, როდესაც აღნიშნულ პირთა სამწერლო მოღვაწეობას ვარკვევდით. მეორე აპოკრიფს ამავე კატეგორიისას, რომელიც ჩვენამდე შენახულია, ეწოდება: დიდსა ჰრასკეგსა საკითხაჲი ვნებათათჳს და სიკუდილისა, მოსაყენებელი მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, თქმუელი ანანია ებრაელისა დასისაგან შჯულისა მეცნიერთაჲსაჲ;³ ეს აპოკრიფი, რომელიც წარმოადგენს ნიკოდიმოსის სახარებას, იწყება ასე: რამეთუ ვცან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი წაგნთაგან საღმრთთა და სარწმუნოებით გუდსმოღვინედ ვისწრაფე და აღეწერენ მოსაყენებელნი რაჲ იგი თქუეს ჰურიათა ღმრთისათჳს ჰონტოელისა ჰილატესზე მსაჯულისაჲ; შეიცავს მოთხრობას, თუ როგორ გაასაპართლა იესო ქრისტე პილატემ, როგორ მიუსაჯეს მას სიკვდილი, ჯუარს აცვეს და მოკლეს, ხოლო სიძვ. მუზ.

¹) E. Hennecke, Handbuch zu den neutestamentlichen Apokriphen, S. 132—133 Tübingen, 1904.

²) სიძვ. მუზ. № 70, 263—264, № 153, 292—296.

³) სინ. ხელ. № 78, 266—275. სიძვ. მუზ. № 70, 304—313, № 674, 201—208. № 71, 21—47, ალ. ბიხანაშვილი, Евангеліе Никодима, Древности Восточныя, т. III, вып. 1;

ხელნაწერში № 71 მიმატებულია იოსებ მართლის ნალაპარაკევი იესო ქრისტეს აღდგომისა და მოწაფეთადმი გამოცხადების შესახებ. ამ აპოკრიფში, რომელსაც, როგორც სათაურიდანა ჩანს, თითქოს ეკლესიაშიც ჰკითხულობდნენ წითელპარასკევს, შენახულა უძველეს დროიდან ცნობილი Acta Pilata, პილატეს აქტები, რომელთაც იხსენიებენ წმ. იუსტინე და ტერტულიანე, აგრეთვე ეგვიპცი კესარიელი და ეპიტანე კვიპრელი.¹ გადმოთარგმნილია ის ჩენი მწერლობის პირველს პერიოდში, როგორც პროფ. ნ. მარრი ჰფიქრობს, შეიძლება, სომხური ენრიდანაც, ვინაიდან ქართულ თარგმანში შენახულა მრავალი სომხური სიტყვები და ტერმინები.² ამავე ციკლს უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე აპოკრიფები და ლეგენდები იმ ჯუარის შესახებ, რომელზედაც იესო ქრისტე მიაკრეს, აგრეთვე ლურსმებისა და კუართის შესახებაც. ჯერ კიდევ თითქოს ელენე დედოფალმა იპოვა ლურსმები, რომელთაგან კონსტანტინე დიდმა ცხენის ლაგამი გააკეთაო. ქართულს ენაზე შენახულა კირილ ეპრუსელიძის სახელით საკითხავი ჯუარისათვის და ჰოვანაჲ წმიდათა სამშუღთთაჲ, რომელიც უძველეს დროსაა გადმოთარგმნილი, შეიძლება პირდაპირ ასურული ენიდან, ვინაიდან ის გვხდება ჯერ კიდევ 864 წლის მრავალთავეში³ და „მესია“ გადმოცეპულია მასში სირიული მქშია-დ.⁴ რაც შეიხება მაცხოვრის კუართს, ბევრი ქრისტიანი ერი აცხადებს იმაზე პრეტენზიებს: სხვათა შორის ქარულს ენაზედაც შენახულა ლეგენდა ამ კუართის ჩვენში მოტანის შესახებ; ეს ლეგენდა ვრცლად აქვს გამოკვლეული პროფ. ნ. მარრს.⁵

განსაკუთრებით ბევრი დარჩენილა აპოკრიფები მოციქულთა შესახებ; უნდა შევნიშნოთ, რომ საქრისტიანო მწერლობაში მოციქულთა ის აქტებიც კი, რომელნიც საიმედოდ არიან მიჩნეულნი, წარმომდინარეობენ უძველესი აპოკრიფებიდან, ასე რომ ბოლოსდაბოლოს არც ერთ სამოციქულო აქტებს წმიდა ისტორიული ხასიათი არ აქვს. აქ ჩვენ

¹) E. Hennecke, Handbuch zu den neutestamentlichen Apokriphen, S. 143-153.

²) Армянскія слова въ грузинскихъ „Дѣяніяхъ Пилата“, Зап. Восточ. Отдѣл. Русскаго Археол. Общества, т. XVII.

³) არის აგრეთვე სიძუ. მუხეუშის მრავალთავეებიაც № 95, 399-401 და № 144. 288-296

⁴) Н. Марр, Предварительный отчетъ, стр. 20.

⁵) Хитонъ Господень въ книжныхъ легендахъ Армянъ, Гвудинъ и Свиріицевъ Петербуръ, 1897 г.

დავასახელებთ შემდეგს აქტებს, რომელნიც ქართულ ენაზე შენახულან და რომელთაც ან სრულიად, ან ნახევრად მაინც, აპოკრიფული ხასიათი აქვთ. საჭიროდ ვთვლით წინასწარ აღვნიშნოთ ერთი ზოგადი ხასიათის აპოკრიფი მოციქულთა შესახებ: ნათჯისდეპისათვის წმიდათა მოციქულთასა და დედასა ღმრთისაჲ და ნათესავთა ტუეუელებისა ქრისტეს ქადაგისა და მახარებელისა, რომელიც პეტრიწონულს სკოლაშია ნათარგმნი და იწყება ასე: გამოშქაიებელთა შრომასმოყარეთათჳს უკუთუ ვითარ და ვის მიერ ნათელიდეს წმიდათა მოციქულთა გზოეთ მასსაკენებელთა შინა წმიდისა სოფრონისთა სხუანიცა ვიდრეუე მრავალნი ღირსნი კსენებუანი...¹

იოანე მახარებელი ან ღვთისმეტყველი. იოანეს აქტებთაგან ქართულად პირველად ყოვლისა უნდა დავასახელოთ საქმენი და სწავლანი იოვანე მოციქულისა და ღმრთისმეტყუელისანი და პროზორე, მოწაფისა მისისა. ნა, რომელიც იწყება ასე: „და იყო შემდგომად ჟამთა რაოდენთამე შექმდგომად ამაღლებისა უფლისა ჩუენისა იესოვ ქრისტესა ძისა ღმრთისა ზეცად, შეკრბეს ყოველნი მოციქულნი ბეთსემანიას და თქუა პეტრე მათა მიმართ...“ (სიძე, მუხ. № 19, 211—262). შესდგება ეს აქტები შეიდი რუბრიკისაგან; I ლაპარაკობს იოანეს ეფესოშა ყოფნისა და მოქმედების შესახებ, II — „მირონისათვის, რომელი იქმნა და ყოვლისათვის სახლისა მისისა“, III — „ბასილისათვის და ცოლისა მისისა და ვითარ ჰრწმენა ქრისტე სასწაულითა იოვანსითა“, IV — „ნგლისათვის, რომელი გამოუჩნდებოდა მყოფთა ქალაქისათა“, V — „ნოტიანოასთვის და ყოვლისა სახლისა მისისა“, VI — „გამოცხადებისათვის იოვანსისა“, VII — „საკითხავი სახარებოსა იოვანსს თავისა და ვითარ გამოთქუა იოვანე და რაჲსათვის და რომელსა ადვილსა და რომელსა ჟამსა“. ეს აქტები ცნობილია როგორც ბერძნულს,² ისე სომხურ ენაზედ,³ და, სტილის მიხედვით, ნათარგმნი უნდა იყოს შედარებით ადრე, ყოველ შემთხვევაში არაუგვიანეს მეორე პერიოდის დასაწყისისა, შეიძლება სომხურ ენიდანაც.

მეორე რედაქცია ამავე აქტებისა, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ ქართულს ენაზეა შენახული, გადმოუთარგმნია ექვთიმე ათო-

¹) სიძე, მუხ. № 1040, 63—66.

²) M. Neander, *Katéchetae Martirion ton Apostolon hē mikra kal lousmēnē* (Basileae, 1563), 526—662. Амфилохий, *Хождение апостоловъ по Вознесеніи Господа нашего Исуса Христа*, Москва 1878 г., 1—67.

³) Tsherakhian, *Libri apostolorum spurii*, 190—292 (Bibliotheka hagiographica gentalis, p. 104—105, Bruxellis 1910).

წელს მათე საუკუნის გასულს და საერთოდ იმავე შინაარსისაა, რაც უკვე დასახელებული;¹ მას ეწოდება: ცხოვრება და ქადაგება წმიდისა და ყოვლად ქებულისა მოციქულისა და მახარებელისა იოანე ღმრთისმეტყველისაჲ, აღწერილი პროხორეს მიერ, მოწაფისა მისისა, ერთისა შვდთაგანისა, ძმისწულისა წმიდისა სტეფანე პირველმოწამისა“. ამაში არაა მეოთხე და მეექვსე თავი პირველი რედაქციისა, ზოგიერთი ეპიზოდები აქ უფრო ვრცლადაა გადმოცემული, ზოგიერთი კიდევ შემოკლებულია, ზოგი რამ სრულიად ახალია, ასე რომ პროხორეს შრომა, ჩანს, ბერძნულ ენაზე ორი სხვადასხვა რედაქციით დადიოდა.

ერთი ეპიზოდი აქ რედაქციისა ცალკეც გვხვდება ჩვენ ხელნაწერებში შემდეგი სათაურით: „საკითხავი წმიდისა და ყოვლად ქებულისა მოციქულისა და მახარებელისა იოანე ღმრთისმეტყველისაჲ და კუნობისათჳს და ყოვლისა გრძნებისა და ბოროტადკელოვნებისა მისისათჳს“ (სიძვ. მუხ. № 370, გვ. 545—549, ბოლო აკლია). ეს ეპიზოდი უდრის დაბეჭდულს გამოცემაში (ათონ. კრებ.) 146—150 გვერდებს და განირჩევა მისგან მხოლოდ ცალკე სიტყვებისა და წინადადების ვარიაციებით.

დასახელებულს რედაქციებს იოანეს აქტებისას აქვს ბოლოში ცალკე ეპიზოდი, რომელიც დაბეჭდულს გამოცემაში შეერთებულია მოთხრობასთან, ხოლო ხელნაწერში № 19 წარწერილია ამნაირად: საკითხავი თქმული ოქროზირისა იოვანე მახარებელისათჳს (გვ. 262—266). ეს არის გნოსტიკური აქტები იოანესი, რომელსაც ბერძნულად Μεταστασις ეწოდება,² ხოლო ერთერთს ქართულს ხელნაწერში—განსუენებაჲ იოვანისა. ამ უკანასკნელში ეს ეპიზოდი ცალკე საკითხავადაა დადებული, აბრილის 29;³ № 19-თან შედარებით ეს ცოტათი განსხვავებულ რედაქციას წარმოადგენს, უფრო ძველს, უდავოდ სომხურიდან ნათარგმნს,⁴ რაც შეეხება დაბეჭდულ გამოცემას (ათონ. კრებ. გვ. 172—175), ამაში ეს „განსუენება“ შემოკლებით და გადაკეთებულადაა შეტანილი. ქართველ მთარგმნელს სპეციფიური გნოსტიკური ელემენტები გამოუტოვებია თავის შრომაში.

პეტრე მოციქული. პეტრეს შესახებ ქართულ ენაზე საკმაოდ ვრცე-

¹) გამოცემულია 1074 წ. ხელნაწერით ათონის კრებულში, გვ. 111—175.

²) R. Lipsius. Die Apokriphen Apostelgeschichten und Apostellegenden. I, S. 489—511.

³) გამოცემულია ჩვენ მიერ—Monumenta hagiographica Georgica, t. I, p. 198—201.

⁴) არსებობს რუსული თარგმანიც სომხური ტექსტისა, რომელიც ემინს ვკუფუნის (Переводы и статьи Н. О. Эмина, Москва 1897 г. стр. 27—31).

ლი აპოკრიფები შენახულა, რომელთა საზოგადო სახელია *Κηρυγμα Πέτρου*, პეტრეს ქადაგებანი; ამ აპოკრიფს მეორე საუკუნეში იხსენიებს პერაპლეონი და ის შეიქმნა წყაროდ მთელი ფსევდოკლემენტური ლიტერატურისა, რომელსაც სახელად ეწოდება *Homiliae Clementinae*, *Recognotiones* და სხვ. ეს „კლემენტინები“ ქართულად უთარგმნია ექვთიმე ათონელს შემდეგი სათაურით: თქუმიუი წმიდისა და ნეტარასა მღვდელმთავრისა კლემენტისა ჰრომთა ჰაპასა და წიადისა მოციქულისა პეტრესი მონათვისაჲ, თუ ვითარ სახედ დაემაწათა იგი წმიდასა მოციქულსა პეტრეს, რომელი ესე მიუწერა ჰრომით იერუსალემს წმიდასა იაკობის მიმართ ძმისა უფლისა ბრძანებითა წმიდისა მოციქულისა პეტრესითა. იწყება ასე: კლემენტის იაკობს უფადას ჩემსა და ერისკებოჩსსა და ებისკოპოზთა ებისკოპოზსა მწუემსსა იერუსალემისსა.¹ ექვთიმე თავის საპასუხო წერილში, აღნიშნავს რა ანტიოქიის მოქცევის მიუღებლობას ეკლესიაში, შენიშნავს, რომ ჭეშმარიტი ანტიოქიის მოქცევა იგი არს, ვითარცა კლემენტის იერუსალემისა. ეს მიმატება—ვითარცა კლემენტის იერუსალემისა, ექვს არ სჯობებს. რომ ექვთიმეს მიერ ნათარგმნს ზემოდანახელებულ „კლემენტინებში“ იგულისხმება „ანტიოქიის მოქცევა“, სადაც მოთხრობილი ყოფილა სამისიონერო მოღვაწეობა პეტრესი ანტიოქიაში. „ანტიოქიის მოქცევა“ ნ. მარკს უნახავს და გადმოუწერა კიდევ სომხურს ენაზე იერუსალიმის ერთ-ერთ სომხურ ხელნაწერში; აქ ლაპარაკი ყოფილა პეტრეს, იოანეს და პავლეს სამისიონერო მოღვაწეობისა და თავგადასავალის შესახებ. მარკს შესაძლებლად მიაჩნია დასვას საკითხი: ხომ არ ჰქონდა რაიმე კავშირი ძველს ქართულს მწერლობაში მოხსენებულს „ანტიოქიის მოქცევას“ ამ სომხურ აპოკრიფთანაო?²

პეტრეს მოღვაწეობას ეხება აგრეთვე ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა მამისა ჩუენისა და მოციქულთა სწორისა ბაგრატისი მღვდელმთავრისა ტავრომენელთა ქადაქისა ქადაგისა მის სიკიძისა, რომელი აღწერა ევაგრე ებისკოპოსმან, მოწაფემან მისმან; ეს აპოკრიფი, რომელიც მთლიანად ბერძნულ ენაზე არ შენახულა და აღ. ხახანაშვილის მიერაა გამოცემული³ იწყება ასე: მოწვევულ არს უამი სუყარელსო კედეოფად თხრობასა ამას კეთილ-

¹) სიძვ. მუხ. № 70, 36—83, ათონ. ხელ. № 56, 169—249. № 73, 131—154.

²) Предварительный отчетъ, стр. 19—20.

³) Багратъ, епископъ тауромевійскій. Труды по восточновѣдѣнію, издаваемые Царевскимъ Институтомъ восточныхъ языковъ, вып. XIX.

სა სულთა სარგებელსა.¹ ის გადმოთარგმნილია ქართულად ექვთიმე ათონელის მიერ.²

თომა მოციქული. თომას შესახებ ქართულად დარჩენილა: 1) საკითხავი საკრებულებათაჲს, რომელი იკათვების ოკადონბურს, ვ და ივლისსა ზ: მას ჟამსა შინა იუკნეს უოკეჲნი მოციქულნი იწღიმს და განიუგეს უოგელი სოფლები და განიუგეს წილი რათა თუთეულმან მათგანმან ქადაგოს სახარებაჲ. წილი ივღეს და ხელა თომას მარნბიუსს ჰინდოეთი, რომლისა იგი ეგულებოდა წარსდგაჲ, არამედ იტუოდა: ვერ ძალმიცს ტურთკად.³ 2) მეორე რედაქცია ამისი იწყება ასე: შევიდა ნეტარი იგი თომა მოციქული სახლსა ვეფშინისსა ძისა მის მეფისა ჰინდოელთაჲს დაჲ და დიდითა ნათლითა განათლდა უოგელი.⁴

ანდრია მოციქული. ქართულ ენაზე უთარგმნიათ სამი რედაქცია ანდრიას აქტებისა, ერთი მათგანი გამოცემული აქვს მ. საბინინს,⁵ მეორე მოთავსებულია სიძვ. მუზ. ხელნ. № 395, 71—96 და იწყება ასე: ოდეს აღმადლდა უფალი ზუენი და ღმერთი იესო ქრისტე ზეცად, მაშინ აღთქუმა იგი სულისა წმიდისაჲ აღუსრულდეს წმიდათა მოციქულთა. მესამე რედაქცია, ნამდვილი აპოკრიფული, რომელიც მოგვიოხრობს ანდრიას მოღვაწეობას სოფელსა კანის მსამეფთასა, ალბად არის ის, რომელსაც ექვთიმე ათონელი გარყენაჲს უწოდებს; ეს არის ჰიმასდგაჲ მოციქულთაჲ, ოდეს იგი წარაუგინა უფალმან მოციქული ანდრიაჲ სოფელსა მას კანის მსამეფთასა გამოუკანებად მათესა საპრობილით; იწყება: მათ ჟამთა, ოდეს იუგნეს მოციქულნი უოგელნი ერთად შეკრებულნი და განიუგდეს თითოეულად თავისა მათასა სოფლებსა უოგელსა.⁶ პირველი აქ აღნიშნულ რედაქციათაგან, როგორც მისი გადმომთარგმნილი—ექვთიმე მთაწმიდელი, მოწმობს „შეკრიბა პირველ წერილისა მოსაკსენებლთაგან ნიკიტა ღირსძან მონაზონმან და ფილოსოფოსმან“ (სიძვ. მუზ. № 1141), ესე იგი ნიკიტა—დავიფ ჰაფლალონელმა,⁷ თუმცა ექვთიმეს უსარგებლნია ეპიფანე მონაზონის რედაქციითაც.⁸

პავლე მოციქული. ქართულად შენახულა ეგრედწოდებული „პაე-

1) სიძვ. მუზ. № 382. 151—185, № 134, 424—591, № 610, ათონ. ხელნ. № 50, 1—102.

2) Акад. А. Веселовскій, Изъ истории романа и повести, стр. 65—128.

3) სიძ. მუზ. № 649, 26—30.

4) ისტ.-ეთნოგრ. საზ. ხელნ. № 341

5) სიძ. სამოთხე. გვ. 24—47, სიძვ. მუზ. № 188, 88—104.

6) სიძ. მუზ. № 671, 7—28.

7) Migne, P.G. t. 105, col. 53—80

8) Migne P.G. t. 120 col., 216—260. В. Васильевскій, Хождение св. ап. Андрея въ странѣ Мирмядолянъ, Труды т. II, стр. 213—245 изд. 1909 г.

ლეს აპოკალიპსი“, რომლის შესახებ ნეტარი აგვისტინე იმბობს, რომ ზღაპრებითაა აღსაყვანი. ქართულად მას ასეთი სათაური აქვს: წმიდისა და ნეტარისა შიგნიველთა თავისა ჰაუღესი, რომელმან სახელ მზისა მოეღო და გა'ახათლა უოველი ქუეყანაჲ, რომელი სედასა მიერ წმიდისა აღტ'ცებულ იქ-უნა სამთხელ და აღიწა სამცამდე და ესმეს სიტუენი უოქკეღნი და სხი-ღნი საუოფეღნი მართალთა და ცოდვილთანი: იწყება ასე: იტყვს ნეტარი ჰაუღე, ნეტრჲ რწუხვალე ეკლეისისაჲ, კამაღალი ქაღაგი სოფელისაჲ: ხ-ღო აღ-სდკასა ჩემსა სამცამდე ვეიო ხე ანგელოზსა მასა რომელი მიძღოდა.¹ აქ ლაპა-რაკია იმის შესახებ, როგორ მოვლო პავლემ „სამი ცა“, და აგრეთვე კე-თილთა და უკეთურ სუღთა ბედისა და მღგომარეობის შესახებ საიქაოს. ეს აპოკრიფი უნდა იყოს ჰაუღეს ცათა მონიღვაჲ, რომელიც, ექვთიმე მთაწმიდელის სიტყვით, ნატეკარი არს. ბერძნულს,² სლაფურს³ და რა-მოდენადმე სირიულ⁴ ვერსიებთან შედარება გვარწუნებს, რომ ქ.ართულ თარგმანს, რომელიც შესაუღლებული უნდა იყოს მეთერთმეტე საუ-კუნეცდემ, საფუძვლად უღევს დღემდე უცნობი რედაქცია, რომელიც ჩამოთვლილებთან შედარებით უფრო მოკლე ყოფილა და რომელშიაც „ხიღვის“ ეპიზოდები სხვა თანმიმდევრობით ყოფილა დლაგებული.

იაკობ, ძმა უფლისა. იაკობის აქტები, რომელიც იწყება ასე: და იყო, რაჟამს ნებითა უკღისა ჩუენისა იესოჲ ქრისტეს: თა ცვაღებდა ტაძრისა მას, რომელ იყო იწღიმისაჲ, მოთავსებულთა IX—X საუკუნის მრავალ-თავ ში,⁵ მაშასადამე, გადმოთარგანილი უნდა იყოს შედარებით ადრე.

მარკოზ მახარებელი. მარკოზის შესახებ ქართულად დარჩენილა წამებაჲ აღექსანდრია ქაღაქსა იინა, რომელიც ბერძნულიდან უნდა იყოს ნათარგმნი, როგორც ჩვენ ეს უკვე გარკვეული გვაქვს.⁶

ტიმოთე, მოწაფე პავლე მოციქულისა და პირველი ეპისკოპოზი ეფესელთა ეკლესიისა; მისი აქტებიც, რომელიც ქართულად შენახულა, ერთერთ უძველეს აპოკრიფულ ნაშთად უნდა ჩაითვალოს ქართულ ენა-ზე; გამოცემულია ჩვენ მიერ.⁷

1) სიძვ. მუზ. № 153, 266--292.

2) Tischendorf, Apocalypses Apokriphae, Lipsiae 1866.

3) Н. Тихонравовъ, Памятники отреченной русской литературы, II, 40—59.

4) Н. Brandes, Visio s. Pauli Halle 1865.

5) სიძვ. მუზ. № 19, 100—109.

6) K. Kokelidze, Monumenta hagiographica Georgica, I, p. 193—197, სიძვ.

მუზ. № 370, 534—540.

7) Monumenta I, 103—196, სიძვ. მუზ. № 370, 541—514.

პაველე მოციქულის სახელთან დაკავშირებულია. ორი აპოკრიფი, რომლებშიაც მოქმედ პირებად გამოდიან თეკლა პირველმოწამე და დიონისე არეოპაგელი. პაველს და თეკლას აპოკრიფი, რომელიც ცნობილია კარვად ეკლესიურ მწერლობაში, ქართულად იწყება ასე: მიწაფიდადა ჰაველე იკონია ქადაქსა შედგომად დეგნულების მისისა თანამოგზაურად შეუდგეს დემა და ერმოგინე ჰილენძის მოქმედნი, რომელნი სავსე იუვენეს საღრმითა მსწიერებისათა.¹ დიონისე არეოპაგელის, პაველე მოციქულის მოწაფის, პიროვნებისა და სახელის გარშემო ბევრი ლეგენდები შეთხზულა და მათ აღგილი ქართულ მწერლობაშიაც უპოვნიათ. ქართულად შენახულა: 1) ცხარებაჲ წმიდისა დიონისიოსისა ეპისკოპოსისაჲ, რომელი იყო ძმ სოკრატისა და მთავარი ათენელთაჲ, რომელსა ეწოდა ქადაქი ბრქენტაჲ;² 2) ებისტოლე წმდისა დიონისიოსისი ბრქენტთგორისაჲ და ათენელთა ეპისკოპოსისაჲ, რომელი მიუწერა ტიმოთეს სავარაქლსა თჳსსა და მწაფესა მოძღურისა თჳსისა შავლქსსა.³ ორივე დოკუმენტში თვით დიონისე მოგვითხრობს თავის თავგადასავალს და ბევრ ლეგენდარულ მასალასაც იძლევა; ქართულად ეს დოკუმენტები ნათარგმნია ჩვენნი მწერლობის უძველეს ხანაში, ასე რომ 880 წელს ვილაც იოანე ექიმს ქართულიდან (*ქხახახანს*)⁴ ის სომხურად უთარგმნია იერუსალიმში.⁵

ბევრი დარჩენილა ჰაგიოგრაფიული ხასიათის აპოკრიფები, რომელიც შეეხებიან წმიდანებისა და მათი ცხოვრების აღწერილობას. სხვადასხვა მწვალებლებს, სექტანტური მოსაზრებით და მიზნით, ძველიდანვე დაუწყიათ ცხოვრება-მარტვილობათა შერყვნა და დამახინჯება; ისინი ან ძვითონ სთხზავდნენ ცრუ და ყალბ აქტებს ანადა უკვე არსებულში შეჰქონდათ თავიანთი ტენდენციები და ისეთი დაუჯერებელი ამბები, რაც ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებს საზოგადოდ სახელს უტეხდა. მეექვსე მსოფლიო კრებამ მე-63 კანონით დაადგინა, რათა ასეთი ნაწარმოებნი დაეწვათ; ამნაირად, მეშვიდე საუკუნის გასულს შემოღებულ იქმნა ჰაგიოგრაფიული ცენზურა, რომლის გამოძახილს საქართველოში, შედარებით გვიან, მათე საუკუნეში მოუხწევია ჩვენამდე ექვთიმე ათონელის ზემოაღნიშნულ საპასუხო წერილში. ამით აიხსნება, რომ ქარ-

1) სისტორიო და საეტიოგრაფიო საზოგად. ზელნ. № 341.

2) სიძვ. მუხ. № 19, 177—180, № 395, 14—16. ათონ. № 57, 51—57.

3) სიძვ. მუხ. № 19, 184—186, № 95, 157—168, ათონ. № 57, 57—64.

4) თუ ამ ტერზინით, მართლაც, ქართველები აღინიშნებიან ამ შემთხვევაში.

5) P. Peeters, La Version géorgienne de l'autobiographie de Denys l'Aréopagite, Analecta Bollandiana, t. 31, p. 1—10.

თულ ენაზე ბევრი შენახულა ისეთი ცხოვრებანი, რომელნიც საესეა ასეთი ფანტასტიური და დაუჯერებელი ამბებით და რომელთა დედანი, ალბად ზეოაღნიშნული მიზეზის გამო დაკარგულია. ასეთი ცხოვრებანი ექვთიმესაც აქვს დასახელებული, მაგალითად: მოციქულების ცხოვრებანი, წმ. გიორგის წამება, წამება წმ. კვირიკესი და სხუანი რომელნიმე ესევეთარიმე ნატეუარნი, მრავალ არიან სახელები მათი. რამდენიმე ასეთი ცხოვრება გამოვეციტ ჩვენ, მაგალითად: იოანე ურპაელისა,¹ ალათანგელე დამასკელისა,² წმ. ფილექტიმონისა,³ პანსოფი ალექსანდრიელისა,⁴ ბასილი კესარიელისა,⁵ წმ. ნისიმესი.⁶ ეს აპოკრიფები ნათარგმნია ქართულად მათე საუკუნემდე ბერძნული, სომხური და ასურული ენებიდან. ამათ გარდა საყურადღებოა აპოკრიფი შიშუელმართალთაჲს, რომელიც ორი რედაქციით შენახულა: 1) ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ შიშუელმართალთაჲ, რომელთაში წარვიდა ზოსიმე,⁷ სადაც მოთხრობილია ცხოვრება ერთს უდაბნოში შიშუელმართალთა, ესე იგი ისეთ ადამიანთა, რომელნიც ანგელოზებრივ ცხოვრებას ატარებდენ, ამიტომ არც ტანისამოსი სჭირდებოდათ და არცსხვა რამე, რაც მოკუდავი ადამიანისათვის აუცილებელია. სასწაულებრივ მათ წრეში ჩაეარდნილა ზოსიმე, რომელსაც მათი ცხოვრება აუწერია.⁸ 2) შიშუელმართალთაჲს თხრობაჲ წმიდისა ბასილისი ევბოლოს მიმართ მოძღურისა მისისა და ქუეყანის საზომისათჲს აღმოსავალითგან გიდრე დასაუღეთადმდე;⁹ აქაური შიშუელმართალნი ჩვენ მიერ გამოცემულს პანსოფი ალექსანდრიელის ცხოვრებაში მოყვანილნი არიან, როგორც სანატრელნი მამანი. ეს აპოკრიფიც უძველესი უნდა იყოს ქართულს ენაზე, ვინაიდან ის მოთავსებულია სინას მითს ხელნაწერში № 71, რომელიც 983 წელს შეეუმოსია იოანე ზოსიმეს, მაშასადამე, გადაწერილი და გადათარგმნილი ის გაცილებითადრე იქნებოდა. ბერძნულს, სლავურს და სხვა მწერლობაში შიშუელ-

1) Христианскій Востокъ, т. II, 306—343.

2) Христ. Вост. т. IV, 346—383.

3) К. Кекелидзе, Monumenta hagiographica (Georgica t. I, p. 153—160.

4) ibid., p. 48—59.

5) ibid. p. 1—5.

6) ibid. p. 202—214.

7) ეს აპოკრიფი სლავურ ენაზედაც არსებობს, იხ. Н. Тихонравовъ, Памятники отреченной русской литературы, т. II, стр. 78—92.

8) სიძვ. მუხ. № 395, 136—143, № 161, 136—147.

9) სიძვ. მუხ. № 65, 350—351, გამოცემულია ექ. თაყაიშვილის მიერ, იხ. ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 846—849.

მართალთ ეწოდებათ ნეტარნი, ბრახმანები, რექივიტები, ჰიმნოსოფისტები და სხვ.¹

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ ენაზე არსებობს აპოკრიფების ერთი საგანგებო კრებული, რომელსაც მარგალიტი ეწოდება. ჩვენ ვიცით შემდეგი ნუსხები ამ კრებულია: სიძვ. მუზეუმისა № 1426, საისტ.-საეთნოგრ. საზოგადოებისა № 1296² და წერაკითხვის საზოგადოებისა № 3529³. კრებულს შემდეგი სათაური აქვს: სწავლანა სუფიურნი, გამაჟრებულნი წმიდათაგან წიგნისაგან მარგალიტისა და დაბადებისაგან ღმრთისა. აქედანა ჩანს, რომ კრებული თვითონ კი არაა მარგალიტი, — ასეთი სახელი, როგორც თავის ადგილას დავინახეთ, ეწოდება იოანე ოქროპარის მოძღვრებათა ერთერთ კრებულს, — არამედ მასში შეტანილია მასალა მარგალიტიდანაც. ძირითადი ნაწილი ამ კრებულისა შესდგება შემდეგი სტატიებისაგან, რომელნიც უმეტეს ნაწილად კითხვა-პასუხების სახით არიან წარმოდგენილნი: 1) შექქნისათვის ცისა და ქუეყანისა: აქ გარკვეულია ზოგიერთი საკითხები ბიბლიურა კოსმოგონიისა, წარმოდგენილია სახელები მოციქულებისა და გენეალოგია ზოგიერთ წმიდანებისა და ბიბლიური პარებისა; შეიცავს სულ 52 კითხვა-პასუხს. 2) თარგმანებაჲ წმიდასა იპოლიტესი, რომელიც უნდა წარმოდგენდეს იპოლიტეს ქრონიკის აპოკრიფულ ფრაგმენტებს, შეიცავს ბიბლიური ქრონოლოგიის ცდას ქრისტეს დაბადებიდან ღვთისმშობლის მიცვალებამდე. 3) რაოდენნი ნათესაენი არიან ქუეყანასა ზედა, — ჩამოთვლილია 75 ეროვნება და მათ შორის: სერგელნი, ქართველნი, აფხაზნი, სეანნი, მეგრელნი, დვალნი, აგრეთვე — დილონი, ლეკნი, ჯიქნი, პაქანაქნი, სომეხნი, რუსნი, წითლოსანნი, ბრანჯნი, ყივჩაყნი. 4) სიტყუა დაბადებისა: ადამისათვის და სამოთხისა შეუნიერებისა და ანგელოზთა დაბადებისათვის, — დიონისი არეოპაგელისა; აქ მოთხრობილია

¹) Акад. А. Веселовскій, Изъ исторіи романа и повѣсти, стр. 281—392, სადაც ნაჩვენებია შესაფერი ლიტერატურაც.

²) აწერილია ექ. თაყაიშვილის მიერ, Сборникъ для описанія мѣстностей и племенъ Кавказа, вып. XXIV, стр. 22—24.

³) Е. Такайшвили, Описание рукописей Общ. грам. I, 519—520. ამათ გარდა არსებობს კიდევ შემდეგი ნუსხები ამ კრებულისა: ლოპატინსკისა (Сборн. для опис. мѣст. и плем. Кавк. вып. XXIV стр. 20—21), საბინინისა (А. Хахановъ, Очерки по исторіи груз. слов. вып. III, стр. 428—429), სიძვ. მუზეუმისა №№ 381, 658. ყველა ჩამოთვლილი ნუსხები გადაწერილია შეცხრამეტე სექტუბერში, გამონაკლისს შეიძენს სიძვ. მუზ. № 1426, რომელიც გადაწერილია იანვარის 1788 წელს.

ამბავი ქვეყნის გაჩენისა, ადამ და ევას დაბადებისა, მათი სამოთხეში ცხოვრებისა, შეცოდებისა და იქიდან გამოძევებისა, აწერილია სამოთხე, მერე ვრცელი ლაპარაკია ანგელოზთა შესახებ და წარმოდგენილია ესქატოლოგიური მოძღვრება კეთილისა და ბოროტი ადაშიანის შესახებ. 5) სწავლანი სულიერნი, გამოკრებულნი თვთოსახეთა წიგნთაგან, შესდგება 90 კიანხვა-მიგებისაგან: აქ განმარტებულია ფაქტები, სახელები და სხვადასხვა საგანნი ძველისა და ახალი აღთქის ისტორიისა; მაგალითად: კითხვა: წინასწარმეტყველი ვინ მოკუდა სამგზის? მიგება: იონა. ვინ იყო, რომელი ეძიებდა ერთსა და სამი პოვა? ელენე დედოფალი, რომელიც მაცხოვრის ჯვარს ეძებდა მხოლოდ და სამი კი იპოვა. აქვე ახსნილია ზოგიერთი ადგილები და მუხლები საღმრთო წერილისა, აგრეთვე მთელი იგავეები, მაგალითად: უძღები შვილის, ტალანტის და მოწყალე მეფის შესახებ; ძველი აღთქმიდან უფრო ხშირად დავითნი დანაა მოყვანილი ადგილები. როდესაც საღმრთო წერილიდანაა მოყვანილი ადგილი, კითხვა-მიგების მაგიერ ნახმარია ტერმანი იგავეი, თარგმანი; ხშირად სწერია უთარგმანო, რაც „აქსიომა“-ს უდრის. 6) სახისმეტყუელებითი სიტყვაგებაჲ წმიდათა მღვდელთმოდღუართა ბასილისი და გრიგოლისი, — სულ სამი ჯგუფია კითხვა-მიგებათა; აქ ჩვენ გვაქვს განსაკუთრებული რეცენზია იმ აპოკრიფული კითხვა-მიგებისა, რომელიც სლავურს ენაზე შენახულა და რომელსაც ეწოდება *Бесѣда трехъ святителей*.¹ ჩვენი რეცენზია უფრო ვრცელია, კითხვა-მიგებათა რიცხვი მასში მეტია; სლავურსა და ჩვენს რეცენზიაში შემდეგი 20 საერთო საკითხია: რა ხელოვნება დაბადა ღვთისმამა უწინარეს ყოვლისა, რისგან დაბადა პირველი კაცი, რაოდენი ხანი დაყო ადამმა სამოთხეში შეცოდების შემდეგ, სიმართლე ვინ თქვა და წარწყმდა, ვინ ახადა მეოთხედი ნაწილი ქვეყნისა, ვინ დადვა საპი და ნახევარი, რამდენი თვე დაყო უფალმა ევიპტეში, ვის სახლში ცხოვრობდა იქ, რომლისა პური ჰქადა უფალმა, ოთხი სახარება სად დაიწერა, როგორ იდიდება სამება, ვინ იყო რომელი არ შობილა და მოკვდა, ვინ არიან ორნი მარადის მბრძოლნი, ვინ მართალთაგანმან არა თქვა ცხრა თვე, ვინ მოკვდა ორჯერ, რა ეწოდებოდა სახელი: პეტრეს მამხილებელ მხეველს, მაცხოვრის გვერდის ლახერიტ განმგმირველს, ანგელოზს, რომელმან ლოდი გადააგორა, მოგვებს, რომელთაც ძღვენი მიართვეს მაცხოვარს, და ავა-

¹) Н. Тихонравовъ, Памятники отреченной русской литературы, т. II, стр. 429—438.

ზაკებს, რომელნიც ჯვარს აცვეს მასთან ერთად? 7) კითხვა-მიგება გრიგოლი ღვთისმეტყველისა ანგელოზის მიე; აქ ნამდვილად იგულისხმება გრიგოლ პართელი, სომეხთა განმანათლებელი, და არა ღვთისმეტყველი¹. 8) ათანასე ალექსანდრიელისა თქმულნი, სულ 40 კითხვა-მიგებაა მორალური და ესქატოლოგიური ხასიათისა. 9) სიტყუანი წმიდათა მამათანი; აქ ახსნილია 18 იგავი სახარებიდან: მოწყალე სამარტელისა, ვენახში მომუშავეთა, დაკარგულ დრაქმათა, მეფის შვილის ქორწილისა, მარგალიტის მძებარა ვაჭრისა, ტალანტთა, ზღვაში გადასროლილი ბადისა, დაბმული კეციისა, მარჩილისა და ურჩი შვილისა, ახალი ღვინის და ძველი თხიერისა, მაცხოვრის სერობისა, ლაგვინთ წყლის მტვირთველისა, ურცხვი და უშიში მსაჯულისა, უნაყოფო ღვლევისა, ყანაში დაფარულ საუნჯისა, უნაყოფო ხისა, რომლის ძირში ცული ძევს, დედაკაცის საფუეარისა და მდოგვის მარცვლის შესახებ. 10) კითხვა-მიგება წმიდათა მამათა; აქ 30 კითხვა-მიგებაში ახსნილია სხვადასხვა მუხლები და საგნები ძველისა და ახალი სჯულისა, მაგალითად: რაოდენი არიან ცანი, რამდენი წელიწადი იყო დაფარული ჯვარი მცხოვრისა, რამდენი წყრთა იყო ნოეს კიდობანი, ვინ იყო რომელი არ შობილა და მოკუდა, შემდგომად სიკედილისა ვინ შევიდა მუცლად დედისა? აქვე ჩამოთვლილია შეიდნი ცოდვანი კენისანი. 11) სიტყუანი გამოკრებულნი სახარებათაგან წმიდათა მამათა მიერ, სულ 31 კითხვა-მიგებას შეიცავს. 12) სოლომონისა კითხვა-მიგებანი, — 20 კითხვა-მიგება; ბასი წარპოებს ვინმე ზაქარიასა და სოლომონის შარის ძველისა და ახალი აღთქმის თემებზე. 13) ხრონოლოგიური, სიტყუაჲ მეორედ მოსლვისათვის და აღსასრულისა, პატრელაისონი; აქ ჩვენ გვაქვს მეთოდი პატრელის ან ოლიმპელის ფსევდოეპიგრაფიულისა და აპოკრიფული ქრონიკის შემოკლებული რედაქცია, რომლის შესახებ ჩვენ ლაპარაკი გვქონდა, როდესაც ლეონტი მროველის ლიტერ. წყაროებს ვირკვევდით.²

¹) А. Х а х а н о в ъ, Очерки по истории груз. словесности, вып. I, стр. 222—224.

²) ტფილ. უნივერ. მოამბე III, 51—52. გარდა ამ 13 ძირითადი სტატიებისა კრებულში არის დამატებითი არააპოკრიფული სტატიები: 1) სიტყვისგება ექვთიმე გრძელისა და სოსთენს შარის (საქართველთს საშოთხე, გვ. 615—621), 2) უწყება პეტროს მკაწურელისა, ალაჯორისა და ალაჯოზო მარხვისა (იქვე, გვ. 629—631), 3) უწყება სუბალისძის სუფსარქისისათვის (იქვე, გვ. 631—633), 4) თარგმანება სომეხთა წვალე-ბათათვის და თუ რომლითა პირითა შეიჩვენებთან სომეხნი (იქვე, გვ. 636—638), 5) „განგება“ საიდუმლოთა კათოლიკე ეკლესიისთა და საბისმეტყუელებისა წესთა მისთა“, — ეს არის გეზანგ კონსტანტინოპოლელის სახელით ცნობილი „განმარტება საღმრთო ლიტურგიისა“ (Ипод.

ასეთია საერთოდ შინაარსი და ხასიათი ამ აპოკრიფული კრებულისა; უნდა შევნიშნათ, რომ ერთიდაიგივე კითხვა ჩვენ გვხვდება სხვადასხვა სტატიებში, მაგალითად: იმ ავახაჟთა სახელები, რომელნიც მაცხოვართან აცვეს ჯვარს, გვხვდება მეხუთე და მეექვსე სტატიებში, მაცხოვრის ჯვარის გამომთლელის სახელი—5, 6, 10 და 12 სტატიებში, მოგვთა სახელები—5, 6 და 12 სტატიებში, სახელი და მნიშვნელობა მოგვების მიერ მოტანილი ძღვენისა—5 და 6 სტატიებში, სახელი პეტრეს მამხილებელი მხეველისა—6 და 10 სტ., სამჯერ მომკვდარი წინასწარმეტყველის სახელი—5 და 8 სტ., სახელი იმ კაცისა, რომლის სახლში ცხოვრობდა იესო ქრისტე ეგვიპტეში—6 და 10 სტ. და სხვ. მაშასადამე, ეს არის კრებული სხვადასხვაგვარი, ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი, აპოკრიფული კითხვა-მიგებისა, რომელნიც ბიზანტიურს ლიტერატურაშიც არიან ცნობილნი შემდეგი სახელებით: *ἑρμῆσεϛ, πένσεϛ καὶ ἀπαχίσεϛ, ἀπορία καὶ λήσεϛ* და სხვ.

ის გარემოება, რომ 1788 წელზე აღრინდელი ნუსხა ამ კრებულისა არ მოიძებნება, გვაფიქრებინებს, რომ ის დაახლოვებით ამ დროს ითარგმნა ქართულად. მართლაც, ექ. თაყაიშვილი 1785 წ. აკუთვნებს მას იმ საბუთით, რომ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ნუსხას № 1296, რომელიც მას ხელთა ჰქონია, ბოლოში ასეთი მინაწერი აქვს: ესე წიგნი მდებარე ბერძულსაგან გადმოითარგმ ა, ბერძნის იოანესაგან, მიხაილის ძის ჰანუწაიშვილის ქსიფილინოსისაგან, თაუეს ოკტომბერსა, დღესა 17, წელსა 1785, ქადაქს ტფილისს, ხოლო ქარიუდსა ხმას ზედა შეწებობით ოსეს ძის მღუდღის იოანესაგან. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს შენიშვნა ეკუთვნის არა მთელს კრებულს, არამედ მისს უკანასკნელს სტატიას „ქორწინებისა საკათაჯს“-ს, რომელიც, როგორც დავინახეთ, მართლაც იოანე ქსიფილონისს უთარგმნია; ამ მინაწერით თავდება ეს შრომა ყველა დღემდე ცნობილს ნუსხებში, მაშასადამე აპოკრიფულს კრებულშიაც. ის ამავე შენიშვნით შესულა. მართლაც, შემადგენელი ნაწილები ამ კრებულისა რომ გაცილებით აღრე ყოფილა ქართულად,

Красносельцевъ. Свѣдѣнія о нѣкоторыхъ литургич. рукописяхъ Ватиканской библіотеки, стр. 322—375). 6) სწავლანი წმიდათა მამათანი: იოანე ლუკისმეტყველისა, ეფრემ ასურისა, ბასილი დიდისა, იოანე ოქროპირისა, გრიგოლ ნოსელისა და მაქსიმე აღმსარებელისა. 7) სხვადასხვა კანონიკური სტატიები: ეპისტოლენი ტიმოთე აღექსანდრიელისა და პეტოლი კონსტანტინოპოლელისა, მსოფლიო კრებათა ისტორია, მარხვათათვის, სიმბოლო სარწმუნოებისა, ათი მცნება, შვიდი საიდუმლო, მომაკულნი ბეჟონი ცოდვანი და სათნოებანი, ქორწინების ხარისხნი და სხვ.

ვიდრე მეთვრამეტე საუკუნე, ეს შემდეგიდანა ჩანს: 1) არის ნიშნები იმისა, რომ ყველაზე ძველს, 1788 წლის ნუსხაშიაც კი (სიძვ. მუზ. № 1426), სტატიები სხვა ნუსხიდანაა გადაწერილი; აქ ასეთ შენიშვნებს ვხვდებით: ასე ეწერა დღეა (ფ. 161^a, 204^b); აქ გადაწერისას იქნებოდა შესაძლებელი ისეთი შეცდომები, როგორცაა: ჭოდ ლოდის მაგიერ, ძობაზე-ობა-ს მაგიერ (ფ. 179^a, 114) და სხვ. 2) ძველში გვხვდება უძველესი ტექსტების არმენიზმები: დრაუენა, დროშანი, ჰასენაკი (ფ. 83), არქაიზმები: გნებას ცნობის (133, 148), ჰატიყი (=სასჯელი, 141), სათრომელი (=ბაღე, 153), სამჭედური (=ბაღე, 97). 3) ზოგიერთი კითხვები ამ კრებულისა ჩვენა გვაქვს წინაღობის ძეგლებშიაც, ასეთებია: „რამ არს სიტყუა იგი წინააღ-წარმეტყუელისაა — ცისკარი იგი, რომელი ურბიოდა მზესა“, „რამ არს იგი რომელი იტყვს: საროსა, ნაძუსა და ფიქუსა ზედა“, „ვინ იყო რომელი ეძიებდა ერთსა და სამნი პოვნა“; ეს კითხვები უფრო ვრცელი და ძველი რედაქციით, ვიდრე აქ, ჩვენ გვაქვს მე-XVII საუკუნის ხელნაწერში.¹ 4) მეექვსე სტატია, „სახისმეტყუელებითა სიტყვსგებაჲ წმიდათა მღვდელთა მოძღუართა ბასილისი და გრიგოლისი“ გვხვდება XII—XIII ს. ძეგლებში, ხოლო მეორე რედაქცია ამ აპოკრიფისა, რომელიც უფრო ახლო დგას სლავურს *Всѣхъ свѣтителейъ*-სთან, გვაქვს X საუკუნის მრავალთავე ში.² 5) აქ ჩვენ გვაქვს ზოგიერთი ისეთი სტატიები, რომელნიც ექვთიმე მთაწმიდელის მიერ არიან გადმოთარგმნილნი; ასეთია, მაგალითად, გეოგრაფიული აღნუსხვა იმ ტერიტორიისა, რომელიც ერგო ნოეს შვილებს (ფ. 177—178); ეს გადმოკეთებულია, ექვთიმეს მიერ ნათარგმნი მაქსიმე აღმსარებელის ერთერთ თხზულებიდან.³ 6) მეთექვსე სტატიაში, „კითხვა მიგება წმიდათა ზამათა“, გვაქვს ასეთი კითხვა: ჰირველი სასწაელი რომელია ქმნა უფალმა? მიგება: კელი სადომესი განკურნა, განკმა რა, ოდეს ურწმუნო იქმნა იკი შობასა მას უფლისასა; ამას ტექსტში მისდევს ასეთი შენიშვნა: ესე თუ ვის დაუწერია არა ვიცო, განა უკუთუ ჰირველსა მას სასწაელსა ეძიებდეს ვინ ქრისტესსა, ესე არს; რომელ უთესლოდ შეკადა საშობს ქალწულისასა და უხრწნელად იშვა და შეიღკომად შობისა განუხრწნელად ქალწულად დაიცივა წმიდაჲ იგი დედაჲ თჳსი; ესე არს ჰირველი და ბუნებათა უღარესი სასწაული. — განკაცება სიტყვას ღმრთისაჲ და უხრწნელე-

¹ დაბეჭდილია ჩვენ მიერ, იხ. *Житіе Агаѳангела, католикоса Дамасскаго, Христіан. Востокъ*, т. IV, вып. 3, стр. 253—255.

² სიძვ. მუზ. № 19, ფ. 306—318. № 95, 83. 212—224.

³ სიძვ. მუზ. № 636, ფ. 91—92.

ბა ეოკლად წმიდისა მის ქაღწეულისაჲ. ამას მე გლახაკი ეფთჳ მე გაუწყებ, მონანო ღმრთისანო, შემინდევით და ღოცვა უფო (№ 1426, ფ. 162). აქედან ცხადია, რომ ეს სტატია უთარგმნია ექვთიმე ათონელს, რომელსაც თარგმანში თავისი წვლილიც შეუტანია. ეს რომ ასეა, ჩანს იქიდანაც, რომ ამავე სტატიაში კითხვაზე: რომელნი არიან შჯღნი ცოდვანი კაენისნი ანუ რანი არიან შჯღნი შურისგებანი, ჩამოთვლილია შვიდი ცოდვა კაენისა (ფ. 162—163). ექვთიმეს ბიოგრაფიიდან ჩვენ ვიცით, რომ მას უთარგმნია, სხვათა შორის, „ბასილის თქუმულნი კაენის შჯღთა შურისგებათათჳს“, რომელიც არსად, არც ერთს ძეგლში, არ გვხვდება ცალკე; უნდა ვიფიქროთ, ის თუ მთელად არა, in extenso შეტანილია აქ სტატიაში. შეიძლება, ექვთიმეს ამ კრებულის სხვა სტატიებიც ეთარგმნოს, მაგალითად, ძვექვესე, მაგრამ ამისი დამამტკიცებელი საბუთი არა გვაქვს.

აწაირად, ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ შემადგენელი ნაწილები ამ კრებულისა უძველეს დროიდანვე ყოფილან ცნობილნი ქართულს ენაზე; მაგრამ კრებული, როგორც ასეთი, შეიძლება, მართლაც შედარებით გვიან გაჩენილიყოს. ვილაც უცნობ რედაქტორს თავი მოუყრია ყველა იმ სტატიებისათვის, აპოკრიფულისა თუ არააპოკრიფულისათვის, რომელნიც კითხვამიგების სახით არსებობდა ქართულს მწერლობაში. ამავე დროს, რათა ეს საინტერესო მასალა უფრო გასაგები გაეხადა მკითხველი მასისათვის, მას გაუფულგარებია ენა და სტილი ზოგიერთი სტატიებისა; მაგალითად, აქ ჩვენ გვხვდება ასეთი სტილისტური ვულგარიზმები (არას ვამბობთ ფონეტიკურსა და მორფოლოგიურზე): დააენეს (=დააგინეს, ფ. 12^a), იისფერით მოსიფი (12^a), უწინ (2^a, 13^a 51^a), შიგან (13^c), ძმის მიცვალებასზე (13^a), კიდევ (29^a), დაორსუდა (29^a), სიცრუე აგისდა (30^a), ამხანაგი (71^a), მისწავლა (84^a) და სხვა მრავალი ამგვარი.

ამით ვათავებთ ზოგად მიმოხილვას ქართული აპოკრიფული მწერლობისას. ეგრედწოდებულს ევქოლოგიონში (ან კურთხევანში) ხშირად გვხვდება სხვადასხვაგვარი შელოცვები, რომელნიც ცალკე დარგს წარმოადგენენ აპოკრიფებისას; ასეთებია, მაგალითად, ღოცვა სეტევასაჲ, შელოცვა ბოტანისაჲ, ღოცვაჲ წმიდისა დიდებულისა მოწამისა ტრაფონისი ეფელისაგეთჳს უანისა, ვენაკისა და ბოსტანისა. ოდეს ჭია აფრებდეს, ღოცვაჲ კადისაჲ, ღოცვაჲ თუაღცემულისაჲ და სხვ.² აპოკრიფებთან ერთად უნდა

1) ათონის კრებულ. გვ. 29.

2) ამათი რუსული თარგმანი იხ. ჩვენს თხზულებაში: „Литургическіе грузинскіе молитвы“, стр. 115, 118, 120, 138, 150, 161.

აღნიშნოს ის ასტროლოგიური სტატია, რომელსაც ქართულად ეწოდება 'კაქნდაჲ, აქემუჲი ეზრა წინაჲსწარმეტყუელისაჲ'.¹ პირველად ის გვხვდება ჩვენ იოანე-ზოსიმეს მიერ 949 წელს საბას ლავრაში გადაწერილს მანუსკრიპტში, მაშასადამე, ეს საკმაოდ ძველი ნაწარმოებია ქართულს ენაზე. შინაარსი მისი არის აღნუსხვა ნიშნებისა, თუ როგორი ტაროსი და მოსავალი იქმნება ამათუიმ წელში იმისდა მიხედვით—რომელ დღეს მოდის ახალი წელიწადი. დედანი ამისი ბერძნულ ენაზედაც არის ცნობილი და ეწოდება *Τὸν παρὰ τῆς αἰσθητικῆς Διόφαντος*.² ქართულ ენაზე გვაქვს კიდევ სხვა რედაქცია ამავე თხზულებისა და აგრეთვე ამის მსგავსი სხვა თხზულებები, როგორიცაა ძრვისა და ქუხილის გამოცხადებაჲ, შთაფარისა დღენი სააკაჯანი. და სხვ., რომელნიც ჩვენ ვფიქრობთ, იოანე პეტრიწს უნდა ეთარგმნოს.

§ 3. ეგზეგეტიკა.

ეგზეგეტიკური მწერლობის წარმოშობა.—დასაწყისი ქართული ეგზეგეტიკისა.—მისი პერიოდები და წარმომადგენელი.—ქართული კატეხეზი და მათი ნიმუშები.

საქრისტიანო მწერლობაჲ იმთავითვე გამოყო განსაკუთრებული დარგი. რომელსაც ეგზეგეტიკა ეწოდება; მისი საგანია ბიბლიური ტექსტის ახსნა-განმარტება. განმარტება სამგვარია: ერთი-ტექსტისა და მისი შინაარსის უბრალოდ და მარტივად გადმოცემა და მოთხრობა; მეორე—მისი შეგნების გაადვილება კომენტარიების საშუალებით, მესამე—ერთი ენიდან მეორეზე გადმოღება. ტექსტის შინაარსის გადმოცემა, მისი კომენტარიები და უცხო ენიდან დედაენაზე გადმოღება. ერთსადაიმევე მიზანს ახწევს. ამით აიხსნება, ალბად, ის გარემოება, რომ ძველს ქართულ მწერლობაში თარგმანება აღნიშნავს როგორც კომენტარიებს, ისე ერთი ენიდან მეორეზე გადმოღებას, ხოლო თარგმანი—როგორც გადმოთარგმნას ერთი ენიდან მეორეზე და ახსნაგანმარტებას კომენტარიების საშუალებით, ისე ამათუიმ მოთხრობის შინაარსის გადმოცე-

1) დ. ბაქრაძე, საქართველოს ისტორია, გვ. 236.

2) А. Х а х а н о в ъ, Очерки по истории груз. словесности, вып. 1, стр. 304-305.

მას უბრალოდ და გასაგებად;¹ თარგმანი ქართულად ეწოდება ამავე დროს იმ ადაშიანსაც, რომელსაც ხელობად ჰქონდა როგორც კომენტარიები ტექსტისა, ისე მისი გადმოღება ერთი ენიდან მეორეზე.

ზოგიერთი აქ აღნიშნული მნიშვნელობით თარგმანება ჯერ კიდევ ძველმა ებრაელებმა შემოიღეს; როდესაც მათ დაივიწყეს დედაენა და ქალდეურ-არამეულზე დაიწყეს ლაპარაკი, საჭირო შეიქმნა მათთვის ბიბლიის ტექსტის ქალდეურად თარგმანება. ეს თარგმანება, თავდაპირველად ზებირი, შემდეგ ჩაიწერა და აქედან წარმოდგა არამეული თარგუმები, რომელიც უფრო პარაფრაზია, ვიდრე ნამდვილი თარგმანი ტექსტისა; თარგუმისტი ამ შემთხვევაში დიდ თავისებურებას იჩენს, ის ბიბლიის ტექსტს ხან უმატებს, ხან აკლებს და სცვლის კიდევაც.

პირველყოფილს ქრისტიანთა საზოგადოებაში, რომელიც პროზელიტიზმით იკვებებოდა, აუცილებლივ საჭირო შეიქმნა როგორც კომენტარიები ტექსტისა, ისე გადმოთარგმნა მისი ერთი ენიდან მეორეზე, ამისათვის იქ განსაკუთრებული არაიერარქიული თანამდებობის პირებიც კი იყვნენ.

ბერძნული ეგზეგეტიკის ისტორია სამ პერიოდად იყოფა: დასაწყისი, პირველი სამი საუკუნის განმავლობაში, კლასიკურა, მეოთხე და მეხუთე საუკუნეებისა, და ბიზანტიური, რომელიც მეექვსე საუკუნიდან იწყება და თითქმის კონსტანტინოპოლის დამხობამდე გრძელდება.

მეექვსე საუკუნის შემდეგდროის ეგზეგეტები უფრო იმას ჰზრუნავენ, რაც შეიძლება, მეტი ციტატები მოიყვანონ მამათა და მამდუართა თხზულებებიდან. აქედან წარმოიშვა ეგრედწოდებული ეგზეგეტიკური კატენები ან კრებულები [Catenaе, *Συναξαί*], რომელთა წყალობით მკითხველს შეეძლება აქვს სულ ადვილად გაითვალისწინოს, თუ როგორ ესმოდათ ესათვის ადგილი წინა დროის მწერლებსა და მამებს. კატენები ასე იწერებოდა: ქალაქის ან ეტრატის უკუაგულში სწერდენ ბიბლიურ ტექსტს, რომელსაც ქართულად კიმენს [Κεμίνον] უწოდებდენ, ხოლო ამისაზე—მის განმარტებას ან სქოლიოს, რომელიმე მწერლის თხზულები-

¹) მაგალითად, ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ ერთერთ ამოკრიფულ ნაწარმოებს, რომელიც ძველი აღთქმის ისტორიის უბრალოსა და მარტივ მოთხრობას წარმოადგენს, ქართულად ეწოდება „თარგმანი დაბადებისათვის ცისა და ქუეყანისა და ადაშიანთის“ (ე თ ა უ ა ი შ ვ ი დ ი, ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 786).

დან ამოღებულს, ისე კი, რომ ამ მწერლის სახელი იქვე უნდა აღნიშნული ყოფილიყო, თუ კი ის ცნობილი იყო. თუ ამ ტექსტის შესახებ რამდენიმე სხვადასხვა განმარტება არსებობდა, იმათაც პარალელურად მოიყვანდნენ ხოლმე. როდესაც სქოლიო დიდი იყო, მაშინ ჯერ ტექსტს მოიყვანდნენ სტრიქონის გასწვრივ და მერე თანმოყოლებით, დაარა აშე-აზე, თვით სქოლიოს. ზოგიერთი კატენების ავტორები პირველწყაროებით სარგებლობდნენ ხოლმე, ზოგიერთნი კი მზამზარეული კრებულებით.

ქართულს ეკლესიურ მწერლობაში ეგზეტიკას საპატიო ადგილი უკავია; საღმრთო წერილის ახსნა-განმარტება, როგორცა ჩანს, აუცილებელ და მნიშვნელოვან საქმედ ყოფილა მიჩნეული და ამიტომ შესაფერ თხზულებათა თარგმნისათვის შედარებით ადრე მიუყვიათ ხელი. პირველს ქართულ თარგმანს, ამ სიტყვის პრიმიტიული მნიშვნელობით, ჩვენ ვპოულობთ ესტატე მცხეთელის მარტვილობაში, რომელიც მეექვსე საუკუნეშია დაწერილი. არქიდიაკონი საპული უთარგმნის ესტატეს საღმრთო წერილის, ესე იგი ძველისა და ახალი აღთქმის, ისტორიას. თარგმანება სამუილისა მდგომარეობს ამ ისტორიის თავისუფლად და თავისებურად გადმოცემაში, სამუილი მონურად არ მისდევს ბიბლიურ ტექსტს, ხანდისხან აკლებს, უმატებს ანა და სცელის ამათიმ ადგილს. ამ მხრივ საყურადღებოა სახარების ინტერპრეტაცია, აქ შეცვლილია იესო ქრისტეს მსახურების თანდათანობა: სახარებით, ნათლისღების შემდგომ, იესო ქრისტე სამსახურს იწყებს გალილეაში, ესტატეს მარტვილობით კი იერუსალიმში. შეცვლილია წესი სასწაულთმოქმედებათა: სახარებით, გალილევას კანაში სასწაული პირველი სასწაული იყო იესო ქრისტესი, მარტვილობით კი მეხუთე. შეცვლილია თხრობა თვით სასწაულთა შესახებ; მაგალითად, ეშმაკთა ლეგეონი, რომელიც ქრისტესა სთხოვდა, რათა არა უბრძანოს მათ უფსკრულთა შთასჯად (ლუკ. VI 31), გაგზავნილ იქმნა ღორების ჯოგში, რომელიც მერე ზღვაში შეიქრა და დაიხრჩო (მარკ. V, 1—14, ლუკ. VIII, 27—34), ხოლო მარტვილობით ქრისტემ უბრძანა ქუეყანასა და განედო და დანთა ეშმაკი იგი და შთახდა ჯოჯოხეთად ქუესკნელად (საქართ. სამოთხე, გვ. 319). ჯვარზე გაკრული ქრისტე, სახარებით, ამბობს: მამო, მიუტევე მათ, რაეთუ არა იციან რასა იქმან (ლუკ. XXIII, 34), მარტვილობით კი — მამო ჩემო, უოკედ ივე ადვანსრულე და ისრაილმან არა ისმინა ჩემი და ესევეთარი ტანჯვა მოაწიეს ჩემზედა (საქართვ. სამოთ. გვ. 320). ამ თარგმანებაში ჩვენ გვაქვს ერთგვარი ქალდეურ-არამეული თარგუმებისებური

ნაწარმოები, რომელსაც ამიტომ შეგვიძლია უწოდოთ ქართული თარგუმი.

თავდაპირველად, ჩვენი მწერლობის უძველეს ხანაში, მეათე საუკუნის გასლვამდე, ეგზეგეტიკური თხზულებანი უთარგმნიათ უფრო სომხურიდან, ვიდრე ბერძნულიდან.

უძველესი, ჩვენამდე შენახული და დღეს ცნობილი საეგზეტიკო თხზულებანი მოთავსებულია ეგრედწოდებულს შატბერდის კრებულში და ნათარგმნია სომხურიდან არაუგვანეს მერვე საუკუნისა; ესენია თხზულებანი იპოლიტე ჰრომაელისა და ეპიფანე კვიპრიელისა. იპოლიტეს თხზულებათაგან შენახულა:

1) განმარტებაჲ კურთხევათა მათჯს მოსწისთა ათარმეტთა მამართ ნათესავთა (გვ. 251—284); აქ იგულისხმება მეორეშეჯუდის XXXIII თავის თარგმანება, რომლის ბერძნული დედანი დაკარგულია; შენახულა მხოლოდ სომხური თარგმანი, საიდანაც მომდინარეობს ქართული ვერსია.¹

2) აღნიშნული თხზულების დასაწყისიდან ჩვენ ვკუობილობთ, რომ იპოლიტეს დაუწერია აგრეთვე ნეტარისა ისაკისა კურთხევათა ძეთა მიმართ თჯისთა, რომელშიაც უნდა იგულისხმებოდეს შესაქმეთა წიგნის XXVII, 27--29, 39--40 განმარტება, რომლის არც დედანი შენახულა, არც თარგმანი.

3) თქუიული კურთხევათა მათჯს იაკობისთა, ღითარ ათარმეტნა ნახუტნი აკურთხნა (გვ. 284—314); აქ იგულისხმება შესაქმეთა წიგნის XLIX თავის განმარტება, რომლის სომხური თარგმანი, ქართული ვერსიის დედანი,² გამოცემულია.

4) დავითისათჯს და ვალხიადისათჯს განმარტებაჲ (გვ. 315—327); ეს თხზულება, რომელშიაც განმარტებული უნდა ყოფილიყო მეფეთა პირველი წიგნის XVII თავი, გარდა ქართულისა, სხვა ენაზე არ შენახულა.

5) თარგმანებაჲ ქებაჲ ქებათაჲსაჲ (გვ. 327—357); ეს თხზულება ცნობილია როგორც ბერძნულს, ისე სხვა ქრისტიან ერთა ენებზე, კერძოდ სომხურზედაც, საიდანაც ის ქართულად უთარგმნიათ;³ მაგრამ ქართულ თარგმანს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მას, სხვა ვერსიებთან შედარებით, უფრო ვრცლად შეუნახავს ეს თხზულება.⁴

¹) Н. М а р р з, Ипполита — Толкование Писни пѣсней (Тексты и разыскания по армяно-груз. филологии, кн. III, стр. XXIII).

²) Ibid стр. XXIII.

³) Ibid стр. XV.

⁴) ქება-ქებათაჲ-ს განმარტება გამოსცა იაკ. ნ. შარშია, ხოლო 1, 3 და 4 თხზულებები გამოსცა ვერმანულ ენაზე, ცუდად შესრულებული რუსული თარგმნიდან, პროფ. N. Bonwetsch-მა (Texte und Untersuchungen zur geschichte altchristlichen Literatur XXVI, Leipzig 1904).

ეპიფანე კვიპრელის საეგზეგეტიკო თხზულებათაგან იმავე შატბერ-
ლის კრებულში შენახულა შემდეგი:

1) თარგმანსაჲ დაჲფითის ფსალმუნებისაჲ (გვ. 515—576); ის
უთარგმნია სომხური ენიდან ვინმე დაჩის და მიუძღვნია განსაკითხავად
ცნობილი სტეფანე მტბევრისათვის, რომელიც მეთე საუკუნის პირვე-
ლი მეოთხედის მოღვაწეა. იმ წერილიდან, რომელიც ამასთან ერთად
გაუგზავნია დაჩის სტეფანესთვის,¹ ჩვენ ვტყობილობთ, რომ დაჩის 150
ფსალმუნიდან მხოლოდ შვიდი ფსალმუნის განმარტება გამოუხუჲამს, და-
ნარჩენი, თუ საჭიროდ დაინახო, შენ განასრულეო, სწერს ის მას. აღნი-
შნულ ხელნაწერში ჩვენ გვაქვს განმარტება 1, 2, 3, 4, 5, 6, 9, 17,
44, 45, 46, 48, 49 და 50 ფსალმუნებისა; აქედან შვიდი დაჩის ეკუთ-
ვნის, ვინ თარგმნა დანარჩენი შვიდი, არ ვიცით.

2) სათარგმნეთა თუაღთათჳს (გვ. 122—214), ახსნილია თვისე-
ბანი იმ თარგმნეტ თუალთა ან ძვირფასი ქვებისა, რომელნიც ამკობდენ
ებრაელთა მღვდელმთავრის სამოსლის გულმკერდს. ეს თხზულება ორი
რედაქციით შენახულა: მოკლეთი და ვრცელით; ვრცელი რედაქცია მხო-
ლოდ ლათინურ ენაზე შენახულა.² ქართულს თარგმანში შენახულა სწო-
რედ ვრცელი რედაქცია, მაგრამ არა სიტყვასიტყვით: პირველს ნაწილ-
ში ის ახლო ღვას ლათინურ თარგმანთან, როგორც კი წარმოადგენს
ცოტა განსხვავებულ რედაქციას, რომელსაც უფრო უნდა დაეცვას და-
კარგული ბერძნული დედანი. ქართული თარგმანის არმენიზმები ექვს
არა სტოვიბენ, რომ ეს თხზულება სომხურიდანაა გადმოღებული.³

3) საზომთათჳს და საწყაულთა (გვ. 239—255); ეს თხზულება.
რომელსაც ბერძნულად ეწოდება Περὶ μέτρων καὶ σταθμῶν⁴, შენახულა
ნაკლულევანად; მისი დეფექტები რამოდენამდე შეეავსო დ ე ლ ა გ ა რ დ მ ა ასუ-
რული წყაროებით. ქართული თარგმანი წარმოადგენს განსაკუთრებულ
ვერსიას ამ თხზულებისას; რა ენიდანაა გადმოღებული ის, სომხურიდან
თუ ბერძნულიდან, კატეგორიულად ამისი თქმა ძნელია. თუ პირდაპირ
ბერძნულიდანაა თხზულება გადმოთარგმნილი, მთარგმნელს უნდა სცოდ-

¹) თ. ჟორდანი, ქრონიკები I, 99—102.

²) Migne, PG. t. 43, col. 322—366.

³) მ. ჯანაშვილი, Драгоценные камни, ихъ названія и свойства (Сбор. матеріаловъ
для описанія мѣстностей и племень Кавказа, XXIV, 1—72,) რეცენზია ნ. შარანიძე,
Визант. Времен. т. IX, № 3—4.

⁴) Migne, PG. t. 43, col. 237—294.

ნოდა არაბული ან ებრაული, როგორც ესა ჩანს ზოგიერთ ებრაულ ასოთა ქართული გამოთქმიდან.¹

4) ეკლესიური მწერლობის ისტორიკოსები საეგზეგეტიკო თხზულებათა ჯგუფებში ათავსებენ ერთს, ძველს მწერლობაში მეტად პოპულარულ ნაწარმოებს, რომელიც შეიცავს ბიბლიურ მხეცთა და ცხოველთა თვისებების შესახებ დაკვირვებას მისტიური და ზნეობრივი ხასიათის შენიშვნათა თანდართვით; ეს არის *Ⲡⲱⲛⲁⲗⲁⲗⲉⲥⲱⲥ* ან, ქართულად, სახისმეტყუელი. ეს თხზულება, რომელიც შატბერდის კრებულშია მოთავსებული, ნ. მარჩის, მისი მეცნიერულად გამოცემლის, გამოკვლევით, გადმოთარგმნილია სომხურიდან ტაოკლარჯეთში მერვე საუკუნის გასულს.² აღნიშნული თხზულება, თავდაპირველად ანონიმური, უსახელო ყოფილა; მერე ჩნდება ისეთი ნუსხები, რომელნიც მას მიაკუთვნებენ პეტრე ალექსანდრიელს, ბასილი დიდს და უფრო ხშირად ეპიფანე კვიპრელს; ეპიფანეს მიაწერენ ზნეობრივ-მისტიურ და საეგზეგეტიკო ხასიათის შენიშვნებს და განმარტებებს; მხეცთა თვისებების აღნუსხვა კი გვხდება ორიგენის თხზულებაში, საიდანაც ის გადასულა უცნობი ავტორის ასურულ რეცენზიაში. ქართული ვერსია სათაურით, მართალია, ბასილ კესარიელს მიეკუთვნება, მაგრამ ხელნაწერთა ტრადიციას თუ ვიქონივით მხედველობაში, ის ეპიფანეს თხზულებად იგულისხმება. ეს შემდეგიდანაცა ჩანს: შატბერდის კრებულში, რომელშიაც ბასილის არც ერთი თხზულება არაა, სახისმეტყუელი მოთავსებულია ეპიფანეს თხზულებათა შორის; ასევეა წერკითხ. მუზ. ხელნ. № 384 და სიძვ. მუზ. №№ 6, 115.

არა უგვიანეს მეცხრე საუკუნისა უთარგმნიათ ქართულად ათანასე ალექსანდრიელის თხზულებანიც: 1) აქქუმი სეტარისა ათანასე მთავარეპისკოპოსისა ალექსანდრიელისაჲ, ვითარ იგი დიდთა წადიერებითა გულსმოდგინე უოფილ არს გამოკულეგად ძალსა ფსალმუნთაჲს და უპოვნია ვინმე მოხუცებული ერთი მარტად მეოფი, სავსე მადლითა სულისა წმიდისაჲთა და მისეგან ზედმიწევნულ არს ძალსა ფსალმუნთაჲს დავითისთა გუდასხმისი უოფად. ეს თხზულება მოთავსებულია სიძვ. მუზ. 904 წლის დავითნში (№ 38) და ექსცერპტების სახით გამოცემულია მ. ჯანაშვილის

1) მ. ჯანაშვილი, მწერლობა IX-X ს. „სასწავლო წიგნი“, გვ. 118-136; რეცენზია ნ. მარჩისა, *Визант. Времен.* т. IX, № 3-4.

2) *Физиологъ. Тексты и разсказы по армяно-грузинск. филологин.* кн. VI, Петерб. 1904 г. პირველი გამოცემა ამ თხზულებისა ეკუთვნის ე. თაყაიშვილს.

მიერ.¹ ამ თხზულებაში ჩვენა გვაქვს ათანასეს ცნობილი ეპისტოლე მარკელინესადმი ფსალმუნთათვის,² რომელშიაც ლაპარაკია ფსალმუნთა ღირსებისა და მათი დაყოფის შესახებ, აგრეთვე გარკვეულია: რომელი ფსალმუნი ადამიანის რომელ სულისკვეთებას შეეფერება და ბოლოს დარიგებაა, თუ როგორ უნდა ვგალობდეთ ფსალმუნებს.

2) ათანასეს მიეწერება აგრეთვე ფსალმუნთა განმარტებაჲ [interpretatio in psalmos], რომელიც ნამდვილად ეკუთვნის ევსუქი იერუსალიმელს.³ ექსცერპტები და ციტატები ამ თხზულებიდან შეუტანია ეფრემ მცირეს თავის შრომაში „თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ“, რომლის შესახებ უკვე გვქონდა ლაპარაკი (გვ. 268).⁴

მეათე საუკუნემდეა ნათარგმნი გრიგოლ ნოსელის კაცისა შესაქმისათჳს, რომელი მიუწერა ძმსა თჳსსა ჰეტრეს, ეპისკოპოსსა სკასტიელსა.⁵ ეს თხზულება მოთავსებულია შატბერდის კრებულში,⁶ რომელშიაც ის გადმოუწერიათ დედიოთა იშხნისათჳს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ამ კრებულში მოთავსებული პატრისტული ტექსტები, აკად. ნ. მარჩის გამოკვლევით, უმეტეს ნაწილად გადმოთარგმნილია სომხურიდან VIII—IX ს., შეგვიძლია ვიფიქროთ, ეს თხზულებაჲ ამავე დროს და ამავე ენიდან უნდა იყოს ნათარგმნი.

აღნიშნულსავე ეპოქაში ნათარგმნი ყოფილა ბასილი დიდის ეგზეგეტიკური თხზულება ექვსთა დღეთათჳს.⁷ ეს თარგმანი ჩვენამდე არ

¹) ქართული მწერლობა I, 144—163

²) Migne, PG. t. 27. col. 11—46

³) P. Batiffol. La littérature grecque, 3 ed. p. 275, შენ. I.

⁴) თ. უორდანი, ქრონიკები I, 128. როგორც ათანასეს, ისე ეპიფანე კვიპრელის თხზულებათაგან ციტატები მოკაყვს მეცხრე საუკუნის მწერალს არსენ კათოლიკოსს თავის საისტორიო-საპოლემიკო თხზულებაში, რომელსაც ეწოდება „განყუთისათვის ქართლისა და სომხეთისა“. იმის დასაბუთებლად, რომ ევქარისტიულ ღვინოში წყალი უნდა იქნეს შერეული, ის ამბობს: „ღიდი ათანასის იტყჳს, ფსალმუნსა განმარტებას: სასუშელი კელთა შინა უფლისათა ურწყული საესე არს სხმულითა. ურწყულა ღთაებასა მოასწავებს და სხმული იგი კაცებასა. ესე არს წყალი, რამეთუ პირველი სიმდაბლე ღთაებასა თანა შეოფენაჲ იყო უძღურისა ბუნებისა ჩუენისაჲ. და ესე მოასწავებს ორსა ბუნებისა. ღთაებისა და კაცებისა ქრისტისისა და ამით ჯერ არს განმარტებაჲ ღვინისაჲ. და ეპიფანე კვიპრელი მ(ო)ასწავებს ამავე სახესა, რამელ იტყჳს: შენ ხარ მღვდელ უკუნისადმე წესსა მას ზედა მელქიზედეკისისა. რამეთუ მელქიზედეკ პურსა და ღვინოსა შესწირვიდა არა უცხოშისა და ურწყულსა და ამისთჳს ვსცანთ მისი მღვდლობისა სახე“ (თ. უორდანი, ქრონიკები I, 223). ესეც იმის მაჩვენებელია, რომ აღნიშნულ ავტორთა თხზულებანი მეცხრე საუკუნემდე გადმოუთარგმნიან ქართულად.

⁵) Περὶ κατὰσταυρῆς ἀντιπάσης, Migne, PG. t. XLIV, 125—136.

⁶) გვ. 1—121, აგრეთვე სიძე. მუხ. № 6, 53—82, № 165, 349—459.

⁷) Εἰς τῆς ἑξάημέρας, Migne, PG. t. 29.

შენახულა, მაგრამ მის არსებობას ადასტურებს ამ თხზულების მეორედ მთარგმნელი, გიორგი მთაწმიდელი, შემდეგი სიტყვებით: ღმერთმან იგი ზიარველნი თარგმანნი აკურთხენ კელი აღზიჰურეს.¹ „პირველნი თარგმანნი“, რომელთა ნაშრომს გიორგისათვის სარფა აღმოუჩენია, გიორგის ტერმინოლოგიით, ნიშნავს ძველი დროის მთარგმნელებს. ეს ძველი თარგმანიც, რომელშიაც, ალბად, გიორგი დროგამოშვებით იხედებოდა. როდესაც ის თარგმნას შეუდგა, სომხურიდან იქნებოდა გადმოღებული და, სხვათა შორის, ესეც აიძულებდა გიორგის ხელმეორედ ეთარგმნა ის.

ბ ი ზ ა ნ ტ ი უ რ ს პერიოდში ქართველ ეგზეგეტთა მწყობრი იწყება ექვთიმე ათონელით, რომელსაც, როგორც თავის ალაგას ვრცლად გავარკვეით, უთარგმნია შემდეგი ეგზეგეტიკური თხზულებანი: 1) თარგმანებაჲ იოანე მახარებელის ხილვისაჲ ან დ რ ი ა კ ე ს ა რ ი ე ლ ი ს ა, 2) თარგმანებაჲ იოანეს სახარებისაჲ იო ა ნ ე ო ქ რ ო პ ი რ ი ს ა, 3) თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ ო ქ რ ო პ ი რ ი ს ა ვ ე, 4) თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ ვ ა ს ი ლ ი დ ი დ ი ს ა, 6) თარგმანებაჲ გალატელთა და თესლონიკელთა და ჰრომელთა ეპისტოლესაჲ. გ რ ი გ ო ლ ნ ო ს ე ლ ი ს 6) წმიდისა მამათა მკურანისა თარგმანი, 7) წმიდისა მსესე წინააღმართებელისა თარგმანი, 8) გამოცხადებისათჳს მელქისედეკისა, 9) გ რ ი გ ო ლ ღ ვ თ ი ს მ ე ტ ყ ე ლ ი ს ს ი ტ ყ უ ა მ ა თ თ ჳ წ მ ი დ ი ს ა სა ხ ა რ ე ბ ი ს ა თ ა: რ მ ე ლ მ ა ნ მ ე თ ე ვ ზ უ რ ნ ი წ ი ნ ა ა ს წ ა რ ვ ე ი ა ნ ნ ა ი ე ს ო ჳ ქ ა დ ა გ ა დ ს ი მ ა რ თ ღ ი ს ა და ჳ ე მ მ ა რ ი ტ უ ბ ი ს ა დ; მ ა ქ ს ი მ ე ა ღ მ ს ა რ ე ბ ე ლ ი ს 10) თადასეს მიმართ ხუცისა და მამასხლისისა მრავალთა მანასტერთაჲსა სიტყუათათჳს, რომელთა განმარტებაჲ ეთხა ნეტარისა მამისაჲსაჲ;² 11) სიტყუანი სახარებისანი, გამოკრებულნი წმიდათა მამათა მიერ წმიდისა მამისაჲს თქმულთაჲს.

ექვთიმეს შემდეგ თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის ქართული ეგზეგეტიკის ისტორიაში გიორგი მთაწმიდელს; მას, როგორც თავის ალაგას გვეჩვენა ლაპარაკი, უთარგმნია ამ დარგში: 1) ექვსთა დღეთათჳს ბასილი დიდის, რომელიც ძველდაც ყოფილა თარგმნილი; 1) კაცისა შესაქმისათჳს გ რ ი გ ო ლ ნ ო ს ე ლ ი ს ა, ესეც ძველადვე ყოფილა გადმოღებული; იმავე გ რ ი გ ო ლ ი ს 3) თარგმანებაჲ ქებაჲ ქებათაჲსა, 4) განმარტებაჲ მოციქუნისაჲ; 5) დაბადებისა თარგმანი იო ა ნ ე ო ქ რ ო პ ი რ ი ს ა ჲ, რომელ აქ ცხვენება აბრაჰამისი.

1) თ. ქორდახია, ქრონიკები I, 292, Описаніе I, 41.

2) ეს თხზულება ხელმეორედ გადმოთარგმნით მე. XII ს. პეტრიწონის სალიტურატურო სკოლაში შემდეგი სათაურით: მამისი მონახონისაჲ თადასეს მიმართ ღირსისა ხუცისა და წინამძღურისა თითოხანეთა ჟღონობათათჳს წმიდისა წერილისათა“ (გვლ. ხელ. № 14).

მეთერთმეტე საუკუნის ეგზეგეტიკა შრომას აგრძელებს ეფრემ მცირე, რომელმაც მხედველობაში მიიღო დეფექტები თანამედროვე ქართული ეგზეგეტიკისა და გადმოთარგმნა: 1) განმარტებაჲ ჰაჯლე მონაქვლის ეპისტოლეათა იოანე ოქროპირისა; ეს იმდენად პირდაპირი თარგმანი არაა, რამდენადაც გადაკეთება ოქროპირის შრომისა; 2) ეფრემს შეუდგენია აგრეთვე თარგმანებაჲ დავითნისაჲ, რომელიც წარმოდგენს დავითნის კატენებს, ათანასესა და კირილე ალექსანდრიელის, ბასილი დიდის, ევსუქი იერუსალიმელის, ასტერი ამასიელის და იოანე ოქროპირის ხელმძღვანელობით დაწერილს. ეფრემს ამას გარდა უთარგმნია: 3) სექტაფრასტი კეკესიასტესი გრიგოლ საკვირველთმოქმედისა და 4) „მეტაფრასი ეზეკიელისა“, რომელიც ხელნაწერებში გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა შორის არის ხოლმე მოთავსებული.

შატბერდის 1035 წ. გადაწერილს ბასილი დიდის ფსალმუნთა განმარტებას, რომელიც ექვთიმე ათონელმა გადმოთარგნა, თანმისდევს სხვა განმარტებაჲ ფსალმუნთაჲ,¹ რომელსაც შემდეგი შენიშვნა აქვს დართული: ხოლო აქედან წადმართ დავითთა შინა ვჰოვე თჳთო მუხლსა ზედა თარგმანი, ხოლო სხელი არა ეწერა, იუ ვისი თარგმნიჯი არს, მეცნიერთა უწყინ. მე დავით ჭიბისძეჰან... ამის წიგნისა ბოლოს ჩავსწერე. აქ ჩვენ გვაქვს თითო ოროლა მუხლის განმარტება შემდეგი ფსალმუნებიდან: 16, 17, 18, 21, 29, 34, 42, 43, 44, 46, 51, 54, 55, 56, 57, 59, 60, 64, 67, 71, 83, 88, 97, 103, 104, 110, 131, 147, 150.

XI—XII საუკ. უნდა იყოს თარგმნილი კირილე ალექსანდრიელის ეგზეგეტიკური თხზულებანი: 1) მათეს თავისა სახარებისა მნელანთა სიტყუათა განმარტებაჲ, — ლექსიკონი,² სადაც ახსნილია ანბანურს რიგზე საკუთარ სახელთა მნიშვნელობა, მაგალითად: ბაროილომეოს-ქე დამოკიდებული წყალთაჲ. ბედსაჲდა—სახლი საიფქლე და სხვ. 2) ეგზეგეტიკურ კატენებში გვხვდება ნაწყვეტები შესაქმეთა თარგმანებიდან, რომელსაც, ბერძნულის მიხედვით, ღლაფჳკრა ეწოდება. 3) ათონის ერთერთ ხელნაწერში (№ 79,) პროფ. ა. ცაგარელი უჩვენებს პავლე მოციქულის ეპისტოლეთა შემოკლებულ თარგმანებას, თუმცა სხვა ხელნაწერებში ამის მსგავსს ვერას ვხვდებით.³ 4) XI—XII ს. უთარგმნიათ ენია ანუ ენოს დაზელის, მეხუთე საუკუნის მწერლის, დია-

1) სიძე. მუხ. № 135, 33. 428—498.

2) სიძე. მუხ. № 65, 340—349, წერა-კითხვ. მუხ. № 312.

3) Свѣдѣнія I, 93. ბერძნულად ცნობილია თარგმანებმა რომაელთა, კორინთელთა და ებრაელთა მართთა ეპისტოლეთა (Mittheil. d. LXXIV, 773—1006).

ლოლი, ეკუდაგებისათჳს სუჯისა, რომელიც ჩვენამდე არ შენახულა და რომლის ავტორს დიონისე არეოპაგელთან ერთად ხშირად იხსენიებენ მე-XII ს. ქართული ავტორები, როგორც, მაგალითად, „თამარიანის“ ავტორი ჩახრუხაძე.¹ შესამჩნევლად გამდიდრებულია ქართული ეგზეგეტიკური მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, განსაკუთრებით პეტრიწონის სალიტერატურო შკოლაში.

ამ დროსა და შკოლას ეკუთვნის გადმოღება ბერძნული ენიდან თეოფილაქტე ბულღარელის თხზულებათა: განმარტება მარკოზის სახარებისა, განმარტება ლუკას სახარებისა, რომელიც გადმოითარგმნია ფილოსოფოსს იოანე კიმკიმელს. ამავე დროს უნდა იყოს ნათარგმნი თეოფილაქტესავე განმარტება იოანეს სახარებისა-ც, რომელიც შენახულა ერთადერთ ხელნაწერებში (სიძვ. მუზ. № 52).

იოანე კიმკიშელსავე უნდა ეთარგმნოს, როგორც ჩვენ ვარკვევთ ერთს სპეციალურს გამოცემაში,² თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ ოლიმპიოდორე აღექსანდრელიისა და მიტროფანე, სმირნელ მიტროპოლიტისა, რომელთაგან უკანასკნელი ბერძნულ ენაზე არ შენახულა და მხოლოდ ქართული თარგმანის საშუალებით ხდებოდა ეხლა ხელმისაწვდომი. პეტრიწონული შკოლიდან გამოსულა თარგმანი მიქაელ ფსელოსის განმარტებისა რომაელთა VII, 29: „ვითარცა იქმნა პირმშო მრავალთა ძმათა შორის, ეგრეთვე პირმშო მკუდართაგან ღირს იჩინა ყოჴად“;³ და აგრეთვე უსახელო ავტორის „ქება ქებათაჲ“-ს განმარტებისა, რომელიც მოთავსებულია სიძვ. მუზეუმის 1188 წელს მხედრულად გადაწერილს ხელნაწერში № 65 (ფ. 373—411); განმარტება წარმოდგენს მოკლე სქოლიებს პარაფრასტული ხასიათისას. ეტყობა, შედგენილია სხვადასხვა ეგზეგეტთა თხზულებების ხელმძღვანელობით, ვინაიდან მეექვსე თავის მერვე მუხლის განმარტების შემდეგ („ერთ არს ტრედი ჩემი“) ტექსტში ასეთი შენიშვნაა: ვიდრე აქამდე თარგმანა ნოსეჯისაჲ წითლად დაიწეროს.

მეთორმეტე საუკუნეში ქართულს ენაზე გამოსულა შესანიშნავი ეგზეგეტიკური კატენები, რომლის ერთადერთი ცალა, თ. ყორ-

¹) Н. Марр, Древне-грузинские олонисцы, стр. 6, 41, прим.

²) კ. კეკელიძე, თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ მიტროფანე, ზმტრნელ მიტროპოლიტისაჲ.

³) წ. კათ. № 1463, ფ. 287ა, — 288ა, გელ. ხელნ. № 23, ფ. 358ა—361ა.

დან იას მიერ პოვნული ქუთაისში, დღეს სახელმწიფო უნივერსიტეტის კუთვნილებას შეადგენს. (სიძვ. მუზ. № 1146). ხელნაწერი დაზიანებულია და არის ნიშნები იმისა, რომ თავდაპირველად ის შეიცავდა კომენტარებს ძველი აღთქმის თითქმის ყველა წიგნებისას, რომელთაგან დღეს დარჩენილია მხოლოდ ლევიტიანს რუთამდე და წინასწარმეტყველები. მაშასადამე, ეს ყოფილა ისეთი მთლიანი და სრული კატენები, რომლის მსგავსი ბიზანტიის მწერლობაშიაც არ მოიპოვებოდა. აქ მოყვანილ სქოლიოთაგან ზოგი ანონიმურია, ზოგი კი დევ წარწერილი; უკანასკნელთაგან ეკუთვნის: კირილე ალექსანდრიელს, რომლის „ღლაფკრაცა“ ერთხელ მოხსენებული, 92 სქოლიო, თეოდოროტე კვრელს—91, ევსევი კესარიელს—20, სევირ ანტიოქიელს—16, ოქროპირს—10, ისიდორე პელუზიელს—2, დიდვმოს ალექსანდრიელს—2, ორიგენს—3, ბასილ კესარიელს—2, ირინეოსს—2, ფილონ ებრაელს—2, გრიგოლ ნოსელს—1, დენნადის—1, ოლიმპიოდორე ალექსანდრიელს—1. როგორც დაკვირვება გვარწმუნებს, ქართველ მწერალს ხელთა ჰქონია მზამხარეული კატენები, რომელნიც მას პირდაპირ უთარგმნია, ასე რომ იმას არ უშრომია ავტორებისა და მასალის შერჩევისათვის, როგორც ეს ეფრემ მცირეს უქნია დავითნის კატენების შედგენისას. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ ბევრ იმ მწერალთაგანს, რომლებითაც ის სარგებლობს, ამ დროს ის ბერძნულ ენაზედაც ვერ იშოვნოდა. უნდა ვიფიქროთ აგრეთვე, რომ მას ამასთანავე ბიბლიური ტექსტი, რომელსაც აქ ჩვეულებისამებრ, კიმენი ეწოდება, ახლად უთარგმნია. სტილის მიხედვით, კატეგორიულად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული კატენები ნათარგმნია თუ იოანე პეტრიწის არა, მისი სკოლიდან გამოსული მწერლის მიერ მაინც, მაშასადამე, არაუადრეს მეთორმეტე საუკუნისა.¹

მეთორმეტე საუკუნეში, ნიკოლოზ კათოლიკოსს, როგორც აღვნიშნეთ, უთარგმნია მაქსიმე აღმსარებელის სამი ეგზეგეტიკური შრომა, რომელნიც მოთავსებულია გელათის მონასტრის ხელნაწერში № 14: 1) „თალასეს მიმართ ყოვლად ღირსისა ხუცისა და წინამძღუარისა თითოსახეთა უღონოებაათავს წმიდისა წერილისათა“. 2) „სიტყვის დაწყებაჲ პატივისა შინა გუერდით მღებარეთა სხოლიოთათვს“.

1) В. Блейкъ, О древне-груз. версияхъ Ветхаго Завета, Извѣст. Кавказ. отдѣл. Москов. Археологич. общ. вып. VI.

მ) „ლოცვისათვის მამაო ჩუენოჲსა ქრისტეს მოუუარისა ვისმე მიმართ თარგმანებაჲ შემოკლებული“.

მეთორმეტე საუკუნეში, შეიძლება ითქვას, დამთავრდა ქართული ეგზეგეტიკის განვითარება, რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში მას არა შემატებია რა. მეთვრამეტე საუკუნეში კათოლიკოზმა ანტონ პირველმა დაწერა „განმარტებაჲ მიწყალესი“ ან ორმოცდა მეთათე ფსალმუნისა, რომელმაც თვალსაჩინო როლი ითამაშა მის ცხოვრებაში, და აგრეთვე „თარგმანებაჲ რომაელთა მიმართ ეპისტოლისაჲ“. მეცხრამეტე საუკუნის პირველს მეოთხედში ცნობილს იონა ხელაშვილს, როგორც მის თხზულებათა ბიბლიოგრაფიული შენიშვნებიდან ჩანს, უთარგმნია განმარტება თითქმის მთელი ძველი აღთქმისა, ალბად რომელიმე რუსული ეგზეგეტიკური კრებულიდან; სამწუხაროდ, ამ შრომის ნუსხები ჯერ-ჯერობით ცნობილი არაა.

§ 4. დოღმატიკა.

როგორ წარმოიშვა დოღმატიკური მწერლობა? — ქართულ დოღმატიკური მწერლობა მეთათე საუკუნემდე. მეთათედან მეცამეტემდე და მეთვრამეტეში. ხასიათი და შნიშვნულობა მისი.

გამოვიდა თუ არა ქრისტიანობა ისტორიის ასპარეზზე, იმაზე გაშმაგებული იერიში მიიტანა წარმართობამ და ებრაელობამ; ქრისტიანობას არ სთვლიდენ რელიგიის სახელწოდების ღირსად. მას უყუენებდენ მრავალგვარ ბრალდებას, როგორც იდიურს, ისე მორალურს, და ქრისტიანებს პირდაპირ ეუბნებოდენ: non licet vos esse, — თქვენ ნება არა გაქვთ არსებობისაო. მეოთხე საუკუნიდან, როდესაც ქრისტიანობა ნებადართულ სარწმუნოებად გამოცხადდა, მის წიალში თავი იჩინა მწველებლობამ და სექტანტობამ, რომელიც ყოველნაირად ამახინჯებდა ოფიციალურ მოძღვრებას. ამ გარემოებამ, აგრეთვე სრულიად ბუნებრივმა მოთხოვნილებამ — გარკვეულ ყოფილიყო ქრისტიანებისა და არაქრისტიანებისათვისაც — თუ რას წარმოადგენდა ეს მოძღვრება, აიძულა ეკლესიის მამანი და მოძღვარნი გარკვეულ ფორმულებში ჩამოეყალიბებიათ ქრისტიანობის დებულებანი; ამ ფორმულებს სახელად დაერქვა დოღმატიკა. ამნაირად წარმოიშვა საგანგებო დარგი ეკლესიური მწერლობისა, რომელიც ცნობილია დოღმატიკური მწერლობის სახელით. ამ მწერლობაში

გამოხატულია ქრისტიანობის იდიური მხარე, მისი, ასე ვთქვათ, ფილოსოფია, ამიტომ ამ დარგში მუშაობა ადვილი და მრავალთათვის ხელმისაწვდომი არ იყო; მაშასადამე, თავისთავად ცხადია, ქართველები იმთავითვე ამ დარგში თავის საკუთარს, დამოუკიდებელსა და ორიგინალურ შემოქმედებას ვერ გამოიჩინდნენ. თავდაპირველად იმათ უნდა ესარგებლათ იმ მასალითა და თხზულებებით, რომელთაც იძლეოდა სხვა ქრისტიან ერთა მწერლობა, უფრო კი, რასაკვირველია, ბერძნებისა. და მართლაც, ქართული დოღმატიკური მწერლობა უფრო ნათარგმნია. თარგმნას ამ დარგში ქართველები შესდგომიან ადრე; ეს იქიდანაც ჩანს, რომ პირველი ორი პერიოდის ორიგინალურს, წმიდა ქართულ ნაწარმოებში, ჩვენ ვხვდებით ამათუიმ საეკლესიო მწერლის თხზულების სახელს და ხშირად ციტატებსაც მისგან, რაც იმის მომასწავებელია, რომ ეს თხზულება უკვე ცნობილი იყო ქართულს ენაზე. მაგალითად, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში, სადაც ნათქვამია, რომ გრიგოლმა ზეპირად იცოდა სწავლად საეკლესიო სამოძღუროდ (გვ. გ) და წმიდათა მოძღუართა თქმულებით (გვ. ლა), მოხსენებულია კირილე ალექსანდრიელის (თავი თე), გრიგოლ ღვთისმეტყველის (იქვე) და ეფრემ ასურის (გვ. აზ) თხზულებანი. მაგრამ ესეც რომ არ იყოს, ჩვენამდე შენახულა რამდენიმე ისეთი თხზულება, რომელიც, თუ პირველ პერიოდს არა, მეორის დასაწყისს მაინც უნდა ეკუთვნოდეს. ამ მხრივ პირველად ყოვლისა უნდა დავასახელოთ იპოლიტე ჰრომაელის თხზულებანი: 1) აღსასრულისათჳს ყმათასა, თქუჴულა წიგნთაგან წმიდათა ქრისტესათჳს და ანტექრისტესათჳს.¹ ამ თხზულებას, რომლის ბერძნული დედანი შენახულა, უფრო ხშირად ეწოდება ანტექრისტესათჳს; თავში იპოლიტე არკვევს ორ საკითხს: როგორ ცხადდებოდა ხოლმე სიტყვა ღვთისა განხორციელებამდე და როგორ შეიქმნამონად განხორციელებული სიტყვა ღვთისა? მერე ის ლაპარაკობს თვით ანტექრისტეს შესახებ და არკვევს შემდეგს საკითხებს: ვინ იქნება ანტექრისტე, როგორ მოვა ის და როგორ შეაცდენს ხალხს; განმარტავს ნაბუქოდონოსორის ხილვას, ისაიას წინასწარმეტყველებას ბაბილონის შესახებ და იოანე ღვთისმეტყველის ხილვას. აგვიწერს— როგორ მოვა ღვთის სახით ანტექრისტე, როგორ შეკრებს ხალხს, შეავიწროებს ეკლესიას და მერე როგორ დაიღუპება; ბოლოს აგვიწერს ქვეყნის აღსასრულს, უკანასკნელს მსჯავრს და სასუფეველს. იპოლიტეს

¹) შატბერდის კრებ. წ. კით. № 1141, გვ. 357—390.

მიაწერენ ორს რედაქციას იმ თხზულებისას, რომელიც ცნობილია აღს-სრულისათვის ქვეყნისა-ს სახელით; ქართულ ენაზე ნათარგმნია არა ყალბი, არამედ ნამდვილი თხზულება იპოლიტესი. აქად. ნ. მარკს შეუდარებ-ბია ეს თარგმანი სლავურ თარგმანთან და იმ დასკვნამდე მისულა, რომ ქართული თარგმანი უახლოვდება სლავურს იმ შემთხვევაშიც კი, რო-დესაც უკანასკნელი განსხვავდება ბერძნული ტექსტისაგან.¹ ნათარგმნია ეს თხზულება ბერძნულიდან. უნდა ვიფიქროთ, VIII—IX ს.

2) სიტყუა წმიდისა იპოლიტესი სარწმუნოებისათვის (წერ.-კითხ. № 1141, გვ. 390—410). ამ თხზულებაში ლაპარაკია ნათლისღებისა და სამების შე-სახებ, იპოლიტეს თხზულებათა შორის ის ცნობილი არაა. ეს თხზულე-ბა ეხლა, ქართული ვერსიით, გამოცემულია პროფ. ნ. ბონვეჩის მიერ გერმანულად.²

3) სახტ³ აღთქუმისა.³ ამ თხზულებაში ლაპარაკია ამ ქვეყნიდან განშორების შესახებ, ამას გარდა ვრცელი ტრაქტატია ღვთისა და მკვდრე-თით აღდგომის შესახებაც. შეიძლება აქ ჩვენ გვქონდეს თარგმანი იპოლიტეს ერთერთი დაკარგული თხზულებისა, რომელშიაც მართლა ამ საკითხთა შესახებ ყოფილა ლაპარაკი⁴ და რომელიც იწოდებოდა ბერძ-ნულად ასე: Περὶ τῆς ἀποκαταστάσεως τῶν ψυχῶν.⁵

მეორე ავტორი, რომელიც აგრეთვე მათე საუკუნემდე უთარგმნიათ და რომელიც ჩვენამდე არ შენახულა, მოხსენებულია ექვთიმე მთაწმი-დელის პასუხში ეკლესიის მიერ შეუწყნარებელ წიგნთა შესახებ. ექვთიმე ამბობს: წიგნი, რომელთა კათოლიკე ეკლესია არ შეიწყნარებს, არიან უოველ-ნი, რომელნი მწვალებელთა მიერ აღიწერეს; თრიგენ მწვალებელსა მრავალ-ნი წიგნები აღუწერია და არა შესწვნარებულ არს. და კუალად გვსევი ჰამოილე-ლასა წიგნი არს მრავალთა რათამე საქმეთა და თხრობათა წარმოიტუეს თუთო-სახეთა, რომელ მრავალთა ფილოსოფოსობითა დაწერილ არს იგი, არამედ წვალე-ბანი მრავალნი ჩაურთავნ მასეე და ამისათვის არა შეიწყნარებს ეკლესია; ი ი ქართულად ვისმე უთარგმნია და უწინარეს მრავლისა, სიტყვსელესა ნეტარისა მამისა ჩუენსა იოა-

¹) Тексты и разыскания, III, стр. XXIV—XXVI.

²) Die unter Hippolyts Namen überlieferte Schrift „Über den Glauben“ nach einer Übersetzung der in einer Schatberder Hs vorliegenden georgischen Version“ Leipzig. Hinrichs 1907, 36, Texte und Untersuchungen III, Reihe 1, Bd. 2, Heft. შუად. Byzant. Zeit. XVI, Bd. 3—4, Heft. S. 188.

³) წერ.-კითხ. № 1141, გვ. 410—433.

⁴) Nirschl,—Lehrbuch der Patrologie und Patristik, I, S. 257.

⁵) O. Bardenhewer, Patrologia¹ S. 131.

ნეს, შეეწერა ქართლით სტეფანე ეპისკოპოსს ჭკონდიდელსა და ეკითხს, ვითარ-
მედ შესაწენარებედ არსა კითხუაჲ ესე წაგნისა ამის, ანუ თუ არა. ხალოჩუენ მი-
უწერეთ მის, ვითარმედ არა შესაწენარებედ არს, მაგრა კარგნიცა საქმენი მრავალ-
ნი სწერიან, გარნა ღუარძღნიცა წვაღების თანა შთაუთესავს მის და მით უკმარ არს
იგი.¹ აქ მოხსენებულია ორი ავტორი, ერთი მათგანია ორიგენი, რომე-
ლიც თანამედროვე იყო იპოლიტესი და გარდაიცვალა ქ. ტვიროსში
254 წ. ეს იყო ერთი უდიდესი საეკლესიო მწერალი, რომელმაც, შეი-
ძლება ითქვას, შექმნა საქრისტიანო დოღმატიკა ელიზინზმის ნიადაგზე
და გაამდიდრა ეკლესიური მწერლობა თავისი თხზულებებით, რომელთა
რიცხვი, თუ წერილებსაც მივიღებთ მხედველობაში, ექვს ათასამდე ახ-
წევს. ორიგენს თავის თხზულებებში რამდენიმე ისეთი აზრი გამოუ-
თქვამს, რომელიც საზოგადო საეკლესიო მოძღვრებას არ ეთანხმება, ამი-
ტომ სიცოცხლეშივე მისი პიროვნების გარშემო ორი ბანაკი შედგა:
ერთი, რომლის მეთაური იყო მეთოდი ოლიმპელი, შესდგებოდა მის
მოწინააღმდეგეთაგან, მეორე—მის მიმდევართა და თანამოაზრეთაგან.
ამ ბანაკთა შორის ბრძოლა არ შეწყვეტილა ორიგენის სიკვდილის შემ-
დეგაც, ის მეექვსე საუკუნის ბოლომდე გრძელდებოდა; განსაკუთრებით
თავი იჩინა ამ ბრძოლამ პალესტინაში, საბას ლავრაში, სადაც ბერმონა-
ზონთა წრეში ორიგენისტებიც იყვნენ და ანტიორიგენისტებიც. ბო-
ლოს, 543 წელს, იუსტინიანე დიდმა კერძო კრებაზე კონსტანტინო-
პოლში საჯაროდ დაგმო ის აზრები, რომელთაც ასეთი განგაში ასტე-
ხეს ეკლესიაში. ეს საცილობელი და საკამათო აზრები ორიგენს განსა-
კუთრებით გამოთქმულიაქვს თხზულებაში, რომელსაც Περὶ ἀρχαῶν ეწო-
დება. როდესაც ექვთიმე ათონელი ორიგენის სახელს იხსენიებს, იმას
მხედველობაში უნდა ჰქონდეს სწორედ ეს თხზულება. ექვთიმე არას აქ-
ბობს იმის შესახებ, იყო თუ არა ქართულად ეს თხზულება, მაგრამ, თუ
მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ 1) მის მოძღვრების შე-
სახებ განძვინებული და დაუნდობელი ბრძოლა სწარმოებდა სწორედ
საბას ლავრაში მეექვსე საუკუნეში, სადაც ქართველები მოღვაწეობდნენ,
და 2) ევსევი პამფილელის თხზულება, როგორც ქვემოთ ვიტყვი,
ამ თხზულებასთანაა დაკავშირებული, ქართულად ნათარგმნი ყოფილა, —
უნდა ვიფიქროთ, რომ ის გადმოღებული იყო ქართულს ენაზე. რაც

1) მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 432—433, თ. ყორღანი, ქრონიკე-
ბი II, 83.

შეეხება მეორე ავტორს, რომელიც ამ პასუხშია მოხსენებული, ეს არის ევსევი პამფილი ან პამფილელი. ამ სახელით ცნობილია საეკლესიო ისტორიის მამათმავარი, ევსევი კესარიელი, თანამედროვე კონსტანტინე დიდისა, რომელიც არიანობის მხარეზე იყო კოტათი გადახრილი და ნაყოფიერი მწერლის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. სახელი „პამფილი“ იმან მიიღო, ერთი შეხედულებით, იმიტომ, რომ მის მამას ერქვა პამფილე, მაშასადავე, ეს არის მამის სახელი; მეორე შეხედულებით კი, რომელიც უფრო ახლოა სინამდვილესთან, — იმიტომ, რომ ის იყო გულითადი მეგობარი და მოწაფე კესარიის მღვდლის პამფილესი; პამფილე, რომელმაც შესანიშნავი წიგნთსაცავი შექმნა კესარიაში, იყო მეტად განათლებული კაცი, მეგობარი ორიგენისა, რომელსაც ის დაუახლოვდა მაშინ, როდესაც ორიგენი კესარიაში მოღვაწეობდა ოცი წლის განმავლობაში. ორიგენის შემდეგ ის აგრძელებდა მის საქმეს და ხელს უწყობდა ბიბლიის ტექსტის შესწორებას და გავრცელებას. იმპერატორმა მაქსიმიანემ ის ჩასვა ციხეში, სადაც 309 წელს გარდაიცვალა. აი ამ განათლებული კაცის სახსოვრად და პატივსაცემლად ევსევი კესარიელმა თავის სახელს მიუმატა მისი სახელი პამფილი. ექვთიმეს პასუხში ევსევი კესარიელის თხზულება კი არ იგულისხმება, არამედ მისი მეგობრის პამფილე კესარიელისა. როგორც ვთქვით, ორიგენის გარშემო ორი ბანაკი შეიქმნა; მის მოწინააღმდეგებს მეთაურობდა მეთოდი ოლიმპელი ანუ პატრელი (†311 წ.), რომელმაც ორიგენის წინააღმდეგ დაწერა თხზულება „ალდგომისათვის“ (περὶ ἀναστέξεως), სადაც ის სკდილობდა დაერღვია ორიგენის მოძღვრება სულთა წინასწარარსებობისა და აგრეთვე მკედართა აღდგომის შესახებ. ორიგენის დამცველად და მის მიმდევართა მეთაურად გამოვიდა სწორედ პამფილე კესარიელი; მან მეთოდი ოლიმპელის წინააღმდეგ დაწერა თხზულება ἀπολογία ὀριγενίης (Ἀπολογία ἰνὰ τὴν ὀριγενίαν περὶ τοῦ ἐν μετέλλοις διὰ Χριστὸν ταλαπαρασιμύνοιο) ხუთ წიგნად. ეს თხზულება მან დაწერა კესარიის საპყრობილეში. პამფილეს მოწამებრივი აღსრულების შემდეგ მისმა მეგობარმა ევსევი კესარიელმა განაგრძო ეს თხზულება და დაწერა აპოლოგიის მეექვსე წიგნი, თუმცა ნეტარი იერონიმე მთელს აპოლოგიას ევსევი კესარიელს მიაწერს¹. აი საიდან წარმოდგა პამფილეს შრომის მიწერა ევსევი კესარიელისათვის: ევსევის

¹) Batiffol, Lit. Gr. 183.

პამფილეს სახელი ჰქონდა, მან, თუ მთლად არა, როგორც იერონიმე ამბობს, უკანასკნელი ნაწილი მაინც დაწერა ამ თხზულებისა. ამ აპოლოგიის ექვსი წიგნიდან შენახულა მხოლოდ პირველი წიგნი, ისიც ლათინური თარგმანით, რომელიც რუფინუსს ეკუთვნის. ეს თხზულება, ექვთიმეს მოწმობით, ქართულად ნათარგმნი ყოფილა ძველადვე და მეთავე საუკუნის. გასულს მის შესახებ საქართველოდან ათონზე შეკითხვა გაუგზავნიათ. უნდა ვიფიქროთ, თუ ორიგენის აპოლოგია იყო ქართულად ნათარგმნი, უეჭველად ისიც იქნებოდა ნათარგმნი, რასაც ის იცავდა, ესე იგი თვით ორიგენის თხზულება; მაგრამ აღბად მას შემდგომ, რაც იოანემ და ექვთიმემ საქართველოში პასუხი გაუგზავნეს, რომ ამ თხზულებებში ჰერმარიტებასთან ერთად ბევრი მწვალებლობითი ღვარძლიც არისო და ამიტომ მას საბერძნეთის ეკლესია არ შეიწყნარებსო, საქართველოში ეს თხზულებები მოსპეს; ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით ჩვენ არ ვიცით მისი არც ერთი ნუსხა.

ქალკიდონის კრების ისტორიაში ზე მის დოღმატიკურ ფორმულაში დიდი როლი ითამაშა პაპის ლეონ დიდის ეპისტოლემ, რომელსაც ტომოსი ეწოდება.¹ ეს „ტომოსი“ შეიქმნა შემდეგდროში საცილობელ საგნად იმ ორ პარტიათა შორის, რომელნიც ამ კრების გარშემო ყველაფერს იკლებდნენ. სომეხ-ქართველთა საეკლესიო ცილობის ისტორიაში მეექვსე საუკუნის გასულს ეს დოკუმენტიც მოხსენებულა. სომხის კათოლიკოზი აბრაამი სწერს ქართლის კათოლიკოზს კირიონს: „მეფეთა-მცფის კობადის დროს დაახევა საკითხი ჩვენი ქვეყნისა და იმ ბერძენთა აღსარების შესახებ, რომელთაც შეიწყნარეს ქალკიდონის კრება და ეპისტოლე ლეონისა, მაგრამ ჩვენი და თქვენი ქვეყანათა მოძღვრებმა და მთავრებმა უაწყვეს მათთან ერთობაო.“² უეჭველია, ეს დოკუმენტი ქართულადც იქნებოდა ნათარგმნი ჯერ მაშინ, როდესაც ქართველები სომეხებთან ერთად მისი წინააღმდეგნი იყვნენ, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ქარველები ქალკედონისტობას მიემხრენ და ამ დოკუმენტის საფუძველზე შედგენ. სამწუხაროდ, ეს ძველი თარგმანი ჩვენამდე არ შენახულა, ჩვენ დღეს გვაქვს მისი თარგმანი, რომელიც არსენ იყალთოელს ეკუთვნის და მის დოღმატიკონშია მოთავსებული.³

1) O. Bardenhewer, *Patrologie*,² S. 451—453.

2) ეპისტოლეთა წიგნი 164=უხტანესი 75, ჯავახიშვილი—История церковного разрыва..., стр. 514.

3) სიძე. შუბ. № 265, 465—71, № 205, 368—78, № 267, 206—211, № 64, 132—137; გელ. № 24, 270—7.

სომეხ-ქართველთა საეკლესიო ცილობის ისტორიიდანვე ცნობილია, რომ კათოლიკოსს კირიონს მიწერ-მოწერა ჰქონია მაშინდელ რომის პაპა გრიგოლ დიდთან, რომლისთვისაც მას მიუმართავს სხვადასხვა მწვალებელთა, კერძოდ ნესტორიანთა, საკითხის გამო. ის ეკითხება გრიგოლს: როგორ უნდა მიიღონ ეკლესიაში მონანულნი ნესტორიანნი: ხელდასხმით, მირონცხებით, აღსარების წარმოთქმით თუნატლისღებითო? ჩვენამდე შენახულა პასუხი გრიგოლ დიდისა, რომელიც საკმაოდ ვრცელ ტრაქტატს წარმოადგენს იესო ქრისტეს პიროვნების შესახებ ნესტორიანთა და მონოფიზიტთა წინააღმდეგ; აქ მოხსენებულნი არიან სხვა მწვალებელნიც, მაგალითად, ბონოსიელები, კათოფრიგელეი და მონტანისტები.¹

ეკლესიურს მწერლობაში ცნობილია, როგორც ნაყოფიერი მწერალი, კირილე ალექსანდრიელი (†444), რომლის სახელი დაკავშირებულია მესამე მსოფლიო კრებისა და ნესტორიანობის ისტორიასთან. ნესტორიანულ მოძრაობას გამოუწვევია, სხვათა შორის, ერთი მისი შესანიშნავი თხზულება, რომელსაც ბერძნულად ეწოდება ἡ ἐκκλησία τῶν ἁποστόλων περὶ τῆς ἀγίας καὶ ἁποστόλου τριάδος.² ეს თხზულება, რომელიც საუკეთესო სახელმძღვანელოს შეადგენს ტრიადოლოგიური საკითხების გარკვევაში, ძან გავრცელებული იყო ძველად. ის ქართულადაც უთარგმნიათ, უნდა ვიფიქროთ, პირველს პერიოდში; გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ჩვენ ვკითხულობთ, რომ გრიგოლი სამების სამგვამოვნების დასამტკიცებლად უჩვენებს განძს: და განძსა წერილ არს ყოველი ჭეშმარიტებითა (გვ. 89). მაშასადამე, გრიგოლის დროს ამ თხზულებას ქართულად „განძი“ ეწოდებოდა; ცხადია, ის სომხურიდან ყოფილა ნათარგმნი, ვინაიდან სომხურადაც მის განძი ეწოდება.³ ეს თხზულება ანტიქალკედონისტურ სომხებშიაც ცნობილი და პატივცემული იყო, ვინაიდან საკითხი იესო ქრისტეში ორი ბუნების შესახებ აქ ბუნდოვანადაა წარმოდგენილი და, მაშასადამე, მონოფიზიტებს შეეძლოთ გამოეყენებიათ ის. ეს ძველი თარგმანი ჩვენამდე არ შენახულა; მეთვრამეტე საუკუნეში ანტონ კათოლიკოსს ბევრი უძებნია ის, მაგრამ ვერ უპოვნია და ამიტომ ხელმეორედ გადმოუღია ის სომხურიდან მღვდლის ფილიპე ყაითმაზაშვილის დახმარებით და საკუთარი სქოლიოები დაურ-

¹) მ. თაშარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 24—26 575—577.

²) Migne, PG. t. 75, 9—656. Bardon hewer, S. 233.

³) Н. Марр, Жизнь Григория Хандзійскаго стр. IX.

თავს მისთვის; ამ თარგმანს ეწოდება არა „განძი“, არამედ „საუნჯე“, რაც იმავე აზრს გამოხატავს.

მეცხრე საუკ. ეკლესიურს მწერლობაში შესამჩნევი კვალი დასტოვა იოანე დამასკელის მოწაფემ ქარანელ ეპისკოპოზმა თეოდორე აბუკურამ, რომელიც არაბი იყო და არაბულად სწერდა; ის ნაყოფიერი მწერალი იყო და უწერია მონოფიზიტთა, ნესტორიანთა, თეოპასქიტთა, იაკობიტთა, სარკინოზთა და იუდეელების წინააღმდეგ. არაბულიდან მისი თხზულებანი ბერძნულად უთარგმნიათ¹. აბუკურას შესამჩნევი როლი უთამაშნია სომეხთა მონოფიზიტობის ისტორიაშიც; მეცხრე საუკუნეში სომეხეთში ქალკედონიტობა და ანტიქალკედონიტობა სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებნენ ერთმანეთს, ვერც ერთმა პარტიამ ადგილობრივ ბელადი ვერ გამოიყვანა ამ ბრძოლაში და ისინი იძულებულნი იყვნენ საზღვარგარეთიდან გამოეწვიათ ბელადები. ქალკედონიტებმა მოიწვიეს ქარანის ეპისკოპოზი თეოდორე აბუკურა, რომელიც სომეხეთში მისულა, სომეხთა ისტორიკოსების ცნობით, 821 წელს და უცდია მოექცია ქალკედონიტობაზე სომეხეთის მაშინდელი მთავარი აშოტ ბაგრატიდი. ანტიქალკედონიტებს მის წინააღმდეგ მოუწვევიათ ასურეთის იაკობიტთა ეკლესიის წარმომადგენელი არქიდიაკონი ნანა ან ნონი. მათ შორის გამართულა მწვავე პაექრობა, რომელშიაც თვითეული პარტია თავის ბელადს მიაწერს გამარჯვებას². აბუკურას თხზულებათაგან მეთვთავე საუკუნემდე ქართულად უთარგმნიათ ერთი ტრაქტატი: სჯიბთხავი მი.ს.სათჯს თაბორის და ფერისცვალებისათჯს უფლისა და ორთა ბუნებათათჯს.³ თხზულება, როგორც ვხედავთ, მიმართულია იმისაკენ, რომ დაამტკიცოს „ორი ბუნება“, მაშასადამე დიოფიზიტურია. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ეპოქაში მისი თხზულებებიდან ამოურჩევიათ საგანგებოდ ის, რაც უფრო შეესაბამებოდა მაშინდელ აზროვნების მიმართულებას ჩვენში.

განსაკუთრებით გამდიდრდა ქართული დოღმატიკური მწერლობა მესამე, ბიზანტიურ პერიოდში. პირველად ყოვლის ამ პერიოდში ჩვენ უნდა დავასახელოთ ექვთიმე მთაწმიდელი, რომელმაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რამდენიმე კაპიტალური დოღმატიკური თხზულება

¹) Migne, PG. t. 97, 1468—1609. G. Graf, Die arabischen Schriften des Theodor Abuqurra, Bischof von Harran (c. 740—820).

²) Н. Марр, Аркаунъ, монгольское название христіанъ, въ связи съ вопросомъ объ армянахъ-халкедонитахъ, Визант. Времени. т. XII, 1905, стр. 8—11.

³) სიძვ. მუხ. № 144, 353—358.

გადმოთარგმნა, როგორცაა: მიქელ სუნკელოზის სიმბოლო, გრიგოლ ღვთისმეტყველის „სარწმუნოებისათჳს“ და მ, 4, 5 სიტყუანი მისი შესანიშნავი თხზულებისა, რომელსაც ეწოდება „ღმრთისმეტყუელებისათჳს“, აგრეთვე „თავნი ათხუთმეტნი“ მაქსიმე აღმსარებელისა; გრიგოლ ნოსელის „ძიება სულიათჳს“ და იოანე დამასკელის „ორისა ბუნებისათჳს ქრისტესსა“ და „წინამძღვარი“, რომელიც წარმოადგენს შემოკლებას დამასკელის თხზულებებისას, უფრო კი იმისას, რომელიც ცნობილია ქართულს მწერლობაში „გარდაპოცემის“ სახელით.

არანაკლები შრომა გაუწევია ამ დარგში გიორგი მთაწმიდელსაც, რომელსაც, როგორც თავის ადგილას ვნახეთ, უთარგმნია: სიმბოლო ნიკია-კონსტანტინოპოლისა, გრიგოლ ნეოკასერიელისა, პატრიარქი ფოტისა და ათანასე აღექსანდრიელისა, მიიღვე „ქალწულებისათჳს“, იოანე დამასკელის „სიტყუა ღმრთისმეტყუელებისათჳს“ და 12 ეპისტოლე ეგნატე ღმერთშემოსილისა, რომელთაგან შვიდი ნამდვილია და ხუთი ყალბი. გიორგის შემდეგ თეოფილე ხუცესმონაზონს უთარგმნია თეოდორიტე კვრელის „აღსარებაჲ მართლისა სარწმუნოებისაჲ“, რომელიც ბერძნულ ენაზე არ შენახულა. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ დარგში ეფრემ მცირემ, რომელმაც, გრიგოლ ღვთისმეტყველის დოღმატიკური სიტყვების გარდა, თარგმნა იოანე დამასკელის შესანიშნავი გარდამტეჴმად უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაჲ არა შემოკლებით, როგორც ექვთიმე ათონელმა, არამედ სრულად, გამოუშვა მხოლოდ მესამე ნაწილი. ეს თხზულება მერე სთარგმნა კიდევ იმავე შემადგენლობით, როგორც ეფრემმა, არსენ ვაჩესძე იყალთოელმა და თავის დოღმატიკონში შეიტანა. ყველაზე მეტი შრომა დოღმატიკურ მწერლობის დარგში გაუწევია სწორედ არსენ ვაჩესძეს, რომელსაც შეუდგენია საგანგებო კრებული დოღმატიკურ-პოლემიკური თხზულებებისა, როგორც აღვნიშნეთ, დოღმატიკონად სახელდებული. აქ 16 წმიდა დოღმატიკური ნაწარმოებია: იოანე დამასკელის „გარდაპოცემაჲ“, „ქრისტეს შორის ორთა ნებათათჳს და მოქმედებათა და სხუათა ბუნებითთა თჳსებათა“, „გამოკრებანი წამებათანი“ (*Sacra parallela*), კირილე აღექსანდრიელის „თარგმანებაჲ ათორმეტთა თავთაჲ“, მისივე ეპისტოლენი, თეოდორე ფილოსოფოსის „ქრისტიანობითისა აღსარებისათჳს“, ეპისტოლენი პეტრე მპურკვენელის, ანტიოქელთა ეპისკოპოსის, მიმართ, თეოდორე აბუკურასი—„განგებულებისათჳს და განკორციელებისა“ და „საღმრთოთა სახელთათჳს საზოგადოთა სამებისათა და განთჳსე-

ბულად თვთეულისა გუამისა“, ნიკიტა სტითატის „სიტყუაჲ სულისათჳს კაცობრივისა“, მისივე „სამოთხისათჳს“ და ეპისტოლენი ნიკიტა ხართოფილაქსისადმი, მისივე „წინასწარცნობისა და განჩინებისათჳს“, „საზღვარი წმიდისა და მსოფლიოჲსა კრებისა ქალკილონისა“ და „ტომოსი“ პაპის ლეონ დიდისა.

მეთორმეტე საუკუნეში კათოლიკოზს ნიკოლოზს უთარგმნია, როგორც თავის ალაგას აღწნიშნეთ, რამდენიმე დოღმატიკური ნაწარმოები მაქსიმე აღმსარებელისა. ამავედროს ერთს პეტრიწონის შკოლიდან გამოსულ მთარგმნელს გადმოუღია ბერძნულიდან ანასტასიანტიოქელის „კითხვა-მიგება“ კატეხიზმოს მსგავსი,¹ რომელიც უნდა შეიცავდეს *Compendiaria orthodoxae fidei explicatio* ს.² აღნიშნულს მესამე პერიოდში ათონის სალიტერატურო შკოლიდან უნდა იყოს გამოსული თარგმანი ბასილი დიდის სამი დოღმატიკური ტრაქტატისა: საწმუნოებისათჳს სამებისა, ერთარსებისა და ერთაჲს ბუნებათა ქრისტესთა, „ერთაჲს ბუნებათა ქრისტესთა შეერთებისა“ და „საწმუნოებისათჳს კორცუთა შესხმისა“.³ უკანასკნელს, მეხუთე პერიოდში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნექტარიოს იერუსალიმელის თხზულებას-აღსაკებაჲ მართლისა საწმუნოებისაჲ, რომელიც არჩილ მეფეს გადმოუთარგმნინებია ბერძნულიდან, აგრეთვე ანტონ კათოლიკოზის „სამნაწილედ ღვთისმეტყუელებას“, რომლის დაწერისას ავტორს უსარგებლნია აგრეთვე ფრანგული საღვთისმეტყველო ენციკლოპედიით, თითქმის ყველა დოღმატიკური თხზულებანი ნათარგმნია რუსული ენიდან, ანა და დაწერილია რუსული თეოლოგიის ზეგავლენით; ასეთია: „კატეხიზმო“ ტფილელ მიტროპოლიტის ნიკოლოზისა, „კატეხიზმო“ ანტონ კათოლიკოზისა, „ღვთისმეტყუელება“ პლატონ მიტროპოლიტისა და თხზულებანი ამბროსი მედიოლანელიისა, გაიოზ რექტორის მიერ ნათარგმნი, „ღვთისმეტყუელება“ ბერის იონა ხელაშვილისა, „ეპისტოლენი აღმოსავლეთისა პატრიარქთან მართლისა საწმუნოებისათჳს“, ტარასი არქიმანდრიტის მიერ ნათარგმნი, და სხვ. რუსულითავე ზეგავლენით უნდა იყოს შედგენილი „ნაცვალსიტყუაობა“, რომელიც დაუწერია 1801 წელს მეფის ირაკლის კარის არქიმანდრიტს გერონტი სოლოლაშვილს,⁴ მისი სიტყ-

1) სიძვ. მუზ. № 128.

2) Migne, PG. t. 89, col. 1399-1408.

3) სიძვ. მუზ. № 735, ფ. 34-38.

4) სიძვ. მუზ. № 640, წერ.-კოთ. 1521.

ვით, იმიტომ, რომ ჩვენში ბევრი იყო სოფლის მღვდელი, რომელთაც არა იცოდენ რა არც საღვთო წერილის, არც ფილოსოფიის და არც ღვთისმეტყველების; მიზეზი ამისა არისო, ამბობს ის, უკანონობა და წესუდებლობა ჩვენი და მრავალგზის აოხრება ჩვენი სპარსთა და ლეკთაგანო. შესდგება თხზულება სამი ნაწილისაგან: გუამი და ბუნება იესო ქრისტესი, შვიდთა საიდუმლოთათჳს და შვიდთა მსოფლიოთა კრებათა. ამავე დროს დოღმატიკური თხზულებანი უთარგმნიათ აგრეთვე სომხური ენიდანაც, ხშირად პოლემიკური მიზნით, სომეხთა კატეხიზმოს განსაქიქებლად. ასე იქცეოდა, მაგალითად, ანტონ კათოლიკოზი; მაგრამ იყო ისეთი შემთხვევაც, როდესაც ასეთ თხზულებებს სთარგმნიდენ ყოველივე ტენდენციისა და პოლემიკური მოსაზრების გარეშეც. მაგალითად, ჩვენ უკვე განვიხილეთ ერთი ასეთი თხზულება, რომელიც ანტონ კუონდიდელს უთარგმნია და რომელსაც ეწოდება „შემოკლებითი წიგნი ქეშმარიტებითისა ღვთისმეტყუელებისა“.

ასეთია ზოგადად ისტორია და ხასიათი ქართული დოღმატიკური მწერლობისა, როგორც ნათარგმნის, ისე ორიგინალურისა.



§ 5. პოლემიკა.

საზოგადო ხასიათი ქართული პოლემიკური მწერლობისა. — პოლემიკა ანტიმალდეისტური, ანტიიუდაისტური და ანტიმამაღლიანური. — ლიტერატურული ბრძოლა წინააღმდეგ ნესტორიანობისა, აგვი-სტინიზმისა, მონოფელიტიზმისა, კათოლიციზმისა და მონოფიზიტიზმისა. — ქალკედონიზმი და ანტიქალკედონიზმი საქართველოში. — ანტი-სომხური პოლემიკა.

როდესაც ქრისტიანობა საკმაოდ მოღონიერდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ის ნებადართულ და სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადდა, ის არამც თუ იგერიებდა გარეშე და შინაურ მტრებს, არამედ თვითონ გადავიდა იერიშზე და ლიტერატურული კამათი დაიწყო არაქრისტიანულ რელიგიებსა და სხვადასხვა ქრისტიანულ მწვალებლობასთან. ამ კამათის მიზანი იყო გაბათილება მოწინააღმდეგეთა და მათი მოძღვრების სიყალბის დამტკიცება. ამნაირად წარმოიშვა ეგრედწოდებული პოლემიკური მწერლობა, რომელსაც მიზანში ჰყავდა ამოღებული არაქრისტიანულ რელიგიებიდან უმთავრესად წარმართობა, ებრაელობა და მაჰმადიანობა, ხოლო ქრისტიანულ მწვალებლობათაგან: არიანობა,

ნესტორიანობა, მონოფიზიტობა, მონოფელიტობა, ხატობრძობა, ლათინობა და სხვა მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო მწვალებლობა. საქართველოს ეკლესიაში ეს დარგი მწერლობისა შედარებით ადრე დაწყებულა, რაც იმით აიხსნება, რომ ის, ერთის მხრით, გარშემორტყმული იყო არაქრისტიანებისაგან, მეორე მხრით, ხშირად ხდებოდა ასპარეზად სხვადასხვა ქრისტიანულ მწვალებლობათა შეტაკებისა; ამიტომ ის იძულებული იყო თვითონაც ეწარმოებია ლიტერატურული პოლემიკა უცხო, მსოფლიო ეკლესიისაგან ნასესხები იარაღით თუ საკუთარი შემოქმედებით.

პირველი ორი პერიოდის განმავლობაში, მეათე საუკუნემდე, როდესაც საქართველოს მკვიდრი ჯერ კიდევ სავსებით არ განთავისუფლებულიყვნენ აღმოსავლეთის ქრისტიანობის ზეგავლენისაგან, ჩვენს ეკლესიას უმთავრესად ბრძოლა უხდებოდა იმ მწვალებლობასთან, რომელთაც ბუდედ გაიხადეს აღმოსავლეთი: ნესტორიანობასა და მონოფიზიტობასთან, და, თუმცა ამ ეპოქიდან ბევრი ამგვარი თხზულება ჩვენამდე არც კი შენახულა, მაგრამ, შეგვიძლია ვთქვათ, საკმაოდ ნაყოფიერი მუშაობა ყოფილა წარმოებული. მესამე, ბიზანტიურს, პერიოდში, აღნიშნულ მოტივებს მიემატა ანტიმაჰმადიანური პოლემიკა, გადახილულ და გადასინჯულ იქნა წინაეპოქების მინახვევარი და ისეთი ღირსშესანიშნავი პოლემიკური კრებული გაჩნდა ქართულ ენაზე, რეგორიცაა არსენ გაჩეძის დოღმატიკონი, რომელშიაც, უკვე ზევითაც აღვნიშნე, 31 პოლემიკური შრომაა. უკანასკნელს, აღორძინების, პერიოდში პოლემიკური მწერლობა შეადგენს ერთერთ მთავარ დარგს ჩვენი ეკლესიური ლიტერატურისას და განსაკუთრებით მონოფიზიტობა და ლათინთა გარშემო ტრიალებს. ქართული პოლემიკური მწერლობის უფრო დაწვრილებითი მიმოხილვა შემდეგს სურათს გვაძლევს.

წარმართობასთან საქართველოს ეკლესიას ბრძოლა ჰქონდა, მაგრამ არა იმ წარმართობასთან, რომელსაც ერბოდა ქრისტიანობა რომისა და საბერძნეთის საზღვრებში და რომლის წინააღმდეგ იქაური ქრისტიანები ლიტერატურულად მუშაობდნენ, არამედ ადგილობრივთან, უფრო კი ცეცხლთაყვანისმცემლობასთან. ამით აიხსნება, რომ წარმართობის წინააღმდეგ ჩვენში ლიტერატურული ბრძოლა ნათარგმნი მწერლობის საშუალებით არ უნდა ყოფილიყო: რომისა და საბერძნეთის წარმართობას ჩვენში ადგილი არ ჰქონია, მაშასადამე, საჭიროც არ იქნებოდა იმ თხზულებათა გადმოთარგმნა, რომელნიც იქ იწერებოდა წარ-

მართობის წინააღმდეგ; რაც შეეხება ცეცხლთაყვანისმცემლობას, რომისა და საბერძნეთის ეკლესიას იმასთან პირდაპირი, უშუალო დამოკიდებულება არ ჰქონია, მის წინააღმდეგ ბრძოლა არ უწარმოებია და საგანგებო თხზულებებიც, რომელთა გადმოთარგმნა ქართველებისათვის სასარგებლო და საჭირო იქნებოდა, არ უწერია. თვით საქართველოში ცეცხლთაყვანისმცემლობა გააფთრებული ებრძოდა ქრისტიანობას, ებრძოდა როგორც ფიზიკურად, ისე ლიტერატურულად; მეპატიანე გადმოგვეცემს, რომ არჩილ მეფემ დასვა ეპისკოპოზი, სახელით მობიდანნი, რომელი იყო მთავარი უმჯულო და უმეფელი წესთა... რომელი ფარულად სწერდა წიგნებსა ყოფლისა საცაურისასა-ო.¹ ქართველები ჯერ კიდევ იმდენად მომწიფებულნი არ იყვნენ, რომ ამ დროს, V—VI ს., ლიტერატურულად ეპასუხნათ ცეცხლთაყვანისმცემლობისათვის,² ამიტომ ისინი მის წინააღმდეგ უფრო ფიზიკურად მოქმედებენ: როდესაც ძალას მოიკრეფდნენ, მის მოძღვრებს ისინი ან გაასხამდნენ, ესე იგი გააძევებდნენ საქართველოდან, ანა და მათ თხზულებებს პირდაპირ ავტოდაფეს გაუკეთებდნენ; მაგალითად, ისტორიკოსის სიტყვით, მობიდანის თხზულებებს სწორედ ასეთი ბედი ეწია: შემდგომად დაწეა ყოველი წერილი მისი ქუშმარტმან ებისკოპოზმან მიქელმა-ო, ამბობს ის.³

ებრაელობის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ, თუმცა საქართველოში, კერძოდ მცხეთაში, ბევრი ებრაელი იყო, მაგრამ ისინი არამც თუ წინააღმდეგობას არ უწევდნენ ქრისტიანობას, პირიქით ნიადაგიც კი მოუშობდნენ მას: პირველი პროზოელიტები ქრისტიანობამ მათ წრეში პოვა და ისინი ხელს უწყობდნენ მის გავრცელებას, როგორც, მაგალითად, აბიათარი, სიდონია და სხვები. საერთოდ ქართველი ებრაელები ისეთ კულტურულ ძალას არ წარმოადგენდნენ, რომ მათ შეძლებოდათ სახელმწიფოებრივი რელიგიისათვის მეტოქეობა და წინააღმდეგობა გაეწიათ;

¹) ქართლის ცხოვრება მარიაშ დედოფლის ვარიანტი, გვ. 120.

²) ესტატე მცხეთელის მარტილობაში თიქოს შენახულა ნაწყვეტი ცეცხლთაყვანისმცემლობასთან პაექრობისა, სახელდობრ იქ, სადაც ესტატე ამტკიცებს, რომ ცეცხლი ღმერთი კი არა, არამედ ერთი იმ „მცირედ ნაწილთაგანია“, „რომელთაგან აღმართა ღმერთმან სოფელი ესე“ (საქართველო, გვ. 215); ესენი არიან: „ნოტაჲ. ცივი, ხმელი და ცეცხლი, რომელთა ურთიერთისა მპყრობელობა აქუს“. მაგრამ საქმე ისაა, რომ ასეთი ფილოსოფიური აზრები მაშინ, VI ს., საქართველოში ჯერ შექმნილი არ ყოფილა, ისინი ჩვენში შემოიტანა ბერძნული ფილოსოფიის შემოქრამ, რასაც ადგილი ჰქონდა არაუადრეს IX—X ს.; მაშასადამე, უნდა ვითიქროთ, ეს ადგილი ესტატეს მარტილობაში თადეაპირველად არ ყოფილა, ის ჩამატებული უნდა იყოს ამ მარტილობის გადამკეთებლის მიერ შემდეგ, XI—XII საუკუნეში.

³) იქვე, გვ. 120.

ამიტომ არც ქართველებს ჰქონდათ საბაზი, რომ მათ წინააღმდეგ დამოუკიდებელი ლიტერატურული ბრძოლა ეწარმოებიათ. ამით აიხსნება, რომ ქართული ანტიებრაული სარწმუნოებრივი პოლემიკა მთლიანად ნათარგმნია. ასე, მაგალითად არსენ ვაჩესძის დოღმატიკონში მოთავსებულია: 1) წინაგანსწობებლად ჰურიათა წამებანი წერილებანი, ვითარმედ სამეხსიან შინა ღმრთეებაჲ საღმრთოთა წერილთა მიერ საიდუმლოდ იქადაგების,¹ სადაც მოყვანილია მართლა ციტატები საღმრთო წერილიდან სამების დასაპტიკებლად; 2) სიტყვსგება ჰურიათა მიმართ, რომელიც იწყება ასე: ღმერთსა მიუდობოდ საღმრთონი, ხოლო კაცთა კაცობრივი;² 3) სიტყვსგებისაგან ქრისტიანისა და ჰურისა, წამებანი უფლას ჩუქისა იესო ქრისტესთჳს წმიდათა წერილთაგან, კითხვა-მიგების სახით;³ 4) იუ ვითარ ჯერ არს შეწყენარებაჲ, რომელნი ჰურიათაგან სარწმუნოებასა ქრისტიანეთასა მოუხდებოდის⁴ — მოკლე და სრული, ნახევრად პოლემიკური, ნახევრად ლიტურგიკული, რომელიც „დოღმატიკონში“, არსენის შემდგეა შეტანილი.⁵ 5) სიტყვსგებაჲ ჰურისა მიმართ თეოდორე აბუკურასი იმ შრომაში, რომელიც მას მიუწერია „მთავრისა მიმართ ედესისა შეიგანთაჲსა“. მე-XVIII ს. გასულს, 1786 წ., დიმიტრი ბაგრაიონს უთარგმნია რუსულიდან ურიათა მიმართ სიტყვისაგებელი თხზულება სამოელ რაბინისა, რომელსაც ოქროს ადნაქესი ეწოდება და რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეიცავს დამტიკებებს იმისას, რომ იესო ქრისტე არის ქრისტიანული ღმერთი, ძე ღვთისა, მოსრული ქვეყნად. ჩართვილით გარდა ანტიიუდაისტური თხზულებანი ქართულ ენაზე ცნობილი არაა.

რაც შეეხება მაჰმადიანობას, ის, დღიდან მისი გამოჩენისა, ისტორიულ მტრად გადაექცა საქართველოში ქრისტიანობას და საქართველოს ეკლესიას მისგან არ მოუხევენია არასდროს; შინაარსი ჩვენი ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა უმთავრესად არის ბრძოლა ქრისტიანობასა და მაჰმადიანობის შორის. ამიტომ ქართულს პოლემიკურ მწერლობაში სამაჰმადიანო დარგი, როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალურიც, შედარებით საკმაოდ წარმოდგენილი. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ

¹) წ.-ჯ. № 1463, გვ. 179—181.

²) წ.-ჯ. № 1463, გვ. 226—246.

³) წერ.-ჯ. № 1463, გვ. 246—251, გელ. ხელ. № 23, გვ. 203—222, სიძვ. მუხ. № 63, გვ. 280—311.

⁴) წ.-ჯ. № 1463, გვ. 301—305, გელ. № 23, 425—429.

⁵) Мигнов, PG. I, 1455—1461; Проф. А. Л. Митревский, Богослужение въ русской церкви въ XVIв. прил. 68—82.

⁶) წ.-ჯ. № 1463, გვ. 289—294, გელ. № 23, 365—386.

პირველს ორს პერიოდში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აბო ტუი-
 ლელის მარტვილობას, რომელშიაც მაჰმადიანობა იდიურად არის შე-
 ფასებული, ამ დარგიდან არაფერი გვაქვს, ალბად იზიტომ, რომ თვით
 ბერძნულს ენაზე სისტემატიური ლიტერატურული ბრძოლა ისლამის
 წინააღმდეგ მხოლოდ მეცხრე საუკუნიდან იწყება. ანტიმაჰმადიანური
 პოლემიკა, მაშასადამე, ჩვენში უნდა დაწყებულიყო მესამე პერიოდში
 და მართლაც არსენ ვაჩხიძის დოღმატიკონში ჩვენ გვაქვს შემდეგი
 ამგვარი ნათარგმნი თხზულებანი: 1) სარკინოზთა მიმართისა სიტყვების-
 გან ნეტარისა თეოდორე აუგუკრასის, რომელშიაც (რვა სტატიია: ა) ემაღემაღ
 შემთხუენი ეკლესიისადა კუეთებანი მწუალებელთანი, ბ) სხუაჲ ქადაგებაჲ,
 ვითარმედ მუჰამედ არ არს ღმრთისაგან, ბ) გამოჩინებაჲ ქეშმარიტი მა-
 გალითისა მიერ, ვითარმედ მტერი იყო ღმრთისაჲ მუჰამედ და ვითარმედ
 ეშმაკისა მიერ იგუემებოდა, დ) აღსარებაჲ და დამტკიცებაჲ ქრისტე-
 ნობისაჲ უკნინესთაგან ქადაგებისათა, ე) სხუაჲ სიტყვსგებაჲ გამომაჩი-
 ნებელი, ვითარმედ კორცი ქრისტესი არს შეწირული იგი და კურთხეუ-
 ლი პური, ვ) სხუაჲ სიტყვსგებაჲ ერთგზის ქორწინებისათჳს, ზ) არცა
 ვნებასა მისსა დაიკსნა გუამი ქრისტესი, ც) გამოჩინებაჲ, ვითარმედ აქუს
 ღმერთსა ძე თანაარსი, თანადაუსაბამოჲ და თანასამარადისოჲ;¹ 2) არის
 ერთი კითხვა-მიგება ქრისტიანსა და მაჰმადიანს შორის იმ სიტყვის გება-
 შიც, რომელიც თეოდორე აუეკურას მიუწერია მთავრისი მიმართ ეღესას
 შეიგანთაჲსა.² 3) აქვეჲ ნახევრად პოლემიკური, ნახევრად ლიტურდიკუ-
 ლი წესი, რომელი იქმნეჲს მოქცეულსა ზედა სარკინოზთაგან წმიდისა მამათა
 და ქეშმარიტისა სარწმუნოებისა ჩუეჲ ქრისტიანეთაჲსა.³ ეს შრომა, როგორც
 აღვნიშნეთ, გადმოთარგმნილია არსენის დროს, მაგრამ ან არსენის მიერ,
 და შეტანილია მის კრებულში შემდეგ; ის, როგორც ლიტურდიკული,
 კურთხევანშიაც არის მოთავსებული. 4) იმავე დოღმატიკონის ზო-
 გიეროს ნუსხებში და ცალკეც ჩვენ გვხვდება ერთი ანტიმაჰმადიანური
 საპოლემიკო თხზულება, რომელსაც ასეთი სათაური აქვს: კსენებაჲ სიტ-
 ეუსგებისაჲ და სსჯელისაჲ სჯულისათჳს ქრისტიანეთაჲსა და სარკინოზთა; იწყებან
 ასე: და იუო, რაჲმს მოიწია კელმწიფე, რომელსა ერქუა იამამე, ქადაქად
 ტფილისაჲ, სარჯმან იუო წინაჲე მისსა დიდი და შეკრბა ერი მრავალი ქრისტიანე-
 თა და სარკინოზთაჲ; იუო მუნ ბერიცა ვინეჲ ერთი მინაზონი, რომელი წარ-

1) წ.-კ № 1463, გვ. 298—301, სიძვ. მუხ. № 65, 311—329, გვლ. № 23, 400—412.

2) წ.-კ. № 1463, გვ. 289—294. გვლ. № 23, 365—386.

3) Migne, PG. t. CXL col. 124—135.

ჩინებულთაგანი იყო ერასკეობასა მისსა. აი ამ ბერსა და სარკინოზთა შორის ამ კრებაზე მომხდარა პაექრობა, რომელიც აღწერილია დასახელებულს თხზულებაში. ბერს ჯერ შეკამათებია თვით იამამე კელმწიფე; ის რომ ვერას გახდა, მისი ადგილი დაიკავა ვინმე ზოგუმე ვარსკელავთმრცხველმა; ესეც რომ ძლეულ იქმნა, მოუწოდეს კაცსა ვისმე მოძღუარსა და სიტყუს შეცნეოდ საგანებელსა, რომელიც თითქოს უფრო მომზადებული იყო საპაექროდ. კამათი წარმოებდა შემდეგი საკითხების შესახებ: აზრი და მნიშვნელობა ქრისტიანთა ბერმონაზვნობისა, იესო ქრისტეს ღვთაება და განხორციელება, მუჰამედი არაა ქეშმარიტი წინასწარმეტყველი. ბერს თავისი არგუმენტები მოჰყავს როგორც საღვთო წერილიდან, ისე ყურანიდან, რომელიც მას, მისი სიტყვით, ზებირად სცოდნია. შედეგი კამათისა, რომელიც კითხვა-მიგების სახითაა წარმოდგენილი, იყო ის, რომ ბერმა სძლია ყველა მუხლებში თავის ოპონენტებს, რომელნიც შეკიდებულ და სირცხვილელულ დარჩენ. ეს თხზულება ორიგინალური ქართული ნაწარმოები უნდა იყოს, როგორც თვით ზემოაღწერილი დასაწყისი სიტყვებიდანაც ჩანს; რასაკვირველია, აზრები და არგუმენტაცია ამოღებულია იმ თხზულებებიდან, რომელნიც თანამედროვე პოლემიკურ მწერლობაში ტრიალებდენ, მაგრამ კომპოზიცია და იდიური დამუშავება ქართველს ეკუთვნის. თხზულებიდან აზრ ჩანს, როდის მოხდა ეს კამათი ან ვინ იყო ის იამამე ხელმწიფე, რომელსაც ტფილისი აუღია; არც ის ვიცით, ვინ იყო ის ქრისტიანე ქართველი ბერი, რომელსაც ასე გაუწილებია მოკამათენი. თხზულებაში, რომელსაც ეწოდება მცირე უწყება ქართველთა მწერალთაჲს, ჩვენ გვაქვს ცნობები მამისა ქრისტედულე ოსად წოდებულსაჲს, რომელთა მიხედვით მამა ქრისტედულე მონაზონი იყო კეთილშობილთა ძირთაგან აღმოსრული ქართველი და არაბულთა და სპარსულთა წერილთა შინა გამოცდილი, რომელმანც ზედმიწევნით უწყოდა ენად მათი და ესწავა ყურანიცა; ესე იყო ფილოსოფოსი და საღმრთოთა წერილთა შინა გამოცდილი. დროსა ამისა, ოდეს მოვიდა მხედრობითა იამამან სპარსთა ხელმწიფე, უომრად შეურიგდენ ქართველნი და შემოვიდა ტფილისსა შინა, ქართველთა მოექცა კეთილად და მრავალთა შიანიჲსა საბოძვარნი; მერე მოკლულად მოცემულია ზემოაღწერილი კამათ-ს შინაარსი.¹ ამავე ფაქტს გადმოგვცემს ანტონ კათოლიკოზიც თავის წყობილსიტყვაობაში, მაგრამ ამ მონაზონის სახელი მან არ იცის (ტაეპი 759—761). საიდან

¹) ძველი საქართველო, ტ. I, გვ. 3, გვ. 16

ამოიღო მცირე უწყების ავტორმა ცნობა, რომლითაც ამ ბერს კრიტიკულად ერქვა, ძნელია თქმა, ყოველ შემთხვევაში ეს ბერი რომ ოსი არ ყოფილა, ჩანს იქიდან, რომ, თვით ავტორის სიტყვით, კრისტედულე იყო კეიილშოხილთა ძირაგან აღმოსრული ქართველი; ალბად ძველს ხელნაწერებში იქნებოდა ეს სახელი ბერძნული ფორმით წარმოდგენილი—ქრისტედულოს, შემდეგი დროის უპეცარ გადამწერლებმა დაბოლოება ოს მოაცალეს მას და შეთხზეს კრისტედულე, ოსად წოდებული. პლ. იოსელიანი შენიშნავს ამ ბერის შესახებ, რომლის სახელი არც იმან იცის, რომ ის „ცხოვრობდა თემურლანგისა დროსა, ესე იგი 1402 წელსა. სიტყუა-გებითნი მისნი თქმანი, დროთა ჩუენთათჳს მოსათხრობელად უშუერნი, აღუწერია არა მას, არამედ სხუასა შემდგომად მისსა“.¹ საიდანაც არ უნდა ჰქონდეს ავტორს ეს ცნობა ამოღებული, იმას ჩვენ ვერ გავიზიარებთ, ვინაიდან ნუსხები აღნიშნული თხზულებისა ჩვენ გვხვდება ყოველ შემთხვევაში მეცამეტე საუკუნის ხელნაწერებში. თუ მხედველობაში მივიღებთ თხზულების სტილს, რომელსაც ახასიათებს პეტრიწონის სალიტერატურო შკოლის ნორმები, უნდა ვიფიქროთ, რომ ის დაწერილია მეთორმეტე საუკუნეში და ვიდაცას შეუტანია შემდეგ არსენ ვაჩხიძის დოღმატიკონში, სადაც, როგორც ვიცით, პოლემიკური შრომებია თავმოყრილი.

შემდეგს საფეხურს ქართული ანტიმაჰმადიანური მწერლობის ისტორიაში შეადგენს მეთექვსმეტე საუკუნეში ბაგრატი ბატონი შეილის მიერ დაწერილი მოთხრობაჲ სჯუელთა უღმრთათა ისმაილატთაჲ, რომელიც ახვე საუკუნის გასულს თუ მეთვრამეტის დამდეგს გაუღეკისა შემოქმედის მიტროპოლიტს იაკობ ღუმბაძეს; ამ ნაწარმოების შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი იქ, სადაც დასახელებული პირის ლიტერატურულ მოღვაწეობას ვეხებოდით.² მეთვრამეტე საუკუნეში მიტროპოლიტი ტიმოთეს დაუწერია პოლემიკური შრომა მაჰმადიანთა წინააღმდეგ, რომელიც შეაადგენს მეცხრე თავს მისი, უკვე ზემოგანხილული, დოღმატიკურ-პოლემიკური თხზულებისას.

1) წყობის სიტყუაობა ანტონ კათოლიკოსისა, შენიშვნა 1.10.

2) ზ. კიკინაძე თავის თხზულებაში „ქართული მწერლობა მეცამეტე საუკუნედან მეექვსმეტე საუკუნემდე“ გადმოკვცემს, რომ შაკარი მღვდელქონაზონმა, რომელიც ცხოვრობდა 1322 წელს, აღწერა „დარღვევა მაჰმადიანთა სარწმუნოებისა“ ლექსადი (გვ. 17), ხოლო თვედორე ეპისკოპოსმა (1415—1470 წლ.) შეთხზა ქადაგებანი, პირდაპირ მაჰმადიანების წინააღმდეგ მიმართული (გვ. 21); მაგრამ ასეთ რაშეს ჩვენამდე არ მოუწევია, არც ამ ავტორებს ვიცნობთ ჩვენ.

დასასრულ, უნდა დავასახელოთ ერთი ორიგინალური ანტიმაჰმადიანური თხზულება, რომელსაც ეწოდება ამბავი მაჰმადისი, თარგმანთა შინა ფსალმუნთასა შემოხმეული და წიგნთაჲს მანჰმადიანთასა გამოღებუელი, და ნათესაობა მათი.¹ თეიმურაზ ბატონიშვილის სიტყვით, ეს არის წიგნი სიტყვისსაკებელი მოჰმადიანთა მიმართ, ოთხმოცდა მეორისა ფსალმუნისა განმარტება და აღმოჩინება აკარიანთა და ისმაიტელთა ზედა, თუ ვინაჲთ იწოდ სექციო მოჰმადიანთა ანუ ვინ იყვნენ მახლობელნი და თანამეგობრნი მოჰმადიანნი; მოხრობათა მათთა სრულიად დაწუჭილებით დარღვევა და გამტყულება ცუდმოწამუნეობისა მათისა.² მართლაც, თხზულება წარმოადგენს 82 ფსალმუნის მუხლობრივ განხილვასა და განმარტებას ანტიმაჰმადიანური თვალსაზრისით და გზადაგზა მაჰმადიანთა დოქტრინის, მორალის და ზნე-ჩვეულებების, ყოველდღიური ცხოვრების განქიქება-დარღვევას. აქ წარმოდგენილია აგარიან-ისმაიტელთა და კერძოდ მაჰმადის გენეალოგია, მათი ისტორია მოკლედ, ყურანის წარმოშობის ამბავი, შეხედულება მაჰმადიანთა მოსეს, დავითის და იესოს შესახებ; მოძღვრება მათი ქორწინების, საგოთხის, ბედისწერის და სხვა საგნების შესახებ. რასაკვირველია, 82 ფსალმუნი პირდაპირ არ შეიცავს მასალას ყველა აქ აღძრული საკითხების გასარკვევად, ამიტომ თარგმანება მისი უმეტეს შემთხვევაში ხელოვნურია, მაგრამ ავტორს მაინც გამოუყენებია ის და თავი მოუყრა თხზულებაში ყველა იმ წერილობითი და ზეპირგარდმოცემითი მასალისათვის, რასაც ის პოულობდა თანამედროვე ანტიმაჰმადიანურ ლიტერატურაში და მორწმუნეთა საზოგადოებაში. ავტორი გაჟღერებულია ზიზლით მაჰმადიანთა მიმართ, ამით აიხსნება, რომ მას საკმაოდ შეუტანია თავის თხზულებაში პირდაპირ პამფლეტები მათ წინააღმდეგ, როგორცაა, მაგალითად, მტკიცება მისი, ვითომც მაჰმადიანთა სქესობრივი უძლებება იქამდის მიდის; რომ ისინი ოცდა ოთხსა უამსა შინა 264 ჯერ შეეუოფიან თავიანთ ცოლებსო. თავის პიროვნების შესახებ ავტორი ამბობს: მრავალი ამის უბოროტესი მასმეა ყურით ჩემით მათგან თქმული, არამედ არად სახმარ იყო წერა მათით, მე დიდითა გამოწველიდვითა და მრავლითა ჭირითა მიწოვნით, რამეთუ მრავალნი მოუყარენი მეუხანდეს საცთურითა ამით დახსელებულნი და მათგან გამოვიკვდიე, რომელიმე დამათყარვიდენ და სხუანი მეტეოდენო; მაშასადამე, ავტორს თვითონაც, დამოუკიდებლივაც შეუუგრო-

¹) ს ი ძ ვ. მ ტ ზ. ხელნ. № 349, წერა-კითხვ. № 1512, გვ. 1126—1174; Е. Такашвили, И. Описание II, стр. 201.

²) А. Сагарели, Свѣдѣнія III, стр. 157, № 147.

ვებია მისთვის საჭირო მასალა. ვინ არის ეს ავტორი? თეიმურაზ ბატონიშვილი ამბობს, რომ ავტორი ამ თხზულებისა, იოსები, ხუცესი და მოძღუარი, ცხოვრობდა ეამსა ღირსსახსოვარისა, სრულიად ივერიის, ზემოასა და ქუემოასა საქართველოასა და აფხაზთა მეფისა თუამყვრობელისა ბაგრატ მეორისაო.¹ ჩვენ არ ვიცით, საიდან ამოიღო თეიმურაზმა ესეთი ცნობა, არა ვიცით რა არც იოსებ ხუცის შესახებ, მაგრამ ერთი ცხადია: ბაგრატ მეოთხის დროს ეს თხზულება ვერ დაიწერებოდა, ვინაიდან 1) ავტორს უსარგებელია ისეთი შრომებით, რომელნიც ბაგრატის შემდეგ იქმნენ ცნობილი, ასეთია ზემოაღნიშნული მაჰმადიანთა შემოერთების წესი და რამდენადმე ქრისტიულეს და ბაგრატ ბატონიშვილის ტრაქტატები; 2) ენა თხზულებისა გაცილებით უფრო ახალია, ვიდრე ბაგრატის დროისა, იმას აზის ბეჭედი აღორძინების ხანის სტილისა; 3) ერთს ადგილას ავტორი ჩამოთვლის იმ წმიდა ადგილებს, რომელნიც მაჰმადიანთ უქიჩავთ, და ამბობს, რომ, სხვათა შორის, მთაწმიდა ხაკასა ქუეშე მათსა არსო.² რასაკვირველია, ბაგრატის დროისათვის ეს ანაქრონიზმია, ასე რომ აღორძინების ხანაზე ადრე ეს თხზულება დაწერილი ვერ იქნებოდა.

ანტიმაჰმადიანური პოლემიკა მოითხოვდა, რომ ქართველებს მაჰმადიანთა ყურანის გაცნობილი ჰქონოდათ; მართლაც ჩამოთვლილ ორიგინალურ თხზულებათაგან ჩანს, რომ მათ ავტორებს ის ზედმიწევნით სკოდნიათ. უეჭველია, ამ მიზნით ყურანის ადრე იქნებოდა გადმოთარგმნილი ქართულად, გაცილებით ადრე XVII—XVIII ს., როდესაც, ზ. კიკინაძის სიტყვით, ის გადმოაქართულეს სპარსეთში მყოფ ქართველ მაჰმადიან ბატონიშვილებმა.³

არანაკლები შრომა დაუდევიათ ჩვენ წინაპართ იმ თხზულებათა თარგმნაში, რომელნიც მიმართულია ქრისტიანობის წიაღში აღმოცენებულ სხვადასხვა მწვალებლობათა წინააღმდეგ. აი ეს წვალებანი:

არიანობა და მისი სხვადასხვა ფრაქციები. პირველად ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ აქ უძველეს კრებულში⁴ შენახული ორი მოკლე ნაწარმოები, რომელიც წმ. ნინოს მიეკუთვნება და რომელთაგან ერთს

1) А. Чагаевли, Свѣдѣнія III, стр. 157.

2) სიძვ. მუხ. № 319, ფ. 398.

3) ქართველი მწერლობა მეჩვიდმეტე საუკუნეში, გვ. 36.

4) სიძვ. მუხ. № 19 და 95.

ეწოდება: საკითხავი სათჯისდებისათჳს უფლისა ჩუენისა იესოჲს ქრისტესსა.¹ აქ გარკვეულია ტრიალოლოგიური თემა, რომ ღმერთი არის სამება ერთარსება და ერთბუნება, ნათქვამია, რომ სამებისა „ღმრთეებაჲ ერთ არს, ბუნებაჲ იგივე არს და ძლიერებაჲ დაუსრულებელი. კელმწიფე-ბითა თუთ უფალ არიან: პეტობაჲ ერთ არს, მეუფებაჲ ერთი და გვრგვნი დაუსრული..... ყოვლისა მპყრობელობაჲ ერთარსებით აქუს, რამეთუ სრულ ღმერთი არს მამაჲ და სრული ღმერთი არს ძუ და სრული ღმერთი არს ყოვლად წმიდაჲ სული, ბუნებაჲ ერთი არს და იგივე ღმრთეებაჲ და არა განკუეთო. ხოლო ერთარსებაჲ არს უკუდავი, გარნა თჳსთჳსებაჲ განეყო: რამეთუ მამაჲ მარადის მამაჲ არს და არა იცვალეზის ძედ გინა თუ სულად და სული მარადის სული არს და არა იცვალეზის მამად გინა თუ ძედ, რამეთუ სული არა მშობელ არს და არცა შობილ, არამედ სული ღმრთისა პირისაჲ არს და შთაბერვა ქრისტსი ითქუმის და არს გამოდინებაჲ სამარადისოჲ და დაუწყუედელი“ (იქვე, გვ. 89). ეს ტრაქტატი წარმოადგენს ქადაგებას, ნათლისღება დღეს წარმოსათქმელს, და იმდენად პოლემიკური ხასიათისა, რამდენადაც დოღმატიკურის; ის მიმართულია ყველა იმ წვალებათა წინააღმდეგ, რომელნიც სამების წანაღმდეგ ილაშქრებენ, უფრო კი არიანობის. ის ფსევდოპიგრაფიულია და, თავისთავად ცხადია, წმ. ნინოს არ ეკუთვნის; მას საფუძვლად უდევს პირველი მსოფლიო კრების დოღმატიკური ფორმულა და ზოგიერთ ცნობილ მამათა ტრიალოლოგიური ტრაქტატები. შედგენილია ის, თუ მთლიანად თარგმანს არ წარმოადგენს რომელიმე მწერლის ჩვენამდე არშენახული ნაწარმოებისას, სომეხ-ქართველთა საგლესიო და ლიტერატურული ურთიერთობისას, არაუგვიანეს პირველი პერიოდის დასასრულისა; ამას ცხად ჰყოფს როგორც აზრები, რომელთაც აზის ბექედი უქველესი თეოლოგიისა, ისე ენა, არმენიზმებით გაუღწე-თილი, როგორც, მაგალითად, პეტობა და სხვ. სხვა ანტიარიანულ თხზულებათაგან ქართულს ენაზე უნდა დავასახელოთ გრიგოლ დვთის-მეტყველის საკითხავი თქუშუღი.... სამხილგებელი არიანოზისა და კენზიანოსთაჲ ბარბტად უწყსეობასაჲ; ეს თხზულება სამჯერ ითარგმნა ქართულად: პირველად მეათე საუკუნის გასულს გრიგოლ ოშკელის მიერ სომხური ენიდან, მერე ბერძნულიდან — ექვთიმე მთაწმიდელის და ეფრემ მცირის მიერ.

¹ М. Джанашивили, История грузинской Церкви, т. I, стр. 86—93, Тиф- лись 1898 г.

ნესტორიანობა. ნესტორიანობა, რომელმაც თეხი მოიდგა აღმოსავლეთში, ქართლის ეკლესიისათვისაც არ იყო უცნობი, ის მას აწვეზოდა ასურეთიდან, და სპარსეთში ქრისტიანების დევნისას არა ერთსა და ორს ნესტორიანს უპოვნია თავში აფთარი საქართველოში. ბრძოლას მის წინააღმდეგ თავდაპირველად ქართველები სომეხებთან ერთად აწარმოებდნენ, როგორც ესა ჩანს სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების გამოატეხილი მიწერამოწევიდან. კერძოდ მას განასაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კათოლიკოზი კირიონი, რომელსაც ამ წვალების შესახებ ლაპარაკი ჰქონდა პაპა გრიგოლ დიდისადმი მიწერილ წერილში, როგორც ეს უკანასკნელის საპასუხო წერილიდან ჩანს. ძველადვე, VIII—IX ს., უთარგმნიათ ერთი თხზულება, რომელსაც ასეთი სათაური აქვს: ვითარ კაც იქნა უფაღა ჩუენი იესო ქრისტე და რამეთუ ღმრთაისმშობელი არს წმიდაჲ ქალწული მარამ და რომელი იგი იშვა მისგან—ღმერთა და იგივე კაცი.¹ როგორც სათაურიდან ჩანს, ეს თხზულება მიმართულია ნესტორიანთა დოკტრინის წინააღმდეგ, ის ბერძნულ ენაზედაც შენახულა შემდეგი სათაურით: *Περί τῆς μαρτυρίας τῆς μητρικῆς.*² ბერძნულ დედანშიაც და ქართულ თარგმანშიაც ეს თხზულება მიეწერება ათანასე ალექსანდრიელს, მაგრამ, ვინაიდან ათანასეს დროს ნესტორიანობა ჯერ კიდევ ლიტერატურული ბრძოლის საგნად გამხდარი არ იყო, მეცნიერები უარყოფენ ათანასეს ავტორობას და აღნიშნულ თხზულებას აპოლინარი ლაოდიკიელს მიაწერენ.³ არსენ ვაჩესძეს თავის დოღმატიკონში შეუტანია სამდენიმე ანტი-ნესტორიანული პოლემიკური თხზულება: 1) ორი ტრაქტატი იოანე დამასკელიისა: სიტუჲაჲ საწმუნებობისაჲს, დასამხობლად ნესტორიანთა, და სიტუჲაჲ, დასამხობელი ნესტორიანთაჲ; 2) თეოდორე ფილოსოფოსის (აბუკურა?) ნესტორიანთა მიმართ სიტუჲს გუბაჲ და 3) თეოდორე აბუკურას ოთხი სიტუჲს გუბა ნესტორიანთა მიმართ, რომელიც შედის მთავრის მიმართ ედესისა შეიგანთაჲს სიტუჲის გუბაში.⁴ დასასრულ უნდა აღინიშნოს ანტონ კათოლიკოზის მზამეტყველება, რომლის პირველს თავში დარღვეულია ნესტორიანთა წვალება (გვ. 1—20).

ორიგენისტობა. ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ორიგენის პიროვნებისა და მოძღვრების გარშემო დიდი მითქმა-მოთქმა

1) სიძვ. მთხ. № 19, 41—52, № 95, 46—59.

2) Migne, PG. t. 28, col. 25—30.

3) Bardenhewer, Patrologie, S. 213.

4) წ.-გ. № 1463, 289—294, გულ. № 23, 365—386.

დაიწყო; ეს მიტქმა-მოთქმა მეექვსე საუკუნეში გადაიქცა ნამდვილ ბრძოლად, არა ლიტერატურულად მარტო, არამედ, როგორც, მაგალითად, პალესტინაში—საბას ლავრაში, ფიზიკურადაც. პალესტინაში ამ ბრძოლის მოწამენი და, მგონია, მონაწილენი ქართველებიც იყვნენ; ამით აიხსნება, რომ ორიგენისტობა საქართველოში ცნობილი ყოფილა, ყოველ შემთხვევაში ჩვენ მოგვეპოება მისი განმაქიქებელი ლიტერატურა. პირველად ყოვლისა აქ უნდა დავასახელოო არსენ ვაჩხიძის დოღმატიკონში მოთავსებული მეტყუელთა მიმართ, ვითარმედ სუფიანი კაცთანი ზარველგე იუვენეს კორცთასა,¹ რომელშიაც დარღვეულია ორიგენის აზრი სულის წინასწარარსებობის შესახებ. წერაკითვის საზოგადოების მუზეუმის ორს ხელნაწერ პოლემიკურს კრებულში მოთავსებულია აგრეთვე მათხრობაჲ სწყალობელისა ფილასოფოსისა ორიგენისი² და ნეტარისა თოდორე აგუარისა სიტყვსგებაჲ ორიგენიანესა მიმართ.³ ენის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს ტრაქტატები ნათარგმნია, თუ დოღმატიკონთან ერთად არა, ყოველ შემთხვევაში არაუადრეს მისა. საფიქრებელია, რომ ამგვარი თხზულებანი მეათე საუკუნემდიაც იყო ქართულად; ყოველ შემთხვევაში მე-VI საუკუნის მწერლის ანთიპატროს ბოსტრელის პოპულარობა უძველეს ქართულს ჰომილეტიკურს მწერლობაში იძლევა იმის საბუთს, რომ ჩვენში ეკოდინებოდათ მისი ანტიორიგენისტური თხზულებანიც.⁴

აგვისტინიზმი. ჩვენს ძველ მწერლობაში შენახულა ერთი ვრცელი ტრაქტატი, რომელიც იოანე ოქროპირს მიეწერება და რომელსაც ეწოდება თქუმული ბადებულისათჳს და წინათვეგანხინებულისა კაცსა ზედა ღმრთისა მიერ კეთილისა და ბოროტისა ვითარმედ არაჲა არს.⁵ ეს თხზულება, რომელიც გამოცემულია პროფ. ივ. ჯავახიშვილის მიერ,⁶ გადმოსარგმნილია ბერძნულიდან მეათე საუკუნეზე გაცილებით ადრე და შეიცავს ტრაქტატს ნების თავისუფლების შესახებ, რასაც უარპყოფდა ნეტარი აგვისტინე; მას მიზნად აქვს დაამტკიცოს, რომ არ არსებობს წინასწარგანჩინება ღვთისა, რომლის ძალით ადამიანი ან კეთილი უნდა იყოს ან ბოროტი. თქმა მეტად სერიოზულია, და მის შესახებ გაცხარე-

1) წ.-კით. № 1463, ფ. 301—305, გელ. № 23, 412—424.

2) № 312, ფ. 19—20.

3) № 312, ფ. 20—20, № 248, 18—58.

4) *Мигуе*, PG. t. 25, col. 1753—1796.

5) სინას მთის X. ს. ხელნ. № 36/14, სიძვ. მუზ. № 56, 43—44, № 126, 185—194.

6) *Христ. Востокъ*, II, 276—280.

ბით კამათობდენ ეგრედწოდებულ ორიგენისტთა და პელაგიანისტთა მწერლობაში. იოანე ოქროპირის თხზულებათა შორის ბერძნულ ენაზე ასეთი თხზულება ჯერ ცნობილი არაა.

მონოფელიტიზმი. მონოფელიტიზმის ისტორია რამოდენიმედ დაკავშირებულია ჩვენს ქვეყანასთან, კერძოდ ლაზიკასთან ან დასავლეთ საქართველოსთან, სადაც იმპერატორმა ჰერაკლემ პოვა მხურვალე თანამოაზრე, თანამგრძობი და ცხოვრებაში გამტარებელი თავისი უნიონალური პოლიტიკისა, — ფაზისის მიტროპოლიტი კვიროსი, შემდეგ ალექსანდრიაში პატრიარქად დანიშნული, და სადაც დალია უკანასკნელი დღეები მონოფელიტიზმის თავგამოდებულმა მებრძოლმა მაქსიმე აღმსარებელმა.¹ ამიტომ ქართულს ენაზე უთარგმნიათ, რასაკვირველია შემდეგ დროში, მნიშვნელოვანი ნაწილი ანტიმონოფელიტიური მწერლობისაც. მაგალითად, ექვთიმე მთაწმიდელმა თარგმნა სიტყუსკუბაჲ, რომელი იქმნა შორის წმიდისა მაქსიმეს და ჰირსის კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა მწვალებელისა, რომელშიაც დარღვეული და განქიქებულია მონოფელიტიური ქრისტოლოგია. შემდეგ არსენ ვაჩხიძეს უთარგმნია და დოღმატიკონში შეეტანა იოანე დამასკელის ქრისტეს შორის წრთა ნებათათჳს და მოქმედებათა და სხუათა ბუნებითა თუებათა, გარნა შემოკლებული, და ორთა ბუნებათათჳს და ერთისა გუამისა.² დასასრულ „დოღმატიკონის“ შედგენის შემდეგ, მეთორმეტე საუკუნეში, ნიკოლოზ კათოლიკოსს უთარგმნია ქართულად, ექვთიმე ათონელის მიერ უკვე თარგმნილი წინად, მაქსიმე აღმსარებელის სიტყუსგება პიროს კონსტანტინოპოლელთან შემდეგი სათაურით: აღნიშვნაჲ ქმნილისა მის ძიებისაჲ აღძრულთა მათ საეკლესიოთა რწმენათა ძლითა მუნ ყოფათა გრიგოლ კეთილმსახურისა პატრიარქისისა და მის თანა პოვნილთა ყოვლად ღირსთა ეპისკოპოსთა და სხუათა ღმრთისა მოყუარეთა და დიდებულთა კაცთათჳს ჰერაკლემ მთაწმიდისა კონსტანტინოპოლისა და შეგისტე კეთილმსახურისა მონაზონისა თათესა ივლისსა ინდიკონისა სმსა,³ და აგრეთვე მაქსიმესავე თხზულება, — *Opuscula theologica et polemica*,⁴ რომელშიაც მოთავსებულია პატარაპატარა ტრაქტატები მონოფელიტთა წინააღმდეგაც.

¹) К. Кекелидзе, Связь між грузинских источников о препод. Максимѣ Исповѣдшикѣ, Труды Кіевской Духовной Академіи за 1912 год. Сентябрь—Ноябрь.

²) წ.-კ. № 1:63, ფ. 128—138, გვლ. № 23. 36—52, სიძვ. მუხ. № 205, 431—448.

³) გვლ. მონასტრ. ხელნ. № 1:1.

⁴) *Мігнец*, PG. t. 91, col. 9—286.

ხატმბრძოლობა. ხატმბრძოლობის წინააღმდეგ მიმართული პოლემიკური ხასიათი აქვს ერთს, ლიტურჯიკულ მნიშვნელობის და დანიშნულების, ძეგლს, რომელსაც ქართულად ეწოდება „ძეგლისწერაჲ სარწმუნოებისაჲ, რომელი აღწერეს წმიდათა მამათა კონსტანტინოპოლის შეკრებილთა წმიდათა ხატთა თაყუანისცემისაჲჯს, რომელ ესე წარიკითხვის სოფიაწმიდას პირველსა კვრიაკესა წმიდათა მარხვათასა“. ეს ძეგლი უთარგმნია ბერძნულიდან ექვთიმე მთაწმიდელს მეთე საუკუნის გასულს და წარმოადგენს შემოკლებას აკად. თ. უსპენსკის მიერ გამოცემული ტექსტისას;¹ შემოკლება მდგომარეობს იმაში, რომ დატოვებულია დე ბუღე ბანი მხოლოდ ხატმბრძოლობის წინააღმდეგ, სხვა კი გამოტოვებულია. მეთორმეტე საუკუნეში ეს ძეგლი ხელმეორედ უთარგმნიათ ქართულად იმავე შემადგენლობით, როგორც ექვთიმე ათონელს, მხოლოდ ეს მეორე თარგმანი უფრო ახლო დგას ბერძნულ ტექსტთან, რომელსაც ის სიტყვა-სიტყვით მისდევს, ვიდრე ექვთიმესი. ლიტურჯიკულს პრაქტიკაში შენახულა ექვთიმეს რედაქცია, მეორე კი გვხვდება მხოლოდ ერთად-ერთ ხელნაწერში.² წმინდა პოლემიკურ თხზულებათაგან ამ დარგში ქართულად შენახულა მხოლოდ იოანე დამასკელის ორი შრომა: სიტყუაჲ წმიდათა ხატთაჲს, თავი მეორე,³ და სიტყუაჲ სიტყესსაგებელჲ მათი, რომელნი ჭგომბენ წმიდათა ხატთა,⁴ ორივე თარგმანი გამოსულია პეტრიწონის სალიტერატურო შკოლიდან მე-XII საუკუნეში.

კათოლიცაზმი. მეცხრე საუკუნეში ატყდა სასტიკი ცილობა-კამათი და ბრძოლა რომისა და კონსტანტინოპოლის სამღვდელეობათა შორის, რომელიც 1054 წელს დასრულდა საბერძნეთის და რომის ეკლესიათა ერთმანეთისაგან განშორებით. ამიერიდან ბერძნები რომაელებს ისე აღარ იხსენიებენ, თუ არა ურწმუნოებად, უკეთურებად და მწვალებელ-სქიზმატიკებად. ამ ცილობა-კამათობისას მოწინააღმდეგე მხარეებს არა ერთი და ორი თხზულება დაუწერიათ ერთიმეორის განმაქიქებელი და დამარღვეველი. საქართველოს ეკლესია არ იზიარებდა საბერძნეთის რაგორისტულ და კონსერვატიულ-რიტუალურ შეხედულებას რომაელთა ეკლესიის შესახებ; აქ იმთავითვე ბატონობდა მეორე მიმართულება, ლაბერალურ-სპირიტუალური, რომლის მკვეთრად გამომხატველია გიორ-

1) Синодикъ въ исѣдѣлю Православія. Сводный текстъ съ примѣчаніями, Одесса. 18931

2) К. К с к е л и д з е. Литургическіе грузинскіе памятники въ отечественныхъ книгохранилищахъ и ихъ научное значеніе, стр. 33—36, 466—467.

3) სიძ. მუხ. № 162, 138—142, გელაო. № 8, ფ. 81—90.

4) გელ. № 8, ფ. 90—108.

გი მთაწმიდელი. სწორედ იმ ხანებში, როდესაც საბერძნეთი და რომი ეკლესიურად საბოლოოდ სცილდებოდნენ ერთმანეთს, გიორგი მთაწმიდელს საუბარი ჰქონდა კონსტანტინოპოლში იმპერატორ დუკინთან საეკლესიო წესებისა და რიტუალის შესახებ. იმპერატორის ერთერთ შეკითხვაზე, რომელსაც მიზნად ჰქონდა რომის ეკლესიის გაკრიტიკება, გიორგიმ უპასუხა: ბერძენთა შორის მრავალი წვალება შემოვიდა ჰირველ და მრავალგზის მიდრეკეს... სოფო ჰრომთა, ვინაშთაჲნ კრთაგზის იგნე'ს ღმერათი, არაოდეს მიდრეკილ არიან და არცაოდეს წვალება შემოსულ არს მათ შორის... და არაჲ არს შას შინა განუთფილებაჲ, ოდენ სარწმუნოებაჲ მართალი იყოს.¹

ბერძნული შეხედულება კათოლიკობის შესახებ ჩვენში მყარდება გაცილებით გვიან, ვიდრე რომისა და საბერძნეთის განყოფა მოხდა, და ისიც თანდათანობით, თან ამ შეხედულებას ისეთი უკიდურესი ხასიათი და გონჯი სახე არ მიუღია აქ, როგორც საბერძნეთში. ამით აიხსნება, რომ ანტიკათოლიკურ თხზულებათაგან ქართულად უთარგმნიათ მხოლოდ ერთი, სახელდობრ — მეთერთმეტე საუკუნის გასულის და მეოთრმეტეს დამდეგის შწერლის ევსტრატის ნიკიელ მიტროპოლიტის († 1117 წ.),² მოსაკსენებელი შემოკლებული თუ ოდეს ჰრომნი და ეკლესიაჲ მათი და რაჲსათჳს საღმრთოთა აღმოსავლისა ეკლესიათაგან განიჭრნეს. ეს თხზულება, რომელიც შემდეგდროში არსენ ვაჟისძის დოღმატიკონშიც შეუტანიათ, შეიცავს არა მარტო ისტორიას და მიზეზებს რომისა და აღმოსავლეთის განხეთქილებისას, არამედ ნუსხას რომის ეკლესიის დოღმატიკურ-პრაქტიკულ თავისებურებათა, რომელნიც აქ აღმოსავლური, ბერძნული თვალსაზრისითაა შეფასებული და განქიქებული.³ მეთვრამეტე საუკუნეში კათოლიკეთა პროპაგანდა იმდენად გაძლიერდა ჩვენში, რომ მის ქსელში ებმებოდა მაღალი სამღვდელოებაც კი, როგორც, მაგალითად, ეს ვიცით ანტონ კათოლიკოზის თავგადასავალიდან; ამ გარემოებამ საფიქრებელში ჩააგდო მამაპაპური მართლმადიდებლობის გულ შემატკივარნი, რომელთაც კათოლიკობასთან საბრძოლველად ხელში აიღეს კალამი. ტიპიურ წარმომადგენელად ამგვარ მოღვაწეთა უნდა ჩაითვალოს ბესარიონ კათოლიკოზი, რომელმაც ლათინთა წინააღმდეგ და-

¹) ათონის კრებულთ, გვ. 332, საქართ. სამოთხე, გვ. 474 - 475.

²) ეს ცნობილი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი, მოწაფე მინიელ ფსელოსისა და იოანე იტალიისა, ერთხანს აწუნებულაც იყო ოფიციალურ ბიზანტიურ წრებში. (С. С. СЕНСКИИ, Очерки по истории византийской ортодоксальной церкви, стр. 191—200, Петерб. 1892 г.)

³) ბერძნული დედანი ამ თხზულებისა, როგორც სხვა მრავალი ევსტრატის ნაწარმოებიდან, ჯერ გამოცემული არაა.

წერა ზემოთ უკვე დასახელებული და განხილული თხზულება გრდუქში. ეს თხზულება შინაარსით და საპოლემიკო მეთოდით არ ჩამოუვარდება ბევრს ბერძნულ ენაზე დაწერილს ამგვარ თხზულებებს. კათოლიციზმის წინააღმდეგ გაულაშქრნია კათოლიკოზს ანტონსაც, რომელსაც თავისი კაპიტალური შრომის მზამეტაქელების მესამე წიგნში შეუტანია ცალკე თავი (XVII), რომელსაც ეწოდება: ლათინთა მიმართ, რომელ ანანს ჰაბისტიჩი, მოკლედ წინაგანწყობაჲ, აუ რაჲსათჳს ერთა სსსუქელისაგან საღმრთაჲსა არა მისცემენ უკუდაგსა სისხლსა სიტყუსა განკარციელებულისასა. (მზამეტ-მეტყველება, გვ. 522—527). მეთვრამეტე საუკუნის გასულს ანტონ კათოლიკოზის ბრძანებით დიმიტრი ბაგრატიონმა გადმოთარგმნა რუსის მღვდელმთავრის თეოფანე პროკოპოვიჩის თხზულება: ისტორია აჲს დაწკებისა განხეთქილებისა შორის ბერძენთა და რომაელთა აჲს გამოსლვისა სულისა წმიდისა. თეოფანემ ეს შრომა ლათინურად დაწერა, მერე ის თარგმნა რუსულად მ. სოკოლოვმა და ამ თარგმანიდან გადმოღებულ იქმნა ქართული ტექსტი.¹

მონოფიზიტობა. ყველა წვალებათაგან, რომელთა კვალი დარჩენილა ქართულს პოლემიკურ მწერლობაში, ჩვენს წინაპრებს ამოძრავებდა უფრო მონოფიზიტობა და მისი ფრაქციები, როგორცაა იაკობის (აქედან იაკობიტნი), პეტროსის, სევეროზის, თეოდოსის, გაიანეს და სხვების მიმდევარნი, განსაკუთრებით კი სომეხთა ანტიქალკედონიტობა. საქმე ისაა, რომ თავდაპირველად ქართლის ეკლესია, სომეხებთან ერთად, მონოფიზიტურს ან ანტიქალკედონიტურ ქრისტოლოგიას იზიარებდა, მეექვსე საუკუნის მეორე ნახევრიდან კი, სხვადასხვა მიზეზთა გამო, მან ბიზანტიის დოღმატიკურ-ეკლესიური ორიენტაცია მიიღო და მეშვიდე საუკუნის დამდეგს საბოლოოდ ჩამოშორდა სომეხეთს, მონოფიზიტობის ან ანტიქალკედონიტობის მდგარ დამცველს. თავისთავად ცხადია, ამ გარემოებას, ერთი მხრით, და სომეხებთან ეკლესიურ-პოლიტიკურ სიახლოვესა და მეზობლობას მეორე მხრით, ხელი უნდა შეეწყო ჩვენში ანტიმონოფიზიტური მწერლობის შექმნა-განვითარებისათვის; და მართლაც, სხვებთან შედარებით, ეს დარგი პოლემიკური მწერლობის უფრო მდიდრადაა ქართულ ენაზე წარმოდგენილი, — მისი ზრდა-განვითარება არ შეწყვეტილა მეთვრამეტე საუკუნის გასლვამდე. ვიდრე ამ მწერლობის მიმოხილვას დავიწყებდეთ, უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულ

¹) Проф. А. Сагарели, Свѣдѣнія о памятникахъ греч. письменности, III, 205.

ენაზე ეს დარგი ორი კატეგორიის ძეგლებს გვაძლევს: საზოგადოდ მონოთეიზიტურს და კერძოდ სომხურ-ანტიქალკედონტურს.

პირველი კატეგორიის, საზოგადო მონოთეიზიტური, მწერლობის ძეგლთაგან პირველად უნდა დავასახელოთ ერთი მოკლე ტრაქტატი, რომელიც ორს უძველეს კრებულშია მოთავსებული¹ და რომელიც წმიდანინოს მიეწერება; ეს არის თქუშული წმიდისა დედისა ჩეენისა ნინოასი, რომელმან ქადაგა ქრისტეს ქროსის შინა, შობადი წმიდისა ქალწულისა მარიამისაგან.² ამ ნაწარმოებში, რომელიც წარმოადგენს შობადლეს სათქმელ ქადაგებას, ლაპარაკია იმაზე, რომ იესო ქრისტე არის არა მარტო ქეშმარიტი ღმერთი, არამედ ქეშმარიტი კაციც, „მან შეიერთა ქეშმარიტად თვისი დაბადებული კორცი და კაცად გამოჩნდა ქეშმარიტად გამოუთქუმელითა ძლიერებითა და შეურყეველითა სულითა... ცხრისა თთვსა ჟამთაჲთა სიტყუაჲ განორძნდა და შეუშფოთებელად განკორციელდა... ქეშმარიტად მიიხუნნა ჩუენნი კორცნი, გარნა უზეშთასნი ჩუენსა. რამეთუ დაიტალავრა კორცთა შინა განუშორებელად და განუყოფელად მარადის მამულისა არსებისაგან და დიდებისა და საქერობინოთა საყდართაგან“ (ibid, გვ. 82). როგორც ვხედავთ, ქადაგება მიმართულია მონოთეიზიტობის წინააღმდეგ, რომელიც იესო ქრისტეში ერთ ბუნებას, ღვთაებას, აღიარებდა და კაცობას უარჰყოფდა. ის ისევე ფსევდოვიგრაფიულია, როგორც უკვე განხილული ანტიარჩანული ნათლილება ღღეს წარმოსათქმელი ქადაგება; წმ. ნინოს ვერც ეს მიეკუთვნება, ვინაიდან, სხვა რომ არა იყოს რა, მის დროს მონოთეიზიტობა ჯერ კიდევ არ არსებობდა. თუ ის მთლიანად თარგმანს არ წარმოადგენს რომელიმე მწერლის ჩვენამდე არშენახული ნაწარმოებისას, ყოველ შემთხვევაში კომპილიაციაა, რომელიც ნათელჰყოფს ავტორის მიერ ეკლესიური მწერლობის, უფრო კი დოღმატიკურ-პოლემიკურის, კოდნას. დაწერილი უნდა იყოს ის, თუ ენასა და სტილს ვიკონიებთ მხედველობაში, პირველი პერიოდის გასულს ან მეორის დამდეგს. პირველი ორი პერიოდისაგან საზოგადო ანტიმონოთეიზიტური მწერლობის დარგში ამის მეტი არა დარჩენილა რა. შესამჩნევად წაიწია წინ ეს დარგი მესამე პერიოდში; ამ მხრივ დიდი ღვაწლი მიუძღვის არსენ ვაჩესძეს, რომელმაც თავის დოღმატიკონში მოათავსა შემდეგი: მის მიერ ნათარგმნი, თხზულებანი: 1) ანასტასი მონაზონისა (სინე-

1) სიძვ. მუხ. №№ 19, 95

2) М. Джапашвили, История грузинской церкви, книга I, стр. 80-86.

ლისა) სარწმუნოებისათვის და განსაზღვრებისა საღმრთოთა წერილთა შინა მდებარეთა ლექსთაჲს; ეს თხზულება, რომელსაც ჩვეულებრივ წინამძღუარი (*Օղբոյն*) ეწოდება, მიმართულია მონოფიზიტობისა და მისი სხვადასხვა ფრაქციების წინააღმდეგ. 2) იოანე დამასკელის სიტყუად დასამკობელად ღმრთისმოსაგებულისა წვალებისა იაკობთაჲს; 3) თითოსხეთა ააფთა, ესე იგი არს გამოძიებით კითხვათა აღკისაჲ ქრისტესმიმართისა კეთილადმსახურებისათვის და თანად მხილებაჲცა და უკურღუევაჲ ღმრთეებისა მიმართ და კაცებისა ქრისტესისა უთაოთა ურთიერთისა წინააღმდეგობისა წვალებისაჲ ნესტორისაგან და სევეროზისა ბოროტად მსახურთაჲს და სიტყუსკებაჲ უარსმყოფელთა მიმართ წმიდისა კრებისა საჯლიდონისათა; აქ აღნიშნული თემა განმარტებულია კითხვა-მიგების სახით, სულ 17 კითხვა-მიგებაჲ. 4) განჩევაჲ და განჭეშმარიტებაჲ ფილასოფოსთა მიერ მოკსენებულთა კმათაჲ და მხილებაჲ უთაფოთა სევერიანთა, ესე იგი არს იაკობიტთა სეფთასმხრწნელისა წვალებისაჲ. 5) შეჩუენებაჲ იაკობიტთა და ყოველთა ერთბუნებიათანი, რომელთა თანა არიან სომეხნიცა; ეს ნახევრად პოლემიკური, ნახევრად ლიტურჯიკული ნაწარმოებია, რომელიც უფრო ხშირად კურთხევეან ში გვხვდება. დაახლოვებით იმავე დროს, როდესაც არსენ ვაჩიქძემ დოღმატიკონი თარგმნა, უნდა იყოს გადმოღებული ფილაკიანოზ, პრეპენელი ეპისკოპოზის, თხზულება: პეტროსის მიმართ, ეპისკოპოზისა ანტიოქელისა, თუ ვითარ ჯერ არს უარის ყოფაჲ არიოზისა წმიდასა სამებისა ერთწორებისა და უკუდავი იგი სიტყუად თქუჲად ჟუაჭმულად და არცა ორთა ბუნებათაგან ერთი ბუნებაჲ ქრისტესი.¹

ქართული ანტიმონოფიზიტური პოლემიკა უფრო ანტისომხურია, უფრო ხშირად მონოფიზიტობას ქართველები ებრძოდნენ სომხების სახით, და ეს ბრძოლა უფრო ინტენსიური და ხანგრძლივი იყო, ვიდრე მონოფიზიტობასთან ბრძოლა საზოგადოდ. ამ მხრივ ქართველებს არამც თუ უთარგმნიათ ის, რაც სომხების წინააღმდეგ ბერძნებს დაუწერიათ მეცხრე საუკუნიდან მოყოლებული, არამედ თავისი საკუთარი წვლილიც შეუტანიათ ამ დარგში და თვითონაც უწარმოებიათ დამოუკიდებელი ლიტერატურული ბრძოლა. პოლემიკა მონოფიზიტთა და დიოფიზიტთა ან ქალკედონიტთა და ანტიქალკედონიტთა შორის გამწვავდა თვით სომხეთში; საკითხი უმთავრესად ქალკედონის კრების გარშემო ტრიალებდა. მართლმადიდებელ ან ქალკედონიტ სომეხთა შორის განვითარ-

1) სიძვ. მთხ. № 735, ფ. 30—34.

და ერთგვარი საისტორიო ხასიათის მწერლობა, რომელშიაც გარკვეული იყო ისტორია ქალკედონის კრების შედეგებისა სასომხეთოში და ყველა ის პერიპეტები, რაც ამ კრებამ განიცადა სომეხთა შორის. რასაკვირველია, საკითხი გარკვეული იყო დიოფიზიტური თვალსაზრისით: სომეხებმა უარყვეს ქალკედონის კრება, ისინი განუდგენ კათოლიკე ეკლესიის აღსარებასო. ამ ხასიათის თხზულებებს სომხურად ერქვა პატრიმოთინი ან, როგორც ზოგიერთ ქართულ ძეგლებშია, პატრიმონითი. ეს პატრიმონი ქართულად უთარგმნიათ ძველადვე, გაცილებით ადრე მეთავე საუკუნეზე, სომეხებთან კამათის დროს სახელმძღვანელოდ; ერთი ნაწყვეტი ამ თხზულებიდან ჩვენამდე შენახულა, ის გამოუცია თ. ჟორდანიას.¹ ჩვენამდე შენახულა დოკუმენტი სომეხებთან პაექრობისა, რომელშიაც ქართველთა წარმომადგენელს გამოუყენებია კამათში სწორედ ეს პატრიმონი; ჩვენ სახეში გვაქვს სიტყვსგება ექვთიმე გრძელისა სოსთენის მიმართ, სომეხთა მოადურისა; ექვთიმეს თავისი არგუმენტები მოჰყავს პატრიმონისაგან, რის გამო ძლეული სოსთენი ეუბნება: წყეულ იუავნ რამეღმან გსწავა შენ პატრიმონისა და ადგჭურვა მით ბრძალად სარწმუნოებისა ჩუენისაო.² ამავე პოლემიკური მიზნით მართლმადიდებელი, ქალკედონიტ-სომეხები ადგენდენ ისეთ თხზულებებს, რომელნიც ამტკიცებდენ, რომ სომეხების განდგომილება მართლმადიდებლობისაგან წინასწარ იყო მოსწავებულა, რომ ეს განდგომილება შეიქმნა მზეზი მათზე მოწვეული ყოველგვარი უბედურებისა, როგორც სარწმუნოებრივის, ისე პოლიტიკურ-საზოგადოებრივისა. ასე, მაგალითად, ყოფილა დაწერილი ხიჯვაჲ გრიგოლ განმანათლებელისა, რომელ აუწყა მას, არსენ კათოლიკოსის სიტყვით, სუღმან წმიდამან, ვითარმედ რომენსიჲ ცხოვროთაგანი უკუნიქცეს და იგელ იქმნეს და ზედამიეტეგნეს ცხოვროთა და დაბარჩეს უწყალოდ.³ ეს ხიჯვა გამოუყენებია თავის სიტყვისგებაში ექვთიმე გრძელსაც, რომელიც ეუბნება სოსთენს: ვითარ იგი წერილ არს ხიჯვასა შინა გრიგოლ განმანათლებელისსა, რომელსა იგი გამოუცხადა ღმერთმან მუის გარდაქცევა თქუენი რეცა სარწმუნოსა მისგან ცხოვროთასა წყაღთა მათ შინა დაჰყვებისთა სხე თიკანთა მრომედ შეცვალებითა.⁴ როგორც აქედანა ჩანს, გრიგოლის ხიჯვან ჩუენება ქართულად ნათარგმნი ყოფილა, ყოველ შემთხვევაში IX—X

¹) ქრონიკები I, 336-341.

²) საქართ. სამოთხე, გვ. 618.

³) თ. ჟორდანიას. ქრონიკები I, 332.

⁴) საქართ. სამოთხე, გვ. 618.

საუკ., თუმცა დღეს ეს თხზულება პირვანდელი სახით ჩვენამდე არ შენახულა. ცნობილი ყოფილა აგრეთვე წინამწარმეტყველება ნესე დიდისა, სომეხთა ჭეშმარიტისა მის მთავარეპისკოპოზისა,¹ რომლის დედააზრი ანტონ კათოლიკოზს ასე აქვს გადმოცემული: „დამდაბლდეს სამეფოა თქუენი მსგავსად სამეფოთა ისრაილისათა და ქუეყანაჲ თქუენი მიეცეს კელთა უცხოთა მტერთასა, მიეცნეთ შიმშილსა, მახვილსა და ტყუეობასა მწარესა და აღარა იყოს თავისუფლებაჲ თქუენი უღლისაგან მძიმისა და ნათესავთა მიერ უცხოთა მოგებული ოფლითა თქუენითა შეიქამოს წინაშე თუალთა თქუენთა. იქმნეთ თქუენ მსგავსად ფურცელთა მიმოდამბნულ და დაფიწყებულნი, ვითარცა წყალი დათხელ; მიგელოს თქუენ მეფობაჲ და მღღელობაჲ და უფულონი მიმოხვილოდეთ ადგილითი ადგილად, ვითარცა ცხოვარნი უმწყემსონი; განხვიდეთ სარწმუნოებისაგან და მამათმთავარნი თქუენნი არლარა გესვისყე ჟამთა გრძელთა; აღიფხურათ ძირისაგან თქუენისა და კედელნი თქუენნი ძლიერნი დარღვეულ იქმნეს კელთაგან წარმართთასა.² ამათ გარდა ცნობილია კიდევ ჩუენებაჲ წმიდისა სჰაკისი, რომელ იხილა ბირთჳ ჭქრომსა და იხაფთრი ზედა წმიდასა საკურთხეველსა; რამეთუ აღჯოცას თანა მეფობისა არშაკთაჲსა ადლო მღღელობაჲცა წმიდისა გრიგოლის ნათესავისაჲ.³ ეს აპოკრიფული ჩუენება, რომელსაც მიზნად აქვს დაარწმუნოს, რომ სომხეთის მეფობის მოსპობა და მღღელობის შეწყვეტა შედეგია ჭეშმარიტის სარწმუნოების უარყოფისა, ქართულად იმთავითვე ყოფილა თარგმნილი; მას იხსენიებს და მით სარგებლობს ექვთიმე გრძელი სოსთენ სომეხთან პაექრობისას.⁴ ეს აპოკრიფი ჩვენამდეც შენახულა მეჩვიდმეტე საუკუნის ხელნაწერში.⁵ ამნაირად, ზემოჩამოთვლილი აპკრიფები, რომელნიც პოლემიკური მიზნით იქმნენ შეთხზულნი ქალკედონიტ-სომეხთა წრეში, იმავე პოლემიკური მიზნით ქართულადაც უთარგმნიათ მეთვე საუკუნეზე გაცილებით აღრე.

ერთერთ საცილოებელ და საკამათო საკითხად ქალკედონიტებთან და ანტიქალკედონიტებთან შორის საზოგადოდ და სომხეთში კერბოდ

1) წ. კით. ხელ. № 3236

2) მხამეტყველება ანტონ კათოლიკოზისა გვ. 113—114, თ. ქორდანი, ქრონიკები I, 341.

3) თ. ქორდანი, ქრონიკები I, 322.

4) საქართ. სამოთხე, გვ. 618.

5) სიძვ. მუხ. № 735, გამოცემულია ლ. მელიქსედეგის მიერ, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, II, 207—217.

შეიქმნა საკითხი იესო ქრისტეს შობის და მასზე დამოკიდებულ ღღესასწაულთა შესახებ. ეს ღღესასწაული თავდაპირველად ყველგან ერთსადაიმავე დროს არ სრულდებოდა: რომში და საზოგადოდ დასავლეთში ის სრულდებოდა 25 დეკემბერს, აღმოსავლეთში კი -- 6 იანვარს, ნათლისღებასთან ერთად. შემდეგ აღმოსავლეთიც შეუთანხმდა დასავლეთს და რომის პრაქტიკა შეითვისა, თუმცა არა ერთბაშად: კონსტანტინოპოლისა და ანტიოქიაში, როგორც იოანე ოქროპირის 386 წელს წარმოთქმული ქადაგებიდანა ჩანს, ის მიუღიათ 376 წელს, იერუსალიმში კი შეექვსე საუკუნეშიც ძველ პრაქტიკას მისდევდენ. მონოფიზიტებსა და კერძოდ სომხებს ეს ძველი პრაქტიკა სამუდამოდ შერჩათ, ამის გამო მათთან საპოლემიკო ლიტერატურაც კი წარმოიშვა; ეს ლიტერატურა თავმოყრილი იყო საგანგებო კრებულში, რომელიც შეიცავდა მსოფლიო ეკლესიის მწერალთა თხზულებებს იმის შესახებ, რომ შობა 25 დეკემბერს უნდა ვიდღესასწაულოთო. ასეთი კრებული ქარულ ენაზე გაჩენილა შედარებით ადრე, ვინაიდან მას ჩვენ ვპოულობთ ორს უძველეს მრავალთავე ში, რომელნიც ტაოკლარჯეთის რაიონში აღმოცენებულან. ამ კრებულში ჩვენ გვაქვს ოთხი დოკუმენტი აღნიშნული საკითხის შესახებ: ბრძანებაჲ წმიდათა მოციქულთაჲ კლემენტისის მიერ მიძღვანებული უფველთა მიმართ სამოციქულო კათოლიკებ კელესიასის სიტუესკან და წამებისა და დღესასწაულისათჳს. ამ თხზულებაში, რომელიც წაროადგენს მოციქულთა დადგენილებების (Institutiones apostolorum) მეხუთე წიგნის მეცამეტე თავს, ჩვენ ვკითხულობთ: „ერთარმედ ღღენი ღღესასწაულთა თქუენტანი დაიცვნით. პირველად შობაჲ უფლისა ჩუენისა იესოჲ ქრისტესი, რომელი იგი ჯერ არს ჩუენდა ყოფად ოცდა ხუთსა მეცხრისა თთჳსასა. ხოლო არს მეცხრს თთუჲ მსგავსად საღმრთოთა წიგნთა პირველად აპრილი თთუჲ და მეცხრს არს დეკენბერი. და მისა შემდგომად ცხად თქუენდა იყავნ პატიოსანი იგი დღს განცხადებისაჲ, რომელიცა იგი უფალმან გამოუცხადა ყოველთა ღმრთეებითა თჳსითა და იყავნ ესე ექუსსა თთჳსასა, რომელ არს იანვარი, და აღიჭაცხეთ ოცდახუთითჳნ დეკენბერისაჲთ და პპოვოთ მეორმოცს იგი განწმედისაჲ მსგავსად შჯულისა თთუესა ფებერვალსა ორსა“.²

მეორე დოკუმენტი, რომელიც ამ საკითხს ეხება, არის გრიგოლ ნოსელიას თქმული შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესოჲ ქრისტესსა და წმიდისა

1) სიძვ. მუზ. ხელნ. №19, 95.

2) სიძვ. მუზ. №19, 52-56, №95, 59-60.

სტეფანწსთჳს; ეს არის პატარა, რამდენიმე სტრიქონისაგან შემდგარი, დარიგება, რომელიც ასე თავდება: „ოცდამეშვიდესა დღესა თჳსა დეკენბრისასა აღესრულების დღესასწაული წმიდისა სტეფანსის იერუსალმს, სადაცა იგი პატიოსანნი ნაწილნი მისნი სხენან, და ესე ცხად არს ყოველთა და ამისგან ჩანს: ოცდახუთსა დეკენბრისასა არს შობაჲ უფლისა ჩუენისა იესოჲ ქრისტსისი და მიერიოგან მეორმოცს დღს არს მიგებებაჲ უფლისაჲ: და თთუესა თებერვალსა აღესრულების მეორესა დღესა“.¹

მესამე დოკუმენტს წარმოადგენს შემომოხსენებული ქადაგება იოანე ოქროპირისა, ვინც წელს წარმოთქმული ანტიოქიაში, რომელშიაც ის ამბობს, რომ 10 წელიწადი გავიდა, რაც აღმოსავლეთში (ანტიოქია-კონსტანტინოპოლში) შობის უქმობა 25 დეკემბერს დაეწყო, და ამტკიცებს ასეთი პრაქტიკის სამართლიანობას;² ზოგი რამ ამ ქადაგებაში შემდეგიდროის ინტერპოლაციაა, მაგალითად, საბუთები მესამე და მეოთხე კრების დადგენილებებიდან, რომელთაც, ცხადია, ოქროპირი ვერ უჩვენებდა.³

მეოთხე დოკუმენტი არის საკითხაკი დღესასწაულთაჳს: ხარებისა და შობისა, მიგებებისა და სათლისდებისა, რომელი მიეწერა იერუსალმს იუსტინიანე, მართლმადიდებელმან მეფემან.⁴ აქ სხვადასხვა მოსაზრებებით და წმ. მამათა თხზულებებიდან ციტატებით მტკიცდება, რომ შობა უნდა ვიდღესასწაულოთ 25 დეკემბერს, ხარება 25 მარტს, მიგებება 2 თებერვალს და ნათლისდება 6 იანვარსო. თხზულება ფსევდოეპიგრაფიულია, იუსტინიანეს ის არ ეკუთვნის, მაგრამ დამატკიცებელია იმის, რომ იერუსალიმში შობის უქმობა 25 დეკემბერს მართლაც შეექვსე საუკუნეში, იუსტინიანეს დროს, დაიწყეს, რასაც მხარს უჭერს ერთი სოპხური დოკუმენტიც: „ეპისტოლე გრიგოლისა, არწრუნელ ეპისკოპოსისა, იერუსალიმის სომეხთა მიმართ“.⁵

ამნაირად, აღწუხებულ დოკუმენტებში მტკიცდება, რომ შობა ცალკე უნდა ვიდღესასწაულოთ, 25 დეკემბერს, და არა ნათლისდებასთან ერთად, 6 იანვარს, და ამასთანავე ირკვევა დრო იმ დღესასწაულე-

1) სიძვ. მუხ. № 19, 53-54, № 95, 60.

2) *Migne*, PG. t. 49, col. 357-362.

3) სიძვ. მუხ. № 19, 54-57, № 95, 61-66.

4) სიძვ. მუხ. № 19, 71-77, № 95, 65-72.

5) К. Кекелидзе, Къ вопросу о времени празднованія Рождества Христова въ древней църкви, Труды Кіевскоі Духовноі Академіи, 1905 г. Январь.

ბისა, რომელნიც შობაზე არიან დამოკიდებულნი: ხაზებისა და მიგებებისა. ყოველივე ეს საცილობელი იყო მონოთეიზიტთა პრაქტიკაში და წრეში.

შემდეგი საცილობელი და საკამათო საგანი, რომლის გამო სომხების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ ბერძნები და მათთან ერთად და მათი მიბაძვით ქართველებიც, არის ალაჯორის ან არაჯორის, რუსი. არაჯვორის (ἀραζωρίσ) მარხვა. ამ მარხვას ჰკიცხავენ ჯერ არსენ დიდი კათოლიკოზი IX ს. თავის საპოლემიკო თხზულებაში, რომლის შესახებ თავის ადგილას უკვე გვქონდა ლაპარაკი, მერე—ექვთიმე ათონელიც, რომელმაც მეექვსე მსოფლიო კრების კანონთა თარგმანში საგანგებო მუხლებიც კი შეიტანა ამ მარხვის განსაქიქებლად,¹ აგრეთვე ექვთიმე გრძელი (XI ს.) სოსთენტან პაექრობის დროს; მაგრამ ყველაზე საყურადღებოა ამ მხრივ ერთი თხზულება, რომელსაც ეწოდება პეტრე მკაწვრადისაჲ და ალაჯვორისათჳს თხრობაჲ, და მისი გაგრძელება: უწყუჲაჲ სუბუჲლის ძისა სარგისისათჳს.² ეს თხზულება წარმოადგენს ბერძნულ ენაზე დაწერილი შრომის ἡ ἐπί τῆς ἀραζωρίας κατὰ Ἀρσενίου მე-14 და მე-27 თავის³ გადმოკეთებულ თარგმანს. ბერძნული შრომის ავტორად ითვლება სომხის კათოლიკოზი ისააკი, რომელსაც მერე მართლმადიდებლობა მიუღია და, ბერძნულ წყაროებით, ცნობილია, როგორც მიტროპოლიტი ნიკიისა იოანე, მე-XI ს.⁴ ქართულად ეს ნაშრომი გადმოღებული უნდა იყოს, ენის მიხედვით, იმ დროსვე, როდესაც არსენ ვაჩესძე თავის დოღმატიკონს ადგენდა, შეიძლება ის მისგანაც იყოს გადმოკეთებული, ვინაიდან, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც არის ისეთი ხელნაწერები, რომლებშიაც დოღმატიკონიდან ამოღებულ სტატიებთან ერთად ესეც გვხვდება.⁵ ეს არის ერთგვარი პამფლეტი სომხების წინააღმდეგ, რომელშიაც გამოსჭვივის სარწმუნოებრივი ზიზლი სომხებისადმი, მართლმორწმუნე ბერძნების გულში დაგუბებული.⁶ საერთოდ

¹) А. Хахановъ, Правила VI вселенскаго Собора, Древности Восточныя, т. II, вып. 3, стр. 91—92.

²) საბინინი, საქართველოს სამოთხე. ვვ. 629—633; .I. Мелниксетъ-Исковъ, Грузинскій изволъ сказанія о постѣ „Араджвორъ“, Христ. Востокъ, т. V, вып. 2, стр. 85—96.

³) Mi g n e, PG. t. CXXXII, col. 1197—1204, 1233—1234.

⁴) Проф. И. М а н с в е т о в ъ, О постахъ православной восточной церкви, стр. 11, Мос. ква 1886 г.

⁵) წ. კიოს. საზოგ. ხელნ. № 312.

⁶) კ. ქეკელიძე, პროვოკაცია თუ სიბეცე? აღ. რემიზოვი და სომხების სურფისარკისი, გაზ. საქართველო, 1916 წ. № 124.

უნდა შევნიშნოთ, რომ ბერძნულ ენაზე სომხების საწინააღმდეგო პოლემიკურმა მწერლობამ, რომელიც მეცხრე საუკუნიდან იწყება, განსაკუთრებული მწვავე ხასიათი მიიღო XI—XII საუკ. ეხლა თავს უყრიან ყველა იმ საეკლესიო-სარწმუნოებრივ ზნეჩვეულებათ, რომლებითაც სომხები ბერძნებისგან განირჩევიან, კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ მათ და ხშირად ისეთ პამფლეტებს სთხზავენ, როგორიცაა თხრობა ალაჯორის შესახებ. ზოგიერთი ამგვარი თხზულებები ქართულადაც უთარგმნიათ; ჯერ კიდევ არსენ ვაჩხაძეს გადმოუღია და თავის დოღმატიკონში შეუტანია შემდეგი თხზულებანი: 1) თავნი სომეხთა წვალებისანი ოცდათნი,¹ 2) ეპისტოლე, მქონებელი წმიდისა და უბიწოჲსა სარწმუნოებისაჲ, წარცმული ნეტარისა თომას შიერ, იერუსალიმელ პატრიარქისა, სასომხეთოჲსა მწვალებელთა მიმართ, არაბულად ვიდრემე თეოდორეს მიერ, აბუკურად სახელდებულისა; სარანელთა ეპისკოპოსისა, აღწერილი და ჩემ უნდოჲსა მიერ, მიხაილ ხუცისა და სამოციქულთაჲს იერუსალიმისა საუდრისა სჯეკელისისა მიერ ბერძნულად თარგმანებული, რომლისა შინა განცხადებულად ჩანს, ვითარმედ მხოლოდ ხაქკადონს ოდენ შეკრებულისა კრებისაჲ ჭეშმარიტ არს ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა ძლით განსხზღვრული სარწმუნოებისა სუტეჲაჲ.² 3) ნიკიტა მონაზონისა და ხუციისა სტუდიელთა მონასტრისა სტიოთატისაჲ სიტეჲაჲ განსაკიქებელი მემობრისა მის წვალებისა სომეხთაჲსა, — ხუთი სიტყვაჲ.³ ამათ გარდა ქართულ ენაზე არსებობს კიდევ: სიტყვსაგებაჲ სომეხთა მიმართ უოვლად ნეტარისა თეოდორესი [აბუკურა?],⁴ მაქსიმესი სომეხთა მიმართ⁵ და თუ რომელია პირთათჳს შეჩუენებს სომეხთა წმიდაჲ კათოლიკე ეკლესიაჲ.⁶ ეს თხზულებანიც, რომელთაგან უკანასკნელი არის ნაწილი სააკ კათოლიკოზის სახელით ცნობილი შრომის „Quomodo recipiendi sunt Armenii haeretici“, ნათარგმნია დაახლოვებით დოღმატიკონისავე შედგენის დროს, შეიძლება თავდაპირველად ისინიც მის ნაწილს შეავლენდენ.

როგორც ვთქვით, ქართველები დამოუკიდებელ პოლემიკასაც აწარმოებდენ სომხების წინააღმდეგ და თვითონაც ეკამათებოდენ მათ. ჯერ

1) წერ.-კითხ. № 1463, ფ. 224—226, სიძვ. მუხ. № 205, 272—280.

2) წ.-კ. № 1463, ფ. 252—254, სიძ. მუხ. №№ 65, 207—220, № 205, 203—216, გელ. № 23, 224—232.

3) წ.-კით. № 1463, 256—264, სიძ. მუხ. № 65, 226—272, № 205, 322—328, გელ. № 23, 236—266.

4) წ.-კითხ. № 218, 179—182, № 312, 67—68.

5) წ.-კით. № 312, 70.

6) წ.-კით. № 312, 68—70, საქართველოს სამოთხე გვ. 633—685.

7) *Migne*, PG. t. CXXXII, col. 1255—1266.

კიდევ კათოლიკოზი კირიონი (VI—VII ს.) ებრძოდა თავგამოდებით მათ და მათთან ცილობა-კამათის დროს, ჩანს, ბევრი რამ საყურადღებო აზრი გამოუთქვამს, თუმცა, სამწუხაროდ, ყველა მისი აზრები და წერილები ჩვენამდე არ შენახულა. მეცხრე საუკ., როგორც თავის ადგილას დაეინახეთ, არსენ კათოლიკოზს დაუწერია მათ წინააღმდეგ მეტად საყურადღებო და შინაარსიანი ისტორიულ-პოლემიკური თხზულება, რომელსაც ეწოდება განუოფისათჳს ქართლისა და სომხეთისა.¹ მეცხრე საუკუნეში ბაგრატ IV დროს, 1046 წელს, ღრტილას კრებაზე არტანუჯში, მომხდარა სომეხ-ქართველთა ეკლესიურ-სარწმუნოებრივი პაექრობა, რომელზედაც ქართველთა მხრივ გამოსულა ექვთიმე გრძელი ან იერუსალიმელი, ხოლო სომეხთა მხრივ სოსთენი; ოქმები ამ პაექრობისა მოკლედ, *in extenso*, შენახულა ჩვენამდე² და საკმაოდ საყურადღებო პოლემიკურ ნაწარმოებს წარმოადგენენ; ისინი ჩაწერილი უნდა იყოს პაექრობის შემდეგ, რომელიდაც პეტრიწონული შკოლის მიმდევრის მიერ.³ პაექრობა სომეხებთან შემდეგაც არ ყოფილა იშვიათი მოვლენა, აღსანიშნავია განსაკუთრებით ორი ფაქტი; ერთხელ ასეთი პაექრობა დავით აღმაშენებლის დროს მომხდარა; ამ პაექრობას დასწრებია მრავალი სომხის ეპისკოპოზი და წინამძღუარი, ქართველების მხრივ იოვანე კათოლიკოზი, არსენ იყალთოელი ან, ჩვენი აზრით—ვაჩესძე, და თვით მეფე დავითი. კამათს მეტად მწვავე ხასიათი მიუღია, ის გაგრძელებულა ცისკრითგან ცხრაყამამდე, იყო ორკერძოვე ძღვევისმოყუარება ოდენ და ცუდ სიტუაციათა პაექრობა, რამეთუ შევიდინს შეუკადთა საქმეთა და მთად გამოსავალთა. კამათში მონაწილეობა მიუღია დავით მეფეს, რომელსაც პირი დაუყვია მოწინააღმდეგეთათვის. სამწუხაროდ, ოქმები ამ მეტად საინტერესო პაექრობისა ჩვენამდე არ შენახულა.⁴ მეორე ასეთივე პაექრობა მომხდარა თამარ მეფის დროს; ეს პაექრობა გაგრძელებულა მიმწუხრამდე და ქართველების მხრივ იმაში თავი უსახელებია კათოლიკოზ იოანეს, რომელიც თავის მოწინააღმდეგეებს აღუკსნიდა და ბრძნად მიუგებდა თქემუდთა მათთა უკერძოეუგად, ხოლო აჴისა და მამტიტებდად.⁵ განსაკუთრებით ქართულ-სომხური საეკლესიო პოლე-

1) თ. უო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები I, 315—332.

2) ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ხ ა მ ო თ ხ ე, ჯერდი 615—621, თ. უო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები I, 126—127.

3) ე. ექვთიმეძე, ორი ექვთიმე ძველს ქართულ მწერლობაში, ჩვენი მეცნიერება № 2—3, გვ. 108—114.

4) ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 325—327.

5) *ibid.* ა. ი. 181—192.

მიკა გაცხოველდა მეთვრამეტე საუკუნეში; ეს გამოიწვია სომეხთა პროპაგანდის გაძლიერებამ ამ დროს ჩვენში, რამაც მოწინავე ქართველები აიძულა შეესწავლათ სომხური ენა და სომხური ღვთისმეტყველება, რომ მუდამ მზად ყოფილიყვენ ჯეროვანი პასუხისათვის. ტიპიური გამომხატველი ამ დარგში ლიტერატურული შემოქმედებისა არის ანტონ კათოლიკოსის მზამეტყველება, რომლის ორი ნაწილი სპეციალურად მონოფიზიტობას და სომხობას ეხება. ეს უზარმაზარი, კაპიტალური შრომა, რომლის ანალიზი უკვე წარმოდგენილია ზემოთ, პირდაპირ გვირგვინად უნდა ჩაითვალოს ანტიმონოფიზიტური პოლემიკისა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს სამართლმადიდებლოში.¹

ასეთია საერთოდ ხასიათი და ისტორია ქართული პოლემიკური მწერლობისა, რომლის გასაცნობად მკვლევარს დიდ სამსახურს გაუწევს არსენ ვაჩეხიძის დოღმატიკონი და სხვადასხვა პოლემიკური კრებულები, რომელთა ზოგადი სათაურია სიტყვსკებაჲ მარადმადიდებელთა აღსარებისაჲ.²



X

¹) ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავს რამდენიმე თხზულებას, რომელნიც ქართველებს დაუწერიათ სომეხთა წინააღმდეგ, მაგალ. 1) მელქისედეკ კათოლიკოს (XVI ს.) აღუწერია „სომეხთა ეკლესიის გამამტყუნებელნი საბუთნი“, რომელსაც დიდი შფოთი გამოუწვევია სომეხებში (ქართულ მწერლობა მეცამეტე საუკუნიდან მეთექვსმეტემდე, გვ. 31). 2) მაქსიმე ბერს (+ 1670 წ.) დაუწერია თხზულება „სომხის ეკლესიის წინააღმდეგ“ (ქართული მწერლობა მეჩვიდმეტე საუკუნეში, გვ. 11--12); 3) ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს (1670 წლ.) დაუწერია „შეჩვენება და დამხობა სომეხთა ეკლესიისა (ibid. გვ. 29--30); 3) მელიქსედეგ ბერს (1656 წლ.) დაუწერია სომეხთა ეკლესიის წინააღმდეგ თხზულება „სამგუამოვნებითი ბუნება“ (ibid. 37). 5) არსენ არქიმანდრიტს (1670 წლ.) შეუდგენია „სიტყვისგება სომეხთა ეკლესიის წინააღმდეგ“ (ibid. 37); 6) ზებედე ხუცესს (1670 წლ.) დაუწერია „დარღვევა სომეხთა ეკლესიისა“ (ibid. გვ. 38). საკვირველია, რომ თითქმის ყველა აქ ნაჩვენები ავტორები 1670 წლ. ცხოვრობდნენ, ეს სამართლიან ექვს ჰბადებს ზ. ჭიჭინაძის მიერ მოტანილი ცნობების სისწორეში. ყოველ შემთხვევაში დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩამოთვლილი თხზულებანი ჩვენამდე არ შენახულან და ჩვენ პირადად მათ შესახებ ბიბლიოგრაფიული ცნობებიც არ შეგვხვედრია; ამიტომაც ქართული პოლემიკური მწერლობის მიმოხილვაში ჩვენ მათ აღვიღს ვერ მივსცემდით.

²) წ. კიბუხ. სასოგ. მუხ. №№ 218, 312, 3728, 3236, სიძე. მუხ. № 658 და სხვ.

§ 6. კაზიოგრაფია.

ზოგადი მიმოხილვა ქართული ეკლესიურ-ისტორიული მწერლობა-სა.— მისი სასიათი.— ღასაწყისი ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობისა.— ნათარგმნი ჰაგიოგრაფია— მეთუ საუკუნემდე და შემდეგ.— კი-მენი.— მრავალთა ეი.— მეტაფრასტული ჰაგიოგრაფია საზოგადოდ და ჩვენში.— ორიგინალური ჰაგიოგრაფია და მისი რედაქციები: 1) ლიტონი: მატეილობა ესტატე მცნეთელისა, ძმთა კოლაელთა, კონსტანტინე კახაძისა და წმ. ნინოს მატეგრდული ცხოვრება; 2) მე-ტაფრასტული: ცხოვრება თამარეთა შამათა, მარტვილობა დი-ვიო და კონსტანტინესი, რაედენ პირველმოწამისა და არჩილ მეფისა; 3) სჯნაქსარული: ცხოვრება ლუკა იერუსალიმელისა და ნი-კოლოზ დვალისა.—

იმ ქრისტიან ერებს, რომელთა კულტურულ გავლენას განიცდიდა ჩვენი ქვეყანა, საკმაოდ მდიდარი ეკლესიურ-ისტორიული მწერლობა შეუქმნიათ; განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ბიზანტიელების შესახებ, თუმცა ასურელებსა და სომხებსაც შესამჩნევი კვალი დაუტოვებიათ ამ დარგში. ამიტომ საფიქრებელი იყო, რომ ქართველები ამ სფეროშიაც ისეთს შემოქმედებას გამოიჩინდენ, როგორსაც ყველა სხვა დარგში; მაგრამ, თუ თვალს გადავავლებთ ქართულს ნათარგმან საისტორიო მწერლობას, აქ ჩვეულებრივს ნაყოფიერებასა და ინტენსივობას ვერ დავი-ნახავთ. ამ შემთხვევაში შეგვიძლია შემდეგი ნაწარმოებნი აღვნიშნოთ:

1) ებისტოლჲ მოციქულთაჲს თუ სხდაქდაგეს და სხეული სამეოცდაათა მოციქულთაჲ იპოლიტე კრომაელიისა.¹ ეს თხზულება, მეთუ საუ-კუნემდე ნათარგმნი, რომელშიაც წარმოდგენილია მოციქულთა სამისი-ონერო მოღვაწეობა და მათ მიერ ქრისტიანობის გავრცელების ისტორია,² ეკუმენიკურად იპოლიტეს არ მიეწერება; მას მიაკუთვნებენ მეოთხე საუკუნის მწერალს, დოროთეოზ ტვირელს, რომელსაც დაუწერია ეგრედწოდებული სჯნოპსისი 12 მოციქულთა და 70 მოწაფეთა შე-სახებ, რომელიც ქართულად უნარგმნიათ პირველს ორ პერიოდში შემდეგი სათაურით: *ერაობით აღწერილი საკელესიოჲ*. [ახრახბაჲ] სამეოც-დაათა მათთჲს მოწაფეთა უფლისთა.³ დოროთეოზის ეს შრომა მეორედ

1) სიძველ. მუხ. № 415, გვ. 316—321.

2) Combefis, Auctor. t. II, Paris, 1698.

3) სიძველ. მუხ. № 95, გვ. 156—161, № 114, გვ. 320—334.

უთარგმნია გიორგი მთაწმიდელს და თავის დიდს სჯნაქსარში შეუტანია შემდეგი სათაურით: მოწაიგეთა მათაჲს უფლისათა.

2) მეათე საუკუნემდე უთარგმნიათ აგრეთვე სკჰმენი წმიდათა წინადასწარმეტყულისანი, გინაჲ იუენეს ანუ სადა მწესიდეს ანუ სადა დაეფუნეს,¹ რომელიც ეპიტოჲანე კვიპრელს მიეკუთვნება, მაგრამ მერვე საუკუნეში უნდა იყოს დაწერილი² დოროთეოზ ტვირელის თხრობის დახმარებით.³

3) ამავე ეპოქიდან შენახულა ჩვენამდე თარგმანი კირილე იერუსალიმელის სამი ისტორიული ხასიათის ნაწარმოებისა: ა) გამოსინებაჲ ჰატიოსნისა ჯუჲარისაჲ, რომელი ზეცით გამოყენდა კონსტანტინე მეფესა, სადაც მოთხრობილია ბრძოლა კონსტანტინე დიდისა მაქსენტიოსთან და ამ დროს ჯვარის გამოცხადების ამბავი; ამ თხზულებას ჰკითხულობდენ ეკლესიაში ღვთისმსახურების დროს 7 მაისს,⁴ ვინაიდან ამ დღეს ქართველები იხსენიებდენ და დღესასწაულობდენ მცხეთის ჯვარის ამალლებას, ანა და 29 იანვარს კიდევ.⁵ ბ) გამოსინებისათჲს ჯუჲარისა, რომელი იქმნა წმიდას შინა ქალაქსა იერუსალჲმს შეფობასა კონსტანტინესა, ძისა დიდისა კონსტანტინესა;⁶ გ) საკითხავი ჯუჲარისათჲს, სადაც მოთხრობილია ჯვარის პოვნისა და მისი ანაღლების ამბავი ელენე დედოფლის დროს.⁷ ორი უკანასკნელი თხზულება საფუძვლად დადებია ჩვენი უძველესი მემკვიდრის შრომას, რომელშიაც მოთხრობილია მცხეთის და მის არემარეში, მირიან მეფის დროს, ჯვრების აღმართების ამბები;⁸ მაშასადამე VIII—IX საუკ. ეს თხზულებანი ყოველ შემთხვევაში უკვე ყოფილა ქართულად ნათარგმნი.

4) მეათე საუკუნეში გადმოუთარგმნიათ არაბული ენიდან საბაწმიდის მოღვაწის, ანტიოქე სტრატიგის, თხზულება — წარტყუენება იერუსალჲმისაჲ, რომელშიაც მოთხრობილია იერუსალიმისა და წმ. ადგილების აღების ამბავი სპარსთა მიერ 614 წელს; ის წარმოადგენს ერთერთ მნიშვნელოვან წყაროს ბიზანტიელთა და სპარსელების შორის

1) სიძვ. მუხ. № 691, გვ. 92—112.

2) Migne, PG. t. 43, col. 393—413, 415—428.

3) Bardenhewer, Patrologie, S. 291, 144.

4) სიძვ. მუხ. № 144, გვ. 280—288.

5) სიძვ. მუხ. № 19, გვ. 487—488 (აკლია) და № 95, გვ. 391—399.

6) სიძვ. მუხ. № 381, გვ. 480—482, სინას მთის № 92, Migne, PG. t. 33, col.

1165—1176.

7) სიძვ. მუხ. № 144, გვ. 290—296; ნაწილი ამ თხზულებისა „პოვნება წმიდათა სამშენებელთა“, მოთხრობილია სინას მთის 864 წლის მრავალთავში.

8) К. Кекелидзе, Иерусалимскіи Канонарь VII в., стр. 239—245.

ომიანობის ისტორიისას. ანტიოქე ყოფილა თანამედროვე ამბავისა და ეს ფაქტი ვრცლად და სისწორით აქვს აღწერილი. მეშვიდე საუკუნის პირველ ნახევარში დაწერილი ბერძნული დედანი VIII—IX ს. უთარგმნიათ არაბულად საბას ლავრაში, ხოლო არაბულიდან მეათე საუკუნეში ქართულად გადმოუღიათ. არც ბერძნული და არც არაბული ტექსტი შენახული არაა, მაშასადამე მხოლოდ ქართულად იკითხება ის დღეს.¹ ქართულად ამ თხზულებას კითხულობდნენ ეკლესიაში ღვთისმსახურების დროს 20 მაისს, როდესაც დადებული ყოფილა ხსენება იერუსალიმის აღებისა სპარსთაგან. ამნაირად, მეათე საუკუნემდე ამ ნახევრად ისტორიულ, ნახევრად ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებთა გარდა არც ერთი წმიდა საისტორიო თხზულება არ მოგვეპოვება ქართულ ენაზე ნათარგმნი, ასე რომ ჩვენთვის სრულიად გაუგებარია, საიდან ამოიღო განსვენებულმა ალ. ხახანაშვილმა ცნობა, ვითომც საეკლ. მუზეუმის ერთერთს X—XI ს. ხელნაწერში შენახული იყოს იოანე მალაღას ქრონიკის თარგმანი.²

არც მესამე, ბიზანტიურს, პერიოდში გაკეთებულა ბევრი რამ ამ მხრივ; ამ ეპოქიდან შეგვიძლია დავასახელოთ, პირველ ყოვლისა, თხრობაჲ კონსტანტინოპოლის მოციქვის სკვირთა და არაბთა მიერ 626 წელს, რომლის სამი რედაქციაა ქართულად: მცირე, მოკლე-სტეფანე სანანოშვილისა, და ვრცელი—გიორგი მთაწმიდელისა. ამის გარდა დარჩენილა ჩვენამდე კიდევ ხრთხილგრაფი გიორგი ამარტოლისა, არსენ იყალთოელის მიერ გადმოთარგმნილი,³ და იოსებ ფლაბიოსის მოთხრობანი იუდეობოებისა სიტყუადსამობასაჲ, რომელთა შესახებ უკვე გვქონდა ლაპარაკი. თუ იმას აღარ გავიჟეორებთ, რაც თავის ალაგას ვთქვით ეფრემ მცირის თხზულების-უწყებაჲ მიზეზასაჲ ქართუელთა მოქცევისაჲ-ს შესახებ, ამავე პერიოდში შეგვიძლია დავასახელოთ კიდევ დასაბამითგან 661, ესე იგი 1153 წელს თარგმნილი უფუჯად სპირთა და ფრანკთა ს:თანადოჲ შუდთა კრებათა მოთხრობაჲ, უწყებაჲ თუ ვიეთ ძნად ანუ რომელთა მეფეთა და ჰატრიაარხთა ბრძანებითა შემოკრბეს ღმრთიჲმობერადსი წმიდანნი მღვდელმოსდუარნი;⁴ აგრეთვე—უწყებაჲ და თხრობაჲ აღშენებისათჳს

1) გამოცემულია ნ. შარტის მიერ: Antioch Stratige, plumenie Ierusalima Persiani 1864 году, Тексты и разыскания, IX, 1909 г.

2) K. Krumbacher, Geschichte der byzantinischen Litteratur, S. 239.

3) გამოცემულია ს. ყაუხჩიშვილის მიერ 1920 წ. ტფილისში.

4) წერ.-კითხ. ხელნ. № 2397, ფურ. 82—83.

დიდებულისა სიბრძნისა ღმრთისა ათ სოფიას ტაძრისაჲ,¹ რომელიც გამოს-
ცა ექვთ. თაყაიშვილმა.²

უკანასკნელს პერიოდში, მეთვრამეტე საუკუნეში, არჩილ მეფესა და ბაგრატ სოლოლაშვილს, როგორც აღენიშნეთ თავის ადგილას, გად-
მოუთარგმნიათ ხრანსდრაფი დასაბამითგან სოფელისა კონსტანტინე პოლე-
ლოს შეფუძლე, ხოლო ანტონ კათოლიკოსს სომხურიდან ისტორია ეფუ-
სოასა კრებისა. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს რუსულიდან უთარგმნიათ
საეკლესიო ისტორია, დაწებულნი ზირველის წლით შობითგან მაცხოვრისა, თუ
ვისგან იწყო წვალება და იუ ვითარ და იუ სადაჲთ იწყო წმიდამან შჯდმან მსო-
ფლიომან კრებამან და ადგილობითთა კრებათა აღმართგაჲ და რომელნი და ვითარ-
ნი მწვალებელნი შეაჩუენეს და განხადეს ეკლესიით და სახელდობრ რომელნი
იყვნენ ჭეშმარიტნი მოღუაწენი მართლმადიდებლისა სარწმუნოებისანი. (ს ი ძ ვ.
მ უ ხ. № 2). თხზულება წარმოადგენს მატრიანეს პირველი რვა საუკუნე-
სას, 800 წლამდე, და გაყოფილია რვა ნაწილად, რვა საუკუნეთა მიხედ-
ვით. 1835—1838 წლებში დავით დადიანის მოძღვარს, დ ა ვ ი თ ი ნ ა-
ნ ა შ ვ ი ლ ს, მე-42 „იეგერის პოლიკის“ მოძღვარს, გადმოუთარგმნია
რუსულიდან ი ო ს ი კ ო ს ფ ლ ა ბ ი ო ს ი ს ყველა ისტორიულ-არქეო-
ლოგიური შრომანი.³

აი ყველა ნათარგმნი ეკლესიურ-ისტორიული შრომანი ქარტულ
ენაზე; ასეთი სიმცირე აიხსნება არა იმით, რომ ქართველებში ისტორი-
ული გემო განვითარებული არ იყო, არა იმით, რომ ისინი მოკლებუ-
ლნი იყვნენ ისტორიულ ალლოს, ამის წინააღმდეგ შეიძლება წამოვაყუ-
ნოთ ის უღრდესი და უმდიდრესი, მეტად მნიშვნელოვანი საზოგადოდ
ისტორიული ლიტერატურა, რომელიც მათ საკუთრივ, ორიგინალურად
შეუქმნიათ და რომელშიაც ისინი თავისი სამშობლოს ეკლესიურსა და

¹) Bibl. Teubneriana. Scriptores originum Constantinopolitanarum, rec. Th. Pre-
gor. fasc. 74—108.

²) Описание I, 385—600, 601—703. უძველესი ნუსხა ამ თხზულებისა მოთავსებულია ს ი-
ძ ვ ე ლ. მ უ ხ. ხ ე ლ ნ. № 70, ფურ. 125—215, ხოლო თაყაიშვილის გამოცემა წარმოადგენს
მე-19 საუკუნის გასულს ა ლ. ჰ ა ქ რ ა ძ ი ს მიერ გადმოცემულს შინაარსს ამ თხზულებისს, რაც
ნათლად ჩანს მისი ლექსიკიდან. მეორე რედაქცია ამ თხზულებისა გადმოუთარგმნია რუსულ-
დან მე-19 საუკუნეში ი ე რ ო ნ ი მ ე ა ლ ე ქ ს ი - შ ე ს ხ ი შ ვ ი ლ ს (И. Такашвили, Опи-
сание I, стр. 600—601).

³) მე-19 საუკ. ვილიცას, კათოლიკეთა წრიდან გამოსულს, უთარგმნია ლათინურიდან (ა-
ე კ ლ ე ს ი ო ის ტ ო რ ი ა (ზვენ შემთხვევით ხელში ჩაგვივარდა მეორე ნახევარი მისი, VII—XVIII
ს., 12 წიგნად, საუკუნეთა კვალად, გაყოფილი); თხზულება გაეღწეოთილია პაპისტური ტენდენ-
ციებით.

პოლიტიკურ ვითარებას მოგვითხრობენ და აკვევენ,¹ — არამედ იმთი, რომ ქართველთა ეკლესიურ მწერლობას რამდენადმე პრაქტიკული ხასიათი ჰქონდა, რის გამო ისინი უფრო ეწაფებოდნენ ისეთი ძეგლებისა და დარგების გადმოთარგმნას, რასაც პირდაპირი მნიშვნელობა ჰქონდა მათი სარწმუნოებრივ-ზნეობრივი წარმატებისათვის და ქრისტიანობის შინაარსის შეგნებისათვის. ამ მხრივ კი უცხოელთა ისტორიული ლიტერატურა მათ შედარებით ბევრს ვერას მისცემდა. ამასთან ერთად მათ ისტორიულ ცნობისმოყვარებას, ალბად, რამდენადმე ის მდიდარი ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა აკმაყოფილებდა, რომელიც წარმოადგენს, საკუთრივ, ისტორიული მწერლობის ერთერთ დარგს და რომელსაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე წმიდა ისტორიულ მწერლობას. ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში, რომელნიც წმიდათა ცხოვრება-მარტვილობას შეიცავენ, ავტორებს ისეთი დეტალები და ცნობები დაუტოვებიათ, რაც ნაფიც ქრონისტებსა და მემატიანეთ ლყურადლებოთ რჩებოდათ ხოლმე. მწერლობის ამ დარგის მიმოხილვაზე გადავალთ ეხლა.

ქართული ჰაგიოგრაფიის დასაწყისი ჩვენ უნდა ვეძიოთ, თუ უფრო ადრე არა, ყოველ შემთხვევაში ქართულ ენაზე ღვთისმსახურების შემოღების ხანაში; ეს იმიტომ, რომ, საღმრთო წერილის წიგნებთან ერთად, წმიდათა ცხოვრება-მოქალაქობის კითხვაც თავიდანვე ღვთისმსახურების ერთერთ აუცილებელ ელემენტად იქნა მიჩნეული; მაშასადამე, მეხუთე საუკუნეში ჩვენში უკვე უნდა ყოფილიყო წმიდათა ცხოვრებანი თარგმნილი. მართლაც, წმიდა შუშანიკის მარტვილობაში პირდაპირაა ნათქვამი, რომ, როდესაც ის წაიყვანეს პიტიანშ ვასქენთან, მან თანაწარატანა ევანგელს² ავსი და წმიდანი იგი წიგნი მოწამესანი; ამ დროს ჯერ არ ყოფილა არც ქართველ, არც სომეხ მოწამეთა წიგნები, არც ოსაა საფიქრებელი, რომ შუშანიკს თანდაჰქონდა ბერძნული წიგნბა საკითხავად, აქ უნდა ვიგულისხმოთ მსოფლიო ეკლესიის მოწამეთა წიგნები, რომელიც შუშანიკის დროს უკვე ყოფილა ქართულად თარგმნილი.

ქართული ჰაგიოგრაფია დასაწყისს პერიოდში უმთავრესად პალესტინაში დამუშავებულა; ეს ჩანს, პირველად ყოვლისა, იქიდან, რომ ძველს ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში ჩვენა გვაქვს ერთიდა-

¹ ამ მწერლობაზე ჩვენ აღარ შეეჩერდებით, ვინაიდან ის მიმოხილულია პროფ. ი. ე. ჯანაიძის მიერ, იხ. მისი „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“, გამოც. 1 და 2.

იგივე მინეოლოგიური ტიპი ან რიგი წმიდათა ხსენების დალაგება-შეწყობისა, სახელდობრ - იერუსალიმურ-პალესტინური; მერე, ჩვენ დრომდე შენახულია ეგრედწოდებულის პალესტინის პატერიკის თარგმანი,¹ რომელიც შესრულებულია პალესტინაში, საბას ლავრაში. აქ, საბას ლავრაში, ნათარგმნი უნდა იყოს სეითის მიერ უმეტესი ნაწილი იმ ჰაგიოგრაფიული მასალისა, რომელსაც შეიცავს ეგრედწოდებული მრავალთავი, რომლის ერთერთი უძველესი, 864 წლის, ნუსხა გადაუწერია გრიგოლ ხანძთელის მოწაფეს მაკარის.

მერვე—მეცხრე საუკუნიდან ტაოკლარჯეთში ფეხს იდგამს ქართული სამონასტრო კოლონიზაცია; აქ სომეხთა საეკლესიო მოღვაწეობით გაბოხიერებულ ნიადაგზე, მეზობელ ბიზანტიის კულტურის ზეგავლენით, გაიფურჩქნა ქართული ეკლესიური მწერლობა, კერძოდ ჰაგიოგრაფიაც. იშხანი, მიძნაძორი, შატბერთი, ხანძთა, ოპიზა და სხვა საეანები, უმეტესად გრიგოლ ხანძთელის და მის მოწაფეთა მიერ აშენებულ-გამშვენებულნი, გადაიქცენ ქართული მწიგნობრობის აკენად. უეჭველია, აქ უფრო გაფართოვდა შინაარსი და მოცულობა მრავალთავისა და დამზადდა პარხალური (სიძვ. მუზ. № 95) და სვანური (სიძვ. მუზ. № 19) ნუსხები მისი. მართალია, ქართული ჰაგიოგრაფიის შესწავლა ჯერ ხერიანად არც კი დაწყებულა, მაგრამ ის ცოტა რამ, რაც გაკეთებულა ამ დარგში, საკმაოდ ნათელჰყოფს, რომ ქართველებს ძველად, პირველს ორ პერიოდში, წმიდათა ცხოვრებანი უთარგმნიათ ყველა საქრისტიანო მწერლობის ენებიდან, როგორც, მაგალითად, სომხური, არაბული, ასურული და ბერძნული. მეათე საუკუნემდე მათ გადმოუთარგმნიათ თითქმის მთელი ციკლი იმ დროს არსებულ ცხოვრება-მხატველობათა არა მარტო საბერძნეთის ეკლესიისა, არამედ ქალკედონიტ-სომხების წმიდანებისაც;² ამ დროს მათ გადმოუღიათ „ცხოვრებანი“, სხვათა შორის, ისეთი წმიდანებისაც, რომელნიც მოღვაწეობდნენ იმპერიის აღმოსავლეთის ნაწილში, — სპარსეთსა და დამასკო-ბაღდადის სახალიფოში, რის გამო ისინი საბერძნეთში ან სრულიად არ იყვნენ ცნობილნი, ანა და მალე მიეცენ დავიწყებას. ერთი სიტყვით, აღნიშნულ ხანაში ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობა საკმაოდ მდიდრადაა წარმოდგენილი, და ამით აიხსნება ის ინტერესიც, რომელსაც ბოლოდროს იჩენენ ამ დარ-

¹) ბრიტანიის მუზ. Addit. 11289.

²) ესენი მოთავსებულია ათონ. ივერიის ხელნაწ., № 57, გამოცემულია ა. ხახანაშვილის მიერ. (Материалы по грузин. агиологии, Москва 1910 г.)

გისადმი სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებანი სხვათა შორის, ბოლანდისტთა კოლეგია, თანამედროვე ცნობილი ჰაგიოლოგის P. Peeters-ის სახით.

ძველს, პირველს ორ პერიოდში ნათარგმნ, რედაქციას წმიდათა ცხოვრებისას, ეფრემ მცირის მოწმობით, ქართულად კიმენი ერქვა; ეფრემის სიტყვით, სვიმეონ ლოლოთეტმა, როდესაც ის წმიდათა ცხოვრების გადაკეთებას შეუდგა, წინადადვა ძუელი იგი [წიგნი] მოწამეთაჲ, რომელსა კიმენ უწოდის, ესე იგი არს მდებარე. ერთერთი ჰაგიოგრაფიული ტექსტის ბოლოში ის შენიშნავს, რომ კიმენი გწოდების ჰირველ ლიტონად აღწერილსა წიგნსა მოწამეთასა. იოანე ქსიფილინოსის კრებულის წინასიტყვაობაში პირდაპირაა ნათქვამი, რომ მასალა ამ კრებულისა ამოღებულია ძუელისა კიმენისაგან ან ძუელთაგან კიმენთა. სიტყვა კიმენი, რომელიც განსვენებულს თ. ეორდანიას V—VI ს. მთარგმნელის სახელწოდებად მიიჩნდა, არის ბერძნული $\kappa\epsilon\iota\mu\epsilon\nu\sigma\upsilon$, რაც, როგორც თვით ეფრემ მცირე ამბობს, მდებარეს ნიშნავს. მაშასადამე, კიმენად იწოდებოდა ძველ მარტვილობა-ცხოვრებათა ხელშეუხებლად მდებარე, შეუსწორებელი და განუმარტებელი ტექსტი, რომელიც შემოკლებით და ლიტონად აღწერილი იყო ჰატიოასხთა და ღირსთა კაცთაგან, სხუებრ სიტყუათათჳს არა მოღუწე ქსიფლთა. კიმენის რედაქციის ჰაგიოგრაფიული მასალის თარგმნა დამთავრდა მეთაფ საუკუნის გასულს ექვთიმე ათონელისა და მისი თანამედროვეთა კალმით.

ამათუიმ ჰაგიოგრაფულ კრებულში მარტვილობა-ცხოვრებათა გარდა შექჳონდათ ხოლმე აგრეთვე მოწაჳეთა და წმიდათა ღლეობას წარმოსატქმელი ქადაგება-შესხმანი, ეგრედწოდებული ენკომიები: თვითეული წმიდანის ცხოვრება ან მის სახელზე წარმოთქმული შესხმა ასეთ კრებულში ცალკე თავად ითვლებოდა, ასე რომ კრებულში იქდენი თავი იყო, რამდენიც წმიდანის ცხოვრება. აი სწორედ აქუნდა ვეძიოთ მნიშვნელობა ერთი ტერმინისა, რომელიც ძველს ქართულ მწერლობაში გვხვდება; ეს ტერმინია მრავალთავი. ივერიის მონასტრის მეთაფ საუკუნის ხელნაწერში № 50 ვჳკითხულობთ ასეთ შენიშვნას: თუჳსა სჳკდენბერსა კჳ: წამებაჲ ზაქარაჲსი. ჳჳოჲთ მრავალთავსა; გიორგი მთაწმიდელის სჳნაქსარით ამაღლების შემდეგ ცისკარზე იკითხების საკი-

1) ვესევი კესარიელის ჰაგიოგრაფიული კრებული, $\Delta\psi\alpha\chi\alpha\upsilon\chi\eta$, ოც თავად, $\lambda\epsilon\gamma\sigma\iota$, იუდაყოფილი.

თხავი მრავალთაგისაგან. ამ ამონაწერებიდანაცა ჩანს, რომ „მრავალთავად“ ისეთი წიგნი იგულისხმება, რომელიც წმიდათა ცხოვრება-მარტვილობას შეიცავს. ეს უფრო ცხადია იოანე ქსიფილინოსის სიტყვებიდან, რომელიც თავისთავს შჯდთა თთუეისა შინა მოკსენებულთა წმიდათა ცხოვრებათა და მოქალაქობათა და წამებათა და დუწლთა ძუელასა კიმენისაგან, რომელსა ვიეთნიმე მრავალთავადცა უწოდენ, გარდამმეტაფრასტებელს ეძახის, ხოლო თავის შრომას, — იმ საკითხათა, რომელნი მოქქონან ძუელთა კიმენთა, ესე იგი არს მრავალთავად წოდებულსა წიგნსა შინა შემოკლებით და ლიტონად აღწერილთა წამებათა, გარდამმეტაფრასტებას. მაშასმამე, „მრავალთავი“ წმიდათა მარტვილობა-ცხოვრების კრებულს ეწოდება; ასეთი სახელი იმიტომ ჰრქვია ამ კრებულს, რომ იმაში არაერთი „ცხოვრება“ და შესხმაა, არამედ მრავალი. ჩვენ დღეს ვიცით ათამდე ხელნაწერი, რომელიც ან პირდაპირაა სახელდებული მრავალთავად, ანა და მრავალთავის ტპის და შემადგენლობისა.¹

როდესაც ჰაგიოგრაფიულ კრებულთა შედგენას მიჰყოფდენ ხოლმე ხელს, ხშირად მამათა ცხოვრებას ცალკე წიგნად გამოუშვებდენ, ხოლო დედათა ცხოვრებას ცალკე; პირველს ეწოდებოდა პატერიკი, მეორეს მატერიკი, რაც ქართულად მამაქთა და დედათა წიგნებს ნიშნავს. ეს ჩვეულება ჩვენშიაც ჰქონიათ, რაც შემდეგიდანა ჩანს: პარხალის მრავალთავში (სიძვ. მღ.ზ. № 95), რომელშიაც მამათა ცხოვრებაც არის მოთავსებული და დედათაც, 1222—1223 გვერდზე ტექსტის ხელით მიწერილია: პირველად, ოდეს ამას წიგნსა დავიწეე, ესრეთ შედგა გულსა, ვითა დედათა წამება და ცხოვრება ოდენ დავწერე. და ვინაკე დიდითა შრომითა და გულსმოდგინებითა, ვძებნე დედა და ესთენ ვპოვე ვერდარა შემეძლო ძებნა; მერმე ესე მამათა ცხოვრება, რომელი პარხალს არა ეწერა, იშხნით მოვიდე და შით გავასრულე. ბოდლენის წიგნთსაცავის ქართულ მრავალთავშიაც, რომელიც ძველი კიმენის ჰაგიოგრაფიულ ტექსტებს შეიცავს, პირველ ნაწილში მოყვანილია თითქმის სულ მამათა ცხოვრება, ხოლო მეორე ნაწილში, 426 გვერდიდან, — დედათა ცხოვრებანი, რომელთაც შემდეგი წარწერა აქვთ: ცხოვრებანი წმიდათა და სანატრულთა მოწესეთა და მოღუწეთა დედათანი.²

ჩვენ არ შეგვიძლია რაიმე დანამდვილებით ვთქვათ პირველი ორი

1) K. Kekelidze, Monumenta hagiographica Georgia, t. I, p. XI—XII.

2) P. Peeters, Analecta Bollandiana, t. XXXI, p. 315.

პერიოდის ჰაგიოგრაფიულ ტექსტთა მთარგმნელებისა და მათი ვინაობის შესახებ, ჩვენ სახელებიც კი არ ვიცით არც ერთი კიმენის რედაქციის ტექსტთა მთარგმნელებისა, ვარდა ვილაც სეთისა. ამთავად არ გამოვუდგებით ჩვენ თვით იმ წმიდათა ცხოვრება—მოქალაქობისა და მარტვილობათა ჩამოთვლას, რომელნიც პირველი ორი პერიოდიდან შენახულან ჩვენამდე, ვინაიდან იძულებულნი ვიქნებით წარმოვადგინოთ მთელი *Bibliotheca hagiographica Georgica*, რაც შემდეგი დროისათვის, ცალკე გვაქვს განზახული. შევებებით მხოლოდ ერთს, ამ ხანაში ნათარგმნ ნაწარმოებს, რომელსაც ეწოდება ბალაჰვარი ან სიბრძნე ბალაჰვარისა.

ეს არის ჰაგიოგრაფიულ-მორალურ-ასკეტიკური ხასიათის თხზულება. რომელიც წარმოადგენს ბუღდას ცხოვრების საქრისტიანო მოთხრობად გადმოკეთებას არისტიდეს აპოლოგიის საფუძველზე¹ და შეიცავს ინდოეთში ქრისტიანობის გავრცელების ამბავს. მეუღებნოე ბალაჰვარმა მოაქცია ინდოეთის მეფის შვილი იოდასაფი, ხოლო იოდასაფმა თავისი მამა, წინათ ქრისტიანთა მღვწელი, იაბენესი და აგრეთვე როგორც თავისი, ისე მამის ქვეშევრდომნი. შემდეგში ეს პირები გადაკეთებულია ეკლესიაში: ბალაჰვარი—ვარლაამად და იოდასაფი—იოდასაფად, და მათი ხსენება, როგორც ინდოეთის განმანათლებელთა, საეკლესიო კალენდარში დადებულია 19 ნოემბერს. ამ „სულთამარგებელ“ ნაწარმოებს, როგორც აღნიშნულია ბერძნულ ხელნაწერებში, მწერლობის ისტორიაში სთელიან „სასულიერო რომანად“, ის ძიან გავრცელებული ყოფილა მთელს საქრისტიანოში და ამიტომ თითქმის ყველა ენაზეა ნათარგმნი, სხვათა შორის ქართულზედაც. ამდენხან ის აზრი იყო გავრცელებული მის შესახებ, რომ ის დაწერილია იოანე დამასკელის მიერ (VIII ს.); მართლაც, იოანე დამასკელის „ცხოვრების“ არაბულს ვერსიაში ნათქვამია, რომ იოანემ დაწერა „ისტორია ვარლაამისა და იოდასაფისა, რომელშიაც მან გამოთქვა მთელი სიბრძნე, საღმრთო და კაცობრივიო“. არის ბერძნული ხელნაწერი ამ მოთხრობისა, სადაც ნათქვამია, რომ იოანე დამასკელმა ის კი არ შეთხზა, არამედ გადმოთარგმნა ბერძნულ ენაზე არაბულიდანო.² K. Krumbacher-ის აზრით ის დაწერილია არა იოანე დამასკელის, არამედ ვილაც ბერის იოანეს მიერ

¹) J. A. Robinson, *Texts and Studies*, Cambridge, 1891, 1893.

²) К. Кекелидзе, Грузинская версия арабскаго Житія св. Іоанна Дамаскинѣ, Христіан. Востокъ т. III, вып. 2, стр. 124.

მეშვიდე საუკუნის პირველ ნახევარში, საბას ლავრაში პალესტინაში.¹ ქართულ ხელნაწერებს ამ მოთხრობისას შემდეგი სათაური აქვს: გუთხრობა და ჩუენ მამა ისააკ, ქე სოფრონ ჰაღესტინეელისა, და არს წიგნი ესე სობრძნე პლაჳკარისა, რომელი იყოფებოდა უდაბნოთა მძფვართა თანა. გამოდის, ავტორი მოთხრობისა არის სოფრონ პალესტინელის შვილი ისააკი. თუ ეს იერუსალიმის პატრიარქი სოფრონია (634—644), კ რ უ მ ბ ა ხ ე რ ი ს აზრი მართლდება და მოთხრობის დაწერის დროდ უნდა მეშვიდე საუკუნე იქმნეს მიღებული. რაც შეეხება ენას, ყველაზე უფრო გავრცელებულია ის აზრი, რომ მოთხრობა დაწერილია ბერძნულ ენაზე, მაგრამ არის ისეთი აზრიც, რომ ის ნათარგმნია, ვინაიდან მეთერთმეტე საუკუნემდე ბერძნულ ენაზე მას ჩვენ ვერ ვხვდებით. უკანასკნელ დროს მეცნიერები ბევრს ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ბერძნულად ეს მოთხრობა უთარგმნია ქართული ენიდან ექვთიმე ათონელსო, მაგრამ ჩვენ, როგორც უკვე ვლაპარაკობდით ექვთიმეს ბიოგრაფიის განხილვისას, ასეთი შეხედულება უსაფუძვლოდ მიგვაჩნია. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულ თარგმანს² დიდი მნიშვნელობა აქვს მოთხრობის ლიტერატურული ისტორიისათვის; მას გულმოდგინედ სწავლობს აკად. ნ. მარრი,³ რომელსაც ის შეუდარებია ბერძნულ არაბულ ვერსიასთან და აღმოუჩინია, რომ ქართული რეცენზია წარმოდგენს განცალკევებულ რედაქციას, უფრო მოკლეს, ვიდრე ბერძნული, და უფრო ვრცელს, ვიდრე არაბული; ყოველ შემთხვევაში მას არაბულთან მეტი საერთო ჰქონია, ვიდრე ბერძნულთან: ქართულ მოთხრობაში არ არის ინდოეთის აღწერა, რომელსაც ბერძნულში ვპოულობთ, მეფე აბენესი, კერპთმსახური, ქართულში უფრო მიმზიდველადაა წარმოდგენილი, ვიდრე ბერძნულში, ბერძნულში მოყვანილია 16 იგავი, ქართულში 11, ხოლო არაბულში 10. ნ. მარრის გამოკვლევით ქართული ვერსია ნათარგმნი უნდა იყოს ასურული ენიდან IX—X საუკუნეში ან სირიაში, ან პალესტინაში, უფრო კი უკანასკნელში.

¹) Geschichte der byzantinischen Literatur, S. 887—888, O. Bardenheuer, Patrologie, S. 508.

²) გამოცემულია: 1888 ალ. ხახანაშვილის მიერ, 1895 წ. ექ. თაყაიშვილის მიერ, 1902 წ. ალ. ხახანაშვილის მიერ, რუსული თარგმანი ივ. ჯავახიშვილისა Записки Восточ. отдл. Русскаго Археол. Общества т. XI, стр. 1—48.

³) Мудрость Балавара, Гривинская версия душеполезной истории о Варлаамѣ и Иосафѣ, Зап. Восточ. Отд. т. III, стр. 223—260. Армяно-Грузинские материалы для истории душеполезной повѣсти о Варлаамѣ и Иосафѣ, Зап. Восточ. От. XI, стр. 49—78; Агиографическіе матеріалы, ч. II, Изв. поѣздки на Аѳонъ ЖМНПр. 1899 г. Мартъ да სვ.

ჰაგიოგრაფიაში ცნობილია, რომ სხვადასხვა მწვალებლებს, სექტანტური მოსაზრებით და მიზნით, ძველიდანვე დაუწყიათ მარტვილობათა და ცხოვრებათა შერყვნა-დამახინჯება; ისინი ან თვითონ ადგენდენ ცრუ და ყალბ აქტებს, ანა და უკვე არსებულში შექპონდათ თავიანთი ტენდენციები და ისეთი დაუჯერებელი ამბები, რაც ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებს საზოგადოდ სახელს უტეხდა. ამის შესახებ ეფრემ მცირე შემდეგს გადმოგვცემს: რომელნი იგი მაშინ, ვითარცა ყამი მისცემდა, თხრობის სახელად იწერნეს თითოეულისა წმიდათაგანასა თანადახუთობილისა ვისგანმე და არა ხოლო ლიტონობასა მას და სიმარტივესა შინა დაშეთს, არამედ რომელნიმე მათგანნი განირყუნესცა კაცთა მიერ ბოროტთა მწვალებელთა, რომელთა ღრეჳნი იგი სატყუანს მათნი იანაშექრინეს ლიტონობასა მას თხრობისასა და ცრუთა შით მართალიცა შეარღვეს და საეჭუელ უყეს. ამ გარემოებამ გამოიწვია მეექვსე მსოფლიო კრების (691 წ.) 63 კანონი, რომელიც ასე იკითხება: რომელნი იგი მტერთა მიერ ჭეშმარიტებისათა ნატყუარნი წამებანი წმიდათანი შეწმინდეს, რათა მოწამენიღა ქრისტესნი უპატო იყვნენ და ურწმუნოებისა მატვიითა დასაჯნენ მსმენელნი, ვბრძანებთ რათა არვინ შემოახუნეს საერთოდ ეკლესიასა შინა, არამედ ცენტხლითა გამოიკურვნენ იგინი. ხოლო შემწყნარებელთა მათთა ანუ ვითარცა ჭეშმარიტებისა მიმთუაფუელთა და მრწმუნებელთა შევახუენებთ. ამნაირად, მეშვიდე საუკუნის დასასრულს ეკლესიაში დამყარდა ერთგვარი ჰაგიოგრაფიული ცენზურა. ამ ცენზურის გამოძახილს საქართველოში შედარებით გვიან, მეთექვსმეტე საუკუნის გასულს, მოუხწყევია; ის ჩვენ გვემის ექვთიმე ათონელის პასუხში გიორგი შეყენებულის შეკითხვაზე იმის შესახებ, თუ რა და რა წიგნებს არ შეიწყნარებს კათოლიკე ეკლესიაო? (იხილეთ ზემოთ გვერდი 488). როგორც ამ პასუხიდანა ჩანს, მეთექვსმეტე საუკუნეში მწვალებელთა მიერ გარყვნილი ცხოვრება-წამებანი უკვე იმდენად შესამჩნევი ყოფილა ჩვენში, რომ განსაკუთრებული ყურადღებაც კი დაუმსახურებია. ექვთიმე ხაზს უსვამს შემდეგ ცხოვრებას: მათე მახარებლისა და ანდრია მოციქულისას, წმ. კვირიკესა და გიორგისას. სა ბ ი ნ ი ს რ ე დ ა ქ ც ი ა მისი პასუხისა აღნიშნავს წმ. გიორგის ყალბ ცხოვრებას, რომელსაც დადიანესი ეწოდება; ეს რედაქცია ქართულად მეთორმეტე საუკუნეშია ნათარგმნი და ეკუთვნის ნიკიტა-დავით პაფლაღონელს. კიდევ სხვაც ბევრი არის ასეთი გარყვნილი „ცხოვრებანი“, მაგრამ მე მათი სახელები არ მახსოვს; ისინი თერთ იცნობებიანო. ამ „გარყვნილი“ კატეგორიიდან უნდა იყვნენ; სხვათა შორის, ის ფანტასტიკური, დაუჯერებელი სა-

სწაულებით აღსავეს აპოკრიფული „ცხოვრებანი“ და „წამებანი“, რომელნიც ქართულ ენაზე შენახულან მხოლოდ და რომელნიც გამოცემულია ჩვენ მიერ, სახელდობრ: იოანე, ურპაელ კათოლიკოსისა,¹ ავანთაგელე, დამასკელ კათოლიკოსისა,² ფილეტიმონისა³ და პანსოფი ალექსანდრიელისა.⁴ ბოლოს ექვთიმე უმატებს: ხალა ესე მოციქულთა და მოწამეთა მას დაწვეულს იფიანეს, ვითარცა იყო მტერი უფლასა და წმიდათაჲ, მან განრეუნა, რათამცა ნაცილად შერაცხნეს ეოველნი და არმცა ვის სარწმუნო უჩნდა წამება წმიდათა მოციქულთაჲ, გინა თუ მოწამეთაჲ; ესე იგი წმიდათა ცხოვრება-მარტვილობა პირველად ივლიანე განდგომილმა შერყვნა და გააფუქაო. ეს სრულიად ახალი ლიტერატურული ცნობაა, რომელიც სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს, თუ მხედველობაში მივიღებთ ივლიანეს მართლაცდა მტრულს განწყობილებას ქრისტიანობისადმი.

მეათე საუკუნის გასულს ჰაგიოგრაფიაში ახალი ხანა იწყება. ძველი კიმენის რედაქცია, როგორც ზევითა ვთქვით, აღრევე შეირყვნა მწვალებელთა მიერ; თან, ღიბონად და მარტივად აღწერილი და ენით მსოფლელთათა შეწოილი, ის ვეღარ აკმაყოფილებდა იმ ლიტერატურულ მიმდინარეობას, რომელმაც თავი იქონა ბიზანტიაში მეცხრე საუკუნეში და მეათეში უმწვერვალესად განვითარდა. ამიტომ საბერძნეთის ეკლესიაში იწყეს ძველი ტექსტების შესწორება და მათი გავრცობა-შემკობა; ამნაირად ჰაგიოგრაფიაში წარმოიშვა ახალი, მეტაფრასტული, რედაქცია. საქმე ესე უპირატეს მოიგონა კაცმან ვინმე ფრიად სიტუქერმან... ძველ ცხოვრებათა ლექსითა და შეწოისითა პირად-პირად და კელაჟანად თავისა თვისისა მიერ შემამკობელმან და უკეთილსაქმულად და უმჯობესად აღმწერელმან; ეს იყო ბიზანტიის გამოჩენილი მწვრალი სემეონ ლოლოთეტი, მეტაფრასტად წოდებული. საკითხი სიმეონის მეტაფრასტული მოღვაწეობის ხასიათისა და დროს შესახებ, ამდებან მეცნიერებაში საცილობელი, საბოლოოდ გამოირკვა ამ ბოლოხანს ქართული მასალების საშუალებით. ჩვენს ხელნაწერებში აღმოჩნდა ორი დოკუმენტი: ერთი, რომელსაც ჰრქვია მისაქსენებელი მცირე სემეონისათჳს ლოლოთეტისა, თხრო-

¹) Христиан. Востокъ, т. II, 301—348.

²) Христиан. Востокъ, т. IV, 246—283.

³) Monumenta hagiographica Georgica, t. I, p. 133—160.

⁴) ibid. p. 48—59.

⁵) К. Квкелидзе, Иоаннъ Ксифилинъ, продолжатель Симеона Метафраста, Христиан. Востокъ, т. I, стр. 344—345.

ბაჲ მიწეზთა ამათ სკითხვთა თარგმნისთჳს, ეკუთვნის ეფრემ მცირეს,¹ ხოლო მეორე² — იოანე ქსიფილინოსს. ამ დოკუმენტებით ირკვევა, რომ სვიმეონ ლოლოთეტს გადაუმეტაფრასტებია შეპოდგომა-ზამთრის (ენკენისთვე — იანუარი) თვეთა წმიდანების ცხოვრება-მარტვილობანი და თავისი შრომა 982 წელს დაუწყია. ქართველებს, რომელნიც ამ დროს კვალდაკვალ მისდევდნ საბერძნეთის ლიტერატურულ ევოლუციას, ეს მსხვილი კულტურული ფაქტი, რასაკვირველია, ვერ გამოეპარებოდათ; ისინი იმთავითვე შესდგომიან მეტაფრასტული ჰაგიოგრაფიის თარგმნას, ასე რომ მეფერთმეტე საუკუნის დამდეგს ქართულს ჰაგიოგრაფიაში საფუძველი დადებია მეტაფრასტულ ჰაგიოგრაფიას. როგორც ეფრემ მცირის მოწმობისა და ხელნაწერთა მინაწერებიდან ვეცობილობთ, სვიმეონ ლოლოთეტის მეტაფრასტები ქართულად უთარგმნიათ: დავით ტბელს, სტეფანე სანანოასძეს, ექვთიმე მთაწმიდელს, გიორგი მთაწმიდელს, ეფრემ მცირეს, თეოფილე ხუცესმონაზონს, არსენ ვაჩესძეს და იოანე პეტრიწს. თუ რა მეტაფრასტები სთარგმნეს დასახელებულმა პირებმა, ამის შესახებ ლაპარაკი იყო ზევით, მათი სამწერლო მოღვაწეობის მიმოხილვისას;³ ყველაზე მეტი შრომა ამ შემთხვევაში ეფრემ მცირეს გაუწევია.

სვიმეონ ლოლოთეტმა თავისი შრომა, როგორცა ვთქვით, იანვრის თვით გაათავა; მეცნიერებამ მეტაფრასტული მწერლობის შესახებ მეტი არა იცოდა რა. ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენ გამოვაქვეყნეთ ერთი ქართული დოკუმენტი, რომელიც გვამცნებს, რომ დანარჩენი შვიდი თვე გადაუმეტაფრასტებია იოანე ქსიფილინოსს, რომელიც თავის შრომას 1081 წელს შესდგომია.⁴ ეს ცნობა სრულიად ანაზღვეული აღმოჩნდა ბიზანტიის მწერლობის ისტორიაში, ამიტომ მან ერთგვარი სენსაცია გამოიწვია დაინტერესებულ წრეებში.⁵ ყველაზე საყურადღებო შეიქმნა ის, რომ

¹) К. Кекелидзе, Симеонъ Метафрастъ по грузинскимъ источникамъ, Труды Киевской Духовной Академіи, 1910 г. февраль, А н а л е к т а В а л л а н д і а н а т. XXIX, p. 357—359.

²) К. Кекелидзе, Иоаннъ Ксифилинъ, продолжатель Симеона Метафраста Христ. Востокъ, т. I, вып. 3, стр. 325—347.

³) იხილ. აგრეთვე ჩვენი Monumenta hagiographica Georgica, I, p. XVII—XXV.

⁴) Иоаннъ Ксифилинъ, продолжатель Симеона Метафраста, Христ. Востокъ, т. I, вып. 3, стр. 325—347.

⁵) Акад. В. Алатышевъ: Четыри Минеи Иоанна Ксифилина, Извѣстія Академіи Наукъ, 1913 г., стр. 231—240. „Житіе св. епископовъ херсонскихъ въ грузинской Минее, Извѣстія Археологической Комисіи, вып. 49, стр. 75—83; „Византийская Царская Минея“ Записи Акад. Наукъ по истор.-филолог. отд. т. XII, № 7, стр. 20—27, 100—117, Петерб. 1915 г.

ქსიფილინოსის შრომა, რომელიც ბერძნულ ენაზე არ შენახულა, ქართულად თითქმის მთლიანადაა დაცული, ასე რომ შესაძლებელი ხდება ბიზანტიის საშუალო საუკუნის მწერლობის ისტორიის ერთერთი მსხვილი დეფექტის შევსება. ქართულად ეს მეტაფრასები უთარგმნიათ მეტორმეტე საუკუნეში, მეფე დიმიტრის დროს (1125—1154 წ.), საფიქრებელია გელათის მონასტერში; დანამდვილებით ვერ ვიტყვით—ვინ გადმოთარგმნა ეს კაპიტალური შრომა, მაგრამ, თუ თარგმანის ხასიათს გავითვალისწინებთ,¹ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის გამოსულია პეტრიწონის სალიტერატურო შკოლიდან. და იოანე პეტრიწის ერთერთ მახლობელ შეგირდს ეკუთვნის. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მეცამეტე საუკუნეში ასურული ენიდან ნათარგმნ მაკარის მიერ პეტრე მაიუმელის ცხოვრებას, ანა და XVII—XVIII ს. არქიმანდრიტის იოაკიმეს თააწში დღელის მიერ ბერძნული ენიდან გადმოღებულს თეოდორე ალოსის (სერბიელის) ცხოვრებას,² ქსიფილინოსის კრებულით დამთავრდამ, შეიძლება ითქვას, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფიის ისტორია, მერე არაფერი მნიშვნელოვანი ამ დარგში ქართულ მწერლობას არ შესძენია, ვინაიდან თვით ბიზანტიის ჰაგიოგრაფიის ისტორიაც მეტაფრასტული პერიოდით დამთავრდა და XI—XII საუკუნეების შემდეგ იქაც არაფერი ახალი აღარ გაკეთებულა.

როგორც ყველა ქრისტიან ერებს, ქართველებსაც გამოუჩნდათ თავისი საკუთარი წმიდანები; ამათი „ცხოვრებანი“ და „მოქალაქობანი“ აღუწერიათ თვით ქართველებს, აგრეთვე თხრობანი ამათუიმ ქართული დღესასწაულის შესახებ. ასე რომ ჩვენშიაც შექმნილა ყველა ის პირობები, რომელთაც ხელი შეუწყვეს ორიგინალური ჰაგიოგრაფიის აღმოცენებასა და განვითარებას. ეს დარგი თითქმის თანამედროვეა ქართული ეკლესიური მწერლობის დასაწყისისა, თუმცა არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ჩვენში საკუთარ ქართველთა წმიდანების ცხოვრების აღწერისათვის, როგორცა ჩანს, მაინცადამიანიც არ ზრუნავ-

1) იხილ. ამის შესახებ ჩვენ ი Monumenta hagiographica Georgica t. I, p. XXVI—XXX; აქ ჩვენ ვამტკიცებდით, რომ მთარგმნელი ამ შრომისა არის იოანე პატრიწი, მაგრამ ესა უნდა უარყოთ ეს; პეტრიწის დროს ითარგმნებოდა ჩვენში სვიმეონ ლოლოთეტის შრომა, იოანე ქსიფილინოსი კი ჯერ ცნობილი არ იყო; წინააღმდეგ შემთხვევაში თავისს პაროლს, რომელსაც საფუძვლად სვიმეონის მეტაფრასები უდევს, იოანე პეტრიწი არ შესწყურდა იანვარზე, რომელზედაც შეუწყვეტია თავისი მეტაფრასები სვიმეონსაც, არამედ ბოლომდის განაგრძობდა; თან პეტრიწი დიმიტრის მეფობას არ უნდა მოსწრებოდაც.

2) E. Такайшвили, Описание I, 584, II, 244, Жорданиа, Описание, I, 355.

დენ. ჯერ კიდევ გრიგოლ ხანძთელის ბიოგრაფი, გიორგი მერჩული, სწუხდა, რომ კლარჯეთის წმიდა მამათა სიმენს¹ მოთმინებისა და სიწმიდით შრომა უფლისა სათნო და სასწაულთა მათთა სიმრავლენი ქვეყნასა მას ქართლისასა აღუწერელაბითა დაშვირდეს და ამისთვის სასწაულნი მათნი უმთავრესნი რააკლისაგან მივტნეს სიღრმესა დაიწვეებისათ (გვ. ბ). წმიდა რაქდენ პირველმოწამის ცხოვრების ავტორი ამბობს: საქართველოში იმდენი წმიდანი გამობრწყინდა, რომ დამაკლებს მე უამა აღრიცხვად სიმრავლესა მათსა; ზოგნი მათგანი აღწერილ არიან წიგნსა შინა უწვეებისა მათისასა, მაგრამ არიან ისეთნიც, რომელნი სუენ არა უწეით და ზედს აღწერილ არიან წიგნსა შინა ცხოველთათა.² უფრო მეტ ცრემლებს ჰაგიოგრაფიული გულგრილობისათვის ღვინის კათალიკოზი ნიკოლოზ პირველი (1150 — 1178); ბერძენთა შორისო, ამბობს ის, დღესაცა იხილვების ესევითარი საქმე, რამეთუ რაჲცა რაჲმე უცხო და საკრველი საქმე საცხურ იქმნეს, მუის მასვე უმთავრესი მისა მეუსეულად აღწერენ, და ესრეთ სიმტკიცედ და საკესენებულად მომავალთა ნათესაეთათს ქეგლად წარუწემედულად დაუტოვებენ. ხოლო უკუეთუ საღმრთოთა მოქმედებათათს განა თუ ხატთაგან იქმნეს რაჲ, ანუ თუ ჯუარისა, განა თუ ნაწილთაგან წმიდათასა, ანუ თუ სხეულსავე შორის მეოღათა წმიდათა კაცთაგან, რადღა უკუე საკმარ არს სათქმელად, თუ ვითარ ენის აღენსაცა არანს დაუტოვებენ აღუწერელად და არცა ვადრემე მისცემენ უფსკრულსა დაუწვეებისასა. ხოლო, ვითარცა მრავალგნის ვთქვ, ესევითარისა მოქმედებისაგან ეოვლად უცხონი არიან და უმეტარნი ნათესავნი ესე ქარსველანათა. სვეტიცხოველისაგან იმდენი სასწაულები ქმნილაო, განაგრძობს ის, რომ, უკუე უმეტა ვის აღწერნეს, ვითარცა არს ჩუქულებთა ბერძენთა ნათესავისაჲ, არამცა უკუე დაიქთა სოფელმან უოველმან აღწერილი წიგნებო.³ მიუხედავად ასეთი გულგრილობისა, ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფია მაინც საყურადღებო დარგია ჩვენი ძველი მწერლობისა, რომელსაც, წმიდა ჰაგიოგრაფიულ ინტერესს გარდა, თან ახლავს უაღრესი ისტორიული მნიშვნელობა.⁴

პირველი და უძველესი ორიგინალური ნაწარმოები ქართული ჰაგიოგრაფიისა არის წამება წმიდისა შუშანიკისაჲ, რომელიც დაწერილია

1) საქართ. სამოთხე. გვ. 171.

2) ვ. კარბელაშვილი, საკითხავი სუეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოსა და კათალიკე ვკლესიისა, გვ. 102—103; საქართვ. სამოთხე. გვ. 104—105. კ. ქვეკელიძე, ნაწუეტი ქართული ჰაგიოგრაფიის ისტორიადან, ცხოვრება ილარიონ ქართველისა, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, I, გვ. 42—43.

3) პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. XIII—XIV, მეორე გამოცემა.

მეხუთე საუკუნის უკანასკნელს მეოთხედში შუშანიკის თანამედროვისა და მოძღვრის იაკობ ხუცის მიერ; ამ ძეგლის შესახებ ჩვენ ლაპარაკი უკვე გვქონდა, როდესაც იაკობის ლიტერატურულ მოღვაწეობას ვარკვევდით, ამიტომ იმაზე ეხლა აღარ შევჩერდებით.

მეორე უძველეს ორიგინალურ ნაწარმოებად უნდა მივიჩნიოთ მარტვირთა და მოთმინება წმადისა ეუსტათი მცხეთელისა.¹ ხუასრო დიდის ნუსირვანის მეათე წელს, ვჰკითხულობთ ჩვენ გრიგოლ მოწამის ასურულ აქტებში, სპარსეთში მოგვებმა ქრისტიანებს აუტყხეს დევნულობა,² რომელიც იმდენად მწვავე ყოფილა, რომ უკანასკნელნი მიმოდაბნეულან და თავი სხვადასხვა ქვეყანაში შეუფარებიათ. ერთი მათგანი, გკრობანდაკი, ძე მოგვისა, არსუყეთის (Adharbaigan) პროვინციის მცხოვრები, წამოსულა ჩვენსკენ და დასახლებულა მცხეთაში, სადაც ამ დროს ბევრი მისი თანამემამულე იყო, მათ შორის ქრისტიანებიც. მცხეთაში გკრობანდაკს მებამლეობა და მეჩქეპეობა შეუსწავლია, ქართველ ქრისტიანებს დაახლოვებია, მათი ქალი ცოლად შეუერთავს და მერე მონათლულა კიდევაც სამუელ კათოლიკოზის ხელით, რომელსაც მისთვის ესტატე დაურქმევია. სჯულის გამოცვლისათვის მცხეთელ სპარსელებს ის დაუბეზლებიათ აღგილობრივი ციხისათვის უსტამის წინაშე, რომელსაც ის წარუგზავნია ტფილისს მარზაპან არვანდ გუშნასპისათვის. ტფილისში ესტატე ციხეში ჩასვეს, საიდანაც ის განთავისუფლებულ იქმნა ექვსი თვის შემდეგ არვანდ გუშნასპის მიერ, სპარსეთში გამგზავრების წინ, კათოლიკოზის და ქართლის დიდებულთა თხოვნით. სამი წლის შემდეგ, როდესაც ქართლში შემოვიდა ახალი მარზაპანი ვეჟან ბუზმილი, აღგილობრივ სპარსელებს ესტატე დაუსმენიათ მის წინაშეც და ციხეში ჩაუჯენიათ. ვეჟან ბუზმილი ბევრსა სცდილობდა ესტატე მამუელ რჯულზე გადმოებირებია, მაგრამ ამაოდ: ის მტკიცედ იდგა ქრისტიანობაზე, რისთვისაც მას სიკვდილი მიუსაჯეს და თავი მოჰკვეთეს 544—545 წლებში. მისი მარტვილობა, რომლის უძველესი ნუსხა ჩვენ გვხვდება საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის მეცამეტე საუკუნის ხელ-

¹ შ. საბინინი, საქართველო, გვ. 315—322: გერმანულად თარგმნა ეს ცხოვრება პროფ. ივ. ჯავახიშვილმა, ხოლო ისტორიულ-ლიტერატურული კომენტარებით გააშუქა პროფ. A. Harnack-მა: Das Martyrium des heiligen Eustatius von Mcheta, Sitzungsberichte der königlich preussischen Akademie der Wissenschaften zu Berlin, XXXVIII, 1901.

² Hoffman, Auszüge aus Syriechen Acten persischer Märtyrer, S. 75.

ნაწერში № 351 (სხვა ნუსხები სულ გვიანი დროისაა — XVII—XVIII ს.), დაწერილია თანამედროვესა და თვითმხილველისგან, მაშასადამე -- მეექვსე საუკუნის მეორე ნახევარში. ეს ნათლად ჩანს ძველის ხასიათიდან, რომელსაც აზარს ბეჭედი მოწამეთა აქტების უძველესი რედაქციისა, და თან ავტორის სიტყვებიდან, რომელიც ესტატეს თანაპყრობილ ქრისტიანეთა შესახებ შენიშნავს: რამქნისუ მთგანი ცოცხალ არიან დღესაც (გვ. 315). ყოველ შემთხვევაში მარტვილობის შინაარსი არ იძლევა არავითარ საბუთს, არამც თუ მეშვიდე საუკუნეში, მეექვსის უკანასკნელ წლებში გადატანილ იქმნას ის, როგორც ამას Harnack-ი სჩადის (S. 22). ვერც იმ აზრს გავიზიარებთ ჩვენ, თითქოს პირვანდელი რედაქცია ამ მარტვილობისა შემდეგ¹ შეუცვლიათ და გადაუკეთებიათ, რათა ესტატე სპარსეთის ეკლესიის შვილად არ ყოფილიყო გამოყვანილიო. მართლაც, ერთადერთ საბუთად ამისათვის ასახელებენ² ვითომცდა თხოობის წინააღმდეგობას, რომელიც მღვთმაცემობს იმაში, რომ ესტატე ხან სპარსეთში, ქალაქ განძაქში, ღებულობს ქრისტიანობას, ხან მცხეთაში. თუ ვისმეს მართლა აზრად ჰქონდა წარებოცა კვალი ესტატეს სპარსეთის ეკლესიის შვილობისა, რა მიზნითაც ეს არ უნდა ყოფილიყო, ამისათვის ის პირველად მოსპობდა იმ ცნობებს, რომელნიც ესტატეს სპარსულ სადაურობას ცხად ჰყოფენ, და კორექტურას გაუკეთებდა ბიპლიიდან მოყვანილ ადგილებს, რომელიც კანონიურ ტექსტს არ უდგება და უნებლიედ ექსა ჰპადებს მკითხველში, მაგრამ ეს მას საჭიროდ არ დაუნახავს, მაშ, რაღა ის უნდა დაეძალა, რომ ესტატემ ქრისტიანობა სპარსეთში მიიღო? ეს ორი, თითქოს ერთიმეორის საწინააღმდეგო, ცნობა ასე უნდა გვესმოდეს: ესტატემ სპარსეთში, სამეფელ არქიდიაკონის კატეხიზატორული მოძღვრებითა და ზეგავლენით, ირწმუნა ქრისტე, გაქრისტიანდა რწმენით, ხოლო მცხეთაში სამეფელ კათოლიკოზის ხელით მთინაჲ და ფორმალურადაც ქრისტიანი გახდა. როგორც უნდა იყოს, ძველი შინაარსიანია და ძვირფასი, ის ჩვენ გვითვალისწინებს საქართველოს თანამედროვე პოლიტიკურს, საეკლესიო და კულტურულ ისტორიას. როგორც იქიდანა ჩანს, ქართლში ამ დროს, ესე იგი 544—545 წლებში, მეფობა უკვე გაუქმებული ყოფილი და ქვეყნის უზენაეს გამგედ ითვლებოდა სპარსეთის მარზაპანი, რო-

1) ივ. ჯავახიშვილის აზრით—VI ს. დასასრულს ან მეშვიდეს შემდეგს.

2) Harnack, S. 12—23; ჯავახიშვილი, ძველი ქართული სისტორიის მწერლობა, გვ. 29—31.

მელიც ტფილისში ცხოვრობდა; მცხეთაში მჯდარა ამ დროს ციხისთავი, რომელიც იქაურ საქმეებს განაგებდა. ვინაიდან ქართლში სპარსელები ბატონობდნენ, სპარსელები ბლომად იყვენენ როგორც ტფილისში, ისე მცხეთაში, სადაც ისინი სხვადასხვა ხელობა-მრეწველობას ეწეოდნენ, როგორცაა, მაგალითად, მეხამლეობა და მეჯაგადობა. მათ ჰქონდათ აქ თავიანთი კულტის, ცეცხლთაყვანისცემლობის, შესასრულებლად საკუთარი სიწმიდენი, რომლებშიაც ისინი „ზატიკობდნენ“ ან დღესასწაულებს ასრულებდნენ. მიუხედავად სპარსეთის ბატონობისა, შინაურ საქმეებს განაგებდნენ დიდებულნი აზნაურნი, რომლებიდანაც, ალბად, თვით სპარსელები ნიშნავდნენ სხვადასხვა მოხელეთ; მაგალითად, მარტვილობაში მოხსენებულია 1) მთავარნი ქართლისანი, 2) მამასახლისი ქართლისა (გრიგოლი) და 3) პიტიახში ქართლისა (არშუშა). სარწმუნოებრივი მდგომარეობაც ქართლისა საკმაოდაა დახასიათებული ამ მარტვილობაში. აქედან პირველად ყოვლისა ჩვენ ვტყობილობთ, რომ ჩვენში პროზელიტიზმი ძლიერი ყოფილა: ქართლის ეკლესიას იმდენი ძალა ჰქონია, რომ ქრისტიანობას ხშირად ღებულობდნენ, მთელი ჯგუფობით, სხვა სარწმუნოების მიმდევარნი, მაგალითად ცეცხლთაყვანისცემელი სპარსელები, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი პროზელიტიზმი სპარსეთის უზენაესი გამგისაგან აღკრძალული ყოფილა; რომ ეს ასეა, იქიდანა ჩანს, რომ ესტატეს გარდა მარტვილობა სხვა შვიდ ქრისტიანს იხსენიებს სპარსთაგან, რომელთა სახელებია: გუბნაკ, ბაღდად (ბახტიარ), ბურზო, პანაგუშნასპ, პეროზაკ, ზარში (სამოელ) და სტეფანე (გვერ. 314); უკანასკნელის, სტეფანეს, ცოლშვილი, დედამა და დამძანიც ქრისტიანები ყოფილან (გვ. 316), ამათ სტანჯავენ და აწვალებენ იმიტომ, რომ მიატოვეს „მამული რჯული“, ქრისტიანობა მიიღეს, მაშასადამე, ქრისტიანობის მიღება და გავრცელება აღკრძალული ყოფილა. ქრისტიანობა იმ დროს ძლიერი ყოფილა თვით სპარსეთის ქალაქ განძაკში; ესტატე ეუბნება უსტამა ციხისთავს: „განძაკს ქალაქსა ქრისტიანენი უფროს არიან და ეპისკოპოზნი და მღვდელნი და მათგან ყოველსა ზედა მოვიწიე“ (გვ. 314). მცხეთაში იმ დროს ბლომად ყოფილან ურიებიც, რომელთაც თავიანთი სამლოცველო ჰქონიათ. აქედანვე ჩანს, რომ ქრისტიანთა ღვთისმსახურება სრულდებოდა ღამეც, ალბად ეგრედწოდებული აღრიპნები ან ღამისთევანი, და ესტატე ღამით დადიოდა ტაძარში, რადგან ეშინოდა დღისით სპარსელებმა არ დამინახონო. ღვთისმსახურების დაწყების წინ ქრისტიანებს ჩვეულება ჰქონიათ „დაჰრეკონ ეკლესიად“, ესე

იგი რეკდენ, რასაკვირველია არა ზარს, არამედ ეგრედწოდებულ „ძელს“ (გვ. 316). საყურადღებოა ბიბლიური ინტერპრეტაცია მარტვილობისა, რომელიც მაჩვენებელია იმისა, რომ ავტორს ხელთა ჰქონია რაღაც განსხვავებული ტექსტი საღმრთო წერილისა, არამეულ თარგუმებთან თუ ტატიანეს *Λογισμῶν*-თან დაკავშირებული; ეს ადგილები ხაზგასმულია Harnack-ის მიერ მის „შენიშვნებში.“¹ ძველში მოხსენებულია მცხეთის ჯვარი, რომლის წინაშე ესტატემ ილოცა,² მცხეთის კათოლიკე ეკლესია (გვ. 322) და აგრეთვე პირველად ჩვენს მწერლობაში „უქმნელობა“ (გვ. 317) ზატიკის ან უქმეს მნიშვნელობით. ტექსტი მარტვილობისა, რომელიც დაზიანებულია, განსაკუთრებით საკუთარ სახელებში, ახალ გამოცემას თხოულობს.

შემდეგი დროის უძველესი ორიგინალური ნაწარმოები, რომელიც ჩვენ გვაქვს ათონის მეთე საუკუნის მრავალთავეში (№ 57), არის წამებაჲ ერმთა წმიდათაჲ, რაცხუთ ცხრათაჲ, რომელნი იყვნეს სულათა ძმანი სასიღის ღებითა წმიდასაგან ემანზისს, ხოლო შობილ იყვნეს სავის-საყისაგან ჯედისა თვისსა.³

მტკვრის სათავეში, ხევში, რომელსაც კოლა ერქვა, ცხოვრობდენ ერთად ქრისტიანებიცა და წარმართებიც; უმეტეს ნაწილს უკანასკნელნი შეადგენდენ, ხვეის მთავარიც კი წარმართი ყოფილა. ქრისტიან ბავშვებთან ერთად თამაშობდენ ხოლმე წარმართთა ცხრა ბავშვი, 7—9 წლისა; ამათ გადმოიღეს და შეითვისეს ქრისტიან ამხანაგების ზნე-ჩვეულებანი, კერძოდ, დაპრეკდენ თუ არა ეკლესიაში და ქრისტიანი ბავშვებში გაემართებოდენ რა ეკლესიისაკენ, ეს წარმართებიც უკან მისდევდენ, მაგრამ მათ ეკლესიაში აღარ უშვებდენ,—მოინათლეთ და მაშინ შეგიშვებთო,—უბნებოდენ. ბავშვებმა მართლაც ჩუმად, დედამამის ნებადაურთველად და შეუტყობინებლად, ნათელიღეს ღამე მდინარე მტკვარში, ვინაიდან დღისით მღვდელი ვერ გაბედავდა ამას წარმართთა შიშით. მშობლებმა რომ გაიგეს, შესჩვილეს ადგილობრივ მთავარს,-- წარმართს, იმან უთხრა: თქვენი შვილებია და, როგორც გინდათ, ისე მოეპყარითო. მშობლებმა მოიყვანეს თავიანთი შვილები იმ ადგილას, სადაც მათ ნა-

1) კ. კეკელიძე, თარგმანება ეკლესიასტისა მიტროფანე ზვირნელისა, გვ. X—XI.

2) G. Tschubiuaschwilli, Die kleine Kirche des heiligen Kreuzes von Mzcheta, S. 4—5, Tiflis, 1921.

3) Н. Марр, Тексты и рассказы, V, 53—54.

თელილეს, ამოთხარეს ორმო, ჩაყარეს შიგ ბავშვები და ქვებით თავი დაუხეთქეს.

ასეთია მოკლედ შინაარსი ამ პატარა თხზულებისა, რომელიც მრავალმხრივ საყურადღებოა: აქ წარმოდგენილია სურათი მტკერის სათავეს რაიონში ცხოვრებისა; მოხსენებულია ორი ადმინისტრაციული ერთეული: დიდიხევი, და მცირე-სოფელი, რომლის გამგედ ითვლებოდა მთავარი. ხაზგასმულია ერთი მხარე სოციალ-იურიდიული ცხოვრებისა, რომლითაც მშობლები სრული ბატონ-პატრონი ყოფილან თავიანთი შვილებისა, იქაღის, რომ მათ ნება ჰქონდათ, თუ საჭიროდ დაინახავდენ, სიკვდილითაც კი დაესაჯათ ისინი. აღნიშნულია ისიც, თუ როგორ ეპყრობოდენ დამნაშავეთ, მიღებული კანონების დამრღვეველთ: მათ სცემდენ, ქონებას წაართმევდენ და სოფლიდანაც განსდევნიდენ, როგორც, მაგალითად, მოექცენ ადგილობრივ მღვდელს წარმართი ბავშვების მონათვლისათვის. საყურადღებოა აქ იმ ურთიერთობის აღნიშნვა, რომელიც იმ დროს დამყარებული ყოფილა ქრისტიანობისა და წარმართობის შორის მტკერის სათავეში. წარმართობა აქ ჯერ კიდევ ძლიერი ყოფილა; ყოველ შემთხვევაში რიცხვით ის სკარბობდა ქრისტიანობას. მიუხედავად ამისა, ქრისტიანობა აბსოლუტურად აღკრძალული არ ყოფილა, ეს ჩანს იქიდან, რომ ქრისტიანთა და წარმართთა შორის იმდენად მეზობლური განწყობილება არსებობდა, რომ მათი ბავშვები ერთმანეთს არ ერიდებოდენ და ერთად თამაშობდენ, მაშასადამე—მშობლები ამას არ უშლიდენ მათ. ქრისტიანებს ჰქონიათ ეკლესია, რომელშიაც ისინი თავისუფლად და რეგულარულად ასრულებდენ ღვთისმსახურებას, იქაღის, რომ ეკლესიაში რეკვით მოუწოდებდენ ხოლმე მლოცველთ. თუმცა ქრისტიანებს, როგორცა ჩანს, არ სდევნიდენ და არ ავიწროებდენ პირადი რწმენისათვის, მაგრამ პროზელიტიზმი, ქრისტიანობის ქადაგება და გავრცელება წარმართთა შორის, სასტიკად აღკრძალული ყოფილა, რაც იქიდანაცა ჩანს, რომ იმ სოფლის ხუცესი ბავშვებს ნათელსცემს ღამით, რაშეთუ დღისით ვერ იკადრებდეს ნათლისცემას მათსა შიშისგან წარმართთაჲს; როდესაც გამოძეილანდა წარმართი ბავშვების მონათვლის აბავი, იქას არ აკმარეს ქონების წართმევა, სცემეს თითქმის სასიკვდილოდ და სოფლიდან გააძევეს, ხოლო სხვების შესაშინებლად, რათა სხუანი არა ჰბოძდენ და ქრისტიანე იქმნენ, ბავშვები უწყალოდ დახოცეს. ამნაირად ჩანს, რომ ქრისტიანებს არ უშლიდენ ქრისტიანები ყოფილიყვნენ, თავისუფლად შეესრულებიათ თავიანთი სარწმუნოებრივი მოთ-

ხოვნილებანი და თავიანთ წრესა და ოჯახში ქრისტიანული რეჟიმი დამყარებით, მაგრამ წარმართთა გადმობირების ნება მათ არ ჰქონიათ.

არავეითარი თარიღი თხზულებაში არ მორბოვება იმის გამოსარკვევად, თუ როდინდელი ამბავია აქ აწერილი, მაგრამ, შინაარსის და ზოგიერთ სხვა მოსაზრებათა მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ აქ წარმოდგენილია სურათი, კოველ შემთხვევაში, არაუგვიანეს მეექვსე საუკუნისა, როდესაც, იოანე ზედაზნელის ბიოგრაფის სიტყვით, ახლანეკ იყო ქუეყანაჲ ქართლსა,¹ და ამიტომ ზოგიერთ მის პროვინციებში მაინც, როგორც, მაგალითად, მტკვრის. სათავეში, წარმართთა რიცხვი კიდევ სპარბობდა ქრისტიანებისას. ეს რომ ასე უნდა იყოს, შემდეგიდანა ჩანს. იმავე ხელნაწერში, რომელშიაც ეს თხზულება მოთავსებული, სხვათა შორის შეტანილია წამება წმ. ყრმათა დავით და ტირიქანისა,² რომელსაც ადგილი ჰქონია მეშვიდე საუკუნის პირველ ნახევარში, ირაკლი კეისრისა და სომხის კათოლიკოსის, იშხნის მაშენებლის, ნერსეს დროს.³ დავით და ტირიქანი თუმცა ბასილიდან ყოფილან, მაგრამ ისინი, თავისი დედით, გამოქცევიან წარმართ ბიძას და მოსულან ტაოჲს ქუეყანად,⁴ სადაც ბიძაც დადევნებია მათ და ქრისტიანობისათვის დაუხოცია, ესე იგი იმავე. რაიონში, სადაც კოლაელი ძმები უწამებიათ. ამდროს მეშვიდე საუკუნის პირველს ნახევარში, ამ რაიონში, როგორც დავით და ტირიქანის მარტვილობიდანა ჩანს, მთავარიც სოფლის დივრისა და მცხოვრებნიც უყვე ყველა ქრისტიანები ყოფილან, კოლაელთა ძმების მარტვილობით კი, როგორც ვთქვით, ამ რაიონში წარმართობა სპარბობს ქრისტიანობას, მაშასადამე, ცხადია, კოლაელთა ძმების ამბავი უფრო ადრინდელია, ვიდრე დავით და ტირიქანისა. მართლაც. ამ მარტვილობაში რომ მეექვსე საუკუნის და არა უგვიანესი ამბავია არწერილი, ამის მაჩვენებელია უაღრესად სიმარტივე ღვთისმსახურებისა, კერძოდ ნათლისღების წესისა, რომელიც ძეგლშია წარმოდგენილი (გვ. 58), და აგრეთვე ის გარემოებაც, რომ საზოგადოდ ღვთისმსახურების აღსანიშნავად ნახმარია ტერმინი უამობა, როგორც ამას ჩვენ ვხედავთ ესტატე მცხეთელის მარტვილობაშიაც. ყველაზე მეტად ამ ძეგლში წარმოდგენილი სურათის სიძველეს ხაზს უსვამს მასში

¹) საქართველოს სამოთხე, გვ. 199.

²) გამოცემულია აღ. ხახანაშვილის მიერ, Материалы по грузин. агиологии, Труды по Востоковѣдѣнію, изд. Назарев. Инстит., вып. XXXI, стр. 72-77.

³) ibid. стр. 72.

⁴) ibid. стр. 73.

შენახული ფრაგმენტი პირველყოფილ ქრისტიანობის პრაქტიკისა, რომლის მიხედვით ქრისტიანები, მსგავსად იესო ქრისტესა, თუ პირდაპირ იორდანეში არა, მდინარეში მაინც ცდილობდნენ ნათელელოთ: წარმართი ბავშვების მოსანათლად წარვიდა მღვდელი იგი თავსა ზედა მდინარისა მის დიდისა... და შთაჰხდეს ურმანა იგი მდინარესა მას და სათელსცა ხუცესმან მათ.

თვით ძველი, რომელშიაც ეს ძველი სურათი შენახულა, დაწერილი თუ ნათარგმნი უნდა იყოს ქართულად ცოტა უფრო გვიან, მაგრამ არა უგვიანეს შერვე საუკუნის გასულისა: მართალია, აქ დაბის აღსანიშნავად სიტყვა სოფელი იხმარება, მაგრამ ეს კიდევ არ კმარა იმის სათქმელად, რომ შეუძლებელია ის დაწერილი იყოს მეცხრე საუკუნეზე ადრე.² საქმე ისაა, რომ სოფელი სიტყვა დაბის მაგიერ იხმარება აბო ტფილელის მარტვილობაშიაც,³ რომელიც, როგორც ვიცით, შერვე საუკუნის გასულის ძველია. ჩანს, ავტორს, რომელიც საკმაო მანძილით იყო დაშორებული აქ აღწერილ ამბებს, წერილობითი საბუთები არ ჰქონია ხელთ და გადმოუყვია ის, რაც ზეპირთქმულებით იცოდა და გაეგონა, ამით აიხსნება, რომ მას არც დრო აღუნიშნავს მომხდარი ამბებისა და არც სახელები მოქმედი პირებისა.

ამ ძველსა და დავით-ტირიქანის მარტვილობის შორის ნათესაობითი კავშირია როგორც გარეგნულად, ისე შინაარსის მხრივაც. გარეგნუ-

1) პროფ. ივ. ჯავახიშვილს აქ წარმოდგენილი სურათის სიძველის დასამტკიცებლად მოჰყავს კიდევ ის გარემოება, რომ ბავშვები მოინაოლენ, მსგავსად იესო ქრისტესა, ა) სამთარში, ბ) დამე და გ) ანგელოზებმა, მონათლის შემდეგ, მათ სამოსელნი სვეტაქნი შეპოსესო (ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 34-36, გამ. 2); ყველა ეს მას მიაჩნია ქრისტიანობის უქველესი პრაქტიკის ნიშნად. ნამდვილად ეს ასე არაა: არაერთი არა საუბოთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ იესო ქრისტე სამთარში მოინათლა (ამისთვის ის სო? არ კმარა, რომ ნათლისღებას იანვარს ედღესასწაულობთ?), არც იმისი თქვა შეიძლება, რომ ძველი ქრისტიანები სამთარობით ინათლებოდნენ: ინათლებოდნენ ისინი, გარემოებათა მითხედვით, ყოველთვის, უფრო კი შობას, ნათლისღებას, აღდგომას და სულიწმინდის მოსლვას. დამე მონათლის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ, მართალია, არსებობდა ძველად ტრადიცია, რომელსაც პაგიოგრაფიც აღნიშნავს, რომ იესო ქრისტემ „ამან ნათელიდო“, მაგრამ ამ შემთხვევაში მღვდელს ბავშვები დამე ძველი ტრადიციის მიხედვით კი არ მოუნათლავს, არამედ იძულებით; „შიშისაგან წარმართთაჲსა“. რაც შეეხება სვეტაკი ტანისაშოსის ჩაცმას, ეს ნათლისღების აუცილებელი პროცესუალური ნაწილია, სიმბოლური მნიშვნელობისა, რომელსაც ადგილი აქვს დღევანდელს პრაქტიკაშიაც; პაგიოგრაფი აქ ხაზს უსვამს მხოლოდ იმ გარემოებას, რომ, ეინაიდან დამე, მდინარეში, კონსპირატიულად მოქმედ მღვდელს სვეტაკი ტანისაშოსი არ ექნებოდა, ეს აუცილებელი მოთხოვნილება ნათლისღების წესისა სასწაულებრივ იქმნა შესრულებული ანგელოზების მიერ.

2) ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 37, გამ. 2.

3) პ. კარბელაშვილის გამოცემა (საეკლესიო მუზეუმისა № 3), გვ. 171 სტრიქ. 28-29.

ლად-სტილი მათი ერთიდაიგივეა, ტერმინოლოგიაც ერთია, როგორც მაგალითად, ალმინისტრაციული ერთეულები: დიდი—ხევი, მკირე—სოფელი, გამგე სოფლისა—მთავარი, ტერმინი სოფელი—ნაცვლად დაბისა. შინაარსის მხრივ—მოქედება ორივე ძველში თითქმის ერთსადაიმავე რაიონში სწარმოებს, სიუჟეტიც თითქმის ერთია: დავით და ტირიქანი არიან ძმები და მკირე წლოვანი ყრმანი, კოლაელნი ძმებიც არიან და ყრმანი მკირეწლოვანნი; იმათაც და ამათაც ჰკლავენ ქრისტიანობისათვის, უახლოესი ნათესაეები: დავით ტირიქანს კვიდრი ბიძა, კოლაელ ძმებს—შშობლები. ასეთი ნათესაობა ამ ორი ნაწარმოებისა გვაფიქრებინებს, რომ ისინი 1) ან ორივე ორიგინალური ქართული ნაწარმოებია, მერვე საუკუნის გასულისა, და ამით აიხსნება, რომ ისინი, კერძოდ დავით—ტირიქანის მარტვილობა, სომხურად არ შენახულან, ანა და 2) ორივე ორიგინალური სომხური ნაწარმოებია, ქართულად ნათარმნი მერვე საუკუნის გასულს,—სომხურად ისინი განგებ მოუსპიათ, როგორც არასასიამოვნო დაკუმენტი ქრისტიანობისა და წარმართობის ბრძოლისა სომეხთა შორის, ქართულად კი შეუნახავთ, ვინაიდან მათში აღწერილი ამბავი მოხდა ტაოს რაიონში, რომელიც მერვე საუკუნის ნახევრიდან წმიდა ქართული მხარეა, და არამც თუ შეუნახავთ, მათი მიხედვით და მათ საფუძველზე ქართველებს ამ მკირეწლოვან მარტვილთა დღესასწაული—სახსენებელი დაუდვიათ და ლიტურგიკული ჰიმნებიც დაუწერიათ. ჩვენ პირადად უფრო მეორე მოსაზრებას ვემხრობით და ვიზიარებთ, ვინაიდან ტაოს რაიონი მეექვსე-მეშვიდე საუკუნეში ეკლსიურად და კულტურულად ჯერ კიდევ სომხური მხარე იყო.²

მერვე საუკუნის გასულსავე იოანე საბანისძეს დაუწერია აბოტფილელის მარტვილობა, რომელიც ჩვენ უკვე განვიხილეთ. მეცხრე საუკუნეში შედგენილია ცხოვრება და წამება კონსტანტინე კახაძის.³ მეცხრე საუკუნის პირველს ნახევარში ქართლში ცხოვრობდა ერისთავი, რომელსაც ნათლის სახელად კონსტანტინე ერქვა, ხოლო საოჯახოდ კახაძე. ეს ის დრო იყო, როდესაც ტფილისის ამირა სპაკ ისმაილის ძე

1) ყოველ შემთხვევაში ასე ხნის ნ. მარტი დავით-ტირიქანის მარტვილობის ვაქრობას სომხურ მწერლობაში (ქმუხობაჲსი და სიონი, ჯმუხიჲრ. 1890. წ. მარტი, სტრ. 21—22).

2) ყოველ შემთხვევაში ერთი ცხადია, რომ ორივე მარტვილობა ერთიდაიმავე სერიის ნაწარმოებია, იმ სერიის, რომელიც შენახულა ივერის მონასტრის მარტვილთა ეკლსიის მიერ.³

3) საქართ. სამოთხე, 83. 363—370.

განუღდა თავის ხალიფას და იმის დასასჯელად მუტევაკილ ხალიფამ წარმოგზავნა დიდი ჯარი ბულა თურქის მეთაურობით: ამ უკანასკნელმა სძლია საჰაკ ისმაილის ძეს, მოკლა იგი და 853 წლის 5 აგვისტოს ტფილისი დაწუა. ამ დროს აფხაზეთის მეფე და მისი მხედრობა საჰაკს ებრძოდა, ხოლო ბაგრატ კუროპალატი ბულა თურქს. უეჭველია, აფხაზეთა მეფეს ბანაკში ყოფილა ერისთავი კონსტანტინე — კახა, ის საჰაკი დამარცხების შემდეგ დაუჭერიათ 26 აგვისტოს და მოუყვანიათ ტფილისში ბულასთან, რომელსაც ციხეში ჩაუსუამს. მისგან მოუთხოვიათ მაჰმადიანობის მიღება, მაგრამ, ვინაიდან ვარი განუცხადებია, გაუგზავნიათ ბაბილონის ქალაქ სამარიაში, სადაც 853 წლის 10 ნოემბერს მისთვის თავი მოუკვეთიათ. მისი ბიოგრაფის სიტყვით ეს ამბავი მოხდა შეფთასას ღმრთისმსახურისა თეოდორა დედოფლისა, რომელიც იგი შეფთბდა სამეფოსა ბეიტანთასა, ვიდრე იგი ურმდა იყო ძე მისი მიხეილი,¹ და შეფთბასა ბაგრატ კუროპალატისასა (826—876 წ.). ამ კონსტანტინეს მარტვილობისათვის ვილაც ჰაგიოგრაფს საგანგებო თხზულება უძღვნია; ეს არის მოკლე ნაწარმოები, რომლის შესახებ ავტორი ამბობს: ესე მრავლისგან მცირედი აღიწერა სიმკეთესგან წმიდისა კონსტანტინისა, რათა იყოს თქმულები ესე შემოკლებულ და სრულ, რათა არა იყოს შემწეუბებულ ნაკლებევენებითა, არცა ნამეტნავ განგრძობითათ (გვ. 36). თავში ავტორი აგვიწერს კონსტანტინეს ვინაობას და თვისებებს, მერე მის შეპყრობას და თავის წარკვეთას; დასასრულ მოყვანილია ის წერილი, რომელიც იმპერატრიცა თეოდორას მიუწერია კონსტანტინეს შეილებისა და ნათესავებისათვის და რომელშიაც ის, აქებს რა მათ ღვთისნიერობას, ულოცავს მათ, რომ კონსტანტინეს სახით მათ გამოუჩნდათ მეოხი წინაშე ქრისტესა, და რჩევას აძლევს: გულანერობით იყავით ჩემდა მიმართ... და უღელსა ქვეშე ჩუენისა ქრისტესს მიერსა ქედნი თქვენნი წარუპყრებით და სუბუქისა ტურთისა ჩუენისა აღვიდებად შკართა თქვენთა ზედა არა გარეწარ იცოდეთ; თან დასძენს: ამას არა თუ თქვენ ოდენ გიბრძანებთ, არამედ ყოველთა, რომელნი ჩუენ კერძო და კელთა ქვეშე ჩუენთა არიან ქართველნიო. ავტორი არის თანამედროვე კონსტანტინესი, რაც შემდეგი მისი სიტყვებიდანა ჩანს: მეცა არა დიკსიმან... აღწერე ცხოვრებაჲ და წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა კონსტანტინესი, რომელიც იყო დღეთა ჩუენთაო. (გვ. 364.) მაშასადამე, თუ კონსტანტინე აწამეს 853 წელს, ხოლო „ცხოვრება“ მისი აღუწერიათ

¹) სიქართ. სამოთხე, გვ. 364.

მაშინ, როდესაც საბერძნეთის სამეფოს განაგებდა მცირეწლოვანი მიხეილის მაგიერ მისი დედა თეოდორა, მარტვილობა ესე უნდა დაწერილი იყოს 853 -- 856 წლებში. ვინ არის ავტორი, არ ვიცით; თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ის კონსტანტინეს წამებას ათარიღებს ბერძენთა იმპერატორის მეფობით და თან მთელი ეპისტოლე მოჰყავს მისი, სადაც ხაზგასმულია ნამდვილი თუ სასურველი ურთიერთობა ბერძენ-ქართველებისა, რომ ის დაწერილებით არ აგვიწერს არამც თუ საქართველოს მდგომარეობას კონსტანტინეს 85 წლის სიცოცხლეში, არამედ თვით მის ამბავსაც ძან მოკლედ ვადმოგვცენს, — შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მარტვილობის ავტორი არის საბერძნეთში მყოფი რომელიმე ბერი, ანა და დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში, მკვიდრი რომელიმე მწერალი.¹ ამ შრომის შედგენისას პაგიოგრაფს უსარგებლნია წმ. იოანე ოქროპირის „ცხოვრებით“, რომელიც დაწერილია ალექსანდრიის პატრიარქის გიორგის (616 — 630 წ.) მიერ;² ქართული თარგმანი ამ ცხოვრებისა შენახულა ათონის ივერიის მონასტრის ხელნაწერში № 52,³ რომელიც გადაწერილია ოშკის ლავრაში იოანეთორნიკისა და იოანე-ვარაზეაჩესთვის, მამასახლისობასა საბაძსა, ხელითა იოანე ჩირაძსათა 977 — 980 წლებში.⁴ კონსტანტინე კახაძს მარტვილობის ავტორს ხელთა ჰქონია ეს „ცხოვრება“; ეს იქიდანა ჩანს, რომ შესავალი კონსტანტინეს მარტვილობისა წარმოადგენს თითქმის სიტყვასიტყვითი ექსცერპტს იოანეს ცხოვრებისას: აქაც და იქაც ლაპარაკია იმის შესახებ, თუ როგორ გაჩნდა საღმრთო წერილის წიგნები, მოსეს დროითგან მოყოლებული, და მათ შემდეგ წმიდათა ცხოვრებანი, რომელთა მიბაძვით ხელჰყოფენ გიორგი პატრიარქი და ჩვენი უცნობი ავტორი თავიანთ წმიდანების ცხოვრებათა აღწერას.

იმავე მეცხრე საუკუნეში დაუწერიათ სწავლანი, ნიშნი და სასწავლთმოქმედებანი დიდისა მამასა ჩვენისა მიქელ ჰარეხელისა. კლარჯეთისა და სამცხის მოღვაწეთა შორის მეცხრე საუკუნეში ცნობილი და სახელგანთქმული ყოფილა ვინმე მიქელი, რომელიც უფროსი

1) ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 52, — 53, ვაშლი (კემა 2).

2) H. Savilius, San. Iovannis Chrysostomi opera, VIII, 157 — 265.

3) ჩვენ ხელთა გვქონდა მღვდელ-მონაზონი ილიას ნუსხა, რომელიც ვხლავნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმს ეკუთვნის № 1181.

4) არსებობს შორეულ ნუსხაც მისი 968 წლისა, რომელიც ეკლთვროდა პეტროგრადის ს.ჯირო წიგნთსაცავს (Новая Церк. № 13) და დღეს საქართველოს დაუბრუნდა.

თანამედროვე იყო გრიგოლ ხანძთელისა და სერაპიონ ზარზმელისა. ცნობები მის შესახებ ჩვენამდე შენახულა აღნიშნულ მამათა ცხოვრებაში. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ვპკითხულობთ: რაჟამს ხანძთაჲ იქმნა სხელოვან მადლითა და სხარუღევან სულიერთა შეიღაჲჲან, მას ჟამსა შიძინდრათ ხანძთად მოვიდა დიდი შეუღაბნობა მიქელ მამაჲ, რომელიცა დაემკადრა ჰარესთა, რამეთუ იყო იგი მეგობარ ნეტარისა მამისა გრიგოლისა და ეძიებდა მარტოდ მოთვებას და ჰოვა თავისა თვისისა სამკვდრებელი ბეროის ჰარესთა და განზრახვიითა ამის წმიდისათა დაემკადრა მათ შინა და კეთილად წარემართა სათნოებათა მიმართი უფლისათა... ხოლო იყო ნეტარი მიქელი ქუეყანისა შეშეთისაჲ, სოფლისა ნორგიალისაჲ, და მიძნაძორის მონაზონ იქმნა. ხოლო ჰარესთა შინა მრავალთა წელიწადთა ცხოვრდა და აღ-რამ-ესრულა მუნვე დაემარხა. და აწ საფლავი მისი და დიდებულისა მამისა ბასილისი, რომელიცა შემდგომად მისსა ჰარესთა მკვდრ იყო, ერთგან არიან და კაცთა კურნებას მიჰმადლებენ, რომელნი სარწმუნოებით მიუღენან მათდა. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში სწერია: აღუქმნა რამ წმიდაჲ და დიდი უღაბნობა თანიზაჲ მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი, სი ღლამისა შემდგომად მოვიდა და აღაქმნა უწყებითა საღმრთოთა მცირე ეგუტერი და შესაკრებელი მცირე მათაჲ ადგილსა კლდოანსა და უგაღსა კაცთაგან, რომელსა ჰარეს უწოდან. ხოლო ესე სიტყუაჲ მამათა მიერ მოგაღს ჩუენდა, რამეთუ მიქელ იყო აღმშენებელი, სასწაულთა და ნიშთა მოქმედი მადლითა და დიდთაჲ, რომელი იყო მოწაფე დიდისა შიომისი საკრეველთმოქმედისაჲ, რომელი, ვითარცა მთიები განთიადისა, ბრწყინავდა ქუეყანასა ქართლისასა (გვ. 5). მიქელს ჰყავდა მოწაფეები, სხვათა შორის, სერაპიონი და ძმა მისი იოანე, ბასილი და მარკელაოზი; მან გაგზავნა სერაპიონი და მისი ძმა იოანე, ოთხ სხვა მოწაფესთან ერთად (სულ ექვსი კაცი) სამცხეს მონასტრის გასაშენებლად, თვალყურს ადევნებდა სერაპიონის მოღვაწეობას და აღმშენებლობითი მუშაობას, თავისთანაც გამოიწვია ზარზმიდან, რომ დაწვრილებით მოესმინა მისგან ყოველივე; ერთი სიტყვით, ხელმძღვანელობას უწევდა მას სამონასტრო და საბერმონაზვნო ცხოვრებაში. უეჭველია, გრიგოლ ხანძთელის და სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების მიქელი ერთიდაიგივე პირია: ორივე ცხოვრების მიქელს ჰყავს მოწაფე ბასილი, ორივე ცხოვრების მიქელი აშენებს პარესს, სადაც სიკვდილის შემდეგ იმარხება კიდევ. ამას არ ეწინააღმდეგება ის

1) ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა გვ. ლ 2—ლ 10.

მკირეოდენი განსხვავება, რომელიც ამ ორ ცხოვრების თხრობათა შორის არის: სერაპიონის ცხოვრების თქმით მიქელი პირველად მოღვაწეობდა ოპიზაში და აქედან დაემკვიდრა იგი პარესს, გრიგოლის ცხოვრებაში კი ოპიზა ამ შემთხვევაში სულაც არაა ნახსენები, — მიქელი მიძნაძორს კურთხეულა ბერად, იქედან ხანძთას მისულა გრიგოლთან, რომლის განზრახვით და რჩევით პარესს დამკვიდრებულა. საქმე ისაა, რომ სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების ავტორი მიქელის შესახებ მოგვითხრობს იმას, რაც მას გაუგონია სხვებისაგან, — ესე სიტყუაჲ მამათა შიერ მოფაღს ჩუენდათ, ამბობს ის, და ამ შემთხვევაში, შესაძლოა, გარდამოცემით თქმულებაში რაიმე არეულდარეული იყოს და ისეთი ანაქრონიზმებიც შეპარულიყოს, როგორცაა ცნობა, ვითომც მიქელი მოწაფე იყო შიო მღვიმელისაო. გიორგი მერჩულს, გრიგოლ ხანძთელის ბიოგრაფს, როგორც ხანძთის მოღვაწეს, უფრო ნამდვილი ცნობები ჰქონია. ეს მიქელი სერაპიონზე და გრიგოლ ხანძთელზე უფრო ადრე უნდა გარდაცვლილიყოს, არაუგვიანეს მეცხრე საუკუნის პირველი ნახევრისა. სწავლანი, ნიშნა და სსსწაუჯთამქმედებანი მისნი, ესე იგი ცხოვრება მისი, ამბობს ბასილ ზარზმელი, აღწერეს მოწაფეთა მასთათ (გვ. 6). ეს ცხოვრება ხელთა ჰქონია ბასილს, როდესაც ის სერაპიონის ცხოვრებას სწერდა და იქიდან რაჟოდენიმე ცნობა ამოულია; უეჭველია, ხელთ ექნებოდა ის გიორგი მერჩულსაც, როდესაც ის გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას სწერდა. სამწუხაროდ, ის ჩვენამდე არ შენახულა, ყოველ შემთხვევაში ჯერ აღმოჩენილი არაა, რაც დიდ დანაკლისად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან იმაში იმგვარივე ცნობები იქნებოდა სამცხე-კლარჯეთის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი დასაეკლესიო-სარწმუნოებრივი ცხოვრების შესახებ, როგორც გვაქვს გრიგოლ ხანძთელის და სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში. ვინაიდან, როგორცაა ვთქვით, მიქელის ცხოვრება ხელთა ჰქონია ბასილ ზარზმელს, ის დაწერილი უნდა იყოს მეცხრე საუკუნეშივე, ალბად მის მეორე ნახევარში.

მეცხრე — მეთათე საუკუნეში დაუწერიათ ეგრედწოდებული მოქცევაჲ ქართლისაჲ, რომელიც შეიცავს ვრცელს ბიოგრაფიას ქართველთა განმანათლებელის, წმ. ნინოსისას. ქართველთა მოქცევის ან გაქრისტიანების შესახებ იმთავითვე ორგვარი თქმულება არსებობდა: ერთი-ბერძნული; ისტორიკოსის გელასი კესარიელისა, რომელიც მერე რუფინუსს უთარგმნია და მის შრომაში შენახულა მხოლოდ;¹ ამ თქმუ-

¹) A. Glas. Die Kirchengeschichte Gelasios von Kaisaria die Vorlage für die beiden letzten Bücher der Kirchengeschichte Rufins. 1914. იხ. რუფინია ამ შრომის შესახებ ს. ყაუხჩიის შიკრიისა კრებულში ჩვენსი მეცნიერებაჲ 67.

ლებით ქართველები გაანათლა ვიღაც ტყვე ქალმა და საბერძნეთიდან მოწვეულმა სამღვდლოებამ; მეორე — სომხური, აგათანგელოსისა, რომლითაც ქართველები გრიგოლ განმანათლებელს მოუქცევია. ამ ორი თქმულების სინტეზს წარმოადგენს მოსე ხორენელის სახელით ცნობილი აეტორის (VII ს. დამლევის) თქმულება, რომლითაც ქართველები მოაკცია რიფსიმე-გაიანეს ამხანაგთაგანმა დედაკაცმა ნუნემ, რომელიც მოქმედებდა გრიგოლ განმანათლებელის ხელმძღვანელობით და ღირეტივეებითო. უფრო ძლიერი ყოფილა თქმულება ქართლის სომეხთა მისიონერების საშუალებით გაქრისტიანების შესახებ, ეს თქმულება დოღმატად გამხდარა ქართველებისათვის და მას ისინი იზიარებდნენ არა მარტო მაშინ, როდესაც სომეხთა და ქართველთა შორის ეკლესიური ერთობა არსებობდა, არამედ მაშინაც კი, როდესაც მათ შორის განხეთქილება დაიწყო,¹ და განხეთქილება-განყოფის შემდეგაც, თითქმის მეცხრე საუკუნის; გასლევამდე, — მაგალითად არსენ კეთოლიკოზი (855—882 წ.) თავის თხზულებაში: განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა, ქართველთა განმანათლებელად გრიგოლსა სთვლის. ეკლესიაჲ განყოფის შემდეგ სარწმუნოებრივი დამოკიდებულება და ურთიერთობა ქალკედონიტ ქართველებსა და ანტიქალკედონიტ სომეხთა შორის თანდათან მწვავედებოდა, მათ შორის ამ ნიადაგზე ხშირი და მწვავე კამათი და პათქრობა იმართებოდა; ქართველები, ეკლესიურად გაეროვნებასთან ერთად, თანდათან იმ შეგნებამდე მივიდნენ, რომ მათთვის უხერხულია თავისი თავი აღიარონ იმ პირის მიერ მოქცეულად, რომელმაც მწვალებელი სომეხები მოაკცია, ამიტომ მათთვის საჭიროა შეიქმნა ახალი, სომეხებისა და მათი ეკლესიისაგან სრულებით დამოუკიდებელი, მოძღვარი და განმანათლებელი მოეძებნათ. განსაკუთრებით ამ საჭიროებამ თავი იჩინა მეცხრე საუკუნეში, როდესაც ქალკედონიტობა და ანტიქალკედონიტობა სამკვდრო სასიცოცხლოდ შეებრძოლნენ ერთმანეთს სომეხთსა და მის მახლობელ არემარეში, ასე რომ ორივე პარტიამ საზღვარგარეთიდან, ასურეთიდან, გამოიწერა ბელაჲ ამ ბრძოლაში: ქალკედონიტებმა ცნობილი თეოდორე აბუკურა, ხოლო ანტიქალკედონიტებმა არქიდიაკონი ნანი. აი სწორედ ამ ნიადაგზე და ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად უნდა დაწერილიყოს ქართულად ის თხზულება, რომელსაც

¹ მაგალითად, კირიონ კათოლიკოზი ხაზს უსვამს თავის მიწერ-მოწერაში სომეხებთან, რომ ქართველებსა და სომეხებს გრიგოლ განმანათლებელმა მოგვცა კეშმარტი სარწმუნოება.

მოქცევაჲ ქართლისაჲ ეწოდება და რომლის უძველესი ნუსხა მოთავსებულია 973 — 976 წლებში გადაწერილს ეგრედწოდებულს შატბერდის კრებულში (წ.-კთხ. მუხ. № 1141). ეს თხზულება წარმოადგენს ერთს მთლიანს ნაწარმოებს, რომელიც ორი ნაწილისაგან შესდგება: პირველი, შედარებით პატარა, არის საკუთრივ მოქცევაჲ ქართლისაჲ; აქ მოკლე მოთხრობილია ქართლის გაქრისტიანება და აღნიშნულია უმთავრესი მომენტები მისი თანდათანობითი ქრისტიანიზაციისა; მეორე, შედარებით უფრო დიდი ნაწილი, წარმოადგენს ცხოვრებას იმ პირისას, რომელსაც ქართლი მოუქცევია, — წმიდა ნინოსას.

ზოგიერთ მკვლევარის აზრით, რომლის მკვეთრი გამომხატველი ბ. ს. კაკაბაძეა,¹ აღნიშნული ორი ნაწილი ამ თხზულებისა წარმოადგენს ორს, ერთიმეორისაგან სრულიად დამოუკიდებელს, ნაწარმოებს, როელთა შორის ვამჩნევთ არამც თუ არსებითი განსხვავებას დეტალების მხრივ ქრონოლოგიურ თარიღებში, არამედ პირდაპირ წინააღმდეგობასაც; მაგალითად, ამბობს ბ. ს. კაკაბაძე, პირველს ნაწილში ნინო უბრალო ტყვე ქალია, მეორეში — ცნობილის ზაბილონ კოლასტელის ასულიო. ჩვენი აზრით ასეთი დაცალკევება უმართებლოა: ისინი წარმოადგენენ, როგორცა ვთქვით, ნაწილებს ერთის მთლიანის თხზულებისას, რომელიც ერთიადიმავე პირის მიერ ერთსა და იმავე დროს უნდა იყოს დაწერილი და რომელსაც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ეწოდებოდა. ორივე ნაწილი გენეტიურადაა ერთმანეთშორის დაკავშირებული: პირველს ნაწილში მხოლოდ მოხსენებულია ქართველთა განმანათლებელი და აღნიშნულია მისი სამისიონერო მოღვაწეობა, მეორე ნაწილი, რომელიც უშეალოდაა გადაბმული პირველზე, მოგვითხრობს უკვე მის დაწვრილებითი ბიოგრაფიას, რაც სრულიად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს; მხოლოდ იქ, სადაც წმ. ნინო იწყებს მოთხრობას თავის ეიანობის შესახებ, შატბერდის კრებულში სათაურია — ცხოვრებაჲ წმიდისა ნინოასი, მეორე ვარიანტში კი, ეგრედწოდებულს ქელოსისაში, არც ასეთი სათაურია. შატბერდის კრებულში, ამ თხზულების ბოლოს, სადაც თავდება წმიდა ნინოს ცხოვრება, შენიშვნაჲ: წიგნი ქართლის მოქცევისაჲ... ვითაჲცა ტალანტი წინამძღუართაგან დაფარული, შემდგომად მრავალთა კამთა და წელთა ვპოვეთ. აქედან ჩანს, რომ „ქართლის მოქცევაჲ“, რომელიც სათაურად აქვს ამ ნაწარმოებს, არის სახელი ორივე ნაწილისა და არა პირველის

¹) О древне-грузинских летописцах XI в., стр. 32—36, Тифлисъ 1912 г.

მარტო, რაც ჰგულისხმობს ამ ნაწილთა ერთობას, მათგან ერთი მთლიანი თხზულების შემადგენელობას. ამასავე ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ პირველი ნაწილი ამ თხზულებისა, რომელსაც საკუთრივ ეძახიან „ქართლის მოქცევას“, შატბერდული ვარიანტის აღრიცხვით, უნდა შეადგენდეს პირველს თავს, სულ თხზულება დაყოფილი ყოფილა 16 თავად. რაც შეეხება განსხვავება — წინააღმდეგობათ ამ ნაწილთა შორის, უნდა შევნიშნოთ შემდეგი: განსხვავება დეტალებში მართლაც არის, მაგრამ ასეთი განსხვავება, და უფრო მეტიც, აკსებობს არამც თუ ამ ნაწილებს შორის, რომელთაც სხვადასხვა მიზნები აქვთ, არამედ ერთსადაიმავე ნაწილებთა შორის ორი სხვადასხვა ვარიანტით, შატბერდულით და კელიშურიით. კერძოდ ეს უნდა ითქვას ქრონოლოგიურ თარიღთა შესახებ; მაგალითად, ნინოს ქართლში მოსლვისა და სიკვდილის შესახებ: ნინო ქართლში მოსულა, პირველი ნაწილის ერთი გამოანგარიშებით, $310 + 10 + 14 = 334$ წელს, მეორე გამოანგარიშებით — $338 - 15 = 323$ წ.; ხოლო მეორე ნაწილის გამოანგარიშებით: კელიშური ვარიანტით — $318 + 7 + 8 + 1 = 334$ წ., შატბერდულით 327 და 358 წ. მომკვდარა ნინო: პირველი ნაწილის ერთი გამოანგარიშებით: $5838 - 5500 = 338$ წ., მეორე გამოანგარიშებით $334 + 15 = 349$ წ., მეორე ნაწილის გამოანგარიშებით: კელიშური ვარიანტით $334 + 15 = 349$, ხოლო შატბერდულით $327 + 15 = 342$, ანა და $358 + 15 = 373$ წ. როგორც ვხედავთ, თარიღები მეტად არეულდარეულია და ერთიანი იგივე ნაწილიც კი ერთსადაიმავე ფაქტს სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ნაირად აღნიშნავს. რაც შეეხება წინააღმდეგობას, მაგალითად, ნინოს ვინაობის შესახებ, არც ეს არის მართალი: ნინო ტყვე ქალადა დასახელებული არა მარტო პირველს ნაწილში, არამედ მეორეშიაც: მაგალითად, აქ ასეთ სიტყვებს ვპკითხულებთ ჩვენ: რასა იტყუ რუეეობას; ვითარ იტყუ, ვითარმედ ტყუე ვარი მე? ისვიდა ნანო პირველ ვითარცა ტყუე; მირიანი ლოცულობს ღმერთს, რთმეჯა გურწყაშს. ტყუსა ამის მიერ. წმ. ნინოს დიდგვარიანობა არა მარტო მეორე ნაწილშია წარმოდგენილი, არამედ პირველშიაც, სადაც ნათქვამია: და იყო იგი ჰრამი მთავარი (შატბერდული), ან-მგსგავს შეიჯთა მთავრათსა (კელიშური).

ამნაირად, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ წარმოდგენს ერთს მთლიანს თხზულებას, რომელიც ორი ნაწილისაგან შესდგება. პირველი ნაწილი არ არის სემოქალაქო საისტორიო ნაწარმოები, როგორც პროფ. ი. ჯა-

ვახიშვილი ამბობს;¹ ეს თავისთავად ცხადია: თხზულება, რომელსაც ეწოდება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომელსაც მიზნადაჲ ჰქონია ქართლის გაქრისტიანების გადმოცემა, სამოქალაქო საისტორიო ნაწარმოებად ვერ ჩაითვლება, თუგინდ იმაში წარმართი მეფეებისა და ლქერთების ნუსხაც იყოს წარმოდგენილი. პირველს ნაწილს მიზნადა აქვს აღნიშნოს უმთავრესი მომენტები და ეტაპები ქართლის გაქრისტიანებისა; ამ მიზნის განსახორციელებლად ის ჯერ აღნიშნავს საიდან ან როდის დაემკვიდრენ ქართველები დღევანდელ ქართლში, ჩამოთვლის წარქართული ეპოქის ქართლის მეფეებს და მათ მიერ შეპოლებულ ღმერთებს; მერე აღნიშნავს ბერძენთა მოქცევის დროს, რომელსაც ის უკავშირებს ქართველთა მოქცევის დასაწყისს, მოიხსენებს სახელს ქართველთა განმანათლებელისას, მის მცხეთაში მოსლვას, მცხეთელები:ა და მეფის ოჯახის მონათლვას, იქ ტაძრისა და ჯვარის აღმართვას, აგრეთვე ქართლის სხვადასხვა კუთხეების მოქცევას, მერე აღნიშნავს მირიანიდან მოყოლებული მეფეთა და კათალიკოზთა სახელებს და მათი დროის მნიშვნელოვან საეკლესიო ფაქტებს, ანადა სამოქალაქოს, რომელთაც საეკლესიო ისტორიისათვის მნიშვნელობა ჰქონდათ, მაგალითად ერეკლე კეისრის ლაშქრობას. მეორე ნაწილში მოთხრობილია ვრცელი ბიოგრაფია ქართლვეთა განმანათლებელისა, რომელიც ჩაწერილია თათქოს თანამედროვეთაგან თვით ნინოს კარნახით და საუბარი პირველი პირითაა მოყვანილი.

ავტორი თხზულებისა საკმაოდ ნაკითხი ყოფილა როგორც საღმრთო წერილში, ისე სხვადასხვა საისტორიო და უფრო კი აპოკრიფულს ლიტერატურაში, უნდა სცოდნოდეს მას აგრეთვე სპარსული და ასურული ენებიც, ვინაიდან მის თხზულებაში მთელი წინადადება გვხვდება ახალ სპარსულსა და ასურულს ენებზე; ეცოდინებოდა, უეჭველია, მას ბერძნული და სომხური ენებიც. მისი თხზულება წარმოადგენს კომპილიაციას იმ მასალებისას, ისტორიულისა თუ აპოკრიფულისას, რაც მას უპოვნია ქართულს, სომხურს, ასურულს, სპარსულს და ბერძნულ ენაზე და რაც თავის მიზნებისათვის გამოსადეგად მიუჩნევია. პირველი ნაწილის შედგენისას ავტორს ხელთა ჰქონია; 1) ერთერთი ბერძნული რედაქცია ფსევდოკალისტენის აპოკრიფული რომანისა ალექსანდრე მაკედონელის შესახებ, 2) ცნობები, წერილობითი თუ ზეპირი, ქართველ

¹) ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 85, ვაშ. 2.

თა თავდაპირველი ბინადრობის შესახებ, 3) სია წარმართული ხანის მეფეებისა, 4) გარდამოცემანი ქართული წარმართული პანთეონის შესახებ, თუმცა, როგორც პროფ. ნ. მარტია გამოარკვია, წერილობითი წყაროებით სარგებლობაც შესაძლებელია ამ შემთხვევაში; მაგალითად, ცნობანი არმაზისა და ზადენის შესახებ სპარსული წყაროებიდან უნდა იყოს ამოღებული, ვაგი და ვაიმ შემოსულან ლიტერატურული გზით სემიტური წყაროებიდან, კერძოდ საღმრთო წერილის ნიადაგზე, აგრეთვე ითრუჯანი.¹ ამ წყაროების მიხედვით ავტორს შეუდგენია პირველი განყოფილება პირველი ნაწილისა, სადაც ლაპარაკია წარმართული დროის ქართველების შესახებ. მცხეთელების, მეფის ოჯახის და ქართლის სხვადასხვა კუთხის გაქრისტიანების შესახებ მოთხრობა, რომელიც შეადგენს მეორე განყოფილებას ამ ნაწილისას, მას შეუდგენია იმ თხზულების მიხედვით, რომელიც წარმოდგენილი ყოფილა მცირეხა მას მოყვადედ აღწერილს მას წიგნსა ქართლის მოქცევისას, გრიგოლ დიაკონას მიერ აღწერილს, როგორც ნათქვამია ქელიშურს ვარიანტში (შატბერდულში შესათფერი ადგილი ამოგლეჯილი და დაკარგულია). ეს მეორე განყოფილება თავდება სიტყვებით: ნეტარ არიან, რომელნი აღასრულებდენ კსენებასა მისსა, რამეთუ დიდსა ზადლსა დირს იქმნებთან.² მესამე განყოფილება ამ ნაწილისა აღნიშნავს უმთავრეს მომენტებს ქართლში ქრისტიანობის ისტორიისას, ჩამოთვლის მეფეებს და კათოლიკოზებს მირიანიდან გუარამ კურაპალატამდე. ამ ნაწილის შემდგენისასაც ავტორს ხელთა ჰქონია რალაც ჩვენამდე არშენახული წერილობითი წყაროები, ვინაიდან ის შენიშნავს: ესე აღწერილია გამოკრებილად წსო.³ მეოთხე განყოფილება პირველი ნაწილისა შეიცავს ჰერაკლე კეისრის ომიანობის აღწერას ჩვენს ტერიტორიაზე და თავდება სტეფანოზ II დროით; აქაც, უმკველია, მას ხელთ ექნებოდა წერილობითი წყაროები, ან ბერძნული ან ქართული, ჰერაკლეს შესახებ. სტეფანოზიდან მოყოლებული აშოტ კურაპალატამდე ჩვენ გვაქვს უკანასკნელ-, მეხუთე, განყოფილება, რომელიც მხოლოდ მშრალს ნუსხას წარმოადგენს ერისთავებისა და კათოლიკოზებისას; ჩანს, ავტორს ფაქტიური მასალა ხელთ აღარა ჰქონია. აშოტის შემდგომდროის კათოლიკოზთა სია, არსენ მეორემდე, მიმტებულია უკვე შატბერდის კრებულის გადაშერთაგან.

¹) Боги языческой Грузии по древне-грузинским источникамъ С.-Петербург. 1901 г.

²) Е. Такайшвили, Описание рук. общества распр. грамот. II, 719.

³) ibid. 724

მეორე ნაწილი ამ თხზულებისა წარმოადგენს წმიდა ნინოს ვრცელს ბიოგრაფიას; მისი შედგენისას ავტორს, გარდა მრავალი ლეგენდებისა, ნრომელიც მანამდინაც ყოფილა ქართულს საზოგადოებაში, და თვითონაც, უნდა ვიფიქროთ, უხვად შეუთხზავს, უსარგებლია წერილობითი წყაროებითაც. 1) პირველად ყოვლისა მას გამოუყენებია ის წყაროები, რომელნიც პირველი ნაწილის შედგენისას ჰქონდა მას ხელთ, ეს ნათლად ჩანს იმისაგან, რაც ამ ორ ნაწილს საერთო აქვს ერთმანეთში. 2) სკოდნია მას წმიდა გიორგის მარტვილობა, ვინაიდან ამ მარტვილობით სურს მას დაათარილოს ქართველთა ქრისტიანობის ისტორიის დასაწყისი; 3) 451 წელს კამპანიის შალ-ნში მოქმედი ომის შესახებ ცნობები, რომელიც მას კონსტანტინე იმპერატორის ბჰანჯებთან ომიანობად მოუწოდებდა, და ეპიზოდები ამ „ბრანჯების“ გაქრისტიანებისა ავტორს ამოუღია და გადაუკეთებია რაღაც ასურული წყაროდან, სადაც ლაპარაკი ყოფილა გალიაში ან დღევანდელს საფრანგეთში (ბრანჯი — ფრანგი) ქრისტიანობის გავრცელების შესახებ.¹ ხელთა ჰქონია მას კიდევ: 4) გელასი—რუფინუსის, აგათანგელოსის და მოსე ხორენელის თქმულებანი ქართველთა მოქცევის შესახებ; 5) კონსტანტინე კეისრის მოქცევის ლეგენდარული ისტორია და კერძოდ თხრობა აღმართვისათვის პატიოსნისა ჯუარისა მის დროს; 6) კირილე იერუსალიმელის ეპისტოლე კონსტანტი კეისრის მიმართ გამოცხადებისათვის პატიოსნისა ჯუარისა იერუსალიმს.² 7) ცნობები იესო ქრისტეს განამართლების, ჯვარცმისა და კვართის შესახებ ამოდებულია, მხოლოდ თავისებურად გადაკეთებული, სახარებიდან.

ეს ნაწილი დაყოფილია თავებად; შატბერდის ვარიანტში სათვალავი იწყება მეოთხე თავიდან: თავი დ, აღწერილი მისივე საღომე უფარმეჯისაჲ;³ ცხადია, პირველ თავს შეადგენდა „ქართლის მოქცევის“ ქრონიკა ან პირველი ნაწილი თხზულებისა; ⁴ მეორეს, — შესავალი ნინოს ცხოვრებისა, რომელიც კელიშის ვარიანტში უფრო ვრცელია, ვიდრე შატბერდისაში (727—732); მესამეს — ნინოს ცხოვრება საღომე უფარმელის თქმულებამდე (736—642) მეხუთე თავის სათაური აღნიშნული არაა, მაგრამ ის, უნდა ვიფიქროთ, იწყებოდა სიტყვებიდან: „ადეს მოხელა უფალ-

¹) Н. Марръ, Дѣянія трехъ св. близнецовъ мучениковъ: Спесина, Еласина и Меласина, Зап. Восточ. отд. Русск. Археол. общ. т. XVII, стр. 322—323.

²) К. Кукеладзе, Иерусалимскій Канонарь VII в., стр. 239—245.

³) Е. Такайшвили, Описание II, 742.

⁴) Ibid, стр. 768—727.

მან სანკრძიყასა და ჰრწმენა მეფესა კონსტანტინეს (746); ეს თავიც სალომე უყარმელისაა, შეიცავს თხრობას ნინოს მცხეთად მოწვევის შესახებ (750—759); თავი მეშვიდე, აღწერილი სიდონას მიერ, მოგვითხრობს მცხეთელ ურიათა და მათ პალესტინასთან დამოკიდებულებას ამბავს (759—767). თავი მერვე (ქელიშისაში შეტომით მეექვსედ აღნიშნული), თქმული სიდონასივე, მოგვითხრობს ნინოს სასწაულთმოქმედებას მცხეთაში: განკურნებას ნანა დედოფლისა და სპარსელ მოგვის ზუარაასას (767—772). თავი მეცხრე, სიდონასივე აღწერილი, გადმოგვცემს, თუ როგორ დაუბნელდა მირიანს მზე ნადირობის დროს (772—775). მეათე თავი, სიდონია ივე, შეიცავს მოთხრობას ეკლესიის აღშენების შესახებ (775—781); თავი მეთერთმეტე, სიდონასივე თქმული, — სვეტიცხოველის სასწაულების აღწერას (781—783). მეთორმეტე თავი (ქელიშური 9), აბიათარის მიერ აღწერილი, მოგვითხრობს, თუ როგორ მიიღო მან ქრისტიანობა (783—787). თავი მეცამეტე, იაკობ ხუცისა და იოანე მთავარეპისკოპოსის მიერ აღწერილი, შეიცავს თხრობას „აღმართებისათვის პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისა“ (787—793); თავი მეთოთხმეტე (ქელიშურში არაა) შეიცავს თხრობას „აღმართებაჲ პატიოსნისა ჯუარისაჲ მცხეთისაჲ და კუალად გამოჩინებაჲ“ (793—798). ცალკე, მეთუთხმეტე, თავს (ქელიშისაში 10) შეადგენს წიგნი, რომელი დაწერა მირეან მეფემან ქართლისამან უამსა სიკუდილისასა, აღიწერა კელითა იაკობ მთავარეპისკოპოსისაჲთა და მოსცა საღმრთეს უყარმელისა, ძის ცოლის თვისსა, რომელი მეცნიერ იყო უოფლისავე კემპარიტად (798—804). უკანასკნელს, მეთექვსმეტე, თავს, მართალია, წარუწერელს, წარმოადგენს ანდრეი მირეან მეფისაჲ ძისა თვისასა მიმართ რევისა და ცოლისა თვისისა ნანაჲსა (804—806).

როგორც ვხედავთ, თავების სათვალავი ამ თხზულებისა (ორივე ვარიანტში) ზოგან გამოტოვებულია, ზოგან არეული; როგორც ჩანს, არეული უნდა იყოს არა მარტო თავების სათვალავი, არამედ მოთხრობის წესიც. მაგალითად, სხვადასხვა ადგილას ჩვენ ვპკითხულობთ: რომელი იგი წინა წერილ არს ანდრეძს მას შინა (767), რომელი ზემო აღწერილ არს (776), ვითარცა ზემო აღწერილ არს (782). ის ამბები, რაც ამ წინადადებაშია ნაგულისხმევი და რომელნიც თითქოს წინათ უნდა ყოფილიყვნენ აღწერილნი, ზემო არსად მოხსენებულნი არ არიან, მაშასადამე — მათი წესრიგი კრებულში არეულია.

ვინ არის ავტორი ამ თხზულებისა? თუ სხვადასხვა თავების წარწე-

რას დაუჯერებთ, ეს თხზულება წარმოადგენს კრებულს სხვადასხვა პირთა ბიერ აღწერილი ეპიზოდებისას ქართლის მოქცევის ისტორიიდან, და ყველა ეპიზოდები თვით ნინოსაგან მომდინარეობენ. სიკვდილის წინ, როდესაც წმ. ნინო სულთმობრძავე იღვა სარეკელზე, მასთან მისულან მისნი მახლობელნი და პატივისმცემელნი, რათა მისი ვინაობა გაეგოთ. „ვინაჲ ანუ ვითარ მოშუერა შენ ქუეყანასა ჩუენსა“, ეკითხებიან მას ისინი, „მაცხოვრად ჩუენდა, ანუ საღამე იყო აღზრდაჲ შენი დედოფალო“; „მაუწყე ჩუენ საქმს შენი, რაჲსა იტყუ ტყუობასა ტყუეთამც“ ნელო სანატრელო?“ (634). ნინოჲც თანხმობა განაცხადა ამაზე და მაშინ მოიხუენეს საწარუდნი საღამე უყარმელმან და სიენაელმან პეროჲჲკრი, და იწყო სიტყუჲდ წმიდამან ნინო და იგინი წერდეს (735). გამოდის, რომ ყოველივე ის, რაც ჩვენ ამ თხზულებას, ყოველ შემთხვევაში. მეორე ნაწილში გვაქვს, ნაკარნახეია წმ. ნინოსაგან და სიტყუასიტყუით ჩაწერილი ორი ადაიანის, — საღამე უყარმელის და პეროჲჲკრი სიენიელის მიერ. მაგრამ ეს ცნობა ბევრ გაუგებრობას იწვევს მკითხველსა და მკვლევარში. როგორც სამართლიანად შენიშნავს პროფ. ივ. ჯავახიშვილი ერთ-ერთს თავის გამოკვლევაში, ყოველად წარმოუდგენელია, რომ ქართველებს მანემდის, 15 წლის განმავლობაში, ერთხელაც არ მოსლევოდეთ აზრად ნინოს ვინაობის გაგება და მხოლოდ ეხლა, სიკვდილის წინ, მოჰგონებოდეთ ეს; აკი ცხოვრებაში სწერია, რომ გაცილებით ადრე სიკვდილამდე, ქართლში მოსლვის დასაწყისშივე, ვილაც სეფე — ქალს შროშანას გამოუკითხნია ნინოსაგან უოჲჲდი გზაჲ შისი და ნინოსაც უკნობენებია მისთვის უოჲჲდი საქმს მისი (756). მეორე — ნინომ ყოველივე უამბო საღამე უყარმელს და პეროჲჲკრი სიენიელს, მათ მოიხუენეს საწერკალამი და ჩაწერეს ნინოს ნაკარნახეი: მაგრამ თხზულებაში, თავების ზედწარწერაში, პეროჲჲკრი სიენიელის სახელს ჩვენ ვერსად ვერ ვხვდებით, მის მაგიერ ჩნდება სულ სხვა სახელები. რომელნიც არამც თუ მონაწილეობას არ იღებდენ ჩაწერაში, თითქოს არც კი დასწრებიან ამ პროცესს, ესენი არიან აბიათარი, სიდონია და იაკობი. ვთქვათ, ეს ნიცი იყენენ მომავლად ნინოს სარეკელთან და ამაჲც ჩაწერეს მისი თავგადასავალი; რა ჩაუწერიათ მათ? ეს პირები დაბეჯითებით გვარწმუნებენ, რომ მათ შიერ ჩაწერილი ამბები მათ საკუთარი თვალით ნახეს; ნამდვი-

1) ანდრია მოციქულისა და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში. მოამბე, 1900 წ. № 6.

ლად კი ისინი ისეთ რამეებს მოგვიპოვებენ, რასაც ისინი ვერ ნახავდნენ, ვინაიდან რამდენიმე საუკუნით არიან დაშორებულნი ამ ამბებისაგან, მაგალითად—სიდონია იესო ქრისტეს გასამართლებისა და მისი კვართის საქართველოში მოტანის თვითმხილველი ვერ იქნებოდა; ანდა იმის შეიძლება, რის თვითმხილველობასაც გვარწმუნებენ, თვითონ შენიშნავენ, როგორც, მაგალითად, იაკობ მღვდელი, გიყარცა სმენისა ფიცით. აქედან ცხადია, ეს ნაწარმოებნი ან, უკეთ რომ ვთქვათ, თავები, არის ფსევდოგრაფიული, კრუ და ყალბი და ნამდვილად იმ პირთა მიერ მოთხრობილი და ჩაწერილი არაა, ვისი სახელიც აწერია მათ. აქ ჩვენ საქმე გვაქვს სხვადასხვა ლეგენდების, ზეპირის ან წერილობითის, კრებულითან, რომლებსათვის ვილაც უცნობ რედაქტორს თავი მოაუყრია, უცხო მწერალთა ცნობებით შეუზავებია და საკუთარი ფანტაზიითაც შეუვსია. ვინ არის ეს რედაქტორი, ამის შესახებ ჯერჯერობით, მასალების უქონლობის გამო, ვერას ვიტყვით.

როდისაა დაწერილი ეს თხზულება? მხედველობაში გვაქვს მთლიანი თხზულების, კრებულის, შედგენის დრო და არა შემადგენელი მისი ნაწილებისა, რომელთაგან ზოგიერთი მართლაც შედარებით ძველი იყოს, შეიძლება. ამ მხრივ კი ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგ გარემოებს: 1) თხზულებაში დასახელებულია ქალაქი ბაღდადი, როგორც დედაქალაქი სასანელთა მეფეებისა, ბაღდადი კი, ჩვენ ვიცით, აგებულია 762 წელს. 2) სია მეფე-გზისთავებისა მოყვანილია აშოტ კურაპალატის († 826 წ.) და მისი ძმების დრომდე, ესე იგი მეცხრე საუკუნის პირველ ნახევარამდე; 3) თხზულებაში გვხვდება მთელი წინადადება ახალ სპარსულ ენაზე (გვ. 755), რომელსაც მეცხრე საუკუნეზე ადრე ადგილი ვერ ექნებოდა თხზულებაში; 4) თხზულებაში მოხსენებულია ფერისცვალების დღესასწაული ს. აგისტოსის, რომელიც საბოლოოდ შემოღებულ იქმნა ბიზანტიაში იმპერატორის ლეონ ფილოსოფოსის დროს (886—912 წ.); 5) თხრობა აღმართებისათვის პატიოსნისა ჯვარისა და კირილე იერუსალიმელის ეპისტოლე, რომლებითაც, როგორც ვთქვით, ავტორს უსარგებლნია, ქართულად ნათარგმნი უნდა იყოს არაუადრეს მერვე საუკუნის გასულის ან მეცხრის დამდეგისა, ვინაიდან პირველად ისინი გვხვდება ჩვენ სინას მთაზე დასულს 864 წლის „მრავალთავში“. 6) თხზულების მიზანია, როგორც აღვნი

1) К. Кекелидзе, Иерусалимский Канонарь, стр. 245.

შნეთ, დამპტიკოსს, რომ ქართველებს თავისი საკუთარი განმანათლებელი ჰყავს, რომელიც სომხის მისიონერებისაგან, კერძოდ გრიგოლ განმანათლებელისაგან, სრულიად დამოუკიდებელია; კათოლიკოზი არსენ დიდი თავის თხზულებაში განყოფისათვის ქართლისა და სომხეთის ქართველთა განმანათლებლად კიდევ გრიგოლსა სთვლის და ნინოს სახელს არსად არ იხსენიებს, მაშასადამე მის ღრს (851—882) ეს თხზულება ჯერ კიდევ არ ყოფილა, თორემ შეუძლებელია ის არსენს არ სცოდნოდა. ყველა ამ მოსაზრებათა გამო ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს თხზულება შედგენილია არაუადრეს მეცხრე საუკუნისა, დაახლოებით მის ჟიანასკნელს მეოთხედში, ან მეათე საუკუნის პირველ წლებში, სახელდობრ არაუადრეს არსენ კათოლიკოზის გარდაცვალებისა და არაღვინეს ლეონ იმპერატორის დროისა, 882—912 წლებში; შედგენილია ის ტაოკლარჯეთში, შატბერდის მონასტრის მოღვაწის მიერ. ამ თხზულებაში, რომელიც ეკლესიაში საკითხავად დაწერილი, შექმნა ჩვენში წმიდა ნინოს კულტი, მისი ლიტურგიული თაყვანისა და პატივისცემა, — მეათე საუკუნის ძეგლებში ჩვენ ვხვდებით არა უბრალო სახელს წმიდა ნინოსისას, არამედ საგალობლებსაც; მაგალითად, მიქელ მოღრეცილი უგალობს მას: სიძლეს ქრისტესსა ნინოს, ქართლისა ქადაგსა, ვასსეულაჲსა მნათობსა საღმრთოჲსა მით ნათლითა, კარზისა სიბუნჯისა მათკებულსა, მოგედით შეგამკაბდეთ-ო.¹ რაც შეეხება შინაარს თხზულებისას, უმეტესი ნაწილი აქ მოყვანილი ფაქტებისა პირდაპირ ლეგენდას წარმოადგენს, ასე რომ ისტორიული ღირებულება და მნიშვნელობა მისი მინცადამინც დიდი არაა.²

მეათე საუკუნის დამდეგს სტეფანე მტაბევეარს დაუწერია, როგორც დავინახეთ, წმ. გობრონის ცხოვრება, ხოლო მის ნახევარში შედგენილია ბასილ ზარზველის მიერ სერაპიონ ზარზველის ცხოვ-

1) პ. ინგოროყვი, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. 156.

2) F. C. Couybeare-მ გამოთქვა აზრი, რომ ნამდვილი აქტები წმ. ნინოსა თავდაპირველად შედგენილი უნდა ყოფილიყო ასურულ ენაზეო; აზრს ამტკიცებს: 1) აქტორის მიერ ასურულ მასალების გამოყენება, 2) ზოგი წინადადება ასურულ ენაზე (გვ. 753), 3) სილონისა სახელი იწერება როგორც სილინია, სილენია, სილონია, რაც იქიდან წარმოდგება, რომ ასურულ წერაში ხოვანება გრაფიკულად არ აღინიშნებინან; 4) ტექსტი ხშირად ვხვდება სახელი Niophora [ნიაფორა (გვ. 736, 741, 744), ნიაფორი (736, 741), ნიაფორი (744)], რაც, მისი სიტყვით, უდრის ბერძნულ Νιόφωρος, მსახური, ზედამეფელი ტაძრისა, მასში სიტყუთავრია და წესიერების დამკველი. გადამაზინებელი სირიულ ნიადაგზე ორი ასოის კ და ფ ერთმანეთში არვის გამო. (Life of st. Nino, Studia biblica et ecclesiastica, Oxford 1900).

რება და გიორგი მერჩულის მიერ—გრიგოლ ხანძთელისა; ცოტა ხნის შემდეგ კათოლიკოსს არსენ მეორეს დაუწერია ასურელ მამათა ცხოვრების ძველი რედაქცია. მეათე საუკუნის გასულს ექვთიმე ათონელმა შეადგინა, ბერძნულ-ქართული წყაროების მიხედვით, ილარიონ ქართველის ცხოვრება.¹ მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში დაუწერიათ: გიორგი მთაწმიდელს—ცხოვრება ექვთიმე ათონელისა, ლეონტი მროველის—ცხოვრება წმ. ნინოსი და წამება არჩილ მეფისა, გიორგი ხუცესმონაზონს—ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა. ამავე დროს დაახლოვებით უნდა იყოს დაწერილი ჯუარის მონასტრის მაშენებელის პროხორეს ცხოვრება, რომლის სვინაქსარული რედაქცია შენახულა ჯრუჭის 1155 წლის ხელნაწერში.²

ამნაირად უკვე X—XI ს. დაუწერიათ ყველა მანჭმდის ცნობილ ქართველ წმიდათა ცხოვრებანი. ეს არის უმეტეს შემთხვევაში მარტივად და ლიტონად დაწერილი რედაქცია, რომელსაც უფრო შინაარსი და ფაქტების სისწორით გადმოცემა აინტერესებს. როდესაც ჩვენში ბიზანტიიდან მეტაფრასტული ნაკადი შემოიჭრა, ის ორიგინალურ პაგიოგრაფიასაც შეეხო. ეხლა დაუწყიათ გამშვენება და გადაკეთება იმ ძეგლებისა, რომელნიც მანამდის იყო დაწერილი; ამ გადაკეთება-გამშვენების პროცესში ზოგიერთი ძველი რედაქცია, როგორც მაგალითად, დავით და კონსტანტინესი, აგრეთვე სერაპიონ ზარზმელისა, სრულიად გამქალა და დაკარგულა. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით ვინაობა და მოღვაწეობის დრო ყველა ასეთი მეტაფრასტებისა, თუმცა შეიძლება დანამდილეებით ითქვას, პროცესი მათი მეტაფრასტული მუშაობისა მეთორმეტე საუკუნის გასულს უკვე დამთავრებული იყო. განვიხილოთ ეხლა მოკლედ ჩვენამდე შენახული, უფრო მნიშვნელოვანი, ორიგინალური მეტაფრასტული ნაწარმოებნი.

ცხოვრება ათცამეტა ასურელთა მამათა. ამ მამათა ცხოვრების ძველი რედაქცია ჩვენ უკვე განვიხილეთ, როდესაც ლაპარაკი გვქონდა კათოლიკოსის არსენ მეორის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ. იქ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ საბინინის მიერ „საქართველოს სამოთხეში“ გამოცემული სრული რედაქცია იოანე ზედაზნელის, შიო მღვიმელის და დავით გარეჯელის ცხოვრებისა, აგრეთვე სვინაქსარული, შემოკლებუ-

1) კ. ექვთიმე, ნაწვევი ქართული საგიოგრაფიის ისტორიიდან, ტფილ. უნი-
ვერსიტეტი I, 48--52.

2) თ. კორდანი, ქრონიკა II, 523--524.

ლი რედაქცია ისე წილკნელის, აბიბოს ნეკრესელის, იოსებ ალავერ-
დელის და ანტონ მარტყოფელის მოქალაქობისა არის შემდეგიდროის
გამშვენებულ-ვადაკებული ან მეტაფრასტული რედაქცია. მართლაც,
ამას ადასტურებს არა მარტო აღნიშვნა მეტაფრასტის მიერ ძველი
თქმულება— მოთხრობისა, არამედ მათი გეგმა, — ვრცელი შესავალი, ენა-
წყლიანობა, სასწაულების აღწერა, — და სტილი: ასეთი სიტყვები, რო-
გორცაა — ზრქელი (გვ. 123, 196, 279), გრძობადი (194, 208, 252),
უსაკუთრესი (195), მიწად დამზიდველნი ნაფიონი (195), წინაღობა (195),
ქლით (196, 199, 207, 232, 234, 266, 277, 270), ვიდრეჟე (201,
266), უსიტყუ (204), თუატრონი (215, 252). ტრფიასნი (219), შებრვე (219,
228), ქედაზიდეველი (267), სტუქნი (211) და სხვ. შემოღიან ხმარება-
ში მესამე, ბიზანტიურს პერიოდში, უმთავრესად მეტაფრასტული მწერ-
ლობის საშუალებით. აღნიშნული მეტაფრასტული ცხორებანი ორ
ჯგუფად იყოფებიან: ერთ ჯგუფს ეკუთვნის დავით გარეჯელის ცხოვრე-
ბა, რომელშიაც გვხვდება ჩუენ ფორმა აისო; (272), და წინადადებათა
შემოკლება მიმღობის საშუალებით, მაგალითად: ამღებელი, მიმღებელი,
მტრთველი, მწუენებელი, მომგაჭრებელი (267) მსეებელი (268), მიმევა-
ნებელი (277), სრულმეოფელი (278); ასეთი ფორმები სხვა ასურულ მა-
მათა ცხორებაში არ გვხვდება, მაშასადამე დავით გარეჯელის მეტაფრას-
ტული ცხოვრება ეკუთვნის ვილაცა სხვა მწერალს, რომელიც გამოსუ-
ლია პეტრიწონული სალიტერატურო შკოლიდან. რაც შეეხება სხვების
ცხოვრებას, ისინი შეადგენენ მეორე ჯგუფს და დაწერილი არიან ერთი-
დარიმავე ავტორისაგან. მართლაც: 1) იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში
ასეთი წინადადებაა: დამღებელი კელსა ერქუანსა ზედა (გვ. 195). რომე-
ლიც გამეორებულია შიოს ცხოვრებაში ამრიგად: რამეთუ დასდეჟ კელი
ერქუანსა; (გვ. 223); 2) იმავე ცხოვრებაში ვკითხულობთ: ახალ სერგ არს
ქუეჟანს ესე (გვ. 199), ეს გამეორებულია ისე წილკნელის ცხოვრებაში:
რამეთუ ქართლი ახალნერგ იყო (გვ. 210), და შიო მღვიმელისაშიც: რამეთუ
ახალნერგ იუენეს მაშინ ქართველნი (გვ. 233); იმავე ცხოვრებაში ასეთი
შედარებაა: ესე სასწაული მრავლად ზესოა ჰმატს დანიელისასა (გვ. 204); ამის
მსგავსი შედარება შიოს ცხოვრებაშიც არის: ესე სასწაული არა უღარეს არს
ძმანო სასწაულსა მას, რამელი იქმნა წინასწარმეტყუელისა და ღმრთისმისილველისა
მოსეს კუერთისას მიერ (გვ. 233), ანადა მეორე ალაგას: ესე სასწაული
ძმანო მისგავსებულ არს გარდამოსლქასა სულისა წმიდისასა (გვ. 225). 4) იოანეს
ცხოვრებაში ვკითხულობთ: ერთმან მოწაფეთა მისთაგანმან ეკლესია აღაგერდსა

აღაშენა წოდებასა ზედა სახელგანთქმულისა მოწამისა გიარგისა; ხოლო სხუამან ქუბი იულთისა სამკვდრებედად მოღუაწეთა... და ერთმან მათგანმან ზენასოფელსა აღაშენა მონასტერა, რომელსა შინა დედალი არააჲ შევაღს და არცა მფრინველი იკადრებს დაბუღებასა; და სხუათა კუადად მონასტერი აღაშენეს კახეთს შინა და მრავლად აღაორძინეს სარწმუნოება (გვ. 207); ესევე თითქმის სიტყვა-სიტყვით განმეორებულია აბიბო ნეკრესელის ცხოვრებაში (გვ. 216). 5) ზედაზნელის ცხოვრებაში ვპკითხულობთ: ხოლო პირველკისენებული ესე პატროსანი სუეტი ზეჭკერთა შინა ჩამოკიდებუჲ არს უხილავად საღმრთოთა წამისყოფათა (გვ. 198), ესევე იკითხება შიოს ცხოვრებაში შემდგენიარად: ღმრთიას ჟურჩინებათა აღმართა საკრწველებათ სუეტი იგი დიდუღი, რომელი მდგომარე არს ჭკერთა შინა თჳნიერ კელთა კაცობრიეთა (გვ. 226). 6) იოანესა და შიოს ცხოვრებაში იხმარება ერთიდაიგივე ტექნიკური სიტყვა გიხროდანი (გვ. 195, 233). 7) ისე წილკნელისა და შიო მღვიმელის ცხოვრებაში მოთხრობილია ერთიდაიგივე სასწაული თითქმის ერთიდაიმავე სიტყვებით ღვინით სავსე კიქის შესახებ, რომელიც ჩამოკიდა ჭკერთა შინა და მდგომარე იყო ვითარცა მჳარსა ზედა (გვ. 210, 240). 8) იოანე ზედაზნელის ცხოვრებას ასეთი შენიშვნა ართავს: რომელიმე წიგნთაგან აღმოვიკითხეთ და რომელიმე მამათაგან სმუხილ იყო საქმეთათჳს მათა და აღუწერეთ ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდათა მათ მამათაჲ; აქედან ცხადია, რომ ცხოვრება წმიდათა მათ მამათა, ესე იგი იოანე ზედაზნელის და მისი მოწაფეებისა აღუწერია ერთს ავტორს, რომელსაც ზოგი რამ წიგნთაგან ამოუკითხავს (იგულისხმება მანემდის არსებული ძველი ცხოვრება მათი, კათოლიკოზ არსენის მიერ შეთხზული) მათ შესახებ და ზოგი მამათაგან გაუგონია. ვინაიდან მას ზეპირთქმულებითაც უხელმძღვანელებია, ამიტომ მის თქმულებაში ცოტა რამ განსხვავებაც არის; მაგალითად, იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში ნათქვამია, რომ იოანემ თვითონ განიზრახა უცხოთა ქუეყანათა მიმართ წარსდგაჲ (გვ. 197), ხოლო შიოს ცხოვრებით მან ზეგარდაშო მოიღო ბრძანება ამის შესახებ (გვ. 223). იოანეს ცხოვრებით, ქართლში მოსლვის შემდეგ ზედაზნის მთა მისდა სამოღვაწოდ მას ღმერთმან უჩუენა (გვ. 198, 199), ხოლო შიოს ცხოვრებით — კათოლიკოზმა და მეფემ. იოანეს ცხოვრებით იოანემ თვითონ წამოიყვანა თავისი მოწაფეები (გვ. 197—198), ხოლო შიოს ცხოვრებით — იმან მიიღო ათორმეტი ქარტა, რომელსა ეწერა ათორმეტისა მათა სახელი, რომელნი იგი უფალმან გამოირჩიენა (გვ. 224).

1) სიძე. ნუბ. ხელნ. № 170, გვ. 232.

ვინ იყო ის მეტაფრასტი, რომელსაც დაუწერია იოანე ზედაზნელის, შიო მღვიმელის, ისე წილკნელის და აბიბო ნეკრესელის ცხოვრება? შიოს ცხოვრებას ასეთი წარწერა აქვს: აღწერა ღირსმან მარტოვრი, შირველ რომეჯსა ეწოდა იოანე, რომელი იყო მოწაფეთაგან წმიდისა იოანესთა, კონსტანტინეპოლელი; ეს წარწერა ფსევდოეპიგრაფიულია: 1) ჩვენ დანამდვლებითი არ ვიცით, რომ იოანე ზედაზნელს ჰყავდა მოწაფე იოანე, ეს შეიძლება მხოლოდ ვიფიქროთ შიოს ცხოვრების იმ ადგილის მიხედვით, სადაც ჩამოთვლილია ქარტაზე აღწერილი სახელები იოანეს მოწაფეთა (გვ. 224); ასეთი მოწაფე კიდევაც რომ ჰყოლოდა მას, ის კონსტანტინოპოლელი ვერ იქნებოდა, ვინაიდან ყველა მისი მოწაფე ან შუამდინარელი იყო, ანდა ქართველი. 2) ჩვენამდე შენახული ცხოვრება შიოსი მისი თანამედროვის, იოანე ზედაზნელის მოწაფის მიერ, აღწერილი ვერ იქნება, ვინაიდან ის, როგორც ვამბობთ, მეტაფრასტული რედაქციისა; ამიტომ, თუ შემომოყვანილს წარწერაში რაიმე სინამდვილის ნატამალაა, ეს ის, რომ მეტაფრასტს ხელთა ჰქონია შიოს შესახებ ცნობები ვიღაც იოანესი, რომელიც მას ზედაზნელის მოწაფედ გაუხდია და როპლის სახელი მერე ვიღაცას მის ნაწარმოებისათვის წარუწერია. იოანე ზედაზნელის ცხოვრებას ასეთი წარწერა აქვს: განახლა და განაგრძო წმიდამან მამამან ჩუენმან ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზმან არსენი, ხოლო აბიბო ნეკრესელის ცხოვრებას აწერია: აქემული არსენი დიდისა, ქართლისა კათალიკოზისა. ამ წარწერათაც ფსევდოეპიგრაფიული ხასიათი ცხადია: მეტაფრასტულ რედაქციაზე გადმოუტანიათ სახელი მეათე საუკუნის კათალიკოზის არსენისა, რომელსაც დაუწერია ძველი რედაქცია ასურელ მამათა ცხოვრებისა, დედანი მეტაფრასტული რეცენზიისა. ასე რომ საკითხი ამ რეცენზიის ავტორის შესახებ ჯერჯერობით უნდა ღიად დარჩეს. ვიცით მხოლოდ, რომ იოანე ზედაზნელის ცხოვრება მას დაუწერია ამ წმიდა მამის მონასტრის წინამძღვრის მიქაელის თხოვნით, რომელსაც მისთვის მიუძღვნია აჰასთანავე ქარტა წულიფი, იოანეს საქმეთა მომთხრობი; ავტორს უსარგებლნია ამ ქარტით და ზოგი რამ გამოუკითხავს კიდევ ზეპირად მკოდნე პირთათვის.¹ ენის მიხედვით ეს ცხოვრებანი უნდა ჩათვალოს უადრეს ნაწარმოებად მეტაფრასტულ პერიოდში, არაუგვიანეს მეთორმეტე საუკუნის პირველი ნახევრისა; ყველაზე ნაკლებად გადაკეთებულია აბიბო ნეკრესელის ცხოვრება: მას მეტი არქაული ელფერი შერჩენია სხვებთან შედარებით.

1) ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული სისტორია მწერლობა, გვ. 7, გამოც. 2.

მარტვილობა დავით და კონსტანტინესი.¹ დავით და კონსტანტინე, არგვეთის მთავარნი, ეწამნენ არაბთა მეორედ შემოსევისას (737—741 წ.), დასაბამთგნ წყლთა ექუსი ათას ორას ოცმოცდა ცხრასა, მეფობასა ბერძნთა ზედა ღეონ ისაგროსა ხატამბძოლასასა (გვ. 330), არაბთა ლაშქრის სარდლის მურვან ყრუას მიერ. მათი ღვაწლი და მოთმინება ძველადაც ყოფილა აღწერილი, ეს ჰაგიოგრაფის შემდეგი სიტყვებიდ ნა ჩანს: ვითარცა გსწავიკეს ესე ძეგლთა უწყებათაგან, იყვნეს წმიდნი ესე მოწამენი სანახებისაგან არგუეთისაჲ (გვ. 324). „ძუელნი უწყებანი“ საისტორიო თხზულებას არ უნდა ჰკულისხმობდეს, ვინაიდან დავით და კონსტანტინეს არ იხსენიებს არც ერთი ქართველი არაბთა შემოსევის ისტორიკოსი, არც ჯუანშერი და არც სუმბატი. მაშასადამე, ავტორს მხედველობაში აქვს ძველი რედაქცია დავით და კონსტანტინეს მარტვილობა-სა, რომელიც ჩვენამდე არ შენახულა და რომელიც მას გამოუყენებია თავისი მეტაფრასტული შრომის შედგენისას. ავტორს ხელთა ჰქონია კიდევ წარტუენფაჲ იერუსალიმისაჲ (გვ. 323) ანტიოქე სტრატეგისა, რომელიც მეათე საუკუნეშია ნათარგმნი, და ჯუანშერის საისტორიო თხზულება, საიდანაც მას ამოჴლია მოთხრობა მურვან ყრუას შემოსევის შესახებ ყველა მისი დეტალებით. ხელთა ჰქონია მას აგრეთვე ერთი იმ ანტიმამაღლიანურ-პოლემიკურ თხზულება: ავანი, რომელნიც არსენ ვაჩესძის დოღმატიკონშია მოთავსებული. ამისდა მიხედვით შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მას თავისი შრომა დაუწერია არაუადრეს მეთორმეტე საუკუნის პირველი ნახევრისა.

მარტვილობა რაჟდენ პირველმოწამისა. რაჟდენი, სპარსელი, რომელიც მოვიდა ქართლში ვახტანგ გორგასლანის დროს, აწამეს სპარსელებმა ქრისტიანობის მიღებისათვის. მისი მარტვილობა გამოცემულია მ. საბინინის მიერ² და თარგმნილია ლათინურად P. Peeters-ისგან.³ როგორც ამ მარტვილობიდანა ჩანს, რაჟდენის სიმზნე და მოთმინება ძველად აღწერილი არ ყოფილა, ამიტომ ავტორს ძველი მასალა კი არ გადაუკეთებია, სულ ახალი შრომა დაუწერია. ვინაიდან მ.ს.ს. დროს ჩვენში ფეხგადგმული ყოფილა მეტაფრასტული მწერლობა, თავისი შრომა მას მეტაფრასტული გეგმით დაუწერია; იმაში მეტი ადგილი დათმობილი აქვს ენაწყლიანობას, შედარებებს, პექრობას; გრძელი შესავალი,

¹) ს.ქ. ს.ს.ს. დროს, გვ. 323—330.

²) ს.ქ. ს.ს.ს. დროს, გვ. 169—180.

³) *Analecta Bollandiana*, t. XXXIII, p. 294—317.

პათოსური ადგილები და მოთხრობის თემიდან გადახვევ-გადმობხვევა დამახასიათებელი თვისებაა მისი, როგორც ყველა მეტაფრასტული ნაწარმოეცისა. ავტორს ხელთა ჰქონია პირველი კრებული ჩვენი მატია-ნეებისა—ცხოვრებანი ქართველთანი (გვ. 178), რომელსაც ის აგრეთვე ძველ მატიაწეს ეძახის (გვ. 171); აქედან მას ამოუღია უმთავრესი ფაქტები ეახტანგ გორგასლანისა და სპარსელების ურთიერთშორის დამოკიდებულებისა, რომელმაც იმსხვერპლა წმ. რაედენი. ხელთა ჰქონია მას აგრეთვე დავით და კონსტანტინეს ახოვნება ანუ მარტვილობაც (გვ. 171); მაშასადამე, თხზულება დაწერილია არაუადრეს მეთორმეტე საუკუნის მეორე ნახევრისა.

წამება არჩილ მეფისა. როდესაც ლეონტი მროველის ლიტერატურულ მოღვაწეობას ვითვალისწინებდით, აღენიშნეთ, რომ მას, სხვათა შორის, დაუწერია წამება წმიდისა და დიდებულისა მარქარსისა არჩილისი.¹ ეს არის სულ მცირედ დაწერილი (გვ. 215) თხრობა, რომელიც მერე ვილაც ჰაგიოგრაფს გაუვრცელებია და გაუმშეენებია; ამ გადაკეთებულს ან გადამეტაფრატებულს რედაქციას, რომელიც გამოცემულია მ. ჯანაშვილის მიერ,² ეწოდება შქსხმაჲ და წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა მარქარსისა არჩილისის, მეფისა მის ქართველთაჲს, რომელი იყო ნათესავი და ტომი სუასროვანთა სპარსთა მეფისა და იწამა ქართლს მისა ჭკუემ მძღვარის მიერ, რომელსა ეწოდა ასიმ. შესხმა იწყება ვრცელი შესავალით, რომელიც შედგენილია ჩვეულებრივი ჰაგიოგრაფიული შაბლონით, კერძოდ, ექვთიმე ათონელის მიერ ნათარგმნის, მაქსიმე აღმსარებელის ცხოვრების შესავლის ზეგავლენით; აქ ავტორი გვაწვდის ისტორიულ-ლიტერატურულ ცნობას არჩილის ცხოვრების შესახებ: მისი აზრით არჩილის ვრცელი ცხოვრება აუწერია მის თანამედროვე ლეონტი მროველს, მაგრამ ეს შრომა ჟამისა მოშორებითა დაკარგულა და ეხლა გვაქვს მხოლოდ ის, რაც ქართველთა ცხოვრებაში შენახულა სულ მცირედ დაწერილი (გვ. 258). ეს, რასაკვირველია, სიმართლეს არ შეესაბამება; ჩვენ ვიცით, რომ ლეონტი მროველი არ ყოფილა არჩილის თანამედროვე და მას იმის მტკი, რაც ქართველთა ცხოვრებაშია, არაფერი არჩილის შესახებ არ დაუწერია. მერე ავტორი იწყებს არჩილის ისტორიას, რომელსაც ის სწყვეტს შენიშვნით მისი მოწამეობრივი ღვაწლის სილიადის შესახებ: არა სადა სმინიდ არს თვთმჟერობედთა მეფეთა მარქარსაჲს, სხუაჲ

1) ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 211—215.

2) ქართული მწერლობა. I, 253—292.

არს სასხლი შეფასა და სხუაჲ მთაწრისა და სხუაჲ მონისაო (გვ. 260—261). პირველი ნაწილი არჩილის ისტორიისა შედგენილია დავით და კონსტანტინეს ცხოვრების მიხედვით (გვ. 262—266), აქ თითქმის სიტყვა-სიტყვით გამეორებულია მურვან ყრუს საქართველოში მოსლვის შესახებ ყველაფერი ის, რაც დავით და კონსტანტინეს ცხოვრებაშია მოთხრობილი; მურვან ყრუ აქაც მაჰმადის დასწულადაა გამოყვანილი, როგორც დავით და კონსტანტინეს ცხოვრებაში. ამის შემდეგ მოყვანილია თითქმის უცვლელად ლეიანტი მროველის მიერ აღწერილი ცხოვრება, ანჩისა (გვ. 266—290). ისტორია თავდება მოკლე დარიგებით ვნატრიდეთ გვირგვინისანი მეფის ღვაწლს და ვბაძვედეთ მას (გვ. 290 - 292). ასეთია შემადგენლობა ამ თხზულებისა; იეტორი მისი არ ჩანს, ის ნხოლოდ შენიშნავს: ვიკადრე მკნა უნდთმან და გლახკაჲ. აჲან აღწერად მისიჲს ძაღისაჲბრ ჩემისაო (გვ. 258). თხზულება დაწერილი უნდა იყოს მეტორმეტე საუკუნეში, უფრო მის მეორე ნახევარში, როდესაც საქართველო გადაქმული იყო ორ ზღვათა შორის; თანამედროვე სურათი საქართველოსა ჰაგიოგრაფს გადააქვს არჩილის მეფობაში, როდესაც ამბობს: ეჲურა მას საზღუარნი ეოჯღისა საქართველოჲსანი ანკოფსით ვიდრე დარჲანდამდეო (გვ. 259). ენა ნაწარმოებისა არის უბრალო და მარტივი, ყოველ შემთხვევაში აქ ჩვენ ვერ ვხედავთ ხელოვნურ სქოლასტიკურ ნორმებს პეტრიწანული სკოლისას, რომელთაც ასეთი გასავალი ჰქონდათ განსაკუთრებით მეტაფრასტულ ჰაგიოგრაფიაში.

ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა. ძველი რედაქცია სერაპიონის ცხოვრებისა, რომელიც დაწერილი ყოფილა ბასილ ზარზმელის მიერ მეათე საუკუნის პირველ ნახევარში, ჩვენ უკვე განვიხილეთ; ეს ძველი რედაქცია მერე გადაუკეთებიათ და ეს გადაკეთებული რედაქცია, რომელიც ჩვენამდე შენახულა, დღეს გამოცემულია.¹ მეტაფრასტის ვინაობისა და დროის შესახებ ჩვენ არა ვიცით რა; ჩანს, ძველი ცხოვრების ფაქტიური მხარისათვის მას ხელი მაინცადამაინც არ უხლია, ამით აიხსნება, რომ ის ადგილები, რომელნიც ბასილს პირველი პირით ჰქონდა მოთხრობილი სერაპიონის თანამგზავრთა და თანამოღვაწეთაგან, მეტაფრასტსაც უცვლელად პირველი პირით გადმოუცია. რასაკვირველია, ძნელია თქმა იმისა, რა ეკუთვნის მას ამ ცხოვრებაში, როდესაც ძველი რედაქცია არ შენახულა ჩვენამდე, მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ შესავალი ცხოვრებისა (გვ. 1—4) მისი შეთხზულია.

¹) მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, II, 1—46.

ჩამოთვლილთ გარდა ჩვენ გვაქვს კიდევ ორი მეტაფრასტული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები, რომელიც ჩვენ მიერ განხილულია უკვე; ერთია წმიდა ნინოს ცხოვრება, რომელიც არსენ ბერს დაუწერია, და მეორე—ილარიონ ქართველისა, რომელიც თეოფილე ხუცესმონაზონს უნდა ეკუთნოდეს.¹

ასეთია ისტორია ქართული მეტაფრასტული ჰაგიოგრაფიისა, რომელიც მეთორმეტე საუკუნეში დამთავრებულა; საერთოდ კი ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობა, იგულისხმება ორიგინალური, მერეც არ შეწყვეტილა. მაგალითად, მეცამეტე საუკუნის გასულს ან მეთოთხმეტის დამდეგს დაწერილი უნდა იყოს ცხარებაჲ წმადისა ლუკა იერუსალიმელის:ჲ, რომელიც შენახულა სვინაქსარული სახით გიორგი მთაწმიდელის დიდი სვინაქსარის იერუსალიმის ნუსხაში № 104.² ლუკა იყო ქართველი, შვილი მუხა აბაშიძისა; ქმრის გარდაცვალების შემდეგ ლუკას დედას მიუტოვებია შვილები და იერუსალიმს წასულა, სადაც ის მოლოჩნად აღკვეცილა და, ალბად, ერთერთ იქაულ ქართულ დედათა მონასტერში ძოღვაწეობა დაუწყია. ოცი წლის რომ შეიქმნა, ლუკამ მიატოვა ძქვები და მამული თვისი და იერუსალიმს წავიდა წმიდა ადგილთა მოსალოკავად და დედის სანახავად. ისიც აქ დარჩა, ბერად აღიკვეცა და დიაკვნადაც ეკურთხა; მან შეისწავლა არაბული ენა. როდესაც ყველასათვის ცხადი შეიქმნა მისი ღრეკრძოჲჲ სიბრძნე და სიწმიდე, ის არჩიეს ჯუარის მონასტრის წინამძღვრის თანამდებობაზე, რომელსაც ის ასრულებდა სამი წლის განმავლობაში. ამ დროს გამოჩნდა აქ ერთი უკეთური სპარსი, რომელსაც შეხკიდა რ ეწოდებოდა და დიდი გავლენა ჰქონდა სულთან ფუნდუხ ან ფუნდრუხტანზე; სულთანისაგან მან გამოითხოვა ჯუარის მონასტერი და, რაც კი ებადათ ძმებს, ყველაფერი ჩამოართვა მათ და მერე მონასტრიდან გააძევა. ლუკა, როგორც წინამძღუარი, წავიდა სულთანთან საჩივრელად და საშუამდგომლოდ. ქრისტეანებმა უთხრეს მას, რომ შეხკიდარს შენი მოკვლა განუზრახავს და ამიტომ გააქეცი და დაიმალეო. ლუკამ არამც თუ ყურადღება არ მიაქცია ამ გაფრთხილებას, პირიქით მივიდა შეხკიდართან და უთხრა რათა განუტეოს ძმანი და შასკან ითხოვდეს რაჲც უნებს. შეხკიდარმა მას მოსთხოვა

¹) ქ. კეკელიძე, ნაწარმოები ქართული ჰაგიოგრაფიის ისტორიიდან, ტფილ. უნივერსიტ. მოამბე I, 62-57.

²) ჩვენ ხელთა გვქონდა ვინსენსულის დ. ყიფშიძის ნუსხა, ვადმოლებული ნ. მარტარის ნუსხიდან.

ქრისტიანობის დათმობა და მაჰმადიანობის მიღება, რისთვისაც აღუთქვა მას ამირობა და ტახტის თავადობა, ესე იგი სასახლის გამგეობა. ლუკამ, რასაკვირველია, უარი თქვა, ამისათვის შეხკიდარმა მას თავი წარჰკვეთა და გუამი მისი ცეცხლში დაწუა. ლუკა ეწამა 27 ივნისს სულტანობას ფუნდრუხტანის ან ფუნდრუხტისასა, რომელიც ცნობილია ზახირ-რუენედინ—ბეიბარს—ბუნდუკდარის სახელით და სულტანობდა 1260—1277 წლებში.

ეს ცხოვრება, რომელიც, ალბად, დაწერილია იქვე ჯუარის მონასტერში, საყურადღებოა ქართველთა სამონასტრო ახალშენის ისტორიისათვის პალესტინაში და საზოგადოდ პალესტინოლოგიისათვის. კერძოდ საინტერესოა ცნობა იმის შესახებ, რომ მეცამეტე საუკუნეში ჯუარის მონასტერი ქართველებისათვის წაურთმევეიათ მამლიუკებს, რასაც ამოწმებენ არაბ-ისტორიკოსებიც, როგორც, მაგალითად, იბნ-კესირი († 1373 წ.); ეს მონასტერი მერე უკანვე დაუბრუნებია მეფეთა-მეფე დავით მეექვსეს (1292—1310 წ.), როგორც ესა ჩანს ჯუარის მონასტრის აღაპების ხელნაწერში № 288, სადაც ნათქვამია: ამავე დღეს წირვამ და ალაჟი საუკუნომ დავით მეფეთა მეფისა და შეთრედ აღმაშენებელისა წმიდის ამის მონასტრისა, რომელმან საკინოზთაგან წარტყევენული მონასტერი და ეკლესია, მიზგითად შეტვალებული, ეკლესიადვე სალოცველად შეტვალა და კუალად აგო ჩათესაგას ქართველთასა.¹ ხასიათი სვინაქსარული რედაქციისა გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველად არსებობდა ვრცელი ცხოვრება ლუკასი, რომელიც ან დაიკარგა, ან ჯერ აღმოჩენილი არაა; ეს ვრცელი ცხოვრება შეუმოკლებიათ და შეუტანიათ გიორგი მთაწმიდელის დიდს სვინაქსარში მსგავსად სხვა ქართველი წმიდანების ხსენებისა.

მეთოთხმეტე საუკუნეში უნდა იყოს დაწერილი ცხოვრება წმიდის ნიკოლოზ დვალისა, რომელიც სვინაქსარული რედაქციით შენახულა უკვე დასახელებულს იერუსალიმის ხელნაწერში № 104.¹ ნიკოლოზი იყო დვალი, ესე იგი დვალეთიდან, სოფელასგან, რომელსა ეწოდების წაჟ. 12 წლის ის მონაზუნად აღიკვეცა და მცირედსა ხანსა კლარჯეთის უღაბნოებში მოღვაწეობდა; აქედან ის წავიდა იერუსალიმს და დამეკვიდრა ჯუარის მონასტერში. ვინაიდან მას სურვილი ჰქონდა ქრისტესთვის

¹) Н. Марри, Синодикъ Крестнаго монастыря въ Иерусалимѣ (Bibliotheca Armeno-Georgica III, стр. 72, № 288, Петер. 1914).

²) ვისარგებლეთ დ. ყიფშიძისავე ნუსხით.

მოწამებობისა, ჰაგა თარგმანი სპარსი ენაზე კაცი და მოტყუებითა უადისსა მი-
 იუგანა: აქ მან აღიარა ქრისტე და დაგმო მაჰმადიანობა, რისთვისაც ის
 დაატუსაღეს. მისდა უნებურად მონასტრის ძმებმა ის გამოიხსნეს და კვი-
 პროსის კუნძულზე წარგზავნეს. კვიპროსზე ის კარგა ხანს დარჩა, აქე-
 დან განიზრახა ათონზე წასლვა, მაგრამ ჩვენებით ბრძანება მოიღო
 იერუსალიმს წასულიყო და ერთ ქართველ ბერს დამოწათებოდა. ნიკო-
 ლოზი ასეც მოიქცა, მოვიდა იერუსალიმს, მოძებნა ის ბერი, რომელ-
 მაც რამდენიმე ხნის შემდეგ ის დამასკოს წარგზავნა, რათა ღირს იქმნეს
 სწავლელსა მასსა, სიკუდილსა ქრისტესთვის. დამასკოში მან აღიარა ქრის-
 ტე და დაგმო მაჰმადიანობა, რისთვისაც მას ჯერ სცემეს და მერე სა-
 პურობილეში ამოაყოფინეს თავი. აქაურმა ქრისტიანებმა ის გაანთავი-
 სუფულეს და იერუსალიმში უპირობდენ წარმოგზავნას, მაგრამ ნიკოლოზ-
 მა ხელმეორედ აღიარა საჯაროდ ქრისტე და შეურაცხყო მაჰმადიანო-
 ბა; ამისთვის მას ხუთასი შოლტი დაარტყეს და საპურობილე მიუსაჯეს,
 რომელშიაც ორი თვე დაყო. ქრისტიანებმა კიდევ გაანთავისუფლეს ის
 და იერუსალიმში უპირობდენ გაგზავნას, მაგრამ ამ დროს აქ დაემთხვია
 ქალაქის ამირა, რომელმაც იცნო ნიკოლოზი; მან შეიპყრო ის და გაუ-
 გზავნა ამირათა აპირას დენ გიზს, რომელმაც მოინდომა მისი გამაჰმა-
 დიანება. ვინაიდან ნიკოლოზმა ურჩობა გაუწია, მას თავი მოჰკვეთეს
 და გუამი მისი ცეცხლითა დასწულეს. ეწამა ნიკოლოზი ოქტომბერსა 19,
 დღესა სამშაბათსა, ქორონიკონსა ორსა, და წმიდათა მოწამეთა თანა
 შეირაცხა. მისი ცხოვრება, მართალია, ჩვენამდე შენახულა მოკლე, სვინა-
 ქსარული რედაქციით, მაგრამ მაინც დიდად საყურადღებოა იმ მხრივ,
 რომ გვიხატავს ნამდვილს, რეალურ სურათს ქართველთა მდგომარეო-
 ბისას აღმოსავლეთში მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეში. ნიკოლოზის
 სოფელს ერქვა წაჰ; მართალია, თერგის ოლქში ცნობილია ზემო და
 ქვემო წეი, მაგრამ საეკვოა აქ თერგის ოლქი იგულისხმებოდეს, მით
 უმეტეს. რომ ნიკოლოზი იყო დვალი, ესე იგი დვალეთიდან, ან ჯა-
 ვის ხეობის, დიდი ლიახვის, ოსეთიდან, ცხინვალს ზევით; შეიძლება,
 წაჰ შენახულიყოს ეხლანდელს წაჩა-ში, რომელიც ჯავის ხეობაში მდე-
 ბარეობს. ყოველ შემთხვევაში, ეს ძეგლი საინტერესოა მით, რომ ცნო-
 ბებს გვაწვდის ოსების ქრისტიანიზაციისა და ქართიზაციის შესახებ. ნი-
 კოლოზი იერუსალიმიდან გაუგზავნიათ კვიპროსის კუნძულზე, აღბად,
 იმიტომ, რომ ქართველთა მონასტერი ამ კუნძულზე, რომელიც მოხსე-
 ნებულია ჩვენს მატრიანეში და რომლის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა

საუბარია, მაშინაც იყო; იქ ეწამა ნიკოლოზი ქორანჯანსა ორსა, რასაკვირველია, მეთოთხმეტე მოქცევისას, ესე იგი 1314 წელს, როდესაც დამასკოს ამირათა ამირად ყოფილა დენგიზ ან დანგიზი; ეს არის არაბ-ისტორიკოსების მიერ ხშირად მოხსენებული ტენკიზი, რომელიც იყო მამლიუკთა სულტანის ალ-მელიქ-ან-ნასირ-მუჰამედ-იბნ-კალაუნის¹ მოადგილე სირიაში და გარდაიცვალა 1340 წელს; ის პართლაც ცნობილია არა მარტო აღმშენებლობითი და რესტავრაციული მოქმედებით სირია-პალესტინაში, არამედ ქრისტიანთა მიმართ სიძულვილითაც.

უკანასკნელს საფეხურს ქართულ ჰაგიოგრაფიის ისტორიაში მეთვრამეტე საუკუნე წარმოადგენს; ამ საუკუნეში ბესარიონ კათოლიკოს დაუწერია ქართველთ წმიდათა მოახრობა ისტორია, რომელიც ჩვენამდე აშენახულა; მერე ანტონ კათოლიკოსს დაუწერია ცხოვრება ნეოფიტე ურბნელისა, წამება ქეთევან დედოფლისა და ლუარსაბ მევისა და აგრეთვე მარტირიკა, რომელიც შეიცავს მოკლედ ღვაწლსა და ცხოვრებას 19 ქართველ წმიდანებისას.

§ 7. ასკეტიკა.

ასკეტიკური მწერლობა მეთვრამეტე საუკუნემდე ჩვენში. — ბატრიკები და აპოთოფეგები. — ქართული ასკეტიკა XI—XIII და XVIII ს. — მისი ხასიათი.

სამონასტრო ცხოვრების განვითარებამ ხელი შეუწყო ეგრედწოდებულის ასკეტიკური მწერლობის წარმოშობას. როგორც თვით სამონასტრო ორგანიზაცია, ისე ასკეტიკური მწერლობა ეგვიპტეში ჩაისახა და განვითარდა, აქედან ის სხვა ქვეყნებშიაც გადავიდა. საქართველოში სამონასტრო ცხოვრება იწყება ათცამეტ ასურელ მამათა მოსლვის შემდეგ მეექვსე საუკუნის გასლვიდან. მეცხრე-მეთვრამეტე საუკუნეში ასკეტიზმი საქართველოში ძალზე განვითარდა, ეს საუკუნეები იყო ჩვენში ბერძონაზონთა შეუზღუდველი და შეუკავებელი ბატონობისა ცხოვრების ყოველ დარგში და სფეროში. სამონასტრო ცხოვრების განვითარებამ საქართველოში შექმნა ასკეტიკურ-მისტიკური მწერლობა, რომელიც, რა-

¹) 1293—1341 წლებში, Чоуиъ-Пуль, Мусульманскія династіи, перев. Бартольд, стр. 63.

საკვირველია, ჯერჯერობით ნათარგმნი იყო. მართალია, პირველი ორი პერიოდიდან ჩვენამდე ბევრი ლიტერატურული ძეგლი არ შენახულა, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ უკვე მეთათე საუკუნემდე ასკეტიკურ-მისტიკური მწერლობა საკმაოდ დამუშავებული ყოფილა ჩვენში. ამ დროს ნათარგმნი ასკეტიკურ-მისტიკურ თხზულებათაგან ზოგი ისეთია, რომელნიც და რომელთა ავტორი მწერლობის ისტორიაში ცნობილნი არ არიან. ასეთებია: 1) მარტვრი მონაზონი საბაწმიდელი, რომლის თხზულებათაგან ქართულად შენახულა სინანულისათჳს და სიმდაბლსა;¹ ჩვენ არ ვიცით, ვინ იყო ან როდის ცხოვრობდა მარტვრი მონაზონი და შეიძლება ამით აიხსნება ქართულ ხელნაწერთა გადმოცემა, თითქოს მარტვირი საბაწმიდელი იყო ქართველი;² ცნის მიხედვით დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ თხზულებაში ჩვენ გვაქვს ერთი უძველესი თარგმანი. 2) სტეფანე მძოვარი და 3) წმიდა პიმენი, რომელთა სწავლანა შენახულა სინას მთის 979 წლის ხელნაწერში № 81. 4) საპაკე მონაზონი, რომლის ერთი თქუმული შენახულა სიძვ. მუხ. № 56, 280—272; ვინც უნდა იყოს ეს საპაკე მონაზონი, ისავე ასურელია (VII ს.) ის თუ ანტიოქელი († 460 წ.), ან სულ სხვა ვინმე, — ყოველ შემთხვევაში, როგორცა ჩანს სახელისაგან, საპაკე, ეს თხზულება, შეიძლება, სომხურიდანაც იყოს ნათარგმნი. 5) აბრაჰამ მონაზონი; სინას მთის X—XI საუკ. ხელნაწერში № 80 მოთავსებულია, სხვათა შორის, ამ აბრაჰამის სწავლანი, მაგრამ რამდენი — არ ვიცით; ერთი მისი თქუმული მოთავსებულია სიძვ. მუხ. ხელ. № 56, 443—4.

საკმაოდ შენახულა ამ ორ პერიოდიდან ცნობილ ასკეტთა და მისტიკოსთა თხზულებანიც, რომელთაგან ჩვენთვის ხელმისაწვდომი წყაროების მიხედვით შეგვიძლია დავასახელოთ შემდეგნი: 1) ანტონი დიდი († 356 წ.), შემომღებელი ეგრედწოდებული დაყუდებითი, ან განშორებითი, მწირული მოღვაწეობისა; ანტონისაგან დარჩენილა, სხვათა შორის, შვიდი ეპისტოლე,³ რომელიც მას მიუწერია ეგვიპტის სხვადასხვა მონასტერთათვის. დაწერილია ისინი კოპტურს ენაზე, საიდანაც მერე სხვა ენებზედაც უთარგმნიათ. კოპტურ ენაზე ეხლა ცნობილია მხოლოდ მეოთხე ეპისტოლე, ბოლო მესამისა და დასაწყისი მეხუთასა, აგრეთვე მეშვიდე. უძველესი თარგმანი შეიღვე ეპისტოლეთა შენახულა

¹) სიძვ. მუხ. № 56, 239—280, სინას მთის ხელ. № 36—84, ფ. 89—103.

²) სიძვ. მუხ. № 625, ფ. 10.

³) Migne, P. I. 40. col. 977—1000.

ლათინურ ენაზე. ქართულად ანტონის ეპისტოლეები უთარგმნიათ ძველადვე, იმათ ჩვენ ვხვდებით, რიცხვით შვიდს, არც მეტს, არც ნაკლებს. სინას მთის X—XI ს. ხელნაწ. № 80. ამას გარდა ანტონისაგან დარჩენილია ქართულად აუარებელი აფორიზმები და დარიგებანი, რომელნიც შესულან საგანგებო ასკეტიკურ კრებულებში; მათ შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

2) ამბა ამონა, 3) მარკოზ მონაზონი ან განდევილი, 4) არსე ჰრომაელი, 5) სვიმეონ მესვეტე,¹ 6) იოანე მოსხი, რომლის თხზულებას — *Λεμάν ρεσπ. Παράδεισος*, ქართულად ეწოდება სამოთხე; 7) იოანე სინელი, რომლის *Κλημάς*-ი, ქართულად კიბე. ხუთჯერ ყოფილა ქართულად თარგმნილი (ექვთიმე ათონელს დროზე, ექვთიმე ათონელის, იოანე პეტრიწის, პეტრე გელათელის და ანტონ კათოლიკოზის მიერ); 8) მაკარი მეგვიპტელი, რომლის ორი ეპისტოლე და 28 სწავლანი² უთარგმნია ექვთიმე ათონელს;³ 9) ეფრემ ასური, რომლის თხზულებანი ძველად, მეათე საუკუნემდე, ორჯგუფად უთარგმნიათ: ერთი შეიცავს 16 თავს,⁴ მეორე — 25-ს;⁵ მერე, მეათე საუკუნიდან, მისი თხზულებანი, როგორც დავინახეთ, უთარგმნიათ ექვთიმე ათონელს და ეფრემ მცირეს.

მეათე საუკუნემდევე უთარგმნიათ ქართულად საგანგებო კრებულები ასკეტიკურ-მისტიკური ხასიათის აფორიზმებისა და სენტენციებისა, რომელთაც ეწოდებათ *Ἀνθράν αγίαν Βίβλος* და *Ἀποφθέγματα τῶν ἁγίων γερμανῶν*. ბავშვები სწავლობენ უფროსებისაგან, კაცობრიობა აწინდელი დროისა სწავლობს წარსულისაგან, — ისტრიისაგან; ამისათვის ის მუდამ ცდილობდა შეენახა ნაყოფი თავისი გამოცდილებისა, რა სახითა და ფორმითაც უნდა ყოფილიყო ის. მაგრამ ლიტერატურულ ფორმათაგან ამ გამოცდილების შესანახად ანდაზებსა და აფორიზმებს არც ერთი არ შეედრება. ამიტომ მოკლე და ჩამოსხმული თქმულებანი, ან უკეთ — ნაკვესები დიდი ადამიანებისა, მუდამ ავტორიტეტით იყო მოსილი, იმათ სერიოზულად ეპყრობოდენ, გულდადებით და ბეჯითად

¹) K. Kekelidze, Monumenta I. XLVI—XLVII, 228—230.

²) А. Пагарели, Свѣдѣнія I, 83—84, II, 35, თ. ყო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები I, 70 ქუთ. საისტ. ჰაეთნოგ. ხ.ხ. № 3.

³) ქართული თარგმანი ბერძნული ტექსტისაგან ვანსვავდება: ირ. О. Шуханиа, Мистика Макария Египетскаго. Киевъ, 1914 г.

⁴) ათონ. № 69, სინას მთის № 36—84, სიძვ. მუხ. №№ 56, 1179.

⁵) სინას მთის № 97—78.

სწავლობდნენ. შეიქმნა მთელი განძი ასეთი აფორიზმებისა, რომლებიც პირველხარისხით ინახებოდა საზოგადოებაში და მერე ჩაიწერა კიდევაც ამ განძიდან. ამ წყაროდან. ყველა იღებდა იმას, რაც მისთვის საჭირო იყო ამათუიმ შემთავებაში. აქვით წარმოდგა. მაგალითად, სხვადასხვა კრებულები ფილოსოფიური აზრებისა და სენტენციებისა. ამგვარისავე ხასიათისაა ასკეტიკური კრებული, რომელშიაც თავმოყრილია უძველესი დროის. არაფრგვიანეს მესხეთე საუკუნის. გამოჩენილ და სულიერ ცხოვრებაში გამოცდილ მოღვაწეთა თქმულებანი. სენტენციები, ნაკვესები და აფორიზმები ამ კრებულებს დიდი გასავალი ჰქონიათ ბერ-მონაზონთა წრეში, ისინი შეადგენდნენ დაუშრეტელ წყაროს მათი გონებრივი და ხნებრივი აღორძინებისა და წარმატებისას. ასეთი კრებული შეიკავეს ხშირად არა მარტო აფორიზმსა და ნაკვესს, არამედ მოკლე მოძღვრებას ამათუიმ ასკეტიკისას. ხანდიხან რჩეულ ასკეტთა მთლიან მსჯელობას ამათუიმ ხნებრივ თემაზე: ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენ აფორიზმს სრულიადაც ვერ ვაშჩნევთ, იმის მაგიერ ვაკითხულობთ ან ადგილისა და დროის აღწერილობას, სადაც და როდესაც წარმოთქმული იყო ესათუის აფორიზმი, ანადა მაიელს ხნებრივი ხასიათის მოთხრობასა და თქმულებას რომელიმე ასკეტის ღირსება-მოღვაწეობის შესახებ. ამნაირად, დასახელებულნი ნაწარმოებნი წარმოადგენენ არა მარტო აფორიზმთა კრებულს, არამედ ამ აფორიზმებისა და ამათუიმ ასკეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ თქმულება-მოთხრობებისას. ბერძნულსა და სხვა (ლათინურ, არაბულ, კოპტურ, სომხურ და სლავურ) ენებზე შენახულა ბევრისბევრი ასეთი კრებული; ბერძნულ-ლათინური ტექსტი რამდენიმე ასეთი კრებულისა გამოცემულია *Migne*-ს „პატროლოგიის“ 73 — 74 ტომში *Vitae Patrum*-ის სახელით. ტიპიურია აქ ის რედაქცია, რომელიც ბერძნულიდან ლათინურად უთარგმნიათ შექვესე საუკუნის პირველ მეოთხედში რომის დიაკონს პელაგის და კერძოდ დიაკონს იოანეს. ეს რედაქცია შედგენილია ბერძნულ ენაზე მესხეთე საუკუნის პირველ ნახევარში; შემდეგს საუკუნეებში ის თანდათანობით შეუფსიათ, ასე რომ მეცხრე საუკუნეში პატრიარქს ფოტის ხელში ჰქონია ეს კრებული შემდეგი სათაურით: *Ανθώνυ ζώνων βιβλίον*. ხასიათი და შექადგენლობა ამ კრებულისა ასეთია: ის ორ ნაწილად განიყოფება, პირველში წარმოდგენილია ანბანის რიგზე აფორიზმები ისეთი ასკეტებისა, რომელთა სახელებიც ნობილია, ეს ნაწილი 20 — 23 თავ-

ვადაა დაყოფილი, თვითეულს თავში ლაპარაკია ერთ რომელიმე ზნეობრივი ხასიათის საგანზე ან თემაზე, მაგალითად, სიუვარულზე, სინანულზე, ღეთისმოშიშეობაზე და სხვა. მეორე ნაწილი შეიცავს უსახელო ან ანონიმურ აფორიზმებს. თავისთავად საფიქრებელია, რომ ამ კრებულს, რომელიც ყველა ენაზე იყო ცნობილი და რომელსაც ჰყავდა ფართო წრე მკითხველებისა, ქართულადაც სთარგმნიდენ. მართლაც, ის სამჯერ, სამი სხვადასხვა რედაქციით, უთარგმნიათ ქართულად, ორი მათგანი ნაკლულევანადაა შენახული. პირველი რედაქცია, რომლიდანაც მხოლოდ ერთი საგო შენახულა, ნათარგმნია მეათე საუკუნეზე გაცილებით ადრე.¹ აქ ჩვენ გვაქვს მეორე თავი იმ თხზულებისა, რომელსაც სათაურად აქვს სწავლანი ანტონისა: „ჯდა ოდესმე წმიდა ანტონი უდაბნოსა გარე, ურვასა შეეარდა და მრავალსა სიბნელესა გულისსიტყუათასა, და იტყოდა ღმრთისა მიმართ“. მეორე რედაქცია ეკუთვნის ექვთიმე ათონელს და მეათე საუკუნის გასულს არის ნათარგმნი; ის შენახულა ერთადერთ ხელნაწერში (ს ი ძ ვ. მ უ ზ. № 35), რომელსაც მეორე ნახევარი მოგლეჯილი აქვს; ამისგამო აღნიშნული თხზულებიდან დარჩენილა მხოლოდ 13 თავი. დარჩენილი ნაწილიდანაც ვხედავთ, რომ ექვთიმეს ეს თხზულებაც ისე უთარგმნია, როგორც მრავალი სხვა: ის მას დედანთან შედარებით შეუმოკლებია, რის გამო იმაში უფრო ნაკლები რიცხვია როგორც მოღვაწე-მამებისა, ისე მათი თქმულება-აფორიზმებისა. მესამე რედაქცია ამ თხზულების ეკუთვნის თ ე ო ფ ი ლ ე ხ უ ც ე ს მ ო ნ ა ზ ო ნ ს² და წარწერილია ასე: წიგნი წმიდათა და ნეტართა მამათა ჩუქნთა ცხავრებისათჳს და მოქალაქობათა. ეს რედაქცია ამნაირად იწყება: „სიტყუაჲ შესავალი: რომელი იგი არს პირველითგან ღმრთისა თანა, ღმრთისა სიტყუაჲ (‘Ο ἁγ ἄρχ ῆ πρὸς Ἐδὸν Ἐδῆ; λῆγος); მაშასადამე, ეს არის პროლოგი ან შესავალი, რომელსაც მერე მიჰყვება 24 თავი; უკანასკნელი თავი შეიცავს კითხვა-მიგებას ახალგაზრდასა და თებელ ბერის შორის: ვითარ ჯერ არს მონაზონისა ვოფაჲ სენაკსა შინა? ამ ხელნაწერებში აღნიშნული თხზულება შენახულა, მაშასადამე; არა იმ სახით, როგორც მას იცნობდა პატრიარქი ფოტი,³ არამედ როგორც ის შენახულა მოსკოვის სინოდის წიგნთსაყვის ზოგიერთ ბერძნულ ხელნაწერში, მაგალითად № 163.⁴

¹) ს ი ძ ვ. მ უ ზ. № 95, 324—330, № 1147, ფ. 9.

²) ს ი ძ ვ. მ უ ზ. № 1143, 168, 169, 528.

³) Migne, PG. t. 103, col. 664—665.

⁴) Проф. И. Троицкий, Обзоръніе источниковъ начальной исторіи египетскаго шовшества, стр. 326—329, Сергіевъ-Посадъ, 1906 г.

პირველი ორი პერიოდიდან შენახულა ერთი ასკეტიკური კრებული, რომელიც Ἄνδρῶν ἄγίων βίβλος-ის თავისებურ რედაქციას წარმოადგენს. ეს კრებული მოთავსებულია ივერიის მონასტრის მეათე საუკუნის ხელნაწერში № 50¹ და ეწოდება: გამოკრებულები სადაჰთკე სიტუენი წმიდათა მამათანი. კრებული გაყოფილია 38 თავად, თვითნებულ თავში, — ზოგი მოკლეა, ზოგი მოზრდილი, — ლაპარაკია რაიმე ზნეობრივ თემაზე; მამათა რიცხვში მოხსენებულია იოანე ოქროპირი, ნილოსი, ანტონი, კლემასი, ეფრემი, პაფნუტი, მარტვირი, ამონა, გრიგოლ ღვთისმეტყველი. პახუმი, თეოდორე აბუკურა, მამა ილარიონ ჯუანშერი, ალბად — სხვაც მრავალნი. რომელთა სახელები მარტვის აღწერილობაში, რასაკვირველია, ყველა არ იქნება. აქ, ალბად, ჩვენ გვაქვს Ἄνδρῶν ἄγιων βίβλος-ის უვრცესი რედაქცია, რომელსაც პატრიარქი ფოტი „დიდს ლიმონარს“ უწოდებს (Ἰσὺ μαγεία καὶ ἀσκητική βίβλος) და რომლიდანაც, მისი აზრით, უნდა წარმოდგარიყოს Ἄνδρῶν ἄγιων βίβλος-ი, თუმცა პროფ. ტროიციკის აზრით „დიდი ლიმონარი“ პირიქით თვითონ წარმოიშვა მოკლე რედაქციებისაგან.²

მეხუთე საუკუნისგასულს კრებულიდან Ἄνδρῶν ἄγιων βίβλος ვილაც რედაქტორს ამოუღია ის აფორიზმები, რომელთა ავტორები ცნობილია და ანბანის რიგზე, თავებად დაუყოფელად, მოუთავსებია ცალკე კრებულში, რომელიც ცნობილია Ἀπαρτίσματα τῶν ἄγιων γερόντων ის სახელით (Migne, PG. t. 65). ამ კრებულში 130 ასკეტის სახელია მოყვანილი, თვითნებულ მათგანს მიეწერება 1—52 აფორიზმი, მხოლოდ ერთს, პიმენს, 127; სულ ამ კრებულში მოთავსებული აფორიზმების რიცხვი უდრის 945, თუმცა ყველა რედაქციაში ერთიდაიგივე რიცხვი არაა არც ასკეტებისა, არც მათი აფორიზმებისა. ზოგან გამოტოვებულია, ზოგან შიშვებული სახელი, ზოგან რამდენიმე აფორიზმი შეერთებულია, ზოგან ერთიდაიგივე აფორიზმი რამდენიმე აფორიზმადაა გაყოფილი. ეს თხზულებაც რამდენიმე რედაქციით ყოფილა ქართულად ნათარგმნი მეათე საუკუნემდე; ერთი რედაქცია მისი მოთავსებულია ნაკლულევენად სინას მთის X—XI ს. ორს ხელნაწერში.³ მეორე რედაქცია შენახულა ათონის ივერიის მონასტრის მე-XI ს. ხელნაწერში № 51.⁴ ათონის რედაქცია უფრო ვრცელია, ვიდრე სინას მთისა,

¹) Н. Марр, Агиографические материалы I, 9—15.

²) Обзорные источниковъ начальной истории египетскаго монашества, стр. 328—329.

³) № 76, 80, проф. А. Чагарели, Свѣдѣнія II, стр. 87—88, 90—91.

⁴) Н. Марр, Агиографические материалы I, 16—36.

რავდენადაც ეს შეიძლება გათვალისწინებულ იქმნეს არსებულს აღწერილობებით. ათონის რედაქცია ნ. მარას შეუდარებია ბერძნულ დედანთან და აღმოჩენილა, რომ ქართული რედაქცია, ბერძნულთან შედარებით, უფრო მოკლეა, მოღვაწე მამათა რიცხვი ქართულში ნაკლებია და თან მათი ჩამოთვლის რიგიც სხვაა, რაც ქართული ანბანის რიგზეა დამოკიდებული. რა ენიდანაა ნათარგმნი ეს თხუზულება ქართულად, საბოლოოდ ამას მარრი ვერ სჯრის, ფიქრობს მხოლოდ, რომ ის უნდა მოდიოდეს ასურული რედაქციიდან სომხურის საშუალებით და გზადაგზა ბერძნული გავლენაც უნდა განეცადოს.¹

პეათე საუკუნისავე წინანდელი დროიდან ქართულ ენაზე შენახულა კიდევ ერთი ასკეტიკური კრებული, რომელიც შეიცავს მოკლე მოთხრობებს ამათიმ მოღვაწეთა შესახებ. ეწოდება მას თხრობანი წმიდაა და ღმერთაშემოსიდაა მამათანი. აქში სულ 66 თხრობაა, 43 უსახელო და 23 წარწერილი, რომლებშიც მოხსენებული არიან: ბესარიონ და მისი მოწაფე, დანიელი (4 ჯერ), ანდრონიკე და მისი ცალი ათანასია; ევლოგი, მარკოზ მონაზონი, სოფრონი და იოსები, ანტონი (2 ჯერ), სერაპიონი, პიმენი (3 ჯერ). ზენონი, მაკარი (2 ჯერ), პეტლე წრფელი, სპირიდონი, მოსე, სარა, პაფნუტი, ფოკა და იაკობი. სისოი, ლოთი, კასიანე და არსენი. ეს კრებული მოგვავაგონებს *Patrum vitae*-ს იმ სერიას, რომელიც ცნობილია *Narrationes de Daniele Scetiosi*-ს სახელით.²

შესამე, ბიზანტიურს, პერიოდშიაც ბევრი უთარგმნიათ ასკეტიკურ-მისტიკური მწერლობის დარგში, განსაკუთრებით კი ექვთიმე ათონელს; ეს ასეც უნდა მომხდარიყო: ექვთიმეს შრომით და მეკადინეობით შეიქმნა ათონის ივერიის მონასტერი და იქ ჩამოყალიბდა ქართული საბერძნულ-ბერძნული ინსტიტუტი; ბერძნულ-მონაზონათვის კი აუცილებელ სულიერ საზრდოს შეადგენდა ასკეტიკურ-მისტიკური ლიტერატურა, რომლის გამდიდრებისათვის იმავე ექვთიმეს უნდა ეზრუნვა.

ექვთიმეს შემდეგ ამ დარგში უმუშავნიათ სტეფანე ათონელს, რომელსაც გადმოუთარგმნია იოანე ოქროპარის ერთი კრებული, რომელსაც „ფუტკარი“ წოდება, აგრეთვე თეოფილე ხუცესმონაზონს; მასგადა-მოუღია ერთერთი რედაქცია *Аѡѡрѡу ѡѡნიу ꙗꙗꙗ*-ისა და იოანე ოქ-

1) შემდეგ, მე-XIX ს. დასაწყის ან მე-XVIII სასულს, ამათვეგანე რუსულიდანაც უთარგმნიათ ქართველებს (А. Шаарели, Свѣдѣнія III, стр. 255, № 57.

2) К. Кекелидзе, Житіе Агапанагела, католикаса Ламаскаго. Христиан. Востокъ, т. IV, вып. 3, стр. 252.

როპირის „ასკეტიკონი“. „ასკეტიკონის“ სახელით ცნობილია ბასილი დიდის კრებულის, რომელიც ქართულად ორჯერ უთარგმნიათ მეთერთმეტე საუკუნეში: ვინმე პროკოპი მღვდელს და ეფრემ მკირეს. ეფრემ მკირეს, როგორც თავის ადგილას დავინახეთ, სხვაც უთარგმნია ამგვარი თხზულებანი. ეფრემ მკირის შემდეგ ქართულს ასკეტიკურ-მისტიკურ მწერლობას შეჰმატებია კიდევ დიადოხოს ფოტიკელის თავნი ასკეტიკანი ასნი¹ და ნილო სინელის ა) დნამსი სწავლათანი სარგებლად სულის,² ბ) დნამსა განმარტებულნი განხრწნდათგან და შემკურთხულნი უხრწნელთა თანა,³ გ) ეპისტოლეხი რიცხვით 343.⁴ ბერძნულს ენაზე შენახულა სულ 197 ეპისტოლე ოთხ წიგნად,⁵ მაშასადამე ქართულად გამოკრებით უთარგმნიათ ის: დ) დავყვისთჱს თავნი რსგ.⁶ რომლის შესავალი ქართულად უთარგმნელად დაუტოვებიათ. ვის მიერაა ეს თხზულებანი ნათარგმნი, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ენის მიხედვით, რომელსაც ახასიათებს უაღრესი მინბაძველობა ბერძნული ლიტერატურული სტილისა, უნდა ვიფიქროთ, რომ ნათარგმნი არიან ისინი არაუადრეს მე-XII საუკუნისა.

ამავე პერიოდში უთარგმნიათ აქმული სიეგარედისთჱს და სულაიურის ცხოვრებისა ჰაკლეს მღვდელსა მაშასო, რომელიც ეკუთვნის თალასე მონაზონს,⁷ ეს თხზულება ნათარგმნი უნდა იყოს არაუგვიანეს მე-XI საუკუნისა ათონის სალიტერატურო წრეებში⁸ და ოთხ ნაწილად განიყოფება, რომელთაც „ასეული“ ეწოდებათ. ასეული ჰარველი, რომლისა თავნი ამას იტყვან ბერძნულად, მაგრა ჩვენ ქართულად არა თავედად გეითარგმნიან, რამეთუ არად საკმარ იყო თავთათჱს სიტყუსა წარწყმელად და არცა მოპვიდოდა, რამეთუ ასის თავისა აკროსტიხოდ. ბერძნულად ამას იტყვს: სულიერსა და საყუარელსა ძმასა, უფალსა პავლეს. თალასი ჩემებით დაყუდებულა, ხოლო ქეშმარიტებით მოფარდული ცუ-

¹ სიძ. მუხ. № 60, 87—137. Мigne PG. t. 65, col. 1141—1148. 1167—1212. Проф. К. Поповъ, Блаженный Макарий, епископъ Фотики, трезняго Элпиря и его творенія Кіевъ 1903 г.

² სიძ. მუხ. № 60, 285—291. № 67, 81—88.

³ სიძ. მუხ. № 60, 291—294. № 67, 88—91.

⁴ სიძ. მუხ. № 60, 141—270.

⁵ Христианское Чтеніе 1858 г. кн. 1, 1850 г. кн. 1, 2.

⁶ სიძ. მუხ. № 60, 270—285.

⁷ Христианское Чтеніе 1858 г. кн. 1, стр. 114—200.

⁸ Мigne PG. t. 91, col. 1127—1470.

⁹ სიძ. მუხ. № 55, 395—403, № 66, 175—193.

დადმზლაობრობისაჲ. მერე მიჰყვება ასეული მეორე, მესამე და მეოთხე, და თვითეულისათვის აღნიშნულია: „რომლისა თავნი ბერძულად ამას იტყვან“. შეიძლება თხზულება ნათარგმნი იყოს გიორგი მთაწმიდელის მიერ.

უკანასკნელს პერიოდში, მეთვრამეტე საუკუნეში, გაბრიელ მკიცრეს, როგორც დავინახეთ, შეუდგინა შეიდი ასკეტოკურ-მორალური ხასიათის კრებული; ამავე პერიოდში გაჩენილა ქართულს ენაზე კიდევ ერთი კრებული, ამავე ხასიათისა, „წიგნი სასურველი“, რომელიც, როგორც ბოლოსიტყვაობაშია აღნიშნული, რუსული ენიდანაა გადმოთარგმნილი პეტრე დიდის დროს, ან არჩილ მეფის ან მისი შვილის ალექსანდრეს მიერ, როგელსაც უთარგმნია, ამ თხზულებასთან ერთად მოთავსებული, სვიმეონ პოლოცკის სიტყვა-მიცვალებისათჳს ღმრთისმშობელისა. ეს არის საკმაოდ მოზრდილი თხზულება, რომელშიაც თავების რიცხვითა თანმიმდევრობით (სექტემბრიდენ 15 აგვისტომდე) აღნიშნულია, თუ ვისი ხეობაა ამათუიმ დღეს, მოყვანილია მოკლე ბიოგრაფია ყველა დღეების წმიდანებისა და ამასთან ერთად „სწავლისა“ და „მოძღურების“ სახით წარმოდგენილია ექსცერპტები წმიდა მამებისა და ასკეტების თხზულებათაგან, უფრო კი ისეთი კრებულებებიდან, როგორიცაა სამოთხე იოანე მოსხისა და Ἀνθώνυ ἀγίας βιβλίου; სულ თხზულება შეიცავს 609 ამგვარ ექსცერპტს ან სტატიას.

§ 8. კომილექტია.

დასაწყისი ქართული კომილექტიკა.—კრებულება მრავალთავი და მარგარიტი.—ცნობილ და უცნობ კომილექტთა თხზულებანი ქართულ ენაზე ზეათე საუკუნემდე.—ქართული პეტოფრასტული და ორიგინალური კომილექტიკა.—მისი წარმომადგენენი.

კომილიკა, საიდანაც წარმოიშვა სიტყვა კომილექტიკა, ეფრემ მცირის განმარტებით, არს ზეპირად ზიკისპირ თქემა¹ და აღნიშნავს მოძღვრება-ქადაგებებს, რომელთაც, მორწმუნეთა დასამოძღვრად, სხვადასხვა ადგილას, უფრო კი ეკლესიაში, და სხვადასხვა პირნი, უმეტეს ნაწილად, რასაკვირველია, სამღვდლონი, წარმოსთქვამდენ ხოლმე. ქადაგება-მოძღვრებას ან თვით ავტორი სწერდა ხოლმე, ანადა წარმოთქმის

¹) სიძვ. მუხ. № 112, გვ. 719—727.

²) სიძვ. მუხ. № 292 ფ. 319

დროს ჩასწერდენ მას გაშინდელი სტენოგრაფები, გრიგოლ ლეთისმეტყველის მოწმობით, როგორც ოფიციალურად, ისე ფარულად. ყოველივე ეს ხელს უწყობდა ჰომილეტიკური მწერლობის განვითარებას, რომელიც პირდაპირ უსახდგრო ოკეანეს წარმოადგენს. შინაარსის მხრივ ქადაგება შემდეგ დარგებად იყოფა: 1) საღვთისწაულო ქადაგებანი, რომელთაც წარმოსთქვამდენ ხოლმე საუფლო-საღვთისმშობლო და ცნობილ წმიდათა ღვთისწაულებზე და რომელთაც უფრო ხშირად დოღმატიკური ხასიათი აქვთ. 2) პანეგირიკები ან ხოტბა-შესხმანი, ეგრედწოდებული ენკომიები, მოწამეთა და წმიდათა სახელობისა, რომელთაც პაგიოგრაფიული საფუძველი აქვთ. 3) ეპიტაფიები ან სასაფლაოზე და მიცვალებულის ცხედარზე წარმოთქმული სიტყვები, რომლებშიაც ბიოგრაფიულ ელემენტს საგრძნობი ადგილი უქირავს. 4) საკუთრივ ქადაგება ან ჰომილია, რომელშიაც განმარტებულია კვირა-უქმებში წასაკითხავი ადგილი საღვთო წერილიდან და რომელსაც ეგზეტიკური ხასიათი აქვს.

თავისთავად ცხადია, ეს დაზგი ეკლესიური მწერლობისა ქართულ ენაზედაც უნდა შემუშავებულიყო და განვითარებულიყო, ამას მოითხოვდა ქართველთა ქრისტიანიზაციის პროცესი; მართლაც, შეიძლება ითქვას, რომ ქართული ჰომილეტიკური მწერლობა ერთერთი უძველესი დარგია, იმდენად ძველი, რომ უკვე მეთათე საუკუნემდე ის დასრულებულად უნდა ჩაითვალოს, რასაკვირველია იმ მხრივ, რომ უდიდესი ნაწილი მნიშვნელოვან ჰომილეტიკურ ნაწარმოებთა მეთათე საუკუნემდე გადმოთარგმნილია ქართულად. ამ დროს ნათარგმნი ქადაგებანი ჩვენ გვხვდება სხვადასხვა კრებულებში, რომელთაც სხვადასხვა სახელი აქვთ. ერთერთი სახელწოდება, რომლითაც ამგვარი კრებულები ცნობილია, არის მრავალთავი, რაც იმის აღმნიშვნელია, რომ ამ კრებულში მრავალი თავი ან სტატიაა.¹

მეორე სახელი არის მარგარიტი; ამ კრებულის ბერძნულ წარმომდინარეობას გვიდასტურებს როგორც სახელი, რაც ბერძნული ლექსია (Μαργαριταια), ისე ეფრემ მცირე, რომელიც ამბობს: სხუანი წიგნნი გამოკრებულნი, ვითარ იგი არს მარგალიტი და ეუჯავიჯკრებულნი და სხუანი მსგავსნი მათნი, ბერძელად ეკრეთვე გამოკრებულნი არიანო.² ამ კრე-

1) მრავალთავის შესახებ იხილ. K. Kekelidze, Monumenta hagiographica Georgia. t. I, p. XI—XII.

2) თ. ეორდანი, ქრონიკები I, 218.

ბულში, რომელიც ცნობილია თითქმის ყველა ენაზე, უმეტეს ნაწილად ათავსებდნენ იოანე ოქროპირის ქადაგებებს, რომელთა რიცხვი სხვადასხვა ნუსხებში სხვადასხვაა; ქართულ ენაზე შენახული რედაქცია შედგება 2() თავისაგან: მას შემდეგი წარწერა აქვს: მას წიგნსა ეწოდების მარგალიტი, რომელ არს შეგრებული მრავალთაგან თქუმულთა იოანე ოქროპირისთა. მაგრამ, როგორც გ. ავალიშვილის მიერ იერუსალიმიდან გამოტანილი მეათე საუკუნის მარგალიტიდან ჩანს, ამ კრებულში სხვა ავტორთა ქადაგებებსაც ათავსებდნენ ხანდიხან, მაგალითად, გრიგოლ ღვთისმეტყველის, ბასილი დიდის და სხვებისას.¹ ქადაგებითა კრებულს წარმოადგენდა, ალბად, ის ყუავეილკრებულიც, რომელიც ეფრემ მცირის შემოამოწერილ მოწმობაშია მოხსენებული და რომლის პროტოტიპი ბერძნულ ენაზედაც ყოფილა ცნობილი.

ბიზანტიური ჰომილეტიკური მწერლობის კლასიკურ ხანად ითვლება IV და V საუკუნეები, შეექვსე საუკუნიდან საეკლესიო მქერმეტყველება საერთოდ შესამჩნევად ეცემა. ჩვენი მწერლობის პირველს ორ პერიოდში, მაშასადამე. ჰომილეტიკის განვითარება დამთავრებულია უნდა ჩაითვალოს. იმ ნაშრომთა მიხედვით, რომელნიც ჩვენამდე შენახულან და ჩვენთვის ხელმისაწვდომია ამჟამად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თითქმის ყველა ცნობილი მქადაგებელი, სავსებით თუ არა, შერჩევი მანც, ითარგმნა ქართულად პირველს ორ პერიოდში; და არამც თუ ცნობილ ჰომილეტთა ქადაგებანი, ბევრი ისეთებიც შენახულა, რომელთა ავტორი ეკლესიური მწერლობის ისტორიაში ცნობილი არაა და მხოლოდ ქართულ ძეგლებშია აღნიშნული. აქ ჩვენ ჩამოვთვლით იმ ჰომილეტებს, ქრონოლოგიურად, რომელთა ნაწარმოებნი ჩვენამდე შენახულან, ჯერ ისეთებს, რომელნიც მწერლობის ისტორიაში ცნობილი არიან, და მერე უცნობთ.

ასეთებია: გრიგოლ საკვირველთმოქმედი, რომლის მოძღვრებანი, 864 წლის მრავალთავეში შენახულნი, შეიძლება სომხურიდანაც იყვნენ ნათარგმნი; ევსევვი ეამთაღმწერელი, რომლის ერთი მოძღვრების-ქებაა წმიდათა მწამეთა-ს შესახებ ქართულში ნათქვამია, რომ ის არის თქუმული საეკლესიოთაგან უწყებისა (სიძვ. პუბ. № 95, გვ. 1217-1224); ეფრემ ასური, რომლის თქუმულთა საკითხავთა გრიგოლ ხანძაელი ზეპირად გადასაით ტარიჯსა შინა იტყუდა.

1) ი. გორდანია, კრებულები I, 130; А. Чагарели, Свѣдѣнія I, стр. 95, № 77, II, стр. 94, № 85, ჰეროვარ. საან. პუბ. Georg. № 150в.

თვისთაგანათათ მარტოდა ხანისათს მთამოყიდელად რა (ცხოვრება. გვ. აფ. — მხ): ათანასე აღექსანდრიელი, რომლის ქადაგებოაგან უძველესი დროიდან შენახულა სამი: ბასილი დიდო, რომლის ქადაგებანი გვხდება სხვადასხვა მრავალთავეებში: კირილე იერუსალიმელი, რომლის მოძღვრებათაგან უძველეს ძეგლებში მწაწარმოებს ვხვდებით (სიძვ. მუხ. № 19, 95, 144, ათონ. № 80): გრიგორ დვთისმეტყველი, მელეთიანტიოქელი, რომლის სახელით ძველს ძეგლებში¹ ათი ქადაგება გვხვდება, რომელნიც, შესაძლოა, სომხურიდანაც მომდინარეობდენ; გრიგოლ ნოსელი, ეპიფანე ეკპრელი და იოანე ოქროპირი, რომლის ოთხმოცამდე ქადაგებო-მოძღვრება გვხვდება ძველს მრავალთავეებში და აგრეთვე კრებულებში, რომელთაც ეწოდება მარკალიტი, ფუტკარი, ოქროდს წყარო. კლიტი, ასკეტიკონი და სხვა; სევერიანე გაბაონელი. რომლის ქადაგებანი უმთავრესად სომხურ ენაზე შენახულან;² მის ქადაგებათაგან ქართულად უძველესი დროიდან გვაქვს სამი. ლუკიანე ხუცესი, ევსუხი იერუსალიმელი, კირილე აღექსანდრიელი, ევსები აღექსანდრიელი, ნიკიერი მქადაგებელი,³ რომლის ნაწარმოებთაგან ძველს მრავალთავეებში ცხრამდე ქადაგება გვაქვს, რომელნიც, შეიძლება, სომხურიდან მოდიოდენ. პროკლე კონსტანტინოპოლელი, ანტიპატროს ბოსტრელი, იოანე დამასკელი, იაკობ ბატნანელი, რომლის ერთერთი თხზულება ქართულად გამოცემულია ჩვენ მიერ.⁴ ჩამოთვლილთ გარდა შეათავსაუკუნემდე ჩვენ გვხვდება რამდენიმე მქადაგებელითა სახელი, რომელნიც ეკლესიურ მწერლობაში ცნობილნი არ არიან.

1) ტიმოთე ხეკესი იერუსალიმისაჲ, რომლის ერთი ქადაგება: თქუ-მული უფლის ჩუენას აესოჲ ქრისტესსაჲს შემდგომად შობისა მკარმოვისა დასათჲს ვითარ იგო მოიუფანეს ტაძრად მარამ დედამან და ქაღწუღამან და იოსებ. რაჲმს იგო აკურთხეულა მას წმიდაჲ სჲმუნ, მოთავსებულია სინაჲ მთის 864 წლის მრავალთავეში და სიძვ. მუხ. № 95, გვ. 405—411.

2) ჰეტრე მთავარეპისკოპოსი იერუსალიმისა; ჰეტრე, ეპისკოპოზი იერუსალიმისა, ისტორიამ იცის, ის მღვდელმთავრობდა. მიღებული ქრო-

1) სინ. მთის 864 წ. მრავალთავეი, სიძვ. მუხ. № 95, 1147.

2) Aucher, Severiani sive Siberiani Gabalorum episcopi Emesensis homiliae. Vener. 1826.

3) Migne, PG. t. 86, col. 313—462.

4) Monumenta hagiographica Georgica, p. 174—136.

ნოლოგიით 524—544 წლებში,¹ ხოლო ქართული წყაროებით 548—568 წლებში,² მხოლოდ ეს პეტრე ეკლესიურ მწერლობაში ცნობილი არაა. პეტრეს სახელით ქართულ ენაზე შენახულა ერთი ქადაგება — შობისათვის უფლისა იესო; ქრისტესა.³

3) იფლანგე ტაბია ქადაქის ეპისკოპოსი; ვინ იყო ან როდის ცხოვრობდა არ ვიცით, ქართულად შენახულა ერთი. მისი ქადაგება ნათლისღებისათვის იესო; ქრისტესა,⁴ რომელსაც მიზნად აქვს დაამტკიცოს, რომ იესო ქრისტე იყო არა ღმერთი მხოლოდ, არამედ კაციც, და რომ მან „კორცნი შეიხსნა“; მაშასადამე, ის დიოფიზიტური ტენდენციითაა გამსჭვალული და დაწერილი უნდა იყოს ქალკიდონის კრების შემდეგ.

4) თეოდულა ხუცესი, რომლის სახელით ათონის მეათე საუკუნის მრავალთავეში (№ 57, 267—271) შენახულა ქებაჲ წმიდისაჲ გიორგისი: ცნობები მის შესახებ არ მოიპოვება.

5) გრიგოლ ანტიოქიელი ხუცესი, რომლის სახელით მეათე საუკუნის მრავალთავეებში შენახულა ორი ქადაგება: თქუმული წმიდისა ჰირველმოწამისა სტეფანოსისა და ქებაჲ ჰირველმოწამისა წმიდისა სტეფანოსისა.⁵ შეიძლება ეს ის გრიგოლი იყო, რომელიც პატრიარქობდა ანტიოქიაში 570—590 წლებში,⁶ მაგრამ ეს უკანასკნელი, როგორც მწერალი, ცნობილი არაა.

6) ალექსანდროს მონაზონი კვბრელი, რომელი იყო ქადაქის ამათონტონისა; მისი სახელით იმ ქართულს ხელნაწერში, რომელიც ეკუთვნის *Bibliothecae Bodleianae Oxoniensis*, მოთავსებულია სავიზიტო ზოგინისთვის ცხოველსმყოფელისა ნატიონისაჲ ჯვარისა და ქებაჲ შესხმისაჲ, რომლისთვის ევდრნეს მას მრავალგზის (ფ. 390—419).⁸

ჩვენ არ გვაქვს საშუალება გავარკვიოთ აღნიშნულ ქადაგებათაგან რომელი სად, როდის ან ვისგან ითარგმნა, ერთი ცხადია მხოლოდ, რომ ყველა ისინი მომდინარეობენ ისეთი წყაროებიდან, როგორცაა სინას

1) Archiev. Sergii, Подлинный мѣсяцесловъ Востока т. II, 1901 г.

2) К. Кекелидзе, Иерусалимскій Канонарь. стр. 192.

3) სიძვ. მუზ. № 19, 77—93.

4) К. Кекелидзе. Monumenta hagiographica georgica t. I, p. 10—15.

5) სიძვ. მუზ. № 95, 108—115, ათონ. № 57, 17—21.

6) სიძვ. მუზ. № 95, 115—120, ათონ. № 57, 21—25.

7) Bardenhewer, Patrologie, S. 496, 479.

8) P. Pœeters. De codice Hiberico Bibliothecae Bodleianae Oxoniensis. Analecta Bollandiana, t. XXI, p. 314.

მთის 864 წლის „პრაველთაჲი“. ეს კრებული გადაუწერია პალესტინაში გრიგოლ ხანძთელის შეგირდს პაკარის, მაშასადამე, საბას ლავრაში და, საზოგადოდ, პალესტინის ქართველ მწიგნობართა წრეში; აქ დროს უკვე ყოფილა ნათარგმნი ის ტექსტები, რომლებიც 864 წელს პაკარის დასახელებულ კრებულში შეუტანია. ეს ტექსტები, უნდა ვიფიქროს, მომეტებულ ნაწილად ნათარგმნია თვით პალესტინაში, VIII—IX საუკუნეებში.

როდესაც მინაარსის მხრივ ვითვალისწინებთ ამ ქადაგება-მოძღვრებებს, შემდეგი სურათი გვეშლება. კვირიაკე დღეთა ქადაგებანი სრულიად არაა, ალბად იმიტომ, რომ ეს ქადაგებები იმ დროს ნათარგმნია, როდესაც საეკლესიო წელიწადში ჯერ კიდევ არ ჰომხდარა სავსებით კვირიაკე-შვიდეულთა დიფერენციაცია იმ სახით, როგორც ეს მიღებულია საეკლესიო-ლიტურჯიკულ პრაქტიკაში. უმეტესი ნაწილი ქადაგებებისა მოდის დღესასწაულებზე, რომელთაგან ყველაზე მეტი საუფლო დღესასწაულებია; ამ უკანასკნელთა კატეგორიიდან შედარებით პეტია შობისა და ნათლისღების ქადაგებანი. რაც უნდა აიხსნებოდეს უფრო დოღმატიკურ-პოლემიკური მოსაზრებით, — ქრისტოლოგიური და ეორტალოგიური საკითხების სიმწვავეით. შობის ქადაგება ამ უძველეს ეპოქიდან ჩვენ თუთხმეტამდე შეგვიძლია დავთვალოთ, ხოლო ნათლისღების თოთხმეტამდე. საუფლო დღესასწაულების შემდეგ პეტია წმიდათა სახელობის ქადაგებანი, ალბად, ესეც იმიტომ, რომ განმეტკიცებიათ წმიდათა კულტი, რომელსაც ხატმზრძოლობა სასტიკად არყევდა საზოგადოდ ეკლესიაში; უკანასკნელი კატეგორიიდან თორმეტამდე ქადაგება ხობტა-პანეგირიკებს წარმოადგენს. ოცამდე გვაქვს ზნეობრივი თემების ქადაგებანი, უფრო კი სინანულს შესახებ. ამნაირად, უკვე მეთათე საუკუნემდე გვქონდა ჩვენ გარკვეული ჰომოლეტიკური ბიბლიოთეკა, რომლითაც შესაძლებელი იყო დაკმაყოფილება მაშინდელ ლიტურჯიკულ და რელიგიურ-ზნეობრივ საჭიროებათა და მოთხოვნილებათა.

მეთათე საუკუნემდე ნათარგნ ჰომილეტიკურ ნაწარმოებთ ახასიათებს უბრალო და მარტივი ან, ძველი ტერმონოლოგიით, „ლიტონი“ ენა; მესამე პერიოდიდან ან, უფრო სწორედ, მეთერთმეტე საუკუნის ნახვერიდან, თეოფილე ხუცესმონაზონის დროიდან, იწყება მეტაფრასტული ჰომილეტიკა, რომელსაც მიზნად დასახული აქვს ამ ნაწარმოებთა გაღამაზება და გამშვენება ენის მხრივ; სტილი ასეთ ქადაგებათა ხელოვნურია და ისე აღვიღად ისინი უკვე აღარ იკითხებიან, როგორც

ძველად გადმოთარგმნილნი. მეტაფრასტული ჰომილეტიკა უფრო განვითარდა მეტაფრასტულ ჰაგიოგრაფიასთან ერთად, რომლის შესახებ ლაპარაკი თავის ადგილას გვქონდა, და მის ცენტრად განსაკუთრებით პეტრიწონული ლიტერატურული შკოლა ითვლებოდა. ამ, ასე ვთქვათ, მეტაფრასტულ პერიოდში არამც თუ განუგრძელებიათ წინანდელი ზუსაობა და ახალახალი ქადაგება-მოძღვრებანი გადმოუღლიათ, არამედ ხელმეორედ უთარგმნიათ ბევრი ძველად გადმოქართულებული ქადაგებანი, ვინაიდან მათი ენა ეხლა ბევრს აღარ აკმაყოფილებდა. თან, როგორც ირკვევა, ერთიდაიგივე მქადაგებელი რა?დენიმე სხვადასხვა პირს უთარგმნია იმისდა მიხედვით, თუ ვის რა სჭირდებოდა მის მოძღვრებათა კრებულიდან. ამ პერიოდში ჰომილეტიკურ დარგში უმოდვაწნიათ: დავით ტაბელს, ექვთიმე ათონელს. გიორგი მთაწმიდელს, თეოფილე ხუცესმონაზონს და ეფრემ მცირეს. რა უთარგმნიათ მათ, ამას მკითხველი ზევით ნახავს, სადაც ლაპარაკია მათი ლიტერატურულ-მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ პერიოდში ბევრი ისეთი მეტაფრასტული ქადაგება-მოძღვრებანი გვხვდება, რომელთა მთარგმნელებს, ცნობების უქონლობის გამო, ჩვენ პირდაპირ ვერ დავასახელებთ. ასეთი ნაწარმოებნი ჩვენ სხვადასხვა ხელნაწერებში გვხვდება, მაგრამ ყველაზე სრული და სისტემატური კრებული მათი ჩვენ გვაქვს სვიმეონ ლოლოთეტისა და იოანე ქსიფილინოსის ჰაგიოგრაფიულ მეტაფრასტულ კრებულში, რომელიც ჩვენ მიერაა აღმოჩენილი.¹ ამ კრებულში ამათუიმ დღეს, უფრო კი დღესასწაულზე, ჰაგიოგრაფიულ ტესტის გარდა მოყვანილია რომელიმე მქადაგებელის მოძღვრება, სიტყუა და შესხმა. ასეთი სიტყუა-მოძღვრებანი ჩვენ გვაქვს: იანვარში 20, თებერვალში 12, მარტში 9, აპრილში 1, (მაისი არ მოიპოვება), ივნისში 7, ივლისში 2, აგვისტოში 5, სექტემბერში 12, (ოქტომბერში არაა); ნოემბერში 8, დეკემბერში 22. მაგრამ ყველაზე მეტი ასეთი ნაწარმოები ჩვენ გვაქვს იმ კრებულში, რომელშიაც თავმოყრილია დიდმარხვისა და ზატიკის პერიოდის საჰოდვრო მასალა (გელ. ხელ. № 8); აქ ჩვენ ვპოულობთ 52 ქადაგება-მოძღვრებას. ამ პერიოდში ნათარგმნ ჰომილეტიკურ ნაწარმოებთა კრებულმა, რომელნიც ეკუთვნიან უმთავრესად იოანე ოქროპირს, ბასილ დიდს, გრიგოლ ღვთისმეტყველს, გრიგოლ

¹) К. Кекелидзе, Симеонъ Метафрастъ по груз. источникамъ, Труды Кіев. Духов. Академіи, 1910 г. февраль стр. 172--191. Іоаннъ Ксифилинъ. продолжатель Симеона Метафраста, Христіан. Востокъ, I, 325--347.

ნოსელს, იოანე დამასკელს, ანდრია კრიტელს, ათანასე ალექსანდრიელს. ასტერი ამასიელს, ბასილი სელეკვიელს, გიორგი ნიკომიდიელს, თეოდორტე ანკვირელს, მეთოდი პატრელს, სოფრონ იერუსალიმელს, ნიკიტა ფილისოფოსს და სხვა, მიიღო სპეციალური ტექნიკური სახელწოდება „მეტაფრასი“, ვინაიდან იქაში მოთავსებულია მეტაფრასტული რედაქციის ტექსტები.

შემდეგს პერიოდებში ამ დარგს ახალი არა შემატებია რა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ილია მინიატის (+ 1714) ორს ნაწარმოებს, რომელიც მეთვრამეტე საუკუნეში უთარგმნიათ რუსულიდან, სახელდობრ: 1) თქმული მაცხოვარებისა ვნებასა ზედა, რომელიცა წარიკითხვის დიდსა ხუთშაბათსა ვნებისა კვირიაქისასა შემდგომად სერობისა ლოცვისა, საწინაწილად¹⁾, და 2) „წმიდასა და დიდსა პარასკევსა მაცხოვარებითისა ვნებასა ზედა“, ესეც სამწიგნობროდ.

ქართულ ენაზე შენახულა არა მარტო ნათარგმნი ჰომილეტიკა, არამედ ორიგინალურიც, მაგრამ ეს ორიგინალობა დაწყებულია არაუადრეს VIII—IX ს.; მანქდის ორიგინალური შემოქმედებისათვის ამ სფეროში ნიადაგი საკმაოდ არ იყო განმტკიცებული, თან ჩვენები, ალბად, შეგნებულადაც გაურბოდენ ასეთ შემოქმედებას: ისინი, უეჭველია. სავალდებულოდ სთვლიდენ თავისთვის მეექვსე მსოფლოო კრების მე-19 კანონს, რომელიც ავალეებს წინამძღუართა გელასიისათა ეპიკელსა შინა დღესა, სიდაა უფროაღსდა კვრთაგეთა, ყოფლისა ურისა სწავლად სიტყუათა კეთადმსხურებისათა, მაგრამ არა თავისი მოსაზრებით: არამედ ვათარ იგი მნათობთა გელასიისათა და მოძღუართა აღწერილის თვისათა მიერ კარდმასტეს. ისინი ვალდებულად სთვლიდენ წარმოეთქვათ სხვისი ქადაგებანი, რომელნიც ეკუთვნოდენ ცნობილსა და ავტორიტეტად მიჩნეულ მსოფლიო მოძღვრებს. ქართლია, ჩვენამდე შენახულა ორი ქადაგება, შობისა და ნათლისღებისა, რომელთაც წარწერა წმიდა ნინიას მიაკუთვნებს, მაგრამ მათი ფსევდოეპიგრაფიული ხასიათი ჩვენ უკვე დავინახეთ: თუ ისინი ორიგინალურია. დაწერილი უნდა იყვნენ არაუადრეს VIII—IX ს. პირველი ორიგინალური მქადაგებელი, რომელიც ჩვენდრომდე შენახულა, არის იოანე ბოლნელი, რომლის ქადაგებანი ჩვენ უკვე განვიხილეთ ზევით. ყოველ ექვს გარეშეა, რომ მესამე, ბიზანტიურს პერიოდში ჩვენ არაერთი და ორი გამოჩენილი

1) სიძვ. მთ. № 381, 457—479, № 344.

2) სიძვ. მთ. № 593, 1—54, № 68.

მქადაგებელი გვეყოლებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ ნაწარმოებთ ჩვენამდე არ მოუხწევიათ, ანადა ჯერ აღმოჩენილი არაა. სხვა არა იყოს რა, მატთანგან ვიცით, რომ თამარ მეფის ცხედარზე სიტყვები წარმოუთქვამთ ცნობილ იოანე კიპკიმელს და ვინმე არსენისა და დავითს.¹ უეჭველია, ამ დიდებულ მომენტს აღბეჭდა თავისი გამოსლვით შესაფერი და არა საშუალო დონის ორატორი. განსაკუთრებით ორიგინალური ჰომილეტიკა განვითარებულა მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში; აქ ჩვენ გვხვდება მთელი რიგი ცნობილ და ნიჭიერ მქადაგებელთა, როგორც არიან ნიკოლოზ რუსთველი, იობ პიტარეთელი, გერმანე მონაზონი, ბესარიონ კათოლიკოზი, ანტონ კათოლიკოზი, გაიოზ რექტორი, ამბროსი ნეკრესელი, ანტონ ცაგერელ-ქყონდიდელი, ვარლამ მიტროპოლიტი, იონა ხელაშვილი და სხვანი, რომელთა მოღვაწეობა ჩვენ თავის ადგილას განვიხილეთ.

§ 9. კანონიკა.

ნობოკანონი ან შჯულისკანონი.—ქართული კანონიკური მწერლობა უფრო საუკუნეებდღე.—მიზობილღა ქართული ნათ. რგზნი კანონიკოსა.— ორიგინალური კანონიკური მწერლობა: კანონიკური ეპისტოლეენი, სანოქალაქო ხასათის საკოდიფიკაციო შრომებია და ადგილობრთი კრებათა დადგენილებანი. —სიგელ-გუჯრები.

პართვა-გამგეობისა და ცხოვრების იურიდიულ ნორმებზე აგებისას ეკლესია ხელმძღვანელობს თავისი საკუთარი კოდექსით, რომელშიაც შედის მოციქულებისა და მსოფლიო და ადგილობრივი კრებათა კანონები. ეკლესიის ცნობილ მოძღვართა კანონიური ეპისტოლეენი და განმარტებანი, აგრეთვე სამოქალაქო კანონმდებლობა ეკლესიის საქმეთა გამო. ამ კოდექსს ბერძნულად ეწოდება *Νομοκάνων*, ხოლო ქართულად შჯულისკანონი. საეკლესიო სამართლის ისტორიაში ჩვენ რამდენიმე ასეთი კრებული ვიცით; მაგალითად, მეექვსე საუკუნეში შედგენილი ყოფილა ეგრედწოდებული სამოცტიტლოვანი კრებული, რომელიც დღეს დაკარგულად ითვლება; მეექვსე საუკუნეში პატრიარქს იოანე მმარხველს ან სქოლასტიკოსს შეუდგენია ორმოცდაათტიტლოვანი კრებული. იმავე მეექვსე საუკუნეში ვილაც უცნობ ავტორს დაუწერია

1) მარია დედოფლის ვარიანტი გვ. 533—535.

სხვა, თოთხმეტტიტლოვანი, კრებული, რომელმაც ხმარებიდან განდევნა ყველა წინადროისა და თანამედროვე კრებულები და თვითონ, როგორც უფრო ვრცელმა და ხმარებისათვის გამოსადეგმა, მათი ადგილი დაიკავა. ეს თოთხმეტტიტლოვანი კრებული თანდათანობით ივსებოდა და უმჯობესდებოდა; მეცხრე საუკუნეში ფოტი პატრიარქმა მას გაუყვება უკანასკნელი და საბოლოო რედაქცია, რის გამო მან მიიღო სახელწოდება ფოტი პატრიარქის „დიდი სჯულისკანონისა“. ეს კოდექსი სახელმძღვანელოდ იქმნა მიღებული მთელს აღმოსავლეთის საქრისტიანოში.

მეათე საუკუნის გასღვამდე ქართულს ენაზე არ შენახულა არამც თუ რაიმე კანონიკური კრებული, არამედ ცოტად თუ ბევრად ექვემოტანელი და კატეგორიული ცნობა ასეთი კრებულის არსებობის შესახებ. ერთად-ერთი ადგილი, რომლის მიხედვით შეიძლება იფიქროს ადამიანმა, რომ მსოფლიო კრებათა დადგენილებანი ნათარგმნი იყო ძველადვე ქართულად, მოიპოვება კირიონ კათოლიკოსისა და სომეხთა მწყემსთმთავრის აბრაამის შორის მიწერ-მოწერაში (VI—VII ს.). უხტანესის გადმოცემით¹ კირიონი სწერს აბრაამს: იქნებ თქვენ მოისურვათ გამოძიება და გაგება ჩვენი სარწმუნოებისა, — ამისთვის მე გავგეტა ბრძანება, გადმოთარგმნონ და მოგართვან თქვენ წერილი (*գիրք*) თხზთა კრებათა შესახებ, რომლითაც ხელმძღვანელობენ ბერძნები. მ. საბინინი ამ ადგილის მიხედვით, გვარწმუნებს, თითქოს Кирионъ приказалъ своимъ ученымъ перевести все дѣянія четырехъ вселенскихъ Соборовъ.² მოყვანილს ამონაწერში გაუგებარია, პირველად ყოველისა, რის გადმოთარგმნა უბრძანა კირიონმა, რას წარმოადგენდა ეს წერილი: რაივე წერილს ან ტრაქტატს ოთხ მსოფლიო კრებათა შესახებ. თუ წიგნს, კრებულს, რომელშიაც მოთავსებული იყო დადგენილებანი და აქტები ამ ოთხ კრებათა? მერე — რა ენაზე ჰქონდა ეს „წერილი“ თუ „წიგნი“ კირიონს, ქართულზე თუ ბერძნულზე, ესე იგი რა ენიდან ათარგმნია იგი კირიონმა სომხურად? ჩვენ გვგონია, რომ აქ იგულისხმება წიგნი, რომელშიაც მოთავსებული ყოფილა ოთხთა კრებათა დადგენილებანი, მაგრამ არა ყველა, არამედ მხოლოდ დოღმატიკური ხასიათისა, ეგრედწოდებული სარწმუნოებრივ-აღსარებითი ფორმულები, ან სიმბოლო სარ-

¹) მისი ისტორიის გვ. 87—88.

²) Исторія грузинской церкви до конца VI вѣка, стр. 176—177.

წმუნობისა, რომელიც სწორედ ოთხ კრებაზე ჩამოყალიბდა საბოლოოდ და რომელიც აღნიშნულ მომენტში შეადგენდა საცილობელ საგანს ქართველთა და სომეხთა შორის. ასეთი ფორმულები კი, რასაკვირველია, იმ თავითვე იქნებოდა ქართულად ნათარგმნი, მაგრამ ეს უფრო დოღმატიკური მწერლობის ძველია, ვიდრე კანონიკურისა. საგულასხმოსა და მნიშვნელოვანს არას წარმოადგენს სტეფანე მტბე-ვარის სიტყვებიც. რომელიც გობრონის ცხოვრებაში იკითხება, სახელდობრ: სომხებმა მოძღუართა შაკრ წმიდათა კრებათა დმრთფესუჯიერთა განწყებუღი, ანთა საკაქსითა შეურაცხევასო.¹ ამ სიტყვებს სტეფანე იმ შემთხვევაშიაც ადვილად იტყუოდა, თვალითაც რომ არ ენახა კანონი საკაქსითა ქართულ ენაზე. ამნაირად, ჩვენ გგვონია, რომ პირველს ორ პერიოდში კიდევ არ ყოფილა თარგმნილი ქართულად რაიმე კანონიკური კრებული. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ექვთიმე ათონელს მეთავე საუკუნის გასულს უთარგმნია ქართულად იოანე სქოლასტიკოსის ბენიტენციალური კრებული და მეექვსე მსოფლიო კრების დადგენილებანი; ექვთიმე, რომელიც მოუტლელობის გამო დაპით სთარგმნიდა წიგნებს, დიდის შერჩევით, არ გადმოიღებდა ამ ძველებს, რომ ან ესენი ან. მით უმეტეს, თოთხმეტტიტლოვანი კრებული ქართულად მის დრომდე ნათარგმნი ყოფილიყო. მაშასადამე ქართული საეკლესიო — იურიდიული მწერლობა მეთავე საუკუნის გასლვიდან უნდა დავიწყოთ. პროფ. ვლ. ბენეშევიჩი ჰტიქრობს, რომ ყოველ შემთავებაში მეთავე საუკუნეში ქართულს ენაზე უკვე არსებობდა დიდი, თოთხმეტტიტლოვანი შჯულისა კანონი პატრიარქი ფოტისაო ააყის აზრს ის შემდეგზე ამყარებს: 1) ჩვენ ვეცითო, ამბობს ის, რომ სინას მთის ქართულ წიგნთსაცავის კატალოგში, რომელიც მეთავე საუკუნეს ეკუთვნის (№ 92), მოხსენებულია, სხვათა შორის, ერთი დიდი კანონისო. მაგრამ საქმე ისაა, რომ კანონად აქ იგულისხმება არა „შჯულისკანონი“, არამედ ლიტურგიკული კანონი, რომელიც ცნობილია „იერუსალიმის განჩინების და განწყებების“ სახელით.² ეს წიგნი მართლაც, ორი რედაქციით არის ცნობილი სინას მთაზე: დიდიო, მთლიანით ან სრულით, და შემოკლებულით, შერჩეულით ან მცირით. 2) მეთერთმეტე საუკუნის დასდეგს, ამბობს ბენეშევიჩი, ექვთიმე მთაწმიდელმა სთარ-

1) საქარ. ს. მ. თ. ბ. გვ. 394.

2) Грузинский Великий Номоканонъ по спискумъ Тифлискаго церковнаго музея. Христіан. Вѣстникъ, т. II, стр. 350—351.

3) К. Кекелидзе. Иерусалимскій Канонарь VII в.

გენა მეექვსე მსოფლიო კრების შჯულისკანონი, რომელსაც ის უწოდებს მცირე შჯულის კანონს და ამით, მაშასადამე, ის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ არსებობდა მეორე, უფრო ვრცელი შჯულისკანონი. მეექვსე მსოფლიო კრების შჯულისკანონი ნაწილია დიდი შჯულისკანონისა, მაშასადამე, სრულიად ბუნებთივია, რომ იმ წიგნს, რომელიც შეიცავს მხოლოდ ნაწილს მთელისას, მან მცირე უწოდა; თუმცა ისიც შეიძლება, რომ ფრაზა „მცირე შჯულისკანონს“ ექვთიმეს ჩვეულებისამებრ ეხმაროს ამ შემთხვევაშიაც სიმდაბლით, იმ აზრით, რა აზრითაც იტყვიან ხოლმე: „ეს ჩემი მცირე ნაშრომიო“. 3) მელქისედეკ კათოლიკოზის 1020 წლის სიგელში, სადაც ჩამოთვლილია მის მიერ სვეტიცხოველისადმი შეწირული წიგნები, მოხსენებულია, ამბობს პროფ. ბენეშევიჩი, სჯულისკანონი ახალი ერათო. სიტყვა ახალი კიდევ არ ნიშნავს რომელიმე ახალს რედაქციას ან კრებულს; მელქისედეკს შეეძლო ასე ეწოდებია თუგინდ ექვთიმეს მიერ ნათარგმნი კრებულისათვის; რომელიც მან ახლად გადააწერია. ასე და ამნაირად, პირველს ორ პერიოდში ჩვენში შჯულისკანონი ჯერ კიდევ არ ყოფილა ნათარგმნი; ამით, შეიძლება, აიხსნებოდეს ის გარეუბრება, რომ მეჩვეე საუკუნეში ქართლში კიდევ არსებობდა სისტემა ცოლოსანი ეპისკოპატისა, რაც მეექვსე მსოფლიო კრების (691 წ.) მეთორმეტე კანონით აღკრძალულია სასტიკად. თან. თოთხმეტტიტლოვანი შჯულისკანონი საბოლოოდ ჩამოყალიბდა მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში, ამიტომ, შესაძლებელია, მათე საუკუნემდე ის არც კი სკოდნოდათ ხეირიანად ქართველებს, რომელნიც ამ დროს კონსტანტინოპოლის საეკლესიო გავლენას იმდენად არ განიცდიდენ, რამდენადაც აღმოსავლეთისას.

კანონიკურ კრებულთა თარგმნისათვის პირველად ხელი მოუკიდია ექვთიმე ათონელს; როგორც მას ჩვეულებად აქონდა, ამ შემთხვევაშიაც მან გადმოსათარგმნ ძეგლია შერჩევისას სახელმძღვანელო პრინციპად აიღო პრაქტიკული, ყოველდღიური მნიშვნელობა საეკლესიო ცხოვრებისათვის ამათუიმ ნაწარმოებისა და თან ისიც გადმოთარგმნა არა იმ სახით, როგორც ის. დედანში იყო, არამედ მისი შემადგენლობისა და რედაქციის ცოტათი შეცვლით.

მეთორმეტე საუკუნის პირველს მეოთხედში, რუის-ურბნისის კრების შემდეგ, ქართულად ითარგმნა პატრიარქი ფოტის თოთხმეტტიტლოვანი „დიდი შჯულისკანონი“; მთარგმნელი მისი არის, როგორც

მტკიცედაა დამოწმებული თვით ნუსხებით, არსენ იყალთოელი. არსენის თარგმანი მის შემდეგ შეუესიათ სხვადასხვა სტატიებით: მაგალითად, შეუტანიათ შიგ მოცუქულების პეტრესა და პავლეს კანონები, რომელნიც, მართალია, ბერძნულ დედანში არის, მაგრამ არსენუს არ გადმოუღია, აგრეთვე ერთი საკმაოდ ვრცელი დამატებითი სტატია, რომელსაც ასეთი წარწერა აქვს: კანონი მკჳქსუ კანთაგენს შინა შეკრებულთა შამთა. ეს სტატია საინტერესოა მით, რომ ბერძნულ ენაზე ის არ შენახულა: ის წარმოადგენს კრებულს, რომელშიაც განმარტებულია მეტად ვრცლად კართაგენის კრიბის არა მარტო წიგნები, არამედ მეშვიდე და ორმოცდა მესამე კანონი, აგრეთვე მოცუქულთა 69, ლანდრის კრების 19, პეტრე ალექსანდრიელის 15 კანონები, მოყვანილია შიგ ციტატები სხვადასხვა წმიდა მამათა თხზულებიდან, წარმოადგენილია ვრცელი ტრაქტატი სინანულისა და მარხვის შესახებ და სხვ. რედაქცია კანონებისა და ენა თარგმანისა სხვაა, ვიდრე თვით შჯულისკანონში, ასე რომ ისიც ნათარგმნია პეტრიწონული ლიტერატურული შკოლიდან გამოსული მწერლის მიერ, მაგრამ გაცილებით გვიან, ვიდრე თვით „შჯულისკანონი“. მეთორმეტე საუკუნეში უნდა იყოს გადმოთარგმნილი ბერძნულიდან კითხვანი მოსახონისა ვასნიმე, რომელთა აქსნა გამოსცა პეტრე პეტრიწის ხარტაფილაქსიანს;¹ ეს თხზულება, რომელიც „შჯულისკანონში“ არ შესულა, წარმოადგენს მორწმუნეთა საეკლესიო-სარწმუნოებრივი ცხოვრებიდან სხვადასხვა კაზუსების განმარტებას.

ყოველდღიურ ცხოვრებაში სახელმძღვანელოდ აღგენდენ ხოლმე სხვადასხვა პატარა კრებულებს, რომლებშიაც გათვალისწინებულია ესათუის საკითხი მორწმუნეთა საეკლესიო პრაქტიკული მოთხოვნებით: ასეთ კრებულებს ქართულადაც სთარგმნიდენ. ჩვენამდე შენახულია, მაგალითად, კითხვანი იოანე ბქრობნიძისა, სადაც შემდეგს საკითხებზეა პასუხი გაცემილი: მოწესისაგან ოდენ ჯერ არს აღსარება ანუ კაცთა ელაკლთა? რომელი სათნაება უმკობეს არს ეოფეკლთა საინოებათა? რომელი ცოდვა უბოროტეს არს? აქ, სხვათა შორის, შედარებით ვრცლადაა ლაპარაკი კაცთა გამსუიდეკლთა შესახებ; ჩანს, ეს ტრაქტატი მაშინაა ნათარგმნი, როდესაც ჩვენში აღნიშნულმა სენმა განსაკუთრებით იჩინა თავი, ენაც მისი სწორედ ამ ეპოქისა.² მეორე კრებული ანგვარივე ხასიათისა არის

¹) Проф. Влад. Бенешевич. Отвѣтъ Петра Хергофилакса, конца XI в., и ниски Академіи Наукъ, т. VIII, № 11, 1909 г.

²) იხიდეღეთა მუხეტუბის ზედნ. № 1134, უ. 168-182.

სახსნილთანი სუფძვირუნა დიდთა რჯულასკანთთაგან გამოცემულნი.¹ აქ ლაპარაკია საქრისტიანო ეკლესიის მარხვათა შესახებ, აღნიშნულია მათი რაოდენობა და დრო; სხვათა შორის ნათქვამია: აღაჯარისა კვრიავე მსგეჟსამღი ხსნილი არს ყოველთა კაცთა ქრისტიანთაგან და ყინც იპარხუდეს კრისიკატი კორციასა, მასწასენი წიქელთა და კეკრცხითა. კრულ, წიქულ და შეხვენებულ იუჯნს შჯდათ კრებთაა მადლითა. მარხვათა შესახებ დისციპლინარული საკითხები ხშირად გვხვდება ხოლმე სხვადასხვა კრებულებში, როგორც კანონიკურში, ისე ლიტურგიკულში. მაგრამ კრებულები ყველასათვის ხელმისაწვდომი არ იყო და თან მათნი საქრო საკითხთა განმარტების მოძებნაც გაძნელებული, ამიტომ წარმოიშვა აპკვარი სახელმძღვანელონი. ყველაზე უფრო მწვევე და სიკირბოროტო იყო მორწმუნეთა ცხოვრებაში საკითხი ქორწინებაში ნათესაობითი ხარისხის შესახებ, საქრო იყო ყველას სკოლნოდა შესაძლებელია თუ არა ამათუიმ პირთა შორის ქორწინება და ჯვრის წერა. ამ საკითხის შესახებ საბერძნეთის ეკლესიაში მთელი ლიტურატურა და კანონმდებლობა არსებობდა, როგორც სავკლესიო, ისე მასთან შეთანხმებელი სამოქალაქო, სხვადასხვა პატარა თუ მოზრდილ კრებულთა სახით. ზოგიერი ასეთი კრებულები ქართულადაც უთარგმნიათ. ჯერკიდევ მე-XVI საუკუნეში ცნობილს კალიგრაფს სვიმონ კარგარეთელს გადაუწერია ერთი ასეთი კრებული,² რომელიც, როგორც ენიდან და შემადგენლობიდან ჩანს, გაცილებით უფრო აღრე უნდა იყოს ნათარგმნი. ამ კრებულს ეწოდება: დაუენებულთა და უკერითა ქორწინება-მზახლობათაჟს და განგდებულთა; ის ორი ნაწილისაგან შედგება: პირველს აწერია ტანტლთსი შეშჯე და ამოღებულია მართლაც ვასილი მაკედონელის ეგრედწოდებული პროხირონის მეშვიდე ტიტლოსიდან. აქ გარკვეულია სამი სახე სისხლითი ნათესაობისა: აღმართი, შთამართი და მკურდრილობითი. ნაჩვენებია ეს პირნი, რომელთა შორის არსებობს ასეთი ნათესაობითი ურთიერთობა, და შეუძლიათ თუ არა მათ ერთმანეთთან შეუღლება; აგრეთვე ლაპარაკია ნათლისღებითა და შეილობილობითი ნათესაობის შესახებაც. მეორე ნაწილს აწერია: ხარისხთაჟს ნათესაობისთა მესამასკან წიგნისა ანასტიტუტანთასა: აქ უნდა იგულისხმებოდეს მესამე წიგნი იუსტინიანე დიდის ინსტიტუციებისა და აღნიშნულია ექვსი ხარისხი თვითეულის ზემოდანსახელეული სისხლითი ნათესაობის სამი სახისა. მეთვრამეტე

1) სიძვ. მკ. ბ. № 85, ფურ. 481--484. № 712, ფ. 43--50, № 1134, ფ. 508--562.

2) იგივე ხელნაწ. № 85, ფურ. 481--502.

საუკუნის გასულს იოანე მინეილისძე ქსიფილონოს-პაპუწიშვილს გადმოუთარგმნია ბერძნულიდან მანუილ ქსანთინოსის რედაქცია ნათესაობითი ხარისხისა, რომლის შესახებ ჩვენ ზემოთა გვექონდა ლაპარაკი.

ჩამოთვლილთ გარდა წმიდა საეკლესიო-იურიდიულ ნათარგმნ ძეგლთა შორის ჩვენ გვაქვს კიდევ ანტონ კათოლიკოზის მიერ 1776 წელს სომხურიდან გადმოღებული პირველ სამ მსოფლიო კრებათა აქტები (სიძვ. მუხ. № 618). რაც შეეხება საეკლესიო-სამოქალაქო ხასიათის იურიდიულ კოდექსებს, ისინი ამ სახით, რა სახითაც ბერძნულად ვიცით, ქართულად მაინცდამაინც არ უთარგმნიათ. დაახლოვებით ამგვარ კოდექსს წარმოადგენს მეფის ვახტანგ მეექვსის იურიდიული კრებული, რომელშიაც მოთავსებულია, სხვათა შორის, სმხურა კანონები, ესე იგი, როგორც თავის ადგილას აღენიშნეთ, იმპერატორი ვასილისკოჲს (V ს.) იურიდიული შრომა, მეხიტარ გოშის მიერ გადმოკეთებული, და ბერძნული კანონები, ან მათე ბლასტარის შემოკლებული სინტაგმა, არმენოპულოს ექუსწიგნთაგან შევსებული; ვახტანგის კოდექსს მეცხრამეტე საუკუნეშიაც არ დაუკარგავს დიდხანს მნიშვნელობა და პოპულარობა.

ამით ამოიწურება ნათარგმნი კანონიკური მწერლობა ქართულს ენაზე. საქართველოს ეკლესია თავის მართვა-გამგეობაში ხელმძღვანელობდა აგრეთვე საკუთარი, ადგილობითი კანონმდებლობით, რომლის ორგანოთ და წყაროდ ითვლებოდა: ა) კერძო პირთა განმარტებანი, ბ) კათოლიკოზ-პატრიარქთა ეპისტოლენი გ) სამოქალაქო ხასიათის იურიდიული კოდექსები და დ) ქართულ ადგილობითი კრებათა დადგენილებანი. როდესაც ეკლესიაში წამოიჭრებოდა ისეთი საკითხები, რომელთა გადაჭრისას საინტერესო იყო საბერძნეთის პრაქტიკა, ჩვენი წინაპრები მიჰმართავდნენ ხოლმე საზღვარგარეთელ ქართულ მონასტერთა ავტორიტეტულ წარმომადგენლებს და განმარტებასა სთხოვდნენ. ერთერთ ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა ექვთიმე ათონელის დროს, რომელსაც შეჰკითხებია სხვადასხვა საკითხთა გამო გიორგი შეყენებული ტყონდიდელი. ექვთიმეს პასუხი და განმარტებანი,¹⁾ რომელთა შესახებ ჩვენ უკვე გვექონდა ლაპარაკი, შედგენილია სტოჯიელთა მონასტრისა და ათონის პრაქტიკის ზეგავლენით და ის ამ მხრივაც საყურადღებოა. კანონიურ ეპისტოლეთაგან ჩვენამდე დარჩენილა მხოლოდ ერთი, კათოლი-

¹⁾ საქართ. სამოთხე, გვ. 432-436. ა. ეორდანიი. ქრონიკეზი II, 83-87.

კოზ ანტონ პირველისა, რომელიც გამოუცია მას, ირაკლი მეფის ნება-რთვით, 1767 წელს. ეს ეპისტოლე შეიცავს 15 მუხლს: 1) მღვდლად დასადგენნი უნდა სწავლულ იყვნენ შვილთა საიდუმლოთა, 2) საეკლესიო წიგნთა უცოდნელად მღუღელობა არა ჭკრ არს. 3) მწყემსნი მოვალენი არიან სამწყსოს ასწავლონ წმიდათ დებრთო, მამო ჩვენო, მიწუაღე და შრწაჲსი, აგრეთვე პირჯვრისწერა და აღსარების თქმა, 4) ეკლესია უნდა წმიდად დაცული იყოს. შიგ უნდა იყოს ყველა სიწმინდის სამსახურე-ბელი იარალი, საღვთისმსახურო წიგნები და უმნიშვნელოვანესი ხატე-ბი; 5) მწყემსნი უნდა ერიდონ მთვრალობასა და ნაყროვნებას, 6) ბაჟ-შვებს ეკლესიაში უნდა ნათლაედენ ნორმალურ პირობებში; 7) მისანთა და მწამლველთა შესახებ, 8) ხეთა და ძელთა, ნიშთა და ძეგლთა თა-ყვანისმცემელთა შესახებ, 9) კვირაუქმე და დღესასწაულთა გატარების შესახებ, 10) პირუტყვის ბოროტის სიტყვით შეგინება, 11) ეკლესიის მამულის გაცემა-გაყიდვის შესახებ, 12) ეკლესიები უნდა იძენდენ მხა-ტვართაგან დამზადებულ ხატებსა და სტამბაში გამოსულ წიგნებს.¹ ა) საინტერესო დოკუმენტს ირაკლი მეფე შემდეგ სიტყვებს ურთავს: ჩვენ ირაკლი მეფემან, მწურობელმან ქართლი¹ და კახეთისამან, ნება-ყოფლობითა სრულ ერთიანად ჩვენის ქვეყნების თავადთა, აზნაურთა, დიდ კაცართა და კლეხ-თათა: ღვთის მოწყალებით ამას ზედა დიად გუდაჯერებულ ვართ, რომ ჩვენს ქვეყანაში არც ყოფილა და არც არი სამართან ავნი და ღვთის განმარისებელისი საქმენი, მაგრამ ჩვენს ხალხს ვაბროხილებო: თუ ვინმე ამისთანა საქმას მკნელი გამოჩნდეს—ან მომწამლველნი, ან კაცის შემკრეველნი, ან სიყუარულისა და სი-ძულვარის წამლის მიმცემნი, ან ღვთის დიდად განმარისებელისა და მოუტკეპ-ბელის ფინთისა და მერაღისა და ცეცხლით საუკუნოდ მწყველისა მამათავლობისი შექელნი, მამაღნი ანუ დედაღნი, ესენი უნდა ძალიანი და საანდაზოს ჯაჯუასით დაიხრტნენ. და ეს განჩინება უოველმა ეპისკოპოსმა თავის სამწყსოს საუდრებში თავის ხალხს წაუკითხონ და გააფრთხილდნ.² საყურადღებოა ეს დოკუმენ-ტი იმის გასათვალისწინებლადაც, თუ რა სასჯელს უნიშნავდენ ხოლმე კანონთა დამრღვეველთ: მღვდელს-მღვდლობისაგან დაყენებას, მღვდელ-მსახურების, გარდა წირვისა, აღკრძალვას, მრევლის ჩამორთმევას, ხოლო ერისკაცს ორმოცი ჯოხის დაკვრას, დარბევას და განსაკუთრებულს შემთხვევაში სიკვდილით სასჯელს.

1) 3. კარბელა შვილი, ივრარქია საქართველოს ეკლესიისა. კვ. 179—185. სიძ. 2. ბელსაწ. № 317, გ. 179—186.

2) Ibid. Θ. Жордания, Описание I. стр. 315.

კანონიური ეპისტოლეს ხასიათი აქვს იმ სასჯულად მცნებას, რომელიც მე-XV საუკუნეში მიუცია აფხაზეთის საკათოლიკოზოსათვის ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქს მიხაილს იოაკიმე ბედიელის აფხაზეთის კათოლიკოზად დადგინების გამო.¹ უეჭველია, პატრიარქი მიხაილი ამ მცნებას ბერძნულ ენაზე დასწერდა, მაგრამ, ვინაიდან ის, ალბად, ქართულად გამოქვეყნდა, ერთის მხრივ, და მეორე მხრივ, ქართველებისადმი უშუალოდ მიმართული, მას ჩვენ ვთვლით ქართულ საეკლესიო კანონმდებლობითი ძეგლად. ეს ქარტა თქვენი თვის აღვსწერავ, ეუბნება მიხეილი ქართველებს ამ მცნების წინასიტყვაობაში, სადაც გამოსქვივის ძველი ანტიოქიური ტენდენცია ქართლისა და აფხაზეთის საკათოლიკოზოთა ანტიოქიის საყდარზე დამოკიდებულების შესახებ და სადაც განსაზღვრულია აფხაზეთის საკათოლიკოზოს ტერიტორია: ეპისკოპოსნი ლიხთამერეთს: ჭოროხს აქეთ, ოსეთს აქეთ, ზღუა ჰონტოს აქეთ, სადა დიდის ბიჭვინათს საზღვარი მიაწევს, აფხაზეთის კათოლიკოზისაგან იკურთხედიანო, ამბობს ის. ძველი გამომცემელს, თ. ჟორდანიას, 19 მუხლად გაუყვია, თუმცა რაიმე გარკვეული სისტემა აქ არ არსებობს. მცნებაში გათვლისწინებულია შემდეგი საგნები: 1) უხვედრი ან უკანონო ქორწინება, — ვინც ირთავს სვინას ანუ მეყვსს, სძალს, ბიძის ცოლს, ძმის ცოლს, ცოლის ასულს, ცოლის დედას, დობილს, დედობილს, თუ დედაშვილი მამაშვილმა შეირთოს, გინა ორნი დანი ორთა ძმათა, ნატაცები ცოლქმრობა. ორცოლობა (§§ 1, 2, 13, 15, 18, 19). 2) მრუშობა, — ხუცის, დიაკონის და მთავარდიაკონის ცოლთან, დედისნაცვალთან და დედო ზილთან (§ 1, 3); 3) მარხვის შერკვა, — მოციქულთა, ოთხშაბათ-პარასკევთა, მიძინების, ალაჯორი და ყველიერის კვრიაკე (§§ 5, 17, 18); 4) უქმეთა დარღვევა ან ახადის შემოდება, — კერძოდ, ვინც შაბათს ცხრაჟამითგან ორშაბათს განთენებამდე მუშაობდეს ან „პარასკევსა მიწასა რევდეს“ (§§ 5, 16), — უკანასკნელი შენიშვნა უნდა იყოს შემდეგიდროის ინტერპოლაცია, ოსმალოთა ზეგავლენით ჩადენილი; 5) მღვდელმსახურთა ზნეობრივი თვისებანი და მოკაღებანი, — ეპისკოპოსთა, მღვდელთა, მოძღვართა და ხუცეთა (§§ 2, 9, 10, 11, 13). 6) ადამიანის მკვლელობა (§ 4), 7) სომონსიტრა და საეკლესიო მამულთა მიტაცება (§ 14), 7) საეკლესიო კანონებისა და სამღვდელთაობისადმი მორჩილება (§§ 6, 7, 8, 12).

სამოქალაქო ხასიათის საკოდიფიკაციო შრომათაგან ქართული სა-

¹) თ. ჟორდანიას, ქრონიკები II, 294—297.

ეკლესიო სამართლის ისტორიისათვის მნიშვნელობას არაა მოკლებული არც გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დება და არც ბექა-აღბუგას სამართალი; თუმცა ისინი სამოქალაქო კანონმდებლობის კოდექსს წარმოადგენენ, მაგრამ ალაგ-ალაგ შიგ ლაპარაკია ეკლესიისა და მის მსახურთა შესახებაც. გიორგი ბრწყინვალის ეპოქას უნდა ეკუთვნოდეს ის შესანიშნავი ძეგლი ჩვენი იურიდიული მწერლობისა, რომელსაც კელმწიფის კარის გარიგება ეწოდება.¹ ეს ძეგლი, სხვადასხვა დროის მასალების მიხედვით შედგენილი, საბოლოოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული, გამომკვემლის სიტყვით, გიორგი ბრწყინვალის დროს გელათის მონასტერში. თუმცა ნაკოულევანობის გამო საეკლესიო და სასულიერო დაწესებულებათა შესახებ ამ ძეგლში სრული ცნობები არ შენახულა, მაგრამ ზოგიერთი საეკლესიო ინსტიტუტი მაინც საკმაოდ რელიეფურადაა აქ წარმოდგენილი; მაგალითად ქყონდიდელი და მოძღუართ-მოძღუარი. საეკლესიო და სასულიერო საქმეების გამგე ამ ძეგლით არის ქყონდიდელი; გელათის მონასტრის გარდა, ყველა საზღარი, ეკლესია და მონასტერი, ხუცესი, მონაზონი და საეკლესიონი დასანი მისი საეკლოფსანი იყვნენ; ვეზირთა შორის მას პირველი ადგილი უკავია. აქ მოხსენებულნი არიან მცხეთისა და აფხაზეთის კათოლიკოსი და ეპისკოპოსები: ქუთათელი, ბედიელი, იშხნელი, მაწყვრელი, ანჩელი და გოლგოათელი, და არა თუ უბრალოდ არიან მოხსენებულნი, მათი იერარქიული უპირატესობაც არის აღნიშნული; მათ შორის ყველაზე მეტი პატივი იშხნელსა და ქუთათელს აქვთ. ამ მუხლში ეს ძეგლის შესამჩნევად განსხვავდება იმ დოკუმენტისაგან, რომელსაც ეწოდება წესი და განგება კურთხევისათვის მეფისა თუ ვითარ დასხდენ მღვდელთმთავარნი სრულიად საქრთველთათვის ან აღსავალთათვის სამღვდელთმთავართა უღართა, რომელიც კარის გარიგების შემდეგ უნდა იყოს შედგენილი. საკმაოდ ვრცელადაა „კარის გარიგებაში“ ლაპარაკი „მოძღუართმოძღუარის“ შესახებ; ის ყოველთვის პირველად იხსენიება ოთხ დიდხარისხოვან ბერთა ან მონაზონთა შორის, რომლებიც არიან: მოძღუართმოძღუარი, ქყონდიდელი და კათოლიკოზნი ქართლისა და აფხაზეთისა, მას მეტი პატივი აქვს, თუკა ის უბრალო ეპისკოპოსია, ვიდრე კათოლიკოზებს, პატივი მისი ზოგჯერ ქყონდიდელის პატივისა აქარბებს. მეფე

¹ გამოცემა ექვთ. თაყაიშვილისა, Monumenta Georgica. IV, Leges. ტფილისი 1920 წ.

დარბაზობისას მას განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა.¹ „ქარის გარიგებაში“ ამასთანავე აღწერილია განცხადების და აღდგომის დარბაზობის წესი, აგრეთვე ზოგიერთი მონასტრებიდან, კერძოდ დავითგარეჯიდან, მეფისათვის ძღვნის მიწრთმევა; საზოგადოდ აქ საყურადღებო მასალაა წარმოდგენილი საეკლესიო და სამოქალაქო-სახელმწიფო ხელისუფალთა ურთიერთ დამოკიდებულებისა.

ჩვენი საეკლესიო სამართლის გასათვალისწინებლად, რასაკვირველია, მეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ ადგილობრივი ქართულ საეკლესიო კრებათა დადგენილებებს. ჩვენს ისტორიაში ხშირია მაგალითები საეკლესიო კრებათა მოწვევისა სხვადასხვა საჭიროებათა გამო; ამ კრებებზე გამოჰქონდათ დადგენილებანი, რომელნიც სავალდებულო იურიდიული ნორმების ხასიათს ჰღებულობდნენ ჩვენს საეკლესიო ცხოვრებაში. სამწუხაროდ, ყველა კრებათა დადგენილებანი ჩვენამდე არ შენახულა: ჩვენ ხელთა გვაქვს დღესდღეობით ორი ამგვარი დოკუმენტი: რუის-ურბნისის კრების (1103 წ.) ძეგლის—წერა და ეგრედ წოდებული საკათალიკოზო კანონები, რომელნიც შეუდგენია მეთექვსმეტე საუკუნეში მოწვეულ კრებას იმერეთში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ასე აგვიწერს საბაბს რუის-ურბნისის კრების მოწვევისას და მის კანონმდებლობითი მოქმედებას: წმიდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავასკთა ქმნულ იყენეს, და უღირსთა და უწესთა მამულაობით უფრთხს, ვიდრე ღირსებით, დაუპურნეს უფრთხსნი საეფისკოპოსონი, არა კარით მწვემსებრ კრდოთ შესრულნი, და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქოჩეპისკოპოსნი დაედგინნეს, რომეცნი ნაცულად სჯულთა ღმრთისათა ჰერობისა ესჯულაებასა აწურთიდეს მათ ქეუშეთა, და თუთ სახლით უფლისათ და მდღელთაგან გამოვიდოდა ესჯულაებაა, რომლითა თუადი ღმრთისა, მხედველი ეოპელოთა, ესეოდნად რისხულ აღზრულ იყო. მათ უკუე დიდთა წელულებათა კურნებად შემოკრება კრება ერმრავადი, რამეთუ სამეფოსთა თხისთა კათალიკოსნი, მდღელთმთავარნი, მეუღაბნოენი, მოძღუარნი და მეცნიერნი შემოკრიბნა წინაშე მათსა, ჟამსა და ადგილსა ჟეროვანსა, და მრავალდღე გამოწულილჳათა ფრიადიოთა კეთილად გამოაძიეს და უკუედი ცთომილი განმართეს და კეთილწესიერება ეოპელითურთ დაამტკიცეს, უღირსად გამოჩინებულნი გარდამოსთხოვნეს საუდართაგან, დაღაჟარა არა ადვილ იყო ესე ნათესავთა მათთა ძლიერებითა, და მათ წილ ჭეშმარიტნი იწვემსნი დაადგინნეს და ძეგლი შეუნიერი [ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა]

¹) ექ. თაყაიშვილი. გვ. XXVII—XXX.

აღწერეს მიმდგომი და მოწამე წმიდათა ათორმეტთა კრებათა.¹ ამ კრების დადგენილებათ ეწოდებათ „ძეგლისწერა წმიდისა და ღმრთივშეკრებულისა კრებისა“.² „ძეგლისწერა“, როგორც თავის ადგილას აღენიშნეთ კიდევ, შედგენილი უნდა იყოს არსენ ბერის მიერ და შეიცავს სამს ნაწილს: 1) პროლოგს ან შესავალს, რომელშიაც გათვალისწინებულია ეკლესიის დაარსება საზოგადოდ და საქართველოში კერძოდ, მსოფლიო და ადგილობრივ კრებათა საკანონმდებლო მოქმედება და მათ მსგავსად ამ, რუისურბნისის, კრების მოწვევა; 2) რუისურბნისის, კრების კანონმდებლობას და 3) სინოდის, რომელშიც რედაქტორი ეუბნება ცოცხლებს (მეფე-დედოფლებს, კათოლიკოზ-მღვდელმთავრებს და ცნობილ სასულიერო მოღვაწეთ) „შრავალეაზიერს“, ხოლო მიცვალებულებს „საუკუნო ხსენებას“. კრებას „დაუსხამს“ და დაუდგენია 15 კანონი: 1) უღირს მღვდელმთავართა განკვეთის აუცილებლობა, 2) ჰასაკი ხელდასხმადთა და დრო მათი ხელდასხმისა, 3) გიორგი მთაწმიდელის „კურთხევანის“ სანქცია, 4) ეგრედწოდებული სიმონია ან ხელდასხმისათვის ქრთამის მიღება, 5) სამღვდელთა ქურქელთა და ეკლესიისადმი შეწირულთა სიწმიდეთა, თვინიერ მათი დანიშნულებისა, მოხმარების დაუშვებლობა; 6) გვირგვინის კურთხევა, 7) ჰასაკი დასაქორწინებელთა, 8) იერარქიულ პირთა ჯეროვანი მომხადება, 9) მონასტრების მოძღვართათვის, მათი რიცხვი და ხარისხი, 10) მონასტრებში ვაქრობის უადგილობა, 11) სად, როგორ და როდის უნდა სრულდებოდეს მიცვალებულთა და ცოცხალთა მოსახსენებელი ჟამისწირვა და ლოცვა? 12) მართლმადიდებლობად მომავალნი სომეხნი უნდა ნათელდებულ იქმნენ, ვითარცა წარმართნი, 13) მართლმადიდებელთა და წარმართთა შეუღლება აღკრძალულია, 14) კიდესკიდე და არა ერთგან კურთხევა გვირგვინისა დაუშვებელია, 14) სოლომის ცოდვის შესახებ. „ძეგლის წერა“ მეტად საყურადღებო ნაშთია ქართული იურიდიული მწერლობისა და არა მარტო ქართულის, არამედ საზოგადოისაც, რამდენადაც იმაში აღიბეჭდა საზოგადო საეკლესიო-იურიდიული ნორმები.³

„საკათალიკოზო კანონები“ ან „სამართალი კათოლიკოზისა“ არის ძეგლი მეთექვსმეტე საუკუნისა; 1543—1549 წლებში ქართლის კათო-

1) ქ.—ცხოვრება მარია მღვდელისა, გვ. 290—292.
 2) საქართვ. სამოთხე, გვ. 518—530, თ. ეორდანიკა, ქრონიკები II, 56—72.
 3) ნ. ურბნელი. საეკლესიო სჯულმდებლობა. ძეგლის წერა, ივერია 1888 წ. №№ 38, 46, 75, 270, 271.

ლიკოზის მალაქიას (1531—1549) და აფხაზეთის ველემონ I ჩხეტიძის (1543—1578) დროს, იმერეთში მომხდარა საეკლესიო კრება, რომელსაც დასწრებიან, აღნიშნულ კათოლიკოსთა გარდა, ქუთათელი სიმეონი, გენათელი ანტონი, ქყონდიდელი, ბედიელი, დრანდელი ფილიპე, ცაგერელი კოსმანი, ხონელი ზაქარია, ნიკორწმიდელი იოაკიმე და წაიშელი კირილე. მათ გაუთვალისწინებიათ ის უწყესობები და არანორმალური მოვლენანი, რომელთაც ფესვი გაედგათ მაშინდელს საზოგადოებაში, როგორც, მაგალითად, მკვლევლობა, ტყვეთა ყიდვა-გაყიდვა, ეკლესიათა ცარცვა-გლეჯა, არაკანონიერი ქორწინებანი და სხვ., და „დაუსხამთ“ 22 კანონი, რომლებშიაც ყველა ამ უჯერო მოქმედებათათვის შესაფერი სასჯელია დადებული.¹ კანონები, როგორც ისინი ამბობენ და როგორც მართლა მათი შინაარსიდანაც ჩანს, დამყარებულია „სჯულის კანონზე“, — დიდსა და არა ექვეთიებს მიერ ნათარგმნ „მცირე სჯულისკანონზე“, როგორც ბაქრაძე ფრენკელსა ჰგონიათ.² ამ ძველიდან ჩანს, რომ საეკლესიო სამართლის იურისდიქციას ექვემდებარებოდა ჩვენში ამ დროს არა მარტო სასულიერო-საეკლესიო საქმეები და პირნი, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში სისხლის სამართლის დანაშაულობანიც.³

როდესაც ლაპარაკია ქართული საეკლესიო მართვა-გამგეობის და კანონმდებლობის ძველთა შესახებ, არ შეგვიძლია ორიოდე სიტყვა ან ვთქვათ იმ დოკუმენტთა შესახებ, რომელთაც სიგელი და გუჯარი ეწოდებათ. ამ სახელებით აღინიშნებიან სხვადასხვაგვარის, ხასიათის და შინაარსის აქტები, როგორიცაა შეფე — დიდებულითა, კათოლიკოზ-პატრიარქთა, მღვდელმთავართა და სხვა კერძო პირთა მიერ გაცემული წყალობის, ნასყიდობის თუ შეწირულობის დოკუმენტები. შემოვიდა თუ არა ქრისტიანობა ჩვენში და ჩამოყალიბდა თუ არა საეკლესიო ორგანიზაცია, მეფეებმა ეკლესიის უზრუნველსაყოფად დაიწყეს შეწირვა მამულებისა და სხვადასხვა ღირებულებისა ანადა მინიჭება ეკლესიისა და მის მსახურთათვის სხვადასხვა უფლება — პრივილეგიებისა; ასეთი აქტების

¹) Сборникъ законовъ грузинъ, царя Вахтанга VI. изд. Фриксля, стр. 129—133.

²) *ibid.*, стр. 129, შენიშვნ. 2.

³) ი. ნ. ურბნელიის გამოკვლევა: ჩვენი საეკლესიო ისტორიიდან, სამართალი კათოლიკოზისა, მოამბე 1898 წ. № 3, 4. ყურადღების ღირსია, როგორც მანეგნებელი თანამედროვე ეკლესიური ეპოქების დოკუმენტებისა. აქტები იმ კრებისა, რომელიც მოუწვევიათ შეფე იოაკიმის და კათოლიკოზ იოსებს 1762 წელს: აქტები შეიცავენ 11 მუსულს მღვდელმთავართა და მღვდელთა მოვალეობის შესახებ (პ. კარბელია შვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა. გვ. 157—160).

გამომხატველია ის იურიდიული ძეგლები, რასაც სიგელ-გუჯარი ეწოდება. სიგელ-გუჯრებს დიდი მნიშვნელობა აქვს ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთშორის დამოკიდებულების გაშუქებისათვის, საეკლესიო სამართალის, მფლობელობისა და ბატონ-პატრონობის გასათვალისწინებლად: ისინი ხშირად შეიცავენ მთელს კანონმდებლობითი კოდექსს ეკლესიის საქმეთა გამო, მაგალითად, ბიქვენთის გუჯარი; მათი დაწერილობითი, მეცნიერული შესწავლა ჩვენ წარმოგვიდგენს მთლიან სურათს საეკლესიო-სამოქალაქო კანონმდებლობისას. ასეთი შესწავლა ჯერ არც კი დაწყებულა, ვინაიდან ჯერჯერობით ვიმყოფებით მხოლოდ შემკრებლობითი ხანაში ამ მხრივ²

§ 10. ლიტურლიკა

დასაწყისი ქართული ლიტურლიკული მწერლობისა.—ტკპოსი და მისი სივადახვა რედაქციები.—კანონი ან იერუსალიმის განჩინება.—საბაწმინდური ტპიკოსი. კტიკორული ტპიკოსები.—აპრაკოსები.—ლექციონარები.—ლიტურლიკარიონები და იე ქოლოგიონი.—გულანი.—

ერთერთ მნიშვნელოვან დარგს ძველი ქართული მწერლობისას შეადგენს ლიტურლიკული მწერლობა, რომელიც წარმოშვა ქართულად ღვთისმსახურების შესრულების აუცილებლობაზე და საქირებამ: მაშასადამე, ის თანამედროვეა ქართულ ენაზე ღვთისმსახურების დასაწყისისა. როდის დაიწყო ქართულად ღვთისმსახურების შესრულება? ქრისტიანობის შემოღებისათანავე ქართულად ღვთისმსახურებას ვერ შეასრულებდენ, ამისთვის საჭირო იქნებოდა მომზადებული პირები და ლიტურლიკული წესების გადმოქართულება, ეს კი არც ისე მალე და ადვილად შეიქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, მთელი საუკუნე ქრისტიანობის შემოღებიდან, დაახლოვებით მეხუთე საუკუნის ნახევრამდე, ქართულად ღვთისმსახურება ვერ შესრულდებოდა: თავდაპირველად, როგორც სა-

1) ა. სანანაშვილი, გუჯრები, გვ. 130—134. ქუთაისი 1881. ნიხივე, Очерки по истории груз. словесности III, 358—362.

2) Brosset, Voyage archéologique, p. 1—50, Histoire de la Georgie II, liv. 2, p. 450—562. А. Пурцеладзе, Грузинские церковные гаджары, Грузинские дворянские грамоты, თ. ვორდანი, ქრონიკები I და II წიგნი, „ქართულკათოლიკე მონასტრებს და ეკლესიების ისტორიულ საბჭოებს“, „ისტორიული საბჭოები შიო მღვიმის მონასტრისა“, აღსაზიანაშვილი ის კუჯრები, ს. კაკაბაძის და განსაკუთრებით საქართველოს საისტორიო და საფონოგრაფიო საზოგადოების გამოცემაში.

ზოგადოდ ყველგან, ისე ჩვენშიაც, საკმარისი იქნებოდა, თუ საღმრთო წერილს, ესე იგი სახარებას მაინც, წაუკითხავდენ ხალხს ქართულად ღვთისმსახურების დროს. მეხუთე საუკუნის გასულს და მეექვსის დასაწყისს ღვთისმსახურება უკვე სრულდებოდა ქართულად, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ საბა განწმედილი († 532) თავის ანდერძში პირდაპირ ამბობს: „ივერიელებსა და ასურელებს ნება არა აქვთ ჟამისწირვა შესრულონ თავიანთ ეკლესიაში (რომელიც საბას მონასტერში იყო); იქ მათ შეუძლიათ წართქუან ჟამნობა, შესრულონ სამხრობა და წარიკითხონ თავიანთ ენაზე სამოციქულო და სახარება. (იხ. ზემოთ გვ. 33). აქედანა ჩანს, რომ ამ დროს ქართველებს თავიანთ ენაზე ჰქონიათ არა მარტო სამოციქულო და სახარება, არამედ ჟამნობა, სამხრობა და ჟამისწირვაც. მეექვსე საუკუნის გასულს, კათოლიკოზ კირიონის დროს, როგორცა ჩანს სომეხ-ქართველთა იერარქიის ურთიერთშორის მიწერ-მოწერიდან ეკლესიური ცილობა-კამათის გამო, საქართველოს ეკლესიის 35 ეპარქიაში ღვთისმსახურება, გარდა ერთისა—წურთავისა, ყველაში ქართულად სრულდებოდა. დროთა განმავლობაში ღვთისმსახურება შეიქმნა უმთავრეს ფაქტორად საქართველოს განაპირა პროვინციების გაქართველებისა და მათში ქართული სახელმწიფოებრივობის დამყარება-განმტკიცებისა, განსაკუთრებით ებლანდელს დასავლეთ საქართველოში, სადაც მეთვთამეს საუკუნემდე ბიზანტიის საეკლესიო და პოლიტიკური ხელისუფლება იყო გაბატონებული. მერვე საუკუნიდან აქ გაძლიერდა ქართული კოლონიზაცია, რომელსაც წინ მიუძღოდა ქართული ღვთისმსახურება; ამგზით აქედან თანდათანობით აბარგეს საბერძნეთის წარმომადგენელნი და ეს მხარე აღმოსავლეთ საქართველოს შეადუღეს. ასე რომ, ამ თვალსაზრისით, მართალი იყო გრიგოლ ხანძთელის ბიოგრაფი, გიორგი მერჩული, როდესაც ამბობდა: ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღიარა სხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა უამი შეიწირვის და ჯოცვაჲ უოველი აღესრულებს, ხოლო კვრეულეჲსთნი ბერძულად იოქუმის, რომელ არს ქართულად რუფალო წყალობა უაჲ“ გინა თუ რუფალო შეგწყალებნა¹.

ეკლესიამ თავიდანვე ყურადღება მიაქცია ღვთისმსახურებაში თვითნებობის აღაგმვას, მან შექმნა გარკვეული და ყველასათვის სავალდებულო წესი ღვთისმსახურებისა. ამ წესს ბერძნულად ჰრქვია Τσαρι, რაც სხეს, ხატს, მაგალითს ნიშნავს. ეკლესიაში ცნობილია შემდეგი ამგვარი

1) ნ. მარჩის გამოცემა, გვ. მთ, თავი მე, სტ. 5—8.

ტკპოსი ან წესი: სამრევლო ან სოფლიო და სამონასტრო; თავის მხრივ სამრევლო ტკპოსი ორნაირია ცნობილი: იერუსალიმელი ან ქრისტეს საფლავის და კონსტანტინოპოლელი, — აიასოფიის ან დიდი ეკლესიის; სამონასტრო ტკპოსი სამი ვიციტ: პალესტინაში საბაწმიდის, კონსტანტინოპოლში — სტოდიელთა მონასტრის და ათონზე — მთაწმიდის. ის წიგნი, რომელშიაც ჩაწერილი იყო ეს საზოგადო წესი ღვთისმსახურებისა ან ტკპოსი, ცნობილია სალიტურჯიკო მწერლობაში ცუპიკონას სახელიტ. ტკპიკონი ითვლება ღვთისმსახურების რეგულატორად. მისი საერთო სულისა და მიმართულების გამომხატველად, ეს არის ერთგვარი წესდება, ყველა მღვდელმსახურთათვის სახელმძღვანელო. ღვთისმსახურების ისტორიაში ამათუიმ ტკპიკონის არსებობა მაჩვენებელია იმისა, თუ რომელი ეკლესიის ან მონასტრის პრაქტიკას უერთდებოდა ესათუის ერი. საქართველოს ეკლესია მეათე საუკუნემდე უშთავრესად აღმოკვეთის ორიენტაციას იზიარებდა, ამიტომ უნდა გვეფიქრა, რომ ამ დროს მას ღვთისმსახურებაში აღმოკვეთის და არა დასავლეთის, ესე იგი საბერძნეთის, ტკპიკონი ექნებოდა. მართლაც, ეს აპრიორული მოსაზრება გამართლდა ამ რამდენიმე წლის წინათ, როდესაც აღმოჩნდა ეგრედწოდებული განჩინება და განწყება მოქალაქეთა მიერ მართლმორწმუნეთა, რომელსა ჰყოფენ იერუსალმში.¹ ეს არის მთელი თხზულება, რომელიც შეიცავს ქრიქსტეს საფლავზე შემუშავებულის იერუსალიმის რედაქციის ტკპიკონს, კანონად სახელდებულს.² ჩვენი აზრით ამ კანონში შენახულა ქრისტეს საფლავის ტკპიკონი მეშვიდე საუკუნის რედაქციისა, რომელიც ქართულად უნდა იყოს ნათარგმნი როგორც ამას ადასტურებს ახლად აღმოჩენილი პალიმესტური ფრაგმენტიც მისი, ³ არაუგვიანეს მეჩვე საუკუნისა. თხზულება ნათარგმნია ბერძნული ენიდან, მისი მთავარი ფუძე მებუთე საუკუნეს უნდა ეკუთვე-

1) К. Кекелидзе, Иерусалимский Канонарь VII века, Грузинская версия Тифлисъ 1912 г.

2) სინას მთის მეათე საუკუნის სამონასტრო კატალოგის „ერთი დიდი კანონი“ (Присл. Н. Бенешевича, Грузинский Великий Помоканонъ, Христ. Востоку, т. II, стр. 35а), აღნიშნავს არა „დიდ ნომოკანონს“ ან რეგულოსკანონს, არამედ მთლიან წიგნს დასავლელბულის იერუსალიმის კანონისა; საქმე ისაა, რომ არსებობდა მეორე „მოკლე“ ან „მცირე კანონი“ (იმავ სინას მთაზე, № 37, პროფ. აღ. ცაგარლის აღწერილობით № 30), რომელიც შეიცავდა ამ ტკპიკონს არა მთლიანად, არამედ ნაწილობრივ; სახელობარ: განგებას შობისას, ბზობისსენების კვირთუისას და აღდგომისას.

3) პროფ. ა. შანიძე. პაემტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისთვის, ტფილ. უნივერ. მოამბე, III, 363—365, 358.

ნოდეს, როგორც ამაში გვარწმუნებს ჩვენ სომხური ლექციონარები, რომელთა ერთი რედაქცია გამოცა 1905 წელს ინგლისელმა არქიმენისტმა ფ. კონიბერმა.¹ ამ ლექციონარებში იგივე დღესასწაულები და ხსენებანია, აგრეთვე იგივე სისტემა „საკითხავებისა“, რაც ჩვენს კანონში. ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ თავდაპირველად როგორც სომხები, ისე ქართველები, ხელმძღვანელობდნენ იერუსალიმის ან ქრისტეს საფლავის „კანონით“, ესე იგი ტუპიკონით, რომელიც მერე სომხებსაც შეუფარდებიათ თავიანთი ეკლესიის საქროებათათვის და ქართველებსაც. „იერუსალიმის კანონი“ ჩვენში ხმარებაში იყო მეთექვსმეტე საუკუნის ვასლვამდე; როდესაც ათონზე დამყარდნ ქართველები, მათ თარგმნეს ახალი რედაქცია ტუპიკონისა, ეგრედწოდებული აიასოფიის ან კონსტანტინოპოლის „დიდის ეკლესიის“ ტუპიკონი, რომელმაც ფეხი მოიკიდა ჩვენში და „იერუსალიმის კანონი“ თანდათან განდევნა პრაქტიკიდან. აიასოფიის ტუპიკონი, რომელსაც ქართულად „სუნაქსარს“ (სუნიჯარსი) უწოდებდნენ, შემოკლებული რედაქციით² თარგმნა ექვთიმე ათონელმა.³ ვინაიდან ექვთიმეს მიერ ნათარგმნი „მცირე სუნაქსარი“ თანამედროვე რთულ ლიტურგიკულ მოთხოვნალებს მთლიანად ვერ აკმაყოფილებდა, გიორგი მთაწმიდელმა გადმოთარგმნა „დიდი სუნაქსარი“, ესე იგი მთლიანი, სრული რედაქცია აიასოფიის ტუპიკონისა, რომელშიაც შეტანილია ელემენტები სტოდიელთა საფანისა და ათონის მონასტერთა ლიტურგიკული პრაქტიკისა.⁴ ეს ტუპიკონი ერთადერთი იყო, რომელიც განაგებდა ჩვენს საღვთისმსახურო პრაქტიკას მეთორმეტე საუკუნემდე, თუმცა საბოლოოდ განდევნილ იქმნა ის ხმარებიდან მხოლოდ XIV--XV საუკ.

მეთორმეტე საუკუნის პირველს მეოთხედში, დავით აღმაშენებელის დროს, ჩვენში შემოსულა ახალი რედაქცია ტუპიკონისა, ეგრედწოდებული „საბაწმიდური“, — პალესტინისა; ეს ტუპიკონი პირველად შემოუღიათ შიომღვიმის ლავრაში სჯემონ საკვირველთმომქმედის მონასტრიდან, (ანტიოქიის მახლობლად) დავით აღმაშენებელის თანამედროვე და დაახლოვებულ ბერებს არსენისა და იოანეს.⁵ ყოველ შემთხვევაში,

1) *Rituale Armenorum*, Oxford, p. 507—532.

2) „სუნაქსარის საწვლილოდ გაცემისა“, ათონის კრებულის, გვ. 28.

3) К. Кекелидзе, *Иерусалимский Канонарь VII в.*, стр. 297—310.

4) К. Кекелидзе, *Грузинские литургические памятники VII отечественных книгохранилищах и их научное значение* стр. 228—306, 483—506.

5) О. Жордания, *Завтрашние паря Тавила Возобновителя, дашное Шхо-мгვიმისკოი ლავრის წიგნების წიგნი*, ტფილისი 1895 წ. საბაწმიდური ტუპიკონი განითარდა იმ

თამარ მეფის დროს ამ ტკბიკონით ხელმძღვანელობდენ არ თუ სამრევლო ეკლესიებსა და მონასტრებში, მეფის კარის ეკლესიაშიც კი; ამაში გვარწმუნებს შემატინანეს შემდეგი სიტყვები: საეკლესიო ლოცვაჲ და წესი ლოცვისაჲ დაუკლებულად აღესრულებოდის |კოთარცა| ტკბიკონი მთასწაუებდა, — განწესებდა ზადესტინისა მასსტრინისა უოკელა სრულად |ადესრულებოდის| დარბაზის კარს.¹ თავდაპირველად ჩვენში შემოვიდა „სვიმეონწმიდის“ რედაქცია პალესტინის ან საბაწმიდის ტკბიკონისა, რომელშიაც შემდეგ ადგილი მოიპოვა ათონის მონასტრითა ლიტურჯიკული პრაქტის ელემენტებმა, ასე რომ საბოლოოდ ჩვენში დამყარდა „მთაწმიდის“ რედაქცია აღნიშნული ტკბიკონისა.² ეს რედაქცია პალესტინის ტკბიკონისა უცვლელად იყო ჩვენში მეჩვიდმეტე საუკუნის გასლვამდე, როდესაც ის შეუსწორებია თანამედროვე სლაკური ტკბიკონის მიხედვით მღვდელმონაზონს, შემდეგ კათოლიკოზს, ბესარიონს. ბესარიონის რედაქცია თავის მხრივ შეუსწორებია თანამედროვე სლაკურსავე ტკბიკონზე ანტონ კათოლიკოზს რუსეთში ყოფნისას; ამით დამთავრდა ჩვენში ტკბიკონის ისტორია და ევოლუცია.

ბიზანტიაში ხშირად ხდებოდა ხოლმე, რომ დიდგვარიანი და შეძლებული მორწმუნენი მთელს თავის ქონებას ახმარდენ მონასტრის აშენებასა და გამშვენებას, რომელთაც ისინი განსახლდნენ სამონასტრო წესსა და კანონს უჩენდენ. ისიც ხდებოდა, რომ ცხოვრებაპობებზე ბუღონი თვითონაც იღებდენ ბერობას და ამ მონასტერში აფარებდენ თავს. ამ მოვლენამ საფუძველი ჩაუყარა ეგრედწოდებულს „კტიტორულ“ მონასტრებს, რომელთა რიცხვი განსაკუთრებით მეცხრე საუკუნიდან მატულობს საბერძნეთში. მათ საქართველოშიც ჰქონდათ ადგილი, რაც, სხვათა შორის, ილარიონ ქართველის ცხოვრებიდანაცა ჩანს. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ილარიონი ექვსი წლისა იყო, იმ დაბაში, სადაც მისი მშობლები ცხოვრობდენ, მამამ „შეუქმნა მას მონასტერი და შეყრ-

სამონასტრო წესის ნადავზე, რომელიც განუჩინა საბამ თავის ლავრს. ეს სამონასტრო წესი, თუ უფრო ადრე არა, მეცხრე საუკუნეში უკვე იყო ცნობილი ჩვენში: გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან ჩვენ ვეკუთბილობ, რომ მან „ერსლადეს წარშაღალი ვინჩე პოვა მეგობარი თჳსი და მას დაქვედრა საბაწმიდისა დაწერაჲ და წარმოუყვამაჲ, როდესაც გრიგოლი საბერძნეთიდან დაბრუნდა, „მაშინ იერუსალიმით მოიწია ცაცი, რომელმაც მოართო საბაწმინდისა განგებაჲ დაწერაჲ“ (6. მარტის გამოცემა, გვ. ით—კ). ამ წესდების საფუძველზე გრიგოლმა, როგორც ამბობს ისი ბიკრაფი, „განაწესა წესი თჳსისა ეკლესიისაჲ და მონასტრისაჲ“. უნდა ვითქვოდთ, ეს „წესი“ შეუქმნევლი არ დარჩებოდათ ჩვენში და უოველ შემთხვევითი ტოპოგრაფიაში სხვა მონასტრებიც იღებდენ მას სახელმძღვანელოდ.

1) მარამ დედოფლის გარბანტი, გვ. 280.

2) К. Кекелидзе Грузинские литургические помечники, стр. 313—347, 396—311.

ბეს მუნ ძმანი რიცხვთ ვითარ ათექუსმეტნი ოდენ“.¹ მეგრე, დაბრუნდა თუ არა ის იერუსალიმიდან, დაქვრივებული დედისა და დისათვის ადაშენა მონასტერი დედასათვის მოწყესთა ადგილსა კეთილსა და შეუნირსა და შეწირნა სოფელნი რაველნიმე, ვითარ შემძლებელ იყო და განუწესა წესი და კანონი, ვითა ჯერ არს მონასტერსა შინა ყოფისაჲ, ჯაფვისა და მარხვისა და ყოფლისავე წესიერად ქვევისაჲ.² და კუადად ადაშენა სხუად მონასტერი მამათაჲს და შეკრიბნა მას შინა ძმანი ვითარ სამეფცადათექუსმეტნი... და განუწესა მათცა წესი და კანონი, სიმუნის მათისა შემსგავსებული, და აღუშენა ეკლესიაჲ და შეკამკო ყოფლითავე სამკაულითა და მოუგნნა წმიდანი წიგნნი და დასხნა მას შინა და შეწირნა სოფელნი, რომელნი დაშთომილ იყვნეს მამულისგან თჳსისა.“ კტიტორები იმ წესს, რომელსაც ისინი „განუჩენდენ“ თავიანთ მონასტერს, დასწერდენ ხოლმე და ამნაირად წარმოიშვა მრავალი კტიტორული ტუპიკონი. უეკველია, კტიტორული ტუპიკონები ჩვენშიაც იქნებოდა, თუმცა, სამწუხაროდ, შენახულა ცოტა. გრიგოლ ხანძთელმა მის მიერ აშენებულ მონასტრებს მისცა თავისი წესი, რომლიდან მის ბიოგრაფიაში მხოლოდ ექსცეპტებია მოყვანილი.³ კტიტორული ტუპიკონი მისცა თავდაპირველად ექვთიმე ათონელმა ივერიის მონასტერს;⁴ ეს ტუპიკონი, რომელიც რეგლამენტაციას უკეთებს ბერმონაზონთა შინაურ სამონასტრო ცხოვრებას, შედგენილია საერთო სამონასტრო და უფრო კი მთავრად მთავრად პრაქტიკის მიხედვით. კტიტორული ხასიათის ტუპიკონს წარმოადგენს „ანდერძი დავით აღმაშენებელისა“, რომელიც მას მიუცია შიომღვიმის ლავრისათვის სიკვიდილის წინ“ და რომელშიც გარკვეულია შინაური წესწყობილება აღნიშნული ლავრისა და მისი დამოკიდებულება მეფე-კათალიკოზთან. კტიტორული ტუპიკონი მიუცია 1084 წელს გრიგოლ ბაკურიანს მის მიერ აშენებული პეტრიწონის მონასტრისათვის. ეს ტუპიკონი, რომელიც დაწერილნი ყოფილა ქართულს, სომხურს და ბერძნულს ენებზე (შენახულა მხოლოდ ბერძნული ტექსტი),⁵

1) ათონ. კრებულნი, 38. 71.

2) ათონ. კრებულნი, 83. 78.

3) ათონ. კრებ. 83. 78—79.

4) ნ. შარტის გამოცემა, 83. კ. კ. Кекелидзе, „Литургические грузин. памятники“, стр. 477, прим. 13.

5) ათონის კრებულნი, 83. 55—52.

6) Θ. Жордания, Завѣщаніе Давида Возооноивителя, данное Шюмгвимской лаврѣ въ 1123 году, Тифлисъ, 1895 г., მისივე ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, 83. 14—19.

7) Louis Petit, Византийскій Временникъ, т. XI 1904 г.

შედგენილია ვინმე „ყოვლადწმიდის“ მიერ აშენებულის მონასტრის (μνη Παναγίας) ტუპიკონის მიხედვით; ის ითვალსწინებს მონასტრის აშენების ისტორიის, მის შინაურ წესებს, ბერმონაზონთა ყოფაცხოვრებას და მონასტერთან არსებული სემინარიის ორგანიზაციას. ტუპიკონი მეტად საყურადღებოა, სხვათა შორის, ქართველთა საზღვარგარეთელი სამონასტრო კოლონოზაციის დასახსიათებლად.

თითქმის იმავე დროს, მეთორმეტე საუკუნის გასულს და მეცამეტეს დამდეგს, 1191—1227 წლებში, დაწერილია კიდევ ერთი კტიტორული ტუპიკონი, სახელდობრ „განგება ვაჰანის ქუბთა მონასტრისა“ ტაოკლარჯეთში,¹ რომელიც მიუცია ვინმე მხარგძელს „თვისის მონასტრისათვის“, სახელდობრ ვაჰანის ქუბთა წმიდაგიორგისათვის. სამწუაზროდ, ძველი მეტად დაზიანებულია, მაგრამ ისიც, რაც დარჩენილა მისგან, მეტად საყურადღებო და დამახასიათებელია ქართული კტიტორული ტუპიკონებისა და სამონასტრო ცხოვრებისათვის.

საზოგადოთ უნდა აღინიშნოს, რომ ქართულს კტიტორულ ტუპიკონებს ამჩნევია კვალი ბერძნული ანალოგიური ძეგლების გავლენისა, და ეს სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან თვით მონასტრული ცხოვრება ჩვენში, კტიტორული ტუპიკონების გაჩენიდან, ვითარდებოდა უმთავრესად ბიზანტიური ზეგავლენის ქვეშ.

ღვთისმსახურება, რომელსაც წესს უჩენს ტუპიკონი, სამი უმთავრესი ელემენტისაგან შედგება: საკითხავები საღმრთო წერილიდან, ლოცვები, რომელთაც წარმოსთქვამს მღვდელმსახური, მკითხველი ან მორწმუნე, და საგალობელი ჰიმნები. საღვთისმსახურო წიგნებაც ამისდამიხედვით სამ უმთავრეს დარგად განიყოფებიან და თვითეულს დარგს რამდენიმე სხვადასხვა წიგნი ამოსწურავს. საღმრთო წერილიდან ღვთისმსახურების შესრულებისას ჰკითხულობენ, ახალი აღთქმიდან, სახარებას და სამოციქულოს, ხოლო ძველი აღთქმიდან პრაფიტოლოგიონს, ან პარემიონს, რომელიც შეიცავს სხვადასხვა წიგნებიდან, უფრო კი წინასწარმეტყველებიდან, ამოკრეფილ ადგილებს; განსაკუთრებულ ხმარებაშია აგრეთვე დავითნი, ან ფსალმუნთა კრებული. საეკლესიო პრაქტიკამ ღვთისმსახურებისას საჭირო ახალი აღთქმის ბიბლიური ტექსტებისათვის ცალკე კრებული შეიმუშავა, — ეგრედწოდებული აპრაკო-

¹) თ. ყო რ დ ა ნ ი ა, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და ძველი ვაჰანის ქუბთა 33. 28—44.

სეზი,¹ სადაც საეკლესიო წელიწადის წესით მოყვანილია მხოლოდ ის საკითხავები სახარებიდან და სამოციქულოდან, რომელნიც ღვთისმსახურებისას იხმარება. მეათე საუკუნემდე ჩვენ ვერ ვხვდებით განცალკევებულ „აპრაკოსებსა“ და „პროფიტოლოგიონებს“, მათ მაგიერ გვაქვს ეგრედწოდებული ლექციონარები, სადაც თვითეული კვირიაკისა ან ღლისა და ღღესასწაულისათვის მოყვანილია „საკითხავი“ სახარებასამოციქულოსა და საწინასწარმეტყველოსაგან. ასეთ ლექციონარს, წარმოადგენს, სხვათაშ ორის, ის კანონიც იერუსალიმის რედაქციისა, რომლის შესახებ ჩვენ ლაპარაკი გვქონდა ზემოთ. არაიშვიათად თვით სახარება-სამოციქულოს ხელნაწერთა აშიებზე აღნიშნავდნენ ხოლმე, როდის იკითხება ესადაეს ადგილი, როგორც, მაგალითად, ეს ჩაუდენია შატბერდის, ან ჰალიშის სახარების გადამწერს. უფრო ხშირად კი ხელნაწერთა ბოლოში მოათავსებდნენ ეგრედწოდებულ „საძიებელს“ საკითხავებისას, სადაც ყოველი კვირიაკისა, ღლისა თუ ღღესასწაულისა და კერძო შემთხვევისათვის აღნიშნულია ხოლმე „დასაწყისი“ ამათუიმ საკითხავისა. ასეთი „საძიებელი“ მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ვინაიდან ისინი გვირკვევენ—რომელ პრაქტიკას და ტრადიციას იცავდა ამათუიმ შემთხვევაში საქართველოს ეკლესია. მნიშვნელოვან ეკლესიებსა და ადგილებს ჰქონდათ თავიანთი საკუთარი სისტემა საკითხავებისა და, მაშასადამე, „საძიებელისაც“; ცნობილია, მაგალითად, საბაწმიდის, იერუსალიმის, სინას მთის და საბერძნეთის ან სოფიაწმიდის სისტემა. ჩვენამდე შენახულ „საძიებელთა“ ხელნაწერების მიხედვით ირკვევა, რომ ჩვენ გვქონია პირველს ორ პერიოდში „საბაწმიდის“ და „სინას მთის“ სისტემა, უკანასკნელი გადაუწერია 978 წელს იოანე-ზოსიმეს.² გვქონია აგრეთვე იერუსალიმის, ან წმიდა სათლავის სისტემა, რომელიც მოათავსებულია ზემოგანხილულს „კანონში“. მეთერთმეტე საუკუნეში ეს სისტემა იმდენად გამოსულა ხმარებიდან და იმდენად დავიწყებულა, რომ ქართველებს

1) „აპრაკოსი“ ბერძნული სიტყვაა, მაგრამ, როგორც ტერმინი, ბერძნებისაგან არაა მოგონებული, წარმოადგება სიტყვისაგან *παρα* [აქედან *παρακαταστολας*, — „საქმე მოციქულთა“]; *επιθιτιvus* ამ სიტყვისა უარყოფითი ნაწილის *α-*ს იმატებით მოგვცემს *απρακιος*, რას იმის მანერებელია. რომ წიგნი, რომელსაც ეს სახელი აქვს. არ არის *παρα*-ი, — საქმე მოციქულთა, არამედ სხვა, კონკრეტულად—სახარები: მართლაც, აპრაკოსებად უფრო სახარებები იწოდება. ასეთი ტერმინი სლავურ ნიდავზე უნდა შეთხზულიყოს (проф. Н. Глубоковский, Греческий рукописный Евангелистарий изъ собранія И. Троицкаго, Христиан. Чтеніе за 1897 г. т. ССIV, часть 1, стр. 29. примѣч. 12). ქართულად „აპრაკოსი“ არ იხმარება, ამის შესატყვისად ჩვენებს უხმარიით „სახარება სიწელიწოდ გამოკრებული“ ან „სამოციქულო გამოკრებული“.

2) Н. Мауръ, Предварительный отчетъ, стр. 26—27.

აღარ ახსოვთ მისი იერუსალიმისაგან წარმომდინარეობა და მას უკვე „ქართულ კანონს“ უწოდებენ სხვა სისტემისაგან გასარჩევად. მაგალითად, 1048 წელს გადაწერილს სახარებას დართული აქვს „საძიებელი“, რომლის შესახებ გადამწერი თუ რედაქტორი შენაშნავს: ესე წესი და განგებაჲ საბაწმიდისაჲ არს ბერძენული, ვის ქართული უნდეს. კანონსა მიედგეს და მისგან ისწავუ; რომელ დედას ეწერა. შე იგი ღამიწერია, წმიდაჲ და ჭკუმა-რითი წესი საბაწმიდისაჲ.¹ როგორც ვხედავთ, „ქართულს“ ან იერუსალიმის „კანონს“ ის უპირდაპირებს საბაწმიდისას.

ასეთივე განსაკუთრებული სისტემა „საკითხავებისა“ მიღებული იყო დავითნიშიაც. დავითნი შედგება 150 ფსალმუნისაგან. რომელნიც განყოფებიან 20 ნაწილად, ამ ნაწილთ ეწოდება „კანონი“; თუთეული „კანონი“ განყოფება სამ ნაწილად, რომელთაც დიდება ეწოდება. როგორც სახარება-სამოციქულოსი, ისე ფსალმუნების კითხვის წესიც შემუშავებული იყო ეკლესიაში და, მაშასადამე, იმათთვისაც აღგენდენ ხოლმე საძიებელს. ასეთი „საძიებელი“ ყოფილა საბაწმიდური, ბერძნული, იერუსალიმელი და ქართული. ეს სხვათა შორის, ჩანს 904 წლის დავითნიდან,² სადაც ვკითხულობთ: ხოლო განყოფაჲ კანონთაჲ სჲმად გალობასა შინა, სადა დიდებაჲ ითქუმის, ესრეთ ტან, ვითარ ქართველნი განგუოფენ: სადა წერილ იყოს ესე ვითარმედ თავუხანის ცემაჲ, ტანდა მუხ დიდებაჲ ითქუმის და მუხვე წითლითა წილქანი ზის. და ესე ფსალმუნთაჲ. ხოლო კანონთა თავი თავთ საცნაურ არს და თანავე ჩამოწერილ არს. ხოლო ვითარ ბერძენნი და იერუსალიმელნი განგუოფენ, ესრეთ იხილუ და ტან: სადა გუოფენ თავსა კანონთასა, წითლითა ზის თავი და სადა ფსალმუნთა დიდებასა გუოფენ. და არიან რომელნიმე ერთფერად და სწორად იწრუსალიმელთაჲ და ქართველთაჲ კანონიცა და ფსალმუნთაჲ.³ ექვს გარეშეა, რომ აქ, თუმცა ლაპარაკია „იერუსალიმელთა“ და „ქართველთა“ განყოფის შესახებ ცალკალკე, მაგრამ ერთიდაიგივე წესი იგულისხმება: ქართველთა „განყოფილება“ იგივე იერუსალიმელი „განყოფილება“ არს.

მეორე დარგი საღვთისმსახურო წიგნებისა, რომელნიც შეიცავენ სხვადასხვა ლოცვებს, ბერძნულად ცნობილია როგორც *Εὐχαρίστησις*, ესე იგი ლოცვანი. ამ სახელით აღინიშნება განსაკუთრებით ორი

¹) К. Кекелидзе, Иерусалимский Канонарь, стр. 37.

²) სიძვ. მუხ. № 38.

³) მ. ჯანაშვილი. ქართული მწერლობა I, 190—191.

წიგნი: ერთში მოთავსებულია წირვის წესი, ხოლო მეორეში— ადამიანის ცხოვრებაში სხვადასხვა შემთხვევის გამო წარსათქმელი ლოცვები, როგორც, მაგალ., ნათლისღებისას, ჯვარისწერისას, დასაფლავებისას და სხვა. იმ წიგნს, რომელშიაც წირვის წესია მოთავსებული, ეწოდება ბერძნულად *Λειτουργία*, ხოლო ქართულად კონდაკი ან ჟამისწირვა. სახელწოდება კონდაკი წარმოდგა თვით ამ წიგნთა ფორმისაგან: ძველად წირვის წესს სწერდენ ხოლმე მომეტებულ ნაწილად გრძელს, ერთიმეორეზე გადაკერებულ, ეტრატის ვიწრო ფურცლებზე; ეს ფურცლები დახვეული იყო ჯოხზე, რომელსაც თავი დამრგვალებული ჰქონდა ლურსმის მსგავსად. ამ ხვეულს ან გრაგნილს ბერძნულად ერქვა *Επιτάφιος*, ხოლო ქართულად კონდაკი, ვინაიდან იმ მოკლე ლურსმისებურ ჯოხს ბერძნულად *χάρις*-ს ეძახდენ, აქედან წარმოსდგა *χονδακίον*, მაშასადამე კონდაკიც ბერძნული სიტყვაა. ჟამისწირვა სპეციალური ქართული ტექნიკური ტერმინია, რომელიც აღნიშნავს წმიდა მსხვერპლის ან ევქარისტიის შეწირვას განსაზღვრულ ჟამსა და დროს; ვინაიდან ის მღვდელმოქმედება, რომელსაც ჩვენ წირვას ვეძახით, უმთავრესად ევქარისტიის შეწირვას წარმოადგენს, ასეთი სახელი ადვილი ვასაგებია. ისტორია ქართულ ენაზე „კონდაკის“ თარგმნის არის ისტორია იმისა, თუ რაღარა რედაქციის წირვის წესი იყო ქართულად ხმარებაში. ცნობილია რამდენიმე რედაქცია წირვის წესისა: მოციქულთა ლიტურღია, უფრო იაკობის, მარკოზის და პეტრესი, და კონსტანტინოპოლელი ლიტურღია: ბასილი დიდისა, იოანე ოქროპირისა და პირველშეწირული (დიდმარხვისა). რომელი რედაქცია იყო ჩვენში მიღებული? საერთოდ აღმოსავლეთში მიღებული იყო და გავრცელებული, თითქმის მეთორმეტე საუკუნემდე, მოციქულთა ლიტურღიები, განსაკუთრებით იაკობისა, ხოლო ბიზანტიაში ან კონსტანტინოპოლის რაიონში—ბასილი დიდისა და ოქროპირისა. ჩვენში ძველადვე ორივე რედაქცია იყო თარგმნილი, ეს, სხვათა შორის, ჩანს ექვთიმე ათონელის პასუხიდან გიორგი შეყენებულის მიმართ; გიორგის შეკითხვაზე — „რამ არს ჟამის წირვაჲ იაკობისი, ქეშმარიტ არს ანუ არა?“, — ექვთიმე უპასუხებს: წმიდისა იაკობის ჟამისწირვაჲ უეჭველად ქეშმარიტი არს და პირველად იგი აჟო ეკლესიას შინა საბერძნეთისათა და ჩუენთა. ხოლო ოდეს წმიდამან ბასილი და ნეტარმან იოანე ოქროპირმან ჟამისწირვანი გამოაქუნეს, სიმოკლისათჳს ერმან იგი აღიწნია და წმიდისა იაკობისი მივიწყდა და უოგედსი ოქროპირისასა სწირვენ და დიდთა მარხვათა ბასილისასა, და ოდესაც

ვის უნდეს, უოჯჯადვე კეთილ არს იაკობისი და ჰეტრესიდა.¹ ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ მეათე საუკუნის გასულს საქართველოში ორივე რედაქციის ლიტურჯიები ყოფილა, მათში ერთგვარი მეტოქეობა დაწყებულა, ასე რომ საჭირო გამხდარა ავტორიტეტული განმარტება მათი ღირსება—კანონიერებისა. ვინაიდან მეათე საუკუნემდე ჩვენი ეკლესია უშთავრესად აღმოსავლეთის ეკლესიურ სფეროში იმყოფებოდა, იქ კი იაკობის ლიტურჯია იყო ხმარებაში, ჩვენშიაც, ექვი არაა, ეს ლიტურჯია იქნებოდა მიღებული. მართლაც, მეათე საუკუნეზე აღრე ჩვენში არ დარჩენილა კონსტანტინოპოლის რედაქციის ლიტურჯიები, იაკობის კი შენახულა. იაკობის ჟამისწირვის ორი ცალი მოიპოვება ჩვენში, ორივე მეათე საუკუნისა, — ერთი სინას მთაზე, მეორე „სიძველეთა მუზეუმში“ (№ 86).² იმავე დროს, რა დროსაც იაკობის ლიტურჯია უთარგმნიათ, ნათარგმნი უნდა იყოს, ენის მიხედვით, ჰეტრე მოციქულის ლიტურჯიაც, რომლის ერთი ცალი შენახულა მეთვრამეტე საუკუნის ნუსხაში.³ იყო თუ არა ის ჩვენში ხმარებული, დანამდვილებით თქმა არ შეგვიძლია; თუ ექვთიმე ათონელის პასუხს დავეყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ იყო.⁴ რაც შეეხება კონსტანტინოპოლის რედაქციის ლიტურჯიებს, ისინი ჩვენში შემოვიდნენ, ალბად, მას შემდეგ, რაც ქართველები ბიზანტიას დაუახლოვდნენ და მის გავლენის სფეროში შევიდნენ, მაშასადამე არაუადრეს მერვე საუკუნისა. ყოველ შემთხვევაში, თუმცა მათი ნუსხები, როგორც ზევითაც ვთქვით, ჩვენამდე პირველი ორი პერიოდიდან არ შენახულან, მაგრამ გვაქვს ისეთი დოკუმენტი, რომელიც გვარწმუნებს, რომ მეცხრე საუკუნეში ქართველები ამ რედაქციას იცნობდნენ. არსენი დიდი, კათალიკოზი, თავის ისტორიულ-პოლემიკურ ტრაქტატში „განყოფისათჳს ქართლისა და სომხეთისა“ ამბობს, რომ მნასკერტის კრებაზე სომხებმა დააკანონეს არამც თუ „უცნომოჲს“ ხმარება, არამედ ევქარისტიულ ღვინოში წყლის შეურევნელობაცო; ასეთი პრაქტიკის უკანონობას არსენი ასაბუთებს ბასილი დიდის სიტყვებით, რომელიც წმიდათა საიდუმლოთა შინა იტყჳს:

¹) К. Кекелидзе, Древне-грузинский Архиратиконъ, стр. VI—VII.

²) ეს უკანასკნელი გამოცემულია ჩვენ მიერ ქართულად (Древне-грузин. Архиратиконъ) და რუსულად (Литургическіе грузин. памятники, стр. 6—22). ხოლო ინგლისურად თარგმნეს კონიბერმა და ვარდაროვმა.

³) სიძვ. მუხ. № 81: ჩვენი Грузинские литургическіе памятники, стр. 201—206.

⁴) Gussen, Die georgische Petrusliturgie. Oriens Christianus. III 1, 1913, S. 5—6.

ადიდო ჰური და ამაღლებული მიგიპურა შენ ღმერთსა მამსა, აკურთხა, განტეხა და მასცა მოწაფეთა. აგრეთვე სასუმეული მოსთულებული ვენახისა ადიდო. განზავა და მასცა გურთხეული მოწაფეთა თქსთა.¹ როგორც ვხედავთ, ეს სიტყვები ამოღებულია ბასილი დიდის ჟამისწირვიდან, რომელიც, მაშასადამე, ამ დროს უკვე ცნობილი იყო ჩვენში. ყოველ შემთხვევაში იაკობის ჟამისწირვას საგრძნობელ მეტოქეობას კონსტანტინოპოლის რედაქციის ჟამისწირვა მათე საუკუნის გასვამდე ვერ გაუწევდა და, შეიძლება ითქვას, ამ დრომდე ის ბატონობდა ჩვენში; ხოლო მას შემდეგ, რაც ქართველები ათონის მონასტრის საშუალებით ბიზანტიის საეკლესიო სფეროს ცენტრში შეიქრენ და მიზნად დაისახეს მისი ტრადიციების უცვლელად გადმონერგვა ჩვენში, იაკობის ჟამისწირვა თანდათან დაეიწყებას მიეცა და ბოლოს სულერთიან ხმარებიდანაც გამოვიდა. ამით აიხსნება, რომ მეთერთმეტე საუკუნეში გიორგი მთაწმიდელს მოუცია ახალი თარგმანი კონსტანტინოპოლის რედაქციის (ვასილის და ოქროპირის) ლიტურჯიისა, რომლის ტექსტი ბიზანტიაში თანდათან იცვლებოდა და ამიტომ დროგამოშვებით სწორდებოდა. უფრო სხვილი და მნიშვნელოვანი ცვლილება და შესწორება მისი იქ მოახდინა მე-XIV საუკუნეში კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ფილეთეოსმა, რომელმაც ამ მიზნით დაწერა ეგრედწოდებული *Διάταξις τῆς ἑρπιδιακονίας* ანაღა Ordo. ჩვენში ფილოთეოსის რედაქციის ლიტურჯია შემოვიდა მხოლოდ მე-XVII საუკუნის გასულს, თუმცა ერთბაშად ყველგან ის მიღებული არ იქნა: ახალ ნუსხებს მეთვრამეტე საუკუნეში იღებდნენ როგორც შეუსწორებელის, ისე ფილოთეოსის მიერ შესწორებული რედაქციებიდან (პირველად ის დაიბეჭდა ვახტანგ მეფის მიერ 1716 წ.). უკანასკნელი ცვლილება ამ ლიტურჯიისა მოხდა მეთვრამეტე საუკუნის ნახევარში, ანტონ კათოლიკოზის დროს, რომელმაც ის შეასწორა სლავური „კონდაკის“ მიხედვით.² ის ხელნაწერი, რომელშიაც იაკობის ჟამისწირვა შენახულა ჩვენამდე (სიძვ. მუზ. № 86), წარმოადგენს ეგრედწოდებულ არქიერატიკონს ან „სამღვდელთმთავრო კონდაკს“. მაშასადამე, მათე საუკუნეში დიფერენციაცია „კონდაკისა“ სამღვდლოდ და სამღვდელთმთავროდ უკვე ფაქტი იყო ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ „არქიერატიკონი“ საბერძნეთის ეკლესიაშიც შედარებით გვიანი მოვლენაა. იქ წინად მღვდელთმთავარიც იმავე *Ἐπιτηδεύον*-ებით, *Ἐβχ*-

¹) თ. ეთრდანიი, ქრონიკები I. 323.

²) К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники, стр. XIII—XVI.

ლტურლიკა-ებით და Ἱεραტიკონ-ებით სწირავდენ, რომლებითაც მღვდლები; ნამდვილი „არქიერატიკონი“ კი ჩნდება დაახლოვებით მე-XVII საუკუნის ნახევრიდან. ჩვენ კი უკვე მეთავე საუკუნეში გვაქვს პროტოტიპი ამ წიგნისა. ეს რომ ასეა, ჩანს როგორც ხელნაწერის შემადგენლობიდან, — აქ წირვის წესს გარდა მოთავსებულია ქიროტონია — ქიროტესიათა წესები, რომელნიც მღვდელმთავრის პრეროგატივას შეადგენენ, აგრეთვე ხელნაწერის „მომგების“ სიტყვებიდან: მე ქრისტეს მიერ სუმიონ ქართლისა კათალიკოზმან დაწერენ წმიდანი ესე ჟამისწირვანი სამღუდეთმოდურად საწირავადო.¹

მეორე დარგი „ევეკოლოგიონისა“ არის ის წიგნი, რომელსაც ქართულად „კურთხევანი“ ეწოდება. ეს სახელი წარმოდგება „კურთხევისასაგან“, ვინაიდან შინაარსი მისი არის სხვადასხვა „კურთხევათა“ ან ლოცვათა საშუალებით განწმედათა წესი. თავისთავად იგულისხმება, კურთხევანიც აღრინდელი მოვლენა უნდა იყოს ჩვენს მწერლობაში. „კურთხევანი“, ისე როგორც „კონდაკი“, მუდამ ხმარებაში იყო, იმას ხელიდან არ უშვებდენ მღვდელთმსახურნი, ამიტომ ისინი იცვითებოდა და ამით აიხსნება, რომ პირველი ორი პერიოდლიდან მათი ეგზემპლიარები ჩვენში ძაან ცოტა დარჩენილა. მხოლოდ სინას მთაზე შენახულა ერთი ცალი მისი, რომელიც, მართალია მერვე საუკუნის კი არაა, როგორც, პროფ. ცაგარელი ჰტიქრობს,² არამედ მეთათისა, მაგრამ უძველესი რედაქცია კია: იმ მოკლე აღწერილობითაც, რომელიც პროფ. ცაგარელს აქვს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს კურთხევანი არის „აღმოსავლურის“ ან იერუსალიმელ-პალესტინელი რედაქციისა, რომელშიაც თვალსაჩინო ადგილი ჰქონდა დათმობილი პირუტყვთა და ცხოველთა მსხერეპლად შეწირვის ლოცვებს;³ ამ ლოცვებს აღნიშნულ ხელნაწერშიც ეკპოულობთ.⁴

მესამე პერიოდის დასაწყისში ექვთიმე ათონელმა მოგვცა ახალი, კონსტანტინოპოლის, რედაქცია კურთხევანისა: ეს უნდა ყოფილიყო შემოკლებული „კურთხევანი“, რომლის შემადგენლობითი ნაწილები ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, როდესაც ლაპარაკი იყო ექვთიმეს ლიტურლიკული მოღვაწეობის შესახებ. ვინაიდან ექვთიმეს შემოკლებული „კურთხევანი“ თანამედროვე ლიტურლიკულ მოთხოვნილებას ვეღარ აკმაყო-

1) К. Кекелидзе, Древне-грузинский Архидиаконъ стр. I—III, прим. — прим.

2) Свѣдѣнія II, № 37.

3) Н. Марръ, Предварительный отчетъ, 12—13.

4) К. Кекелидзе, Литургическіе грузин. памятники, стр. 471—472.

ფილებდა, გიორგი მთაწმიდელმა გადმოთარგმნა უკვე „დიდი კურთხევანი“, რომელშიაც მოთავსებული იყო ყველა ის წესები, რომელნიც თანამედროვე პრაქტიკაში შემუშავებული იყო. მთლიანი ნუსხები ამ „კურთხევანისა“ უძველეს დროიდან საქართველოში არ გვხვდება; ყველაზე უძველესი ნუსხა ამ წიგნისა, XIII - XIV ს., ინახება სინას მთაზე.¹ გიორგის „კურთხევანი“ შეიცავს, აღნიშნული ხელნაწერით, 126 სტატიას, რომელნიც ენებიან: ნათლისღებასა და მის გარშემო თავმოყრილ მშობიარესა და შობილსა ზედა ლოცვებს, ქორწინებას, ბერად აღკვეცას, შესუენებულის დაფლვას და პანაშვიდს, ეგრედწოდებულ ასმატიკონს ან კვირაქალთა განგებას, წყლისკურთხევას, ფერხობანას, მარტვილიის განგებას, სხვადასხვა შემთხვევათა გამო ლოცვებს, მართლმადიდებლობად მოქცეულთა მიღების წესს, ქიროტონია-ქიროტესიას და ეკლესიის კურთხევას. გიორგის კურთხევანმა საქართველოში მიიღო კანონიური მნიშვნელობა და მას სანქცია მისცა რუსი-ურბნისის კრებამ.² გიორგის შემდეგ „კურთხევანი“ სხვადასხვაგვარ ცვლილებებს განიცდიდა ბერძნულ ნიაღვზე, ზოგიერთი მათგანი გამოძახილს ჰპოულობდა ჩვენშიაც, ამით აიხსნება, ალბად, ის გარემოება, რომ მეთოთხმეტე საუკუნის დამდეგს „ქართველთა მნათობს“ მამა ნიკოლოზს უთარგმნია ბერძნულიდან ზოგიერთი სტატიები „კურთხევანისა“,³ მაგრამ საერთოდ ეს „კურთხევანი“ უცვლელად დარჩენილა ჩვენში მეჩვიდმეტე საუკუნის გასლვამდე. მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს კვიპრიანე სამთავნელს ხელახლა უთარგმნია ქართულად ბერძნულიდან „კურთხევანი“ და ამით ქართული ლიტურგიკული პრაქტიკა დაუახლოვებია თანამედროვე ბერძნულ პრაქტიკასთან. კვიპრიანეს თარგმანი ორი რედაქციით ვრცელდებოდა ჩვენში: სრულით და შემოკლებულით, სლავურ კურთხევანზე ის არ შეუსწორებიათ და 1713 წელს პირველად დაბეჭდეს კიდევაც. ამით დასრულდა ქართული „კურთხევანის“ ევოლუცია. მესამე დარგი საღვთისმსახურო წიგნებისა შეიცავს ეგრედწოდებულს ჰიმნოგრაფიულ ელემენტს, იმ საგალობლებს, რომელნიც შეასხმენ ან შეამკობენ ღმრთისწაულებსა და წმიდათა ხსენებას; ესენია: ოკთოიხოსი, მარხვანი, ზატიკი და თთუენი. ამ წიგნებში თავმოყრილია ნაყოფი საეკლესიო-

1) № 38 ა. ცაგარლის აღწერილობით და № 73 ივ. ჯავახიშვილისა.

2) საქართველოს სამოთხე გვ. 524.

3) სიძველე ზ. ზელნ. № 198 გ. К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники, стр. 57-74.

პოეტური შემოქმედებისა, ამიტომ მათი ანალიზი და ისტორია წარმოდგენილი იქნება ქვემოთ, როდესაც ლაპარაკი გვექნება საეკლესიო პოეზიის შესახებ.

აქ აღვნიშნავთ, დასასრულ, ერთს წიგნს, რომელიც ქართულს ლიტურლიკულ პრაქტიკას შეუშუშავებია, და სახელად გულანი ეწოდება. ეს ისეთივე ხასიათის კრებულია, როგორც ბერძნული პანდექტი, მაგრა სხვა შინაარსისა: გულანი არის კრებული ყველა საღვთისმსახურო წიგნებისა, კრებული უზარმაზარი, რომელიც ფუთს, ფუთნახევარს იწონის. ანტიოქიის პატრიარქი მაკარი, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნეში საქართველოში იყო, ამ წიგნს, როგორცა ჩანს, განცვიფრებაში მოუყვანია; ის ამბობს: „თვითეულს ქართულ ეკლესიაში იმყოფება უზარმაზარი წიგნი, რომელიც ჯორის საპალნის ცაღს მაინც უდრის. ეს წიგნი ძვეს კლიროსზე, ანალოზზე, და დაფარულია ტილოთი ან მაუდით; იმაში თავმოყრილია ყველა საღვთისმსახურო წიგნები, რომელნიც მორწმუნეთ სქირიათ და რომელთაც ჰკითხულობენ წლის განმავლობაში, სახელდობრ: სახარება, საქმე მოციქულთა, მოციქულთა ეპისტოლენი, თთუენი ააორმეტნი, მარხვანი და ზატიკი. საწინასწარმეტყველო, დავითნი, ეამნი, სვინაქნარი, ტვიპიკონი, სიტყუანი და ცხოვრებანი, რომელთაც დიდ დღესასწაულებში ჰკითხულობენ, წიგნი თეოდორე სტოდისისა და სხვა ძვირფასი და მშვენიერი წიგნები.¹ მაკარი მხოლოდ ერთში აქარბებს: გულანი, მისი სიტყვით, თითქოს ყველა ეკლესიაში იყო, ნამდვილად კი იმისი შეძენა შეეძლო მხოლოდ მდიდარსა და დიდ ეკლესიას და მონასტერს. ჩვენ ვიცით ამჟამად შემდეგი გულანი: კაცხის, ციხის, ერკეთის, შემოქმედის, გელათის, მარტილის, წაიშის, ბედიის, ალავერდის, მცხეთის, ქალის, ანჩისხატის, ხობის და დავითგარეჯის. ყველა გულანი ერთი შემადგენლობის არაა, შემოკლებულს რედაქციას ეწოდება „ეამნგულანი“ და შეიცავს „ეამნსა“ და მოკლე სვინაქსარულ ცნობებს; ცნობილია ყანჩოეთის და რუისის ეკლესიის „ეამნგულანი“.² საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ „გულანი“ ორიგინალური ქართული კომპოზიციაა, სხვა ეკლესიებს ამისი მსგავსი არა აქვთ რა.

¹) Груаія въ XVII вѣкѣ по изображенію патріарха Макарія, переводъ съ арабскаго П. К. Жузе, Православный Собесѣдникъ, Май 1905 г. стр. 75.

²) К. Кекелидзе, Литургическіе грузинскіе памятники, стр. XI-X.

§ 11. პოეზია.

ორი დარგი ძველი ქართული სასულიერო პოეზიისა.—I) პოეზია ლიტურჯული.—ჰიმნოგრაფიული ელემენტი ღვთისმსახურებაში. დასაწყისი ქართული ჰიმნოგრაფიისა.—მისი სისტემა. აკროსტიხი.—ნათარგმნი ჰიმნოგრაფიული კრებულები: ოქტოიხოსი, ზუენდრნი [მარსუანი და ზატიანი], იადგარი, resp. თთუენი.—ორიგინალური ჰიმნოგრაფია.—მისი თანდათანობითი განვითარება.—დამახასიათებელი თვისება მათე საუკუნის ჰიმნოგრაფიისა.—ქართული სემიოგრაფია.—მეხურონი ჰიმნები.—II) პოეზია სამოძღვრო.—მოთხრობითი. მისი ორი დარგი: ჰაგიოგრაფიულ—ეპიტაფიკური და ბიბლიოგრაფიულ—ისტორიული.—ამ პოეზიის წარმოშობა და განვითარება.—აპოკრიფიანი გრიგოლ ღვთისმეტყველისა და მისი ლირიკა ქართულად.—ალორქინების ხანის სასულიერო პოეზია.—სილაბურ—ტონური ლექსი ამ პოეზიაში.—ანბანთ ქების სისტემა და მისი წარმომადგენელი.—

ჩვენ მიმოვიხილეთ, შეძლებისადაგვარად, ძველი ქართული მწერლობის ყველა დარგი, რომელიც პროზაული ფორმით გადმოვუყვით ჩვენთვის ჩვენს წინაპრებს. მაგრამ ამით არ ამოიწურება ეს მწერლობა: მსგავსად ყველა კულტურისა ერებისა, ქართველებს შეუქმნიათ აგრეთვე საკმაოდ მდიდარი და საინტერესო სასულიერო ან საეკლესიო პოეზია, როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი.

ქართული საეკლესიო პოეზია ორგვარია: ლიტურჯიკული და სამოძღვრო—მოთხრობითი; პირველი შეიცავს ლიტურჯიკული, საღვთისმსახურო მიზნებით შექმნილს ნაწარმოებთ, საეკლესიო ჰიმნოგრაფიას, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, ხოლო მეორე—ისეთ ნაწარმოებთ, რომელნიც ღვთისმსახურებაში სახმარებლად არ არიან განკუთვნილი და გამოხატავენ საწმენოებრივ-ზნეობრივ აზრებს, ავტორის გრძნობებს და სულიერ განცდათ ანდა აგვიწერენ რომელიმე ისტორიულ მოვლენასა და ფაქტს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ პირველს პერიოდს ჩვენი მწერლობის ისტორიისას, როდესაც პოეზია ჯერ კიდევ არ იყო, და აგრეთვე მეოთხე, დაცემის ხანას, თანდათანობითი განვითარება და ურთიერთობა პოეტური მწერლობის ორივე დარგისა ასე წარმოგვიდგება: მეორე პერიოდში არამც თუ სჭარბობდა, მხოლოდ და მხოლოდ ლიტურჯიკული პოეზია ვითარდებოდა, მესამეში—ლიტურჯიკულთან ერთად, მეთორმეტე საუკუნიდან, თავი იჩინა არალიტურჯიკულმა საეკლესიო პოეზიამ, ხოლო უკანასკნელს, მეხუთე, პერიოდში არალიტურჯიკული პოეზია თითქმის სჭარბობდა კიდევ ლიტურჯიკულს.

A. ლიტურგიკული პოეზია.

ლიტურგიკული პოეზიის წარმომადგენელია, როგორც ვთქვით, ეგრედწოდებული საეკლესიო ჰიმნოგრაფია, ის საგალობლები ან ჰიმნები, რომელნიც შეადგენენ ერთერთ აუცილებელ მასალას ღვთისმსახურებისას. გალობა მეტად მნიშვნელოვანი ნაწილია ღვთისმსახურებისა; გრძნობის, კერძოდ რელიგიური გრძნობის, გამოხატვა გალობით სრულიად ბუნებრივი მოვლენაა და, მაშასადამე, საკვირველი არაა, თუ ეკლესიაში გალობამ იმთავითვე შესაფერი ადგილი დაიკავა, ისე, როგორც ეკავა მას ეს ადგილი ებრაელთა სინაგოგალურს ღვთისმსახურებაში. თავდაპირველად საქრისტიანო ღვთისმსახურებაში სქარბობდა ფსალმიური ელემენტი, ესე იგი ჰგალობდნენ ფსალმუნებს ანუ დავითნის სხვადასხვა მუხლებს: მერე კი, დაახლოვებით ზეხუთე-მეექვსე საუკუნიდან, შემოდის ჰიმნოგრაფიული ელემენტი, ესე იგი გაჩნდა *poetice compositum* სხვადასხვა მწერლებისა, ჰიმნები ან საგალობლები, რომლებშიც გამოთქმული იყო ღრმა რელიგიური გრძნობები. უნდა შევნიშნოთ, რომ მონასტრები თავდაპირველად გაუბობდნენ ჰიმნების ხმარებას, იქ უფრო ფეხგადგმული იყო ფსალმიური ელემენტი: ბერების შეგნებით ჰიმნები საერო ან მსოფლიო, სამრევლო ეკლესიათა საქმეა, ბერებსა და მონასტრებს ის არ შეშვენის. მაგრამ დროთა განმავლობაში ჰიმნოგრაფიამ იმათშიც გაიკაფა გზა და შექმნა ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი ბერძნული პოეზიისა, სახელდობრ—სასულიერო ან საეკლესიო პოეზია. ამ პოეზიას არაფერი საერთო არ ჰქონია კლასიკურ პოეზიასთან, არც ფორმით, არც შინაარსით; ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ასეთ ნაწარმოებთა პოეტური ხასიათის შეგნება დაკარგეს როგორც ბერძნებმა, ისე მათი მწერლობის მკვლევართაც. „პოეზიას“, ამბობს ერთი მათგანი, „ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით ბიზანტიელები არ იცნობდნენ, ის მათ არასდროს არ ჰქონიათ; საშუალო საუკუნეთა საბერძნეთი, რომელიც სქოლასტიკის ბორკილებით იყო შემოპოკილი, მოკლებული იყო პოეტურს განწყობილებას, გემოსა და შეგნებას კეთილშობილი ხელოვნებისა და ფორმების სიმარტივისას.“¹ კლასიკური პოეზია მეტრული სისტემისაა, ის დამყარებულია გრძელისა და მოკლე მარცვლების მწყობრ პერიოდულ თანმიმდევრობაზე; ამ საზომით ბერძნულს საეკლესიო ჰიმნოგრაფიაში დაწერილია

¹) Bernhardt, Grundriss der griechischen Literatur, II, 2 (1880), S. 771.

მხოლოდ სამი იამბიკო იოანე დამასკელისა: ქრისტესშობის, ნათლისღების და სულისწმინდის მოსლვის კანონი. დანარჩენი საგალობლები, რომელნიც თავის რაოდენობით პირდაპირ უსაზღვრო და უფსკრულ ოკეანეს წარმოადგენენ, დამყარებულია ტონურ სისტემაზე, რომელიც მდგომარეობს მარცვალთა რაოდენობის თანასწორობაზე და მაღალისა და დაბალი მარცვლების თინმომდევრობაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ თვითეული ტაეპი ან სტრიქონი შეიცავს ერთსადაიმავე რიცხვს მარცვლებისა და თვითეულს მათგანში ხმის აწევა ან ამალღება ერთსადაიმავე გარკვეულს ალაგას მოდის. რითმა სავალდებულო არაა ასეთს ჰიმნებში და, თუ აქვს იმას ადგილი, ის მეტად ღარიბია; უმეტეს შემთხვევაში ისინი ურითმოა და მათი ტაეპი იწერება განუწყვეტლივ, გრძელად, როგორც პროზის სტრიქონები, მხოლოდ წერტილებით, უფრო ხშირად წითურით, განიყოფება ერთი მეორესაგან. ამით აიხსნება, რომ არც ბერძნები, არც მათი მწერლობის მკვლევარი ასეთ ჰიმნებს პოეზიად არ სთვლიდენ და კატეგორიულად აცხადებდენ, რომ საშუალო საუკუნის ბიზანტიამ პოეზია არ იცისო. მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის ნახევარში კარდინალმა პიტრამ იპოვა გასაღები ამ საიდუმლოებისა და დაანახა ყველას, რომ ბერძნული საეკლესიო ჰიმნოგრაფია წარმოადგენს მეტად მდიდარს და თან საინტერესო პოეტურ ნაწარმოებთა დარგს.¹ ბერძნულ ჰიმნებს ძან ხშირად დართული აქვთ ეგრედწოდებული აკროსტიხი ან კადურწერილობა, რომელიც რამდენიმე გვარისაა: ხშირად აკროსტიხი შეიცავს ბერძნული ანბანის ასოებს A-დან მოყოლებული M-მდე, ხან კიდევ ავტორის სახელს, შინაარს ან დამოუკიდებელ ლექსს.

თავისთავად ცხადია, ჰიმნოგრაფიული მწერლობა ქართულ ენაზედაც უნდა შექმნილიყო, ამას მოითხოვდა, სხვა არა იყოს რა; ლიტურღლიკული საჭიროება და პრაქტიკა. დაიწყო ქართული ჰიმნოგრაფია არაუგვიანეს მეშვიდე საუკუნისა, რაც შემდეგიდანა ჩანს. ქართული ჰიმნოგრაფიული ტერმინოლოგია, რასაკვირველია ძველი, შედარებით ღარიბია: ერთიდაიგივე ტერმინი იხმარება რამდენიმე სხვადასხვა ჯურის ლიტურღლიკულ ცნებათა გამოსახატავად, მაგალ.: დასდებელი, იბაკოა, წარდგომა და სხვ.;² არა ჩანს განსხვავება ტრანსარს, სტიქარონს და სხვა საგალობელთა შო-

1) Проф. А. Васильевъ, О греческихъ церковныхъ писопііяхъ, Византийскій Временникъ, т. III, вып. 3 и 4, стр. 582—633.

2) იხ. ლიტურღლიკული ლექსიკონი ჩვენს გამოცემაში, — Иерусалимскій Каионарь VII вѣка, стр. 323—342.

რის. ეს იმის მომასწავებელია, რომ ქართული ჰიმნოგრაფია დაწყებულია მაშინ, როდესაც საზოგადოდ საღვთისმსახურო ტერმინოლოგია ჯერ საკმაოდ განვითარებული არ ყოფილა, როდესაც სტიქარონი იწოდებოდა ტროპარად და ტროპარი სტიქარონად; ამას კი ადგილი არ ჰქონია მეშვიდე საუკუნის შემდეგ. მერე — საგალობელთა სხვადასხვა ჯგუფები, რომელთაც ეხლა სპეციალური სახელწოდება აქვთ: კანონი, დასდებულნი უფალა დადატრევაჲსა, სტიქარონთა და აქებდითსა ზედა, ძველად აღინიშნებიან დასაწყისი სიტყვებით სხვადასხვა ფსალმუნებისა, რომელთაც მათთან კავშირი აქვთ; ეს იმის მაჩვენებელია, რომ ქართული ჰიმნოგრაფია მაშინ დაწყებულია, როდესაც საქრისტიანო ღვთისმსახურებაში სჭარბობდა ფსალმიური ელემენტი, ესე იგი, როდესაც ღვთისმსახურება ამოიწურებოდა, ლოცვებისა და საღმრთო წერილის გარდა, ფსალმუნებით, რომელთაც მერე ჰიმნოგრაფიის განვითარების შემდეგ, დაუწყეს მიმატება ან მიღება (აქედან — დასდებელი) სხვადასხვა საგალობლებსა; ეს დრო კი მეშვიდე საუკუნეს ვერ გადასცილდება.¹ თავდაპირველად ჩვენი ლიტურგიკული ჰიმნოგრაფია ნათარგმნი იყო, ქართველები სთარგმნიდნენ იმ ჰიმნებსა და საგალობლებს, რომელთაც ისინი სხვა ენაზე ჰპოულობდნენ, უფრო კი ბერძნულზე. რასაკვირველია, აქ ჩვენ გვაქვს უბრალო პროზაული თარგმანი, სადაც ბერძნული ჰიმნოგრაფიის ზემოაღნიშნული თვისებები დაცული არაა, გარდა აკროსტიხისა. რას წარმოადგენს და რაზეა დამყარებული ქართული ჰიმნოგრაფიული საზომი? ჩვენი ლიტურგიკული ჰიმნოგრაფია ორგვარია: ერთია უბრალო პროზაული ჰიმნები, რომელნიც, როგორც ნათარგმნი, არაერთარ ზომასა და კანონს არ ემორჩილებიან; მეორენი, ეგრედწოდებული იამბიკოები, წარმოადგენენ პირველ საფეხურს პოეზიისას და დამყარებულნი არიან ტაქში მარცვალთა რაოდენობაზე, ვინაიდან მაღალი და დაბალი მარცვლები იმსახით, როგორც ბერძნულში, ქართულში არ მიაშვება. იამბიკო დაყოფილია ცალცალკე სტროფებად ან ხანებად, რომელიც შედგება ხუთი სალექსო სტრიქონის ზნ ტაქისაგან; თვითეული ტაქი შეიცავს 12 მარცვალს (არის ისეთებიც, რომლებშიაც მეტი ან ნაკლებია, თუმცა იშვიათად), ან, ძველი ქართული ტერმინოლოგიით, შეტყუებას (პ. ინგოროცვა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ, ია, სჯგ), ასე რომ სტროფაში ან ხანაში, ძველი ქართული ტერმინოლოგიით კი მუხლში,

¹) К. Кекелидзе, Иерусалимский Канонарь. VII в. стр. 321—322.

არის სულ 60 მარცვალი ან შეტყუება. ამიტომ ჩვენს ჰიმნოგრაფიულს მწერლობაში ასეთ წინადადებას ვხვდებით ხოლმე: დასდებუნა წმიდისა ადგიამისანი. უგაღობდითსა. უოუელსა შუაქსა და შეტყუებაჲ აქუს. ეჟერ იბ (გვ. ია), ან უოუელსა შუაქსა და შეტყუებაჲ არს. ეჟერ იბ (გვ. ტ. 20). მარცვალთა თვლისას სათვალავში, როგორც ცალკე მარცვალი (ხმოვანისა და თანხმოვანისაგან შემდგარი ჯგუფი) არ მიიღებიან და უ, როპელიც უ-სა და ვ-ს შუათანად გამოითქმის, მაგალითად, „სიტყუა“-ში. თორმეტმარცვლოვანი ტაეპი ან სალექსო სტრიქონი მახვილით ან ცეზურით, რომლის მაგივრობას ტექსტში წერტილი ასრულებს, იყოფა ორ ნაწილად: პირველ ნაწილში ხუთი მარცვალია, მეორეში შვილი.¹ რითმა ასეთ იამბიკოებში საეაღლებულო არაა, თუმცა ხანდინხან, ძაან იშვიათად, რითმის ჩანასახი, მართალია ღარიბი, მაგრამ მაინც არის; მაგალითად, მიქელმოდრეკილის ერთს საგალობელში ვკითხულობთ:

უსხეულათა. საღმრთათა ბუნებითა
 ებე უხრწეულად. ქრისტე დმრთისა სიტყუაჲ.
 რაჟამს დაიდევ. საფლავსა შეუცავო,
 მძკაჲ სიუღდიღი. სიუღდიღითა უჟუდაჲო
 და დადგინენ. მჟუღარნი საფლავისაგან. (გვ. ტ. VIII).

უფრო მდიდარი რითმა გვხვდება სტეფანე სანანოესძის მიერ შედგენილს სტეფანე პირველმოწამის საგალობელში, რომელიც ექვსი მუხლის ან სტროფისაგან შედგება; პირველში გარითმულია: ღისნა, სანი, ანი, ნი, მეორეში—ებითა, ითა; მესამეში—მან, მეოთხეში | ებენ, ბენ, მებუთეში—ამან, მეექვსეში—ეობდა (გვ. რწ—რწზ). ასეთია მუდმივი, ჩამოყალიბებული ტიპი ქართული იამბიკოებისა, თუმცა სხვადასხვა გამონაკლისი აქაც არაიშვიათია.

უფრო მდიდრადაა წარმოდგენილი ქართული ჰიმნოგრაფიის ძეგლებში აკროსტიხი; აკროსტიხები გვხვდება არა მარტო იამბიკოებში, არამედ პროზაულ ჰიმნებშიაც. აკროსტიხის როლს ასრულებს ხშირად რომელიმე ასო, მაგალითად მთელ რიგს სტროფებისას იწყებს ასო მ (გვ. სს—სზ, სნშ—სშ), ნ (გვ. ტ. 10—11); ან მთელს ჯგუფში საგალობლებისა ცალცალკე სტროფებს იწყებს ასოები: დ, მ, გ, ს, შ, ი, რ, ჟ, ღ, ბ, ნ, (გვ. სკთ—სლდ), შ, ჟ, ნ, თ, ვ, ს, შ, ც, უ; (გვ. ტ. 10—11). რას ნიშ-

¹) ზოგიერთ იამბიკოში ორივე ეს ნაწილი ცალცალკე სტრიქონს წარმოადგენს, მაგ. ქრისტეშობის დამისთვეის კანონში გიორგი შაწმიდელისა.

ნავს ასეთი აკროსტიხი, ძნელია თქმა, შეიძლება ავტორის სახელის პირველ ასოს წარმოდგენდეს. არის ისეთი შემთხვევა, როდესაც აკროსტიხად წარმოდგენილია ქართული ანბანი ა-ნიდან ჯ-მდე, ასეთ აკროსტიხს ეწოდება ანბანისანი (გვ. სღე—სღა). ხშირად აკროსტიხი აღნიშნავს ავტორის სახელს, მაგალითად: სტეფანე სანანოაძის ერთს საგალობელს აკროსტიხად აქვს სტეფანე (გვ. რწგ—რწზ), ან კიდევ—ეზრა (გვ. რწწ—რწგ), კურდანი აჲ (გვ. რჲდ—რჲე). არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც აკროსტიხში აღნიშნულია საგალობელთა, ალბად, შემკვეთელნი, მაგალითად, ქრისტე აღიდე საურმაგ და ძეჲ მისი მიჩენს აშენს (გვ. რწწ—რწგ). აღნიშნულია აკროსტიხში ხასიათი და სახელწოდება საგალობელისა, მაგალითად, გერნი (გვ. სჲბ—სჲგ, სჲჟ—სჲჟ, ტთ—ტი, ტიწ—ტით, ტღზ—ტღწ, ტთთ—ტპ, ტპა—ტპკ). უფრო ხშირად აკროსტიხში აღნიშნულია სახელი დღესასწაულისა, მაგალითად აბო (გვ. სთთ), მამას მამათას ანტონის უგალობდეთ ერნო (გვ. სმ—სმე), შობისა—ქრისტე იშუების უგალობდეთ ერნო სიხარულით (გვ. რჲე—რჲთ); ნათლისღების—აჲ კრავი ღმრთისაჲ, რომელმან აღისუნა ცოდუანი სოფდისანი (გვ. სე—სიბ); რამელი იორდანეს გამოსცხადენ უფალო დიდებაჲ შენდა (გვ. სიგ—სიწ), ქრისტემან ნათელ იდო და სოფელი განანათლას (გვ. ტჲე—ტჲწ); აღდგომის—ადგა (გვ. იზ—იწ), გიხაროდენ ერნო ქრისტე ადგას სიხარული ყოველთაჲ (გვ. რჲწ—რჲჟ), ქრისტე ადგას შეუდრეთით ვიხარებდეთ მორწმუნენო, (გვ. სოღ—სჲე), ქრისტეს ადგომას ვიხარებდეთ (გვ. სჲე—სე), აღდგომას მაცხოვრისას უგალობდეთ მორწმუნენო და ადგომას ვაქებდეთ (გვ. სე—ტე), გალობათ უგალობდეთ ნათლია შემოსილს ქრისტეს ადგომას (გვ. ტგ—ტღჟ), რომელი აღსდებ შეუდრეთით უფალო დიდებაჲ შენდა (გვ. ტღწ—ტწ), ქრისტე ადგას (გვ. ტოჟ—ტოწ); ყოველთა წმიდათა: მეას შეჲვენათ ყოველნო წმიდანო წინაშე შეუფისა დღესა მას განითხუასას (გვ. სმზ—სმწ). აკროსტიხი ხანდობან აღნიშნულია ფრაზით: ააჲნი იტჲჲან, ხან მათ დართული აქვთ ეპითეტი—ადბეჭდულნი (გვ. სკე, სმ, სე, ტპგ); რას ნიშნავს ეს ტერმინი, ძნელია თქმა, ერთი კი ცხადია, რომ ამ სახელით მონათლულია მთელი ჯგუფი საგალობლებისა. საგალობელთავე აღსანიშნავად ნახმარია ტერმინი მკაზმულნი (გვ. ჟთ), რომელიც შეიცავს მწუხრის, ცისკრის და წირვის საგალობლებს. საგალობლების აღსანიშნავადვე იხმარება ერთი უცხო ტერმინი სჲადუქნი, მაგალითად: სჲადუქნი უცხონი ურთიერთს შეეყოფილნი და განყოფილნი შეტყუებით: მსგავსი მსგავსებითა და თიანყოფილი განთავსებით (გვ. სჲგ), ანადა ადბეჭდულნი სჲანდუქნი (გვ. რჲწ)

აღმოსავლეთის ეკლესიამ შეიმუშავა რამდენიმე სხვადასხვა კრებული ლიტურგიკული ჰიმნებისა; ჰიმნები სხვადასხვანაირია: ზოგი განკუთვნილია შეიდეულის (ორშაბათი—კვირა) დღეებისათვის, ზოგი დიდმარხვისა და აღვსების (აღდგომიდან სულიწმიდის მოსლევამდე) პერიოდისათვის, ზოგი კიდევ დღესასწაულებისა და წმიდათა ხსენებისათვის.

იმ წიგნს ან კრებულს, რომელშიაც მოთავსებულია შეიდეულის დღეთა საგალობლები, ბერძნულად ეწოდება Ὁρθόδοξος, რაც რვა კმას აღნიშნავს. ოკტოიხოსის ჩამოყალიბება დაიწყო მერვე საუკუნეში, იოანე დამასკელის დროს, და დამთავრდა IX—X ს.; იოანემდე საბერძნეთში ყველა საგალობლები დაწერილი იყო ოთხ ხმაზე, იოანემ ამ ოთხ, ძირითად, ხმას მიუმატა ოთხი სხვა, ასე რომ მან შექმნა რვა კმის სისტემა, და თვითეულ ხმას, რომელიც მთელ კვირას გრძელდება, თავისი საკუთარი საგალობლები აქვს მიჩენილი. ბერძნულად Ὁρθόδοξος ეწოდება საკუთრივ მხოლოდ კვირა დღის ჰიმნებს, სადა დღის (ორშაბათი—შაბათი) ჰიმნების კრებულს კი—ჰარაკლიტონი. ქართულადაც ამ ჰიმნების კრებული ორ წიგნად ყოფილა ძველად დაყოფილი, მაგრამ არა ისე, როგორც საბერძნეთში: კვირა დღეებისა (ოკტოიხოსი) ცალკე და სადა დღეებისა (პარაკლიტონი) ცალკე,—არამედ პირველში მოთავსებული ყოფილა პირველი ოთხი ხმის ჰიმნები (კვირისაც და სადა დღეებისაც), ხოლო მეორეში—დანარჩენი ოთხი ხმისა. თუმცა ორივე წიგნს ქართულად ერთი საზოგადო სახელი შერჩენია (პარაკლიტონი), მაგრამ თვითეულ მათგანს თავისი სპეციფიური სახელწოდებაც აქვს: პირველ წიგნს ეწოდება კმანა, ხოლო მეორეს—გუერდნი, რაც უდრის ბერძნულ πλῆξις-ს. როდის ითარგმნა ქართულად პარაკლიტონი ან ოკტოიხოსი? მეცხრე საუკუნის საგალობელთა კრებულში¹ ოკტოიხოსის ჰიმნები ჯერ კიდევ არა ჩანს; სამაგიეროდ მეთვთამეს საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის მწერალი მიქელ მოდრეკილი თავის კრებულში ამბობს, რომ მის მიერ შეგროვილი ჰიმნები, მათ შორის ოკტოიხოსისაც, გაბნეული იყო მთელ საქართველოშიო. მაშასადამე, ეს ჰიმნები ქართულად უთარგმნიათ მეცხრე-მეთვთამეს საუკუნეში.² ოკტოიხოსის ჰიმნები იოანე დამასკელისა პოეტური საზომითაა დაწერილი; ქართულად, რასაკვირველია, ეს საზომი არ

1) პეტროგრადის საჯარო წიგნთსაცავში პაპირუს-პერღამენტის ხელნაწერი პორტიო უსპენსკის კოლექციიდან. № 11, რომელიც ეხლახან საქართველოში დაბრუნდა.

2) К. К е ж е л и д а с е, Литургическіе грузинскіе памятники, стр. XVIII—XX.

დაუცავთ და ისინი პროხით უთარგმნიათ, ბერძნული პარაკლიტონიდან ექვთიმე ათონელს უთარგმნია იოანე დამასკელის მიერ შეთხზული საკედრებულნი და ლოცვანი შეიდგეულის და სადა დღეებისა, სამშაბათიდან შაბათამდე, საკუთრივ იმ წმიდანებისა და სიწმიდისა, რომელთა ხსენებისათვის განკუთვნილია შეიდგეულის ესათვის დღე. მთლიანი, ვრცელი რედაქცია პარაკლიტონ-ოქტოიხოსისა, რომელიც მიღებული იყო თანამედროვე ბერძნულს ლიტურგიკულ პრაქტიკაში, უთარგმნია გიორგი მთაწმიდელს; გიორგის თარგმანი დამკვიდრდა ჩვენში, მის შემდეგ სხვის არ უთარგმნია ეს წიგნი, მხოლოდ ანტონ კათალიკოხმა მეთვრამეტე საუკუნეში შეასწორა ის თანამედროვე ბერძნულ-სლავურ პარაკლიტონთა მიხედვით.

ის წიგნი, რომელშიაც მოთავსებულია დიდმარხვის პერიოდის საგალობელი, ცნობილია დღეს მარხუანი-ს სახელით, ხოლო იმ წიგნს, რომელშიაც მოთავსებულია აღვსების ან აღდგომის პერიოდის საგალობელი და რომელიც გაგრძელებას წარმოადგენს პირველისას, ეწოდება „ზატიკა“. თავისთავად ნათელია, თუ საიდან წარმოდგა სახელი მარხუანი, რაც შეეხება „ზატიკს“, ჰფიქრობენ, რომ ასეთი სახელი მიიღო ამ წიგნმა იმიტომ, რომ ის იწყება აღდგომის საგალობლებით, ხოლო აღდგომას სომხურად „ზატიკ“ ეწოდებაო, მაშასადამე — ეს სახელწოდება სომხური უნდა იყოსო. ამის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ ტერმინი „მარხუანი“ და „ზატიკა“ დასახელებული დროის ჰიმნთა აღსანიშნავად ჩვენში ხმარებაში შემოდის მკასამე პერიოდში, მანემდი კი ორივე წიგნი, არსებობდნენ ისინი ერთად, მსგავსად ზოგიერთი ბერძნული ძეგლებისა, თუ ცალცალკე, ატარებდნენ ერთს ზოგად სახელს ზუგდნის; საეკვოა, რომ მეთერთმეტე საუკუნეში შემოვლათ სომხური ტერმინი, როდესაც, როგორც ვიცით, ყოველივე სომხურისადმი ულტრა-უარყოფითი განწყობილება იყო დამყარებული. იან ძველად, განსაკუთრებით მეთვრამეტე საუკუნემდე, „ზატიკა“ იწყებოდა არა აღდგომის საგალობლებით, არამედ მზობის. „ზატიკა“ მართლაც სომხური ტერმინია, ის წარმოდგება „ზატი“-იდან, რაც ტიპიკარულ-ლიტურგიკულ ენაზე ნიშნავს თავისუფალ დღეს, ესე იგი დღესასწაულს, როგორც განთავისუფლებას და დაცდებას შრომისა და მუშაობისაგან. ძველს ქართულს მწერლობაში დღესასწაული იწოდება „ზატიკად; მაგალითად, 1 კორინ. V, 8 ἡμετε ἑρῆχῆσθε — თარგმნილია — რათა ვზატიკობდეთ. მაშასადამე, „ზატიკა“, როგორც ტექნიკური

ტერმინი, აღნიშნავს ისეთს წიგნს, რომელშიაც მოთავსებულია დღეს-სწაუღთა საგალობლები; ასეთი სახელი კი სავსებით შეეფერება ამ წიგნს, ვინაიდან ის, ერთი მხრით, შეიცავს უდიდესი დღესასწაულების, აღდგომა—ამაღლება—მარტვილიის, ჰიმნებს, ხოლო მეორე მხრით, მთელი ის პერიოდი, რომელიც შეადგენს მისს შინაარსს, საქრისტიანო-ეკლესიური შეგნებით, არის მთლიანი, განუწყვეტელი დღესასწაული, რის გამო უძველეს ქართულს ძეგლებში ამ პერიოდს „ზატიკი“ ეწოდება. რაც უნდა იყოს, „მარხუანი“ და „ზატიკი“, როგორც ცალცალკე, საკუთარი მნიშვნელობის, ტერმინი, ხმარებაში შემოდის მეთერთმეტე საუკუნიდან, მანემდის კი ორივე წიგნს ერქვა „ხუედრნი“, რაც შემდეგაც დარჩა ხმარებაში, როგორც სპეციალური ტერმინი საგალობელთა ერთი ჯგუფისა. „ხუედრნი“ კი აღნიშნავს ლიტურგიკულ კანონს, სამი გალობისაგან შემდგარს (აქედან ბერძნული Τριώνη), იმისდა მიხედვით, თუ რომელ დღეს „ხუდება“ ან შეხუდება მათი შერჩევა, მაგალითად: კვირას—1, 8, 9 გალობა, ორშაბათს—2, 8, 9, სამშაბათს—3, 8, 9, ოთხშაბათს—4, 8, 9, ხუთშაბათს—5, 8, 9, პარასკევს—6, 8, 9, შაბათს—7, 8, 9.

პირვანდელი ფორმა „ხუედრისა“ ან მარხვან-ზატიკისა ჩვენ გვაქვს ზემოდასახელებულ მეცხრე საუკუნის პაპირუს-პერლამენტის კრებულში. აქაური ჰიმნები უფრო ძველია, ვიდრე ეპოქა თეოდორე სტოდინისა, († 826), რომლის სახელთან დაკავშირებულია „მარხუანის“ ისტორია. ის ძაან მოკლეა და თეოდორეს ჰიმნებს არ შეიცავს; ამ კრებულმა არ იცის არაპც თუ ეხლანდელი კვირიაკები დიდ მარხვისა, არამედ ისინიც კი, რომელთაც ჩვენ ვპოულობთ სტუდიისა და იერუსალიმის რედაქციის უძველეს მარხუანში; აქ ჯერ კიდევ არაა გამოყოფილი მესამე კვირიაკე, როგორც საგანგებო, ჯვართაყვანისცემის კვირიაკე.¹ თუ სიტყვები დასდებულნი მარხუათანი სრულად ჰგულისხმობენ მთელს „მარხუანს“, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს წიგნი უთარგმნია ექვთიმე ათონელს, ყოველ შემთხვევაში, თუ მთელად არა, ზოგიერთი ნაწილი მისი მაინც; ამათ „მარხუანის“ ერთი ცალიც² ადასტურებს. ექვთიმეს შემდეგ გიორგი მთაწმიდელს უთარგმნია დიდნი მარხუანი და ზატიკნი, ესე იგი მთლიანი რედაქცია მათი, როგორც მიღებული იყო მის დროს საბერძნეთში. გიორგის შემდეგ არსენ ბერს გადმოუღია თუ მთლიანი „მარხუანი“ არა, ზოგი-

1) К. Кекелидзе, Литургическіе грузинскіе памятники, стр. XX—XXI, 351—352.

2) სიძე. მუხ. № 568, ფურ. 6.

ერთი მისი საგალობლები მაინც, როგორც, მაგალითად, ხორცთა აღები შაბაისა, ყველიერის ხუთშაბათის და ანდრია კრიტელის „დიდი კანონი“. ძველი ქართული „მარხუანი“ და „ზატიკი“ სტუდიის რედაქციისაა, იერუსალიმის რედაქცია ამ წიგნებისა შემოსულა ჩვენში XV—XVI ს. 1728 წელს ნიკოლოზ ტფილელს მოსკოვში გადაუწერიანებია „მარხუანი“ გიორგი ებიტაშვილისათვის, — რომელიც ამბობს, რომ „წესი და რიგი რუსისა დაწერეთო“,¹ მაშასადამე, ცერემონიალური ნაწილი ამ წიგნისა რუსულის მიხედვით შეუსწორებიათ. 1734—1738 წ. ნოვგოროდის სტამბაში იოსებ სამებელსა და მღვდელმონაზონს ქრისტეფორე კეჟერაშვილს დაუბეჭდიათ „ზატიკი“, რომელიც წინასწარ სლავურ ზატიკზე შეუსწორებიათ.²

მესამე წიგნი, რომელშიაც მოთავსებულია სხვადასხვა წმიდათა და დღესასწაულთა საგალობლები, ეხლა ცნობილია თთუენის სახელით: ეს სახელი ხმარებაში შემოდის მეთერთმეტე საუკუნეში, გიორგი მთაწმიდელის დროიდან, რომელმაც, მისი ბიოგრაფის სიტყვით, გადმოთარგმნა ბერძნულიდან თთუენი ათორმეტნივე; მანამდის კი, პირველსორ პერიოდში, ამ კრებულს სხვადასხვა სახელი ერქვა. პირველად ყოვლისა მას ეწოდებოდა „ზატიკი“, რაც, როგორც ზეერთაც აღენიშნეთ, დღესასწაულთა წიგნს ნიშნავს; ეს რომ ასეა, ჩანს მეცხრე საუკუნის პაპირუს-პერლამენტის ჰიმნოგრაფიული კრებულიდან, სადაც ვკითხულობთ: ესე აბოჲსნი დასდებულნი ზატიკას სწერაინ, ანადა მწუხრია (7 იანვარის) ზატიკისანი; ცხადია, აქ ვერ ვიგულისხმებთ „ზატიკად“ აღდგომის პერიოდის ჰიმნებს, რომელნიც 6 და 7 იანვარს არ მოდიან არასდროს. ჩანს, „ზატიკი“ ძველად აღნიშნავდა საერთოდ დღესასწაულთა ჰიმნებს, მათ შორის აღდგომის პერიოდისასაც; მერე, მეთერთმეტე საუკუნიდან, ეს სახელი მხოლოდ აღდგომის პერიოდის საგალობელთა აღსანიშნავად დარჩენილა. მეორე სახელი ამ წიგნისა არის იადგარი; ეს ირანულ-სპარსული ტერმინი, რომელიც საგალობელთა აღსანიშნავად მანიქვევლებსაც ჰქონდათ,³ ჰგულისხმობს სამახსოვრო დოკუმენტს, ისეთ აქტს, რომელიც შედგენილია რ-სამე დასახსომებლად. ასეთი სახელი ადვილად მიეცემოდა იმ წიგნს, რომელშიაც წმიდათა ხსენებაა აღნუსხული. ქართულ ენაზე „იადგარი“ შედარებით ადრე უნდა ეთარგმნათ; პირველი

¹) ე. ქ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 114.

²) К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники, стр. XXII—XXIII.

³) С. Saloman, Manichäische Studien I, СПетербургъ 1903, стр. 52.

ფორმაცია მისი ჩვენა „გვაქვს“ დასახლებულს მეცხრე საუკუნის პაპირუს-პერლამენტის კრებულში; ამავე საუკუნეში ეს წიგნი გრიგოლ ხანძთელს გადაუწერია, როგორც ამბობს მისი ბიოგრაფი: რამეთუ აწ არს ხანძთას კელითა მისითა (გრიგოლის) დაწერილი სუფისა მიერ წმიდისა საწყდოდაჲ იადგარა, რომლისა სიტყუანი ფრჩხილ კეთილ არიან.¹ მეათე საუკუნეში ჩნდება უფრო ვრცელი და სრული იადგარი, რომელიც გვაქვს მიქელ მოდრეკილის კრებულში; ამ კრებულიდანა ჩანს, რომ მეათე საუკუნეში ქართული ჰიმნოგრაფია მეტად დაწინაურებულია: გამოჩენილა მთელი რიგი შესანიშნავი ჰიმნოგრაფებისა, რომელნიც, მართალია, ბერძნულ პოეტურ საზომს ჰიმნებისას ვერ იცავენ, მაგრამ მაინც მეტად ხელოვნურად და მოხდენილად სთარგმნიან, განსაკუთრებით აკროსტიხურ სფეროში ისინი შეუღარებელნი არიან.² მესამე, ბიზანტიურს, პერიოდში დამთავრდა „თთუენის“ გადმოქართულება; ექვთიმე ათონელს გადმოუცია მრავალთა წმიდათა გალობანი³ — შეიძლება „სეკლენბრის თთუენი“, რომელიც, გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფის სიტყვით, ექვთიმეს თვით გადაბნითა ეთარგმნა და რომელიც მერე გიორგიმ სრულ ფო.⁴ ექვთიმეს შემდეგ ამ დარგში უმუშავებია გიორგი მთაწმიდელს, რომელსაც გადმოუღია თთუენი ათორმეტნივე სრულად დმრთივბრწუხივადედ.⁵ შემადგენლობა, ხასიათი და მნიშვნელობა ამ შესანიშნავი, პირდაპირ კაპიტალური შრომისა ჩვენ უკვე გავითვალისწინეთ, როდესაც გიორგის ლიტურლიკული მოღვაწეობის შესახებ ვლაპარაკობდით. ამიტომ აქ იმას აღარ დავუბრუნდებით. გიორგის შრომა ერთადერთი იყო ქართულს საღვთისმსახურო პრაქტიკაში და შინაარსის მხრივ მაინცადამაინც თვალსაჩინო ცვლილება არ განუტლია მეთვრამეტე საუკუნემდე, როდესაც გამოვიდა სამი რედაქცია თთუენისა. ერთი, სიონის დეკანოზის შეილის ნიკოლოზის მიერ გადაწერილი 1764 წ. (სიძვ. მუხ. № 1536), დამყარებულია ძველს, გიორგის, რედაქციაზე, ხოლო ორი შესწორებულია სლავურს თთუენზე, ვჭვულისხმობთ დეკანოზი ალექსი მესხიშვილისა და ანტონ კათოლიკოზის შრომებს, რომელთა შესახებ საუბარი უკვე გვქონდა; ამათგან ლიტურლიკულს პრაქტიკაში ბატონობა მოიპოვა ანტონის შრომამ, რომლის დაბეჭდვისათვის ზრუნვას იმთავითვე შეუდგენ ქართველები. 1757 წ. 30 სექტემ. რუსეთში მყოფმა

1) ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, ნ. მარტის გამოცემა, გვ. ლთ.

2) К. Кекелидзе, Литургические груз. памятники, стр. XXIII—XXVI, 372—381.

3) ათონის კრებულნი, გვ. 29.

4) ათონ. კრებ. გვ. 298.

5) ათონ. კრებ. გვ. 311.

ქართველებმა, ბატონიშვილი ბაქარის მეთაურობით, შუამდგომლობა აღძრეს, რათა რუსეთის ხაზინას მიეცა მათთვის სახსარი ანტონის „თთუნის“ დასაბეჭდად, მაგრამ შუამდგომლობა უშედეგოდ დარჩა; ამიტომ თვით ქართველებმა იკისრეს ამ საქმის სისრულეში მოყვანა, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ მხოლოდ სსმი თვის დაბეჭდვა მოახერხეს, ასე რომ მთელი წლის „თთუნის“ ქართულად აჩაროდის არ დაბეჭდილა. მის მაგიერობას ჩვენში სწვედა „გამოკრებული თთუნის“, რომელიც უფრო ვრცელია. ვიდრე ბერძნულ-რუსული „საღმრთაწაულა“.¹ აი ყველა ის წიგნები ან კრებულები, რომლებშიაც წარმოდგენილია ქართული ნათარგმნი ლიტურგიკული ჰიმნოგრაფია.² უნდა ითქვას, რომ ჩვენს წინაპართ ამ დარგში უთარგმნიათ ყველაფერი, რაც კი ღირსი იყო ყურადღებისა, და დაწმუნებული ვართ, რომ ძველს ქართულ ჰიმნოგრაფიულ კრებულებში მკვლევარი აღმოაჩენს ბევრს ისეთ ავტორების ჰიმნებს, რომელნიც დღეს ბერძნულად დაკარგულნი არიან.

ქართული ლიტურგიკული ჰიმნოგრაფია მდიდარია არა მარტო ნათარგმნი ძეგლებით, არამედ ორიგინალური შემოქმედებითაც. ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფია იწყება მერვე საუკუნის გასლვიდან, წმ. აბო თბილელიდან; პირველ ასეთ ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს ქებაჲ წმიდისა მწამისა ჰამისი, რომელიც შეადგენს მეოთხე თავს იოანე საბანისძის მიერ აღწერილი აბოს ბიოგრაფიისას.³ ეს არის პროზით, საზომის დაუსველად, დაწერილი „ქება“ ან „ხობა“ და წარმოადგენს ნიმუშს ეგრედწოდებული „გახაროდენისას“ (მუხლი 2, მ, 7); იმაში გარკვეულია სიდიადე აბოს ლეაწლისა და იდიური მნიშვნელობა მისი მაშინდელი ქართველებისათვის, რომელნიც ადრეაფნენ ერსა უცხოთსა.... ნათესავსა, სწუთრომსა ამის მჟუარესა. „ქება“ ესე აგებულია იმ საჰაგიოგრაფიო მასალაზე, რომელიც მოუტანია ავტორს პირველს სამ ნაწილში, ერთი დეტალის მიმატებით, სახელდობრ: აბოსთან საპურობილეში იტანჯება ერთი სხვა ქრისტიანეც, რომელმან ვერ გაუძლო

1) К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники, стр. XXIII—XXIX.

2) ჩვენ არას ვამბობთ ყრბოდ იმ წიგნზე, რომელშიაც შევაროებულია ამ კრებულებიდან ამოღებული „ქლის პირეზი“, ბერძნულად—*ჩ მო ს ე ბ ი*, და რომელსაც ირ მო ლ ო გ ი ო ნ ი ეწოდება. პლ. იოსელიანი ამ კრებულის შედგენას აწერს მეცამეტე საუკუნის მოღვაწეს საბა სვინგლოზს, კარის ეპისკოპოსს (Описание древностей г. Тифлиса, стр. 138.) მაგრამ ჩვენ მოგვეპოება ერთი ცალი ამ წიგნისა მეთუ საუკუნის ვასულიდამ (სიძვ. მუზ. პ. იძვ.); ის ეტრატზეა დაწერილი და ნოტები აქვს დართული; გერე ირმოლოლიონი თარგმნა გიორგი მთაწმიდელმა.

3) პ. ინგოროყვა, ძველ ქართული სასულიერო პოეზია, გვ. 3—4.

ტანჯვასა სიმძაფრეს და ქრისტე უარყო. „ქებაში“ ჩვენ ვხვდებით ისეთს პოეტურ ადგილებსა და შედარებებს, როგორცაა: ქრისტემან ისმაიტელთა შორის, ვითარცა ვარდი კაღთაგან, გამოგარჩია: შეს, ველური ებე ზეთისხილი, მოგიღო ქრისტემან და მტიფსა მას შინა თაჲსსა სამკვდრებელსა ნაყოფად კურთხევისად დაგერგა.¹ მეორე აღრინდელ ორიგინალურ ჰიმნოგრაფიულ ნაწარმოებად უნდა ჩათვალოს წმ. აბო. მსვე საგალობელი, რომელიც მოთავსებულია ჰაპირუს — პერლამენტის „სადღესასწაულოში“.² ეს საგალობელი, რომელიც დღეს უკვე გამოცემულია,³ დაწერილი უნდა იყოს არაუგვიანეს მეცხრე საუკუნის დასაწყისისა; უნდა ვიფიქროთ, ბიოგრაფიასთან ერთად ეკლესიაში აბოს სადიდებლად საგალობლებიც დაუწერიათ; შეიძლება ეს საგალობლებიც იმავე იოანე საბანისძის მიერ იყოს შედგენილი, ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ ჰიმნოგრაფს ბეჯითად და გულუხვად უსარგებლნია აღნიშნული ბიოგრაფიით; ხშირად ბიოგრაფიის სიტყვებისა და ფრაზების შენარჩუნებით და დაცვით.

თავის განვითარების კულმინაციურ პუნქტზე ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფია შემდგარა მეათე საუკუნის მეორე ნახევარში; ტაოკლარჯეთის სალიტერატურო წრეში გამოჩენილა მთელი რიგი შესანიშნავი ჰიმნოგრაფებისა, რომელთაც ღრმა შინაარსიანი, პოეტური ფერადებით შემკობილი და მოხდენილი სიტყვებით შეუმკიათ არამც თუ მართო ქართული წმიდანები და დღესასწაულები, არამედ მსოფლიო ეკლესიისაც. ტაოკლარჯეთში ასეთი საქმისათვის თითქმის მთელი საუკუნე მზადდებოდა ნიადაგი; ჩვენ ვიცით, რომ აქ სამონასტრო და სალიტერატურო მრავალწილობას საფუძველი ჩაუყარა დიდებულმა გრიგოლ ხანძთელმა, რომელიც წმიდის კათოლიკე ეკლესიის საქადაგებელს გალობას სრულიად წყლიწადისა განკებითა მოძღვარი იყო განუკითხველად; იქ, ხანძთას, იყო კელითა მისითა დაწერილი სულის მიერ წმიდისა სწულიწდომ იაკარი,⁴ ესე იგი საგალობელთა კრებული. რასაკვირველია, ეს კრებული ნათარგმნ ჰიმნებს შეიცავდა, მაგრამ მან განამტკიცა აქ ჰიმნოგრაფიული ტრადიცია და ნიადაგი მოამზადა ორიგინალური ჰიმნოგრაფიის განვითარებისათვის.

¹) გვ. ვ, სტრიქ. 117-121

²) პეტროგრადი საჯარო წიგნთსაცავი, უსპენსკის კოლექცია № 11, დღეს საქართველოში დაბრუნებული.

³) К. Кекелидзе, Литургическ. древн. памятники, стр. 357. прим. 1, მისივე ახალი საგალობელი წმ. მოწამისა აბო თბილელისა, ეურნალი მწყვეში 1905 წ. № 13-14, გვ. 3-6; პ. ინგოროყვა, ძველ ქართული სასულიერო პოეზია. გვ. 9-10

⁴) ნ. მარჩის გამოცემა, გვ. ღთ.

თითქმის ყველა ორიგინალური ჰიმნები, რაც მეათე საუკუნეში დაწერილა, საგანგებოდ თავმოყრილია მიქელ მოდრეკილის ცნობილს კრებულში.² აქ წარმოდგენილ ორიგინალურ ჰიმნებს ტექნიკური სახელწოდებაც კი აქვთ — ქართული, უცხო და ნათარგმნ, ბერძნულ საგალობელთაგან გასარჩევად. რაც უფრო საყურადღებოა, ჰიმნები უმეტეს ნაწილად წარწერილია და ამ მხრივ ისინი ჩვენ გვაძლევენ ძვირფას ისტორიულ-ლიტერატურულ მასალასაც. ასეთი ავტორებია: იოანე მინჩხი, იოანე მტბევარი, მიქელ მოდრეკილი, ეზრა, იოვანე ქონქოზისძე, კურდანაძე, სტეფანე ჭყონდიდელი სანანოაძისძე და სხვანი; მათი პიროვნებისა და ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობის შესახებ უკვე გვქონდა ჩვენ ლაპარაკი, ამიტომ აქ აღარ გავიმეორებთ ნათქვამს; შევნიშნავთ მხოლოდ, რომ მეცხრე-მეათე საუკუნეთა ქართველი ჰიმნოგრაფები იმდენად დაწინაურებულან ეკლესიური მწერლობის ამ დარგში, რომ ისინი არაფერით არ ჩამოუვარდებიან თანამედროვე ბერძენ ჰიმნოგრაფებს; ამ გარემოებას და მასთან ერთად ჩვენში ეროვნული თვითშეგნებისა და კულტურის მძლავრს გაღვიძებას ისინი დაუყენებია ღვთისმსახურებისა და ჰიმნოგრაფიულ კრებულთა ნაციონალიზაციის გზაზე; მათ განუზრახავთ იმ კრებულებში, რომელნიც ბიზანტიაში ჩამოყალიბდა, ჩაედვით თავისი საკუთარი ორიგინალური, ქართული შინაარსი, სახელდობრ-პარაკლიტონ-ოკტოიხოსში, მარხვან-ზატიკში და თთუენში. მარჯალაც, მიქელ მოდრეკილს შეუთხზას თავისი რვაკმა ან ოკტოიხოს-პარაკლიტონი, იოანე მინჩხს-მარხუანი და ზატიკი, ხოლო „თთუენში“ ან იადგარში“, როგორც მაშინ ეძახდნენ, მათ შეუტანიათ საკუთარი საგალობლები როგორც ქართველ წმიდანებისა და ღვთისმსახურებისა, ისე, რაც საყურადღებოა, მსოფლიო ეკლესიისა. ერთი სიტყვით, მათ მოუნდომებიათ საქართველოს ეკლესია სრულიად დამოუკიდებელ გზაზე დაეყენებიათ ამ მხრივ და, ვინ იცის, რა შედეგებს მიიხვედნენ. რომ ჩვენში არ დამყარებულიყო ძან მალე ის ულტრაბიზანტიური მიმართულება, რომელმაც ასეთს კულტურულ-ლიტერატურულ სეპეარაციას გარდაუვალი კედელი აღუმართა წინ. მართალია, ორიგინალური შემოქმედება ჰიმნოგრაფიულ სფეროში შემდეგაც არ შეწყვეტილა, მაგრამ ეს შემოქმედება, უმეტეს ნაწილად ქართველ წმიდათა და ღვთისმსახურთა ახალ საგალობელთა შეთხზვაში მდგომარეობდა.

1) წ.-კითხ. მუხ. № 425.

მეთორმეტე საუკუნეში ათონის მოღვაწეს, ვინმე ზოსიმეს, დაუწესია საგალობლები ილარიონ ქართველისა და ექვთიმე ათონელისა, „უღირსს ეზრას“ — იოანე ათონელისა, ხოლო ვილაც უცნობ ჰიმნოგრაფს — გიორგი მთაწმიდელისა. მეთორმეტე საუკუნეში კათოლიკოსს ნიკოლოზს დაუწერია საგალობლები „სუეტისა ცხოველისა და კუართისა საუფლოისა“, დავით აღმაშენებელს შეუთხზავს ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ მიბაძვით „გალობანი სინანულისანი“, ხოლო იოანე პეტრიწს — „გალობანი ყოველთა წმიდათანი“ და ზოგიერთი დღესასწაულების აქებდითსა ზედა დასდებელთა „აწღაჲ“: მეთორმეტე საუკუნის გასულს თუ მეცამეტეს დამდეგს იოანე შავთელს შეუდგენია იამბიკოდ „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი“, ხოლო იოანე ანჩელს „გალობანი ანჩის ხატისანი“. მეცამეტე საუკუნეში კათოლიკოსს არსენ ბულმაისიძეს შეუდგენია საგალობლები ღვთისმშობლისა, ქართველ წმიდათა და ხელთუქმნელი ხატისა, ხოლო საბა სვინგელოზს — „გალობანი ქრისტეს განგებულებისა და განკაცებისანი“. მეთორმეტე საუკუნის დამდეგს მამა ნიკოლოზს, ქართველთა მნათობს, უწერია „მრავალნი კანონნი“, სხვათა შორის, „უზომოდ წვმისა გარდამოსლვის დასაყენებელი“. ქართველ წმიდათა საგალობლები იწერებოდა, როგორც ხელნაწერებიდან ჩანს, XIV—XVII საუკუნეებშიაც, მაგრამ ამ დროის ჰიმნოგრაფებს ჩვენ არ ვიცნობთ. განსაკუთრებით ორიგინალური ჰიმნოგრაფია XVII—XVIII საუკ. აყვავებულა: მღვდელმონაზონს გრიგოლ ვახუაბისძეს დოდორქელს, რომელიც პირველი შევიდა დავითგარეჯაში შაჰაბაზის მიერ აოხრების შემდეგ¹, დაუწერია ქეთევან დედოფლის დეაწლი და აკოლოთია; ვახტანგ მეექვსის მამას, მეფე ლევანს, შეუდგენია „ვედრებაჲ“ იოანე ნათლისმცემელისა, პეტრეპაველისა და სხვა წმიდანებისადმი; თეიმურაზის დას, მაკრინა მეფის ასულს, შეუთხზავს „დაუჯდომელი“ წმ. ჰაბო.მსა და საგალობლები იოსებ ალავერდელისა და იოანე ზედაზნელისა. იესე, ქსნის ერისთავს, შეუდგენია „აკოლოთია“ შალვა, ელიზბარ და ბიძინასი. „აკოლოთიის“ შემთხზველი ყოფილა აგრეთვე ნიკოლოზ რუსთველიც; მას დაუწერია საგალობლები წმ. დოდო.სი. ნაყოფიერი ჰიმნოგრაფი ყოფილა ნიკოლოზ ტფილელიც, მას შეუთხზავს, როგორცა ვთქვით, იამბიკოდ „აქებდითსა ზედა“ დასდებელთა „დიდება“ თითქმის ყველა ქართველ

1) წყობილსიტყვაობა, 787—788.

წმიდანებისა და სრული „დასდებელნი აქებდითსა ზედა“ აბოსი, ესტატე მცხეთელისა და მეფეების—არჩილ და ლუარსაბისა, ხოლო ბესარიონ კათოლიკოსს კანონი მღვდელმთავრისა (2 დეკემბერი), სეკტიცხოველისა და რაჭდენ პირველმოწაშისა. ყველაზე მეტი შრომა ამ დარგში გაუწევიან ანტონ კათოლიკოსს, რომელმაც შეადგინა საგალობლები თითქმის ყველა ქართველი წმიდანებისა და დღესასწაულებისა, რომელთაგან „აქებდითსა ზედა დასდებელნი“ იამბიკოდაა აღწერილი.

ლიტურგიკული ჰიმნები დანიშნულია ღვთისმსახურებაში სახეარებლად, იმათ ჰგალობენ ხოლმე და აპიტომ ქართულად „გალობანი“ ან „საგალობელი“ ეწოდებათ. მათი თარგმნისას ბერძნული დედნის საზომის თავსებურობათა დაცვა ადვილი საქმე არ იყო, და ეს ისეთ დახელოვნებულ ჰიმნოგრაფსაც კი, როგორც გიორგი მთაწმიდელი იყო, ხანდინაინ მეტად უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა ხოლმე. მაგალითად, გიორგის უთარგმნია ქრისტესშობის კანონი, რომლის აკროსტიხი ამჟამობს: ქებითა და გალობათაა ეოკლადწმიდიას ქრისტეს ღმრთისა კორცაულად ზემთა ცნობისა ბრწყინსაღესა შობასა ეოკელი სოფელი იხარებს და ანკელთათა იანა წყალობათა მისთა ადიდებს და შეახსენს დღეს.¹ ამის შესახებ მთარგმნელი შენიშნავს: სხუანი გალობანი ამისეუ დღისანი თავედნა, წმიდისა იოანე დამასკელისა ანბიკონნი ამას გაუარსა ზედა არიან, თხიერ რამელს მათ ეოველს დასდებლს ხუთი თავი უსის, ხოლო ამას უმარავლისნი იოანე სხენან და ამას ეფრთასი ჭირა უნდა, და ვისადაცან ამითი თარგმნაა. უღანს არს ეოკლადეუ და შეკლებული, ამისათვის იე გლახაჲმან გიორგი. რეცა თარგმნისმან, ქართულად აღვწერენ ესე გალობანი დიდითა შრამითათ.² ესე იგი, ბერძნული აკროსტიხის გადმოღების სიძნელის გამო მას ამ საგალობლები-სათვის ქართული აკროსტიხი დაურთავს. აღნიშნულ სიძნელეს ერთი გარემოება ართულებდა: რამდენიმე საგალობელთა ჯგუფში ერთი მათ-

1) წ. კ. № 379, ვგ. 219—220, კ—ი. ეს კანონი ასე იწყება: „ქალწულისაგან ექმნულ გენაცნაჲ ბუნებით სწორი მამისა და სულისა ქრთა კორცით თქსთა დახადებულთა“. გიორგისავე მკუთენის კანონი ნათლისღებისა, რომელსაც შემდეგი აკროსტიხი აქვს: „დღეს იორდანეს ქრისტეს ნათლისღებისა ეოკელი სოფელი განათილდა, სამეხისა წმიდისა თაქლასტემა განცადა და იხარებენ ერთბაშად ანგელოზნი და კაცნი“ (წ. კ. № 370, ვგ. 6—11). იწყება ასე:

„დაუსაბამო ძე და სიტყუა მამისა,
ღმერთი ეოველთა, მოვიდა ნათლისღებად
ემბახსა ზედა იორდანისასა ღღეს.
სიშდაბლით ჩუენთჳს და აცხოვნა სოფელი.

2) სიხას შიის ზელნ. № 2, ფ. 129, ჯ ა ვ ა ბ ი უ ი ლ ის აღწერილობით.

ეკლესიაში განვითარებულია: სახარების კარგად, წესისამებრ წაკითხვა, რაც თანდათან დავიწყებას ეძლევა, ნამდვილი ესთეტური სიაპოვნების მომგვრელი წყაროა და თან არაადვილი. საგანგებო ნიშნები შემუშავებული ყოფილა ამ შემთხვევისათვისაც და ეს ბერძნული ნიშნები ქართველებსაც გადმოუღლიათ: კერძოდ, ის შემოუღტანია გიორგი მთაწმიდელს, რომელსაც მის მიერ ნათარგმნი სახარებისათვის დაურთავს ის ბოლოში¹ შენიშვნით: *ამოი ნიშნათა ზედა იკითხვი ბერძენი სახარებასა და სამოციქულოსა:*

ოქსიე = ὸξεία

ვარიე = Βαρεία

კათისტე = Καίσις

სვრმატიკი = Σωρητικί

კე ტელია = Καί τელია

პარაკლიტიკი კე ტელია = Παράκλιτικί

კელია = τელია

კპოკრისის = Ἰπποκρίσις

კრემასტე = Κρημαστή

აქსო ოქსო

ოქსია კე ტელია

აპოსტროფოს, აპოსტროფოს, აპოსტროფოს

სვრმბა კე ტელია = Σωρητικί και τელია

კენტიმატა = Κεντήματα

ოქსიე დიპლე

დიპლე ვარიე

კენტიმატა კე აპოსტროფი.²

რაც შეეხება საკუთრივ ჰიშნებს, იმათაც თავიანთი ნიშნები ჰქონდათ; ქართველებს ეს ნიშნები გაცილებით უფრო ადრე შემოუღლიათ, ასე რომ, შეიძლება ითქვას, ამ „ნიშნების“ წერა ან „სემიოგრაფია“ ყოველ შემთხვევაში მეთე საუკუნემდე უნდა ყოფილიყოს განვითარებული: საქმე ისაა, რომ ასეთ „ნიშნებს“ ჩვენ ვპოულობთ უკვე მეთე საუკუნის ხელნაწერებში, როგორცაა, მაგალითად, მიქელ შოდრეკოლის კრებული, ათონის ერთერთი ხელნაწერი,³ სიძვ. მუზ. № 603 და სხვ. ამ ნიშნებს სწავლობდა გამოჩენილი ისტორიკოსი მუსიკისა Thibaut, მაგრამ, სამწუხაროდ, მას ჯერ ვერ გამოუძებნია მათი გასაღები, ვინაიდან ისინი განირჩევიან ანალოგიური ბერძნულ-ასურული ნიშნებისაგან.⁴

¹ ჩელ. ხელნ. № 39, ფურც. 278: იგივე ნიშნები გვხვდება შიობლინის მონასტრის ტიპიკონში, საქ. რთ. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზ. ხელნ. № 1349, ფ. 1168.

² ამ ნიშნებისა და ტერმინების შესახებ იხ. J.-B. Thibaut. Monuments de la notation ekphonetique et hagiopolite de l'Eglise Grecque, 1913 an. p. 32-33.

³ დ. ბაქრაძე, საქართველოს ისტორია, ვვ. 248.

⁴ იხ. მისი მოხსენება ჟურნალში Христианскій Востокъ, III, 207-212.

თუმცა ყველა ჰიმნები, როგორცა ვთქვით, საგალობლადაა განკუთვნილი, მაგრამ ნამდვილად ყველა ჰიმნებს კი არ ჰგალობდნენ, არამედ ზოგიერთებს. სხვებს კი ჰკითხულობდნენ ხოლმე. ამის შესახებ ანტონ კათოლიკოზი შენიშნავს: არა არს სჰკირაჰეჰა, თჷნიერ სჷეჷფლთა და ლუთისმჷმობჷისა დღესასწაჷლთა, ძღვისპირსა სჷედა მუჷკლთა გალობად, და არა სჷდა ჰგალობენ უოჷეღთა მუჷკლთა, მით რამჷთჷეჷ, უჷეჷთუჷმტა იგალობთ სჷისისაჷბერ უოჷეღნი მუჷკლნი, არამცირადი შრომა არს და ნიადაგ არა ბრძანებულ არს შრომა აგი.¹ იმ ჰიმნებს, რომელნიც გალობით უნდა ყოფილიყვნენ შესრულებულნი, ქართულად საგანგებო ტერმინით აღნიშნავდნენ ხოლმე. თავის ღირსშესანიშნავ კრებულში მიქელ მოდრეკილს, როგორც თვითონ ამბობს, შეუგრძობია საგალობელნი მეხურნი: რას ნიშნავს სიტყვა მეხური? ამ სიტყვას მთელი ლიტერატურა აქვს; პარველად მას ყურადღება მიაქცია მოსე ჯანაშვილმა, რომელიც 1891 წელს სწერდა: „მეხური უნდა იხმარებოდეს მაგიერ „სომხურისა“, რომელიც მართლა შემოკლებულია სიტყვიდამ „სომხური“;² მაშასადამე, ამ ინტერპრეტაციით, მიქელს შეუკრებია საგალობელნი ქართულნი, ბერძნულნი და სომხურნი. ასეთი განმარტება უარყო პროფ. ნ. მარრმა, რომელიც 1912 წლამდე ამტკიცებდა,³ რომ მეხური აღნიშნავს „მესხურს“, მაშასადამე, მიქელს შეუკრებია ბერძნული, ქართული და მესხური საგალობლები. 1912 წელს მან უარყო თავისი განმარტება და განაცხადა: отъ мѣхи образовано прилагательное мѣхური, которое, въ качествѣ церковнаго термина въ применѣніи къ пѣсеннѣно, противоположаемому грузинскому и греческому, очевидно, давно слѣдовало понимать въ значеніи армянскаго.⁴ მაშასადამე, თუ ეს ასეა, რად უარყოფდა ის წინათ ჯანაშვილის ინტერპრეტაციას? ამ უხერხულობას ჰგრძნობდა, ალბად, თვით ნ. მარრი და აღნიშნულ ადგილას დაურთო: мысль такая высказывалась и раньше г. Джанашивилию, въ виду несостоятельности доказательствъ, мною отвергалась. ერთი წლის შემდეგ, 1913 წ., ნ. მარრა კიდევ იცვალა აზრი და მეხურში დაუწყო ძებნა სომხურებს ან, უფრო მარტივად, მე-

1) კ. კეკელიძე, ანტონ კათოლიკოზის ხალიტურლიკო მოღვაწეობიდან, გვ. 13.

2) ხაუნჯე მეთე საუკუნისა. გვ. 39—13.

3) Древне-грузинскіе отношенія, Тексты и разысканія IV, стр. 53—54, Христ. Востокъ, I, 118.

4) Исторія термина Абхазъ (Извѣст. Акад. Наукъ, 1912 г. стр. 705)

სხებს, ესე იგი დაუბრუნდა პირვანდელ აზრს.¹ ამნაირად, ეს ტერმინი ესმისთ როგორც ეთნოგრაფიული, ეროვნების აღმნიშვნელი: ჯანა შვილს სომხებისა, ნ. მარს მესხებისა. ერთი და მეორეც მიუღებელია; საქმე ისაა, რომ მიქელს არამც თუ შეუკრებია ეს საგალობლები, არამედ ღვთისმსახურებაში სახმარებლადაც განუწყესებია, ის ამბობს: იხილეთ მდღელო ღმერთშემოსილო კინხავი ესე ნამუძაკევი, რაჟამს უმროშელად აღმოიკისა საღრმთოჲსა ამასგან წყაროჲსა. ყოვლად წარმოუღგენელია, რომ მეთე საუკუნის გასულს მიქელ მოდრეკილს შეეკროვებიოს ანტიქალკედონიტ სომეხთა ეკლესიის საგალობელნი (ქალკედონიტ სომეხების თავისი საკუთარი საგალობლები არ ჰქონიათ, ეკლესიურად ისინი დენაციონალიზაციის პროცესს განიცდიდნენ უკვე ამ დროს) და დავალებიოს ქართველი მღვდელისათვის ამისგან წყურვილი აღმოივსეო. ისიც წარმოუღგენელია, რომ მიქელ მოდრეკილს მესხების, მაშასადამე იმავე ქართველების. საგალობლები ქართულისათვის დაეპირდაპირებოდა, მესხებს ღვთისმსახურებაში ჰქონდათ ის წიგნები და საგალობლები, რაც ყველა ქართველებს, ასე რომ ქართველებისა და მესხების ლიტურგიკულად დაპირდაპირება შეუძლებელია. თან ამ კრებულში მოთავსებულია მხოლოდ ბერძნული და ქართული საგალობლები, სხვა რამ, არც სომხური და არც მესხური, იქ არაა. იმ წიგნთა შორის, რომელნიც კათოლიკოზ მელქისედეკს შეუწირავს მცხეთის სვეტიცხოველისათვის 1020 წლის გუჯარით, მოხსენებულია იადგარი მეხური, რამეფსა შიგან სწერია განგება საწყლასადო.² აქედან ცხადია, რომ ეს ტერმინი აღმნიშვნელია საღვთისმსახურო წიგნისა, რომელსაც იადგარი ჰრქვია, ხოლო იადგარი აღნიშნავს კრებულს ჰიმნებისას ან წმიდათა საგალობლებისას; მაშასადამე, არსებობდა მეხური ჰიმნები. ჩვენის ჰაზრით, ეს ტერმინი არის მუსიკალური და აღნიშნავს არა კილოს საგალობელისას, როგორც პ. კარბელაშვილს ჰგონია,³ არამედ იმას, რომ მეხურად წოდებული ჰიმნი უნდა გალობით იქმნეს შესრულებული და არა წაკითხვით. ამნაირად, მეხური საგალობელნი არიან ისეთი ჰიმნები, რომელნიც გალობით უნდა იქმნენ შესრულებულნი და ამ მიზნით მათ ხშირად ნიშნები ან ნოტებაც აქვთ დართული. მაშასა-

¹) Христ. Востокъ, II, стр. 22, прим. 4. Къ дѣлу иммигрант Москвоѡхъ изъ Арменіи въ Сванію, (Извѣстія Академіи Наукъ, 1916 г. стр. 1620).

²) თ. ყორღანია, ქრონიკები II, 31—37

³) ქართული სიგრა და სასულიერო კილოები, 83. 34.

დამე, მიქელი ამბობს: მე შევეკრიბე, რაც კი ვიპოვე ჩვენს ენაზე, ჰიმნები მეხურანი: ქართულნი და ბერძნულნიო. ასეთი უნდა იყოს რეალური მნიშვნელობა ამ ტერმინისა.¹ რაც შეეხება მის ეტიმოლოგიას, ამაზე გადაჭრით ვერას ვიტყვი; შეიძლება, ტერმინი წარმომდგარი იყოს ბერძნული *ἠγῶς*-ისაგან, რაც ხმას ნიშნავს (მ + ἠγ — ური), და ზედმეტად ხაზს უსვამდეს, რომ მეხური საგალობელი უნდა ხმით ან გალობით იყოს შესრულებული.

B. სამოძღვრო-მოთხრობითი პოეზია.

მეორე დარგს ქართული სასულიერო პოეზიისას წარმოადგენს არალიტურდიკული პოეზია, რომელსაც ისეთი პრაქტიკული, საღვთისმსახურო, მიზნები არ აქვს დასახული, როგორც პირველს; ის არის ნაყოფი ადამიანის რელიგიური სულის თავისუფალი ზეაღფრენისა და შინაარსის მხრივ ორ უმთავრეს შტოს გვაძლევს: ჰაგიოგრაფიულ-ეორტალოგიურს, რომელიც სხვადასხვა წმიდანებისა და ღვთისმეტყველებისადმი მიმართული, და ბიბლიოგრაფიულ-ისტორიულს, რომელსაც საგნად აქვს სხვადასხვა თხზულებანი, უფრო კი ბიბლიური წიგნები, და ისტორიული ფაქტები. ფორმის მხრივ ეს პოეზია ორნაირია: ტიპიური იამბიკები და რითმოვანი ლექსები, ქართულ პოეზიაში ცნობილი სტიქომეტრიული საზომებით დაწერილი. ამ დარგშიაც ჩვენ გვაქვს როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური ნაწარმოებნი; ნათარგმნი თხზულებანი წარმოადგენენ ან პოეტურ ნაწარმოებთა გადმოქართულებას, ანადა პროზაულ ნაშრომთა გალექსვას.

არალიტურდიკული პოეზია განვითარებულა განსაკუთრებით ჩვენი მწერლობის ისტორიის მესამესა და უკანასკნელს, მეხუთე, პერიოდში; გამონაკლისს აქედან წარმოადგენს ორი პატარა ლექსი მეთათე საუკუნისა: ერთი ეკუთვნის იოანე-ზოსიმეს და დაწერილია ულახათო აკროსტიხული იამბიკოთი ვიდაც გიორგის სახელზე, აქ ლაპარაკია იოანეს მიერ მოგებული კრებულის შესახებ (იხ. ზემოთ); ხოლო მეორე ეკუთვნის ვიდაც ფილიპეს, დაწერილია 16 მარცვლოვანი სილაბურ-ტონური საზომით პრიმიტული რითმის დაცვით და შეაქებს ღვთისმშობელს (იხ. ზემოთ).

¹) К. Кекелиძე, „Исторические грузинские памятники, стр. 372; прил. 2. მ-ი 33. Иерусалимский Капонарь. стр. 332.

მესამე, ბიზანტიურს პერიოდში ამ პოეზიის ისტორია ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელებიდან უნდა დავიწყოთ; თუ ის ცნობა საექვოა, ვითომც ექვთიმე და გიორგი ბერძნულ ენაზე სწერდნენ ლექსებსა, ქართულ ენაზე მათი ამგვარი შემოქმედება ექვსგარეშე უნდა იყოს, ამის საწინდარია მათი მრავალმხრივი ნაყოფიერი შემოქმედება ლიტურგიკულ პოეზიის დარგში. ყოველ შემთხვევაში გიორგი მთაწმიდელისაგან დარჩენილა ერთი პატარა იამბიკო ბიბლიოგრაფიული ხასიათისა, რომელიც მის მიერ ნათარგმნ სახარებას აქვს დართული მისი სახელის აღნიშვნით აკროსტიხში; ეს იამბიკო ჩვენ ზევით მოვიყვანეთ კიდევაც. ნამდვილად კი ამ პოეზიის მამათხოაერად ეფრემ მცირე უნდა ჩითვალოს; როგორც სხვა ყოველ დარგში, ეფრემს აქაც საკმაოდ დაუჩენია თავისი კვალი, თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ შენახულა ყველა ის, რაც მას შეუქმნია ამ დარგში. აქ უნდა დავასახელოთ პირველად ყოვლისა ორი მისი იამბიკო ბიბლიოგრაფიული ხასიათისა, რომლებშიაც ლაპარაკია „სამოციქულოს“ შესახებ; ერთი მათგანი, მისი საკუთარი, ორი გინალური, ჩვენ უკვე მოვიყვანე ზევით, ხოლო მეორე, აღმრიცხველი წმიდათა წიგნთა, ნათარგმნია, ის შედგება ო მუხლისაგან და იწყება ასე:

აღეშრთების წიგნი ესე რჩეული
სუეტად უძრავად ბრძნისა ექვსისისა
სიტყუთ მოუთხრამს მეგობართა რწმუნებათა
საქმესა დიდსა ქრისტეს მოციქულთასა
და ამას მისცემს მთად დიდად ჩრდილოვანად.¹

მეორე ნაწარმოები ეფრემისა აქ დარგში, მართალია—უბრალო პროზით და არა იამბიკოთი გადმოდებული, ეკუთვნის მეთერთმეტე საუკუნის მწერალს, სერონის მიტროპოლიტს ნიკიტას და იწოდება: ეპიტაფიად ბასილისსა სტიქსონი იროიკონი შარაფრანსი ნიკიტა ფილოსოფოსისა.² აქ გადმოკეთებულია გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყუა ეპიტაფიად დიდისა ბასილისაჲს 12 მუხლად და იწყება ასე: ეჭა ქრისტეს მოყუარეო და მსახურო და მონაო მისო ჟრთკჳდო ვასილი. უფრო მეტი მასალა მოუცია ეფრემისათვის ამ დარგში გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებებს; აქ მას უთარგმნია, პირველად ყოვლისა, შეკვები იამბიკოჲ სასწავლოჲსა წილ წარმართთაჲსა, რომლისგან განაუენს ქრისტეანენი ივლიანე განდგომილმან,

1) წ.-კითხ. ხელნ. № 379, გვ. 139-191, სიძე. მუხ. № 137, 162-171, № 182.

2) სიძე. მუხ. ხელნ. №№ 16, 104, 292, გვლ. № 9.

„ზედწარწერილი ავათ მისი: „კრიგოლის ვარ მე ტევიდილანაჰქუქაევი, ოახ-
 მუქუქედისა ჭინდერისა დამტველ ეარ მისაღმეღად ცნობათა სუდიურთა და
 სიბრძნისა მის ეაგულად ჭეშმარიტისა მასაქსენებელ დირსენით მასწაყუეთა“;
 იწყება ასე:

დასაბამისა გეოაღისა უკეთეს
 იქმნების კეთილყოფად აღსასრულისა...¹

აქ ეფერემს მოუცია მეორე, უფრო ვრცელი რედაქცია ამ თხზუ-
 ლებისა, რომელიც Billius-ის 1630 წლის პარიზის გამოცემაშია
 მოთავსებული (I. II, p. 158—159).

გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა თარგმანში, რომელიც ეფ-
 ერემს ეკუთვნის, მოთავსებულია ერთი სიტყვა გრიგოლისა მადამიმართ,
 რომელთა დასაბამსაჲ შედგომად ხეცობისა მოუწოდეს მას აღესებისათს და
 არა წინადაგომსხნეს მას.² ამ „სიტყვსათს“ ეფერემს დაურთავს ბიბლიო-
 გრაფიული შენიშვნა, რომელშიაც ის გვაცნობს ჩვენ თუ როგორ
 უთარგმნია ის ძველად ექვთიმე არონელს და რატომ სთარგმნა მან
 მეორედ ის; ამ შენიშვნას ის ასე ათავებს: კარგივე აღუქსანდრაელმან
 მრავალთა წყლთა მშქლავთა და კადნიერ შეო მე ახლად თარგმნად ათ-
 ექუსსქეტთა სადესასწაუდთთა და ამას ერთსა აპორიტათაგანსა, რომელნი
 ესე არა ქართულისა შეენებითა, არამედ ბერძულისა შედარებითა გვა-
 ქმნივიეს.... ხოლო აახსრამეტნი იგი აპორიტათაგანა, პირველ ჩემგან-
 ვე თარგმნიდისა სიტყუადართთა, მისვე მამისა და მოძღურისა (ექვთიმეს)
 ეუალსა შედგომითა თარგმნეს ჩემგან, თუნიერ ამათ, ხოლო განყოფილად მათ-
 გან, რომელ არცა სხსა სკაიანავსა სხუასა ჩაერთო, არცა კერძინებით და სხე-
 სით უთარგმნელი სიტყუად დავადო³ აქედან ჩანს, რომ ეფერემს უთარგმნია
 კალკე წიგნად („განყოფილად“ სხვა თხზულებთაგან) ათსრამეტნი აპორიტა-
 ნა. „აპორიტანი“ არის ბერძნული სიტყვა ἀποριτικα; ასეთი სახელი ეწო-
 დებოდა გრიგოლ ღვთისმეტყველის ლექსთა ერთ ჯგუფს, უფრო დოღ-
 მატიკური შინაარსისას, რომელთა რიცხვი სხვადასხვა ძეგლებში სხვადა-
 სხვაა (Billius-ით, მავალითად, 18). ეფერემ მცირე „აპორიტად“
 სთვლის ზემოდასახელებულს „სიტყვასაც“, თუმცა ბერძნულში ის არამც
 თუ „აპორიტათა“ ჯგუფს არ ეკუთვნის, ლექსადაც არ ითვლება. მაგრამ,

¹ სიძვ. მუხ. № 109, გვ. 527—534, № 711, ფ. 83—87, № 82, წ-კით. № 26 348; 3731, 221
 № 22, ფ. 210—221.

² სიძვ. მუხ. № 292, ფ. 281—283, Billius, t. I, p. 46—49.

³ სიძვ. მუხ. № 292, ფ. 282მ, თ. გორდანიძე, ქრონიკები I, 220.

ჩანს, ეს „სიტყუა“ მუხლებად ყოფილა დაყოფილა; ქართული თარგმანის ბოლოში მას ასეთი შენიშვნა აქვს: შეკლა რმბ, მამსადამე, ფორმა ჰქონია პოეტური ნაწარმოებისა და ამიტომ ეფრემს, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, გრიგოლის ყველა ლექსს „აპორიტადა“ ხაღდა, ისიც ამათ რიცხვში მოუქცევია. ყოველ შემთხვევაში 19 ლექსი მას ცალკე წიგნად უთარგმნია, თან „სიტყუადართვით“, ესე იგი სქოლიებით. სწამუხბაროდ, ამ კრებულს ჩვენამდე არ მოუხწევია; მართალია, როგორც თავის ადგილას დავინახავთ, გრიგოლის ლექსების კრებული შენახულა ჩვენამდე, მაგრამ ეს სულ სხვა კრებულია, ამათში არც ერთი ლექსი არაა „აპორიტას“ სახელით ცნობილი; ეს მოვლენა დიდ დანაკლისად უნდა ჩათვალოს ჩვენი სასულიერო პოეზიის ისტორიაში.

დასასრულად, გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა თარგმანისათვის ეფრემს დაურთავს თავისი საკუთარი, ორიგინალური ვრცელი იამბიკო, რომლის „კიდურწერილობა“ ან აკროსტიხი (მარცხნივ და მარჯვნივ) გვაძლევს: ჰ ფრიადო მოძღურებისა უფსკრულაჲსა სრულითა მით საზომითა სრულქმნილითა შემწე ჩემდა იქმენ ღმრსა განჯისსა, რამდისათჳს გზადი უნდოდ მტირე ეფრემ; ამ იამბიკოში შესხმულია გრიგოლ ღვთისმეტყველი და მისი თხზულებანი.

ეფრემის დროს, მეთერთმეტე საუკუნის გასულს, დამთავრდა თარგმნა სვიმეონ ლოლოთეტის მეტაფრასებისა, რომელთა შორის ცნობილია ამბერკი იერაპოლოელის (ოქტომბრის 22) ცხოვრებაც;¹ ამ ცხოვრებაში² მოყვანილია იამბიკო ხუთმეგლედი ამბერკის საფლავსა ზედა წარწერილი:

რჩეულისა მის მკვდრმან ქადაქისმან

ესენი შევქმენ ვიდრეა ცოცხად ვიუჳ.

ეს იამბიკო, რომელიც ცალკე, ცხოვრებიდან ამოღებულიც, გვხვდება ხელნაწერებში, გამოცემულია ექვთიმე თაყაი შვილის მიერ.³

იამბიკოთა წერაში და თხზვაში უვარჯიშნია არსენი იყალთოელსაც; როგორც თავის ადგილას აღვნიშნეთ და მოვიყვანეთ კიდევაც, არსენის დაუწერია იამბიკოდ ეპიტაფია დავით აღმაშენებლისა და ბიბლიოგრაფიული შენიშვნა ნიკიტა სტითატის ერთი თხზულებისა, რომლის აკროსტიხი იძლევა ნიკიტასა და არსენის სახელს. მის ორიგინალურ

¹) Migno, PG. t. 115, col. 1212—1248.

²) წ. კითხ. № 1276, გვ. 167—207, გულ. № 4, ფ. 534ა—555ა.

³) Описание рукописей Общ. грамотности, II, 317.

იაპიკოთაგან უჯრო საყურადღებოა აამბიკონი, ადმონიტიკელი წმიდასა წიგნთანი, რომლის აკროსტიხი ამბობს: წიგნი სამოციქულო;¹ აქ წამოღ-გენილია, როგორც თავის ალაპას დავანახე, შემადგენლობა და მი-შენელობა „სამოციქულოდას“. ეს უკან სწავლი რამბიკო მას დაუწერია, ალბად, მის მიერ ნათარგმნი დიდი რჩულისკანონის მიხედვით, რომელშიაც ორი სტატია ამგვარივე ხსიათისა; ამ სტატიებში, რომლებიც არსენის, თანახმად დედნისა, იამბიკოდვე გამოუღია, ჩამოთვლილია ძველისა და ახალი აღაქმის ბიბლიური წიგნები ესენია: გრიგოლ ღვთისმეტყველის განხორმის-თაგნი სიტყუათა ან მკვლევდი აღრიცხვა წმიდასა წიგნთა, რომელიც იწყება:

რათა უკითხო არ მიგიზარან წიგნთა

რიცხუსა გაუწყებ ჩვენთასა მეგობართ.²

მეორე—ამჟილქეის ამბიკო სელეუკოს მიმართ, რომელიც ასე იწყება:

არამდ უაფრთს ამასი სწავლა ენდა

საგმარ, ვითარმოდ არა უოკელნი წიგნნი

უცთამილ, არცა რადენი საქე ედო

წერილობისა მოუციეს სახელი,

ვიწახთან სახელმეტყუარნიცა არაან.³

დიდი ნაყოფი ეძება გამოუჩენია ამ პარეზიის დარგში იოანე პეტრიწს, რომელსაც, როგორც უკვე გვქონდა ლაპარაკი, ვაფლექსია იოანე სინელის კლემაკსი და, სამ პატარა იამბიკოს გარდა, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ, დაუწერია იამბიკოდ ორი პოლოლი: გამოკრებუ-ლი ან შემოკლებული, სექტემბერ-დეკემბრისა, და ვრცელი, სექტემბრის-იანვრისა, რომელიც ასე იწყება:

ინდაქტიხსა სდ სასობს დღენდელი,

ესე იგი არს წესა თადად თვსაცსა

დიდისა მისა სუმონ უოვლადისა

სამეარო სუეტი ეიბუბის ცთა.

ჩვენ აღარ შევჩერდებით XII-XIII ს. პოეტებზე, როგორც არი-ან მამა იეზეკიელი, დიმიტრი მეფე, იოანე შაველი, არსენ ბულჰაისი-ძე და პეტრე გელათელი, კინაიდან მათ შესახებ ლაპარაკი გვქონდა ზე-

¹) წ. კათ. № 379, გვ. 192, სიძვ. მუხ. № 137, ფ. 17-18

²) წ. კ. № 379, გვ. 128-129, სიძვ. მუხ. № 124, გვ. 532-533 და „რჩულისკანონის“ ნუსხები.

³) სიძვ. მუხ. № 124, გვ. 534-536 და „რჩულისკანონის“ ნუსხები.

მოს, როდესაც მათ სამწერლო მოღვაწეობას ვარკვევდით საზოგადოდ; შევდგებით აქ მხოლოდ საპიოდე მწერლის ნაწარმოებზე, რომელიც მეთორმეტე საუკუნის პირველს ნახევარში უნდა იყოს გადმოთარგმნილი. ესენია:

იამბიკონი იოანე ჭკრამიზისა, სამი მუხლისაგან, რომელშიაც ლაპარაკია ამპქვეყნიური ცხოვრების არარაობაზე; იწყება ამნაირად:

ერმა საშოაფთგან და მუცლით შიამოსრული
პირველსა კმასა ტირილით განუტეკობს,
ეოფელთასავე ვითარ პირველის კმას
მსგავს შტირალობისა ინუბის ბრძენი ვინმე
გლოაფთ, რამეთუ არს შემოსული სწუთოდ.¹

მეორე იამბიკონი წმიდათა მოციქულთა აღსრულებისანი, თქმუჯნი იოვანიკე შინაზონისა, რომელიც მეცხრე საუკუნეში მოღვაწეობდა, შედგება ორი მუხლისაგან, რომელთაგან პირველი ასე იკითხება:

ჯუარს ატუამს ჰეტრეს თავდამაღმართ რომას ნერონ,
არ მეუღარი ცოცხლებს მომეუღარი იოანე,
მშვდობით შოკუდა ღუკა აღსრულებული,
ჰატრელნი კანნი ჯუარს შემსჭყალებენ ანდრიას,
მახული განჰქეუთას სრბათა იაკობისთა,
აკუდენს ღახუარი თომას ინტოეთს შინა.²

დასასრულ, უფრო საყურადღებო და მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს გრიგოლ ლეთისმეტყველის ლექსების თარგმნა ქართულად. ჩვენამდე შენახულა სულ 24 ლექსი გრიგოლისა, რომელიც სხვადასხვა ხელნაწერებშია მოთავსებული;³ აი ეს ლექსები:

1. გრიგორის შრომა ვარ თთხმუკას დამცველი
სიბრძნის საკლავნად სწავლათა რიცხუთა.⁴

ეს არის მეორე რედაქცია, უფრო მოკლე, იმ ნაწარმოებისა, რომელსაც ეწოდება მეკლეხი იამბიკოჲ სასწავლოჲსა წილ წარმართთაჲს და რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ეფრემ მკირემ გადმოთარგმნა. არსებულნი ბერძნული ტექსტი უღებდა ამ მეორე რედაქციას,⁵ რომელსაც თანდართული აქვს ნიკიტა ჰაფლოლონელის, ანუ, უფრო სწორედ, სერონელის (XI ს.) თარგმანება.⁶

1) წ. კითხვ. № 379, გვ. 194, ს.ძვ. ზღ. № 67, ფ. 92 ბ.

2) წ. კითხვ. ხელნ. № 379, გვ. 193—194.

3) წ. კ. № 379, 348, 2568, სიძვ. ზღ. № 711.

4) წ. კ. № 379, გვ. 103—110, 215.

5) Billius, t. II, 156—159.

6) Krumbacher, Geschichte der byzant. Lit. 2 Aufl., S. 137, 211.

2. ფალოსოფოსთათვის: თქუნა ვინმე ესე თქროსა მთუყარემან.¹
3. ბოროტისა მიმართ: მოსუედ ბოროტო, არამედ დაუყენე.
კუმლად გიხილე და გიგრძენ ტიტხლისად.²
4. თავისა მიმართ თვისისა და მოშურნეთადა:
აქეს რაჟმე დიაღთა ჩუნდა აწ განცხრომასა
იამიკოთათ სხუა საზომი იშუების
თავთწარმულელმან სცნა ესე განცხადებითა.³
5. ლოცვა ცისკრისა: ლოცვათა მიგცემ ღმერთსა ჩემსა მარჯუეთა.⁴
6. საზღვარნი ზრქელკერობობითნი იამბიკონი:
ღმერთი არს არსება ზარველი კეთილი
სოფელი შეკრვა ხილულთა გონიერთა.⁵
7. სწავლანი: მაგინებელ არს იმამდრე უ რჩეულნი
ხოლო მე მჩებავს შენდა ქანება საქმედ.⁶
8. მრავალმეტყუელებისათვის და დუმილისა:
ღუმაღის მთუყარე მიეხლების დმერთსა.⁷
9. ტყუვილისათვის: არ უწეის ჩ'ვლმან ტყუილი, არცა სულმან.⁸
10. ყრვლადგანთქმულისათვის დედოფლისა ბოროტის მუცლისა;
ხაგრ-ფენება არს ნოვაკობათ შემოქმედ.⁹
11. უზარუნელისათვის განხრწნადთა შორის შრომათაგან და ოფლთა
სიწმიდისათვის და მრავალცნობისათვის: ვიეთმე ჭნებაჲს ბუნებით ს-ჭურასთა.¹⁰
12. ცუდღიდებისათვის: ნუ შეიწენარებ მომგონებულს შენსა მას.¹¹
13. ენებათწარმწყმედელისა მალლისა მდაბალ მზრახველობისათვის უხი-
ლავითა გრძნობითა: დელე არს სული დამდაბლებული შორის
შრომის მათათა და სათნოებისათა.¹²
14. განსჯისათვის გულისსიტყუათა და ენებათა და სათნოებათათვის:
ზესთსახიერი მკუყე და უფალი.¹³

1) წ-ითბ. ხელნ. № 397, ვვ. 121—123.

2) ibid გვ. 123—126.

3) ibid. გვ. 125—126.

4) ibid. გვ. 126—127.

5) ibid. გვ. 127—129, სძვ. მუბ. № 711, 87—89.

6) ibid. გვ. 139—144, სძვ. მუბ. № 711, 89—90.

7) ibid. გვ. 147.

8) ibid. გვ. 147.

9) ibid. გვ. 147—148.

10) ibid. გვ. 149—150.

11) ibid. გვ. 150—151.

12) ibid. გვ. 152.

13) ibid. გვ. 153.

15. ქუეყანისზედასათვის წმიდისა ღმრთისმსგავსისა უვნებლობისა და სისრულისა და აღდგომისა სულისა პირველ ზოგადის აღდგომისა:

არ შემტვიცნების დიადიმს სამკუფუმ.¹

16. თქუქული იამბიკოდ რიცხუსა ზედა ბერძნელისა ანბანისა აღფაეიტაჲსა:

საწყის ყოველთა და სასრულ ღმრთი იუჯ.

წარგებად მარად სწყითის სარგებელსა.²

17. ლოცვა: უწყობ შენსა, უწყობ ჩემსა, ქრისტე.³

18. მუკლელი აღიციხვა წილათა წიგნთა ძველისა ვიდრევე სჯულისათა რიცხვი 22, ხოლო ახლისა მადლ სათა 27, ჯუშეულად ყოველთა 49 (ან სიძვ. მუხ. № 342 — „გნუსომკლთაგან სიტყუა“):

რათა უჯხთა არ მიგიპარინ წიგნთა,

რიცხუსა გაუწყებ ჩუენთასა შეგობარნო.⁴

19. ზესთმზენობისათვის: უკუეთუ სხვსა გნების რთს თჯიერ.⁵

20. სიმძვდის თვისა და სიმარტივისა და უმანკოებისა და სიბოროტისა: ისწავეთ ჩემგან, იტყუს, მშუღვარ მკ.⁶

21. თან შემკურელისათვის სათნოებიანისა სამობისა სათნოებათა შინა: მნებებელმან თქუმად ღმრთის სიყვარულას თვის.⁷

22. მწყესისა მიმართ: მკურნალთა შორის ნეტარ ანავსიაჲ⁸

23. სხუნნი ორმუკლედნი იამბიკონნი კეთილსიტუოანნი:

საწყის კეთილის კეთილსაცა ბოლოს

მართლად შექრაცხუენ ყოფად საქმეთ საზღვარნი

საწყა კეთილსა მშობ კაცად დასასრულსა.⁹

24. ესენი ითქუნეს მაშინ, რაჟამს უკუანადსხელოთა იფშვნკდა:

ანგელოზთ მთავარნო უწდომოს მომგრგულებასა

სა მნათ ღმრთეებრას ერთეღვისა გარმდგომნო

გრიგორ შეიტებეთ უღირსი, გარნა მღუღელი.¹⁰

¹) ibid. გვ. 154.

²) ibid. გვ. 187, Billius, t. II, p. 186.

³) ibid. გვ. 188.

⁴) ibid. გვ. 188—189, Billius, p. 98.

⁵) ibid. გვ. 215—216.

⁶) ibid. გვ. 215—217.

⁷) წ.-კითხ. № 348, გვ. 112—113.

⁸) წ.-კითხ. № 348, 113—117.

⁹) წ.-კითხ. № 2568, Billius, t. II, p. 153—155.

¹⁰) წ.-კითხ. № 379, გვ. 221.

ჩამოთვლილ იამბიკოთაგან მეთვრამეტე, როგორც აღვნიშნეთ, უთარგმნია არსენ იყალთოელს რჩულისკანონში, რაც შეეხება სხვებს, მათ მთარგმნელთა შესახებ არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება; შეიძლება ისინი ეკუთვნოდნენ, როგორც ვთქვით ზემოთ, პეტრე გელათელს, შეიძლება ნიკოლოზ კათოლიკოს, თუ რაიმე საფუძველი აქვს ზ. ქიქინაძის ცნობას, რომ ნიკოლოზმა თარგმნა, სხვათა შორის, გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებანიო;¹ შეიძლება, ყველა არსენ იყალთოელს გადმოედოს.

თუ ბიზანტიური პერიოდის ქართული საეკლესიო პოეზია ფორმითაც და შინაარსითაც დაპოუცილებლივ ვითარდებოდა და არსებობდა ამ პერიოდში აღმოცენებულის და გაფურჩქენილი საერო პოეზიისაგან, ეს აღარ ითქვის უკანასკნელის, აღორძინების პერიოდის პოეზიის შესახებ; საეკლესიო პოეზია ეხლა უკვე აღარ კმაყოფილდება ისტორიულად შემუშავებული პოეტური ფორმით, — იამბიკოთი, და უხვად სარგებლობს ყველა იმ ფორმებით, რომელიც შეიმუშავა საერო პოეზიაში, უფრო ხშირად კი თექვსმეტმარცვლოვანი სილაბურ-ტონური რუსთაველური ლექსით. შინაარსის მხრივაც ჩარჩო საეკლესიო პოეზიისა შესამწევად გაფართოვდა ამ პერიოდში; პოპულარიზაციის მიზნით ეხლა უპირატესად ლექსით სარგებლობდნენ, შემუშავდა განსაკუთრებული დარგი პოეტურ ნაწარმოებთა, ეგრედწოდებული „ანბანთ ქება“, რომელშიაც ვარჯიშობს ყველა: მეფე და დედოფალი, კათოლიკოზი და ეპისკოპოსი, ღვდელი, ბერი და ერი; „ანბანთ ქება“ უწერიათ: მეფეებს — არჩილს, თეიმურაზ I, თეიმურაზ II, ვახტანგ VI, დავით იმამყულიხანს,² კათოლიკოზს ანტონ პირველს,³ ეპისკოპოზებს — ნიკოლოზ ტფილელს, ონოფრე ბოლბელს, იოსებ ტფილელს, დოსითეოზ ნეკრესელს;⁴ ერისკაცებს — იოსებ გაბაშვილს, ვახტანგ ყაფლანიშვილს, პეტრე სიონის მგალობელს, დიმიტრი ორბელიანს, მიაი გაბაშვალისას და სხვ.⁵ ამ „ანბანთ ქებაში“ გარკვეულია სხვადასხვა სარწმუნოებრივ ზნეობრივი თემები და დებულებანი, რომელნიც ამ ფორმით უფრო ადვილად იკავავდა გზას მკითხველ საზოგადოებაში. იმავე პოპულარიზაციის მიზნით გაუღვივდა: 1) საღმრთო ისტორია — პატა ბატონიშვილს 1709 წელს

1) მწერლობა მე-XII ს., გვ. 26—27.

2) წ.-კითხ. № 426, 1347.

3) წ.-კითხ. № 1512.

4) წ.-კითხ. № 1547, 1512.

5) წ.-კითხ. № 1203, 1512.

და ვიღაც უცნობს, რომელშიაც ჰხედავენ „მაცხოვრის გვარზე ვნების“ ავტორს პეტრე ლარაძეს¹⁾; ამ უენობი ავტორის შრომაში²⁾ გალექსილია ძველი აღთქმა მეფე დავით და სოლომონის დრომდე და მერე საქრავლოს ისტორია დავითს „შთამომავალის გვარამ ბაგრატიონის მოსოვიდამ ზენში. 2) აბლას ცალკე წიგნები და თავები: მაგალითად, მეფე ირაკლის მდივანბეგს დავით ჩოლოყაშვილს გაუღლქსია „იობის წიგნის“ 40 და 41 თავები, აგრეთვე „წინასწარმეტყველთა“ წიგნები და 145 ფსალმუნის³⁾ ანდა ესათუის ეპისოდები როგორც, მაგალითად, „ადამის სამოთხიდან ექსორიობა“ — დავით ბაგრატიონს, „ქუთუყუნის შექმნისათვის და ადამის კელთწერილი და მეორედ მოსოვიდათვის“ — უცნობ ავტორს,⁴⁾ დავით გურამიშვილს თავის „დავითიანში“ — ადამის გოდება (გვ. 294—297), გოდება ლეთისმშობელისა (18—23), გოდოლის აღმენება და ენათა აღრევა (ავ. 290—293), ლეთისმშობლის მიძინება (114—116) 3) ლექსად იწერება, შესხვა ან ქება სხვადასხვა დიქსისა-უღებისა, მაგალითად: „თქულნი ხაზებ სათვის, შობისა, მიგებებისა, გუარკმ სა, აღდგომისა, ამადოებისა, სულისწიძის მოსოვიისა და მიძინებისა“ დიპტიოი ორბელიანისა, „ქება სუეტისა ცხოველისა“ და „შესხმა ფერის ვალებისა“ მიოჩან ბატონიშვილისა;⁵⁾ აგრეთვე სხვადასხვა წმიდათა ცხოვრება: ქე ე ან დიდ-ფოთსა (იდედლომონაზონ კოხჰანს, რომელიც ლკება მოკლეს 1733 წელს, თეიმურაზ I, დიპტიოი ბაგრატიონს), წმიდა ალექსისა (იოსებ ტფილელს წ.-კ. № 15121, წმ. მარინესი (წ.-კ. № № 1203, 1512), წმ. გორგისა (იქვე), დათუნა ქარიანის მიერ გალექსილი, და სხვ. ეალა ილექსება, ყოყელ შემხვევაში იწერება, ხალხური თქულუბანი და აპოკრიფები აბრაამისა და იაკობს შესახებ (წ.-კ. № № 1582, 2363), აგრეთვე ნათლისმცემელისა და გლახის შესახებ (წ.-კითხ. № 2463). ლექსად სხვის თხზულებებაც კი აკთებენ, როგორც, მაგალითად, იაკობ შემოქმედელს გაუღლქსია ბაგრატ ბატონიშვილის პოლემიკური თხზულება მაჰმადიანთა წინააღმდეგ, ანტონ კათოლიკოზს იოანე სინელის კლემაქსი. ლექსად იწერება აგრეთვე ჰოლიანი ისტორიული შრომა, როგორცაა იოანე ტლაშაძის კათალიკოზ ბაქრიანი და ანტონ კათოლიკოზის წყობილისიტყვაობა.

1) ივერია 1899 წ. № № 12, 13.

2) პეროგორადის საჯარო წიგნთსახლი და წ.-კითხ. ნელნ. № № 155, 187.

3) A. Цагарели, Свѣдѣнія, III, стр. XL.

4) წ.-კითხ. № 101, გვ. 31—35.

5) წ.-კითხ. № 3723, გვ. 312—313.

ფორმისა და შინაარსის სიმდიდრესთან ერთად ამ პერიოდში ჩვენ ვამჩნევთ პოეტურ ასპარეზზე მუშაკთა წრის გაფართოებას და მათი რიცხვის გამრავლებას; ჩვენ ვხვდებით პოეტებს ყველა წრიდან და წოდებიდან, ამათგან შეგვიძლია დავასახელოთ აქ: თეიმურაზ I, არჩილ მეფე, იაკობ შემოქმედელი, იოსებ ტფილელი, მღვდელი ტლაშაძე, ვახტანგ VI, საბა-სულხან ორბელიანი, ნიკოლოზ ტფილელი, თეიმურაზ II, დავით გურამიშვილი, ანტონ კათოლიკოზი, იოანე ოსესძე, ბატონიშვილები იოანე, დავითი, მირიანი, ბაგრატი და სხვ. განსაკუთრებით ნაყოფიერება გამოუჩენია ანტონ კათოლიკოზს, რომელმაც, კლემქისისა და წყობილსიტყვაობის გარდა, დაწერა პროლოგი მაის-აგვისტოს თვეებისა, დაუროზ წინასიტყვაობა იამბიკოდ კირილე ალექსანდრიელის საუნჯის თარგმანს¹ და იოანე ოსესძეს დააწერინა ასეთივე წინასიტყვაობა საზღვარნი სარწმუნოებისანი-ს² თარგმანისათვის.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ ერთი თხზულება, რომელსაც სამოცეული ეწოდება და რომელიც მეთვრამეტე საუკუნის ორიგინალურ ნაწარმოებზე უნდა წარმოადგენდეს. ხასიათი და შინაარსი მისი გარკვეულია თვით სათაურში, სადაც ვკითხულობთ: გალობა უოვლადწმდისა ღმრთის შობებისა მამართ ქართულის ლექსის რგეულის გვარზედ თქუმული, რომლისაგა თვთუელი სტიხი ათხათხი ტაეპი არს და უოვლისავე თვთუელისა შთგანსა: ქვეს რვარვა რიფმა (ესრეთ არიან საშუალებით დაბოლოებით თანსწორის რიფებით გალექსილნი); კარგის კულოვნებით არიან შეწყობილნი და სინახუღას მუკლებს გვარზე ქმნილნი, რომელსა შინა შემოიტანებიან იგავნი ძუეღისა და ახლისა აღთქმისანი, აღამისითგან უფლისა ჩუენისა იესო ქრისტეს განკორციელებამდე. ვნებად, ჭუარცუმად, დაფლგად, აღდგომად და ამადლებამდე. ვინაა ავტორი მისი, არ ვიცით.

ასეთია მოკლე ისტორია ჩვენი სასულიერო პოზიისა, რომელიც შეიძლება ითქვას, მეთვრამეტე საუკუნეს აღარ გადმოსცილებია.

¹) სიძე. მუხ. № 3, გვ. 1-2.

²) სიძე. მუხ. № 226, გვ. 5-13.

საკუთარ სახელთა საძიებელი *

I. აღამიანთა სახელები.

აბაზას ძენი 217.
აბაშიძე შუხა 587
აბდულა-იბნ-შუყაფი 246.
აბელი: 472, 473.
აბენესი 552.
აბიათარი: 24, 25, 519, 576, 577.
აბიბოს ნეკრესელი: 154, 157, 368,
407, 581, 582, 583.
აბო: 43, 44, 126, 127, 128, 129,
130, 132, 162, 163, 368, 521,
564, 565, 639, 643, 645, 646,
648, 649.
აბრაამ კათოლიკოზი 512.
აბრაამ მამათმთავარი 356, 663.
აბრაჰაჰ მონაზონი 591.
აბუკურა თეოდორე იხ. თეოდორე
აბუკურა.
აბულყასიმი: 143, 144.
აბუსერიძე აბუსერ: 343, 344, 345,
346.
აბუსერიძე ვარდან: 343, 346, 347.
აბუსერიძე ტბელი 347, 348, 349.
აბუჰარბი: 103, 180.
აგათანგელე დამასკელის 133
აგათანგელოსი (სომეხთა ისტორი-
კოსი): 240, 241, 245, 570, 575.
აგარი 380.
აგვისტინე ნეტარი: 487, 528.
აღამი: 293, 357, 384, 463, 465,
470, 472, 477, 478, 490, 693.

ადარნასე კუროპალატი: 99, 152.
ადარნასე ხოსროიდი 250.
ავალიშვილი გიორგი: 67, 600.
აგაროზი: 192, 225, 481.
ავეტიქ ეპისკოპოზი: 386, 387, 390,
391.
ავიტაბლე პეტრე 75.
ათანასე ალექსანდრიელი: 60, 183,
193, 204, 227, 268, 269, 301,
450, 501, 502, 504, 505, 527,
601, 604.
ათანასე ივერიელი 104.
ათანასე კულიზმელი 133.
აკვილა: 99, 452, 459, 460.
ალექსანდრე ბატონიშვილი (არჩი-
ლის ძე): 359, 371.
ალექსანდრე მაკედონელი: 244,
246, 248, 316.
ალექსანდრე V (მეფე): 364, 374,
ალექსი დეკანოზი (მესხიშვილი)
66, 375, 382, 405, 406, 644.
ალექსი კომნენი: 111.
ალექსი მიხეილის ძე (რუს. მეფე):
363.
ალექსიშვილი იერონიმე: 321.
ალ-მელიქ-ან-ნასირ-მუჰამედ-იბნ-
კალაუნი: 590.
Alter Fr. 10, 455, 456.
ალფერდი: 391, 422, 423.
ალფონს ბოდამი 434.

* შედგენილია უნივერსიტეტში პროფესორობისათვის მოსამზადებლად დატოვებულის გ. ჯ. ა. კ. ბ. ი. ა. ს. მიერ. შენაშენებში მოხსენებული სახელები საძიებელში შეტანილი არაა. შავი ტოფრით აღნიშნულია ის გვერდები, სადაც ამოთვიმ სახედრს შესიხებ ვრცლად და ლაპარაკი.

ამბერკი იერაპოლელი: 657.
 ამბროსი პედიოლანელი: 254, 415, 516.
 ამბროსი ნეკრესელი: 393, 411, 417, 605.
 ამბროსი პოდობედოვი: 435, 439.
 ამილ ხვარი გივი: 396
 ამონა ამბა: 592.
 ამონა ოპიზელი: 96, 595
 ამონიოს ერმისი 313.
 ამონიოს საკი: 365, 381
 ამფლოქე იკონიელი: 279, 301.
 ანა დედოფალი: 238
 ანა კომნინა 110
 ანაკი 245
 ანანია 133
 ანასტასი ანტიოქელი 73, 516
 ანასტასი სინელი: 102, 200, 254, 279, 290, 294, 296, 297, 404, 553.
 ანასტასია წმ. 132
 ანატოლი პატრიარქი: 379
 ანატოლი სპასპეტი: 139
 ანდრეან მოგვი: 339, 477
 ანდრია კესარიელი: 184, 195, 503.
 ანდრია კრიტელი (იერუსალიმელი) 195, 203, 205, 206, 207, 230, 279, 287, 320, 360, 643, 648
 ანდრია მოციქული: 194, 195, 252, 275, 317, 319, 331, 354, 367, 373, 468, 470, 466, 553
 ანდრია ოპიზელი 96
 ანდრია სალოსი: 369, 470
 ანდრონიკაშვილი ისტო 39
 ანდრონიკე წმ. 96
 ანთიმოზ ივერიელი: 361, 362
 ანთიპატროს ბოსტრელი 528, 601
 ანტიოქე სტრატეგი: 544, 584
 ანტონი გენათელი: 618
 ანტონი დიდი, მეგვიპტელი: 148,

591, 592, 593, 595, 596
 ანტონ I კათოლიკოსი: 8, 9, 10, 22, 65, 67, 70, 71, 72, 73, 76, 77, 78, 79, 80, 87, 89, 185, 236, 252, 263, 304, 306, 307, 309, 310, 311, 312, 321, 347, 350, 356, 365, 368, 373, 374, 375, 381, 382, 384, 385, 386, 387, 388, 389, 392, 394, 395, 411, 414, 415, 417, 418, 420, 424, 425, 426, 427, 434, 506, 513, 516, 517, 522, 527, 531, 533, 536, 542, 546, 590, 592, 606, 612, 613, 623, 630, 641, 644, 645, 649, 650, 652, 662, 664.
 ანტონი კოვიდი: 391, 394
 ანტონი, ლიპარიტ ყოფილი: 222.
 ანტონ მარტყოფელი: 151, 343, 344, 345, 366, 368, 581.
 ანტონ მნათი 351
 ანტონ მროველი 141
 ანტონ საღირისძე 314, 351,
 ანტონ ტბელი: 99, 107, 256, 262, 271, 272
 ანტონ ჭყონდიდელი (ცაგერელი): 73, 88, 386, 387, 388, 389, 390, 391, 395, 418, 517, 606.
 ანტონ ჯარდინა: 75.
 აპოლინარი ლაოდიკიელი. 527.
 არესტი წმ 132
 არუანდ გუშნასპი: 558
 არიოზი: 379, 534
 არისტიდე: 551
 არისტოტელე: 86, 303, 313, 388, 389, 391, 410, 414
 არკადი კეისარი: 29, 139, 447
 არმეზი: 54, 380, 574.
 არმენოპულო: 362, 612.
 არსენ ბერი: 207, 241, 301, 314, 329, 331, 587, 616, 622, 642.

- არსენ ბულმაისიძე: 137, 301, 343,
407, 648, 658.
- რენი (გრ. ხანქოლას ძაწაფე):
94, 134.
- არენ I დიდი კათოლიკონი: 134,
284, 539, 541, 570, 574, 578, 621.
- არსენ II კათოლიკონი: 137, 153,
249, 292, 295, 296, 574, 578,
580, 582, 583.
- არსენ ვახესძე იყალთოელი: 56,
84, 85, 102, 186, 157, 252,
263, 270, 286, 287, 304, 311,
312, 314, 317, 350, 104, 512,
515, 518, 520, 521, 523, 527,
528, 529, 531, 533, 534, 539,
540, 541, 542, 584, 610, 657,
658, 662.
- არსენ კალიძოსელი: 197, 287, 292.
- არსენ ნინოწმინდელი: 185, 216,
296.
- არსენ პროშაილი: 592.
- არშაკ მეფე 139.
- არშუშა პიტიახში: 29, 30, 31, 82,
560.
- არჩილ მეფე (V ს.): 29, 30, 31.
- არჩილ მეფე წმ. (VII ს.): 238, 239,
240, 241, 243, 249, 250, 251, 368,
384, 580, 585, 586, 649.
- არჩილ მეფე (1647-1712): 78, 211,
358, 359, 361, 370, 371, 461,
465, 516, 546, 598, 662, 664.
- ასიმ 586.
- ასტერი წმ. 133.
- ასტერია ამასიელი: 268, 504, 605
- აშოტ კუროპალატი: 96, 97, 135,
152, 574, 578.
- აშოტ ბაგრატიდი (სომეხთა მე-
ფე) 514
- აშოტ კუხი: 98, 140, 143, 144,
170.
- ასპაზი (გრ. ბაკურიანის ძმა): 110,
111.
- ალა-მაჰმად-ხანი: 89.
- ალბულა: 362, 615.
- ბაგრატი II: 525.
- ბაგრატ III აშოტის ძე: 97, 100,
149, 175, 180, 213, 249, 453,
566.
- ბაგრატ IV: 109, 215, 216, 217,
219, 220, 244, 257, 258, 280,
525, 541.
- ბაგრატ ბატონიშვილი: 7, 9, 51,
176, 177, 356, 427, 437, 523,
525, 664.
- ბაგრატ ტავრომენიელი წმ.: 153,
205, 485.
- ბაკური: 29, 30, 82.
- ბალაქვარი: 551.
- ბარდა სკლიაროსი: 99, 103, 104,
260, 451.
- ბართლომე კათოლიკონი: 284.
- ბართლომე მოციქული: 275.
- ბასილი ათონელი: 237.
- ბასილი ასიკრიტი: 206, 253, 254.
- ბასილი გრამატიკოსი: 278.
- ბასილ დიდი (კესარიელი): 180, 196,
198, 203, 204, 208, 225, 228,
228, 231, 256, 264, 268, 270,
272, 279, 280, 301, 326, 390,
344, 417, 420, 430, 433, 491,
501, 502, 503, 504, 506, 516,
597, 600, 601, 604, 628, 629,
630, 655.
- ბასილ ზარზმელი: 142, 143, 145,
569, 579, 586.
- ბასილ კათოლიკონი: 157, 268, 328.
- ბასილ იმპერატორი: 88, 93, 104,
213, 219, 260.
- ბასილ სელევკიელი: 605.
- ბასილ სინელი: 35, 160.
- ბაუმეისტერი: 88, 410, 411, 418.

ბაქარ (მირიანის-ძე): 242.
 ბაქარ ბატონიშვილი: 358, 360,
 363, 371, 452, 461, 645.
 ბაქოზი წმ. 133.
 ბაქრაძე დიმ. 23, 99, 183, 250,
 413, 433, 444, 466, 469, 618.
 ბაჩილა: 347, 349.
 ბელარმინო (კარდინალი): 76.
 ბენედიქტე წმ.: 60.
 ბენეშევიჩი ვლ.: 300, 606, 609.
 ბერნარდე ნეაპოლელი: 76.
 ბესარიონ ეპისკოპოზი: 420.
 ბესარიონ კათოლიკოზი: 77, 373,
 405, 531, 590, 606, 623, 649.
 ბესარიონ რუსიველი: 364.
 ბეჟა: 362, 615.
 ბილოს წმ: 133.
 ბიქტორი წმ: 133.
 ბიძინა: 368, 648.
 ბონეფი პროფ.: 509.
 ბორენა: 110.
 ბოტანიკტი ნიკიფორე: 111
 ბროსე მარი: 11, 30, 100, 250, 306,
 333, 348, 456.
 ბუბაქარი: 157.
 ბუღდა: 187, 551
 ბუღდა თურქი: 546.
 გაბაშვილი ზაქარია: 8, 176, 259,
 397, 401, 402, 419, 421.
 გაბრიელ ვახვახის-ძე დოდორკელი:
 648.
 გაბრიელ კათოლიკოზი: 33.
 გაბრიელ მცირე 236, 427, 598.
 გაბრიელ მღვდელი (ფერემ მცირის
 მოძღვარი): 107, 263, 270.
 გაბრიელ სინელი: 160.
 გაბრიელ ხუცესი (ან ჯონ კათოლი-
 კოზის მთარგმნელი): 79, 400,
 401.
 გაბრიელ გვარის დეკანოზი 411.
 გამალიელ მიტროპოლიტი: 411.

გალანო კლიმენტი: 75.
 გაიმი: 574.
 გაიოზ რექტორი: 71, 78, 87, 89,
 411, 412, 413, 428, 446, 516,
 606.
 გაცი: 574.
 გელასი ივერიელი: 104.
 გელასი კესარიელი: 569, 575.
 გელასი პაპი: 299, 469, 470.
 გერასიმე წმ. 148.
 გერასიმე მღვდელმონაზონი: 386,
 606.
 გერმანე პატრიარქი 137, 279, 281,
 429.
 გვარამ ბაგრატიდი: 663.
 გიორგი (წმ.): 41, 101, 102, 111,
 169, 170, 232, 287, 347, 384,
 385, 468, 470, 471, 553, 575,
 625, 663.
 გიორგი I (1014 1027): 168, 213,
 258, 260.
 გიორგი II: 111, 253, 324.
 გიორგი III: 314.
 გიორგი XI: 358, 435, 438.
 გიორგი XII: 82.
 გიორგი ალექსანდრიელი 567.
 გიორგი ამაროლი: 292, 545.
 გიორგი ამასტრიდელი: 247.
 გიორგი ბერი: 178.
 გიორგი ბოწყინვალე 362, 615
 გიორგი დეკ ნოზი: 66.
 გიორგი ვარაზეაჩე: 105.
 გიორგი იწელი 95.
 გიორგი ლაშა: 334, 342.
 გიორგი მაწყევრელი: 96, 142, 143,
 147, 148, 153.
 გიორგი მერჩული: 20, 44, 141,
 142, 143, 147, 148, 557, 569,
 580, 620.
 გიორგი მთაწმიდელი (ათონელი):
 7, 8, 14, 44, 46, 48, 53, 54,

- 55, 60, 61, 84, 103, 106, 107,
109, 160, 180, 195, 187, 189.
191, 197; 207, 208, 212, 237,
238, 252, 253, 257, 258, 259,
260, 261, 262, 264, 265, 266,
267, 268, 275, 301, 319, 320,
331, 368, 382, 444, 445, 446,
450, 451, 453, 455, 458, 471,
480, 481, 503, 515, 531, 544,
545, 549, 555, 580, 587, 588,
598, 604, 617, 618, 630, 632,
641, 642, 643, 644, 649, 650,
651, 654.
- გიორგი მწერალი: 212, 213, 214.
გიორგი ნიკომიდიელი: 279, 605.
გიორგი ოლთისარი: 238, 350.
გიორგი ოპიზის მამასახლისი: 96.
გიორგი ოშკელი: 99.
გიორგი სინელი: 95.
გიორგი შიყენებული: 107, 192, 211,
212, 214, 215, 257, 258, 553,
612, 628.
გიორგი ჩორჩანელი: 103, 142, 146,
148.
გიორგი ქუონდიდელი: 290, 352,
466, 470.
გიორგი ხუცესმონაზონი: 7, 53,
107, 207, 208, 212, 257, 580.
Göar: 209.
გობრონი: 99, 143, 144, 346, 366,
579, 608.
გორგაძე სერგო: 27, 122, 123.
გოშიკ ვანაკნელი: 404.
გრიგოლ II, აფხაზეთის კათოლი-
კოზი: 365, 366, 367.
გროგოლ აკრაკანტელი: 148, 179,
269.
გრიგოლ ანტოქელი: 602.
გრიგოლ ბაკერაიანი: 84, 110, 111,
302, 624.
გრიგოლ ბალინანთი: 77, 155.
- გრიგოლ დეკანოზი: 66.
გრიგოლ დიაკონი: 125.
გრიგოლ დიდი პაპი: 59, 125, 202,
206, 349, 513, 527.
გრიგოლ კათოლიკოზი: 396
გრიგოლ მოწამე: 558.
გრიგოლ ნარეკელი: 391.
გრიგოლ ნოეკესარიელი: 103, 515,
გრიგოლ ნოსელი 179, 185, 193,
197, 201, 204, 206, 226, 232,
269, 502, 503, 506, 515, 537,
601, 605.
გრიგოლ ოშკელი: 49, 166, 276,
526
გრიგოლ პართელი: 41, 136, 137,
407, 492, 535, 570, 579.
გრიგოლ საკერებელთა ოქმი: 227,
264, 269, 504, 600.
გრიგოლ ტათეველი: 409.
გრიგოლ ღვთისმეტყველი (ანძიან-
ძორელი ან ნაზიანზელი): 49,
153, 166, 167, 179, 189, 190,
198, 199, 201, 203, 204, 246,
269, 276, 277, 278, 279, 280,
281, 282, 283, 295, 301, 330,
351, 420, 426, 430, 433, 491,
492, 503, 504, 508, 515, 526,
595, 599, 600, 601, 604, 634,
655, 656, 657, 658, 659, 662.
გრიგოლ ხანძთელი: 44, 83, 94, 95,
96, 97, 98, 100, 133, 135, 141,
142, 146, 147, 148, 149, 150,
151, 152, 153, 175, 460, 508,
513, 548, 557, 568, 569, 580,
603, 620, 624, 644, 646.
გუარამი 96, 135, 151.
გურგენ მეფე: 260.
გურია (წმ.) 132, 291.
დადიანი დავით: 546
დადიანი ქკია: 391, 418, 419.
დადიანი ოტია: 418.
დავით და კონსტანტინე (არგვე-

თელნი): 484, 585, 586.
 დავით და ტირიჭანი 563, 584, 585.
 დავით აღმაშენებელი: 8, 85, 101, 114, 137, 207, 239, 285, 288, 289, 290, 296, 303, 312, 314, 316, 317, 320, 321, 323, 329, 332, 334, 335, 337, 338, 341, 342, 348, 368, 541, 616, 622, 648, 657.
 დავით ბაგრატიონი: 663.
 დავით ბატონიშვილი: 417, 435, 436, 664.
 დავით გარეჯელი: 154, 157, 158, 368, 580, 581.
 დავით გურამიშვილი: 663, 664.
 დავით იმამყულიხანი: 364, 365, 367, 662.
 დავით კუროპალატი: 100, 103, 104, 180, 184, 204, 260.
 დავით, მეფე ურიათა: 140, 449, 499, 524.
 დავით მიძნაძორელი: 98.
 დავით ნიკიტა პაფლაღონელი: (იხ. ნიკიტა პაფლაღონელი)
 დავით პეტრიწონელი: 305.
 დავით რექტორი 66, 89, 306, 382, 411, 435.
 დავით სოსლანი: 334, 356, 337.
 დავით ტბელი: 52, 99, 167, 176, 276, 331, 341, 555, 604.
 დავით ჩოლაყაშვილი: 663.
 დავით ულუ: 334.
 დავით უძლეველი ფილოსოფოსი 72, 390, 391, 394.
 დავითაშვილი გიორგი 398.
 დათუნა ქვარიაანი: 663.
 დათუნა ბერი 95.
 დამიანე წმ. 93.
 დანიელ წმ. ნასწარმეტყველი: 469, 477.
 დარი 49, 140, 143, 500.

დელაველი პეტრე 75.
 დიმიტრი 88.
 დიმიტრი ბაგრატიონი: 134, 520, 532.
 დიმიტრი მეფე: 220, 309, 314, 315, 317, 321, 556, 658.
 დიმიტრი როსტოველი: 78.
 დიოდორე 417.
 დიოდოხოს ფოტიკელი: 597.
 დიოდოხოსი პროკლე (იხ. პროკლე).
 დიოკლიტიანე: 132, 232, 468.
 დიონისი ალექსანდრიელი: 269.
 დიონისი არეოპაგელი: 9, 193, 272, 281, 430, 439, 490, 505.
 დოდო 648.
 დომენტი წმ. 132.
 დომენტი კათოლიკოზი: 359, 360, 361, 362, 364, 396.
 დოროთე ამბა: 202.
 დოროთეოზ ტვირელი: 60, 232, 543, 544.
 დოსითეოზ ნეკრესელი: 72, 87, 88, 386, 387, 388, 391, 392, 417, 418, 427, 428, 436, 471, 662.
 დოსითეოზ ფიცხელაური: 439.
 დუმბაძე იაკობ (შემოქმედელი): 8, 177, 358, 523, 664.
 ებიტაშვილი გიორგი: 643.
 ეგნატე მარტყოფელი: 72.
 ეგნატე ლმერთშემოსილი, ანტიოქელი 133, 228, 515.
 ევა 357, 472, 490.
 ევაგრე ეპისკოპოსი (ტავრომენიელი): 194, 485.
 ევაგრე წმიო მღვიმელის მოწაფე: 155, 156.
 ევაგრე სხოლასტიკოსი (ისტორიკოსი): 275.
 ევგენი წმ.: 132.
 ევგენია წმ.: 133, 291.

მკვინოს სხოლარი: 376.
 ევდემონ I ჰეტიძე: 115, 618.
 ევთალი ალექსანდრიელი: 448.
 ევთიმე დიდი: 148, 169, 175.
 ევლოგი: 596.
 ევნომიოს: 180.
 ევსევი პამფილი (კესარიელი): 178, 247, 467, 469, 470, 482, 506, 510, 511.
 ევსევი ჟამთააღწერელი: 600.
 ევსტრათი ნიკიელი: 300, 531.
 ევსტრატი წმ.: 132.
 ევსუქი იერუსალიმელი: 268, 270, 502, 504, 601.
 ევქუსანი წმ.: 132.
 ეზეკიელ წინასწარმეტყველი: 262, 504.
 ეზრა მთაწმიდელი 237, 639, 647, 648.
 ეზრა მღვდელმონაზონი: 95, 175.
 ეზრა წინასწარმეტყველი: 496.
 ეკატერინე (წმ): 51.
 ეკატერინე დიდი (იმპერ.) 79, 412, ელეხე 162.
 ელენე ათაბაგის ქალი: 76.
 ელენე დიდოჟალი: 482, 491, 544.
 ელიზბარი (წმ) 366, 648.
 ენოს ლაზელი: 504.
 ენუქი: 470.
 ეპიფანე მონაზონი: 195, 486.
 ერაკლე იმპერატორი (ჰერაკლე). 40, 44, 137, 139, 250, 356, 529, 563, 573, 574.
 ეპიფანე კვიპრელი: 49, 140, 141, 143, 254, 255, 341, 450, 482, 49, 500, 501, 544, 601.
 ერისთავი რაფიელ: 408.
 ესტატე ანტოქელი: 317, 319, 329.
 ესტატე (გვირობანდაკი): 358, 359, 560.

ესტატე მცხოვრელი: 32, 346, 368, 384, 498, 553, 649.
 ეფრემ ასური: 49, 153, 202, 271, 474, 503, 592, 600.
 ეფრემ დიდი ოშკელი: 107, 135, 186, 262.
 ეფრემ მკირე: 8, 49, 53, 54--9, 84, 99, 107--8, 166--7, 177--9, 186--9, 196, 200, 206, 223, 228, 230, 235, 252, 256, 259, 288--9, 291, 297--8, 318, 329, 331, 350, 428, 443, 448, 458, 502, 504, 508, 515, 526, 545, 549, 553--4, 555, 597, 597--9, 600, 604, 655--7, 659.
 ეფრემ ფსევდო (იხ. ფსევდო ეფრემი).
 ექვთიმე ათონელი (მთაწმიდელი): 6, 7, 8, 14, 43, 54, 55, 60, 93, 103, 104, 108, 109, 167, 173, 178, 181, 182, 212, 216, 220, 221, 222, 223, 224, 225, 225, 230, 233, 234, 235, 237, 253, 254, 255, 259, 265, 268, 270, 276, 277, 296, 318, 320, 330, 331, 353, 354, 368, 384, 429, 468, 450, 453, 464, 470, 471, 472, 479, 481, 483, 486, 487, 488, 189, 494, 495, 503--4, 509--15, 526, 529, 530, 538, 549, 552, 3, 555, 587, 585, 592, 594, 596, 604, 608, 609, 612, 620, 624, 626, 627, 631, 641--2, 644, 648, 654, 656.
 ექვთიმე გრძელი: 535, 536, 539, 540.
 ექვთიმე I საყვარელიძე: 11, 118, 305.
 ელიშე ვარდაპეტი: 139.
 ვ. რაზ. ბაკური: 30, 353, 355.

ვარაზეაჩე (იხ. იოანე ათონელი).
 ვარლაამი: 107, 551.
 ვარლამ შიტროპოლიტი (ერისთავი): 411, 440, 606.
 ვასილისკო კვისარი: 362, 612.
 ვახტანგ V: 358.
 ვახტანგ VI: 68, 78, 920, 954, 360, 861, 364, 365, 367, 368, 371, 376, 395, 398, 461, 612, 630, 648, 662, 664.
 ვახტანგ გორგასლანი: 31, 119, 243, 244, 247, 248, 249, 319, 443, 474, 584, 595.
 ვახტანგ დიმიტრის ძე (მეფე): 356
 ვასკენ ჰიტიახში: 31, 119, 120, 121, 123, 444, 547.
 ვახუშტი: 99, 250, 358, 360, 363, 461.
 ვეჟან ბუზშილი: 558.
 ვერიჩელი: 75.
 ზაბულონი: 59, 571
 ზადენი: 574.
 ზაქარია დიაკონი (გაიოზ რექტორის აღმზღელი): 414.
 ზაქარია, დოდოს წინამძღვალი: 360.
 ზაქარია ეპისკოპოზი: 98.
 ზაქარია კათოლიკოზი: 137.
 ზაქარია მირდატის ძე: 185, 349
 ზაქარია სკორდეილოსი: 426.
 ზაქარია ქართველი: 353, 354, 355, ზენონი (მღვდელი): 152, 596.
 ზოსიმე წმ. 20?
 ზოსიმე ათონელი: 220, 237, 238, 648.
 ზოსიმე იოანე (იხ. იოანე ზოსიმე).
 თალალეოს წმ. 132, 133.
 თალასე მონაზონი: 697.
 თამაზაშვილი ტარიელი: 397.
 თამარ მეფე: 101, 102, 137, 314, 329, 324, 325, 328, 331, 332, 333, 334, 335, 336, 337, 338,

342, 541, 606, 622.
 თამარაშვილი მიხ. 77.
 თათა 155.
 თატიმოს წმ. 132, 133.
 თაყაიშვილი ექვთიმე: 12, 103, 143, 240, 314, 493, 546, 657.
 თედორე: (გიორგი მთაწმიდელის ძმა) 212.
 თედორე პალაერელი: 94.
 თედორე ხუცესი საბაწმიდელი 465.
 თედოსი ურია 180.
 თეიმურაზ I 358, 662, 663, 664.
 თეიმურაზ II 362, 395, 398, 401, 434, 662, 664.
 თეიმურაზ ბატონიშვილი: 70, 188, 198, 298, 411, 413, 437, 440, 525.
 თეკლე პირველმოწამე: 488.
 თეკლა: (გიორგი მთაწმიდელის და). 212.
 თემურლენგი 523
 თეოდორა დედოფალი: 216, 219, 566, 567.
 თეოდორე (გრიგოლ ხანძთელის ნოწაფე) 134, 135, 149.
 თეოდორე აბუკურა: 187, 295, 298, 514, 515, 520, 521, 527, 570, 595.
 თეოდორე სალოსი (სერბიელი) 556.
 თეოდორე აღმსარებელი 220.
 თეოდორე პატრიარქი: 107.
 თეოდორე სტოდიელი: 231, 279, 321, 420, 633, 642.
 თეორე ფილისოფოსი: 515, 527.
 თეოდორე ქართველი: 351.
 თეოდორე ჯუღდელელი: 85.
 თეოდორიტე კვირელი: 186, 247, 255, 272, 273, 275, 276, 329, 420, 506, 515.
 თეოდოსი (პალესტინელი): 91.
 თეოდოსი დიდი 379, 395 მეფე:

148. 169. 273, 293, 356.
 თეოდოსი მცირე. წიგნები: 29, 30, 71.
 139, 358.
 თეოდოტიანე 159.
 თეონ წმ. 133.
 თეოფანე კესარია-კაპადოკიელი: 203.
 თეოფანე პროკოპოვიჩი: 532.
 თეოფანე ხუცესი: 183.
 თეოფილაქტე ბულარელი: 324.
 146, 505.
 თეოფილაქტე პატრიარქი: 11, 273.
 თეოფილე ტარსელი: 107.
 თეოფილე ხუცესმონაზონი: 33;
 252, 263, 286, 288, 312, 341,
 315, 355, 387, 394, 396, 601.
 თომა აქვინელი: 422.
 თომა იერუსალიმელი: 340.
 თომა კემეელი: 77.
 თომა მოციქული 486.
 თორნიკე (იოანე ათონელის შვილი)
 180, 367.
 თორნიკე ერისთავი: 103, 104, 173,
 180, 190, 451.
 თრდატ მეფე 239, 245.
 თუხარელი საბა სულაისძე (იხილ.
 საბა).
 თაბენესი 31.
 თაკობი (გიორგი მთაწმიდელის შამა)
 212, 213, 214.
 თაკობ ათონელი: 238.
 თაკობ მოციქული 253, 79, 457,
 626, 629, 630.
 თაკობ შემოქმედელი (იხ. დუმბაძე
 თაკობ).
 თაკობ ხუცესი: 31, 119, 443, 556,
 576, 577, 578.
 თამაშე (მეფე სპარსთა) 552.
 თან-კესირი 588.
 თეზდიგერდ II: 31, 139.
 თეზტიელი: 310, 658.

თერემია პატრიარქი (1525 - 1540)
 425.
 თერემია სობები 92.
 თერემია წინასწარმეტყველი 446.
 169
 თეონინე: 269, 312.
 თესე მეფე 371, 395, 484.
 თეასე ჯაგინანთი 77.
 თელინე 354.
 თელიანე განდგომილი 185, 636.
 თელიანე პალიკარნასელი 139.
 თლარიონ თუალელი: 213, 214.
 თლარიონ იმენელი: 98, 191.
 თლარიონ კათოლიკოზი 96.
 თლარიონ პალესტინელი 139.
 თლარიონ პარტეელი 142, 146, 153.
 თლარიონ ქართველი 9, 11, 59, 83,
 84, 93, 202, 206, 237, 253,
 254, 368, 580, 587, 623, 648.
 თლბა ბატონიშვილი: 437.
 თნანაშვილი დავით 346.
 თნგოროყვა პავლე 171, 176, 637.
 თოაკიმე მთაწმიდელი 556.
 თოაკიმე ნიკორწმიდელი: 618.
 თოანე (თეოდორე ბანძაელის ძმა):
 142.
 თოანე სერაპიონ ბარბელის ძმა:
 145.
 თოანე ათონელი: 6, 7, 60, 93,
 103, 104, 173, 182, 183, 184 - 3,
 190 - 1; 195, 196, 207, 233 - 4,
 297, 366, 466 - 7, 470, 512,
 567, 648.
 თოანე ალექსანდრიელი: 45.
 თოანე ანჩელი: 314, 331, 648.
 თოანე ბანელი: 261.
 თოანე ბატონიშვილი: 39, 438, 440,
 664.
 თოანე ბერაი: 97, 100, 173.
 თოანე ბერი: 551, 622.

იოანე ბოლნელი: 180, 359, 605.
 იოანე გომელიძე: 185, 216.
 იოანე გუთელი: 319.
 იოანე დამასკელი: 72, 107, 185
 199, 200 1, 204, 209, 227 232,
 262, 265, 270, 273, 279, 280,
 291, 294, 297, 379, 404, 421,
 514, 515, 527, 529, 530, 531,
 559, 601, 605, 635, 640, 641,
 650.
 იოანე ექიმი: 455.
 იოანე ზედაზნელი: 153, 154, 155,
 156, 157, 242, 249, 368, 384,
 563, 580, 581, 582, 583, 648
 იოანე—ზოსიმე: 44, 45, 95, 158,
 169, 197, 202, 206, 250, 306,
 311, 352—3, 407, 420, 489,
 496, 592, 626, 654, 658, 664.
 იოანე თესლონიკელი: 276
 იოანე—თორნიკე (იხ. თორნიკე)
 იოანე იტალი: 56, 302.
 იოანე კათოლიკოზი (სომხ): 140.
 იოანე კათოლიკოზი ფილოსოფოსი:
 37, 220, 284, 320, 329, 541.
 იოანე კალატოზისშვილი: 435.
 იოანე კალოუბნელი: 59.
 იოანე-ვერიკე: 274, 277.
 იოანე კუნძურდიელი: 95.
 იოანე მალაღა: 545.
 იოანე მახარებელი (ღვთისმეტყვე-
 ლი): 7, 45, 104, 106, 194—6,
 324, 349, 444, 447—8, 470,
 453, 454, 508.
 იოანე მთავარაბისძე 107 262.
 იოანე მთავარეპისკოპოზი: 576.
 იოანე შიშხია: 16, 165, 647.
 იოანე მოსხა: 99, 430, 592.
 იოანე მტკეპარი: 47, 170, 647.
 იოანე ნათლისმცემელი: 96, 99,
 100, 111, 349, 648
 იოანე ნიკიელი: (იხ. ისააკ კითო-

ლიკოზი)

იოანე ნომოფილაქსი: 102, 257.
 იოანე ოროტნელი 404.
 იოანე ოსეს ძე 390, 411, 424, 425,
 426, 493, 664.
 იოანე ოშკელი: 99
 იოანე ოქროპირი: 7, 25, 26, 44,
 94, 99, 181—2, 187, 189, 195,
 197, 203, 231, 236, 255—6,
 267, 268, 273, 279, 280, 281,
 345, 349, 420, 431, 503—6, 428,
 529, 537—8, 567, 595, 596,
 597, 600, 601, 604, 610, 628,
 630, 658.
 იოანე ოძელი: 104.
 იოანე პაპუწიშვილი ქსიფილინო-
 სი: 424, 427, 493, 612.
 იოანე პატრიკოვილი: 350.
 იოანე პეტრიწი: 9, 56, 73, 84, 85,
 102, 113, 116, 252, 259, 260,
 263, 290, 301, 311, 313, 323,
 324, 343, 350, 377, 390, 407,
 408—9, 496, 506, 555—6, 592,
 648, 658
 იოანე რატეული: 186, 297.
 იოანე საბანისძე 43, 44, 126, 162,
 565, 645, 646.
 იოანე საფარელი: 94
 იოანე „საღმართო ფილოსოფოსი“:
 56.
 იოანე სინელი, იხ. იოანე-ზოსიმე
 იოანე ტარიქისძე: 56, 252, 263,
 285, 312, 389.
 იოანე ურჩაველ კათოლიკოზი: 564.
 იოანე ფარნაკელი: 107, 108, 263.
 იოანე ქონკოზისძე: 47, 175, 647.
 იოანე ქსიფილინოსი 57, 70, 71,
 116, 549, 550, 555—6, 604.
 იოანე შავთელი: 332, 348, 648,
 658
 იოანე ჩირაქი: 99, 567.

იოანე კიმჭიმელი: 56, 322, 446,
454, 505, 606.
იოანე კონდიდელი: 267.
იოანე ხასულელი (ოქროპირა): 100,
180, 181, 185.
იოანე ხუცესმონაზონი 77.
იობი პიტარეთელი: 366, 606.
იოდასაფი: 551.
იოვანე ჩუბინისძე: 128.
იონა გედევანიშვილი (მიტროპო-
ლიტი): 10, 67, 411, 416.
იონა ხელაშვილი: 9, 106, 434,
507, 516, 606.
იოსებ ალფერდელი: 154, 561, 648.
იოსებ არიმათიელი: 225, 480.
იოსებ მართალი: 482.
იოსებ საქმებელი: 78, 613.
იოსებ სინელი: 95.
იოსებ ტფილელი: 87, 663, 664.
იოსებ ფლაბიოსი: 116, 305, 545,
546.
იოსებ ხუცესი: 525.
იპოლიტე: 269, 499, 508, 509, 510.
იპოლიტე რომაელი: 543.
ირაკლი I: 70, 355, 395.
ირაკლი II: 69, 70, 87, 88, 259,
362, 387, 388, 392, 394, 397,
400, 407, 411, 412, 415, 419,
421, 424, 425, 434, 516, 613.
ირაკლი ბატონიშვილი: 437.
ირბახი ნიკიფორე: 75.
ირინეოსი: 506.
ირონ წმ. 133.
ირონ ფილოსოფოსი: 278.
ისააკ (ძე სოკოონ პალესტინელი-
სა): 552.
ისააკ ასურელი (განმორებული): 98,
203.
ისააკ კათოლიკოსი: 539, 540.
ისააკ შუამდინარელი: 186.
ი სია შინასწარმეტყველი: 376, 377.

ისაია ხუცესი: 203.
ივ წილქელი: 154, 155, 368, 374,
581, 582, 583.
ისმაილი: 390.
ისო ზორაქი: 356, 163.
იფდა: 255, 292.
იულონ ბატონიშვილი: 435.
იუნტიან გრძნეული: 339, 475, 476,
477.
იუსტინიანე დიდი: 91, 354, 189,
510, 538, 611.
ივალთოელი არსენ ვაჩესქი (იხ.
არსენ ვაჩესქე).
კაენი: 472, 173, 495.
კაკაბაძე სერ. 25, 239, 316, 334,
343, 571.
კალიპოსელი არსენ (იხ. არსენ).
კალისტენი ფსევდო (იხ. ფსევდო-
კალისტენი).
კალისტე: 105.
კარბელაშვილი პ.: 127, 330, 653.
კარგარეთელი სეიმონ: 611.
კარიკაშვილი დ.: 12, 305.
კარიკისძე ვაჩე: 54, 261, 283.
კასიანე რომაელი: 203, 272.
კემფელი თომა (იხ. თომა).
კვიპრიანე სამე აფნელი: 71, 359,
361, 370, 632.
კვირიკე: 168, 555.
კვირიკე ალექსანდრიელი: 107.
კვირიკე ბერი: 262, 265.
კვირიკე სოხასტერელი: 95.
კვიროსი წმ. 133.
კვიროსი (მიტროპოლიტი ფაზი-
სისა) 529.
კინიგი: 102.
კირილე ალექსანდრიელი: 73, 100,
152, 254, 262, 268, 298, 390,
404, 405, 420, 504, 506, 508,
513, 515, 601, 664.
კირილე იერუსალიმელი: 462, 544.

575, 578. 601.

კირილე სკვიტოპოლედი: 272.
 კირიონ კაპოლიკოზი: 34, 59, 32,
 124, 125, 139, 512, 513, 527,
 541, 607, 631.
 კლავდიოს: 132.
 კლემენტი, რომის პაპი: 194.
 კოზმა: 93.
 კოზმან ბერი: 329.
 კოვიდი: 33, 512.
 კონსტანტინე დიდი: 242, 247, 274,
 482, 511, 544, 575, 576.
 კონსტანტინე დუკიწი: 217.
 კონსტანტინე --- კახაი: 568, 567.
 კონსტანტინე კეისარი: 105.
 კონსტანტინე მონომაქი: 57, 84,
 102, 216, 219, 221, 287, 296,
 302.
 კონსტანტინე პალეოლოგი: 355.
 კურდანი: 175, 635.
 ლაზარე (მართალი): 162.
 ლაზარე პარველი: 135.
 ლაზარე ქუკელი (კაპოლიკოზი):
 72, 73, 404.
 ლამპერტი: 75.
 ლანგლუა ვ.: 11.
 ლარაძე პეტრე: 436, 563.
 ლათონტენი: 372.
 ლალაზანიშვილი ზაქარია: 80.
 ლევან მეფე: 645.
 ლეონ ბატონიშვილი: 415.
 ლეონ კეისარი (ფილოსოფოსი): 578,
 579.
 ლეონ იხაყრი: 552.
 ლეონ პაპი: 299, 404, 512, 516.
 ლეონტი მროველი: 24, 25, 238,
 318, 319, 320, 326, 329, 474,
 475, 576, 477, 478, 492, 585.
 ლეონტიოს: 132, 133.
 ლიკინიოს: 132.
 ლიუდოვიკო XIV: 371.

ლუარსაბი: 368, 384, 407, 590,
 649.

ლუკა იერუსალიმელი: 543, 587.
 ლუკა მახარებელი: 7, 181, 324,
 444, 472.
 ლუკიანე ანტიოქელი: 459.
 ლუკიანე პარებელი: 157.
 მადინაშვილი ზაქარია: 72, 89.
 მაგრიკი: 173, 139.
 მათე ბლასტარი: 362, 426, 612.
 მათე ურპაელი: 259,
 მაკარი: 148, 555, 596.
 მაკარა (გრ. ხანძთელის მოწაფე):
 94, 134, 548, 603.
 მაკარი ანტიოქელი: 633.
 მაკარი მეგვიტელი: 202, 284, 594.
 მაკარი მღვდელი: 363.
 მაკარი ოპიზელი: 96.
 მაკარი სინელი: 95.
 მათე მახარებელი: 7, 181, 187,
 195, 196, 444, 457, 468, 470,
 553.
 მალაქია კათოლიკოზი: 76, 613.
 მამიკონიანი ვარდან: 119, 404.
 მამულაშვილი: 75.
 მანიბოს: 132.
 მანსურო: 126.
 მანუილ ქსანთინოსი: 425, 426,
 612.
 მარდარი (წმ): 132.
 მარკიანე კეისარი: 139, 359.
 მარკოზ აერელიოზი: 416.
 მარკოზ განზორებული: 203, 592.
 მარკოზ მახარებელი: 7, 324, 444,
 487.
 მართა: 12, 162.
 მართა (ბაგრატი IV ასული): 216,
 219, 220.
 მართა (სვიმეონ მესვეტის დედა):
 90, 91.
 მართა დედოფალი: 110.

მარიაში: 42, 162.
 მარიაში (ზაგრატი IV დედა): 109,
 216, 219.
 მარიაში (გიორგი მთაწმიდელის
 დედა): 212.
 მარიაში (ოანე ათონელის დედა):
 103.
 მარიამ ღვდოფალი: 236, 243, 252,
 436, 475.
 მარიამ ქალწული: 480
 მარინა: 132.
 მარრი ნიკო: 5, 15, 24, 51, 60,
 110, 122, 149, 165, 169,
 170, 176, 177, 189, 225, 230,
 305, 332, 334, 335, 337,
 338-9, 355, 457, 469, 472,
 479, 480, 482, 485, 501-2,
 509, 552, 574, 595, 596, 652,
 653.
 მარტვირი ანტიოქელი: 301.
 მარტვირი საბაწმიდელი: 591.
 მაქსენტოსი: 544
 მაქსიმე: 529.
 მაქსიმე აღმსარებელი: 193, 194,
 198, 199, 201, 203, 206, 281,
 330, 433, 494, 503, 506, 515,
 516, 529, 585.
 მაქსიმოიანე იპვერატორი: 511.
 მაქსიმოილიანოს: 132.
 მაშტოცი: 404.
 მაკავარიანი ღვრვასი: 411.
 მაჯიო მარი: 75.
 მაჭღი: 126.
 მაჰმადი: 8, 356, 358, 380, 521,
 524.
 მეგისტე კეთილმსახური: 529.
 მეთოდი ამტრაბანელი: 87.
 მეთოდი ოლინველი ან პატრელი
 248, 301, 605.
 მელიტე: 33.
 მილაჩისელო: 197, 198.

მელქისედეკ კათოლიკონი: 6, 470,
 609, 653.
 მენა წმ: 132.
 მერჩული გიორგი (იხ. გიორგი)
 მესროპი: 29, 29, 30, 31, 82.
 მესხიშვილი გიორგი: 382.
 მესხიშვილი გრიგოლ: 382.
 მესხიშვილი იერონიმე: 389.
 მესხიშვილი სოლომონ: 382.
 მეფისაშვილი 75.
 მეტიტარ გოში: 382, 612
 მთვარელიშვილი ნ: 413.
 მინჩხი ოანე (იხ. იოანე)
 მირზა ალი ისპანელი: 396
 მირი: 251.
 მირიან მეფე: 24, 125, 175, 241,
 242, 245, 474, 541, 572, 573,
 576.
 მირიან ბატონიშვილი: 663, 664.
 მირიანი (არსენ კათოლიკონის ნა-
 მა): 134, 135.
 მისაელი: 133.
 მიტროფანე სვიანელი 289, 324
 454, 505
 მიქაელ (ავტორი იოანე დამასკე-
 ლის ცხოვრებისა) 107.
 მიქაელ ბერი 262.
 მიქაელ გურგენისძე: 220.
 მიქაელ ზედაზნელი: 154, 583.
 მიქაელ ოშკელი 99.
 მიქაელ დაღალისონელი 189.
 მიქაელ კათოლიკონი 323.
 მიქაელ კლარჯეთელი: 567, 568.
 მიქელ მიწაძორელი 100.
 მიქელ მოღრეკილი 46, 99, 153,
 168, 169, 171, 172, 175, 177,
 178, 180, 573, 638, 640, 644,
 647, 651, 652, 653, 654.
 მიქელ პარეხელი 96, 145, 146,
 147, 148, 567, 568, 569.
 მიქელ სინელი 95.

- მიქელ სვინკელოსი 201, 298, 515.
 მიქელ ფსელოსი 56, 102, 287, 302, 505.
 მიხეილ დუკა 111.
 მიხეილ კათოლიკოზი 351.
 მიხეილ იმპერატორი 220.
 მიხეილ პატრიარქი 614.
 მიხეილ ტფილელი 411.
 მიხეილ უნგროვლაქელი 362.
 მიხითარ ბრძენი (სევასტიელი) 72, 388, 389, 390, 394, 408, 422.
 მობიდან ეპისკოპოზი 519.
 მოდისტოს იერუსალიმელი 45.
 მოსე ეპისკოპოსი 29, 82.
 მოსე კათოლიკოზი 125.
 მოსე ივერიელი 104.
 მოსე ტარონელი 82.
 მოსე წინასწარმეტყველი 362, 524.
 მოსე ზონელი 247.
 მოსე ხორენელი 28, 29, 82, 92, 119, 126, 240, 245, 216, 570, 575.
 მოსხი იოანე (იხ. იოანე).
 მურვან ყრუ: 96, 150, 584, 586.
 მუტევაკილ 566.
 მხარგძელი 625.
 ნაბუქოდონოსორი: 508.
 ნადირ შაჰი: 396.
 ნავატ ფილოსოფოსი: 180.
 ნანა (მირიან მეფის ცოლი) 575, 576.
 ნანი ან ნონი, არქიდიაკონი: 514, 570.
 ნაცელიშვილი თადეოზ: 414.
 ნებროთი 240, 245, 246, 248, 251, 339, 340, 463, 473, 474, 475, 476, 477, 478.
 ნექტარი იერუსალიმელი: 71, 358, 370, 516.
 ნექტარი კონსტანტინოპოლელი: 232, 280.
 ნემესიოს ეპესელი: 304.
 ნეოფიტე ურზნელი: 407, 590.
 ნერსე II მეფე: 95, 139, 140, 563.
 ნერსე ერისთავთ ერისთავი: 83, 126, 129, 133.
 ნერსე დიდი: 536.
 ნერსესი 377.
 ნიკიტა ივერიელი: 260.
 ნიკიტა მონაზონი: 299, 540.
 ნიკიტა დავით ჰაულალონელი: 195, 354, 486, 553.
 ნიკიტა სერონელი: 278, 280, 281, 655.
 ნიკიტა სტითატი: 294, 295, 296, 516, 605, 659.
 ნიკიტა ხარტოფილაქსი: 516.
 ნიკიფორე ზოცესი: 469.
 ნიკოდიმე მთაწმიდელი: 469.
 ნიკოდიმოსი 481.
 ნიკოლოზი 84, 112, 133.
 ნიკოლოზ I პაპი: 227.
 ნიკოლოზ დვალი: 543, 588, 589, 590.
 ნიკოლოზ გულაბრიძე კათოლიკოზი: 325, 506, 516, 529, 557, 662.
 ნიკოლოზ კათოლიკოზი: (XV-ს) 311.
 ნიკოლოზ კახელი: 387.
 ნიკოლოზ რუსთველი: 3614, 606, 648.
 ნიკოლოზ სიონელი: 644.
 ნიკოლოზ ტფილელი: 211, 362, 365, 367, 516, 643, 648, 662, 664.
 ნიკოლოზ ქართველთა მნათობი: 356, 632, 648.
 ნიკოლოზ ქიზაყელი: 391.
 ნიკონ შავშთელი: 107, 262.
 ნიკონი 375.
 ნილო მონაზონი: 203, 596, 597.

ნინო წმ. 24, 25, 41, 59, 125, 137,
 162, 164, 238, 240 — 3, 249,
 274, 276, 317, 318, 320, 326,
 8, 346, 354, 368, 373, 380,
 384, 474, 525 — 6, 533, 543,
 569, 571 — 5, 576 — 7, 579, 580,
 587, 605.
 ნოე 473, 494.
 ნონი იხ ნანი:
 ოზანი: 189, 191.
 ოლიმპიადორე ალექსანდრიელი
 269, 324, 454, 505, 506
 ორბელიანი დიმ. 662, 663.
 ორბელიანი ვახტანგ: 76.
 ორბელიანი იოანე მღვანებგი 77,
 386, 358, 390, 391, 409.
 ორბელიანი მზეკაბუჯ: 72.
 ორბელიანი ნიკოლოზ 461.
 ორბელიანი საბა-სულხან: 76, 367,
 371, 664.
 ორიგენი: 269, 379, 402, 458, 467,
 501, 506, 509, 510, 511, 512,
 527, 528.
 ოსესძე იოანე (იხ. იოანე).
 ოქრომკედლიშვილი ილ. 23
 ოქროპირ ბატონიშვილი: 437.
 ოქროპირი იოანე (იხ. იოანე).
 პაატა ბატონიშვილი. 663.
 პავლე, იერემია სომხის მოწაფე: 92.
 პავლე (გ დამწერი): 132.
 პავლე დეკანოზი: 354, 355.
 პავლე ზარზმელი: 146.
 პავლე თებელი: 146:
 პავლე შოციქული: 25, 266, 267,
 300, 443, 447, 463, 486, 488,
 491, 504, 610.
 პავლე მოწაფე: 133, 597.
 პავლე პეტრიწონელი: 307.
 პავლე ტარანელი: 404.
 პავლე ტბელი: 99, 314
 პავლე წრფელი: 596.

პალაძე ჯეღნოაოღელი: 272.
 პალაძი: 341.
 პამფილე კესარიელი: 511.
 პანადორე: 163.
 პანსოფი ალექსანდრიელი: 664.
 პანტელეიმონი: 132.
 პაპუწისშვილი იოანე (იხ. იოანე)
 პართენი: 70.
 პაფნუტი: 595, 596.
 Peeters P: 549, 584.
 პეისონელი: 75.
 პელაგი დიაკონი: 593.
 პელაგია ანტიოქელი: 273.
 პეროზი: 123, 136, 139.
 პეროუაჯრ სიენიელი: 24, 577.
 Petit L: 84, 111.
 პეტრე II: 365.
 პეტრე, იერემია სომხის მოწაფე: 92.
 პეტრე ავიტაბლე (იხ. ავიტაბლე)
 პეტრე ალექსანდრიელი: 133, 501,
 610.
 პეტრე ანტიოქელი: 299.
 პეტრე აელათელი: 349, 350, 351,
 352, 353, 592, 658, 662.
 პეტრე დელაველე (იხ. დელაველე)
 პეტრე დიდი: 365, 568.
 პეტრე იერუსალიმელი: 601, 602
 პეტრე ივერიელი (ესპანელი): 202
 პეტრე მაიომელი: 82, 83, 91, 353,
 354, 355, 443, 556.
 პეტრე შპორკენელი: 5, 15.
 პეტრე შოციქული: 194, 253, 463,
 483, 484, 485, 610, 612, 626,
 628.
 პეტრე ოპიზელა 99.
 პეტრე, პატრიარქ ანტიოქიისა: 262.
 პეტრე სონელი: 662.
 პეტრე ხარტოფილაქსი: 610.
 პეტრიწი იოანე (იხ. იოანე).
 პილატე: 451, 452.
 პიროსი კონსტანტინოპოლელი: 529.

- პლატონი: 25, 379.
 პლატონ მიტროპოლიტი: 416, 516.
 პითაგორე: 25.
 პიმენი: 591.
 პოლოცკი სეიმონ 595.
 პორფირი: 72, 313, 390, 393.
 პოტიომკინი: 412, 416.
 პროკლე დიადოხოსი: 72, 73, 304, 375, 377, 379; 388, 390, 391, 409.
 პროკოპი მღვდელი: 256, 264, 270, 271.
 პროკოპი ლაზელი: 269.
 პროხორე: 108, 109, 580.
 პროხორე, იოანე მახარებლის მოწაფე: 484.
 პეტროლოგოსი: 30, 357.
 პულქერია კეისარი: 359.
 ურდანა თედ.: 12, 55, 99, 136, 137, 173, 183, 211, 223, 292, 295, 296, 315, 346, 365, 420, 444, 447, 553, 466, 469, 505, 535, 549, 614.
 რაბულა ედესელი: 39.
 რაზმაძე სოლომონ: 436.
 რაფაელ პირველმოწამე: 83, 242, 349, 368, 384, 543, 557, 584, 649.
 რევი: 576.
 რიფსიმე: 240, 570.
 რომანოზ მიტროპოლიტი 73, 370, 371.
 რუსუდანი დედოფალი: 73, 337, 343.
 რუფინუსი: 126, 512, 569, 575.
 საბა განწმენილი: 33, 51, 91, 92, 93, 95, 101, 108, 131, 160, 444, 620.
 საბა თუხარელი: 107, 262.
 საბა იშხნელი: 151.
 საბა: (გიორგი მთაწმიდელის ბიძა) 213, 214.
 საბა სვინგელოზი: 345, 347, 648.
 საბა სულასძე თუხარელი: (იხ. თუხარელი).
 საბა სულხან ორბელიანი: (იხ. ორბელიანი).
 საბა ტბელი 99, 148.
 საბანისძე იოანე: (იხ. იოანე)
 საბიანა: 212.
 საბინინი მიხ: 127, 154, 156, 157, 158, 195, 211, 250, 253, 465, 470, 486, 553, 580, 584, 607.
 საგდუხტი: 31.
 სალომე უფარმელი: 24, 575, 576, 577.
 სამოელ კათოლიკოზი: 127, 126, 284, 558, 559.
 სამოელ მამასახლისი: 96.
 სამოელ პატრიარქი: 262.
 სამოელ რაბინი: 520.
 სამუილ არქიდიაკონი: 428, 559.
 სარგის სუბულისძე: 539.
 სარმიანე კათოლიკოზი: 284, 325.
 საერმაგი: 175.
 სპაკ ისმაილისძე 565, 566.
 სპაკ მონაზონი 591.
 სერაპი პატრიარქი: 31, 119, 136.
 სერაპოზი: 189, 299.
 სერაპი თარგმანი: 131, 548.
 სეითი: 473.
 სეპი: 32.
 სერაპიონ ზარზმელი: 96, 103, 142, 145, 146, 147, 148, 568, 569, 579, 581, 586.
 სერგი წმ: 133.
 სეიმახოსი: 452, 459, 460.
 სეიმონ: 107.
 სეიმონ მგალობელი: 94.
 სეიმონ მესენტე (საკვირველი მოქმედი): 30, 91, 102, 106, 214, 262, 284, 592, 622.
 სეიმონ მესოპოტამიელი: 204.

სეიმონ მეტაფრასტი (ლოლოთ-
ტი): 55, 177, 178, 245, 251,
274, 306, 307, 549, 554, 555,
604, 657.

სეიმონ წინამძღვარი: 105.

სეიმონ ჯულფელი (ჯულფელი, გარ-
ნელი): 72, 73, 388, 389, 390,
391, 409, 410, 420.

სიდონია: 519, 576, 577, 578.

სიმეონ ბატონიშვილი: 360

სიმეონ ხერკელი: 225.

სიმონ: 132.

სკლიაროსი ბარდა: (იხ. ბალდა)

სკლირენა: 102.

სოზომენი: 247.

სოკოლოვი: 532.

სოკრატი (ისტორი): 247.

სოლომონ ბრძენი: 269, 417, 421,
492.

სოლომონ დეკანოზი: 66.

სოლოლაშვილი ბაგრატი: 71, 359,
546.

სოლოლაშვილი ვერონტი: 516.

სოსოენი: 535, 536, 538, 541.

სოფიო: 296.

სოფრონ იეოუსალიმელი: 231,
279, 605.

სოფრონ პალესტინელი: 552.

სოფრონ შატბერდელი: 141, 142,
153.

სპირიდონ არქიმანდრიტი: 396.

სტეფანე ათონელი: 236, 596.

სტეფანე დიაკონი: 297.

სტეფანე მტბევაბი: 49, 99, 140,

141, 153, 170, 500, 579, 608.

სტეფანე მძოვარი: 591.

სტეფანე ნინოწმიდელი-რუსთველი:
236, 429.

სტეფანე ოშკელი: 99.

სტეფანე პაულინი 75.

სტეფანე პირველმოწამე: 194, 279,
639.

სტეფანე სანანოსძე(კყონდიდელი):
47, 52, 176, 232, 470, 545,
555, 638, 639, 647.

სტეფანე სიუნელი: 404.

სტეფანე ჭუციანი: 107.

სტეფანე ხახულელი: 221.

სტეფანია: 132, 133.

სტეფანოზ I: 32, 284.

სტეფანოზ II: 250, 251, 574.

სულა: 57.

სულა (იოანე ათონელის ბიძა) 108

სუმბათ დავითის-ძე: 175, 218, 244,
584.

ტარასი პრკიმანდრიტი: 66, 321,
382, 516.

ტატიანე: 39.

ტერ დავითა: 72.

ტერ-პეტროზა: 72.

ტერტულიანე: 482.

ტერ-სამოელ: 72.

Thibaut: 651.

ტიმოთე მიტროპოლიტი: 10, 67,
77, 374, 396, 523.

ტიმოთე საკვირველსმოქმედი 254

ტილაშაძე იესე: 360, 361, 664.

ტირიქანი წმ.: 563, 564, 565.

ტირიფილე არქიმანდრიტი: 411.

ტირიციკი პროფ.: 595.

ტულუკაშვილი: 75, 76.

ტურნეფორი: 75.

ურბანი პაპი: 77.

უსკენსკი პორაირა: 186, 208, 449,
530

უსტამი: 558, 560.

უსტანესი: 82, 125, 137, 607.

ფალავანდიშვილი იოსებ: 396.

ფარნაოზ ბატონიშვილი: 475.

ფარნაოზ მეფე: 23, 24, 25, 244.

ფარსმან მეფე 31, 156, 143.

ფეროს ჯოჯიკისძე: 213, 214, 215.

ფილაგროსი 132, 133.

ფილეკტიმონ ეპისკოპოსი: 534.
 ფილიპე პეთლეშელი 176.
 ფილოთეოსი 630.
 ფილოქსენი 139.
 ფირდოუსი 246.
 ფლაბიოსი იოსებ (იხ. იოსებ).
 ფოკა: 132.
 ფოტი პატრიარქი: 137, 227, 300,
 352, 353, 515, 593, 594, 595,
 607, 608, 609.
 ფრანცისკო ბოლონიელი 373.
 ფრაუნდორფი: 408.
 ფრენკელი: 618.
 ფსევდოფერეში 248, 274.
 ფსევდოკალისტენი 248, 573.
 ფსელსი მიქელ (იხ. მბქელ).
 ფუნდუხტანი 587, 588.
 ქამი: 32.
 ქაიხოსრო მეფე: 434.
 ქეთევან: 368, 384, 407, 590, 648,
 662.
 ქორიუნი: 28, 82, 119.
 ქრისტედულე: 522, 523, 525
 ქორისტეფორე კეყერაშვილი: 643
 ქრისტეფორე მიტილენელი: 306,
 307.
 ქრისტეფორე პაპი: 76.
 ქრისტეფორე პატრი 76.
 ქსიფე: 218.
 ქსიფილანოსი იოანე (იხ. იოანე)
 ყაითმახაშვილი ფილიპე: 72, 87,
 88, 89, 385, 393, 394, 400, 407,
 409, 410, 419, 421, 423, 513.
 ყათლანაშვილი: ვახტანგ 622.
 შავთელი იოანე (იხ. იოანე)
 შალვა: 368, 645.
 შანიძე აკაკი: 50, 158, 170, 445.
 შარდენი: 75.
 შაჰაბაზი: 71, 645.
 შეგრენი: 305.
 შებეიდარ: 587.

შიო: 32, 147, 154, 156, 157, 170,
 225, 284, 322, 345, 346, 368,
 107, 569, 580, 581, 582, 583
 შოთა რუსთველი: 176, 360, 662
 შოშიტა III ერისთავი: 418.
 შროშანა: 577.
 შუმანიკი: 31, 119, 163, 241, 249,
 368, 384, 443, 444, 447, 449,
 547, 557, 558.
 ჩაბრუხაძე: 337, 505.
 ჩაბრუხაძე გრ.: 300.
 ჩოროლოპდი (იოანე ათონელის ძე)
 180.
 ჩუბინაშვილი: 205.
 ჩხეიძე გაბრიელ: 78.
 ცაგარელი აღ. 11, 99, 160, 161,
 165, 186, 306, 413, 449, 456,
 504, 631.
 ციციერო: 57.
 ცხვილოვლი: 314.
 ჭიკინაძე ზაქ: 13, 310, 311, 313,
 321, 330, 332, 338, 346, 351,
 356, 438, 525, 662.
 ჭიქუმ მძღაგრი: 565.
 ქეუდელელი თეოდორე: 95.
 ხარისკამაშვილი: 75.
 ხარიტონი წმ. 91, 94, 95.
 ხარლამპი: 148.
 ხახანაშვილი აღ. 13, 15, 122, 194,
 395, 413, 415, 427, 485, 545.
 ხელაშვილი გიორგი: 434.
 ხელაშვილი ნიკოლოზ: 89.
 ხელაშვილი იონა (იხ. იონა).
 ხელაძე ექვთიმე: 462.
 ხერხეულიძე ნიკოლოზ: 397.
 ხერხეულიძე ნოდარ: 396.
 ხეასრ ა დიდი: 558.
 ხეასრო I: 139, 245.
 ხეასრო II: 246.
 ხორცენელი: 82.
 ხრიანთო იერუსალიშელი: 361.

ხსართან მღვდელი: 127.
 ჯავახიშვილი იუანე: 15, 16, 25, 30,
 120, 122, 138, 158, 160, 161,
 168, 239, 250, 316, 474, 475,
 528, 572, 577.
 ჯალალ-ედინი: 345.
 ჯანაშვილი მოსე: 12, 181, 239, 250,
 313, 453, 475, 501, 585, 652,
 653.
 ჯალი: 29, 30, 38, 40, 82, 119.

ჯუანშერი: 239, 242, 243, 249,
 250, 251, 584.
 საოსი: 215.
 ჰარნაკი: 5, 552.
 ზეროდორე: 417.
 ჰერაკლეონი: 485.
 ზოქმეზი: 156.
 ჰონორი კვისარი: 147.
 ჰონორი შაპი: 75, 343.

II. გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი :

ადანა: 262
 ადიში: 97, 191, 444, 457, 626.
 აელაბარი: 127.
 აზია: 52, 337, 380.
 აზრუმი: 111.
 ალინა: 25, 57, 85, 114, 115, 302,
 332.
 ათონი: 11, 16, 39, 54, 60, 63, 83,
 99, 101, 103, 107, 109, 112,
 114, 122, 127, 131, 191, 182,
 212, 215, 217, 219, 221, 225,
 226, 228, 232, 233, 234, 236,
 237, 238, 254, 256, 257, 261,
 296, 310, 311, 313, 332, 346,
 356, 359, 376, 412, 451, 452,
 453, 454, 457, 459, 465, 466,
 470, 472, 484, 504, 512, 516,
 549, 561, 567, 599, 595-7, 602,
 612, 622-4, 630, 648.
 ალაბი: 336.
 ალავერდი: 191, 192, 347, 364,
 367, 633.
 ალბანეთი: 29.
 ალექსანდრია: 107, 412, 459, 487,
 529, 567.
 აშერიკა: 380.

ანისი 283.
 ანტიოქია 41, 90, 103, 106, 212,
 213, 216, 217, 219, 222, 252,
 257, 261, 272, 271, 275, 278,
 287, 292, 319, 329, 459, 467,
 485, 537, 538, 545, 602, 613,
 614, 622, 633.
 ანზი: 314, 331, 633, 648.
 ანძიადორი: 180, 248, 280.
 არაგვი: 359, 370.
 არგეთი: 584
 არტანუჯი: 137, 541.
 არქიპელაგი: 412.
 არშლუკეთი 558.
 ასტრეთი: 81, 217, 219, 286, 514,
 527, 570.
 აფრიკა 380.
 აფხაზეთი 126, 131, 134, 135, 119,
 168, 246, 305, 361, 566, 567,
 614-15, 618.
 აშტრახანი: 87, 375, 396, 414,
 416.
 აწყური: 135, 142.
 ახალციხე: 412.
 ახალქალაქი 217, 220, 241.
 ბაბილონი: 566.

ბანა: 99, 111, 302.

ბალდადი: 126, 548, 578.

ბასიანი: 563.

ბედია: 633.

ბიზანტია: 26, 29, 37, 38, 41, 54,

55, 56, 57, 58, 62, 78, 84, 85,

93, 102, 103, 104, 106, 110,

111, 115, 164, 184, 240, 247,

148, 260, 262, 266, 283, 405,

450, 470, 475, 497, 506, 532,

554, 556, 578, 580, 628 - 30,

636, 644, 647, 655.

ბიოვინია: 93.

ბიკვინთა: 365, 386, 387, 614,

619, 620, 623.

ბეთლემი: 176, 477.

ბოდბე: 435.

ბოლნისი: 92, 180, 181.

ბერთა: 100.

ბერას ჯვარი: 145.

ბერლინი: 5.

ბულღარია: 110, 286, 302.

ბუქარესტი: 361.

გაზა, იხ. მაიუმი

გალია: 575.

გალილეა: 493.

განძაკი: 559, 580.

გარდაბანი: 29.

გარესჯა: 154, 155.

გარნისი: 409.

გელათი: 85, 87, 100, 114, 115,

116, 187, 196, 225, 254, 286,

488, 294, 303, 303, 330, 332,

333, 335, 343, 345, 350, 352,

396, 471, 506, 556, 615, 633.

გეონანია: 5.

გოლგოთა: 473.

გეორგიესკო: 415.

გორი: 76, 89.

გრემი: 85.

გუგარაკი: 29, 30, 92.

გურია: 76, 116.

დავითგარეჯა: 321, 364, 371, 373,

375, 396, 397, 412, 615, 616,

648.

ღამასკო: 548, 554, 589, 590.

ღვალეთი: 598.

ღვინი: 125, 140, 241.

ღივრი: 563.

ღოდო: 360.

ღუშეთი: 426.

ეკვიპტე: 50, 62, 180, 332, 337,

412, 491, 493, 590.

ეგრისი: 246, 451.

ედესა: 39, 192, 225, 343, 344, 357,

481, 520, 521, 527.

ევზი: 202.

ევროპა: 9, 59, 65, 68, 71, 73, 74,

75, 78, 371, 372, 380, 412, 417.

ევხაიტი: 217.

ელადა: 115.

ერკეთი: 633.

ეფესო: 255, 404, 483.

ეფრათი: 217.

ეაგორშაპატი: 33.

ვალაქია: 361.

ვარძია: 333, 648.

ვახანი: 625.

ვაქირი: 434.

ველხატავო: 111

ვენა: 10, 412, 455.

ვენეცია: 34, 373, 412, 425.

ვერა: 925.

ვლადიმირი: 79, 398, 401.

ვსესვიატსკოვ: 461.

ზანაფი 146, 148.

ზარზმა: 103, 145, 146, 147, 148,

568.

ზედაზენი: 153, 154, 155, 582.

ზემოზოლაშენი: 434.

თაბორი: 344.

თელავი: 79, 88, 89, 387, 392, 399

394, 395, 396, 398, 415, 419,
421, 435.
პეტრის ხეობა: 589.
თორთღმი: 99.
თრიალეთი: 212.
თუალის მონასტერი: 213.
იასა: 412, 417.
იბერია. ივერია: 29, 31, 92, 377,
525, 595.
იერუსალიმი: 5, 34, 85, 91, 98,
108, 114, 125, 131, 132, 151,
162, 163, 169, 176, 194, 214,
215, 217, 219, 220, 257, 259,
260, 266, 267, 277, 278, 279,
280, 298, 310, 325, 328, 353,
355, 358, 376, 412, 450, 453,
455, 471, 477, 482, 485, 488,
498, 537, 538, 544, 545, 552,
575, 587, 588, 589, 600, 608,
613, 621-2, 624, 626-7, 631,
642-3.
იერაპოლი: 331.
ივერია, იბ. იბერია
ივერიის მონასტერი. (იბ. ათონი).
იკონია: 488.
იმერეთი: 116, 358, 364, 376, 397,
412, 616, 618.
ინდოეთი: 551, 552.
იონანე ნათლისმცემელი: 573.
იორდანე: 171, 355, 564.
იტალია: 57.
იყალთო: 85, 287, 288.
იშხანი: 96, 97, 98, 548, 550.
კავკასია: 5, 245, 416.
კალიპოსი: 107, 109, 222, 287.
კამპანია: 59, 575.
კანა: 498.
კაპადოკია: 203, 317.
კართაგენი: 610.
კარა: 346, 347.
კარისციხე: 111.

ქსტანა: 106.
ქხეთი: 88, 89, 116, 155, 287,
358, 360, 364, 396, 417, 418,
429.
კაცხი: 633.
კერასანი: 225.
კესარია: 203, 217, 511.
კეპრი: 102, 286, 336, 589.
კეცი: 412.
კილა: 561.
კოლონია: 124.
კონსტანტინოპოლი: 25, 56, 57,
63, 73, 78, 101, 105, 111, 124,
136, 139, 162, 180, 182, 184,
205, 213, 214, 216, 217, 218,
219, 220, 226, 232, 256, 267,
261, 278, 279, 283, 287, 292,
296, 302, 341, 345, 353, 358,
369, 361, 371, 376, 412, 413,
446, 459, 470, 497, 510, 515,
529, 530, 531, 537, 538, 563,
609, 621-2, 628, 629, 31.
კრიტე: 179.
კუჩეთი: 155.
ლანისტანი: 100, 179, 240, 277,
279, 529.
ლიახვი: 559.
ლიკუსი: 124.
ლიმონა: 333.
ლუდია: 225, 480.
მაგრიტანია: 26.
მაკედონია: 103, 111, 248.
ბალოროსია: 416.
პაიუმი: 353, 354.
მანასერკი: 136, 137, 140, 629.
მანგანა: 102, 113.
მარტია: 362.
მარტვილი: 419, 633.
მესხეთი: 62.
მეტეხი: 191, 435.
მიძნაძორო: 96, 545.

მოხდოვი: 416, 417.
 მოლდავია: 412, 416.
 მონოვატი: 105.
 მოსკოვი: 66, 78, 79, 89, 227, 358,
 359, 370, 382, 396, 398, 412,
 413, 415, 427, 434, 435, 440,
 452, 453, 455, 461, 462, 471,
 594, 643.
 მრავალშთა: 427.
 მტკვარი: 127, 561, 562.
 მტირეაზია: 82, 93, 101, 104, 124,
 219.
 მცხეთა: 7, 65, 125, 126, 135, 136,
 155, 156, 163, 242, 360, 397,
 411, 452, 453, 470, 519, 558,
 559, 560, 561, 573, 576, 615,
 633, 653.
 წარვა: 359.
 წახარებაჲ: 419, 423.
 ნეკრესი: 37, 392, 393, 417, 418.
 ნეოქესარია: 227, 267.
 ნიკია: 136, 227, 515, 532.
 ნიკოსიდი: 279.
 ნიკოპოლი: 82, 124.
 ნილოსი: 345.
 ნინოწმიდა: 428.
 ნოვეპოლი: 78, 643.
 ოდიში: 116.
 ოლიპი (იხ. ულუბლი)
 ოპაზი: 96, 97, 100, 131, 142, 145,
 148, 314, 347, 444, 548, 569.
 ოსეთი: 131, 589, 614.
 ოსშალეთი: 73, 361, 381.
 ოქროციხე: 103.
 ოშკი: 99.
 პალესტინა: 5, 16, 33, 36, 39,
 50-1, 90, 94, 5, 101, 107,
 108, 116, 131, 160, 163, 169,
 180, 216, 249, 286, 354-5,
 376, 445, 451, 459, 510, 528,
 547, 5, 552, 576, 588, 590.

603, 620, 523, 631.
 პამფილია: 70, 396.
 პარზი: 145, 147, 148, 568, 569.
 პარიზი: 11, 403, 656.
 პარხალი: 97, 444, 478, 550.
 პატალანის ველი: 59.
 პენზა: 416.
 პეტრიწონი: 110, 115, 290, 296,
 314, 325, 454, 505, 516, 523,
 530, 556, 586, 604, 621.
 პეტროგრადი (პეტერბურგი): 15,
 16, 159, 164, 398, 414, 116,
 417, 435, 436, 439, 440, 449.
 პიტარეთი: 366.
 პოლშა: 412.
 პონტო (იხ. ლაზისტანი)
 პანტოს ზღვა: 614.
 პრეპენი: 334.
 პრუსია: 5.
 რაქა: 418.
 რიშნიკი: 361.
 რომანა: 93, 101, 215, 219.
 რომი: 4, 10, 34, 41, 59, 60, 74,
 75, 76, 77, 125, 194, 196,
 292, 241, 361, 371, 372, 373,
 404, 455, 513, 518, 519, 530,
 531, 537, 593.
 რუის-ურბნისი: 85, 114, 177, 230,
 238, 263, 286, 287, 289, 301,
 303, 317, 319, 354, 355, 411,
 412, 428, 465, 609, 616, 17, 632,
 633.
 რუსეთი: 65, 68, 70, 71, 75, 79,
 87, 211, 358, 359, 360, 361,
 363, 364, 365, 368, 370, 372,
 374, 375, 389, 390, 394, 396,
 398, 399, 401, 402, 405, 406,
 411, 414, 415, 416, 426, 435,
 439, 454, 461, 465, 623, 644-5.
 რუსთავი: 364, 365.
 საბას-ლაფრა: 161, 162, 163, 166

445, 496, 510, 528, 544, 545,
548, 552, 603, 620, 626, 627.
საბერძნეთი: 4, 41, 15, 54, 71, 84,
93, 105, 124-5, 163, 192, 196,
217-18, 220, 227, 248, 260, 266-
286, 302-3, 362, 425, 518-19,
530-1, 548, 554-5, 567, 570,
576, 611-12, 621, 623, 626, 628,
630, 635, 640, 612.
სალიზი: 198.
სამარია: 566.
სამეგრელო: 418, 419.
სამთავისი: 71, 359.
სამსხუნი: 217.
სამცხე-საოაბაგო: 62, 103, 134, 135,
136, 137, 142, 145, 148, 212,
259, 323, 332, 397, 451, 567,
568, 569.
საოატოვი: 416.
სარდიკია: 301.
საფრანგეთი: 57, 371, 575.
სალოღებელი: 127.
საქართველო: 5, 9, 19, 20, 26, 37,
39, 43, 44-5, 49, 51-4, 56-8,
62-3, 65, 67-9, 73-8, 81-2, 84-
7, 89, 95, 101, 105, 111, 113,
16, 124, 128-9, 137-8, 143, 145,
149, 160, 152, 153, 155, 184,
190, 192, 196, 204, 215-17,
219, 222, 230, 244, 246, 252,
256-8, 260, 262, 275, 278, 285-
6, 288, 296, 305, 312-13, 317,
319, 320-1, 326-9, 336-8, 348,
358-63, 371, 373, 376, 379-80,
383, 386, 386, 395, 397-9, 401-
2, 404-6, 411, 413, 415, 417-
19, 424, 435, 439, 443, 456-7,
465, 488, 512, 518-20, 525, 527-
30, 542, 553, 557-9, 567, 578,
586-7, 590, 612, 617, 620-1,
623, 626, 629, 632-2, 640, 647.

663.
სევესტია: 217.
სელეკია: 107.
სერონა: 655.
სეანეთი: 50, 211.
სეიაი: 398.
სეიზონშინდსა 281, 301.
სინას შია: 5, 6, 14, 16, 22, 15,
47, 19, 50, 51, 63, 93, 94, 95,
101, 108, 131, 134, 158, 160,
162, 164, 168, 169, 176, 180,
185, 221, 230, 282, 286, 362,
412, 448, 449, 457, 460, 479,
489, 578, 591, 592, 595, 601,
603, 609, 626, 631, 632.
სინდეთი: 249.
სიონი: 87.
სირია: 5, 38, 39, 49, 50, 90, 108,
111, 459, 552, 590.
სეკტარი: 124.
სმირნა: 505.
სოხხეთი: 29, 30, 31, 37, 40, 65,
81, 82, 111, 136, 137, 139, 143,
144, 245, 104, 514, 532, 534,
535, 536, 579.
სომხი: 439.
სპარსეთი: 26, 29, 31, 33, 37-8,
57, 71, 73, 76, 81, 119, 120,
121, 123, 136, 139, 212, 246,
355, 358, 360, 361, 371, 381,
396, 476, 477, 525, 527, 548,
558, 559, 560.
სტავროპოლი: 416.
სტოკეოლონი: 359.
სულჟმბრია: 222.
ტაოკლარჯეთი: 43, 45, 60, 94--5,
100--1, 103, 108, 113--14,
133--4, 138, 142, 148--50,
152, 175, 218, 260, 331, 501,
537, 548, 557, 565, 567, 579,
588, 626, 646.
ტარონი: 119.
ტარსუ: 107, 253.
ტაშირი: 29, 30, 82.
ტაძრისი: 212, 218.

ტბეთი: 98, 140, 143, 170, 172,
314, 347, 444.
ტენედოსი: 360, 361.
ტეარწარათი: 213, 214.
ტვერი: 415.
ტვიროსი 510.
ტრაპიზონი: 335, 371
ტრიანთლიუსი: 101.
ტფილისი: 5, 12, 73, 79, 87-9,
126, 150, 223, 316, 322, 331,
361-2, 365, 368, 373, 375,
386, 387, 390-1, 396-8,
480, 412, 414-15, 717, 419,
423, 426-8, 435, 453, 461-2,
493, 592, 558, 560, 565.
ულუმბო: 93, 104, 182, 183, 184,
203.
ურბნისი: 444.
უროასტანი: 25.
ფაზისი: 529.
ფარესი: 394.
ფილიპოპოლი: 110.
ფინიკია: 332.
ფოთი: 271, 420.
ქალკიდონი: 33, 125, 275, 298,
300, 404, 512, 534, 535, 602.
ქართლი: 30, 32-4, 36-8, 42-3,
82, 90, 92, 94, 116, 119, 124-
7, 129, 130-1, 133, 135-7,
139, 150, 153, 155-7, 163, 184,
196, 202, 217, 219, 238-9,
243, 245-6, 250, 251, 284,
286, 344, 345, 347, 354-5, 374,
381-3, 397, 398, 459, 467, 512,
527, 532-3, 559-60, 565-6,

570-4, 576, 581-4, 609, 614-
15, 617.
ქიზიყი: 439.
ქსანი: 155, 444, 648.
ქუაბთახევი: 321, 435, 439.
ქეთაისი: 217, 223, 314, 331, 374
377, 396, 397, 420, 453, 505
ლანღრა: 610.
ლრტილა: 137, 541.
ყანჩოეთი: 633.
ყარსი: 111.
ყიზლიარი: 408.
ყრეპენჯული: 79, 416, 417.
ყუელის ცანჯე: 193.
შავშეთი: 25, 108.
შაჟინთა: 54, 63, 90, 102, 103
106, 214-16, 219, 221, 257
259, 261-3, 271, 277-5, 286,
287, 291.
შალონი: 575.
შაორო: 99, 170.
შატბერდი: 25, 59, 96, 97, 100,
113, 141, 149, 162, 173,
240-1, 444, 450, 499, 500,
501-2, 504, 543, 548, 571
574-7, 579, 626.
შემოქმედი: 358, 633.
შიომღვიმე: 264, 288, 296, 301
314-15, 332, 443, 622, 624.
ჰუამღინსარე (მელოპიტანია): 153,
207, 173, 583.
ცაიში: 633.
ციხე: 633.
ცხინვალა: 589.
ცაგერი: 419.

ბინძე: 145	518, 559, 601, 644, 616.
ბეჭდობანი: 110.	ხავეჭი: 90, 100, 113, 181, 212,
ბეჭდობანი: 103, 116.	213, 214, 218-9
ბეჭდობანი ბინძეები: 412	ბიბი: 623.
ბეჭდობანი: 589.	ბობი: 101.
ბეჭდობანი: 589.	ბეჭდობანი: 249.
ბეჭდობანი: 154, 155.	ბეჭდობანი: 124, 115, 316
ბეჭდობანი: 50.	ბეჭდობანი ბინძეები: 63, 94, 103,
ბეჭდობანი: 125.	108, 116, 189, 220, 353, 411,
ბეჭდობანი: 98, 108, 196.	151, 580, 587, 588.
ბეჭდობანი: 633.	ბეჭდობანი: 97, 111, 580
ბეჭდობანი: 125, 164, 249, 571, 576.	ბეჭდობანი: 71.
ბეჭდობანი ბეჭდობანი: 100, 614	ბეჭდობანი: 119, 121.
ბეჭდობანი: 211, 216, 419, 460, 74	ბეჭდობანი: 26, 249.
ბეჭდობანი: 126, 131.	
ბეჭდობანი: 96 S, 109, 113, 133, 149.	

შემჩნეული კორექტურული შეცდომები *

83.	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
4	Lieder	Lieder
44	ვიორგიმ ერჩულისა	ვიორგი მერჩულისა
50	წურიმის	წურიმის
60	ქართლსა	ქართულსა
68	მომზადებულ	მომზადებულ
71	რთხულდებათა	რთხულდებათა
73	ქართველირბმა	ქართველებმა
98	თუმა	თუმცა
142	გვიგოლ	ვიორგი
143-1	აბდულყასიმი	აბდულყასიმი
154	ჩრდილყაყასი.	ჩრდ. ლყაყასი.
162	იოანედ	იოანე
163	კრიტორთა	კტიტორთა
178	თარგმანებათა	თარგმანებათა
186	უთარგმნია	უთარგმნია
193	ღმრთის	ღმრთის
205	ყუ ა ვ ა ლ კ რ ე ბ უ ლ ი	ყუ ა ვ ი ლ კ რ ე ბ უ ლ ი
209	სეტარმან	სეტარმან
282	იაპრიკო	იაპრიკო
404	ისტორიულად	ისტორიულად
407	პეტრიწისა	პეტრიწისა
447	საშუალები	საშუალებით
455	ძველი	ძველი
470	აპოკრიფთა	აპოკრიფთა
526	მთაწმიდელის	მთაწმიდელის
565	ნათარგმნი	ნათარგმნი
569	№ 67	№ 6—7
606	ხასიათის	ხასიათის
608-609	სთარგმნა	თარგმნა
655	აღკვეთების	აღკვეთების.

*) პირდაპირ შემწვეულად დაეიხანეთ კორექტურულ შეცდომებთან ერთად, აგვისტოში ის გაუქმდა და სავალდებულო აღმოჩნდა, რომელიც ადგილი აქვთ თათქმის ყველა ფორმის განსაკუთრებით უკუდაგონიერში, და რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ, გაცვეთის, გატეხის თუ აქედან დროს გამოდარდნის გამო, ზოგიერთი ასოები არ გამოისულა და ამის გამო სიტყვები დაშინებულა.

ს ა რ ჩ ე ვ ი .
შ ე ს ა ვ ა ლ ი .

§ 1. ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელობა და მისი შესწავლის მდგომარეობა. მნიშვნელობა ეროვნული და ორიენტალური. — რამდენად იცნობენ უცხოელები ძველს ქართულ მწერლობას. — ძველი ისტორიულ-ლიტერატურული მასალები — ახალი დროის მეცნიერული კვლევა-ძიება ამ დარგში. — შრომანი: A. I. R-ისა, პ. იოსელიანის, მ. ბროსესი. ალ. ცაგარლის, თ. ჯორდანიასი, ე. თაყაიშვილის, მ. ჯანაშვილის, ხ. ქიქინაძის, ალ. ხახანაშვილის, F. I. R-ისა, ნ. მარტისა და ივ. ჯავახიშვილისა. გვ. 3 — 18

§ 2. ქართული ლიტერატურული ენა და დასაწყისი ქართული მწერლობისა. შექმნა საერთო ქართული, ლიტერატურული ენისა. — აუცილებელი ევოლუცია ამ ენის ზრდა-განვითარებაში. — ორგვარა ქართული ანბანი: ბუკური და მხედრული. — რომელია მათში თავდაპირველი? — შემოღება ქართული ანბანისა და დასაწყისი ქართული მწერლობისა. — უაქტები ქართული მწერლობის არსებობისა. V — VI სს. გვ. 19 — 35

§ 3. პერიოდები ძველი ქართული მწერლობის ისტორიისა. პირველი პერიოდი: აღმოსავლური გავლენა ამ დროის ქართულს ცხოვრებასა და მწერლობაში. — გავლენა სომხური, ასურული და ბერძნული. მეორე პერიოდი: ეროვნული მიმართულება. — რამ წარმოშვა ეს მიმართულება? — რაში გამოიხატა ეს მიმართულება? — ლიტერატურულ-კულტურული კავშირი სომხებთან, ასურელებთან, ბერძნებთან და არაბებთან. — მესამე პერიოდი: უღერაბიზანტიური მიმართულება ცხოვრებასა და მწერლობაში. — რაში გამოიხატებოდა ეს მიმართულება და რა ახასიათებს მას: — ჰქონდათ თუ არა ამ დროს ქართველებს ლიტერატურული კავშირი რომთან? — მეოთხე პერიოდი: რამ გამოიწვია და რაში გამოიხატა ქართული მწერლობის დაცენა? — მეხუთე პერიოდი: აღორძინება ცხოვრებისა და მწერლობისა. — რამ გამოიწვია და რაში გამოიხატა იგი? — ლიტერატურული გავლენა ბერძნებისა, სომხებისა, დასავლეთი ევროპისა და რუსეთისა. გვ. 36 — 50.

§ 4. სწავლა-განათლებლისა და ლიტერატურის ცენტრები ძველს საქართველოში. შკოლა ძველს საქართველოში. — ლიტერატურული ცენტრება პირველს პერიოდში: შავი ან საკვირველი მთა, პალესტინა, ქართლი; მეორეში: ბიზანტია, საბაწმიდის ლავრა, სინას მთა, ტაოკლარჯეთი; მესამე პერიოდში: ათონის ივერიის მონასტერი, შავი მთა, ჯვარის მონასტერი, პეტრაწონის მონასტერი, გელათი; მდგომარეობა მეხუთე პერიოდში გვ. 51 — 116.

ნ ა ვ ი ლ ი . კ ი რ ვ ე ლ ი

გამომცემელნი და თარგმანნი.

1. სიკვამლე ხუცყისა	119—124
2. კათოლიკობი კირიანი	124—125
3. გრივალ დიაკონი	125—126
4. იოანე საბანოსძე	126—131
5. სეიო თარგმანი	131—133
6. გრივალ ხანძთელი	133—134
7. კათოლიკობი არსენ დიდი	134—135
8. იოანე	140—141
9. სტეფანე მტბეკარი	141—145
10. სპასილ ზარხმელი	145—148
11. გიორგი მეორე	148—153
12. კათოლიკობა არსენ II	153—156
13. იოანე-- ზოსიმე	156—166
14. გრივალ თჳკელი	166—167
15. იოანე მინჩი	168—170
16. იოანე მტბეკარი	170—172
17. მიქელ მოღრეკილი	172—174
18. ეზრა	175
19. იოანე ქონქოხისძე	—
20. კურდანი	—
21. თეოდო	176
22. 23. სტეფანე საწახოსძე და დავით ჯბელი	176—180
24. იოანე პოლელი	180—182
25. გიორგი მთაწმიდელი	182—211
26. გიორგი მთაწმიდელი	212—236
27. სტეფანე ათონელი	236
28. ეზრა მთაწმიდელი	237
29. ბასილი	—
30. ზოსიმე	238
31. სტეფანე მთაწმიდელი	238—251
32. თეოდორე ხუცყისმონახონი	252—256
33. პროკოპი, მეფისი	256
34. გიორგი ხუცყისმონახონი	257—259
35. სტეფანე მეორე	259—285

ნ ა ჟ ი ლ ი მ ა ო ო რ ა მ .
ძველი მწერლობის დარგები

§ 1. ბიბლიოლოგია. პირველ ყოვლისა ქართულად ბიბლიური წიგნები უნდა ეთარგმნათ. — ევანგელე ან სასარება, ორი მისი უძველესი რედაქცია: ხანმეტი და საბაწმიდური. — დავიდნი და მისი რედაქციები. — წინასწარმეტყველთა წიგნი. — მთლიანი ბიბლია, მისი უძველესი. დღესდღეობით ცნობილი, რედაქციები. — ენიდან ითარგმნა ქართული ბიბლია? — ბიბლიური კანონი. ქართული ბიბლიის გამოცემანი გვ. 443—462.

§ 2. აპოკრიფები წარმოშობა აპოკრიფული მწერლობისა. ინდექსი ქართული აპოკრიფებისა მეთვთავე საუკუნიდან. — განვიხილავთ ნიშნებს მემდევს საუკუნეებში. — ქართული აღთქმის აპოკრიფები ქართულად. — ანტიკური და იგრედწოდებული აღთქმის წიგნი. — ახალი აღთქმის აპოკრიფები: ლეთისმშობლისა და ლეონტიანის შესახებ: მოციქულთა აქტებისა, იოანე ბაპტისტისა, თომასის, ანდრეასის, პავლესის, იაკობისის, მარკოსისის, ეფემუსისა. — აპოკრიფული ცხოვრებანი, მარტვილობანი. — აპოკრიფული შარგალი. — აპოკრიფული ელემენტები ევანგელეონში გვ. 463—496.

§ 3. ეგზეგეტიკა. ეგზეგეტიკური მწერლობის წარმოშობა. — დასაწყისი ქართული ეგზეგეტიკისა. მისი პერიოდები და წარომომადგენელნი. ქარაულნი კატეხეზები და მათი ნიმუშები. გვ. 496—507.

§ 4. დოღმატიკა. როგორ წარმოიშვა დოღმატიკური მწერლობა? — ქართული დოღმატიკური მწერლობა მეთვთავე საუკუნემდე, მეთვთადან მეცამეტემდე და შვირამეტეში. ხასიათი და მნიშვნელობა მისი გვ. 507—517.

§ 5. პოლემიკა. საზოგადო ხასიათი ქართული პოლემიკური მწერლობისა. — პოლემიკა ან ჰიმასდებისტური, ანტიიუდაისტური და ანტიპაპალიანური. — ლიტერატურული პოლემიკა წინააღმდეგ ნესტორიანობისა, ავვისტინიზმისა, მონოფელიტიზმისა, კათოლიციზმისა და მონოფიტიზმისა. ქალკედონიზმი და ანტიქალკედონიზმი საქართველოში. — ანტისომხური პოლემიკა. გვ. 517—542.

§ 6. ჰაგიოგრაფია. სოგადი მიმოხილვა ქართული ეკლესიურ-ისტორიული მწერლობისა. მისი ხასიათი. დასაწყისი ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობისა. ნათარგმნი ჰაგიოგრაფია მეთვთავე საუკუნემდე და შემდეგ. — კიმენი. — მთავალთაყი. — მეტაფრასტული ჰაგიოგრაფია საზოგადოდ და ჩვენში. — ორიგინალური ჰაგიოგრაფია და მისი რედაქციები: 1) ლიტონი: ნარტილობა ესტატისტისტის, მშობა კოლაელთა, კონსტანტინე კახისა და წმ. ნინოს შატბერდული ცხოვრება; 2) მეტაფრასტული: ცხოვრება ათცამეტთა მამათა, მარტვილობა დავით და კონსტანტინესი, რადგან პირველმოწამისა და არჩილ მეტისა; 3) სკინაქსარული: ცხოვრება ლუკა ანტიოქიისა და ნიკოლო

ქვეყნისა გვ. 543 - 590

§ 7. ასკეტიკა. ასკეტიკური შწერლობა მეთაუ საუკუნედე ჩვენში. -- ასკეტიკური (კრებები) და ანთიფეგები. -- ქართული ასკეტიკა XI - XIII და XVIII სს. -- მისი ხასიათი გვ. 590 - 598.

§ 8. პომილეტიკა. დასაწყისი ქართული ჰომილეტიკისა. -- კრებულები: ძვალ-ძველნი და მარკალიტი. -- ცნობილ და უცნობ პომილეტიკა თხზულებანი ქართულ ენაზე მეთაუ საუკუნედე. -- ქართული ჰელენურ-სახელი და ირიგინალური პომილეტიკა. -- მისი წარმომადგენელნი გვ. 598 - 606.

§ 9. კანონიკა. ნომოკანონი ან შჯულისკანონი. -- ქართული კანონიკური შწერლობა მეთაუ საუკუნედე. მიმოხილვა ქართული ხათარგმნი კანონიკისა. -- ირიგინალური კანონიკური შწერლობა: კანონური ეპისტოლენი, სამოქალაქო ხასიათის საკანდიდიკაციო შრომები და ადგილობრივი კრებათა დადგენილებანი. -- სიგელ გუჯოები გვ. 606 - 619.

§ 10. ლიტურგიკა. დასაწყისი ქართული ლიტურგიკული შწერლობისა. ტეიპოსი და მისი სხვადასხვა რედაქციები. -- კანონი ან იეოუსალიმის განჩინება. -- საბაწინდური ტეიპოკანი. -- ეკლტორული კვიტრკონები. -- აბრავოსები. -- ლექციონარები. -- ლიტურგიკური ინენა და კეკოლოგონი. -- გულანა გვ. 619 - 633.

§ 11. პოეზია. -- დაოვი ძველი ქართული სასულაერო პოეზიისა. (I) პოეზია ლიტურგიკული. -- ჰიმნოგრაფიული ილემენი დეფისსახებრებაში. -- დასაწყისი ქართული ჰიმნოგრაფიისა. -- მისი სისტემა. -- აკოსტონი, ნათარგმნი ჰიმნოგრაფიული კრებულები: ოქტოიოსი, სტედონი [მარბუანი და სპტიკნი], იადგარი რესე, თათუნნი, ირიგინალური ჰიმნოგრაფია. -- მისი თანდათანობითი განვითარება. -- დასაბასია იუბელი სვისება მეთაუ საუკუნის ჰიმნოგრაფებისა. -- ქართული სენიოგრაფია. -- მეხური ჰიმნები. (II) პოეზია სამოქალაქო -- მოთხრობითი, მისი ორი დარგი: ჰაგიოგრაფიულ-ეპოტალოგიული და ბიბლიოგრაფიულ-ისტორიული. -- ამ პოეზიის წარმოშობა და განვითარება. -- ამორატიანი გრიგოლ დეფისმეცეკლისა და მისი ლირიკა. -- ქართულად. -- აღორძინების ხანის სასულაერო პოეზია. -- სილაბურ-ტონური ლექსნი ამ პოეზიაში. -- ანბანთქების სისტემა და მისი წარმომადგენელნი გვ. 633 - 661.

საკუთარი სახელთა საძიებელი გვ. 661 - 669

შემჩნეული კორექტურული შეცდომანი გვ. 669.

სარჩევი 691 - 695